პატრიარქები

და

წინასწარმეტყველები

ELLEN G. WHITE

The Story of

PATRIARCHS

and

PROPHETS

ელენ უაითი

პატრიარქები

და

წინასწარმეტყველები

მეშვიდე დღის ქრისტიან ადვენტისტთა ეკლესია

2006

შინაარსი

თავი 1 - რატომ დაიშვა ცოდვა

/ცოდვის წარმოშობა/

"ღმერთი სიყვარულია" /1 იოან. 4:16/. მისი არსი, მისი კანონი სიყვარულს წარმოადგენს. ასე იყო და ასე იქნება მარად. "მაღალი და აღზევებული, მარადმსუფევი", "საუკუნოა მისი გზასავალი" და არასოდეს იცვლება. მასში "არ არის ცვლილება და არც ჩრდილი ცვალებადობისა" /ეს. 57:15; აბაკ. 3:6; იაკ. 1:17/.

მისი შემოქმედებითი ძალის ყოველი გამოვლინება მისი უსასრულო სიყვარუ-ლის გამოხატულებაა. უფლის მფლობელობა მოიცავს სრულ კურთხევას მის მიერ შექმნილი ყოველი ცოცხალი არსების მიმართ. მეფსალმუნე ამბობს:

"შენია მკლავი მაგარი; გააძლიერე ხელი შენი,

მოამაღლე მარჯვენა შენი.

სიმართლე და მართლმსაჯულებაა შენი ტახტის საფუძველი,

წყალობა და ჭეშმარიტება წინ გეგებებიან.

ნეტარ არს ხალხი, მცოდნე ბუკის ხმობისა: ისინი შენი

სახის შუქით იარებიან, უფალო;

შენი სახელით ილხენენ ყოველდღე

და შენი სიმართლით ამაღლდებიან.

რადგან შენა ხარ მშვენება მათი ძალისა

და შენი ნებით მომაღლდება ღირსება ჩვენი.

რადგან უფლისაგან არის ჩვენი ფარი

და წმიდა ისრაელისაგან - მეფე ჩვენი" /ფს. 88:14-19/.

ბოროტებასა და სიკეთეს შორის დიადი ბრძოლის ისტორია, რომელიც ზეცაში დაიწყო და გრძელდება დედამიწაზე ამ ამბოხების საბოლოო ჩახშობამდე და ცოდვის სრულ განადგურებამდე, აგრეთვე უფლის უცვლელი სიყვარულის მოწმობას წარმოადგენს.

სამყაროს მბრძანებელი მარტო არ იყო თავისი კეთილი საქმეების კეთებისას. მის გვერდით იყო ის, ვისაც კარგად ესმოდა უზენაესის ზრახვები და შეეძლო გაეზიარებინა მისი სიხარული, რომელიც ღვთის მიერ შექმნილ არსებათა

გაბედნიერებაში გამოიხატებოდა. "თავდაპირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან, და სიტყვა იყო ღმერთი. ის იყო თავდაპირველად ღმერთთან" /იოან. 1:1, 2/. ქრისტე - სიტყვა, უფლის ერთადერთი ძე, მარადმსუფევი მამის ხატება - არის მისი ბუნების, ხასიათისა და მიზნების მატარებელი. მხოლოდ მას, ერთადერთს, შეეძლო ჩასწვდომოდა უფლის ყოველ ჩანაფიქრსა და განზრახვას. "ეწოდა სახელად საკვირველი, მრჩეველი, ღმერთი ძლიერი, მარადისობის მამა, მშვიდობის მთავარი" /ეს. 9:5/; "ძველითგან იქნება მისი წარმოშობა, საუკუნო დღეებიდან" /მიქ. 5:2/. თავად უფლის ძე ამბობს საკუთარ თავზე, როგორც უზენაესის სიბრძნეზე: "უფალმა შემიძინა თავისი გზის დასაწყისში, თავის ქმნილებებამდე დასაბამით... როდესაც ქვეყანას საფუძველს უყრიდა, მაშინ მე გვერდით ვყავდი, როგორც ოსტატი, დღენიადაგ სიხარული ვიყავი და ყოველ ჟამს მის წინაშე ვლაღობდი" /იგავ. 8:22-30/.

თავისი ძის მეშვეობით შექმნა მამამ ყოველი ზეციური არსება. "ვინაიდან მისით შეიქმნა ყოველი... საყდარნი თუ უფლებანი, მთავრობანი თუ ხელმწიფებანი - ყველაფერი მის მიერ და მისთვის არის შექმნილი" /კოლ. 1:16/. ანგელოზები უფლის მომსახურე სულები არიან, უფლისაგან გამოსული ნათლის ბრწყინვალებით მოსილნი, რომლებიც თავიანთი სწრაფი ფრთებით ყოველთვის ჩქარობენ,

[33]

[34]

რათა უფლის ნება აღასრულონ. ხოლო მათი მბრძანებელია ძე, უფლის ცხებული, "დიდების ბრწყინვალება და მისი არსების ანარეკლი, ყოველივე რომ უპყრია თავისი ძალის სიტყვით" /ებრ. 1:3/. დიდების ტახტი, ამაღლებული დასაბამიდან, მისი საწმიდრის ადგილსამყოფელი იყო /იერ. 17:12/; "სიმართლის კვერთხი" მისი მეფობის კვერთხი იყო /ებრ. 1:8/. "მშვენება და ბრწყინვალებაა მის წინაშე, სიძლიერე და მომხიბლაობა - მის ტაძარში" /ფს. 95:6/. "წყალობა და ჭეშმარიტება" მისი სახის წინაშე დადიან /ფს. 88:15/.

უფლის მმართველობა სიყვარულის კანონზეა დაფუძნებული, ამიტომ ყოველი გონიერი არსების ბედნიერება უფლის სამართლიანობის დიად პრინციპებთან სრულ თანხმობაზეა დამოკიდებული. უფალს სურს, რომ მის მიერ შექმნილი არსებები სიყვარულით ემსახურებოდნენ მას და რომ მათი მსახურება უფლის ხასიათისა და არსის შემეცნებით იყოს განპირობებული. იძულებითი მსახურება არავითარ სიამოვნებას არ ჰგვრის მას. ყველას ეძლევა თავისუფალი ნება, რათა ადამიანები ნებაყოფლობით ემსახურონ უფალს.

მანამდე, სანამ უფლის მიერ შექმნილი არსებები სიყვარულის კანონის სამართლიანობას აღიარებდნენ, მთელ სამყაროში სრული ჰარმონია სუფევდა. შემოქმედის ნების აღსრულება დიდ სიხარულს ჰგვრიდა ზეციურ მხედრობას. მისი დიდების ასახვა და მისი სახელის განდიდება უმაღლეს კმაყოფილებას ანიჭებდა მათ. და რადგან უფლის სიყვარული მათთვის უმთავრესი იყო, ერთმანეთის მიმართაც გულწრფელი და უანგარო გრძნობით იყვნენ გამსჭვალულ -ნი. არც ერთი ყალბი ბგერა არ არღვევდა ზეციურ ჰარმონიას. მაგრამ ამ ბედნიერ სამყაროში რაღაც შეიცვალა. გამოჩნდა ვიღაც, ვინაც ბოროტად გამოიყენა უფლის მიერ ყოველი წმიდა არსებისადმი ბოძებული თავისუფლება. ცოდვა იშვა მასში, ვინც ყველაზე მეტად იყო ღვთისაგან განდიდებული ქრისტეს შემდეგ, ვისაც უმაღლესი ძლიერება და დიდება ებოძა ზეცის სხვა ბინადართა შორის. ლუციფერი, "განთიადის ძე", "წმიდა და უბიწო", პირველი იყო მფარველ ქერუბიმთა შორის. იგი შემოქმედის გვერდით იმყოფებოდა და მარადიული ღმერთის სახისგან გამოსული წარუვალი დიდების სხივი მოსავდა. "ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: სრულყოფილების ბეჭედი ხარ, სიბრძნით სავსე და მშვენებით სრული. ედემში, ღვთის ბაღში იყავი, ყოველნაირი ძვირფასი ქვა იყო შენი საფარველი... მფარველი ქერუბიმივით ცხებული იყავი და ღვთის წმიდა მთაზე დაგსვი; იქ იყავი და ცეცხლის ქვათა შორის მიმოდიოდი. სრული იყავი შენს გზებზე შექმნის დღიდან, ვიდრე უკეთურება არ გამოგაჩნდა" /ეზეკ. 28:12-15/.

თანდათანობით გაიზარდა ლუციფერში თვითგანდიდებისაკენ სწრაფვა. წმიდა წერილი ამბობს: "გადიდგულდი შენი მშვენების გამო და წარყვენი შენი სიბრძნე სიამპარტავნით" /ეზეკ. 28:17/. "გულში ამბობდი: "ცად ავხდები, ღვთის ვარსკვლავთა ზემოთ ტახტს დავიდგამ და დავჯდები საკრებულო ტახტზე... უზენაესს გავუტოლდები" /ეს. 14:13,14/. თუმცა მთელი დიდება ღვთისაგან ჰქონდა ბოძებული, ამ უძლიერესმა ანგელოზმა იგი თავის საკუთრებად მიიჩნია. თავისი მდგომარეობით უკმაყოფილო ლუციფერმა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ყველა ზეციურ მკვიდრზე უფრო მეტად იყო აღზევებული, გაბედა სწრაფვა იმ დიდებისაკენ, რომელიც მხოლოდ ღმერთს ეკუთვნოდა. ზეციურ მკვიდრთა ყურადღების, სიყვარულისა და ერთგულების უზენაესისკენ მიმართვის ნაცვლად იგი აიძულებდა მათ, ერთგული სამსახური გაეწიათ მისთვის, ლუციფერისათვის. მოისურვა რა დიდება, რომლითაც მარადიულმა ღმერთმა შემოსა თავისი ძე, ეს მთავარი ანგელოზი შეეცადა ხელში ჩაეგდო ძალაუფლება, რომელიც მხოლოდ ქრისტეს ეკუთვნოდა.

ამგვარად დაირღვა ზეციური ჰარმონია. უფლის სახელის აღზევების ნაცვლად

[35]

საკუთარი თავის განდიდებისაკენ ლუციფერის სწრაფვამ შეაშფოთა ზეცის მცხოვრებნი, რომლებიც თვლიდნენ, რომ მხოლოდ ღმერთია ღირსი უმაღლესი დიდებისა. ზეცაში მოწვეულ თავყრილობებზე ანგელოზები ემუდარებოდნენ ლუციფერს, შეეწყვიტა ამგვარი ქმედებანი. უფლის ძემ წარუდგინა მას შემოქმედის სიდიადე, სიკეთე და სამართლიანობა, მისი რჯულის წმიდა და მარადიული ბუნება. თავად ღმერთმა დაადგინა ზეციური წესი და მისი დარღვევით ლუციფერი შემოქმედს შეურაცხყოფდა და თავსაც დაიღუპავდა. მაგრამ ამ უსაზღვრო სიყვარულითა და თანაგრძნობით აღსავსე გაფრთხილებამ უფრო გაუსასტიკა გული. ლუციფერმა თანდათან გააღვივა თავის გულში შური ქრისტეს მიმართ და უფრო მტკიცედ დაიწყო მოქმედება.

ანგელოზთა მთავარმა მიზნად დაისახა, სადავო საგნად ექცია უფლის ძის უზენაესი ხელისუფლება, რათა ამით ანგელოზებში დაეთესა ეჭვი ღვთის სიბრძნისა და სიყვარულის მიმართ. ამ გეგმის განსახორციელებლად საჭირო იყო მისი არაჩვეულებრივი გონების დაძაბვა, რითაც მას, ქრისტეს შემდეგ, პირველი ადგილი ეჭირა ზეციურ ანგელოზთა შორის. მაგრამ უფალმა ღმერთმა, ვინც თავის მიერ შექმნილ ყოველ არსებას თავისუფალი ნება მისცა, არ დატოვა დახმარების გარეშე არც ერთი სული, მოხვედრილი ამ მოჩვენებითი სამართლიანობის ბადეში, რომლითაც მეამბოხე თავის გამართლებას ლამობდა. დიადი ბრძოლის დაწყებამდე ყველას ნათლად უნდა

წარმოედგინა ნება უფლისა, ვისი სიბრძნეც და სიკეთეც მათი სიხარულის დაუშრეტელი წყარო იყო.

სამყაროს მეფემ შეკრიბა მთელი ზეციური მხედრობა, რათა მათ წინაშე განემტკიცებინა თავისი ძის პოზიცია და ეჩვენებინა თავისი დამოკიდებულება მის მიერ შექმნილ არსებათა მიმართ. უფლის ძე მამასთან ერთად დაჯდა ტახტზე, საიდანაც გამობრწყინდა სიდიადე მარადცოცხალისა და მარადარსებულისა, რომელიც თავადაა სიცოცხლის წყარო. ტახტის წინაშე შეიკრიბა უამრავი ანგელოზი "და მათი რიცხვი იყო ათიათასჯერ ათიათასი და ათასჯერ ათასი" /გამოცხ. 5:11/. ანგელოზები, რომლებსაც, როგორც მსახურებსა და ქვეშევრდომებს, ყველაზე მაღალი მდგომარეობა ეჭირათ, ხარობდნენ უფლის სახისაგან გამოსული ნათელი სხივებით. შეკრებილ ზეციურ მცხოვრებთა წინაშე სამყაროს მეფემ გამოაცხადა, რომ მამისაგან მხოლოდშობილი ძის, ქრისტეს გარდა მის განზრახვას ბოლომდე ვერვინ ჩასწვდება და ღმერთის უდიდესი ჩანაფიქრი ქრისტემ უნდა აღასრულოს. უფლის ძემ აღასრულა მამის ნება მთელი ზეციური მხედრობის შექმნისას და ახლა ზეცის მკვიდრნი მოწიწებით უნდა ემსახურონ მას, როგორც ღმერთს. ქრისტეს კვლავინდებურად უნდა გამოევლინა ღვთიური ძალა დედამიწისა და მის მცხოვრებთა აღსაშენებლად. მაგრამ იგი არ ეძებდა ძალაუფლებას და არც თვითგანდიდებისაკენ ისწრაფოდა უფლის ნების საწინააღმდეგოდ, არამედ იღწვოდა მამის

სახელის განდიდებისათვის, რათა აღესრულებინა მისი განზრახვა, აღსავსე მოწყალებითა და სიყვარულით.

ანგელოზებმა სიხარულით აღიარეს ქრისტეს უმაღლესი ძალაუფლება და დიდი სიყვარულით თაყვანი სცეს მას. ლუციფერმაც მოიყარა მუხლი მათთან ერთად ქრისტეს წინაშე, მაგრამ მისი გულის სიღრმეში უჩვეულოდ სასტიკი ბრძოლა მძვინვარებდა. ჭეშმარიტება, სამართლიანობა და ერთგულება ებრძოდა მის გულში გამეფებულ შურსა და ეჭვს. წუთით თითქოს ისიც წმიდა ანგელოზთა ზეგავლენის ქვეშ მოექცა და საყოველთაო სიხარული გაიზიარა. სახოტბო საგალობელთა მელოდიებმა, ათასობით ბედნიერმა ხმამ რომ აიტაცა, თითქოს გააქრო შურის გრძნობა, რომელიც ასე აწვალებდა ლუციფერს და უსაზღვრო სიყვარულმა მოიცვა მთელი მისი არსება; მისი სული თითქოს მთლიანად შეუერთდა მამისა და ძისადმი ერთგული სიყვარულით აღსავსე ათასობით ზეციურ მცხოვრებთა გულებს. მაგრამ აი, კვლავ აივსო მისი

[36]

[37]

გული სიამაყით იმ დიდების გამო, რომელიც გარს ერტყა; კვლავ აღიძრა მასში პირველობის სურვილი, ქრისტეს მიმართ შურმა კი უფრო დიდი ძალით იფეთქა. ლუციფერმა ვერ შეაფასა ის უდიდესი პატივი, რომელიც უფალმა განსაკუთრებული ძღვენის სახით უბოძა. მას სულაც არ გააჩნდა მადლიერების გრძნობა თავისი შემოქმედის მიმართ; თავისი ღირსებებით და მაღალი მდგომარეობით გაამაყებულს და ცდუნებულს ძლიერ სურდა ღვთის თანასწორად ყოფნა. ლუციფერი უყვარდათ. მთელი ზეციური მხედრობა პატივს სცემდა მას. ანგელოზები სიხარულით ასრულებდნენ მის დავალებებს. უდიდესი სიბრძნითა და დიდებით მოსილი, იგი ყველა ანგელოზზე მაღლა იდგა. მხოლოდ უფლის ძე, ძალითა და ხელმწიფებით მამის ტოლი, იდგა მასზე მაღლა. მხოლოდ ქრისტე ბჭობდა მამასთან ერთად, ლუციფერისთვის კი უფლის ზრახვები არ იყო ცნობილი. "რატომ უნდა იყოს ქრისტე უმაღლესი ძალაუფლების მფლობელი? - ამბობდა ეს ძლიერი ანგელოზი, - რატომ სცემენ მას უფრო დიდ პატივს, ვიდრე მე?"

დატოვა თუ არა ლუციფერმა უფლის სამყოფელი, მაშინვე ანგელოზთა შორის უკმაყოფილების სულის დათესვას მიჰყო ხელი. იგი დიდი სიფრთხილით, დაფარულად მოქმედებდა და ერთხანს შეძლო კიდეც თავისი ნამდვილი ზრახვების საიმედოდ დამალვა და უფლისადმი მოწიწების ნიღბით შემოსვა. შეუმჩნევლად ცდილობდა იგი უნდობლობის გამოწვევას ზეციური მმართველობის კანონების მიმართ, როცა გადაკვრით, თითქოს სხვათა შორის, ამბობდა, რომ უფლის კანონი, შეიძლება, საჭიროა სამყაროთა მკვიდრთათვის, მაგრამ

ანგელოზების კანონით შეზღუდვა სულაც არ არის აუცილებელი, ვინაიდან ისინი უფრო მაღალორგანიზებული არსებანი არიან და საკუთარი სიბრძნით შეუძლიათ იხელმძღვანელონ. იგი არწმუნებდა მათ, რომ ისეთ არსებათათვის, როგორც ისინი, შეუძლებელია უფლის შეურაცხყოფა, რადგან მათი აზრები და ფიქრები წმიდაა და ცოდვის ჩადენა მათთვის ისევე შეუძლებელია, როგორც თავად ღმერთისთვის. უფლის ძის მამის თანასწორად ჩათვლას ლუციფერი თავის მიმართ უსამართლობად თვლიდა და ამტკიცებდა, რომ მასაც ჰქონდა თაყვანისცემისა და პატივის მიღების უფლება. აი, ანგელოზთა მთავარს რომ შეეძლოს მისი კუთვნილი ადგილის დაკავება, ბევრ კარგ საქმეს გაუკეთებდა ზეციურ მხედრობას, ვინაიდან მისი მიზანია, სრული თავისუფლება მიეცეს ყველას. ახლა კი იმ თავისუფლებასაც დაუდგა აღსასრული, რომლითაც ისინი წარსულში სარგებლობდნენ, რადგან მათზე დაინიშნა ყოვლისშემძლე ხელმწიფე, რომლის ავტორიტეტის წინაშეც ყველამ მუხლი უნდა მოიყაროს. აი, როგორ დახვეწილად ცრუობდა ლუციფერი, რათა წარმატება მოეპოვებინა ზეციურ სავანეებში.

ქრისტეს მდგომარეობა თავიდანვე უცვლელი იყო. და მხოლოდ ლუციფერის ეგოიზმმა, მის მიერ გავრცელებულმა ჭორმა, მისმა ქრისტეს თანასწორად გახდომის სურვილმა გამოიწვია აუცილებლობა, აეხსნათ ზეციურ მკვიდრთათვის უფლის ძის ჭეშმარიტი მდგომარეობა, რომელიც ოდითგანვე ეკავა მას.

მაგრამ ბევრი ანგელოზი მაინც დააბრმავა და აცდუნა ლუციფერმა თავისი მზაკვრობით.

ლუციფერი წმიდა ანგელოზთა უსაზღვრო ერთგულებით, სიყვარულითა და ნდობით სარგებლობდა, იგი მათი მთავარი იყო და მათში უნდობლობასა და უკმაყოფილებას ისე ოსტატურად ნერგავდა, რომ მისი ამ მოქმედების ჭეშმარიტი მიზანი კვლავ შენიღბული რჩებოდა. ლუციფერი უფლის ზრახვებს ცრუდ წარმოსახავდა, არასწორად განმარტავდა და ამახინჯებდა, რითაც უთანხმოებასა და უკმაყოფილებას თესავდა. იგი ოსტატურად იგებდა ხოლმე ანგელოზთა აზრებს და, როცა ხელსაყრელ მომენტს იპოვიდა, ამ შეგროვილ ცნობებს იმის

[38]

დასამტკიცებლად იყენებდა, რომ თითქოს ეს ზეციური არსებანი უფლის მმართველობით უკმაყოფილონი იყვნენ. აცხადებდა, რომ იგი სრულებით ემორჩილება ღვთის ნებას და მოითხოვდა ზეცის წესდებასა და კანონებში ცვლილებათა შეტანას, რომლებიც თითქოსდა ღვთიური მმართველობის განმტკიცებისათვის იყო აუცილებელი. ლუციფერი თავს ისე

აჩვენებდა, თითქოს ყოველგვარი პროტესტის ჩაქრობა და ამბოხებულ ანგელოზთა ზეციურ კანონებთან შემორიგება სურდა. იგი ჩუმად აჩაღებდა უთანხმოებისა და ამბოხების სულს და ამავე დროს საოცარი ოსტატობით არწმუნებდა გარშემო მყოფთ, რომ მისი ერთადერთი მიზანია ერთგულება, თანხმობა და მშვიდობა.

ამგვარად აგორებულმა უკმაყოფილების სულმა გააკეთა თავისი დამღუპველი საქმე. ჯერ არ მომხდარიყო არც ერთი აშკარა ამბოხება, მაგრამ უთანხმოება ანგელოზთა შორის შეუმჩნევლად იზრდებოდა. აღმოჩნდნენ ისეთებიც, ვინც მოწონებით უსმენდა ლუციფერის ცილისწამებას ღვთიური მმართველობის მისამართით. და, თუმცა ადრე ისინი სრულიად ეთანხმებოდნენ უფლის მიერ დადგენილ წესებს, ახლა, უკმაყოფილების გრძნობით შეპყრობილთ, აწუხებდათ იმაზე ფიქრი, რომ არ შეუძლიათ ჩასწვდნენ უფალი ღმერთის მიუკვლეველი გზების საიდუმლოს. მათ ასევე ძალიან არ მოსწონდათ უფლის მიერ ქრისტეს ასეთი აღზევება. ახლა ისინი მზად იყვნენ, მხარი დაეჭირათ ლუციფერის შემდგომი მოთხოვნისთვისაც - გამხდარიყო უფლის ძის თანასწორი. მაგრამ უფლის ერთგული ანგელოზები აშკარად იცავდნენ ღვთიური მმართველობის სამართლიან პრინციპებსა და სიბრძნეს და ცდილობდნენ, უფლის ნებასთან შეერიგებინათ ეს ურჩი არსებები. ქრისტე უფლის ძეა. იგი ყოველთვის იყო მამასთან ერთად ანგელოზების შექმნამდე და მუდამ მამის გვერდით იჯდა ტახტზე. კურთხევითა და წყალობით სავსე მისი უზენაესი ხელმწიფების, მისი მოწყალე მფარველობს მიმართ ადრე არავის გამოუთქვამს

უკმაყოფილება. აქამდე ზეციური ჰარმონია არავის დაურღვევია. რატომ გაჩნდა ახლა უთანხმოება? უფლის ერთგული ანგელოზები წინასწარ ჭვრეტდნენ ამ უთანხმოების დამღუპველ შედეგს და მხურვალედ ურჩევდნენ ამბოხებულ ანგელოზებს, მიეტოვებინათ თავიანთი განზრახვა და ერთგულად ემსახურათ ღვთის წინაშე.

უფალი, მისთვის დამახასიათებელი უდიდესი თანაგრძნობით, დიდხანს უთმენდა ლუციფერს. უთანხმოებისა და უკმაყოფილების სული ადრე არასოდეს გამოვლენილა ზეცაში. ეს იყო რაღაც ახალი მოვლენა - უცნაური, ამოუხსნელი, იდუმალი. თავიდან თვით ლუციფერსაც არ ესმოდა თავისი გრძნობების ჭეშმარიტი არსი; ერთხანს ეშინოდა კიდეც, გამოეთქვა თავისი აზრი, თუმცა არც კი უცდია მისი სულისათვის მტანჯველი ეჭვებისა და ფიქრებისაგან გათავისუფლება. მას არც უფიქრია, თუ სადამდე მიიყვანდა ყოველივე ეს. უფალმა ყველაფერი გააკეთა, რისი გაკეთებაც შეეძლო უზენაესის უსაზღვრო სიყვარულსა და სიბრძნეს, რათა ლუციფერი თავის შეცდომებში დარწმუნებულიყო. მისი უკმაყოფილების უსაფუძვლობა, მისი ამბოხების არასასურველი შედეგი - ყოველივე განემარტა მას. ლუციფერი მიხვდა თავის შეცდომას. იგი ხედავდა, რომ "მართალია უფალი ყველა თავის გზაზე და მოწყალეა ყველა თავის საქმეში" /ფს. 144:17/, რომ ღვთიური წესდებები სამართლიანია და რომ მან მთელი ზეცის წინაშე უნდა აღიაროს ეს. ასე რომ მოქცეულიყო, ლუციფერი თავსაც უშველიდა და ანგელოზებსაც გადაარჩენდა. იმ დროს

იგი ჯერ კიდევ არ იყო ღვთისაგან სრულიად განდგომილი. თუმცა მას უკვე აღარ ეკავა მფარველი ქერუბიმის ადგილი, როგორც ადრე, მაგრამ შეეძლო კვლავ დაებრუნებინა თავისი ადრინდელი უფლებამოსილება, მამასთან დაბრუნება, შემოქმედის სიბრძნის აღიარება და უფლის მიერ მითითებული ადგილის დაკავება რომ მოესურვებინა. დადგა გადამწყვეტი მომენტი: ის ან სრულად

[39]

უნდა დამორჩილებოდა ღვთიურ ხელმწიფებას, ან საჯაროდ უნდა ჩაბმულიყო ბრძოლაში. ერთხანს ლუციფერი ყოყმანობდა და თითქოს მზად იყო, თავის შემოქმედს დაბრუნებოდა, მაგრამ სიამაყემ არ გადაადგმევინა ეს ნაბიჯი. დანაშაულისა და საკუთარი შეცდომის საჯაროდ აღიარება და იმ ხელმწიფებისადმი სრული მორჩილების გამოხატვა, რომლის უსამართლობის დამტკიცებასაც იგი ცდილობდა, — ყოველივე ეს, მისი აზრით, ძალიან დიდი მსხვერპლი იყო იმ პიროვნებისათვის, ვისაც ადრე ზეცაში ასეთი მაღალი მდგომარეობა ჰქონდა.

ღრმა თანაგრძნობითა და სიყვარულით ცდილობდა მოწყალე შემოქმედი ლუციფერისა და მის თანამზრახველთა ხსნას

ცოდვის უფსკრულისაგან, რომელიც სამუდამოდ დაღუპავდა მათ. მაგრამ მისი თანაგრძნობა არასწორად იქნა გაგებული. ლუციფერი უფლის დიდ მოთმინებას თავის საკუთარ უპირატესობად და იმის ნიშნად თვლიდა, რომ მაინც დადგება დრო, როცა სამყაროს მეფე შეასრულებს მის მოთხოვნებს. იგი შეეცადა დაერწმუნებინა ანგელოზები, რომ, თუკი ისინი მისადმი მტკიცე ერთგულებას გამოიჩენდნენ, აუცილებლად მიაღწევდნენ სასურველ შედეგს. და თავის ადრინდელ პოზიციებზე მდგარმა ლუციფერმა აშკარა ბრძოლა გამოუცხადა შემოქმედს. ამგვარად ლუციფერი, "მფარველი ქერუბიმი", უფლის დიდების ზიარი, მისი ტახტის გუშაგი, ცოდვის გამო სატანად, უფლისა და წმიდა ანგელოზთა "მოწინააღმდეგედ" და მათ დამღუპველად იქცა, ვინც მას დაემორჩილა.

სიძულვილით უკუაგდო უფლის ერთგულ ანგელოზთა თხოვნა და მტკიცებანი ლუციფერმა და ისინი მოტყუებულ მონებად გამოაცხადა. ქრისტესთვის უპირატესობის მინიჭებას მან როგორც თავის, ასევე მთელ ზეციურ მკვიდრთა მიმართ უსამართლობა უწოდა და განაცხადა, რომ უკვე შეუძლებელია მათი უფლებების აბუჩად აგდების მოთმენა და რომ იგი არასოდეს აღიარებს ქრისტეს უზენაეს ხელმწიფებას. მან მტკიცედ განაცხადა, რომ ეს დიდება მას უნდა ეკუთვნოდეს და მოუწოდა ყველა მსურველს, გაჰყოლოდა მას. და მათ, ვინც ლუციფერის მიმდევართა რიგებში ჩადგებოდა, ახალი და უკეთესი მმართველობა აღუთქვა, რომელიც თავისუფლების ჭეშმარიტ სიამეს მიანიჭებდა მათ. უამრავმა ანგელოზმა

გამოთქვა სურვილი, გაჰყოლოდა მას. ამ პირფერული მხარდაჭერით აღფრთოვანებულ ლუციფერს იმედი ჰქონდა, რომ ყველა ანგელოზს თავის მხარეზე გადაიყვანდა, რათა ღმერთის მსგავსად ებატონა მათზე.

მაგრამ უფლის ერთგული ანგელოზები კვლავაც ევედრებოდნენ ლუციფერსა და მის მხარდამჭერთ, დამორჩილებოდნენ ღმერთს, აფრთხილებდნენ ასეთი ამბოხების საბედისწერო შედეგებზე; არწმუნებდნენ, რომ შემოქმედს არ გაუძნელდება მათი თავხედური სიჯიუტის დათრგუნვა და ღირსეულად დასჯა. ვერც ერთი ანგელოზი ვერ დარჩებოდა დაუსჯელი უფლის რჯულისადმი დაუმორჩილებლობის გამო, რომელიც წმიდაა ისევე, როგორ თვით უფალი ღმერთი. ისინი ევედრებოდნენ ანგელოზებს, არ ესმინათ ლუციფერის ცრუ მტკიცებებისათვის, არამედ დაუყოვნებლივ თავიანთ მცდუნებელთან ერთად უფლის წინაშე წარმდგარიყვნენ და მოენანიებინათ თავიანთი შეცდომები და თავხედური სითამამე, რითაც ეჭვი და უნდობლობა დათესეს ღვთიური სიბრძნისა და ძალაუფლების მიმართ.

ბევრმა ისმინა მათი გაფრთხილება და მოისურვა კიდეც თავისი დანაშაულის მონანიება და მამისა და ძის კეთილგანწყობის დაბრუნება, მაგრამ ლუციფერმა სხვა მზაკვრული გეგმა მოამზადა. უდიდესმა მეამბოხემ განაცხადა, რომ მისი თვალსაზრისის გამზიარებელმა ანგელოზებმა იმდენად

შესცოდეს, რომ მათთვის უკანდასახევი გზა აღარ არსებობს და, უფლის რჯულის საკუთარ ავტორიტეტულ ცოდნაზე დაყრდნობით, დაარწმუნა, რომ ღმერთი ვერასოდეს მიუტევებს მათ

[40]

და ყოველ მათგანს, ვინც ზეცის ავტორიტეტის მორჩილებას ისურვებს, წაერთმევა ღირსება და პატივი. ხოლო რაც შეეხება თავად მას, ლუციფერს, იგი არასოდეს აღიარებს ქრისტეს უზენაეს ხელმწიფებას. ერთადერთი, რაც მას და მის მიმდევრებს დარჩენიათ, განაცხადა მან, ესაა მთელი ძალებით დაიცვან თავისუფლება და თავიანთი უფლებები, რომელთა მოპოვებაც მშვიდობიანი გზით ვერ შეძლეს.

მართლაც, სატანისათვის მონანიება უკვე ძალზედ გვიანი იყო, მაგრამ არა მათთვის, ვინც მის მიერ ცდუნდა. წმიდა ანგელოზთა თანაგრძნობამ და მხურვალე ვედრებამ იმედის კარი გაუხსნა გზააბნეულთ. და მათ რომ მართლაც ყურად ეღოთ ეს გაფრთხილება, შეძლებდნენ სატანასთან დამაკავშირებელი მაცდური ჯაჭვის გაწყვეტას. მაგრამ სიამაყემ, თავისი მბრძანებლისადმი მორჩილებამ, უსაზღვრო თავისუფლებისაკენ დაუოკებელმა სწრაფვამ იმდენად დააბრმავა ისინი, რომ

ღვთიური სიყვარულისა და თანაგრძნობის ხმა შეუსმენელი დარჩა.

ღმერთმა ნება დართო სატანას, ემოქმედა მანამ, სანამ უკმაყოფილების სული აშკარა ამბოხებაში არ გადაიზარდა. ეს აუცილებელი იყო მაცდურის ზრახვებისა და გეგმების სრული გამოვლინებისათვის, რათა მათი ჭეშმარიტი მიმართულება და არსი სრულად გამჟღავნებულიყო მთელი სამყაროს წინაშე. ლუციფერს, ცხებულ ქერუბიმს, მაღალი ადგილი ეკავა, ზეციურ მკვიდრთა უდიდესი სიყვარულით სარგებლობდა და ძლიერ გავლენას ახდენდა მათზე. ღვთიური მმართველობა ვრცელდებოდა არა მხოლოდ ზეციურ მცხოვრებლებზე, არამედ უფლის მიერ შექმნილ ყველა სამყაროზე. და ლუციფერსაც იმედი ჰქონდა, რომ, ვინაიდან ზეციურ ანგელოზთა ცდუნება შეძლო, სხვა დანარჩენ სამყაროებსაც დაიმორჩილებდა. დიდი ოსტატობით მოქმედებდა იგი ამ ბრძოლაში და ყველა საშუალებას ხმარობდა თავისი მიზნის მისაღწევად. მას ცდუნების უდიდესი ნიჭი აღმოაჩნდა. ცრუ სიმართლის სამოსელში გახვეულმა ლუციფერმა პირველ ხანებში მართლაც საკმაო წარმატებებს მიაღწია. ყოველი მისი მოქმედება ისე იყო შენიღბული, რომ ანგელოზები თავდაპირველად ვერ ჩასწვდნენ მის ჭეშმარიტ არსს. მეამბოხე იმდენად ფრთხილად მოქმედებდა თავისი ჩანაფიქრის განსახორციელებლად, რომ მის სრულ გამოაშკარავებამდე ისინი ვერაფერს მიხვდნენ. თვით უფლის ერთგული ანგელოზებიც კი ვერ გარკვეულიყვნენ, საით იყო გამიზნული მისი ქმედებანი.

თავიდან ლუციფერი ისე ოსტატურად ქსოვდა ცდუნების ბადეს, რომ არავითარი ეჭვი არ გამოუწვევია. იმ ანგელოზებს, რომელთა მიმხრობაც მან ვერ შეძლო, იგი ზეციურ მკვიდრთა ინტერესებისადმი გულგრილობას სწამებდა. ყოველგვარი ხერხებით ცდილობდა სატანა, უფლის ზრახვების მიმართ უნდობლობა დაეთესა. სულ უბრალო საკითხებსაც კი ისეთი საიდუმლოებით მოსავდა, რომ ოსტატურად ბადებდა ეჭვს იეჰოვას წესდებების მიმართ. რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ზეციურ სავანეებში მის მაღალ მდგომარეობას.

ამ კონფლიქტში უფალს მხოლოდ ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის პრიციპებით შეეძლო ესარგებლა, სატანა კი უფლისათვის დაუშვებელ მეთოდებს - მლიქვნელობასა და სიცრუეს იყენებდა. იგი ყველა ღონეს ხმარობდა, რათა დაემახინჯებინა ღვთის სიტყვა, ზეციური მმართველობის სისტემა ცრუდ წარედგინა და აცხადებდა, რომ ღმერთმა უსამართლოდ მოახვია თავს ანგელოზებს თავისი კანონები და რომ მის მიერ შექმნილ არსებათაგან მორჩილების მოთხოვნით იგი თვითგანდიდებისაკენ ისწრაფვის. ამიტომ ზეცის მკვიდრნი და სხვა სამყაროთა ბინადარნი თავად უნდა დარწმუნებულიყვნენ, რომ უფლის მმართველობა დაფუძნებულია სამართლიან პრინციპებზე და მისი რჯულიც სრულყოფილია. სატანა კი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ სამყაროს

[41]

[42]

კეთილდღეობა აინტერესებდა. ამიტომ ამ უზურპატორის ჭეშმარიტი ხასიათი და ზრახვები მთელ სამყაროს უნდა დაენახა. საჭირო იყო დრო, რათა მისივე ბოროტ საქმეებს ემხილა იგი.

მის მიერ ზეცაში აგორებულ ამბოხში სატანა ღმერთს და მისი მმართველობის პრინციპებს ადანაშაულებდა. მთელი ბოროტება, - ამტკიცებდა ის, - ღვთიური ხელმწიფების არასრულყოფილების შედეგია. ვინაიდან ლუციფერმა განაცხადა, რომ მისი ერთადერთი სურვილია იეჰოვას წესდებების გაუმჯობესება და სრულყოფა, ღმერთმა დაუშვა, რომ გახსნილიყო ლუციფერის მოთხოვნათა და მის მიერ შემოთავაზებულ სავარაუდო ცვლილებათა ჭეშმარიტი არსი. სატანისათვის მსჯავრი თავად მის საქმეებს უნდა დაედო. კონფლიქტის დასაწყისში სატანა უარყოფდა ამბოხში თავის მონაწილეობას. ამიტომ მთელ სამყაროს თავად უნდა ეხილა მხილებული მატყუარა.

ზეციდან გაძევების შემდეგაც კი უსასრულო სიბრძნემ - უზენაესმა ღმერთმა - არ გაანადგურა იგი. ვინაიდან უფალს მხოლოდ სიყვარულზე დაფუძნებული მსახურების მიღება სურს, მის მიერ შექმნილ არსებათა ერთგულება ღვთიური სამართლიანობისა და სიყვარულის რწმენას უნდა ეყრდნობოდეს. უფალს რომ მაშინვე მოესპო სატანა, ზეცისა და სხვა სამყაროების მცხოვრებნი ვერ ჩასწვდებოდნენ უფლის სამართლიანობას ცოდვისა და მისი შედეგების ჭეშმარიტი არსის არცოდნის გამო. ამ შემთხვევაში მათი მსახურება დაფუძნებული იქნებოდა არა სიყვარულზე, არამედ შიშზე. მსგავსი მეთოდებით შეუძლებელი იქნებოდა სატანის გავლენის მოსპობა და ამბოხების სულის ჩაქრობა. უამრავ სამყაროთა საკეთილდღეოდ ღმერთმა საშუალება მისცა სატანას, სრულიად განეხორციელებინა თავისი გეგმები, რათა ღვთიური მმართველობის ფორმის მიმართ მის მიერ წაყენებული ბრალდებები მთელ სამყაროს მოესმინა და აღარასოდეს გაჩენილიყო ეჭვი და უნდობლობა უფლის სამართლიანობის, წყალობისა და მისი სიყვარულის კანონის უცვლელობის მიმართ.

ზეცაში სატანის ამბოხება გაკვეთილი უნდა ყოფილიყო მთელი სამყაროსათვის მომავალ საუკუნეებში, მარადიული მოწმობა ცოდვის ჭეშმარიტი არსისა და მისი დამღუპველი შედეგებისა. შედეგებს, რომლებიც ადამიანებსა და ანგელოზებზე სატანის გავლენასა და ბატონობას მოჰყვებოდა, ის დამღუპველი ნაყოფი უნდა წარმოეჩინა, რომელსაც ღვთიური ხელმწიფების გაუქმება

მოიტანდა. ეს იმის მოწმობა უნდა ყოფილიყო, რომ ყოველი ცოცხალი არსების კეთილდღეობა ღვთიური მმართველობით არის განპირობებული. ამგვარად, ეს საშინელი ამბოხება ზეცაში ყველა წმიდა არსებისათვის უნდა ყოფილიყო გაფრთხილება, რომელიც მათ ცდუნებისაგან, ცოდვის ჩადენისა და მისი საზღაურისაგან დაიცავდა.

მხოლოდ მან, ერთადერთმა, სამყაროს მბრძანებელმა იცის ყველაფერი: დასაწყისი და დასასრული. მისთვის გადაშლილი წიგნია წარსულისა და მომავლის ყველა საიდუმლო; მიუხედავად ცოდვით გამოწვეული მწუხარებისა, წყვდიადისა და ნგრევისა, იგი ხედავს თავისი სიყვარულისა და კურთხეული მიზნების განხორციელების შესაძლებლობას. თუმცა "ღრუბელი და ნისლია მის ირგვლივ", მაგრამ "სიმართლით და განსჯით არის წარმართული მისი ტახტი" /ფსალმ. 96:2/. დადგება დრო, როცა სამყაროს ყოველი მკვიდრი, დაცემული თუ წმიდა, ჩასწვდება ამას. "სრულყოფილია მისი საქმე, რადგან სამართლიანია ყოველი მისი გზა. სარწმუნოა ღმერთი და არაა მასში უსამართლობა; მართალი და წრფელია იგი" /2 რჯ. 32:4/.

[43]

თავი 2 - სამყაროს შექმნა

დაბადება 1; 2

"უფლის სიტყვით შეიქმნა ზეცა და მისი ბაგეების ქარით - მთელი მისი საკრებულო". "რადგან მან თქვა და - შეიქმნა, მან ბრძანა და - არსებობს" /ფსალმ. 32:6, 9/. "დააფუძნა დედამიწა თავის საძირკვლებზე, არ მოირყევა უკუნისამდე" /ფსალმ. 103:5/.

არაჩვეულებრივად ლამაზი იყო დედამიწა, როცა უფლის ხელმა შექმნა იგი. დიდებული მთები, ბორცვები და დაბლობები, მდორე მდინარეები და მშვენიერი ტბები ამშვენებდა მას; არ არსებობდა მიუვალი, სალი კლდეები და საშინელი უფსკრულები, როგორც დღეს. წვეტიან, კლდოვან შვერილებს მწვანედ აბიბინებული ნოყიერი ნიადაგის სქელი ფენა ფარავდა. არსად იყო საზიზღარი ჭაობები და უნაყოფო უდაბნოები. თვალს ახარებდა მწვანედ აქოჩრილი ბუჩქნარი და მრავალფეროვანი, ნაზი ყვავილები. მწვანე, მაღალი ხეები, ახლანდელთან შედარებით უფრო წელგამართული და დიდებული, საოცრად ამშვენებდა ბორცვთა მწვერვალებს. სუფთა და ჯანსაღი ჰაერი თავისუფალი იყო ყოველგვარი მავნე მინარევებისა და ორთქლისაგან. დღევანდელ დიდებულ სასახლეთა ბაღები მხოლოდ აჩრდილია დედამიწის პირვანდელი სილამაზისა. ზეციური მხედრობა სიხარულითა

და აღტაცებით ადევნებდა თვალს უფლის დიდებულ შემოქმედებას.

მას შემდეგ, რაც დედამიწა თავისი მრავალრიცხოვანი ცხოველებითა და მდიდარი მცენარეულობით ადამიანისათვის მომზადდა, უფლის შემოქმედების გვირგვინმა ფეხი შედგა თავის სამფლობელოში. მას მიეცა ხელმწიფება მთელ დედამიწაზე, ვინაიდან ღმერთმა თქვა: "გავაჩინოთ კაცი ჩვენს ხატად, ჩვენს მსგავსებად, ეპატრონოს... მთელს დედამიწას... შექმნა ღმერთმა კაცი, თავის ხატად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი". აქ ნათლადაა ნათქვამი კაცობრიობის წარმოშობის შესახებ. უფალმა ისე გასაგებად გვამცნო ამის თაობაზე, რომ სხვა, მცდარი დასკვნების გამოტანა შეუძლებელია. ღმერთმა ადამიანი თავის ხატად შექმნა. აქ არაფერია დაფარული და საიდუმლო. არავითარი საფუძველი არ არსებობს იმ თვალსაზრისის გასამართლებლად, რომ ადამიანი ევოლუციის, ცხოველთა და მცენარეთა უმდაბლესი ფორმების თანდათანობითი განვითარების შედეგია. ასეთ თეორიას შემოქმედის ხელთა უდიდესი ნამოქმედარი ადამიანის შეზღუდულ, მიწიერ კონცეფციამდე დაჰყავს. ადამიანებს ისე ჯიუტად სურთ, ჩამოართვან ღმერთს სამყაროს მმართველობის უზენაესი ხელმწიფება, რომ დაამცირეს ადამიანი და მოტყუებით წაართვეს მას თავისი წარმოშობის კეთილშობილება. ის, ვინც შექმნა ვარსკვლავთა სამყარო ზეცაში, ვინც მშვენიერი მინდვრის ყვავილებით მორთო დედამიწა, ვინც ცა და მიწა თავისი ძლიერების საოცარი ნიშნებით აავსო, განა

ვერ შეძლებდა თავის დიდებულ საქმეთა დაგვირგვინებას სიცოცხლის მომცემის ღირსეული არსების შექმნით, არსებისა, რომელსაც დედამიწის მფლობელობას უბოძებდა? ადამიანის წარმოშობას, როგორც ღვთის სიტყვა მიგვითითებს, მივყავართ არა უმარტივეს მიკრობებთან, მოლუსკებთან და ოთხფეხებთან, არამედ უზენაეს შემოქმედთან. ადამი, თუმცა მიწისაგან შეიქმნა, "ღვთის შვილად" იწოდებოდა.

მას, როგორც ღვთის წარმომადგენელს, უნდა ებატონა თავისზე მდაბალ არსებებზე, რომელთაც არ შეეძლოთ უფლის არსში ჩაწვდომა და მისი

[44]

[45]

ხელმწიფების აღიარება, მაგრამ მიეცათ უნარი ადამიანის მიმართ სიყვარულით მსახურებისა. მეფსალმუნე ამბობს: "გააბატონე იგი შენი ხელის ნამოქმედარზე; ყოველივე მას დაუმორჩილე. ყველა პირუტყვი - მსხვილფეხა და წვრილფეხა და ასევე - ნადირი ველისა, ფრინველი ცისა და თევზი ზღვისა, და წყლის ბილიკებით რომ მოძრაობენ" /ფსალმ. 8:7-9/.

ადამიანი უნდა ემსგავსებოდეს ღმერთს როგორც გარეგნულად, ასევე ხასიათითაც. თუმცა მხოლოდ ქრისტეა "მისი არსების ანარეკლი" /ებრ. 1:3/, მაგრამ ადამიანი ღვთის მსგავსად შეიქმნა. თავდაპირველად მისი ბუნება ჰარმონიულად იყო შერწყმული უფლის ნებასთან, მის გონებას შეეძლო, ღვთიურ ჭეშმარიტებებს ჩასწვდომოდა, მისი გრძნობები წმიდა იყო, მისი ვნებები და სურვილები კი გონებას ექვემდებარებოდა. ადამიანი წმიდა იყო და ბედნიერი იმით, რომ ღვთის ხატებას ატარებდა და უფლის ნებას სრულად ემორჩილებოდა.

უფლის შექმნილ ადამიანს დიდებული გარეგნობა და სრულყოფილი აღნაგობა ჰქონდა. მისი ჯანსაღი სახე მუდამ კმაყოფილებასა და სიხარულს გამოხატავდა. ადამი თანამედროვე ადამიანზე ბევრად უფრო მაღალი იყო; ევა - მასზე ოდნავ დაბალი, მაგრამ ტანადი და მშვენიერი. უცოდველ წყვილს არ ეცვა რაიმე ხელოვნური ტანსაცმელი; ანგელოზთა მსგავსად, ისინიც დიდების ბრწყინვალებით იყვნენ მოსილნი. და სანამ უფლის ნების მორჩილნი იყვნენ, ასეთი ზეციური ტანსაცმელი ფარავდა მათ სხეულს.

ღმერთმა შექმნა ადამი, შემდეგ მოუყვანა ყველა ცხოველი, რათა თითოეული მათგანისათვის სახელი დაერქმია. ადამი ხედავდა, რომ ყოველ მათგანს თავისი მსგავსი მეგობარი ჰყავდა, მაგრამ "ადამს არ გამოუჩნდა შემწე, მისი შესაფერი". უფლის მიერ შექმნილ მიწიერ არსებათა შორის არ მოიძებნებოდა ადამიანის

ტოლი, მისი მსგავსი. და ღმერთმა თქვა: "არ ვარგა ადამის მარტოდ ყოფნა. გავუჩენ შემწეს, მის შესაფერს". ადამიანი არ იყო მარტოობისათვის გაჩენილი. არც სამოთხის ულამაზეს ხედებს, არც სიხარულის მომგვრელი საქმის კეთებას ბაღში არ შეეძლო, ბედნიერება მიენიჭებინა ადამისთვის ცხოვრების თანამგზავრის გარეშე. თვით ანგელოზებთან ურთიერთობაც კი ვერ დააკმაყოფილებდა თანაგრძნობისა და მეგობრობის იმ მოთხოვნილებას, რომელიც ადამიანის სულს გააჩნდა. მის გარშემო მყოფ არსებათაგან არავინ იყო მისი მსგავსი, ვინც შეიყვარებდა მას და ისიც სიყვარულით უპასუხებდა.

თავად ღმერთმა უბოძა ადამს ცხოვრების მეგობარი. "მისი შესაფერი", მისი მეგობრობის, სიყვარულისა და პატივისცემის ღირსი შემწე. ევა ადამის ნეკნიდან შექმნა უფალმა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ევა ვერ იბატონებდა მასზე, ვერც ადამი დაამცირებდა მას, არამედ როგორც თანასწორს, ექნებოდა მისი სიყვარულისა და დაცვის უფლება. თვით ადამის ნაწილი, მისი ძვალი ძვალთაგანი და ხორცი ხორცთაგანი, იგი იყო მისი მეორე "მე". ეს კი იმაზე მეტყველებდა, თუ რაოდენ მჭიდრო და ნაზი კავშირი უნდა ყოფილიყო მათ შორის. "ვინაიდან არავის არასოდეს მოსძულებია თავისი ხორცი, არამედ კვებავს და უვლის მას" /ეფეს. 5:29/, "ამიტომაც მიატოვებს კაცი დედ-მამას და მიეწებება თავის დედაკაცს, რათა ერთხორცად იქცნენ" /დაბ. 2:24/.

უფალმა აკურთხა პირველი ქორწინება. ამგვარად, ოჯახის კერაც სამყაროს შემოქმედის მიერაა შექმნილი. ქორწინება საპატიოა. ესაა ღმერთის მიერ ადამიანისათვის ბოძებული ერთ-ერთი პირველი ძღვენი. იგი იყო ერთ-ერთი იმ ორი დადგენილებიდან, რომლებიც ადამმა სამოთხიდან თავისი დაცემის შემდეგ გამოიტანა. როდესაც ქორწინებაში ღვთიური პრინციპებით ხელმძღვანელობენ და მათ ემორჩილებიან, მაშინ ასეთი ქორწინება კურთხეულია და ადამიანთა მოდგმის ზნეობრივი სიწმინდისა და ბედნიერების შენარჩუნებას

[46]

ემსახურება. ასეთი ქორწინება აკმაყოფილებს საზოგადოების მოთხოვნებს და ყოველმხრივ აღამაღლებს ადამიანს.

"უფალმა ღმერთმა ბაღი გააშენა ედემში, აღმოსავლეთში და დასვა იქ ადამი, რომელიც გამოსახა". ყოველივეს, ღვთის მიერ შექმნილს, სრულყოფილი სილამაზის ბეჭედი ესვა. და თითქოს არაფერი აკლდა ამ წმიდა წყვილს ბედნიერებისათვის, მაგრამ შემოქმედმა თავისი სიყვარულის კიდევ ერთი მტკიცება მიუძღვნა მათ, როდესაც შექმნა სამოთხე, რომელიც მათი საცხოვრისი უნდა გამხდარიყო. ამ ბაღში საოცარი, სურნელოვანი ნაყოფით დახუნძლული უამრავი სხვადასხვა ხე

იდგა. დიდებული ვაზის სავსე მტევნები, ათასფრად აელვარებული, მიწამდე სწვდებოდა. ხასხასა ფოთლებისა და ნაყოფით დაფარული ტოტებისაგან იყო შექმნილი ადამისა და ევას საცხოვრებელი. ირგვლივ ყვავილთა სურნელი იფრქვეოდა. სამოთხის შუაგულში იდგა სიცოცხლის ხე, ყველაზე ლამაზი მცენარეთა შორის. მისი ვერცხლისფერი და ოქროსფერი ნაყოფი ხანგრძლივი სიცოცხლისათვის ძალას იძლეოდა.

შემოქმედებითი საქმიანობა დასრულებული იყო. "გასრულდა ცა და მიწა მთელი მათი მორთულობითურთ". "დაინახა ღმერთმა ყოველივე, რაც გააჩინა და აჰა, ძალიან კარგი იყო". დედამიწაზე უჩვეულო სილამაზით ყვაოდა ედემის ბაღი. ადამსა და ევას შეეძლოთ თავისუფლად მისულიყვნენ სიცოცხლის ხესთან. არსად იყო უფლის მშვენიერ შემოქმედებაში ცოდვისა და სიკვდილის ჩრდილი. "როცა გალობდნენ დილის ვარსკვლავები და ღვთის ძენი ყიჟინებდნენ" /იობ. 38:7/.

დიდებულმა იეჰოვამ დააფუძნა დედამიწა, სილამაზით შეამკო მთელი სამყარო და ყოველივე სასარგებლოთი აავსო იგი. მიწისა და ზღვის ყოველი საოცრება მან შექმნა. ექვს დღეში დამთავრდა უზენაესის შემოქმედებითი მოღვაწეობა. და უფალმა ღმერთმა "დაისვენა მეშვიდე დღეს ყოველი საქმისგან, რაც გააკეთა. აკურთხა ღმერთმა მეშვიდე დღე და წმიდაჰყო იგი, რადგან ამ დღეს დაისვენა ღმერთმა ყოველი საქმისგან, რასაც ქმნიდა

ღმერთი და აკეთებდა". უდიდესი კმაყოფილებით უმზერდა უფალი თავის შემოქმედებას, უფლის ხელით შექმნილი, ყოველივე სრულყოფილი იყო და იგი ისვენებდა არა იმიტომ, რომ დაიღალა, არამედ თავისი სიბრძნის, სიკეთისა და დიდების გამოცხადების ნაყოფით ტკბებოდა.

მას შემდეგ, რაც უფალი დატკბა მეშვიდე დღის სიმშვიდით, მან აკურთხა ეს დღე და ადამიანის დასასვენებლად გამოყო იგი. შემოქმედის მაგალითისამებრ, ადამიანმა უნდა დაისვენოს ამ წმიდა დღეს, რათა დატკბეს ზეცისა და დედამიწის მშვენიერებით და იფიქროს უზენაესის საოცარ შემოქმედებაზე, რათა ღვთიური სიბრძნისა და სიკეთის ამ უტყუარ მტკიცებულებათა დანახვისას სიყვარულითა და მადლიერებით აევსოს გული თავისი შემოქმედის მიმართ.

მეშვიდე დღის კურთხევა იყო ნიშანი, რომელიც უფალმა ედემში დაგვიტოვა თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის ნიშნად. შაბათის სიმშვიდე მიეცა ადამს - მთელი კაცობრიობის მამას და წარმომადგენელს. შაბათის დაცვით ადამის შთამომავლობას მადლიერება უნდა გამოეხატა უფლის, თავისი შემოქმედისა და მბრძანებლის მიმართ, მათი, როგორც თავისი სამეფოს ქვეშევრდომთა შექმნისათვის. ასე დაკანონდა ყოველი ადამიანისათვის განკუთვნილი ეს წესი და გადაეცა კაცობრიობას.

უფალი ღმერთი ხედავდა, რომ სამოთხეშიც საჭირო იყო შაბათის სიმშვიდე ადამიანისათვის. მას სჭირდებოდა დრო, როდესაც ყოველგვარი შრომისაგან დაისვენებდა და უფლის საქმეებზე, მის ძალასა და სიკეთეზე იმსჯელებდა. ადამიანს ესაჭიროებოდა შაბათი დღე, რომელიც მას ღმერთს გაახსენებდა და შემოქმედის კეთილი საქმეების გამო მადლიერების გრძნობას გაუღვიძებდა.

[47]

[48]

შაბათი დღის სიმშვიდის დაკანონებით უფალს სურდა, რომ ამ დღეს ადამიანს მთელი ყურადღება ღმერთის შემოქმედებითი საქმეებისათვის დაეთმო. ბუნება ადამიანებს ესაუბრება ცოცხალ ღმერთზე - ყოვლისშემძლე მბრძანებელზე და შემოქმედზე. "ცანი ღაღადებენ ღმერთის დიდებას და მისთა ხელთა ნამოქმედარს გვამცნობს სამყარო. დღე დღეს გადასცემს სიტყვას, ღამე კი ღამეს უმხელს აზრს" /ფს. 18:2,3/. დედამიწის სილამაზე უფლის სიყვარულის ნიშანია. შეგვიძლია დავინახოთ ის მარადიული მთების დიდებულებაში, აშოლტილ ხეებში, გაღვიძებულ კვირტებში, ნაზ ყვავილებში... გარშემო ყველაფერი

ღმერთზე ღაღადებს. შაბათი, როგორც უფლის შემოქმედების მარადიული ნიშანი, ადამიანებს ასწავლის, გადაშალონ ბუნების საოცარი წიგნი და ამოიკითხონ მასში შემოქმედის სიბრძნე, ძლიერება და სიყვარული.

თუმცა ჩვენი წინაპრები ღმერთმა წმიდა და უცოდველ ადამიანებად შექმნა, მაგრამ მათაც ჰქონდათ შესაძლებლობა, შეეცოდათ. უფალმა ისინი ზნეობრივად თავისუფალ ადამიანებად შექმნა, რომელთაც შეეძლოთ ჩასწვდომოდნენ შემოქმედის სიბრძნესა და სიკეთეს, მის დადგენილებათა სამართლიანობას. მათ სრული თავისუფლება მიეცათ არჩევანში: ყოფილიყვნენ უფლის ნების მორჩილნი, თუ დაერღვიათ იგი. მათ მიეცათ ბედნიერება უფალთან და მის ანგელოზებთან ურთიერთობისა. მაგრამ სანამ ამ მარადიული სიხარულის მოზიარენი გახდებოდნენ, ისინი უფლისადმი ერთგულებაში უნდა გამოცდილიყვნენ. უფალს სურდა, მათი არსებობის დასაწყისშივე გამოეცადა, გააჩნიათ თუ არა მათ ეს დამღუპველი, ეგოისტური ვნება, რომელმაც სატანა დაცემამდე მიიყვანა. ბაღის შუაგულში, სიცოცხლის ხის სიახლოვეს მდგარი შეცნობის ხე უნდა გამხდარიყო ჩვენი წინაპრების რწმენის, მორჩილებისა და სიყვარულის გამოცდის საშუალება. მათ ნება ეძლეოდათ, მოეწყვიტათ ყველა ხის ნაყოფი, მაგრამ სიკვდილის მუქარით ეკრძალებოდათ შეცნობის ხის ნაყოფის ჭამა. მათ წინ სატანის ცდუნება ელოდათ და მისი შემოტევისათვის მამაცურად რომ გაეძლოთ, სამუდამოდ დაიცავდნენ თავს მისი ხელმწიფებისაგან და ღვთის მარადიული სიყვარულით დატკბებოდნენ.

ღმერთმა ადამიანი რჯულის ხელმწიფების ქვეშ მოაქცია და მისი დაცვა არსებობის აუცილებელ პირობად აქცია. ადამიანი უფლის სამეფოს ქვეშევრდომია, ხოლო არც ერთი მმართველობა არ არსებობს კანონის გარეშე. ღმერთს შეეძლო შეექმნა ისეთი ადამიანი, რომელიც ვერ შეძლებდა რჯულის დარღვევას, მას შეეძლო არ დაეშვა ადამის მიერ აკრძალული ნაყოფის მოწყვეტა, მაგრამ ორივე შემთხვევაში ადამიანი იქნებოდა არა თავისუფალი არსება, არამედ ავტომატი, რობოტი. არჩევანის თავისუფლების გარეშე მისი მორჩილება იქნებოდა იძულებითი და არა საკუთარი ნებით. ასეთ პირობებში არ ხდება პიროვნების ჩამოყალიბება. ეს უფლის გეგმის საპირისპირო ქმედება იქნებოდა სხვა სამყაროების მცხოვრებთა მიმართაც. და ბოლოს, ეს დაამცირებდა ადამიანის, როგორც გონიერი არსების, ღირსებას და გაამართლებდა სატანის ბრალდებას ღმერთის დესპოტიზმის შესახებ.

ღმერთმა შექმნა ადამიანი - მართალი და წმიდა. მისცა კეთილშობილური ხასიათის თვისებები, მოკლებული ყოველგვარ მიდრეკილებას ბოროტებისაკენ. უბოძა დიდი გონებრივი შესაძლებლობები და ყველა პირობა შეუქმნა იმისათვის, რომ ღვთის ერთგული დარჩენილიყო. სრული და მუდმივი მორჩილება მარადიული ბედნიერების წინაპირობა იყო. მხოლოდ ასეთი პირობით შეეძლო ადამიანს, სიცოცხლის ხესთან მისასვლელი ჰქონოდა.

ჩვენი წინაპრების საცხოვრისი საჩვენებელი მაგალითი უნდა ყოფილიყო სხვებისათვის დედამიწის სხვადასხვა კუთხეში მათი შვილების გაფანტვის შემთხვევაში. უფლის ხელით შემკული მათი პირველი სამშობლო სულაც არ

[49]

ჰგავდა ბრწყინვალე სასახლეს. ადამიანები სიამაყით, ქება-დიდებით ამკობენ საკუთარ შემოქმედებას; მათში აღტაცებას იწვევს გრანდიოზული ნაგებობანი. მაგრამ უფალმა ადამი ბაღში დაამკვიდრა. ეს იყო მისი სახლი. ლურჯი ცა იყო მისი საფარი, ნაზი ყვავილებით მორთული მიწა და მარადმწვანე ბალახით დაფარული მდელოები იატაკად ჰქონდა ფეხქვეშ გაშლილი და დასასვენებლად იწვევდა მას, აქოჩრილ ხეთა მწვანე ტოტები თავისი ჩრდილით აგრილებდა მის სხეულს და იგი ყველაზე დიდი მხატვრის უმშვენიერეს ქმნილებათა გარემოცვაში იმყოფებოდა. ყოველივეს, რაც ამ წმიდა წყვილის გარშემო იყო, დღესაც არ დაუკარგავს თავისი შემგონებლური მნიშვნელობა: ჭეშმარიტი ბედნიერება გამოიხატება არა ფუფუნებისადმი პატივმოყვარულ მისწრაფებაში, არამედ უფალთან ურთიერთობაში მის ხელთა ნასაქმარის მეშვეობით. ადამიანები ასეთ დიდ ყურადღებას რომ არ უთმობდნენ ცივილიზაციის

მიღწევებს და უბრალოებისაკენ ისწრაფოდნენ, მათი ცხოვრების წესი უფრო მეტად დაემსგავსებოდა ღმერთის პირველდაწყებით გეგმას. სიამაყე და პატივმოყვარეობა არასოდეს კმაყოფილდება, მაგრამ ჭეშმარიტად ბრძენი ადამიანები პოვებენ უდიდეს სიამოვნებას სიხარულის იმ წყაროებში, რომელსაც უფალი ყველას სთავაზობს.

ედემში მცხოვრებთ უნდა ეზრუნათ ბაღზე, დაემუშავებინათ და დაეცვათ იგი. მათი შრომა მძიმე და დამღლელი კი არა, სასიამოვნო და განმამტკიცებელი იყო. უფალმა შრომა კურთხევად დაუწესა ადამიანს, გონების საკვებად, სხეულის განსამტკიცებლად და სხვადასხვა ნიჭის განსავითარებლად. დაცემამდე ადამს უდიდეს კმაყოფილებას ანიჭებდა ფიზიკური და გონებრივი შრომა. და როდესაც დაუმორჩილებლობის გამო იგი თავისი მშვენიერი სამშობლოდან გააძევეს და საკუთარი ოფლის ფასად უნდა მოეპოვებინა საკვები, იგივე შრომა, რომელიც სულ არ ჰგავდა მის ადრინდელ საქმიანობას ბაღში, მისი ბედნიერების წყაროდ და ცდუნებისაგან თავდაცვის საშუალებად იქცა. თუმცა შრომა ზოგჯერ მეტად დამღლელი და მტანჯველი საქმიანობაა, მაგრამ დიდად ცდება ის, ვინც მას წყევლად თვლის. მდიდარი ადამიანები ხშირად აბუჩად იგდებენ მშრომელთ, მაგრამ შრომისადმი ასეთი დამოკიდებულება მკვეთრად ეწინააღმდეგება უფლის ჩანაფიქრს ადამიანის შექმნისას. მაგრამ რა არის ყველაზე შეძლებულ ადამიანთა სიმდიდრე იმ მემკვიდრეობასთან შედარებით, რომელიც ადამმა მიიღო? და მაინც, ადამს დრო უქმად არ უნდა დაეხარჯა. ჩვენმა უფალმა კარგად იცოდა, თუ

რა იყო საჭირო ადამიანის ბედნიერებისათვის და ამიტომაც მისცა მას შრომის შესაძლებლობა. მხოლოდ შრომას მოაქვს ჭეშმარიტი სიხარული ცხოვრებაში. თვით ანგელოზებიც ძალზე მუყაითი მშრომელები, უფლის მსახურნი არიან მის მიწიერ შვილთათვის. შემოქმედს არა აქვს ადგილი ზარმაცებისათვის.

სანამ ადამი და მისი შემწე უფლის ერთგულნი იყვნენ, ბატონობდნენ მთელ დედამიწაზე. მათი მმართველობა ყველა ცოცხალ არსებაზე ვრცელდებოდა. ლომი და ცხვარი მშვიდად ძოვდნენ მათ სიახლოვეს და მათ ფერხთით ისვენებდნენ. მათ თავთან უშიშრად მოფრთხიალე ჩიტები თავიანთი ჭიკჭიკით ადიდებდნენ ღმერთს, ადამი და ევა კი უერთდებოდნენ მათ მამისა და ძის სამადლობელი საგალობლებით.

წმიდა წყვილი სამოთხის ბაღში ისე ცხოვრობდა, როგორც მზრუნველი მამის მფარველობის ქვეშ მყოფი შვილები ცხოვრობენ, მაგრამ იმავდროულად ისინი გამუდმებით ეცნობოდნენ უზენაესის სიბრძნეს. მათთან ხშირად მოდიოდნენ ანგელოზები. მათ ჰქონდათ ბედნიერება, თავიანთი შემოქმედი ეხილათ. სიცოცხლის ხის ნაყოფით ივსებდნენ ენერგიას და თავიანთი გონების განვითარებით ისინი მხოლოდ მცირედ თუ ჩამორჩებოდნენ ანგელოზებს. სამყაროს საიდუმლოებანი

[50]

[51]

- "ყოვლადბრძენის საკვირველებანი" /იობ. 37:16/ - შემეცნებისა და სიხარულის წყაროდ იქცა მათთვის. ბუნების კანონები და მოვლენები, რასაც აგერ უკვე ექვსი ათასი წლის განმავლობაში იკვლევს ადამიანი, უდიდესმა ოსტატმა და შემოქმედმა გაუხსნა მათ გონებას. ისინი სწავლობდნენ ფოთლების, ყვავილების, ხეების აგებულებას და მათი სიცოცხლის საიდუმლოს. ადამი კარგად იცნობდა ყოველ ცოცხალ არსებას - დაწყებული დიდებული ლევიათანით და დამთავრებული მზის სხივებში მოციმციმე უმცირესი მწერით. ყოველ მათგანს თავად ადამმა დაარქვა სახელი. მათ თვისებებსაც კარგად იცნობდა. ღვთიური დიდება ზეცაში, უამრავ სამყაროთა წრიული ბრუნვა, "ღრუბელთა განფენილობის ამბავი" /იობ. 37:16/, სინათლისა და ბგერის, დღისა და ღამის საიდუმლო - ყოველივე ეს ცნობილი იყო ჩვენი წინაპრებისათვის. ტყის ყოველი ფოთოლი, კლდის ყოველი შვერილი, ყოველი კაშკაშა ვარსკვლავი - ყველაფერი დედამიწაზე, ჰაერში და ცაში - შემოქმედზე მიუთითებდა. სამყაროში გამეფებული ჰარმონია და წესრიგი უფლის უსაზღვრო სიბრძნესა და ძლიერებაზე მეტყველებდა. ისინი ყოველდღიურად ახალ-ახალ მშვენიერებას იკვლევდნენ, რაც უდიდესი სიყვარულით ავსებდა მათ გულებს და კვლავ და

კვლავ შემოქმედის მიმართ მადლიერების გამოხატვის ძლიერ სურვილს ჰგვრიდა.

უფლისადმი ერთგულების შენარჩუნების შემთხვევაში მათი შემეცნების, სიხარულისა და სიყვარულის შესაძლებლობანი თანდათან უფრო გაიზრდებოდა. ისინი შეიძენდნენ შემეცნების ახალ საგანძურს, მიაგნებდნენ ბედნიერების ახალ სათავეებს და უფრო ნათლად შეიცნობდნენ ღვთის განუზომელ, უსასრულო სიყვარულს.

თავი 3 - ცდუნება და დაცემა

დაბადება 3

სატანას ზეცაში ამბოხების გაგრძელების შესაძლებლობა რომ წაერთვა, უფლის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი სფერო იპოვა - კაცობრიობის დაღუპვა. ედემში მყოფი უცოდველი წყვილის ბედნიერი და მშვიდი ცხოვრება მას თავის საუკუნოდ დაკარგულ ნეტარებას ახსენებდა. შურითა და სიძულვილით აღვსილმა სატანამ გადაწყვიტა, დაუმორჩილებლობის თესლი დაეთესა მასში, ვინაიდან ამას დანაშაულისათვის სასჯელი მოჰყვებოდა და მაშინ უფლისადმი ადამისა და ევას სიყვარული სიძულვილით, მათი ქება-დიდების საგალობლები კი

შემოქმედის მიმართ საყვედურებით შეიცვლებოდა. ასე ფიქრობდა სატანა ტანჯვის უფსკრულში, რომელშიც თავად უკვე იმყოფებოდა, არა მხოლოდ ამ უცოდველ არსებათა ჩათრევას, არამედ უფლის შეურაცხყოფას და ზეცის ღრმა მწუხარებაში გახვევას.

ჩვენი წინაპრები გააფრთხილეს მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. ზეციურმა მაცნეებმა გააცნეს მათ სატანის დაცემის ისტორია, ისიც უთხრეს, რომ მზაკვარს მათი დაღუპვა აქვს ჩაფიქრებული, სრულად გაუხსნეს ღვთიური მმართველობის არსი, რომლის დამხობაც ასე ძალიან სურდა ბოროტების მეფეს. სწორედ უფლის სამართლიანი კანონებისადმი დაუმორჩილებლობამ მიიყვანა სატანა და მისი მხედრობა დაცემამდე. ამიტომ იყო ასე საჭირო, რომ ადამსა და ევას დაეცვათ უფლის რჯული - წესრიგისა და სამართლიანობის ერთადერთი გარანტია.

უფლის რჯული ისეთივე წმიდაა, როგორც თავად ღმერთი. იგი მისი ნებისა და ხასიათის, მისი ღვთიური არსის, სიყვარულისა და სიბრძნის გამოცხადებაა. მთელი შექმნილი სამყაროს ჰარმონია ამ სამყაროს შემოქმედის მიერ დადგენილი რჯულისადმი სრულ მორჩილებაზეა დამოკიდებული. ღმერთმა დაადგინა კანონები, რომლებიც არა მხოლოდ ცოცხალ არსებებს, არამედ ბუნებაში მიმდინარე ყველა პროცესს მართავს. ყველაფერი შემოქმედის უცვლელ კანონებს ემორჩილება. დედამიწაზე ყველაფერს ბუნების კანონები განაგებს, მხოლოდ

ადამიანი ხელმძღვანელობს ზნეობრივი კანონებით. მხოლოდ ადამიანს - თავისი შემოქმედების გვირგვინს მისცა ღმერთმა მათი შემეცნების უნარი, მისი კანონის სამართლიანობისა და კეთილმოწყალების გააზრების შესაძლებლობა და საპასუხოდ მორჩილებას მოელის მისგან.

ანგელოზთა მსგავსად, ედემის მკვიდრნიც გამოიცადნენ: ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდნენ ბედნიერნი, თუკი შემოქმედის კანონს დაიცავდნენ. ან დაემორჩილებოდნენ მას და იცოცხლებდნენ, ან უარყოფდნენ და მოკვდებოდნენ. უფალმა მათ მემკვიდრეობად უხვი კურთხევა უბოძა, მაგრამ მისი ნების ჯიუტად უარმყოფელთ იგი არ შეიწყალებს, როგორც არ შეიწყალა შემცდარი ანგელოზები. ცოდვა ღვთის კურთხევების მიღების უფლებას წაართმევდა და ტანჯვასა და სიკვდილს მოუტანდა მათ.

ანგელოზები აფრთხილებდნენ ადამსა და ევას, რომ სატანა მთელი ძალებით ეცდება მათ ცდუნებას. მაგრამ სანამ ისინი უფლის ერთგულნი იქნებიან, მზაკვარი ვერაფერს ავნებს, რადგან მთელი ზეციური მხედრობა დაეხმარება მათ. თუკი ადამი და ევა მტკიცე წინააღმდეგობას გაუწევენ სატანის ცდუნებას, ისინი ისევე დაცულნი იქნებიან, როგორც ზეციური მაცნეები. მაგრამ საკმარისია ერთხელ ცდუნდნენ, რომ მათი ცოდვილი ბუნება მაშინვე დაკარგავს ძალას და სურვილს, წინააღმდეგობა გაუწიოს სატანას.

[52]

[53]

კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხის მეშვეობით გამოიცადა ადამისა და ევას რწმენა და სიყვარული ღვთის მიმართ. ბევრი ხე იდგა ბაღში, უფალმა კი მხოლოდ ერთი მათგანის ნაყოფის შეჭმა აუკრძალა მათ და გააფრთხილა, რომ თუკი უფლის ნებას არ დაემორჩილებიან, პასუხს აგებენ დანაშაულის გამო. ადამი და ევა ყოველმხრივ დაცულნი იყვნენ სატანისაგან, მათ საცდუნებლად მზაკვარს მხოლოდ აკრძალულ ხესთან შეეძლო მისვლა. კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხესთან მიახლოებისთანავე იგემებდნენ ადამი და ევა მის შემოტევას. ანგელოზები ევედრებოდნენ მათ, ყურად ეღოთ უფლის გაფრთხილება და რჩევები.

დასახული მიზნის ფარულად განხორციელებისათვის სატანამ გადაწყვიტა, გველი გამოეყენებინა - ეს საუკეთესო ნიღაბი იყო მისი მზაკვრული ჩანაფიქრის აღსასრულებლად. გველი ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი და ბრძენი არსება იყო მთელ დედამიწაზე. მას ჰქონდა ფრთები, რომლის ბრწყინვალება ფრენის დროს საოცრად მიმზიდველ სანახაობას ქმნიდა. იგი

მოხერხებულად მოეწყო აკრძალული ხის ნაყოფით დამძიმებულ ტოტებზე და ამ მშვენიერი ნაყოფით ცდილობდა ცნობისმოყვარე მზერის თავისკენ მიზიდვას. ასე უთვალთვალებდა სამოთხის ბაღის სიღრმეში მიმალული მაცდური თავის ნადავლს.

ანგელოზები აფრთხილებდნენ ევას, ბაღში ყოველდღიური საქმიანობისას გვერდიდან არ მოსცილებოდა ქმარს, ვინაიდან ადამის სიახლოვეს საფრთხე ნაკლები იყო. მაგრამ ერთხელ ფიქრებში გართული ევა ისე მოშორდა მას, რომ ვერც კი შეამჩნია. მარტოდ დარჩენილი ევა მოსალოდნელი საფრთხის რაღაც მძიმე წინათგრძნობამ შეიპყრო. მაგრამ მალე შეეცადა, თავიდან მოეშორებინა ეს შიში იმ აზრით, რომ ის საკმაოდ გონიერი და ძლიერია, რათა ამოიცნოს ბოროტება და წინ აღუდგეს მას. ევას სრულიად გადაავიწყდა ანგელოზების გაფრთხილება და სულ მალე აკრძალულ ხესთან აღმოჩნდა, რომელსაც ცნობისმოყვარეობითა და გაოცებით შეაცქერდა. ამ ხის ნაყოფი მეტად მშვენიერი იყო და ევას გაუკვირდა, რატომ აუკრძალა ღმერთმა მისი შეჭმა. მაცდურს ხელსაყრელი მომენტი დაუდგა; თავი ისე აჩვენა, თითქოს მისთვის ცნობილი იყო ევას აღელვების მიზეზი და ჰკითხა: "მართლა გითხრათ ღმერთმა, ბაღის არც ერთი ხის ნაყოფი არ შეჭამოთო?" განცვიფრებულმა და შეშინებულმა ევამ გველის სიტყვებში თითქოს თავის საიდუმლო ფიქრზე პასუხი მიიღო. გველი კი თავისი მელოდიური ხმით განაგრძობდა საუბარს და ოსტატურად აქებდა ევას მშვენიერ გარეგნობას, რასაც იგი კმაყოფილებით

უსმენდა. იმის ნაცვლად, რომ მაშინვე გასცლოდა ამ ხიფათიან ადგილს, ევა შეყოვნდა, ვინაიდან გველის სიტყვებმა დიდად დააინტერესა. ევას რომ ასეთი სიტყვები ანგელოზის მსგავსი არსებისაგან მოესმინა, შესაძლოა, შეშინებოდა, მაგრამ ახლა აზრადაც არ მოსვლია, რომ ისეთი მომხიბლავი არსება, როგორიც გველი იყო, შეიძლებოდა მტრის - დაცემული ანგელოზის შუამავალი ყოფილიყო.

და ევამ ასეთი პასუხი გასცა მაცდურს: "რაც კი ბაღშია, ყველა ხის ნაყოფი გვეჭმევა, ოღონდ შუაგულ ბაღში რომ ხე დგას, იმის ნაყოფს ნუ შეჭამთო, გვითხრა ღმერთმა; არ გაეკაროთ, თორემ მოკვდებითო. უთხრა გველმა დედაკაცს: არ მოკვდებით. მაგრამ იცის ღმერთმა, რომ როგორც კი შეჭამთ, თვალი აგეხილებათ და შეიქნებით ღმერთივით კეთილისა და ბოროტის შემცნობელნი".

თუკი ამ ხის ნაყოფს შეჭამთ, - უთხრა გველმა, - ყოფიერების უმაღლეს სფეროებში შეაღწევთ და უფრო დიდ ცოდნას შეიძენთ. შემდეგ, თითქოსდა თავისი სიტყვების დასამტკიცებლად, აღნიშნა, რომ თავადაც იგემა აკრძალული

[54]

ნაყოფი, რის შედეგადაც მეტყველების ნიჭი მიეცა და ლაპარაკი დაიწყო. ფრთხილად შეაპარა მან ევას, რომ მხოლოდ იმიტომ აუკრძალა ღმერთმა მათ ამ ხის ნაყოფის შეჭმა, რომ ისინი მას არ გატოლებოდნენ. და რადგან ამ ნაყოფში სასწაულებრივი სიბრძნე და ძალაა დაფარული, ღმერთმა არა მხოლოდ მისი შეჭმა, არამედ მასთან მიახლოებაც კი აკრძალა. თან მაცდურმა, თითქოს სხვათა შორის, აღნიშნა, რომ უფალი არ შეასრულებს თავის მუქარას, არამედ, უბრალოდ, მათი შეშინება უნდა. როგორ შეიძლება მოკვდეს ცოცხალი არსება? განა ისინი არ ჭამენ სიცოცხლის ხის ნაყოფს? ღმერთს, უბრალოდ, სურს, ხელი შეუშალოს მათ უმაღლეს განვითარებას და ბედნიერებას.

ასე იღწვის სატანა ადამის დროიდან დღემდე და დიდი წარმატებითაც. იგი აცდუნებს ადამიანებს, ეჭვი შეიტანონ ღვთის სიყვარულსა და სიბრძნეში. იგი მუდამ ცდილობს, გააღვიძოს ადამიანებში უადგილო ცნობისმოყვარეობა და მგზნებარე ჟინი ღვთიური სიბრძნისა და ძალის საიდუმლო სიღრმეებში შეჭრისა; და რამდენი ადამიანი ასეთი მცდელობით გვერდს უვლის მისი გადარჩენისათვის საჭირო და აუცილებელ ჭეშმარიტებას. უბიძგებს რა ურჩობისაკენ, სატანა ცდილობს, შთააგონოს ადამიანებს, რომ ისინი შემეცნების დიდებულ და საოცარ სფეროში შეაბიჯებენ. მაგრამ სიცრუეა ყოველივე. თავიანთი ყალბი წარმატებებით მოხიბლულნი, უფლის დადგენილებათა უარყოფით ისინი განადგურებისა და სიკვდილის გზას ირჩევენ.

სატანა არწმუნებდა უცოდველ წყვილს, რომ უფლის რჯულის დარღვევით ბევრ რამეს შეიძენს. და განა დღეს ნაკლებად გვესმის მსგავსი მსჯელობები? მრავალი ადამიანი, რომელიც ფიქრობს, რომ ფლობს მსოფლმხედველობის ფართო დიაპაზონს და თავისუფლად მოქმედებს, გონებაშეზღუდულ პიროვნებად თვლის უფლის ნების ყოველ მორჩილს. განა ეს არ არის ედემში თქმულის გამოძახილი? "როგორც კი შეჭამთ" /ღმერთის ნებას გადახვალთ/, "შეიქნებით ღმერთივით". სატანა არწმუნებდა ევას, რომ მან თავად შეჭამა აკრძალული ნაყოფი და ბევრსაც მიაღწია, მაგრამ ყოველმხრივ ცდილობდა დაემალა ის ფაქტი, რომ უფლის რჯულის წინააღმდეგ ამბოხებისათვის იგი ზეციდან გააძევეს. თუმცა უკვე დარწმუნდა, რომ ცოდვა საშინელი დაცემაა, მაგრამ მაინც დამალა თავისი არასახარბიელო, საცოდავი მდგომარეობა, რათა სხვებიც უფსკრულში გადაეჩეხა. ასეა დღესაც: კანონის დამრღვევი ყოველთვის ცდილობს, დამალოს თავისი ჭეშმარიტი სახე და თავი წმიდად წარმოგვიდგინოს, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი კიდევ უფრო სახიფათოა.

ევამ გულწრფელად ირწმუნა სატანის სიტყვები, მაგრამ ამ რწმენამ ვერ იხსნა იგი დამსახურებული სასჯელისაგან. იგი დაეჭვდა უფლის სიტყვებში, რამაც მისი დაცემა გამოიწვია. სამსჯავროზე ადამიანები განისჯებიან არა იმის გამო, რომ გულწრფელად იწამეს სიცრუე, არამედ იმისათვის, რომ არ ირწმუნეს ჭეშმარიტება და უარყვეს მისი შეცნობის შესაძლებლობა. მიუხედავად სატანის ურთიერთსაწინააღმდეგო

დასაბუთებებისა, უფლის რჯულისადმი დაუმორჩილებლობას ყოველთვის საბედისწერო შედეგი მოჰყვება. მთელი გულით უნდა ვისწრაფოთ ჭეშმარიტების შემეცნებისაკენ. ღვთის სიტყვაში მოცემული მისი ყოველი შეგონება - რჩევა და გაფრთხილებაა ჩვენთვის, რომლებიც იმისათვის მოგვეცა, რომ არ შევცდეთ. მათი უარყოფით თავს დავიღუპავთ. ეჭვგარეშეა, რომ ღვთის სიტყვის მიმართ ყოველი წინააღმდეგობა სატანისაგან მოდის.

გველმა მოწყვიტა აკრძალული ნაყოფი და მისცა ევას, რომელსაც წინააღმდეგობა არ გაუწევია. შემდეგ შეახსენა მისივე ნათქვამი, რომ უფალმა სიკვდილის მუქარით აუკრძალა, ამ ნაყოფს შეხებოდა. ახლა კი, როცა ეს ნაყოფი ევას უკვე ხელში ეჭირა, სატანა შეეცადა დაერწმუნებინა ის, რომ

[55]

[56]

ნაყოფის შეჭმაც ისევე უვნებელია, როგორც მისი ხელით შეხება. და ევაც შესამჩნევად გათამამდა, როცა ნახა, რომ ნაყოფის შეხებით არაფერი ცუდი არ შეემთხვა. როცა მან დაინახა, "რომ

კარგი იყო საჭმელად ის ხე, რომ თვალწარმტაცი და საამური სანახავი იყო, მოწყვიტა ნაყოფი და შეჭამა". იგემა თუ არა ნაყოფი, ევას მოეჩვენა, თითქოს რაღაც ცხოველმყოფელმა ძალამ მოიცვა, რომ მან ყოფიერების უმაღლეს სფეროებში შეაბიჯა. და ევა უკვე სრულიად უშიშრად წყვეტდა და ჭამდა ნაყოფს. ამგვარად შესცოდა მან და იარაღად იქცა სატანის ხელში, რომელმაც მისი ქმრის დაღუპვაც მოინდომა. ევამ მოწყვიტა აკრძალული ხის ნაყოფი და ადამის საძებნელად გაემართა, იპოვა და უამბო ყველაფერი, რაც მოხდა.

ადამი განცვიფრდა. მღელვარებამ და მწუხარებამ მოიცვა და ევას გულისტკივილით აუხსნა, რომ ეს, ალბათ, სწორედ ის მტერია, რომლის შესახებაც უფლის ანგელოზები აფრთხილებდნენ და რომ ახლა, უფლის განაჩენის თანახმად, ევა უნდა მოკვდეს. პასუხის ნაცვლად ევა დაჟინებით სთხოვდა ადამს, შეეჭამა ეს ნაყოფი და გაუმეორა გველის სიტყვები, რომ არავითარი სიკვდილის საფრთხე მას არ ემუქრება. და ბოლოს, უამბო თავისი შინაგანი განცდების შესახებ და დაარწმუნა, რომ სრულებით არ გამოუვლენია ღმერთს მის მიმართ უკმაყოფილება, არამედ, პირიქით, მან მთელი არსებით იგრძნო ენერგიის მოზღვავება.

ადამი მიხვდა, რომ მისი ცხოვრების თანამგზავრმა დაარღვია უფლის კანონი და უგულებელყო ერთადერთი აკრძალვა, რომელიც უფლისადმი მათი სიყვარულისა და ერთგულების გამოცდა იყო. საშინელი ბრძოლა ხდებოდა მის სულში. იგი

ძლიერ წუხდა იმაზე, რომ ევას მისგან შორს წასვლის ნება დართო. მაგრამ ახლა უკვე ყველაფერი დამთავრდა და იგი უნდა დაშორდეს ადამიანს, რომელმაც ამდენი სიხარული და ბედნიერება მოუტანა. როგორ შეეგუოს ამას? ადამი ბედნიერი იყო უფალთან და მის წმიდა ანგელოზებთან ურთიერთობით. იგი ჭვრეტდა უფლის დიდებას და კარგად ესმოდა, თუ რა ბედნიერი იქნებოდა მომავალი კაცობრიობა, უფლისადმი ერთგულება რომ შეენარჩუნებინა. და მაინც, უფლის ამ დიდებული ძღვენის დაკარგვას, რომელიც მისთვის ასე ძვირფასი იყო, ზემოჩამოთვლილ კურთხევათა უარყოფა არჩია. შემოქმედისადმი სიყვარული, მადლიერება და ერთგულება დაჩრდილა უდიდესმა სიყვარულმა ევას მიმართ, რომელიც თვით მისი ნაწილი იყო და მასთან განშორებაზე ფიქრიც კი არ შეეძლო. მას არ ესმოდა, რომ უსასრულო ძალას, რომელმაც მიწის მტვრისაგან შექმნა იგი და მისდამი უსაზღვრო სიყვარულის გამო ცხოვრების თანამგზავრი უძღვნა, მისთვის სხვა მეგობრის შექმნა შეეძლო. და ადამმა გადაწყვიტა, ევას ხვედრი გაეზიარებინა. თუკი ის უნდა მოკვდეს, მაშინ, დაე, ერთად მოკვდნენ. ბოლოს და ბოლოს, ფიქრობდა იგი, იქნებ ბრძენმა გველმა სიმართლე თქვა? მის წინაშე მდგომი ევა ისეთივე მშვენიერი და გარეგნულად უმანკო იყო, როგორც ადრე. პირიქით, მას ადამისადმი სიყვარული კიდევ უფრო გაუძლიერდა. ადამმა სიკვდილის ვერავითარი ნიშანი ვერ შეამჩნია მასში და საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო - გამოართვა ნაყოფი და სწრაფად შეჭამა.

შემდეგ ადამსაც მოეჩვენა, რომ უმაღლეს ყოფიერებაში შეაბიჯა, მაგრამ სულ მალე ჩადენილი დანაშაულის გამო მისი სული საშინელმა ტანჯვამ მოიცვა. დამნაშავე წყვილმა შეამჩნია, რომ თითქოს ამინდიც კი შეიცვალა: ადრე რბილი და სასიამოვნო, ახლა ცივი და პირქუში გახდა. მათ გულებში დავანებული სიყვარული და სიმშვიდე ცოდვის შეგნებამ, მომავლის შიშმა და სულიერმა სიცარიელემ შეცვალა. ნათელი, რომელიც გარს ერტყათ, გაქრა და იძულებულნი გახდნენ, სხვა რამ მოეძებნათ სიშიშვლის დასაფარავად: შიშვლები

[57]

ხომ არ წარდგებოდნენ უფლისა და წმიდა ანგელოზთა წინაშე!

თანდათანობით მიხვდნენ ისინი ჩადენილი დანაშაულის ჭეშმარიტ არსს. ადამი საყვედურობდა ევას იმის გამო, რომ მარტო დატოვა იგი ბაღში, თავად კი გველს დაუჯერა. მაგრამ ისინი თავის დამშვიდებას იმით ცდილობდნენ, რომ ის, ვინც მათ თავისი სიყვარული მრავალგზის დაუმტკიცა, მიუტევებს ამ ერთადერთ დანაშაულს და არ გამოუტანს საშინელ სასჯელს, რისაც ასე ეშინიათ.

სატანა დიდად გაახარა ამ წარმატებამ, ვინაიდან ევას გულში ღვთის სიყვარულისა და სიბრძნისადმი ეჭვი დათესა, რასაც შედეგად უფლის კანონის დარღვევა და ადამის ცდუნება მოჰყვა.

მაგრამ უზენაესმა კანონმდებელმა გადაწყვიტა ეჩვენებინა ამ წყვილისათვის მათი დაუმორჩილებლობის შედეგი. ბაღში უფლის დიდება გამოჩნდა. ადრე ეს წმიდა, უცოდველი წყვილი სიხარულით ეგებებოდა თავის შემოქმედს, ახლა კი შიშით გაიქცა მისგან და ბაღის სიღრმეში დაიმალა. "დაუძახა უფალმა ღმერთმა ადამს და უთხრა: ადამ, სადა ხარ? მიუგო: შენი ხმა მომესმა ბაღში და შემეშინდა, შიშველი რომ ვარ, და დავიმალე. უთხრა: ვინ გითხრა, შიშველი რომ ხარ? იმ ხის ნაყოფი ხომ არ გიჭამია, მე რომ აგიკრძალე?"

ადამმა ვერ უარყო ჩადენილი ცოდვა და ვერც თავი გაიმართლა. მონანიების ნაცვლად კი ბრალი ცოლს დასდო და, აქედან გამომდინარე, თავად უფალ ღმერთს: "შენ რომ დედაკაცი მომიყვანე, მან მომცა იმ ხის ნაყოფი და მეც შევჭამე". ადამი, რომელმაც ევასადმი უდიდესი სიყვარული უფლის კურთხევას, სამოთხეში ცხოვრებას, საუკუნო სიხარულს არჩია, ახლა, დაცემის შემდეგ, ცდილობდა, ჩადენილი დანაშაულის გამო პასუხისმგებლობა ცოლისთვის და თვით შემოქმედისათვის დაეკისრებინა. ასეთი საშინელია ცოდვის ძალა.

როდესაც ღმერთმა ევას ჰკითხა: "ეს რა ჩაიდინე?" მან უპასუხა: "გველმა შემაცდინა და მეც შევჭამე". მის პასუხში იგრძნობოდა საყვედური და ცოდვის გამართლების მცდელობა: "რატომ შეჰქმენი გველი? რატომ დართე ბაღში შემოსვლის ნება?" ამგვარად, ადამის მსგავსად, თავისი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობას ევა ღმერთს აკისრებდა. თვითგამართლების სული სათავეს სიცრუის მამისაგან იღებს. ცოდვის ჩადენის მომენტში ჩვენს წინაპრებში გამოვლენილი სული ადამის მთელ შთამომავლობაშიც ვლინდება. გულწრფელი მონანიების ნაცვლად ადამიანები ცდილობენ, თავი გაიმართლონ და საკუთარი დანაშაული თავის მოყვასს, ვითარებას ან ღმერთს გადააბრალონ და თვით უზენაესის კურთხევაც საყვედურად აქციონ.

და ღმერთმა სასჯელი გამოუტანა გველს: "რაკი ეს ჩაიდინე, წყეულიმც იყავ ყველა პირუტყვს შორის, ყველა გარეულ ცხოველს შორის. მუცლით იხოხე და მტვერი ჭამე მთელი სიცოცხლე". ვინაიდან გველი სატანის თანაშემწედ იქცა, მასაც ეკუთვნოდა ღვთიური სასჯელი და ეს დიდებული და უჩვეულოდ ლამაზი არსება ადამიანებშიც და ცხოველებშიც შიშისა და სიძულვილის აღმძვრელ ერთ-ერთ საძაგელ ქვეწარმავლად იქცა. გველის მიმართ წარმოთქმული სიტყვების შემდეგ ნათქვამი უშუალოდ სატანას ეხებოდა და მის საბოლოო დამარცხებასა და დაღუპვას გულისხმობდა: "მტრობას ჩამოვაგდებ შენსა და დედაკაცს შორის, შენს თესლსა და

დედაკაცის თესლს შორის: ის თავს გიჭეჭყავდეს, შენ კი ქუსლს უგესლავდე!"

ევას გამოუცხადეს, რომ ამიერიდან მისი ხვედრი იქნება ტანჯვა და მწუხარება. და თქვა ღმერთმა: "სატანჯველს გაგიმრავლებ და გაგიძნელებ ორსულობას, ტანჯვით შობ შვილებს. ქმრისკენ გექნება ლტოლვა, ის კი იბატონებს შენზე." შემოქმედების პროცესში ღმერთმა ევა ადამის თანასწორად

[58]

შექმნა. უფლის ერთგულნი რომ დარჩენილიყვნენ და უზენაესის სიყვარულის დიად კანონთან თანხმობაში ეცხოვრათ, ისინი კვლავ ერთსულოვანნი იქნებოდნენ, მაგრამ ცოდვამ განხეთქილება შვა და მათ შორის თანასწორუფლებიანობა დაირღვა: პირველმა ევამ შესცოდა უფლის წინაშე და ცდუნდა იმის გამო, რომ მცირე ხნით მოშორდა ქმარს. მანვე აცდუნა ადამი და ამიერიდან მისი მორჩილი უნდა ყოფილიყო. ცოდვილი კაცობრიობა უფლის რჯულის პრინციპებს რომ დამორჩილებოდა, მაშინ თვით ეს განაჩენი - ცოდვის შედეგი, კურთხევად იქცეოდა როგორც დედაკაცისათვის, ასევე მამაკაცისათვისაც. მაგრამ მამაკაცები ხშირად ბოროტად

იყენებენ მინიჭებულ უპირატესობას და მეტად ამძიმებენ ქალის ხვედრს.

ევა სრულიად ბედნიერი იყო თავისი ქმრის გვერდით სამოთხის ბაღში, მაგრამ, თანამედროვე მოუსვენარ ქალთა მსგავსად, იგი უფრო მაღალ სამოღვაწეო ასპარეზზე გასვლას იმედოვნებდა, ვიდრე უფალმა განუსაზღვრა მას. იგი უფრო მაღალი მდგომარეობისაკენ ისწრაფოდა, მაგრამ ყველაზე დაბლა აღმოჩნდა. ასეთია ყველას ხვედრი, ვისაც არ სურს, უფლის ჩანაფიქრის თანახმად აღასრულოს ცხოვრებისეული მოვალეობანი. ბევრი ქალი ტოვებს ღმერთის მიერ მისთვის განკუთვნილ სარბიელს, სადაც მოყვასისათვის კურთხეული საქმეების კეთება შეეძლო და საზოგადოებაში მაღალი ადგილის დამკვიდრებისათვის სწრაფვაში კარგავს თავის ღირსებას, ხასიათის კეთილშობილებას და ვერ ასრულებს ზეცის მიერ დაკისრებულ მოვალეობას.

ღმერთმა ადამს უთხრა: "რაკი შენს დედაკაცს დაუჯერე და შეჭამე ხის ნაყოფი, რომლის ჭამა აკრძალული მქონდა შენთვის, მიწა დაიწყევლოს შენს გამო: ტანჯვით მიიღებდე მისგან საზრდოს მთელი სიცოცხლე. ძეძვი და ეკალი აღმოგიცენოს და მინდვრის ბალახი იყოს შენი საზრდო. პიროფლიანი ჭამდე პურს, ვიდრე მიწად მიიქცეოდე, რადგან მისგანა ხარ აღებული, რადგან მტვერი ხარ და მტვრადვე მიიქცევი".

უფალი ცდილობდა, ცოდვისაგან დაეცვა ეს წმიდა წყვილი. უხვად უძღვნა ყოველგვარი სიკეთე და ამასთანავე დაფარა მათგან ბოროტება. მაგრამ, მისი ბრძანების მიუხედავად, მათ ჭამეს აკრძალული ნაყოფი და ამიერიდან მუდამ უნდა ეჭამათ იგი, რათა შეეცნოთ ბოროტება მთელი თავისი სიცოცხლე. ამიერიდან ადამიანთა მოდგმა დაიტანჯება სატანის ცდუნებათა გამოისობით. ბაღში მსუბუქი შრომის ნაცვლად მათი ხვედრი საზრდოს მოსაპოვებლად მუდმივი ზრუნვა და მძიმე შრომა იქნება. მათ ელით იმედების გაცრუება, მწუხარება, ტანჯვა და ბოლოს - სიკვდილი.

დაწყევლილმა დედამიწამ უნდა აჩვენოს ადამიანს, თუ რას ნიშნავს ღმერთისგან განდგომა და მის წინააღმდეგ ამბოხება. შექმნა რა ადამიანი, ღმერთმა მთელ დედამიწაზე და მის ყოველ ცოცხალ არსებაზე ბატონობა დაუდგინა მას. სანამ ადამი ზეციური პრინციპების ერთგული იყო, ბუნებაც ემორჩილებოდა მას. მაგრამ ღვთიური კანონის დარღვევის შემდგომ ცხოველთა სამყარო, რომელიც აქამდე ადამის მორჩილი იყო, მისი მმართველობის წინააღმდეგ აღდგა. თავისი უდიდესი თანაგრძნობის გამო ასე სურდა ღმერთს ადამიანებისათვის თავისი რჯულის სიწმიდე ეჩვენებინა და დაემტკიცებინა, რომ ამ რჯულის სულ მცირე დარღვევაც კი დამღუპველია მათთვის.

სიყვარულის გამო მიეცა ადამიანს შრომითა და ზრუნვით აღსავსე ცხოვრება. ასეთმა სკოლამ, რომლის აუცილებლობაც

ადამიანის დაცემამ გამოიწვია, უნდა ასწავლოს მას ვნებებისა და სურვილების მოთოკვა და განუვითაროს ნებისყოფა. ეს უფლის უდიდესი ჩანაფიქრის ნაწილი იყო ცოდვისა და გადაგვარების უფსკრულიდან ადამიანის აღდგენის საქმეში.

გაფრთხილება, რომელიც ჩვენს წინაპრებს მიეცათ: "რადგან, როგორც კი

[59]

[60]

შეჭამ, მოკვდებიო" /დაბ. 2:17/, არ ითვალისწინებდა სიკვდილს იმავე დღეს, როცა აკრძალული ნაყოფი იგემეს, არამედ იმავე დღეს გამოტანილ იქნა საბოლოო განაჩენი. უკვდავება მათ მხოლოდ მორჩილების შემთხვევაში ეძლეოდათ. კანონის დარღვევით კი საუკუნო სიცოცხლის უფლება დაკარგეს. იმავე დღეს მათ სასჯელად სიკვდილი დაუწესდათ.

საუკუნოდ სიცოცხლისათვის ადამიანს სიცოცხლის ხის ნაყოფი უნდა ეჭამა. ამ უპირატესობის დაკარგვით ადამიანი თანდათან კარგავდა ძალას, სანამ საბოლოოდ არ ჩაქრებოდა მისი

სიცოცხლე. სატანა იმისკენ ისწრაფოდა, რომ ადამი და ევა ღმერთს არ დამორჩილებოდნენ და ღვთის რისხვა დაემსახურებინათ, თანაც იმედოვნებდა, რომ ისინი, მიუტევებლობის შემთხვევაშიც კი, მაინც შეჭამდნენ ნაყოფს სიცოცხლის ხიდან, რითაც ტანჯვასა და ცოდვას სამარადისოდ დაამკვიდრებდნენ დედამიწაზე. მაგრამ ადამიანის დაცემისთანავე სიცოცხლის ხის დასაცავად ზეციდან ცეცხლოვან მახვილთა მსგავსი სინათლის სხივებით შემოსილი ანგელოზები გამოგზავნეს. ადამის ოჯახიდან არავის შეეძლო ამ ხესთან მიახლოება და მისი ნაყოფის შეჭმა, რის გამოც ყველა ცოდვილი მოკვდავია.

ჩვენი წინაპრების დაცემით გამოწვეულ უდიდეს უბედურებას ბევრი ასეთი უმნიშვნელო ცოდვისათვის ძალზე დიდ სასჯელად მიიჩნევს. ადამიანებს ეჭვი ეპარებათ ადამიანის მიმართ უფლის სამართლიანობასა და სიბრძნეში. მაგრამ თუკი ამ საკითხზე ღრმად დაფიქრდებიან, მიხვდებიან თავიანთ შეცდომას. უფალმა ადამიანი თავის მსგავსად და ხატად, უცოდველ არსებად შექმნა. დედამიწაზე უნდა ეცხოვრათ არსებებს, რომლებიც თავისი ღირსებით ანგელოზებზე ოდნავ ნაკლები თუ იქნებოდნენ, მაგრამ მათი ერთგულება აუცილებლად უნდა გამოცდილიყო, ვინაიდან უფალს არ შეეძლო, დედამიწა ისეთი არსებებით დაესახლებინა, რომლებიც პატივს არ მიაგებდნენ მის რჯულს. და მაინც, თავისი უდიდესი თანაგრძნობის გამო, არ დაუდგინა მან ადამს ძალიან მძიმე გამოცდა. სწორედ აკრძალვის უმნიშვნელობამ

დაამძიმა ასე ჩადენილი ცოდვა. რადგან ადამმა ასეთ მცირე ცდუნებას ვერ გაუძლო, იგი მით უმეტეს ვერ გაუძლებდა უფრო სერიოზულ და საპასუხისმგებლო გამოცდას.

ადამს რომ უფრო მკაცრი გამოცდა ჰქონოდა, ბოროტების კეთებას მიჩვეული ადამიანები თავს გაიმართლებდნენ თავისი უმნიშვნელო დანაშაულის გამო: "ასეთ მცირე ცოდვას უფალი ყურადღებას არ მიაქცევს". და ამგვარად მოჰყვებოდნენ თავისი უცოდველობის მტკიცებას უფლის რჯულის დარღვევის გამო, რადგან სრულიად უმნიშვნელო საქმედ ჩათვლიდნენ მას. მაგრამ უფალმა ღმერთმა ნათლად გვიჩვენა, რომ ნებისმიერი ცოდვა საძაგლობაა მის თვალში.

ევას სერიოზულ დანაშაულად არ მიაჩნდა აკრძალული ნაყოფის შეჭმა, ამით უფლის ნების წინააღმდეგ წასვლა და შემდგომში თავისი ქმრის ცდუნება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ მიერ ჩადენილმა დანაშაულმა გზა გაუხსნა ტანჯვის მორევს, რომელმაც მთელი წუთისოფელი წალეკა. ვის შეეძლო წარმოედგინა ცდუნების იმ მომენტში ერთი არასწორად გადადგმული ნაბიჯის ასეთი საშინელი შედეგი?

ბევრი თვლის, რომ უფლის რჯული სულაც არ სჭირდება ადამიანს და ამტკიცებს, რომ მათი აღსრულება შეუძლებელია. მაგრამ თუკი ეს ასეა, რატომ დაისაჯა ადამი? ჩვენი წინაპრების ცოდვამ გზა გაუხსნა ტანჯვასა და მწუხარებას დედამიწაზე და

უფლის გულმოწყალება და თანაგრძნობა რომ არა, ადამიანს არავითარი იმედი აღარ ექნებოდა. ნურავინ მოიტყუებს თავს: "ცოდვის საზღაური სიკვდილია" /რომ. 6:23/. უფლის კანონის დარღვევა დღესაც ისევე ისჯება, როგორც მაშინ, როცა კაცობრიობის მამას განაჩენი გამოუტანეს.

[61]

დაცემის შემდეგ ადამსა და ევას სამოთხეში ცხოვრება უკვე აღარ შეეძლოთ. ისინი მხურვალედ ევედრებოდნენ უფალს, დაეტოვებინა ამ ბედნიერ, წმიდა სავანეში. აცნობიერებდნენ, რომ დაკარგეს ამ სიხარულსა და სიმშვიდეში ცხოვრების ყოველგვარი უფლება და იფიცებოდნენ, რომ მომავალში აღარასოდეს გადაუხვევდნენ ღვთის ნებას. მაგრამ მათ განუმარტეს, რომ ცოდვის გამხრწნელი ზეგავლენის გამო მათ დაკარგეს ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლის ძალა და სატანას დამორჩილდნენ. თუკი, ჯერ კიდევ უცოდველები, ასე ცდუნდნენ, ახლა, კანონის შეგნებულად დარღვევის შემდგომ, მათ ღირსების შენარჩუნების კიდევ უფრო ნაკლები შესაძლებლობა ჰქონდათ.

მორჩილებითა და ენით გამოუთქმელი სევდით დატოვეს მათ თავიანთი მშვენიერი საცხოვრისი და წავიდნენ, რათა

დაწყევლილ მიწაზე ეცხოვრათ. პირვანდელი რბილი და მდგრადი ჰავა გაუარესდა და მოწყალე უფალმა მათ ტყავის სამოსი ჩააცვა, რათა დაეცვა სიცხისა და სიცივისაგან.

როდესაც ადამმა და ევამ დამჭკნარ ყვავილში და ჩამოცვენილ ფოთლებში სიკვდილის პირველი ნიშნები შეამჩნიეს, მათი მწუხარება უფრო დიდი იყო, ვიდრე დღევანდელი ადამიანისა, რომელმაც თავისი ახლობელი დაკარგა. ნაზი ყვავილების ჭკნობამ, რა თქმა უნდა, დიდად დაამწუხრა ისინი, მაგრამ, როცა ტანაშოლტილმა ხეებმა ფოთლები ჩამოყარეს, მათ ცხადად დაინახეს სიკვდილის რეალობა და გარდუვალობა, რომელსაც ადრე თუ გვიან, ვერც ერთი ცოცხალი არსება გვერდს ვერ აუვლის.

სამოთხის ბაღი კიდევ დიდხანს არსებობდა დედამიწაზე ადამის გაძევების შემდგომ. დაცემულ კაცობრიობას კიდევ დიდხანს შეეძლო შორიდან ეცქირა თავისი დაკარგული სამოთხისათვის, რომელსაც ახლა ანგელოზები იცავდნენ. ქერუბიმებით დაცულ კარიბჭესთან უფლის დიდება იშლებოდა. იქ სცემდნენ თაყვანს ღმერთს ადამი და მისი ვაჟები. სწორედ აქ აღადგინეს მათ თავიანთი აღთქმა უფლის იმ კანონის აღსრულებისა, რომლის დარღვევის გამოც გამოაძევეს ედემიდან. როცა ურჯულოებამ მთელი დედამიწა მოიცვა და მასზე სიცოცხლე წარღვნით უნდა განადგურებულიყო, უფლის ხელმა, რომელმაც შექმნა ეს მშვენიერება დედამიწაზე, წაიღო და დაფარა იგი. მაგრამ

როდესაც შემოქმედი "ახალ ცას და ახალ მიწას" /გამოცხ. 21:1/ შექმნის, სამოთხე კვლავ დაბრუნდება, ოღონდ უფრო მეტად დიდებული, ვიდრე ადრე იყო.

და მაშინ ისინი, ვინც ღვთის მცნებებს იცავდა, უსასრულო საუკუნეთა განმავლობაში დატკბებიან უკვდავების სურნელით სიცოცხლის ხის ქვეშ. უცოდველ სამყაროთა მკვიდრთათვის ნეტარების ეს ბაღი უფლის სრულყოფილი შემოქმედების, მისი სიწმიდის მაგალითი იქნება. მაგალითი იმისა, თუ როგორი იქნებოდა დედამიწა, ადამიანს რომ უფლის უდიდესი ჩანაფიქრი განეხორ -ციელებინა.

[62]

თავი 4 - გამოსყიდვის გეგმა

ადამიანის დაცემამ ზეცა უდიდესი მწუხარებით აავსო. უფლის მიერ შექმნილი სამყარო ცოდვით შეიბღალა. მასში თანდათან მრავლდებოდნენ ადამიანები, რომელთაც ცოდვის გამო ტანჯვით ცხოვრება და სიკვდილი მიესაჯათ. და თითქოს აღარ არსებობდა ცოდვებისაგან მათი ხსნის გზა. შეწყდა ანგელოზთა

სახოტბო საგალობლები. ზეციური სავანეები ცოდვის დამანგრეველი შედეგების გამო ღრმა მწუხარებამ მოიცვა.

უფლის ძე, სამყაროს დიდებული მბრძანებელი, უდიდესი თანაგრძნობით განიმსჭვალა დაცემული კაცობრიობის მიმართ. უსაზღვრო სიბრალულმა შეიპყრო იგი ცოდვილი წუთისოფლის ვაების გამო, რომელიც ცას სწვდებოდა. მაგრამ ღვთიურმა სიყვარულმა თავიდანვე შეადგინა ადამიანის ხსნის გეგმა. უფლის დარღვეული რჯული ცოდვილის სიცოცხლეს ითხოვდა. მთელ უსასრულო სამყაროში არსებობდა ერთადერთი, უფალი, რომელიც ადამიანის გულისათვის რჯულის მოთხოვნათა დაკმაყოფილებას შეძლებდა. ვინაიდან უფლის რჯული ისეთივე წმიდაა, როგორც თავად ღმერთი, ამიტომ მხოლოდ ღვთის ტოლსა და სწორს შეეძლო მომხდარი დანაშაულის გამოსყიდვა. ქრისტეს გარდა ვერავინ შეძლებდა რჯულის წყევლისაგან დაცემული ადამიანის დახსნას და ზეცასთან მის შერიგებას. ქრისტეს უნდა ეტვირთა დანაშაული და ცოდვის საშინელება, რაც იმდენად შეურაცხყოფს წმიდა და მართალ ღმერთს, რომ ამას მამა და მისი ძე განშორებამდე უნდა მიეყვანა. ცოდვილი კაცობრიობის გადარჩენისათვის ქრისტეს ბოლომდე უნდა შეესვა ტანჯვითა და მწუხარებით სავსე ფიალა.

მთელი ზეციური მხედრობა ენით გამოუთქმელი მღელვარებით ელოდა საბოლოო გადაწყვეტილებას, როდესაც ძე ცოდვილთათვის შუამდგომლად წარსდგა მამის წინაშე. დიდხანს გაგრძელდა ეს საიდუმლო თათბირი - "თანხმობა... ამ

ორთა შორის" /ზაქ. 6:13/, რომელზედაც დედამიწის ცოდვილ შვილთა ბედი წყდებოდა. გადარჩენის გეგმა ჯერ კიდევ სამყაროს შექმნამდე არსებობდა, ვინაიდან ქრისტეა "წუთისოფლის დასაბამიდან დაკლული კრავი" /გამოცხ. 13:8/. თუმცა სამყაროს მეფისათვის ძალზე მძიმე იყო, სასიკვდილოდ გაეწირა თავისი ერთადერთი ძე დაცემული კაცობრიობის დანაშაულის გამო, მაგრამ "ისე შეიყვარა ღმერთმა წუთისოფელი, რომ მისცა თავისი მხოლოდშობილი ძე, რათა ყოველი მისი მორწმუნე არ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე" /იოან. 3:16/. ო, რა დიდია გამოსყიდვის საიდუმლო! როგორ უყვარდა ღმერთს წუთისოფელი, რომელმაც უარყო იგი! ვინ ჩასწვდება ამ სიყვარულის სიბრძნეს, ის ხომ ყოველგვარ "გონიერებას აღემატება"? უსასრულო საუკუნეთა განმავლობაში განცვიფრებითა და აღტაცებით მოიყრიან მუხლს მისი დიდების წინაშე ამ უდიდესი საიდუმლოს შეცნობის მსურველნი.

უფალი ღმერთი ქრისტეში უნდა გამოცხადებოდა წუთისოფელს და ამგვარად შემოერიგებინა იგი /იხ. 2 კორ. 5:19/. ადამიანი იმდენად გაუწმიდურა ცოდვამ, რომ თავად ვერასოდეს შეძლებდა შერიგებას იმასთან, ვინც ასე წმიდა და კეთილია. მაგრამ ქრისტემ, გაათავისუფლა რა კაცობრიობა რჯულის მსჯავრისაგან, თავისი ღვთიური ძალა ადამიანის უძლურებასთან გააერთიანა, რის შედეგადაც ღვთის წინაშე მონანიებითა და ქრისტეში რწმენით ადამის დაცემულ შვილებს

მიეცათ შესაძლებლობა, კვლავ "ღვთის შვილებად" იწოდებოდნენ /1 იოან. 3:2/.

მთელი ზეცა განაცვიფრა და აღაფრთოვანა ამ უჩვეულო თავგანწირვის

[63]

[64]

დიდებულებამ - ადამიანის გადარჩენის ერთადერთმა საშუალებამ. როცა ქრისტემ ზეციურ ანგელოზებს გამოსყიდვის გეგმა გაუზიარა, ისინი დიდად დანაღვლიანდნენ, რადგან მიხვდნენ, რომ მხოლოდ უდიდესი ტანჯვის ფასად შეძლებდა მათი საყვარელი მეუფე ადამიანის ხსნას. უდიდესი გულისტკივილითა და გაკვირვებით უსმენდნენ ისინი ქრისტეს გადაწყვეტილებას, დაეტოვებინა ზეციური წმიდა სავანე, მასში გამეფებული სიმშვიდე, სიხარული, დიდება, მარადიული სიცოცხლე და მოვლენოდა ცოდვილ დედამიწას, რათა ეგემა ტანჯვა, სირცხვილი და სიკვდილი. იგი ჩადგება ცოდვილსა და ცოდვის საზღაურს შორის, მაგრამ ძალზე ცოტა ადამიანი აღიარებს მას ღვთის ძედ. იგი დატოვებს მბრძანებლის ტახტს,

წავა დედამიწაზე და ადამიანის დამდაბლებული სხეულით მოევლინება წუთისოფელს, რათა თავად განიცადოს ის მწუხარება და გამოცდა, რასაც დედამიწის მკვიდრნი განიცდიან. ყოველივე ეს აუცილებელი იყო, რათა იგი დახმარებოდა "განსაცდელში მყოფთ" /ებრ. 2:18/. როდესაც ქრისტეს, როგორც მოძღვრის, მისია დასრულდება, იგი უწმიდურთა ხელთ გადაეცემა და გამოცდის ყოველგვარ ტანჯვასა და გვემას, რასაც კი სატანა უკარნახებს მის მტანჯველთ. იგი მოკვდება სამარცხვინო სიკვდილით, როგორც ცოდვილი, დედამიწასა და ზეცას შუა ჯვარზე გაკრული, მრავალი საათის განმავლობაში იგი გამოცდის საშინელ სულიერ ბრძოლას, იმდენად მძიმეს, რომ ადამიანები უძლურნი იქნებიან, უცქირონ მას და თვალს მოარიდებენ. მან უნდა აიტანოს საშინელი სულიერი ტანჯვა, როდესაც მამა სახეს მოარიდებს მას და მთელი წუთისოფლის ცოდვები მძიმე ტვირთად დააწვება.

ანგელოზები მაშინვე იესოს ფერხთით დაეცნენ და თავიანთი სიცოცხლე შესთავაზეს ადამიანის ხსნისათვის. მაგრამ ანგელოზის სიცოცხლეს არ შეეძლო ცოდვის გამოსყიდვა: ადამიანის გადარჩენას მხოლოდ ის შეძლებდა, ვინც შექმნა იგი. თუმცა ანგელოზებსაც მიეცათ განსაზღვრული როლი გამოსყიდვის გეგმის განხორციელებაში. იესო "ოდნავ იყო დამცირებული ანგელოზთა წინაშე, რათა მას... ეგემა სიკვდილი ყველას გულისათვის" /ებრ. 2:9/. იგი განკაცდება, ადამიანად იქცევა და აღარ ექნება ისეთი ძლიერება, როგორიც მათ გააჩნიათ - და მაშინ ისინი მოემსახურებიან და ანუგეშებენ ღვთის ძეს

უდიდესი ტანჯვისა და მწუხარების ჟამს. ანგელოზები ასევე გაიგზავნებიან მათ სამსახურში, ვინც ხსნის მემკვიდრე უნდა გახდეს /იხ. ებრ. 1:14/. მათ უნდა დაიცვან ისინი ბოროტ ანგელოზთა ზეგავლენისაგან და გაფანტონ წყვდიადი, რომელსაც სატანა თავს ახვევს მართალთ.

როგორ აღშფოთდებიან და უფლის მკვლელთა ხელიდან დახსნის რა დიდი სურვილი ექნებათ ანგელოზებს, როცა თავიანთი უფლის დამცირებასა და ტანჯვას იხილავენ! მაგრამ ასეთი ჩარევა არ უნდა მოხდეს. ქრისტემ უნდა აიტანოს უწმიდურთაგან დაცინვა და ლანძღვა - ეს გამოსყიდვის გეგმის ნაწილი იყო. იგი დაეთანხმა უფლის ყველა ჩანაფიქრს და ამიერიდან წუთისოფლის მხსნელად იქცა.

ქრისტემ დაარწმუნა ანგელოზები, რომ თავისი სიკვდილით იგი მრავალს გამოისყიდის და გაანადგურებს სიკვდილის ხელმწიფების მპყრობელს, რომ იგი კვლავ დაუბრუნებს ადამიანებს უფლის რჯულის დარღვევის შედეგად დაკარგულ სამეფოს, რომ გამოსყიდულნი მისი თანამემკვიდრენი გახდებიან და საუკუნოდ მასთან იქნებიან. ცოდვა და ცოდვილნი განადგურდებიან, რათა აღარასოდეს დაარღვიონ ცისა და დედამიწის სიმშვიდე. მან მოუწოდა ზეციურ მხედრობას, მიეღოთ მამის გეგმა და გაეხარათ იმით, რომ მისი სიკვდილი დაცემული ადამიანის ღმერთთან შემორიგების საშუალება გახდებოდა.

და მაშინ უჩვეულო სიხარულმა მოიცვა მთელი ზეცა. გამოსყიდული წუთისოფლის დიდებამ და ბედნიერმა მომავალმა დაჩრდილა სიცოცხლის

[65]

მეუფის ტანჯვა და მსხვერპლი. ზეციურ სავანეთა თაღებში გაისმა პირველი აკორდი ჰიმნისა, რომელიც ბეთლემის გორაკებზე უნდა გამოცხადებულიყო: "დიდება მაღალთა შინა ღმერთს, მშვიდობა ქვეყნად და კაცთა შორის სათნოება" /ლუკ. 2:14/. ახლა უფრო ძლიერად, ვიდრე დედამიწის შექმნის დროს, "გალობდნენ დილის ვარსკვლავები და ღვთის ძენი ყიჟინებდნენ" /იობ. 38:7/.

გადარჩენის გეგმა ადამიანს პირველად ეუწყა ედემის ბაღში, სატანისადმი გამოტანილ განაჩენში, როდესაც უფალმა წარმოთქვა: "მტრობას ჩამოვაგდებ შენსა და დედაკაცს შორის, შენს თესლსა და დედაკაცის თესლს შორის: ის თავს გიჭეჭყავდეს, შენ კი ქუსლს უგესლავდე"! /დაბ. 3:15/. ეს განაჩენი აღთქმად იქცა ჩვენი წინაპრებისათვის. მართალია, ბრძოლა სატანასა და ადამიანს შორის გარდაუვალია, მაგრამ, უფლის აღთქმისამებრ, უდიდესი მატყუარა საბოლოოდ

დამარცხდება. ადამი და ევა იდგნენ მართალი მსაჯულის წინაშე, როგორც დამნაშავენი, რომლებიც დამსახურებულ სასჯელს ელიან, მაგრამ სანამ ისინი მოისმენდნენ თავიანთი მწარე, შრომითა და მწუხარებით აღსავსე ხვედრსა და გარდაუვალი სიკვდილის შესახებ, გაისმა იმედის სიტყვები. თუმცა ძლიერი მტერი მათ დიდ სატანჯველში ჩააგდებს, მაგრამ ახლა შეუძლიათ მომავალი გამარჯვების იმედით იცოცხლონ.

როცა სატანამ მოისმინა, რომ მასა და დედაკაცს, მის თესლსა და დედაკაცის თესლს შორის მტრობა ჩამოვარდება, მიხვდა, რომ ადამიანი მიიღებს ძალას, წინააღმდეგობა გაუწიოს მის დამღუპველ ზეგავლენას. და მაინც, როდესაც ადამიანის ხსნის გეგმა უფრო ფართოდ გაიშალა, სატანა ზეიმობდა თავის დაცემულ ანგელოზებთან ერთად, რადგან მისი მცდელობისა და ადამიანის ცდუნების წყალობით უფლის ძე იძულებული გახდება მიატოვოს თავისი უზენაესი მდგომარეობა; აი, მაშინ მაცდურმა განაცხადა, რომ ვინაიდან მისი ჩანაფიქრი დედამიწაზე დიდი წარმატებით ხორციელდება, განკაცებული ქრისტეს დამარცხება უფრო იოლი იქნება და კაცობრიობის გადარჩენის გეგმაც ჩაიშლება.

ზეციურმა ანგელოზებმა უფრო ვრცლად განუმარტეს ჩვენს წინაპრებს მათი გადარჩენისათვის შემუშავებული გეგმა. ადამი და ევა დაარწმუნეს, რომ მიუხედავად მათ მიერ ჩადენილი ცოდვისა, ისინი არ იქნებიან მიტოვებული სატანის ანაბარა.

უფლის ძე გაწირავს თავის სიცოცხლეს მათი გადარჩენისათვის. მათ გამოცდა ელით ცხოვრებაში და მონანიებითა და ქრისტეს რწმენით კვლავ ღვთის შვილები გახდებიან.

მსხვერპლმა, მათი გადარჩენისათვის რომ უნდა გაღებულიყო, დაანახა ადამსა და ევას უფლის კანონის სიწმიდე და ახლა, როგორც არასდროს, ნათლად დაინახეს თავიანთი დანაშაულის სიმძიმე და მისი საშინელი შედეგები. სინდისის ქენჯნითა და უდიდესი სულიერი ტანჯვით აღსავსენი ევედრებოდნენ უფალს, რომ მათთვის განკუთვნილი სასჯელი არ დადებოდა მას, ვისი სიყვარულიც მათი ცხოვრების სიხარულისა და ბედნიერების სათავე იყო და თვლიდნენ, რომ ცოდვისათვის სასჯელი მათ და მათ შვილებს უნდა ეტვირთათ.

მათ განუმარტეს, რომ ვინაიდან უდიდესი იეჰოვას კანონი როგორც ცაში, ასევე დედამიწაზე ზეციური მმართველობის საფუძველია, ამიტომ მისი დარღვევისათვის ანგელოზის სიცოცხლის მსხვერპლად შეწირვა მიუღებელი იქნებოდა. კანონის რომელიმე ასოს შეცვლა ან გაუქმება და ადამიანის დაცემული მდგომარეობისადმი მისი მისადაგება დაუშვებელია. მხოლოდ ღვთის ძე, რომელმაც შექმნა ადამიანი, შეძლებდა მის გადარჩენას. როგორც ადამის დანაშაულმა წუთისოფელს მწუხარება და სიკვდილი მოუტანა, ასევე ქრისტეს მსხვერპლი მათ სიხარულს და უკვდავებას მოუტანს.

[66]

[67]

მაშინ, როცა გამოსყიდვის გეგმა განხორციელდება, განახლდება არა მხოლოდ ადამიანი, არამედ თვით მაცდურის მიერ დამონებული დედამიწაც. უფალმა შექმნა ადამი და დედამიწის მფლობელობა ჩააბარა, მაგრამ მან შესცოდა და სატანის ქვეშევრდომი გახდა, ვინაიდან "...ვინც ვისგანაა ძლეული, მისივე მონაა" /2 პეტრ. 2:19/. როცა ადამიანი სატანის ტყვე გახდა, მისი სიძლიერეც გამარჯვებულს გადაეცა და ამგვარად, სატანა ამ "წუთისოფლის ღმერთი" გახდა /იხ. 2 კორ. 4:4/. მან თავისი მმართველობა მოახვია თავს მთელ დედამიწას, რომელიც შექმნის დღიდანვე ადამს გადაეცა. მაგრამ ქრისტემ გაიღო თავისი მსხვერპლი არა მხოლოდ ადამიანის გასათავისუფლებლად, არამედ მისთვის მისი საკუთრების დასაბრუნებლადაც. ყოველივეს, პირველი ადამის მიერ დაკარგულს, მეორე ადამი დააბრუნებს. წინასწარმეტყველი ამბობს: "შენ კი, ფარეხის გოდოლო, გორაკო სიონის ასულისა! შენამდე მოვა, დაგიბრუნდება წინანდელი ხელმწიფება, მეუფება დაუბრუნდება იერუსალიმის ასულს!" /მიქ. 4:8/. პავლე მოციქულიც საუბრობს ჩვენი მემკვიდრეობის საწინდარზე, "საკუთრების გამოსასყიდად მისი დიდების საქებრად" /ეფ.

1:14/. უფალს სურდა, თავის შექმნილ დედამიწაზე წმიდა და ბედნიერ არსებებს ეცხოვრათ. "რადგან ასე თქვა უფალმა, ცის გამჩენმა, ის არის ღმერთი, დედამიწის გამომსახველი და მისი შემქმნელი; მან დაამყარა იგი, სიცარიელედ არ შეუქმნია, დასასახლებლად გამოსახა: მე ვარ უფალი და სხვა არ არის" /ეს. 45:18/. ეს ჩანაფიქრი მხოლოდ მაშინ განხორციელდება, როდესაც ღვთიური ძალით განახლებული, ცოდვისა და ტანჯვისაგან გათავისუფლებული დედამიწა გამოსყიდულთა მარადიულ სავანედ იქცევა. "მართალნი დაიმკვიდრებენ ქვეყანას და იარსებებენ მასზე უკუნისამდე" /ფს. 36:29/. "და დაწყევლილი არაფერი აღარ იქნება, არამედ ღვთისა და კრავის ტახტი იქნება მასში და მისი მსახურები ემსახურებიან მას" /გამოცხ. 22:3/.

სანამ ადამი უცოდველი იყო, უხაროდა უფალთან ურთიერთობა, მაგრამ ცოდვამ დააშორა ადამიანი ღმერთს. მხოლოდ ქრისტეში შემორიგებით გაიდო ხიდი უფსკრულზე, მხოლოდ იესოს მეოხებით იყო შესაძლებელი ხსნა და კურთხევა. ადამიანს დაეკარგა თავის შემოქმედთან ურთიერთობის შესაძლებლობა, მაგრამ ღმერთმა ქრისტეს მეშვეობით მონახა მის გულთან მისასვლელი გზა.

ადამს ეუწყა კაცობრიობის ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენების შესახებ, დაწყებული ედემში ღვთიური განაჩენის გამოცხადების დღიდან წარღვნამდე და შემდგომ უფლის ძის დედამიწაზე პირველად მოსვლამდეც კი. ადამისთვის უკვე

ისიც იყო ცნობილი, რომ, თუმცა ქრისტეს მსხვერპლი საკმარისია მთელი წუთისოფლის გამოსყიდვისათვის, მაინც მრავალი ცოდვის გზას აირჩევს და არა მონანიებას და უფლის რჯულთან თანხმობაში ცხოვრებას. დანაშაული სულ უფრო გამრავლდება თაობიდან თაობამდე და ცოდვის წყევლა სულ უფრო მძიმე ტვირთად დააწვება კაცობრიობას, ყველა სულიერს და თვით დედამიწას. ადამიანის სიცოცხლის დღეები შემოკლდება მისი ცოდვილი ცხოვრების მიზეზით. იგი თანდათანობით გადაგვარდება სხეულით, გონებით და ზნეობით, უძლური აღმოჩნდება ბოროტებასთან ბრძოლაში, ვიდრე მთელი წუთისოფელი ტანჯვით არ აივსება. საკუთარ თავზე ზრუნვაში გართული ადამიანები დაკარგავენ გამოსყიდვის გეგმის უდიდესი ჭეშმარიტებების შეცნობის უნარს. მაგრამ ქრისტე ერთგულია თავისი იდეებისა, სწორედ ამიტომ დატოვებს ზეცას, უთანაგრძნობს ცოდვილთ და შესთავაზებს მათი ურჯულოებისა და მანკიერების საკუთარ თავზე აღებას. იგი მოუკლავს წყურვილს მასთან რწმენით მისულ ყოველ ადამიანს. წუთისოფელში ყოველთვის იქნებიან ადამიანები, რომლებიც სულ უფრო მზარდი ურჯულოების მიუხედავად, შეინარჩუნებენ უფლის ჭეშმარიტებას და სულიერ სიწმიდეს.

[68]

უფლის მიერ დაწესებულ მსხვერპლშეწირვას მუდამ უნდა გაეხსენებინა ადამიანისათვის, რომ მას ესაჭიროება ცოდვების მონანიება და აღთქმული მხსნელის ცოცხალი რწმენა. ეს დაცემული კაცობრიობისათვის იმის მოწმობა უნდა ყოფილიყო, რომ ცოდვის საზღაური სიკვდილია. პირველი მსხვერპლშეწირვა მეტად ძნელი და მტკივნეული ცერემონია იყო ადამისათვის. მას თავისი ხელით უნდა წაერთმია სიცოცხლე, რომლის მიცემაც მხოლოდ ღმერთს შეეძლო. ასე იხილა პირველად ადამმა სიკვდილი და მიხვდა: იგი რომ უფლის ერთგული დარჩენილიყო, არც ადამიანზე და არც ცხოველზე სიკვდილს არ ექნებოდა ძალა. უცოდველი მსხვერპლის შეწირვისას მისთვის საშინელება იყო იმაზე ფიქრი, რომ მისი დანაშაულის გამო ღვთის უმანკო კრავის სისხლი დაიღვრება. მან ნათლად შეიგრძნო თავისი დანაშაულის სიღრმე, რომლის გამოსყიდვა მხოლოდ ღვთის საყვარელი ძის სიკვდილით იქნებოდა შესაძლებელი. მას აკვირვებდა უსაზღვრო სიკეთე, რომელიც ასეთ დიდ გამოსასყიდს გაიღებს ადამიანის გადარჩენისათვის. იმედის სხივმა გაანათა ბნელი, საშინელი მომავალი და რწმენა და სიხარული შემატა ადამიანს.

გადარჩენის გეგმას ადამიანის გამოსყიდვის გარდა, სხვა, არანაკლებ ღრმა და მნიშვნელოვანი მიზანი ჰქონდა. ქრისტე დედამიწაზე მოვიდა არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ პატარა პლანეტის მკვიდრთ ღვთის კანონისადმი პატივისცემა ესწავლათ, ხსნის გეგმას მთელი სამყაროს წინაშე უნდა გაემართლებინა უფლის ხასიათი, რომელსაც ცილი დასწამეს.

მაცხოვარმა თავის ჯვარცმამდე ცოტა ხნით ადრე თქვა: "ახლაა ამ წუთისოფლის სამსჯავრო; ამ წუთისოფლის მთავარი ახლა გარეთ გაიდევნება; როცა ავმაღლდები დედამიწიდან, ყველას ჩემთან მივიზიდავ" /იოან. 12:31,32/. ამ სიტყვებით ქრისტემ წინასწარ განჭვრიტა თავისი უდიდესი მსხვერპლის შედეგი, მისი უდიდესი მნიშვნელობა როგორც უცოდველი სამყაროსათვის, ასევე ადამიანისათვის. ადამიანის გამოსყიდვისათვის ქრისტეს სიკვდილი არა მხოლოდ ზეციისკენ გაუხსნიდა გზას ადამიანებს, არამედ მას უნდა გაემართლებინა უფლისა და მისი ძის საქმეები მთელი სამყაროს წინაშე სატანის ამბოხების დროს, განემტკიცებინა უფლის რჯულის უცვლელობა და ემხილებინა ცოდვის არსი და მისი შედეგი.

უფლის რჯულთან დაკავშირებით თავიდანვე უდიდესი ბრძოლა გაჩაღდა. სატანა ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ღმერთი უსამართლოა, რომ მისი რჯული არასრულყოფილია და სამყაროს ინტერესებიდან გამომდინარე - იგი უნდა შეიცვალოს. რჯულზე იერიშის მიტანით სატანა კანონმდებლის ხელმწიფების დამხობას შეეცადა. ამ ბრძოლას უნდა გამოევლინა, მართლაც არასრულყოფილია და შესაცვლელი ღვთიური დადგენილებები, თუ წმიდა და უცვლელია ისინი.

ზეციდან გაძევების შემდეგ სატანამ განიზრახა, დედამიწა თავის სამფლობელოდ ექცია. ევას ცდუნებით და მასზე გამარჯვების მოპოვებით იგი ფიქრობდა, რომ სასურველ მიზანს მიაღწია,

რადგან ადამიანებმა, ამტკიცებდა ის, თავის ბატონად აირჩიეს. იგი კვლავ აცხადებდა, რომ ცოდვილის მიტევება შეუძლებელია და, აქედან გამომდინარე, დაცემული ადამიანები თავისთავად მისი ქვეშევრდომნი ხდებოდნენ, დედამიწა კი მის მფლობელობაში გადადიოდა. მაგრამ ღმერთმა გამოაგზავნა თავისი ერთადერთი საყვარელი ძე, თავისი სწორი და ტოლი და მას განუწესა, ეტვირთა ცოდვის მთელი სიმძიმე, რითაც მამასთან და საკუთარ სამშობლოში - ედემში დასაბრუნებელ გზას გაუხსნიდა ცოდვილთ. ქრისტემ გადაწყვიტა, გადაერჩინა ადამიანი და სატანის ხელმწიფებისაგან გაეთავისუფლებინა წუთისოფელი. დიადი ბრძოლა, რომელიც ზეცაში დაიწყო, უნდა დასრულებულიყო წუთისოფელში, სწორედ იმ დედამიწაზე, რომელიც სატანამ თავის საკუთრებად გამოაცხადა.

მთელი ზეციური სამყარო დიდად განაცვიფრა იმ ამბავმა, რომ ქრისტე

[69]

თავს დაიმდაბლებს ადამიანის გადარჩენისათვის. მან, ვისაც ეკუთვნის ვარსკვლავები და მთელი სამყაროები, ვინცაა

შემოქმედი ყოველივე ამისა, ვინც სიყვარულით ზრუნავდა თავის შექმნილ ყოველ არსებაზე უსასრულო სამყაროში, გადაწყვიტა დაეტოვებინა თავისი დიდება და ადამიანის სხეულით მოვლენოდა დედამიწას. ეს იყო უდიდესი საიდუმლო, რომლის ახსნასაც ამაოდ ცდილობდნენ სამყაროს უცოდველი არსებები. როდესაც განკაცებული ქრისტე წუთისოფელში მოვიდა, ზეციური მკვიდრნი თრთოლვით ადევნებდნენ თვალს მის ყოველ ნაბიჯს სისხლიან ბილიკზე - დაბადებიდან გოლგოთამდე. ზეცას ესმოდა, თუ როგორ ლანძღავდნენ და შეურაცხყოფდნენ უფლის ძეს, რაშიც კარგად ცნობდნენ სატანის ხრიკებს და ბოროტ ანგელოზთა საქმეებს. სატანა თანდათანობით ამრავლებდა ადამიანთა ტანჯვას და მწუხარებას და ბნელით მოსავდა მათ, ქრისტე კი წყვდიადს ფანტავდა. ზეცა თვალყურს ადევნებდა ბრძოლას ბნელსა და ნათელს შორის, რომელიც თანდათან სულ უფრო მძაფრდებოდა. და, როცა ჯვარცმულ ქრისტეს სიკვდილის წინ აღმოხდა: "აღსრულდა!" /იოან. 19:30/, გამარჯვების სიხარულის შეძახილებით აივსო მთელი ზეციური სავანეები. დიადი ბრძოლა, ასე დიდხანს რომ გაგრძელდა წუთისოფელში, ქრისტეს გამარჯვებით დამთავრდა. თავისი სიკვდილით მან პასუხი გასცა კითხვას: გააჩნდათ თუ არა მამას და მას ადამიანისადმი საკმარისი სიყვარული იმისათვის, რომ საკუთარი თავის უარყოფისა და მსხვერპლად გაღების სული საქმეებით გამოევლინათ. სატანამ ნათლად დაინახა თავისი, მატყუარისა და მკვლელის ჭეშმარიტი მდგომარეობა: ახლა ცხადი გახდა, ზეცის მმართველობაც რომ ჩაეგდო ხელთ, იგი

ისევე იმოქმედებდა, როგორც დედამიწაზე. და მთელმა ზეცამ ერთსულოვნად აღიარა ღვთიური მმართველობის სამართლიანობა.

რჯულის შეცვლა რომ შესაძლებელი ყოფილიყო, ადამიანი ქრისტეს მსხვერპლის გარეშეც მიიღებდა ხსნას, მაგრამ ის ფაქტი, რომ ქრისტემ საკუთარი სიცოცხლე გაიღო დაცემული კაცობრიობის გადასარჩენად, მოწმობს, რომ უფლის რჯული არ ათავისუფლებს ცოდვილს თავისი მოთხოვნებისაგან. იგი ამტკიცებს, რომ ცოდვის საზღაური სიკვდილია. ქრისტეს სიკვდილით გადაწყდა სატანის ბედი. რჯული რომ ჯვარზე გაუქმებულიყო, როგორც ამას ზოგიერთნი ამტკიცებენ, მაშინ უფლის საყვარელი ძის ტანჯვა და სიკვდილი სატანის წისქვილზე დაასხამდა წყალს და ბნელეთის მეფეც იზეიმებდა, რადგან მისი ბრალდება ღვთის მმართველობის პრინციპების წინააღმდეგ, გამართლდებოდა. ქრისტემ იტვირთა სასჯელი ადამიანის ცოდვებისათვის და ეს მთელი სამყაროს წინაშე იმის უდიდესი მტკიცებულებაა, რომ რჯული უცვლელია, რომ უფალი მოწყალე და მართალია, რომ ღვთიური მმართველობის ძირითად პრინციპებს სამართლიანობა და მოწყალება წარმოადგენს.

[70]

თავი 5 - კაენისა და აბელის გამოცდა

დაბადება 4:1-15

ადამის შვილები, კაენი და აბელი, დიდად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. უფლის ერთგული აბელი კარგად ხედავდა დაცემული კაცობრიობისადმი შემოქმედის სამართლიან დამოკიდებულებას, თანაგრძნობასა და სიყვარულს და სწორედ ამიტომ მადლიერებით მიიღო გამოსყიდვის იმედი. კაენის გულში კი თანდათან უფლის წინააღმდეგ ამბოხების სული იბუდებდა და ძლიერდებოდა. დასასრული არ უჩანდა მის საყვედურებს ღვთის მიმართ, რადგან ღმერთმა ადამის დაცემის გამო დასწყევლა მთელი დედამიწა და მისი მკვიდრნი. მასში ჩაბუდებულმა თვითგანდიდების სრვილმა და ეჭვებმა ღვთიური სამართლიანობისა და ავტორიტეტის შესახებ მისი სული იმ გზისაკენ წარმართა, რომელმაც სატანა დაცემამდე მიიყვანა.

ღვთის სიტყვისადმი ძმების რწმენა და მორჩილება ადამის მსგავსად გამოიცადა. მათთვის ცნობილი იყო ადამიანის გამოსყიდვის გეგმაც და უფლის მიერ დაწესებული მსხვერპლშეწირვის სისტემაც. მათ კარგად იცოდნენ, რომ შესაწირავის გაღება მათი მაცხოვრისადმი რწმენის გამოხატულება იყო, მაცხოვრისა, რომლის პირველსახეს მსხვერპლად შეწირული ცხოველები წარმოადგენდნენ. და კიდევ, ეს იყო აღიარება იმისა, რომ მათი შეწყალება და ხსნა

მხოლოდ ღმერთზეა დამოკიდებული. ძმებმა ასევე კარგად იცოდნენ, რომ, თუკი გამოსყიდვის ღვთიური გეგმის თანახმად იცხოვრებდნენ, ამით უფლის ნებისადმი მორჩილებას გამოავლენდნენ. სისხლის გაღების გარეშე შეუძლებელი იყო ცოდვის მიტევება. ამიტომ ცხვრების პირმშოთა შეწირვით ისინი გამოხატავდნენ რწმენას იესო ქრისტეს სისხლის, როგორც აღთქმული შემორიგების, მიმართ. ამავე დროს მადლიერების ნიშნად მათ ღვთის წინაშე უნდა მოეტანათ მიწის პირველი ნაყოფი.

ორივე ძმამ ერთნაირი სამსხვერპლოები ააგო და ყოველმა მათგანმა მოჰგვარა უფალს შესაწირავი. აბელმა, უფლის დადგენილი წესისამებრ, შესწირა მას თავისი ფარიდან. "მოჰხედა უფალმა აბელს და მის ძღვენს" /დაბ. 4:4/. ზეციდან ჩამოვარდნილმა ცეცხლმა შთანთქა მსხვერპლი. მაგრამ კაენმა არად ჩააგდო უფლის ეს პირდაპირი მოთხოვნა და მხოლოდ მიწის პირველნაყოფი შესწირა. ზეციდან არ გამოჩნდა რაიმე ნიშანი იმის დასამოწმებლად, რომ მსხვერპლი მიღებულ იქნა. აბელი ემუდარებოდა ძმას, დამორჩილებოდა უფლის მოთხოვნას, მაგრამ ამან უფრო გაასასტიკა კაენი. უფროსი ძმის უპირატესობიდან გამომდინარე, კაენმა უარყო აბელის რჩევა.

როდესაც კაენი უფლის წინაშე წარსდგა, მისი გული სავსე იყო დრტვინვით, იგი აღთქმული მსხვერპლისა და მისი გაღების აუცილებლობისადმი უნდობლობით იყო გამსჭვალული. მისი

ძღვენი ცოდვების მონანიების არავითარ ნიშანს არ გამოხატავდა. მრავალ ჩვენ თანამედროვეთა მსგავსად, იგი სისუსტედ მიიჩნევდა ღვთიურ დადგენილებათა ზუსტ ასრულებას და ამიტომაც სრულად ვერ მიანდო თავისი ხსნა აღთქმულ მესიას. მან გადაწყვიტა, დამოუკიდებლად ემოქმედა და ღვთის წინაშე საკუთარი დამსახურებით წარმდგარიყო. მან არ შესწირა კრავი და არ შეურია მისი სისხლი გაღებულ შესაწირავს, არამედ საკუთარი შრომის შედეგი - მიწის ნაყოფი მოიტანა, რითაც უფლის კეთილგანწყობის დამსახურებას იმედოვნებდა და რასაც უფლისადმი პატივისცემად მიიჩნევდა. კაენმა მორჩილად ააგო სამსხვერპლო, შესწირა მსხვერპლი, მაგრამ

[71]

[72]

მისი მორჩილება არ იყო სრული. მან უყურადღებოდ დატოვა ყველაზე მთავარი, სახელდობრ: არ აღიარა, რომ მაცხოვარს საჭიროებდა.

ორივე ძმა ერთსა და იმავე ოჯახში დაიბადა, ერთნაირი რელიგიური აღზრდა მიიღო; ორივე ცოდვილი იყო და ორივე

აღიარებდა, რომ აუცილებელია უფლის მოთხოვნათა შესრულება, უზენაესის პატივისცემა და თაყვანისცემა. ერთი შეხედვით, თითქოს ძმებს ღვთისადმი ერთნაირი რწმენაც კი ჰქონდათ, მაგრამ სინამდვილეში მათ შორის დიდი განსხვავება იყო.

"რწმენით შესწირა აბელმა ღმერთს კაენისაზე უკეთესი მსხვერპლი" /ებრ. 11:4/. აბელი ჩასწვდა გამოსყიდვის უდიდეს პრინციპებს; აღიარა თავი ცოდვილად, მიხვდა, რომ ცოდვა და მისი საზღაური - სიკვდილი, ესაა სწორედ ის დაბრკოლება, რომელიც დგას მის სულსა და ღმერთს შორის. პირუტყვის სიცოცხლის გამოსალმებით და მისი შეწირვით იგი დარღვეული კანონის მოთხოვნას აღიარებდა. დაკლულ კრავში იგი ხედავდა მომავალ მსხვერპლს - გოლგოთის ჯვარზე გაკრულ ქრისტეს და, უფალთან ურთიერთობის აღდგენის რწმენით, რაც მომავალში უნდა მომხდარიყო, მიიღო მოწმობა იმისა, რომ იგი გამართლებულია და მისი შესაწირავი - მიღებული.

კაენსაც ჭეშმარიტების შემეცნებისა და მისი მიღების იგივე შესაძლებლობა ჰქონდა, რაც მის ძმას. იგი არ იყო უფლის მიერ წინასწარდასახული მსხვერპლი. უსამართლობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ უფალმა ერთი ძმა წინასწარ დაადგინა მართლად, მეორე კი მოიძულა. აბელმა რწმენა და მორჩილება აირჩია, კაენმა კი - ურწმუნოება და დაუმორჩილებლობა. სწორედ ამაშია საქმის არსი.

კაენისა და აბელის სახით წარმოდგენილია ადამიანთა ორი ჯგუფი, რომელიც წუთისოფლის აღსასრულამდე იარსებებს. ერთნი ღებულობენ მიტევებას ცოდვის მსხვერპლის მეოხებით, მეორენი კი საკუთარ ძალებზე დაყრდნობას ამჯობინებენ. მათ მიერ გაღებულ მსხვერპლს არ ესაჭიროება ღვთიური შუამდგომლობა და არც ადამიანთა უფალთან შემორიგება შეუძლია. მხოლოდ იესო ქრისტეს დამსახურებითაა შესაძლებელი ჩვენი ცოდვების მიტევება. ის, ვინც არ საჭიროებს მაცხოვრის მიერ გაღებულ სისხლს, ვინც ღვთიური მადლის გარეშე უფლის კეთილგანწყობის მოპოვებას იმედოვნებს, კაენის შეცდომას იმეორებს. განმწმედელი სისხლის მიღების გარეშე ადამიანები კანონის მსჯავრის ქვეშ იმყოფებიან, ვინაიდან ცოდვის წყევლისაგან გათავისუფლების სხვა გზა არ არსებობს.

ქრისტიანთა უმრავლესობა წუთისოფელში კაენის მაგალითისამებრ ცხოვრობს. თითქმის ყოველი ცრუ რელიგია იმავე პრინციპზეა დაფუძნებული - ადამიანის გადარჩენა პირად დამსახურებაზეა დამოკიდებული. ზოგი იმასაც ამტკიცებს, რომ კაცობრიობა საჭიროებს არა გამოსყიდვას, არამედ განვითარებას, რომ ადამიანებს საკუთარი ძალისხმევით ძალუძთ შეიძინონ კეთილშობილება, განიწმიდონ და გარდაიქმნან. ეს ადამიანები, კაენის მსგავსად, რომელიც ღვთის წყალობის მოპოვებას გამომსყიდველ სისხლს მოკლებული მსხვერპლის მეშვეობით შეეცადა, იმედოვნებენ, ღვთიური ზნეობის სიმაღლეებამდე აამაღლონ კაცობრიობა ღმერთთან

შემორიგების გარეშე. მაგრამ კაენის ისტორია ცხადყოფს, თუ რა შეუძლია ადამიანს ქრისტეს გარეშე და რა გზას დაადგება იგი. კაცობრიობა უძლურია, ამაღლდეს ზნეობრივად საკუთარი ძალისხმევით, ვინაიდან იგი მიემართება არა სიმაღლეებისაკენ, ღვთიურობისაკენ, არამედ დაბლა, ცოდვის უფსკრულისაკენ. ქრისტეა ჩვენი ერთადერთიი იმედი. "სხვაში არავისში არ არსებობს ხსნა, არც არის ცის ქვეშ ხალხისათვის მიცემული სხვა სახელი, რომლითაც გადავრჩებით" /საქ. 4:12/.

ჭეშმარიტი რწმენა, რომლის დროსაც ქრისტეს სავსებით არიან მინდობილნი,

[73]

უფლის ყველა მოთხოვნის მორჩილებით აღსრულებაში მჟღავნდება. ადამის დროიდან დღემდე არსებული დიადი ბრძოლის მიზეზს სწორედ უფლის რჯულისადმი მორჩილების საკითხი წარმოადგენს. ყველა საუკუნეში არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც უარყოფდნენ უფლის ზოგიერთ მცნებას და ამავე დროს ამტკიცებდნენ, რომ უფლება აქვთ უფლის წყალობაზე. მაგრამ წმიდა წერილი ამბობს, რომ "საქმეებით კი სრულყოფილი შეიქმნა რწმენა" და რომ რწმენა, "თუ საქმენი არ

გააჩნია, თავისთავად მკვდარია" /იაკ. 2:22,17/. "ვინც ამბობს, შევიცანიო იგი და მის მცნებებს არ იცავს, ცრუა და არ არის მასში ჭეშმარიტება" /1 იოან. 2:4/.

როდესაც კაენმა დაინახა, რომ მისი შესაწირავი უარყოფილ იქნა, იგი განრისხდა ღმერთზეც და აბელზეც; ღმერთზე იმიტომ, რომ მან თავის მიერ დადგენილი მსხვერპლის ნაცვლად არ მიიღო ადამიანის მიერ შემოთავაზებული; ხოლო ძმაზე იმიტომ, რომ იგი, იმის ნაცვლად, რომ ამბოხებული ძმისთვის დაეჭირა მხარი, ღმერთს დაემორჩილა. მაგრამ, ღვთის მცნებისადმი ასეთი დამოკიდებულების მიუხედავად, უფალს არ მიუტოვებია კაენი. იგი შეეცადა, გამოეფხიზლებინა და შეეგონებინა ადამიანი, რომელმაც ასეთი უგუნურება გამოიჩინა. უთხრა უფალმა კაენს: "რად გამწარდი? რად ჩაღუნე თავი?". ღვთიური მაცნის მეშვეობით უფალმა გააფრთხილა კაენი: "თუ სიკეთის მქნელი ხარ, განა თავაწეული არ უნდა იარო? თუ სიკეთის მქნელი არა ხარ, ცოდვა ჩასაფრებულა კართან". ახლა კაენს დაეკისრა სწორი არჩევანისათვის პასუხისმგებლობა: თუ აღიარებს აღთქმული მაცხოვრის დამსახურებას და ღვთის მოთხოვნებს დაემორჩილება, მოიპოვებს უზენაესის კეთილგანწყობას, მაგრამ თუ კვლავ ჯიუტად აირჩევს ურწმუნოებისა და ურჯულოების გზას, მაშინ მისი საყვედური იმის გამო, რომ უფალმა უარყო იგი, ყოველგვარ საფუძველს იქნება მოკლებული.

მაგრამ საკუთარი დანაშაულის გულწრფელად აღიარების ნაცვლად, კაენი კვლავ თვლიდა, რომ ღმერთი უსამართლოა.

იგი ამბოხების სულმა და აბელისადმი შურისა და სიძულვილის გრძნობამ შეიპყრო. გაბრაზებული საყვედურობდა თავის ძმას და ცდილობდა, იგი უფლის საქმეებზე კამათში ჩაება. მშვიდად, მაგრამ მტკიცედ და უშიშრად უჭერდა მხარს აბელი უფლის სამართლიანობასა და გულმოწყალებას, ძმას შეცდომებზე მიუთითებდა და ცდილობდა დაერწმუნებინა, რომ კაენის უკმაყოფილების მიზეზი თავად მასშია დაფარული. აბელმა გაახსენა ძმას, თუ რა დიდი მოწყალება გამოიჩინა ღმერთმა მათი მშობლების მიმართ და მიუტევა, თუმცა მათ შესცოდეს და სიკვდილს იმსახურებდნენ. აბელი არწმუნებდა კაენს მათ მიმართ უფლის უანგარო სიყვარულში, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი არ გასწირავდა თავის ერთადერთ, უცოდველ ძეს ტანჯვისა და იმ სასჯელისათვის, რომელიც მხოლოდ მათ ეკუთვნოდა. მაგრამ ყოველივე ეს კიდევ უფრო არისხებდა კაენს. გონება და სინდისი კარნახობდა მას, რომ აბელი მართალია, მაგრამ მის გაშმაგებას იწვევდა გამბედაობა აბელისა, რომელიც აქამდე ყველაფერში ეთანხმებოდა უფროს ძმას, ახლა კი ასეთი მტკიცე წინააღმდეგობა გაუწია. გამძვინვარებულმა კაენმა მოკლა თავისი ძმა.

კაენმა შეიძულა და შემდეგ კი მოკლა საკუთარი ძმა არა იმიტომ, რომ მან რაიმე დააშავა, არამედ "იმისათვის, რომ მისი საქმენი ბოროტი იყო, ხოლო მისი ძმისა - მართალი" /1 იოან. 3:12/. და ასე იყო ყოველთვის: ურჯულოთ სძულდათ ისინი, ვინც მათზე უკეთესი იყო. უფლის მორჩილი აბელის ცხოვრება და მისი ურყევი რწმენა მუდამ მტანჯველი საყვედური იყო კაენისათვის.

"ვინაიდან ყველას, ვინც ბოროტებას სჩადის, სძულს ნათელი და არ მიდის ნათლისაკენ, რათა არ იქნეს მხილებული მისი საქმენი" /იოან.

[74]

3:20/. რაც უფრო დიდია უფლის ერთგულ მსახურთა გულებში არეკლილი ზეციური ნათელი, მით უფრო გარკვევით ამხელს იგი ურჯულოთა ცოდვებს და მით უფრო მტკიცე იქნება მათი გადაწყვეტილება, გაანადგურონ თავისი სიმშვიდის დამრღვევნი.

აბელის მკვლელობისას პირველად გამოვლინდა ის მტრობა, რომლის შესახებაც უფალმა თქვა, რომ იარსებებდა იგი გველსა და დედაკაცის თესლს შორის, სატანასა და მის თანამზრახველთა და ქრისტესა და მის მიმდევართა შორის. ცოდვით დაცემამ ადამიანები სატანის ხელმწიფებას დაუმორჩილა, მაგრამ ქრისტეში ისინი პოვებენ ძალას მისი უღლისაგან თავის დასაღწევად. ყოველთვის, როგორც კი ადამიანი ღვთის კრავისადმი რწმენის მეშვეობით ტოვებს ცოდვას, სატანის რისხვა იზრდება. აბელის წმიდა ცხოვრებამ სრულიად გააქარწყლა სატანის მტკიცება იმის შესახებ, რომ ადამიანისათვის შეუძლებელია უფლის მცნებების დაცვა.

როდესაც ეშმაკის მიერ წაქეზებული კაენი დარწმუნდა, რომ აბელი მას აღარ ემორჩილებოდა, ისე გაშმაგდა, რომ ძმა მოკლა. და ყველგან, სადაც არ უნდა იყვნენ ისინი, ვინც უფლის კანონის სამართლიანობაზე მოწმობს, მათ იგივე სული შეეწინააღმდეგება, სული, რომელიც ყველა საუკუნეში ანთებდა კოცონს, რომელზედაც წვავდნენ ქრისტეს ერთგულ მსახურთ. სატანა და მისი ბოროტი ანგელოზები სასტიკად დევნიან იესოს მომხრეთ, ვინაიდან მათი დამორჩილება არ შეუძლიათ. ეს უკვე დამარცხებული მტრის მძვინვარებაა. ქრისტეს ყოველი მოწაფე გამარჯვებული მოკვდა. წინასწარმეტყველის სიტყვის თანახმად, "დიდი გველეშაპი, ძველი გველი.... გაიმარჯვეს მასზე კრავის სისხლით და მათი მოწმობის სიტყვით და არ შეიყვარეს თავიანთი სული, თვით სიკვდილამდე" /გამოცხ. 12:9-11/.

კაენ-მკვლელს მალე მოეთხოვა პასუხი თავისი დანაშაულისათვის. "უთხრა უფალმა კაენს: სად არის შენი ძმა აბელი? მიუგო: არ ვიცი. ჩემი ძმის დარაჯი ხომ არა ვარ?" კაენი ისე ჩაეფლო ცოდვის მორევში, რომ უკვე ვეღარ გრძნობდა უფლის არსებობას თავის გვერდით, მის დიდებულებას და ყოვლისმცოდნეობას და თავისი დანაშაულის დასაფარავად იცრუა.

კვლავ მიმართა უფალმა კაენს: "ეს რა ჩაიდინე? შენი ძმის სისხლი მიწიდან შემომღაღადებს". უფალმა კვლავ მისცა

შესაძლებლობა კაენს, ეღიარებინა ჩადენილი დანაშაული. მას საკმაო დრო მიეცა პასუხისათვის. კაენს კარგად ესმოდა ჩადენილი ბოროტების საშინელება, მის დასაფარავად წარმოთქმული სიცრუის სისაძაგლე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჯიუტად უარყო იგი და მალე განაჩენიც გამოტანილ იქნა. ღვთიურმა ხმამ, რომელიც ადრე ეველრებოდა და აფრთხილებდა, ახლა მკაცრად წარმოთქვა: "ამიერიდან დაწყევლილი ხარ მიწისაგან, რომელმაც გახსნა პირი, რათა მიეღო შენი ძმის სისხლი შენი ხელიდან. დაამუშავებ მიწას, მაგრამ აღარ მოგცემს იგი თავის ძალას; დევნილი და მიუსაფარი შეიქნები ამ ქვეყანაზე".

მიუხედავად იმისა, რომ კაენი ჩადენილი ბოროტებისათვის სასიკვდილო განაჩენს იმსახურებდა, შემოქმედმა თავისი სიყვარულისა და თანაგრძნობის გამო შეიწყალა იგი და მონანიების შესაძლებლობა მისცა. მაგრამ კაენმა კვლავ გაისასტიკა გული, უფრო და უფრო ძლიერ აუჯანყდა ღვთიურ მმართველობას და ამრიგად, იგი უტიფარ, გარყვნილ ცოდვილთა გვარის ფუძემდებელი გახდა. ღვთისაგან განდგომილმა სატანის ქვეშევრდომმა სხვებიც აცდუნა. მის მაგალითს და საქმეებს ისეთი ძლიერი ზეგავლენა ჰქონდა, რომ მთელი დედამიწა გაიხრწნა და ისეთი ძალადობით აივსო, რომ მალე საჭირო გახდა მისი განადგურება.

უფალმა სიცოცხლე შეუნარჩუნა პირველ მკვლელს, რითაც გაკვეთილი მისცა მთელ სამყაროს დიად ბრძოლასთან დაკავშირებით. კაენისა და მისი

[77]

[78]

შთამომავლობის ბნელი ისტორია თვალსაჩინო მაგალითი იყო იმისა, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა უფლის მოქმედებას, თუკი ცოდვილს მარადიული ცხოვრების ნება და ამბოხების ჩანაფიქრის განხორციელების შესაძლებლობა მიეცემოდა. უფლის დიდი მოთმინება მხოლოდ ხელს უწყობდა უწმიდურთა ურჯულოებას და სისასტიკეს. კაენის მიმართ განაჩენის გამოტანის დღიდან თხუთმეტი საუკუნის შემდეგ საშინელმა დანაშაულმა და ცოდვამ წალეკა მთელი დედამიწა და მთელი სამყაროსათვის ცხადი გახდა, რომ ეს მისი საქმეების დამღუპველი ზეგავლენის შედეგი იყო. მაშინ ნათელი გახდა, რომ ცოდვილის მიმართ უფლის რჯულის დარღვევისათვის გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი სამართლიანიც იყო და შემწყნარებლურიც. რაც უფრო მეტ ხანს ცხოვრობდნენ ადამიანები ცოდვაში, მით უფრო იხრწნებოდნენ. ღვთიური

განაჩენი, რომელიც აკავებდა ურჯულოებას, აღვირახსნილობას და ათავისუფლებდა წუთისოფელს ამბოხებულთა სასტიკი, დამღუპველი ზეგავლენისაგან, უფრო კურთხევა იყო, ვიდრე წყევლა.

სატანა გამუდმებით, უშრეტი ენერგიით იღწვის, რათა დამახინჯებულად წარმოადგინოს უფლის არსი და მისი მმართველობის პრინციპები. უჩვეულო ოსტატობით, მოფიქრებულად ცდილობს იგი, სიცრუესა და სიბნელეში ამყოფოს მთელი ქვეყნიერება. უსასრულო და ყოვლისმცოდნე ღმერთმა დასაბამიდანვე იცის დასასრული და მისი გეგმები ცოდვის საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით ყოვლისმომცველი და დიდებულია. მას განზრახული აქვს არა მხოლოდ ბოლო მოუღოს ამბოხებას, არამედ მთელ უსასრულო სამყაროს სატანის არსი აჩვენოს. ღვთის გეგმა გამჟღავნდა და დაგვანახა უფლის როგორც სამართლიანობა, ასევე წყალობა, რამაც სრულად გაამართლა უზენაესის სიბრძნე და სიმართლე ბოროტებასთან მიმართებაში.

სხვა, უცოდველ სამყაროთა მკვიდრნი უდიდესი ინტერესით ადევნებდნენ თვალს ყველაფერს, რაც დედამიწაზე ხდებოდა. წარღვნამდელი წუთისოფლის მდგომარეობა ლუციფერის მმართველობის შედეგებზე მეტყველებდა, მმართველობისა, რომლის განხორციელებაც მას ზეცაში ქრისტეს ხელმწიფებისა და უფლის წმიდა რჯულის გაუქმებით სურდა. წარღვნამდელი სამყაროს თავნება ცოდვილებში ისინი სატანის ქვეშევრდომთ

ხედავდნენ. "უკეთური იყო მუდამჟამს მათი ყოველი გულისთქმა" /დაბ. 6:5/. ადამიანი ყოველმხრივ: თავისი გრძნობებით, სურვილებითა და წარმოდგენებით - მტრულად განეწყო ღვთიური პრინციპების - სიწმიდის, მშვიდობის და სიყვარულის მიმართ. ეს იყო საშინელი მაგალითი მანკიერებისა, რომელიც გახდა შედეგი სატანის მცდელობისა, ქმნილება შემოქმედის წმიდა რჯულის მოთხოვნებისაგან გაეთავისუფლებინა.

დიად ბრძოლაში გაცხადებული ფაქტებით უფალი წარმოგვიდგენს თავისი მმართველობის პრინციპებს, რომლებიც გააყალბა სატანამ და ყველამ, ვისი ცდუნებაც მან შეძლო. საბოლოოდ უფლის სამართლიანობას აღიარებს მთელი სამყარო, თუმცა ამბოხებულთათვის ხსნა უკვე გვიანი იქნება. მთელი სამყაროს თანაგრძნობითა და მხარდაჭერით, ნაბიჯ-ნაბიჯ ახორციელებს უფალი თავის უდიდეს ჩანაფიქრს - ამბოხების საბოლოო ჩახშობას. მაშინ ცხადი გახდება, რომ ღვთიურ დადგენილებათა ყოველი უარმყოფელი სატანას მიემხრო ქრისტეს წინააღმდეგ ბრძოლაში. როდესაც წუთისოფლის მთავარი დაისჯება და მისი თანამზრახველნიც მის ხვედრს გაიზიარებენ, მაშინ ზეცის ყველა მკვიდრი, მოწმე განაჩენისა, გამოაცხადებს: "წრფელი და ჭეშმარიტია შენი გზები, წმიდანთა მეფეო!" /გამოცხ. 15:3/.

[79]

თავი 6 - შეთი და ენოქი

დაბადება 4:25-6:2

ადამს მიეცა სხვა ვაჟი, რომელიც ღვთიური აღთქმის და სულიერი პირმშოობის მემკვიდრე უნდა გამხდარიყო. მას შეთი უწოდეს, რაც "განწესებულს" ანუ "საზღაურს" ნიშნავს, ვინაიდან მისმა დედამ თქვა: "მომმადლაო უფალმა სხვა ნაშიერი ნაცვლად აბელისა, კაენმა რომ მოკლა". გარეგნულად შეთი კაენზე და აბელზე მეტად წარმოსადეგი იყო და ძეთაგან ყველაზე მეტად ჰგავდა ადამს. კეთილშობილებით შეთი აბელს დაემსგავსა, თუმცა მემკვიდრეობითი კეთილშობილება კაენზე მეტი არ მიუღია. ადამის შექმნის თაობაზე ნათქვამია: "გააჩინა ღმერთმა ადამი, ღვთის მსგავსად შექმნა იგი"; მაგრამ დაცემის შემდგომ ადამიანი "თავის მსგავსად და თავის ხატად" აჩენდა შვილებს. თუმცა ადამი ღმერთმა უცოდველად, თავის მსგავსად შექმნა, შეთს, კაენის მსგავსად, ცოდვილი ბუნება მშობლებისაგან დაჰყვა. მაგრამ მან მაცხოვრის შესახებაც გაიგო და სიმართლის პრინციპებიც შეიმეცნა. ღვთიური მადლით ემსახურებოდა იგი ღმერთს და ადიდებდა მას. ცოდვილებთან ურთიერთობისას /როგორც ამას გააკეთებდა აბელი, ცოცხალი რომ ყოფილიყო/

შეთი ასწავლიდა მათ ღვთისადმი პატივისცემას და შემოქმედის ნებისადმი მორჩილებას.

"შეთსაც შეეძინა ვაჟი და უწოდა სახელად ენოში. მაშინ დაიწყო უფლის სახელის ხსენება". თავდაპირველად ერთგულნი ღმერთს სცემდნენ თაყვანს, მაგრამ დედამიწაზე მოსახლეობის ზრდასთან ერთად ადამიანთა ორ ჯგუფს შორის განსხვავებაც თანდათან უფრო შესამჩნევი ხდებოდა. ერთნი დაუფარავად აღიარებდნენ ღმერთისადმი ერთგულებას, სხვები კი უარყოფდნენ და არ ემორჩილებოდნენ მას.

ცოდვით დაცემამდე ჩვენი წინაპრები იცავდნენ შაბათ დღეს, რომელიც მათ უფალმა ედემში დაუდგინა და განაგრძობდნენ მის წმიდად შენახვას იქიდან გაძევების შემდეგაც. მათ უკვე იგემეს დაუმორჩილებლობის მწარე ნაყოფი და მიხვდნენ, რომ ღვთის მცნებების ყოველი უარმყოფელი ადრე თუ გვიან მიხვდება, რომ ღვთიური კანონები წმიდა და უცვლელია და სასჯელი მათი დარღვევისათვის - გარდაუვალია. წმიდა შაბათს იცავდა უფლის ყველა ერთგული შვილი. მაგრამ კაენი და მისი შთამომავლობა არ აღიარებდა დღეს, რომელ დღესაც თვით შემოქმედმა დაისვენა. მათ თავად დააწესეს მუშაობისა და დასვენების დღეები, რითაც უარყვეს უდიდესი იეჰოვას მცნებები.

ღვთისაგან დაწყევლილმა კაენმა დატოვა მამის სახლი. თავდაპირველად მიწათმოქმედებას მიჰყო ხელი და ააშენა

ქალაქი, რომელსაც თავისი უფროსი ძის სახელი უწოდა. მან ზურგი აქცია ღმერთს, დაივიწყა აღთქმა ედემში დაბრუნების შესახებ, ცოდვის გამო დაწყევლილ დედამიწაზე ამქვეყნიური სიმდიდრისა და ნეტარების ძებნა იწყო და ამრიგად, სათავეში ჩაუდგა ადამიანთა დიდ ჯგუფს, რომელმაც შემოქმედს ამ წუთისოფლის ღმერთების თაყვანისცემა არჩია. კაენის შთამომავლობამ უდიდეს წარმატებებს მიაღწია მიწიერი კეთილდღეობის შეძენის საქმეში, მაგრამ ღვთისადმი გულგრილი დარჩა და ადამიანის მიმართ მის ყოველ ჩანაფიქრს ეწინააღმდეგებოდა. მკვლელობის საშინელ ცოდვას, რომელიც პირველად კაენმა ჩაიდინა, მისი მეხუთე თაობის წარმომადგენელმა, ლამექმა, მრავალცოლიანობაც დაუმატა. გამომწვევი თავხედობით აღიარებდა იგი ღმერთს მხოლოდ პირადი გამორჩენისა და უსაფრთხოებისათვის, ვინაიდან უფალმა დაწყევლა ყოველი, ვინც მკვლელის მოკვლას დააპირებდა /იხ. დაბ. 4:23/. აბელი მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდა,

[80]

[81]

ცხოვრობდა კარავში და შეთის შთამომავლობაც იმავე გზას დაადგა, რადგან თვლიდა, "რომ უცხონი და ხიზნები არიან ამ ქვეყანაზე" და "სურდათ უკეთესი, ესე იგი, ზეციური" /ებრ. 11:13,16/.

რამდენიმე ხანს კაენისა და შეთის შთამომავლობა ცალ-ცალკე ცხოვრობდა. კაენიტებმა დატოვეს თავიანთი ადრინდელი საცხოვრისი და იმ ველ-მინდვრებს მიაშურეს, სადაც შეთის შვილები ცხოვრობდნენ, ხოლო ეს უკანასკნელნი კი, მათი დამღუპველი ზეგავლენისაგან თავის დაღწევის მიზნით, მთებში ავიდნენ და იქ გაშალეს თავიანთი კარვები. ასეთი განცალკევებული ცხოვრებით შემოინახა შეთის შთამომავლობამ ღვთისადმი მსახურების სიწმიდე. მაგრამ თანდათან, დროთა განმავლობაში ისინი ბარის მოსახლეობას შეერივნენ, რამაც დამღუპველი შედეგი გამოიღო. "დაინახეს ღვთისშვილებმა, რომ მშვენიერნი იყვნენ ადამიანთა ასულები და მოჰყავდათ ცოლად, ვისაც ვინ მოეწონებოდა" /დაბ. 6:2/. კაენიტთა ასულებით მოხიბლული შეთის შვილები ცოლად ირთავდნენ მათ და დიდად ამწუხრებდნენ უფალს. ღვთის მრავალმა თაყვანისმცემელმა შესცოდა ასეთი მრავალგვარი ცდუნებით და დაკარგა თავისი განსაკუთრებული სიმართლე. უწმიდურებთან აღრევით თავად დაემსგავსნენ მათ სულითა და საქმეებით. მეშვიდე მცნების შეზღუდვების მიუხედავად, "მოჰყავდათ ცოლად, ვისაც ვინ მოეწონებოდა". და შეთის შვილებიც კაენის გზას დაადგნენ /იუდ. 11/; იწყეს მიწიერი კეთილდღეობისა და სიამტკბილობის ძებნა და მიატოვეს ღვთის მცნებები. ადამიანებმა შეიცნეს ღმერთი და არ ადიდეს იგი,

არამედ "ამაო გახდა მათი გონიერება და დაუბნელდათ უმეცარი გული", ამიტომაც "ღმერთმა ისინი გადასცა უკუღმართ გონებას" /რომ. 1:21,28/. და ცოდვა, როგორც სასიკვდილო კეთრი, მოედო მთელ დედამიწას.

თითქმის ათასი წელიწადი ცხოვრობდა ადამი წუთისოფელში, როგორც ცოდვის შედეგის უტყუარი მოწმე. იგი გულწრფელად ცდილობდა, შეეჩერებინა ბოროტების ნაკადი. მას დაევალა ჭეშმარიტებაში თავისი შთამომავლობის აღზრდა და ისიც გულდასმით ინახავდა და მომავალ თაობებს გადასცემდა იმას, რაც უფლმა გაუცხადა. ადამი თავის შვილებსა და შვილთაშვილებს თითქმის მეცხრე თაობამდე უამბობდა სამოთხის ბაღში წმიდა და ბედნიერი ცხოვრების ამბავს. მოუთხრობდა თავის დაცემაზე, იმ სატანჯველზე, რომელიც უფალმა დაუდგინა, რამაც იგი უფლის კანონის აღსრულების აუცილებლობაში დაარწმუნა. ცდილობდა, შთამომავლობისათვის ეჩვენებინა მოწყალე ღმერთი, რომელიც მათ გადარჩენაზე ზრუნავს. მაგრამ, სამწუხაროდ, ადამიანთა ძალზე მცირე ნაწილმა უსმინა მის სიტყვებს. ხშირად უხდებოდა ადამს მწარე საყვედურების მოსმენა მის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო, რამაც ასეთი დიდი სატანჯველი მოუტანა კაცობრიობას.

ადამს მწუხარებით, მორჩილებითა და სინანულით აღსავსე ცხოვრება ჰქონდა. ედემის ბაღიდან გაძევების შემდეგ

სიკვდილზე ფიქრი საშინლად ტანჯავდა და მოსვენებას არ აძლევდა. ადამიანთაგან მას პირველს მოუხდა შეხება სიკვდილთან, როცა პირმშო კაენი საკუთარი ძმის მკვლელი გახდა. იგი სასტიკად იტანჯებოდა ჩადენილი ცოდვის, აბელის სიკვდილისა და კაენის განდგომის გამო. ამასთან ერთად იგი ნათლად ხედავდა, თუ თანდათანობით როგორ იზრდებოდა ადამიანთა ზნედაცემულობა, რამაც საბოლოოდ კაცობრიობა წარღვნამდე მიიყვანა. თუმცა შემოქმედის მიერ მის მიმართ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი თავდაპირველად ძლიერ სასტიკი ეჩვენა, მაგრამ შემდგომში, როცა ათასი წლის განმავლობაში საკუთარი თვალით იხილა ცოდვის საშინელი შედეგი, მიხვდა, რომ ტანჯვითა და მწუხარებით აღსავსე სიცოცხლის განადგურება დედამიწაზე - უფლის უდიდესი მოწყალების გამოვლინება იყო.

წარღვნამდელი წუთისოფლის ურჯულოების მიუხედავად, ის პერიოდი არ

[82]

ყოფილა უვიცობისა და პირველყოფილი წყობილების ჟამი, როგორც ხშირად ვარაუდობენ. ადამიანებს ზნეობრივი და

გონებრივი განვითარების მწვერვალების დაპყრობის უდიდესი შესაძლებლობები გააჩნდათ. მათ არაჩვეულებრივი ფიზიკური ძალა და ბრწყინვალე გონება ჰქონდათ. უსასრულოდ დიდი იყო სულიერი და მეცნიერული ცოდნის შეძენის შესაძლებლობები. არ იქნებოდა სწორი, გვეფიქრა, რომ, რადგან ადრე ადამიანი ასე დიდხანს ცოცხლობდა, მისი გონების მომწიფება გვიან ხდებოდა. მათი ინტელექტუალური განვითარება ადრე იწყებოდა. ღვთისმოშიშთა და მისი ნების აღმსრულებელთა ზრდა შემეცნებასა და სიბრძნეში მთელი სიცოცხლის განმავლობაში ხდებოდა. შესაძლებელი რომ იყოს ჩვენი დროის სახელგანთქმულ მეცნიერთა შედარება წარღვნამდელ სამყაროში მცხოვრებ მათ კოლეგებთან, რა უსუსურნი გამოჩნდებოდნენ ისინი თავიანთი ფიზიკური და გონებრივი განვითარების დონით. სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირებასთან ერთად ადამიანს თანდათან უქვეითდებოდა ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობანი. დღეს არიან ადამიანები, რომლებიც ოცდახუთიდან ორმოცდაათი წლის ასაკამდე სწავლობენ და მსოფლიო აღტაცებულია მათი წარმატებებით. მაგრამ რა მცირე გამოჩნდებოდა მათი ცოდნა იმ ადამიანთა ცოდნასთან შედარებით, რომელთა შესაძლებლობანი ასწლეულთა მანძილზე ვითარდებოდა!

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ჩვენმა თანამედროვეებმა განვითარების შესაძლებლობა და შემეცნების მწვერვალებისაკენ სწრაფვის უპირატესობა ჩვენი წინაპრებისაგან მიიღეს. უმაღლესი ინტელექტის ადამიანები იკვლევდნენ, ქმნიდნენ და წერდნენ და ყოველივე ამას მომავალ

თაობებს მემკვიდრეობად უტოვებდნენ, მაგრამ ძველი ეპოქის მკვიდრთა უპირატესობა შეუდარებლად დიდი იყო. მათ შორის ასწლეულთა მანძილზე ცხოვრობდა ის, ვინც უფალმა თავის ხატად შექმნა, ვისზედაც ღმერთმა თქვა, რომ "ძალიან კარგი იყო", ადამიანი, რომელსაც შემოქმედმა წუთისოფლის ყოველი სიბრძნე შეასწავლა. ადამმა თვით შემოქმედისაგან მოისმინა და შეისწავლა დედამიწის შექმნის ისტორია; საკუთარი თვალით იხილა მოვლენები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ დედამიწაზე ცხრაასი წლის განმავლობაში და ყოველივე ამას შთამომავლობას გადასცემდა. წარღვნამდელ ადამიანებს არ ჰქონდათ დამწერლობა და, აქედან გამომდინარე, წიგნებიც, მაგრამ მათ ებოძათ უდიდესი ნიჭი და არაჩვეულებრივი მეხსიერება, რომლის მეშვეობითაც თავიანთ ცოდნას ზუსტად, უშეცდომოდ გადასცემდნენ მომავალ თაობებს. საუკუნის განმავლობაში ერთდროულად შვიდი თაობა ცხოვრობდა, რომელთაც ცოდნისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარების უდიდესი შესაძლებლობები გააჩნდათ.

იმ დროის ადამიანებს შესაძლებლობა ჰქონდათ, ღვთიური შემეცნება შემოქმედის განუმეორებელი ქმნილების მეშვეობით მიეღოთ. ეს იყო უდიდესი სინათლის პერიოდი და რელიგიური სიბნელე არ არსებობდა. მთელ წუთისოფელს თვით ადამისაგან შეეძლო შეეცნო ჭეშმარიტება, ხოლო ღვთისმოშიშთ, ამას გარდა, სხვა მასწავლებლებიც ჰყავდათ - იესო ქრისტე და მისი ანგელოზები. მრავალ საუკუნეთა მანძილზე მათ შეეძლოთ ეხილათ ჭეშმარიტების უტყვი მოწმე - სამოთხის ბაღი. მის

კარიბჭესთან, რომელსაც ქერუბიმები იცავდნენ, ჩამოდიოდა უფლის დიდება და თავს იყრიდნენ მლოცველნი. აქ აგებდნენ ისინი სამსხვერპლოებს და სწირავდნენ მსხვერპლს. აქ შესწირეს მსხვერპლი კაენმა და აბელმა. და უფალიც ჩამოვიდა ციდან მათთან ურთიერთობისათვის.

სკეპტიკოსები ვერ უარყოფდნენ სამოთხის ბაღის არსებობას მანამ, სანამ ყველას შეეძლო მისი ხილვა და სანამ მის შესასვლელს ანგელოზები იცავდნენ. შემოქმედების თანმიმდევრობა, ბაღი, ისტორია ორი ხისა, ასე მჭიდროდ დაკავშირებული ადამიანის ბედთან, - ყოველივე ეს იყო ფაქტი, რომელსაც მტკიცება არ სჭირდებოდა. სანამ ადამი ცოცხალი იყო, ვერავინ უარყოფდა

[83]

[84]

ღმერთის არსებობას, მის უზენაეს ხელმწიფებას და მისი რჯულის მოთხოვნებს.

მზარდი ურჯულოების მიუხედავად, იმ პერიოდში არსებობდა წმიდათა დინასტია - კეთილშობილი, უფალთან ურთიერთობით გასპეტაკებული ადამიანები, რომლებიც ისე ცხოვრობდნენ დედამიწაზე, როგორც ზეცაში. მათ ჰქონდათ ძლიერი გონება და შემეცნების უჩვეულო უნარი. ისინი ემსახურებოდნენ ერთ უდიდეს, წმიდა მიზანს - შეეძინათ მართალი ხასიათის თვისებები და ღვთისმოსაობის მაგალითი დაეტოვებინათ არა მხოლოდ მათთვის, ვინც მათ გვერდით ცხოვრობდა, არამედ ყველა მომავალი თაობისთვისაც. წმიდა წერილის ფურცლებზე მხოლოდ მცირე მათგანი მოიხსენიება - მათ შორის ყველაზე გამოჩენილნი. მაგრამ ღმერთს ყოველთვის, ყველა საუკუნეში ჰყავდა თავისი ერთგული, გულწრფელი მიმდევრები.

წმიდა წერილში ნათქვამია, რომ სამოცდახუთი წლისა იყო ენოქი და შვა ვაჟი. ამის შემდგომ იგი სამასი წლის განმავლობაში "დადიოდა ღმერთთან". ბავშვობიდანვე უყვარდა ენოქს თავისი უფალი, ღვთისმოშიში იყო და მის მცნებებს იცავდა. იგი იმ წმიდათა დინასტიას მიეკუთვნებოდა, რომლებიც ინარჩუნებდნენ ჭეშმარიტ რწმენას და აღთქმული თესლის წინაპრებად ითვლებოდნენ. ადამისგან გაიგონა ენოქმა ცოდვის გაჩენის შავბნელი ისტორია, ასევე სასიხარულო უწყება უფლის აღთქმის შესახებ და სრულად მიენდო მომავალ მაცხოვარს. პირმშოს შეძენამ უფრო გააღრმავა ენოქის განცდები: იგი უფრო დაუახლოვდა ღმერთს; როგორც ღვთის შვილმა, მან უფრო ღრმად შეიცნო საკუთარი მოვალეობა და პასუხისმგებლობა.

როცა თავისი შვილის მისდამი სიყვარულს აკვირდებოდა, როცა შეიცნო მისი გულწრფელი ნდობა მამის ძლიერებისადმი და თავადაც ნაზი სიყვარულით განიმსჭვალა საკუთარი ძისადმი, ენოქი ჩასწვდა შემოქმედის საოცარ სიყვარულს ადამიანებისადმი, რომლებსაც უფალმა თავისი ერთადერთი ძე მიუძღვნა. მან ისწავლა ნდობა, რომელიც ღვთის შვილთ აუცილებლად უნდა გააჩნდეთ თავიანთი ზეციერი მამისადმი. იესო ქრისტეში გაცხადებული მამის უსაზღვრო, უკიდეგანო სიყვარული მისი მუდმივი მსჯელობის საგანი გახდა და მთელი გულმოდგინებით ცდილობდა იგი ამ სიყვარულის გარშემო მყოფ ადამიანთა მიმართ გამოვლენას.

"დადიოდა ღმერთთან ენოქი" არა ექსტაზში ყოფნისას და ხილვებში, არამედ თავისი ყოველდღიური, ცხოვრებისეული საქმიანობით. მას არ მიუტოვებია ადამიანები და განდეგილის ცხოვრებით არ უცხოვრია, ვინაიდან წუთისოფელში უნდა ეშრომა ღვთისათვის. საკუთარ ოჯახში, შინ თუ გარეთ, როგორც ქმარი და მამა, მოქალაქე და მეგობარი, იგი მტკიცედ და ერთგულად ემსახურებოდა უფალს.

მისი გული სრულ თანხმობაში იყო ღვთის ნებასთან, ვინაიდან "აბა, თუ ივლიან ორნი ერთად, თუ ერთმანეთში არ შეთანხმდნენ?" /ამოს. 3:3/. და ეს წმიდა ურთიერთობა სამას წელიწადს გაგრძელდა. ცოტა თუ მოიძებნება ისეთი ქრისტიანი, რომელიც თავისი სიკვდილის ჟამის ან ქრისტეს მოსვლის

მოახლოების შეცნობის შემთხვევაში უფრო სერიოზულად და ღრმად არ მოეკიდება ღვთის საქმეს. მაგრამ საუკუნეები გადიოდა, ენოქს კი რწმენა უფრო მეტად უმტკიცდებოდა, სიყვარული თანდათან უძლიერდებოდა.

ენოქს ჰქონდა ძლიერი, უზადო გონება და ფართო შემეცნების უნარი. ღმერთმა იგი განსაკუთრებული გამოცხადების ღირსი გახადა. მიუხედავად ზეცასთან მუდმივი ურთიერთობისა და ღვთიური დიდებულებისა და სრულყოფილების შეცნობისა, იგი ყველაზე მორჩილი ადამიანი იყო მთელ დედამიწაზე. რაც უფრო ახლო ურთიერთობა ჰქონდა მას შემოქმედთან, მით უფრო ღრმად გრძნობდა საკუთარ არასრულყოფილებას და სისუსტეს.

განდგომილთა სულ უფრო და უფრო მზარდი ურჯულოებით დათრგუნვილი

[85]

ენოქი შიშობდა, ამ საყოველთაო ურწმუნოებას არ შეესუსტებინა მისი წმიდა ურთიერთობა ღმერთთან და ამიტომ იგი ხშირად ადამიანებთან მუდმივ ურთიერთობას მარტოობაში ლოცვას და

ღმერთზე ფიქრს ამჯობინებდა. იგი სრულად მიენდო ღმერთს, ცდილობდა, უფრო ღრმად შეეცნო მისი ნება და აღესრულებინა ის. ლოცვა მისთვის სიცოცხლის სუნთქვა იყო და დედამიწაზე იგი ზეციურ ატმოსფეროში ცხოვრობდა.

წმიდა ანგელოზთა მეშვეობით უფალმა გაანდო ენოქს თავისი განზრახვა წუთისოფლის წარღვნით მოსპობის შესახებ და, ამავე დროს, უფრო ღრმად ჩაახედა ცოდვისაგან ადამიანის გამოსყიდვის გეგმაში. წინასწარმეტყველების სულის მეშვეობით აჩვენა მას წარღვნის შემდგომი თაობები და ბოლო ჟამს ქრისტეს მეორედ მოსვლასთან დაკავშირებული უდიდესი მოვლენები.

ენოქს ძლიერ აღელვებდა მკვდრებთან დაკავშირებული საკითხი. ადრე მას ეგონა, რომ მართალიც და უწმიდურიც ერთნაირად ჩავიდოდა საფლავში და ამით დამთავრდებოდა ყოველივე და არ იცოდა, რა ელოდა ადამიანს სიკვდილის შემდეგ. მას მიეცა წინასწარმეტყველური ხილვა ქრისტეს სიკვდილთან დაკავშირებით, იხილა მისი დიდებით მოსვლა ურიცხვ წმიდა ანგელოზთა თანხლებით თავისი ხალხის სიკვდილის ბრჭყალებიდან გასათავისუფლებლად. მან იხილა აგრეთვე წუთისოფლის გახრწნილი, საშინელი მდგომარეობა ქრისტეს მეორედ მოსვლის წინ, გათავხედებული, თვითდაჯერებული, უზნეო თაობა, ერთიანი ღმერთისა და უფალ იესო ქრისტეს უარმყოფელი, მისი რჯულისა და მისმიერი ხსნის აბუჩად ამგდები ადამიანები. იხილა

მართალნიც, დიდებითა და პატივით მოსილნი და ურჯულონიც, უფლისაგან რომ გარბოდნენ და ცეცხლით რომ განადგურდნენ.

ენოქი გახდა მქადაგებელი სიმართლისა, რომელიც მას ღმერთმა გაუხსნა. ღვთისმოშიში ადამიანები ესწრაფოდნენ ამ წმიდა კაცთან ურთიერთობას, რათა ესმინათ მისი სიტყვა და ელოცათ მასთან ერთად. იგი ახარებდა უფლის სიტყვას ყველას, ვისაც სურდა ამ გაფრთხილებათა მიღება. იგი ჭეშმარიტ სიტყვას აწვდიდა არა მხოლოდ შეთის შვილებს. მიწაზე, საითაც კაენი გაიქცა, რათა უფლის თვალს დამალვოდა, უფლის წინასწარმეტყველი ამცნობდა ხალხს იმ საოცარ მოვლენებს, უფალმა ხილვაში თავად მას რომ აუწყა. "აჰა, მოდის უფალი თავის ათეულ ათასობით წმიდასთან ერთად, რათა ყველა განიკითხოს და ამხილოს უღვთოთა ყოველგვარი საქმე, რაც მათ უღვთობით ჩაუდენიათ" /იუდ. 14,15/.

იგი უშიშრად ამხილებდა ცოდვას; უქადაგებდა ქრისტეში გაცხადებულ ღვთის სიყვარულს თავის თანამედროვეთ და ევედრებოდა, დაეტოვებინათ მანკიერებისა და ურწმუნოების გზა, თანაც აფრთხილებდა, რომ უწმიდურები აუცილებლად წარდგებიან ღვთის სამსჯავროს წინაშე. იესოს სული ქადაგებდა ამ ჭეშმარიტებებს ენოქის ბაგეებით, სული, რომელიც ვლინდება არა მხოლოდ სიყვარულის, თანაგრძნობისა და ვედრების სასიამოვნო სიტყვებში; ზოგჯერ ორლესული მახვილივით

ბასრია უფლის ჭეშმარიტება, რომელსაც იგი თავის მაცნეებს უდებს გულში და ბაგეებში.

მსმენელნი ენოქში გრძნობდნენ ღვთის ძალას, რომელიც მის მსახურში მოქმედებდა. ზოგი ღებულობდა ამ გაფრთხილებებს და ტოვებდა ცოდვის გზას, უმრავლესობა კი აბუჩად იგდებდა ამ მრისხანე უწყებას და უფრო მეტი სიჯიუტით განაგრძობდა ბოროტების გზით სიარულს. მომავალშიც, უკანასკნელ დღეებში, უფლის მსახურნი ასევე გააფრთხილებენ კაცობრიობას და აუწყებენ მსგავს ჭეშმარიტებას, რომელსაც ადრინდელივით ურწმუნოებით შეხვდებიან და დაგმობენ.

დაუღლელად ქადაგებდა ენოქი ღვთიურ ჭეშმარიტებას და ერთი ნაბიჯითაც

[86]

არ შორდებოდა ღმერთს. რაც უფრო მძიმე და საჭირო იყო მისი საქმეები, მით უფრო გულწრფელად და ხშირად ლოცულობდა იგი. ზოგჯერ დროებით წყვეტდა ადამიანებთან ურთიერთობას, შემდეგ კი კვლავ ასწავლიდა, ეხმარებოდა სიტყვითა თუ საკუთარი მაგალითით და კვლავ მიდიოდა, რათა მარტოობაში

უკეთესად ეგრძნო და მოეკლა წყურვილი იმ ღვთიური ჭეშმარიტებებისა, რომლის მოცემაც მხოლოდ მას, ქრისტეს, შეეძლო. უზენაესთან ამგვარი ურთიერთობით ენოქი სულ უფრო და უფრო ემსგავსებოდა ღმერთს. მის სახეს ისეთივე წმიდა ნათელი ამკობდა, როგორიც - იესოს სახეს. უფალთან მისი საუბრის შემდგომ თვით ურწმუნონიც კი მოკრძალებითა და შიშით შესცქეროდნენ მის სახეს, რომელზედაც ზეციური სიმშვიდე აღბეჭდილიყო.

ადამიანთა უწმიდურებამ ისეთ დონეს მიაღწია, რომ საჭირო გახდა მისი განადგურება. წელიწადი წელიწადს მისდევდა, ადამიანთა დანაშაული კი სულ უფრო იზრდებოდა და იზრდებოდა, კიდევ უფრო მუქდებოდა ღრუბელი, რომელიც უფლის სამსჯავროს მოახლოებას მოასწავებდა. მაგრამ ენოქი, რწმენის გმირი, კვლავ მტკიცედ მიჰყვებოდა არჩეულ გზას, აფრთხილებდა, ევედრებოდა, ასწავლიდა და მთელი ძალებით ცდილობდა, შეეჩერებინა დანაშაულის სწრაფი ნაკადი და შურისგების ისრები. თუმცა მისი ეს ძალისხმევა უარყო ცოდვილმა, ამქვეყნიური სიტკბოების მაძიებელმა ხალხმა, მაგრამ ღვთისაგან გამხნევებული ენოქი კვლავ ერთგულად განაგრძობდა ბრძოლას მზარდ ბოროტებასთან, სანამ უფალმა ღმერთმა არ მოაშორა იგი ამ ცოდვილ დედამიწას და ზეციურ სავანეებში არ წაიყვანა.

ენოქის თანამედროვენი ამ კაცს შეშლილად თვლიდნენ, ვინაიდან იგი არ იღწვოდა ოქროსა და ვერცხლის და არც სხვა

განძის შეძენისათვის აქ, დედამიწაზე. მისი გული მარადიული საგანძურისაკენ მიილტვოდა. იგი ზეციურ წმიდა ქალაქს უმზერდა. იგი ხედავდა დიდების მეფეს, სიონის მთაზე მჯდომარეს. მთელი თავისი გონებით, არსით, აზრებით და ფიქრებით ენოქი ზეცას ეკუთვნოდა. რაც უფრო მეტად ვრცელდებოდა უწმიდურება დედამიწაზე, მით უფრო დიდი იყო მისი სურვილი მამის სახლში დაბრუნებისა. ჯერ კიდევ დედამიწაზე მყოფი ენოქი რწმენით უკვე ზეცის ნათელ სავანეებში ცხოვრობდა.

"ნეტარნი არიან გულით სუფთანი, რადგან ისინი იხილავენ ღმერთს" /მათ. 5:8/. მთელი სამასი წლის განმავლობაში ენოქი სულიერი სიწმიდისკენ - ზეცასთან წმიდა ურთიერთობისაკენ მიისწრაფოდა. იგი "დადიოდა უფალთან" მთელი სამასი წლის განმავლობაში. დღითი დღე ცდილობდა, უფრო დაახლოებოდა ღმერთს და ასე იყო მანამ, სანამ უფალმა არ წაიყვანა იგი თავისთან. იგი უკვე იდგა მარადიულობის ზღურბლთან, მხოლოდ ერთი ნაბიჯიღა აშორებდა მას აღთქმული მიწისაგან და აი, კარი გაიხსნა და ის, ვინც აქ, დედამიწაზე ყოფნისას მუდამ ღმერთთან დადიოდა, ადამიანთაგან პირველი შევიდა წმიდა ქალაქში.

მისი დაკარგვა მეტად საგრძნობი შეიქნა წუთისოფლისათვის. აღარ ისმოდა ხმა, რომელიც ყოველდღე ასწვლიდა და აფრთხილებდა. მორწმუნეთაგან ზოგიერთნი, აგრეთვე

ურწმუნონი, შეამჩნიეს რა მისი გაუჩინარება, ფიქრობდნენ, რომ იგი, ჩვეულებისამებრ, ამჟამადაც განმარტოვდა. შემდგომში მეგობრები დიდხანს გულმოდგინედ ეძებდნენ მას ისევე, როგორც ელიას ეძებდნენ მისი მოწაფეები, მაგრამ ამაოდ. შემდეგ ისინი უამბობდნენ სხვებს, რომ ვერსად ნახეს იგი, რადგან ღმერთმა თავისთან წაიყვანა.

ენოქის ზეცაში წაყვანით უფალს სურდა, მნიშვნელოვანი გაკვეთილი მიეცა ადამიანებისათვის, რადგან არსებობდა იმის საშიშროება, რომ ადამის მიერ ჩადენილი დანაშაულის საშინელი შედეგების ხილვით კაცობრიობა გამოუვალ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილიყო. ბევრს შეეძლო ეთქვა: "და რას მოგვიტანს

[87]

[88]

კარგს ჩვენი ღვთისმოშიშობა და უფლის მცნებების დაცვა?! სულ ერთია, საშინელი წყევლა უმძიმეს ტვირთად აწევს ადამიანებს და სიკვდილი ყველას ხვედრია". მაგრამ ჭეშმარიტებებმა, რომლებიც უფალმა ადამს გაუხსნა, შემდეგ კი შეთმა

შთამომავლობას გადასცა და ენოქმა ცხოვრებაში განახორციელა, გაფანტა წყვდიადი და ადამიანებს მისცა იმედი, რომ, როგორც ადამის მიერ წუთისოფელში შემოვიდა სიკვდილი, ასევე აღთქმული მხსნელისა და მაცხოვრის მეშვეობით მოვა სიცოცხლე და უკვდავება. სატანა ცდილობდა, შთაენერგა ადამიანებისათვის, რომ უმწიკვლო ცხოვრებას არავითარი საზღაური არა აქვს, ცოდვა კი არ ისჯება და საერთოდ, ადამიანისათვის შეუძლებელია ღვთიური დადგენილებების ცხოვრებაში განხორციელება. მაგრამ ენოქის მაგალითით უფალი ამტკიცებს, "რომ ღმერთი არსებობს და თავის მაძიებელს სანაცვლოს მიაგებს" /ებრ. 11:6/. უფალმა გვიჩვენა, თუ რას მოიმოქმედებს თავის მცნებათა დამცველთათვის. ამრიგად, ადამიანს ძალუძს, დაემორჩილოს ღვთის რჯულს; თუნდაც ამ განდგომილ და ცოდვილ წუთისოფელში ღვთის მადლით მას შეუძლია, წინ აღუდგეს ცდუნებას და წმიდა, უმანკო ცხოვრებით იცხოვროს. ენოქის მაგალითმა მას ამგვარი ცხოვრების კურთხევა დაანახა. ზეცად მისმა ასვლამ ადამიანი დაარწმუნა მომავლის შესახებ უფლის წინასწარმეტყველებათა სიმართლეში: ღვთის ნების აღმსრულებელთათვის - საუკუნო სიცოცხლე დიდებასა და სიხარულში, ხოლო მის უარმყოფელთათვის - ტანჯვა, განკითხვა და სიკვდილი.

"რწმენით იქნა გადაყვანილი ენოქი, რათა სიკვდილი არ ენახა; და ვეღარავინ ჰპოვა იგი, ვინაიდან ღმერთმა წაიყვანა. რადგან წაყვანამდე მიიღო დამოწმება, რომ ღმერთს აამა" /ებრ. 11:5/. ამ დაღუპვის პირას მყოფ წუთისოფელში უფალთან ისე ახლო ურთიერთობით ცხოვრობდა, რომ ღმერთმა არ დაანება იგი

სიკვდილს. ამ წინასწარმეტყველის ღვთისმოსავი სახე სიმბოლოა "მიწიდან გამოსყიდულ" წმიდათა უმწიკვლო ცხოვრებისა /გამოცხ. 14:3/. ქრისტეს მეორედ მოსვლის ჟამს ისევე, როგორც წარღვნის წინა პერიოდში, წუთისოფელში მომრავლდება ურჯულოება. თავიანთ უწმიდურ გულთა სურვილებით და წუთისოფლის ცრუ სიბრძნის წამხედურობით მოარული ადამიანები წინ აღუდგებიან ზეციურ ხელმწიფებას. მაგრამ ღვთის შვილები, ენოქის მსგავსად, შეეცდებიან, გულწრფელად დაემორჩილონ ღვთის ნებას, რათა მათი ცხოვრება ქრისტესას ემსგავსოს. ენოქის მსგავსად ისინიც უქადაგებენ მსოფლიოს ქრისტეს მეორედ მოსვლისა და ცოდვილთა განკითხვის ჟამის შესახებ. საკუთარი ცხოვრების მაგალითით, წმიდა სიტყვის ქადაგებით ისინი განიკითხავენ ურჯულოთა ცოდვებს. როგორც ენოქი წაიყვანა უფალმა წუთისოფლის წარღვნით განადგურების წინ, ასევე აიყვანს ცოცხალ მართლებს ღმერთი დედამიწიდან ზეცად მისი ცეცხლით განადგურების წინ. მოციქული ამბობს: "ყველანი არ განვისვენებთ, მაგრამ ყველანი შევიცვლებით ერთ წამში, თვალის დახამხამებაზე, უკანასკნელი საყვირისას". "ვინაიდან თავად უფალი გადმოვა ციდან ბრძანების სიტყვით, მთავარანგელოზის ხმაზე და ღვთის საყვირზე და ჯერ ქრისტეში მკვდარნი აღდგებიან; შემდეგ კი ჩვენ, ცოცხლად დარჩენილები, მათთან ერთად ვიქნებით ზეატაცებულნი ღრუბლებში, რათა ჰაერში შევეგებოთ უფალს და ამგვარად უფალთან ვიქნებით სამარადისოდ. ამიტომ ანუგეშეთ ერთმანეთი ამ სიტყვებით" /1 კორ. 15:51,52; 1 თეს. 4:16-18/.

[89]

თავი 7 - წარღვნა

დაბადება 6; 7

ნოეს დღეებში, ადამის დაცემისა და კაენის მიერ ჩადენილი მკვლელობის შედეგად, დედამიწა ორმაგად იყო დაწყევლილი, მაგრამ ამან ჯერ კიდევ არ გამოიწვია ბუნების დიდად შეცვლა. თუმცა ცოდვის აშკარა კვალი აჩნდა, მაგრამ დედამიწა კვლავ მშვენიერი და უფლის უხვი ძღვენით შემკული იყო. ბორცვები და გორაკები აქოჩრილი ხეებით მორთულიყო, რომელთაც მძიმე მტევნებით დახუნძლული დიდებული ვაზი შემოხვეოდა. ფართო, მრავალფრად აყვავებული მდელოები სიმწვანეში იძირებოდა და საოცარ სურნელს აფრქვევდა. დედამიწა უხვად იძლეოდა ყოველგვარ ნაყოფს. სიდიდით, სილამაზითა და პროპორციებით წარღვნამდელი მცენარეები თავისი დიდებულებით მრავალჯერ აღემატებოდა დღევანდელ ხეებს. უწვრილესი ბოჭკოებისაგან შემდგარი მათი მერქანი სიმაგრით ქვას წააგავდა და დიდი გამძლეობით გამოირჩეოდა. ყველგან უხვად იყო ოქრო, ვერცხლი და ძვირფასი ქვები.

ადამიანთა მოდგმაც ჯერ კიდევ ინარჩუნებდა თავის თავდაპირველ ძალას. აი, უკვე რამოდენიმე თაობა შეიცვალა მას შემდეგ, რაც ადამმა აკრძალული ნაყოფი იგემა, მაგრამ ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა კვლავ საუკუნეებით განიზომებოდა. და ამ დღეგრძელ ადამიანებს თავიანთი იშვიათი ენერგია და გამომგონებლობა ღვთის მსახურებისათვის რომ მიეძღვნათ, განდიდდებოდა მთელ დედამიწაზე შემოქმედის სახელი და აღსრულდებოდა უფლის ის ჩანაფიქრი, რისთვისაც შექმნა ისინი უფალმა. მაგრამ მათ ეს არ გააკეთეს. იმ დროს დედამიწაზე ცხოვრობდნენ გოლიათები - ძლიერი და დიდებული აღნაგობის მქონე ადამიანები, სახელგანთქმულნი თავიანთი სიბრძნით, ხელოვნებითა და სხვადასხვა საოცრად რთული საგნების გამომგონებლობით. მაგრამ მათი დანაშაული, დღითი დღე მზარდი ურჯულოებისადმი გულგრილობაში რომ გამოიხატებოდა, ისევე დიდი იყო, როგორც მათი ღირსებები.

უფალმა ურიცხვი სიმდიდრე უბოძა წარღვნამდელი დედამიწის მკვიდრთ, რასაც ისინი საკუთარი სახელის განდიდებისათვის იყენებდნენ. უფლის კურთხევა წყევლად აქციეს, ვინაიდან ძღვენი უფრო შეიყვარეს, ვიდრე მისი გამცემი. ისინი ოქროს, ვერცხლს, ძვირფას ქვებსა და ხეს საკუთარი საცხოვრისის მოსართავად იყენებდნენ და ერთმანეთს ხელოვნებასა და ოსტატობაში ეჯიბრებოდნენ.

მხოლოდ საკუთარი ამპარტავნული სურვილების დასაკმაყოფილებლად იღვწოდნენ და ამქვეყნიური ნეტარებისაკენ სწრაფვამ გახრწნა მათი გულები. ცოდნისა და შემეცნების მატებასთან ერთად სულ უფრო მცირდებოდა ყურადღება შემოქმედის მიმართ და სულ მალე უარყვეს კიდეც მისი არსებობა. ახლა ისინი უკვე თაყვანს სცემდნენ ბუნებას და არა მის ავტორს, ადიდებდნენ და პატივს მიაგებდნენ ადამიანის ნიჭსა და გენიას, ემსახურებოდნენ ხელთქმნილ ღმერთებს და ასწავლიდნენ თავიანთ შვილებს გამოსახულებათა თაყვანისცემას.

მწვანე მდელოებზე და დიდებულ ხეთა ჩრდილებში ისინი კერპებს უგებდნენ სამსხვერპლოებს. ვრცელ, მარადმწვანე ჭალებს ადამიანები თავიანთი ცრუღმერთების თაყვანსაცემად იყენებდნენ. ამ ჭალებს გარს ერტყა მშვენიერი ბაღები ხვეული ხეივნებით, ქანდაკებებით, მსხმოიარე ხეებით. აქ ყველაფერი იყო თვალის დასატკბობად, ადამიანთა გრძნობებისა და სურვილების აღსაძვრელად, რაც მათ კერპთაყვანისმცემლობისაკენ უბიძგებდა.

ადამიანებმა მიატოვეს ღმერთი, თაყვანი სცეს ხელთქმნილ ღმერთებს და

[90]

[91]

ამის შედეგად თანდათანობით უფრო ღრმად იძირებოდნენ ცოდვის მორევში. მეფსალმუნე ასე აღწერს მათზე კერპთაყვანისმცემლობის ზეგავლენას: "მათ დაემსგავსებიან მათი გამკეთებლები, ყველა, ვინც მათზეა მინდობილი" /ფს. 113:16/. რასაც ვუცქერთ, იმასვე ვემსგავსებით - ეს ადამიანური გონების კანონია. ადამიანს არ შეუძლია, ამაღლდეს ჭეშმარიტებისა და სიწმიდის საკუთარ შემეცნებაზე მაღლა. თუკი გონება ვერ გადალახავს ადამიანურ ბუნებას და რწმენით არ იხილავს უსასრულო სიბრძნესა და სიყვარულს, იგი დაეცემა. კერპთაყვანისმცემლებმა თავიანთ ღმერთებში ადამიანური თვისებები და ვნებები ჩააქსოვეს და ამგვარად მათი ხასიათის ზნეობრივი ნორმები ცოდვილი კაცობრიობის მსგავსებამდე დაიყვანეს. ამის შედეგად წუთისოფელი სრულიად გაიხრწნა. "დაინახა უფალმა ღმერთმა, რომ იმატა უკეთურებამ ამქვეყნად, რომ უკეთური იყო მუდამჟამს მათი ყოველი გულისთქმა... წაირყვნა ქვეყანა ღვთის წინაშე და აივსო ქვეყანა უსამართლობით". უფალმა ღმერთმა მისცა ადამიანებს თავისი მცნებები ცხოვრებაში სახელმძღვანელოდ, მაგრამ მათ დაარღვიეს მისი რჯული და შედეგად წუთისოფელში გაჩნდა ყოველგვარი ცოდვა. ადამიანები უკვე აღარც მალავდნენ

თავიანთ თავხედურ, სასტიკ ცოდვებს; სამართლიანობა ფეხქვეშ გაითელა და ტანჯულთა ვაებამ ცამდე მიაღწია.

თითქმის სიცოცხლის დასაწყისშივე უფლის ნების საწინააღმდეგოდ დაწესდა მრავალცოლიანობა. უფალმა ადამს მხოლოდ ერთი ცოლი მისცა, რითაც თავისი ნება გამოხატა ამ საკითხთან დაკავშირებით. მაგრამ დედამიწაზე ცოდვის გაჩენის შემდგომ ადამიანი საკუთარი გულისთქმისამებრ იქცეოდა, რის შედეგადაც დანაშაული და მწუხარება სწრაფად ვრცელდებოდა. აღარ იყო პატივისცემა აღარც ქორწინების და აღარც საკუთრების უფლების მიმართ. თუკი ვინმეს მოყვასის ცოლი ან ქონება მოეწონებოდა, ძალით ისაკუთრებდა და ამაყობდა კიდეც თავისი ბოროტმოქმედებით. ადამიანები სიამოვნებას პოულობდნენ ცხოველთა ხოცვასა და მათი ხორცის ჭამაში, რაც მათში უფრო მეტ სისასტიკეს და მძვინვარებას ბადებდა. და ადამიანის სიცოცხლე მათ თვალში სრულიად გაუფასურდა.

სამყარო ახალშობილი ყრმასავით ნორჩი იყო, მაგრამ ურჯულოებამ ისე ღრმად გაიდგა ფესვები, რომ უფალს აღარ სურდა მეტის მოთმენა და გადაწყვიტა: "...მიწის პირისაგან აღვგვი ადამიანს, რომელიც შევქმენი..." უფალმა თქვა, რომ უსასრულოდ არ შეებრძოლება იგი ცოდვილ კაცობრიობას და თუკი ადამიანები არ შეწყვეტენ დედამიწისა და მისი ურიცხვი სიმდიდრის გაუწმიდურებას, აღგვის მათ პირისაგან მიწისა და მოსპობს ყველაფერს, რითაც ასეთი დიდი სიყვარულით აკურთხა ადამიანი. გაანადგურებს ცხოველებს ველზე და

მცენარეულ სამყაროს - უხვი საკვების წყაროს. უკიდეგანო უდაბნოდ აქცევს ამ მშვენიერ მიწას და მისგან მხოლოდ ნანგრევები დარჩება.

მომრავლებულ უზნეობათა მორევში ჩათრეულ ამ წუთისოფელში მეთუშალახი, ნოე და ღვთის სხვა მრავალი ერთგული მორწმუნე ცდილობდა, შეენარჩუნებინა ხალხში სიმართლე ჭეშმარიტი ღმერთის შესახებ და ამით როგორმე წინ აღდგომოდა საზოგადოების მორალურ გახრწნილებას. წარღვნის დადგომამდე 120 წლით ადრე უფალმა ამცნო ნოეს თავისი განზრახვა და კიდობნის აგება დაავალა. ამ სამუშაოს შესრულებასთან ერთად ნოეს ხალხისათვის უნდა ეუწყებინა, რომ უფალი მალე გადმოღვრიდა წყლებს უწმიდური წუთისოფლის გასანადგურებლად და ვინც ირწმუნებდა ამ სიმართლეს, მოინანიებდა და შეცვლიდა თავის ცხოვრებას, მიეტევებოდა და გადარჩებოდა. ენოქმა გადასცა თავის შვილებს ის, რაც წარღვნის შესახებ აუწყა ღმერთმა. მეთუშალახმა და მისმა ვაჟებმა ისმინეს ნოეს ქადაგება და ეხმარებოდნენ მას კიდობნის

[92]

აგებაში.

უფალმა დაწვრილებით აუხსნა ნოეს კიდობნის აგების წესი და მისი ზუსტი ზომებიც აუწყა. ვერც ერთი გონიერი ადამიანი მთელი თავისი სიბრძნით ვერ შეძლებდა ასეთი ძლიერი და მტკიცე ნაგებობის შექმნას. მისი ხუროთმოძღვარი თავად ღმერთი იყო, მშენებელი კი - ნოე. გარეგნულად კიდობანი ჰგავდა მცურავ გემს, მაგრამ, მეორე მხრივ, იგი უფრო დიდ სახლს წააგავდა, სამი იარუსისაგან შედგებოდა და ერთადერთი კარი გვერდით ჰქონდა დატანებული. კიდობნის ყოველი განყოფილება ისე იყო გაანგარიშებული, რომ მის ყოველ ნაწილს სინათლე ზემოდან ეცემოდა. საშენ მასალად კვიპაროსს, ანუ ურთხელის ხეს იყენებდნენ, რომელიც ცნობილი იყო თავისი მრავალსაუკუნოვანი გამძლეობით. ამ გიგანტის ასაგებად დიდი დრო და მძიმე შრომა იყო საჭირო. დიდი ზომის და მაგარი მერქნის მქონე ხეებისგან ფიცრების დამზადება იმ პერიოდისათვის უფრო რთული საქმე იყო, ვიდრე ჩვენს დღეებში, მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელი ადამიანები ფიზიკურად მნიშვნელოვნად უფრო ძლიერნი იყვნენ. ადამიანის უდიდესი ძალისხმევა და სიბრძნე დასჭირდა ამ ნაგებობის სრულფასოვნად დასრულებას. და, მიუხედავად ამისა, კიდობანი ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეებრძოლებოდა გამძვინვარებულ სტიქიას, თავად უფალ ღმერთს რომ არ დაეცვა თავისი შვილები ბობოქარი ტალღებისაგან.

"რწმენით იყო, რომ მიიღო ნოემ გამოცხადება იმაზე, რაც ჯერ არ იყო ხილული, ღვთისმოშიშობით გაამზადა კიდობანი თავისი სახლის გადასარჩენად; ამით მსჯავრი დასდო წუთისოფელს და სიმართლის მემკვიდრე გახდა რწმენის ძალით" /ებრ. 11:7/. აფრთხილებდა ნოე წუთისოფელს მომავალი საფრთხის შესახებ და საქმით ამტკიცებდა თავის მართალ სიტყვას. ამით მასაც სულ უფრო და უფრო უმტკიცდებოდა რწმენა, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენიათ გარშემომყოფთ. იგი მაგალითი იყო ყველასათვის, რადგან მტკიცედ სწამდა ღმერთის სიტყვა. მთელი თავისი ქონება ნოემ კიდობნის აგებას მოახმარა. როდესაც მან მშრალ მიწაზე გიგანტური ხომალდის მშენებლობა დაიწყო, სხვადასხვა მხარეებიდან მოსულ ადამიანებს აკვირვებდა ეს საოცარი სანახაობა და მარტოხელა მქადაგებლის მტკიცე, შთამაგონებელი სიტყვები. ჩაქუჩის ყოველი დარტყმა კიდობნის აგებისას მოწმობა იყო ადამიანებისათვის.

თავდაპირველად თითქოსდა მრავალმა მიიღო და ირწმუნა ეს გაფრთხილება, მაგრამ გულწრფელად მაინც არ მოინანიეს ღვთის წინაშე და არც აპირებდნენ თავიანთი ცოდვების მიტოვებას. წარღვნის დაწყებამდე ხანგრძლივი დროის განმავლობაში მათი რწმენა მრავალჯერ გამოიცადა, მაგრამ ვერ გაუძლეს. მათში ურწმუნოებამ იმძლავრა, უარი თქვეს ამ სასტიკი გაფრთხილების მიღებაზე და თავის ძველ მეგობრებს დაუბრუნდნენ. ზოგი კი, თუმც მტკიცედ სწამდა, რომ წინასწარმეტყველება ასრულდებოდა, მაინც შეუერთდა დამცინავთა ჯგუფს, უარყო მოწყალების ხმის ღაღადი და მალე

თითქმის ყოველი მათგანი თავხედ, აშკარა ღვთისმგმობლად იქცა. რადგან არავინ ეფლობა ისე ღრმად და ეცემა ისე დაბლა ცოდვის მორევში, როგორც ის, ვინც ერთ დროს მიიღო ჭეშმარიტების ნათელი, მაგრამ შემდგომში უარყო ღვთის სულის მამხილებელი ხმა.

წარღვნამდელ წუთისოფელში ყველა როდი იყო კერპთაყვანისმცემელი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ბევრი მათგანი თავს ღვთისმოსავ ადამიანად თვლიდა და ამტკიცებდა, რომ მათი კერპები ღმერთის სიმბოლოა მხოლოდ და სხვა არაფერი, რომელთა მეშვეობითაც ადამიანებს უფრო ნათელი წარმოდგენა ექმნებათ ღვთიურ არსზე. ამ ადამიანებმა პირველებმა უარყვეს ნოეს გაფრთხილება. იმ დროს, როცა ისინი ღმერთის ხილულად წარმოდგენას ცდილობდნენ, მათმა დაბნელებულმა გონებამ ვერ შეიცნო უფლის ძალა და

[95]

[96]

ძლიერება. ისინი ვერ ჩასწვდნენ მის სიწმიდეს, დიდებულებას და მისი რჯულის მოთხოვნების უცვლელობას და

მარადიულობას. რაც უფრო ღრმად იდგამდა ფესვს ცოდვა, მით უფრო ნაკლებ დანაშაულად მიაჩნდათ მისი ჩადენა და, ბოლოს და ბოლოს, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ღმერთის კანონმა ყოველგვარი ძალა დაკარგა და რომ სასჯელი ცოდვისათვის ეწინააღმდეგება უფლის არსს. ისინი აგრეთვე უარყოფდნენ დედამიწაზე ღვთის სამსჯავროს დადგომას. იმ დროის ადამიანები უფლის რჯულს რომ დამორჩილებოდნენ, შეიცნობდნენ მასში უფლის ხმას, რომელიც თავისი ერთგული მსახურის მეშვეობით აფრთხილებდა მათ. მაგრამ მათთვის მოსული ნათელი უარყვეს და იმდენად დაბრმავდნენ, რომ ნოეს უწყება სიმართლედ არ მიიჩნიეს.

ჭეშმარიტებას არავინ დაუჭირა მხარი. მთელი კაცობრიობა წინ აღუდგა უფლის სამართლიანობასა და კანონებს, ნოეს კი ფანატიკოსად თვლიდნენ. როდესაც სატანამ ევა აცდუნა და ღვთის ნებისადმი დაუმორჩილებლობისაკენ უბიძგა, უთხრა: "არა, არ მოკვდებითო" /დაბ. 3:4/. ამა ქვეყნის დიდებულნი და ბრძენნიც ამასვე იმეორებდნენ: "უფალი მხოლოდ გვაშინებს თავისი მუქარით, - ამბობდნენ ისინი, - სინამდვილეში კი არ შეასრულებს ამას. არ ღირს ამაზე წუხილი და შიში. ღმერთი არასოდეს გაანადგურებს წუთისოფელს, რომელიც თავადვე შექმნა და არ დასჯის თავისი შემოქმედების ნაყოფს - ეს არასოდეს არ მოხდება! ნუ გეშინიათ, დამშვიდდით. ნოე უჩვეულო ფანატიკოსია". ადამიანები სასაცილოდ იგდებდნენ და შეშლილს უწოდებდნენ ნოეს. უფლის წინაშე ქედის მოხრის ნაცვლად ადამიანებს ჯიუტად არ სურდათ უფლის ხმის მოსმენა, უწმიდურებაში ყოფნა არჩიეს და არაფრად ჩააგდეს

უფალი ღმერთის გაფრთხილება, თავისი ერთგული მსახურის მეშვეობით რომ ესაუბრებოდა.

მაგრამ მედგრად იდგა ნოე, როგორც სალი კლდე აბობოქრებულ ზღვაში. დაცინვისა და სიძულვილის გარემოცვაში უჩვეულო სიწმიდით, უმწიკვლოებითა და ურყევი ერთგულებით გამოირჩეოდა. მისი სიტყვა მეტად დამაჯერებლად ჟღერდა: მისი ბაგეებით ხომ თავად უფალი ღმერთი ლაპარაკობდა! უფალთან ახლო ურთიერთობამ დიდად გააძლიერა ნოე, ასე რომ 120 წლის განმავლობაში გაისმოდა მისი მგზნებარე ხმა და ამცნობდა თაობებს იმ მოვლენების შესახებ, რომელთა აღსრულებაც, ადამიანური თვალსაზრისით, შეუძლებელი იყო.

წარღვნამდელი წუთისოფლის მკვიდრნი ხედავდნენ, რომ საუკუნეთა მანძილზე ბუნების კანონები უცვლელი რჩებოდა. წელიწადის დროები განსაზღვრული წესით ცვლიდა ერთმანეთს. მათ არასოდეს ენახათ წვიმა, ვინაიდან დედამიწა ცვარ-ნამით ირწყვებოდა. არასოდეს ენახათ წყალდიდობა, რადგან მდინარეებში წყალი არასოდეს იმატებდა, არამედ მშვიდად ჩაედინებოდა ზღვებში უფლის უცვლელი კანონების თანახმად. მაგრამ წუთისოფლის ამ პატივდებულმა მოაზროვნეებმა არაფრად ჩააგდეს იმისი ხელი, ვინც შექმნა წყლები და თქვა: "აქამდე მოდი, იქით აღარ, აქ შეწყდეს შენი ტალღების აზვირთება..." /იობ. 38:11/.

ვინაიდან დრო გადიოდა, ბუნებაში კი კვლავ არაფერი იცვლებოდა, ადამიანები, რომელთაც ერთ დროს მომავლის მოვლენებისადმი შიში იპყრობდა, სრულად დამშვიდდნენ. ისინი მსჯელობდნენ ისევე, როგორც დღეს ეს ბევრ ჩვენგანს სჩვევია - ბუნება ღმერთზე ძლიერია და მისი კანონები ისე მტკიცეა, რომ თვით ღმერთს არ ძალუძს მათი შეცვლა. ისინი ამბობდნენ, რომ, თუ ნოე მართალია, მაშინ ბუნება სხვა კანონებით უნდა განვითარდეს, ეს კი შეუძლებლად მიაჩნდათ. აქედან გამომდინარე აცხადებდნენ, რომ ნოეს გაფრთხილება - უდიდესი სიცრუეა და მეტი არაფერი. ადამიანები გულგრილად ეკიდებოდნენ

[97]

უფლის სიტყვას, რასაც ისიც მოწმობდა, რომ ისინი ძველებურად ცხოვრობდნენ: განაგრძობდნენ დროსტარებას, აწყობდნენ წვეულებებს, ჭამდნენ, სვამდნენ, აშენებდნენ, აწყობდნენ საქმიან გარიგებებს, რაც მომავალში უდიდეს მოგებას მოუტანდა. ასე თანდათანობით ღრმად ეფლობოდნენ ისინი უწმიდურებაში და უკვე საჯაროდ უარყოფდნენ უფლის მოთხოვნებს, რაც იმაზე მეტყველებდა, რომ სრულად დაკარგეს ღვთის შიში. იმასაც იმიზეზებდნენ, რომ ნოეს გაფრთხილებებში მცირე სიმართლეც რომ ყოფილიყო, წუთისოფლის

სახელგანთქმული მოაზროვნენი ადვილად გაერკვეოდნენ მასში.

წარღვნამდელი წუთისოფლის მცხოვრებთ რომ ყურად ეღოთ ეს გაფრთხილებები და გულწრფელად მოენანიებინათ თავიანთი ბოროტი საქმეები, აიცდენდნენ ღმერთის რისხვას, როგორც ეს შემდგომში, ნინევიაში მოხდა. მაგრამ ისინი ჯიუტად ეწინააღმდეგებოდნენ სინდისის ხმას და ღვთის წინასწარმეტყველის მიერ წარმოთქმულ გაფრთხილებებს, რითაც პირთამდე აავსეს ურჯულოების თასი და მათი ბედიც გადაწყდა.

გამოცდის ჟამი დასასრულს მიუახლოვდა. ნოემ პირნათლად შეასრულა უფლის ყველა დავალება. კიდობანი ააგო ღვთის ნებისა და სიტყვისამებრ. ადამიანებისა და ცხოველებისათვის საკვებიც უხვად მოიმარაგა და აი, ღვთის ერთგულმა მსახურმა უკანასკნელად, სერიოზული მოწოდებით მიმართა ხალხს. მთელი გულით, ენით გამოუთქმელი მგზნებარებით ევედრებოდა მათ შესულიყვნენ თავშესაფარში, სანამ ეს ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო. მაგრამ პასუხად მხოლოდ დაცინვა და ლანძღვა მიიღო. და უცბად... დამცინავი ბრბო გაირინდა: სხვადასხვა ჯურის ცხოველები - მტაცებელი თუ უწყინარი, გამოვიდნენ ტყეებიდან და მშვიდად გაემართნენ კიდობნისაკენ. შემდეგ კი, თითქოს ძლიერი ქარი ამოვარდაო, ყოველი მხრიდან მოფრინდნენ ფრინველები. მათმა მრავალრიცხოვნებამ ცა დააბნელა, თუმცა მათ სვლაში სრული წესრიგი სუფევდა. ეს

ცხოველები უფლის ნებას სრულიად დამორჩილებოდნენ და კიდობნისაკენ მიისწრაფოდნენ, მაშინ, როცა ადამიანები ჯიუტად ეურჩებოდნენ მას. წმიდა ანგელოზები ხელმძღვანელობდნენ მათ კიდობანში შესვლას "წყვილ-წყვილად, დედალ-მამალი..." წმიდა ცხოველები კი - შვიდ-შვიდი წყვილი. ადამიანები განცვიფრებითა და შიშითაც კი შესცქეროდნენ ამ სანახაობას. ვერც ერთმა მეცნიერმა ვერ შეძლო აეხსნა ცხოველთა ასეთი უჩვეულო მოქმედება. ეს მათთვის ამოუცნობი საიდუმლო იყო. მაგრამ ზეციური ნათელის უარყოფით ადამიანებმა გულები იმდენად გაისასტიკეს, რომ მათზე ამ სურათმაც ვერ მოახდინა ღრმა შთაბეჭდილება. როდესაც დასაღუპავად განწირული ადამიანები მზეს თავის დიდებაში უჭვრეტდნენ და ედემის ბაღისამებრ მორთულ დედამიწას ხედავდნენ, გულებში ჩაბუდებულ შიშს ხმაურიანი გართობებითა და აღვირახსნილობით ახშობდნენ, თითქოსდა თავადვე იწვევდნენ მათთვის ისედაც უკვე გამზადებულ ღვთის რისხვას.

უფალმა უბრძანა ნოეს: "შედი კიდობანში მთელი შენი სახლითურთ, რადგან მართალ კაცად გცანი ჩემს წინაშე ამ თაობაში". წუთისოფელმა ყურად არ იღო ნოეს გაფრთხილება, მაგრამ მისი მორჩილება კურთხევად იქცა მთელი მისი ოჯახისათვის. ერთგულებისა და მორჩილებისათვის უფალმა მთელი მისი სახლეული გადაარჩინა. მშობლიური ერთგულების რა დიდი ჯილდოა!

გასრულდა ჟამი მადლისა ცოდვილი კაცობრიობისათვის. ტყის ცხოველებმა და ფრინველებმა თავშესაფარს მიაშურეს. ნოე და მისი ოჯახიც შევიდა კიდობანში და უფალმა მისი კარი დაგმანა. საოცარი ბრწყინვალებით განათდა ზეცა, დიდების ღრუბელი, ელვაზე უფრო ნათელი, ჩამოეშვა ზეციდან და კიდობნის შესასვლელთან გაჩერდა. უხილავმა ხელმა ნელა მიხურა მასიური

[98]

კარი, რისი გაკეთებაც შიგნით მყოფთ არ შეეძლოთ. ნოე კიდობანში აღმოჩნდა, მისი გაფრთხილებებისა და ღვთის მოწყალების უარმყოფელნი კი - მის გარეთ. ზეციური ბეჭედი ედო კარს, რომელიც ღმერთმა დახურა და მის გარდა სხვა ვერავინ გახსნიდა მას. ზუსტად ასევე დაიკეტება მადლის კარი, როცა ქრისტე დაასრულებს ცოდვილი კაცობრიობისათვის თავის შუამდგომლურ მსახურებას მისი მეორედ მოსვლის წინ. მაშინ ღვთიური მადლი უკვე აღარ დააკავებს უწმიდურთ და სატანა სრულ ძალაუფლებას მოიპოვებს მათზე, ვინც ღვთის მადლი უარყო. და მაშინ ისინი შეეცდებიან უფლის ერთგულთა განადგურებას, მაგრამ მართლები ღვთის ძალით სწორედ ისე იქნებიან დაცულნი, როგორც ნოე - კიდობანში.

ნოესა და მისი ოჯახის კიდობანში შესვლის შემდგომ შვიდი დღის განმავლობაში სიმშვიდე იყო და მოსალოდნელი სტიქიური უბედურების ნიშანწყალიც კი არსად ჩანდა. მთელი ამ დროის განმავლობაში კვლავ გამოიცადა მათი რწმენა. ეს იყო გარე სამყაროს ზეიმის პერიოდი. მოჩვენებითმა შეყოვნებამ უფრო მეტად დაარწმუნა უწმიდურნი, რომ ნოეს გაფრთხილება მცდარია და წარღვნა არ მოხდება. მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი თვალით იხილეს ცხოველებისა და ფრინველების კიდობანში შესვლისა და ანგელოზის მიერ კიდობნის კარის დაკეტვისას მომხდარი უცნაური მოვლენები, მაინც განაგრძობდნენ დროსტარებას, ღრეობას და უფლის ძლიერების ამ თვალსაჩინო მტკიცებებზე ხუმრობასაც კი ბედავდნენ. ბრბო გარს შემოერტყა კიდობანს და არნახული სისასტიკით დაუწყო დაცინვა შიგნით მყოფთ.

მაგრამ მერვე დღეს შავმა ღრუბლებმა დაფარა ზეცა, რასაც საშინელი გრგვინვა, ჭექა-ქუხილის შემზარავი ხმა და ელვა მოჰყვა. მალე წვიმის პირველი მძიმე წვეთები დაეცა მიწას. ადამიანებს ადრე არასოდეს ენახათ მსგავსი რამ და ძლიერ შეშინდნენ. ისინი ჩურჩულით ეკითხებოდნენ ერთმანეთს: "ნუთუ ნოე მართალია და მთელი წუთისოფელი დაიღუპება?" ცა უფრო და უფრო ბნელდებოდა და წვიმაც ძლიერდებოდა. ყოველი მხრიდან ისმოდა სასოწარკვეთილ პირუტყვთა საშინელი ბღავილი, თითქოსდა საკუთარ ბედსაც დასტიროდნენ და ადამიანის ხვედრსაც. და "ამ დღეს მოსკდნენ დიდი უფსკრულის წყაროები და გაიხსნა ცათა სარკმელები" და

ჩანჩქერივით ძლიერი ნიაღვარი მოასკდა დედამიწას. მდინარეები ნაპირებიდან გადმოვიდა და დაბლობები წყლით დაიფარა. საოცარი სიძლიერით ამოხეთქა წყალმა მიწის სიღრმეებიდან და ასობით მეტრის სიმაღლეზე ამოისროლა უზარმაზარი ქვის ლოდები, რომელთა დაცემისას ღრმა თხრილები წარმოიქმნა.

ადამიანებმა პირველად დაინახეს, თუ როგორ ნადგურდებოდა მათი შემოქმედების ნაყოფი. დიდებული სასახლეები, მშვენიერი ბაღები და ხეივნები მათ კერპებიანად სრულად გაანადგურა ციურმა ელვამ და ყველაფერი ნანგრევებად იქცა. მათი სამსხვერპლოები დაიმსხვრა და იქ მლოცველნი, ცოცხალი ღმერთის ძალითა და ძლიერებით აცახცახებულნი, მიხვდნენ, რომ ეს უბედურება მათი ზნედაცემულობისა და კერპთაყვანისმცემლობის შედეგია.

ქარიშხალი თანდათან გაძლიერდა და ეძგერა ნაგებობებს, ხეებს, კლდეებსა და ლოდებს. შეუძლებელია ადამიანთა და ცხოველთა შეძრწუნების აღწერა. აბობოქრებული სტიქიის გრიალში ისმოდა სასოწარკვეთილი შეძახილები ადამიანებისა, რომელთაც უარი თქვეს ღვთის მადლზე. თვით სატანაც კი, რომელიც იძულებული იყო ამ გრიგალში დარჩენილიყო, ფრთხილობდა, რათა მის სიცოცხლეს საფრთხე არ დამუქრებოდა. იგი ტკბებოდა კაცობრიობაზე თავისი დიდი ზეგავლენით და ძლიერ სურდა, ადამიანებს ეცოცხლათ, კვლავ

გაეგრძელებინათ თავიანთი უწმიდური ცხოვრება და კვლავ ამბოხებულიყვნენ შემოქმედის წინააღმდეგ. ახლა იგი წყევლიდა და ცილს სწამებდა უზენაესს

[99]

უსამართლობასა და სისასტიკეში. მის მოქმედებას ბაძავდნენ ბოროტებით დაბრმავებული მისი მიმდევრებიც და, რომ შეძლებოდათ, ძალისა და დიდების ტახტიდან ჩამოაგდებდნენ ღმერთს. სხვები კი, შიშისგან გონდაკარგულნი, კიდობნისაკენ იწვდიდნენ ხელებს და შიგ შეშვებას ითხოვდნენ. მაგრამ ამაო იყო მათი ვედრება. ბოლოს და ბოლოს, სინდისმა გაიღვიძა მათში და შეიცნეს ღმერთი - სამყაროს მეფე. მხურვალედ ევედრებოდნენ მას, მაგრამ უფალს აღარ სურდა მათი მოსმენა. იმ საშინელ წუთებში ადამიანები მიხვდნენ, რომ სწორედ უფლის რჯულის დარღვევამ მიიყვანა ისინი დაღუპვამდე. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ სასჯელის შიშმა აიძულა, ეღიარებინათ თავისი დანაშაული, ისინი მაინც არ გრძნობდნენ ჭეშმარიტ სინანულს და სიძულვილს ცოდვის მიმართ. და უფლის მიერ სასჯელის გაუქმების შემთხვევაში ისინი კვლავ წინ აღუდგებოდნენ ზეციურ მეფეს. ასევე იქნება წუთისოფლის ცეცხლით განადგურების დროს, როცა ღვთის სამსჯავრო დაატყდება დედამიწას თავს: მოუნანიებელი ცოდვილნი

მიხვდებიან, რომ მათი დანაშაული უფლის რჯულის უარყოფაში მდგომარეობს, მაგრამ მათი მონანიება არ იქნება ძველი წუთისოფლის ურჯულოთა მოქცევაზე უფრო გულწრფელი.

ზოგი სასოწარკვეთილი კიდობანში ძალით შესვლას ლამობდა, მაგრამ ხის მასალა მტკიცე იყო და მათი მცდელობა ამაო გამოდგა. სხვები კიდობანს ებღაუჭებოდნენ, მაგრამ წყლის უზარმაზარ ზვირთებსა და მასში მოცურავე ქარიშხლით მოთხრილ ხეებსა და ლოდებს შორის უჩინარდებოდნენ. როცა უმოწყალო ქარისა და ბობოქარი ტალღებისაგან კიდობანი აქეთ-იქით აწყდებოდა, იგი ძალუმად ირყეოდა და ამ დროს იქ მყოფი ცხოველები შიშისა და ტკივილისაგან საცოდავად ბღაოდნენ. მაგრამ კიდობანი კვლავ უშიშრად განაგრძობდა სვლას ბობოქარ ზვირთებში. უძლიერეს ანგელოზებს ებრძანათ მისი დაცვა.

გრიგალით შეშინებული ცხოველები ადამიანებისკენ გარბოდნენ, თითქოს შველას სთხოვდნენო მათ. ზოგი ცდილობდა, შვილები და საკუთარი თავიც რომელიმე ძლიერი ცხოველისათვის მიება იმ იმედით, რომ ისინი მიუვალ მთებში გავიდოდნენ და მათაც გადაარჩენდნენ, ზოგიც მაღლობებისაკენ გარბოდა, სადაც მაღალი, ძლიერი ხეები ხარობდა, რათა მათზე მიბმულნი გადარჩენილიყვნენ. მაგრამ ქარიშხალი ძირში თხრიდა მათ და შავ, გაავებულ ზვირთებში ისროდა ადამიანებთან ერთად. საიმედო ადგილები ერთიმეორის მიყოლებით უჩინარდებოდა. წყლის დონე თანდათან

მატულობდა და ადამიანებიც მთათა მწვერვალებისკენ მიისწრაფოდნენ თავშესაფრის საპოვნელად. ხშირად ადამიანსა და ცხოველს შორის სასტიკი ბრძოლა იმართებოდა მიწის პატარა ნაგლეჯისათვის, სანამ მოვარდნილი ტალღები ორივეს არ ჩაყლაპავდა.

მთათა უმაღლესი მწვერვალებიდან უცქერდნენ ადამიანები უკიდეგანო ოკეანეს. უფლის მსახურის სერიოზული გაფრთხილება ახლა უკვე მათში დაცინვასა და ხუმრობის სურვილს აღარ აღძრავდა. რა ძლიერ სურდათ ახლა ამ დაღუპულ ცოდვილთ ხელიდან გაშვებულ შესაძლებლობათა დაბრუნება! როგორ ითხოვდნენ ისინი გამოცდის კიდევ ერთ საათს! მადლის სულ ერთი წამი, ნოეს კიდევ ერთი სიტყვა! მაგრამ ისინი უკვე ვეღარასოდეს მოისმენდნენ მოწყალების ნაზ ხმას. სამართლიანობა ღვთის სამსჯავროს და ცოდვის განადგურებას ითხოვდა. შურისგების წყლები ავსებდა მათ უკანასკნელ თავშესაფარს და ღვთის უარმყოფელი ადამიანები სიკვდილის შავ უფსკრულებში იღუპებოდნენ.

"ღვთის სიტყვით... მოისპო მაშინდელი წუთისოფელი წარღვნის წყლით. ხოლო ახლანდელი ცანი და დედამიწა, რომელიც იმავე სიტყვით ინახება, გამზადებულია საცეცხლოდ უღვთო კაცთა განკითხვისა და მოსპობის დღისათვის"

[100]

[101]

/2 პეტრ. 3:5-7/. გვიახლოვდება მეორე ქარიშხალი. დედამიწა კვლავ ღვთის დამანგრეველი რისხვით უნდა განიწმიდოს, ცოდვა და ცოდვილნი განადგურდებიან.

ცოდვები, რომელთაც წარღვნამდელ წუთისოფელზე ღვთის რისხვა გამოიწვიეს, ჩვენს დღეებშიც არსებობს. ღვთის შიში გულებიდან გამოდევნილია, უფლის კანონს კი გულგრილად და სიძულვილით ეკიდებიან. ყოველივე მიწიერისადმი ძლიერი სიყვარულით დღევანდელი თაობა წარღვნამდელს უტოლდება. მაცხოვარი ამბობს: "ვინაიდან, როგორც წარღვნამდელ დღეებში ჭამდნენ, სვამდნენ, ცოლს ირთავდნენ და თხოვდებოდნენ იმ დღემდე, ვიდრე ნოე კიდობანში შევიდოდა, და არ იცოდნენ, ვიდრე წარღვნა მოვიდოდა და ყველას წალეკავდა, - ასევე იქნება კაცის ძის მოსვლაც" /მათ. 24:38,39/. უფალმა მსჯავრი დასდო წარღვნამდელ წუთისოფელს არა იმიტომ, რომ ჭამდნენ და სვამდნენ; უფალმა უხვად მისცა მიწის ნაყოფი არსებულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მათი დანაშაული იმაში გამოიხატებოდა, რომ უფლის ამ უხვი საბოძვარით სარგებლობდნენ და არავითარი მადლიერება არ გააჩნდათ მის მიმართ, ვინც მათ ასეთი წყალობა არგუნა და საკუთარ ღირსებას მუცლისადმი გადამეტებული სიყვარულით ამდაბლებდნენ.

უფალმა დააკანონა ადამიანთა ქორწინება, რაც უფლის მიერ დადგენილი ერთ-ერთი პირველი ინსტიტუტი იყო. მან ხალხს ამ წმიდა აქტთან დაკავშირებით განსაკუთრებული მითითებები მისცა, რომელიც ადამიანებმა სულ მალე დაივიწყეს: ქორწინების ჭეშმარიტი დანიშნულება დაამახინჯეს და იგი მხოლოდ ვნებათა დაკმაყოფილების წყაროდ იქცა.

დღესაც ასეთივე მდგომარეობა სუფევს. ადამიანები ბოროტად იყენებენ იმას, რაც თავისთავად კანონიერია. მათ სურვილთა დაკმაყოფილებას საზღვარი არ უჩანს. ეგრეთ წოდებული ქრისტეს მიმდევრები ჭამენ და სვამენ ლოთებთან ერთად მაშინ, როდესაც მათი სახელები ეკლესიის საპატიო წიგნებშია შეტანილი. თავშეუკავებლობა ასუსტებს ზნეობრივ და სულიერ ძალებს და გზას უხსნის მდაბალ ვნებათა დაკმაყოფილებას. ათასობით ადამიანი ვერ გრძნობს მორალურ პასუხისმგებლობას, რათა გამოიჩინოს თავშეკავება და ამგვარად საკუთარ ვნებათა მონა ხდება. ადამიანები მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისთვის ცხოვრობენ და ამქვეყნიური განცხრომისათვის იღწვიან. თავშეუკავებლობა საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელთ ახასიათებს. პატიოსნება ამქვეყნიურმა სიამტკბილობამ და პატივმოყვარეობამ შეცვალა. გამდიდრების სურვილით შეპყრობილი ადამიანები ამახინჯებენ სამართლიანობას და ავიწროებენ საწყლებს. ჯერ კიდევ ვაჭრობენ მონებითა და ადამიანთა სულებით. როგორც მაღალ, ისე დაბალ ფენებში გაბატონებული სიცრუე, მექრთამეობა და ქურდობა კვლავ დაუსჯელი რჩება. გაზეთები

აჭრელებულია ცნობებით მკვლელობებისა და სხვადასხვა დანაშაულის შესახებ, რომლებიც ისე გულგრილად და უმიზეზოდაა ჩადენილი, თითქოს არაფერი ადამიანური აღარ არსებობს ამქვეყნად. ეს მხეცური დანაშაულებანი ისეთ ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, რომ გაკიცხვას და გაკვირვებასაც კი აღარ იწვევს. ანარქიის სულმა მოიცვა ერები და დროდადრო აქა-იქ გაჩაღებული ომის კერები, თავზარდამცემი და საშინელი, ვნებებისა და ურჯულოების დაგროვილი ცეცხლის გამოვლინებაა, რაც, შესაბამისი შეზღუდვების მოხსნის შემთხვევაში, მსოფლიოს მწუხარებითა და ტანჯვით აავსებდა. წმიდა წერილის ფურცლებზე ზუსტად და ნათლად ნაჩვენები წარღვნამდელი წუთისოფლის მდგომარეობა გვისახავს ვითარებას, საითაც ასეთი დიდი სისწრაფით მიიჩქარის დღევანდელი წუთისოფელი. დღესაც კი, ჩვენს საუკუნეში, ეგრეთ წოდებულ ქრისტიანულ ქვეყნებში ყოველდღიურად ისეთივე სამარცხვინო და საშინელი დანაშაული ხდება, როგორიც წარღვნამდელ წუთისოფელში ხდებოდა და რამაც თავის დროზე მისი საბოლოო დაღუპვა გამოიწვია.

[102]

წარღვნის დაწყების წინ უფალმა ნოეს დაავალა, ეცნობებინა წუთისოფლისათვის მომავალი საფრთხის შესახებ, რათა მას

მოენანიებინა თავისი ცოდვები. და დღესაც, დედამიწაზე ქრისტეს მეორედ მოსვლის წინა პერიოდში, ღმერთი აგზავნის თავის მსახურთ, რათა ამცნონ კაცობრიობას ამ უდიდესი მოვლენის შესახებ. დღეს ათასობით ადამიანი არღვევს უფლის რჯულს, უფალი ღმერთი კი თავისი უდიდესი მოწყალების გამო მოუწოდებს მათ, მოიქცნენ და დაემორჩილონ მის წმიდა მცნებებს. და ყოველს, ვინც მოინანიებს ღვთის წინაშე და იესო ქრისტეს რწმენით მიატოვებს ცოდვას, მიეტევება. მაგრამ ბევრი ცოდვების უარყოფას ღვთისთვის გაღებულ დიდ მსხვერპლად თვლის. ისინი არ ცხოვრობენ ღვთიური მმართველობის წმიდა პრინციპებით, უარყოფენ მის გაფრთხილებებს და მისი წმიდა კანონის ავტორიტეტს.

წარღვნამდელი წუთისოფლის უამრავ მცხოვრებთაგან მხოლოდ რვა ადამიანმა ირწმუნა უფლის სიტყვა და დაემორჩილა მას. 120 წლის განმავლობაში სიმართლის მქადაგებელი აფრთხილებდა მსოფლიოს მოახლოებული კატასტროფის შესახებ, მაგრამ იგი სასაცილოდ აიგდეს და უარყვეს. ასევე იქნება მომავალშიც. სანამ უზენაესი კანონმდებელი ურჩთა დასასჯელად მოვა, უწმიდურთ ეუწყებათ გაფრთხილება, მოინანიონ და დატოვონ ბოროტი საქმეები, მაგრამ უმრავლესობა არ შეისმენს მას. პეტრე მოცქული ამბობს: "უპირველესად იცოდეთ, რომ უკანასკნელ დღეებში მოვლენ დაცინვით დამცინავნი, რომლებიც საკუთარი გულისთქმისამებრ იქცევიან. ამბობენ: სად არის მისი მოსვლის აღთქმაო? რადგან მას შემდეგ, რაც მიიცვალნენ მამები, ყოველივე უცვლელად რჩება დასაბამიდან მოყოლებული" /2 პეტრ. 3:3, 4/. ხომ არ გვესმის დღეს იგივე სიტყვები, რომელთაც

განა მხოლოდ ურწმუნონი წარმოთქვამენ? ჩვენს ქვეყანაში მრავალი საეკლესიო კათედრიდან გაისმის: "წუხილის არავითარი საბაბი არ არსებობს, - ამბობენ ისინი, - ქრისტეს მოსვლამდე მთელი წუთისოფელი უნდა მოიქცეს და ათასი წლის განმავლობაში სიმართლე იმეფებს დედამიწაზე. მშვიდობა, მშვიდობა! დასაბამიდან ჯერ არაფერი შეცვლილა. ნურავინ უსმენს ამ ეჭვის მთესველთ". მაგრამ ასეთი მოძღვრება ათასწლიანი სასუფევლის შესახებ ეწინააღმდეგება ქრისტეს სიმართლეს და მის მოციქულთა სახარებებს. ამიტომ დასვა იესომ შეკითხვა, რომელსაც მეტად ღრმა აზრი ჰქონდა: "მაგრამ, როდესაც კაცის ძე მოვა, ჰპოვებს კი დედამიწაზე რწმენას?" /ლუკ. 18:8/. და, როგორც ვხედავთ, მისივე სიტყვის თანახმად, თანამედროვე წუთისოფლის მდგომარეობა ისეთივე იქნება, როგორც ეს ნოეს დღეებში იყო. პავლე მოციქული გვაფრთხილებს, რომ ბოლო ჟამს "მომრავლდება ურჯულოება", რაც მოახლოებული აღსასრულის ნიშანი იქნება. "სული გარკვევით ამბობს, რომ უკანასკნელ დღეებში ზოგიერთები განდგებიან რწმენისაგან, დაუჯერებენ მაცდურ სულებს და ეშმაკთა მოძღვრებებს" /1 ტიმ. 4:1/. მოციქული გვიმტკიცებს, რომ "უკანასკნელ დღეებში დადგება საზარელი ჟამი" /2 ტიმ. 3:1/ და გვაძლევს ცოდვათა საოცრად გრძელ სიას, რომელიც მრავლად გამოვლინდება გარეგნულად ღვთისმოსავ ადამიანებში.

წარღვნის დაწყების წინ, როცა მადლის პერიოდი დასასრულს უახლოვდებოდა, დიდი იყო განდგომილთა სწრაფვა ზეიმისა

და დროსტარებისაკენ. გავლენიანი პირები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ იმისათვის, რომ ამქვეყნიურ სიამოვნებებში გართული ადამიანები გულგრილნი დარჩენილიყვნენ უფლის გაფრთხილების მიმართ. განა იგივე სურათს არ ვხედავთ ჩვენს დღეებში? იმ დროს, როცა უფლის მსახურნი მოახლოებული აღსასრულის შესახებ ქადაგებენ, წუთისოფელი გართობებისა და სიამტკბილობის მორევში იძირება. ადამიანები მთელი თავისი არსებით ჩაფლულნი არიან ამქვეყნიურ ნეტარებაში და სულაც არ აინტერესებთ უფლის ნება და მისი ჭეშმარიტება, რამაც უნდა გადაარჩინოს მსოფლიო

[103]

დაღუპვისაგან.

ნოეს დღეებში ფილოსოფოსები ამტკიცებდნენ, რომ წარღვნით მსოფლიოს განადგურება შეუძლებელია. გამოჩენილი მეცნიერები დღესაც ცდილობენ დაამტკიცონ, რომ წუთისოფლის ცეცხლით განადგურება არ მოხდება, რადგან ეს ბუნების კანონებს არ ეთანხმება. მაგრამ ღმერთს, ბუნების შემოქმედსა და მბრძანებელს, ძალუძს საკუთარი განზრახვის აღსრულება.

როდესაც ცნობილმა ფილოსოფოსებმა და სწავლულებმა წუთისოფლის საამებლად დაამტკიცეს, რომ თითქოსდა წყლით დედამიწის მოსპობა შეუძლებელია, ხალხის შიშიც გაიფანტა. როცა ნოეს წინასწარმეტყველური სიტყვა სიცრუედ მიიჩნიეს და ფანატიკოსი უწოდეს, სწორედ მაშინ დადგა უფლის მოქმედების დრო. "მოსკდნენ დიდი უფსკრულის წყაროები და გაიხსნა ცათა სარკმელები" და დამცინავნი წარღვნის წყლებში დაიღუპნენ. თავიანთი საამაყო მეცნიერებით ადამიანები ძალზე გვიან დარწმუნდნენ, რომ მათი სიბრძნე უაზრობაა, რომ კანონმდებელი ბუნების კანონებზე ძლიერია, რომ დიდია ყოვლისშემძლე ღმერთის მიერ საშუალებების არჩევანი თავისი გეგმების აღსასრულებლად. "და როგორც ნოეს დღეებში იყო, ასევე იქნება კაცის ძის დღეებშიც" /ლუკ. 17:26/. "ხოლო უფლის დღე ქურდივით მოვა და მაშინ ზეცანი გრგვინვით გადაივლიან, გავარვარებული საწყისები დაიშლებიან, დედამიწა და მისი საქმენი, რაც მასზეა, გადაიბუგება" /2 პეტრ. 3:10/. როდესაც მეცნიერები თავიანთი მტკიცებებით ღვთის სამსჯავროს მიმართ შიშს გაუფანტავენ ადამიანებს, როცა რელიგიის მქადაგებლები ასწლეულთა მანძილზე მსოფლიოს აყვავებას და მშვიდობას იქადაგებენ, ხოლო წუთისოფელი ჩაფლული იქნება თავის საქმეებში და დროსტარებაში, მშენებლობებში და საკუთარი გეგმების განხორციელებაში, ზეიმებში და გართობებში, როცა ყურად არ იღებს ღვთის გაფრთხილებას და აბუჩად აიგდებს უზენაესის მაცნეთ - "მაშინ მოულოდნელად დაატყდებათ თავს განადგურება... და ვერ დააღწევენ თავს" /1 თეს. 5:3/.

[104]

თავი 8 - წარღვნის შემდეგ

დაბადება 7:20-9:17

თხუთმეტი წყრთის სიმაღლეზე აიწია წყალმა ყველაზე მაღალ მთებს ზემოთ. კიდობანში მყოფთ ხშირად ეჩვენებოდათ, რომ ეს-ესაა დაიღუპებიან, ვინაიდან ხუთმა გრძელმა თვემ განვლო მას შემდეგ, რაც მათი ნავი ქარიშხლისაგან აბობოქრებულ ზვირთებში შეცურდა. ეს იყო საშინელი გამოცდა, მაგრამ ნოეს რწმენა ერთი იოტითაც არ შერყეულა, რადგან იგი დარწმუნებული იყო, რომ ყოველივე ამას უფლის ხელი ხელმძღვანელობდა.

როცა წყალმა დაკლება იწყო, უფლის ხელმა კიდობანი ისეთ ადგილს მიაყენა, რომელიც ყოველი მხრიდან მთებით იყო დაცული და რომელიც, მისი წყალობით, დაუზიანებელი დარჩა. მთები ერთურთისაგან მცირე მანძილით იყო დაშორებული და მაღალ კედელს ქმნიდა. უძირო ოკეანის საშინელი ზვირთებისაგან თავდაღწეული ნავი ახლა მშვიდად ირწეოდა მოლივლივე ტალღებზე ამ წყნარ სავანეში. ამან კი დიდი შვება

მოჰგვარა მძვინვარე სტიქიასთან ბრძოლით დაქანცულ ადამიანებს.

ნოე და მთელი მისი ოჯახი მოუთმენლად ელოდა მომენტს, როდესაც წყალი დაიკლებდა და ისინი კვლავ დაადგამდნენ ფეხს ხმელეთზე. ორმოცი დღის შემდეგ, როგორც იქნა, მთის მწვერვალები გამოჩნდა, ნოემ გამოუშვა ყორანი - ეს მეტად მგრძნობიარე ფრინველი, რათა გაეგო, გაშრა თუ არა მიწა. ფრინველმა ვერსად მონახა მშრალი ადგილი და ნავის თავზემოთ ფრენა განაგრძო. შვიდი დღის შემდეგ ნოემ მტრედი გამოუშვა, მაგრამ მანაც ვერ იპოვა მშრალი ადგილი და ნავში დაბრუნდა. ნოემ კიდევ მოიცადა შვიდი დღე და კვლავ გამოუშვა მტრედი. და როდესაც მან საღამოს ნისკარტით ზეთისხილის ნედლი რტო მოიტანა, კიდობანში ნამდვილმა დღესასწაულმა დაისადგურა. შემდეგ ნოემ "ახადა სახურავი კიდობანს და ხედავს, აჰა, გამშრალია მიწის პირი". მაგრამ მან კვლავ მოთმინებით განაგრძო ლოდინი. თავის დროზე იგი კიდობანში უფლის მითითებით შევიდა და ახლაც მოთმინებით ელოდა მისგან განსაკუთრებულ მითითებას, რომ დაეტოვებინა იგი.

და ბოლოს, ზეციდან მოვიდა ანგელოზი, კიდობნის კარი გახსნა და უბრძანა პატრიარქს და მის ოჯახს, გამოსულიყვნენ და ცხოველებიც გამოეყვანათ. გათავისუფლების უდიდესმა სიხარულმა არ დაავიწყა ნოეს, თუ ვისმა სიყვარულმა და

მზრუნველობამ გადაარჩინა იგი და მისი ოჯახი დაღუპვას. პირველი, რაც მან ნავიდან გამოსვლისას გააკეთა, სამსხვერპლოს აგება იყო. შესწირა ნოემ მსხვერპლი ყოველი წმიდა ცხოველისა და ფრინველისაგან ხსნისათვის მადლიერებისა და ქრისტეს უდიდესი მსხვერპლისადმი თავისი ურყევი რწმენის ნიშნად. ეს შესაწირავი მოიწონა უფალმა და უხვად აკურთხა არა მხოლოდ ნოეს ოჯახი, არამედ მისი მომდევნი თაობებიც მთელი დედამიწის ზურგზე. "იყნოსა უფალმა კეთილსურნელება და თქვა უფალმა თავისთვის: ამიერიდან აღარ დავწყევლი მიწას ადამიანის გამო... ვიდრე ქვეყანა იქნება - არც თესვა და მკა, არც ყინვა და სიცხე, არც ზაფხული და ზამთარი, არც დღე და ღამე არ გაუქმდება".

ეს თვალსაჩინო მაგალითი იყო ყველა მომავალი თაობისათვის. ნოე კიდობნიდან უკაცრიელ მიწაზე გამოვიდა და თავისთვის საცხოვრებლის აშენებამდე უფალ ღმერთს აუგო სამსხვერპლო. თავისი მცირერიცხოვანი პირუტყვიდან, რომელიც ასე მძიმე პირობებში ძლივს შეინარჩუნა, მან დიდი სიხარულით მიუძღვნა ნაწილი ღმერთს, რაც იმის აღიარებას ნიშნავდა, რომ ყველაფერი

[105]

[106]

მას ეკუთვნის. ამ მაგალითისამებრ, ჩვენც ყოველთვის უნდა ვიზრუნოთ, რათა უფალს ნებაყოფლობითი მსხვერპლი შევწიროთ. მისი მოწყალებისა და სიყვარულის ყოველ გამოვლენას ერთგულებით უნდა ვუპასუხოთ და მისი საქმის აღსასრულებლად შესაწირავი უნდა გავიღოთ.

ღრუბელსა და წვიმას წარღვნის გამეორების მუდმივ შიშში რომ არ ჰყოლოდა ადამიანები, უფალმა გაამხნევა ნოე და მისი ოჯახი შემდეგი აღთქმით: "გიდებთ აღთქმას, რომ აღარ აღგვის ხორციელს წარღვნა და აღარ მოვა წარღვნა ქვეყნის დასაღუპავად... ვდებ ჩემს ცისარტყელას ღრუბელში ნიშნად აღთქმისა ჩემსა და ქვეყანას შორის. როდესაც ქვეყანას ღრუბლით დავღრუბლავ და გამოჩნდება ღრუბელში ცისარტყელა, დავინახავ მას და გავიხსენებ მარადიულ აღთქმას ღმერთსა და ყოველ ხორციელ სულდგმულს შორის, რაც კი არის ამქვეყნად".

რა დიდია უფლის მოწყალება და სიყვარული დედამიწის გზააბნეულ შვილთა მიმართ, გაცხადებული მშვენიერ ცისარტყელაში - უფალსა და ადამიანთა შორის აღთქმის სიმბოლოში! უფალი ამბობს, რომ ცისარტყელას ყოველ დანახვაზე გაიხსენებს აღთქმას, რომელიც დედამიწის მკვიდრთ დაუდო. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას შეიძლება

დაავიწყდეს ის. უფალი მიწიერი ენით გვესაუბრება, რათა უკეთესად გავიგოთ მისი ნათქვამი. უფალს სურდა, რომ, როდესაც მომავალი თაობები დაინტერესდებოდნენ ცისარტყელას მნიშვნელობით, მშობლებს მოეთხროთ მათთვის წარღვნის ისტორია და ამბავი იმისა, თუ როგორ მოათავსა უზენაესმა იგი ღრუბლებში იმის ნიშნად, რომ დედამიწას წარღვნით არასოდეს გაანადგურებდა. ამგვარად, თაობიდან თაობამდე აღთქმის ცისარტყელა ადამიანისადმი ღვთიურ სიყვარულზე უნდა მოწმობდეს და გულში უფლისადმი რწმენასა და ნდობას უნდა სახავდეს.

მსგავსი ცისარტყელა გარს აკრავს ღმერთის ტახტს ზეცაში და მთელი ბრწყინვალებით მოსავს ქრისტეს თავს. წინასწარმეტყველი ამბობს: "როგორც ცისარტყელა ჩანს ღრუბლებში წვიმიან დღეს, ასე ჩანდა ეს ნათება ირგვლივ" /ეზეკ. 1:28/. გამოცხადების ავტორი კი წერს: "აჰა, ტახტი იდგა ცაში და ტახტზე იყო მჯდომარე... და ცისარტყელა გადარკალულიყო ტახტის თავზე, სმარაგდის მსგავსი" /გამოცხ. 4:2,3/. როცა ადამიანთა ურჯულოება და ბოროტი საქმეები უზენაესის სამსჯავროს იწვევს, მაშინ მაცხოვარი შუამდგომლობს მათ მამის წინაშე, მიუთითებს ტახტის და თავის გარშემო შემორკალულ ცისარტყელაზე, როგორც მომნანიებელი ცოდვილისადმი ღვთის უდიდესი წყალობის ნიშანზე.

წარღვნის შესახებ ნოესთვის მიცემულ დაპირებას უფალმა ღმერთმა თავისი მადლის ერთ-ერთი უძვირფასესი აღთმა დაუკავშირა: "რადგან ეს ნოეს წყლებია ჩემთვის: როგორც დავიფიცე, რომ აღარ მოვავლენდი ნოეს წყლებს ქვეყანაზე, ასე ვფიცავ, რომ აღარ განვრისხდები შენზე და აღარ დაგემდურები, რადგან მთები შეიძვრებიან და ბორცვები შეირყევიან, ჩემი შენდამი წყალობა კი არ შეიძვრის და ჩემი სამშვიდობო აღთქმა არ შეირყევა, ამბობს შენი მწყალობელი უფალი" /ეს. 54:9,10/.

ნოეს ძლიერ ეშინოდა, რომ იმ უზარმაზარ მტაცებელ ცხოველებს, მათთან ერთად კიდობნიდან რომ გამოვიდნენ, მისი რვა სულისაგან შემდგარი, მცირერიცხოვანი ოჯახი არ გაენადგურებინა. მაგრამ უფალმა მფარველი ანგელოზი გაუგზავნა თავის მსახურს და გაამხნევა: "თქვენი შიში და ძრწოლა ჰქონდეს მიწის ყველა მხეცს, ცის ყველა ფრინველს, ყოველ სულდგმულს, რაც კი იძვრის დედამიწაზე და ზღვის ყველა თევზს; თქვენს ხელთ არიან ისინი. ყოველი, რაც კი ცოცხლობს, საჭმელად გქონდეთ; როგორც მწვანე ბალახს, ისე გაძლევთ ყველაფერს". აქამდე ღმერთი ხორცის ჭამის ნებას არ

[107]

რთავდა ადამიანს, მას სურდა, რომ მხოლოდ მიწის ნაყოფი ყოფილიყო მისი საკვები. მაგრამ ახლა, როცა მთელი მცენარეული სამყარო განადგურდა, მან კიდობანში მყოფ წმიდა ცხოველთა ხორცის ჭამის ნება მისცა.

წარღვნის შედეგად ძლიერ შეიცვალა დედამიწის იერსახე. ცოდვის შედეგად მესამე საშინელი წყევლის სიმძიმე დაემუქრა მას. წყალმა თანდათან იკლო, თავი იჩინა ბორცვებმა და მთებმა, რომელთაც გარს მღვრიე, უსასრულო ოკეანე შემორტყმოდა. მიწა მოფენილი იყო ადამიანთა და ცხოველთა გვამებით. მაგრამ უფალმა არ დაუშვა, რომ ამ ხრწნად გვამებს ჰაერი მოეწამლა და ყველა მიწაში ჩამარხა. ასე რომ, დედამიწა გახდა მათი საერთო საფლავი. ბობოქარმა, ძლიერმა ქარმა, რომლითაც უფალმა მიწის ზედაპირის გაშრობა გადაწყვიტა, უდიდესი ძალით წარხვეტა გვამები, მთის მწვერვალები, მოთხარა და დაახვავა ხეები, ქვები და ლოდები, რომლებმაც დაფარა დაღუპულთა გვამები. ამგვარად, მიწის ქვეშ მოექცა ოქრო, ვერცხლი, საუკეთესო ჯიშის ხეები, ძვირფასი ქვები, რითაც ასე მდიდრულად იყო მორთული წარღვნამდელი წუთისოფელი და რასაც მისი მცხოვრებნი აღმერთებდნენ. წყლის ძლიერი დინებებით ეს განძი მიწამ, ზოგ ადგილას კი კლდეებმა და მაღალმა მთებმა დაფარა. ღმერთი ხედავდა, რომ რაც უფრო მეტს აძლევდა და ამდიდრებდა ცოდვილთ, მით უფრო მეტად ირყვნებოდნენ ისინი. სიმდიდრისა და სიკეთის უხვი მომცემის განდიდების ნაცვლად ადამიანებმა უარყვეს იგი და მიწიერ საგანძურთა თაყვანისცემა იწყეს.

წარღვნით გაუდაბურებული დედამიწა ენით აუწერელ ქაოსსა და საშინელ სანახაობას წარმოადგენდა. ერთ დროს ულამაზესი, სიმეტრიულად განლაგებული მთები ახლა მიწისა და სხვადასხვა ქანების უწესრიგო გროვად იქცა, რასაც კლდოვანი ლოდების ნამტვრევები ფარავდა. ბევრ ადგილას უკვალოდ გაქრა მაღლობები და გორაკები, ხოლო ადრინდელი დაბლობებისა და მდელოების ადგილზე ახლა მაღალი მთაგრეხილები გადაჭიმულიყო. მაგრამ ყველგან ერთნაირი ცვლილებები როდი განიცადა დედამიწამ. ოქროს, ვერცხლისა და ძვირფასი ქვების საბადოებით ერთ დროს მდიდარ ადგილებს ახლა უმძიმესი წყევლის კვალი აჩნდა. ხოლო დედამიწის ნაკლებად დასახლებულ მხარეებს და ადგილებს, სადაც ცოდვა შედარებით ნაკლებად იყო გაბატონებული, წყევლა ნაკლებად შეეხო.

უზარმაზარი ტყეები მიწის ქვეშ დაიმარხა და თანდათანობით ნახშირის ბუდობები და დიდი რაოდენობის ნავთობი წარმოშვა, რამაც ჩვენს დღეებამდეც მოაღწია. ნახშირი და ნავთობი ხშირად ალდება და იწვის მიწის ქვეშ, რის შედეგადაც ცხელდება ქვის ქანები და კირი, მადანი კი დნება. წყლის კირზე ზემოქმედება უჩვეულოდ მაღალ ტემპერატურას იწვევს, რაც სხვადასხვაგვარი მიწისძვრებისა და ვულკანების ამოფრქვევის მიზეზი ხდება. მადანთან და კირთან ცეცხლისა და წყლის შერევა იწვევს ძლიერ მიწისქვეშა ბიძგებს, რაც ხშირად გრგვინვის ყრუ, დახშულ ხმებს წააგავს. ჰაერის გაცხელებას მოსდევს ვულკანური აფეთქება, რის დროსაც ხშირად ეს

გავარვარებული ნივთიერებანი გამოსასვლელს ვერ პოულობს; მიწა ირყევა, მისი ქერქი იბერება და ზღვის ტალღების მსგავსად იწევა. ჩნდება უზარმაზარი ნაპრალები, რომლებიც ზოგჯერ მთელ ქალაქებს, სოფლებსა და დიდ მთებსაც კი შთანთქავს. ასეთი სასწაულებრივი, ტრაგიკული მოვლენები თანდათან უფრო გახშირდება უშუალოდ ქრისტეს მეორედ მოსვლისა და წუთისოფლის აღსასრულის წინ, როგორც ნიშანი მისი მალე დაღუპვისა.

დედამიწის სიღრმეები უფლის საწყობებია. ძველი წუთისოფლის გასანადგურებლად ღმერთმა იქ ჩამალული იარაღი გამოიყენა. ზედაპირზე ამოხეთქილმა მიწისქვეშა წყლებმა ციდან წამოსულ წვიმის ნიაღვართან ერთად

[108]

[109]

გააკეთა თავისი დამღუპველი საქმე. წარღვნის დღეებიდან მოყოლებული ცეცხლი, ისევე, როგორც წყალი, უწმიდურ ქალაქთა გასანადგურებელ იარაღს წარმოადგენდა უფლის ხელში. უფალი უგზავნის ამ სასჯელს დედამიწას, რათა უფლის

წმიდა რჯულისა და მისი ავტორიტეტის აბუჩად ამგდებნი შეშინდნენ, დაფიქრდნენ და აღიარონ მისი ძალა და უზენაესი მმართველობა. ამოფრქვეული ცეცხლისა და გავარვარებული ლავის, რომელიც მთელ ქალაქებსა და მდინარეებს ფარავდა, აცამტვერებდა და ანადგურებდა, დანახვაზე ყველაზე უშიშარნი, ურწმუნონი და თავხედი ღვთისმგმობელნიც კი იძულებულნი ხდებოდნენ, ეღიარებინათ ღმერთის უსასრულო ძლიერება.

ასეთი სურათების მხილველი ძველი წინასწარმეტყველნი აღმოთქვამდნენ: "ნეტავ გააპობდე ცას და ჩამოხვიდოდე! დადნებოდნენ მთები შენს წინაშე! როგორც გიზგიზებს ცეცხლმოკიდებული ფიჩხი, როგორც წყალს ადუღებს ცეცხლი! რომ აცოდინო შენი სახელი შენს მტრებს: შეძრწუნდებოდნენ შენს წინაშე ხალხები. როცა ახდენდი სასწაულებს, რომელთაც არ ველოდი, ჩამოდიოდი და მთები დნებოდნენ შენს წინაშე" /ეს. 64:1-3/. "გრიგალშია უფალი და ქარბორბალაშია მისი სავალი; ღრუბელი მის ფერხთა მტვერია. დაემუქრება ზღვას და ამოაშრობს და დაშრეტს ყველა მდინარეს" /ნაუმ. 1:3, 4/.

ქრისტეს მეორედ მოსვლის ჟამს ადამიანები უფრო საშინელ სურათებს იხილავენ. "მის ქვეშ იდრიკებიან მთები და ლღვებიან ბორცვები. ირყევა მის წინაშე დედამიწა, სამყარო და ყოველი მისი მკვიდრი. ვინ გაუძლებს მის წყრომას, ვინ აიტანს მის მძვინვარებას? ცეცხლად იღვრება მისი რისხვა, კლდეები ირღვევიან მისგან" /ნაუმ. 1:5,6/. "უფალო, მოდრიკე ცანნი შენი

და გადმოდი, შეეხე მთებს, რომ აკვამლდნენ! გამოაელვე ელვანი და გაფანტე ისინი, გამოუშვი ისარნი შენნი და თავზარი დაეცი მათ" /ფს. 143:5,6/.

"ვაჩვენებ სასწაულებს მაღლა ცაში და ნიშნებს დაბლა მიწაზე, სისხლსა და ცეცხლს და კვამლის ბოლქვებს" /საქ. 2:19/. "იქმნა ელვანი და ხმანი და ქუხილნი და მოხდა დიდი მიწისძვრა, როგორიც არ მომხდარა მას შემდეგ, რაც ადამიანი გაჩნდა დედამიწაზე. ასეთი დიდი იყო ის მიწისძვრა!.. ყოველი კუნძული გაიქცა და მთები აღარ იპოვებოდა. ტალანტის სიდიდის სეტყვა წამოვიდა ციდან ადამიანებზე" /გამოცხ. 16:18-21/.

ზეციური ელვა დედამიწის ცეცხლს შეუერთდება და მაშინ მთები, ღუმლის მსგავსად, გავარვარდებიან, საშინელი ლავის ნაკადებს ამოაფრქვევენ, რაც ბაღებს, მინდვრებს, სოფლებსა და ქალაქებს დაფარავს. გავარვარებული მასის ზემოქმედებით მდუღარე წყალი გახეთქავს და დაანგრევს მიუვალ, სალ კლდეებს. მდინარეები დაშრება. მიწა აზვირთდება, ყველგან მოხდება საშინელი მიწისძვრები და აფეთქებები.

ასე განწმედს ღმერთი დედამიწას უწმიდურთაგან. ხოლო მართლები დაცულნი იქნებიან ამ საშინელებათაგან ისევე, როგორც ნოე - კიდობანში წარღვნის დროს. უფალი იქნება მათი თავშესაფარი და მის ფრთებქვეშ უშიშრად იქნებიან ისინი.

მეფსალმუნე ამბობს: "რადგან ღმერთო, შენა ხარ ჩემი თავშესაფარი; შენს საცხოვრისად აირჩიე უზენაესი. არ შეგემთხვევა სიავე" /ფს. 90:9,10/. "რადგან შემიფარავს იგი თავის კარავში გაჭირვების ჟამს, დამმალავს თავისი კარვის სამალავში" /ფს. 26:5/.

უფალი აღგვითქვამს: „რაკი შემიყვარა, გადავარჩენ მას, დავიფარავ მას, რადგან იცნო სახელი ჩემი" /ფს. 90:14/.

[110]

თავი 9 - შვიდდღიანი კვირის ჭეშმარიტი წარმოშობა

შაბათის მსგავსად, კვირეული სათავეს იღებს სამყაროს შექმნიდან და ბიბლიური ისტორიების მეშვეობით უცვლელად მოდის ჩვენამდე. უფალმა თავად გამოყო შვიდდღიანი კვირა მომავალ კვირეულთა საზომად ბოლო ჟამამდე. ყოველ კვირაში შვიდი დღეა. ექვსი დღის განმავლობაში ქმნიდა უფალი სამყაროს, მეშვიდე დღეს კი დაისვენა, შემდეგ კი აკურთხა ეს დღე და ადამიანსაც დასვენების დღედ დაუწესა.

სინაის მთაზე მოცემულ რჯულში უფალმა დაამოწმა კვირეული და ის პრინციპები, რომლებზედაც იგი იყო დაფუძნებული. მას შემდეგ, რაც მოგვცა მცნება: "გახსოვდეს შაბათი დღე, რომ წმიდა ჰყო იგი", დაადგინა, თუ რა უნდა გვეკეთებინა ექვსი დღის განმავლობაში და რა - მეშვიდე დღეს. უფალმა განსაზღვრა კვირეულის დაცვის მიზეზი საკუთარი მაგალითით: "რადგან ექვს დღეში შექმნა უფალმა ცა და მიწა, ზღვა და ყველაფერი, რაც მასშია, და მეშვიდე დღეს შეისვენა; ამიტომაც აკურთხა უფალმა შაბათი დღე და წმიდაჰყო იგი" /გამ. 20:8,11/. ეს მიზეზი მეტად დამაჯერებელი და ამაღლებული იქნება იმ შემთხვევაში, თუ უფლის შემოქმედების დღეებს ზუსტად, სიტყვასიტყვით ვღებულობთ. კვირის პირველი ექვსი დღე შრომისათვის დაუწესდა ადამიანს, ვინაიდან დროის ეს მონაკვეთი უფალმა თავისი შემოქმედებისთვის გამოიყენა. მეშვიდე დღეს კი ადამიანმა არ უნდა იმუშაოს უფლის სიტყვის პატივისცემის ნიშნად.

მაგრამ ვარაუდი იმისა, რომ პირველ კვირაში მომხდარი ყველა მოვლენა თითქოსდა მრავალ ათასწლეულთა მანძილზე ვითარდებოდა, პირდაპირ დარტყმას აყენებს უფლის მეოთხე მცნების საფუძველს. ეს გვაფიქრებინებს, თითქოსდა შემოქმედმა ადამიანებს უბრძანა შვიდდღიანი კვირის დაცვა დროის უსასრულო პერიოდის აღსანიშნავად, რაც ძირშივე ეწინააღმდეგება მის მიერ შექმნილ არსებებთან შემოქმედის დამოკიდებულების პრინციპებს. ეს გაუგებარს ხდის იმას, რაც ადვილად გასაგებია და ნათელი. ესაა ურწმუნოების მეტად

მზაკვრული და საშიში ფორმა. მისი ჭეშმარიტი არსი ისე ოსტატურადაა შენიღბული, რომ მრავალი მორწმუნე იზიარებს ამ ვარაუდს და ასევე ასწავლის სხვებსაც.

"უფლის სიტყვით შეიქმნა ზეცა და მისი ბაგეების ქარით - მთელი მისი საკრებულო... რადგან მან თქვა და - შეიქმნა, მან ბრძანა და - არსებობს" /ფსალმ. 32:6-9/. ბიბლია არ აღიარებს ხანგრძლივ საუკუნეთა განმავლობაში ქაოსური უწესრიგობიდან დედამიწის თანდათანობით განვითარებას. შემოქმედების ყოველი ახალი დღე, წმიდა წერილის თანახმად, საღამოსა და დილისაგან შედგებოდა. ყოველი დღის დასრულებისას გადმოიცემა შემოქმედის მოღვაწეობის შედეგი და პირველი კვირეულის დასასრულს კი ითქვა: "ასეთი იყო ცისა და მიწის დაბადება მათი შექმნისას" /დაბ. 2:4/. მაგრამ ეს სულაც არ მეტყველებს იმაზე, რომ შემოქმედების დღეები განსხვავდებოდა სხვა დღეებისაგან. ყოველი დღე ახალი საქმით განისაზღვრებოდა, რადგან ღმერთი ამ დღეს თავისი საქმის ახალ ნაწილს ასრულებდა.

გეოლოგები გვარწმუნებენ, რომ მოპოვებულ მტკიცებათა თანახმად, დედამიწა ბევრად უფრო დიდი ხნისაა, ვიდრე მოსეს ხელნაწერები გვამცნობს. ადამიანთა და ცხოველთა ძვლები, აგრეთვე იარაღი, გაქვავებული ხეები და ა.შ., რომლებიც თავიანთი ზომებით დიდად აღემატება ყველაფერს, რაც დღეს არსებობს და რაც ათასი წლის წინათ იყო, მეცნიერებში იწვევს

აზრს, რომ სამყაროს შექმნის შესახებ ბიბლიურ აღწერამდე დედამიწაზე ცხოვრობდნენ

[111]

[112]

ადამიანები, რომლებიც თავისი ფიზიკური აღნაგობით და განვითარებით დიდად აღემატებოდნენ კაცობრიობის თანამედროვე წარმომადგენელთ. მეცნიერთა ასეთი დასკვნები ბევრ მორწმუნეს აფიქრებინებს, რომ შემოქმედების დღეები იყო ხანგრძლივი და განუსაზღვრელი.

მაგრამ გეოლოგები ვერაფერს დაუმატებენ იმას, რასაც ბიბლია გვამცნობს. ადამიანებს, რომლებსაც ბრმად სჯერათ სხვადასხვა სახის აღმოჩენებისა, არავითარი წარმოდგენა არა აქვთ წარღვნამდელი პერიოდის ადამიანთა და ცხოველთა ფიზიკური ღირსებების, ხეების ზომებისა და მას შემდეგ მომხდარი უდიდესი ცვლილებების შესახებ. მიწაში ნაპოვნი ჩონჩხები მოწმობს თანამედროვე პირობებისაგან სრულიად განსხვავებულ პირობებზე. მხოლოდ ბიბლიას ძალუძს, ნათელი მოჰფინოს წარსულში ასეთი პირობების არსებობას. ღვთივსულიერი სიტყვა გვიცხადებს იმას, რასაც გეოლოგია

ვერასოდეს ჩასწვდებოდა. ნოეს დღეებში ცხოველები და ხეები, რომლებიც დღევანდელზე ბევრად უფრო დიდები იყვნენ, მიწით დაფარულნი და დაცულნი აღმოჩნდნენ, რათა მომავალ თაობებს გაეგოთ ძველი სამყაროს წარღვნით განადგურების ამბავი. ღმერთს სურდა, წარსულის გაცხადებით განემტკიცებინა ადამიანთა რწმენა წმიდა წერილების მიმართ, მაგრამ მათ თავიანთი პატივმოყვარე დასკვნებით ისეთივე შეცდომა დაუშვეს, როგორიც - წარღვნამდელი სამყაროს მოსახლეობამ, რომელმაც ღვთის საბოძვარის არასწორად გამოყენებით წყევლად აქცია ის.

სატანის ერთ-ერთი მზაკვრული ხერხი ადამიანების ურწმუნოების იგავებით გამოკვებისაკენ სწრაფვაშია, რადგან ამ გზით შეძლებს, დაამახინჯოს უფლის რჯული და ღვთიური მმართველობის წინააღმდეგ ამბოხებისაკენ უბიძგოს ადამიანებს. განსაკუთრებული სისასტიკით იგი უფლის მეოთხე მცნებას ებრძვის, რომელიც ასე აშკარად მიგვითითებს ცოცხალ ღმერთზე, როგორც ცისა და დედამიწის შემქმნელზე.

ადამიანები კვლავაც ენერგიულად ცდილობენ, დაგვარწმუნონ, რომ სამყარო ბუნებრივი პროცესების შედეგია და, მიუხედავად წმიდა წერილის ნათელი მტკიცებებისა, ამგვარ დასკვნებს თვით ე.წ. ქრისტიანებიც უჭერენ მხარს. ბევრი უარს ამბობს წინასწარმეტყველების შესწავლაზე, განსაკუთრებით დანიელისა და გამოცხადების წიგნების გამოკვლევაზე და

ამტკიცებს, რომ ისინი მეტად ბუნდოვანი და გაურკვეველია; თუმცა იგივე ადამიანები სიამოვნებით ღებულობენ გეოლოგთა ვარაუდს, რომელიც მოსეს წერილების საწინააღმდეგოა. მაგრამ, თუკი ასე ძნელია იმის გაგება, რაც ღმერთმა გამოგვიცხადა, როგორი წინდაუხედაობაა ვივარაუდოთ ის, რაც მას არ გაუცხადებია!

"დაფარული ეკუთვნის უფალს, ჩვენს ღმერთს, გაცხადებული კი ჩვენ და ჩვენს შვილებს უკუნისამდე" /2 რჯ. 29:29/. უფალმა ღმერთმა არ აუხსნა ხალხს, სახელდობრ რა გზით განახორციელა თავისი შემოქმედებითი საქმეები. ადამიანურ მეცნიერებას არ ძალუძს უზენაესის საიდუმლოებაში ჩახედვა. მისი შემოქმედებითი ძლიერება ისევე ჩაუწვდომელია, როგორც თვით მისი არსებობა.

უფალმა ღმერთმა უხვად მისცა ადამიანებს მეცნიერებისა და ხელოვნების აღქმის უნარი, მაგრამ, თუკი მეცნიერები ამ სფეროს მხოლოდ ადამიანური თვალსაზრისით განიხილავენ, აუცილებლად ცრუ დასკვნებს გამოიტანენ. რა თქმა უნდა, ჩვენ შეიძლება წმიდა წერილებში მოცემულის გარდა არა ერთი მოსაზრება გაგვაჩნდეს, მაგრამ იმ პირობით, თუკი ჩვენი შეხედულება ბიბლიურ ფაქტებს არ ეწინააღმდეგება. მაგრამ ის, ვინც ბიბლიის გარეშე, მეცნიერული თვალსაზრისით ცდილობს, ახსნას სამყაროს შემოქმედებითი პროცესები, ვითარცა რუკისა და კომპასის გარეშე, დაიკარგება უსასრულო ოკეანეში.

უნიჭიერესი მეცნიერები, თუკი თავიანთ გამოკვლევებში წმიდა წერილებით არ იხელმძღვანე -ლებენ, უფლის გამოცხადებასა და მეცნიერებას შორის ურთიერთდამოკიდებულე -

[113]

ბის დადგენის მცდელობისას ჩიხში მოემწყვდევიან. ვინაიდან თავად შემოქმედი და მისი საქმეები მიუწვდომელია მათი გონებისათვის და, რადგან ბიბლიურ ისტორიას ბუნების კანონების მიხედვით ვერ ხსნიან, მეცნიერები უბრალოდ უარყოფენ მას და ლეგენდად თვლიან. ძველი და ახალი აღთქმის ჭეშმარიტებაში დაეჭვებულნი უფრო შორს მიდიან და თვით შემოქმედის არსებობასაც კი უარყოფენ. და ამგვარად ვერ პოულობენ სწორ გეზს და მიჰყვებიან ტალღებს, სანამ ურწმუნოების კლდეზე არ გადაიჩეხებიან.

ასეთი ადამიანები კარგავენ რწმენის უბრალოებას. აუცილებელია, მტკიცედ გვჯეროდეს წმიდა წერილის ღვთიური ავტორიტეტისა. ბიბლია არ გამოიცდება ადამიანთა მეცნიერული იდეებით. ადამიანური ცოდნა გზის არასაიმედო მაჩვენებელია. სკეპტიკოსები, რომლებიც ბიბლიას მხოლოდ იმისათვის კითხულო -ბენ, რომ საკამათო საგნად გახადონ იგი, შესაძლოა, მეცნიერული ან ღვთის სიტყვის არასაკმარისი

ცოდნის გამო მოჰყვებიან მტკიცებას, რომ მეცნიერება და ბიბლია ერთურთს ეწინააღმდეგება, მაგრამ საკითხის სწორი შემეცნებისას გასაგები გახდება, რომ მათ შორის სრული ჰარმონიაა. სულიწმიდის შთაგონებით დაწერა მოსემ თავისი წიგნები და ჭეშმარიტ გეოლოგიურ თეორიას არასდროს დაუმტკიცებია მისი მონაცემების საწინააღმდეგო თვალსაზრისი. ბუნებისა და ღვთის სიტყვის ყოველგვარი ჭეშმარიტება თავისთავად კანონზომიერია თავის გამოცხადებაში.

წმიდა წერილში არის საკითხები, რომელთაც ყველაზე ცნობილი მეცნიერებიც კი ვერ გასცემენ პასუხს. თუკი მათ ღრმად ჩავუფიქრდებით, მივხვდებით, რომ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაშიც კი მრავლადაა მოვლენები, რომელთაც ადამიანის გონება მთელი თავისი მკვეხარა სიბრძნით ვერასოდეს ჩასწვდება.

და მაინც, მეცნიერები ფიქრობენ, რომ შეძლებენ, ღვთის სიბრძნეს ჩასწვდნენ, მიხვდნენ, თუ რა შექმნა ან რისი შექმნა შეეძლო შემოქმედს. მისივე კანონე-ბით უფლის შეზღუდვის იდეამ დიდი გაქანება პოვა. ადამიანები ან საერთოდ უარყოფენ ღმერთის არსებობას, ან ჯიუტად არ სურთ, იცოდნენ რამე მის შესახებ, ან კიდევ ცდილობენ, სულიწმიდის ადამიანის გულზე ზემოქმედებასაც კი მოუძებნონ ახსნა. მათ არ გააჩნიათ არც მოწიწება და არც შიში მისი სახელისა და ძალის წინაშე. მათ არ

სჯერათ ზებუნებრივი ძალის, ვერ აუხსნიათ უფლის რჯული, ვერც მისი უსაზღვრო ძლიერება და ძალა, რაც ადამიანს ღმერთის მცნებების შესრულებაში ეხმარება. ცნება "ბუნების კანონები", მათი აზრით, მხოლოდ ის სფეროა, რომელშიც მათ შეძლეს შეღწევა და რომელიც ფიზიკურ სამყაროს მართავს. მაგრამ რა შეზღუდულია მათი ცოდნა და რა ვრცელი და უსასრულო სამყარო, სადაც უფალი საკუთარი კანონების თანახმად მოქმედებს; ყოველივე კი მოკვდავის გონებისა და შემეცნების ზღვარს სცილდება!

ბევრი ასწავლის, რომ მატერიას გააჩნია სიცოცხლის ძალა და უნარი, რომ ეს მისი უცვლელი თვისებაა, რომ იგი საკუთარი ენერგიით მოქმედებს, რომ ბუნების მოვლენებს მართავს მისივე მარადიული კანონები, რომელთა შეცვლაც თვით ღმერთსაც კი არ ძალუძს. ეს ცრუ მეცნიერებაა და არ მტკიცდება ღვთის სიტყვით. ბუნება შემოქმედის მსახურია. ღმერთი არ ცვლის თავის კანონებს და არც არღვევს მათ, არამედ კანონი იარაღია მის ხელში. ბუნება მოწმობს მუდმივად მოქმედ გონებრივ ძალაზე, რომელიც ვლინდება როგორც ღვთის მცნებებში, ასევე მათი მეშვეობითაც. ბუნებაში მოუღლელად შრომობენ მამა და ძე. ქრისტე ამბობს: "მამაჩემი აქამდე ასე აკეთებს და მეც ვაკეთებ" /იოან. 5:17/.

ნეემიას მიერ დაწერილ საგალობელში ლევიანები ასე მიმართავდნენ ღმერთს: "უფალო, შენ ერთადერთი ხარ; შენ შეჰქმენ ცანი და ცანი ცათანი თავისი

[114]

[115]

მორთულობით, მიწა და ყველაფერი, რაც მასზეა... ამის ყველაფრის მაცოცხლებელი შენა ხარ" /ნეემ. 9:6/. ხოლო, რაც შეეხება ჩვენს დედამიწას, უფლის შემოქმედებითი საქმიანობა მასზე დასრულებულია, ვინაიდან "ღვთის საქმენი დასრულდა ჯერ კიდევ წუთისოფლის დასაბამიდან" /ებრ. 4:9/. მაგრამ შემოქმედის ძალა მუდამ ვლინდება შექმნილთა მმართველობაში. ერთხელ ამოქმედებული მექანიზმი მუდმივ მოქმედებაშია არა იმიტომ, რომ მასში ჩადებული ძალა ფუნქციონირებს, რომ ამ მიზეზით უცემს გული ყოველ ცოცხალ არსებას; არამედ ყოველი ამოსუნთქვა და გულისცემა მოწმობს მის ყოვლისმომცველ მზრუნველობაზე, ვისი მეშვეობითაც "ვცოცხლობთ, ვიძვრით და ვარსებობთ" /საქ. 17:28/. განა მასში ერთხელ ჩადებული ენერგიით წარმოშობს დედამიწა ყოველივე ცოცხალს და ბრუნავს იგი მზის გარშემო? არა, უზენაესის ხელი

მართავს პლანეტების მოძრაობას მთელ სამყაროში; ის, "ვისაც სათვალავით გამოჰყავს მათი მხედრობა, ვინც სახელდებით უხმობს მათ ყველას, არავინ დააკლდება ძალამოსილს და ყოვლადძლიერს" /ეს. 40:26/. დიახ, მხოლოდ მისი ძალით იკვირტება მცენარე, იშლება ფოთოლი და ჰყვავის ყვავილი.... იგი "აღმოაცენებს მთაში ბალახს" /ფს. 146:8/ და მხოლოდ მისი ძალით ნაყოფიერდება ყანები. ტყის ყოველ ბინადარს უგზავნის იგი საკვებს და ყოველი ცოცხალი არსება, დაწყებული პატარა მწერით და დამთავრებული ადამიანით, შემოქმედის მუდმივ მზრუნველობაზეა დამოკიდებული. რა მშვენიერია მეფსალმუნის სიტყვები: "ყველა მათგანი შენგან მოელის საზრდოს მიცემას თავთავის დროზე... გახსნი შენს ხელს - გაძღებიან სიკეთით" /ფს. 103:27,28/. მისი სიტყვა მართავს ბუნების ძალებს: იგი ფარავს ღრუბლებით ზეცას და აგზავნის წვიმას დედამიწაზე. "წარმოგზავნის თოვლს მატყლივით; თრთვილს ფერფლივით მიმოფანტავს" /ფს. 147:5,6/. "მის ხმაზე ხმაურობს წყლები ცაში, ის კრებს ღრუბლებს ქვეყნის კიდეებიდან; ის წარმოშობს საწვიმრად ჭექა-ქუხილს, აგზავნის ქარს თავისი საგანძურებიდან" /იერ. 10:13/.

უფალია საფუძველი ყოველივესი. ყოველი ჭეშმარიტი მეცნიერება სრულ თანხმობაშია მის შემოქმედებით საქმეებთან; ყოველ ჭეშმარიტ სწავლა-განათლებას უფლის მმართველობის კანონებისადმი მორჩილებისაკენ მივყავართ. ჭეშმარიტი მეცნიერება სულ ახალ-ახალ სასწაულებს გვამცნობს. იგი იჭრება შორეულ სივრცეებში და იკვლევს ახალ სიღრმეებს, მაგრამ არაფრით ეწინააღმდეგება ღვთიურ გამოცხადებას. უმეცრება

შეიძლება ეყრდნობოდეს მეცნიერულ მტკიცებებს, რათა მხარი დაუჭიროს უფალზე ცრუ შეხედულებებს, მაგრამ ბუნების წიგნი და ღვთის სიტყვა ნათელს ჰფენს ერთმანეთს. ამ მოწმეთა მეშვეობით ჩვენ შეგვიძლია, ვისწავლოთ შემოქმედისადმი პატივისცემა და გონებით ვირწმუნოთ მისი სიტყვა.

ვერც ერთი შეზღუდული გონება ვერ ჩასწვდება უსასრულო ღმერთის შემოქმედების არსს, ძლიერებასა და სიბრძნეს. ღვთის წმიდა მსახური წერდა: "ჩასწვდები შენ ღვთის სიღრმეს? ჩასწვდები ყოვლადძლიერის სრულყოფილებას? ცათა მწვერვალებია - რა გამოგივა? ქვესკნელზე უღრმესია - რას შეიცნობ?" /იობ. 11:7-9/. უდიდესი გენიოსებიც კი ვერ შეიცნობენ ღმერთს. ადამიანებს ძალუძთ, გამოიკვლიონ, გააკეთონ აღმოჩენები, მაგრამ ბევრი საიდუმლო კვლავ მიუწვდომელი რჩება.

შემოქმედის საქმეები მის დიდებაზე და ძლიერებაზე მოწმობს. "ცანი ღაღადებენ ღმერთის დიდებას და მისთა ხელთა ნამოქმედარს გვამცნობს სამყარო" /ფს. 18:2/. ვინც ღვთის სიტყვით იხელმძღვანელებს, მისთვის მეცნიერება იქნება საშუალება ღვთის შემეცნებისათვის. "ვინაიდან მისი უხილავი, მისი მარადიული ძალა და ღვთაება წუთისოფლის დასაბამიდან ქმნილებათა ხილვით შეიცნობა" /რომ. 1:20/.

[116]

თავი 10 - ბაბილონის გოდოლი

დაბადება 9:25-27; 11:1-9

წარღვნის წყლებით უზნეობისა და უწმიდურებისაგან განწმედილი დედამიწის კვლავ დასასახლებლად უფალმა ღმერთმა მხოლოდ ერთი - ნოეს ოჯახი შემოინახა, რომელსაც უთხრა: "რადგან მართალ კაცად გცანი ჩემს წინაშე ამ თაობაში" /დაბ. 7:1/. მაგრამ მალე ნოეს სამივე ვაჟმა იგივე თვისებები გამოავლინა, რაც წარღვნამდელი წუთისოფლისათვის იყო დამახასიათებელი. სემში, ქამსა და იაფეთში წინაპართა ხასიათმა იჩინა თავი.

უფლის სულით შთაგონებულმა ნოემ სამი უდიდესი ერის მომავალი იწინასწარმეტყველა, რომელთა წინაპრებიც ნოეს ვაჟები იყვნენ. ქამის შთამომავ -ლობაზე ნოემ თქვა: "წყეულიმც იყოს ქანაანი! თავისი ძმების მორჩილთა მორჩილი იყოს!" /დაბ. 9:25/. ქამის თავხედური ქცევა იმაზე მეტყველებდა, რომ მშობლისადმი პატივისცემა და მოწიწება მასში უკვე დიდი ხანია გაქრა და სანაცვლოდ მის გულში სიმდაბლე და ურჯულოება დამკვიდრებულიყო. ეს ცუდი ჩვევები განვითარდა მის ძეში

ქანაანში და მის შთამომავლობაში, რომელთა დანაშაულებრივი ცხოვრების წესმაც ღვთის სასჯელი გამოიწვია.

მეორე მხრივ, სემისა და იაფეთის მიერ მამისადმი გამოჩენილი ყურადღება და მოკრძალება და, აქედან გამომდინარე, ღვთიურ დადგენილებათა მიმართ პატივისცემა, რა თქმა უნდა, ნათელ მომავალს უქადდა მის შთამომავლობას. მათ შესახებ ნათქვამია: "კურთხეულ იყოს უფალი, ღმერთი სემისა! მორჩილად გაუხდეს მას ქანაანი. განუფართოს ღმერთმა იაფეთს, სემის კარვებში დაემკვიდ -როს. დაემორჩილოს მას ქანაანი!" სემის მოდგმა უნდა ყოფილიყო უფლის რჩეული ხალხი და მისგან უნდა წარმომდგარიყო აღთქმული მხსნელი. იეჰოვა სემის ღმერთი იყო. მისგან უნდა გამოსულიყო აბრაამი, ისრაელის ერი და თავად ქრისტე. "ნეტარ არს ხალხი, რომელსაც ჰყავს უფალი ღმერთი" /ფს. 143:15/. და "იაფეთიც სემის კარვებში დაემკვიდროს". იაფეთის შთამომავლობას სახარების განსაკუთრებული კურთხევა და მადლი უნდა ჰქონოდა.

ქანაანის შთამომავლები წარმართობის უმდაბლეს ფორმამდე დაეცნენ. თუმცა, წინასწარმეტყველების თანახმად, ისინი მონებად უნდა ქცეულიყვნენ, მაგრამ ამ წყევლის აღსრულება მთელი საუკუნეების განმავლობაში ჭიანურდებოდა; უფალი მოთმინებით იტანდა მათ უწმიდურებას, გარყვნილებას მანამ, სანამ მისი მოთმინების ფიალა არ აივსო. შემდეგ მათ დაკარგეს

თავიანთი დამოუკიდებლობა და სემისა და იაფეთის შთამომავლობის მონები გახდნენ.

ნოეს წინასწარმეტყველება არ იყო გამოწვეული სიძულვილით ან რისხვით. ამით არ განისაზღვრა მისი ვაჟების ბედი და ხასიათი. მაგრამ იგი მიუთითებდა თითოეული მათგანის მიერ არჩეული ცხოვრების გზის შედეგებზე და იმაზეც, თუ რას მიაღწევდნენ საკუთარ თავში ღვთიურ თვისებათა შენარჩუნებითა და განვითარებით. ეს წინასწარმეტყველება იყო უფლის ნების გამოვლინება ნოეს შვილებისა და მათი თაობების მიმართ, რაც მათ ხასიათსა და ცხოვრების ნირს შეესაბამებოდა. ჩვეულებისამებრ, შვილებს მემკვიდრეობით გადაეცემათ მშობლების ხასიათი და თვისებები, ისინი მათ ბაძავენ; ასე რომ, მშობლების ცოდვებს შვილები იმეორებენ თაობიდან თაობაში. ამგვარად, ქამის თავხედური ქცევა და უმეცრება წყევლად გადაეცა მის შთამომავლობას. "ერთი ცოდვილი კი ბევრ სიკეთეს დაღუპავს" /ეკლ. 9:18/.

მეორე მხრივ, რა უხვად იქნა ანაზღაურებული მამისადმი სემის პატივისცემა და მოკრძალება! მართალთა რამდენი ერთგული თაობა მიეკუთვნება მის

[117]

[118]

გვარს! "იცის უფალმა დღენი უცოდველთა... და მისი შთამომავლობა კურთხეულია" /ფს. 36:18-26/. "იცოდე, რომ უფალი, შენი ღმერთი მტკიცე ღმერთია, შემნახველი ათას თაობაში აღთქმისა და წყალობისა მის მოყვარულთათვის და მათთვის, ვინც დაიცავს მის მცნებებს" /რჯლ. 7:9/.

რამდენიმე ხანს ნოეს შთამომავლობა მთებში ცხოვრობდა, სადაც კიდობანი გაჩერდა, მაგრამ გამრავლებულ ხალხში განდგომილებამ მალე განხეთქილება გამოიწვია. მათ, ვისაც აღარ სურდა, უფლის რჯულის მორჩილი ყოფილიყო, მუდამ აღიზიანებდათ ძმების ღვთისმოსაური ცხოვრება, შეგონებანი, რომლებითაც ისინი უფლისაკენ თავის თვისტომთა მოქცევას ლამობდნენ და მალე მათ ღვთის შვილთაგან გაყრა განიზრახეს, ევფრატის ნაპირებზე შინყარის დაბლობე -ბისაკენ გაემართნენ. მართლაც, მეტად მიმზიდველი, ლამაზი და ნოყიერი იყო ეს მიწა და ისინიც კმაყოფილებით დაფუძნდნენ ამ მშვენიერ ველებზე.

აქ განიზრახეს მათ ქალაქისა და ისეთი მაღალი კოშკის აშენება, სამყაროს საოცრება რომ გამხდარიყო. ყოველივე კეთდებოდა, რათა ხალხისთვის არ მიეცათ გაფანტვის საშუალება. უფალმა

უბრძანა ადამიანებს, გაფანტულიყვნენ მთელი დედამიწის ზურგზე, აეთვისებინათ იგი და დასახლებულიყვნენ. მაგრამ ბაბილონის გოდოლის მშენებელთ სურდათ, შეექმნათ მონარქიული მმართველობის ფორმა, რათა შემდგომში მთელ დედამიწაზე ებატონათ. ამგვარად, მათი ქალაქი მსოფლიო იმპერიის ცენტრი გახდებოდა, მისი დიდება საყოველთაო აღტაცებასა და თაყვანისცემას გამოიწვევდა და საქვეყნო აღიარებას მოუტანდა მის დამფუძნებელთ. ეს ცადაბჯენილი, დიდებული კოშკი მის ამშენებელთა ძლიერებისა და სიბრძნის სიმბოლოდ უნდა ქცეულიყო და მომავალ თაობებში სამარადისოდ უნდა უკვდავეყო მათი სახელი.

შინყარის ველის მცხოვრებნი არ ენდობოდნენ ღვთის სიტყვას, რომლის თანახმადაც დედამიწაზე წარღვნა აღარასოდეს მოხდებოდა. ბევრი მათგანი უფლის არსებობასაც კი უარყოფდა და თვლიდა, რომ იგი მხოლოდ ბუნებრივი მიზეზებით იყო გამოწვეული. ბევრს სწამდა ზებუნებრივი არსებისა და თვლიდა, რომ სწორედ მან გამოიწვია წარღვნა და, კაენის მსგავსად, აუჯანყდა მას. კოშკის მშენებლობა ისახავდა ერთადერთ მიზანს - ჰქონოდათ თავშესაფარი წარღვნის განმეორების შემთხვევაში. ამ საოცრად მაღალი გოდოლის აშენებით ადამიანებს სურდათ, თავი დაეღწიათ წარღვნის მოსალოდნელი საფრთხისაგან მომავალში. და რადგან ღრუბლებს მიღმა სფეროებში შეღწევა რეალობად მიაჩნდათ, წარღვნის გამომწვევი მიზეზების გამოკვლევას იმედოვნებდნენ, რაც უფრო გაუთქვამდა სახელს კოშკის ამაყ მშენებლებს,

დააშორებდა ღმერთს მომავალ თაობებს და კერპთაყვანისმცემლობისაკენ გაუხსნიდა გზას.

კოშკის სრულ აშენებამდე მისი ერთი ნაწილი მშენებლების საცხოვრებლად გამოიყენეს, მდიდრულად მორთული მეორე ნაწილი კი კერპებს დაეთმო. ადამიანებს უხაროდათ საკუთარი წარმატება და ხოტბას ასხამდნენ ოქროსა და ვერცხლის ღმერთებს, რითაც სრულიად ეწინააღმდეგებოდნენ ცისა და დედამიწის მეუფის ნებას. მოულოდნელად მშენებლობა, რომელიც ასე წარმატებით მიმდინარეობდა, შეწყდა. ზეციურ ანგელოზებს ებრძანათ, ჩაეშალათ ადამიანთა გეგმები. კოშკი უკვე ძალიან მაღალი იყო და ზემოთ მყოფი მშენებლებისათვის შეუძლებელი გახდა დაბლა მყოფებთან პირდაპირი ურთიერთობა. ამიტომ მის ყოველ სართულზე, სხვადასხვა ადგილებში, იდგნენ ადამიანები, რომელნიც მშენებლობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე ბრძანებებსა და მითითებებს ერთიმეორეს გადასცემდნენ. და აი, სწორედ იმ დროს, როცა მშენებლები ამგვარი წესით უკავშირდებოდნენ ერთმანეთს, უცბად აღმოჩნდა, რომ ისინი სხვადასხვა ენებზე ლაპარაკობდნენ. ქვემოდან აგზავნიდნენ იმას, რაც ზემოთ სულაც არ ესაჭიროებოდათ, ბრძანება ხშირად პირუკუ სრულდებოდა. ხალხი

[119]

[120]

დაიბნა და შეშინდა. მუშაობა შეწყდა, რადგან ერთობლივ მუშაობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. ადამიანებს ვერაფრით აეხსნათ ეს უჩვეულო მდგომარეობა და რისხვითა და უკმაყოფილებით საყვედურობდნენ ერთმანეთს. მათი საერთო საქმე განხეთქილებითა და სისხლისღვრით დასრულდა. ზეციურმა ელვამ, როგორც ღვთის რისხვის მოწმემ, დაანგრია კოშკის ზედა ნაწილი. და ადამიანები იძულებულნი გახდნენ ეღიარებინათ, რომ ზეცაში სამყაროს მმართველი სუფევს.

აქამდე ადამიანები ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ, ახლა კი თითოეული იმ ჯგუფს შეუერთდა, რომლის ენაც ესმოდა. ერთნი ერთ მხარეს წავიდნენ, მეორენი - მეორე მხარეს. "გაფანტა უფალმა ისინი იქიდან მთელს დედამიწის ზურგზე". ასე დასახლდნენ ადამიანები დედამიწის ყველა კუთხეში.

უფალმა აღასრულა თავისი ჩანაფიქრი, მაგრამ როგორ დაზარალდნენ მისი ნების მოწინააღმდეგენი! უზენაესს სურდა, რომ ადამიანები გაფანტულიყვნენ მთელი დედამიწის ზურგზე, მის სხვადასხვა კუთხეში შეექმნათ სხვადასხვა სახელმწიფოები, თან წაეღოთ უფლის ნების ცოდნა, რათა ჭეშმარიტების ნათელს ეკაშკაშა მომავალი თაობებისათვის. ნოემ, ჭეშმარიტების

ერთგულმა მქადაგებელმა, წარღვნის შემდგომ სამას ორმოცდაათი წელიწადი იცოცხლა, სემმა - ხუთასი და, უფლის ამ ერთგულ მსახურთა წყალობით, მათ თაობებს შესანიშნავი შესაძლებლობა მიეცათ, გასცნობოდნენ უფლის მოთხოვნებს და ჩასწვდომოდნენ მათი მამების მიმართ მის უდიდეს წყალობას. მაგრამ არ ისურვეს ამ მათთვის არასასიამოვნო ჭეშმარიტების შესმენა, უფლის შეცნობა და შემდგომ, როცა ენების აღრევა მოხდა, ისინი ძლიერ შორს აღმოჩნდნენ მათგან, ვისგანაც ჭეშმარიტების ნათელის მიღება შეეძლოთ.

უფლის მიმართ უკმაყოფილების სული ხელმძღვანელობდა ბაბილონის გოდოლის მშენებლებს. იმის ნაცვლად, რომ მადლიერებით შეენახათ მეხსიერებაში უფლის მიერ ადამისა და ნოესადმი გამოვლენილი გულმოწყალება, ისინი სისასტიკეში სდებდნენ ბრალს უფალს ედემის ბაღიდან პირველი წყვილის განდევნისა და წუთისოფლის წარღვნით განადგურების გამო. გამოთქვამდნენ რა საყვედურს უფლის მიმართ მისი სისასტიკისა და დესპოტიზმის გამო, თავად ხდებოდნენ ყველაზე სასტიკი ტირანის ტყვეები. სატანა მთელი ძალებით ცდილობდა, გამოეწვია ადამიანებში უდიდესი სიძულვილი მსხვერპლშეწირვის ცერემონიისადმი, რაც ქრისტეს სიკვდილის სიმბოლოს წარმოადგენდა და, ვინაიდან მათი გონება კერპთაყვანისმცემლობით იყო დაბნელებული, ასწავლა, მიებაძათ ამ მსხვერპლისათვის და საკუთარი შვილები შეეწირათ ღმერთებისათვის. ადამიანებმა მიატოვეს შემოქმედი; ღვთიური პრინციპები - სამართლიანობა, სიწმიდე და

სიყვარული - ზეწოლით, ძალადობითა და სისასტიკით გამოიდევნა.

ბაბილონის მკვიდრთ სურდათ, უფლისაგან დამოუკიდებელი მმართველობა ჰქონოდათ. თუმცა მათ შორის იყვნენ ღვთის მოშიშნიც, მაგრამ ისინი ცდუნდნენ უწმიდურთა საქმეებით და მათი გეგმების მოზიარენი გახდნენ. ამ ერთგულთა გამო აყოვნებდა უფალი თავის სამსჯავროს და აძლევდა ადამიანებს დროს, გამოერკვიათ საკუთარი ჭეშმარიტი მისწრაფებები. ხოლო, როცა ეს მოხდა, ღვთის შვილები შეეცადნენ, გაეფანტათ მათი ცრუ შეხედულებანი, მაგრამ უწმიდურებამ სრულად მოიცვა ადამიანთა გრძნობები. მათ რომ მოქმედების თავისუფლება მისცემოდათ, უზნეობა ჯერ კიდევ მაშინ გაბატონდებოდა მთელ დედამიწაზე, როცა ის ჯერ კიდევ ახლად შექმნილი იყო. მათი შეთქმულება დაფუძნებული იყო სიძულვილზე. მათ განიზრახეს სამეფოს შექმნა, რომელიც სახელს და დიდებას მოუტანდა მათ, სამეფოს, სადაც უზენაესსა და შემოქმედს არ ექნებოდა არავითარი პატივი და თაყვანისცემა. ყოველივე ამის განხორციელების შემთხვევაში ასეთი მმართველობა აღმოფხვრიდა დედამიწაზე სამართლიანობას და მასთან ერთად მშვიდობას, ბედნიერებასა და

[123]

უსაფრთხოებას, ვინაიდან ადამიანები შეეცდებოდნენ, თავიანთი პატივმოყვარე და უწმიდური სურვილებისათვის დაექვემდებარებინათ ღვთიური დადგენილებები და ყოველი მცნება, რომელიც "წმიდაა, მართალი და კეთილი" /რომ. 7:12/.

უფლის მოშიშნი დახმარებას ითხოვდნენ უფლისაგან. "ჩამოვიდა უფალი, რომ ენახა ქალაქი და გოდოლი, რომელსაც ადამიანთა შვილები აშენებდნენ". წუთისოფლისადმი წყალობის გამო გაანადგურა ღმერთმა მათი ნახელავი და დაანგრია მათი უაზრო თავხედობის მემორიალი. სწორედ მათდამი წყალობის გამო აღრია უფალმა მათი ენები, რითაც ხელი შეუშალა მათი ჩანაფიქრის განხორციელებას. უფალი დიდხანს ითმენდა ადამიანთა ურჯულოებას და აძლევდა მონანიების შესაძლებლობას. მაგრამ იგი ხედავს მათ ყოველგვარ უწმიდურ ზრახვებს მისი სამართლიანი და წმიდა რჯულის წინააღმდეგ. და დროდადრო, უხილავი ხელი, რომელიც სამეფო კვერთხის მფლობელია, აიწევა, რათა ბოროტება შეაჩეროს. ეს უტყუარი მტკიცებები არწმუნებს ადამიანებს, რომ სამყაროს შემოქმედი, უსასრულო სიბრძნის, სიყვარულისა და ჭეშმარიტების მფლობელი, ცისა და დედამიწის უზენაესი მბრძანებელია და მისი უმაღლესი ხელმწიფების ხელმყოფი დაუსჯელი არ დარჩება.

ბაბილონელ მშენებელთა გეგმები სამარცხვინოდ ჩაიფუშა. პატივმოყვარეობის ძეგლი მათივე უაზრობის ძეგლად იქცა. მაგრამ ადამიანები კვლავაც საკუთარ ძალებს ეყრდნობიან და უფლის რჯულს უარყოფენ. ამ პრინციპით ხელმძღვანელობდა სატანაც, როცა თავისი მიზნის განხორციელებას ცდილობდა. იგივე გრძნობებით ხელმძღვანელობდა კაენი თავისი მსხვერპლის შეწირვისას.

დღესაც ბლომად არიან ასეთი კოშკის მშენებლები. ურწმუნო ადამიანები თავიანთ თეორიებს მეცნიერულ დასკვნებზე აგებენ და ღვთის ჭეშმარიტ სიტყვას უარყოფენ. ისინი ბედავენ ღვთიური მმართველობის პრინციპების კრიტიკას. მათ უარყვეს უფლის რჯული და რაკი „სწრაფადვე არ ისჯება ბოროტი საქმე, ამიტომ ბედავს კაცი ბოროტების ჩადენას" /ეკლ. 8:11/.

ე.წ. ქრისტიანულ სამყაროში ბევრი ყურადღებას არ უთმობს ნათელ ბიბლიურ ჭეშმარიტებებს და თავის რწმენას ადამიანურ გადმოცემებზე და ყურის საამებელ ზღაპრებზე აგებს, ამავე დროს მათ მიერ აღმართულ კოშკს ზეცასთან დაახლოების საშუალებად წარმოგვიდგენს. ადამიანები აღტაცებით უსმენენ მჭევრმეტყველურ სიტყვებს იმის შესახებ, რომ ურჯულო არ მოკვდება და უფლის რჯულის დაცვის გარეშეც გადარჩება. ე.წ. ქრისტეს მიმდევრებს უფლის საზომით რომ ეხელმძღვანელათ, ერთიანობას მიაღწევდნენ. მაგრამ, სანამ ადამიანურ სიბრძნეს ღვთის სიტყვაზე მაღლა აყენებენ, მანამ იარსებებს სხვადასხვა

ურთიერთსაწინააღმდეგო სწავლება და სექტები, რასაც ზუსტად განსაზღვრავს სიტყვა "ბაბილონი" და რასაც წინასწარმეტყველება /იხ. გამოცხ. 14:8; 18:2/ ბოლო ჟამის მიწიერ ვნებათა მოყვარულ ეკლესიებს უწოდებს.

ბევრი საკუთარი სამეფოს შექმნას სიმდიდრისა და ძალაუფლების შეძენით ცდილობს. "ყველას დასცინიან... ქედმაღლურად ლაპარაკობენ" /ფს. 72:8/, თელავენ ადამიანთა უფლებებს და სძულთ ღვთიური ავტორიტეტი. ერთხანს შეიძლება მოგვეჩვენოს კიდეც, რომ ურჯულონი ყოვლისშემძლენი და ძლიერნი არიან, მაგრამ მათი საბოლოო ხვედრია იმედების გაცრუება და ტანჯვა.

უფლის სამსჯავროს ჟამი მოახლოებულია. მალე გამოჩნდება ყოვლადძლიერი და დახედავს, თუ რა ააშენეს ადამის შვილებმა. გამოავლენს თავის უზენაეს ხელმწიფებას და ამაყი ადამიანური გონების მიღწევები ფერფლად იქცევა. "ზეციდან იმზირება უფალი, ხედავს ყველა ადამიანს. თავისი საბრძანისიდან უთვალთვალებს ქვეყნის ყველა მკვიდრს" /ფს. 32:13,14/. "უფალი ჩაშლის ხალხების აზრებს, გააცამტვერებს ხალხების ზრახვებს. აზრი უფლისა იარსებებს მარადიულად და თაობიდან თაობამდე - ზრახვანი მისნი" /ფს. 32:10,11/.

[124]

თავი 11 - აბრაამის მოწოდება

დაბადება 12

ბაბილონის კოშკის დანგრევისა და ენების აღრევის შემდგომ, როდესაც ადამიანები სხვადასხვა მხარეს გაიფანტნენ და კერპთაყვანისმცემლობა თითქმის მთელი დედამიწის ზურგზე გაავრცელეს, უფალმა ღმერთმა ბოლოს და ბოლოს დატოვა ბოროტი ურჯულონი, რათა ევლოთ ცოდვის გზაზე, ხოლო სემის შტოდან აირჩია აბრაამი, რომელსაც დაავალა თავისი წმიდა მცნებების დაცვა მომავალი თაობებისათვის.

აბრაამი ცხოვრობდა და იზრდებოდა რელიგიური ცრურწმენისა და წარმართობის ატმოსფეროში. მისი მამის ოჯახიც კი, რომლის წყალობითაც უფლის შემეცნება შენარჩუნდა, ცდუნების გავლენის ქვეშ მოექცა და იეჰოვას ნაცვლად სხვა ღმერთებს ემსახურებოდა. მაგრამ ჭეშმარიტი რწმენა ღვთისადმი საბოლოოდ ჯერ კიდევ არ გამქრალიყო. უფალს ყოველთვის ჰყავდა ნატამალი, რომელიც მას ერთგულად ემსახურებოდა. ადამი, შეთი, ენოქი, მეთუშალახი, ნოე, სემი მრავალ საუკუნეთა მანძილზე განუწყვეტლივ გადასცემდნენ თაობიდან თაობას უზენაესის ფასდაუდებელ ნებას. თერახის ძე გახდა ამ უდიდესი

საგანძურის მემკვიდრე. მას ყოველ ნაბიჯზე ცდუნება უსაფრთებოდა, მაგრამ ამაო იყო სატანის მცდელობანი. მორწმუნე ურწმუნოთა შორის, უმანკო - საყოველთაო გახრწნილებაში, იგი ჭეშმარიტი ღმერთისადმი ურყევ რწმენას ინარჩუნებდა. "ახლოა უფალი ყველა მის მლოცველთან, ყოველთან, ვინც მას მოუხმობს ჭეშმარიტებით" /ფს. 144:18/. უფალმა აბრაამს გაუცხადა თავისი ნება და ნათელი წარმოდგენა მისცა თავისი რჯულისა და ადამიანის გადარჩენის შესახებ, რაც ქრისტეს მეშვეობით უნდა განხორციელებულიყო.

აღთქმა მიეცა აბრაამს, იმ დროის ადამიანებისათვის მეტად ძვირფასი აღთქმა, რომ ეყოლება მრავალრიცხოვანი შთამომავლობა და დიდად ძლიერი იქნება ეს ხალხი. "გაქცევ დიდ ხალხად, გაკურთხებ და განვადიდებ შენს სახელს და კურთხეული იქნები". ამას მიემატა კიდევ ერთი, ამ რწმენის მემკვიდრისათვის ყველაზე ძვირფასი - რომ მისი გვარიდან წარმოდგება კაცობრიობის მხსნელი: "კურთხეული იქნება შენში მიწიერთა მთელი მოდგმა". მაგრამ ამ აღთქმის აღსრულებისათვის პირველი პირობა აბრაამის რწმენის გამოცდა უნდა ყოფილიყო. მისგან საჭირო იყო მსხვერპლის გაღება.

აბრაამს ებრძანა უფლისაგან: "წადი შენი ქვეყნიდან, შენი სამშობლოდან, მამაშენის სახლიდან იმ ქვეყანაში, რომელსაც მე გიჩვენებ". იმისათვის, რომ უფალს აბრაამი წმიდა

ჭეშმარიტებათა დამცველის უდიდესი საქმეებისათვის მოემზადებინა, მას უნდა დაეტოვებინა სამშობლო, მამის სახლი, სადაც თავისი სიყმაწვილე გაატარა, რათა მის მეგობართა და ნათესავთა ზეგავლენას ხელი არ შეეშალა უფლისათვის თავისი მსახურის აღზრდასა და მომზადებაში. ახლა, როცა აბრაამს ზეცასთან განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა, მას უცხოთა შორის უნდა ეცხოვრა. იგი ყველასაგან გამორჩეული უნდა ყოფილიყო. მან ვერც კი შეძლო, მეგობრებისათვის სათანადოდ აეხსნა თავისი საქციელი. სულიერი საქმეები სულიერთათვის არის გასაგები და ამიტომ წარმართ ახლობლებს არ შეეძლოთ, გაეგოთ აბრაამის ზრახვები და საქმეები.

"რწმენით იყო, რომ დაემორჩილა აბრაამი მოწოდებას წასულიყო ქვეყანაში, რომელიც მემკვიდრეობად უნდა მიეღო და ისე წავიდა, რომ არ იცოდა, სად მიდიოდა" /ებრ. 11:8/. აბრაამის უსიტყვო მორჩილება რწმენის ერთ-ერთი საოცარი მაგალითია ბიბლიაში. მისთვის რწმენა იყო "ხორცშესხმა - არსი

[125]

[126]

იმისა, რასაც მოველით, და ცხადყოფა უხილავისა" /ებრ. 11:1/. იგი მიენდო ღვთიურ აღთქმას მაშინ, როცა მისი აღსრულების სულ მცირე გარეგნული მტკიცებაც კი არ მოეპოვებოდა, დატოვა სახლი, ნათესავები, სამშობლო და წავიდა... და თავადაც არ იცოდა, საით წაიყვანდა უფალი ღმერთი. "რწმენით ცხოვრობდა აღთქმულ მიწაზე, ისე, ვით უცხო ქვეყნად და მკვიდრობდა კარავში ისააკსა და იაკობთან, იმავე აღთქმის თანამემკვიდრეებთან ერთად" /ებრ. 11:9/.

მეტად ძნელი გამოცდა ელოდა აბრაამს - უდიდესი მსხვერპლის გაღება. მეტად ძნელი იყო მშობლიური სახლისა და ნათესავების დატოვება, მაგრამ იგი უყოყმანოდ დაემორჩილა უფლის მოწოდებას. არ დაინტერესებულა აღთქმული მიწით: იყო თუ არა იქ ნოყიერი ნიადაგი და ჯანსაღი ჰავა; არც მისი გეოგ-რაფიული მდებარეობით და არც მასში სიმდიდრის შემენის შესაძლებლობებით. არამედ, უზენაესმა ბრძანა და... მისი მსახურიც დაემორჩილა მის მოწოდებას. მისთვის ყველაზე სასურველი ადგილი ის მიწა იყო, სადაც უფალმა გააგზავნა.

დღესაც ბევრი გამოიცდება აბრაამის მსგავსად. თუმცა მათ პირდაპირ ზეციდან არ ესმით უფლის ხმა, მაგრამ იგი მოუწოდებს მათ თავისი ჭეშმარიტი სიტყვის მეშვეობით და ვითარებით, რომელსაც თავის მსახურს უქმნის. შესაძლოა, მათ მოუხდებათ კარიერის დატოვება, რომელიც სიმდიდრეს და პატივს უქადის; ხელსაყრელი და ნათესაური კავშირების

გაწყვეტაც კი, რათა თვითგანწირვის, სიდუხჭირისა და ტანჯვის გზით იარონ. ღვთიური ჩანაფიქრით მათ განსაზღვრული სამუშაო უნდა შეასრულონ, უზრუნველი ცხოვრება, მეგობართა და ნათესავთა ზეგავლენა კი ხელს შეუშლის ამ საქმისათვის საჭირო ხასიათის თვისებათა ჩამოყალიბებაში. უფალი მოუწოდებს მათ, გათავისუფლდნენ ამ ხლართებისაგან და მიჰყავს იმ გზით, რომელიც მისი დახმარების საჭიროებას აგრძნობინებს, რათა სრულად მიენდონ მხოლოდ მას, უზენაესს და ცხადი გახდეს მისი დახმარების აუცილებლობა. ვინ უპასუხებს დღეს უფლის მოწოდებას, უარყოფს თავის სანუკვარ ოცნებებს და მტკიცე მეგობრულ კავშირებს? ვინ იტვირთავს ახალ ვალდებულებებს და წავა შორეულ, უცხო მხარეებში, რათა გულმოდგინედ და სიამოვნებით შეასრულოს უფლის დავალება და ყოველივე დანაკარგს მონაპოვრად ჩათვლის ქრისტეს გულისათვის? ვინც ასე მოიქცევა, აბრაამის რწმენას გამოავლენს და გაიზიარებს მასთან ერთად "მომეტებულ საუკუნო დიდებას", რომელთანაც შედარებით "ახლანდელი ტანჯვანი არაფერია" /2 კორ. 4:17; რომ. 8:18/.

აბრაამმა უფლის მოწოდება პირველად მაშინ გაიგონა, როცა "ქალდეველთა ურში" ცხოვრობდა, დაემორჩილა მას და ხარანს მიაშურა. აქამდე აბრაამი ჯერ კიდევ თავისი მამის ოჯახში ცხოვრობდა, რომელიც კერპთაყვანისმცემლობას ჭეშმარიტი ღმერთის თაყვანისცემას უთავსებდა. აქ დარჩა აბრაამი საცხოვრებლად მამამისის, თერახის სიკვდილამდე. მაგრამ მალე ღვთიურმა ხმამ უბრძანა დაე-ტოვებინა მამის კერა და გზა

განეგრძო. მისმა ძმამ, ნახორმა, მთელ თავის ოჯახთან ერთად თავისი სახლისა და კერპების დიდი სიყვარული ვერ დათმო და უარი თქვა ძმასთან ერთად წასვლაზე. აბრაამის ცოლის, სარას გარდა მხოლოდ ლოტმა, აბრაამის უკვე გარდაცვლილი ძმის, ჰარანის ძემ მოისურვა გაჰყოლოდა პატრიარქს და მისი მომთაბარე ცხოვრება გაეზიარებინა. და მაინც, მესოპოტამიის საზღვრები დიდმა ჯგუფმა დატოვა. იმ დროისათვის აბრაამს ჰყავდა ურიცხვი საქონელი, რაც აღმოსავლეთში მთავარ სიმდიდრედ ითვლებოდა, მრავალი მსახური და ყმა. აბრაამი ტოვებდა მშობლიურ მიწას, რათა აღარასოდეს დაბრუნებოდა მას, ამიტომ ყველაფერი, რაც გააჩნდა, თან წაიღო: "მთელი ქონება, რაც კი მოხვეჭილი ჰქონდათ, და ყოველი ყრმა, ვინც კი ხარანში შეიძინეს". მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც პირად

[127]

ინტერესებზე და სამუშაოზე მაღლა უფრო ამაღლებულ მიზნებს აყენებდნენ. ხარანში ყოფნისას აბრაამმა და სარამ მრავალ ადამიანს ასწავლეს უფლის გზა და ჭეშმარიტი ღვთისმსახურების არსი. და მათ ისე შეუყვარდათ პატრიარქის სახლობა, რომ მათთან ერთად გაემართნენ აღთქმული

ქვეყნისაკენ. "დაადგნენ ქანაანის ქვეყნის გზას და მივიდნენ ქანაანის ქვეყანაში".

ადგილს, სადაც ისინი პირველად შეჩერდნენ, შექემი ეწოდებოდა. მამრეს მუხების ჩრდილში, ვრცელ მწვანე ველზე, ზეთისხილის ჭალებსა და ანკარა წყაროებით მდიდარ ადგილებში, ღებალისა და გერიზიმის მთებს შორის, გაშალა აბრაამმა თავისი კარვები. პატრიარქი მოვიდა მშვენიერ, მდიდარ, "მადლიან ქვეყანაში, ნაკადულთა და წყაროთა ქვეყანაში, სადაც ნიაღვრები მოედინებიან მთად და ბარად, ხორბლისა და ქერის, ყურძნისა და ლეღვის და ბროწეულის ქვეყანაში, ზეთისხილისა და თაფლის ქვეყანაში" /2 რჯ. 8:7,8/. მაგრამ იეჰოვას ერთგულთათვის ტყით შემოსილი გორაკებიც და ნოყიერი მდელოებიც თითქოს მძიმე, შავი ჩრდილებით იყო მოცული, ვინაიდან "ქანაანელნი მკვიდრობდნენ იმხანად ქვეყანაში". აბრაამმა მიაღწია თავისი მოგზაურობის სანუკვარ მიზანს, მაგრამ მიწა, რომელიც მან იხილა, უცხო ტომებითა და კერპთაყვანისმცემლებით იყო დასახლებული. ჭალები სავსე იყო ცრუღმერთებით, რომლებსაც ახლომახლო გორაკებზე ცოცხალ ადამიანებს სწირავდნენ მსხვერპლად. და, თუმცა აბრაამს მტკიცედ სჯეროდა ღვთიური აღთქმისა, მაინც დიდი შიშით გაშალა კარვები იქ. მაშინ "გამოეცხადა უფალი აბრაამს და უთხრა: შენი მოდგმისთვის მომიცია ეს ქვეყანა". უფლის გამოცხადებამ და მისმა სიტყვამ განამტკიცა პატრიარქის რწმენა, რადგან მტკიცედ სწამდა, რომ ღმერთმა იგი წარმართებში ბედის ანაბარა არ დატოვა. და "იქ აუგო სამსხვერპლო უფალს, რომელიც გამოეცხადა მას". მან კვლავ განაგრძო გზა, მალე

მიაღწია ბეთილის აღმოსავლეთ მხარეს, კვლავ გაშალა კარვები, "აუგო სამსხვერპლო უფალს და ახსენა მისი სახელი".

აბრაამი, რომელსაც "უფლის მეგობარი" ეწოდა, ჩვენთვის საუკეთესო, მისაბაძ მაგალითს წარმოადგენს. მისი ცხოვრება მუდმივი ლოცვის ცხოვრება იყო. სადაც კი კარვებს გაშლიდა, იქვე სამსხვერპლოს უგებდა უფალს და ყველას იწვევდა დილისა და საღამოს ღვთისმსახურებაში მონაწილეობის მისაღებად. შემდეგ ისინი გზას განაგრძობდნენ, სამსხვერპლო კი რჩებოდა. დროთა განმავლობაში მომთაბარე ქანაანელთა შორის გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც ჭეშმარიტების ნათელი აბრაამისგან მიიღეს და მოგზაურობის დროს სამსხვერპლოს დანახვისას მათ უკვე იცოდნენ, თუ ვინ ააგო იგი. შემდეგ შლიდნენ კარვებს იმავე ადგილას, ანახლებდნენ სამსხვერპლოს და ცოცხალ ღმერთს სცემდნენ თაყვანს.

აბრაამი განაგრძობდა გზას სამხრეთისაკენ. და კვლავ გამოიცადა მისი რწმენა: ზეცამ არ მისცა დედამიწას წვიმა; ნაკადულები დაშრა, მზემ გადაწვა ველის ბალახი; აღარ იყო საძოვრები პირუტყვისათვის; საშინელი შიმშილობა გამეფდა მთელს ბანაკში. იქნებ დაეჭვდა პატრიარქი იმაში, რომ უფალი ხელმძღვანელობდა მას? იქნებ ნანობდა კიდეც ქალდეველთა ნოყიერ მდელოებთან გამოთხოვებას? როცა აბრაამი დიდად დააფიქრა ამ მძიმე ვითარებამ, ყველა დაძაბული ელოდა, თუ რას მოიმოქმედებდა იგი. და აბრაამის სრულმა სიმშვიდემ

აგრძნობინა მათ, რომ იმედი კვლავაც არსებობს და დარწმუნდნენ, რომ ღმერთი მისი მეგობარი იყო და ახლაც ხელმძღვანელობდა მათ.

აბრაამს ვერ აეხსნა უფლის ჩანაფიქრი. მართალია, მოლოდინი არ გაუმართლდა, მაგრამ მაინც მტკიცედ სწამდა უფლის აღთქმისა: "გაკურთხებ და განვადიდებ შენს სახელს და კურთხეული იქნები". გულწრფელად ლოცულობდა და ფიქრობდა, თუ როგორ გადაერჩინა თავისი ხალხი და პირუტყვი და თანაც ისე, რომ

[128]

[129]

ეჭვი არ შეჰპაროდა უფლის აღთქმაში. შიმშილისაგან თავის დასაღწევად იგი ეგვიპტისაკენ გაემართა. მან არ დატოვა ქანაანი და გაჭირვების გამო არ დაბრუნდა ქალდეველთა მიწაზე, საიდანაც გამოვიდა და სადაც უხვად იყო პური და საკვები, არამედ სურდა, მოეძებნა დროებითი თავშესაფარი და ცდილობდა, აღთქმული მიწის სიახლოვეს დარჩენილიყო, რათა მალე დაბრუნებულიყო იქ, სადაც უფალმა დაამკვიდრა.

თავისი ღვთიური წინასწარგანჭვრეტით მოუწყო ეს გამოცდა უფალმა აბრაამს, რათა მორჩილების, მოთმინებისა და რწმენის გაკვეთილები მიეცა მისთვის, რაც მაგალითი უნდა ყოფილიყო მომავალში ასეთი გამოცდისათვის მოწოდებულთათვის. უფალი მიუძღვის თავის შვილებს მათთვის უცნობ გზებზე, მაგრამ არასოდეს ავიწყდება და არ ტოვებს მათ, ვინც მიენდობა. მან დაუშვა იობის გამოცდა, მაგრამ არ მიუტოვებია იგი. მან აგრეთვე დაუშვა, რომ მისი საყვარელი მოწაფე, იოანე, უკაცრიელ კუნძულ პატმოსზე გადაესახლებინათ, მაგრამ სწორედ იქ ეწვია ღვთის ძე და უკვდავი დიდებით აღსავსე ხილვები მისცა. უფალი ხშირად უშვებს თავისი ერთგული შვილების გამოცდას, რათა ერთგულებისა და მოთმინების გამოვლენით სულიერად გაამდიდროს ისინი და მოთმინების წყაროდ აქციოს სხვების სამაგალითოდ. "რადგან მხოლოდ მე ვიცი ჩემი განზრახვები, რაც თქვენთვის განმიზრახავს, ამბობს უფალი, საკეთილდღეო განზრახვები და არა საზიანო, რათა მოგცეთ მომავალი და იმედი" /იერ. 29:11/. ხშირად ჩვენი რწმენის ასეთი მკაცრი გა-მოცდა გვაფიქრებინებს, რომ უფალმა, ალბათ, დაგვივიწყა, მაგრამ სინამდვილეში ყოველივე ამას ქრისტესთან მივყავართ, რათა მან გაგვათავისუფლოს მძიმე ტვირთისაგან და დაგვამშვიდოს.

უფალი თავის ხალხს ყოველთვის აწრთობს განსაცდელის ცეცხლში, ვინაიდან მხოლოდ გავარვარებულ ღუმელში შეიძლება გაიწმიდოს ქრისტიანული ხასიათის ჭეშმარიტი ოქრო სხვადასხვა მინარევებისაგან. იესო თვალყურს ადევნებს ამ

გამოცდას. მან იცის, თუ რა არის საჭირო კეთილშობილი ლითონის გაწმედისათ -ვის, რათა მისი სიყვარულის ნათელი აირეკლოს. ძნელია გამოცდა, რითაც უფალი აწრთობს თავის მსახურთ; ხედავს, რომ ზოგს შეუძლია უფლისათვის იშრომოს და განსაზღვრულ გამოცდასაც უტარებს მას. იგი მათ უქმნის პირობებს, რომელშიც გამოიცდება მათი ხასიათი, ნაკლი და სუსტი მხარეები, რომელთა არსებობის შესახებ მათ წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ. უფალი აძლევს ამ ნაკლოვანებათა გამოსწორების შესაძლებლობას და ამგვარად ამზადებს მსახურებისათვის. იგი ადამიანებს მიუთითებს საკუთარ უძლურებაზე და აღუძრავს სურვილს - მიენდონ მას, რადგან მხოლოდ მას, უზენაესს, შეუძლია იყოს მათი საყრდენი და თავშესაფარი. ასე ახორციელებს უფალი თავის ჩანაფიქრს. ადამიანი სრულიად შეცვლილი გამოდის ამ გამოსაცდელი ბრძმედიდან - განწმედილი, მობილიზებული და იგი უკვე მზადაა იმ კეთილშობილური საქმიანობისათვის, რის აღსასრულებლადაც მიეცა შესაბამისი ნიჭი. გაისმის უფლის მოწოდების ხმა და უფლის შვილებიც მზად არიან. ზეციური ანგელოზები კი თანამშრომლობენ მათთან იმ საქმეებში, რომლებიც დედამიწაზე უნდა აღსრულდეს.

ეგვიპტეში ყოფნისას გამომჟღავნდა, რომ აბრაამიც ვერ გათავისუფლებუ -ლიყო ადამიანური სისუსტეებისა და ნაკლისაგან. როცა ცოლი თავის დად გაასაღა, ამით მისდამი უფლის მზრუნველობაში შეიტანა ეჭვი. აღმოჩნდა, რომ აღარ ჰქონდა ის ამაღლებული, მტკიცე რწმენა და გამბედაობა, რაც ასე

ხშირად კეთილშობილური მაგალითი იყო
გარშემომყოფთათვის. სარა მეტად ლამაზი იყო და აბრაამს
ეშინოდა, რომ მისი მშვენიერებით მოხიბლული შავგვრემანი
ეგვიპტელები ყველა ღონეს იხმარდნენ მის ხელში ჩასაგდებად,

[130]

შეიძლება აბრაამის მოკვლასაც კი არ მორიდებოდნენ. იგი
ფიქრობდა, რომ არც ისე დიდი ცოდვა იქნება, თუკი სარას თავის
დად გაასაღებს, ვინაიდან ის მართლაც მისი და იყო მამის
მხრიდან. მაგრამ ეს სიცრუე იყო, რითაც იგი უფლის მოწონებას
ვერ დაიმსახურებდა. აბრაამის ურწმუნოების წყალობით სარას
უდიდესი საშიშროება დაემუქრა. ეგვიპტის მეფემ, გაიგო რა
ქალის სილამაზის შესახებ, მისი სასახლეში მოყვანა ბრძანა,
რათა ცოლად შეერთო იგი. მაგრამ მოწყალე უფალმა დაიფარა
სარა იმით, რომ დასაჯა მეფის ოჯახი. როდესაც მონარქმა
სიმართლე გაიგო, მეტად განრისხდა ამ სიცრუის გამო,
უსაყვედურა აბრაამს, ცოლი დაუბრუნა და უთხრა: "ეს რა
მიყავი? რატომ თქვი, და არისო ჩემი? მე კი მის ცოლად შერთვას
ვაპირებდი. აჰა, შენი ცოლი, წაიყვანე და წადი!"

ეგვიპტის მმართველი მეტად მოწყალედ განეწყო აბრაამის
მიმართ; სიცრუეში მისი მხილების შემდეგაც კი მან არავითარი

ზიანი არ მიაყენა არც მას და არც მის ხალხს. პირიქით, ბრძანა, დაეცვათ ისინი, სანამ მისი სამფლობელოს საზღვრებს არ დატოვებდნენ. იმდროინდელი წესების მიხედვით ეგვიპტელებს ეკრძალებოდათ უცხო მწყემსებთან ახლო ურთიერთობა - სმა და ჭამა მათთან ერთად. ფარაონი სულგრძელად და პატივისცემით მოეპყრო აბრაამს, მაგრამ უბრძანა, დაეტოვებინა ეგვიპტე. თუმცა არაფერი იცოდა, მან კინაღამ სერიოზულად არ ავნო აბრაამს, მაგრამ ღმერთი ჩაერია და ფარაონი უდიდესი ცოდვისაგან იხსნა. და ეგვიპტის მმართველი მიხვდა, რომ ეს უცხოელი უფლის განსაკუთრებული კეთილგანწყობით სარგებლობდა და თავის მიწაზე მისი დატოვება შეეშინდა. ეგვიპტეში აბრაამის დარჩენის შემთხვევაში მისი სიმდიდრე აუცილებლად გამოიწვევდა ეგვიპტელთა შურს, რის გამოც ვნებას მიაყენებდნენ აბრაამს და მაშინ ფარაონი და მისი სახლი დამსახურებულად დაისჯებოდა.

უფლის მიერ ფარაონის გაფრთხილებამ დაიცვა აბრაამი წარმართებს შორის მისი შემდგომი მოგზაურობისას, რადგან ის, რაც მას ეგვიპტეში შეემთხვა, ყველგან გავრცელდა და ცხადი გახდა, რომ ღმერთი, რომელსაც აბრაამი ეთაყვანებოდა, იცავს თავის მსახურს და მისთვის ბოროტის განმზრახველს სამაგიერო მიეზღვება. ძალზე სახიფათოა ზეციური მეფის შვილთათვის ზიანის მიყენება. მეფსალმუნე იხსენებს აბრაამის გამოცდილებას, როცა ამბობს, რომ ღმერთმა იზრუნა თავის რჩეულ ხალხზე, "არავის ანებებდა მათს დაჩაგვრას და ამუნათებდა მათთვის მეფეებს" და აფრთხილებდა: "არ შეეხოთ

ჩემს ცხებულებს და ჩემს წინასწარმეტყველებს არ უბოროტოთ" /ფს. 104:14,15/.

ეგვიპტეში მიღებული გამოცდილება ცხადად განმეორდა აბრაამის შთამომავლებში რამდენიმე საუკუნის შემდეგ. აბრაამის მსგავსად, შიმშილობის გამო მათ ეგვიპტეს შეაფარეს თავი და რამდენიმე ხანს იქ ცხოვრობდნენ. უფლის ჩარევის წყალობით ეგვიპტელებს ძლიერ შეეშინდათ მათი და მაშინ, წარმართთა ძღვენით გამდიდრებულებმა, დატოვეს ეგვიპტე და თან უამრავი ქონება წამოიღეს.

[131]

თავი 12 - აბრაამი ქანაანში მკვიდრდება

დაბადება 13-15; 17:1-6; 18

"ძალზე მდიდარი იყო აბრაამი ჯოგითა და ოქრო-ვერცხლით", როცა ლოტთან ერთად ქანაანს დაბრუნდა. კვლავ ეწვივნენ ბეთილს და გაშალეს კარვები მათ მიერვე ოდესღაც აგებულ სამსხვერპლოს გვერდით. მაგრამ მალე აღმოაჩინეს, რომ

ურიცხვმა სიმდიდრემ მათ მრავალი დაბრკოლება შეუქმნა. მოგზაურობისას, როდესაც სიძნელეები და გაჭირვება მრავლად ჰქონდათ, სრული თანხმობით ცხოვრობდნენ. ახლა კი, კეთილდღეობისა და ბედნიერების ჟამს, მათ შორის განხეთქილების საშიშროება გაჩნდა. პირუტყვისათვის საძოვრების უკმარისობის გამო მწყემსებს ხშირი შეხლა-შემოხლა ჰქონდათ, რამაც დიდად დააფიქრა მათი პატრონები და ამ საკითხის გადაწყვეტის აუცილებლობის წინაშე დააყენა. ცხადი გახდა, რომ მათი გზები უნდა გაყრილიყო. ლოტზე ასაკით უფროსი აბრაამი ყოველმხრივ მაღლა იდგა მასზე სიმდიდრით თუ ნათესაური მდგომარეობით. მაგრამ მან პირველმა შესთავაზა ლოტს, მშვიდობიანად მოეგვარებინათ ეს საქმე. და თუმცა თავად უფალმა მისცა ეს მიწა, მან დიდსულოვნად თქვა უარი არჩევანის უფლებაზე.

"უთხრა აბრაამმა ლოტს: ნუ იქნება ცილობა ჩვენში, ჩემსა და შენს მწყემსებს შორის, რადგან სახლიკაცები ვართ. განა შენს წინ არ არის მთელი ეს ქვეყანა? გამეყარე და თუ შენ მარცხნივ წახვალ, მე მარჯვნივ წავალ, თუ მარჯვნივ წახვალ, მე მარცხნივ წავალ".

ამ სიტყვებში გამოვლინდა აბრაამის კეთილშობილური, პატიოსანი ხასიათი. რამდენი ადამიანი, მსგავს ვითარებაში, პრინციპულად დაიცავდა თავისი უპირატესობის უფლებას! რამდენი ოჯახი დანგრეულა ამის გამო! რამდენი ეკლესია გაიყო იმის გამო, რომ ჭეშმარიტება ანდაზად აქციეს და უწმიდურთა

სასაყვედურად გამოიყენეს! რომ არ იყოს "ცილობა ჩვენში", თქვა აბრაამმა, "რადგან სახლიკაცები ვართ" არა მხოლოდ პირდაპირი გაგებით, არამედ ძმები — ჭეშმარიტი ღმერთის შვილნი და თაყვანისმცემელნი. ღვთის შვილები ერთ საერთო ოჯახს ქმნიან და მშვიდობისა და სიყვარულის ასეთი სული უნდა სუფევდეს მათ შორის. "ძმათმოყვარეობაში - ერთმანეთისადმი გულთბილი სიყვარულით, პატივისცემაში ერთმანეთს დაასწარით" /რომ. 12:10/ - გვასწავლის ჩვენი უფალი. მუდამ გულისყურით რომ ვეკიდებოდეთ ერთურთს და მოყვასს ისე ვექცეოდეთ, როგორც გვსურს, რომ ჩვენ მოგვექცნენ, მაშინ წუთისოფელში ბოროტება დიდად შემცირდებოდა. თვითგანდიდების სული სატანის სულია, ხოლო გული, რომელშიც ქრისტეს სიყვარულმა შეაღწია, სხვებისთვის იღწვის და "არ ეძებს თავისას". ასეთი ადამიანები მუდამ ღვთიური ნების აღმსრულებლები იქნებიან: "თითოეული მარტო თავის თავზე კი ნუ იზრუნებს, არამედ სხვებზეც" /ფილიპ. 2:4/.

თუმცა ლოტმა აბრაამის წყალობით შეიძინა ამდენი ქონება, მადლიერება არ გამოუხატავს თავისი კეთილისმყოფელის მიმართ. ლოტს პატივისცემით უნდა დაეთმო აბრაამისათვის არჩევანის უფლება, მაგრამ ამის ნაცვლად იგი ხარბად ჩაეჭიდა მის წინადადებას. "გაიხედა ლოტმა და დაინახა, რომ იორდანეს მთელი მხარე... ირწყვებოდა... როგორც ბაღი უფლისა, როგორც ეგვიპტელთა ქვეყანა". ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი ადგილი პალესტინაში იორდანეს მხარე იყო, რომელიც დაკარგულ სამოთხეს ახსენებდათ და სილამაზითა და ნაყოფიერებით

მხოლოდ ნილოსის სანაპირო მდელოებს თუ შეედრებოდა, რომელიც სულ ახლახან დატოვეს. მშვენიერი, დიდებული ქალაქები იყო

[132]

[133]

აშენებული ამ ქვეყანაში და მათი მდიდარი ბაზრები სარფიანი ვაჭრობის შესაძლებლობას იძლეოდა. ამქვეყნიური სიმდიდრით მოხიბლული ლოტი არც კი დაფიქრებულა, თუ რა საფრთხე ემუქრებოდა მის სულს. "ბოროტნი იყვნენ სოდომელნი და დიდად სცოდავდნენ უფალს", მაგრამ ლოტმა ეს არ იცოდა, ან იცოდა და ყურად არ იღო. "აირჩია ლოტმა იორდანეს მთელი მხარე" და "სოდომამდე დასცა კარვები". მან ვერ განჭვრიტა თავისი ეგოისტური არჩევანის საბოლოო შედეგი.

ლოტთან განშორების შემდგომ აბრაამმა კვლავ მიიღო აღთქმა უფლისაგან იმის შესახებ, რომ მთელ მიწას მას აძლევს სამფლობელოდ. სულ მალე ამის შემდეგ იგი ხებრონისაკენ გაემართა და მამრეს მუხნარში დასცა კარვები, სადაც სამსხვერპლო აუგო ღმერთს. ლოტს დაუტოვა აბრაამმა სოდომის ველთა მაცდური დიდებულება, თავად კი, უბრალო,

პატრიარქალური ცხოვრების მოყვარული იყო, ზეთისხილის ჭალებით, ვენახებით, მობიბინე ჯეჯილის ყანებით და ვრცელი საძოვრებით მდიდარ მთის ზეგანზე დასახლდა.

ხალხები, რომელთა მეზობლად დასახლდა აბრაამი, უძლიერეს მთავრად და ბრძენ, ყოვლისშემძლე ბელადად აღიარებდნენ მას. აბრაამი არ ერიდებოდა მათთან ურთიერთობას, მაგრამ თავისი ცხოვრების წესით იგი დიდად განსხვავდებოდა წარმართთაგან, როგორც ჭეშმარიტი რწმენის ცოცხალი მოწმე. ღმერთისადმი მისი ერთგულება ურყევი იყო. მისი თავაზიანობისა და კეთილი საქმეების გამო გარშემომყოფნი მის მიმართ კეთილმეგობრობის სურვილს, ნდობასა და პატივისცემას ავლენდნენ.

იგი არ მალავდა თავის რწმენას ძვირფასი განძის მსგავსად, რათა მხოლოდ თვითონ დამტკბარიყო მისით. ჭეშმარიტი რწმენის დამალვა შეუძლებელია, რადგან ეს ეწინააღმდეგება სახარების პრინციპებს. შეუძლებელია ადამიანის გულში მყოფი ქრისტეს საოცარი ნათელის დამალვა ან დაფარვა. პირიქით, ეს ნათელი სულ უფრო და უფრო კაშკაშა გახდება "სიმართლის მზის" ცხოველმყოფელი სხივების მეშვეობით, რომელიც გაფანტავს სულისშემხუთველი ცოდვისა და ეგოიზმის შავ წყვდიადს.

უფლის ერთგულნი დედამიწაზე უზენაესის წარმომადგენლები არიან და მას სურს, რომ მისი შვილები მოციმციმე სანთლების მსგავსად ანათებდნენ ამ დაცემული წუთისოფლის უზნეობის

წყვდიადში. ისინი, მიმოფანტულნი მთელ დედამიწაზე: ქალაქებში, დაბებში და მივარდნილ სოფლებში, უფლის მოწმენი არიან, რომელთა მეშვეობითაც უფალი აუწყებს ურწმუნოთ თავის ნებას და თავის საოცარ წყალობას. მისი სურვილია, რომ ყოველი მათგანი ადამიანის გადარჩენის უდიდესი გეგმის მქადაგებელი იყოს. ქრისტიანთა ღვთისმოსაობა მაგალითია, რომლის წყალობითაც ურწმუნო ადამიანებს წარმოდგენა ექმნებათ უფლის სახარებაზე. მოთმინება განსაცდელის ჟამს, კურთხევის მადლიერებით მიღება, მორჩილება, სიკეთე, მოწყალება და სიყვარული, მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოვლენილი, სინათლის მატარებლად ხდის მათ წუთისოფლის წინაშე იმ დროს, როცა ხორციელი, ეგოიზმით აღსავსე გულები მხოლოდ სიბნელითაა მოცული.

ღრმად მორწმუნე, კეთილშობილური ხელგაშლილობით აღსავსე, მამაცი მორჩილებაში, უბრალო და თავმდაბალი თავის მომთაბარე ცხოვრებაში, აბრაამი ადამიანებთან ურთიერთობაში უდიდესი სიბრძნით გამოირჩეოდა და ყოველივე ამასთან ერთად, გამბედავი და მოხერხებული მეომარი იყო. თუმცა მას წარმართთათვის ახალი რელიგიის მქადაგებლად იცნობდნენ, სამმა ძმამ, ამორეველთა იმ ქვეყნების მმართველმა, სადაც აბრაამი დასახლდა, მასთან მეგობრობის სურვილი იმით გამოხატა, რომ შესთავაზა კავშირის შეკვრა საერთო უსაფრთხოებისათვის, ვინაიდან ქვეყანაში ძალადობა და უწესრიგობა

[134]

გამეფებულიყო. მალე მოხდა ისეთი ამბავი, რამაც აიძულა იგი, ესარგებლა მოკავშირის უფლებით.

ელამის მეფემ ქედარლაღომერმა თოთხმეტი წლის წინათ დაიპყრო ქანაანი და ხარკის გადახდა დაავალა მის მცხოვრებთ. მაგრამ ზოგიერთი მთავარი წინ აღუდგა და მაშინ ქედარლაღომერმა თავის ოთხ მოკავშირე მეფესთან ერთად გადაწყვიტა, ჩაეხშო ეს აჯანყება. ხუთი ქანაანელი მთავარი ერთიანი ძალით გამოვიდა დამპყრობთა წინააღმდეგ სიდიმის ველზე, მაგრამ სრული დამარცხება იგემა. ლაშქრის უდიდესი ნაწილი განადგურდა, ცოცხლად დარჩენილებმა კი მთებს შეაფარეს თავი. გამარჯვებულებმა გაძარცვეს ქალაქები, მინდორ-ველები და მდიდარი ნადავლი იგდეს ხელთ. თან წაიყვანეს უამრავი ტყვე და მათ შორის ლოტი თავისი ოჯახითურთ.

მამრეს მუხნარში მშვიდად მცხოვრებ აბრაამს ვიღაც ლტოლვილმა ამცნო მომხდარი ბრძოლისა და იმ უბედურების შესახებ, რომელიც მის სახლიკაცს დაატყდა თავს. მას სულაც არ ჰქონდა რაიმე წყენა ძმისშვილის მიმართ მისი უმადურობის

გამო, პირიქით, ძალიან უყვარდა და გადაწყვიტა, ეხსნა იგი. უფლის რჩევაზე დაყრდნობით მოემზადა აბრაამი საბრძოლველად. თავისი ბანაკიდან ამოარჩია "სამას თვრამეტი გამოცდილი" ღვთისმოშიში, პატრონის ერთგული და საომარი ხელოვნების მცოდნე კაცი. მამრე, ეშქოლი და ანერი, მისი მოკავშირეები, თავისი მეომრებით შემოუერთდნენ მას და დაედევნენ დამპყრობთ. ამ დროს ელამის მეფე და მისი მოკავშირენი იდგნენ დანში, ქანაანის ჩრდილოეთ საზღვართან. საკუთარი წარმატებით აღფრთოვანებულნი, სულაც არ ელოდნენ დამარცხებული მტრის მხრიდან თავდასხმას და გამარჯვებას ზეიმით აღნიშნავდნენ. პატრიარქმა ისე გაანაწილა თავისი ხალხი, რომ მტრის ბანაკისათვის ალყა შემოერტყა. მისი მოულოდნელი, სწრაფი იერიში მისივე სწრაფი გამარჯვებით დამთავრდა. ელამის მეფე მოკლეს, სასიკვდილო შიშით შეპყრობილი და დაბნეული მისი მხედრობა კი სრულად გაანადგურეს. ლოტი, მთელი მისი ოჯახი და დანარჩენი ტყვეები "მათი ქონებითურთ" გაათავისუფლეს. გამარჯვებულთ დიდი ნადავლი ხვდათ წილად. იეჰოვას ერთგულმა მსახურმა არა მხოლოდ ქვეყანას გაუწია უდიდესი სამსახური, არამედ თავი გამოიჩინა, როგორც გულადმა მეომარმა. ყველა დარწმუნდა, რომ უფლის ერთგულება და სიმართლე არ ნიშნავს სიმხდალეს და რომ სწორედ ღვთისადმი უდიდესმა რწმენამ ჩაუსახა აბრაამს მხნეობა და სიმამაცე დატყვევებულთა უფლებების დასაცავად. ამ გმირულმა საქციელმა სახელი გაუთქვა მას ამ მიწაზე დასახლებულ სხვადასხვა ტომებში. ბრძოლიდან დაბრუნებისას თვით სოდომის მეფე შეეგება, რათა

მისალმებოდა გამარჯვებულს. მეფე დაჟინებით მოითხოვდა, რომ აბრაამს თავისთვის დაეტოვებინა მთელი ნადავლი და მხოლოდ ტყვეები დაებრუნებინა. თუმცა ომის კანონების თანახმად, ნადავლი გამარჯვებულს ეკუთვნოდა, აბრაამმა, რომელმაც ეს ლაშქრობა ქონების მოხვეჭის მიზნით როდი მოაწყო, უარი თქვა ამ სარგებელზე და მოითხოვა მხოლოდ ის ნაწილი, რაც მის მოკავშირეთ ეკუთვნოდა.

ძალიან ცოტა თუ გამოიჩენდა აბრაამისეულ კეთილშობილებას მსგავს ვითარებაში. ბევრი ვერ გაუძლებდა ცდუნებას, უარი ეთქვა ასეთ ნადავლზე. აბრაამის საქციელი მისაბაძია ანგარებიანი და მომხვეჭი ადამიანებისათვის. აბრაამი პატივს სცემდა სამართლიანობისა და ჰუმანურობის პრინციპებს. მისი ასეთი საქციელი ეთანხმება ღვთიურ პრინციპს: "გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი" /ლევ. 19:18/. "უზენაეს ღმერთს ვფიცავ, ცისა და მიწის შემოქმედს, თუ ძაფი ან ფეხსამოსის თასმა ავიღო იქიდან, რაც შენ გეკუთვნის. არ გათქმევინებ, მე გავამდიდრეო აბრამი". მას არ სურდა, ეფიქრათ, რომ აბრაამი ამ ომში ანგარების მიზნით ჩაერია და რომ მისი კეთილდღეობა და

[135]

[136]

სიმდიდრე მათი წყალობაა. უფალმა აღუთქვა აბრაამს კურთხევა და მხოლოდ მას ეკუთვნის მთელი დიდება.

გამარჯვებული პატრიარქის შესახვედრად გამოვიდა შალემის მეფე მელქიცედეკი, რომელმაც პური და ღვინო გამოუტანა დაღლილ მეომრებს დასანაყრებლად. როგორც "უზენაესი ღმერთის მღვდელმა", მან აკურთხა აბრაამი და მადლობა შესწირა ღმერთს, რომელმაც ასეთი დიდი თავისუფლება მოუტანა მათ თავისი მსახურის მეშვეობით. "მაშინ მისცა მას აბრაამმა ნადავლის მეათედი".

გახარებული დაუბრუნდა აბრაამი თავის კარვებს და ჯოგს, მაგრამ გულის სიღრმეში მღელვარე ფიქრები მოსვენებას არ აძლევდა. იგი მშვიდობის მოყვარული კაცი იყო, შესაძლებლობის ფარგლებში მტრობისა და განხეთქილების თავიდან აცილების მომხრე და ახლა დიდად აღელვებდა ამ საშინელი სისხლიანი ბრძოლის გახსენება. ის ხალხი, - ფიქრობდა იგი, - რომელთა მეომრებიც ბრძოლის დროს დაეცნენ, უეჭველად კვლავ დაესხმიან თავს მას და შურს იძიებენ. და თუკი ამგვარად ერთა შორის ბრძოლაში გახვეული აღმოჩნდება, დაკარგავს მშვიდ ცხოვრებას. მით უმეტეს, რომ ჯერ ფეხი არ დაუდგამს აღთქმულ მიწაზე და არც მემკვიდრე ჰყავს, რომლის მეშვეობითაც ეს აღთქმა განხორციელდება.

ღამის ხილვაში აბრაამს კვლავ მოესმა უფლის ხმა: "ნუ გეშინია, აბრამ! მე ვარ ფარი შენი! დიდზე დიდი იქნება შენი ჯილდო". მაგრამ იმდენად მძიმე იყო მისი ფიქრები, რომ ადრინდელივით სრულად ვერ ერწმუნა უფლის აღთქმას და ამიტომ შეევედრა უფალს, მიეცა რაიმე უფრო ხილული მტკიცება იმისა, რომ მისი დაპირება ნამდვილად აღსრულდება. და მართლაც, როგორ აღსრულდებოდა უფლის აღთქმა, თუკი აბრაამს ძე არა ჰყავდა? "შთამომავლობა არ მოგიცია ჩემთვის და, აჰა, ჩემს სახლში შობილი ყმა უნდა გამიხდეს მემკვიდრედ". აბრაამს განზრახული ჰქონდა, თავისი ერთგული მსახური, ელეაზარი, თავის მემკვიდრედ ექცია. მაგრამ უფალმა დაარწმუნა, რომ მისი მემკვიდრე მისი საკუთარი ძე იქნება. უბრძანა, გამოსულიყო კარვიდან და შეეხედა ურიცხვი მოციმციმე ვარსკვლავით მოფენილი ცისათვის. და როცა აბრაამი ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ცქერით ტკბებოდა, კვლავ მოესმა: "ამდენი იქნება შენი შთამომავლობა". "ერწმუნა აბრაამი ღმერთს და ეს სიმართლედ ჩაეთვალა მას" /რომ. 4:3/.

პატრიარქი კვლავ სთხოვდა უფალს, მიეცა რაიმე ხილული ნიშანი მისი რწმენის განსამტკიცებლად და მომავალ თაობათა დასარწმუნებლად, რომ ღმერთი აუცილებლად შეასრულებს მათ მიმართ თავის კეთილ ჩანაფიქრს. მან იმდენად შეიწყნარა ისინი, რომ თავის მსახურს იმ ფორმით დაუდო აღთქმა, რომლითაც ადამიანები, ჩვეულებისამებრ, საზეიმო ხელშეკრულებას დებდნენ. უფლის ბრძანების თანახმად,

აბრაამმა უფალს შესწირა სამი წლის ხბო, თხა, ცხვარი, "შუაზე დახლიჩა ისინი" და ერთმანეთის მოშორებით დააწყო. ამ შესაწირავს დაუმატა "გვრიტი და მტრედის ხუნდი", "რომელნიც არ დაუხლიჩავს". ყოველივე ამის მომზადების შემდგომ წმიდა შიშით შეპყრობილმა აბრაამმა მოწიწებით გაიარა შესაწირავ პირუტყვთა ნახლეჩებს შორის და საზეიმო აღთქმა დაუდო უფალს, რომ ყოველთვის ყველაფერში დაემორჩილებოდა. შემდეგ დიდი მოთმინებითა და სიყვარულით დარაჯობდა იგი გაღებულ შესაწირავს მზის ჩასვლამდე, ფრინველები ან სხვა ცხოველები რომ არ მიჰკარებოდა. მზე ჯერ კიდევ ჰორიზონტზე იდგა, როცა "ძილქუში დაეცა აბრამს და აჰა, დიდმა შიშმა და წყვდიადმა მოიცვა იგი". ღვთიურმა ხმამ გააფრთხილა, რომ არ დალოდებოდა აღთქმული მიწის შესახებ წინასწარმეტყველების უმალ ასრულებას და მოუთხრო იმ განსაცდელის შესახებ,

[137]

რომელიც ელოდა მის შთამომავლობას ქანაანის აღთქმულ ქვეყანაში შესვლამდე. იქვე გაუხსნა უფალმა აბრაამს ადამიანის გადარჩენის გეგმა იესო ქრისტეს სიკვდილის მეშვეობით, მის მიერ გაღებული უდიდესი მსხვერპლი და დიდებით მოსვლა. აბრაამმა ედემის სილამაზით შემკული ახალი მიწაც იხილა —

სწორედ ის, რომელიც მას მარადიულ მფლობელობაში გადაეცა, როგორც აღთქმულის საბოლოო და სრულყოფილი აღსრულება.

ადამიანსა და უფალს შორის დადებული ამ აღთქმის დასამოწმებლად "აჰა, აკვამლებული თონე, და ცეცხლის ალმა", რაც უფლის იქ ყოფნის სიმბოლო იყო, "გაიარა ნახლეჩებს შორის" და შთანთქა ისინი. და კვლავ გაიგონა აბრაამმა უფლის ხმა მისი შთამომავლობისათვის ქანაანის ქვეყნის მემკვიდრეობით გადაცემის შესახებ: "შენი შთამომავლობისთვის მიმიცია ეს ქვეყანა ეგვიპტის მდინარიდან დიდ მდინარემდე - ევფრატის მდინარემდე".

დაახლოებით ოცდახუთი წელი იცხოვრა აბრაამმა ქანაანის მიწაზე, როცა უფალი გამოეცხადა და უთხრა: "მე ვარ ღმერთი ძლიერი. იარე ჩემს წინაშე და სრული იყავი". წმიდა შიშით შეპყრობილი პატრიარქი პირქვე დაემხო და ასე ელაპარაკა მას ღმერთი: "დავდებ აღთქმას ჩემსა და შენს შორის და დიდად, დიდად გაგამრავლებ". და ამ აღთქმის დასტურად მას და სარას სახელი შეუცვალა: აბრამის ნაცვლად უწოდა აბრაამი, რაც "უამრავ ხალხთა მამას" ნიშნავს, სარაის ნაცვლად კი - სარა, "ქალბატონი". "ვინაიდან", - თქვა ღვთიურმა ხმამ, - "გახდება ხალხების დედა და ხალხთა მეფეები წარმოიშვებიან მისგან".

იმ დროს მიეცა აბრაამს მითითება წინადაცვეთის შესახებ, "ბეჭდად რწმენით სიმართლისა, რომელიც წინადაუცვეთლობისას ჰქონდა" /რომ. 4:11/. პატრიარქისა და

მისი თაობებისათვის აუცილებელი წინადაცვეთის აქტი ნიშანი უნდა ყოფილიყო იმისა, რომ ისინი, წარმართებისგან განსხვავებით, თავიანთ ცხოვრებას ღმერთის მსახურებას უძღვნიდნენ, ხოლო უფალი კი ამ ერს საკუთარ ძვირფას საგანძურად მიიჩნევდა. ამ წესის აღსრულებით ისინი აღთქმას დებდნენ, აღესრულებინათ აბრაამთან დადებული აღთქმის პირობები. მათ ეკრძალებოდათ საქორწინო კავშირები წარმართებთან, წინააღმდეგ შემთხვევაში დაკარგავდნენ უფლისა და მისი წმიდა რჯულის მიმართ მოწიწებას, ცდუნდებოდ -ნენ სხვა ხალხების წარმართული ტრადიციებით და კერპთაყვანისმცემლობით.

უფალმა ღმერთმა უდიდესი პატივი არგუნა აბრაამს. ზეციური ანგელოზები ჩამოდიოდნენ და მეგობრულად ესაუბრებოდნენ მას. სოდომის ცეცხლით განადგურების ამბავიც კი ცნობილი იყო აბრაამისათვის და იგი შუამდგომლობდა ამ ქალაქის ცოდვილთ უფლის წინაშე. ანგელოზებთან მისი საუბარი სტუმართმოყვარეობის ჩინებული მაგალითია.

ზაფხულის ერთ ცხელ დღეს პატრიარქი თავისი კარვის შესასვლელში იჯდა და ირგვლივ გამეფებული მშვიდი პეიზაჟით ტკბებოდა, უცბად შორს სამ მგზავრს მოჰკრა თვალი. მგზავრები მიუახლოვდნენ მის კარავს, შეჩერდნენ და რაღაცაზე ბჭობდნენ. ვიდრე ისინი რაიმე თხოვნით მიმართავდნენ, აბრაამი სასწრაფოდ წამოხტა - მგზავრები კი თითქოს სულ სხვა

მხარეს აპირებდნენ წასვლას - მიეახლა, დაეწია და უდიდესი მოწიწებითა და დაჟინებით სთხოვა, პატივი ეცათ მისთვის და მის სახლში დაესვენათ. მან თავად მიართვა წყალი დამტვერილი ფეხების დასაბანად და სანამ ისინი ჩრდილში ისვენებდნენ, აბრაამმა სამზადისის ბრძანება გასცა. როცა ყველაფერი მომზადდა და მგზავრები დასანაყრებლად დასხდნენ, აბრაამი მოწიწებით დადგა შორიახლოს.

უფალმა საჭიროდ ჩათვალა თავაზიანობის ამ აქტის წმიდა წერილის ფურცლებზე აღნიშვნა. რამოდენიმე ათასწლეულის შემდგომ სულიწმიდით აღვსილი მოციქული ამასთან დაკავშირებით წერდა: "სტუმართმოყვარეობა

[138]

არ დაივიწყოთ, ვინაიდან ზოგიერთებს ანგელოზებისათვის გაუწევიათ სტუმართმოყვარეობა და არ სცოდნიათ" /ებრ. 13:2/.

აბრაამი თავის სტუმრებში მხოლოდ სამ დაღლილ მგზავრს ხედავდა და სრულებით ვერ იცნო მათ შორის ის, ვისთვისაც თაყვანისცემა ცოდვად არ ჩაეთვლებოდა. მაგრამ მალე გაცხადდა ზეციურ მაცნეთა ჭეშმარიტი არსი. და თუმცა ისინი ცოდვილ ქალაქთა შესარისხად იყვნენ მოვლენილნი, ღვთის

ერთგულ მსახურს, აბრაამს, კურთხევის სიტყვებით მიმართეს. თუმცა ღმერთი ამჩნევს ყოველგვარ უწმიდურებას და სჯის ურჯულოებისათვის, მაგრამ შურისძიება არავითარ სიამოვნებას არ ჰგვრის. განადგურება უცხო საქმეა მისთვის, ვინც უსასრულო სიყვარულია.

"საიდუმლო უფლისა - მოშიშთა მისთა..." /ფს. 24:14/. აბრაამმა პატივი მიაგო უფალს და მანაც, თავის მხრივ, ნდობა გამოუცხადა მას იმით, რომ აუწყა თავისი ჩანაფიქრი: "გახშირდა სამდურავი სოდომზე და გომორზე, მეტისმეტად დაუმძიმდათ ცოდვები. ჩავალ და ვნახავ, საქმით დაიმსახურეს თუ არა სამდურავი, ჩემამდე რომ მოაწია". უფლისთვის კარგად იყო ცნობილი სოდომის მკვიდრთა ცოდვები, მაგრამ მან ადამიანისათვის გასაგები ენით წარმოთქვა ეს სიტყვები, რათა მისი მოქმედების სამართლიანობას უფრო ადვილად და ღრმად ჩასწვდომოდნენ. სანამ უწმიდურთ სანაცვლოს მიაგებდეს, უფალი თავად შეამოწმებს მათ სულიერ მდგომარეობას. და თუკი იხილავს, რომ ჯერ უფლის წყალობის ზღვარი არ დაურღვევიათ, მონანიებისათვის აძლევს დროს.

ორმა ზეციურმა მაცნემ დატოვა აბრაამი მასთან, ვინც მისთვის უკვე ცნობილი იყო, როგორც ღვთის ძე. და უფლის ერთგული მსახური ევედრებოდა მას, დაენდო სოდომის მკვიდრნი. ერთხელ აბრაამმა გადაარჩინა ეს ქალაქი თავისი მახვილით, ახლა კი იგივეს გაკეთებას ლოცვით ცდილობდა. ლოტი თავისი

ოჯახით სოდომში ცხოვრობდა და უანგარო სიყვარულმა, რომლითაც აბრაამი ლოტის ელამელთაგან განთავისუფლების დროს ხელმძღვანელობდა, ახლაც უბიძგა, დაეცვა ის ღვთის რისხვისაგან, თუკი ეს უფლის ნება იქნებოდა.

ღრმა მოწიწებითა და მორჩილებით, მაგრამ დაჟინებით სთხოვდა იგი უფალს: "აჰა, გავბედე უფალთან ლაპარაკი მე, მტვერმა და ნაცარმა". მასში არ იყო იოტისოდენა არც სიამაყე საკუთარი სიმართლის გამო, არც კეთილგანწყობას ითხოვდა მორჩილებისათვის ან უფლის ნებით გაღებული შესაწირავისათვის. თავად ცოდვილი, ცოდვილთ შუამდგომლობდა. ასეთივე სულით უნდა იყვნენ გამსჭვალულნი ისინი, ვინც ღმერთთან მიდის. მაგრამ, ამასთანავე, აბრაამს იმ ბავშვის რწმენა ჰქონდა, რომელიც მოსიყვარულე მამას ევედრება. იგი მიუახლოვდა ზეციურ მაცნეს და მხურვალედ შეევედრა, შეეწყალებინა სოდომის მცხოვრებნი.

თუმცა ლოტი უკვე სოდომის მკვიდრად ითვლებოდა, იგი არ მონაწილეობდა მათ უწმიდურ საქმეებში. აბრაამი თვლიდა, რომ ამ უწმიდურ ქალაქში ლოტის გარდა, სხვა ღვთის შვილებიც იქნებოდნენ, ამიტომ ითხოვდა: "ნუთუ დაღუპავ... მართალს ბოროტეულთან ერთად... არ ეგების შენგან ეგ საქმე! არ იქნება, რომ მთელი ქვეყნიერების მსაჯულმა სამართლიანად არ განსაჯოს!" აბრაამი კვლავ დაჟინებით ითხოვდა. ხოლო თავის

რამდენიმე თხოვნაზე დადებითი პასუხის გაცემის შემდეგ, იგი უფრო მეტი გაბედულებით ეევედრებოდა უზენაესს, სანამ არ მიიღო აღთქმა იმის შესახებ, რომ ათი მართალიც რომ მოიძებნოს ამ ქალაქში, უფალი მათი გულისათვის დაინდობს მას.

დასაღუპავად განწირულ ადამიანთა მიმართ თანაგრძნობისა და სიყვარულის გამო სთხოვდა აბრაამი უფალს მათ დანდობას. თუმცა მას ძლიერ სძულდა ამ

[139]

[140]

ზნედაცემული ქალაქის ცოდვები, მაგრამ მის უწმიდურ მკვიდრთა გადარჩენას შეეცადა. აბრაამის ასეთი დიდი დაინტერესება სოდომის მკვიდრთა ბედის მიმართ იმ უდიდეს მზრუნველობაზე მეტყველებს, რომელიც ჩვენ უნდა გამოვავლინოთ მოუნანიებელი ცოდვილის მიმართ; უნდა გვძულდეს ცოდვა, მაგრამ გვეცოდებოდეს და გვიყვარდეს ცოდვილი. სოდომის მცხოვრებთა მსგავსად, მიექანებიან ჩვენ ირგვლივ მყოფი ადამიანები დაღუპვის საშინელი

უფსკრულისაკენ. ყოველი დღე რომელიმე მათგანისათვის გამოცდის უკანასკნელ დღეს წარმოადგენს. ყოველდღე კვდებიან ადამიანები ისე, რომ არაფერი გაუგიათ უფლის უხვი წყალობის შესახებ. და რატომ არ გაისმის ხმა, რომელმაც უნდა გააფრთხილოს ცოდვილი ამ საშინელი დაღუპვის შესახებ? სადაა მათ გადასარჩენად გაწვდილი ხელები? სად არიან ადამიანები, რომლებიც მორჩილებითა და ურყევი რწმენით შესთხოვენ უფალს ცოდვილის გადარჩენას?

აბრაამში გამოვლენილი სული — ქრისტეს სულია. უფლის ძე ცოდვილთათვის უდიდესი შუამდგომელია. მან, ვინც ადამიანის გამოსყიდვისათვის საზღაური გაიღო, იცის მისი სულის ფასი. მას, უმწიკვლოსა და წმიდას, სძულდა ცოდვა, მაგრამ ცოდვილის მიმართ გამოავლინა სიყვარული, რომელიც მხოლოდ უსასრულოდ მოწყალე ღმერთს შეუძლია ჰქონდეს. იქ, ჯვარზე, სასიკვდილო აგონიაში მყოფი, მთელი ქვეყნიერების ცოდვებით საშინლად დამძიმებული ღვთის ძე მამას ავედრებდა მის მდევნელთ და მკვლელთ: "მამაო, მიუტევე ამათ, ვინაიდან არ იციან, რას აკეთებენ" (ლუკ. 23:34).

აბრაამზე დაწერილია, რომ მას "ღვთის მეგობარი" დაერქმევა და რომ იგი "ყველა მორწმუნის მამა" გახდა /იაკ. 2:23; რომ. 4:11/. უფლის მოწმობა ამ ერთგულ პატრიარქთან დაკავშირებით გვამცნობს: "დამიჯერა აბრაამმა და ასრულებდა ჩემს ნაანდერძევს, ჩემს ბრძანებებს, ჩემს მცნებებს, ჩემს სჯულდებებს" /დაბ. 26:5/. უფალს სჯერა, რომ "უანდერძებს იგი

თავის შვილებსა და თავის სახლს თავის შემდეგ - იარონ უფლის გზაზე, მოიქცნენ სიმართლით და სამართალი საჯონ, რათა აუხდინოს უფალმა აბრაამს ყველაფერი, რაც ნათქვამი აქვს მასზე". ეს იყო აბრაამისადმი გამოვლენილი უდიდესი პატივი, რომ გამხდარიყო იმ ხალხის მამა, რომელიც ათასწლეულთა მანძილზე შეუნახავდა წუთისოფელს უფლის ჭეშმარიტებას, ხალხისა, რომელიც კურთხევა უნდა გამხდარიყო აღთქმული მესიის მოსვლისას ყველა ერისათვის მთელი დედამიწის ზურგზე. უფალმა ღირსად სცნო აბრაამი ამ მოწოდებისათვის. და აი, ის, ვისთვისაც ცნობილია ყოველი ადამიანის გულში დაფარული ზრახვები და იცის ადამიანის ფასი, ამბობს: "მე ვიცნობ მას" (იხ. დაბ. 18:19). აბრაამს არ შეეძლო, ეღალატა ჭეშმარიტებისათვის საკუთარი ანგარების გამო. უფალმა კი იცოდა, რომ იგი დაიცავდა მის რჯულს და სამართალს და სიმართლით ივლიდა; იცოდა, რომ იგი არა თუ მხოლოდ თავად იქნებოდა ღვთისმოშიში, არამედ რწმენას შთაუნერგავდა თავის სახლს, სიმართლის გზებს ასწავლიდა თავის ოჯახს და უფლის რჯულით იხელმძღვანელებდა მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე.

ათასზე მეტი სულისგან შედგებოდა აბრაამის ოჯახი. მისი სახლისათვის ყოველთვის სასურველი სტუმარი იყო ის, ვინც მის შეგონებებს ღებულობდა და ერთადერთ ცოცხალ ღმერთს სცემდა თაყვანს. აქ, როგორც სკოლაში, ისინი სწავლობდნენ ჭეშმარიტებებს, რათა შემდგომში უფლის სახელის ღირსეული მატარებელნი გამხდარიყვნენ. აი, რა დიდი პასუხისმგებლობა

დაეკისრა აბრაამს. იგი წრთვნიდა ოჯახის უფროსებს, ისინი კი, თავის მხრივ, ბაძავდნენ მას საკუთარ ოჯახებში.

ძველად მამაკაცი საკუთარ ოჯახში უფროსიც იყო და მღვდელიც და მისი უფლებამოსილება შვილებზე მაშინაც ვრცელდებოდა, როცა უკვე საკუთარი

[141]

შვილები ჰყავდათ. შვილები და შვილთა შვილები რელიგიურ და ამქვეყნიურ საქმეებში უმაღლეს ავტორიტეტად თვლიდნენ აბრაამს. უხუცესი ცდილობდა, მმართველობის ისეთი პატრიარქალური სისტემა დაეფუძნებინა, რომელიც დაეხმარებოდა ადამიანებს უფლის შემეცნების შენახვაში. საჭირო იყო ოჯახის წევრთა მჭიდროდ შეკავშირება, რათა წინ აღდგომოდნენ ირგვლივ გავრცელებულ კერპთაყვანისმცემლობას. იგი ძალ-ღონეს არ იშურებდა თავისი ხალხის წარმართთა წეს-ჩვეულებების ზეგავლენისაგან დასაცავად. ნებას არ რთავდა, ახლოს გასცნობოდნენ კერპთაყვანისმცემელთა რიტუალებს, ვინაიდან კარგად იცოდა, რომ ბოროტებასთან სიახლოვე შეარყევს მათ წმიდა პრინციპებს. აბრაამის უმთავრესი საზრუნავი ცრურელიგიის ნებისმიერი

ფორმის უფლის ხალხში დანერგვის წინააღმდეგ ბრძოლა და ადამიანთა შემეცნებაში ცოცხალი ღმერთის დიდებისა და სიწმიდის შთაბეჭდვა იყო, იმ ერთადერთი არსებისა, რომელიც თაყვანისცემის ღირსია.

ეს იყო უფლის ბრძნული გეგმა, რაც ითვალისწინებდა თავისი ხალხის წარმართთაგან სრულ იზოლირებას, რათა ერთმანეთში არ არეულიყვნენ. მან მოაშორა აბრაამი მის წარმართ ნათესავებს, რათა პატრიარქს შეექმნა და აღეზარდა თავისი ოჯახი მესოპოტამიაში გაბატონებული გამხრწნელი ზეგავლენისაგან მოშორებით და მის შთამომავლობას თაობიდან თაობამდე შემოენახა ჭეშმარიტი რწმენის სიწმიდე.

შვილებისა და თავისი ოჯახისადმი სიყვარული უბიძგებდა აბრაამს, თავისი რელიგიური მრწამსის დაცვისაკენ. სურდა, გადაეცა ღვთიური დადგენილებები, როგორც უძვირფასესი მემკვიდრეობა, არა მხოლოდ მათთვის, არამედ მათი მეშვეობით, მთელი ქვეყნიერებისათვის. ყველას ასწავლიდნენ, რომ მათი ერთადერთი მმართველი უზენაესი ღმერთია. ამრიგად, მშობლებს არ სჭირდებოდათ იძულებითი ხერხის გამოყენება შვილებზე გავლენის მოსახდენად, შვილებს კი მორჩილება მოეთხოვებოდათ. უფლის რჯული თითოეულს მის მოვალეობაზე მიუთითებდა, რადგან ბედნიერება და კეთილდღეობა ღვთისადმი მათ სრულ მორჩილებაზე იყო დამოკიდებული.

აბრაამის პირადი მაგალითი, მისი ყოველდღიური ღვთისმოსაური ცხოვრება მუდამ თვალსაჩინო გაკვეთილი იყო მის ირგვლივ მყოფთათვის. მისი პატიოსნება, სიკეთე და გულითადობა, რაც თვით მეფეების აღტაცებასაც კი იწვევდა, დადებითად მოქმედებდა ოჯახის წევრებზე. მისი ცხოვრება კეთილსურნელებას გამოსცემდა, ხოლო მისი ხასიათის სილამაზე და კეთილშობილება ყველას წინაშე ზეცასთან მის უშუალო კავშირზე მოწმობდა. თავისი სახლის ყველაზე უბრალო მსახურთანაც კი კეთილი დამოკიდებულება ჰქონდა. მის ოჯახში ყველასთვის, ბატონისთვისაც და მსახურისთვისაც, ერთი კანონი არსებობდა. მდიდარი და ღარიბი ერთი წესით ცხოვრობდა. ყველას სამართლიანად და მოწყალებით, როგორც სიცოცხლის უდიდესი ძღვენის თანამემკვიდრეთ, ისე ეპყრობოდა.

"უანდერძებს იგი... თავის სახლს". მის ოჯახში არც დაუდევრობით, არც უყურადღებობით არ უნდა შეეწყოთ ხელი ბავშვებში ცუდი თვისებების განვითარებისათვის, არც მათ შორის ფავორიტთა უგუნური გამორჩევისათვის. თავისი მოვალეობის პრინციპები ბრმა სიყვარულისთვის არ უნდა შეეწირათ. არა მხოლოდ სწორად უნდა აღეზარდა მომავალი თაობები აბრაამს, არამედ ღვთიური, სამართლიანი კანონების ავტორიტეტიც უნდა შეენარჩუნებინა.

ცოტანი თუ ბაძავენ დღეს მის მაგალითს! ბევრი მშობელი ეგოისტური, უგუნური, ბრმა სიყვარულითაა დაკავშირებული თავის შვილებთან, რის გამოც უყურადღებოდ ეკიდება მათ არასწორ მსჯელობას და მოუწესრიგებელ ვნებებს. ამით მშობლები უდიდეს სისასტიკეს ავლენენ და დიდ დანაშაულს

[142]

სჩადიან მათ მიმართ და ქვეყნის წინაშე. შვილის უსაქციელობაზე მშობლის შემწყნარებლურ დამოკიდებულებას უწესრიგობა შეაქვს ოჯახშიც და საზოგადოებაშიც. ასეთი ზეგავლენა ბავშვებს უბიძგებს, დაემორჩილონ საკუთარ სურვილებს და არა ღვთიურ მოთხოვნილებებს. ამ სულით აღზრდილი თაობა უფლის ნების მიმართ სიძულვილს ავლენს და მეამბოხე ურჯულო სულს მემკვიდრეობით გადასცემს. აბრაამის მსგავსად, მშობლებმა ბავშვებს თავისი ცოდნა უნდა გადასცენ. ასწავლეთ თქვენს შვილებს, რომ მშობლებისადმი მორჩილება პირველი ნაბიჯია ღვთიური ძალაუფლების მორჩილებისაკენ.

ღვთის რჯულისადმი უპატივცემულობა სხვადასხვა რელიგიურ ლიდერთა მხრიდანაც ასევე უამრავ ბოროტებას ბადებს. ფართოდ გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ უფლის

მცნებები უკვე საჭირო აღარაა, ადამიანის ზნეობაზე ისეთივე ზეგავლენას ახდენს, როგორც თვით კერპთაყვანისმცემლობა. ის, ვინც უფლის წმიდა რჯულის მოთხოვნათა დამცირებას ლამობს, დამანგრეველ დარტყმას აყენებს ოჯახის სიმტკიცეს და საზოგადოების კეთილდღეობას. მორწმუნე მშობლები, რომლებიც თავად არ ასრულებენ ღვთიურ დადგენილებებს, ვერ უანდერძებენ შვილებს უფლის გზით სიარულს, ვინაიდან მათთვის უფლის რჯული არ არის უმთავრესი მათ ცხოვრებაში. და, როცა მათი შვილები საკუთარ კერას შექმნიან, ვერ იგრძნობენ პასუხისმგებლობას იმის გამო, რომ ბავშვებს ვერ ასწავლიან ჭეშმარიტებას, რომელიც თავად მათ არ ასწავლეს. აი, რატომაა ასე მრავლად ურწმუნო ოჯახები; აი, რატომ გაიდგა ასე ღრმად ფესვები მანკიერებამ.

მხოლოდ მაშინ, როცა მშობლები მთელი გულით გაჰყვებიან უფლის რჯულს, შეძლებენ ღირსეული მემკვიდრეობის შვილებისათვის გადაცემას. ამასთან დაკავშირებით საჭიროა ძირეული და მრავალმხრივი გარდაქმნები. გარდაქმნა სჭირდებათ მშობლებს; გარდაქმნა სჭირდებათ ღვთისმსახურთ. მათ ესაჭიროებათ უფალი ღმერთი თავის ოჯახებში. მშობლებმა სათანადო პატივი უნდა მიაგონ და ადგილი დაუთმონ თავიანთ ოჯახებში ღვთის სიტყვას და უმთავრეს მრჩევლად გაიხადონ იგი. უნდა ასწავლონ ბავშვებს, რომ ბიბლია მათკენ მიმართული ღვთის ხმაა, რომელსაც უსიტყვოდ უნდა დაემორჩილონ. მშობლებმა ეს დიდი მოთმინებით უნდა აკეთონ, გულისყურით შეაგონონ, თუ როგორ გახადონ თავისი ცხოვრება უფლისათვის

სასურველი. ასეთ ოჯახში აღზრდილი ბავშვები მომზადებულნი შეხვდებიან სხვადასხვა ათეისტურ თეორიებს, ვინაიდან ბიბლია გახდება მათი რწმენის საფუძველი და საყრდენი, რომლის წინაშეც სკეპტიციზმის მძვინვარე ტალღები უძლური იქნება.

მრავალ ოჯახში უგულებელყოფილია ლოცვა. ხშირად მშობლებს არა აქვთ დრო დილისა და საღამოს ღვთისმსახურებისათვის, ვერ უპოვიათ რამდენიმე წუთი უფლისადმი მადლიერების გამოსათქმელად მისი უხვი წყალობისათვის: კურთხეული მზის სხივებისათვის, წვიმისათვის, ყოველივეს რომ აცოცხლებს ირგვლივ, მათი მფარველი წმიდა ანგელოზებისათვის, უფლის დახმარებისა და ხელმძღვანელობისათვის, მათ ოჯახებში იესოს მუდმივი სუფევისათვის. მათ სამსახურისკენ მიეჩქარებათ და, პირუტყვის მსგავსად, ზეცა და ღმერთი ერთხელაც არ გაახსენდებათ. თუმცა ისინი იმდენად ძვირფასნი არიან უფლისათვის, რომ მისმა ძემ მათი გამოსყიდვისათვის საკუთარი სიცოცხლე გაწირა. მაგრამ ეს უმადურები ამ უდიდესი წყალობის გამო მადლიერების გამოხატვით დიდად არ ჩამოუვარდებიან დასაღუპავად განწირულ პირუტყვებს.

ყველა, ვინც ამბობს, რომ ღმერთი უყვარს, უხუცესი პატრიარქის მსგავსად აუგებს მას სამსხვერპლოს ყველგან, სადაც კარვების გაშლა მოუხდება. და თუკი ოდესღაც უნდა დადგეს დრო, როცა

ყოველი სახლი სამლოცველო სახლად იქცევა, იცოდეთ, რომ ეს დრო უკვე დადგა. დედებმა და მამებმა

[143]

[144]

მორჩილებით უნდა შეავედროთ საკუთარი თავი და შვილები უფალს. დაე მამამ, როგორც ოჯახის მღვდელმთავარმა, ღვთის სამსხვერპლოზე მიიტანოს დილისა და საღამოს შესაწირავი, ხოლო ცოლი და შვილები შეუერთდნენ მას მადლიერების ლოცვებით. ასეთ ოჯახში ყოველთვის დაივანებს ქრისტე.

ყოველი ქრისტიანული სახლიდან სინათლის სხივი უნდა იფრქვეოდეს. სიყვარულზე ჩვენი საქმეები იღაღადებენ. იგი უნდა იგრძნობოდეს ოჯახის წევრთა ურთიერთობაში, ვლინდებოდეს თავაზიანობაში, ერთმანეთისადმი ნაზ და უანგარო სიყვარულში. ზოგიერთ ოჯახში ეს პრინციპი სათანადო სიმაღლეზე დგას. იქ ღმერთს სცემენ თაყვანს და ჭეშმარიტი სიყვარული სუფევს. ასეთ ოჯახებში დილა-საღამოს აღავლენენ ლოცვებს, როგორც კეთილსურნელებას. და ეძლევათ მათ ღვთის კურთხევა და მადლი, ვითარცა დილის ცვარი.

ოჯახში სწორად აწყობილი ქრისტიანული ცხოვრება თვალსაჩინო მოწმობაა ქრისტიანული რელიგიის კეთილი ზეგავლენისა, რაც უტყუარი მტკიცებაა ურწმუნოთათვის. ყველას შეუძლია დაინახოს, რომ ასეთ ოჯახში მოქმედებს ძალა, რომელიც საჭირო ზეგავლენას ახდენს ბავშვებზე და მიხვდეს, რომ მათთანაა აბრაამის ღმერთი. ქრისტიანთა სახლები რომ ჭეშმარიტი სულით იყოს აღვსილი, ქრისტიანული სამყარო სინათლის უძლიერეს წყაროდ იქცეოდა. მაშინ ქრისტიანები ჭეშმარიტად გახდებოდნენ "წუთისოფლის ნათელი". ზეციერი მამა მიმართავს ყოველ მორწმუნე მშობელს ოდესღაც აბრაამის მისამართით წარმოთქმული სიტყვებით: "ვიცი, რომ უანდერძებს იგი თავის შვილებსა და თავის სახლს თავის შემდეგ - იარონ უფლის გზაზე, მოიქცნენ სიმართლით და სამართალი საჯონ, რათა აუხდინოს უფალმა აბრაამს ყველაფერი, რაც ნათქვამი აქვს მასზე" /დაბ. 18:19/.

თავი 13 - რწმენის გამოცდა

დაბადება 16; 17:18-20; 21:1-14; 22:1-19

აბრაამმა უსიტყვოდ ირწმუნა აღთქმა ძის შეძენის თაობაზე, მაგრამ არ დაელოდა უფლის მიერ განსაზღვრულ დროში და

განსაკუთრებული გზით მის აღსრულებას. შეაყოვნა უფალმა მისი აღსრულება ღვთიური ძალისადმი აბრაამის რწმენის გამოსაცდელად. უკვე ხანდაზმულ სარას შეუძლებლად მიაჩნდა ბავშვის გაჩენა და ღვთიური გეგმის აღსასრულებლად აბრაამს მეორე ცოლად თავისი მსახური ქალი შესთავაზა. ამ დროისათვის მრავალცოლიანობა ისე გავრცელდა, რომ ცოდვად აღარ ითვლებოდა, თუმცა ამით ღვთის რჯული ირღვეოდა, რითაც ოჯახურ ურთიერთობებს, მის სიმშვიდეს და სიწმიდეს საფრთხე ემუქრებოდა. აბრაამის აგართან ქორწინებას მეტად ცუდი შედეგი მოჰყვა არა მხოლოდ მისი ოჯახის, არამედ მომავალი თაობებისათვისაც.

იმ უდიდესი პატივით გაამაყებული აგარი, რომელსაც მას, როგორც აბრაამის ცოლს, მიაგებდნენ და რომელიც იმედოვნებდა, რომ უდიდესი ერის დედა გახდებოდა, სიძულვილით აღივსო თავისი ქალბატონის მიმართ. ქალებს შორის ეჭვიანობამ დაარღვია ამ ოდესღაც ბედნიერი ოჯახის სიმშვიდე. აბრაამი იძულებული გახდა, ესმინა ორივე ქალის საჩივარი და ამაოდ ცდილობდა ოჯახში ადრინდელი მშვიდობიანი ურთიერთობის აღდგენას. და თუმცა სარას დაჟინებული მოთხოვნით მოიყვანა აბრაამმა მეორე ცოლად აგარი, ახლა იგი ყოველივეში მხოლოდ აბრაამს ადანაშაულებდა. მან მეტოქის სახლიდან გაძევება მოისურვა, მაგრამ აბრაამი ამაზე ვერ დაითანხმა, ვინაიდან მალე აგარი მისი შვილის დედა უნდა გამხდარიყო და, როგორც იმედოვნებდა, იგი იქნებოდა აღთქმული ძე. აგარი სარას მხევალი იყო და, ყოველივეს მიუხედავად, აბრაამი კვლავ მის

მსახურად თვლიდა. ამაყი აგარი ვერ იტანდა ქალბატონის შეურაცხმყოფელ სიტყვებს, რაც მისივე თავხედური ქცევით იყო გამოწვეული. "მაშინ დაუწყო სარაიმ ჩაგვრა და გაექცა მას აგარი".

აგარი უდაბნოში გაიქცა და აი, მარტოხელას და ყველასგან მიტოვებულს, წყაროსთან მჯდომს, უფლის ანგელოზი ეჩვენა ადამიანის სახით და უთხრა: "აგარ, სარაის მხევალო!... - ამ სიტყვებით შეახსენა მას თავისი მდგომარეობა და მოვალეობა და უბრძანა: - გაბრუნდი შენს ქალბატონთან და დაემორჩილე". და შემდეგ, საყვედურშერეული ნუგეშის სიტყვებით გაამხნევა: "მოჰხედა უფალმა შენს ჩაგვრას", „დიდად გავამრავლებ შენს შთამომავლობას და ვერ აღირიცხება სიმრავლის გამო". და უფლის უდიდესი წყალობის მარად გასახსენებლად ებრძანა მას: ეწოდებინა თავის ძისათვის ისმაელი, რაც ნიშნავს: "უფალი შეისმენს".

ას წელს მიახლოებულ აბრაამს უფალმა კვლავ გაუმეორა თავისი აღთქმა და დაარწმუნა, რომ მომავალი მემკვიდრე სარასგან ეყოლება. მაგრამ იგი კვლავაც ვერ ჩასწვდა მის სიტყვებს. მისი ფიქრები კვლავ ისმაელისაკენ იყო მიმართული, ვინაიდან მაინც ფიქრობდა, რომ მხოლოდ მისი მეშვეობით აღსრულდებოდა უფლის აღთქმული წყალობა და მადლი. შვილისადმი ძლიერმა სიყვარულმა ათქმევინა მას: "ნეტავ ისმაელმა იცოცხლოს შენს წინაშე!" კვლავ გაუმეორა უფალმა თავისი აღთქმა აბრაამს

სიტყვებით, რომელთა სისწორეში ეჭვის შეტანა შეუძლებელი იყო: "სწორედ სარა, შენი ცოლი, გიშობს ვაჟს, დაარქმევ სახელად ისააკს. აღვუდგენ მას ჩემს აღთქმას". უფალმა მამის არც ეს თხოვნა დატოვა უპასუხოდ. "ისმაელის გამო გისმინე და აჰა, ვაკურთხებ მასაც... და დიდად გავამრავლებ".

[145]

[146]

ყველაზე ძვირფასი იმედების აღსრულების ამდენი ხნის მტანჯველი მოლოდინის შემდეგ ისააკის დაბადებამ უდიდესი ბედნიერება და სიხარული მოჰგვარა აბრაამისა და სარას კარავს, რამაც აგარის გულში ჩამალული პატივმოყვარული ზრახვების მსხვრევა გამოიწვია. იმ დროისათვის ისმაელი უკვე სიჭაბუკეში შევიდა და აბრაამის შთამომავლობის მიმართ აღთქმული კურთხევისა და სიმდიდრის მემკვიდრედ ითვლებოდა. ახლა კი ყოველივე ამაზე ხელი მოეცარა. სასტიკად იმედგაცრუებულმა დედა-შვილმა შეიძულა სარას ბავშვი. ბანაკში გამეფებულმა საყოველთაო სიხარულმა ბოროტი შური წარმოშვა მათ გულში და ისმაელი საჯაროდ დასცინოდა და კიცხავდა აღთქმის მემკვიდრეს. სარა ისმაელის დაუდეგარ ხასიათში

განხეთქილების მარადიულ წყაროს ხედავდა და აბრაამს შეევედრა, ბანაკიდან გაეშვა აგარი და მისი ვაჟი. უდიდესმა მწუხარებამ მოიცვა პატრიარქის გული. როგორ მოიგლიჯოს გულიდან საყვარელი შვილი? სასოწარკვეთილი აბრაამი მხურვალედ ევედრებოდა ღმერთს, ეკარნახა სწორი გზა შექმნილი ვითარებიდან თავის დასაღწევად. უფალმა წმიდა მაცნეს მეშვეობით უბრძანა, აესრულებინა სარას სურვილი; აგარის ან ისმაელისადმი სიყვარულს არ უნდა შეეშალა ხელი მისთვის, რადგან მხოლოდ ამ გზით აღადგენდა თანხმობასა და ბედნიერებას თავის ოჯახში. ანგელოზმა აგრეთვე ანუგეშა აბრაამი, რომ ისმაელის ბანაკიდან წასვლის შემთხვევაში უფალი არ დაივიწყებს მას, შეუნარჩუნებს სიცოცხლეს და მრავალრიცხოვან ხალხთა მამად გახდის. აბრაამი დიდი მწუხარებით დაემორჩილა ანგელოზის სიტყვას; ენით გამოუთქმელი გულისტკივილით მოაშორა მან აგარი და ისმაელი თავის სახლობას.

აბრაამისადმი მიცემული შეგონება ოჯახურ ურთიერთობათა სიწმიდის შესახებ გაკვეთილი უნდა გახდეს ყველა დროის ყველა ადამიანისათვის: ოჯახურ ურთიერთობებს და ბედნიერებას სათუთი მზრუნველობა ესაჭიროება, თუნდაც ამისათვის უდიდესი მსხვერპლის გაღება გახდეს საჭირო. სარა ერთადერთი კანონიერი ცოლი იყო აბრაამისა; მისი უფლებები, როგორც ცოლისა და დედისა, სხვა ქალზე არ უნდა გავრცელებულიყო. იგი პატივს სცემდა ქმარს და სწორედ ამიტომაა წარმოდგენილი ახალ აღთქმაში, როგორც მისაბაძი მაგალითი. მას არ სურდა, აბრაამს სიყვარული მასა და სხვა

ქალს შორის გაეზიარებინა, ამიტომ უფალმა არ გაკიცხა იმის გამო, რომ მეტოქის გაძევება მოითხოვა. ორივეს, აბრაამს და სარას, ეჭვი გაუჩნდათ უფლის ძალის მიმართ და სწორედ ამ შეცდომამ მიიყვანა აბრაამი აგარის ცოლად შერთვამდე.

უფალმა აბრაამი დაადგინა ყველა მორწმუნის მამად და მისი ცხოვრება მაგალითი უნდა ყოფილიყო მომავალი თაობებისათვის. მაგრამ მისი რწმენა სრულყოფილი არ იყო. პირველად უფლის ძლიერებაში მაშინ დაეჭვდა, როცა დამალა, რომ სარა მისი ცოლი იყო, მეორედ კი, როცა აგარი შეირთო ცოლად. სულიერი სიწმიდის უფრო მაღალ საფეხურზე ასვლისათვის სხვა, უმძიმესი გამოცდა ელოდა. ღამის ხილვაში ებრძანა, გამგზავრებულიყო მორიას მთისკენ, სადაც ყოვლადდასაწველ მსხვერპლად თავისი ძე უნდა შეეწირა.

ას ოცი წლისა იყო აბრაამი, უფლისაგან ეს დავალება რომ მიიღო. თავის თაობაშიც კი იგი უკვე მოხუცად ითვლებოდა. ახალგაზრდობაში იგი ნებისმიერ სიძნელეს და ხიფათს მამაცურად ხვდებოდა, მაგრამ ახლა ახალგაზრდული შემართების ცეცხლი დაცხრა. სიყმაწვილის ხანაში მხნედ, მამაცურად შეიძლება შეხვდე ყოველგვარ ხიფათს და უბედურებას, მაგრამ რას გაუძლებს იმ ადამიანის გული, რომელსაც ცალი ფეხი უკვე სამარეში უდგას. მაგრამ ღმერთმა აბრაამს სწორედ იმ დროისათვის შემოუნახა უკანასკნელი,

მტანჯველი გამოცდა, როცა წლების სიმძიმე მძიმე ტვირთად აწვა მხრებზე და მისი

[147]

სულიც შრომისა და გარჯისაგან მოსვენებას ითხოვდა.

პატრიარქს ბერშებაში მეტად კარგი, მშვიდი ცხოვრება ჰქონდა. იგი ძალიან მდიდარი იყო და ქვეყნის მმართველნიც უდიდეს პატივს სცემდნენ, როგორც უძლიერეს მთავარს. ურიცხვი ცხვარი და მსხვილფეხა საქონელი ძოვდა მისი ბანაკის გარშემო გადაშლილ საძოვრებზე. ყველგან მოჩანდა მის ერთგულ მსახურთა გაშლილი კარვები. მის თვალწინ გაიზარდა და დასრულდა მისთვის აღთქმული ძე. თითქოს ზეცამ კურთხევით შემოსა მისი თავდადებული ცხოვრება, ვინც მოთმინებით ელოდა დიდი ხნის წინათ მიცემული აღთქმის აღსრულებას.

სწორედ მორჩილი რწმენის გამო დატოვა აბრაამმა მშობლიური მხარე. მამა-პაპათა საფლავები და ახლობლები. და გაემართა, როგორც ხიზანი, აღთქმული მიწისაკენ. დიდხანს ელოდა აღთქმული ძის დაბადებას; უფლის ბრძანებით სახლიდან გააძევა ისმაელი - საყვარელი ძე და ახლა, როცა ასე დიდი ხნის

ნანატრი შვილი მოესწრო და პატრიარქსაც თითქმის უკვე ყველა იმედი აუსრულდა, მიეცა ყველაზე ძნელი გამოცდა.

ბრძანების სიტყვებმა ენით გამოუთქმელი ტანჯვა მიაყენა მამის გულს: "მოჰკიდე ხელი შენს შვილს, შენს მხოლოდშობილს, რომელიც გიყვარს... შესწირე აღსავლენ მსხვერპლად". ისააკი, აბრაამის თვალის სინათლე, მისი სიბერის ნუგეში და აღთქმული კურთხევის მემკვიდრე იყო. რაიმე სნეულების ან უბედური შემთხვევის მსხვერპლი რომ გამხდარიყო ისააკი, მამის მოსიყვარულე გული ვერ გაუძლებდა ამ საშინელებას და გლოვის ჩრდილით შეიმოსებოდა მისი ჭაღარა. მაგრამ მას ნაბრძანები ჰქონდა, საკუთარი ხელით დაეღვარა ერთადერთი ძის სისხლი, რაც ძლიერ აშინებდა და შეუძლებლად ეჩვენებოდა.

სატანა შეეცადა, დაერწმუნებინა პატრიარქი, რომ ეს შეცდომაა, ვინაიდან ღვთიური კანონი ბრძანებს: "არა კლა" და უფალს არ შეუძლია, მოსთხოვოს ის, რისი გაკეთებაც ოდესღაც თავად აკრძალა. კარვიდან გამოსულმა უღრუბლო ზეცის მშვიდ ბრწყინვალებას მიაპყრო თვალი და გაახსენდა ორმოცდაათი წლის წინათ მოცემული აღთქმა, რომ მისი თესლი ვარსკვლავებივით ურიცხვი იქნება, რომ ეს აღთქმა ისააკში უნდა აღსრულდეს. მაშ, როგორ უნდა მოკვდეს იგი? ძალზე დიდი იყო ცდუნება ეფიქრა, რომ ეს შეცდომა იყო. დაეჭვებული, საშინლად გაწამებული აბრაამი მიწას დაემხო და მხურვალედ

შესთხოვა უფალს, რომ ერთხელ კიდევ დაედასტურებინა თავისი ბრძანება: მართლა უნდა აღასრულოს თუ არა მან ეს საშინელი საქმე? გაახსენდა, თუ როგორ იხილა ზეცით წარმოგზავნილი ანგელოზები, რომლებმაც ამცნეს ღვთის განზრახვა სოდომის განადგურების შესახებ - მათვე ამცნეს აღთქმა ისააკის შესახებ და აბრაამი იმ ადგილისაკენ გაემართა, სადაც რამდენჯერმე შეხვდა ზეციურ მაცნეთ. მას იმედი ჰქონდა, რომ კვლავ იხილავდა მათ და შემდგომ მითითებებს მიიღებდა; მაგრამ არავინ მოვიდა მის დასახმარებლად. თითქოს წყვდიადმა შემოსა იგი ყოველი მხრიდან. ყურში კვლავ გამუდმებით ესმოდა უფლის ბრძანების სიტყვები: "მოჰკიდე ხელი შენს შვილს, შენს მხოლოდშობილს, რომელიც გიყვარს..." უნდა დაემორჩილოს აბრაამი ამ ხმას. აღარ გადადებს. უკვე თენდებოდა და იგი გზას უნდა გასდგომოდა.

შევიდა კარავში აბრაამი და დახედა ისააკს, რომელსაც ღრმა, უზრუნველი, უცოდველი ძილით ეძინა. რამდენიმე წუთს დასცქეროდა შვილის საყვარელ სახეს, შემდეგ კი აცახცახებული უკან გაბრუნდა და მძინარე სარასთან შევიდა. გააღვიძოს და მისცეს შვილთან გამოთხოვების შესაძლებლობა თუ არა? გაანდოს თუ არა უფლის ბრძანება? ო, როგორ სურდა აბრაამს ამ საშინელი პასუხისმგებლობის მისთვის გაზიარება! მაგრამ იმ აზრმა, რომ სარა ხელს შეუშლიდა ამ საქმის აღსრულებაში, შეაყოვნა აბრაამი. ისააკი დედის

[148]

[151]

სიხარული და სიამაყე იყო. იგი მისი სიცოცხლე იყო და დედობრივი სიყვარული, შესაძლოა, არ დაანებებდა ასეთი მსხვერპლის გაღებას.

და ბოლოს, აბრაამმა გააღვიძა შვილი და ამცნო უფლის ბრძანება, შეეწირათ აღსავლენი მსხვერპლი ერთ-ერთ შორეულ მთაზე. ისააკი ხშირად წაუყვანია მამას უფლის თაყვანსაცემად მისი მოგზაურობისას სხვადასხვა ადგილებში აგებულ სამსხვერპლოებთან და ახლაც, მამის ამ მოთხოვნას არ გაუკვირვებია იგი. სწრაფად მოემზადნენ წასასვლელად, შეშის შეკვრა სახედარს აჰკიდეს და ორი მსახურის თანხლებით გზას გაუდგნენ.

მდუმარედ მიაბიჯებდა მამა-შვილი ერთმანეთის გვერდით. ეს საშინელი საიდუმლო მძიმე ტვირთად აწვა პატრიარქს, რის გამოც სიტყვას ვერ პოულობდა სასაუბროდ. ფიქრობდა მოსიყვარულე დედაზე, რომელიც ამაყობდა თავისი შვილით და იმ დღეზე, როცა მარტო, შვილის გარეშე დაბრუნდება მასთან.

კარგად იცოდა, რომ დანა, რომლითაც იგი შვილს სიცოცხლეს გამოასალმებდა, იმავ დროს დედის გულს განგმირავდა.

ის დღე ყველაზე გრძელი დღე იყო აბრაამის ცხოვრებაში. იმ დროს, როცა ისააკს და მის ახალგაზრდა მსახურთ ეძინათ, აბრაამი მთელი ღამის განმავლობაში ლოცულობდა იმ იმედით, რომ გამოჩნდებოდა ზეციური მაცნე და ეტყოდა, რომ გამოცდა დამთავრებულია და ჭაბუკი უვნებლად დაუბრუნდება თავის დედას. მაგრამ არავინ გამოეხმაურა მის გატანჯულ სულს. კიდევ ერთი გრძელი დღე, კიდევ ერთი, მორჩილებით აღსავსე ლოცვის ღამე, ხოლო ბრძანება შვილის შეწირვის შესახებ კვლავ გამუდმებით ჟღერდა მის გონებაში. სატანაც იქვე იყო, შორიახლოს, ეჭვისა და ურწმუნოების მთესველი. მაგრამ აბრაამმა გაუძლო მის შემოტევებს. და მესამე დღეს, როცა მზად იყვნენ გზა გაეგრძელებინათ, პატრიარქმა გაიხედა ჩრდილოეთით და იხილა აღთქმული ნიშანი - დიდების ღრუბელი მორიას მთის თავზე და დარწმუნდა, რომ ხმა, რომელიც მას ელაპარაკებოდა, ზეციდან ისმოდა.

არც ახლა საყვედურობდა იგი უფალს, არამედ აძლიერებდა თავის რწმენას უფლის წყალობაზე და ერთგულებაზე ფიქრით. როგორ მოულოდნელად აჩუქა ღმერთმა ეს შვილი და განა მას, ვინც ეს უხვი საჩუქარი გაიღო მისთვის, უფლება არა აქვს, დაიბრუნოს, რაც მას ეკუთვნის? რწმენის ხმა უფლის აღთქმას ახსენებდა აბრაამს: "ისააკით დაგეწყება შთამომავლობა",

ურიცხვი თაობა, როგორც ქვიშა ზღვის ნაპირზე. ისააკი უფლის სასწაულით იყო შეძენილი და განა მისთვის სიცოცხლის მიმცემს არ შეეძლო მისი კვლავ აღდგენა? და აბრაამი რწმენით ჩაეჭიდა უფლის სიტყვას, რომ "ღმერთს მკვდრეთით აღდგენის ძალაც შესწევს" /ებრ. 11:19/.

და მაინც, უფლის გარდა არავის შეეძლო, ჩასწვდომოდა მამის მიერ გაღებული მსხვერპლის სიღრმეს და სიდიადეს, რომელმაც საკუთარი შვილი სასიკვდილოდ გაიმეტა. აბრაამს სურდა, არავინ ყოფილიყო შვილთან მისი განშორების მოწმე, უფლის გარდა. მსახურთ უბრძანა, ადგილზე დარჩენილიყვნენ, "თქვენ აქ დარჩით... მე და ეს ბიჭი კი იქ წავალთ, თაყვანს ვცემთ და უკან მოვბრუნდებით". აბრაამმა შეშა ისააკს აჰკიდა, როგორც მსხვერპლად შესაწირს, დანა და ცეცხლი ხელში დაიჭირა და ერთად გაემართნენ მთის მწვერვალისაკენ. ისააკს გულში უკვირდა, საიდან უნდა მოეყვანა მამას შესაწირავი პირუტყვი, როცა ფარა და ჯოგი არსად ჩანდა. და ბოლოს, ვეღარ მოითმინა და ჰკითხა: "მამაჩემო!... ცეცხლი და შეშა მოგვაქვს, აღსავლენი კრავი სადღა არის?" ო, რა სასტიკი გამოცდა იყო ეს! როგორი ჭრილობა მიაყენა აბრაამის გულს ამ სიტყვებმა: "მამაჩემო!" არა, ჯერ არ დამდგარა მისთვის სიმართლის თქმის დრო... და აბრაამმა უპასუხა: "ღმერთი გამოაჩენს თავისთვის აღსავლენ კრავს, შვილო ჩემო".

[152]

დათქმულ ადგილას ააგეს მათ სამსხვერპლო და ზედ შეშა დააწყვეს. და მაშინ ხმის კანკალით აუწყა აბრაამმა შვილს ღვთის ნება. საშინლად განაცვიფრა და გააკვირვა ისააკი ამ სიტყვებმა, მაგრამ წინააღმდეგობა არ გაუწევია. მას ადვილად შეეძლო, თავი დაეღწია ამ განსაცდელისაგან, რომ მოესურვებინა. განა შეეძლო ამ დარდით გათანგულ, სამი საშინელი დღის განმავლობაში შინაგანი ბრძოლით გაწამებულ მოხუცს ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე მამაკაცთან შებმა? მაგრამ ისააკს ბავშვობაშივე ჩაუნერგეს ნდობა და მორჩილება და ახლა, როცა ღვთის ნება შეიცნო, დანებდა მას. მას ისეთივე მტკიცე რწმენა ჰქონდა, როგორც მის მამას და უდიდეს პატივად ჩათვალა საკუთარი სიცოცხლის ღვთისათვის შეწირვა. სიყვარულით შეეცადა იგი, შეემსუბუქებინა დარდი მისთვის, დაემშვიდებინა მამა, რომელიც აცახცახებული ხელებით შვილს სამსხვერპლოზე აკრავდა.

აი, უკვე ითქვა სიყვარულის უკანასკნელი სიტყვები, დაიღვარა უკანასკნელი ცრემლი, უკანასკნელად გადაეხვივნენ ერთმანეთს და მამამ საკუთარი შვილის მოსაკლავად აღმართა ხელი, რომელშიც დანა ეჭირა. და უცბად ხელი ჰაერში გაუშეშდა! ანგელოზმა ზეციდან უხმო პატრიარქს: "აბრაამ! მიუგო: აქა ვარ. უთხრა: ნუ აღმართავ ხელს ამ ყმაწვილზე, ნურაფერს დაუშავებ

მას, რადგან მივხვდი, ღვთისმოშიში ყოფილხარ - მხოლოდშობილი შენი შვილი გამოიმეტე ჩემთვის".

მაშინ იხილა აბრაამმა ვერძი, რქებით გახლართული ბუჩქებში და აქვე შესწირა იგი "აღსავლენ მსხვერპლად შვილის ნაცვლად". გახარებულმა და მადლიერმა აბრაამმა ახალი სახელი უწოდა ამ ადგილს: "იეჰოვა-ირე", რაც ნიშნავს: "ღმერთი გამოაჩენს".

აქ, მორიას მთაზე, უფალმა კვლავ გაიმეორა თავისი აღთქმა, საზეიმო ფიცით აღუთქვა აბრაამს მადლი და კურთხევა მთელი მისი მომავალი თაობებისათვის: "თავს გეფიცები, ამბობს უფალი, რაკი ეს საქმე გააკეთე, რაკი შენი მხოლოდშობილი შვილი გამოიმეტე ჩემთვის, კურთხევით გაკურთხებ და გიმრავლებ შთამომავლობას ცის ვარსკვლავებივით და ზღვის ქვიშასავით; დაიმკვიდრებს შენი შთამომავლობა შენს მტერთა ქალაქებს; იკურთხებიან შენი შთამომავლობის წყალობით ქვეყნიერნი, რადგან შეისმინე ჩემი სიტყვა".

აბრაამის რწმენის უდიდესი გმირობა ცეცხლოვანი სვეტის მსგავსად უნათებს გზას ღვთის შვილთ ყველა საუკუნეში. აბრაამს არასოდეს უცდია უფლის სურვილის ამა თუ იმ გზით უგულებელყოფა. სამი დღის სავალ გზაზე მას საკმაო დრო ჰქონდა იმისათვის, რომ ბევრ რამეზე დაფიქრებულიყო და ღვთის სიტყვის მიმართ ეჭვი გასჩენოდა. მას შეეძლო ეფიქრა, რომ ძალიან ბევრი საკუთარი შვილის მკვლელად ჩათვლიდა

მას და კაენს გაუტოლებდა. რის შედეგადაც ადამიანები სიძულვილით უარყოფდნენ აბრაამის შეგონებებს და ამგვარად, მისი გავლენა ირგვლივ მყოფებზე კეთილ ნაყოფს ვერ გამოიღებდა. აბრაამი ჩვეულებრივი ადამიანი იყო, ჩვენი მსგავსი თვისებებისა და გრძნობების მატარებელი, მაგრამ არასოდეს უკითხავს, თუ რა გზით ასრულდება უფლის აღთქმა ისააკის გარეშე. მისი გაწამებული სული არ ითხოვდა ამაზე პასუხს, რადგან კარგად იცოდა, რომ უფლის ყველა მოთხოვნა სამართლიანი და მართალია და ყველაფერში ემორჩილებოდა მას.

"ერწმუნა აბრაამი ღმერთს და ეს მას სიმართლეში ჩაეთვალა და ეწოდა ღვთის მეგობარი" /იაკ. 2:23/. პავლე მოციქული ამბობს: "გაიგეთ, რომ მორწმუნენი აბრაამის შვილები არიან" /გალ. 3:7/. მაგრამ აბრაამის რწმენას მისი საქმეები ამოწმებდა. "განა აბრაამი, მამაჩვენი, საქმეებით არ გამართლდა, როცა თავის ძეს, ისააკს, სამსხვერპლოზე სწირავდა? ხედავ, რწმენა მოქმედებდა მის საქმეებთან ერთად, საქმეებით კი სრულყოფილი შეიქმნა რწმენა" /იაკ.

[153]

2:21,22/. ძალიან ბევრს არ ესმის ურთიერთკავშირი რწმენასა და საქმეებს შორის. ისინი ამბობენ: "მხოლოდ ქრისტე იწამეთ და გადარჩებით. რჯულის დაცვა კი აუცილებელი არ არის". მაგრამ ჭეშმარიტი რწმენა მორჩილებაში ვლინდება. ქრისტემ ურწმუნო იუდეველებს უთხრა: "თქვენ რომ აბრაამის შვილები იყოთ, აბრაამის საქმეებს გააკეთებდით" /იოან. 8:39/. ყველა მორწმუნეთა მამაზე უფალი ასე ამბობს: "დამიჯერა აბრაამმა და ასრულებდა ჩემს ნაანდერძევს, ჩემს ბრძანებებს, ჩემს მცნებებს, ჩემს სჯულდებებს" /დაბ. 26:5/. იაკობ მოციქული ამბობს: "ასევეა რწმენაც: თუ საქმენი არ გააჩნია, თავისთავად მკვდარია" /იაკ. 2:17/. იოანე, რომელიც უმეტესად სიყვარულზე წერს, გვეუბნება: "ვინაიდან ღვთის სიყვარული ისაა, რომ ვიცავდეთ მის მცნებებს" /1 იოან. 5:3/.

სიმბოლოებით და აღთქმით აუწყა უფალმა კეთილი სახარება აბრაამს /იხ. გალ. 3:8/ და მანაც მტკიცედ ირწმუნა მომავალი მხსნელის მოსვლა. ქრისტემ იუდეველთ უთხრა: "აბრაამი, მამათქვენი, გაიხარებდა, რომ ეხილა ჩემი დღე. იხილა და გაიხარა" /იოან. 8:56/. ისააკის ნაცვლად შეწირული ვერძი განასახიერებდა ღვთის ძეს, რომელიც მომავალში ჩვენ ნაცვლად უნდა შეწირულიყო. როდესაც ადამიანმა დაარღვია უფლის რჯული და მას სიკვდილი მიესაჯა, უფალმა თვალი მიაპყრო თავის ძეს და ცოდვილს მიმართა: "იცოცხლე, მე ვიპოვე გამოსასყიდი".

ღმერთმა სწორედ იმიტომ უბრძანა აბრაამს, მოეკლა თავისი ძე, რომ სახარების რეალობა აღებეჭდა მის გონებაში და გამოეცადა მისი რწმენა. იმ სამი მტანჯველი დღის საშინელება უფალმა სწორედ იმიტომ დაუშვა, რომ საკუთარი გამოცდილებით აბრაამი ნაწილობრივ მაინც ჩასწვდომოდა იმ უდიდესი მსხვერპლის არსს, რომელიც უსასრულო ღმერთმა გაიღო ადამიანის გამოსახსნელად. არანაირი სხვა გამოცდა არ მიაყენებდა აბრაამს ასეთ ტანჯვას, გარდა საკუთარი შვილის შეწირვისა. უფალმა თავისი ძე სამარცხვინო სიკვდილისა და ტანჯვისათვის გაიმეტა. უფლის ძის სასიკვდილო ტანჯვისა და დამცირების მოწმე ანგელოზებს არ ჰქონდათ ჩარევის უფლება, როგორც ეს ისააკის შეწირვის დროს მოხდა. მაშინ არავის უთქვამს: "კმარა!" დიდების მეფე უნდა მომკვდარიყო დაცემული კაცობრიობის გადასარჩენად. განა შესაძლოა, არსებობდეს უფლის უსაზღვრო სიყვარულისა და თანაგრძნობის სხვა უფრო დიდი მტკიცება? "ის, ვინც საკუთარი ძე არ დაინდო, არამედ გასწირა ჩვენთვის, განა მასთან ერთად ყოველივეს არ გვაჩუქებს?" /რომ. 8:32/.

მხოლოდ აბრაამის პირადი კეთილდღეობისა და მომავალი თაობებისათვის როდი იყო საჭირო ამ უდიდესი მსხვერპლის გაღება - ეს ამავე დროს დიდი გაკვეთილი იყო ზეციურ ანგელოზთა და სხვა სამყაროების უცოდველ მკვიდრთათვის. ბრძოლის ველი ქრისტესა და სატანას შორის, სადაც გამოხსნის გეგმის აღსრულება ხდება, სასწავლო სახელმძღვანელოა მთელი სამყაროსათვის. ვინაიდან აბრაამი დაეჭვდა უფლის აღთქმაში,

სატანამ ბრალი დასდო მას ანგელოზთა და უზენაესის წინაშე, რომ არ შეასრულა აღთქმის პირობა და ამიტომ არ არის მისი კურთხევის ღირსი. უფალმა მოისურვა, რომ მთელ ზეცას ეხილა მისი მსახურის ერთგულება. მას აგრეთვე სურდა, რომ ადამიანებს სცოდნოდათ: ღმერთი მხოლოდ და მხოლოდ სრულ მორჩილებას მოითხოვს... და უფრო სრულად გადაეშალა მათ წინაშე გადარჩენის გეგმა.

ზეციური ანგელოზები მოწმენი გახდნენ აბრაამის რწმენის გამოცდისა და ისააკის მორჩილებისა. ეს გამოცდა ადამის გამოცდაზე ბევრად უფრო მძიმე აღმოჩნდა. აკრძალვა, რომელსაც ჩვენი წინაპრები უნდა დამორჩილებოდნენ, არავითარ ტანჯვას არ აყენებდა მათ. მაგრამ აბრაამისაგან ასეთი მსხვერპლის გაღება მეტად მძიმე და მტანჯველი იყო. მთელი ზეცა განცვიფრებითა და

[154]

[155]

აღტაცებით ადევნებდა თვალს ღვთისადმი აბრაამის უსიტყვო მორჩილებას. და მთელი ზეცა ხარობდა მისი უფლის

ერთგულად დარჩენის გამო. ამგვარად იქნა გამოვლენილი სატანის ცრუ ბრალდება. უფალმა უთხრა თავის ერთგულ მსახურს: "მივხვდი /მიუხედავად სატანის ბრალდებისა/, ღვთისმოშიში ყოფილხარ - მხოლოდშობილი შენი შვილი გამოიმეტე ჩემთვის". უფლის ფიცით აბრაამთან დადებული აღთქმა მთელი ზეციური სამყაროს წინაშე იმაზე მეტყველებს, რომ ღვთის მორჩილებისათვის საზღაური ძალზე დიდია.

თვით ზეციურ ანგელოზთათვის მეტად. ძნელი იყო გამოსყიდვის საიდუმლოში ჩახედვა - შეცნობა იმისა, რომ ზეციური მბრძანებელი, ღვთის ძე, ცოდვილი კაცობრიობისათვის უნდა მომკვდარიყო. როცა აბრაამს ებრძანა თავისი შვილის მსხვერპლად შეწირვა, მთელი ზეცა დიდად დაინტერესდა ამ მოვლენით და დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს მის ყოველ ნაბიჯს. როცა ისააკის შეკითხვაზე: "აღსავლენი კრავი სადღა არის?" - აბრაამმა უპასუხა: "ღმერთი გამოაჩენს თავისთვის აღსავლენ კრავს", როცა მამის ხელი, რომელსაც დანით საკუთარი შვილის სისხლი უნდა დაეღვარა, ანგელოზმა ჰაერში შეაჩერა და ისააკის ნაცვლად უფლის მიერ მომზადებული ვერძი იქნა შეწირული, მაშინ გაცხადდა გამოსყიდვის საიდუმლო და თვით ანგელოზებმაც უფრო ღრმად შეიმეცნეს ადამიანის ხსნისათვის უფლის მიერ მომზადებული ეს ჩინებული ჩანაფიქრი /იხ. 1 პეტრ. 1:12/.

თავი 14 - სოდომის განადგურება

დაბადება 19

სოდომი ულამაზესი იყო იორდანეს ველზე განლაგებულ ქალაქთა შორის, რომელიც ნაყოფიერებითა და მშვენიერებით "უფლის ბაღს" ემსგავსებოდა თავისი საუცხოო ტროპიკული მცენარეულობით. ეს იყო პალმების, ზეთისხილის და ვაზის სამშობლო. მრავალფეროვან ყვავილთა სურნელება მთელი წლის განმავლობაში იფრქვეოდა ირგვლივ. უხვ მოსავალს იძლეოდა მისი ყანები და ცხვრისა და რქოსანი საქონლის ჯოგი მისი მთის ფერდობებს ესეოდა. ხელოვნება და ვაჭრობა ხელს უწყობდა ამ ამაყი ქალაქის გამდიდრებას. აღმოსავლეთის საგანძური ამშვენებდა მის დიდებულ სასახლეებს, ხოლო უდაბნოს ქარავნები სხვადასხვა ძვირფასი საქონლით ამარაგებდა მის ბაზრებს. თითქმის ყოველგვარი შრომის, ზრუნვისა და ძალისხმევის გარეშე იკმაყოფილებდნენ ქალაქის მკვიდრნი საკუთარ სურვილებს და მთელი მათი ცხოვრება მუდმივი დღესასწაული იყო.

აქ გამეფებულმა სიუხვემ და ფუფუნებამ სიამაყე წარმოშვა. უსაქმურობა და სიმდიდრე გულს უქვავებს იმ ადამიანებს, რომელთაც არასოდეს განუცდიათ გაჭირვება და მწუხარება. სიმდიდრე და უზრუნველობა ხელს უწყობდა ადამიანთა ამქვეყნიური სიამტკბილობისაკენ სწრაფვას და ისინიც სიამოვნებით იძირებოდნენ დამღუპველ ვნებათა მორევში. "აჰა,

ეს იყო შენი დის, სოდომის დანაშაული, - ამბობს წინასწარმეტყველი, - ამპარტავნობა, ღორმუცელობა და უდარდელობა მისი და მისი ასულებისა; ღარიბ-ღატაკს ხელს არ უმართავდნენ. გამედიდურდნენ და სისაძაგლის კეთება დაიწყეს ჩემს წინაშე და მეც მოვიცილე ისინი, როცა დავინახე /ეზეკ. 16:49,50/.

გამდიდრებისა და უზრუნველად ცხოვრების გარდა არაფერი აინტერესებდათ სოდომის მცხოვრებთ - სწორედ ამან წარმოშვა მათში ცოდვა და გამოიწვია ველის ქალაქთა განადგურება. უაზრო, უზრუნველმა ცხოვრებამ აქცია ისინი სატანის ცდუნების მსხვერპლად, სრულიად დაკარგეს ღვთისმოსაობა და სატანის ხატება უფრო მიიღეს, ვიდრე ღვთისა.

უსაქმურობა და უზრუნველობა ყველაზე დამღუპველი საქმეა ადამიანისათვის: მანკიერება და დანაშაულია მისი ნაყოფი. იგი ასუსტებს გონებას, ამახინჯებს აზროვნებას და ამდაბლებს სულს. სატანა უსაფრდება თავის მსხვერპლს, რათა დაღუპოს ეს დაუცველი ადამიანები და ისინიც, თავიანთი გულგრილობისა და უზრუნველობის გამო, ხშირად ეგებიან შენიღბული მაცდურის ანკესზე. და მაცდურიც ყველაზე დიდ წარმატებას აღწევს მაშინ, როცა ადამიანები ასეთ მდგომარეობაში არიან.

სოდომში მხიარულება, ზეიმი, წვეულება და ლოთობა გამეფებულიყო. ბილწი ვნებების შეკავებას არავინ ცდილობდა.

ადამიანები დაუფარავად უარყოფდნენ ღმერთს და მის რჯულს და ძალადობაში პოულობდნენ უდიდეს კმაყოფილებას. და თუმცა კარგად იცოდნენ, რომ პირველი წუთისოფელი ღვთის რისხვის გამო დაიღუპა, ბოროტების გზის მიტოვება მაინც არასოდეს უცდიათ.

სოდომში ლოტის დასახლების დროს ეს ქალაქი ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე გარყვნილი და უფალმა, თავისი უხვი მოწყალების გამო, მასში გამეფებულ სულიერ წყვდიადში სინათლის სხივის შეღწევას ხელი შეუწყო. როცა აბრაამმა ელამის ტყვეობიდან იხსნა ადამიანები, ხალხის ყურადღება ჭეშმარიტი რელიგიისაკენ წარიმართა. მას კარგად იცნობდნენ სოდომის მკვიდრნი და უხილავი ღმერთის მსახურებისათვის მუდმივად დასცინოდნენ. მაგრამ

[156]

[157]

ურიცხვ მტერზე აბრაამის გამარჯვებამ, მისმა დიდსულოვნებამ და სულგრძელობამ ტყვეებისა და ნადავლის მიმართ სოდომელების განცვიფრება და საყოველთაო აღტაცება

გამოიწვია. და თუმცა ყველგან ქება-დიდებასა და ხოტბას ასხამდნენ მის სიმამაცესა და სიბრძნეს, ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ამ ბრძოლაში მან მხოლოდ ღმერთის ძალით გაიმარჯვა. აბრაამის კეთილშობილება და უანგარობა, რაც ასე მიუღებელი და უცხო იყო სოდომის მკვიდრთათვის, კიდევ ერთი მტკიცება იყო იმ რელიგიის უპირატესობისა, რომელიც მან თავისი გამბედაობითა და ერთგულებით განადიდა.

მელქიცედეკმა აკურთხა აბრაამი, რითაც იეჰოვა ძალისა და ძლიერების წყაროდ აღიარა: "კურთხეულ იყოს აბრაამი უზენაესი ღმერთის წინაშე, ცისა და მიწის შემოქმედისა! კურთხეულ იყოს უზენაესი ღმერთი, რომელმაც ხელში ჩაგაგდებინა შენი მტერი" /დაბ. 14:18,20/. განგებამ აჩვენა ჭეშმარიტი გზა ამ ადამიანებს, მაგრამ მათ კვლავინდებურად უარყვას იგი.

და აი, სოდომისათვის უკანასკნელმა ღამემაც მოატანა. შურისგების შავი ღრუბელი ჩამოწვა დასაღუპავად განწირული ქალაქის თავზე. მაგრამ ადამიანები ვერაფერს ამჩნევდნენ. ანგელოზები უკვე მიუახლოვდნენ ადგილს, რომელიც სულ მალე უნდა აღგვილიყო პირისაგან მიწისა, მაგრამ ადამიანებს ამისთვის არ ეცალათ: კვლავ განაგრძობდნენ თავიანთი უზრუნველი ცხოვრებითა და ფუფუნებით ტკბობას. სოდომის უკანასკნელი დღე არაფრით გამოირჩეოდა სხვა დღეებისაგან. ღამის ბინდში გაეხვია ეს მშვიდი, დიდებული ქალაქი. უჩვეულოდ ლამაზი პეიზაჟი ჩამავალი მზის სხივებში უფრო

დიდებულ სანახაობად ქცეულიყო. საღამოს სიგრილემ ქუჩებში გამოფინა ქალაქის მცხოვრებნი, ისინი ჯგუფ-ჯგუფად სეირნობდნენ და სიამტკბილობასა და წუთიერ გართობას ეძებდნენ.

შებინდებისას ორი მგზავრი მიუახლოვდა ქალაქის კარიბჭეს. ისინი ძალიან ჰგავდნენ ღამის გასათევის მძებნელ მგზავრებს. ვერავინ ამოიცნო ამ მოკრძალებულ მგზავრებში ღვთიური სამსჯავროს უძლიერესი მაცნეები და მხიარული, უზრუნველი ადამიანების ჯგუფს სულ არ უფიქრია იმაზე, რომ იმ ღამეს მათ მიმართ შეურაცხმყოფელი მიმართვით ის აავსებდა საკუთარი ურჯულოების თასს და დაღუპავდა თავის ამაყ და დიდებულ ქალაქს. მაგრამ ადამიანებს შორის აღმოჩნდა კაცი, რომელმაც თავაზიანად მიიწვია მგზავრები სახლში სტუმრად. ლოტმა არ იცოდა მათი ნამდვილი ვინაობა, მაგრამ თავაზიანობა და სტუმართმოყვარეობა მისი ცხოვრების წესი იყო. მისი ეს თვისება იმ რელიგიური აღზრდის შედეგი იყო, რომელიც აბრაამმა საკუთარი ცხოვრების მაგალითებით ასწავლა. ეს თავაზიანობის სული რომ არა, ლოტიც სოდომის დანარჩენ მოსახლეობასთან ერთად დაიღუპებოდა. ბევრი ოჯახი, რომელიც მგზავრს კარს არ უხსნის, ხშირად თვით ღვთიურ მაცნეთ უხურავს კარს, რომლებიც კურთხევას, იმედსა და მშვიდობას მოუტანდნენ.

ადამიანის ყოველი საქციელი, რაგინდ უმნიშვნელოდაც არ უნდა გვეჩვენებოდეს იგი, მოიცავს სიკეთის ან ბოროტების მარცვალს. ერთი შეხედვით მცირე მოვალეობის ერთგულად შესრულებამ ან მისმა უარყოფამ, შესაძლოა, ადამიანს უდიდესი კურთხევა ან, პირიქით, უდიდესი უბედურება მოუტანოს. სწორედ რომ მცირედით ამოიცნობა ადამიანის ხასიათი. უფალი სიამოვნებით უცქერს თავისი შვილის ყოველდღიურ გულრწფელ თავდადებას. საკუთარი თავისთვის კი არა, სხვებისთვის უნდა ვიცხოვროთ. ჩვენი ცხოვრება მხოლოდ თვითგანწირვის, სიყვარულისა და თანაგრძნობის სულით შეგვიძლია, სხვებისთვის კურთხევად ვაქციოთ. მცირე ყურადღებამ და უბრალო თანაგრძნობამ, შესაძლოა, უდიდესი ბედნიერება მოჰგვაროს ადამიანს ცხოვრებაში, ხოლო მათმა უგულებელყოფამ კი - ხელი შეუწყოს მათ უბედურებას.

[158]

ლოტმა იცოდა, თუ რა შეურაცხყოფას აყენებდნენ მგზავრებს სოდომის მცხოვრებნი და საჭიროდ ჩათვალა, დახვედროდა მათ კარებთან და სახლში მიეწვია. მან მგზავრები მაშინ შეამჩნია, როცა ისინი ქალაქის კარიბჭეს მიუახლოვდნენ. მათ შესახვედრად გაემართა, თაყვანი სცა და სახლში მიიწვია: "აქეთ მობრძანდით, ჩემო ბატონებო, შემოუხვიეთ თქვენი მორჩილის

სახლში, ღამეს გაათევთ", მაგრამ უარი უთხრეს სტუმრობაზე: "არა, ქუჩაში გავათევთ ღამეს". მგზავრებს ლოტის სტუმართმოყვარეობაზე უარის თქმის ორი მიზანი ჰქონდათ. პირველი: გამოეცადათ ლოტის გულწრფელობა და მეორე - ქუჩაში ღამის გათევის სურვილით მათ სურდათ ეჩვენებინათ, რომ არაფერი იცოდნენ სოდომის მკვიდრთა ცხოვრების არსის შესახებ. მათმა პასუხმა უფრო განუმტკიცა სურვილი ლოტს, არ დაეტოვებინა ისინი ქუჩაში და ბრბოსთვის ხელთ არ ჩაეგდო. და მანამ არ მოეშვა მათ, სანამ ისინი არ დათანხმდნენ და ლოტის სახლისაკენ არ გაეშურნენ.

ლოტი შეეცადა, ქალაქის უსაქმურ მცხოვრებთაგან შეუმჩნევლად წაეყვანა სტუმრები თავის სახლში, ამიტომ მიხვეულ-მოხვეული გზებით ატარა ისინი. მაგრამ მგზავრთა ორჭოფობამ, მოწვევაზე უარის თქმამ და ლოტის დაჟინებულმა თხოვნამ მიიპყრო მათი ყურადღება და დასაძინებლად დაწოლაც კი ვერ მოასწრეს, რომ უწმიდურთა ბრბომ ლოტის სახლს ალყა შემოარტყა. ეს იყო სხვადასხვა ასაკის, უწმიდური ვნებით შეპყრობილ ადამიანთა დიდი ჯგუფი. მგზავრებმა გამოჰკითხეს ლოტს ქალაქის მცხოვრებთა შესახებ და მანაც გააფრთხილა, რომ სახლიდან არავითარ შემთხვევაში არ გასულიყვნენ. ამ დროს კი გარედან უწმიდური ბრბო სულ უფრო ხმამაღალი ყვირილით მოითხოვდა მგზავრების გარეთ გამოსვლას.

ლოტმა კარგად იცოდა, რომ გამხეცებულ ბრბოს შეეძლო, სახლში შევარდნოდა მას, ამიტომ გამოვიდა მათთან და მოლაპარაკება სცადა: "ნუ იზამთ ბოროტებას, ძმებო!" სიტყვაში "ძმებო!" იგი გულისხმობდა მეზობლებს და ასეთი მიმართვით შეეცადა, დაემშვიდებინა ისინი, რათა თავიანთი სამარცხვინო ჩანაფიქრის ასრულებაზე აეღოთ ხელი. მაგრამ მისი სიტყვები მათთვის ცეცხლზე ნავთის დასხმა იყო მხოლოდ. მათი ღელვა გამძვინვარებულ სტიქიას დაემსგავსა. ისინი დასცინოდნენ ლოტს, რომელმაც მათი მხილება გაბედა და ემუქრებოდნენ, რომ მას უფრო ცუდად მოექცეოდნენ, ვიდრე მის სტუმრებს. მათ რისხვით წაიწიეს ლოტზე და ნაკუწებად აქცევდნენ კიდეც, ღვთის ანგელოზები რომ არ ჩარეულიყვნენ. "გამოიწოდეს ხელი სტუმარმა კაცებმა, შინ შეიყვანეს ლოტი და ჩაკეტეს კარი". შემდეგმა მოვლენებმა ცხადყო ლოტის სტუმრების ჭეშმარიტი ვინაობა. "იმ კაცებს კი, სახლის შესასვლელთან რომ იდგნენ, ყველას, დიდსა თუ პატარას, სიბრმავე მოჰგვარეს და მათ ქანცი გაუწყდათ შესასვლელის ძებნაში". სულიერად ბრმანი იყვნენ ეს ბოროტი ადამიანები; ასე რომ არა, ღვთის სასჯელი შეაშინებდათ და თავიანთ ბილწ განზრახვაზე უარს ათქმევინებდათ. ამ ღამის დანაშაული სოდომელთათვის ჩვეულებრივი საქმე იყო, მაგრამ მადლი, რომელსაც ასე დიდხანს უარყოფდნენ ისინი, დამთავრდა. მათ გადააბიჯეს ღვთიური მოთმინების ზღვარს. შურისგების ღვთიური ცეცხლი მზად იყო, გაენადგურებინა ქალაქი.

ანგელოზებმა გაანდეს ლოტს თავისი მოსვლის მიზანი: "უნდა გავანადგუროთ ეს ადგილი, რაკი დიდია მათზე სამდურავი უფლის წინაშე, და მოგვავლინა უფალმა მის გასანადგურებლად". მგზავრებმა, რომელთა გადარჩენასაც ლოტი ცდილობდა, ახლა თავად აღუთქვეს ხსნა მას და მის ოჯახს და შესთავაზეს, გასულიყო ამ უწმიდური ქალაქიდან.

როცა დაბრმავებული ბრბო დაიშალა, ლოტი შვილების გასაფრთხილებლად გაემართა და ანგელოზის სიტყვები გაუმეორა: "ადექით და გადით ამ ადგილიდან,

[159]

[160]

რადგან ქალაქის განადგურებას აპირებს უფალი". მაგრამ მათ ეს ხუმრობად მიიჩნიეს და სიცილად არ ეყოთ მამის, მათი აზრით, უსაფუძვლო შიში. ლოტის ქალიშვილებიც თავიანთ ურწმუნო ქმრებს აჰყვნენ. ისინი მშვენივრად გრძნობდნენ თავს აქ და სულაც ვერ ხედავდნენ მოსალოდნელი საფრთხის რაიმე ნიშანს. გარშემო ყველაფერი ძველებურად იყო. ისინი მეტად მდიდრები

იყვნენ და ვერაფრით ვერ წარმოედგინათ ამ მშვენიერი ქალაქის დანგრევა.

დამწუხრებულმა ლოტმა სახლში დაბრუნებისას აუწყა სტუმრებს თავისი მარცხის ამბავი. მაშინ ანგელოზებმა უბრძანეს, მომზადებულიყო, წაეყვანა ცოლი, ორი ქალიშვილი, რომლებიც ჯერ კიდევ მის სახლში იმყოფებოდნენ და ქალაქი დაეტოვებინა. მაგრამ ლოტი ყოყმანობდა. თუმცა მისთვის მეტად მძიმე იყო ამ უწმიდურ საქმეთა ყოველდღიურად ცქერა, მაგრამ ამ ქალაქის სიბინძურეზე და საშინელ დანაშაულობაზე სრული წარმოდგენა არ ჰქონდა. მას ბოლომდე ვერ შეეცნო ღვთიური სასჯელის ქალაქზე გადმოღვრის აუცილებლობა, რითაც გამეფებულ უწმიდურებას ბოლო უნდა მოღებოდა. ლოტის ზოგ შვილს ძალიან უყვარდა სოდომი, მისი დატოვება არ სურდა და დედამაც უარი თქვა მათ გარეშე ქალაქიდან გასვლაზე. მეტად მძიმე და აუტანელი იყო ლოტისათვის მისთვის ყველაზე ძვირფას ადამიანებთან განშორებაზე ფიქრიც კი. დიახ, ძნელი იყო მშვენიერი სახლისა და მთელი სიცოცხლის მანძილზე საკუთარი შრომით მოპოვებული ქონების დატოვება და გაჭირვებული, მოხეტიალე ცხოვრების დაწყება. მწუხარებისაგან გონებამიხდილი, მძიმე ფიქრებით დამძიმებული, აყოვნებდა წასვლას და ღვთის ანგელოზები რომ არა, ლოტი და მისი ოჯახი სოდომის ნანგრევებქვეშ დაიღუპებოდა. ზეციურმა მაცნეებმა ხელი მოჰკიდეს ლოტს, მის ცოლ-შვილს და ასე გაიყვანეს ქალაქიდან.

აქ ანგელოზებმა დატოვეს ისინი და სოდომში დაბრუნდნენ ქალაქის საბოლოოდ გასანადგურებლად. მესამე ანგელოზი, რომელსაც აბრაამი ესაუბრებოდა და მართალთათვის ევედრებოდა, ლოტს მიუახლოვდა. ამ ველზე განლაგებულ მთელ ქალაქებში ათი მართალიც კი არ აღმოჩნდა, მაგრამ პატრიარქის თხოვნის პასუხად, ეს ღვთისმოშიში ადამიანი უფალმა გადაარჩინა. საოცრად ძლიერი ხმით უბრძანა მან ლოტს: "თუ გინდა ცოცხალი გადარჩე, უკან არ მოიხედო, არც სადმე გაჩერდე ამ მხარეში, მთას შეეფარე, თორემ დაიღუპები". შეყოვნება დამღუპველი იქნებოდა. დასანგრევად განწირული ქალაქის ერთადერთხელ თვალის შევლება, მიტოვებულ სიმდიდრეზე წამიერი სინანული, შესაძლოა, სიცოცხლის ფასად დასჯდომოდათ. უდიდესი სამსჯავროს საშინელი ქარიშხალი კიდევ ცოტა ხნით მხოლოდ იმისათვის ყოვნდებოდა, რომ გაქცეულთ თავშესაფარში შესვლა მოესწროთ.

თავზარდაცემულ ლოტს შიშით აღმოხდა, რომ არ ძალუძს ამ ბრძანების ასრულება; შეშინდა, რომ გზაზე რაიმე უბედურება შეემთხვეოდა და დაიღუპებოდა. ამ ურწმუნო, უწმიდურ ქალაქში ცხოვრებისას ლოტს თანდათან ეკარგებოდა რწმენა. ზეციური მეფე მის გვერდით იდგა, ის კი გადარჩენას ისე ითხოვდა, თითქოს ღმერთი, რომელმაც ამდენი მზრუნველობა და სიყვარული გამოიჩინა მის მიმართ, დასაღუპავად გაიმეტებდა. იგი უსიტყვოდ, ყოველგვარი ეჭვის გარეშე უნდა მინდობოდა ღვთიურ მაცნეს, მაგრამ, მრავალი სხვა ადამიანის მსგავსად, იგი შეეცადა, საკუთარ თავზე თავად ეზრუნა: "აგერ,

ეს ქალაქი უფრო ახლოსაა გასაქცევად, პატარაც არის, იქ შევაფარებ თავს. პატარა ქალაქია, გადავრჩები".

აქ ნახსენებ ქალაქს უწოდებდნენ ბელაყს, შემდგომში კი ცოღარი დაარქვეს. იგი რამოდენიმე მილით იყო დაშორებული სოდომს, თავისი უწმიდურებით დიდად არ განსხვავდებოდა მისგან და ისიც დასაღუპავად იყო განწირული.

[161]

მაგრამ ლოტმა, მისი აზრით, უმნიშვნელო თხოვნის ასრულება სთხოვა უფალს, დაენდო და არ დაენგრია ეს ქალაქი და უფალმაც შეუსრულა თხოვნა შემდეგი პასუხით: "კეთილი, შეგისრულებ ამ სათხოვარსაც: არ დავამხობ ამ ქალაქს, შენ რომ ახსენე". ო, რა დიდია უფლის წყალობა თავისი ცოდვილი შვილების მიმართ!

კვლავ გაისმა ხმამაღალი ბრძანება, აჩქარებულიყვნენ, რადგან ცეცხლოვანი ქარიშხალი სადაცაა ამოქმედდებოდა. მაგრამ გაქცეულთაგან ერთ-ერთმა გაბედა უკან მოხედვა და ღვთის სამსჯავროს ძეგლად იქცა. ლოტი რომ უყოყმანოდ დამორჩილებოდა ანგელოზის გაფრთხილებას და ყოველგვარი პროტესტისა და თხოვნის გარეშე სასწრაფოდ გაქცეულიყო

მთებში, მისი ცოლიც გადარჩებოდა. ქმრის მაგალითი იხსნიდა მას ცოდვისაგან, რამაც განსაზღვრა კიდეც მისი ბედი. ქმრის ყოყმანმა და მისმა არამტკიცე მოქმედებამ განაპირობა ის, რომ ცოლი არასერიოზულად მოეკიდა ანგელოზის გაფრთხილებას და, თუმცა მან ქალაქი დატოვა, მაგრამ მთელი სული და გული იქ დარჩა და დაიღუპა კიდეც. იგი აუმბოხდა ღმერთს, ვინაიდან მისმა სამსჯავრომ გამოაცალა ხელიდან ქონება და შვილები. უფლის წყალობით და მადლით გადარჩენილი, ამ უწმიდური ქალაქიდან გამოსული ლოტის ცოლი უსამართლოდ თვლიდა უფალს იმის გამო, რომ დაატოვებინა მრავალი წლის ნაამაგარი. გადარჩენისათვის მადლიერების ნაცვლად მან თვითდაჯერებით, სინანულით გახედა ქალაქში დარჩენილ ღვთის გაფრთხილების უარმყოფელთ და ეს მისი ცოდვა იმაზე მეტყველებს, რომ იგი არ იყო სიცოცხლის ღირსი, რომელსაც სთავაზობდა უფალი და რაც ასეთი უმადურებით მიიღო.

ძალზე ფრთხილად უნდა ვიყოთ, რათა გულგრილნი არ დავრჩეთ უფლის მოწყალე გაფრთხილებისადმი, რომელსაც უფალი ჩვენი გადარჩენისათვის გვიგზავნის. მრავლად არსებობენ მორწმუნენი, რომლებიც აცხადებენ: "სულაც არ მჭირდება ასეთი გადარჩენა, თუკი ჩემი ცხოვრების თანამგზავრი ან ბავშვები ჩემთან ერთად არ გადარჩებიან". ასეთი ადამიანები თვლიან, რომ ისინი ზეცაში ვერ პოვებენ ბედნიერებას მათთვის ძვირფასი ადამიანების გარეშე. მაგრამ განა ასეთ ადამიანებს ძალუძთ, სწორად განსაზღვრონ ღვთისადმი თავისი პირადი დამოკიდებულება ან უზენაესის

მათზე მზრუნველობა და სიყვარული? ხომ არ დაავიწყდათ მათ შემოქმედისა და მხსნელისადმი ერთგულად და წმიდა სიყვარულით მსახურების უდიდესი მოვალეობა? მოწყალება მიმართულია ყოველი ადამიანისადმი; და თუკი ჩვენი ახლობლები უარყოფენ მაცხოვრის სიყვარულს, რომელიც თავისკენ უხმობს მათ, ნუთუ ჩვენც ზურგი უნდა ვაქციოთ მას? სულის გამოსყიდვის საფასური მეტად დიდია. ქრისტემ უდიდესი საზღაური გაიღო ჩვენი გადარჩენისათვის და ვინც ამ უზომოდ დიდ მსხვერპლს და ადამიანის სულიერ ღირსებას სათანადოდ შეაფასებს, არ იტყვის უარს უფლის მადლზე მხოლოდ იმიტომ, რომ დანარჩენები სხვაგვარად იქცევიან. პირიქით, იმ შემთხვევაში, როცა უფლის სამართლიან მოთხოვნებს უარყოფენ, ჩვენ უფრო მეტი გულმოდგინებით უნდა ვადიდოთ უფალი საკუთარი ცხოვრების ნირით და დავეხმაროთ სხვებს მისი სიყვარულის მიღებაში.

"მზე ამოვიდა ქვეყანაზე და ლოტიც მივიდა ცოღარს". ეს ნათელი გარიჟრაჟი თითქოსდა მხოლოდ სიკეთისა და კეთილდღეობის მომტანი უნდა ყოფილიყო ამ ველის ქალაქებისათვის. ქუჩები ჩვეულებრივი ხმაურით აივსო. ყველა თავისი საქმით იყო დაკავებული: ერთნი სამუშაოდ მიიჩქაროდნენ, მეორენი - დროს გასატარებლად. ლოტის სიძეები კვლავინდებურად მასხარად იგდებდნენ ამ ჭკუანაკლულ მოხუცს, მის შიშსა და გაფრთხილებას.

უცბად, სრულიად მოულოდნელად, მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნის მსგავსად, საშინელი ქარიშხალი დატრიალდა. გოგირდი და ცეცხლი აწვიმა

[162]

უფალმა ციდან ქალაქებსა და ნაყოფიერ ველებს: სასახლეები და ტაძრები, დიდებული სახლები, ბაღ-ვენახები, უზრუნველი ბრბო, რომელიც წინა ღამით ასე უდიერად მოექცა ზეციურ მაცნეთ - ყველაფერი ცეცხლით განადგურდა. ეს ადგილი დაემსგავსა უზარმაზარ ღუმელს, რომლის კვამლი ზეცას სწვდებოდა. ოდესღაც ასე ლამაზი სოდომის ველი, რომელსაც აღარასოდეს დაბრუნებია პირვანდელი სახე, უდაბნოდ იქცა, როგორც უზენაესის რჯულის დარღვევისათვის ღვთის გარდაუვალი სამსჯავროს მოწმობა მომავალი თაობებისათვის.

ცეცხლი, რომელმაც ეს ქალაქები გაანადგურა, ჩვენც გვაფრთხილებს. ეს მოვლენა მეტად მკაცრი და მნიშვნელოვანი გაკვეთილია ჩვენი თაობებისათვის. თუმცა უფალი უდიდესი მოთმინებით ეპყრობა ცოდვილთ, მაგრამ არსებობს ზღვარი, რომლის გადალახვაც ცოდვილ ადამიანებს არ ძალუძთ. და როცა ისინი ამ ზღვარს აღწევენ, მადლი ერთმევათ და ღვთის სამსჯავროს ჟამი დგება.

წუთისოფლის მხსნელის სიტყვების თანახმად, არსებობს უფრო მძიმე ცოდვები, ვიდრე ისინი, რისთვისაც სოდომი და გომორი განადგურდა. ადამიანებს, რომელთაც ესმით მონანიებისაკენ მოწოდების სახარებისეული ხმა, მაგრამ ყურად არ იღებენ მას, უფრო დიდი დანაშაული მიუძღვით ღვთის წინაშე, ვიდრე სოდომის ველზე მცხოვრებთ. და უფრო მეტ სასჯელს იმსახურებს ის, ვინც ამბობს, რომ იცნობს ღმერთს და ასრულებს მის მცნებებს, მაგრამ თავისი ხასიათით და ყოველდღიური ცხოვრებით უარყოფს ქრისტეს. მაცხოვრის გაფრთხილებისამებრ, სოდომის ხვედრი უდიდესი გაკვეთილია არა მხოლოდ მოურჯულებელ ცოდვილთათვის, არამედ მათთვისაც, ვინც არასერიოზულად, გულგრილად ეკიდება ზეციდან გამოგზავნილ ნათელს და უპირატესობებს.

"ერთგული მოწმე" ასე მიმართავს ეფესელთა ეკლესიას: "შენს საწინააღმდეგოდ ისა მაქვს, რომ მიატოვე შენი პირველი სიყვარული. ამიტომ გაიხსენე, საიდან დაეცი და მოინანიე, და აკეთე შენი პირვანდელი საქმეები; თუ არა და, მალე მოვალ შენთან და გადავწევ შენს სასანთლეს თავისი ადგილიდან, თუ არ მოინანიებ" /გამოცხ. 2:4,5/. ღრმა თანაგრძნობით, რომელიც დიდად აღემატება მშობლის გრძნობას, გზააბნეულ, გატანჯულ შვილს რომ უხმობს, ელის მაცხოვარი პასუხს თავისი სიყვარულისა და მიტევების მოწოდებაზე. იგი მიმართავს დაკარგულს: "მოიქეცით ჩემკენ და მეც მოვიქცევი თქვენკენ" /მალ. 3:7/. მაგრამ, თუკი ცოდვილს ჯიუტად არ სურს უფლის

თანაგრძნობისა და სიყვარულის მიღება, საბოლოოდ წყვდიადი შთანთქავს. უფლის მოწყალების მუდმივად უარმყოფელ გულს ცოდვა ასასტიკებს, რის გამოც იგი ვერ შეიგრძნობს ღვთის მადლის ზეგავლენას. საშინელი ხვედრი ელის მას, ვისზეც მაცხოვარი საბოლოოდ განაცხადებს: "შეეკრა კერპებს... დაეხსენი!" /ოს. 4:17/. სამსჯავროს დღის დადგომა უფრო ადვილი იქნება იორდანეს ველის ქალაქებისათვის, ვიდრე მათთვის, ვინც ქრისტეს სიყვარული შეიცნო, მაგრამ მას ამ ცოდვილი წუთისოფლის სიამტკბილობა არჩია.

ჰოი, ადამიანებო, ღვთიური მოწყალების გულგრილად უარმყოფელნო, იფიქრეთ ზეციურ წიგნებში შეტანილ იმ საქმეთა გრძელ სიაზე, რომელიც თქვენს წინააღმდეგ მოწმობს; ვინაიდან მათში იწერება ერების, ოჯახების და ცალკეული ადამიანების ურჯულოებანი. უფალს ძალუძს, დიდხანს ითმინოს ჩვენი ურჯულოებანი იმ დროს, როცა ზეციური წიგნი ჩანაწერებით ივსება. იგი მონანიებისაკენ მოუწოდებს ადამიანებს და მიტევებას სთავაზობს. მაგრამ დადგება დღე, როცა ჩვენი საქმეების სია განიხილება და მაშინ ადამიანი ველარ შეძლებს, შეცვალოს რაიმე. საკუთარი არჩევანის წყალობით თითოეული მათგანის ბედი გადაწყდება. და მაშინ დადგება ჟამი უფლის სამსჯავროს აღსრულებისა.

[165]

თანამედროვე სამყაროს სულიერი სახე შეშფოთებას იწვევს. ღვთიურ მოწყალებას არასერიოზულად აღიქვამენ. ბევრმა უარყო იეჰოვას რჯული და "ადამიანთა განკარგულებებს მოძღვრების მსგავსად ასწავლიან" /მათ. 15:9/. ურწმუნოება სუფევს მრავალ ეკლესიაში - ურწმუნოება არა ამ სიტყვის ფართო გაგებით, არა ბიბლიის საჯარო უარყოფა, არამედ ქრისტიანულ სამოსელში გახვეული ურწმუნოება, რომელიც რწმენას ბიბლიისადმი, როგორც უფლის გამოცხადებისადმი, უთხრის ძირს. გულწრფელობა, ერთგულება, წმიდა ღვთისმოსაობა ფორმალიზმმა შეცვალა. და სწორედ ამის შედეგია ის, რომ დღეს განდგომილება და ამქვეყნიურ სიამოვნებათა სიყვარული ჭარბობს. ქრისტემ თქვა: "ისევე, როგორც ლოტის დროს იყო... ასევე იქნება იმ დღესაც, როცა კაცის ძე გამოჩნდება" /ლუკ. 17:28-30/. წარსულ მოვლენათა ყოველდღიური განმეორება მაცხოვრის სიტყვის აღსრულებაზე მოწმობს. წუთისოფელი მალე მზად იქნება დაღუპვისათვის. მალე დადგება ღვთის სამსჯავროს ჟამი და მაშინ განადგურდება ცოდვა და ცოდვილნი.

ჩვენი მაცხოვარი ამბობს: "გაფრთხილდით, არ დამძიმდეს თქვენი გული ღრეობით, ლოთობით და სიცოცხლეზე ზრუნვით, და იმ დღემ არ გიწიოთ მოულოდნელად, ვინაიდან ის, როგორც მახე, დაეცემა ყველა მკვიდრს მთელი დედამიწის ზურგზე". ქრისტეს მიერ ჩამოთვლილ ამ ცოდვებზეა გამახვილებული მთელი წუთისოფლის ყურადღება. "მაშ,

ყოველჟამს იფხიზლეთ და ილოცეთ, რათა შეგეძლოთ ყოველგვარ ამ მოსახდენთაგან თავის დაღწევა და წარდგომა კაცის ძის წინაშე" /ლუკ. 21:34-36/.

სოდომის განადგურებამდე ღმერთმა მაცნე გაუგზავნა ლოტს: "თუ გინდა ცოცხალი დარჩე, უკან არ მოიხედო, არც სადმე გაჩერდე ამ მხარეში, მთას შეეფარე, თორემ დაიღუპები". იგივე გაფრთხილება მიეცა ქრისტეს მოწაფეებს იერუსალიმის დანგრევის წინ: "როცა იხილავთ იერუსალიმს ლაშქრით გარშემორტყმულს, მაშინ იცოდეთ, რომ მოახლოვდა მისი აოხრება. მაშინ იუდეაში მყოფნი მთებში გაიხიზნონ" /ლუკ. 21:20,21/. ისინი არ უნდა შეყოვნებულიყვნენ, დრო არ უნდა დაეკარგათ თავიანთი ქონების გადარჩენაზე, რადგან საკუთარი ხსნისათვის ყოველი წუთი ძვირფასი იყო.

ეს იყო გამოსვლა ურჯულოთაგან, მათგან გამოყოფის მტკიცე გადაწყვეტილება, სიცოცხლის შენარჩუნება. ასე იყო ნოესა და ლოტის დღეებში, ასე იყო ქრისტეს მოწაფეთათვის იერუსალიმის დანგრევის წინ, ასე იქნება უკანასკნელ დღეებში. დღეს კვლავ გვაფრთხილებს უფლის ხმა, რომელიც მოუწოდებს თავის ხალხს, დატოვონ წუთისოფელში გამეფებული ურჯულოება.

იოანე წინასწარმეტყველს მიეცა ხილვა ბაბილონის - ბოლო ჟამის მორწმუნეთა განდგომილებისა და ურჯულოების შესახებ:

"დიდი ქალაქია, რომელსაც აქვს მეფობა დედამიწის მეფეებზე" /გამოცხ. 17:18/. მისი საბოლოო განადგურების წინ უფალი ბრძანებს ზეციდან: "გამოერიდე მას, ჩემო ხალხო, რათა არ ეზიარო მის ცოდვებს და არ მიიღო მისი წყლულებისაგან" /გამოცხ. 18:4/. ისევე, როგორც ნოესა და ლოტის დღეებში, ბოლო ჟამსაც უნდა მოხდეს გამოყოფა ცოდვისა და ცოდვილებისაგან. არ შეიძლება იყოს რაიმე კომპრომისი ღმერთსა და წუთისოფელს შორის, არავითარი უკან მოხედვა და მიწიერი სიმდიდრის გადარჩენის მცდელობა. "ვერ შეძლებთ ღმერთსაც ემსახუროთ და მამონასაც" /მათ. 6:24/.

სოდომის ველის მცხოვრებთა მსგავსად, ადამიანები დღესაც მშვიდობაზე და კეთილდღეობაზე ზრუნავენ. "გადაირჩინე თავი," - გვაფრთხილებენ ღვთის ანგელოზები, მაგრამ ისმის სხვა ხმებიც: "ნუ ღელავთ, განგაშის არავითარი მიზეზი არ არსებობს". მრავალი ადამიანი აცხადებს "მშვიდობას და უშიშროებას" იმ დროს, როცა ზეცა გვაფრთხილებს და გვამცნობს სიმართლეს ურჯულოთა

[166]

[167]

გარდაუვალი დაღუპვის შესახებ. ველის ქალაქების დაღუპვის წინ მათი მკვიდრნი ღრეობას ეძლეოდნენ, ღვთის მაცნეთა გაფრთხილებებს აბუჩად იგდებდნენ, მაგრამ ცეცხლმა გაანადგურა ისინი; სწორედ იმ ღამეს მადლის კარი სამუდამოდ დაიხურა უზრუნველ, უწმიდურ სოდომელთათვის.

უფალი მუდამ ვერ იქნება შეურაცხყოფილი და უგულებელყოფილი. "აჰა, დადგა უფლის დღე - დღე სასტიკი, დღე რისხვისა და გაცეცხლებისა ქვეყნიერების იავარსაყოფად და ცოდვილთა წარსახოცად მისი პირისაგან" /ეს. 13:9/. დედამიწის მოსახლეობის უმრავლესობა უარს იტყვის ღვთის მოწყალებაზე; უეცარი დაღუპვა ელით მათ. მაგრამ ის, ვინც მიიღებს გაფრთხილებას, "უზენაესის საფარქვეშ" დამკვიდრდება და "ყოვლისშემძლის ჩრდილქვეშ" დაისვენებს. მისი ჭეშმარიტება იქნება მათი საფარველი და თავშესაფარი, ვინაიდან აღთქმა მიეცათ მათ: "დღეთა ხანგრძლივობით გავაძღებ და შემწეობას მოვუვლენ ჩემსას" /ფს. 90:1,16/.

დიდხანს არ უცხოვრია ლოტს ცოღარში. იქაც, ისევე, როგორც სოდომში, ურჯულოება სუფევდა. ლოტს არ სურდა ქალაქში დარჩენა, რადგან ეშინოდა, რომ იგი მალე დაინგრეოდა, რაც მოხდა კიდეც უფლის ნებით, რის შემდეგაც დატოვა უწმიდური ადგილი, რომელიც უდიდეს ცდუნებას წარმოადგენდა მისი ოჯახისათვის და მიაშურა მთებს, სადაც გამოქვაბულში დაიწყო ცხოვრება. მაგრამ სოდომის წყევლამ იქაც მოძებნა იგი. მისი

ქალიშვილების უღირსი საქციელი შედეგი იყო იმ უწმიდური ადგილების მკვიდრ მოსახლეობასთან მათი ურთიერთობისა. სოდომის ზნეობრივმა გარყვნილებამ ისეთი დიდი გავლენა იქონია მათზე, ისე მოუწამლა მათ გონება, რომ კეთილის ბოროტისგან გარჩევა აღარ შეეძლოთ. ლოტის ერთადერთ შთამომავლობას უმეცარი წარმართი ტომები - მოაბელები და ამონეველები - წარმოადგენდნენ, რომლებიც წინ აღუდგნენ უფალს და ღვთის ხალხის უბოროტეს მტრებად იქცნენ.

რა მკვეთრად განსხვავდებოდა აბრაამის ცხოვრება ლოტის ცხოვრებისაგან! ოდესღაც ისინი მეგობრობდნენ, ერთსა და იმავე სამსხვერპლოზე ასრულებდნენ უფლისადმი მსახურებას, გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ მომთაბარე კარვებში; ახლა კი რა შესამჩნევი იყო განსხვავება მათ შორის! ლოტმა სოდომის კეთილდღეობა და სიმდიდრე ირჩია, უგულებელყო აბრაამის სამსხვერპლო და ცოცხალი ღმერთისადმი ყოველდღიური მსახურება, რითაც ხელი შეუწყო თავისი შვილების უწმიდურ წარმართებთან დაახლოებას. მაგრამ გულის სიღრმეში მას მაინც ჰქონდა ღვთის შიში, რადგან წმიდა წერილში ნათქვამია, რომ იგი იყო "მართალი". და მისი მართალი სული იტანჯებოდა ყოველი უწმიდური სიტყვის მოსმენაზე, ყოველი ძალადობისა და დანაშაულის დანახვაზე, რადგან თავად უძლური იყო, შეეჩერებინა იგი. ბოლოს უფალმა ის მაინც გადაარჩინა, როგორც "ცეცხლიდან მოწყვეტილი მუგუზალი" /ზაქ. 3:2/, მაგრამ მან, ქონების, ცოლ-შვილის გარეშე დარჩენილმა, ველური ცხოველივით გამოქვაბულში რომ ცხოვრობდა,

ჭაღარაშერცხვენილმა, წუთისოფელს დაუტოვა არა მართალთა დინასტია, არამედ ორი წარმართული ტომი, რომელიც მტრობდა ღმერთს და ებრძოდა უზენაესის ხალხს მანამ, სანამ არ აივსო მათი "ურჯულოების თასი", რამაც განადგურებამდე მიიყვანა ისინი. რა საშინელი შედეგი შეიძლება მოჰყვეს ერთ არასწორად გადადგმულ ნაბიჯს!

სოლომონ ბრძენი გვირჩევს: "გამდიდრებაზე ნუ იზრუნებ, თავიდან მოიშორე ფიქრი"; "მომხვეჭელი თავის სახლს აჩანაგებს, ქრთამის მოძულე კი იცოცხლებს" /იგავ. 23:4; 15:27/. პავლე მოციქული ამბობს: "ხოლო გამდიდრების მსურველნი ცვივიან განსაცდელსა და მახეში, მრავალ ბრიყვულ და მავნე გულისთქმაში, რომელნიც გასანადგურებლად და დასაღუპად უბიძგებენ ადამიანს" /1 ტიმ. 6:9/.

[168]

როცა ლოტი სოდომში დამკვიდრდა, მტკიცედ გადაწყვიტა, სრულად განრიდებოდა ყოველგვარ უწმიდურებას და წმიდად დაეცვა თავისი ოჯახი. მაგრამ სასტიკად შეცდა. გარშემო გამეფებულმა გახრწნილებამ დამღუპველი ზეგავლენა მოახდინა მის რწმენაზე, ხოლო მისი შვილების სოდომელებთან

ურთიერთობამ კი საერთო ინტერესები გაუჩინა მათ. შედეგი - ჩვენთვის ცნობილია.

დღესაც ბევრი იმეორებს მსგავს შეცდომას. საცხოვრებელი ადგილის არჩევისას ისინი უფრო დროებით უპირატესობებს ითვალისწინებენ, ვიდრე იმ საზოგადოების ზნეობრივ ატმოსფეროს, რომელშიც უნდა იცხოვრონ. ირჩევენ ნაყოფიერ ადგილებს ან გამდიდრების იმედით სხვა, ეკონომიურად ძლიერ ქალაქში მიდიან საცხოვრებლად, მაგრამ ცდუნება არ თვლემს და, როგორც უმეტეს შემთხვევაში ხდება, მათი შვილები ისეთ საზოგადოებას უკავშირდებიან, რომელიც უარყოფით ზეგავლენას ახდენს მათ რელიგიურ მრწამსზე და ხასიათის ჩამოყალიბებაზე. უზნეობა, ურწმუნოება, გულგრილობა რელიგიური საკითხებისადმი სრულიად აბათილებს მათზე მშობლების ზეგავლენას. ახალგაზრდობას მუდამ თვალწინ უდგას მშობლებისა და ღვთიური ავტორიტეტის წინააღმდეგ ამბოხების მაგალითი. ბევრი ინტიმურ დამოკიდებულებას ამყარებს უწმიდურ ადამიანებთან და, აქედან გამომდინარე, თავის ბედს უფლის მტრებს უკავშირებს.

უფალს სურს, რომ საცხოვრებელი ადგილის არჩევისას, უპირველეს ყოვლისა, გავითვალისწინოთ, თუ რა რელიგიური ზეგავლენის ობიექტი გახდება ჩვენი ოჯახი. შესაძლოა, კრიტიკულ მდგომარეობაშიც აღმოვჩნდეთ, ვინაიდან ბევრი ვერ მოხვდება სასურველ გარემოში, მაგრამ, თუკი უფალი გვავალებს, დაგვეხმარება და დაგვიცავს კიდეც უწმიდურთა

ზეგავლენისაგან, თუ ვიფხიზლებთ და ვილოცებთ ქრისტეს მადლზე დაყრდნობით. მაგრამ საჭიროების გარეშე არ უნდა მოვხვდეთ ისეთ გარემოში, რომლის არასასურველი ზეგავლენა უარყოფითად იმოქმედებს ჩვენი ხასიათის თვისებების განვითარებაზე. თუკი ჩვენი სურვილით ვიმყოფებით ურწმუნოთა საზოგადოებაში, ამით ვანაწყენებთ ღმერთს და ვაძევებთ ჩვენი სახლებიდან წმიდა ანგელოზებს.

მშობლები, რომლებიც მარადიულ ინტერესთა ხარჯზე თავიანთი შვილებისათვის სიმდიდრისა და ამქვეყნიური პატივის მოსახვეჭად იღწვიან, შემდგომში შეიგნებენ, რომ ეს შენაძენი საშინელი დანაკარგია მხოლოდ. ლოტის მსგავსად, მრავალი მშობელი იხილავს საკუთარი შვილების დაღუპვას და საკუთარი თავის ძლივს გადარჩენას. მთელი მათი შრომა ამაოა, მათი ცხოვრება კი - სამწუხარო მარცხი. ჭეშმარიტი სიბრძნით ხელმძღვანელობის შემთხვევაში, თუმცა მათი შვილები ფუფუნებით ნაკლებად იქნებოდნენ უზრუნველყოფილნი, სანაცვლოდ მარადიულ მემკვიდრეობას მიიღებდნენ.

უფლის მიერ თავისი ხალხისადმი აღთქმული მემკვიდრეობა ამ წუთისოფელში არ არსებობს. აბრაამსაც არ ჰქონია სიმდიდრე ამქვეყნად: "მასში ფეხის დასადგმელი ადგილიც კი არ მისცა სამკვიდროდ" /საქ. 7:5/. იგი დიდძალი ქონების პატრონი იყო, მაგრამ ყველაფერი ღვთის სადიდებლად და მოყვასთა კეთილდღეობისათვის გამოიყენა. იგი ამ მიწას თავის

სამშობლოდ არ თვლიდა. უფალმა მოუწოდა მას, დაეტოვებინა თავისი წარმართი ნათესავები და მარადიულ სამფლობელოდ ქანაანის მიწა აღუთქვა. თუმცა არც მას, არც მის შვილსა და შვილიშვილს არ მიუღია იგი. და როდესაც აბრაამს თავისი ცოლის, სარას დასამარხად მიწა დასჭირდა, ქანაანელთაგან იყიდა იგი. მისი ერთადერთი საკუთრება აღთქმულ ქვეყანაში იყო მახფელას მღვიმეში გამოკვეთილი სამარხი.

მაგრამ ღვთის სიტყვა მარადიულ ჭეშმარიტებად დარჩა. იუდეველთა

[169]

ქანაანში შესვლაც კი არ ნიშნავდა აღთქმულის საბოლოო აღსრულებას. "ხოლო აბრაამს მიეცა ეს აღთქმანი და მის თესლს" /გალ. 3:16/. აბრაამს თავად უნდა გაენაწილებინა მემკვიდრეობა. შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ უფლის აღთქმა დიდი ხნით ყოვნდება, ვინაიდან "უფლისათვის ერთი დღე არის, როგორც ათასი წელი, ხოლო ათასი წელი, როგორც ერთი დღე" /2 პეტრ. 3:8/, მაგრამ განსაზღვრულ დროს "უსათუოდ მოვა, არ დაბრკოლდება" /აბაკ. 2:3/. აბრაამს და მის თესლს მემკვიდრეობად მიეცა არა მხოლოდ ქანაანი, არამედ მთელი

დედამიწა. ასე ამბობს მოციქული: "ვინაიდან აბრაამს და მის თესლს არა რჯულით, არამედ რწმენის სიმართლით მიეცა აღთქმა - ყოფილიყო წუთისოფლის მემკვიდრე" /რომ 4:13/. ბიბლია გასაგებად გვამცნობს, რომ აბრაამისათვის მიცემული აღთქმა ქრისტეს მეშვეობით აღსრულდება. ქრისტეს ყოველი მიმდევარი არის "აბრაამის თესლი" და აღთქმით მემკვიდრე /გალ. 3:29/, "უხრწნელი, შეუბილწავი და უჭკნობი მემკვიდრეობისათვის, რომელიც ცაშია შენახული თქვენთვის" /1 პეტრ. 1:4/. რადგან "მეფობა, ხელმწიფება და ცისქვეშეთის ყველა სამეფოს დიდება უზენაესის ერს მიეცემა" და "თავმდაბალნი დაიმკვიდრებენ ქვეყნიერებას და დაამდებიან დიდი მშვიდობით" /დან. 7:27; ფს. 36:11/.

უფალმა ღმერთმა დაანახა აბრაამს მისი მარადიული სამფლობელო და ისიც ამ იმედით ცოცხლობდა. "რწმენით იყო, რომ შეეხიზნა აღთქმულ ქვეყანას, როგორც უცხოს და კარვებში მკვიდრობდა ისააკთან და იაკობთან - იმავე აღთქმის თანამემკვიდრეებთან ერთად; ვინაიდან ელოდა ქალაქს საძირკვლიანს, რომლის მშენებელი და შემოქმედი ღმერთია" /ებრ. 11:9,10/.

აბრაამის შთამომავლობაზე დაწერილია: "რწმენაში დაიხოცნენ ესენი ყველანი და ვერ მიიღეს აღთქმული, მხოლოდ შორიდან უყურებდნენ მას და აღიარებდნენ, რომ უცხონი და ხიზნები არიან ამ ქვეყანაზე" /ებრ. 11:13/. ჩვენ უცხონი და ხიზნები უნდა ვიყოთ აქ, დედამიწაზე, რათა შემდგომში მივიღოთ უკეთესი -

ზეციური /იხ. ებრ. 11:16/. აბრაამის შვილები, თავიანთი მამის მსგავსად, უნდა ისწრაფოდნენ ქალაქისაკენ, "რომლის მშენებელი და შემოქმედი თავად ღმერთია".

[170]

თავი 15 - ისააკის ქორწინება

დაბადება 24

აბრაამი მოხუცდა და სიკვდილის ჟამიც მოუახლოვდა, მაგრამ იყო ერთი საქმე, რომელიც უნდა გაეკეთებინა, რათა მის შთამომავლობასთან დაკავშირებით მიცემული აღთქმა აღსრულებულიყო. უფლის განჩინებით ისააკი აბრაამის ნაცვლად უნდა გამხდარიყო უფლის რჯულის დამცველ-შემნახავი და რჩეული ხალხის მამა, მაგრამ იგი ჯერ კიდევ უცოლო იყო. ქანაანის მკვიდრნი კერპთაყვანისმცემლები იყვნენ და უფალმა ღმერთმა აუკრძალა თავის ხალხს მათთან ქორწინება, რადგან კარგად იცოდა, რომ ასეთი კავშირები განდგომილებამდე მიიყვანდა მას. პატრიარქი შიშობდა თავისი შვილის გამო, რომელსაც ასეთ დამღუპველ გარემოცვაში უნდა ეცხოვრა. უფლისადმი მამის ურყევმა რწმენამ და მორჩილებამ

დიდი ზეგავლენა მოახდინა ისააკის ხასიათზე, რომელსაც მოსიყვარულე და დამთმობი გული ჰქონდა. დაქორწინებით ურწმუნო ქალზე, რომელსაც ღვთის შიში არ ექნებოდა, ოჯახში სიმშვიდის შესანარჩუნებლად, შესაძლოა, ისააკს ეღალატა თავისი რწმენის პრინციპებისათვის. თავისი ძისათვის საცოლის მოძებნას აბრაამი მეტად მნიშვნელოვან საქმედ თვლიდა. იგი ძალზე წუხდა იმის გამო, რომ ქალს, რომელსაც მისი შვილი თავის ცხოვრებას დაუკავშირებდა, არ აეცდინა იგი ჭეშმარიტების გზიდან.

ძველად საქორწინო შეთანხმებებს მშობლები აწარმოებდნენ; იგივე ჰქონდათ წესად ისრაელიანებს - ღვთის რჩეულ ხალხს. არავის აძალებდნენ შეუღლებულიყო ადამიანთან, რომელიც არ უყვარდა, მაგრამ ცხოვრების მეგობრის არჩევისას ახალგაზრდები რჩევისათვის თავიანთ გამოცდილ, ღვთისმოსავ მშობლებს მიმართავდნენ. ხოლო, თუკი რომელიმე მათგანი თვითნებურად გადაწყვეტდა ამ საკითხს, ეს მშობლების უპატივცემულობას და დანაშაულსაც კი ნიშნავდა.

ისააკი დაეყრდნო მამის სიბრძნეს და სიყვარულს და სიხარულით მიანდო მას თავისი საქმის გადაწყვეტა, რადგან სჯეროდა, რომ თავად ღმერთი დაეხმარებოდა სწორი არჩევანის გაკეთებაში. პატრიარქმა გაიხსენა მესოპოტამიაში მცხოვრები ნათესავები. თუმცა ისინი არ იყვნენ კერპთაყვანისმცემლობისაგან სრულიად თავისუფალნი, მაგრამ იცნობდნენ და ემსახურებოდნენ ჭეშმარიტ ღმერთს. არ იყო

სასურველი, ისააკს ქანაანი დაეტოვებინა და მათთან წასულიყო. მაგრამ იქ, ალბათ, მოიძებნებოდა ქალი, რომელიც დატოვებდა თავის სახლეულს და გაჰყვებოდა ისააკს, რათა ერთად ემსახურათ უზენაესისათვის. აბრაამმა ეს მეტად მნიშვნელოვანი საქმე დაავალა თავის ღვთისმოსავ, გამოცდილ და ჯანსაღად მოაზროვნე მსახურს, რომელიც დიდხანს პატიოსნად და ერთგულად ემსახურებოდა. აბრაამმა მას დაადებინა ღვთის წინაშე ფიცი, რომ ისააკს არ შეართვევინებდა ქანაანელ ასულს, არამედ მისთვის საცოლეს მესოპოტამიაში, ნახორის ოჯახში შეარჩევდა. აბრაამმა ასევე პირობა ჩამოართვა თავის მსახურს, რომ ისააკს თან არ წაიყვანდა. და თუკი იგი ვერ იპოვიდა ქალწულს, რომელიც მამის სახლს დატოვებდა და ისააკთან წამოჰყვებოდა, მაშინ იგი ფიცისგან გათავისუფლდებოდა. პატრიარქმა გაამხნევა თავისი მსახური ამ მეტად მძიმე და დელიკატური საქმისათვის და დაარწმუნა, რომ ღმერთი წარმატებით დააგვირგვინებს მის მისიას. "უფალი, ცის ღმერთი, რომელმაც წამომიყვანა მამა-პაპის სახლიდან, ჩემი სამშობლო ქვეყნიდან... სწორედ ის წაგიმძღვარებს თავის ანგელოზს".

მსახური დაუყოვნებლივ გაუდგა გზას. თან წაიყვანა ათი აქლემი თავისი ხალხისათვის და მაყრებისათვისაც უკან დასაბრუნებლად. მოამზადა საჩუქრები

[171]

[172]

ისააკის მომავალი საცოლისა და მისი მეგობრებისათვის და დამასკოსკენ მიმავალ გრძელ გზას დაადგა, იქიდან კი გაემართა აღმოსავლეთის დიდი მდინარის მოსაზღვრე ნოყიერი ველებისაკენ. ჩავიდა ხარანში, "ნახორის ქალაქში", გაჩერდა ქალაქის კედლებს გარეთ მდებარე ჭასთან, სადაც დღის ბოლოს ქალები წყლის ამოსაღებად მოდიოდნენ. დადგა გადამწყვეტი მომენტი, რომელზედაც დამოკიდებული იყო არა მხოლოდ მისი ბატონის ოჯახის კეთილდღეობა, არამედ შემდგომი თაობების მომავალი. როგორ გააკეთოს ბრძნული არჩევანი ამ სრულიად უცხო ადამიანთა შორის? გაახსენდა აბრაამის სიტყვები: "ღმერთი წაგიმძღვარებს თავის ანგელოზს" და გულწრფელი ლოცვით სთხოვა უფალს დახმარება. თავისი ბატონის სახლში იგი მიჩვეული იყო თავაზიანობასა და სტუმართმოყვარეობას და ახლაც ლოცულობდა, რომ სწორედ თავაზიანობის ნიშნით გამოეცნო ისააკისთვის უფლის მიერ არჩეული ქალწული.

ლოცვის დამთავრებისთანავე მიიღო მან პასუხი. ჭასთან შეკრებილ ქალთა შორის მხოლოდ ერთმა მიიპყრო მისი ყურადღება თავისი ზრდილობიანი ქცევით. როგორც კი ჭას გაშორდა, უცნობი მიუახლოვდა და ცოტა წყალი სთხოვა კოკიდან, რომელიც მხარზე ედგა. ქალწულმა სიხარულით უპასუხა, რომ მზად არის მოუტანოს წყალი არა მხოლოდ მას,

არამედ მის აქლემებსაც. ჩვეულებისამებრ, მთავართა ქალიშვილები თავად ასმევდნენ წყალს მამის ნახირს. ამგვარად, მსახურს მიეცა ნიშანი, რომელსაც ასე ელოდა. "ყმაწვილი ქალი ძალზე კარგი იყო შესახედავად", ხოლო მისი თავაზიანობა და დახმარებისათვის მზადყოფნა მის კეთილ გულზე და ცოცხალ, ენერგიულ ბუნებაზე მეტყველებდა. ღვთიური ხელი ხელმძღვანელობდა მსახურს აქამდე. ძვირფასი საჩუქრები მიართვა მან ქალწულს მისი სიკეთისათვის მადლიერების ნიშნად, გამოჰკითხა ვინაობა და როდესაც გაიგო, რომ იგი ბეთუელის, აბრაამის ძმისშვილის შვილია, "მუხლი მოიყარა კაცმა და თაყვანი სცა უფალს".

აბრაამის მსახურმა გამოიკითხა, შესაძლებელი იყო თუ არა მისი მამის სახლში ღამის გათევა, მადლობა გადაუხადა და აუწყა, რომ იგი აბრაამის სახლიდან იყო მოსული. სახლში დაბრუნებისას ქალწულმა ყველაფერი უამბო მშობლებს და მისი ძმა ლაბანი დაუყოვნებლივ გაემართა იმ კაცისა და მის თანმხლებთა შესახვედრად, რათა სახლში მოეწვია.

ელეაზარმა ლუკმა არ ჩაიდო პირში მანამ, სანამ ყველაფერი არ უამბო მათ: თუ რა დავალებით იყო გამოგზავნილი, როგორ ილოცა ჭასთან და რა მოხდა შემდგომ. დაასრულა საუბარი და ჰკითხა მათ: "ახლა, მადლი და სიკეთე თუ გსურთ ჩემი პატრონისათვის, მითხარით; თუ არა და, ესეც მითხარით და წავალ, მარჯვნივ იქნება თუ მარცხნივ". პასუხი ასეთი იყო:

"უფლისგან არის ეს საქმე, ვერც ცუდს გეტყვით, ვერც კარგს. აჰა, აგერ არის რებეკა; წაიყვანე და წადი! გახდეს შენი პატრონის ძის ცოლი, როგორც უბრძანებია უფალს".

მას შემდეგ, რაც ოჯახმა თანხმობა განაცხადა, უხმეს რებეკას და ჰკითხეს, თანახმაა თუ არა, დატოვოს მამის სახლი და გაემგზავროს ასე შორს, რათა აბრაამის ძის ცოლი გახდეს. რებეკამ ყოველივე აწონ-დაწონა, დარწმუნდა, რომ ღმერთმა განაწესა ის ისააკის ცოლად და უპასუხა: "წავალ".

აბრაამის მსახურს ერთი სული ჰქონდა, სახლში დაბრუნებულიყო, რადგან იცოდა, თუ რა სიხარულს მოჰგვრიდა თავის პატრონს მისი მისიის ასე წარმატებით დაგვირგვინება. და განთიადზე ქარავანი შინისაკენ გზას გაუდგა. აბრაამი ბერშებაში ცხოვრობდა და ისააკი, რომელიც მამის ფარას მწყემსავდა მეზობელ საძოვრებზე, ხარანიდან თავისი მსახურის მოლოდინში, სახლში დაბრუნდა. "გავიდა ისააკი მინდორში სასეირნოდ საღამოხანს. გაიხედა და

[173]

ხედავს, აჰა, აქლემები მოდიან. გაიხედა რებეკამ, დაინახა ისააკი და ჩამოვიდა აქლემიდან. უთხრა მორჩილს: ვინ არის კაცი, მინდორში რომ მოდის ჩვენს შესახვედრად? თქვა მოჩილმა: ჩემი პატრონია. აიღო ქალმა რიდე და ჩამოიფარა. უამბო მორჩილმა ისააკს ყველაფერი, რაც გააკეთა. შეიყვანა ისააკმა ქალი თავისი დედის, სარას კარავში და შეირთო ცოლად. შეუყვარდა იგი ისააკს და დედის გამო მწუხარება გაუქარვდა".

აბრაამი ერთმანეთს ადარებდა ქორწინებების შედეგებს: ერთი მხრივ, ღვთისმოშიშ და, მეორე მხრივ, იმ ადამიანთა შორის, რომელთაც ღვთის შიში არ გააჩნდათ, დაწყებული კაენის დღეებიდან მათ დღეებამდე. აგართან მისი, აგრეთვე ისმაელისა და ლოტის ქორწინების შედეგები ნათელი იყო მისთვის. აბრაამისა და სარას ურწმუნოება ისმაელის დაბადებით - მართალი თესლის უწმიდურთან შერევით დამთავრდა. მამის ზეგავლენას შვილზე დიდად ეწინააღმდეგებოდნენ წარმართი ნათესავები დედისა და ისმაელის ურწმუნო ცოლების მხრიდან. აგარისა და მის მიერ ისმაელისათვის არჩეული ცოლების ეჭვიანობამ მისი ოჯახის გარშემო აღმართა ზღუდე, რომლის გადალახვასაც ამაოდ ცდილობდა აბრაამი.

მამის სახლში მიღებულ აღზრდას ყმაწვილი ისმაელისათვის უკვალოდ არ ჩაუვლია, მაგრამ შემდგომში ცოლების ზეგავლენის ქვეშ მოექცა და წინააღმდეგობა ვერ გაუწია თავის ოჯახში კერპთაყვანისმცემლობის დაფუძნებას. მამას განშორებული, საკუთარ სახლში, სადაც აღარ არსებობდა ღვთის

შიში და სიყვარული, მუდმივი კონფლიქტით და უთანხმოებით გულდამძიმებული ისმაელი უდაბნოში ყაჩაღთა ბანდის მეთაური გახდა და ველურ ცხოვრებას მიჰყო ხელი. "მისი ხელი ყველას წინააღმდეგ იყო და ყველას ხელი მის წინააღმდეგ" /დაბ. 16:12/. შემდგომში მან მოინანია თავისი ურჯულოება და დაუბრუნდა თავისი მამის ღმერთს, მაგრამ მისი ხასიათის თვისებები მის თაობებს გადაეცათ მემკვიდრეობად. მისგან წარმოიქმნა ძლიერი, შლეგი, თავზეხელაღებული ხალხი - წარმართები, ისააკის შთამომავლობისათვის მწუხარებისა და უბედურების მუდმივი წყარო.

ლოტის ცოლი ურწმუნო, პატივმოყვარე ქალი იყო. სწორედ მისი ზეგავლენით და სურვილით დაშორდა ლოტი აბრაამს. ის რომ არა, ლოტი არ დარჩებოდა სოდომში თავისი ღვთისმოშიში პატრიარქის ბრძნული რჩევების გარეშე. ცოლისა და უწმიდური ქალაქის ზეგავლენა უფლისაგან განდგომილებამდე მიიყვანდა მას, ის წმიდა მოძღვრებები რომ არა, რომელიც თავის დროზე აბრაამისგან მიიღო. ლოტის ქორწინება და მისი სოდომში დასახლება აღმოჩნდა პირველი რგოლი მოვლენათა იმ გრძელ ჯაჭვში, რომელმაც საუკუნეების მანძილზე მრავალი უბედურება მოუტანა წუთისოფელს.

არც ერთ ღვთისმოშიშს არ შეუძლია, დაუკავშიროს თავისი ცხოვრება სულისათვის მოსალოდნელი საშიშროების გარეშე მას, ვისაც უფლის შიში არ გააჩნია. "აბა, თუ ივლიან ორნი

ერთად, თუ ერთმანეთში არ შეთანხმდნენ?" /ამოს. 3:3/. ოჯახური კავშირის ბედნიერება და კეთიდღეობა ორივე მხარის თვალსაზრისის ერთიანობაზეა დამოკიდებული. მორწმუნესა და ურწმუნოს შორის ფრიად დიდი განსხვავებაა ხასიათში, გემოვნებაში, მისწრაფებასა და მიზნებში. ისინი ემსახურებიან ორ ბატონს, რომელთაც საერთო არაფერი აქვთ. რა წმიდა და სამართლიანიც არ უნდა იყოს ერთი მხარის პრინციპები, ცხოვრების თანამგზავრის ურწმუნოება და ზეგავლენა მუდამ დააშორებს მას ღმერთთან.

ის, ვინც რწმენის მიღებამდე დაქორწინდა, რწმენის მიღების შემდეგ ცოლ-ქმრული ერთგულების შენახვისადმი კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას იღებს საკუთარ თავზე, რა დიდი განსხვავებაც არ უნდა იყოს მათ რელიგიურ

[174]

[175]

მრწამსში. მაგრამ ღვთიური მოთხოვნები ყოველგვარ მიწიერ ურთიერთობებზე მაღლა დგას, თუნდაც დიდი განსაცდელი და დევნა მოჰყვეს ამას. ცოლის ან ქმრის სიყვარულს და სათუთ

დამოკიდებულებას მეორის მიმართ ძალუძს, ღვთისაკენ მოაქციოს ურწმუნო გული. მაგრამ ბიბლია მორწმუნის ურწმუნოსთან ქორწინებას კრძალავს. უფალი ბრძანებს: "ნუ შეებმებით უცხო უღელში ურწმუნოებთან" /2 კორ. 6:14/.

ისააკს განსაკუთრებული პატივი ხვდა წილად უფლისაგან, რადგან გახდა იმ აღთქმის მემკვიდრე, რომელსაც წუთისოფლისათვის კურთხევა უნდა მოეტანა. და თუმცა უკვე ორმოცი წლისა იყო, დაემორჩილა მამის ნებას, რომელმაც მისთვის საცოლის მოძებნა თავის გამოცდილ, ღვთისმოსავ მსახურს მიანდო. და ამ ქორწინების შედეგი, როგორც წმიდა წერილი მოწმობს, არის ნაზი და მშვენიერი სურათი ოჯახური ბედნიერებისა. "შეიყვანა ისააკმა ქალი თავისი დედის სარას კარავში და შეირთო ცოლად. შეუყვარდა იგი ისააკს და დედის გამო მწუხარება გაუქარვდა".

რა დიდი სხვაობაა ისააკის მოქმედებასა და თანამედროვე ყმაწვილთა ქცევას შორის! თუნდაც ეგრეთ წოდებულ ქრისტიანთა შორის! ახალგაზრდები ხშირად ფიქრობენ, რომ ცხოვრების თანამგზავრის არჩევა, მხოლოდ მათი გადასაწყვეტი საკითხია; რომელშიც არც ღმერთი და არც მშობელი არ უნდა ჩაერიოს. ძალზე ხშირად არასრულწლოვანი გოგონები და ვაჟები თავს კომპეტენტურად თვლიან არჩევანის დამოუკიდებლად გაკეთებაში, მშობლების ჩარევის გარეშე. და საკმარისია მხოლოდ რამდენიმე წელი ცოლქმრული ცხოვრებისა, რომ მიხვდნენ საკუთარ შეცდომას, ხშირად ძალზე

დაგვიანებითაც კი, როცა რაიმეს გამოსწორება შეუძლებელია. ვინაიდან სწორედ ის უაზრობა და მოუთმენლობა, რამაც აჩქარებული არჩევანი გააკეთებინა, აღრმავებს უკვე დაშვებულ შეცდომას, სანამ ოჯახური ცხოვრება მძიმე უღლად არ დააწვებათ. ბევრმა ამგვარად სრული დამარცხება იგემა ამ ცხოვრებაში და დაკარგა მარადიული ცხოვრების ყოველგვარი იმედი.

იმ საკითხებს შორის, რომელსაც დიდი დაფიქრება და უფროსების და უფრო გამოცდილი ადამიანების რჩევა სჭირდება, თითქმის ყველაზე მნიშვნელოვანი ქორწინების საკითხია. სწორედ ამ მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმისას, როდესაც ორი ადამიანი თავის სიცოცხლეს ერთმანეთს სამუდამოდ უკავშირებს, საჭიროა დახმარება ბიბლიაში ვეძებოთ და ლოცვით ვითხოვოთ ღვთიური ხელმძღვანელობა.

მშობლებმა ყოველთვის უნდა იცოდნენ, რომ პასუხისმგებელნი არიან შვილების მომავალ ბედნიერებაზე. ისააკი პატივს სცემდა მამის აზრს, რაც აღზრდის ნაყოფი იყო და რამაც შვილს მორჩილება ასწავლა. აბრაამი მოითხოვდა შვილებისაგან, ეღიარებინათ მშობლების ავტორიტეტი, მისი ყოველდღიური ცხოვრება კი მოწმობდა, რომ მამის ძალაუფლება ეგოიზმზე და სისასტიკეზე კი არ იყო დაფუძნებული, არამედ სიყვარულზე, რომელიც კურთხევას და ბედნიერებას მოუტანდა მათ.

დედებმა და მამებმა უნდა იგრძნონ მათზე დაკისრებული ვალდებულება, უხელმძღვანელონ შვილების გრძნობებს, რათა მათ ცხოვრების ღირსეული თანამგზავრი აირჩიონ. შეგონებებით, პირადი მაგალითით და ღვთის მადლის მეშვეობით მათ ისე უნდა შეძლონ შვილების ხასიათის ჩამოყალიბება ადრეულ წლებში, რომ მასში იყოს მხოლოდ სიწმიდე და კეთილშობილება, მხოლოდ სიკეთე და ჭეშმარიტებისადმი სწრაფვა. მსგავსი მსგავსს ეძებს და სწორი - სწორს. ბავშვობიდანვე შთაუნერგეთ თქვენს შვილებს ჭეშმარიტებისადმი სიყვარული, სიწმიდისა და სიკეთისაკენ სწრაფვა და როცა გაიზრდებიან, სამეგობროდ თავისივე მსგავს ადამიანებს მოძებნიან.

[176]

დაე, მშობლებმა თავისი ოჯახური ცხოვრებისა და ხასიათის მეშვეობით აჩვენონ ზეციერი მამის სიყვარული და სიკეთე. დაე, სახლი განათდეს მზის სხივებით. ეს უფრო ძვირფასი იქნება თქვენი შვილებისათვის, ვიდრე ფული და მამულები. დაე, საკუთარ ოჯახში ნანახი სიყვარული სამუდამოდ ცოცხლობდეს მათ გულში, რათა შემდგომში გაიხსენონ სახლი, სადაც ბავშვობა გაატარეს, როგორც ყველაზე ბედნიერი ადგილი, რომელიც ცოტათი თუ ჩამოუვარდება ჩვენს მარადიულ სამყოფელს.

ოჯახში ყველას განსხვავებული ხასიათი აქვს, ეს კი მოითხოვს ხასიათის იმ თვისებათა განვითარებას, რასაც მოთმინება და მიმტევებლობა ჰქვია. დაე, მოთმინება და სიყვარული იყოს სწორედ ის ჯაჭვი, რომელიც ოჯახის წევრებს შეაკავშირებს!

ჭეშმარიტი სიყვარული ამაღლებული და წმიდა გრძნობაა, მას არაფერი აქვს საერთო წუთიერ გულისთქმასთან, რომელიც მძიმე განსაცდელის ჟამს წამშივე ქრება. მშობლიურ სახლში მოვალეობის აღსრულებისადმი ერთგულება საკუთარი ოჯახისათვის ამზადებს ახალგაზრდებს. სწორედ აქ უნდა ისწავლონ მათ თავდადება, თავაზიანობა, მოთმინება და ქრისტიანული თანაგრძნობა. მაშინ სიყვარული არასოდეს ჩაქრება და ასეთი ოჯახიდან გამოსულმა ახალგაზრდამ უკვე იცის, თუ როგორ გააბედნიეროს ის, ვინც თავისი ცხოვრების მეგობრად აირჩია.

და მაშინ ქორწინება სიყვარულის დასასრული კი არა, დასაწყისი იქნება.

თავი 16 - იაკობი და ესავი

დაბადება 25:19-34:27

ისააკის ტყუპი შვილები, იაკობი და ესავი, ფრიად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან როგორც ხასიათით, ასევე ცხოვრების ნირით. ეს სხვაობა ჯერ კიდევ მათ დაბადებამდე იწინასწარმეტყველა ღვთის ანგელოზმა, როცა რებეკას მღელვარებით აღსავსე ლოცვის პასუხად გამოუცხადა, რომ ორი ვაჟი ეყოლება, იქვე აუწყა მათი მომავალი. თითოეული, - უთხრა მან რებეკას, — ორი უძლიერესი ხალხის მამა გახდება და უფროსი უმცროსს დაემონება.

სიჭაბუკეში შესული ესავი მიეჩვია საკუთარი სურვილების დაკმაყოფილებას და ყველა თავისი ინტერესი მხოლოდ აწმყოს დაუკავშირა. იგი ვერ იტანდა შეზღუდვებს, ძალიან უყვარდა ნადირობა და სიყმაწვილიდანვე მონადირის ცხოვრება არჩია. ესავი გამორჩეულად უყვარდა მამას. მშვიდობისმოყვარე, მშვიდი ხასიათის მწყემსს დიდად იტაცებდა უფროსი ვაჟის სიმამაცე და სიძლიერე, უშიშრად რომ დაეხეტებოდა მთებსა და უდაბურ ადგილებში, მოჰქონდა მამისთვის გარეული ფრინველი და თავისი ცხოვრების წარმტაც, ამაღელვებელ სათავგადასავლო ისტორიებს უამბობდა მას. შრომისმოყვარე, მშვიდ იაკობს აწმყოზე მეტად მომავალზე ფიქრი აღელვებდა, სახლში ცხოვრება, საქონლის მოვლა და მიწის დამუშავება ერჩივნა. დედა დიდად აფასებდა მის მოთმინებას, სიბეჯითეს, მომჭირნეობასა და წინდახედულებას. იაკობი ერთგული და ძლიერი იყო. მისი შეუნელებელი, ნაზი ყურადღება უფრო დიდ ბედნიერებას გვრიდა დედას, ვიდრე ესავის დროდადრო გამოვლენილი მგზნებარე სიყვარული. რებეკას უფრო მეტად იაკობი უყვარდა.

ისააკისა და რებეკას ყველა სურვილი და იმედი მიმართული იყო აღთქმისაკენ, რომელიც აბრაამს მიეცა და მის ძეში განმტკიცდა. ესავმა და იაკობმა იცოდნენ ამ აღთქმისა და პირმშოობის უდიდესი მნიშვნელობის შესახებ, რადგან მასში არა მხოლოდ მიწიერი სიმდიდრე, არამედ სულიერი უპირატესობაც იგულისხმებოდა. ამ უფლების მფლობელი თავის ოჯახში მღვდელმთავრად ითვლებოდა და მისი შთამომავლობიდან უნდა გამოსულიყო წუთისოფლის მხსნელი. მეორე მხრივ, პირმშოს უფლებების მფლობელს რიგი მოვალეობების აღსრულება ევალებოდა. ამ კურთხევათა მემკვიდრეს მთელი თავისი ცხოვრება უნდა მიეძღვნა უფლის მსახურებისათვის. აბრაამის მსგავსად, ისიც უნდა დამორჩილებოდა ღვთიურ მოთხოვნებს. ქორწინებაში, ოჯახში და საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც მას მხოლოდ უფლის ნება უნდა აღესრულებინა.

ისააკმა თავის ვაჟებს პირმშოობის პირობები გააცნო და გასაგებად განაცხადა, რომ იგი ეკუთვნის ესავს, როგორც უფროს შვილს. მაგრამ ესავს არ ჰქონდა სწრაფვა და სიყვარული რელიგიური ცხოვრებისადმი. პირმშოობის სულიერი მხარე და მისი პირობები ესავისთვის მეტად არასასურველი და არასასიამოვნო შეზღუდვები იყო. უფლის მოთხოვნებს, რომელიც აბრაამთან დადებული აღთქმის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა, ესავი მონურ უღლად თვლიდა. იგი მიჩვეული იყო ყველა თავისი სურვილის ასრულებას და არ სურდა

საკუთარი თავისუფლების შეზღუდვა. მისი ცხოვრება საკუთარი გულის წადილის ასრულება იყო. მისთვის ბედნიერება ნიშნავდა ძალაუფლებას და სიმდიდრეს, წვეულებებსა და დროსტარებას. იგი ამაყობდა თავისი შეუზღუდავი თავისუფლებით, ველური, მღელვარე, თავგადასავლებით აღსავსე მოხეტიალე ცხოვრებით. რებეკას კარგად ახსოვდა ანგელოზის წინასწარმეტყველება და ქმარზე უკეთესად ერკვეოდა შვილების ხასიათის თვისებებში. იგი დარწმუნებული

[177]

[178]

იყო, რომ ღვთიური აღთქმის მემკვიდრეობა მხოლოდ იაკობს ეკუთვნოდა. იგი ხშირად ახსენებდა ისააკს ანგელოზის სიტყვებს, მაგრამ მამის ფიქრები კვლავ უფროს ვაჟს დასტრიალებდა და ურყევი იყო თავის გადაწყვეტილებაში.

იაკობმა დედისაგან იცოდა, რომ ღვთიური გადაწყვეტილებით პირმშოობა მას ეკუთვნის და გულით სწყუროდა აღთქმული უპირატესობის მიღება. არა მამის ქონებისა და სიმდიდრისათვის იღვწოდა იაკობი; მას მხოლოდ სულიერი

პირმშოობა სურდა. ყოფილიყო უფლის გვერდით მართალი აბრაამის მსგავსად, შეეწირა გამომსყიდველი მსხვერპლი თავისი ოჯახისათვის, გამხდარიყო რჩეული ერისა და აღთქმული მესიის მამა, მიეღო აღთქმის კურთხევათა უკვდავი საგანძურის მემკვიდრეობა - აი, ეს უპირატესობა და პატივი, მისი ასეთი დაუოკებელი სურვილის მიზეზი. მისი ფიქრები მომავალს, ღვთის უხილავ კურთხევებს დასტრიალებდა.

უდიდესი გულისყურით უსმენდა იგი მამის ნაამბობს სულიერი პირმშოობის არსისა და მნიშვნელობის შესახებ. ფრთხილად, საიდუმლოდ ინახავდა გულში იმასაც, რაც დედისგან გაიგო. ამაზე ფიქრი არ ასვენებდა არც დღისით, არც ღამით, სანამ ეს ოცნება მისი ცხოვრების მუდმივ თანამგზავრად არ იქცა. მაგრამ, თუმცა მარადიულს დროებითზე მაღლა აყენებდა და უზენაესს უდიდეს პატივს სცემდა, იაკობს არ ჰქონდა უფლის შემეცნების საკუთარი გამოცდილება. მისი გული ჯერ კიდევ არ იყო განახლებული ღვთიური მადლით. იგი დარწმუნებული იყო, რომ აღთქმა იაკობთან დაკავშირებით არ აღსრულდებოდა, სანამ პირმშოობა ესავს ეკუთვნოდა და სულ იმის ფიქრში იყო, თუ როგორ მიეღო კურთხევა, რომელიც აგრერიგად აღელვებდა მას და არაფერს ნიშნავდა ძმისთვის.

და აი, ერთხელ, ნადირობიდან დაბრუნებულმა, დაღლილ-დაქანცულმა ესავმა შეჭამანდი სთხოვა იაკობს. თავისი მარადიული ოცნებით შეპყრობილმა იაკობმაც არ დააყოვნა და

ძმას შესთავაზა, რომ დააპურებდა იმ შემთხვევაში, თუკი იგი, თავის მხრივ, პირმშოობას დაუთმობდა. "სიკვდილის პირას ვარ, - დაუფიქრებლად წამოიძახა რაიმეზე უარს მიუჩვეველმა მონადირემ, - და რაღად მინდა პირმშოობა?" ერთ თეფშ ოსპის შეჭამანდზე გაცვალა მან თავისი პირმშოობის უფლება და ფიცით დაამოწმა იგი. ცოტაც რომ მოეთმინა, კარავში მამასთან ერთად შეჭამდა იგი ამ შეჭამანდს, მაგრამ წამიერი სურვილის დასაკმაყოფილებლად მან ხელიდან გაუშვა უდიდესი მემკვიდრეობა, რომელიც თავად უფალმა ღმერთმა აღუთქვა მის მამა-პაპას. იგი მხოლოდ აწმყოს ინტერესებით ცხოვრობდა და მზად იყო, მომავლის დიდება მიწიერზე, წუთიერი სურვილის დაკმაყოფილებაზე გაეცვალა.

"არად ჩააგდო ესავმა პირმშოობა". პირიქით, მისგან გათავისუფლებისას შვება იგრძნო. ახლა იგი ყველაფერს თავისი სურვილით გააკეთებს! ბევრი დღესაც ასე იქცევა, რადგან არ ძალუძს, დათრგუნოს თავისი სურვილი, სწყურია ეგრეთ წოდებული თავისუფლების მოპოვება და ზეცის საუკუნო მემკვიდრეობის წმიდა უფლებას მასზე ცვლის!

ამქვეყნიური გარეგნული ბრწყინვალებითა და კეთილდღეობით მოხიბლულმა ესავმა ცოლად მოიყვანა ხეთელთა ორი ასული, რომლებიც წარმართები იყვნენ და მათმა კერპთაყვანისმცემლობამ მრავალი ტანჯვა მიაყენა ისააკსა და რებეკას. ესავმა დაარღვია აღთქმის ერთ-ერთი პირობა,

რომელიც ღვთის რჩეულ ხალხს წარმართებთან ქორწინებას უკრძალავდა. მიუხედავად ამისა, ისააკს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, პირმშოობის კურთხევა მისთვის მიეცა. ვერც რებეკას მტკიცებებმა, ვერც იაკობის მხურვალე სურვილმა მიეღო ეს კურთხევა, ვერც ესავის ამ საკითხისადმი გულგრილობამ ვერ შეაცვლევინა მას თავისი განზრახვა.

[179]

დრო გადიოდა და ბოლოს მოხუცმა, თვალში სინათლედაკარგულმა ისააკმა, იგრძნო რა სიკვდილის მოახლოება, გადაწყვიტა, აღარ გადაედო უფროსი ძის კურთხევა. მან კარგად იცოდა იაკობისა და რებეკას უარყოფითი აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით, ამიტომ ამ საზეიმო ცერემონიალის მალულად აღსრულება გადაწყვიტა. ამგვარ შემთხვევებში არსებული წესის თანახმად, პატრიარქმა ესავს დაავალა: "გადი ველად და ნანადირევი მომიტანე. მომიმზადე შეჭამანდი, მე რომ მიყვარს... რომ გაკურთხოს ჩემმა სულმა, სანამ მოვკვდებოდე".

რებეკა მიუხვდა ისააკს განზრახვას. და დარწმუნებული იყო, რომ ეს მათთვის უფლის გამოცხადებული ნების საწინააღმდეგო საქმე იყო. შესაძლოა, ისააკს ამით ღვთის რისხვა გამოეწვია და

უმცროსი ვაჟისათვის უფლის სურვილის აღსრულებაში ხელი შეეშალა. ამაოდ ეცადა იგი ისააკის გადარწმუნებას და ბოლოს სხვა ხერხს მიმართა.

როგორც კი ესავი მამის დავალების შესასრულებლად გაემართა, რებეკა მაშინვე თავისი გეგმის განხორციელებას შეუდგა. მან საქმის ვითარება აუხსნა იაკობს და გააფრთხილა, რომ საჭირო იყო სწრაფი მოქმედება, რათა თავიდან აეცილებინათ საბედისწერო შეცდომა, რაც ისააკის მიერ ესავის კურთხევას მოჰყვებოდა. მან დაარწმუნა თავისი ვაჟი, რომ, თუკი მის რჩევას დაჰყვება, ღვთის კურთხევა მას დარჩება. იაკობს თავიდან არ სურდა დედის გეგმის მიღება. იმაზე ფიქრი, რომ მამის მოტყუება მოუხდებოდა, სასოწარკვეთი -ლებას გვრიდა, რადგან გრძნობდა, რომ ეს ცოდვა წყევლას უფრო მოუტანდა, ვიდრე კურთხევას. მაგრამ მოერია სინდისის ქენჯნას და დედის მითითების აღსრულებას შეუდგა. იგი არ აპირებდა ტყუილის პირდაპირ თქმას, ხოლო, როცა უკვე წარდგა მამის წინაშე, იფიქრა, რომ უკვე გვიანია და ასე, მოტყუებით მიითვისა სასურველი კურთხევა.

რებეკას და იაკობის ჩანაფიქრი წარმატებით განხორციელდა, მაგრამ ყოველივე ამან მხოლოდ ღელვა და მწუხარება მოუტანა მათ. უფლის აღთქმით იაკობს უნდა მიეღო პირმშოობის კურთხევა და მათ რომ მოთმინება გამოეჩინათ და რწმენით დალოდებოდნენ, უფალი თავის დროზე აღასრულებდა თავის

სიტყვას. მაგრამ დღევანდელ, ეგრეთ წოდებულ ღვთის შვილთა მსგავსად, ისინიც სრულად არ მიენდნენ ღმერთს. შემდგომში რებეკა მწარედ ნანობდა თავის მცდარ ნაბიჯს, რომელიც დედა-შვილის განშორების მიზეზი გახდა, ვეღარასოდეს ნახა მან თავისი შვილი. მას შემდეგ, რაც პირმშოობის უფლება დაისაკუთრა, იაკობს სინდისის ქენჯნა არ ასვენებდა. მან შესცოდა მამის, ძმის, საკუთარი სულისა და ღმერთის წინაშე. სულ ცოტა ხანი დასჭირდა ამ დანაშაულის ჩადენას, მონანიებას კი - მთელი მისი სიცოცხლე. თავისი საკუთარი ვაჟების ბოროტი საქმეები, რაც ასე ძლიერ ტანჯავდა მის სულს, მუდამ ახსენებდა თავის ამ შეცდომას.

გამოვიდა თუ არა იაკობი მამის კარვიდან, ესავიც გამოჩნდა. და, თუმცა თავისი პირმშოობა გაყიდა და ფიცითაც კი დაამტკიცა, მაგრამ ახლა, ძმის პროტესტის მიუხედავად, მაინც გადაწყვიტა, მიეღო კურთხევა. პირმშოს, სულიერის გარდა, მატერიალური უპირატესობაც გააჩნდა. მას უნდა დაეკავებინა ოჯახის უფროსის ადგილი და მამის ქონებიდან მიეღო ორმაგი წილი. და ესავმაც კარგად იცოდა ამ კურთხევის ფასი. "ადგეს მამაჩემი, - თქვა მან, - და ჭამოს თავისი შვილის ნანადირევი, რომ მაკურთხოს მისმა სულმა".

თავზარდაცემული და სასოწარკვეთილი, მოხუცი, ბრმა მამა მიხვდა, რომ მოატყუეს. ამდენი ხნის ნანატრი ოცნება და იმედები წამში დაემსხვრა და მძაფრად იგრძნო, უფროს ვაჟს

როგორი იმედგაცრუება ელოდა. მაგრამ სადღაც გულის სიღრმეში გაუკრთა რწმენა იმისა, რომ ამ საქმეში ღმერთის ხელი ერია, რომ სწორედ უფალმა შეუშალა ხელი მის განზრახვას და გააკეთა

[180]

[181]

ის, რისი გაკეთებაც მას არ სურდა. გაახსენდა ანგელოზის სიტყვები, თქმული რებეკას მიმართ, და, მიუხედავად იაკობის აწ უკვე დანაშაულებრივი საქციელისა, სწორედ მასში დაინახა უფლის ჩანაფიქრის ჭეშმარიტი აღმსრულებელი. კურთხევის წარმოთქმის დროს ისააკმა სულიწმიდის განსაკუთრებული ზემოქმედება იგრძნო და ახლა, როცა ყველაფერი ცნობილი გახდა მისთვის, დაამოწმა იაკობისთვის უნებლიეთ წარმოთქმული კურთხევა - "ის ვაკურთხე და კურთხეულიც ის იქნება".

ესავი არად აგდებდა პირმშოობის მადლს მანამ, სანამ იგი მას ეკუთვნოდა, მაგრამ ახლა ძლიერ სურდა წართმეულის უკან დაბრუნება. უმალ იჩინა თავი მისი ხასიათის სიფიცხემ. საშინელმა მწუხარებამ და რისხვამ მოიცვა იგი. მწარედ

ამოიგმინა, მივარდა და უთხრა მამას: "ნუთუ მხოლოდ ერთი კურთხევა გქონდა, მამაჩემო? მეც მაკურთხე, მამაჩემო!". მაგრამ უკვე წარმოთქმული კურთხევის უკან დაბრუნება შეუძლებელი იყო. შეუძლებელი იყო პირმშოობის დაბრუნება, რომელიც ასე ადვილად გაცვალა მან ერთ თეფშ შეჭამანდზე, წუთიერი სურვილის დაკმაყოფილებისათვის. ესავმა გაყიდა თავისი მემკვიდრეობა, ხოლო, როცა გონს მოვიდა, უკვე ძალზე გვიანი იყო. "ვეღარაფერი გააწყო სინანულით, თუმცა ცრემლით ითხოვდა მიტევებას" /ებრ. 12:16/. ესავს ჰქონდა შესაძლებლობა, მონანიებით მიეღო უფლის კეთილგანწყობა, მაგრამ პირმშოობის უფლების დაბრუნება უკვე შეუძლებელი იყო. ესავის მწუხარება საკუთარი ცოდვის შეცნობით როდი იყო გამოწვეული - მას სულაც არ სურდა ღმერთთან შერიგება. იგი წუხდა ცოდვის შედეგზე და არა თვით ცოდვაზე.

ღვთიურ კურთხევათა და მოთხოვნათა მიმართ გულგრილი დამოკიდებულების გამო ეწოდა "უწმიდური" ესავს წმიდა წერილში /ებრ. 12:16/. იგი განასახიერებს იმ ადამიანებს, რომლებიც არაფრად აგდებენ ქრისტეს მიერ შემოთავაზებულ გამოსყიდვას, ვინც ამქვეყნიურ, დროებით კეთილდღეობას ზეციურ საუნჯეს ამჯობინებს. ათასობით ადამიანი ცხოვრობს მხოლოდ დღევანდელი დღით და არ ზრუნავს მომავალზე. ისინი, ესავის მსგავსად, აცხადებენ: "ვჭამოთ და ვსვათ, რადგან ხვალ დავიხოცებით!" /1 კორ. 15:32/. მათი გონება სურვილებს ექვემდებარება; და თუკი ისინი საკუთარ თავში მოთმინების მარცვალს არ განავითარებენ, უდიდეს ფასეულობებს

დაკარგავენ. როდესაც აუცილებელია, გაკეთდეს არჩევანი: უარის თქმა არაჯანსაღი მადის დაკმაყოფილებაზე თუ ზეციურ კურთხევებზე, რომელიც მხოლოდ ღვთისმოშიშთ და თავდადებულთ მიეცემათ, იმარჯვებს მიწიერი სურვილები, ხოლო ზეცა და ღმერთი, ფაქტობრი -ვად, უარყოფილია. ე.წ. ქრისტიანთა შორის რამდენი ადამიანია მიჯაჭვული ჯანმრთელობისათვის მავნე ჩვევებს, რომლებიც სულის მგრძნობელობას ასუსტებს. მოვალეობის მოწოდებას, განწმიდონ საკუთარი სხეული და სული ყოველგვარი უკეთურებისგან ღვთისმოშიშობით და წმიდა ცხოვრებით, ისინი შეურაცხყოფად ღებულობენ. თუმცა კარგად ესმით, რომ მავნე ჩვევებით ვერ მოიპოვებენ საუკუნო სიცოცხლეს, მაგრამ აკეთებენ დასკვნას, რომ, თუკი მარადიული სასუფევლისაკენ მიმავალი გზა ასე ვიწროა, ჯობია, თავი დაანებო მას.

მრავალნი ყიდიან თავიანთ პირმშოობას საკუთარი სიამოვნებისათვის და თავიანთი არჩევანით ვნებას აყენებენ საკუთარ ჯანმრთელობას, ისუსტებენ გონებრივ ძალებს, კარგავენ ზეცას. და ყოველივე ამას აკეთებენ წუთიერი სიამტკბილობისათვის, რომელიც ანადგურებს სხეულს და აკნინებს სულს. ესავის მსგავსად, რომელიც შემდგომში გონს მოეგო და თავისი მოუფიქრებელი ნაბიჯის უაზრობა ცხადად მაშინ დაინახა, როცა უკვე გვიანი იყო, იმწუხრებენ უფლის მოსვლის დღეს ისინი, ვინც ზეციური მემკვიდრეობა საკუთარი ეგოისტური სურვილების დაკმაყოფილებაზე გაცვალა.

[182]

თავი 17 - იაკობის გაქცევა

დაბადება 28-31

ძმა ესავი იაკობს სიკვდილით ემუქრებოდა და დატოვა იაკობმა მშობლიური სახლი, მაგრამ თან წაიღო მამის კურთხევა. ისააკმა კვლავ გაუმეორა მას აღთქმა და, როგორც მის მემკვიდრეს, უბრძანა, საცოლე მისი დედის ოჯახში, მესოპოტამიაში, მოეძებნა. მტანჯველი ფიქრებით გულდამძიმებული გაუდგა იაკობი გზას. მისი ერთადერთი იარაღი უბრალო ჯოხი იყო, რომლითაც ძალიან გრძელი გზა უნდა გაევლო ყაჩაღთა ველური ტომებით დასახლებულ ტრამალებზე. სინდისის ქენჯნითა და შიშით გატანჯული იაკობი ერიდებოდა ადამიანებთან შეხვედრას, რათა ესავს მისი კვალისათვის არ მიეგნო. იაკობი შიშობდა, რომ სამუდამოდ დაკარგა უფლის დანაპირები, სატანამ კი არ დააყოვნა, რათა თავისი ცდუნებებით აეფორიაქებინა მისი სული.

მეორე დღეს, დაღამებისას, იგი უკვე საკმაოდ შორს იყო მამის სახლიდან. იაკობი თავს განდევნილად გრძნობდა, მაგრამ ისიც კარგად იცოდა, რომ ეს მწუხარება და შფოთვა თავად დაიტეხა

თავს. სასოწარკვეთილების წყვდიადმა ისე მოიცვა მისი სული, რომ ლოცვაც კი გაუძნელდა. იგი სრულიად მარტო დარჩა და ახლა ყველაზე მეტად გრძნობდა უფლის მფარველობის საჭიროებას. ღრმა მწუხარებით, მოთქმითა და ტირილით აღიარა მან თავისი ცოდვა და შეევედრა უფალს, რაიმე ნიშნით ეჩვენებინა მისთვის, რომ არ დავიწყებია იგი. მისმა დამძიმებულმა გულმა შვება ვერსად პოვა. მან დაკარგა საკუთარი თავის რწმენა და ეშინოდა, რომ მისი მამების ღმერთი სამუდამოდ მიატოვებდა.

მაგრამ უფალმა ღმერთმა არ მიატოვა იაკობი. იგი კვლავ უწვდიდა წყალობის ხელს თავის გზააბნეულ, ეჭვებში მყოფ მსახურს. მოწყალე უფალმა იაკობს აჩვენა სწორედ ის, ვინც ასე სჭირდებოდა - მხსნელი. იაკობმა, მართალია, შესცოდა, მაგრამ მისი სული მადლიერებით აღივსო, როდესაც იხილა გზა, რომლის მეშვეობითაც უფლის წყალობის დაბრუნებას შეძლებდა.

ხეტიალით დაღლილ-დაქანცული მიწაზე წამოწვა და სასთუმლად თავქვეშ ქვა დაიდო. ჩაეძინა და სიზმრად იხილა საოცრად განათებული კიბე, რომლის ძირიც მიწაზე იდგა, „თავით კი ცას სწვდებოდა". ანგელოზები ადიოდნენ და ჩამოდიოდნენ მასზე. ხოლო მაღლა, კიბის თავზე, იჯდა დიდების უფალი და იაკობს ზეციდან მოესმა მისი ხმა: „მე ვარ უფალი, ღმერთი აბრაამისა, მამაშენისა, და ღმერთი ისააკისა".

მიწა, რომელზედაც იგი იწვა, როგორც გარიყული და განდევნილი, აღთქმით მიეცა მას და მის შთამომავლობას: „შენი შთამომავლობით იკურთხება მიწიერთა მთელი მოდგმა". ეს აღთქმა ოდესღაც აბრაამსა და ისააკს მიეცა და ახლა უფალმა იაკობს გაუმეორა იგი. ეული, გულდამძიმებული იაკობი რომ უფრო მეტად გაემხნევებინა და ენუგეშებინა, უფალმა უთხრა: „აჰა, შენთანა ვარ და ყველგან დაგიფარავ, სადაც კი წახვალ; კვლავ დაგაბრუნებ ამ მიწაზე, არ მიგატოვებ, ვიდრე არ აგისრულებ ყველაფერს, რაც გითხარი".

უფალმა კარგად იცოდა, რომ იაკობი მალე მეტად ცუდ გარემოცვაში აღმოჩნდება და მრავალი საფრთხეც დაემუქრება. თანაგრძნობით განიმსჭვალა უფალი ამ მომნანიებელი ცოდვილის მიმართ და გადაახედა თავის მომავალში, რათა მასზე ღვთის ჩანაფიქრს ჩასწვდომოდა და მზად ყოფილიყო ცდუნებების გადასალახავად. ისინი კი უეჭველად ექნება ცხოვრების გზაზე, როცა წარმართთა და ბოროტეულთა გარემოცვაში მოექცევა. ცხოვრების მიზნად უდიდესი მაგალითი ექნება მარად, ხოლო იმის შეგნება, რომ უფალმა ღმერთმა თავისი

[183]

[184]

ჩანაფიქრის აღსასრულებლად გამოიყენა, მარადიულ ერთგულებას შესძენს.

ამ ხილვაში უფალმა იაკობს გაუხსნა გადარჩენის გეგმა იმდენად, რამდენადაც მისთვის იმ მომენტში იყო საჭირო. სიზმარში ნანახი იდუმალი კიბე სწორედ ის კიბე იყო, რომელიც ქრისტემ ნათანაელთან საუბარში ახსენა: „ამიერიდან იხილავთ გახსნილ ცას და ღვთის ანგელოზებს, კაცის ძეზე აღმავალთ და ჩამომავალთ". /იოან. 1:51/. უფლის მმართველობის წინააღმდეგ ადამიანის ამბოხებამდე მას თავისუფლად შეეძლო ღმერთთან ურთიერთობა. მაგრამ ცოდვამ, რომელიც ადამმა და ევამ ჩაიდინეს, დედამიწა ზეცას დააშორა და ადამიანიც დაშორდა შემოქმედს. მაგრამ წუთისოფელი უფალმა უიმედოდ როდი მიატოვა. კიბე ქრისტეს სიმბოლოა, წინასწარ განსაზღვრული გზა უფლისაკენ. მას რომ თავისი დამსახურებით არ გაედო ხიდი ცოდვის უფსკრულზე, ღვთის ანგელოზები ვერ შეძლებდნენ დაცემულ ადამიანებთან ურთიერთობას და ვერაფრით დაეხმარებოდნენ მათ. ქრისტე აკავშირებს უძლურ, იმედგაცრუებულ ადამიანს უსასრულო ძალის წყაროსთან.

ყოველივე ეს იხილა იაკობმა სიზმარში. და თუმცა ხსნის გეგმის მხოლოდ მცირე ნაწილი გაუხსნა უფალმა, მაგრამ ამ უდიდეს და

საიდუმლო ჭეშმარიტებებს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლობდა და უფრო და უფრო გასაგები ხდებოდა ისინი.

იაკობს გამოეღვიძა... ირგვლივ ღამის უჩვეულოდ ღრმა მყუდროება გამეფებულიყო. საოცარი ხილვა გაუჩინარდა. მხოლოდ ღამის ბინდ-ბუნდში ცად აზიდული მთების კონტურებს და ვარსკვლავებით მოჭედილ ცას ხედავდა იაკობი. მაგრამ საოცარ შეგრძნებას, რომ უფალი მასთან იყო, არ დაუტოვებია იგი. უხილავი ღმერთი კვლავ მასთან იყო ამ უდაბურ ადგილას. „ნამდვილად უფალი ყოფილა ამ ადგილას, მე კი არ ვიცოდი!.. სხვა რა უნდა იყოს, თუ არა უფლის სახლი; ეს ცათა კარიბჭეა!".

"ადგა დილაადრიან იაკობი, აიღო ლოდი, სასთუმლად რომ ედო, აღმართა სვეტად და ზედ ზეთი დაღვარა". წეს-ჩვეულების თანახმად, ამ შემთხვევის უკვდავსაყოფად, ღვთის წყალობის ნიშნად აღმართა სვეტი იმ მიზნით, რომ, თუკი ოდესმე კვლავ მოუხდებოდა აქეთ გამოვლა, შეჩერებულიყო ამ წმიდა ადგილთან ღვთის თაყვანსაცემად. ამ ადგილს იაკობმა „ბეთელი" /სახლი ღვთისა/ უწოდა. უდიდესი მადლიერებით განაახლა თავის მეხსიერებაში მან უფლის აღთქმა, რომ ღმერთი ყოველთვის მასთან იქნება და თავადაც საზეიმოდ დადო აღთქმა: „უკეთუ ღმერთი ჩემთან იქნება და დამიფარავს ამ გზაზე, რომელსაც ვადგივარ, მომცემს პურს საჭმელად და სამოსელს შესამოსად; მშვიდობით დავბრუნდები მამისეულ

სახლში და უფალი იქნება ჩემი ღმერთი; მაშინ ეს ლოდი, სვეტად რომ დავდგი, ღვთის სახლი იყოს და ყველაფრისგან, რასაც მომცემ, მეათედს შენ მოგიძღვნი".

იაკობს აქ არავითარი პირობა არ წამოუყენებია უფლისათვის. ღმერთმა აქამდე აღუთქვა მას მფარველობა, იაკობის აღთქმა კი მხოლოდ მისი გულიდან ამოსული მადლიერების გამომჟღავნება იყო უფლის სიყვარულისა და წყალობის საპასუხოდ. იაკობი გრძნობდა, რომ უფალი მისგან განსაკუთრებულ საქმეს ითხოვს, რომელიც მან უნდა მიიღოს და ამ ღვთიური ნების გამოვლინებას რაღაცით უნდა უპასუხოს. ასევე მადლიერების გრძნობას გვიღვიძებს სიკეთის წყაროს მიმართ მისი ყოველი კურთხევის გამოვლენა. ქრისტიანმა ხშირად უნდა გადახედოს თავის ცხოვრებას, მადლიერებით გაიხსენოს ხსნის ძვირფასი მომენტები, უფლის დახმარება განსაცდელისა და გამოცდის ჟამს, სიბნელისა და წყვდიადის ტყვეობიდან თავის დასაღწევი გზის გახსნა და ნუგეშისცემა, როცა იმედი, თითქოს, საბოლოოდ იყო ჩამქრალი. ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ ეს ყოველივე უფლის ანგელოზთა მფარველობისა და მზრუნველობის

[187]

გამოვლენაა. უფლის ამ უამრავი კურთხევის ფონზე იგი მადლიერებითა და მორჩილებით უნდა ჩაეკითხოს საკუთარ თავს: „რითი გადავუხადო უფალს ყოველივე, რაც მე მომიზღო?" /ფს. 115:3/.

ყოველივე, რაც გაგვაჩნია: დრო, ნიჭი, ქონება, სრულად უნდა მიგვეძღვნა იმისათვის, ვინც ეს კურთხევა და მადლი მოგვიზღო. ყოველ ჟამს, როცა უფალი საოცარი სიყვარულით გვეხმარება თავისი განსაკუთრებული ჩარევით ან, როცა მისი ღვთიური ნების სულ ახალ-ახალ, მოულოდნელ მტკიცებებს ვღებულობთ, უნდა ვაღიაროთ ღმერთის სიკეთე არა მხოლოდ მადლიერების სიტყვებით, არამედ, იაკობის მსგავსად, შესაწირავებით. უფალი განუწყვეტლივ გვაძლევს თავის მადლს და, ამიტომ ჩვენც მუდამ უნდა შევწიროთ ძღვენი მას.

„ყველაფრისგან, რასაც მომცემ, მეათედს შენ მოგიძღვნი", - თქვა იაკობმა, განა ჩვენ, რომლებსაც სახარების სრულყოფილმა ნათელმა და უპირატესობამ ასეთი დიდი ბედნიერება და სიხარული გვარგუნა, კმაყოფილნი ვიქნებით, თუკი უფალს უფრო მცირედს მივუძღვნით, ვიდრე ისინი, ვინც ძველ დროში უარეს პირობებში ცხოვრობდა? არა, განა ჩვენთვის მოცემული უდიდესი მადლის საპასუხოდ ჩვენი მოვალეობანიც შესაბამისად არ უნდა იზრდებოდეს? მაგრამ რა საოცრად მცირეა ფასი, რა ამაოა უფლის უსასრულო სიყვარულისა და მისი შეუფასებელი ძღვენის დროის, ფულისა და ჩვენი სიყვარულის

მათემატიკური ერთეულებით გაზომვის მცდელობა. მეათედი ქრისტესათვის! ო, ეს საცოდავი გროშები; რა მცირე საფასურია იმისათვის, რაც შეუფასებლად დიდია! გოლგოთის ჯვარი მოგვიწოდებს, სრულად მივუძღვნათ თავი ქრისტეს. ყოველივე, რაც გაგვაჩნია, მთელი ჩვენი არსება ღმერთს ეკუთვნის.

ღვთიური აღთქმისადმი განახლებული, მტკიცე რწმენით განაგრძო იაკობმა გზა „კედემის ძეთა ქვეყნისაკენ" /დაბ. 29:1/. იგი დარწმუნდა, რომ ღვთის ანგელოზები მასთან არიან. მაგრამ რა დიდი სხვაობა იყო მის აქ მოსვლასა და ამ ადგილებში თითქმის ასი წლის წინათ აბრაამის მსახურის გამოჩენას შორის! აბრაამის ერთგულ მსახურს თან ახლდა ოქროსა და ვერცხლის მდიდრული საჩუქრებით დატვირთული აქლემების ქარავანი და უამრავი ხალხი. ისააკის ძე კი, მარტოხელა მგზავრი, გადაყვლეფილი ფეხებით, არაფერი რომ არ გააჩნდა თავისი ჯოხის გარდა, ჩამოჯდა ჭასთან, როგორც ოდესღაც აბრაამის მსახური და აქ პირველად დაინახა ლაბანის უმცროსი ასული რახელი. ახლა იაკობმა პირველმა შესთავაზა მას თავისი სამსახური: გადააგორა ჭის ქვა და საქონელი დაარწყულა. როდესაც გამოეცნაურა, ლაბანის სახლში მიიწვიეს. და, თუმცა იგი ღარიბი და ეული იყო, რამდენიმე კვირაში ყველა დარწმუნდა მის სიბეჯითესა და ოსტატობაში და დაჟინებით სთხოვეს, დარჩენილიყო მათთან. შეთანხმდნენ, რომ იაკობი შვიდ წელიწადს ემსახურება ლაბანს, შემდეგ კი ცოლად შეირთავს რახელს.

იმდროინდელი წესის თანახმად, საქორწინო შეთანხმების წინ საქმროს სასიმამროსთვის უნდა მიეტანა გარკვეული თანხა ან მისი ტოლფასი სხვა ძვირფასეულობა, ქონება ვითარების შესაბამისად, რაც, თითქოსდა, ქორწინების გარანტია იქნებოდა. მშობლები შეუძლებლად თვლიდნენ, ისეთი მამაკაცისთვის მიენდოთ თავისი ქალიშვილის ბედი, რომელიც ვერ იზრუნებდა ოჯახის კეთილდღეობაზე. თუკი ის საქმეს ვერ უძღვებოდა, არ იყო ძლიერი და მომჭირნე და არ შეეძლო საქონლისა და მიწის შეძენა, იმას ნიშნავდა, რომ ცხოვრებაში ვერასდროს ვერაფერს მიაღწევდა. მაგრამ უქონელთათვის სხვა პირობები იყო გათვალისწინებული: მათ უნდა ეშრომათ საცოლის მამისათვის და ასეთი შრომით გამოემუშავებინათ საჭირო თანხა. თუკი ასეთი ახალგაზრდა კაცი პატიოსნებას და ღირსებას გამოავლენდა ყველა ასპექტში, ცოლად

[188]

[189]

ატანდნენ მოწონებულ ქალწულს. ხოლო გამოსასყიდს, რომელსაც მამა თავისი ქალიშვილისათვის ღებულობდა, მასვე აძლევდა ქორწინების წინ. მაგრამ სხვაგვარად მოხდა რახელთან

და ლეასთან დაკავშირებით. ლაბანმა იძუნწა და არ მისცა მათ კუთვნილი მზითევი; სწორედ ეს ჰქონდათ მათ მხედველობაში, როდესაც მესოპოტამიიდან გამოსვლის წინ თქვეს: „ხომ გაგვყიდა და ჩვენი ვერცხლიც შეჭამა".

ეს ძველი ტრადიცია, რომელსაც ზოგჯერ, ლაბანის მსგავსად, ბოროტად იყენებდნენ, სინამდვილეში საკმაოდ კარგი წესი იყო. როცა ახალგაზრდა კაცისაგან ითხოვდნენ საცოლის გამოსასყიდი თანხის გამომუშავებას, ამით, რა თქმა უნდა, ქორწინების ვადა გადაიწეოდა, რაც მას შესაძლებლობას აძლევდა, გამოეცადა თავისი გრძნობა და გამოევლინა ოჯახის შენახვისათვის საჭირო უნარი. ჩვენს დროში ამ წესის უარყოფა ბევრ ბოროტებას იწვევს. ხშირად ახალგაზრდა ქალ-ვაჟს არა აქვს შესაძლებლობა, ქორწინებამდე კარგად გაეცნონ ერთმანეთის თვისებებსა დ ხასიათს, იმას, თუ როგორი წარმოდგენა აქვთ მომავალ მეუღლეებს ოჯახურ ცხოვრებაზე და ისინი, ფაქტობრივად, უცნობებად რჩებიან ქორწინების დღემდე. ბოლოს კი ხვდებიან, რომ სხვადასხვა თვისებების გამო ერთმანეთს ვერ შეეწყობიან, მაგრამ უკვე გვიანია. და მათ ერთად ცხოვრებას მხოლოდ უკმაყოფილება და უბედურება მოაქვს. ხშირად ცოლები და ბავშვები მამისა და ქმრის სიზარმაცის, მოუხერხებლობისა და მანკიერი თვისებების გამო იტანჯებიან. ახალგაზრდებმა, ძველი წესისამებრ, ქორწინებამდე რომ გამოცადონ ერთმანეთის ხასიათი, მრავალ უბედურებას აიცილებენ თავიდან.

შვიდი წელიწადი ემსახურა იაკობი ლაბანს რახელისათვის და ეს წლები „რახელის სიყვარულის გამო რამდენიმე დღედ ეჩვენა". მაგრამ ანგარებიან, ძუნწ ლაბანს ხელიდან არ სურდა გაეშვა ასეთი ერთგული და კარგი მუშა და სასტიკად მოატყუა იგი იმით, რომ რახელი ლეათი შეუცვალა. იაკობი გრძნობდა, რომ ლეაც მონაწილე იყო ამ სიცრუისა, ამიტომაც ვერ შეძლებდა მის შეყვარებას. აღშფოთებული იაკობის საყვედურზე ლაბანმა შესთავაზა, კვლავ შვიდი წელი ემსახურა რახელის გამოსასყიდად. ამასთანავე, მამა დაჟინებით მოითხოვდა, ლეაც ცოლად დაეტოვებინა ოჯახისათვის სირცხვილის თავიდან ასაცილებად, რამაც მეტად გამოუვალი მდგომარეობა შეუქმნა იაკობს. და იაკობმაც გადაწყვიტა, ცოლად ჰყოლოდა ლეაც და რახელიც. რახელი ყოველთვის ყველაზე მეტად უყვარდა იაკობს. მაგრამ მის მიმართ გამოჩენილი ყურადღება და უპირატესობა შურსა და ეჭვს იწვევდა მეორეში და ცოლებს შორის ქიშპობა და კამათი სიცოცხლეს უწამლავდა იაკობს.

ოცი წელი ცხოვრობდა იაკობი მესოპოტამიაში და შრომობდა ლაბანისათვის, რომელიც არაფრად აგდებდა ნათესაურ კავშირს და არც არაფერზე უკან არ იხევდა, ოღონდაც ამ შეთანხმებიდან რაც შეიძლება მეტი სარგებელი ენახა. თოთხმეტი წლის მძიმე შრომა მოითხოვა მან თავისი ორი ქალიშვილისათვის, დარჩენილ წლებში კი ათჯერ მაინც შეუცვალა პირობა იაკობს. მაგრამ იაკობი გულმოდგინედ და ერთგულად შრომობდა. სიტყვები, რომლითაც უკანასკნელი შეხვედრისას მან ლაბანს მიმართა, ნათლად მოწმობს, თუ რა ფხიზლად იცავდა იგი

თავისი სასტიკი ბატონის ინტერესებს: „აჰა, ოცი წელიწადი ვარ შენთან და შენს ცხვრებსა და თხებს მკვდრად არასოდეს მოუგიათ, არც შენი ფარის ვერძები შემიჭამია. ნამხეცავი პირუტყვი შენთან არ მომიტანია, მე ვზარალობდი. მე მაზღვევინებდი დღისით ნაქურდალს და ღამით ნაქურდალს. დღისით ხვატი მინელებდა, ღამით - ყინვა; ძილი არ მეკარებოდა".

ყოველ წამს, დღისით თუ ღამით მწყემსი ფხიზლად უნდა ყოფილიყო, რათა დაეცვა ფარა, ერთი მხრივ, ყაჩაღებისაგან და, მეორე მხრივ, ურიცხვ

[190]

მტაცებელ ცხოველთაგან, რომელთაც ხშირად იერიში მიჰქონდათ ფარაზე და ცუდი დაცვის შემთხვევაში ხშირად სრულიად ანადგურებდნენ მას. იაკობს მრავალი დამხმარე ჰყავდა ლაბანის ჯოგების დასაცავად, მაგრამ პასუხისმგებლობა ყველაფერზე მხოლოდ მას ეკისრებოდა. იაკობი დროდადრო თან უნდა ხლებოდა პირუტყვს, რათა მშრალ ამინდში საქონელი უწყლობისაგან, ზამთარში კი მკაცრი ყინვებისგან არ დაღუპულიყო. იაკობი უფროსი მწყემსი იყო და ფარის

ყოველგვარი დანაკარგი მას უნდა აენაზღაურებინა, ის კი, თავის მხრივ, მკაცრად სთხოვდა პასუხს უმცროს მწყემსებს საქონლისადმი უყურადღებობის გამოჩენის შემთხვევაში.

მწყემსის ცხოვრება აღსავსეა ხიფათითა და საზრუნავით. მასზე მინდობილ ამ უმწეო არსებებისადმი სიყვარული და თანაგრძნობა გამოყენებულ იქნა სახარების ყველაზე ძვირფას ჭეშმარიტებათა საილუსტრაციოდ, რაც მშვენივრად გამოიყენეს სულიწმიდით შთაგონებულმა წმიდა წერილის ავტორებმა: თავის ხალხზე მზრუნველი ქრისტე მწყემსსაა შედარებული. ადამიანის დაცემის შემდეგ მან დაინახა, რომ მის ცხვრებს ცოდვის შავბნელ უდაბნოში დაღუპვა ელოდათ და მათ გადასარჩენად დატოვა მამის სავანე, პატივი და დიდება. იგი ამბობს: „დაკარგულს მოვიძიებ, გატაცებულს დავაბრუნებ, დაჭრილს ჭრილობებს შევუხვევ, დაუძლურებულს მოვაძლიერებ, მსუქანსა და ძლიერს მოვუვლი; სამართლიანად დავმწყემსავ მათ"; მე თავად გადავარჩენ ჩემს ცხვარს და აღარ იქნება დატაცებული"; „და მინდვრის მხეცები აღარ შეჭამენ მათ" /ეზეკ. 34:16,22,28/. ქრისტე თავის სავანეში იწვევს მათ, სადაც „კარავი ჩრდილად იქნება დღის პაპანაქებაში და თავშესაფრად და საყუდრად - ავდარსა და წვიმაში" /ეს. 4:6/. იგი მოუღლელად ზრუნავს თავის ცხვრებზე: ეხმარება სუსტებსა და მწუხარეთ, ხელში იყვანს და გულში იხუტებს კრავებს. იგი უყვართ მის ცხვრებს. „უცხოს არ გაჰყვება, გაექცევა, რადგან უცხოთა ხმას არ იცნობს" /იოან. 10:5/.

ქრისტე ამბობს: "მწყემსი კეთილი თავის სულს გასწირავს ცხვართათვის. მოჯამაგირე კი, რომელიც არ არის მწყემსი და არც ცხვარი ეკუთვნის, მოსული მგლის დანახვაზე ტოვებს ცხვრებს და გარბის. მგელი კი იტაცებს მას და ფანტავს. მოჯამაგირე კი გარბის, რადგან მოჯამაგირეა იგი და არ ზრუნავს ცხვრებზე. მე ვარ მწყემსი კეთილი. მე ვიცნობ ჩემსას და ჩემი მიცნობს მე" /იოან. 10:11-14/.

ქრისტემ - მთავარმა მწყემსმა, თავის ფარაზე ზრუნვა თავის მსახურთ, უმცროს მწყემსებს მიანდო და დაავალა მათ, ისეთივე ყურადღებით ეშრომათ, როგორც თავად ის შრომობდა მინდობილი საქმისადმი წმიდა პასუხისმგებლობის გრძნობით. მან საზეიმოდ მოუწოდა მათ, იყვნენ ერთგულნი, გამოკვებონ ფარა, უთანაგრძნონ უძლურთ, გაამხნევონ დავრდომილნი და დაიცვან ისინი მტაცებელი მგლებისაგან.

ქრისტემ საკუთარი სიცოცხლე გაწირა თავისი ცხვრებისათვის და ამ ქმედითი სიყვარულის მაგალითს სთავაზობს იგი უმცროს მწყემსთ. მაგრამ „მოჯამაგირე, რომელიც არ არის მწყემსი და არც ცხვარი ეკუთვნის", არ იჩენს ჭეშმარიტ ინტერესს ცხვრის მიმართ. იგი მხოლოდ გასამრჯელოსათვის იღვწის და მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავს. და რადგან იგი მხოლოდ პირად სარგებელს ეძებს და ფარაზე არ ზრუნავს, სიძნელეებისა და ძნელბედობის ჟამს დატოვებს მას და გაიქცევა.

პავლე მოციქული შეაგონებს უმცროს მწყემსთ: „მწყემსეთ ღვთის სამწყსო, რომელიც თქვენს შორისაა, არა იძულებით, არამედ ნებით და ღვთისათვის სათნოდ, არა ბილწი ანგარებისათვის, არამედ გულმოდგინებით. ნუკი ეუფლებით ღვთის სამკვიდრებელს, არამედ მაგალითი იყავით სამწყსოსათვის" /1 პეტრ.

[191]

5:2,3/. პავლე მოციქული ამბობს: „გაუფრთხილდით თქვენს თავსაც და თქვენს სამწყსოსაც, რომლის მეთვალყურედაც სულიწმიდამ დაგაყენათ, რათა მწყემსავდეთ ღვთის ეკლესიას, რომელიც მან საკუთარი სისხლით შეიძინა, ვინაიდან მე ვიცი, რომ ჩემი წასვლის შემდეგ შემოგივარდებიან ულმობელი მგლები, რომლებიც არ დაინდობენ სამწყსოს" /საქმ. 20:28,29/.

მოციქული აფრთხილებს ყველას, ვინც ერთგული მწყემსის ხვედრს - შრომასა და ჯაფას - მძიმე ტვირთად მიიჩნევს: „მწყემსეთ ღვთის სამწყსო... არა იძულებით, არამედ ნებით და ღვთისათვის სათნოდ, არა ბილწი ანგარებისათვის, არამედ გულმოდგინებით" /1 პეტრ. 5:2/. მწყემსმთავარი მზადაა, გაათავისუფლოს ყოველი ასეთი ორგული მწყემსი. ქრისტეს ეკლესია მისივე სისხლითაა ნაყიდი და ყოველმა მწყემსმა უნდა

შეიგნოს, რომ უსასრულოდ დიდი მსხვერპლია გაღებული თითოეული მობარებული ცხვრისათვის და ყოველ მათგანს ისე უნდა მოეპყროს, როგორც უძვირფასეს განძს, მოუღლელად იშრომოს, რათა ცხვარი ჯანმრთელი იყოს. მწყემსი, რომელშიც ქრისტეს სულია, აუცილებლად მიბაძავს მწყემსმთავრის თავგანწირვას, მუდამ იზრუნებს თავისი ფარის კეთილდღეობაზე, რომელსაც არაფერი გაუჭირდება მისი მფარველობის ქვეშ.

ყველამ ზუსტი ანგარიში უნდა წარადგინოს თავისი შრომის შედეგზე. ბატონი ჰკითხავს ყოველ მწყემსს: „სად არის სამწყსო, შენ რომ ჩაგაბარეს, შენი მშვენიერი ფარა?" /იერ. 13:20/. და ვინც ერთგული აღმოჩნდება, დიდ საზღაურს მიიღებს. „და როდესაც მწყემსმთავარი გამოჩნდება, თქვენ მიიღებთ დიდების უჭკნობ გვირგვინს" /1 პეტრ. 5:4/.

ლაბანთან მსახურებით დაღლილმა, შეწუხებულმა იაკობმა ქანაანში დაბრუნება გადაწყვიტა და სიმამრს სთხოვა: „გამიშვით, წავალ ჩემს სამშობლოში, ჩემს ქვეყანაში; გამატანე ჩემი ცოლები და შვილები, რომელთა გულისთვისაც გემსახურებოდი და წავალ, რადგან შენ თავად უწყი ჩემი სამსახური, როგორ გემსახურებოდი". მაგრამ ლაბანი დაჟინებით სთხოვდა დარჩენას და უთხრა: „მიმხვდარი ვარ, შენს გამო რომ მაკურთხა უფალმა", რადგან იგი კარგად ხედავდა, რომ თავისი სიძის წყალობით მეტად მდიდრდებოდა.

იაკობმა უთხრა: „ჩემამდე ცოტა გყავდა და დიდძალი შეიქნა". მაგრამ გავიდა დრო და ლაბანს შეშურდა იაკობის წარმატება, რადგან „გამდიდრდა მეტისმეტად კაცი, შეეძინა დიდძალი ფარა, ყმაქალები და ყმები, აქლემები და სახედრები". ლაბანის შვილებსაც, მამის მსგავსად, შეშურდათ იაკობის კეთილდღეობა და მათმა ბოროტმა სიტყვებმა იაკობის ყურამდეც მიაღწია: „ყველაფერი წაართვა იაკობმა მამაჩვენს, მამაჩვენისეული ქონებით გამდიდრდაო. სახეზე შეატყო იაკობმა ლაბანს, რომ იგი ისეთი აღარაა მის მიმართ, როგორც ადრე იყო".

იაკობი, ალბათ, დიდი ხნის წინათ გაეცლებოდა თავის მზაკვარ ნათესავებს, ესავთან შეხვედრის შიში რომ არა. ახლა საფრთხე ლაბანის ვაჟებისაგან იგრძნო, რომლებიც იაკობის ქონებას თავისად მიიჩნევდნენ და შეეცდებოდნენ მის ძალით წართმევას. იაკობი დიდად შეფიქრიანდა და შეწუხდა. არ იცოდა, რა ექნა. მაგრამ მუდამ ახსოვდა ბეთელში მოწყალე უფლის დანაპირები და თავისი უბედურება უფალს შესჩივლა და დახმარება სთხოვა. სიზმარში მიიღო პასუხი ლოცვაზე: „დაუბრუნდი შენი მამა-პაპის ქვეყანას, შენს სამშობლოს და მეც შენთან ვიქნები".

და აი, ლაბანის შინ არყოფნის დროს იაკობს გამგზავრების ხელსაყრელი მომენტი დაუდგა. სასწრაფოდ შეაგროვეს ფარა და წინ გაუშვეს, იაკობმა კი თავის ცოლ-შვილთან და მსახურებთან

ერთად გადალახა ევფრატი და გაემართა გალაადის მთისკენ, ქანაანის საზღვარზე. სამი დღის შემდეგ შეიტყო ლაბანმა

[192]

[193]

იაკობის გაპარვა, დაედევნა და მეშვიდე დღეს დაეწია. განრისხებული ლაბანი მზად იყო, ძალით დაებრუნებინა გაქცეულნი, რასაც, ეჭვგარეშეა, შეძლებდა კიდეც, რადგან ძალა მის ხელში იყო. და იაკობს კვლავ უდიდესი საფრთხე დაემუქრა.

ლაბანმა ვერ აისრულა თავისი ბოროტი განზრახვა მხოლოდ იმიტომ, რომ თავად ღმერთი ჩაერია ამ საქმეში თავისი ერთგული მსახურის დასაცავად. „გიბოროტებდი, - უთხრა ლაბანმა, - მაგრამ თქვენი მამა-პაპის ღმერთმა მითხრა წუხელ სიზმარში: თავი შეიკავე, ნურც კარგს ეტყვი იაკობს, ნურც ავსო", - რაც იმას ნიშნავდა, რომ ძალის გამოყენებით და არც რაიმე თვალთმაქცური დაპირებებით არ უნდა დაებრუნებინა მას იაკობის სახლეულობა უკან.

ლაბანმა არ მისცა თავის ქალიშვილებს კუთვნილი მზითევი, მუდამ ატყუებდა იაკობს და სასტიკი იყო მის მიმართ. და ახლაც, თავისი ჩვეული პირფერობით საყვედურობდა სიძეს გაპარვას, რითაც მან ხელი შეუშალა სიმამრს გამოსამშვიდობებელი წვეულების გამართვაში და შვილებთან და შვილიშვილებთან გამოთხოვებაში.

ამის პასუხად იაკობმა პირდაპირ ამხილა ლაბანის ბოროტება და სიხარბე და აიძულა, ეღიარებინა სიძის პატიოსნება და გულწრფელობა. „ღმერთი მამაჩემისა, ღმერთი აბრაამისა და შიში ისააკისა რომ არ ყოფილიყო ჩემთან, მაშინ ხომ ხელცარიელს გამისტუმრებდი, - უთხრა იაკობმა, - ჩემს ტანჯვა-წვალებასა და ჯაფას მოხედა ღმერთმა და გამხილა გუშინ".

ლაბანმა ამაზე ვეღარაფერი უპასუხა და გადაწყვიტა, მშვიდობით დაემთავრებინა საქმე. იაკობი დაეთანხმა მის წინადადებას და მალე „მოიტანეს ქვები და გორა დააყენეს" თავიანთი კავშირის თანახმად. ამ გორას ლაბანმა მიცფა /საგუშაგო კოშკი/ უწოდა: „თვალყური გვადევნოს უფალმა, როცა ერთმანეთს თვალით ვეღარ ვიხილავთო".

„უთხრა ლაბანმა იაკობს: აჰა, ეს გორა და ეს სვეტი, რომელიც აღვმართე ჩვენს შორის. მოწმე იყოს ეს გორა, მოწმე იყოს ეს სვეტი, რომ არც მე გადმოვლახავ შენსკენ ამ გორას და არც შენ გადმოლახავ ჩემსკენ ამ გორას და ამ სვეტს საბოროტოდ.

აბრაამის ღმერთმა და ნახორის ღმერთმა განგვსაჯოს ჩვენ. და დაიფიცა იაკობმა თავისი მამის, ისააკის შიში".

შეკრეს კავშირი და ზეიმი გამართეს. ღამე მეგობრულ ვითარებაში გაატარეს. განთიადზე კი ლაბანი თავისი ხალხითურთ უკან გაბრუნდა. ამით წყდება ყოველგვარი კავშირი აბრაამის შვილებსა და მესოპოტამიის მკვიდრთ შორის.

[194]

თავი 18 - ბრძოლის ღამე

დაბადება 32; 33

უფლის ბრძანების თანახმად, იაკობმა დატოვა ფადან-არამი და გაუდგა გზას, რომლითაც ოცი წლის წინათ ესავს გაექცა. ამ ხნის განმავლობაში მას არასოდეს დავიწყებია ცოდვა, რომელიც მან ჩაიდინა მამის წინაშე, როცა მოატყუა იგი; კარგად ესმოდა, რომ მისი, როგორც განდევნილის შემდგომი ცხოვრება, სწორედ ამ ცოდვის შედეგი იყო. დღე და ღამე ამაზე ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა, სინდისი ქენჯნიდა და ყოველივე ეს

განსაკუთრებული მწუხარებით ავსებდა მის ისედაც სევდიან ცხოვრებას. მშობლიური მთების დანახვაზე გული აუფანცქალდა პატრიარქს. წარსული ცხოვრება ცხადად დაუდგა თვალწინ. მაგრამ თავის დანაშაულთან ერთად გაახსენდა უფლის უდიდესი წყალობა და აღთქმა, რომ ყოველთვის დაიცავდა და ბოროტისგან დაიფარავდა მას.

იაკობის მოხეტიალე ცხოვრება დასასრულს უახლოვდებოდა და ესავთან შეხვედრაზე ფიქრი უფრო და უფრო მეტად ტანჯავდა. იაკობის გაქცევის შემდეგ ესავი მამის ქონების ერთადერთ მემკვიდრედ თვლიდა თავს. იაკობის დაბრუნების ამბავს შეეძლო შეეშინებინა ესავი მემკვიდრეობასთან დაკავშირებით. ახლა ესავს შეეძლო, ბოროტად მოქცეოდა ძმას არა მხოლოდ შურისძიების, არამედ მამის მემკვიდრეობის საბოლოო მისაკუთრების მიზნით, რომელსაც უკვე თავისად თვლიდა.

და კვლავ აჩვენა უფალმა იაკობს თავისი ღვთიური მზრუნველობის ნიშანი. როცა იგი გალაადის მთებს მიუახლოვდა, ზეციური ანგელოზები გარს შემოერტყნენ მის ქარავანს, რათა საიმედოდ დაეცვათ იგი. იაკობს ბეთელში ნანახი სიზმარი გაახსენდა და მისმა დამწუხრებულმა გულმა შვება იგრძნო, როცა ღვთიური მაცნენი იხილა; ისინი ხომ ქანაანიდან გაქცევის დროსაც ამხნევებდნენ და აიმედებდნენ და ახლაც, დაბრუნებისას, იფარავდნენ და იცავდნენ. და თქვა მან: „ეს ღვთის ბანაკია". და უწოდა სახელად ამ ადგილს "მახანაიმი" - „ორბანაკი" ანუ „ანგელოზთა ორი ჯგუფი".

მაგრამ იაკობი გრძნობდა, რომ თავისი უსაფრთხოებისათვის უნდა ეზრუნა. ამიტომ გაგზავნა თავისი ხალხი და თბილი, მეგობრული სიტყვები დააბარა ძმასთან. ჯერ კიდევ ამ ორი ძმის დაბადებამდე ითქვა, რომ უფროსი დაემორჩილება უმცროსს და ამის გახსენება ძმებს შორის განხეთქილების მიზეზი რომ არ გამხდარიყო, იაკობმა გააფრთხილა თავისი მსახურნი, რომ აგზავნის თავის ბატონთან, ესავთან, რომელსაც უნდა გადასცენ იაკობის შემდეგი სიტყვები: „ასე ამბობს-თქო შენი მორჩილი იაკობი". და იმ ეჭვის გასაფანტავად, თითქოს სახლში ბრუნდება ღარიბი მოხეტიალე თავისი წილი მემკვიდრეობის წართმევის მიზნით, იაკობმა დაავალა მათ ეთქვათ: „მყავს ხარები და სახედრები, ცხვრის ფარა და ჩემი ყმები და ყმაქალები. კაცი გამოვუგზავნე ჩემს ბატონს მოსახსენებლად, მადლი მინდა ვპოვო შენს თვალში".

მსახურნი დაბრუნდნენ და მოახსენეს, რომ ესავმა არ უპასუხა მათ მეგობრულ მისალმებას და აგერ, ოთხასი კაცით მოდის მასთან შესახვედრად. ცხადი იყო, რომ შურისძიებას აპირებდა. ბანაკი შიშმა მოიცვა. იაკობი დაიბნა და შეშინდა: უკან დაბრუნება აღარ შეიძლებოდა, წინ წასვლის კი ეშინოდა. მისი შეუიარაღებელი და სრულიად დაუცველი ხალხი არ იყო მზად ასეთი შეხვედრისათვის. ამიტომ ისინი ორ ჯგუფად გაყო: თუ ერთი მათგანი დარტყმას იგემებს, მეორეს გაქცევის შესაძლებლობა მიეცემა. უამრავ ფარასთან

[195]

[196]

და მეგობრულ სიტყვასთან ერთად მან უხვი ძღვენი გაუგზავნა ესავს. მან ყველა ღონე იხმარა ძმის წინაშე თავისი დანაშაულის გამოსასყიდად და საფრთხის თავიდან ასაცილებლად. მორჩილებითა და მონანიებით სთხოვდა იგი უფალს მფარველობას: „უფალო! რომელმაც მითხარი, შენს ქვეყანაში, შენს სამშობლოში დაბრუნდი და სიკეთეს გიყოფო! ღირსი არა ვარ ყველა ამ სიკეთისა და წყალობისა, შენს მორჩილს რომ უყავი; მე ხომ ჯოხის ამარამ გადავლახე ეს იორდანე, ახლა კი ორ ბანაკად ვდგავარ. მიხსენი ესავისგან, ჩემი ძმისგან, რადგან მეშინია მისი, არ დამეცეს და დედაწულიანად არ ამომწყვიტოს".

აი, მიაღწიეს მდინარე იაბოკს და დაღამებისთანავე გადაატარა მასზე თავისი ოჯახი, თავად კი ნაპირზე დარჩა. მას სურდა, ლოცვაში გაეტარებინა ღამე და მარტო დარჩენილიყო თავის ღმერთთან, ვინაიდან მხოლოდ ღმერთს შეეძლო ესავის გულის მოლბობა, მხოლოდ მისი იმედი ჰქონდა პატრიარქს.

ეს იყო უკაცრიელი, მთიანი ადგილი, სადაც ხშირად თავს აფარებდნენ გარეული მხეცები, ყაჩაღები და მკვლელები. შუაღამემ მოაწია. უმწეო, მარტოდ დარჩენილი იაკობი სასოწარკვეთილებით დაემხო მიწას. ყოველივეს, რაც მისთვის ყველაზე ძვირფასი იყო, ახლა სასიკვდილო საფრთხე ელოდა. ყველაზე მეტად ის ტანჯავდა, რომ მისი დანაშაულის გამო უდანაშაულონი დაისჯებოდნენ. გულის სიღრმიდან ამოსული სიტყვებითა და ცრემლებით დაიწყო მან ლოცვა. უცბად ვიღაცის ძლიერი ხელი შეეხო. მას იგი ყაჩაღი ეგონა, რომელსაც მისი მოკვლა სურდა და ხელიდან დასხლტომა სცადა. ბრძოლა მიმდინარეობდა სრულ სიბნელეში, უსიტყვოდ. იაკობმა მოიკრიბა მთელი ძალები და დაიძაბა. იგი იბრძოდა, თავს იცავდა და თან თავის ცოდვაზე ფიქრობდა. ცხადად წარმოუდგა თვალწინ ყველა ცოდვა, რომელიც ღმერთთან აშორებდა. სრული სასოწარკვეთილებით გაიხსენა მან ღვთიური აღთქმანი და მთელი გულით შეწყალება შესთხოვა ღმერთს. ბრძოლა გათენებამდე გაგრძელდა, უცბად უცნობის ხელი მის თეძოს შეეხო და „ეღრძო იაკობს თეძოს სახსარი" და კოჭლობა იწყო. მხოლოდ ახლა მიხვდა პატრიარქი, ვის ერკინებოდა. მხოლოდ ახლა მიხვდა, მთელი ძალისხმევის მიუხედავად, თუ რატომ ვერ დაამარცხა მოწინააღმდეგე. იგი ზეციურ მაცნეს ებრძოდა. ეს ქრისტე, „აღთქმის ანგელოზი", მოევლინა იაკობს. მწვავე ტკივილებით გათანგულმა პატრიარქმა არ გაუშვა იგი. სრულიად გატანჯული და სინანულით აღვსილი მოეჭიდა იგი ანგელოზს და „ტირილით ემუდარებოდა" /ოს. 12:4/. მას სურდა გაეგო, რომ მიეტევა ცოდვა. ფიზიკურმა ტკივილმაც კი ვერ

დაავიწყა ამაზე ფიქრი. გადაწყვეტილება სულ უფრო მყარი ხდებოდა, რწმენა მტკიცდებოდა, ვიდრე ზღვარს არ მიაღწია. ანგელოზი მისი ხელიდან გათავისუფლებას ლამობდა და დაჟინებით ითხოვდა: „გამიშვი, უკვე თენდება", მაგრამ იაკობი პასუხობდა: „არ გაგიშვებ, სანამ არ მაკურთხებ". იაკობს ეს სიტყვები კვეხნით და თვითდაჯერებით რომ წარმოეთქვა, იგი მაშინვე მოკვდებოდა. მაგრამ ეს იყო რწმენა ადამიანისა, რომელმაც შეიცნო საკუთარი არარაობა, მაგრამ ერთი წუთითაც არ დაეჭვებულა იმაში, რომ უფალი თავისი აღთქმის ერთგულია.

იაკობი "შეერკინა ანგელოზს და სძლია" /ოს. 12:5/. ამ ცოდვილი, გზააბნეული, მოკვდავი კაცის მორჩილებამ, მონანიებამ და თავგანწირვამ სძლია ზეცის დიდებას. აცახცახებული ხელებით ჩაეჭიდა იგი უფლის აღთქმას და უზენაესმა სიყვარულმაც უპასუხა ცოდვილის თხოვნას.

ახლა იაკობი ცხადად ხედავდა თავის შეცდომას, რომელმაც ასეთი ცოდვა ჩაადენინა პირმშოობის მოტყუებით მითვისებისას. მაშინ იგი არ მიენდო ღვთის აღთქმას, არამედ შეეცადა, საკუთარი ძალისხმევით გაეკეთებინა ის,

[197]

[198]

რასაც ღმერთი თავად აღასრულებდა თავის დროზე. სახელი, რომელიც აქამდე თავისი მნიშვნელობით საკუთარ ცოდვას ახსენებდა, ახლა, მიტევების ნიშნად, სხვა სახელით შეეცვალა: „ამიერიდან აღარ ითქვას შენს სახელად იაკობი, არამედ - ისრაელი, რადგან ღმერთს შეებრძოლე და ადამიანებსაც სძლევ".

ბოლოს და ბოლოს, იაკობმა მიიღო ნანატრი კურთხევა. ცოდვა, რომელიც ეშმაკობით და სიცრუით ჩაიდინა, უფალმა მიუტევა. ძნელბედობამ განვლო. ეჭვი, დაძაბულობა და სინდისის ქენჯნა, რომელიც სიცოცხლეს უწამლავდა, გაქრა. ო, რა ნეტარებაა ღმერთთან შერიგება! ახლა იაკობს აღარ ეშინოდა ძმასთან შეხვედრის. უფალი, რომელმაც შეუნდო, ესავის გულის მოლბობასაც შეძლებდა, რათა მიეღო ძმის მონანიება და მორჩილება.

იმ დროს, როდესაც იაკობი ანგელოზს ეჭიდებოდა, მეორე ზეციური მაცნე ესავისკენ გაემართა. სიზმარში იხილა ესავმა თავისი ძმა, რომელსაც, აგერ უკვე ოცი წელია, ფეხი არ დაუდგამს მამის სახლში. დაინახა, როგორ დასტიროდა იგი მკვდარ დედას; იხილა უფლის მხედრობა მის გარშემო. ეს

სიზმარი მან თავის მეომრებს უამბო და უბრძანა, არა ევნოთ იაკობისათვის, რადგან მისი მამის ღმერთი იყო მასთან.

და ბოლოს, ერთმანეთს მიუახლოვდა ორი ბანაკი - მეომრები, თავიანთი გამოცდილი წინამძღოლის ხელმძღვანელობით და იაკობი თავისი ცოლ-შვილით, მწყემსებით და მოსამსახურეებით, რომლებიც ურიცხვ საქონელს მოერეკებოდნენ. თავის ჯოხზე დაყრდნობილი პატრიარქი მეომართა შესახვედრად წინ გამოვიდა. ფერმკრთალი, წუხანდელი ჭიდილის შემდეგ დაკოჭლებული, მწვავე ტკივილით შეპყრობილი, მაგრამ სიხარულისა და მშვიდობის სხივით სახეანთებული, იგი ნელი ნაბიჯით, სვენებ-სვენებით მიუახლოვდა ძმას.

დაინახა რა ესოდენ დასახიჩრებული, ხეიბარი, გატანჯული ძმა, „სირბილით შეეგება ესავი, გადაეხვია, ყელზე მოეჭდო, გადაკოცნა, და ატირდნენ ორთავენი". ამ სურათის დანახვაზე ესავის უხეშმა მეომრებმაც კი ვერ შეიკავეს თავი. და თუმცა ესავმა უამბო მათ თავისი სიზმარი, მაინც ვერაფრით აეხსნათ მათ მბრძანებელში მომხდარი ასეთი ცვლილება. პატრიარქის უძლურების ხილვისას ვერც კი წარმოედგინათ, რომ სწორედ ეს სისუსტე ხდიდა მას ძლიერს.

იაბოკის ნაპირზე გატარებულ იმ მტანჯველ ღამეს, როცა სიკვდილი სულ ახლოს იყო, იაკობი მიხვდა ადამიანის

ყოველგვარი ძალისხმევის ამაოებას და მისი ძლევამოსილებისადმი რწმენის უსაფუძვლობას. მიხვდა, რომ დახმარების მიღება მხოლოდ იმისგანაა შესაძლებელი, რომლის წინაშეც მან ასე ძლიერ შესცოდა. უღირსი და უძლური, მონანიების გრძნობით შეპყრობილი იაკობი შეწყალებისა და წყალობის აღთქმას სთხოვდა ყოვლადძლიერს, რომლის მიღებამაც დაარწმუნა: უფალი მიუტევებს და მიიღებს. უმალ ცა და დედამიწა გადავლენ, ვიდრე მისი სიტყვა არ აღსრულდება; და ყოველივე ეს დიდად ეხმარებოდა მას ამ საშინელი ჭიდილის დროს.

იმ ბრძოლისა და ტანჯვის ღამეს იაკობის მიერ განცდილი მღელვარება და გამოცდილება პირველსახეა იმ გამოცდისა, რომელიც აუცილებლად მიეცემა ღვთის ხალხს ქრისტეს მეორედ მოსვლის წინ. ზეციურ ხილვებში ამ დროის შესახებ იერემია ამბობს: „შიშის ხმა გვესმის, თავზარისა, არა მშვიდობის... ყველას მწვანე ფერი დასდებია სახეზე? ვაი, რა დიდია ეს დღე! არ ყოფილა მისი მსგავსი. გასაჭირის ჟამია იგი იაკობისთვის და მისგანვეა მისი ხსნა" /იერ. 30:5-7/.

ქრისტეს საშუამდგომლო მსახურება დასრულდება და სწორედ მაშინ დადგება მწუხარების ჟამი. მაშინ გადაწყდება ყოველი ადამიანის ბედი და უკვე აღარ იქნება გამომსყიდველი სისხლი ცოდვებისაგან განწმედისათვის. როდესაც იესო

ადამიანისათვის შუამდგომლობის საქმეს დაასრულებს, ზეცა გამოიტანს მრისხანე

[201]

განაჩენს: „უსამართლო კვლავ უსამართლობდეს და უწმიდური კვლავ უწმიდურობდეს, მართალი კვლავ მართლობდეს და წმიდა კვლავ წმიდობდეს" /გამოცხ. 22:11/. მაშინ დედამიწა დაკარგავს ბოროტების მომთოკველ სულიწმიდას. ისევე, როგორც იაკობს ემუქრებოდა სიკვდილის საფრთხე საკუთარი ძმისაგან, ასევე აღმოჩნდება ღვთის ხალხი უწმიდურთაგან საშიშროების წინაშე. და როგორც პატრიარქს მოუხდა ბრძოლა მთელი ღამის განმავლობაში ესავისაგან თავის დასაცავად, ასევე მართლები ყოველ წუთს, დღისით თუ ღამით, შესთხოვენ ღმერთს დახმარებას გარშემომყოფ უწმიდურთაგან სახსნელად.

სატანა ბრალს სდებდა იაკობს ღვთის ანგელოზთა წინაშე და ჩადენილი ცოდვის გამო მის სიკვდილს ითხოვდა. იგი ესავსაც აქეზებდა, წასულიყო ძმის წინააღმდეგ. მთელი ამ გრძელი ღამის განმავლობაში უღვივებდა საკუთარი დანაშაულის გრძნობას პატრიარქს, რათა მხნეობა წაერთმია და ღმერთისგან დაეშორებინა. როცა სასოწარკვეთილი იაკობი ჩაეჭიდა ანგელოზს და ცრემლებით სთხოვდა კურთხევას, ზეციურმა

მაცნემაც მისი რწმენის გამოსაცდელად გაახსენა მას მისი ცოდვა და შეეცადა, თავი დაეხსნა მისგან. მაგრამ იაკობი არ დაეხსნა. მან კარგად იცოდა, თუ რაოდენ შემწყალეა უფალი და ჩაეჭიდა მის ამ თვისებას. იაკობიც, თავის მხრივ, ახსენებდა, რომ საკუთარ ცოდვას ინანიებდა და ხსნას ითხოვდა. წარსული ცხოვრების გახსენებისას იგი სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა, მაგრამ ხელს არ უშვებდა ანგელოზს და სულისშემძვრელი გოდებით და ცრემლებით ევედრებოდა მას, სანამ არ სძლია.

ასეთივე გამოცდა ექნება ღვთის ხალხს ბოროტ ძალებთან თავის უკანასკნელ ბრძოლაში. უფალი გამოცდის ღმერთის გადამრჩენელი ძალის მიმართ მათი რწმენის სიმტკიცეს. სატანა შეეცდება, შეაშინოს ღვთის შვილნი იმით, რომ მათი მდგომარეობა უიმედოა, რომ მათი ცოდვები მეტად მძიმეა და მათი მიტევება შეუძლებელია. ღვთის ხალხს თვალწინ დაუდგება ყოველი ნაკლი, წარსულში ჩადენილი ცოდვები და იმედს დაკარგავს, მაგრამ გაიხსენებს იგი უფლის უსასრულო წყალობას, გულწრფელად მოინანიებს და შეევედრება იმ აღთქმის აღსრულებას, რომელიც მომნანიებელ ცოდვილს მიეცა ქრისტეში. მათი რწმენა არ შეირყევა იმით, რომ მაშინვე არ მიიღებენ პასუხს თავიანთ ლოცვებზე. ისინი იაკობის მსგავსად, რომელიც ანგელოზს ჩაეჭიდა, უფლის ძალას დაეყრდნობიან და მტკიცედ იტყვიან: „არ გაგიშვებ, სანამ არ მაკურთხებ".

იაკობს რომ მანამდე არ ეღიარებინა ის ფაქტი, რომ ტყუილით მიიღო პირმშოობა, უფალი არ შეისმენდა მის ლოცვას და არც გადაარჩენდა. ასევეა მწუხრის ჟამსაც: თუკი ღვთის შვილები არ მოინანიებენ თავიანთ ცოდვებს მანამ, სანამ ტანჯვა და საშინელება ეწვევათ, დაიღუპებიან. სასოწარკვეთილება გაანადგურებს მათ რწმენას და ვერ გაბედავენ, უფალს ხსნა სთხოვონ, მაგრამ, თუკი ღრმად შეიცნობენ თავიანთ უღირსობას, მაშინ არ აღმოაჩნდებათ დამალული ცოდვები და არ იქნება საჭირო მათი მხილება. მათ ცოდვებს ქრისტეს გამომსყიდველი სისხლი წარხოცავს და აღარ გაახსენდებათ.

სატანა ხშირად არწმუნებს ადამიანებს, რომ ღმერთი არავითარ ყურადღებას არ აქცევს უმნიშვნელო დანაშაულს, მაგრამ იაკობთან მიმართებაში ღმერთმა გვიჩვენა, რომ მის თვალში არ არსებობს დიდი და მცირე ცოდვა. ვინც შეეცდება, გაამართლოს ან დაფაროს თავისი ცოდვები, რომლებიც ამგვარად მოუნანიებელი რჩება, დამარცხდება სატანის მიერ. რაც უფრო ამაღლებულია მათი მოწმობა საკუთარი რწმენის შესახებ, რაც უფრო საპატიოა მათი მდგომარეობა საზოგადოებაში, მით უფრო სამწუხაროა მათი ხვედრი უფლის თვალში და მით უფრო დარწმუნებულია სატანა თავის გამარჯვებაში.

იაკობის ისტორია მოწმობს, რომ ღმერთი არ მიატოვებს ცოდვაში ადამიანს,

[202]

თუკი იგი მოინანიებს და დაუბრუნდება თავის ზეციერ მამას. თვითგანწირვისა და მტკიცე რწმენის წყალობით იაკობმა მიიღო ის, რასაც ვერასდროს შეიძენდა საკუთარი ძალისხმევით. ასე აჩვენა უფალმა თავის მსახურს, რომ მხოლოდ ღვთიური ძალა და წყალობა იძლევა კურთხევას, რომლის მიღებაც მას ასე ძლიერ სურდა. ასევე იქნება უკანასკნელი ჟამის მცხოვრებთათვის, როდესაც ხიფათითა და სასოწარკვეთილებით მოცულნი მხოლოდ გამომსყიდველ მსხვერპლს უნდა დაეყრდნონ. ჩვენ ვერაფერს მივაღწევთ საკუთარი ძალებით. ჩვენ, უძლურთ და უღირსთ, მხოლოდ ჯვარცმული და მკვდრეთით აღმდგარი მაცხოვრის იმედი უნდა გვქონდეს. და ვინც ასე მოიქცევა, არ დაიღუპება. ჩვენი ცოდვების გრძელი, შავი სია უფლის თვალთა წინაშეა გადაშლილი. სრული სია - ყოველი წვრილმანი ჩვენი ცხოვრებიდან. მაგრამ ის, ვინც ძველ დროში თავის შვილთა ვაებას და გოდებას ისმენდა, ჩვენი რწმენის ლოცვებსაც შეისმენს და ცოდვებს მოგვიტევებს. მან აღგვითქვა ეს და შეასრულებს კიდეც თავის სიტყვას.

იაკობმა გაიმარჯვა თავისი მტკიცე რწმენით. მისი მაგალითი მეტყველებს, თუ რაოდენ ქმედითია დაჟინებული ლოცვა. ჩვენ უნდა ვისწავლოთ ეს ლოცვა, ლოცვა, რომელიც გამარჯვებას

მოგვიტანს. ესაა ურყევი რწმენა. უდიდესი გამარჯვებები, როგორც ქრისტეს ეკლესიაში, ასევე ყოველი ქრისტიანის ცხოვრებაში, მიიღწევა არა ნიჭის, განათლების ან გარშემომყოფთა კეთილგანწყო -ბის წყალობით. ამ გამარჯვებას ქრისტიანი აღწევს მარტო, ღმერთთან პირისპირ, როცა გულწრფელი და მებრძოლი რწმენით ყოვლისშემძლე ხელს ეყრდნობა.

ვინც არ მოისურვებს, მიატოვოს ყოველგვარი ცოდვა და ღვთის კურთხევა მთელი გულით ეძიოს, ვერც შეიძენს მას. ყოველი, ვინც უფლის აღთქმას ისე მტკიცედ და გულწრფელად დაეყრდნობა, როგორც ეს იაკობმა გააკეთა, მის მსგავსადვე გაიმარჯვებს. „განა ღმერთი არ დაიცავს თავის რჩეულთ, რომელნიც დღედაღამ მას შეჰღაღადებენ და არ იქნება სულგრძელი მათდამი? თქვენ გეუბნებით, მალე დაიცავს მათ" /ლუკ. 18:7,8/.

[203]

თავი 19 - იაკობის დაბრუნება ქანაანში

დაბადება 34; 35; 37

იორდანეს გადაკვეთით „მოვიდა მშვიდობით ფადან-არამიდან წამოსული იაკობი შექემ-ქალაქად, ქანაანის ქვეყანაში რომ არის". ასე უპასუხა უფალმა ბეთელში წარმოთქმულ ლოცვას, რომლითაც იაკობი სამშობლოში მშვიდობით დაბრუნებას სთხოვდა უზენაესს. ერთხანს იგი შექემის ველზე ცხოვრობდა. ეს სწორედ ის ადგილი იყო, სადაც თითქმის ასი წლის წინათ აბრაამი დაბანაკდა და აღთქმულ მიწაზე პირველი სამსხვერპლო აღმართა. „შეიძინა იაკობმა ას ცხვრად შექემის მამის, ხამორის ძეთაგან მინდვრის ნაწილი, სადაც კარავი ედგა. აღმართა იქ სამსხვერპლო და უწოდა მას: ელი - ღმერთი ისრაელისა" /დაბ. 33:18-20/. აბრაამის მსგავსად, იაკობმაც აღმართა თავისი კარვის მახლობლად ღვთის სამსხვერპლო, სადაც თავისი ოჯახის წევრებს იწვევდა დილისა და საღამოს ღვთისმსახურებაზე. იქვე ამოთხარა ჭა, რომელიც თითქმის ჩვიდმეტი საუკუნის შემდეგ მოინახულა იაკობის ძემ - მაცხოვარმა, სადაც პაპანაქება სიცხეში დაისვენა და განცვიფრებულ მსმენელთ უამბო იმ წყლის წყაროს შესახებ, „რომელიც საუკუნო სიცოცხლედ იდინებს" /იოან. 4:14/.

შექემში იაკობის ოჯახის ცხოვრება ძალადობითა და სისხლისღვრით დამთავრდა. მის ერთადერთ ქალიშვილს ნამუსი ახადეს და შეარცხვინეს. იაკობის ორი ვა-ჟი მკვლელობის თანამონაწილე გახდა და მთელი ქალაქი დაინგრა და განადგურდა ერთი გაუფრთხილებელი ყმაწვილის უკანონო საქციელისათვის შურისძიების გამო. და ამ საშინელ მოვლენათა გრძელი ჯაჭვი იმით დაიწყო, რომ „გავიდა დინა, ლეას ასული,

იქაური ქალიშვილების სანახავად", რითაც უღვთო ხალხთან ურთიერთობა მოინდომა. ის, ვინც სიამოვნებას უღვთოთა შორის ეძებს, სატანის ტერიტორიაზე ადგამს ფეხს და ცდუნების ხიფათს იტეხს თავს.

მართალია, იაკობის ვაჟების, სიმონისა და ლევის ვერაგულ სისასტიკეს თავისი საბაბი გააჩნდა, მაგრამ შექემის მკვიდრთა ამოხოცვით მათ მეტად მძიმე ცოდვა ჩაიდინეს. ისინი გულმოდგინედ უმალავდნენ თავიანთ განზრახვას იაკობს და შემდგომში, შურისგების ამ საშინელი ამბის გაგებამ თავზარი დასცა მას. შვილების სასტიკი საქციელით და მზაკვრობით განცვიფრებულმა პატრიარქმა წარმოთქვა მხოლოდ: „რატომ დამღუპეთ, რატომ შეაძულეთ ჩემი თავი ამ ქვეყნის მკვიდრთ... ცოტანი ვართ. შეიკრიბებიან ჩემს წინააღმდეგ და მომკლავენ, მეც დავიღუპები და ჩემი სახლიც". მაგრამ რა დიდი მწუხარებითა და ზიზღით გაიხსენა თითქმის ორმოცდაათი წლის შემდეგ ეგვიპტეში, სასიკვდილო სარეცელზე მწოლიარე პატრიარქმა თავისი ვაჟების სისხლიანი დანაშაული: „სიმონ და ლევი, ღვიძლი ძმები, ძალადობის ჭურჭელია მათი გული! მათ თათბირზე ნუმც მისულა ჩემი სული, მათ საკრებულოს ნუმც ზიარებულა ღირსება ჩემი!.. წყეულიმც იყოს მათი რისხვა, რადგან შეუპოვარია; და მათი გულისწყრომა, რადგან სასტიკია" /დაბ. 49:5-7/.

ამ შემთხვევამ დიდად დააფიქრა იაკობი. მისი ვაჟების ხასიათში ბოროტებამ და სიცრუემ იჩინა თავი. მის ბანაკში გაჩნდა კერპები და მის საკუთარ ოჯახშიც კერპთაყვანისმცემლობის ფესვების გადგმის საშიშროება შეიქმნა. მიაგებს თუ არა ღმერთი საზღაურს დამსახურებისამებრ და ჩაუგდებს თუ არა შურისგებისათვის გარშემომყოფ წარმართებს მის ოჯახს?

მაგრამ აქ მწუხარებითა და საზრუნავით გულდამძიმებულ იაკობს უფალმა უბრძანა, ამდგარიყო და ბეთელს წასულიყო. ამ სახელმა გაახსენა იაკობს არა მხოლოდ თავისი ხილვა ანგელოზთა შესახებ და უფლისაგან წყალობის აღთქმა,

[204]

[205]

არამედ ერთგულების ფიცი, რომელიც მან უფალს მისცა. მან გადაწყვიტა: სა-ნამ მისი ოჯახის წევრები ამ წმიდა ადგილისაკენ დაიძვრებიან, კერპთაყვანისმცემ -ლობის სიბილწისაგან უნდა განიწმიდონ. ამიტომ ბრძანა ბანაკში: „გაყარეთ უცხო ღმერთები, რომელნიცა გყავთ. განიწმიდენით და გამოიცვალეთ სამოსელი. ადექით და წავიდეთ ბეთელში, რომ სამსხვერპლო ავუგო იქ

ღმერთს, რომელმაც მისმინა გასაჭირში და ჩემთან იყო გზაზე, სადაც მივდიოდი".

კვლავ ღრმა მღელვარებით უამბო იაკობმა თავის ხალხს მისი ბეთელში პირველად წასვლის ამბავი: თუ როგორ დატოვა მამის სახლი და გაიქცა, რათა ხიფათს გასცლოდა და არ მომკვდარიყო; როგორ გამოეცხადა უფალი მაშინ ღამის ხილვაში. და როცა გაიხსენა, თუ რა საოცარი სიყვარული და ზრუნვა გამოიჩინა მის მიმართ მაშინ ღმერთმა, გულში სითბო ჩაეღვარა და შვილებმაც აღტაცება ვერ დამალეს ამ ყოვლისშემძლე, დაუმარცხებელი ძალის გამო. და იაკობმა მტკიცედ გადაწყვიტა, მოემზადებინა ისინი ცოცხალი ღმერთის თაყვანისცემისათვის, როცა ბეთელს მივიდოდნენ. „მიუტანეს იაკობს ყველა უცხო ღმერთი, ხელთ რომ ჰქონდათ და საყურეები, ყურებზე რომ ეკიდათ და დაფლა ისინი იაკობმა შექემთან მდგარი მუხის ქვეშ".

უფალმა ისე დააშინა იმ მიწის მკვიდრნი, რომ მათ არც კი უცდიათ, შური ეძიათ შექემში მომხდარი სისხლისღვრისათვის. მგზავრებმა სრულიად უვნებლად, მშვიდობით მიაღწიეს ბეთელს. აქ უფალი კვლავ გამოეცხადა იაკობს და თავისი აღთქმა განაახლა მასთან. „მაშინ აღმართა იაკობმა სვეტი იმ ადგილას, სადაც ღმერთი ელაპარაკა, სვეტი ქვისა".

ბეთელში იაკობს დიდი უბედურება შეემთხვა. გარდაიცვალა მისი დედის, რებეკას ძიძა, დებორა, რომელსაც მისი მამის ოჯახში დიდ პატივს სცემდნენ და რომელიც თან ახლდა თავის

ქალბატონს მესოპოტამიიდან ქანაანის ქვეყანაში მოგზაურობისას. იგი დიდხანს ცხოვრობდა მათ ოჯახში და ყველას უყვარდა. თვით იაკობისთვის მეტად ძვირფასი იყო ეს მოხუცი ქალი, მასთან ბავშვობის მოგონებები აკავშირებდა, განსაკუთრებით დედაზე, ასე ძლიერ და ნაზად რომ უყვარდა იგი. ისეთი დიდი და გულწრფელი იყო მწუხარება მისი სიკვდილის გამო, რომ მუხას, რომლის ქვეშაც იგი დამარხეს, ეწოდა „მუხა გლოვისა".

ბეთელი ხებრონიდან სულ რაღაც ორი დღის სავალზეა, მაგრამ იაკობს აქ დიდი მწუხარება დაატყდა თავს: მოკვდა რახელი, მისი ცოლი. თოთხმეტი წელი იმსახურა იაკობმა მისი გულისათვის და მხოლოდ მისდამი სიყვარული უმსუბუქებდა ამ მძიმე ჯაფას. თუ რა ღრმა და ძლიერი იყო ეს სიყვარული, იქიდანაც ჩანს, რომ დიდი ხნის შემდეგ, ეგვიპტეში, იაკობმა სიკვდილის წინ, როცა იოსები მივიდა მის სანახავად, წარსული გაიხსენა და თქვა: „ფადანიდან წამოსულს, მომიკვდა რახელი ქანაანის ქვეყნად, გზაში, ეფრათამდე არც ვიყავი მისული და დავმარხე იქ, ეფრათის გზაზე, სადაც ახლა ბეთლემია" /დაბ. 48:7/. თავისი ოჯახის მთელი ხანგრძლივი და მღელვარე ისტორიებიდან იაკობმა სიკვდილის წინ მხოლოდ რახელის სიკვდილი გაიხსენა.

რახელმა მეორე ვაჟი გააჩინა და, როცა კვდებოდა, დაარქვა ვაჟს სახელად ბენ-ყონი /ძე ჩემი ტკივილისა/, ხოლო მამამ უწოდა

ბენიამინი /ძე მარჯვენისა ანუ ძალა ჩემი/. რახელი იქვე დამარხეს და მის საფლავზე სვეტი აღმართეს.

ეფრათიდან გამგზავრების შემდეგ კვლავ სხვა მძიმე დანაშაულმა შებილწა იაკობის ოჯახი, რის შედეგადაც რეუბენს, როგორც პირმშოს, პირმშოობის უფლება, უპირატესობა და პატივი ჩამოერთვა.

და, როგორც იქნა, დასრულდა იაკობის მოგზაურობა. „მივიდა იაკობი მამამისთან, ისაკთან, მამრეში, ანუ ხებრონში, სადაც მდგმურობდნენ აბრაამი და ისააკი" და დარჩა იქ მამის სიკვდილამდე. უსინათლო, მძიმე დანაკარგით დამწუხრებული და დაუძლურებული ისააკისათვის ამდენი ხნის დაკარგული

[206]

[207]

შვილის ნაზი ყურადღება და თანაგრძნობა დიდი ნუგეშისცემა იყო.

იაკობი და ესავი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს მამის სასიკვდილო სარეცელთან. ოდესღაც უფროსი ძმა მოუთმენლად ელოდა ამ მომენტს, რათა შური ეძია, მაგრამ მას შემდეგ მისი გრძნობები დიდად შეიცვალა. სულიერი კურთხევის უპირატესობით ბედნიერმა იაკობმა მამის მთელი ქონება, ერთადერთი მემკვიდრეობა, რომელსაც აფასებდა და რისკენაც მიილტვოდა ესავი, ძმას დაუთმო. მათ აღარ ჰქონდათ სიძულვილი ან შური ერთმანეთის მიმართ, მაგრამ მაინც ცალ-ცალკე ცხოვრება არჩიეს. ესავი სეყირის მთისკენ გაემართა. ღმერთმა, რომელიც ასეთი უხვია თავის კურთხევაში, მიწიერი სიმდიდრის გარდა იაკობს ის სულიერი საგანძურიც უბოძა, რისკენაც ასე ილტვოდა იგი. იმდენად მდიდარი იყო ორივე ძმა, რომ „ვერ შეძლეს ერთად ცხოვრება, ვერ დაიტია ისინი ჯოგების სიმრავლის გამო მათი მდგმურობის ქვეყანამ". მათი დაშორიშორება მოხდა უფლის ნებით, რომელსაც განსაკუთრებული ჩანაფიქრი ჰქონდა იაკობის მიმართ. ვინაიდან ძმებს ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული რწმენა ჰქონდათ, უკეთესი იყო, ცალ-ცალკე ეცხოვრათ.

ესავსა და იაკობს ერთნაირი ცოდნა ჰქონდათ მიღებული ღმერთის შესახებ, ორივეს შეეძლო, დაეცვა უფლის მცნებები და მისი კურთხევა დაემსახურებინა; მაგრამ ერთ-ერთმა მათგანმა არ მოისურვა ამ გზით სიარული. ძმები სხვადასხვა გზას დაადგნენ და რაც დრო გადიოდა, ეს გზები სულ უფრო იყრებოდა.

უფლის მიერ გაკეთებული ეს არჩევანი მისი ახირებული სურვილი როდი იყო, რამაც ესავს კურთხევა წაართვა. პირიქით, უფალი თავის მადლს ქრის-ტეს მეშვეობით ყველას უანგაროდ სთავაზობს. თითოეული ადამიანი თავად აკეთებს არჩევანს, რომელიც ან გადაარჩენს, ან დაღუპავს. თავის სიტყვაში უფალმა წამოგვიყენა პირობები, რომელთა დაცვით ყოველ ადამიანს საუკუნო სიცოცხლე ეძლევა. ეს პირობები მისი მცნებების ქრისტეს რწმენით დაცვაში მდგომარეობს. უფალი უპირატესობას აძლევს მათ, ვისი ხასიათიც ჰარმონიულად ეწყობა მის რჯულს და ყოველს, ვინც მის დადგენილებათა ნორმებს დაემორჩილე -ბა, დიდების სასუფეველში შესვლის უფლება მიეცემა. ქრისტემ თავად ბრძანა: „ვისაც ძე სწამს, საუკუნო სიცოცხლე აქვს, ხოლო ურჩი ძისა ვერ იხილავს სიცოცხლეს" /იოან. 3:36/. „ვინც მეუბნება: უფალო, უფალო! ყველა როდი შევა ცათა სასუფეველში, არამედ ის, ვინც შეასრულებს ჩემი ზეციერი მამის ნება-სურვილს" /მათ. 7:21/. გამოცხადების წიგნში მაცხოვარი ამბობს: „ნეტარნი არიან, ვინც იცავს მის მცნებებს, რათა ჰქონდეთ უფლება სიცოცხლის ხეზე და კარიბჭეთი შევიდნენ ქალაქში" /გამოცხ. 22:14/. აი, ერთადერთი პრინციპი, რის საფუძველზეც, ღვთის სიტყვის თანახმად, გადარჩება ადამიანი.

საუკუნო სიცოცხლისათვის ამორჩეულია ყოველი ადამიანი, ვინც ღვთის შიშითა და კრძალვით შრომობს საკუთარი გადარჩენისათვის. ამორჩეულია ის, ვინც ფხიზლობს ლოცვებში, სწავლობს წმიდა წერილს და თავს არიდებს ცდუნებებს.

ამორჩეულია ის, ვინც შეინარჩუნებს მტკიცე რწმენას და ღვთის პირიდან გამოსულ ყოველ სიტყვას შეისმენს. ხსნა ეძლევა ყველას, მაგრამ შედეგით დატკბება მხოლოდ ამ პირობების შემსრულებელი.

ესავმა უარყო აღთქმის კურთხევები. მან დროებითი კეთილდღეობა მარადიულს არჩია და მიიღო ის, რისკენაც ისწრაფოდა. ღვთის ხალხისაგან გამოყოფა მან თავად მოიფიქრა და გადაწყვიტა. იაკობმა რწმენის მემკვიდრეობა ამჯობინა. იგი სხვადასხვა გზებით შეეცადა მის მიღებას: თვალთმაქცობით, ვერაგულად, სიცრუით. მაგრამ უფალმა დაუშვა, რომ ჩადენილი ცოდვა იაკობს გამოსწორებაში დახმარებოდა. და, მომდევნო წლებში, მისი მძიმე ცხოვრების მიუხედავად, არასოდეს დავიწყებია თავისი მიზანი. იგი მიხვდა, რომ მზაკვრობითა და ტყუილით ცდილობდა კურთხევის მიღებას, იგი უფლის

[208]

წინააღმდეგ მოქმედებდა. იაბოკის სანაპიროზე ღამის ბრძოლის შემდეგ იაკობი სრულიად შეიცვალა. მისი თვითდაჯერებულობა და ადრინდელი თვალთმაქცობა სადღაც გაქრა. მთელი მისი შემდგომი ცხოვრება ძველისაგან

უბრალოებითა და სიმართლით გამოირჩევა. მან ისწავლა ყოვლადძლიერის ხელზე დაყრდნობა და განსაცდელისა და მწუხარების ჟამს მორჩილად ენდობოდა უფლის ნებას. მისი ადრინდელი ხასიათი ცეცხლის ღუმელში გამოიწრთო, ჭეშმარიტი ოქრო მინარევებისაგან გაიწმინდა და მის ცხოვრებაში აბრაამისა და ისააკის რწმენა მთელი სისრულით აირეკლა.

იაკობის ცოდვას და მისგან გამოწვეულ მოვლენებს მრავალი სამწუხარო შედეგი მოჰყვა, რამაც მწარე ნაყოფი გამოიღო მისი ვაჟების ხასიათსა და ცხოვრებაში. მოწიფულობის ხანაში შესულ მის ვაჟებს მრავალი სერიოზული ნაკლი აღმოაჩნდათ. თავი იჩინა მრავალცოლიანობის შედეგმაც. ამ საშინელმა ბოროტებამ დააშრო ჭეშმარიტი სიყვარულის წყარო და შეასუსტა ყველაზე წმიდა კავშირები. დედების შური და ეჭვიანობა ოჯახის სიმშვიდეს არღვევდა; ბავშვები მოუთმენელნი და მოჩხუბარნი იზრდებოდნენ. და ოჯახის უფროსის ცხოვრება მწუხარებისა და ტანჯვის ჩრდილით იყო მოფენილი.

თუმცა მათ შორის იყო ერთი, რომელიც თავისი ხასიათით მათგან მკვეთრად გამოირჩეოდა, - რახელის უფროსი ვაჟი, იოსები, რომელშიც ერთმანეთს ჰარმონიულად შერწყმოდა იშვიათი გარეგნული სილამაზე და გონებისა და სულის მშვენიერება. აზრიანი, ენერგიული, მხიარული ჭაბუკი იმავდროულად მეტად სერიოზული და ზნეობრივად ამაღლებული იყო. იგი უსმენდა მამის დარიგებებს და

მორჩილად ასრულებდა უფლის მითითებებს. ზნეობრივი თვისებანი, რომლითაც იგი ასე გამოირჩეოდა შემდგომში, ეგვიპტეში ყოფნისას: კეთილშობილება, ერთგულება და სამართლიანობა, უკვე ვლინდებოდა მის ყოველდღიურ ცხოვრებაში. დედის სიკვდილის შემდეგ მთელი გრძნობები მან მამისკენ მიმართა და იაკობმაც მთელი გულით შეიყვარა ეს ნაგვიანევი შვილი. „სხვა შვილებზე მეტად უყვარდა" იაკობს იოსები.

მაგრამ ეს სიყვარულიც კი განხეთქილებისა და მწუხარების მიზეზი გახდა. იაკობმა დაუფიქრებლად გამოთქვა უპირატესობა იოსების მიმართ, რამაც შური გამოიწვია მის დანარჩენ შვილებში. იოსებს ძლიერ აღელვებდა მის მიმართ ძმების ასეთი სიძულვილი და ცდილობდა, რბილად შეეგონებინა ისინი, მაგრამ ეს უფრო აძლიერებდა მათ სიძულვილს და მისდამი ბოროტ განწყობას. მას არ შეეძლო, უსიტყვოდ ეცქირა, თუ როგორ სცოდავდნენ მისი ძმები ღმერთის წინაშე და ყველაფერი უამბო მამას იმ იმედით, რომ მამის ავტორიტეტი გონს მოიყვანდა მათ.

იაკობი მეტად ფრთხილობდა, რომ თავისი მკაცრი მოქცევით ან უხეში სიტყვით შვილების გულისწყრომა არ გამოეწვია. ღრმად შეწუხებული პატრიარქი ევედრებოდა მათ, პატივი ეცათ მისი ასაკისათვის და არ შეელახათ მამის სახელი, ყველაზე მეტად კი -

არ შეებღალათ უფლის სიწმიდე მისი მცნებების უგულებელყოფით.

საკუთარი ურჯულოების მხილებით შერცხვენილმა იაკობის ვაჟებმა თითქოს მოინანიეს თავიანთი საქციელი, მაგრამ, სინამდვილეში, ცოდვების გამოაშკარავე -ბით კიდევ უფრო გასასტიკებულ გულებში მზაკვრული გულისთქმანი ჩაიმარხეს.

იაკობის წინდაუხედავმა ნაბიჯმა - იოსებისთვის ეჩუქებინა ძვირფასი კვართი, რომელსაც, ჩვეულებრივ, წარჩინებული ადამიანები ატარებდნენ, - კიდევ ერთხელ დაამტკიცა იოსებისადმი მამის განსაკუთრებული ყურადღება და ძმებმა იფიქრეს, რომ მამა უფროს ვაჟებს გვერდს უვლის და რახელის ვაჟის პირმშოდ კურთხევა სურს. მათი ეჭვი უფრო გაძლიერდა, როცა ყმაწვილმა ერთხელ თავისი სიზმარი უამბო. "აჰა, ძნებს ვკონავთ შუაგულ

[209]

ყანაში, - თქვა მან, - აჰა, წამოდგა ჩემი ძნა და ზე აღიმართა. გარსშემოადგნენ თქვენი ძნები და თაყვანი სცეს ჩემს ძნას".

"ნუთუ ჩვენზე იმეფებ? ნუთუ პატრონად გაგვიხდები?" - წამოიძახეს რისხვითა და შურით ანთებულმა ძმებმა.

მალე მან სხვა სიზმარი ნახა, რომელიც ძალიან ჰგავდა პირველს და კვლავ უამბო ძმებს: "კვლავ დამესიზმრა სიზმარი: აჰა, მზე და მთვარე და თერთმეტი ვარსკვლავი მცემენ თაყვანს". ეს სიზმარიც ისევე ნაჩქარევად იქნა ახსნილი, როგორც პირველი. იქვე მყოფმა მამამაც კი უსაყვედურა იოსებს: "რა არის ეგ სიზმარი, რომ გესიზმრა? ნუთუ მე და დედაშენი და შენი ძმები უნდა გეახლოთ და თაყვანი გცეთ?" მიუხედავად იმისა, რომ გაკიცხა შვილი, იაკობმა ირწმუნა, რომ ღმერთი უჩვენებს სიზმარში თავის მომავალს იოსებს.

როცა ყმაწვილი ძმებს სიზმარს უყვებოდა, მისი სულიწმიდით გასხივოსნებული, მშვენიერი სახე ისეთ საოცარ ნათელს გამოსცემდა, რომ ძმები აღტაცებას ვერ მალავდნენ. მაგრამ მათ არ მოისურვეს ბოროტების გზის დატოვება და შეიძულეს სიწმიდე, რომელიც მარად ამხელდა მათ ცოდვებს. სულმა, რომლითაც კაენი ხელმძღვანელობდა, მათ გულში დაიბუდა.

საძოვრების მოსაძებნად ძმებს უხდებოდათ ადგილების გამოცვლა და ზოგჯერ თვეების განმავლობაში ვერ მოდიოდნენ ხოლმე სახლში. სწორედ ამიტომ გაემართნენ ისინი იმ ადგილისაკენ, რომელიც მამამ შექემისგან იყიდა. დრო გადიოდა და მათგან არაფერი ისმოდა. მამა წუხდა, რადგან კარგად იცოდა

თავისი შვილების შექემის მკვიდრთა მიმართ ადრინდელი სიძულვილის შესახებ. ამიტომ იოსებს დაავალა მათი მოძებნა, რათა დარწმუნებულიყო, რომ ძმებს ცუდი არაფერი შეემთხვათ. იაკობს ეჭვადაც რომ გაევლო გულში, თუ რაოდენ დიდი იყო ძმების სიძულვილი იოსებისადმი, არასდიდებით მას მარტო არ გაუშვებდა მათთან, მაგრამ ძმები გულმოდგინედ მალავდნენ თავიანთ ჭეშმარიტ გრძნობებს.

სიხარულით გამოეთხოვა იოსები მამას. არც მოხუცმა და არც ყმაწვილმა არაფერი იცოდა იმის შესახებ, თუ რამდენი რამ უნდა მომხდარიყო, სანამ ისინი კვლავ შეხვდებოდნენ ერთურთს. როცა ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ იოსები შექემში მივიდა, არც ძმები დახვდა და არც საქონელი. გამოიკითხა მათი გზები და დოთაინს გაემგზავრა. დაახლოებით ორმოცდაათი მილი ექნებოდა გავლილი. თხუთმეტამდე კი გასავლელი ჰქონდა. სულ დაავიწყდა დაღლილობა, მეტად ჩქარობდა, რადგან კარგად ახსოვდა, თუ როგორ ღელავდა მამა, თან ძმების ნახვაც ძლიერ სურდა, რადგან კვლავინდებურად უყვარდა ისინი, თუმცა გრძნობდა კი მათ გაუცხოებას.

ძმებმა დაინახეს შორიდან მომავალი იოსები. ვერც თანაგრძნობამ იმის გამო, რომ ასეთი გრძელი მანძილი გაიარა მათი გულისათვის, რომ ასე დაი-ღალა და მოშივდა კიდეც, ვერც სტუმართმოყვარეობისა და ძმური სიყვარულის ვალმა ვერ მოალბო სიძულვილით სავსე მათი გულები. იოსების

ტანსაცმელმა კი, რაც მამის უმცროსი შვილისადმი განსაკუთრებულ სიყვარულზე მოწმობდა, უკიდურესად განარისხა ძმები. "შეხედეთ, მოდის ეს მესიზმრე", - დაცინვით ეუბნებოდნენ ერთმანეთს. ახლა მიეცათ მათ სიძულვილის გადმონთხევისა და შურისძიების საშუალება, რასაც ამდენ ხანს გულში დაფარულად ატარებდნენ. "ახლა, მოდი, მოვკლათ, - თქვეს მათ, - და სადმე, ჭაში ჩავაგდოთ. ვთქვათ, ვითომ ნადირმა შეჭამა. მაშინ ვნახოთ, როგორ აუხდება სიზმრები".

რეუბენი რომ არა, ძმები სისრულეში მოიყვანდნენ თავიანთ ჩანაფიქრს. მას არ სურდა, ძმის მკვლელობის თანამონაწილე გამხდარიყო და შესთავაზა, ცოცხლად ჩაეგდოთ იოსები ჭაში და დაეტოვებინათ იქ, სანამ მოკვდებოდა. გულში კი გადაწყვიტა, როგორმე ეხსნა და მამასთან დაებრუნებინა იოსები.

[210]

[211]

დაითანხმა რა ძმები თავის წინადადებაზე, რეუბენმა დატოვა ისინი იმის შიშით, რომ ვერ შეძლებდა თავისი გრძნობების დამალვას და ძმები ჩანაფიქრს მიუხვდებოდნენ.

იოსები, გახარებული იმით, რომ მძიმე, ხანგრძლივი მოგზაურობის მიზანს უკვე მიაღწია, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, სიყვარულით მიუახლოვდა ძმებს. მაგრამ მისალმების ნაცვლად შურისძიების რისხვით ანთებული ძმების თვალები შემოეფეთა. იოსები დაიჭირეს და ტანსაცმელი შემოახიეს. და იოსები მიხვდა, რომ ძმების დამცინავი, მუქარით აღსავსე სიტყვები კარგს არაფერს უქადდა. მის თხოვნა-მუდარას ყურადღებას არავინ აქცევდა. იგი გონსგადასულ ადამიანთა ალყაში მოექცა. იოსები უხეშად წაათრიეს ღრმა ჭისკენ, ერთხელ კიდევ დარწმუნდნენ, რომ იქიდან ვერსად გაიქცევა და შიგ ჩააგდეს. დატოვეს იოსები ჭაში, რათა შიმშილით მომკვდარიყო იქ, თავად კი "დასხდნენ პურის საჭმელად".

მაგრამ ზოგიერთ მათგანს ამ საქციელმა მოსვენება დაუკარგა, რადგან შურისძიებამ ის კმაყოფილება ვერ მოუტანა, რასაც ელოდნენ. მალე შორიდან სავაჭრო ქარავანი გამოჩნდა. ესენი იყვნენ ისმაელიანები, რომლებიც იორდანეს მეორე მხარეს ცხოვრობდნენ, ახლა კი, სანელებლებითა და სხვადასხვა საქონლით დატვირთულნი, ეგვიპტეში მიემართებოდნენ სავაჭროდ. მათ დანახვაზე იუდამ ძმებს შესთავაზა, ამ ვაჭრებისათვის მიეყიდათ იოსები, რითაც სამუდამოდ გათავისუფლდებიან მისგან და, ამავე დროს, მის სისხლში ხელს არ გაისვრიან. "რადგან ჩვენი ძმაა, ჩვენი სისხლი და ხორცი", - თქვა მან. ამ წინადადებას ყველა დაეთანხმა და იოსები მაშინვე ჭიდან ამოიყვანეს.

ვაჭრების დანახვაზე იოსები ყველაფერს მიხვდა და საშინელებამ შეიპყრო. მონობას სიკვდილი ერჩივნა. სასოწარკვეთილი, ცრემლმორეული ევედრებოდა ხან ერთ და ხან მეორე ძმას, არ გაეყიდათ იგი, მაგრამ ამაოდ. ზოგი შეყოყმანდა, მაგრამ დაცინვის შიშმა აიძულა, გაჩუმებულიყო. ყოველი მათგანი გრძნობდა, რომ ღრმად შეტოპეს და უკან დასახევი გზა მოიჭრეს. იოსების გათავისუფლების შემთხვევაში, იგი აუცილებლად ყველაფერს მოუყვება მამას, - ფიქრობდნენ ისინი, - მამა კი არ აპატიებს მათ მისი საყვარელი შვილის მიმართ ასეთ საქციელს. სისასტიკემ გაიმარჯვა მათში და, იოსების ვედრების მიუხედავად, მიჰყიდეს იგი წარმართ ვაჭრებს. ქარავანი ადგილიდან დაიძრა და მალე თვალს მიეფარა.

რეუბენი დაბრუნდა ჭასთან, მაგრამ იქ ვერავინ აღმოაჩინა. სინდისის საშინელი ქენჯნით შეწუხებულმა ტანისამოსი შემოიხია და ძმების დანახვაზე წამოიძახა: "აღარსადაა ბავშვი. რა ვქნა ახლა, სად წავიდე?" შემდეგ, როცა იოსების ამბავი გაიგო და მიხვდა, რომ ვეღარაფრით უშველიდა, რეუბენი იძულებული გახდა, დანაშაულის კვალის დასაფარავად ძმებთან პირი შეეკრა. აიღეს იოსების კვართი, დაკლეს თხა და მოსვარეს მისი სისხლით კვართი, მივიდნენ მამასთან და განუცხადეს, რომ ეს ტანსაცმელი მინდორში ნახეს. უთხრეს: "ნახე, შენი შვილის კვართი ხომ არ არის?" იქნებ ეს ჩვენი ძმის სამოსელია? მათ წარმოდგენილი ჰქონდათ ეს მომენტი და შიშით ელოდნენ ამ წუთის დადგომას, მაგრამ მაინც

მოუმზადებელნი ჩანდნენ საკუთარი თვალით ეხილათ მამის სულისშემძვრელი მწუხარება და სასოწარკვეთილება. "ჩემი შვილის კვართია! ნადირს შეუჭამია, ნადირს დაუგლეჯია იოსები!" ამაოდ ცდილობდნენ მისი ვაჟები და ასულები იაკობის ნუგეშისცემას. "ტანზე შემოიხია იაკობმა, ჯვალო შემოირტყა წელზე და დიდხანს გლოვობდა შვილს". დრომ ვერ განკურნა მისი წყლულები. "მგლოვიარე ჩავალ ჩემს შვილთან შავეთში!" ისმოდა გულგამგმირავი გოდება მისი. შვილები თავზარდაცემულნი იყვნენ საკუთარი ნამოქმედარის გამო და მაინც, მამის საყვედურების შიშით, დაფარეს თავიანთი დანაშაული, რომელიც თავადაც უდიდეს ცოდვად მიაჩნდათ.

[212]

თავი 20 - იოსები ეგვიპტეში

დაბადება 39-41

ამასობაში იოსები თავის ახალ პატრონებთან ერთად ეგვიპტეში მიემგზავრებო -და. როცა ქარავანი სამხრეთით, ქანაანის საზღვრებისაკენ მიიწევდა, ყმაწვილი შორიდან ხედავდა ბორცვებს, სადაც მისი მამის კარვები იყო გაშლილი. და მწარედ

ატირდა იგი, მიტოვებული, დამწუხრებული, საყვარელი მამის გახსენებაზე. დოთაინში მომხდარმა ამბავმა კვლავ გაუელვა და გაახსენდა ძმების განრისხებული სახეები და ბოროტი თვალები. კვლავ ჩაესმოდა თავის მხურვალე თხოვნაზე დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი პასუხები. შიშით ფიქრობდა თავის მომავალ-ზე. ბედის რა ცვალებადობაა - მამის საყვარელი შვილი საძულველ, უძლურ მონად იქცა! რამდენიმე ხანს იგი საშინელ დარდსა და მწუხარებაში ჩაიძირა.

მაგრამ, უფლის ჩანაფიქრით, ეს მწუხარებაც კურთხევად უნდა ქცეულიყო მისთვის. სულ რაღაც რამოდენიმე საათის განმავლობაში მან შეიცნო ის, რასაც წლების განმავლობაში ვერ შეძლებდა. მამის ნაზი, ძლიერი სიყვარული ცუდ სამსახურს უწევდა ყმაწვილს. მისდამი განსაკუთრებული სიყვარულის გამო მამა ყოველგვარ სურვილს უსრულებდა. ეს არაგონივრული უპირატესობა აღიზიანებდა იოსების ძმებს და საშინელი დანაშაულის ჩადენისაკენ უბიძგა მათ, რამაც იგი ოჯახს მოაშორა. შვილებისადმი მამის უსამართლო დამოკიდებუ -ლებამ მის ხასიათზეც იქონია ზეგავლენა. მისი ნაკლოვანი მხარეები, რომლებსაც ადრე იწონებდნენ, ახლა უნდა აღმოფხვრილიყო. ახლა მას უნდა შეეძინა და-მოუკიდებლობა და შეუპოვრობა. მამის ნაზ მზრუნველობას მიჩვეულს, უმძიმდა იმ სიძნელეების ატანა, რომლებსაც ხიზნისა და მონის მწარე ხვედრი უქადდა.

შემდეგ, თანდათანობით, მისი გონება მისი მამების ღმერთზე ფიქრმა გაანათა. სიყმაწვილიდანვე ასწავლიდნენ მას ღვთის შიშსა და სიყვარულს. მრავალჯერ სმენია მამამისის კარავში იაკობის სახლიდან გაქცევისა და მისი სიზმრის შესახებ, იმაზე, თუ რა აღთქმა დაუდო უფალმა იაკობს და როგორ აღსრულდა იგი მის ცხოვრებაში; თუ როგორ მოევლინენ გაჭირვების ჟამს ღვთის ანგელოზები, რათა შეეგონებინათ, ნუგეში ეცათ და დაეცვათ იგი. მას უამბობდნენ უფლის უსაზღვრო სიყვარულის შესახებ, რომლის წყალობითაც კაცობრიობას გამომსყიდველი მოევლინება. ყველა ეს ძვირფასი გაკვეთილი გაცოცხლდა ახლა მის მეხსიერებაში. იოსებს სჯეროდა, რომ მისი მამების ღმერთი მისი ღმერთიც იქნებოდა. იგი სრულად მიენდო უფალს და ლოცვით შესთხოვა, რომ ისრაელის მფარველს არ მიეტოვებინა იგი უცხო მიწაზე.

უდიდესი ღვთისმოშიშობით დაისახა მან ცხოვრების დიადი მიზანი - ნებისმიერ ვითარებაში დარჩენილიყო უფლის ერთგული და ისე ემოქმედა, როგორც ეს ზეციური მეფის ქვეშევრდომს შეეფერება; მთელი გულით ემსახურა უფლის წინაშე, მედგრად დახვედროდა განსაცდელს და გულმოდგინედ შეესრულებინა ყოველგვარი მოვალეობა. ამ ერთმა დღემ სრულიად შეცვალა იოსების ცხოვრება, იმ საშინელმა დღემ, რომელმაც ცხოვრებისაგან განებივრებული ყმაწვილი მეტად სერიოზულ, მამაც და გამძლე მამაკაცად აქცია.

ეგვიპტეში ჩასვლისთანავე იოსები ფოტიფარს, ფარაონის კარისკაცს მიჰყიდეს, რომელსაც იოსები ათი წლის განმავლობაში ემსახურებოდა. აქ მას მეტად უჩ-ვეულო გამოცდის გადატანა მოუხდა. იგი წარმართთა გარემოცვაში ცხოვრობდა. კერპთაყვანისმცემლობა, რაც ასე კარგად ესადაგებოდა მეფის სასახლის ფუფუნე-ბას, იმდროინდელი ცივილიზებული სამყაროს - მდიდარი და მაღალგანვითარებუ - ლი ერების ძირითადი რელიგია იყო. მაგრამ იოსებმა უბრალოება და ღვთისადმი

[213]

[214]

ერთგულება შეინარჩუნა. ყოველი მხრიდან ესმოდა მას ცდუნების მომხიბლავი ხმა, მაგრამ იგი ყურს იყრუებდა და თვალს იბრმავებდა. იგი არ აძლევდა საკუთარ თავს უფლებას, ეფიქრა ამ აკრძალულ და მისთვის მიუღებელ მანკიერებაზე. მას არ დაუმალავს თავისი რწმენა, თუმცა დიდი სურვილი ჰქონდა, ეგვიპტელთა კეთილგანწყობა მოეპოვებინა. ამის გაკეთება რომ ეცადა, ცდუნების მსხვერპლი გახდებოდა. მას არ რცხვენოდა

თავისი მამების რწმენის და არასოდეს უცდია, დაემალა თავისი ერთგულება იეჰოვას მიმართ.

„უფალი იყო იოსებთან და ყველაფერში ხელი ჰქონდა მომართული... დაინახა მისმა ბატონმა, რომ უფალი იყო მასთან და რომ ყველა საქმეში ხელს უმართავდა უფალი". დღითი დღე უფრო მეტად ენდობოდა ფოტიფარი იოსებს და ბოლოს თავისი სახლის ზედამხედველად დააყენა, „მიანდო მთელი თავისი საბადებელი იოსებს და, ვიდრე იოსები მასთან იყო, სმა-ჭამის გარდა, სხვა საზრუნავი არაფერი ჰქონია".

ის საოცარი წარმატებები, რომლებიც ყველა საქმეში თან სდევდა იოსებს, რაიმე სასწაულის შედეგი არ ყოფილა: მისი შრომისმოყვარეობა, მზრუნველობა და ძალა უფლისგან იყო კურთხეული. თავის ყოველ წარმატებას იოსები უფლის წყალობად მიიჩნევდა, რასაც თვით მისი წარმართი ბატონიც კი მისი უჩვეულო გამდიდრების საიდუმლოდ აღიარებდა. მიზანდასახული გულმოდგინების გარეშე წარმატების მოპოვება შეუძლებელია. ღმერთი განდიდდა თავისი მსახურის ერთგულებით. უფლის მიზანი იყო, კერპთაყვანისმცემლობისათვის დაეპირისპირებინა თავისი მსახურის სიწმიდე და პატიოსნება, რათა ზეციური წყალობის ნათელი წარმართთა შორისაც აკიაფებულიყო.

იოსების დამთმობმა ხასიათმა და პატიოსნებამ დაიპყრო ფარაონის კარისკაცის გული, რომელიც ახლა უკვე მასში

ხედავდა არა მონას, არამედ - შვილს. რადგან მაღალი წრის საზოგადოებასა და სწავლულებთან უხდებოდა ურთიერთობა, ჭაბუკმა ადვილად შეისწავლა ენები, შეიძინა საჭირო ცოდნა მეცნიერებისა და ვაჭრობის სფეროში და ამგვარად მიიღო ეგვიპტის მმართველისათვის საჭირო განათლება.

მაგრამ იოსების უმწიკვლობასა და რწმენას ცეცხლოვანი გამოცდა ელოდა. მისი ბატონის ცოლი შეეცადა, მოეხიბლა ჭაბუკი და უფლის გზიდან გადაეცდინა იგი. აქამდე ვერ შებილწა იოსები ამ წარმართული ქვეყნის უწმიდურებამ. მაგრამ რაოდენ მოულოდნელი, ძლიერი და მომხიბლავია ეს ცდუნება - როგორ აღუდგეს მას? იოსებს კარგად ესმოდა, თუ რა მოჰყვებოდა ქალის ნებისადმი დაუმორჩილებლობას. ამ ნაბიჯის გადადგმის შემთხვევაში მას ჯილდო, მფარველობა და უდიდესი წყალობა ელოდა, წინადადების უარყოფით კი - სირცხვილი, საპყრობილე და, შესაძლოა, სიკვდილიც. ახლა მთელი მისი მომავალი სწორი გადაწყვეტილების მიღებაზეა დამოკიდებული. გაიმარჯვებს კი სიმართლე? შეინარჩუნებს კი იოსები ღვთის ერთგულებას? უჩვეულო მღელვარებით ადევნებდნენ თვალს ანგელოზები ყველა მის ქმედებას.

იოსების პასუხმა დაამტკიცა რელიგიური პრინციპებისადმი მისი ერთგულება. მას არ შეეძლო თავისი მიწიერი ბატონის ნდობის გამტყუნება. და, რაც არ უნდა მოხდეს, თავისი ზეციური მბრძანებლის ერთგული დარჩება. ბევრი ადა-მიანი

ძალზე ხშირად ნებას აძლევს საკუთარ თავს, ყოვლისმხილველი ღმერთისა და წმიდა ანგელოზთა წინაშე გააკეთოს ის, რასაც თავის მეგობართა წინაშე ვერ გაბედავდა. იოსები კი, უპირველესად, ღმერთზე ფიქრობდა. „როგორ ჩავიდინო ეს დიდი ბოროტება და შევცოდო ღმერთს?" - წარმოთქვა მან.

ჩვენ რომ ყოველთვის გვახსოვდეს, რომ ღმერთი ისმენს და ხედავს ჩვენს ყოველ სიტყვას და საქმეს, იმახსოვრებს მათ და შემდგომში, ყოველივე წინ დაგვიდგება, მაშინ ღვთის შიში გვექნებოდა და არ შევცოდავდით. დაე,

[217]

ახალგაზრდებს ყოველთვის ახსოვდეთ: სადაც არ უნდა იმყოფებოდნენ და რასაც არ უნდა აკეთებდნენ, ღმერთი ყველაფერს ხედავს. არც ერთი ჩვენი ქცევა არ რჩება შეუმჩნეველი; ვერაფერს დავუმალავთ უზენაესს. ადამიანური, თუმცა ზოგჯერ მეტად სასტიკი კანონები ხშირად ფარულად ირღვევა და დამნაშავენი დაუსჯელნი რჩებიან. მაგრამ სულ სხვაა უფლის რჯული. ყველაზე ბნელი ღამეც კი ვერ დაფარავს ცოდვილის დანაშაულს. შეიძლება ფიქრობს, რომ ვერავინ ხედავს, მაგრამ უჩინარი მოწმე თან დაჰყვება. თითოეული ადა-

მიანის გულისთქმასაც კი ამჩნევს უფლის თვალი. ადამიანის ყოველი საქმე, სიტყვა და აზრი ისე გულმოდგინედ აღინიშნება, თითქოს მხოლოდ ის ერთია დედამიწაზე და სხვა არავინ და მისკენაა ზეცის მთელი ყურადღება მიპყრობილი.

იოსების უარით შეურაცხყოფილმა კარისკაცის ცოლმა ამ საზიზღარ დანაშაულში თავად იოსებს დასდო ბრალი და იგი საპყრობილეში აღმოჩნდა. ფოტიფარს ცოლის ეს ცილისწამება რომ დაეჯერებინა, იოსებს სიკვდილი არ ასცდებოდა, მაგრამ ამ ებრაელი ჭაბუკის მოკრძალებული ხასიათი და პატიოსნება, ასე მკვეთრად რომ გამოარჩევდა მას სხვებისგან, მის უდანაშაულობაზე მეტყველებდა. მაგრამ ბატონის სახლის რეპუტაციის გადასარჩენად მას ჩამოერთვა პატივიც და თავისუფლებაც.

თავიდან საპყრობილის ზედამხედველნი ძლიერ სისასტიკეს იჩენდნენ იოსების მიმართ. მეფსალმუნე ამბობს: „გატანჯეს ბორკილებით ფეხნი მისნი, რკინა მისწვდა მის სულს. ვიდრე ასრულდებოდა ნათქვამი მისი, უფლის სიტყვამ გამობრძმედა იგი" /ფს. 104:18,19/. მაგრამ იოსების ჭეშმარიტი ხასიათი ბნელ დილეგშიც გამოვლინდა. მან მტკიცე რწმენა და მოთმინება შეინარჩუნა. მარ-თალია, წლების განმავლობაში მის ერთგულ მსახურებას ბოროტებით უპასუხეს, მაგრამ ამან არ გამოიწვია მასში სისასტიკე და უნდობლობა. რადგან იცოდა, რომ უდანაშაულო იყო, სრული სიმშვიდე შეინარჩუნა და სრულად მიენდო ღმერთს. ამ მარცხმა ვერ გატეხა იგი. დაივიწყა

საკუთარი მწუხარება და სხვების ნუგეშისმცემელი გახდა. საპყრობილეშიც კი მონახა თავისი საქმე. ძა-ლადობის, დესპოტიზმისა და დანაშაულის შედეგების ხილვამ ასწავლა სამართლი -ანობის, თანაგრძნობისა და მოწყალების გაკვეთილები, რაც აგრერიგად დაეხმარა მომავალში სახელმწიფო საქმეების ბრძნულად და სამართლიანად მართვაში.

თანდათანობით იოსებმა ციხის ზედამხედველთა ნდობა მოიპოვა და მალე „ჩააბარა საპყრობილის უფროსმა იოსებს ყველა პატიმარი, ვინც კი საპყრობილეში იყო". საპატიმროში მისი ცხოვრების წესმა: ყოველგვარი წვრილმანისადმი პატიოსანმა მიდგომამ, მწუხარეთა და სასოწარკვეთილთა თანაგრძნობამ, იოსებს სიმდიდრისა და პატივისაკენ გაუხსნა გზა. სინათლის ყოველი სხივი, რომლითაც სხვებს ვათბობთ, ჩვენშივე აირეკლება. ყოველი კეთილი და თბილი სიტყვა, რომლითაც ტანჯულთ ვანუგეშებთ, ყოველი მცდელობა ტუსაღის ხვედრის შესამსუბუქებლად, გაჭირვებულისათვის გაცემული ყოველი ძღვენი კურთხევად ექცევა მას, ვინც ამას სუფთა გულით აკეთებს!

საპყრობილეში იმ დროს მეფის მწდეთუხუცესი და მეპურეთუხუცესი იმყოფებოდნენ და იოსები ზედამხედველობას უწევდა მათ. ერთხელ, გათენებისას, იოსებმა ისინი დამწუხრებულნი ნახა და თანაგრძნობით

გამოჰკითხა მიზეზი. გამოირკვა, რომ ორივემ უჩვეულო სიზმარი ნახა და ძლიერ სურდათ, გაე-გოთ მათი მნიშვნელობა. „განა ღვთისგან არ არის ახსნა? - ანუგეშა იოსებმა. - აბა, მიამბეთ". ორივეს აუხსნა სიზმრის მნიშვნელობა იოსებმა: სამი დღის შემდეგ მწდეთუხუცესი დაუბრუნდება თავის ადრინდელ სამსახურს და კვლავინ-დებურად მიართმევს ფარაონს თასით ღვინოს, მეპურეთუხუცესს კი სასიკვდილო განაჩენს გამოუტანენ. მართლაც, ყველაფერი იოსების სიტყვისამებრ მოხდა.

ფარაონის მწდე დიდად მადლიერი იყო იოსებისა სიზმრის ახსნისათვის,

[218]

[219]

კეთილი სიტყვისა და გამხნევებისათვის. პასუხად იოსებმა გაანდო თავისი ამბავი; რომ უსამართლოდ ჩააგდეს დილეგში და მოკრძალებით სთხოვა, კეთილი სიტყვით დახმარებოდა მას ფარაონის წინაშე. „გამიხსენე, - უთხრა მან, - როდესაც კარგად გექნება საქმე; მიყავი სიკეთე და გაახსენე ჩემი თავი ფარაონს და

გამომიყვანე ამ სახლიდან. რადგან მომიპარეს ებრაელთა ქვეყნიდან და აქაც არაფერი ჩამიდენია ისეთი, ამ დილეგში რომ ჩავეგდე". მწდეთუხუცესის სიზმარიც ისევე ახდა, როგორც იოსებმა ახსნა, მაგრამ მას სრულიად დაავიწყდა თავისი კეთილისმყოფელი. კიდევ ორი გრძელი წელიწადი გაატარა იოსებმა საპყრობილეში. გულში წამით ანთებული იმედი თანდათან უქრებოდა და სხვა მწუხარებასთან ერთად ადამიანური უმადურობის სიმწარეც ემატებოდა.

მაგრამ ღვთიური ხელი უკვე გამოწვდილი იყო დილეგის კარის გასაღებად. ერთხელ, ღამით ეგვიპტის ფარაონმა ნახა ორი თითქმის ერთნაირი სიზმარი, რომელიც, მისი აზრით, რაღაც დიდი უბედურების მომასწავებელი უნდა ყო-ფილიყო. მან თავად ვერ ახსნა მათი მნიშვნელობა და დიდად შეწუხდა. მისი სამეფოს ბრძენკაცებმა და მისნებმაც ვერ ახსნეს ისინი. მეფის სასოწარკვეთილებამ და მღელვარებამ უფრო იმატა და მთელი სასახლე შიშმა მოიცვა, რამაც მწდეთუხუცესს თავისი სიზმარი და, მასთან ერთად, იოსები გაახსენა. და დიდად შეწუხდა იგი თავისი გულმავიწყობისა და უმადურობის გამო. მაშინვე უამბო მეფეს თავისი და მეპურეთუხუცესის სიზმარი და ისიც აუწყა, თუ როგორ ზუსტად აუხდათ ტუსაღი ყმაწვილი ებრაელის წინასწარმეტყველება.

თუმცა მეტად დამამცირებელი იყო ფარაონისათვის, რომელსაც თავის სამფლობელოში უამრავი მისანი და ბრძენი ჰყავდა, სიზმრის ასახსნელად უცხოსთვის, თანაც მონისათვის

მიემართა, მაგრამ იგი მზად იყო, ყველაფერი ეღონა, ოღონდ სულიერი სიმშვიდე დაებრუნებინა. დაუყოვნებლივ უხმეს იოსებს. იგი გაიპარსა, რადგან საპყრობილეში ყოფნისას ძალიან გაეზარდა თმა, „სამოსელი გამოიცვალა და წარუდგა ფარაონს".

„უთხრა ფარაონმა იოსებს: სიზმარი მესიზმრა, მაგრამ არვინაა მისი ამხსნელი. შენზე გავიგე, თუ სიზმარს მოისმენს, ახსნა შეუძლიაო. მიუგო იოსებმა ფარაონს და უთხრა: მე რა შემიძლია? ღმერთი ინებებს ფარაონის მშვიდობას". ამ სიტყვებით იოსებმა გამოხატა თავისი თავმდაბლობა და ღვთის რწმენა. მან ეს სიბრძნე თავისად არ მიიჩნია და მორჩილად თქვა: „მე რა შემიძლია". მხოლოდ უფალს ძალუძს ამ საიდუმლოთა ახსნა.

მაშინ ფარაონმა უამბო თავისი სიზმრები: „მესიზმრა, აჰა, ვდგავარ ნილოსის პირას. აჰა, ამოდის ნილოსიდან შვიდი ხორცსავსე და ლამაზი ძროხა და ლერწმიანში ბალახობს. აჰა, სხვა შვიდი ძროხა, უძლური, მეტისმეტად უგვანო და ხორცდაყრილი ამოჰყვა მათ; მთელს ეგვიპტეში მათზე უგვანი არაფერი მინახავს. შეჭამეს ხორცდაყრილებმა და უგვანმა ძროხებმა ის შვიდი ხორცსავსე ძროხა. შევიდნენ მათ მუცელში, მაგრამ არ ეტყობოდათ, რომ მათ მუცელში იყვნენ შესულნი, ისეთივე მჭლენი დარჩნენ, როგორც მანამდე იყვნენ. და გამეღვიძა. ვიხილე სიზმრად: აჰა, შვიდი თავთავი ამოდის ერთ ღეროზე, სავსე და საღი. აჰა, კვლავ შვიდი თავთავი,

გამომშრალი აღმოსავლეთის ქარით, ფშუტე და ხორშაკისგან დახრუკული აღმოცენდა მას შემდეგ. ჩაყლაპეს თავთავებმა შვიდი საღი თავთავი. ვუამბე მისნებს, მაგრამ შემტყობარი არავინ იყო".

„უთხრა იოსებმა ფარაონს: ერთი და იგივეა ფარაონის სიზმრები. რის ქმნასაც ღმერთი აპირებს, თავად ამცნო ფარაონს... აჰა, მოვა შვიდი უხვმოსავლიანი წელიწადი მთელს ეგვიპტის ქვეყანაში. მას შემდეგ დადგება შვიდი მოუსავლიანი წელიწადი, გაქრება ბარაქა ეგვიპტეში და შიმშილი

[220]

გააჩანაგებს ქვეყანას. წინანდელი ბარაქის კვალიც არ დარჩება ქვეყანაზე ამ შიმშილის ხანს, რადგან მეტისმეტად მძიმე იქნება იგი. ორგზის რომ გაუმეორდა სიზმარი ფარაონს, ნიშნავს: გადაწყვეტილია ღვთისგან ეს საქმე და ღმერთი დაუყოვნებლივ აღასრულებს მას. ახლა, გამოძებნოს ფარაონმა გონიერი და ბრძენი კაცი და დაუყენოს ეგვიპტის ქვეყანას. ასე ქნას ფარაონმა: ზედამხედველები განაწესოს ქვეყანაში, რათა მეხუთედი ახდევინონ ეგვიპტის ქვეყანას შვიდი მოსავლიანი წლის მანძილზე. დააგროვონ ამ მომავალი ბედნიერი წლების მთელი

საზრდო, დაახვავონ ხორბალი ფარაონის გამგებლობაში, ქალაქთა საზრდოდ და შეინახონ. იყოს ეს საზრდო მარაგად ქვეყნისათვის შვიდი მოუსავლიანი წლის მანძილზე, ეგვიპტის ქვეყანაში რომ დადგება, რათა ქვეყანა შიმშილით არ ამოწყდეს".

იმდენად ბრძნული და ლოგიკური იყო სიზმრის განმარტებაც და იოსების რჩევაც, რომ მისი უტყუარობა ეჭვს არ იწვევდა. მაგრამ ვის შეიძლება მიანდო ეს საქმე? სწორ არჩევანზე იყო დამოკიდებული ადამიანთა სიცოცხლე. შეწუხდა მეფე და ამ მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშვნის საკითხი სასახლეში კიდევ ერთხანს განიხილებოდა. მწდეთუხუცესისგან გაიგო ფარაონმა, თუ რა ბრძნულად და გონივრულად უძღვებოდა იოსები თავის საქმეს საპყრობილეში ზედამხედველად მუშაობის დროს. ცხადი იყო, რომ იოსებს ორგანიზატორის მეტად დახვეწილი ნიჭი გააჩნდა. მწდე, რომელსაც დიდად რცხვენოდა წარსულში თავისი უმადურობის გამო, ახლა მეტად თბილად იხსენებდა თავის კეთილისმყოფელს და ცდილობდა, დანაშაული გამოესყიდა. და შემდგომში მეფის მიერ იოსების შესახებ მოპოვებულმა ცნობებმა დაამტკიცა მწდეთუხუცესის სიტყვები. მთელს ეგვიპტეში მხოლოდ იოსებმა შეძლო, ეწინასწარმეტყველა თავისი სიბრძნით იმ საფრთხის შესახებ, რომელიც სახელმწი - ფოს ემუქრებოდა და სათანადო ზომები მიეღო მის თავიდან ასაცილებლად. და ფარაონმა იფიქრა, რომ მხოლოდ იოსები შეძლებდა ამ შემოთავაზებული გეგმის განხორციელებას. ცხადი იყო, რომ ღვთიური ძალა ამოძრავებდა და რომ მეფის კარის მსახურთა შორის არავინ იყო ისეთი, ვინც სახელმწიფო საქმეებს

წარმატებით წარუძღვებოდა ამ ძნელბედობის ჟამს. ის, რომ იოსები იყო ებრაელი და თანაც მონა, სრულიად უმნიშვნელო იყო მის უდიდეს სიბრძნესა და ჯანსაღ აზროვნებასთან შედარებით. „ისეთ კაცს თუ ვიპოვით, ვისშიც ღვთის სული იქნება?" - უთხრა ფარაონმა თავის მორჩილთ.

გადაწყვეტილება მიიღეს და მალევე ამცნეს ამ მეტად მოულოდნელი დანიშვნის შესახებ იოსებს: „რაკი გაგიმხილა ღმერთმა ეს ყველაფერი, სხვა ვინ იქნება შენსავით გონიერი და ბრძენი? შენ იქნები ჩემი სახლის მოურავი და შენს სიტყვას დაემორჩილება მთელი ჩემი ხალხი; მხოლოდ ტახტით ვიქნები შენზე აღმატებული". შემდეგ კი ფარაონმა მისი მაღალი თანამდებობის შესაფერისად შემოსა იოსები. „წაიძრო ხელიდან ფარაონმა ბეჭედი და გაუკეთა ხელზე იოსებს; შემოსა ზეზის შესამოსელით და ოქროს ძეწკვი ჩამოჰკიდა ყელზე. დასვა თავის მეორე ეტლზე და აცხადებდნენ მის წინაშე: „მუხლი მოიყარეთ!"

"დააყენა თავისი სახლის ბატონად და გამგებლად მთელი თავისი მონაგარისა. რათა მოქცეოდა მის თავადებს თავისი სურვილისამებრ და განებრძნო მოხუცებულ -ნი მისნი" /ფს. 104:21,22/. იოსები ბნელი დილეგიდან მთელი ეგვიპტის მმართველის სიმაღლემდე იქნა აყვანილი. ეს მეტად საპატიო თანამდებობა იყო. მაგრამ აქაც მრავალი სიძნელე და საფრთხე ელოდა. არავის შეუძლია დიდ სიმაღლეებზე ყოფნა რაიმე წინააღმდეგობების გარეშე. როგორც ქარიშხალი არ აზიანებს

უბრალო მინდვრის ყვავილთ მაშინ, როცა ძირფესვიანად თხრის მთის მაღლობებზე დიდებულად აღმართულ უზარმაზარ ხეებს, ასევე ხდება ზოგჯერ ერთ დროს

[221]

[222]

თავმდაბალი, მოკრძალებული, ღვთის ერთგული ადამიანის ცხოვრებაში, რომელიც მიწიერი დიდების მწვერვალზე ადის და ცდუნების მსხვერპლი ხდება. მაგრამ იოსები ისეთივე უბრალო დარჩა კეთილდღეობის დროს, როგორიც ძნელბედობის ჟამს იყო. ღვთის ერთგული დარჩა ფარაონის სასახლეში ყოფნისასაც, ისევე როგორც - საპყრობილეში. ნათესავებს და ახლობლებს,უფლის მორწმუნეთ მოშორებულ, წარმართთა ქვეყანაში უცხოდ და ხიზნად დარჩენილ იოსებს გულწრფელად სწამდა, რომ უფლის ხელი ხელმძღვანელობდა მას და მუდამ უფალზე დაყრდნობით, პატიოსნად ასრულებდა თავის მოვალეობას. ღვთისადმი იოსების მტკიცე რწმენამ ღრმად ჩააფიქრა ფარაონი და მისი მრჩევლები ცოცხალი ღმერთის არსებობის შესახებ; და თუმცა ისინი კვლავაც კერპთაყვანის - მცემლებად დარჩნენ, იმ პრინციპების პატივისცემა ისწავლეს,

რომლითაც თავის ცხოვრებაში დიდი იეჰოვას თაყვანისმცემელი ხელმძღვანელობდა.

საიდან ჰქონდა იოსებს ასეთი სიმტკიცე, პატიოსნება და სიბრძნე? სიყმაწვილიდანვე ასწავლეს მას, რომ მოვალეობა საკუთარ სურვილებზე უფრო მაღლა დგას. ყმაწვილის სიწმიდემ, ბავშვურმა რწმენამ და სულის კეთილშობილებამ მის შემდგომ საქმეებში ღირსეული ნაყოფი გამოიღო. უბრალო, წმიდა ცხოვრება ხელს უწყობს ფიზიკური და გონებრივი ძალების განვითარებას. უფალთან ურთიერთობა მის შემოქმედებასთან სიახლოვით, რწმენის მემკვიდრეთათვის მიცემულ უდიდეს ჭეშმარიტებებზე ფიქრი და მსჯელობა უფრო ამაღლებდა და აკეთილშობილებდა იოსების სულიერ სამყაროს და ისე უფართოვებდა გონებრივ შესაძლებლობებს, როგორც ამას ვერავითარი სხვა განათლება ვერ შეძლებდა. ცხოვრების ნებისმიერ საფეხურზე, დაბალი იყო იგი თუ მაღალი, დაკისრებული მოვალეობისადმი უდიდესმა პასუხისმგებლო - ბამ ღმერთის მიერ მისთვის წინასწარ განწესებული უდიდესი საქმის აღსრულების შესაძლებლობა მისცა. შემოქმედის ნებასთან ჰარმონიაში მყოფ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, ხელი შეუწყოს საკუთარ თავში წმიდა, კეთილშობილი ხასიათის ჩამოყალიბებას და განვითარებას. „უფლის შიშია სიბრძნე და ბოროტისგან განდგომაა შემეცნება" /იობ. 28:28/.

ძალიან ცოტას ესმის, რა გავლენა აქვს თითქოსდა უმნიშვნელო საქმეებს ხასიათის განვითარებაზე. ყველაფერს, რასაც

ვაკეთებთ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა გარემოება გვექმნება ჩვენი ერთგულების გამოსაცდელად და უფრო დიდი ამოცანების აღსრულებისათვის მოსამზადებლად. ჩვეულებრივ, ცხოვრებაში გამოვლენილი პრინციპულობა უყალიბებს ადამიანს მოვალეობის გრძნობას და იგი საკუთარ სურვილებზე მაღლა სწორედ მოვალეობის მოთხოვნებს დააყენებს. ამგვარად აღზრდილი პიროვნება არ დაიწყებს რყევას ლერწმის მსგავსად, რომელსაც ქარი ადვილად არხევს ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ. ასეთი ადამიანები მოვალეობის ერთგულნი არიან, რადგან საკუთარ თავში ერთგულებისა და სიმართლის ჩვევა გამოიმუშავეს: სულ უმნიშვნელო საქმის პატიოსნად შესრულებით მათ ეძლევათ ძალა უფრო დიდი საქმეების კეთებისათვის.

პატიოსნება ოფირის ოქროზე ძვირად ფასობს. უიმისოდ ვერავინ ავა მაღალ საფეხურზე. ასეთი ხასიათი ადამიანს მემკვიდრეობით არ გადაეცემა. შეუძლებელია მისი შეძენა. მაღალი ზნეობა და მშვენიერი სულიერი თვისებები შემთხვევითი არ არის. ყველაზე დიდი ნიჭიც კი კარგავს თავის ფასს, თუკი იგი არ ვითარდება. კეთილგონივრული ხასიათის ჩამოყალიბება - მთელი ცხოვრების საქმეა, რისი მოპოვებაც მხოლოდ გულმოდგინე და მტკიცე მცდელობის შედეგად შეიძლება. უფალი გვაძლევს შესაძლებლობებს, წარმატება კი მათ გამოყენებაზეა დამოკიდებული.

[223]

თავი 21 - იოსები და მისი ძმები

დაბადება 41:54-56; 42-50

მოსავლიანი წელიწადის დადგომისთანავე ქვეყანამ მოსალოდნელი შიმშილი -სათვის მზადება დაიწყო. იოსების ხელმძღვანელობით ეგვიპტის ყველა დიდ ქალაქში უზარმაზარი საწყობები აშენდა და ყველა ღონისძიება გატარდა უხვი მოსავლის შესანახად. ასე გრძელდებოდა შვიდი უხვმოსავლიანი წლის განმავლობაში მანამ, სანამ საწყობებში იმდენი პური არ მოგროვდა, რომ უკვე დათვლაც კი შეწყვიტეს.

შემდეგ კი, იოსების გაფრთხილების თანახმად, დადგა შიმშილის შვიდი წელიწადი. „დაიწყო შვიდი მოუსავლიანი წელიწადი, როგორც ნათქვამი ჰქონდა იოსებს. იყო შიმშილი ყველა ქვეყანაში, მაგრამ ეგვიპტის ქვეყნად იპოვებოდა პური. დაიმშა მთელი ეგვიპტის ქვეყანა და შეღაღადა ხალხმა ფარაონს, რათა მიეცა მისთვის პური. გამოუცხადა ფარაონმა მთელს ეგვიპტეს: მიდით იოსებთან და როგორც გეტყვით, ისე მოიქეცით. შიმშილი იყო მთელი დედამიწის ზურგზე. გააღო იოსებმა ყველა ბეღელი და დააპურა ეგვიპტელები".

შიმშილი იყო ქანაანის ქვეყანაშიც, განსაკუთრებით მწვავედ კი ქვეყნის იმ ნაწილში იგრძნობოდა, სადაც იაკობი ცხოვრობდა. როდესაც ეგვიპტეში არსებული უხვი მარაგის შესახებ შეიტყვეს, იაკობის ათმა ვაჟმა ამ ქვეყანაში საკვების საშოვნელად წასვლა გადაწყვიტა. ეგვიპტეში მისვლისას ისინი სხვებთან ერთად ქვეყნის ხელისუფალთან მიაგზავნეს. „იოსების ძმებიც მივიდნენ მასთან და მდაბლად თაყვანი სცეს". „იცნო იოსებმა თავისი ძმები, ხოლო მათ ვერ იცნეს იგი". მეფემ მას ებრაული სახელი წარმართულით შეუცვალა და ახლა ეგვიპტის ეს ახლანდელი მმართველი იმ ყმაწვილს სულ არ ჰგავდა, რომელიც ოდესღაც ისმაელიანებს მიჰყიდეს. მის წინაშე მორჩილად მდგარი ძმების დანახვამ იოსებს თავისი სიზმრები და მთელი მისი წარსული ცხოვრება გაახსენა. სხვების შეუმჩნევლად კვლავ ყურადღებით გადაავლო თვალი მთხოვნელთ და მათ შორის ბენიამინი ვერ აღმოაჩინა. იქნებ ისიც ამ ბოროტ ადამიანთა ვერაგული სისასტიკის მსხვერპლი გახდა? და გადაწყვიტა, სიმართლე გაეგო. „და უთხრა: მსტოვრები ხართ, ამ ქვეყნის სიშიშვლის დასაზვერად მოხვედით".

„უთხრეს: არა, ბატონო, პურის საყიდლად მოვედით შენი მორჩილნი. ერთი მამის შვილები ვართ ყველანი, პატიოსანი ხალხი ვართ. არ არიან მსტოვრები შენი მორჩილნი". იოსებს ძლიერ მოუნდა გაეგო, შემორჩათ თუ არა ძმებს ძველებური ქედმაღლობა და ამასთანავე, რაიმე თავისი ოჯახის შესახებ.

თუმცა ისიც მშვენივრად უწყოდა, რომ ძმებს შეეძლოთ მისი მოტყუება. მან კვლავ გაუმეორა ბრალდება, ისინი კი პასუხობდნენ: „თორმეტი ძმანი ვართ შენი მორჩილნი, ერთი მამის შვილები, ქანაანის ქვეყნის მკვიდრნი. უმცროსი ახლა მამასთანაა, ერთი აღარა გვყავს".

მმართველმა განაცხადა, რომ, ვინაიდან იგი არ არის დარწმუნებული მათი სიტყვების სიმართლეში და მათ კვლავ მსტოვრებად თვლის, ტოვებს მათ ეგვიპტეში, ერთ-ერთი მათგანი კი წავიდეს და მოიყვანოს უმცროსი ძმა. და თუკი ამ პირობებს არ შეასრულებენ, მათ დასჯიან, როგორც მსტოვრებს. მაგრამ ასეთ პირობას იაკობის ვაჟები ვერ დაეთანხმებოდნენ. ჯერ ერთი, ამ ხანგრძლივ მოგზაურობას დიდი დრო დასჭირდება, მათი ოჯახი კი შიმშილობს; მეორე - რომელი მათგანი შეძლებს ძმების საპყრობილეში დატოვებას და სახლში დაბრუნებას? რას ეტყვის მამას? ცხადია, მათ მოკლავენ ან სამუდამოდ

[224]

[225]

მონებად აქცევენ, ხოლო თუ ბენიამინი აქ ჩამოვა, ისიც მათ ხვედრს გაიზიარებს. და მათ ეგვიპტეში დარჩენა და ერთად ტანჯვა არჩიეს მამისათვის კიდევ ერთხელ ჭრილობის მიყენებას სახლში დარჩენილი ერთადერთი ვაჟის წამოყვანით. და ისინი, რა თქმა უნდა, დაატუსაღეს მხოლოდ სამი დღით.

ძმები ძლიერ შეიცვალნენ იოსების ეგვიპტეში ცხოვრების პერიოდში. თუკი ადრე შური, სიჯიუტე, სისასტიკე და შურისგება ამოძრავებდათ, ახლა, როცა მათაც უწია უბედურებამ, თავგანწირვა, ერთმანეთისა და მამის მიმართ ერთგულება გამოავლინეს. და, თუმცა ისინი სრულასაკოვანი მამაკაცები იყვნენ, ეტყობოდა, რომ მამის ავტორიტეტს დიდ პატივს სცემდნენ.

ეგვიპტის სატუსაღოში გატარებული სამი დღე ძმების წარსული ცოდვების მწარედ მონანიების მეტად მძიმე დღეებად იქცა. თუკი ბენიამინს არ მოიყვანენ, მათ მსტოვრობაში დასდებენ ბრალს, იმის იმედი კი არ ჰქონდათ, რომ მამას ბენიამინის გამოშვებაზე დაითანხმებდნენ. მესამე დღეს იოსებმა ძმები თავისთან იხმო. უკვე აღარ შეეძლო მათი აქ დაკავება, რამეთუ მამა და მისი ოჯახი, ალბათ, სულს ღაფავდნენ შიმშილისაგან. „ასე მოიქეცით და ცოცხლები დარჩებით, - უთხრა ძმებს, - ღვთისმოშიში კაცი ვარ მე. თუ პატიოსნები ხართ, დარჩეს თქვენი ერთი ძმა საპყრობილეში, სხვები წადით და მიუტანეთ პური თქვენიანებს. აქ მომიყვანეთ თქვენი უმცროსი ძმა, რათა დამტკიცდეს თქვენი ნათქვამი და აგცდეთ სიკვდილი". ძმები

დაეთანხმნენ ამ წინადადებას, თუმცა ეჭვობდნენ, რომ მამა ბენიამინს გამოუშვებდა. იოსები თარჯიმნის მეშვეობით ესაუბრებოდა ძმებს, რომლებმაც არ იცოდნენ, რომ ეგვიპტის მმართველს მათი ენა ესმოდა, ამიტომ თავისუფლად ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს მისი თანდასწრებით. ისინი იხსენებდნენ თავის დანაშაულს, თუ რა სასტიკად მოექცნენ საკუთარ ძმას იოსებს ერთ დროს: „მართლაც დამნაშავე ვართ ჩვენს ძმასთან, რადგან ვუყურებდით მის ტანჯვას და არ შევიბრალეთ, როცა გვევედრებოდა. ამიტომაც დაგვატყდა თავს ეს გასაჭირი". რეუბენმა გაიხსენა, თუ როგორ ცდილობდა იგი მაშინ დოთაინში იოსების გათავისუფლებას და უთხრა: „ხომ გეუბნებოდით, ბავშვის ცოდვაში ნუ ჩავდგებით-მეთქი. თქვენ კი არ დამიჯერეთ და, აჰა, ახლა მოგვეკითხა კიდეც მისი სისხლი". იოსები უსმენდა მათ საუბარს და ცრემლი ვერ შეიკავა. შემდეგ ბრძანა სიმონი შეებორკათ და საპყრობილეში წაეყვანათ. მისი არჩევანი სიმონზე შეჩერდა, რადგან სწორედ სიმონი იყო იოსების მიმართ ასეთი სასტიკი მოპყრობის მთავარი წამქეზებელი და წამომწყები.

იოსებმა გაათავისუფლა ძმები და ბრძანა, მოემარაგებინათ ისინი ხორბლით, „გადახდილი ვერცხლი მათ ვაშკარანებში საიდუმლოდ ჩაედოთ" და პირუტყვის საკვები გაეტანებინათ. გზაზე ერთ-ერთმა მათგანმა მოხსნა პირი ვაშკარანს და დაინახა თავისი ვერცხლი. ძლიერ გაუკვირდა და ყოველივე ძმებს შეატყობინა. ძმები დიდად შეწუხდნენ და განცვიფრებით ეკითხებოდნენ ერთმანეთს: „ეს რა გვიყო ღმერთმა?" რა იყო ეს:

ღვთის წყალობის ნიშანი თუ უფლის მიერ მოვლენილი უფრო დიდი სასჯელი მათი ცოდვებისათვის? კარგად იცოდნენ, რომ უფლისთვის ცნობილია მათი დანაშაული და ახლა ამისათვის სჯის მათ.

იაკობი მოუთმენლად ელოდა თავისი ვაჟების დაბრუნებას. როცა ისინი გამოჩნდნენ, მთელი ბანაკი შეიკრიბა მათი ნაამბობის მოსასმენად. ყოველი მათგანი საგონებელში ჩავარდა და შიშმა შეიპყრო: ეგვიპტის მმართველის მოქმედებაში, მათი აზრით, რაღაც ბოროტი განზრახვა იმალებოდა და მათი შიში გამართლდა, როცა ძმებმა თავიანთ ტომრებში ვერცხლით სავსე ტომსიკები აღმოაჩინეს. მოხუცმა მამამ სასოწარკვეთილებით შესძახა: „შვილები წამართვით, იოსები აღარ მყავს, სიმონი აღარ მყავს! ახლა ბენიამინი მიგყავთ; ყველაფერი მე დამატყდა თავს!" რეუბენმა მამას მიუგო: „ჩემი ორი შვილი მომიკალი,

[226]

[227]

თუ უკან არ მოგიყვანო! მე ჩამაბარე და მევე დაგიბრუნებ!" მაგრამ მისმა წამოსროლილმა სიტყვებმა ვერ დაამშვიდა იაკობი

და ასე უპასუხა: „ჩემს შვილს ვერ გაგატანთ, რადგან მკვდარია მისი ძმა და ესღა შემრჩა. რამე უბედურება შეხვდება გზაზე, სადაც მიდიხართ. გამწარებულს ჩაიყვანთ ჩემს ჭაღარას შავეთში!"

მაგრამ შიმშილი თანდათან უფრო ძლიერდებოდა; ეგვიპტიდან ჩამოტანილი ხორბლის მარაგი თითქმის სულ გამოილია. იაკობის ვაჟებისათვის ცხადი იყო, რომ ბენიამინის გარეშე ეგვიპტეში დაბრუნებას აზრი არ ჰქონდა. იმის იმედი, რომ იაკობი თავის გადაწყვეტილებას შეცვლიდა, სრულებით გაუქრათ. და უსიტყვოდ ელოდნენ ყოველივე ამის დასასრულს. უხუცესი ოჯახის წევრების ნაღვლიან თვალებში კითხულობდა მათ გაჭირვებას და სურვილს და ბოლოს განაცხადა: „გაბრუნდით, კიდევ გვიყიდეთ მცირედი საზრდო".

იუდამ უპასუხა: „მკაცრად გაგვაფრთხილა იმ კაცმა, თვალით არ დამენახოთ, თუ თქვენი ძმა თქვენთან არ იქნებაო. თუ გაგვაყოლებ ძმას, ჩავალთ და გიყიდით საზრდოს". შეამჩნია რა მამას ყოყმანი, მან განაგრძო: „გაგვატანე ყმაწვილი, ავდგებით და წავალთ, რომ ცოცხლები დავრჩეთ და არ დავიხოცოთ არც ჩვენ, არც შენ და არც ჩვენი წვრილშვილი". ძმაზე პასუხისმგებლობას იგი თავის თავზე იღებდა იმ შემთხვევაში, თუკი მამას შვილს ვერ დაუბრუნებდა.

ბოლოს იაკობი დათანხმდა და უბრძანა შვილებს, სამგზავროდ მომზადებულიყვ -ნენ და თან წაეღოთ ძღვენი ეგვიპტის

მმართველისათვის: „მცირეოდენი ბალსამონი, მცირეოდენი თაფლი, საკმეველი, შტახსი, ფსტა და ნუში. ერთიორად წაიღეთ ვერცხლი... თქვენი ძმაც წაიყვანეთ, ადექით და კიდევ წადით იმ კაცთან". გაემზადნენ იაკობის შვილები ამ სახიფათო მოგზაურობისათვის. მოხუცი მამა წამოდგა, ხელები ზეცისკენ აღაპყრო და ხმამაღლა წარმოთქვა: „ყოვლადძლიერი ღმერთი შეგეწიოთ, რათა წყალობა ნახოთ იმ კაცის თვალში და გამოგატანოთ ის მეორე ძმა და ბენიამინი. მე კი, თუ უშვილოდ დარჩენა მიწერია, დავრჩე უშვილო!"

დაბრუნდნენ ძმები ეგვიპტეში და წარდგნენ იოსების წინაშე. დიდად აღელდა იოსები თავისი ძმის, ბენიამინის, დანახვაზე, მაგრამ გულში ჩაიკლა თავისი გრძნობები და ბრძანა, სახლში მოეწვიათ ისინი სადილად. შეშინდნენ ძმები, რადგან იფიქრეს, რომ მმართველის სასახლეში მისვლისას პასუხს მოთხოვენ იმ ფულისათვის, რომელიც თავიანთ ვაშკარანებში აღმოაჩინეს. ისინი ფიქრობდნენ, რომ ეს ვერცხლი განგებ ჩაუდეს მათ ტომრებში, რათა ამ საბაბით ეგვიპტის სამუდამო მონებად ექციათ. სასოწარკვეთილმა ძმებმა რჩევა სთხოვეს იოსების სახლის მოურავს, უამბეს ეგვიპტეში თავისი ჩამოსვლის მიზეზი და საკუთარი უდანაშაულობის დასამტკიცებლად უჩვენეს ტომრებში აღმოჩენილი ფული, რომელიც უკანვე ჩამოიტანეს; ასევე ამცნეს, რომ ხორბლის საყიდელი ფულიც თან ჰქონდათ და ბოლოს დაუმატეს: „არ ვიცით, ვინ ჩაგვიდო ეს ვერცხლი ვაშკარანებში". უთხრა მათ მოურავმა: „მშვიდობა თქვენდა! ნუ გეშინიათ, თქვენმა ღმერთმა, მამათქვენის ღმერთმა ჩაგიდოთ

განძი ვაშკარანებში; მომივიდა თქვენი ვერცხლი". დამშვიდნენ ძმები, ხოლო სატუსაღოდან გათავისუფლებული სიმონის დანახვაზე ნამდვილად ირწმუნეს მათ მიმართ უფლის უდიდესი წყალობა.

და როცა მმართველი კვლავ შეხვდა მათ, ძმებმა საჩუქრები მიართვეს და „მიწამდე თაყვანი სცეს". კვლავ გაახსენდა იოსებს თავისი სიზმრები და სწრაფად იკითხა: „ხომ მშვიდობით არის მოხუცი მამათქვენი, ვისზეც მელაპარაკებოდით? ხომ ცოცხალია ჯერაც?" უთხრეს: „მშვიდობით არის შენი მორჩილი, ჯერაც ცოცხალია" და კვლავ მუხლი მოიყარეს მის წინაშე. შემდეგ ბენიამინზე გადაიტანა მზერა და იკითხა: „ეს ხომ არ არის თქვენი უმცროსი

[228]

ძმა, ვისზეც მელაპარაკებოდი? ...ღმერთი გწყალობდეს, შვილო ჩემო!" ვერ მოერია იოსები გულში აღძრულ ნაზ გრძნობებს, ვეღარაფერი თქვა, „ტირილი მოუნდა, გავიდა თავის ოთახში და იქ ატირდა".

გაიმაგრა თავი იოსებმა, დაბრუნდა და ყველანი სუფრას მიუსხდნენ. ქვეყანაში არსებული წესის თანახმად, ეგვიპტელები

არ ჭამდნენ უცხო ხალხთან, ამიტომ იაკობის ვაჟები ცალკე სუფრასთან დასვეს. იოსები, როგორც მის უმაღლეს თანამდებობას შეეფერებოდა, ცალკე ჭამდა და სხვა ეგვიპტელებიც ცალ-ცალკე მაგიდებთან ისხდნენ. სუფრასთან მსხდომ ძმებს დიდად გაუკვირდათ, როცა დაინახეს, რომ უგზავნიდა მათ იოსები თავისი სუფრიდან კერძს უფროს-უმცროსობის მიხედვით, „ბენიამინის კერძი ხუთჯერ მეტი იყო სხვების კერძზე".

ბენიამინის მიმართ ასეთი განსაკუთრებული პატივისცემის გამოჩენით იოსებს სურდა გაეგო, ჰქონდათ თუ არა ძმებს ისეთივე შური და სიძულვილი უმცროსი ძმის მიმართ, როგორიც ოდესღაც იოსების მიმართ გამოავლინეს. ძმები კვლავ თავისუფლად განაგრძობდნენ ერთმანეთში საუბარს, რადგან დარწმუნებული იყვნენ, რომ იოსებს მათი ენა არ ესმოდა. ამგვარად, იოსები ადვილად იგებდა ძმების ნამდვილ ზრახვებს, მაგრამ კვლავაც სურდა მათი გამოცდა და ამ მიზნით, სამშობლოში გამგზავრების წინ ბრძანა, თავისი ვერცხლის თასი უმცროსი ძმისთვის, ბენიამინისათვის, ჩაედოთ ტომარაში.

გახარებული ძმები უკან გაბრუნდნენ. თან წაიყოლეს სიმონი და ბენიამინი, ტომრები პურით აუვსეს და ყველას უხაროდა, რომ თავიდან აიცილეს საფრთხის მუქარა. მაგრამ ის იყო, ქალაქიდან უნდა გასულიყვნენ, რომ იოსების მოურავი დაეწია და მკაცრად ჰკითხა: „ბოროტებით რატომ გადაუხადეთ სიკეთე? ამით არის,

რომ სვამს ჩემი ბატონი; ამით არის, რომ მარჩიელობს. ცუდი საქმე გიქნიათ". სავარაუდოა, რომ ამ სასმისს გააჩნდა ნებისმიერი შხამის აღმოჩენის თვისება. იმ დროს ასეთი ჭურჭელი მეტად ძვირად ფასობდა, როგორც მოწამვლის თავიდან აცილების საშუალება.

მგზავრებმა მოურავის ბრალდებას ასე უპასუხეს: „რად ამბობს ბატონი ასეთ სიტყვებს? ღმერთმა დაიფაროს შენი მორჩილნი ამგვარი საქმისაგან. ხომ უკან დავაბრუნეთ ქანაანის ქვეყნიდან ვერცხლი, ჩვენს ტომრებში რომ ვიპოვეთ? ახლა როგორღა მოვიპარავდით შენი ბატონის სახლიდან ვერცხლს ან ოქროს? შენს მორჩილთაგან თუ ვინმეს აღმოაჩნდა თასი, მოკვდეს იგი, ხოლო დანარჩენები მონებად გავუხდებით ჩვენს ბატონს".

„უთხრა: ეგრე იყოს, როგორც თქვენ ამბობთ: ვისაც აღმოაჩნდება თასი, მონად გამიხდეს; დანარჩენი უდანაშაულო იქნებით", - გააფრთხილა მოურავმა.

მაშინვე დაიწყეს ძებნა. ,,საჩქაროდ ჩამოიღეს თავთავიანთი ტომრები და პირი მოხსნეს ტომრებს". მოჰყვა ჩხრეკას მოურავი, უფროსით დაიწყო და უმცროსით დაამთავრა. ბენიამინის ტომარაში აღმოჩნდა თასი.

სასოწარკვეთით შემოიხიეს ძმებმა სამოსელი და დამწუხრებულნი დაბრუნდნენ ქალაქს. მათივე სიტყვების თანახმად, ბენიამინი მონად უნდა დარჩენილიყო ეგვიპტეში. მოურავმა ისინი სასახლეში მიიყვანა. მმართველის წინაშე „პირქვე დაემხნენ" ძმები. „უთხრა იოსებმა: ეს რა გაგიკეთებიათ? როგორ ვერ მიხვდით, რომ ჩემნაირ კაცს მარჩიელობის ძალაც შესწევს?" ამით იოსებს მათგან საკუთარი ცოდვის აღიარების მოსმენა სურდა. მას არასოდეს უთქვამს, რომ ღვთიური ძალის პატრონია, მაგრამ ძალიან უნდოდა, ძმებს დაეჯერებინათ, რომ იოსებს მათი ცხოვრების ყოველი საიდუმლოს წაკითხვა შეუძლია.

„მიუგო იუდამ: რა ვუთხრათ ჩვენს ბატონს, რა ვთქვათ, რით ვიმართლოთ თავი? ღმერთმა უპოვა ბრალი შენს მორჩილთ; აჰა, მონები ვართ ჩვენი ბატონისა, ჩვენც და ისიც, ვის ხელშიც აღმოჩნდა თასი".

[229]

[230]

„უთხრა იოსებმა: ვერა, ვერ ვიზამ ასე. ვის ხელშიც აღმოჩნდა თასი, ის გამიხდეს მონად. დანარჩენები მშვიდობით დაბრუნდით მამათქვენთან".

მწუხარებისაგან თავზარდაცემული იუდა მმართველს მიუახლოვდა და შეღაღადა: „გევედრები, ჩემო ბატონო, სიტყვა ათქმევინე შენს მორჩილს; ნუ განურისხდები შენს მორჩილს, რადგან ფარაონის ტოლი კაცი ხარ". გულში ჩამწვდომი, მეტად ამაღელვებელი სიტყვებით აღუწერა მან მამის მწუხარება იოსების დაკარგვის გამო. არც ის დაუმალა, თუ როგორ არ უნდოდა მამას ბენიამინის ეგვიპტეში გაშვება, ვინაიდან თავისი საყვარელი ცოლის, რახელისაგან მხოლოდ ეს ერთი შვილიღა დარჩა მას. „ახლა რომ მივუვალთ მამაჩვენს და არ მივუყვანთ ყმაწვილს, - განაგრძო მან, - რომლის სულთანაც მისი სულია გადაფსკვნილი, დაინახავს, რომ არ არის ყმაწვილი და მოკვდება და გამწარებულს ჩავიყვანთ შენი მორჩილნი მამაჩვენის, შენი მორჩილის ჭაღარას შავეთში. რადგან შენმა მორჩილმა ჩავიბარე ეს ყმაწვილი მამისგან და ასე ვუთხარი: თუ უკან არ მომიყვანია, მთელი ჩემი სიცოცხლე შემცოდე ვიყო-მეთქი მამაჩემის წინაშე. ახლა, დარჩეს შენი მორჩილი შენს მონად ამ ყმაწვილის სანაცვლოდ, ყმაწვილი კი თავის ძმებს წაჰყვეს. როგორ მივიდე მამაჩემთან, თუ ყმაწვილი ჩემთან არ იქნება? ნუმც შევსწრებივარ უბედურებას, რაც მამაჩემს დაატყდება თავს!".

იოსებმა ძმების ჭეშმარიტი მონანიების ხილვით დიდი კმაყოფილება იგრძნო. იუდას კეთილშობილური სიტყვების

მოსმენის შემდეგ მან ბრძანა, ძმების გარდა ყველა გარეთ გასულიყო; თავი ვეღარ შეიკავა და შეჰყვირა: „იოსები ვარ. ცოცხალია ჯერ კიდევ მამაჩემი?"

შიშისა და განცვიფრებისაგან დამუნჯებული ძმები შესცქეროდნენ იოსებს. სახეზე დაბნეულობა ეტყობოდათ. ეგვიპტის მმართველი მათი ძმა იოსებია, რომლის მოკვლასაც ასე მზაკვრულად აპირებდნენ, შემდეგ კი ტყვედ გაყიდეს! გაახსენდათ მისთვის მიყენებული უზომო ტკივილი. ისიც გაიხსენეს, როგორ არ სურდათ მისი სიზმრების მოსმენა და მათი აღსრულება. ახლა კი, როცა სრულად აღსრულდა ეს სიზმრები მათივე მონაწილეობით და მთლიანად მის ხელში არიან, ეჭვგარეშეა, შურს იძიებს იოსები ყოველი მიყენებული ტანჯვისათვის.

შეცბუნებული ძმების დანახვაზე იოსებმა სიყვარულით უთხრა: „მომიახლოვ -დით!" მიუახლოვდნენ და უთხრა მათ იოსებმა: "იოსები ვარ, თქვენი ძმა, ეგვიპტეში რომ გამყიდეთ. ნუღარ იწუხებთ და ნურც თავს გაკიცხავთ, აქ რომ გამყიდეთ. თქვენი სიცოცხლის სახსნელად გამომგზავნა ღმერთმა". იოსები მიხვდა, რომ უკვე საკმარისად გაიტანჯნენ ძმები თავიანთი სისასტიკის გამო, შეეცადა, გაეფანტა და შეემსუბუქებინა მათი შიში და სულიერი ტანჯვა.

„რადგან ეს ორი წელი შიმშილია ქვეყანაში, - განაგრძო მან, - კიდევ ხუთი წელი არ იქნება ხვნა და მკა. გამომგზავნა ღმერთმა თქვენს წინაშე, რათა დაგარჩინოთ ამქვეყნად, სიცოცხლე შეგინარჩუნოთ და მოგიტანოთ დიდი საშველი. თქვენ კი არ გამოგიგზავნივართ აქ, არამედ ღმერთმა დამადგინა მამად ფარაონისა, მისი სახლის პატრონად და მთელი ეგვიპტის ქვეყნის განმგებლად. საჩქაროდ წადით მამაჩემთან და უთხარით: ასე ამბობს-თქო შენი შვილი იოსები: ღმერთმა დამადგინა მთელი ეგვიპტის პატრონად. ჩამოდი ჩემთან, ნუ დაყოვნდები-თქო. იცხოვრე გოშენის მხარეში; ახლოს იქნებით-თქო ჩემთან შენ და შენი შვილები, შენი შვილთა შვილები, შენი ცხვარ-ძროხა და მთელი შენი საბადებელი. აქ შეგინახავ-თქო, რადგან კიდევ ხუთი წელი გასტანს შიმშილი, რათა არ გაჩანაგდე შენი სახლითა და მთელი შენი საბადებლითურთ. აჰა, ხომ ხედავს თქვენი თვალი და ჩემი ძმის, ბენიამინის, თვალი, რომ ჩემი ბაგეებია, თქვენ რომ გელაპარაკებათ". „ყელზე

[231]

მოეხვია თავის ძმას, ბენიამინს და ატირდა; ბენიამინიც ტიროდა მის მკერდზე. სათითაოდ გადაკოცნა ძმები, ტიროდა და ეხვეოდა მათ. მხოლოდ ამის შემდეგ დაელაპარაკნენ ძმები". მათ მორჩილად აღიარეს თავისი დანაშაული და მიტევება სთხოვეს

ძმას. დიდხანს ინანიებდნენ ისინი თავის ცოდვას, დიდხანს ამხილებდა და სტანჯავდა მათ საკუთარი სინდისი და ახლა, ო, რარიგ გაიხარეს, ძმა რომ ცოცხალი იხილეს.

ეს ამბავი სწრაფად გავრცელდა ქვეყანაში და მეფის ყურამდეც მივიდა. იოსებისადმი უღრმესი მადლიერების გრძნობით გამსჭვალულმა ფარაონმა თავისი სიტყვით დაამტკიცა იოსების ძმებისადმი მიცემული დაპირება: „მოგცემთ ყოველივე საუკეთესოს ეგვიპტის მიწაზე". ძმებს უამრავი სანოვაგით დატვირთუ -ლი ურმები გაუმზადეს, მისცეს ყველაფერი, რაც ცოლ-შვილისა და მსახურთა გადმოსაყვანად დასჭირდებოდათ; „ბენიამინს მისცა სამასი ვერცხლი" და ყველაზე უხვად დაასაჩუქრა. იოსებს მაინც ეშინოდა, რომ გზაში ძმებს რაიმე კამათი არ მოსვლოდათ და გააფრთხილა: „ნუ იდავებთ გზაში".

იაკობის ვაჟები დაბრუნდნენ სახლში და მამას სიხარულით ამცნეს: „ცოცხალია შენი შვილი იოსები, მთელი ეგვიპტის განმგებელია". იაკობი განაცვიფრა ამ ამბავმა, ყურს არ უჯერებდა, მაგრამ, როცა დატვირთული ურმები და უკან დაბრუნებული ბენიამინი დაინახა, უჩვეულო მღელვარებით წარმოთქვა: „კმარა! ცოცხალია ჩემი შვილი იოსები! წავალ და ვნახავ, სანამ არ მოვმკვდარვარ".

კიდევ ერთი დამცირება უნდა გამოეცადა ათივე ძმას. ახლა აღიარეს მამის წინაშე დიდი ხნის წინათ ჩადენილი სასტიკი დანაშაული, რაც წლების განმავლობაში უწამლავდა სიცოცხლეს

მამასაც და ძმებსაც. იაკობს ვერ წარმოედგინა, რომ მისი შვილები ასეთ საშინელ საქმეს ჩაიდენდნენ, მაგრამ ნახა, რომ ბოლო კეთილია და მიუტევა და აკურთხა თავისი ცოდვილი შვილები.

მალე მამა-შვილნი თავისი ოჯახებით, ურიცხვი საქონლითა და ცხვრით, მსახურების თანხლებით ეგვიპტის გზას დაადგნენ. სასიამოვნო და სიხარულის მომგვრელი იყო მათთვის ეს გზა და როცა ბერშებაში მივიდნენ, პატრიარქმა სამადლობელი მსხვერპლი შესწირა უზენაესს და შეევედრა, რაიმე მოწმობა მიეცა მისთვის იმის შესახებ, რომ გზაში უფალი მასთან იქნებოდა. და აი, ღამის ხილვაში ღვთიური ხმა მოესმა: „ნუ გეშინია ეგვიპტეში ჩასვლის, რადგან იქ გაქცევ დიდ ხალხად. მეც ჩაგყვები ეგვიპტეში, მევე ამოგიყვან იქიდან".

აღთქმას - „ნუ გეშინია ეგვიპტეში ჩასვლის, რადგან იქ გაქცევ დიდ ხალხად" - უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. აღთქმა მიეცა აბრაამს, რომ მისი შთამომავლობა ცის ვარსკვლავებივით ურიცხვი იქნება. მაგრამ ღვთის რჩეული ერი ამ დრომდე ნელა მრავლდებოდა. ქანაანის ქვეყანა მაშინ ვერ დაიტევდა იმდენ ხალხს, რამდენიც უფალმა აღუთქვა პატრიარქს. იმ დროს იქ ძლიერი წარმართული ტომები ცხოვრობდნენ, რომლებიც არ უნდა აეყარათ იქიდან „მეოთხე თაობამდე". ისრაელიანები რომ აღთქმისამებრ ამ ქვეყანაში გამრავლებულიყვნენ, მაშინ ან უნდა გამოეყარათ ადგილობრივი მცხოვრებნი, ან უნდა შერეოდნენ

მათ. პირველის გაკეთება მათ ეკრძალებოდათ უფლის სიტყვით, ქანაანელებთან შერწყმით კი კერპთაყვანისმცემლობის დამკვიდრების საფრთხე ემუქრებოდათ. ეგვიპტე კი სწორედაც შესაფერისი ადგილი იყო უფლის ჩანაფიქრის განხორციელებისათვის. ქვეყნის ის ნაყოფიერი მხარე, რომელიც უხვად ირწყვებოდა და რომელშიც ებრაელები უნდა დასახლებულიყვნენ, დიდად შეუწყობდა ხელს ამ ხალხის რიცხობრივ ზრდას და აღზევებას. მათი საქმიანობისადმი ეგვიპტელთა სიძულვილი, ვინაიდან ყოველი მწყემსი უწმიდურად მიაჩნდათ, ხელს უწყობდა მათ, დარჩენილიყვნენ განსაკუთრებულ, განცალკევებულ

[232]

ერად, რაც ეგვიპტის წარმართულ რიტუალებში მონაწილეობისაგან დაიცავდა მათ.

მიაღწიეს თუ არა ეგვიპტეს, მგზავრებმა პირდაპირ გოშენისაკენ აიღეს გეზი. იოსებიც იქვე ჩავიდა ეტლითა და მეფის ამალის თანხლებით. სულ დაავიწყდა ყველაფერი იოსებს: დიდებულება, რომელიც გარს ერტყა, მისი მაღალი თანამდებობა; მხოლოდ ერთ აზრს შეეპყრო მთელი მისი არსება; მხოლოდ ერთ სურვილს. მოახლოებულ მგზავრთა დანახვაზე

ვეღარ დამალა ამდენი წლის გულში ჩაგუბებული სიყვარული და გზა მისცა გრძნობებს. ეტლიდან სწრაფად ჩამოხტა და მამისკენ გაიქცა. „ყელზე მოეჭდო და დიდხანს ტიროდა მის ყელზე გადაჭდობილი. უთხრა ისრაელმა იოსებს: თუნდაც მოვკვდე ახლა, რაკიღა ცოცხალს გხედავ".

იოსებმა წაიყვანა თავისი ხუთი ძმა, რათა ფარაონისთვის წარედგინა და მიეღო ნებართვა მათი გოშენის მხარეში ჩასახლებისათვის. ქვეყნის მმართვე-ლისადმი მადლიერებისა და პატივისცემის ნიშნად მონარქს სახელმწიფო თანამდებობებზე სურდა მისი ძმების დანიშვნა, მაგრამ იოსებს, დიდი იეჰოვას ჭეშმარიტ მსახურს, სურდა, ეხსნა ძმები იმ უამრავი ცდუნებისაგან, რომელიც მრავლად შეხვდებოდათ ამ კერპთაყვანისმცემელთა შორის ცხოვრებისას, ამიტომ ასწავლა მათ, თუ როგორ და რა უნდა ეპასუხათ ფარაონის შეკითხვებზე. თანაც ურჩია, გულახდილად ესაუბრათ საკუთარი საქმიანობის შესახებ. იაკობის ვაჟებმა უსმინეს იოსებს; არც იმის თქმა დავიწყებიათ, რომ დროებით ჩამოვიდნენ ამ ქვეყანაში და სამუდამოდ აქ დარჩენას არ აპირებენ, რითაც ნებისმიერ დროს ამ ქვეყნიდან წასვლის უფლება დაიტოვეს. მეფემ ეგვიპტის „საუკეთესო მიწაზე" - გოშენის მხარეში დაასახლა ისინი.

სულ მალე თავისი მამაც წარუდგინა იოსებმა ფარაონს. პატრიარქი უხერხულად გრძნობდა თავს მეფის სასახლეში; მაგრამ ბუნების დიდებულ წიაღში მას უფრო ძლიერ და

დიდებულ მბრძანებელთან ჰქონდა ურთიერთობა და ახლა, საკუთარი უპირატესობის შეგრძნებით, ხელი ასწია და ფარაონი აკურთხა.

პირველი შეხვედრისას იაკობი ისე ესაუბრებოდა იოსებს, რომ თითქოს, ამდენი მწუხარებისა და ტანჯვის დამთავრების შემდეგ, იგი მზად იყო სიკვდილისათვის, მაგრამ ამის შემდეგ კიდევ ჩვიდმეტი წელი იცხოვრა გოშენის ამ მყუდრო მხარეში. მისი ადრინდელი ცხოვრების საპირისპიროდ, ეს ბოლო წლები მეტად ბედნიერად განვლო პატრიარქმა. იგი მოესწრო თავისი შვილების ჭეშმარიტ მონანიებას; დარწმუნდა, რომ ადგილი და პირობები, სადაც მისი ოჯახი დასახლდა, ხელს შეუწყობდა მისი შთამომავლობის გამრავლებას და გაძლიერებას. და რწმენით მიენდო უფლის აღთქმას მომავალში ქანაანის ქვეყანაში შესვლის შესახებ. თავად იაკობს არ აკლდა მეფური მზრუნველობა, ყურადღება და სიყვარული. წლების განმავლობაში ტკბებოდა თავისი დაკარგული და კვლავ ნაპოვნი შვილის სიყვარულით, მასთან ურთიერთობით. და ბოლოს, მშვიდად აღესრულა.

როცა იაკობმა სიკვდილის მოახლოება იგრძნო, იოსები იხმო. მას მტკიცედ სწამდა უფლის აღთქმა მათი ქანაანში შესვლის შესახებ და ამიტომ უთხრა შვილს: „თუ მადლი მიპოვნია შენს თვალში... მიყავი ეს სიკეთე და მიერთგულე: ნუ დამმარხავ ეგვიპტეში, რომ ჩემს წინაპრებთან დავწვე". იოსებმა სურვილის შესრულება

აღუთქვა, მაგრამ იაკობი მხოლოდ ამით არ დაკმაყოფილდა და მოითხოვა: „წამიღე ეგვიპტიდან და დამმარხე მათ სამარხში... შემომფიცე". და დაიფიცა იოსებმა, რომ ჩაასვენებდა მას წინაპართა სამარხში, მახფელას მღვიმეში.

ერთი მეტად მნიშვნელოვანი საქმე დარჩა გასაკეთებელი იაკობს: იოსების ვაჟები ოფიციალურად უნდა შესულიყვნენ იაკობის ვაჟთა რიცხვში. მამასთან

[233]

[234]

უკანასკნელად შეხვედრისას იოსებს ახლდა თან მისი ორი ვაჟიც, ეფრემი და მენაშე. ეს ყმაწვილები დედის მხრიდან ეგვიპტის ქურუმთა უმაღლეს წრეს მიეკუთვნებოდნენ, მამის უმაღლესი თანამდებობა, ეგვიპტეში დარჩენის შემთხვევაში, გზას უხსნიდა მათ დიდებისა და სიმდიდრისაკენ. მაგრამ იოსებმა მოინდომა, რომ მისი ვაჟები მის ხალხს შეერთებოდნენ. მას უფლის აღთქმის სჯეროდა და ცდილობდა, შვილებისათვის ისე ღრმად ჩაენერგა თავისი ერისადმი სიყვარული, რომ შემდგომში ეგვიპტის მეფის კარზე ცხოვრება ადვილად

დაეთმოთ და უბრალო მწყემსთა შორის ცხოვრება აერჩიათ, რომელთაც უფალმა თავისი აღთქმა მიანდო.

იაკობმა წარმოთქვა: „ახლა ორი ძე გყავს, ეგვიპტის ქვეყანაში რომ შეგეძინა ჩემს მოსვლამდე. ჩემები არიან ისინი, ეფრემი და მენაშე, როგორც რეუბენი და სიმონი არიან ჩემები". იაკობს საკუთარ შვილებად უნდა გამოეცხადებინა ისინი, რათა ცალკეული შტოების მამამთავრები გამხდარიყვნენ. ამგვარად, პირმშოობის უპირატესობა, რომელიც რეუბენმა უგულებელყო, იოსებთან გადადიოდა - ორმაგი წილი ისრაელში.

იაკობი დაბრმავდა სიბერისგან, ამიტომ ვერ შეამჩნია ყმაწვილები, მაგრამ, ბოლოს, ძლივს გაარკვია მათი სილუეტები და იკითხა: „ესენი ვინ არიან?" ხოლო როცა აუხსნეს, თქვა: „მომიყვანე და ვაკურთხებ".

ყმაწვილები მიუახლოვდნენ, „მანაც გადაკოცნა ისინი და გულში ჩაიკრა". შემდეგ „გაიწოდა მარჯვენა ხელი ისრაელმა და თავზე დაადო ეფრემს, რომელიც უმცროსი იყო, ხოლო მარცხენა ხელი მენაშეს დაადო თავზე" კურთხევისათვის და ლოცვა წარმოთქვა: „ღმერთმა, რომლის წინაშე იარებოდა ჩემი მამა-პაპა, აბრაამი და ისააკი, ღმერთმა, რომელიც მმწყემსავს მე ჩემი გაჩენიდან დღესამომდე, ანგელოზმა, ჩემმა მხსნელმა ყოველი ბოროტისაგან, აკურთხოს ეს ყმაწვილები". იაკობში აღარ არსებობდა თვითდაჯერებულობა, აღარც ადამიანური სიბრძნისადმი რწმენა და აღარც მზაკვრობა. მხოლოდ ღმერთი

იყო მისი მფარველი და საყრდენი. იგი არ უჩიოდა თავის წარსულ მძიმე ცხოვრებას. აღარ ამბობდა, რომ მისი ცხოვრება მხოლოდ მწუხარებითა და ტანჯვით იყო აღსავსე. ახლა მხოლოდ უფლის გულმოწყალებას, თანაგრძნობასა და მზრუნველობას იხსენებდა, რომელიც მუდამ თან სდევდა მის მოხეტიალე ცხოვრებას.

კურთხევის შემდეგ თავისი რწმენის მოწმობად იაკობმა აღთქმა დაუდო თავის ძეს მომავალი თაობებისათვის გადასაცემად, რომლებიც შემდგომში, მრავალი წლის მანძილზე, მონობაში და მწუხარებაში იცხოვრებენ: „აჰა, მე ვკვდები. ღმერთი იქნება თქვენთან და დაგაბრუნებთ თქვენს მამა-პაპათა მიწაზე".

თავის სასიკვდილო სარეცელთან შეკრიბა იაკობმა თავისი შვილები და უთხრა: „შეიკრიბეთ, რომ გაგიმხილოთ, რა შეგემთხვევათ მომავალ დღეებში. თავი მოიყარეთ და ისმინეთ, იაკობის ძენო! ისრაელს, მამათქვენს, უსმინეთ". ხშირად წუხდა იაკობი თავისი შვილების მომავალზე. ხშირად ცდილობდა, წარმოედგინა ისრაელის სხვადასხვა შტოების ცხოვრების ისტორია. და ახლა, როცა მის გარშემო შეკრებილი შვილები მისგან უკანასკნელ კურთხევას ელოდნენ, წინასწარმეტყველების სულმა მათი მომავალი ხილვაში უჩვენა. მან სახელებით მოიხმო ისინი, დაახასიათა თითოეული მათგანი და მოკლედ აუწყა ყოველი შტოს მომავალი.

„რეუბენ, პირმშო ხარ ჩემი,

ძალი ჩემი და სათავე ჩემი კაცობისა!

შეუდრეკელი და შეუპოვარი".

[235]

ასეთი სიტყვებით დახატა იაკობმა მდგომარეობა, რომელსაც დაიკავებდა რეუბენი პირმშოობის შენარჩუნების შემთხვევაში. მაგრამ გედერში ჩადენილმა მძიმე ცოდვამ დააკარგვინა მას პირმშოსათვის განკუთვნილი კურთხევა. იაკობმა განაგრძო:

„ზღვასავით ბობოქრობ, მაგრამ არ აღზევდები".

მღვდლობა ეკუთვნოდა ლევის, მომავალი მესიის შესახებ აღთქმა და სამეფო - იუდას. მემკვიდრეობის ორმაგი წილი - იოსებს. რეუბენის შტოს არასოდეს ჰქონია მაღალი მდგომარეობა ისრაელში და არც იუდას, იოსების და დანის შტოსავით მრავალრიცხოვანი ყოფილა. და ერთ-ერთი პირველთაგანი წაიყვანეს ტყვედ.

ასაკით რეუბენს სიმონი და ლევი მოჰყვებოდნენ. მათ სასტიკად იძიეს შური შექემის მოსახლეობაზე, აგრეთვე ყველაზე დიდი დანაშაული იოსების გაყიდვაში მათზე მოდიოდა და უთხრა მათ:

„დავაქუცმაცებ მათ იაკობში და მიმოვფანტავ ისრაელში".

ისრაელის აღრიცხვისას, ქანაანში შესვლის წინ, სიმონის შტო ყველაზე მცირერიცხოვან შტოდ ითვლებოდა. მოსე თავის უკანასკნელ კურთხევაში საერთოდ არ მოიხსენიებს სიმონს. ქანაანში მიწების განაწილებისას მისმა შტომ მხოლოდ მცირე წილი მიიღო იუდას სამფლობელოდან. ხოლო ის ოჯახები, რომლებიც შემდგომში გაძლიერდნენ, დაჯგუფდნენ ცალკეულ კოლონიებად და აღთქმული ქვეყნის საზღვრებს გარეთ დასახლდნენ. ლევისაც არაფერი მიუღია მემკვიდრეობად, ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში გაფანტული 48 ქალაქის გარდა. მაგრამ იეჰოვას მიმართ მათმა ერთგულებამ მაშინ, როცა სხვა შტოებმა უღალატეს, განაპირობა მათი საწმიდარში წმიდა მსახურებაზე დანიშვნა. და, ამგვარად, წყევლა კურთხევად ექცათ.

პირმშოობის კურთხევის გვირგვინმა იუდასთან გადაინაცვლა. მისი სახელის მნიშვნელობა - „ქება-დიდება" - კარგადაა გადმოცემული მისი შტოს მომავლის წინასწარმეტყველებაში:

„იუდა, გადიდებენ ძმები; მტრების ხერხემალს დათრგუნავ ხელით.

გეთაყვანებიან მამაშენის ნაშიერნი. ლომის ბოკვერია იუდა!

წამომდგარხარ, შვილო, ნადავლით ხელში; წაიხარა, გაწვა ლომივით.

ვინ გაბედავს მის წამოგდებას? არ წაერთმევა კვერთხი იუდას.

არც არგანი ფერხთა შუიდან, ვიდრე არ მოვა მისი მფლობელი

და ის იქნება იმედი ხალხთა".

ლომი, ტყეების მეფე, შესაფერისი სიმბოლოა ამ ტომისა, რომლისგანაც გამოვიდა დავითი და დავითის ძე - შუამდგომელი, ჭეშმარიტი „ლომი იუდას ტომიდან", რომელსაც დაემორჩილება ყველა ძალა და ყოველი ხალხი პატივს მიაგებს.

თავისი შვილების უმრავლესობას იაკობმა ბედნიერი მომავალი უწინასწარ -მეტყველა. ბოლოს ჯერი იოსებზე მიდგა. მამის გულს უჩვეულო გრძნობა დაეუფლა, როცა „ძმათაგან გამორჩეულის თხემზე" კურთხევა წარმოთქვა:

„ნაყოფიერი ნერგი იოსები, ნაყოფიერი ნერგი,

წყაროსპირს დარგული, რტოებით გალავანზე გასული!

[236]

გაამწარეს, დაისრეს, მტრობდნენ მოისარნი.

შეურჩა მშვილდის ძლიერება, არ მოსდუნებია ხელის ძარღვები,

იაკობის ღმრთისაგან ძალამოცემული.

აქედან არის მწყემსი, კლდე ისრაელის.

მამაშენის ღმერთი შეგეწიოს და გაკურთხოს ყოვლადძლიერმა

ზეცათა კურთხევით ზეგარდმო,

უფსკრულის კურთხევით, ქვეგანრთხმულის,

ძუძუთა და საშოს კურთხევით.

მამაშენის კურთხევით, რომელიც უფრო ძლიერია,

ვიდრე კურთხევა ჩემი მშობლებისა,

ვიდრე მადლი საუკუნო მთათა;

იყოს ეს იოსების თავზე და ძმათაგან გამორჩეულის თხემზე".

იაკობის გული ყოველთვის სავსე იყო მგზნებარე, ღრმა სიყვარულით. მას თავისი შვილები ძალიან უყვარდა და მისი უკანასკნელი სიტყვები არ იყო მიკერძოებით ან წყენით გამოწვეული. მან ყოველ მათგანს მიუტევა და სიკვდილამდე ძლიერ უყვარდა ისინი. მის მამაშვილურ სიყვარულს მხოლოდ ნუგეშისა და იმედის სიტყვების წარმოთქმა შეეძლო, მაგრამ

ახლა ღვთის სული იყო მასზე და მისი ზეგავლენით იძულებული იყო, ეთქვა სიმართლე, რაგინდ მწარეც არ უნდა ყოფილიყო იგი.

იაკობმა დაასრულა კურთხევა, შემდეგ კი გაუმეორა ანდერძი თავისი სამარხის შესახებ: „მივდივარ ჩემს ხალხთან; დამმარხეთ ჩემი მამა-პაპის გვერდით მღვიმეში... მახფელას მინდორში რომ არის". „იქ დამარხეს აბრაამი და სარა, მისი ცოლი; იქ დამარხეს ისაკი და რებეკა, მისი ცოლი; იქ დავმარხე მე ლეა". ამგვარად, პატრიარქის ბოლო სურვილი მოწმობდა ღვთის აღთქმისადმი მის მტკიცე რწმენას.

იაკობის სიცოცხლის ბოლო წლები წააგავდა მშვიდ საღამოს, მძიმე, მშფოთვარე დღის დასასრულს რომ დგება. მის სავალ ბილიკებზე ხშირად ეშვებოდა შავი ღრუბელი, მაგრამ დაისი ნათელი იყო და ზეციურმა სხივებმა გაანათა მისი სიცოცხლის ბოლო წუთები. წმ. წერილი ამბობს: „საღამოჟამს იქნება ნათელი" /ზაქ. 14:7/. „დაიცავი უმანკოება და ნახე სისწორე, რადგან მომავალი ეკუთვნის მშვიდობიან კაცს" /ფს. 36:37/.

იაკობმა შესცოდა და ძლიერ იტანჯებოდა ამის გამო. დანაშაულის ჩადენის შემდეგ იგი იძულებული გახდა, გაქცეულიყო მამის სახლიდან. მძიმე შრომა, საზრუნავი და მწუხარება იყო მისი ხვედრი მრავალი წლის განმავლობაში. უსახლკარო, დედას სამუდამოდ მოშორებული ხიზანი შვიდ

წელიწადს მძიმე ჭაპანს ეწეოდა იმისათვის, ვინც ასე ძლიერ უყვარდა, მაგრამ მწარედ მოატყუეს; ოც წელიწადს მუშაობდა იგი თავის ხარბ და გაუტანელ ნათესავთან; შემდეგ გამდიდრდა, შვილებიც წამოეზარდა, მაგრამ შვებას და სიხარულს ვერ პოულობდა საკუთარ ოჯახში, სადაც ხშირი იყო ჩხუბი და განხეთქილება; ქალიშვილის შერცხვენა, მისი ძმების მიერ გამართული ხოცვა-ჟლეტა შურისძიების მიზნით, რახელის სიკვდილი, რეუბენის საშინელი დანაშაული, იუდას შეცდომა, საშინელი სიცრუე და ბოროტება იოსების გაყიდვასთან დაკავშირებით - უბედურებათა რა შავი, გრძელი სია იშლება ჩვენს თვალწინ. ისევ და ისევ იმკიდა იგი თავისი პირველი შეცდომის ნაყოფს! ისევ და ისევ თავისი ცოდვების გამეორებას ხედავდა იგი თავისი შვილების საქციელში. და, თუმცა მეტად მწარე იყო ეს გაკვეთილები, თავისი მისია მაინც შეასრულა. განწმედამ, თუმცა მეტად მტანჯველმა, „სიმართლის მშვიდობიანი ნაყოფი" /ებრ. 12:11/ გამოიღო.

[237]

[238]

წმიდა წერილი ხშირად აღწერს იმ მართალ ადამიანთა შეცდომებს, რომელთაც ღვთის მადლი იფარავდა. მართლაც, ამ შეცდომებზე უფრო დიდადაა გამახვი -ლებული ყურადღება, ვიდრე მათ ღირსებებზე. ეს ფაქტი ბევრს აცვიფრებს, ურწმუნოთ კი ბიბლიის აბუჩად აგდების საბაბს აძლევს. მაგრამ ეს ერთ-ერთი ყველაზე დამაჯერებელი მოწმობაა წმ. წერილის ჭეშმარიტებისა, რომელიც არ მალავს თავისი გმირების დანაშაულის ფაქტებს და მათ ცოდვებს. ადამიანების გონება იმდენად დატყვევებულია ცრურელიგიით, რომ არ შეუძლიათ, მიუკერძოებლად მიიღონ ადამიანთა მონათხრობი. ბიბლია რომ ღვთის სულით შთაგონებული ადამიანების მიერ არ ყოფილიყო დაწერილი, მაშინ, ეჭვგარეშეა, მისი გმირები უფრო უკეთესად იქნებოდნენ წარმოჩენილნი, მაგრამ ბიბლია ზუსტად, შეულამაზებლად გადმოგვცემს მათ ცხოვრებას.

ზოგჯერ ღვთივკურთხეული ადამიანები, რომელთაც უფალმა უდიდესი პასუხისმგებლობა დააკისრა, ცდებოდნენ და სცოდავდნენ. ისევე, როგორც დღეს ვიბრძვით, ვეცემით და ხშირად ვცდებით. ჩვენ წინაშე ყოველგვარი შელამაზების გარეშეა გადაშლილი მათი ცხოვრება - შეცდომები და წარუმატებ -ლობა, რათა გავმხნევდეთ და გავფრთხილდეთ. ისინი რომ უცოდველ ადამიანებად წარმოეჩინათ, მაშინ ჩვენ, ასეთ ცოდვილთ, უიმედობა დაგვეუფლებოდა. მაგრამ, როცა ვხედავთ, რომ ისინიც ჩვენივე მსგავსნი იყვნენ, ჩვენსავით იბრძოდნენ, ეცემოდნენ, სცოდავდნენ, მაგრამ, ღვთის მადლით, კვლავ დგებოდნენ და წელში იმართებოდნენ, სურვილი გვებადება, ვიბრძოლოთ სიმართლისათვის. იმ ადამიანთა

მსგავსად, რომლებიც ზოგჯერ მარცხდებოდნენ, მაგრამ კვლავ იკრებდნენ ძალას საბრძოლველად და უფლის კურთხევას ღებულობდნენ, ჩვენც შეგვიძლია, გავიმარჯვოთ ქრისტეს ძალით. მეორე მხრივ, მათი ისტორია, შესაძლოა, გაფრთხილება იყოს ჩვენთვის, რადგან იგი მოწმობს, რომ უფალი ყოველთვის ამჩნევს ჩვენს დანაშაულს; ხედავს ცოდვას მასში, ვისაც განსაკუთ -რებული მადლი მისცა, ვინც ძალიან უყვარს და ხშირად მათი დანაშაულის მიმართ უფრო მეტ სიმკაცრეს იჩენს, ვიდრე იმ ადამიანთა მიმართ, რომელთაც უფრო მცირე ნათელი აქვთ და ნაკლები პასუხისმგებლობა აკისრიათ.

იაკობის დაკრძალვის შემდეგ კვლავ შიში შეეპარათ იოსების ძმებს. მიუხედავად იოსების კეთილგანწყობისა, საკუთარი დანაშაულის გრძნობა ეჭვსა და უნდობლობას ბადებდა მათ გულებში. იქნებ მამის პატივისცემის გამო გადადო შურისძიება იოსებმა, - ფიქრობდნენ ისინი, - ახლა კი, მისი სიკვდილის შემდეგ, თავის განზრახვას სისრულეში მოიყვანს. პირდაპირ მასთან მისვლა ვერ გაბედეს, არამედ სიტყვა გაუგზავნეს: „მამაშენმა დაგვიბარა სიკვდილის წინ; ასე უთხარით იოსებს: გევედრები, შეუნდე ცოდვა და დანაშაული ძმებს, თუმცა ბოროტად მოგექცნენ. ამიერიდან შეუნდე ცოდვა მამაშენის ღმერთის მსახურებს". ნათქვამმა ცრემლი მოჰგვარა იოსებს, ამით გამხნევებული ძმები კი მივიდნენ, „დაემხნენ მის წინაშე და უთხრეს: აჰა, შენი მორჩილნი ვართ". იოსებს ღრმა და გულწრფელი სიყვარულით უყვარდა ძმები და იმის გაფიქრებამ, რომ ძმებს შურისძიების ეშინიათ, დიდად ატკინა გული. „ნუ

გეშინიათ, - უთხრა მათ, - რადგან მე ღვთისმოშიში ვარ. თქვენ ბოროტი განიზრახეთ ჩემთვის, ხოლო ღმერთმა სიკეთედ ჩათვალა, რათა ისე მომხდარიყო, როგორც მოხდა: მრავალი ხალხის სიცოცხლე ეხსნა. ამიერიდან ნუღარ გეშინიათ: თქვენც შეგინახავთ და თქვენს ბავშვებსაც".

იოსების ცხოვრება ქრისტეს ცხოვრებას განასახიერებს. შურმა აცდუნა მისი ძმები და ტყვედ გაყიდეს იგი, რათა ამ გზით ხელი შეეშალათ მისი აღზევებისათვის. ხოლო როცა ეგვიპტეში წაიყვანეს, როგორც მონა, თავს იმით იიმედებდნენ, რომ იოსების სიზმრები უკვე აღარ შეაწუხებდა მათ, რადგან მათი ასრულების ყოველგვარი შესაძლებლობა მოსპეს. მაგრამ უფალმა

[239]

ისე წარმართა მათი ცხოვრება, რომ თავად განახორციელეს ის, რასაც ასე მონდომებით უშლიდნენ ხელს. გაიხსენეთ: იუდეველ მღვდლებსა და უხუცესთ შურდათ ქრისტესი და ძლიერ ეშინოდათ, რომ ხალხის მთელ ყურადღებას ის მიიპყრობდა. მათ სიკვდილი მიუსაჯეს მაცხოვარს, რომ მეფედ არ

გამოეცხადები -ნათ. მაგრამ, სწორედ ამით აღასრულეს ის, რასაც თავად ეწინააღმდეგებოდნენ.

ეგვიპტის ტყვეობაში მყოფი იოსები თავისი მამის ოჯახის მხსნელი გახდა; თუმცა ამით არ შემცირებულა მათი დანაშაული. თუმცა ქრისტეს ჯვარცმით მტრებმა იგი დაცემული კაცობრიობის გამომსყიდველად და მთელი სამყაროს მეფედ აქციეს, თუმცა უფლის ხელი ხელმძღვანელობდა მოვლენებს უფლის განდიდებისათვის და კაცობრიობის საკეთილდღეოდ, მაგრამ მის მკვლელთა მაშინდელი დანაშაული დანაშაულად დარჩა.

წარმართებისთვის მიყიდული იოსების მსგავსად, ქრისტეც ღალატით ჩაუგდეს ხელთ მის მოსისხლე მტრებს მისივე ერთ-ერთი მოწაფის მცდელობით. იოსებს ცილი დასწამეს და დილეგში ჩააგდეს, რადგან წმიდა და უდანაშაულო იყო; ქრისტეც შეიძულეს და უარყვეს, რადგან მართალი იყო და თავისი თავგანწირვითა და წმიდა ცხოვრებით ხალხის ცოდვებს ამხელდა; და, თუმცა სრულიად უდანაშაულო იყო, ცრუმოწმეთა ჩვენებით გაასამართლეს. იოსების მოთმინება და თავმდაბლობა, როცა უსამართლოდ და სასტიკად ექცეოდნენ, მისი დიდსულოვნება, მიმტევებლობა და ბოროტი ძმების მიმართ კეთილშობილური საქციელი - ქრისტეს ხასიათის თვისებათა სიმბოლოა, რომელიც მოთმინებით იტანდა ურჯულოთა ლანძღვა-გინებას და რომელმაც მიუტევა არა

მხოლოდ მის მკვლელთ, არამედ ყველას, ვინც ინანიებს თავის ცოდვებს და მიტევებას ეძებს.

მამის სიკვდილის შემდეგ იოსებმა 54 წელი იცოცხლა. „მოესწრო იოსები ეფრემის შვილთაშვილებს, მენაშეს ძის, მაქირის, შვილებიც იოსების მუხლებზე დაიბადნენ". იგი ხედავდა თავისი ხალხის გამრავლებასა და კეთილდღეობას და მთელი სიცოცხლის მანძილზე მტკიცედ სწამდა, რომ უფალი ღმერთი დააბრუნებს თავის ხალხს აღთქმულ ქვეყანაში.

იგრძნო სიკვდილის მოახლოება იოსებმა და მოუხმო თავის ნათესავებს. მიუხედავად ფარაონის სამფლობელოში მისი მაღალი თანამდებობისა, ეგვიპტეს კვლავაც მხოლოდ ტყვეობის ადგილად თვლიდა. მისი უკანასკნელი სურვილი მოწმობდა, რომ თავისი ბედი მან სამუდამოდ ისრაელს დაუკავშირა. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: „ღმერთი მოგხედავთ და წაგიყვანთ ამ ქვეყნიდან იმ ქვეყანაში, რომელსაც შეჰპირდა იგი აბრაამს, ისააკს და იაკობს". დააფიცა იოსებმა ისრაელიანებს, რომ მის ძვლებს ქანაანის ქვეყანაში წაიღებდნენ. „მოკვდა იოსები ას ათი წლისა. შემურვეს იგი და ჩაასვენეს კიდობანში, ეგვიპტეში". და შემდგომი თავიანთი მონობის ხანგრძლივ პერიოდში ეს სამარხი მუდამ ახსენებდა ისრაელიანთ იოსების უკანასკნელ სიტყვებს, რომ ისინი მხოლოდ ხიზნები არიან ამ ქვეყანაში და აღთქმული მიწისაკენ უნდა ისწრაფონ. და უსახავდა იმედს, რომ აუცილებლად დადგება დრო მათი გათავისუფლებისა.

[240]

თავი 22 - მოსე

გამოსვლა 1-4

შიმშილით რომ არ დახოცილიყვნენ, ეგვიპტელებმა მიჰყიდეს ფარაონს თავისი საქონელი და მიწები, სანამ საბოლოოდ, სამუდამო მონებად არ იქცნენ. იოსებმა სიბრძნე გამოიჩინა და მათ გათავისუფლებაზე იზრუნა. მან იჯარით დაურიგა მიწები ეგვიპტელებს იმ პირობით, რომ „მოსავლის აღებისას მეხუთედი ფარაონისათვის მიეცათ".

მაგრამ იაკობის შვილებს არ დასჭირვებიათ ასეთი გარიგება. ეგვიპტისათვის იოსების მიერ ადრე გაწეული უდიდესი სამსახურის გამო მადლიერების ნიშნად მათ გამოუყვეს საცხოვრებლად არა მხოლოდ ქვეყნის საუკეთესო მიწები, არამედ სრულიად გაათავისუფლეს ისინი გადასახადებისაგან და საკმარისი სურსათ-სანოვაგითაც მოამარაგეს შიმშილობის დროს. ფარაონმა საჯაროდ განაცხადა, რომ მხოლოდ იოსების ღმერთის წყალობით და დახმარებით იყო მის ქვეყანაში ასეთი სიუხვე იმ დროს, როცა სხვა ხალხები შიმშილით იღუპებოდნენ.

იგი ამჩნევდა, რომ იოსების ბრძნულმა მმართველობამ ააყვავა მისი ქვეყანა და, უდიდესი მადლიერების ნიშნად, იაკობის ოჯახი მეფური წყალობით აავსო.

გავიდა დრო და ეს ღირსეული პიროვნება, რომელმაც ბევრი სიკეთე გაუკეთა ეგვიპტელ ხალხს, მიიცვალა. „დადგა ეგვიპტეში ახალი მეფე, რომელსაც არ გაეგონა იოსები". არა იმიტომ, რომ მან არაფერი იცოდა მისი ხალხისათვის იოსების მიერ გაწეული სიკეთის თაობაზე, არამედ საერთოდ არაფრის გაგონება არ სურდა მის შესახებ. „უთხრა თავის ხალხს: ხედავთ, ჩვენზე მრავალრიცხოვანია და ძლიერი ისრაელიანთა ხალხი. მოდით, როგორმე ვაჯობოთ ჭკუით, რომ არ გამრავლდეს. თუ ომი ატყდა, შეუერთდება ჩვენს მტრებს, აგვიმხედრდება და გავა ქვეყნიდან".

ამ დროისათვის კვლავ „ინაყოფიერეს ისრაელიანებმა, გაფუფუნდნენ, მრავალრიცხოვანი შეიქნენ და მეტისმეტად გაძლიერდნენ. აავსეს მთელი ქვეყანა". იოსების შეუნელებელი მზრუნველობისა და ფარაონის კეთილგანწყობის წყალობით ისინი სწრაფად გამრავლდნენ და მყარად გაიდგეს ფესვები მთელ ქვეყანაში. მაგრამ მაინც ეგვიპტელთაგან განცალკევებულად ცხოვრობდნენ, არაფერი ჰქონდათ საერთო ეგვიპტელთა ტრადიციებთან და რელიგიასთან და მათი ასეთი სწრაფი გამრავლება უკვე აშინებდა მეფესაც და ხალხსაც. ისინი შიშობდნენ, ისრაელიანნი, ომის შემთხვევაში, ეგვიპტის

მტრებთან არ გაერთიანებულიყვნენ. მაგრამ მათი ქვეყნიდან გაძევება სირთულეებთან იყო დაკავშირებული. მათ შორის ბევრი ნიჭიერი და გონიერი ადამიანი იყო, სახელმწიფოს აყვავებისათვის რომ იღვწოდა. მეფეს სჭირდებოდა ასეთი ხალხი დიდებული სასახლეებისა და ტაძრების ასაგებად, ამიტომ იგი ერთნაირ უფლებებს აძლევდა მათ და იმ ეგვიპტელებს, რომლებმაც თავიანთ ქონებასთან ერთად საკუთარი თავიც მიჰყიდეს ფარაონს. მალე მათ ზედამხედველნი მიუჩინეს და ისინი ნამდვილ მონებად აქციეს ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. „უწყალოდ ამუშავებდნენ ისრაელიანებს ეგვიპტელები. სიცოცხლე გაუმწარეს მძიმე შრომით: თიხის ზელით და აგურების კეთებით, მინდორში მუშაობით, ყველა სამუშაოთი, რაზედაც უმოწყალოდ ამუშავებდნენ". „მაგრამ რაც უფრო ჩაგრავდნენ, მით უფრო მრავალრიცხოვანნი ხდებოდნენ".

ფარაონი და მისი მრჩევლები იმედოვნებდნენ ისრაელიანთა ასე მძიმე დატვირთვით მათი სიმრავლის შემცირებას და მათი დამოუკიდებელი,

[241]

[242]

თავისუფალი სულის მოდრეკას. როდესაც ამით ვერაფერს გახდნენ, მათ მიმართ უფრო მკაცრი ზომების გამოყენება სცადეს. ბებიაქალებს, რომლებიც ებრაელ ქალებს ამშობიარებდნენ, უბრძანეს, მოეკლათ ყოველი ახალშობილი ებრაელი ვაჟი. ეს საშინელი ინიციატივა სატანას ეკუთვნოდა. მან კარგად იცოდა, რომ ისრაელის ერიდან უნდა გამოსულიყო მხსნელი და შვილთა დახოცვის შესახებ მეფის ბრძანებით მას ღვთიური გეგმის ჩაშლის იმედი ჰქონდა. „ღვთის შიში ჰქონდათ ბებიაქალებს და არ ასრულებდნენ ეგვიპტის მეფის ბრძანებას". ამისათვის უფალმა აკურთხა ისინი. ამ მარცხით განრისხებულმა ფარაონმა უფრო მკაცრი, ქმედითი ზომები მიიღო. ყველას ებრძანა, ეთვალთვალათ ამ უმწეო ბავშვებისათვის და მოეკლათ ისინი. „მაშინ უბრძანა ფარაონმა მთელს თავის ხალხს: ნილოსში ჩააგდეთ ყოველი ახალშობილი ვაჟი, ხოლო ქალი ცოცხალი დატოვეთ".

ეს ბრძანება უკვე მთელი ძალით მოქმედებდა ქვეყანაში, როცა ისრაელიანთა ერთ ღვთისმოსავ ოჯახს, ყამრამსა და იოქებედს, ლევის შტოდან, ვაჟი შეეძინა. ჩვილი მეტად ლამაზი იყო. მშობლებს სჯეროდათ, რომ ისრაელის გათავისუფლების დრო ახლოვდებოდა და რომ უფალი მხსნელს მოუვლენდა თავის ხალხს და გადაწყვიტეს, ბავშვი გადაერჩინათ. ღვთის რწმენა ამხნევებდა მათ და „არ შეუშინდნენ მეფის ბრძანებას" /ებრ. 11:23/.

სამ თვეს მალავდა დედა თავის შვილს. როცა დამალვა ვეღარ შეძლო, დაწნა ლერწმის კალათა, შეგოზა ფისით და კუპრით, წყალი რომ არ შესულიყო, ჩასვა შიგ ბავშვი და დადო ლელიანში, ნილოსის ნაპირას. დედამ თავად ვერ გაბედა ბავშვის ახლოს დარჩენა, რათა ისიც არ მოეკლათ შვილთან ერთად, მაგრამ ჩვილის და, იმ ადგილას თითქოს შემთხვევით მყოფი მირიამი, ყურადღებით ადევნებდა თვალყურს თავის პატარა ძმას. სხვა გუშაგებიც იმყოფებოდნენ იქ. მხურვალე ლოცვით ჩააბარა დედამ ღმერთს თავისი ყრმა. უხილავი ანგელოზები თავს დასტრიალებდნენ მის უბრალო თავშესაფარს. ანგელოზებმა გაგზავნეს იქ ფარაონის ასული, რომლის ყურადღებაც პატარა კალათამ მიიპყრო და, როცა მასში მწოლი მშვენიერი ყრმა იხილა, მაშინვე ყველაფერს მიხვდა. შეეცოდა მტირალი ჩვილი, თანაგრძნობით განიმსჭვალა უცნობი დედის მიმართ, რომელმაც ასეთ ხერხს მიმართა ჩვილის გადასარჩენად. და მეფის ასულმა გადაწყვიტა, ეშვილა იგი. მირიამი ყოველ მის მოძრაობას უთვალთვალებდა და, როცა დაინახა, თუ როგორ ფრთხილად მოექცნენ ძმას, მიუახლოვდა და გაბედა თქმა: „ხომ არ წავიდე და ებრაელი ქალი მოვიყვანო ძიძად? ძუძუს მოგიწოვებს მაგ ბავშვს". თანხმობა მიიღო თუ არა, ბედნიერი მირიამი დედასთან გაიქცა და მყისვე უკან დაბრუნდა მასთან ერთად. „უთხრა მას ფარაონის ასულმა: წაიყვანე ეს ბავშვი და ძუძუ მიწოვე. გასამრჯელოს მოგცემ".

ღმერთმა ისმინა დედის ლოცვა და აკურთხა ასეთი რწმენისათვის. უღრმესი მადლიერებით შეუდგა ბედნიერი დედა ახალი, უხიფათო და სასურველი მოვალეობის აღსრულებას. ამ ღვთისმოსავმა ქალმა გამოიყენა ეს შესაძლებლობა, რათა უფლისათვის აღეზარდა შვილი. მას ღრმად სწამდა, რომ ღმერთმა ყრმას სიცოცხლე რაღაც უდიდესი მისიის შესასრულებლად შეუნარჩუნა; ისიც იცოდა, რომ ყრმა მალე დაუბრუნდებოდა დედობილს, ფარაონის ასულს, სადაც უამრავი ცდუნება ღმერთს დააშორებდა მას. ამის გამო დედა უფრო მეტი ყურადღებითა და გულმოდგინებით ზრდიდა მოსეს სხვა შვილებთან შედარებით. იგი ცდილობდა შთაენერგა მისთვის ღვთის შიში, სამართლიანობისა და ჭეშმარიტების სიყვარული და მხურვალედ ევედრებოდა ღმერთს, დაეცვა მისი შვილი ყოველგვარი ცდუნებისა და გამხრწნელი ზეგავლენისაგან. მანვე აუხსნა ყრმას კერპთაყვანისმცემლობის უაზრობა და საშინელება და სიყრმიდანვე

[243]

[244]

ასწავლიდა მუხლმოყრით ლოცვას ცოცხალი ღმერთის წინაშე, რომელიც ერთადერთია სამყაროში, ვისაც შეუძლია, შეისმინოს მისი და დაეხმაროს ყოველი გაჭირვების ჟამს.

იგი ზრდიდა შვილს, სანამ ამის უფლება ჰქონდა; შეუსრულდა მოსეს თორმეტი წელი და დადგა განშორების ჟამი. თავისი უბრალო ქოხიდან ყმაწვილი მეფის სასახლეში წაიყვანეს და ფარაონის ასულმა „იშვილა იგი". მაგრამ მოსეს არასოდეს დავიწყებია ბავშვობის წლები და დედის რჩევა-დარიგებები, რაც მისთვის იყო ფარი მეფის კარზე გაბატონებული სიამაყის, ურწმუნოებისა და ურჯულოებისაგან თავის დასაცავად.

რა დიდი ზეგავლენა იქონია მასზე დედამ, ამ უბრალო ებრაელმა მონა ქალმა! მოსეს მთელი მომავალი ცხოვრება, ის უდიდესი მისია, რომელიც მან აღასრულა, როგორც ისრაელიანთა ბელადმა, მის აღზრდაში მორწმუნე დედის ამაგზე მეტყველებს. ვერც ერთი სხვა ღვაწლი ვერ შეედრება ამას. დედა ძერწავს და აყალიბებს შვილების ბედს. იგი იღვწის შვილის ხასიათის ჩამოყალიბებისა და გონების სრულქმნისათვის და ამზადებს არა მხოლოდ ამქვეყნიური ცხოვრებისთვის, არამედ მარადიულობისთვისაც. სწორედ იგი თესავს იმ თესლს, რომელსაც ან კეთილი, ან ბოროტი ნაყოფი გამოაქვს. დედა არ გამოსახავს საღებავებით ტილოზე მშვენიერ ხატებას, არც მარმარილოსაგან თლის მას, არამედ ღვთიურ ხატებას უსახავს გულში მოზარდს. განსაკუთრებით დიდია მისი როლი ადრეულ წლებში ბავშვების ხასიათის

ჩამოყალიბებაში. გონებაში ჩაბეჭდილი არასოდეს ავიწყდებათ მათ. ადრეული სიყმაწვილიდანვე ისე უნდა აღზარდონ მშობლებმა თავისი შვილები, რომ შემდგომში ჭეშმარიტ ქრისტიანებად იქცნენ. ჩვენ გვაბარია მათი სიცოცხლე და უნდა აღვზარდოთ ისინი არა მიწიერი სამეფოს ტახტის მემკვიდრეებად, არამედ უზენაესის მეფეებად, რომლებიც უსასრულო საუკუნეთა მანძილზე იმეფებენ.

ყველა დედამ უნდა იცოდეს თავისი დანიშნულების უდიდესი მნიშვნელობა, რაზედაც პასუხს აგებს სამსჯავროს უდიდეს დღეს. მაშინ ცხადი გახდება, რომ ადამიანთა მრავალი შეცდომა და დანაშაული შედეგია იმ პირთა გულგრილობისა და უყურადღებობისა, ვისაც ბავშვების ჭეშმარიტების გზით ტარება ევალებოდა. მაშინ აღმოჩნდება, რომ მრავალი გენიოსი ადამიანი, წმიდა და მართალი, რომელიც კურთხევა იყო წუთისოფლისათვის, თავის წარმატებას მორწმუნე დედის ლოცვებს უნდა უმადლოდეს.

ეგვიპტის მეფის კარზე მოსემ მრავალმხრივი განათლება მიიღო. მონარქმა მისი ნაშვილები შვილიშვილის ტახტის მემკვიდრედ გამოცხადება გადაწყვიტა. ამიტომ ყმაწვილს ბავშვობიდანვე ამზადებდნენ ამ უმაღლესი თანამდებობისათვის. „ეგვიპტელთა მთელი სიბრძნით განისწავლა მოსე და იყო ძლიერი თავის სიტყვებსა თუ საქმეებში" /საქ. 7:22/. მხედარმთავრის ნიჭით დაჯილდოებული მოსე მეომართა საყვარელი მთავარი და

ქვეყანაში საყოველთაოდ აღიარებული პიროვნება იყო. სატანამ დამარცხება იგემა. ბრძანებულება, რომლითაც ებრაელი ბავშვებისათვის სასიკვდილო განაჩენი გამოჰქონდათ, უფალმა თავისი ხალხის მომავალი ბელადის სასწავლებლად და აღსაზრდელად გამოიყენა.

ანგელოზებმა ამცნეს ისრაელის უხუცესთ, რომ ახლოვდება მათი გათავისუფლე -ბის დღე და რომ მოსეა სწორედ ის კაცი, რომელსაც ღმერთმა ამ ამოცანის შესრულება დაავალა. მოსემაც ანგელოზებისგან გაიგო, რომ დიდმა იეჰოვამ იგი თავისი ერის მონობის ბორკილთა დასამსხვრევად ამოირჩია. და რადგან მას ეგონა, რომ ისრაელიანთა გათავისუფლება შეიარაღებული აჯანყების მეშვეობით მოხდებოდა, ელოდა მომენტს, როცა ებრაელ მეომრებს ეგვიპტის ჯარის წინააღმდეგ გამოიყვანდა. ამაში დარწმუნებული, იგი მართავდა თავის

[245]

გრძნობებს, რათა დედობილისა და ფარაონისადმი მის სიყვარულს ხელი არ შეეშალა მისთვის უფლის ნების აღსრულებაში.

ეგვიპტის კანონების მიხედვით, ფარაონის ტახტის ყველა მემკვიდრე ქურუმთა კასტის შთამომავალი იყო და მოსეც, როგორც ტახტის კანონიერი მემკვიდრე, რელიგიური ცხოვრების საიდუმლოში ჩახედული უნდა ყოფილიყო. ეს ქურუმთა მოვალეობა იყო. მაგრამ, თუმცა მოსე მეტად გულმოდგინე და ბეჯითი მოწაფე იყო, ქურუმებმა იგი ვერ აიძულეს, მონაწილეობა მიეღო მათ ღვთისმსახურებაში. ემუქრებოდნენ ტახტის დაკარგვით, აფრთხილებდნენ, რომ ებრაული რელიგიისადმი ჯიუტი ერთგულების გამო დედამისი, ფარაონის ასული, უარყოფდა მას. მაგრამ მოსეს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი მხოლოდ ცოცხალი ღმერთის, ცისა და დედამიწის შემოქმედის, მსახური ყოფილიყო. იგი ხშირად ესაუბრებოდა ქურუმებს და უბრალო მლოცველთ და უხსნიდა მათ ცრუ ღმერთების - უსულო საგნების თაყვანისცემის უაზრობას. ვერავინ ახერხებდა მისი მტკიცებების უარყოფას ან მისი თვალსაზრისის შეცვლას და რამდენიმე ხანს კიდევ ითმენდნენ მის სიჯიუტეს მისი მაღალი თანამდებობისა და მისდამი ფარაონისა და ხალხის კეთილგანწყობის გამო. „რწმენით იყო, რომ თქვა უარი მოსემ, როცა წამოიზარდა, ფარაონის ასულის ძედ წოდებულიყო და ღვთის ხალხთან ტანჯვა ამჯობინა დროებით ცოდვიან განცხრომას. ქრისტესთვის გმობა მეტ სიმდიდრედ მიიჩნია, ვიდრე ეგვიპტის საგანძურები, ვინაიდან ხედავდა საზღაურს" /ებრ. 11:24-26/. მოსე საკმაოდ ნიჭიერი იყო იმისათვის, რომ ამა ქვეყნის დიდებულთა შორის უპირველესი, უძლიერესი სამეფოს სასახლეებისა და კვერთხის მფლობელი ყოფილიყო. თავისი

ნათელი გონებით იგი ყველა დროის ცნობილ ადამიანებზე მაღლა იდგა. როგორც ისტორიკოსს, პოეტს, მოაზროვნეს, სტრატეგსა და კანონმდებელს მას ტოლი არ ჰყავდა. და, თუმცა შეეძლო, მთელი ქვეყნის მმართველი გამხდარიყო, ეყო ზნეობრივი სიმტკიცე, რათა უარი ეთქვა მაცდუნებელ მომავალზე - სიმდიდრეზე, პატივსა და დიდებაზე. „და ღვთის ხალხთან ტანჯვა ამჯობინა დროებით, ცოდვიან განცხრომას".

მოსემ იცოდა, რაც იყო ის საბოლოო საზღაური, რომელიც ღვთის მორჩილ, თავმდაბალ მსახურთ ეძლევათ და რომელსაც ამქვეყნიური წარმავალი დიდება ვერ შეედრება. ფარაონის დიდებული სასახლე და სამეფო ტახტი მოსესთვის დაგებული ცდუნების მახე იყო, მაგრამ მან კარგად უწყოდა, რომ ამ წარმტაც სასახლეებში მრავლად იყო ცოდვიანი სიამოვნებანი, რაც ადამიანს ავიწყებს ღმერთს. იგი იცქირებოდა სამეფო ტახტსა და გვირგვინზე მაღლა, იმ უდიდესი პატივისაკენ, რომელიც უზენაესის წმიდა სამეფოში მიეცემათ წმიდებს, რწმენით უმზერდა იგი უჭკნობ გვირგვინს, რომელსაც ზეციერი მეფე დაადგამს თავს გამარჯვებულს. სწორედ ეს რწმენა დაეხმარა მას, დაეტოვებინა ამა ქვეყნის ძლიერთა საზოგადოება და შეერთებოდა ღარიბ, მორჩილ, ბევრისთვის საძულველ ერს, რომელმაც ცოდვის სამსახურს ღვთის ერთგულება არჩია.

ორმოც წლამდე ცხოვრობდა მოსე ფარაონის სასახლეში. იგი ხშირად ფიქრობდა თავისი ხალხის მონურ ცხოვრებაზე,

მიდიოდა ძმებთან და ამხნევებდა იმით, რომ უფალი მალე გაათავისუფლებდა თავის ერს. რა ხშირად ენთო მის გულში შურისძიების მოუთმენელი ცეცხლი მისი ხალხის უსამართლო მჩაგვრელთა მიმართ! და აი, ერთხელ, როცა დაინახა, თუ როგორ სცემდა ეგვიპტელი ისრაელიანს, მოთმინებამ უღალატა და მოჰკლა ეგვიპტელი. ისრაელიანის გარდა სხვა არავინ იყო ამის მოწმე და მოსემაც მოკლულის გვამი ქვიშაში ჩაფლა, ამით მან აჩვენა მზადყოფნა თავისი ხალხის დასაცავად. „ეგონა, მიუხვდებოდნენ ძმები, რომ ღმერთი მისი ხელით იხსნიდა მათ, მაგრამ ვერ

[246]

მიხვდნენ" /საქ. 7:25/. ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ მზად თავისუფლებისათვის.

მეორე დღეს მოსემ კვლავ დაინახა ორი მოჩხუბარი ებრაელი. ერთი მათგანი არ იყო მართალი. მოსემ გაკიცხა დამნაშავე, რომელმაც არ მიიღო მისგან მხილება, თავხედურად გაახსენა მისი დანაშაული და უთხრა: „ვინ დაგაყენა ჩვენს თავკაცად და მსაჯულად? ჩემს მოკვლასაც ხომ არ აპირებ, როგორც ის ეგვიპტელი მოკალი?"

ეს ამბავი სწრაფად გავრცელდა ეგვიპტელთა შორის და მეტად გაზვიადებული სახით ფარაონამდეც მიაღწია. იგი მეფეს მეტად მნიშვნელოვან საქმედ წარუდგინეს: მოსეს დააბრალეს თავისი ხალხის ეგვიპტელთა წინააღმდეგ აჯანყების, არსებული ხელისუფლების დამხობისა და მეფის ტახტის ხელში ჩაგდების მცდელობა. ფარაონმა მაშინვე სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა მოსეს, ვინაიდან, მისი აზრით, სანამ იგი ცოცხალი იყო, სახელმწიფოს საფრთხე ემუქრებოდა. როგორც კი საშიშროება იგრძნო, მოსე არაბეთში გაიქცა.

თავად უფალმა წაიყვანა მოსე მიდიანის ქვეყანაში, სადაც იქაური მღვდლის, ცოცხალი ღმერთის თაყვანისმცემლის, ითროს სახლს შეაფარა თავი. რამდენიმე ხნის შემდეგ იგი მის ერთ-ერთ ქალიშვილზე დაქორწინდა და დარჩა სიმამრის სახლში, როგორც მწყემსი, ორმოცი წლის განმავლობაში.

ეგვიპტელის მოკვლით მოსემ თავისი მამების შეცდომა გაიმეორა, რომლებიც საკუთარი ძალით ცდილობდნენ, გაეკეთებინათ ის, რისი გაკეთებაც თავად უფალმა აღუთქვა. უფალს არ სურდა თავისი ხალხის ბრძოლით გათავისუფლება, როგორც ამას მოსე ფიქრობდა. არამედ, უფლის ძალასა და ძლიერებას უნდა გაეთავისუფლებინა ისინი, რათა განდიდებულიყო მისი სახელი. მაგრამ მოსეს ეს წინდაუხედავი ნაბიჯიც მან თავისი განზრახვის აღსასრულებლად გამოიყენა. მოსე ჯერ კიდევ არ იყო მზად, თავისი უდიდესი მისია

შეესრულებინა. მას ჯერ უნდა შეეგნო აბრაამისა და იაკობის რწმენის გაკვეთილები, დაყრდნობოდა მხოლოდ უფლის ძალას მისი აღთქმის აღსრულებაში და არა ადამიანურ სიბრძნესა და ძალისხმევას. სხვაც ბევრი რამ უნდა ესწავლა მოსეს მთებში განმარტოებული ცხოვრებისას. უპირველეს ყოვლისა, მოთმინების, გაჭირვების, თვითგანწირვისა და თავშეკავების დიდი გამოცდა უნდა გაევლო. მას თავად უნდა ესწავლა მორჩილება, რათა შემდგომში სხვებისთვის ბრძნულად ეხელმძღვა -ნელა. მისი გული სრულად უნდა შერწყმოდა ღმერთს, სანამ ისრაელიანთ შეასწავლიდა უფლის ნებას. ცხოვრებისეული გამოცდილება, რომელსაც ასეთი გზით მიიღებს, ასწავლის მას, თუ როგორი მამაშვილური მზრუნველობა უნდა გამოიჩინოს გაჭირვებული ადამიანის მიმართ.

უბრალო ადამიანური თვალსაზრისით, მძიმე შრომისა და გაჭირვების ეს ხანგრძლივი პერიოდი დროის ამაოდ დაკარგვაა მხოლოდ. მაგრამ უსასრულო სიბრძნემ მოუხმო მას, ვინც თავისი ერის წინამძღოლი უნდა გამხდარიყო და უბრალო მწყემსად დააყენა მთელი ორმოცი წლის განმავლობაში. ისეთი თვისებების შეძენა და განვითარება, როგორიცაა: თავგანწირვა, თანაგრძნობა და ცხვარზე მზრუნველობა, ხელს შეუწყობს მოსეს მთელი ისრაელის მწყემსად ჩამოყალიბებაში. ვერავითარი ადამიანური მეცნიერება და კულტურა ვერ შეუცვლიდა მოსეს ამ ცხოვრებისეულ სკოლას.

მოსე მიხვდა, რომ ბევრი რამ, რასაც ადრე ასწავლიდნენ, უნდა დაივიწყოს. ყოველივემ, რაც მას ეგვიპტეში ჰქონდა: დედობილის სიყვარულმა, მეფის შვილიშვილის მაღალმა თანამდებობამ, მანკიერმა გართობებმა, ცრურელიგიის საიდუმლოებებმა, წარმართული ღვთისმსახურების დიდებულებამ, შესანიშნავმა არქიტექტურამ და სკულპტურამ - ღრმა კვალი დატოვა ყმაწვილის სულში და დიდი გავლენა იქონია მისი ხასიათის ჩამოყალიბებაში. ამ შთაბეჭდილებების მისი მეხსიერებიდან ამოშლა მხოლოდ ვითარების შეცვლას და ღმერთთან

[247]

[248]

ურთიერთობას შეეძლო. თვით მოსესგან ყოველივე ამის უარყოფა და ჭეშმარიტების ზიარება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ითხოვდა და უფალმაც მხარდაჭერა აღუთქვა დიდი გასაჭირის ჟამს.

ყველას, ვინც უფლის მსახურებისთვისაა მოწოდებული, ესა თუ ის ნაკლი გააჩნია. მაგრამ ისინი ურჩობას არ იჩენდნენ და ჯიუტად არ იყვნენ ჩაჭიდებულნი თავიანთ ჩვევებს. მათ

გულწრფელად სურდათ ღვთიური სიბრძნის შეძენა და უფლისათვის შრომა. მოციქული კი ამბობს: „თუ რომელიმე თქვენგანს აკლია სიბრძნე, სთხოვოს ღმერთს, ყველასათვის უხვად და დაუყვედრებლად გამცემს, და მიეცემა" /იაკ. 1:5/. მაგრამ უფალი ვერ მისცემს ღვთიურ ნათელს ადამიანებს, სანამ წყვდიადში ყოფნა აკმაყოფილებთ. ზეციური წყალობის შესაცნობად ადამიანი უნდა მიხვდეს თავის სისუსტეს და ნაკლს. მან მთელი ყურადღება უნდა გადაიტანოს იმ ცვლილებებზე, რომლებიც მასში მოხდება, მისმა გულმა უნდა გაიღვიძოს განუწყვეტელი ლოცვებისა და უფლისკენ სწრაფვისათვის. უღირსი ჩვევები და თვისებები უნდა დაგმოს, რადგან მხოლოდ მათი მტკიცე უარყოფით და წმიდა პრინციპების მორჩილებით შეიძლება გამარჯვების მოპოვება. ბევრი ვერასოდეს მიაღწევს იმ სიმაღლეებს, რომლისთვი -საც უნდა მიეღწია, რადგან ელის, რომ ღმერთი თავად გააკეთებს საქმეს, რომლის გასაკეთებლადაც მან ადამიანს ძალა მისცა. ყველამ, ვისაც ესა თუ ის ნიჭი მიეცა, ზნეობის უმაღლესი სკოლა უნდა განვლოს. და უფლის დახმარებით, ღვთიური ძალა და ადამიანის მცდელობა ერთურთს შეერწყმის.

მაღალ, მიუვალ მთათა გარემოცვაში მყოფი მოსე ხშირად რჩებოდა ღმერთთან მარტო. ეგვიპტის დიდებული ტაძრები ვეღარ ახდენდა მასზე თავის ცრუ ზეგავლენას. ამ მარადიული მთების დიდებულებაში იგი ხედავდა ყოვლადძლიერის ხელს, რომელსაც ეგვიპტის ღმერთების უძლურებას და არარაობას ადარებდა. ყველაფერს მის გარშემო ღვთიური ბეჭედი ჰქონდა

დასმული. მოსეს ეჩვენებოდა, რომ თვით უზენაესის წინაშე იდგა და მისი ძალა იფარავდა მას. ადრინდელი სიამაყისა და თვითკმაყოფილების კვალიც კი გაქრა. მარტოხელა ადამიანის უბრალო, მკაცრმა ცხოვრებამ სრულად დაავიწყა ეგვიპტის ფუფუნებაში ცხოვრება. ახლა მოსე მომთმენი, მოკრძალებული და „უთვინიერესი კაცი იყო დედამიწის ზურგზე" /რიცხ. 12:3/. ახლა მას იაკობის უძლიერესი ღმერთისადმი ურყევი რწმენა ჰქონდა.

დრო გადიოდა. მოსე დაჰყვებოდა ფარას უდაბურ ადგილებში და ფიქრობდა თავისი ხალხის გასაჭირზე. იხსენებდა ღმერთის მიერ მისი მამებისადმი გამოვლენილ წყალობას, რჩეული ხალხის მემკვიდრეობად დატოვებულ აღთქმას და დღედაღამ განუწყვეტლივ ლოცულობდა ისრაელისათვის. ზეციური ანგელოზები იყვნენ მასთან მუდამ. სულიწმიდის კარნახით აქ დაწერა მან დაბადების წიგნი. მარტოობაში გატარებულმა ხანგრძლივმა წლებმა უხვი კურთხევა მოუტანა არა მხოლოდ მოსეს და მის ხალხს, არამედ მთელ მომავალ თაობებს.

„გამოხდა მრავალი ხანი და მოკვდა ეგვიპტის მეფე. აკვნესდნენ მძიმე შრომისაგან ისრაელიანები, გაჰკიოდნენ და მისწვდა მათი ღაღადი ღმერთს. მოესმა ღმერთს მათი კვნესა და გაიხსენა ღმერთმა აბრაამთან, ისააკთან და იაკობთან დადებული აღთქმა. მოხედა ღმერთმა ისრაელიანებს და იცნო ღმერთმა ისინი". დადგა ჟამი ისრაელის გათავისუფლებისა. მაგრამ უფალს

მიზნად ადამიანის პატივმოყვარეობისა და სიამაყის დასჯა ჰქონდა დასახული. ისრაელის მხსნელს უნდა ემოქმედა, როგორც უბრალო მწყემსს, უბრალო ჯოხით ხელში, მაგრამ ღმერთს ამ ჯოხის თავისი ძლიერების სიმბოლოდ გადაქცევა სურდა.

ერთხელ, როცა ხორებთან /ღვთის მთასთან/ ცხვრებს აძოვებდა, მოსემ ცეცხლმოდებული ბუჩქი დაინახა. ცეცხლი ეკიდა ტოტებს, ფოთლებსა და

[251]

ღეროს, მაგრამ არ იწვოდა. მიუახლოვდა, რათა უკეთ ენახა ეს საოცრება და გაიგონა ცეცხლიდან ხმა, რომელიც სახელით უხმობდა. მოსემ აკანკალებული ბაგეებით უპასუხა: „აქა ვარ". ხმამ გააფრთხილა, ფრთხილად, მოწიწებით მიახლოვებოდა მას და უთხრა: „გაიძრე ფეხსამოსი, რადგან ეს ადგილი, სადაც შენ დგახარ, წმიდა მიწაა... მე ვარ მამაშენის ღმერთი, აბრაამის ღმერთი, ისააკის ღმერთი, იაკობის ღმერთი". დიახ, ეს სწორედ ის იყო, ვინც გასულ საუკუნეებში ევლინებოდა მის მამა-პაპათ, როგორც „აღთქმის ანგელოზი". „სახე დაიფარა მოსემ, რადგან ღვთის ხილვისა შეეშინდა".

მორჩილებითა და მოკრძალებით უნდა წარდგეს ღვთის წინაშე ყველა, ვისაც უფლისაგან ასეთი პატივი ხვდა წილად. ჩვენ თამამად შეგვიძლია, მივეახლოთ უფალს ქრისტეს სახელით, მაგრამ არა თავხედური თვითდაჯერებით და არა როგორც მისი ტოლი და სწორი. არიან ადამიანები, რომლებიც ყოვლისშემძლე და ყოვლისმპყრობელ, მიუვალ ნათელში მყოფ ღმერთს ამცირებენ იმით, რომ მიმართავენ, როგორც თავის ტოლს ან უფრო მცირეს. არიან ისეთებიც, რომლებიც ღვთის ტაძარში ისე იქცევიან, როგორც მაღალი მოხელის მისაღებშიც კი არ მოიქცეოდნენ. ამ ადამიანებს უნდა ახსოვდეთ, რომ დგანან იმის წინაშე, ვისაც თაყვანს სცემენ სერაფიმები და ვის წინაშეც ანგელოზები სახეს იფარავენ. ღმერთი ღირსია უმაღლესი თაყვანისცემისა და მის წინაშე მორჩილებით უნდა მოიყაროს მუხლი ყველამ და უფლის მხილველი იაკობის მსგავსად, შეღაღადოს: „რა საშიში ყოფილა ეს ადგილი! სხვა რა უნდა იყოს, თუ არა უფლის სახლი; ეს ცათა კარიბჭეა!" /დაბ. 28:17/. მოწიწებით, წმიდა შიშით შეპყრობილი იდგა მოსე უფლის წინაშე, ხმა კი განაგრძობდა: „ვიხილე ჩაგვრა ჩემი ერისა ეგვიპტეში და მომესმა ზედამხედველე -ბისგან გამწარებულთა ღაღადი. რაკი გავიგე მისი გასაჭირი, ჩამოვედი, რომ ვიხსნა იგი ეგვიპტელთაგან და წავიყვანო მაგ ქვეყნიდან მადლიანსა და ვრცელ ქვეყანაში, სადაც ღვარად მოედინება თაფლი და რძე... ახლა გაგგზავნი ფარაონთან, რომ გამოიყვანო ეგვიპტიდან ჩემი ერი, ისრაელიანები".

ამ ბრძანებით შეშინებულმა და განცვიფრებულმა მოსემ უკან დაიხია და იკითხა: „მე ვინ ვარ, ფარაონთან რომ წავიდე და გამოვიყვანო ისრაელიანები ეგვიპტიდან?" პასუხად მოესმა: „მე ვიქნები შენთან. ეს გქონდეს იმის ნიშნად, რომ ჩემი გაგზავნილი ხარ: როცა ეგვიპტიდან გამოიყვან ჩემს ერს, თაყვანი ეცით ღმერთს ამ მთაზე".

მოსემ წარმოიდგინა ის სიძნელეები, რომელიც მას ელოდა: თავის თანამემამულეთა სიბრმავე, ურწმუნოება და უვიცობა. ბევრ მათგანს საერთოდ დავიწყებული ჰყავდა ღმერთი. „კარგი, მივედი ისრაელიანებთან და ვუთხარი, თქვენი მამა-პაპის ღმერთმა გამომგზავნა-მეთქი. თუ მკითხეს მისი სახელი, რა ვუპასუხო?" იყო პასუხი:

„მე ვარ, რომელიც ვარ... ასე უპასუხე ისრაელიანებს: რომელიც ვარ მგზავნის თქვენთან".

უფლის დავალებით მოსეს, პირველ რიგში, ისრაელიანთა უხუცესები - კეთილშობილი და მორწმუნე ადამიანები უნდა შეეკრიბა და ტყვეობაში მყოფი ამ მრავალტანჯული ადამიანებისათვის გამოეცხადებინა ღვთის ნება მათი გათავისუფლების შესახებ. ამის შემდეგ უხუცესებთან ერთად ფარაონთან უნდა წასულიყო და ეთქვა: „უფალი, ებრაელთა ღმერთი გამოგვეცხადა. ახლა უდაბნოში გავალთ სამი დღის სავალზე, რომ მსხვერპლი შევწიროთ უფალს, ჩვენს ღმერთს".

უფალმა მოსე წინასწარ გააფრთხილა, რომ ფარაონი წინააღმდეგობას გაუწევს და არ გაუშვებს ებრაელებს, მაგრამ უფლის ერთგულმა მსახურმა იმედი არ უნდა დაკარგოს, რადგან უფალი აჩვენებს თავის ძლიერებას

[252]

[253]

ეგვიპტელთ და თავის ხალხს. „მოვიღერებ ხელს და დავსჯი ეგვიპტეს მთელი ჩემი სასწაულებით, რომლებსაც მოვახდენ მის შუაგულში; მხოლოდ ამის შემდეგ გაგიშვებთ იგი".

მითითება მიეცა მოსეს, თუ რა უნდა წაეღოთ თან ეგვიპტიდან გასვლისას. „მადლს ვაპოვნინებ ეგვიპტელთა თვალში ამ ხალხს და როცა წასვლის დრო დაგიდგებათ, ხელცარიელი არ წახვალთ. ინათხოვრებს თქვენი დედაკაცი თავის მეზობლისგან და თავის მდგმურისგან ვერცხლისა და ოქროს ჭურჭელს". ეგვიპტელები მდიდრდებოდნენ ებრაელთა მძიმე შრომის ხარჯზე და ახლა, შორეული მოგზაურობის წინ, მათ უფლება ჰქონდათ, მოეთხოვათ თავიანთი ხანგრძლივი, ქანცგამწყვეტი შრომის გასამრჯელო. მათ თან უნდა წაეღოთ ძვირფასეულობა,

რომელიც არ დაამძიმებდა, უფალი კი ეგვიპტელთა გულს მათ მიმართ კეთილგანწყობით აღავსებს. მათი გათავისუფლებისათვის გათვალისწინებული სასწაულები შეაშინებს მათ მჩაგვრელებს. ასე რომ, ისინი მონების თხოვნას დააკმაყოფილებენ.

დავალების შესრულება, მოსეს აზრით, დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. როგორ დაარწმუნოს ხალხი, რომ ის მართლაც ღმერთმა გამოგზავნა? „არ დამიჯერებენ, არ შეისმენენ ჩემს სიტყვას. რომ მითხრან, არ გამოგცხადებიაო უფალი?" მაშინ მოსეს ამის უტყუარი მტკიცებანი მიეცა. უფალმა უბრძანა, კვერთხი მიწაზე დაეგდო. როცა ეს გააკეთა, კვერთხი „გველად იქცა და გაერიდა მას მოსე". მოსეს ებრძანა, ხელი მოეკიდა გველისთვის... და გველი კვლავ კვერთხად იქცა. შემდეგ უბრძანა უფალმა, ხელი ჩაეყო უბეში. მოსე დამორჩილდა და როცა უკან გამოიღო, ,,აჰა, ხედავს, თოვლივით გასთეთრებია კეთრისგან ხელი". ხოლო როცა კვლავაც ებრძანა ხელის უბეში ჩაყოფა, ძველებური იერი დაუბრუნდა მას. ამ სასწაულით ღმერთმა დაარწმუნა მოსე, რომ მისი ხალხიც და ფარაონიც მიხვდებიან, რომ არსებობს ეგვიპტის მეფეზე უფრო ძლიერი მბრძანებელი.

მაგრამ უფლის მსახური ჯერ კიდევ იმ უჩვეულო საქმეზე ფიქრით იყო დამძიმებული, რომელიც მას დაევალა. სასოწარკვეთილმა და შეშინებულმა მიზეზად ის დაასახელა,

რომ სწრაფად და თავისუფლად ლაპარაკი არ შეეძლო. „გევედრები, უფალო! მჭერმეტყველი კაცი არ ვყოფილვარ არც გუშინ, არც გუშინწინ და არც მას მერე, რაც ლაპარაკი დამიწყე შენს მორჩილს. ბაგემძიმე და ენამძიმე ვარ". დიდი ხანია მოსეს ეგვიპტელები არ ენახა და ფიქრობდა, რომ ვეღარ შეძლებდა მათ ენაზე თავისუფლად საუბარს.

უთხრა უფალმა: „ვინ მისცა ბაგე ადამიანს! ვინ ბადებს მუნჯს ან ყრუს, თვალხილულს ან ბრმას, თუ არა მე, უფალი?" და დახმარება აღუთქვა: „ახლა წადი და მე ვიქნები შენს ბაგეებთან; გასწავლი, რა უნდა თქვა". მაგრამ მოსე კვლავ ევედრებოდა, გამოენახა სხვა, უფრო ღირსეული კაცი ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმის შესასრულებლად. თავიდან მოსეს უარი, შესაძლოა, მისი თავმდაბლობითა და დაბნეულობით იყო გამოწვეული, მაგრამ მას შემდეგ, რაც უფალმა ყველა საქმეში დახმარება და მისი მისიის წარმატებით დამთავრება აღუთქვა, მისი ამ საქმის თავიდან აცილების ყველა მცდელობა უფლისადმი უნდობლობაზე მეტყველებდა. ცხადი იყო, მოსეს ეჭვი შეეპარა, შეძლებდა თუ არა უფალი მისი ამ საქმისათვის მომზადებას, ან ხომ არ შეცდა იგი, მოსე რომ აირჩია?

უფალმა მოსე მის უფროს ძმასთან, აარონთან გაგზავნა, რომელიც ყოველდღე ეგვიპტელთა შორის იმყოფებოდა და ზედმიწევნით კარგად იცოდა მათი სალაპარაკო ენა. მას აუწყეს, რომ აარონი მის შესახვედრად გამოვიდა, და უფლის შემდეგი

სიტყვები გაისმა, როგორც ბრძანება: „ელაპარაკე და ბაგეში ჩაუდე შენი სიტყვები; მე ვიქნები შენს ბაგესთან და მის ბაგესთან. გასწავლით,

[254]

რა უნდა გააკეთოთ. ის ილაპარაკებს ხალხთან შენს ნაცვლად, ის იქნება შენთვის ბაგე, ხოლო შენ ღმერთი იქნები მისთვის. ხელში გეჭიროს ეგ კვერთხი, რომლითაც სასწაულებს მოახდენ". მოსე ვეღარ აღუდგა წინ უფლის ნებას, რადგან უკვე ყველა კითხვაზე მიიღო პასუხი.

მოსე უღირსად და უნიჭოდ თვლიდა თავს იმისათვის, რომ უფლის ბრძანება შეესრულებინა. მას მეტად აწუხებდა ის, რომ იქნებ ვერ შეძლებს, იყოს უფლის ბაგეები ისრაელისათვის. მაგრამ გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა და მთელი გულით, სრულად მიენდო ღმერთს. ამ საქმის სიდიადემ ყოველივე კარგი და კეთილი გააღვიძა მასში. უფალმა მოიწონა და აკურთხა მისი მზადყოფნა და მორჩილება და მიეცა მას მჭერმეტყველება, იმედი და თავშეკავების უნარი, რაც ასე საჭირო იყო ამ დიდი საქმის შესასრულებლად. ეს თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ როგორ ამხნევებს და აძლიერებს ღმერ-თი

მათ, ვინც სრულად მიენდობა და უსიტყვოდ დაემორჩილება მის ბრძანებებს.

ადამიანს, რომელმაც უფლის საქმისათვის გადადო თავი, ყოველთვის მიეცემა ძალა და სიბრძნე ღვთის სამსახურის ღირსეულად შესრულებისათვის. რაგინდ სუსტიც არ უნდა იყოს იგი, თუკი ღვთიურ ძალაზე დაყრდნობით შეეცდება, ერთგულად აღასრულოს თავისი საქმე, ჭეშმარიტ სიმაღლეებს მიაღწევს. თავისი მნიშვნელოვანი მისიის შესრულებისათვის მოსე რომ საკუთარ ძალას, სიბრძნესა და შესაძლებლობებს დაყრდნობოდა, აუცილებლად დამარცხდებო -და. როცა ადამიანი აღიარებს საკუთარ სისუსტეს და უძლურებას, ეს იმას ნიშნავს, რომ შეცნობილი აქვს დავალებული საქმის უდიდესი მნიშვნელობა და უფლის დახმარების იმედითაა აღვსილი.

მოსე დაბრუნდა სიმამრთან და გაანდო თავისი განზრახვა ეგვიპტეში ძმების მონახულების შესახებ. დალოცა ითრომ გამგზავრებისას: „მშვიდობით იარე". ცოლ-შვილთან ერთად გაუდგა გზას მოსე. მან ვერ გაბედა მოგზაურობის ნამდვილი მიზეზის გაცხადება, რადგან, შესაძლოა, ცოლ-შვილის წაყვანის ნება არ მიეცათ. მაგრამ ეგვიპტის საზღვრებთან მისვლისას მოსემ იფიქრა, რომ უსაფრთხოების მიზნით სჯობდა, ისინი კვლავ მიდიამის ქვეყანაში დაებრუნებინა. გულის სიღრმეში კვლავ ეშინოდა მოსეს ფარაონისა და ეგვიპტელების რისხვისა ორმოცი წლის წინათ იქ ჩადენილი დანაშაულის გამო, მაგრამ,

როცა უფალს მიენდო და გაემგზავრა, თავად გამოეცხადა იგი და აუწყა, რომ მისი მტრებიდან აღარავინაა ცოცხალი.

მიდიანის ქვეყნიდან გამოსვლის შემდეგ, გზაზე, მოსე სასტიკად გააფრთხილეს, რომ უფალი უკმაყოფილოა მისით. ანგელოზი გამოეცხადა მას ისეთი მკაცრი სახით, თითქოს მისი მოკვლა სურდა. მოსე ვერ მიხვდა მიზეზს, მაგრამ შემ-დეგ გაახსენდა, რომ უფლის ერთი მოთხოვნა არ შეასრულა. ცოლის დაჟინებული თხოვნის შედეგად უმცროს ვაჟს წინადაცვეთა არ გაუკეთა. მან არ აღასრულა პირობა, რომლითაც მისი უმცროსი ვაჟი ისრაელთან ღვთიური აღთქმის კურთხევას მიიღებდა. ხოლო რჩეული ხალხის წინამძღოლის ასეთი არასწორი საქციელი უფლის დადგენილ წესებს დაამცირებდა ხალხის წინაშე. ციფორა შეშინდა თავისი ქმრის გამო და „ჩუჩა წააჭრა შვილს". მხოლოდ ამის შემდეგ დართო გზის გაგრძელების ნება ანგელოზმა. უდიდესი საფრთხე ელოდა მოსეს ფარაონის წინაშე წარდგომისას; მხოლოდ წმიდა ანგელოზთ შეეძლოთ მოსეს დაცვა. მაგრამ თავისი მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში იგი უშიშრად ვერ იქნებოდა, ვინაიდან ანგელოზები ვეღარ დაიცავდნენ მას.

დიდი გასაჭირის ჟამს, ქრისტეს მეორედ მოსვლის წინ, მართალთა სიცოცხლეს ანგელოზები დაიცავენ. მაგრამ ღვთის რჯულის დამრღვევთ არ ექნებათ ეს დაცვა. ანგელოზები ვერ

გაუწევენ მფარველობას მათ, ვინც ღვთიურ მცნებათაგან თუნდაც ერთი უარყო.

[255]

[256]

თავი 23 - ეგვიპტის წყლულები

გამოსვლა 5-10

ანგელოზებმა გაგზავნეს აარონი დიდი ხნის უნახავ ძმასთან შესახვედრად და აი, ხორების მთასთან, უკაცრიელ უდაბნოში შეხვდნენ ისინი ერთმანეთს. დიდხანს ილაპარაკეს ძმებმა, შემდეგ კი „ამცნო მოსემ აარონს ყოველი სიტყვა უფლისა, რომელმაც გამოგზავნა იგი, და ყველა სასწაული, რომლის აღსრულებაც უბრძანა" /გამ. 4:28/. ერთად გაემართნენ ეგვიპტის ქვეყნისაკენ; მიაღწიეს გოშენს და „შეკრიბეს ისრაელიანთა უხუცესები". აარონმა უამბო „ყოველი სიტყვა, რაც უფალმა უთხრა მოსეს" და ხალხმა იხილა ყველა სასწაული, რაც უფალმა მოსეს აჩვენა. „დაიჯერა ხალხმა და ირწმუნა, რომ მოხედა

უფალმა ისრაელიანებს და დაინახა მათი ჩაგვრა. მუხლი მოიყარეს და თაყვანი სცეს" /გამ. 4:31/.

მოსეს მეფისთვისაც ჰქონდა სიტყვა სათქმელი. ძმები წარდგნენ ფარაონის წინაშე მის სასახლეში, როგორც მეფეთა მეფის მაცნენი და მისი სახელით აუწყეს: „ასე ამბობს უფალი ღმერთი ისრაელისა: გაუშვი ჩემი ხალხი, რომ დღესასწაული გამიმართონ უდაბნოში".

„ვინ არის უფალი, რომ დავუჯერო და გავუშვა ისრაელი? - იკითხა ფარაონმა, - არც უფალი ვიცი და არც ისრაელს გავუშვებ".

„უთხრეს: ებრაელთა ღმერთი გამოგვეცხადა. წავალთ უდაბნოში სამი დღის სავალზე და მსხვერპლს შევწირავთ ჩვენს ღმერთს, თორემ გაგვწყვეტს ჭირით ან მახვილით".

მეფის ყურამდე უკვე მისულიყო ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ ააღელვა ხალხი ამ ორმა ადამიანმა. დიდად განრისხდა მეფე: „რატომ აცდენთ, მოსე და აარონ, ხალხს საქმეს? წადით, შეუდექით თქვენს სამუშაოს" - ბრძანა მან. ქვეყანა უკვე ზარალობდა ამ ორი ადამიანის აქ გამოჩენის გამო და სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში, როცა დაუმატა: „მრავალრიცხოვანია ახლა ეს ხალხი, თქვენ კი გინდათ, მოაცდინოთ სამუშაოს".

ეგვიპტის ტყვეობაში ყოფნისას ისრაელიანებმა ნაწილობრივ დაივიწყეს უფლის რჯული და განუდგნენ მის მცნებებს. შაბათის სიწმიდე ირღვეოდა, რადგან ზედამხედველთა მკაცრი მოთხოვნები შეუძლებელს ხდიდა მის დაცვას. მაგრამ მოსემ აუხსნა ხალხს, რომ მათი გათავისუფლების ერთ-ერთი უმთავრესი პირობა უფლის რჯულის დაცვა იყო და ებრაელი ხალხის მცდელობა, აღედგინა შაბათი უქმე დღედ, შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მის მჩაგვრელთ.

ამ ვითარებამ შეაშინა მეფე, ვინაიდან ფიქრობდა, რომ ისრაელიანნი მის წინააღმდეგ შეთქმულებას აწყობდნენ. მისი აზრით, ხალხის უკმაყოფილება უსაქმურობით იყო გამოწვეული, ამიტომ უფრო მეტად უნდა დაესაქმებინა ისინი, რათა ამბოხებისათვის დრო აღარ ჰქონოდათ. დაუყოვნებლივ მიიღო შესაბამისი ზომები, რომ უფრო მეტად დაეტვირთა ეს ხალხი და ამით ჩაეხშო მათში გაღვიძებული დამოუკიდებლობის სული. იმავე დღეს გამოიცა მკაცრი კანონები, რამაც მეტად დაამძიმა და სრულიად აუტანელი გახადა მათი ყოფა.

ყველაზე ვარგისიან და გავრცელებულ სამშენებლო მასალას მზეზე გამომშრალი აგური წარმოადგენდა და მშენებლობისთვის ძირითადად მას იყენებდნენ. ყველაზე მშვენიერ ნაგებობათა კედლების ამოყვანა აგურით ხდებოდა, მოპირკეთება კი - ქვით. აგურის წარმოებას უამრავი მუშახელი

სჭირდებოდა. აგური რომ მდგრადი და გამძლე ყოფილიყო, თიხაში ბზეს ურევდნენ, რის-თვისაც დიდძალი ბზე იყო საჭირო. ახლა მეფემ გასცა განკარგულება, რომ

[257]

[258]

ისრაელიანნი ბზით აღარ მოემარაგებინათ, არამედ თავად მათვე დაემზადებინათ იგი, თანაც დამზადებული აგურის რაოდენობა იგივე უნდა დარჩენილიყო.

ამ განკარგულებამ დიდი მღელვარება გამოიწვია ისრაელიანთა შორის. ეგვიპტელმა აღმსრულებლებმა ზედამხედველებად დანიშნეს ებრაელები, რომელთაც ამ სამუშაოს შესრულებისათვის მთელი პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ. როცა მეფის ბრძანებულება ძალაში შევიდა, ისრაელიანები ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში გაიფანტნენ, რათა ბზის ნაცვლად ნამჯა შეეგროვებინათ, მაგრამ იმავე მოცულობის სამუშაოს შესრულება შეუძლებელი აღმოჩნდა და მისი შეუსრულებლობის გამო ებრაელი ზედამხედველნი სასტიკად დასაჯეს.

ებრაელ ზედამხედველებს ეგონათ, რომ ეს ბრძანება მოდის არა მეფისაგან, არამედ აღმსრულებლებისგან და ფარაონთან იჩივლეს. მათ პროტესტს მეფემ დაცინვით უპასუხა: „ზარმაცები ხართ, ზარმაცები. ამიტომ ამბობთ: წავალთ, მსხვერპლს შევწირავთო ჩვენს უფალს". შემდეგ კი უბრძანა, დაბრუნებოდნენ თავიანთ სამუშაოს და რაიმე შეღავათის იმედი არ ჰქონოდათ. დაბრუნებისას მოსესა და აარონს შეხვდნენ და შესჩივლეს: „უფალმა დაგინახოთ და განგსაჯოთ, რომ შეაძულეთ ჩვენი თავი ფარაონს და მის მსახურებს და ჩვენს ამოსახოცად მახვილი მიეცით ხელში".

ძლიერ დააღონა მოსე ამ საყვედურებმა. ხალხის ტანჯვა უფრო გამძაფრდა. მთელ ქვეყანაში ისმოდა მოხუცისა თუ ახალგაზრდის გმინვა და კვნესა. მათ ცხოვრებაში მომხდარი ასეთი ცვლილებების გამო დამნაშავედ მოსეს თვლიდა ყველა. და ტირილით მიმართა დანაღვლიანებულმა მოსემ უფალს: „უფალო, რატომ უბოროტე ამ ხალხს? რატომ გამომგზავნე? მას შემდეგ, რაც ფარაონთან მივედი, რომ შენი სახელით მელაპარაკნა, ბოროტად ექცევა ამ ხალხს ფარაონი. ხსნით კი, არ იხსენი შენი ხალხი". უფალმა უპასუხა მოსეს: „ახლა დაინახავ, რას დავმართებ ფარაონს, რადგან მაგარი ხელი აიძულებს გაუშვას ისინი და მაგარი ხელი აიძულებს, გაყაროს მისი ქვეყნიდან". კვლავ გაახსენა უფალმა მოსეს მის მამებთან დადებული აღთქმა და დაარწმუნა, რომ იგი აღსრულდება.

ეგვიპტეში ხანგრძლივი მონობისას ებრაელთა შორის იყვნენ იეჰოვას ჭეშმარიტი და ერთგული თაყვანისმცემლები, რომლებიც გულწრფელად წუხდნენ იმის გამო, რომ მათი შვილები წარმართთა გარემოცვაში იმყოფებოდნენ და კერპებს სცემდნენ თაყვანს. სასოწარკვეთილებით შეღაღადებდნენ ღმერთს, ეგვიპტის მონობიდან თავის დახსნას შესთხოვდნენ, რათა თავი დაეღწიათ კერპთაყვანისმცემლობის გამხრწნელი ზეგავლენისაგან. ისინი არ მალავდნენ თავიანთ რწმენას და დაუფარავად უცხადებდნენ ეგვიპტელებს, რომ მხოლოდ ერთადერთ ცოცხალ ღმერთს, ცისა და მიწის შემოქმედს ემსახურებიან. მოჰყავდათ მისი ჭეშმარიტად არსებობისა და ძლიერების მაგალითები შემოქმედების დღიდან იაკობის დღეებამდე. ამრიგად, ეგვიპტელებს ჰქონდათ ებრაელთა რელიგიის გაცნობის შესაძლებლობა, მაგრამ დამცირებად მიაჩნდათ მონებისგან რაიმეს სწავლა და ცდილობდნენ, ეცდუნებინათ ღვთის ერთგულნი, რისთვისაც გასამრჯელოს პირდებოდნენ, ხოლო, როცა ეს ხერხი არ ჭრიდა, ემუქრებოდნენ და აშინებდნენ კიდეც.

ისრაელიანთა უხუცესნი ხშირად ახსენებდნენ თავიანთ რწმენაშესუსტებულ ძმებს მათი მამებისადმი მიცემულ აღთქმას, იოსების სიკვდილის წინ წარმოთქმულ წინასწარმეტყველურ სიტყვებს მისი ხალხის ეგვიპტიდან გამოსვლის შესახებ. ზოგი სიამოვნებით ისმენდა და სჯეროდა კიდეც ყოველივე, ზოგი კი, არსებული სინამდვილიდან გამომდინარე, უარს ამბობდა ყოველგვარ იმედზე. ეგვიპტელები

კი დასცინოდნენ მათ რწმენასა და იმედებს და სიძულვილით უარყოფდნენ მათი ღმერთის ძლიერებას, მტკიცედ სწამდათ, რომ ისრაელიანნი

[259]

მხოლოდ მონობისათვის არიან გაჩენილნი და დაცინვით ამბობდნენ: „თუკი თქვენი ღმერთი ასეთი სამართლიანი და მოწყალეა და ეგვიპტის ღმერთებზე მეტი ძალა გააჩნია, რატომ არ გაათავისუფლებს თავის ხალხს?" და საკუთარი ცხოვრების მაგალითი მოჰყავდათ; ისრაელიანთა აზრით, ისინი ცრუ ღმერთებს სცემდნენ თაყვანს, მაგრამ მშვენივრად ცხოვრობდნენ, რადგან მათმა ღმერთებმა ყოველგვარ მიწიურ სიკეთესთან ერთად ისრაელიანნი უბოძეს მონებად. ისინი ამაყობდნენ იეჰოვას ერთგულ ხალხზე თავისი ძალაუფლებითა და ბატონობით. თვით ფარაონი ტრაბახობდა, რომ ებრაელთა ღმერთს არ შეუძლია თავისი ხალხის მისი ხელიდან დახსნა.

მსგავსი სიტყვები უიმედობას თესავდა ისრაელიანთა გულებში. ისინი თანდათან რწმუნდებოდნენ, რომ ეგვიპტელები მართალს ამბობდნენ. ისინი ხომ მართლაც მონები იყვნენ და მეთვალყურეთა ყოველგვარი სისასტიკე უნდა აეტანათ! მათ შვილებს დევნიდნენ, კლავდნენ, საკუთარი სიცოცხლე კი

მათთვის მძიმე ტვირთი იყო მხოლოდ. მაგრამ კვლავ ერთგულად ემსახურებოდნენ თავიანთ ღმერთს. თუკი იეჰოვა, მართლაც, ყველა ღმერთზე მაღალია, არ დატოვებს მათ წარმართთა ტყვეობაში. ერთი რამ კი უფლის ერთგულ მსახურთ კარგად ესმოდათ: მათი მონობა ისრაელის ღვთისგან განდგომილების შედეგია, ვინაიდან წარმართებთან ქორწინებით მათ კერპებს დაუწყეს თაყვანისცემა და უფალმა დაუშვა, მათივე მონები გამხდარიყვნენ. მხურვალედ არწმუნებდნენ თანამოძმეებს, რომ ღმერთი მალე დალეწავდა მათ მჩაგვრელთა უღელს.

ებრაელები ფიქრობდნენ, რომ ღმერთი გაათავისუფლებდა მათ რწმენის ყოველგვარი განსაკუთრებული გამოცდის, ტანჯვისა და გაჭირვების გარეშე. ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ მზად თავისუფლებისათვის, მეტად სუსტი იყო ღმერთისადმი მათი რწმენა და სურვილი, მოთმინებით აეტანათ გასაჭირი, სანამ უფალი საჭიროდ არ მიიჩნევდა რაიმე ეღონა მათი გათავისუფლებისათვის. ბევრისთვის მონობა სჯობდა იმ სიძნელეების გადატანას, რომელიც უცხო ქვეყანაში მათ გადასახლებასთან იყო დაკავშირებული. ზოგი კი იმდენად შეეთვისა ეგვიპტელთა ცხოვრების ნირს, რომ იგი საუკეთესოდ მიაჩნდა. ამიტომ უფალმა არ გაათავისუფლა ისინი ფარაონის წინაშე თავისი ძლიერების პირველად გამოვლენისთანავე. იგი ისე მართავდა მოვლენებს, რომ ხალხს კარგად დაენახა მისი არსიც და ფარაონის დესპოტური სულიც. როცა ებრაელები საკუთარი თვალით იხილავენ მის სამართლიანობას, ძალას,

მათდამი სიყვარულს, მაშინ ადვილად დატოვებენ ეგვიპტეს და მის მსახურებას აირჩევენ. მოსეს, რა თქმა უნდა, უფრო გაუადვილდებოდა თავისი საქმის აღსრულება, ებრაელთა უმრავლესობას რომ მოენდომებინა ეგვიპტის მონობიდან თავის დაღწევა.

უფალმა მოსეს უბრძანა, წასულიყო თავის ხალხთან, კვლავ გაეხსენებინა მათთვის აღთქმა მონობიდან გათავისუფლების შესახებ და დაერწმუნებინა, რომ ყოველივე ეს უფლის ნებით მოხდებოდა. მოსე წავიდა, მაგრამ არ მოუსმინეს. წმ. წერილი ამბობს: „მაგრამ არ უსმინეს მოსეს, რადგან სულმოკლენი იყვნენ და შრომისაგან გატანჯულნი". კვლავ ებრძანა მოსეს უფლისაგან: „მიდი, უთხარი ფარაონს, ეგვიპტის მეფეს, გაუშვას ისრაელიანები თავისი ქვეყნიდან". იმედგაცრუებულმა მოსემ უპასუხა: „აჰა, არ მისმინეს ისრაელიანებმა. როგორღა მომისმენს ფარაონი?" ებრძანა მოსეს, აარონთან ერთად წასულიყო ფარაონთან, „რომ გაეშვა ისრაელიანები ეგვიპტის ქვეყნიდან".

მოსემ იცოდა, რომ ფარაონი არ დაუთმობდა, სანამ უფალი თავის სამსჯავროს არ მოუწყობდა ეგვიპტეს და განსაკუთრებულად არ გამოავლენდა თავის ძლიერებას ისრაელის სახსნელად. მოსეს დაწვრილებით უნდა აღეწერა ყოველი წყლული, რომელიც თავს დაატყდებოდა ეგვიპტეს, რათა მეფეს

[260]

[263]

არჩევანის გაკეთება შეძლებოდა. ყოველ სასჯელს მოჰყვება სხვა, უფრო მკაცრი, სანამ არ დაცხრება ფარაონის ამაყი გული და არ აღიარებს ჭეშმარიტ და ერთადერთ ცოცხალ ღმერთად ცისა და მიწის შემოქმედს. უფალს სურდა, რომ საკუთარი თვალით ეხილათ ეგვიპტელებს მათი ღმერთების უძლურება, მათ ბრძენკაცთა და ძლიერთა სიბრძნის ამაოება, რომლებიც იეჰოვას ბრძანებას არაფრად აგდებენ. იგი დასჯის ეგვიპტელ ხალხს კერპთაყვანისმცემლობისათვის და დაადუმებს მათ მკვეხარა ბაგეებს, რომლებიც მათი უსულო ღმერთებისგან მიღებულ კურთხევათა შესახებ ლაყბობს.

უფალი ღმერთი განადიდებს თავის სახელს, რათა მისი ძლიერებისა და ძალის შესახებ გაიგონ სხვა ერებმა და შეშინდნენ, საკუთარ ხალხს კი იხსნის, რათა გათავისუფლდნენ კერპთაყვანისმცემლობისაგან და ცოცხალ ღმერთს რწმენით ემსახურონ.

კვლავ ეწვივნენ მოსე და აარონი ფარაონის დიდებულ სასახლეს. იქ, ბრწყინვალედ მორთული სვეტების, წარმართთა ღმერთების

დიდებული სურათებისა და ქანდაკებების გარემოცვაში, ფარაონის წინაშე წარდგა დამონებული ერის ორი წარმომადგენელი, რათა კვლავ გაემეორებინათ უფლის სიტყვები ისრაელის გათავისუფლების შესახებ. მათი დავალების ღვთიურობის დასამტკიცებლად მეფემ სასწაულების გაკეთება მოსთხოვა. მოსემ და აარონმა იცოდნენ, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ასეთ შემთხვევაში. და ახლა აიღო აარონმა კვერთხი და წინ დაუდო ფარაონს. კვერთხი გველად იქცა. „უხმო ფარაონმა ბრძენკაცებსა და ჯადოქრებს. და მათაც, ეგვიპტის გრძნეულებმა, თავიანთი ჯადოსნობით იგივე გააკეთეს. მოისროლეს თავ-თავიანთი კვერთხები და იქცნენ გველებად. მაგრამ შთანთქა აარონის კვერთხმა მათი კვერთხები". უფრო გასასტიკდა ფარაონი ამის დანახვაზე და განაცხადა, რომ მისი გრძნეულები უტოლდებიან მოსესა და აარონს; უფლის მსახურნი თვალთმაქცებად შერაცხა და აბუჩად აიგდო უფლის სიტყვები. მან უარი თქვა უფლის ბრძანების შესრულებაზე, მაგრამ ღვთიურმა ძალამ მაინც შეაკავა და ვერავითარი ვნება ვერ მიაყენა მოსესა და აარონს.

სასწაულები, რომელიც აარონმა და მოსემ ფარაონს უჩვენეს, უფლის ხელმა მოახდინა. ადამიანებს მათთან არაფერი ესაქმება. ამ სასწაულებს უნდა დაერწმუნებინა ფარაონი, რომ სწორედ დიდმა „მე ვარ" გამოგზავნა მოსე და რომ მეფე ვალდებულია, გაუშვას ისრაელი, რათა ცოცხალ ღმერთს ემსახუროს. გრძნეულებმაც მეტად ოსტატურად აჩვენეს სასწაულები

თავიანთი ღმერთის, სატანის ძალით, რომელიც კარგად ბაძავდა იეჰოვას საქმეებს.

სინამდვილეში კი გრძნეულთა კვერთხები სულაც არ გადაქცეულა გველებად, არამედ უდიდესი მაცდურის ჯადოსნობის მეშვეობით შეიქმნა ასეთი ხილვადობა. სატანას არ გააჩნდა კვერთხების ცოცხალ გველებად გადაქცევის ძალა. თუმცა ბოროტების მეფე - დაცემული ანგელოზი - საკმაოდ ბრძენი და ძლიერი იყო, მაგრამ არ ჰქონდა სიცოცხლის მიცემის ან ახლის შექმნის არც ძალა და არც უფლება. ეს მხოლოდ ღმერთის უფლებამოსილებაა. სატანამ გააკეთა ის, რაც შეეძლო - ჩაიდინა სიყალბე. ადამიანური თვალსაზრისით, კვერთხები გველებად იქცა. ასე მოეჩვენათ ფარაონს და მის მოხელეებს. გარეგნულად არაფრით განსხვავდებოდნენ ისინი იმ გველისაგან, რომელიც მოსეს კვერთხისაგან წარმოიქმნა, თუმცა უფალმა ისე გააკეთა, რომ ცრუ გველები ნამდვილმა გველმა გადაყლაპა, ფარაონმა ეს ღვთის ძალის გამოვლინებად კი არ ჩათვალა, არამედ - მხოლოდ მის მსახურთა ჯადოსნობაზე ცოტათი მეტ უპირატესობად.

ღვთიური ნებისადმი თავისი ასეთი ჯიუტი წინააღმდეგობის გასამართლებლად და უფლის სასწაულების გაუბრალოებისათვის ფარაონი საბაბს ეძებდა. და სატანაც დაეხმარა მას. ქვეყნის გრძნეულთა მიერ ჩადენილი სასწაულების

[264]

მეშვეობით მან დაარწმუნა ეგვიპტელები, რომ მოსე და აარონი მხოლოდ გრძნეულები და ჯადოსნები არიან და არაფერი აქვთ საერთო უზენაეს ღმერთთან. აქ სატანამ გაიმარჯვა, რადგან დაუმორჩილებლობისაკენ უბიძგა ეგვიპტელებს და ღვთიური ნების საწინააღმდეგოდ გაუსასტიკა გული ფარაონს. სატანა მოსესა და აარონშიც შეეცადა მათი მისიის ღვთიურობისადმი ეჭვის აღძვრას, რადგან ძალიან არ სურდა, ისრაელიანნი ეგვიპტელთა მონობიდან გათავისუფლებულიყვნენ და თავიანთი ღმერთისათვის ემსახურათ.

ამ ჯადოსნური სასწაულებით ბოროტების მეფე კიდევ ერთ მიზანს ისახავდა. მან კარგად იცოდა, რომ ისრაელიანთა მონობის უღლის დამანგრეველი მოსე იყო, სიმბოლო ქრისტესი, რომელსაც ადამიანზე ცოდვის ბატონობა საბოლოოდ უნდა გაენადგურებინა. ისიც იცოდა, რომ ქრისტე დედამიწაზე მოსვლისას უამრავ სასწაულს მოახდენდა, რაც მისი ღვთიური მისიის დამამტკიცებელი იქნებოდა. სატანა ძრწოდა მისი ძალის წინაშე. ამიტომ, ბაძავდა რა უფალს, რომელიც მოსეს მეშვეობით მოქმედებდა, არა მარტო ისრაელის გათავისუფლების შეფერხებას, არამედ მომავალში ქრისტეს სასწაულებისადმი რწმენის შერყევას იმედოვნებდა. სატანა მუდამ ცდილობს,

მიბაძოს ქრისტეს, რათა გაამყაროს თავისი ძალაუფლება და განახორციელოს თავისი მიზნები. იგი ადამიანებს აიძულებს, შეხედონ ქრისტეს სასწაულებს, როგორც უბრალოდ ხელის ძალასა და ოსტატობას. ამით ბევრს გაუქარწყლა ქრისტესადმი, როგორც უფლის ძისადმი, რწმენა და აიძულა, უარი ეთქვა გამოსყიდვის ღვთიურ მადლზე.

მოსესა და აარონს ებრძანა, მეორე დილით გასულიყვნენ მდინარის პირას, სადაც, ჩვეულებისამებრ, მეფე დადიოდა. წყალუხვი ნილოსი მთელი ეგვიპტის ბარაქისა და სიმდიდრის წყაროდ ითვლებოდა. ამ მდინარეს თაყვანს სცემდნენ, როგორც ღვთაებას, ამიტომ მოდიოდა ფარაონი აქ ყოველდღე სალოცავად. აქ კვლავ გაიმეორეს ძმებმა უფლის ბრძანება ფარაონის მიმართ, შემდეგ „მოიქნიეს კვერთხი და დაჰკრესა ნილოსის წყალს". მდინარის „წმიდა წყლები" სისხლად იქცა, თევზი ამოწყდა ნილოსში და აყროლდა ნილოსი. სისხლად იქცა წყალი სახლებშიც და წყალსაცავებშიც. მაგრამ „იგივე მოიმოქმედეს ეგვიპტელმა გრძნეულებმა თავიანთი ჯადოსნობით... პირი იბრუნა ფარაონმა და წავიდა სახლში. არც ამას შეუძრავს მისი გული". შვიდ დღეს გრძელდებოდა წყლული, მაგრამ უშედეგოდ.

კვლავ მისწვდა კვერთხი „ეგვიპტის წყლებს და ამოვიდნენ გომბეშოები და დაფარეს ეგვიპტის ქვეყანა". შევიდნენ სახლებში, საძინებელ ოთახებში, ვარცლებში და ღუმლებში.

ეგვიპტელები გომბეშოებს წმიდა ცხოველებად თვლიდნენ და არ ხოცავდნენ. მაგრამ ამ ლორწოვანი ცხოველების ატანა ბოლოს შეუძლებელი შეიქნა. ისინი ფარაონის სასახლეშიც დაფუთფუთებდნენ და მეფესაც დიდად სურდა მათგან გათავისუფლება. ჯადოსნებმა სცადეს მათგან თავის დაღწევა, მაგრამ ამაოდ: ვერ შეძლეს გომბეშოების განდევნა, თუმცა, იმავე სასწაულის მოხდენას კარგად გაართვეს თავი. ამის დანახვაზე ფარაონი შეშფოთდა და დაფიქრდა; გაგზავნა კაცი მოსესა და აარონის მოსაყვანად და უთხრა: „შეევედრეთ უფალს, რომ მოგვაცილოს გომბეშოები მე და ჩემს ხალხს; მაშინ გავუშვებ თქვენს ხალხსაც და შესწირონ მსხვერპლი უფალს". ისრაელიანებს კარგად ახსოვდათ ფარაონის კვეხნით წარმოთქმული სიტყვები, ამიტომ მოითხოვეს, რომ მეფეს თავად დაენიშნა დრო ლოცვისათვის, რათა უზენაეს ღმერთს ქვეყანა ამ წყლულისაგან გაეთავისუფლებინა. მეფემ ამისათვის მეორე დღე დანიშნა იმ იმედით, რომ გომბეშოები თავისთავად გაქრებიან და თავიდან აიცილებს ამ მისთვის მეტად მტანჯველ დამცირებას - ისრაელის ღმერთისადმი მორჩილებას. მაგრამ წყლული დანიშნულ ვადამდე გაგრძელდა; შემდეგ გომბეშოები ერთბაშად ამოწყდნენ მთელ ქვეყანაში, მაგრამ მათმა ლეშმა

[265]

[266]

მთელი ჰაერი მოწამლა.

ღმერთს შეეძლო, ერთ წამში გაექრო ისინი, მაგრამ არ გააკეთა, რათა მეფე და მისი ამალა დარწმუნებულიყვნენ, რომ ეს არ იყო ჯადოსნობისა და გრძნეულების შედეგი. გროვად დახოცილი გომბეშოები ეგვიპტელთათვის უსიტყვო მტკიცება იყო იმისა, რომ ეს იყო არა ჯადოსნობა, არამედ ზეციერი ღმერთის მიერ მოვლენილი სამსჯავრო.

„დაინახა ფარაონმა, სული რომ მოითქვა ქვეყანამ და გაისასტიკა გული", უფლის ბრძანებით „მოიღერა აარონმა კვერთხიანი ხელი და დაჰკრა მიწას... და მთელი მიწა მუმლად იქცა მთელს ქვეყანაში". იხმო მოგვები ფარაონმა იმავე საქმის გასაკეთებლად, მაგრამ ვერ შეძლეს. ამგვარად, ეგვიპტელებისათვის ცხადი გახდა, რომ ღმერთის საქმეები სატანის საქმეებზე დიდია. თვით გრძნეულებმაც აღიარეს: „ეს ღვთის ხელია!" მაგრამ კვლავაც არ შეისმინა მეფემ.

თხოვნა და გაფრთხილება უშედეგო აღმოჩნდა, ამიტომ სხვა წყლულის მოვლინება იყო აუცილებელი. ამისათვის დროც წინასწარ იყო დათქმული, რათა შემთხვევითობად არ ჩაეთვალათ იგი. „შეესია უთვალავი ბუზანკალი ფარაონის სახლს... მთელ ეგვიპტის ქვეყანას, იღუპებოდა ქვეყანა

ბუზანკალისაგან". ეს იყვნენ დიდი, შხამიანი ბუზები, რომელთა ნაკბენიც მეტად მტკივნეული იყო ადამიანისთვისაც და ცხოველისთვისაც. წინასწარმეტყველების თანახმად, ეს სასჯელი არ ვრცელდებოდა გოშენის მიწაზე.

ბოლოს ფარაონმა ისრაელიანებს ეგვიპტის მიწაზე მსხვერპლშეწირვის აღსრულება შესთავაზა, მაგრამ მათ უარი განაცხადეს. „ვერ ვიზამთ ამას, რადგან სისაძაგლეა ეგვიპტელთათვის ჩვენი მსხვერპლშეწირვა უფლის, ჩვენი ღმერთისადმი. ხომ ჩაგვქოლეს, თუ შევწირეთ ეგვიპტელთათვის საძაგელი მსხვერპლი მათ თვალწინ!" ცხოველები, რომელთაც ებრაელები ღმერთს სწირავდნენ, ეგვიპტელებს წმიდად მიაჩნდათ და იმდენად ძლიერი იყო მოწიწება მათ მიმართ, რომ ერთი მათგანის შემთხვევით მოკვლაც კი სიკვდილით ისჯებოდა. სწორედ ამის გამო განაცხადა მოსემ, რომ ებრაელების მიერ ამ მსხვერპლშეწირვის რიტუალის ეგვიპტის ქვეყანაში ჩატარება ამ ქვეყნის მოსახლეობის შეურაცხყოფა იქნებოდა, ამიტომ მან კვლავ მოითხოვა, გაეშვათ ისრაელიანნი ამ საქმისათვის სამი დღის სავალზე, უდაბნოში. ფარაონი დათანხმდა და კვლავ სთხოვა ღვთის რჩეულთ, ელოცათ, რომ ეს წყლული მოეშორებინათ. ებრაელებმა აღუთქვეს ამის შესრულება, ოღონდ გააფრთხილეს, რომ აღარ მოეტყუებინა ისინი. მოაშორა წყლული ღმერთმა ეგვიპტეს, მაგრამ კვლავ გაისასტიკა გული მეფემ თავისი მუდმივი წინააღმდეგობებით და კვლავ უარი უთხრა ებრაელებს თხოვნაზე.

ამას უფრო საშინელი დარტყმა მოჰყვა: ეგვიპტელთა მთელ პირუტყვს ძალზე მძიმე ჭირი გაუჩნდა. ყველა დაიღუპა, წმიდა და სასაპალნე ცხოველებიც: ძროხები, ხარები, ცხვრები, ცხენები, აქლემები და სახედრები. ამ უბედურების დაწყებამდე ითქვა, რომ წყლული ებრაელთა საქონელს არ შეეხება. ამიტომ ფარაონმა გაგზავნა ხალხი მათთან, რათა შეემოწმებინა მოსეს ნათქვამი! „ხოლო ისრაელიანთა საქონელში არც ერთი სული არ დაღუპულა". მაგრამ მეფე კვლავინდებურად ჯიუტობდა.

შემდეგ მოსეს ებრძანა, აეღო სავსე პეშვი ქურის ნაცარი და ცისკენ აეფრქვია ,,ფარაონის თვალწინ". ეს მეტად მრავალმნიშვნელოვანი მოქმედება იყო. ამ შემთხვევამდე ოთხასი წლით ადრე უფალმა თავისი ხალხის ტანჯვის სიმბოლოდ აბრაამისადმი მიცემულ ხილვაში ქურიდან გამოვარდნილი ცეცხლის ალი გამოიყენა. უფალმა მაშინ ბრძანა, რომ დასჯის მისი ხალხის მჩაგვრელთ და ტყვეებს დიდი ქონებით გამოიყვანს მონობის ქვეყნიდან. ებრაელი ხალხი

[267]

დიდხანს იწვოდა ეგვიპტის ტანჯვის ცეცხლში. მოსეს ეს მოქმედება კიდევ ერთი მოწმობა იყო იმისა, რომ ღმერთს ახსოვს თავისი აღთქმა და მათი გათავისუფლების დრო უკვე დადგა.

როცა მოსემ ფერფლი ზეცისკენ ააფრქვია, მისი უმცირესი ნაწილაკები მთელი ეგვიპტის მიწაზე გაიფანტა. და ვისაც კი შეეხო, „გამოეყარა კაცსა და პირუტყვს ყვავილის მუწუკები". აქამდე ქურუმები და გრძნეულები მხარს უჭერდნენ ფარაონის სიჯიუტეს, მაგრამ ახლა წყლული მათაც შეეხო და ამ მეტად მტანჯველი, საშინელი სენით შეწუხებულთ უკვე აღარ შეეძლოთ ისრაელის ღმერთის წინააღმდეგ ბრძოლა. მთელმა ქვეყანამ საკუთარი თვალით იხილა გრძნეულთა უმწეობა და მათი რწმენის უაზრობა, რადგან მათ საკუთარი თავის დაცვაც კი არ შეეძლოთ.

მაგრამ უფრო მეტად გაისასტიკა გული ფარაონმა. და ახლა უფალმა მაცნე მიუგზავნა მას: „ამჯერად ყოველგვარ სენს შევყრი შენს გულს, შენს მორჩილთ და შენს ხალხს, რათა გეცოდინოთ, რომ არავინ არის ჩემი სწორი მთელს ქვეყანაზე... მაგრამ მხოლოდ იმისთვის დაგარჩენ, რომ გიჩვენო ჩემი ძალა". ნუ ვიფიქრებთ იმას, თითქოს უფალმა ფარაონი მხოლოდ ამ მიზნისათვის შექმნა, მაგრამ უზენაესის ხელი ისე მართავდა ყველა ამ მოვლენას, რომ ფარაონის მეფობის წლები ისრაელის ტყვეობიდან გათავისუფლების ჟამს დაემთხვა. და თუმცა ამ ამაყმა ტირანმა თავისი მრავალი დანაშაულის გამო დაკარგა ღვთის წყალობაზე უფლება, მაგრამ უფალმა სიცოცხლე

შეუნარჩუნა, რათა მისი სიჯიუტის წყალობით უფალს ეგვიპტის ქვეყანაში თავისი საოცარი საქმეები ეკეთებინა. საერთოდ, მოვლენებს ყოველთვის უფალი მართავს. უზენაესს შეეძლო, უფრო მოწყალე მეფისათვის მიეცა ტახტი, რომელიც ღვთიური ნების გამოვლინებას წინ ვერ აღუდგებოდა. მაგრამ ამ შემთხვევაში უფლის განზრახვა ვერ განხორციელდებოდა. თავად უფალმა დაუშვა, განეცადა თავის ხალხს ეგვიპტელთაგან ასეთი სისასტიკე, რათა ნათლად, საკუთარი თვალით ეხილა მას კერპთაყვანისმცემლობის დამღუპველი ზეგავლენის შედეგები. ფარაონისადმი ასეთი დამოკიდებულებით უფალმა გამოხატა კერპთაყვანის -მცემლობისადმი თავისი დიდი სიძულვილი და მზადყოფნა, დასაჯოს სისასტიკე და ძალადობა.

უფალმა ფარაონის შესახებ თქვა: „გულს გავუსასტიკებ ფარაონს და არ გაუშვებს ხალხს" /გამ. 4:21/. მას არ გამოუყენებია რაიმე ზებუნებრივი ძალა მეფის გულის გასასასტიკებლად. უფალმა აჩვენა ფარაონს თავისი ღვთიური ძალა, მაგრამ მეფე ჯიუტად უარყოფდა ამ ზეციურ ნათელს. უზენაესის უსაზღვრო ძლიერების ყოველმა გამოვლინებამ უფრო აამხედრა მეფე ღმერთის წინააღმდეგ. პირველი სასწაულის უარყოფით დათესილმა ამბოხების თესლმა შესაბამისი ნაყოფი გამოიღო: იგი უფრო გაჯიუტდა და მანამ ეწინააღმდეგებოდა ღმერთს, სანამ პირმშოთა მკვდარი სახეები არ იხილა.

უფალი თავისი მაცნეების მეშვეობით აფრთხილებს ადამიანებს და ამხელს მათ ცოდვებს. ამასთანავე, თითოეულს აძლევს საკუთარი შეცდომების გამოსწორების შესაძლებლობას მანამ, სანამ ისინი ხასიათის თვისებად იქცეოდეს, მაგრამ, თუკი ვინმე გამოსწორებას არ ისურვებს, უფალი არ აიძულებს მას, დატოვოს თვისი მანკიერებანი. ასეთი ადამიანისათვის უფრო ადვილია დაცემა, ვიდრე ამაღლება. მას არ სურს თავის გულში სულიწმიდის შეშვება. შემდგომშიც მისი უარყოფა გამოიწვევს იმას, რომ უფრო დიდი ნათელიც კი ვერ მოახდენს მასში არსებით ცვლილებებს.

ის, ვინც ერთხელ შესცოდა, მეორედ უფრო ადვილად შესცოდებს. ცოდვის ყოველი გამეორება ასუსტებს მისდამი წინააღმდეგობის გაწევის უნარს, აბრმავებს თვალს და ახშობს სინდისის ხმას. ცოდვისადმი შემწყნარებლობის ყოველ

[268]

თესლს თავისი ცუდი ნაყოფი გამოაქვს. უფალი ხელს არ უშლის მის მომწი-ფებას თავისი სასწაულებით. „რასაც დასთესს კაცი, იმასვე მოიმკის" /გალ. 6:7/. ღვთიური ჭეშმარიტებისადმი ზანტი, გულგრილი დამოკიდებულება და ჯიუტი

ურწმუნოების გამოვლენა აუცილებლად მოამკევინებს კაცს მის მიერვე დათესილს. სწორედ ამიტომ ხდება ხოლმე, რომ ერთ დროს ადამიანებისათვის მეტად ამაღელვებელ, სულისაღმძვრელ ჭეშმარიტებებს შემდგომ სრულიად გულგრილად უცქერენ. ისინი უგუნურ წინააღმდეგობას და ჭეშმარიტებისადმი გულგრილობას თესავდნენ და სათანადო მოსავალიც მოიმკეს.

ხშირად ასეთ ადამიანებს ჰგონიათ, რომ ყოველთვის შეძლებენ თავიანთი ცოდვილი ცხოვრების დატოვებას; და თუმცა ადვილად უარყოფენ უფლის შემოთავაზებულ წყალობასა და მადლს, ფიქრობენ, რომ დადგება დრო და კვლავ დაუბრუნდებიან ჭეშმარიტების გზას. მაგრამ სინამდვილეში მათ არჩეულ გზას ისინი დაღუპვისაკენ მიჰყავს. მართალია, უდიდესი მეამბოხის მხარეზე გადავიდნენ, მაგრამ იმედოვნებენ, რომ საშიშროების შემთხვევაში ადვილად შეძლებენ წინამძღოლის გამოცვლას. მაგრამ არც ისე ადვილია ამის გაკეთება. ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ, აღზრდამ, ცოდვილ ვნებათა დაკმაყოფილებამ იმდენად მტკიცედ ჩამოაყალიბა მათი ხასიათი, რომ ისინი ვეღარ დაემსგავსებიან ქრისტეს. სულ სხვა საქმე იქნებოდა, ჭეშმარიტების ნათელი რომ არ მისცემოდათ. მაგრამ, როდესაც უხვად ბოძებული ღვთიური მადლისა და ზეციური ძღვენის მიღებაზე ამბობენ უარს, როცა დიდხანს ჯიუტად ეწინააღმდეგებიან ჭეშმარიტების ნათელს, ბოლოს და ბოლოს, დაკარგავენ მას.

შემდეგი წყლული, რომლის შესახებაც ფარაონი გააფრთხილეს, სეტყვა იყო: „ახლა მიხედე შენს საქონელს და ყველაფერს, რაც მინდვრადა გყავს; ყოველი კაცი და პირუტყვი, რაც კი გარეთ დარჩება და ჭერს არ შეეფარება, დაისეტყვება და მოისპობა". წვიმა და სეტყვა სრულიად უჩვეულო მოვლენა იყო ეგვიპტისათვის და გრიგალი, რომელიც მოსემ უწინასწარმეტყველა, არასოდეს არავის ენახა. ეს ამბავი სწრაფად მოედო მთელ ქვეყანას. ვინც უფლის სიტყვას დაუჯერა, თავის პირუტყვს უპატრონა და გადაარჩინა, ხოლო მას, ვინც ის გაფრთხილება ყურად არ იღო და საქონელი მინდვრებში დატოვა, პირუტყვი სულ დაეღუპა. უფლის წყალობა თვით ამ სასჯელშიც კი გამოვლინდა. ხალხი გამოიცადა და ამან ნათელყო, რამდენ ადამიანს შესძინა ღვთის შიში და რწმენა მისი ასეთი ძლიერების გამოვლენამ.

წინასწარმეტყველების თანახმად, ამოვარდა გრიგალი, წამოვიდა ცეცხლოვანი სეტყვა, რომლის „მსგავსი არ მოსულა ეგვიპტის ქვეყანაში, რაც იქ ხალხი სახლობს. ყველაფერი გაანადგურა სეტყვამ ეგვიპტის ქვეყნად, რაც კი გარეთ დარჩა, კაციდან პირუტყვამდე; მინდვრის მთელი ბალახი გაანადგურა სეტყვამ და მინდორში მდგარი ყველა ხე დალეწა". ყველაფერი გაანადგურა და მოსპო სიკვდილის ანგელოზმა თავის გზაზე. მხოლოდ გოშენის მიწა დაინდო უფალმა. კვლავ დაუმტკიცა ღმერთმა ეგვიპტელებს, რომ დედამიწას ცოცხალი ღმერთის ძლიერი ხელი მართავს; რომ ბუნების ძალებიც მხოლოდ მას

ემორჩილება და ხსნა მხოლოდ მისი ნებისადმი მორჩილებითაა შესაძლებელი.

მთელი ეგვიპტე ძრწოდა უფლის საშინელი სასჯელის გადმოღვრის მოლოდინში. ფარაონმა სასწრაფოდ იხმო თავისთან ძმები და მათ წინაშე აღიარა: „ახლა კი ვხედავ, რომ შემიცოდავს; მართალია უფალი - დავაშავეთ მე და ჩემმა ხალხმა. შეევედრეთ უფალს, შეწყდეს ღვთის გრგვინვა და სეტყვა, და გაგიშვებთ; მეტს აღარ დაყოვნდებით". უთხრა მოსემ: ,,როგორც კი გავალთ ქალაქიდან, ხელს გავიწვდი უფლისკენ და შეწყდება გრგვინვა და გადაიღებს სეტყვაც, ვინძლო მიხვდე, რომ უფლისაა ეს ქვეყანა. მაგრამ ვიცი, რომ ჯერ კიდევ არ შეუშინდებით უფალ ღმერთს შენ და შენი მორჩილნი".

[269]

[270]

მოსემ კარგად იცოდა, რომ ბრძოლა ამით არ დამთავრდებოდა. ფარაონის ეს ნაჩქარევი გადაწყვეტილება და დაპირება მისი შეხედულებების ნაჩქარევად შეცვლით კი არ იყო გამოწვეული, არამედ - საშინელი ტანჯვის შიშით. მიუხედავად ამისა, მოსე

დაჰპირდა მას თხოვნის ასრულებას, ვინაიდან არ სურდა, საბაბი მიეცა შემდგომი გაჯიუტებისათვის. „გავიდა მოსე ფარაონისგან ქალაქის გარეთ", არ შეშინებია ბობოქარი სტიქიისა და ვეზირთა ამალით გარშემორტყმულმა მეფემ საკუთარი თვალით იხილა, თუ როგორ დაიცვა იეჰოვას ძალამ თავისი მაცნე. „გაიწოდა ხელი უფლისაკენ. შეწყდა გრგვინვა და სეტყვა და წვიმის წვეთიც აღარ დაცემულა მიწაზე". მაგრამ, როგორც კი მეფე შიშისაგან გონს მოეგო, კვლავ გაუსასტიკდა გული.

მაშინ უფალმა მოსეს უბრძანა: „მიდი ფარაონთან, რადგან ეს მე ვიყავი, გული რომ გავუქვავე ფარაონს და მის მორჩილებს, რომ მომეხდინა ეს ჩემი სასწაულები მათ ქვეყანაში, რომ გეამბნა შენი შვილისა და შვილთაშვილისთვის, როგორ გავუსწორდი ეგვიპტეს და რა სასწაულები მოვუვლინე მას, რომ გცოდნოდათ, რომ უფალი ვარ". უფალმა გამოავლინა თავისი ძალა, რათა განემტკიცებინა ისრაელის რწმენა მისდამი, როგორც ერთადერთი ჭეშმარიტი და ცოცხალი ღმერთისადმი. მას სურდა, ყველას წინაშე ეჩვენებინა იმის მტკიცებულებანი, რომ ისრაელიანნი ეგვიპტელთაგან განასხვავა, რათა ყველას სცოდნოდა, რომ ყველასთვის საძულველ და დაჩაგრულ ებრაელებს ზეციური ღმერთი მფარველობდა.

მოსემ გააფრთხილა ფარაონი, რომ, თუკი კვლავ გაჯიუტდებოდა, მის მიწას კალია შემოესეოდა და მთლიანად დაფარავდა და შეჭამდა ყველაფერს, რაც სეტყვას გადაურჩა: აავსებდა ეგვიპტელთა სახლებს და თვით მეფის სასახლესაც კი;

ეს იქნება უბედურება, „რასაც არ მოსწრებია შენი მამა-პაპა იმ დღიდან, რაც არსებობენ ამქვეყნად". ფარაონის მრჩევლები შეძრწუნდნენ. საქონლის განადგურებამ უდიდესი დანაკარგი მოუტანა ქვეყანას. უამრავი ხალხი სეტყვისაგან დაიხოცა. ტყეები განადგურდა, მოსავალი დაიღუპა. ეგვიპტელებს სწრაფად ეცლებოდათ ხელიდან ყოველივე, რაც ებრაელთა შრომით შეიძინეს. ქვეყანას შიმშილის საფრთხე დაემუქრა. მრჩევლებმა და სასახლის კარის დიდგვაროვნებმა მკაცრად მოითხოვეს ფარაონისაგან: „როდემდის ვითმინოთ ეს სატანჯველი? გაუშვი ეგ ხალხი და ემსახურონ თავიანთ უფალ ღმერთს. ვეღარ მიხვდი, რომ იღუპება ეგვიპტე?"

კვლავ უხმეს მოსესა და აარონს და უთხრა მათ ფარაონმა: ,,წადით და ემსახურეთ თქვენს უფალ ღმერთს. ვინ და ვინ წავა?"

უპასუხეს: „ჩვენი ბავშვებითა და მოხუცებითურთ წავალთ. ჩვენი ქალ-ვაჟებითა და ცხვარ-ძროხითურთ წავალთ, რადგან საუფლო დღესასწაული გვაქვს".

განრისხდა მეფე: „ისე უფალი იყოს თქვენთან, - წამოიძახა მან, - როგორც მე თქვენ ბავშვებიანად გაგიშვათ. იცოდეთ, ბოროტს ეპირებით. ასე არ იქნება. მხოლოდ მამაკაცები წადით და ემსახურეთ უფალს, რაკი ამას ესწრაფით. და გაყარეს ისინი ფარაონისგან". ფარაონს გადაწყვეტილი ჰქონდა, მძიმე სამუშაოებით დაესუსტებინა ისრაელი, მაგრამ ახლა თავი ისე

მოაჩვენა, თითქოს დიდად აინტერესებდა მათი კეთილდღეობა და მზრუნველობას იჩენდა მათი შვილების მიმართ. სინამდვილეში კი ქალებისა და ბავშვების დატოვება მამაკაცების უკან დაბრუნების საწინდრად სურდა.

„მოუღერა მოსემ კვერთხი ეგვიპტის ქვეყანას და მოდენა უფალმა აღმოსავლეთის ქარი ქვეყნად... მოასია აღმოსავლეთის ქარმა კალია. შეესია უთვალავი კალია ეგვიპტის ქვეყანას და მოეფინა მის ყოველ კუთხეს. არც მანამდე და არც მას მერე გამოჩენილა ამდენი კალია". კალიის ღრუბლებმა

[271]

„დაფარა მთელი მიწის პირი და გადაშავდა მიწა; გადაჭამა ქვეყნის მთელი ბალახი და ხის ყველა ნაყოფი, რაც სეტყვას გადაურჩა... სასწრაფოდ მოუხმო ფარაონმა მოსეს და აარონს და უთხრა: ცოდვილი ვარ უფლის, თქვენი ღვთისა და თქვენს წინაშე. ერთხელ კიდევ მომიტევეთ ცოდვა, შეევედრეთ თქვენს უფალ ღმერთს, ოღონდაც ამარიდოს ეს სიკვდილი". ძმები ასეც მოიქცნენ. „შემოაქცია უფალმა აღმოსავლეთის ძლიერი ქარი და წაიღო ქარმა კალია და ჩაყარა მეწამულ ზღვაში", მაგრამ მეფეს კვლავ გაუქვავდა გული და არც ამჯერად გაუშვა ისრაელიანები.

ეგვიპტელებს სასოწარკვეთა დაეუფლათ. აუტანელი იყო მათზე მოვლენილი სასჯელი და ძრწოდნენ მომავლის წინაშე. ხალხი თაყვანს სცემდა ფარაონს, როგორც მათი ღვთაების წარმომადგენელს, მაგრამ ახლა ბევრი დარწმუნდა, რომ იგი ეწინააღმდეგებოდა უზენაესს, რომელმაც ბუნების ყველა ძალა თავის ნებას დაუმორჩილა. ებრაელი მონები, ვისთვისაც ღმერთმა ამდენი სასწაული მოახდინა, თანდათან რწმუნდებოდნენ, რომ მოვიდა მათი ხსნა. მეფის მოხელენი წინანდელივით ვეღარ ბედავდნენ მათ შევიწროებას. მთელი ეგვიპტე საშინელმა შიშმა შეიპყრო იმის გამო, რომ ეს დამონებული ხალხი აღსდგება და შურს იძიებს ყველაფრისათვის. ყველგან დაძაბულობა გამეფე-ბულიყო. ადამიანები შიშით ეკითხებოდნენ ერთმანეთს: „რა მოხდება მომავალში?"

უცბად ჩამოწვა უკუნი წყვდიადი ეგვიპტის ქვეყანაში... ხელით შესაგრძნობი წყვდიადი. ადამიანები ვეღარაფერს ხედავდნენ. ჰაერი ისე დამძიმდა, რომ სუნთქვა შეუძლებელი გახდა. „ერთმანეთს ვერ ხედავდნენ, სამ დღეს არავინ დაძრულა ადგილიდან; ხოლო ისრაელიანებს სინათლე ჰქონდათ თავიანთ სამყოფელში". ეგვიპტელნი თაყვანს სცემდნენ მზესა და მთვარეს. ამ იდუმალ წყვდიადში მოქმედებდა ძალა, რომელმაც გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა ხალხს და მის ღმერთებს, რათა დაეცვა და გაეთავისუფლებინა ტყვეები. მაგრამ რა საშინელიც არ უნდა ყოფილიყო ეს დარტყმა, იგი მეტყველებდა უფლის მოწყალებაზე და დიდ სურვილზე, არ დაეღუპა

ადამიანები, მიეცა მათთვის დაფიქრებისა და მონანიების უკანასკნელი დრო ყველაზე საშინელი წყლულის მოვლინებამდე.

ბოლოს შიშმა აიძულა ფარაონი, დათმობაზე წასულიყო. წყვდიადის მესამე დღეს უხმო მოსეს და აღუთქვა ისრაელიანთა გაშვება, მხოლოდ იმ პირობით, რომ დატოვებდნენ მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელს. „ერთი ჩლიქიც არ უნდა დარჩეს... - მტკიცედ უპასუხა ებრაელმა, - სანამ იქ არ მივსულვართ, არ ვიცით, რა უნდა შევწიროთ უფალს". მოთმინებიდან გამოსულმა მეფემ უყვირა: „მომწყდი თავიდან! ფრთხილად იყავი, თვალით აღარ დამენახო, თორემ იმ დღესვე მოკვდები, რა დღესაც დამენახვები". მიუგო მოსემ: "სწორს ამბობ, მეტს აღარ დაგენახვები".

„მოსეც დიდ კაცად იყო შერაცხილი ეგვიპტის ქვეყნად ფარაონის მორჩილთა და ხალხის თვალში" /გამ. 11:3/. მოკრძალებითა და შიშით შესცქეროდნენ მას ეგვიპტელნი. ფარაონი ვერ ბედავდა, რაიმე ვნება და ბოროტი მიეგო მისთვის, ვინაიდან ხალხი მასში ხედავდა ამ საშინელი წყლულებისა და უბედურებისგან მხსნელ ერთადერთ ადამიანს. ყველა მოუთმენლად ელოდა, თუ როდის დართავდნენ ეგვიპტიდან გასვლის ნებას ისრაელიანთ. მხოლოდ მეფე და მისი ქურუმები არ დაემორჩილნენ მოსეს მოთხოვნას.

[272]

თავი 24 - პასექი

გამოსვლა 11; 12:1-32

ისრაელის გათავისუფლების პირველივე მოთხოვნისთანავე ეგვიპტის მეფე ყველაზე საშინელი სასჯელის შესახებაც გააფრთხილეს. მოსეს ებრძანა, ეთქვა ფარაონისათვის: „ასე ამბობს-თქო უფალი: ჩემი პირმშო შვილია ისრაელი. გეუბნება, გაუშვიო ჩემი შვილი, რათა თაყვანი მცეს. თუ არ გაუშვებ, მოგიკლავ შვილს, შენს პირმშოს" /გამ. 4:22,23/. ეგვიპტელთაგან საძულველი ისრაელიანნი თავისი რჯულის შემნახველ ღირსეულ ერად სცნო უფალმა ღმერთმა. განსაკუთრებული კურთხევისა და უპირატესობის მქონე ეს ხალხი გამოირჩეოდა სხვა ერებისაგან, როგორც პირმშო თავის ძმათა შორის.

სასჯელი, რომლის შესახებაც ეგვიპტე თავიდანვე გააფრთხილეს, უკანასკნელ წყლულად უნდა მოვლენოდა მას. უფალი რისხვაგვიანი და მრავალმოწყალეა. იგი სიყვარულით ზრუნავს თავის ხატად შექმნილ არსებებზე. პირუტყვისა და მოსავლის დანაკარგს ეგვიპტე რომ გამოეფხიზლებინა და მონანიებამდე მიეყვანა, მის შვილებს არაფერი

დაემართებოდათ. მაგრამ ეგვიპტელნი ჯიუტად განაგრძობდნენ ღვთის მოთხოვნათა უარყოფას და უკანასკნელი სასჯელიც მზად იყო მათთვის.

მოსე გააფრთხილეს, რომ ფარაონის წინაშე კვლავ წარდგომის შემთხვევაში სიკვდილით დაისჯებოდა. მაგრამ მას კიდევ ერთხელ უნდა ემცნო ჯიუტი მბრძანებლისათვის ღვთის უკანასკნელი ნება. ამიტომ მოსე კვლავ მივიდა ფარაონთან საშინელი გაფრთხილებით: „ასე ამბობს უფალი: შუაღამისას გამოვალ შუაგულ ეგვიპტეში. მოკვდება ყოველი პირმშო ეგვიპტის ქვეყნად, ტახტზე მჯდომარე ფარაონის პირმშოდან პირმშომდე მხევლისა, ხელსაფქვავებს რომ უზის; მოკვდება ყოველი პირუტყვის პირველმოგებული. ატყდება დიდი გლოვა მთელს ეგვიპტეში, რომლის მსგავსი არ ყოფილა და არც იქნება. ხოლო ისრაელიანებს - კაციდან პირუტყვამდე - ძაღლიც არ შეუყეფს, რათა გეცოდინოთ, რომ ზღვარი დასდო უფალმა ეგვიპტელთა და ისრაელიანთა შორის. ჩამოვლენ ჩემთან ეგ შენი მორჩილნი, თაყვანს მცემენ და მეტყვიან: გადით შენ და მთელი შენი ხალხი, შენს კვალზე მავალი. მხოლოდ ამის მერე გავალ" /გამ. 11:4-8/.

ამ განაჩენის აღსრულებამდე, მოსეს მეშვეობით, უფალმა ეგვიპტიდან გამოსვლის გზა უჩვენა ისრაელს და საგანგებოდ გააფრთხილა, თუ როგორ დაეღწია თავი სასჯელისთვის. ყოველ ოჯახს - დამოუკიდებლად ან სხვებთან ერთად - უნდა დაეკლა

„საღი" კრავი ან თიკანი და უსუპის კონით სისხლი ეცხო კარისთავსა და ორთავე წირთხლზე, რათა დამღუპველ ანგელოზს, შუაღამისას რომ ჩამოივლდა, გვერდი აევლო მათი საცხოვრებლისათვის. ისრაელიანებს ღამით უნდა ეჭამათ ცეცხლზე შემწვარი კრავის ხორცი ხმიადთან და მწარე ბალახთან ერთად, როგორც მოსემ უთხრა მათ: „წელზე სარტყელი გერტყათ, ფეხზე გეცვათ, ჯოხი გეჭიროთ ხელში. აჩქარებით ჭამეთ. საუფლო პასექია ეს".

უფალმა ბრძანა: „მოვივლი იმ ღამით ეგვიპტის ქვეყანას და მოვაკვდინებ ყოველ პირმშოს ეგვიპტის ქვეყანაში კაციდან პირუტყვამდე, და განვსჯი ყველა ეგვიპტელ ღმერთს... სისხლი გქონდეთ ნიშნად სახლებზე, სადაც ცხოვრობთ. დავინახავ სისხლს და გვერდს აგივლით. არ მოგეკარებათ დამღუპველი სენი, როცა ეგვიპტელთა შემუსვრას დავიწყებ".

ამ დიადი გათავისუფლების აღსანიშნავად ისრაელიანთა მთელ მომავალ

[273]

[274]

თაობებს ყოველწლიურად უნდა ედღესასწაულა ეს დღე. „სამახსოვროდ დაითქვით ეს დღე, იდღესასწაულეთ იგი საუფლო დღესასწაულად თაობიდან თაობაში. სამარადისო წესად დაიდეთ ეს დღესასწაული". შემდგომ წლებში ამ დღესასწაულის აღნიშვნით მათ თავიანთი შვილებისათვის უნდა მოეთხროთ თავისი მონობიდან გათავისუფლების ეს საოცარი ისტორია, როგორც მოსემ უბრძანა: „ეს პასექის მსხვერპლია უფლისადმი, რომელმაც გვერდი აუარა ისრაელიანთა სახლებს ეგვიპტეში, როცა მუსრავდა ეგვიპტეს და დაინდო ჩვენი სახლები".

ამიერიდან ყოველი პირმშო, ადამიანისა და პირუტყვისა, უფალს მიეკუთვნა და მხოლოდ გამოსყიდვის საფასურის გაღებით შეეძლო ადამიანს მისი კვლავ დაბრუნება. ასე გამოხატავდა ისრაელი მადლიერებას იმის გამო, რომ მათი პირმშონი, რომელთაც, სამართლიანობის გამო, ეგვიპტის პირმშოთა ხვედრი უნდა გაეზიარებინათ და დაღუპულიყვნენ, შესაწირავი მსხვერპლის წყალობით სიკვდილს გადაურჩნენ. „ჩემია ყველა პირმშო, - ამბობს უფალი, - იმ დღეს, როცა დავხოცე ყველა პირმშო ეგვიპტელთა ქვეყანაში, ჩემთვის განვიკუთვნე ყოველი პირმშო ისრაელში ადამიანიდან პირუტყვამდე; ჩემები არიან" /რიცხ. 3:13/. საწმიდარში მსახურების დაწესების შემდგომ ღმერთმა მასში მსახურებისათვის პირმშოთა ნაცვლად ლევის შტო აირჩია. „რადგან ჩემთვის არიან ისინი შემოწირულნი ისრაელიანთაგან, თქვა მან, - ისრაელიანთა ყოველი პირმშოს ნაცვლად ვიღებ მათ

ჩემთვის" /რიცხ. 8:15,16/. მაგრამ ღვთის წყალობის აღიარების ნიშნად ისრაელიანთ მაინც კვლავინდებურად უნდა გაეღოთ გამოსასყიდი თავიანთი პირმშოთათვის /ნახ. რიცხ. 18:15,16/.

პასექის დღესასწაული არა მხოლოდ ებრაელი ხალხის ეგვიპტიდან გამოსვლის გასახსენებლად დაწესდა, არამედ იგი მომავალში ქრისტეს მიერ თავისი ხალხის ცოდვისაგან დახსნაზე მიუთითებდა. სამსხვერპლო კრავი სიმბოლოა „ღვთის კრავისა", ჩვენი გადარჩენის ერთადერთი იმედისა. მოციქული ამბობს: „ჩვენი პასექი, ქრისტე, ჩვენს გამო შეეწირა" /1 კორ. 5:7/. კრავი არა მხოლოდ უნდა დაეკლათ, არამედ მისი სისხლი კარის წირთხლებზე უნდა ესხურებინათ. ასევე დაღვარა ქრისტემ თავისი ძვირფასი სისხლი ყოველი ადამიანისათვის. უნდა გვჯეროდეს, რომ იგი არა მხოლოდ მთელი კაცობრიობისათ -ვის, არამედ თითოეული ჩვენგანისათვისაც მოკვდა. გამოსასყიდი მსხვერპლი ყოველი ჩვენგანისათვის იქნა გაღებული.

უსუპი, რომელიც სისხლის საპკურებლად გამოიყენებოდა, განწმედის სიმბოლო იყო. მას კეთროვანთა და მათ განსაწმედად იყენებდნენ, ვინც გვამის შეხებით გაუწმიდურდა. მეფსალმუნე თავის ლოცვაში სწორედ ასე ამბობს: „მასხურე უსუპი და განვიწმიდები; განმბანე და თოვლზე მეტად გავსპეტაკდები" /ფს. 50:9/.

კრავი ისე უნდა დაეკლათ და შემდეგ ისე მოემზადებინათ საჭმელად, რომ მისი არც ერთი ძვალი არ უნდა დაზიანებულიყო, ისევე, როგორც ჩვენთვის შეწირულ ღვთის კრავს ყოველი ძვალი მთელი უნდა ჰქონოდა. ეს ქრისტეს მსხვერპლის სისრულის სიმბოლოა.

კრავის ხორცი უნდა ეჭამათ. არაა საკმარისი ერწმუნო ქრისტეს მხოლოდ ცოდვების მიტევების მისაღებად. მისგან, მისი სიტყვისაგან განუწყვეტლივ უნდა ვღებულობდეთ სულიერ ძალასა და საკვებს. ქრისტე ამბობს: „თუ არ ჭამთ ხორცს და არ სვამთ კაცის ძის სისხლს, არ გექნებათ სიცოცხლე თქვენში... ჩემი ხორცის მჭამელს და ჩემი სისხლის მსმელს საუკუნო სიცოცხლე აქვს". შემდეგ კი თავად აუხსნა ამ სიტყვების მნიშვნელობა: „სიტყვები, რომლებიც გითხარით, სულია და სიცოცხლე" /იოან. 6:53,54,63/. იესომ მიიღო თავისი მამის რჯული, განახორციელა თავის ცხოვრებაში მისი პრინციპები, გამოავლინა მამის სული და აჩვენა მისი კეთილი ზეგავლენა ადამიანის

[277]

[278]

გულზე. იოანე ამბობს: „სიტყვა იქცა ხორცად და დამკვიდრდა ჩვენს შორის, მადლითა და ჭეშმარიტებით აღსავსე; და ჩვენ ვიხილეთ მისი დიდება, როგორც მამისგან მხოლოდშობილის დიდება" /იოან. 1:14/. ქრისტეს მიმდევრებმა საკუთარი გამოცდილებით უნდა შეიგრძნონ ეს. მათ უნდა მოისმინონ და მიიღონ უფლის სიტყვა მათ მაცოცხლებელ, მოქმედ ძალად, ყოველგვარ სურვილთა და ზრახვათა წინამძღვრად. ქრისტეს ძალით უნდა ემსგავსონ მაცხოვარს და გამოავლინონ ღვთიური თვისებები. მათ უნდა ჭამონ უფლის ძის ხორცი და შესვან მისი სისხლი - წინააღმდეგ შემთხვევაში არ ექნებათ სიცოცხლე. ქრისტეს სული და ცხოვრება მის მოწაფეთა სულად და ცხოვრებად უნდა იქცეს.

კრავის ხორცი მწარე ბალახთან ერთად უნდა ეჭამათ ეგვიპტეში მონობის სიმწარის გასახსენებლად. ქრისტესთან მიახლოება ჩვენი ცოდვების გახსენებით და მათი გულწრფელი მონანიებით არის მხოლოდ შესაძლებელი. ხმიადის ჭამასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. პასექის დღესასწაულის დაწესებისას არავითარი საფუარი არ უნდა ყოფილიყო მათ სახლებში, რასაც ყოველი იუდეველი მკაცრად იცავდა. ასევე, ვისაც საკვებად ქრისტეს სიცოცხლე სურს, ცოდვის საფუარისგან უნდა გათავისუფლდეს. პავლე მოციქული კორინთოს ეკლესიას წერდა: „გაწმიდეთ ძველი საფუარი, რათა იყოთ ახალი ცომი... ვინაიდან ჩვენი პასექი, ქრისტე, ჩვენს გამო შეეწირა. ამიტომ ვიდღესასწაულოთ არა ძველი საფუარით, არა ბოროტებისა და უკეთურების საფუარით, არამედ სიწმიდისა და ჭეშმარიტების ხმიადით" /1 კორ. 5:7,8/.

გათავისუფლებამდე დამონებულ ხალხს უპირველესად უნდა ერწმუნა, რომ მისი ხსნა აუცილებლად მოხდება. ისინი უნდა განცალკევებულიყვნენ ეგვიპტელთაგან, თავიანთ კართა წირთხლებზე სისხლიანი ნიშანი უნდა დაესვათ და იმ ღამეს ყველა საკუთარ სახლში უნდა ყოფილიყო. ებრაელებს რომ ამ მითითებათაგან რომელიმე არ შეესრულებინათ, მაგალითად: თავისი შვილები ცალკე რომ არ შეეკრიბათ, დაკლული კრავის სისხლი კარის წირთხლებზე არ წაესვათ ან სახლიდან გარეთ გამოსვლა გაებედათ, საფრთხეს თავს ვერ დააღწევდნენ და თუმცა ისინი დარწმუნებული იქნებოდნენ, რომ ყველა მითითება შეასრულეს, ეს გულწრფელობა მაინც ვერ იხსნიდა მათ. დაიღუპებოდა ყოველი ოჯახის პირმშო, რომელმაც ზუსტად ვერ შეასრულა ყოველივე.

უფლის სიტყვისადმი მორჩილებით უნდა გამოევლინა ხალხს თავისი რწმენა. ასევე ყოველმა, ვისაც ქრისტეს სისხლით გადარჩენის იმედი აქვს, უნდა იცოდეს, რომ გადარჩენისათვის საკუთარი ძალისხმევაცაა საჭირო. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ქრისტეს შეუძლია დამსახურებული სასჯელისაგან ჩვენი გათავისუფლება, უფლისადმი მორჩილებით თავად უნდა მივატოვოთ ცოდვა. ადამიანი გადარჩება არა საქმეებით, არამედ რწმენით, მაგრამ რწმენა მაინც საქმეებში უნდა გამოვლინდეს. უფალმა მოგვცა თავისი ძე, რათა იგი ჩვენი ცოდვების გამო შეწირულიყო, მოუვლინა წუთისოფელს ჭეშმარიტების ნათელი და სიცოცხლის გზა, მისცა ადამიანს განსაკუთრებული

შესაძლებლობანი, მითითებანი და უპირატესობანი, მან კი უნდა შეაფასოს და გამოიყენოს ყოველივე, რაც უფალმა მისი გადარჩენისათვის გაითვალისწინა - ირწმუნოს და დაემორჩილოს უფლის ყოველ მითითებას.

როდესაც მოსემ გაუმეორა ისრაელიანებს უფლის ბრძანება მათი გათავისუფლების შესახებ, „მუხლი მოიყარა ხალხმა და თაყვანი სცა" უფალს. იმ მომენტში ყველაფერი დაივიწყა ხალხმა: გათავისუფლების სიხარული და იმედი, საშინელი ცნობა მათ მტანჯველთა მომავალი სასჯელის შესახებ, უამრავი საქმეები და სიძნელეები მათი ეგვიპტიდან სასწრაფოდ გამოსვლასთან დაკავშირებით და მხოლოდ მოწყალე მხსნელისადმი ღრმა მადლიერების გრძნობამ

[279]

მოიცვა მათი გული. მრავალი ეგვიპტელი უკვე სცნობდა ებრაელთა ღმერთს ერთადერთ ჭეშმარიტ, ცოცხალ ღმერთად და ახლა ისინი ევედრებოდნენ ისრაელიანებს, შეეფარებინათ თავიანთ სახლებში, როცა დამღუპველი ანგელოზი ქვეყანაში ჩამოივლიდა. სიხარულით მიიღეს ისინი ებრაელებმა და ეგვიპტელებმაც აღუთქვეს, რომ ამიერიდან მხოლოდ იაკობის

ღმერთი იქნებოდა მათი ღმერთი და მის რჩეულ ხალხთან ერთად მოისურვეს ქვეყნიდან გასვლა.

ისრაელიანები დაემორჩილნენ უფლის მითითებებს. სწრაფად, მალულად მოემზადნენ მგზავრობისათვის. შეიკრიბნენ ოჯახები, დაკლეს და ცეცხლზე შეწვეს საპასექო კრავი, გამოაცხვეს ხმიადი და მოამზადეს მწარე ბალახი. ყოველი ოჯახის მამამ, როგორც მღვდელმა, ასხურა კრავის სისხლი თავისი სახლის კარის წირთხლებს და შესასვლელი ჩაიკეტა. სწრაფად, მდუმარედ შეჭამეს საპასექო კრავის ხორცი. მოწიწებით ლოცულობდნენ და ფხიზლობდნენ. ყოველ პირმშოს, დიდსა თუ პატარას, ენით გამოუთქმელი შიშით უცემდა გული. მშობლები გულში იკრავდნენ თავიანთ პირმშოებს. საშინელება იყო იმ სასჯელზე ფიქრი, რომელიც ამ ღამით დაატყდება თავს ხალხს. მაგრამ არც ერთი ებრაელის კარს არ შეეხო სიკვდილის ანგელოზი. სისხლი ეცხო მათ კარს - მხსნელის მფარველობის ნიშანი და ანგელოზიც არ მიეკარა.

შუაღამისას „შეიქნა დიდი გლოვა ეგვიპტეში, რადგან არ იყო სახლი, სადაც მკვდარი არ ჰყოლოდათ". „მოაკვდინა უფალმა ყველა პირმშო ეგვიპტის ქვეყანაში, ტახტზე მჯდომარე ფარაონის პირმშოდან დილეგში მჯდარი პატიმრის პირმშომდე და პირუტყვის ყოველი პირველმოგებული". ეგვიპტის ამ უზარმაზარ ქვეყანაში ყოველი ოჯახის პირმშო იქნა მოკლული. ჰაერი შესძრა მგოდებელთა შემზარავმა მოთქმამ და ვაებამ. მეფე და მისი მოხელენი, გაფითრებულნი, შეძრწუნებულნი და

თავზარდაცემულნი იდგნენ. და ფარაონს გაახსენდა საკუთარი სიტყვები: „ვინ არის უფალი, რომ დავუჯერო და გავუშვა ისრაელი? არც უფალი ვიცი და არც ისრაელს გავუშვებ" /გამ. 5:2/.

ახლა მთელი მისი სიამაყე გაცამტვერდა. უხმო მან ღამით მოსესა და აარონს და უთხრა: „ადექით და გაეცალეთ ჩემს ხალხს შენც და ისრაელიანებიც. წადით, ემსახურეთ უფალს, როგორც ამბობდით. თქვენი ცხვარ-ძროხაც წაიყვანეთ, როგორც ამბობდით, წადით და მეც დამლოცეთ". „აიძულეს ეგვიპტელებმა ხალხი, სწრაფად გასულიყვნენ ქვეყნიდან, რადგან ფიქრობდნენ, ამოვწყდებითო ყველანი" /გამ. 12:31-33/.

[280]

თავი 25 - გამოსვლა

გამოსვლა 12:34-51; 13-15

წელზე სარტყელშემორტყმულნი, სანდლებში ფეხჩადგმულნი, ჯოხით ხელში, მოწიწების შიშით შეპყრობილნი, იმედით

გულგამაგრებულნი, მდუმარედ იდგნენ ისრაელიანნი და მათი გამოსვლის შესახებ მეფის ბრძანებას ელოდნენ. ალიონს ისინი უკვე გზაში შეხვდნენ. წყლულების გადმოღვრისას, როცა ღვთის ძლიერებამ მონების გულში რწმენის ალი ააგიზგიზა, მათ მტრებს კი თავზარი დასცა, ისრაელიანნი თანდათან თავს იყრიდნენ გოშენის მხარეში; და, თუმცა ძალიან ჩქარობდნენ, მაინც შეძლეს ხალხის მოწესრიგება, ჯგუფებად დაყოფა და მათზე თვალყურის დევნება. თითოეულ ჯგუფს თავისი ხელმძღვანელი ჰყავდა.

გამოსულთა რიცხვი იყო „ბავშვებს გარდა ექვსასი ათასამდე ქვეითი კაცი. თან გაჰყვა მათ უამრავი ჭრელი ხალხი". ისრაელიანთ შეუერთდნენ ისინიც, რომლებსაც ებრაელთა ღმერთის ჭეშმარიტი რწმენა ჰქონდათ და ისინიც, ვისაც მხოლოდ წყლულებისაგან თავის დაღწევა სურდა; ასეთები კი უფრო მეტნი იყვნენ, საერთო მღელვარებას აყოლილნი და ცნობისმოყვარენი. ეს უკანასკნელნი ისრაელისთვის დაბრკოლებისა და ცდუნების მუდმივ სათავედ იქცნენ.

ისრაელიანებმა თან გაიყოლეს თავისი საკუთრება - „ცხვარ-ძროხა, ურიცხვი საქონელი". ებრაელებმა არ მიჰყიდეს ფარაონს თავისი ქონება, როგორც ეს თავად ეგვიპტელებმა გააკეთეს. იაკობმა და მისმა ვაჟებმა უამრავი ცხვარი და საქონელი ჩაიყვანეს ეგვიპტეში, რომელიც შემდგომში დიდად გამრავლდა. გამოსვლის წინ ხალხმა, მოსეს მითითებით, თავისი გაუფასურებული შრომის საზღაური მოითხოვა, რაზედაც

ეგვიპტელებს უარი არ უთქვამთ მათგან გათავისუფლების უდიდესი სურვილის გამო. ამგვარად, წავიდნენ მონები და თან წაიღეს თავიანთ მტანჯველთა ფასეულობანი.

იმ დღეს დასრულდა ისტორია, რომელიც აბრაამმა თავის წინასწარმეტყველურ ხილვაში იხილა რამდენიმე საუკუნის წინათ: „მდგმურად იქნება შენი შთამომავლობა სხვის ქვეყანაში; დამორჩილებული და დაჩაგრული ეყოლებათ ოთხას წელს. იმ ხალხს კი, ვისი მორჩილნიც შეიქნებიან, მე განვსჯი; შემდგომ ამისა დიდძალი ქონებით გამოვლენ უკან" /დაბ. 15:13,14/. და აი, გავიდა ოთხასი წელიწადი და „სწორედ ამ დღეს გამოვიდა უფლის მთელი მხედრობა ეგვიპტიდან". ეგვიპტიდან გამოსვლისას ისრაელიანებმა თან წამოიღეს ძვირფასი მემკვიდრეობა - იოსების ძვლები, ამდენ ხანს რომ ელოდნენ ღვთიური აღთქმის აღსრულებას და ტყვეობის პირქუშ დღეებში თავისუფლების იმედს რომ უღვივებდნენ ისრაელს.

ფილისტიმელთა მიწის გადაკვეთით პირდაპირ ქანაანისაკენ წასვლის ნაცვლად უფალმა სამხრეთით, მეწამული ზღვის ნაპირებისკენ წასვლა უბრძანა თავის ხალხს. „რადგან იფიქრა ღმერთმა, სინანულს არ შეეპყრო ხალხი ომის დანახვისას და ეგვიპტეში არ დაბრუნებულიყო". თუ ფილისტიმელთა ქვეყანაზე გავლას ეცდებოდნენ, ებრაელებს უამრავი წინააღმდეგობა შეხვდებოდათ, რადგან ფილისტიმელები გაიგებდნენ მათი გამოსვლის ამბავს, გამოქცეულ მონებად

ჩათვლიდნენ და უყოყმანოდ შეებრძოლებოდნენ. ისრაელიანნი კი სულაც არ იყვნენ მზად ამ ძლიერ, მეომარ ხალხთან საბრძოლველად. და ვინაიდან ღრმად არ იცნობდნენ ღმერთს და მცირედმორწმუნენი იყვნენ, შეიძლებოდა შეშინებოდათ და იმედიც გასცრუებოდათ. ამასთანავე, უიარაღო, ბრძოლას შეუჩვეველ, ხანგრძლივი ტყვეობით დაბეჩავებულ ხალხს ახლა გზაში ისედაც მძიმე ტვირთად

[281]

[282]

აწვა ცოლ-შვილი და საქონელი. ღმერთმა ისინი მეწამული ზღვისაკენ წაიყვანა და ეს ნაბიჯი უფლის სიბრძნეზე და სიყვარულზე მიუთითებდა.

„დაიძრნენ სუქოთიდან და დაიბანაკეს ეთამში, უდაბნოს ბოლოს. წინ მიუძღოდა მათ უფალი, დღისით ღრუბლის სვეტში გზის საჩვენებლად, ღამით ცეცხლის სვეტში გზის გასანათებლად, რათა ევლოთ დღითა და ღამით. არ მიჰფარებია ხალხის თვალს დღისით ღრუბლის სვეტი და ღამით ცეცხლის სვეტი". მეფსალმუნე გვატყობინებს: „გადააფარა ღრუბელი საფრად და ცეცხლი - ღამის გასანათებლად" /ფს. 104:39; იხ.

აგრეთვე 1 კორ. 10:1,2/. მუდამ მათ გვერდით იყო ებრაელთა უხილავი მფარველი. დღისით ღრუბელი უჩვენებდა გზას ან საფარებლად ეფინებოდა მთელ ხალხს და პაპანაქება სიცხისაგან იფარავდა, სიგრილითა და სინოტივით უხარებდა გულს ამ ხრიოკი უდაბნოს მგზავრებს. ღამით კი, ცეცხლის სვეტად ქცეული, ანათებდა მთელ ბანაკს, რაც მოწმობდა: ღმერთი იყო მათთან.

თავისი წინასწარმეტყველების ერთ-ერთ უმშვენიერეს და მანუგეშებელ ნაწყვეტში ესაია იხსენებს ღრუბლისა და ცეცხლის სვეტებს, რათა დააიმედოს ისრაელიანნი, ჩვენ კი გვიჩვენოს უფლის მზრუნველობა თავის ხალხზე ბოროტ ძალებთან უკანასკნელ ბრძოლაში. „მაშინ შექმნის უფალი სიონის მთის ყოველ ადგილზე და ყოველ საკრებულოს თავზე ნისლსა და კვამლს დღისით და ცეცხლის ნათებას ღამით, რადგან ყოველ დიდებას საფარველი გადაეფარება. კარავი ჩრდილად იქნება დღის პაპანაქებაში და თავშესაფრად და საყუდრად ავდარსა და წვიმაში" /ეს. 4:5,6/.

წინ მშრალი, პირქუში უდაბნო გაწოლილიყო კიდით კიდემდე. დაეჭვდნენ ებრაელები - სწორი გზით მიდიან კი ამ უდაბნოში? მძიმე მოგზაურობამ დაღალა ისინი და შიშნარევი ეჭვი აღუძრა: „ვაითუ დაგვედევნონ ეგვიპტელები!", მაგრამ ღრუბელი კვლავ წინ მიუძღოდათ და ისინიც უკან მიჰყვებოდნენ. შემდეგ უფალმა უბრძანა მოსეს, გზიდან გადაეხვიათ და ზღვისპირა

ვიწრო ხეობაში დაბანაკებულიყვნენ. თან ამცნო, რომ მათ ფარაონი გამოედევნა და რომ ეგვიპტიდან მათი გამოყვანით განდიდდება უფლის სახელი.

ხმა გავარდა მთელ ეგვიპტეში, რომ უდაბნოში გაჩერებისა და იქ ღმერთის თაყვანისცემის ნაცვლად ებრაელები წითელი ზღვისაკენ გაემართნენ. ფარაონის პირადმა მრჩევლებმა დაბეჯითებით განაცხადეს, რომ ებრაელები გაიქცნენ, რათა აღარასოდეს დაბრუნდნენ ეგვიპტეში. ხალხმა ძლიერ ინანა, რომ ასე შეცდა და პირმშოების სიკვდილი ღმერთის ძალას მიაწერა. გონს მოეგო ეგვიპტის ბრძენკაცობა, რომელიც წყლულებს ბუნების ძალთა მოქმედების შედეგს მიაკუთვნებდა: „ეს რა ვქენით, რომ გავათავისუფლეთ ისრაელიანები ჩვენი მორჩილებისაგან?" - სინანულით ამბობდნენ ისინი.

შეკრიბა ფარაონმა „ექვსასი რჩეული ეტლი, ეგვიპტის ყველა ეტლი", მხედრები, მეთაურები და ქვეითი მეომრები. თავად ჩაუდგა სათავეში მხედრობას, თან დიდგვაროვანი მოხელენი გაიყოლა. ღმერთების კეთილგანწყობის უზრუნველსაყოფად, აქედან გამომდინარე, საქმის წარმატებით დასასრულებლად, ქურუმებიც თან გაჰყვნენ. ფარაონი დარწმუნებული იყო, რომ თავისი ბრწყინვალე მხედრობით ადვილად შეაშინებდა ისრაელიანთ. ეგვიპტელებს ძლიერ ეშინოდათ, რომ ისრაელის ღმერთისადმი მათი იძულებითი მორჩილება გარშემო მყოფ ხალხთა დაცინვას გამოიწვევდა; მაგრამ თუკი ახლა მთელი

ძალებით გამოვლენ და გაქცეულთ უკან დააბრუნებენ, კვლავ დაიბრუნებენ ძველ დიდებასაც და მონებსაც.

ებრაელები დაბანაკდნენ ზღვის ნაპირზე, რომლის წყლებიც გადაულახავი ბარიერი იყო მათთვის, სამხრეთით აღმართული მასიური მთების გადალახვა კი შეუძლებელი იყო. უცბად უკან, შორს, შეამჩნიეს მათკენ სწრაფად

[283]

[284]

მომავალი ეტლები, შეიარაღებული მხედრები, რომლებიც წინ მოუძღოდნენ მრისხანე ლაშქარს. ცოტა ხნის შემდეგ კი ნათლად დაინახეს მდევარი - ეგვიპტის ცხენოსანთა მხედრობა, მათკენ რომ მოიჩქაროდა. დიდად შეშინდნენ ისრაელიანნი. ზოგმა უფალს შეღაღადა და შველა სთხოვა, უმრავლესობამ კი მოსეს უსაყვედურა: „განა ეგვიპტეში ვერ დავიმარხებოდით, უდაბნოში რომ მოგვიყვანე სასიკვდილოდ? ეს რა გვიყავი, რატომ გამოგვიყვანე ეგვიპტიდან? განა ამას არ გეუბნებოდით ეგვიპტეში: დაგვანებე თავი და დავემორჩილებით

ეგვიპტელებს, რადგან უდაბნოში სიკვდილს ეგვიპტის მორჩილებაში ყოფნა გვირჩევნია?"

მოსე დიდად შეწუხდა, რომ მისმა ხალხმა, მიუხედავად მათ საკეთილდღეოდ უფლის ძალისა და ძლიერების არაერთხელ ხილვისა, ასეთი მცირე რწმენა გამოავლინა. როგორ უსაყვედურეს თავიანთ წინამძღოლს სიძნელეებისა და შექმნილი სახიფათო მდგომარეობის გამო, ის ხომ უფლის მითითებას ზუსტად ასრულებდა? თუმცა, გადარჩენა მართლაც არ ეწერათ, თუკი ღმერთი თავად არ ჩაერეოდა და არ იხსნიდა მათ. უფლის ბრძანებით შეყოვნდა მოსე ამ ადგილას, ამიტომ იმის სულაც არ ეშინოდა, თუ რა მოჰყვებოდა ამას. ამშვიდებდა და ამხნევებდა ხალხს მოსე: „ნუ გეშინიათ, მტკიცედ იდექით და დაინახავთ, რომ მალე შეგეწევათ უფალი. დღეს ხედავთ ეგვიპტელებს, მაგრამ ამიერიდან აღარასოდეს იხილავთ. უფალი იბრძოლებს თქვენთვის, თქვენ მშვიდად იყავით".

ძნელი იყო ამდენი ხალხის დაშოშმინება უფლის დახმარების მოლოდინში. ბევრი გაჯიუტდა, თავშეკავება დაკარგა და უმართავი გახდა. უფრო მეტნი კი ხედავდნენ, რომ მდევნელთ ჩაუვარდებიან ხელთ და ხმამაღლა ტიროდნენ და გოდებდნენ. უფლის საოცარი ღრუბელი ადგილიდან დაიძრა, რითაც ღმერთმა მიუთითა მათ, წინ წასულიყვნენ, მაგრამ ახლა ერთმანეთს ეკითხებოდნენ: უფრო მეტ უბედურებას ხომ არ დავიტეხთო თავს? განა იმავე ღრუბლის სვეტმა არ მოაქცია ისინი ამ ჩიხში, საიდანაც თავის დაღწევა შეუძლებელია? ასე

იქცა მათ მცდარ წარმოდგენაში უფლის ანგელოზი უბედურების მაცნედ.

მაგრამ აი, მოახლოვდა ეგვიპტის ლაშქარი, რომელსაც გამარჯვების ადვილად მოპოვების დიდი იმედი ჰქონდა. დიდებით აღიმართა ღრუბლის სვეტი მაღლა ცაში, გასცდა ისრაელიანთ, და ეგვიპტის მხედრობის წინ დაეშვა. წყვდიადის კედელი აღიმართა მდევნელთა და დევნილთა შორის. ეგვიპტის მხედრობამ თვალთახედვის არიდან დაკარგა ებრაელთა ბანაკი და იძულებული გახდა, შეჩერებულიყო. ხოლო როცა დაღამდა, ღრუბლის კედელმა საოცრად გაანათა ისრაელიანთა მთელი ბანაკი.

ისრაელს კვლავ მიეცა გადარჩენის იმედი. შეღაღადა მოსემ უფალს. „უთხრა უფალმა მოსეს: რას შემომბღავით? უთხარი, დაიძრან, ისრაელიანებს. შენ კი კვერთხი აღმართე და ზღვას დააღირე, შუაზე გაიპობა იგი და მშრალად შევლენ ისრაელიანები შუაგულ ზღვაში".

ისრაელიანთა ზღვით გასვლის აღწერისას მეფსალმუნე ამბობდა: „ზღვაშია შენი გზა და შენი ბილიკი - დიდ მდინარეებში, და შენი კვალი არ არის ცნობილი. უძღოდი, ვითარცა ცხვარს, შენს ხალხს მოსეს და აარონის ხელით" /ფს. 76:20,21/. აღმართა მოსემ კვერთხი. გაიპო ზღვის წყლები და შევიდა ისრაელი შუა ზღვაში, მშრალ ფსკერზე. კედლად

აღიმართა წყლები ორივე მხარეს. ღვთიური ცეცხლის სვეტი საოცრად აშუქებდა, მისი სხივები ზღვის უზარმაზარ, ქაფიან, მთად აღმართულ ტალღებზე ირეკლებოდა, გზას უნათებდა თავის ხალხს და სადღაც შორს, მეორე ნაპირის წყვდიადში იკარგებოდა.

„დაედევნენ ეგვიპტელები, შეჰყვნენ შუაგულ ზღვაში ფარაონის ცხენები, მისი ეტლები და მხედრები. დაჰხედა დილის სახმილავზე უფალმა ცეცხლისა

[287]

და ღრუბლის სვეტიდან ეგვიპტელთა ბანაკს და არივ-დარია ეგვიპტელთა ბანაკი..." უცნაური ღრუბელი ცეცხლის სვეტად იქცა მათ თვალთა წინაშე. გაისმა გრგვინვა და ქუხილი და ელვამ გადასერა მთელი ზეცა. „გადმოღვარეს წყლები ღრუბლებმა, ხმა გამოსცეს ცებმა, შენი ისრებიც მიმოფრინდნენ. შენი გრგვინვის ხმა ცის თაღზე - გაანათეს ელვებმა სამყარო, შეძრწუნდა და შეირხა დედამიწა" /ფს. 76:18,19/.

დაიბნა ეგვიპტელთა ლაშქარი; შიშმა მოიცვა მხედრობა. ბუნების აბობოქრებულ ძალებში უფლის მრისხანე ხმა ჩაესმოდათ. უკან, ნაპირზე დაბრუნება სცადეს, მაგრამ კვლავ

გაიწოდა კვერთხი მოსემ და ყალყზე შემდგარი ტალღები სწრაფად მისწვდნენ თავის ნადავლს... წყვდიადის სიღრმეში სამუდამოდ დაიმარხა ეგვიპტის მხედრობა.

გათენებისას ისრაელიანებმა იხილეს ის, რაც ეგვიპტელთა უძლიერესი მხედრობიდან დარჩა: მკვდარი მხედრებით მოფენილი ნაპირი. ერთმა, ერთადერთმა ღამემ სრულად იხსნა ისრაელი საშინელი დაღუპვისაგან. ეს უამრავი უმწეო ადამიანი, მძიმე ტვირთითა და საქონლითურთ, ბრძოლას მიუჩვეველი მონები, ქალები, ბავშვები - ზღვასა და ეგვიპტის უძლიერეს ლაშქარს შუა აღმოჩნდნენ. და ყველამ დაინახა, როგორ გაიპო მათ წინ ზღვა და როგორ შთანთქა მან გამარჯვების ზეიმის მომლოდინე ეგვიპტელები. დიდმა იეჰოვამ გაათავისუფლა ისინი და მისდამი მადლიერებით და რწმენით აღივსო ისრაელიანთა გული. ღვთის სადიდებელი ჰიმნებით გამოხატეს ადამიანებმა თავისი გრძნობები. ღვთის სული გარდმოევლინა მოსეს და ხალხთან ერთად აღავლინა მან მადლიერებისა და გამარჯვების საგალობელი - ყველაზე ძველი და ყველაზე ამაღლებული მათ შორის, რაც კი ოდესმე ადამიანს სმენია:

„ვუმღერი უფალს, რადგან განდიდდა დიდად,

ზღვაში გადაყარა ცხენი და მხედარი.

ჩემი ძალი და დიდებაა უფალი, მხსნელად მყავდა იგი;

ჩემი ღმერთია და მას ვაქებ; მამაჩემის ღმერთია და მას ვადიდებ.

მეომარია უფალი; უფალია მისი სახელი.

ზღვაში ჩაყარა ფარაონი და მისი ლაშქარი,

მისი რჩეული მხედართმთავრები დაიღრჩვნენ მეწამულ ზღვაში.

მორევმა ჩაიხვია ისინი,

ქვებივით ჩაიძირნენ ღურღუმელში.

შენი მარჯვენა, უფალო, განთქმულია ძალით;

შენი მარჯვენა, უფალო, ლეწავს შენს მტრებს...

ვინ არს შენი მსგავსი, უფალო, ღმერთთა შორის?

ვინ არის, შენს მსგავსად რომ იყოს ძლიერი სიწმიდით,

ქებათა ღირსი, სასწაულმოქმედი?..

ატარე შენი მადლით ეს ხალხი და გამოიხსენი;

მიიყვანე შენი ძლიერებით შენი სიწმიდის სამკვიდრებელში.

გაიგონეს ხალხებმა და შეძრწუნდნენ...

დაეცათ თავზარი შენი ძლიერი მკლავისაგან.

ქვასავით იდუმონ ვიდრე ჩაივლიდეს, უფალო, შენი ერი,

ვიდრე ჩაივლიდეს ეს ხალხი, შენ რომ დაიხსენი.

შეიყვანე და დააფუძნე იგი შენს სამკვიდრო მთაზე,

იმ ადგილას, შენს დასავანებლად რომ შეჰქმენი"

/გამ. 15:1-6, 11, 13, 14, 16, 17/.

[288]

ღრმა უფსკრულიდან ამომავალი ექოს მსგავსად გაისმოდა ყველგან ეს დიდებული საგალობლები, ისრაელიანნი რომ მღეროდნენ. ებრაელი ქალებიც შეუერთდნენ მათ, რომელთაც წინ მოსეს და, მირიამი, მიუძღოდათ როკვით, დაფდაფებით ხელში და მთის ექოც იმეორებდა დიდების სიტყვებს: „უგალობეთ უფალს, რადგან დიდად ამაღლდა და განდიდდა იგი".

ისრაელიანთა გათავისუფლებისადმი მიძღვნილი ეს ჰიმნი არასოდეს არ უნდა დავიწყებოდათ ებრაელებს. საუკუნეთა მანძილზე მუდამ უნდა ეგალობათ ისრაელის გუნდსა და წინასწარმეტყველთ იმის მოწმობად, რომ იეჰოვა არის ძალა და ხსნა მის მორწმუნეთათვის. არა მხოლოდ ისრაელიანთ ეკუთვნით ეს საგალობელი. იგი იმ დროზეც მიგვითითებს, როცა ჭეშმარიტების ყოველი მტერი განადგურდება და ღვთის ისრაელი საბოლოოდ გაიმარჯვებს. წინასწარმეტყველმა კუნძულ პატმოსზე იხილა თეთრ სამოსელში ჩაცმული უამრავი ხალხი, რომელთაც „გაიმარჯვეს" და რომელნიც „დგანან მინის ზღვაზე და უპყრიათ ღვთის ქნარები. გალობენ ღვთის მორჩილის მოსეს გალობას და კრავის გალობას" /გამოცხ. 15:2-3/.

„ჩვენ არა, უფალო, ჩვენ არა, არამედ შენს სახელს მიაგე დიდება შენი წყალობით, შენი ჭეშმარიტებით" /ფს. 113:9/. აი, როგორი სულითაა გამსჭვალული ისრაელიანთა ჰიმნი თავისი მონობიდან გათავისუფლების შესახებ. ასეთივე სული დაივანებს ყოველი უფლის მოშიშისა და მოყვარულის გულში. ცოდვის ტყვეობიდან გათავისუფლებით უფალმა ჩვენ უფრო დიდი ხსნა მოგვიტანა, ვიდრე ებრაელებს მაშინ, მეწამულ ზღვასთან. ისრაელიანთა მსგავსად, ჩვენც უნდა ვადიდოთ უფალი გულით, სულითა და ბაგეებით მისი საოცარი საქმეებისათვის. ის, ვისაც მარად ახსოვს უფლის უდიდესი წყალობა და ვინც მის სულ მცირე ძღვენსაც კი არ ივიწყებს, უზენაესის მოწყალების სარტყლით შემოისარტყლება, შეიმოსება და გულით შეასხამს ხოტბას შემოქმედს. მადლიერება უნდა გამოვხატოთ მუდამ ღვთით ბოძებული ყოველდღიური წყალობისათვის, უფრო მეტად კი იესოს სიკვდილისათვის, რამაც ბედნიერება მოგვიტანა და ზეცისკენ გზა გაგვიხსნა. რა თანაგრძნობა, რა შეუდარებელი სიყვარული გამოავლინა უფალმა ღმერთმა ჩვენს მიმართ, დაღუპულ ცოდვილთა მიმართ, როცა თავის განსაკუთრებულ საგანძურად მიგვიღო! რა საოცარი მსხვერპლი გაიღო ჩვენმა მხსნელმა იმისათვის, რომ ღვთის შვილებად ვიწოდებოდეთ! ვადიდოთ ღმერთი იმ კურთხეული იმედისათვის, რომელიც გამოსყიდვის უდიდესი გეგმის სახით მოგვეცა. ვადიდოთ უფალი ზეციური მემკვიდრეობისა და მისი ძვირფასი აღთქმისათვის; ვადიდოთ

იგი იმისათვის რომ, იესო ცოცხალია, რათა გვიშუამდგომლოს მამის წინაშე.

„მადლობის შემომწირავი, - ამბობს უფალი, - განმადიდებს მე" /ფს. 49:23/. მთელი სამყაროს ბინადარნი ერთად მიაგებენ დიდებას ღვთის სახელს. ამიტომ ახლავე უნდა ვისწავლოთ ანგელოზთა საგალობლები, რათა ვიმღეროთ მაშინ, როცა მათ გვერდით ვიქნებით. მოდით, ვთქვათ მეფსალმუნესთან ერთად: „ვადიდებ უფალს მთელი სიცოცხლე; ვუგალობებ ღმერთს, ვიდრე ვარსებობ". „გიწამებენ ხალხები, ღმერთო, განგადიდებენ ხალხები ერთიანად!" /ფს. 145:2; 66:6/.

უფლის ხელმა მიიყვანა ებრაელები ზღვის ნაპირზე, ვიწრო ხეობაში, რათა მათი გათავისუფლებით თავისი ძლიერება და ღირსება ეჩვენებინა და დაეთრგუნა ეგვიპტელთა სიამაყე. მას სხვა გზითაც შეეძლო ისრაელის გამოყვანა, მაგრამ აირჩია ეს გზა, რათა გამოეცადა მათი რწმენა და გაეღრმავებინა მისდამი ნდობა. დაიღალა, შიშით გაიტანჯა ხალხი, მაგრამ მოსეს მიერ წინსვლის ბრძანების გაცემის შემდეგ უკან რომ დაბრუნებულიყო, ღმერთი არასოდეს გაუხსნიდა გადარჩენის გზას. „რწმენით იყო, რომ გადავიდნენ მეწამულ

[289]

[290]

ზღვაზე, როგორც ხმელეთზე" /ებრ. 11:29/. ზღვაში შესვლით მათ დაამტკიცეს თავისი რწმენა მოსეს მიერ წარმოთქმული ღვთის სიტყვის მიმართ. მათ ყველაფერი გააკეთეს, რაც შეეძლოთ და მაშინ ყოვლისშემძლე ღმერთმა გააპო ზღვა და გზა გაუხსნა.

ყველა დროისათვის დიდი გაკვეთილია ჩადებული ამ მაგალითში. ქრისტიანი ხშირად ხვდება თავის ცხოვრებაში მრავალ საშიშროებასა და მოვალეობას, რომლის შესრულებაც შეუძლებლად ეჩვენება; ჰგონია, რომ მონობა ან სიკვდილი გარდაუვალია, მაგრამ უფლის ხმა ეუბნება: „წინ იარე". უნდა დავემორჩილოთ ამ ბრძანებას იმ შემთხვევაშიც კი, როცა ჩვენი თვალები სიბნელეში ვერაფერს ხედავს და ფეხებთან ცივი ტალღების შეხებას ვგრძნობთ. დაბრკოლება, რომელიც წინსვლაში ხელს გვიშლის, არასოდეს გაქრება ურწმუნო ადამიანის თვალთა წინაშე. ის, ვინც ფიქრობს, რომ მხოლოდ მაშინ დაემორჩილება უფლის ხმას, როცა გაქრება ყოველგვარი ეჭვი, ყოველგვარი წარუმატებლობისა და დამარცხების ნიშანი, არასოდეს დაემორჩილება მას. ურწმუნოების ბოროტი ხმა ჩაგვჩურჩულებს: „მოდით, დავიცადოთ, სანამ არ დაინგრევა ყველა დაბრკოლება და ნათლად არ გამოიკვეთება ჩვენი გზა".

მაგრამ რწმენა გვიხმობს ვიაროთ წინ, უკუვაგდოთ ეჭვი და მივენდოთ უფალს.

ღრუბელი, რომელიც ეგვიპტელთათვის წყვდიადის კედელს წარმოადგენდა, ებრაელთათვის სინათლის მძლავრ ნაკადად ქცეულიყო, აჩირაღდნებდა მთელ ბანაკს და გზას უცისკროვნებდა. ამგვარად, უფლის სიტყვას ურწმუნოსათვის წყვდიადი და სასოწარკვეთილება, მორჩილისათვის კი სინათლე და მშვიდობა მოაქვს. უფლის მიერ შემოთავაზებული გზა, შესაძლოა, უდაბნოსა და ზღვაზე გადიოდეს, მაგრამ ეს არის გზა უსაფრთხოებისა.

თავი 26 - მეწამული ზღვიდან სინაის მთისკენ

გამოსვლა 15:22-27; 16-18

მეწამული ზღვიდან ისრაელიანნი კვლავ ღრუბლის სვეტის მიერ მითითებულ გზას დაადგნენ. მათ წინაშე საკმაოდ მშრალი, უღიმღამო სურათი გადაშლილიყო: მოშიშვლებული მთები, მწირი, უნაყოფო ველები, უკან კი - ხმაური ზღვისა, რომლის ნაპირი მტრის გვამებით იყო დაფარული. მაგრამ

გათავისუფლებით მინიჭებულმა სიხარულმა ყოველივე დაავიწყა მათ და უკმაყოფილობას არავინ გამოთქვამდა.

მაგრამ გავიდა მგზავრობის სამი დღე და წყალი ვერსად იპოვეს. თან წამოღებული მარაგი გაუთავდათ. მზით გადახრუკულ უდაბნოში ვერაფრით მოიკლეს წყურვილი. მოსე კარგად იცნობდა ამ ადგილებს. იცოდა ისიც, რაც სხვებმა არ იცოდნენ, სახელდობრ: სულ ახლოს იყო ადგილი, მარას რომ უწოდებდნენ, სადაც იყო წყარო, სასმელად უვარგისი წყლით. მღელვარებით აკვირდებოდა იგი ღრუბლის სვეტის მოძრაობას და უცბად, ხალხის სიხარულის შეძახილმა: „წყალი, წყალი!" გული ჩასწყვიტა მოსეს. ისინი მოუთმენელი სიხარულით მისცვივდნენ წყაროს, მაგრამ საშინელი გმინვა აღმოხდათ ბაგეებიდან - წყალი მწარე იყო.

გამწარებული, სასოწარკვეთილი ხალხი საყვედურებით ავსებდა მოსეს იმის გამო, რომ ამ გზით წამოიყვანა ისინი და სულ გადაავიწყდათ, რომ, როგორც მოსეს, ასევე მათ, ღმერთი მიუძღოდა იდუმალი ღრუბლით. უთანაგრძნო მოსემ მათ მწუხარებას და გააკეთა ის, რისი გაკეთებაც ისრაელიანთ სრულიად გადაავიწყდათ: დაჟინებით შეევედრა უფალს და დახმარება სთხოვა: „დაანახვა უფალმა მორი. ჩააგდო იგი წყალში და გამტკნარდა წყალი". ამ ადგილას აღუთქვა უფალმა ისრაელს მოსეს მეშვეობით: „თუ გაიგონებ უფლის, შენი ღვთის ხმას და სწორად მოიქცევი მის თვალში, ყურს დაუგდებ მის ბრძანებებს და დაიცავ ყველა მის წესს, არ შეგყრი არც ერთ სენს, ეგვიპტეს რომ შევყარე, რადგან მე ვარ უფალი, შენი განმკურნებელი".

მარადან ისრაელიანნი ელიმში მოვიდნენ, სადაც აღმოაჩინეს „თორმეტი წყაროსთვალი და სამოცდაათი ფინიკის ხე". აქ შეისვენეს რამდენიმე დღით, სანამ სინაის მთისკენ დაიძვრებოდნენ. ეგვიპტიდან გამოსვლის ერთი თვის თავზე პირველად გაიშალა ისრაელიანთა კარვები უდაბნოში. წამოღებული საკვების მარაგიც გაუთავდათ. მწირი საძოვრების გამო ფარა შეუმცირდათ. რით გამოკვებონ ამდენი ხალხი? ეჭვი უღრღნიდა მათ გულს და კვლავ საყვედურებით აავსეს მოსე. თვით უხუცესებიცა და მთავრებიც კი ვერ მალავდნენ უკმაყოფილებას ღვთის მიერ ხალხის წინამძღოლად დადგენილთა მიმართ: „ნეტავ უფლის ხელით გავმწყდარიყავით ეგვიპტის ქვეყანაში, როცა ხორცით სავსე ქვაბებს ვუსხედით და გაძღომამდე ვჭამდით პურს! მოგვიყვანე ამ უდაბნოში, რომ შიმშილით ამოგვწყვიტო მთელი კრებული!"

ამ დღემდე არასოდეს მოშიებიათ ისრაელიანთ; ჰქონდათ მათ ყოველდღიური სარჩო, მხოლოდ მომავალზე წუხდნენ. ვერ წარმოედგინათ, თუ როგორ უნდა გამოეკვება თავი ამ უამრავ ხალხს უდაბნოში მოგზაურობისას და უკვე ხედავდნენ თავიანთ შვილებს, შიმშილისგან დასუსტებულთ. უფალმა დაუშვა მათ ცხოვრებაში სიძნელეები, საკვების მარაგის გამოლევა, რათა კვლავინდებურად მისთვის, მათი მხსნელისათვის, მიემართათ. თუკი გაჭირვებაში უფალს მოუხმობენ, იგი კვლავ დაუმტკიცებს თავის სიყვარულსა და მზრუნველობას. უფალმა აღუთქვა, რომ მისი მცნებების დაცვის შემთხვევაში არავითარი სენი არ

[291]

[292]

მიეკარებათ და ასეთი უნდობლობა ღვთის მიმართ, თითქოსდა მათი შვილები შიმშილით დაიხოცებოდნენ, დიდ ცოდვას წარმოადგენდა.

უფალმა აღუთქვა, რომ იქნებოდა მათი ღმერთი და ისინი - მისი ხალხი. და რომ ვრცელ და მდიდარ ქვეყანას მისცემდა საცხოვრებლად, მაგრამ ყოველი დაბრკოლებისას, ადვილად კარგავდნენ მხნეობას აღთქმული ქვეყნისკენ მიმავალ გზაზე. უამრავი სასწაულით გაათავისუფლა ღმერთმა ისინი ეგვიპტის ტყვეობიდან, რათა აემაღლებინა და ყველაზე კეთილშობილ, გამოჩენილ ერად ექცია მთელი დედამიწის ზურგზე. მაგრამ ჯერ გარკვეული გაჭირვება და სიძნელეები უნდა გამოეცადათ. უფალს სურდა, ისრაელიანნი დამცირებული მდგომარეობიდან გამოეყვანა და მოემზადებინა, წმიდა ჭეშმარიტების მიღებით საპატიო ადგილი დაეკავებინათ სხვა ხალხებს შორის. მათ რომ მტკიცე რწმენა ჰქონოდათ - უფალმა ხომ ბევრი სასწაული დაანახა - მაშინ მხნედ გადაიტანდნენ ყველა შეჭირვებას და სერიოზულ ტანჯვასაც კი. მაგრამ მხოლოდ მაშინ სჯეროდათ

უფლისა, როცა იგი თავის ძლიერებას უჩვენებდა. დაავიწყდათ ისრაელიანთ თავისი მძიმე მდგომარეობა ეგვიპტეში; დაავიწყდათ უფლის წყალობა და ძალა, რომელიც მათი მონობიდან გასათავისუფლებლად გამოიყენა; დაავიწყდათ, თუ როგორ დაინდო უფალმა მათი შვილები იმ დროს, როცა სიკვდილის ანგელოზმა ეგვიპტის ყველა პირმშო გაანადგურა. აღარ ახსოვდათ მეწამულ ზღვასთან ღვთიური ძალის უდიდესი გამოვლინება; არც ის, თუ როგორ გაუხსნა მათ გადარჩენის გზა და როგორ დატოვა ზღვის ფსკერზე მათი მტრები. ახლა მხოლოდ ახლანდელ გაჭირვებასა და განსაცდელზე ფიქრობდნენ იმის ნაცვლად, რომ ეთქვათ: „უჩვეულოდ დიდი საქმე გაგვიკეთა უფალმა; მონები ვიყავით, მას კი ჩვენი დიდ ხალხად გადაქცევა სურს", - ჩიოდნენ თავიანთ ძნელ ყოფაზე და მხოლოდ ერთი რამ აინტერესებდათ: თუ როდის დამთავრდებოდა ეს მძიმე გზა.

უდაბნოში ისრაელიანთა ცხოვრების ისტორია ბოლო ჟამის ისრაელისთვისაა დაწერილი. ესაა ისტორია, რომელიც გადმოგვცემს, თუ როგორ ეპყრობოდა ღმერთი მწირ ხალხს, რომელმაც ბევრი გაჭირვება, შიმშილი, პაპანაქება სიცხე და უბედურება გამოიარა; ეს ისტორია, რომელიც გვამცნობს ისრაელის გათავისუფლებისათვის უფლის ძალისა და ძლიერების საოცარ გამოვლინებას, გაფრთხილება და რჩევა-დარიგებაა ყველა საუკუნის ღვთის ხალხისათვის. ებრაელთა მიერ გადატანილი გაჭირვება - ეს იყო სკოლა, რომელიც ამზადებდა მათ აღთქმულ ქანაანში ცხოვრებისათვის. უფალ

ღმერთს სურს, რომ ჩვენს დროში მცხოვრებმა სულიერმა ისრაელმა მორჩილებითა და მზადყოფნით შეიცნოს ის გაკვეთილები და გამოცდილება, რომელიც განვლო ძველმა ისრაელმა ქანაანის ქვეყანაში დამკვიდრებისათვის მოსამზადებლად.

დღეს ბევრს უკვირს ძველ ისრაელიანთა ურწმუნოება და უკმაყოფილება და ჰგონია, რომ თავად არასოდეს გამოიჩენდა ღვთის მიმართ ასეთ უმადურობას. მაგრამ მათი რწმენის თუნდაც სულ უმნიშვნელო გამოცდის ჟამს ისინი ძლიერ ემსგავსებიან ძველ ისრაელიანთ. ხშირად ადამიანები აღშფოთებას გამოთქვამენ მათ განსაწმედად უფლის ჩარევის გამო. და თუმცა მათი ყოველდღიური საჭიროებანი დაკმაყოფილებულია, არ ანდობენ თავის მომავალს ღმერთს და მუდამ შიშობენ, რომ უბედურება ან გაჭირვება არ დაატყდეთ თავს მათ და მათ შვილებს. სხვებს თან სდევთ რაღაც უბედურების წინათგრძნობა ან აზვიადებენ სიძნელეებს, რომლებიც ცხოვრების გზაზე ხვდებათ, ამიტომ ვერ ხედავენ იმ კურთხევათა სიუხვეს, რისთვისაც მადლობა უნდა შესწირონ ღმერთს.

სიძნელეთა გადასალახავად ისინი არ ეძებენ დახმარებას უფალში - ძალის ერთადერთ წყაროში. პირიქით, უფრო შორდებიან მას და კიდევ უფრო მეტი

[293]

[294]

მოუსვენრობა და შიში ეუფლებათ.

განა სამართლიანად ვიქცევით, როცა ასეთ ურწმუნოებას ვავლენთ? განა გვაქვს ასეთი უმადურობისა და უნდობლობისათვის საბაბი? იესო ხომ ჩვენი უახლოესი მეგობარია. მთელი ზეცაა დაინტერესებული ჩვენი კეთილდღეობით, ჩვენი მოუსვენრობა და შიში კი ანაღვლიანებს ღვთის სულიწმიდას. ნუ შემოვუშვებთ გულში მოუსვენრობას, იგი ხომ ვერ დაგვეხმარება განსაცდელის ჟამს, პირიქით, გვტანჯავს და გვასუსტებს. ჩვენს გულში ადგილი არ უნდა ჰქონდეს ღვთისადმი ურწმუნოებას, რომლის გამოც წინასწარ ვცდილობთ მომავალი გასაჭირის თავიდან აცილებას, თითქოსდა მთელი ჩვენი ბედნიერება ამქვეყნიურ კეთილდღეობაშია. უფალს სულაც არ სურს, რომ მისი ხალხი მუდმივი ზრუნვით იყოს დამძიმებული. მაგრამ ჩვენი უფალი არც იმაში გვარწმუნებს, რომ უხიფათო იქნება ყველა ჩვენი გზა. მას არ აღუთქვამს თავისი ხალხისათვის, რომ განარიდებს ამ ცოდვითა და ბოროტებით სავსე წუთისოფელს, მაგრამ მან მიგვითითა საიმედო თავშესაფარზე. იგი უხმობს ყველა დაქანცულს და გაჭირვებულს: „მოდით ჩემთან, ყოველნო

მაშვრალნო და ტვირთმძიმენო და მე მოგასვენებთ თქვენ". მოიხსენით მწუხარებისა და ამქვეყნიური მოუსვენრობის უღელი, რომელიც თავად დაიდგით მხრებზე და „იტვირთეთ ჩემი უღელი და ისწავლეთ ჩემგან, ვინაიდან მე მშვიდი და თავმდაბალი ვარ და ჰპოვებთ სულის სიმშვიდეს" /მათ. 11:28,29/. ჩვენ შეგვიძლია, ვპოვოთ სიმშვიდე და მოსვენება უფალში, თუკი მთელ საზრუნავს მას მივანდობთ, რადგან იგი ზრუნავს ჩვენზე /იხ. 1 პეტრ. 5:7/.

პავლე მოციქული ამბობს: „თვალი გეჭიროთ, ძმებო, რომ ვინმე თქვენგანს არ ჰქონდეს ბოროტი და ურწმუნო გული, რათა არ განუდგეს ცოცხალ ღმერთს" /ებრ. 3:12/. უფლის მიერ კაცობრიობისათვის გაკეთებული საქმეების შეცნობამ უნდა განამტკიცოს, აამოქმედოს და გააძლიეროს ჩვენი რწმენა. საყვედურისა და ჩივილის ნაცვლად ჩვენი გულიდან უნდა ამოვიდეს სიტყვები: „ადიდე, სულო ჩემო, უფალი და მთელო შიგნეულობავ ჩემო - მისი წმიდა სახელი. ადიდე, სულო ჩემო, უფალი და ნუ დაივიწყებ მის ქველმოქმედებას" /ფს. 102:1,2/.

ღმერთს უყურადღებოდ არ დაუტოვებია ისრაელის საჭიროებანი. მან წინამძღოლს აღუთქვა: „აჰა, პურს გაწვიმებთ ციდან". და ებრძანა ხალხს, რომ ყოველდღიურად მოეგროვებინათ იმდენი პური, რამდენიც ერთ დღეს ეყოფოდათ, მეექვსე დღეს კი - ორჯერ მეტი, რათა შაბათი დღის სიწმიდე არ დაერღვიათ.

მოსემ დაარწმუნა ხალხი, რომ მათი საჭიროებანი დაკმაყოფილებული იქნება: „საღამოხანს ხორცს მოგცემთ საჭმელად და დილით პურს გაძღომამდე" და დაუმატა: „ჩვენ ვინ ვართ? ჩვენ კი არა, უფალს შესჩიოდით". შემდეგ კი აარონის მეშვეობით ბრძანა: „წარუდექით უფალს, რადგან ისმინა მან თქვენი ჩივილი". როცა აარონი ლაპარაკობდა, „გაჰხედეს უდაბნოს და აჰა, გამოჩნდა ღრუბელში უფლის დიდება". ნათელი, რომელიც ადრე არასოდეს ენახათ, უფლის იქ ყოფნაზე მეტყველებდა. ასე ეცხადებოდა უფალი ადამიანებს, რათა შეეცნოთ იგი. მათ უნდა სცოდნოდათ, რომ უზენაესი ღმერთი იყო მათი ხელმძღვანელი და არა მოსე - უბრალო კაცი. მათ უნდა ესწავლათ ღვთის შიში და ესმინათ მისი ხმა.

„საღამოხანს მოფრინდა მწყერი და დაფარა მთელი ბანაკი" - იმდენი, რომ საკვებად ყველას ეყოფოდა. დილით კი იხილეს, რომ ყრია უდაბნოში რაღაც წვრილი და ხაოიანი, წვრილი, როგორც ჭირხლია ხოლმე მიწაზე. დაარქვა მას ხალხმა სახელად მანანა. ,,ქინძის თესლის ოდენა იყო". თქვა მოსემ: "ეს არის პური, საჭმელად რომ მოგცათ უფალმა". ხალხმა მოაგროვა მანანა. იმდენი იყო, რომ ყველას ეყო. აგროვებდა ხალხი "და ფქვავდა ხელსაფქვავით ან

[295]

როდინში ნაყავდა. ხარშავდნენ ქვაბში და აცხობდნენ მისგან კვერებს. გემოთი ზეთიან ხავიწს ჰგავდა" /რიცხ. 11:8/. კაცზე თითო გომერი უნდა მოეგროვებინათ, იმდენი, რამდენიც ეყოფოდათ და დილამდე არ უნდა მოეტოვებინათ. ზოგი შეეცადა, შეენახა მეორე დღისთვის, მაგრამ გაფუჭდა და საკვებად აღარ ვარგოდა. ადრე დილით უნდა მოეგროვებინათ მანანა, რადგან მზის ამოსვლისას დნებოდა იგი და მიწაზე აღარაფერი რჩებოდა.

აღმოჩნდა, რომ ზოგმა ბევრი მოაგროვა, ზოგმა - იმაზე ნაკლები, როგორც ნათქვამი იყო, მაგრამ „არწყეს გომერით; არც ბევრის შემგროვებელს აღმოაჩნდა ზედმეტი და არც მცირეს შემგროვებელს დაჰკლებია რამე. თითოეულს იმდენი ჰქონდა შეგროვებული, რამდენიც საჭმელად სჭირდებოდა". კორინთელთა მიმართ გაგზავნილ ეპისტოლეში პავლე მოციქული განმარტავს ამ მუხლს და მასში ჩადებულ პრაქტიკულ მაგალითს გვთავაზობს: ,,არა იმისათვის, რომ სხვებს შვება ჰქონდეთ და თქვენ გაჭირვება, არამედ თანაბრობისთვის. ამჟამად თქვენი ნამეტი შეავსებს მათს ნაკლულობას, რათა მათმა ნამეტმაც შეავსოს თქვენი ნაკლულობა, რომ იყოს თანაბრობა. როგორც წერია: ვინც ბევრი აკრიფა, ზედმეტი არ ჰქონდა, ხოლო ვინც ნაკლები - არ აკლდა" /2 კორ. 8:13-15/.

მეექვსე დღეს ორი გომერით მეტი აკრიფა თითოეულმა. საზოგადოების თავკაცებმა სწრაფად შეატყობინეს მოსეს, თუ რა გაკეთდა. მან უპასუხა: „ასე აქვს ნაბრძანები უფალს: ხვალ უქმეა. უფლის წმიდა შაბათი; რის გამოცხობასაც აპირებთ, გამოაცხვეთ, რის მოხარშვასაც აპირებთ, მოხარშეთ; რაც მოგრჩებათ, დილისთვის შეინახეთ". ასეც მოიქცნენ და ნახეს, რომ დარჩენილი საკვები არ გაფუჭებულა. „უთხრა მოსემ: დღეს ჭამეთ, რადგან დღეს უფლის შაბათია; ვერაფერს იპოვით დღეს ველზე. ექვს დღეს აგროვეთ იგი, მეშვიდე დღე კი შაბათია; არაფერი იქნება ამ დღეს".

უფალი მოითხოვს, დღესაც ისევე წმიდად დაიცვან მისი შაბათი, როგორც ძველ ისრაელში. ებრაელთათვის იეჰოვას მიერ მიცემული ეს ბრძანება ყოველმა ქრისტიანმა ისე უნდა აღიქვას, როგორც მისთვის განკუთვნილი მითითება. შაბათის წინა დღე მზადების დღეა. ყოველდღიური საქმეების კეთება აკრძალა უფალმა წმიდა შაბათ დღეს. ღმერთმა ავადმყოფ და გაჭირვებულ ადამიანებზე ზრუნვა გვიბრძანა; მათი მდგომარეობის შესამსუბუქებლად გაწეული შრომა მოწყალებაა და არა შაბათის დარღვევა. მაგრამ სხვა დანარჩენი საქმე, რომელიც აუცილებლობას არ წარმოადგენს, უნდა გადაიდოს. ბევრი შაბათის დადგომამდე მოიტოვებს ხოლმე პატარ-პატარა საქმეებს, რომლის გაკეთებაც წინა დღეს შეიძლებოდა. ასე არ უნდა იყოს. საქმე, რომელიც შაბათის დადგომამდე ვერ დავამთავრეთ, შაბათის დამთავრებამდე უნდა გადავდოთ. შაბათის მიმართ ასეთი დამოკიდებულება დაეხმარება

უზრუნველ ქრისტიანთ, უფრო ყურადღებით მოეკიდონ თავის საქმეებს კვირის ექვსი დღის განმავლობაში.

უდაბნოში ისრაელიანთა ხანგრძლივი მოგზაურობის ყოველი კვირის განმავლობაში ადამიანები სამმაგ სასწაულს ხედავდნენ, რომელთაც მათ გონებაში შაბათი დღის სიწმიდე უნდა ჩაებეჭდა: მეექვსე დღეს ორჯერ მეტი მანანა ეძლეოდათ, მეშვიდე დღეს კი საერთოდ ვერაფერს პოულობდნენ. ხოლო შაბათისათვის გადანახული საკვების ნაწილი კარგად ინახებოდა მაშინ, როცა სხვა, ნებისმიერ დღეებში შენახვისას ფუჭდებოდა და საკვებად უვარგისი ხდებოდა.

ზეციურ მანანასთან დაკავშირებული ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი მოწმობს, რომ შაბათი დღე სინაის მთაზე მოცემულ რჯულთან ერთად არ დაუდგენია უფალს, როგორც ბევრს სურს, დაამტკიცოს. სინაის უდაბნოში

[296]

მისვლამდე ისრაელიანებმა უკვე იცოდნენ, რომ შაბათის დაცვა სავალდებულოა მათთვის. ყოველ პარასკევს ორჯერ მეტი მანანის მოგროვება, რათა შაბათისთვის მომზადებულიყვნენ,

რადგან შაბათს არ მიეცემოდათ, თანდათან ამზადებდა მათ ამ წმიდა დღის სიმშვიდისათვის. ხოლო როცა ზოგი მაინც გავიდა მინდვრად მანანის მოსაძებნად შაბათ დღეს, უფალმა ჰკითხა: „როდემდე უნდა მირღვევდეთ მცნებებსა და სჯულდებებს?"

"ორმოცი წელი ჭამდნენ ისრაელიანები მანანას, ვიდრე თავიანთ სამკვიდრებელში მივიდოდნენ; მანანას ჭამდნენ, ვიდრე ქანაანის ქვეყნის საზღვრამდე მივიდოდნენ". ორმოცი წლის მანძილზე ახდენდა უფალი ამ სასწაულს - ზეციური მანანით კვებავდა თავის ხალხს, რაც მის მზრუნველობასა და საოცარ სიყვარულზე მეტყველებდა. მეფსალმუნე ამბობს, რომ უფალმა „ციური პური მისცა მათ". „ანგელოზთა პურს ჭამდა კაცი" /ფს. 77:24-26/, ე.ი. ანგელოზთა მიერ მომზადებულ საკვებს. იკვებებოდნენ ადამიანები "ციური პურით" და ყოველდღიურად, საკუთარი გამოცდილების საფუძველზე რწმუნდებოდნენ, რომ უფალი, თავისი აღთქმისამებრ, ისე იზრუნებს თავისი შვილების საჭიროებებზე, თითქოს მათ გარშემო ქანაანის ნაყოფიერ ველებზე მოშრიალე ჯეჯილი გადაშლილიყოს.

ისრაელის გამოსაკვებად ზეცით ჩამოყრილი მანანა სიმბოლოა წუთისოფელში უზენაესის მიერ გამოგზავნილი უფლის ძისა, რომელმაც სიცოცხლე უბოძა წუთისოფელს. იესომ თქვა: „მე ვარ პური სიცოცხლისა. თქვენმა მამებმა ჭამეს მანანა უდაბნოში და დაიხოცნენ. ეს არის პური, ჩამომავალი ზეციდან, რათა კაცმა შეჭამოს იგი და არ მოკვდეს. მე ცოცხალი პური ვარ, ზეციდან

ჩამოსული. ვინც ამ პურს შეჭამს, საუკუნოდ იცოცხლებს; პური, რომელსაც გავცემ, ხორცია ჩემი, რომელსაც წუთისოფლის სიცოცხლისთვის გავცემ" /იოან. 6:48-51/. და ღვთის ხალხისადმი კურთხევის აღთქმებშიც, რომელიც საუკუნო სიცოცხლეს ეხება, დაწერილია: „გამარჯვებულს მივცემ საკვებად შენახული მანანისაგან" /გამოცხ. 2:17/.

სინაის უდაბნოს დატოვების შემდგომ ისრაელიანებმა „დაიბანაკეს რეფიდიმში, სადაც ხალხისათვის სასმელი წყალი არ იპოვებოდა". და კვლავ ღვთიური ძალის მიმართ უნდობლობა გამოავლინეს. ეს თვითდაჯერებული და თვალებზე ბინდგადაკრული ხალხი კვლავ მივიდა მოსესთან მოთხოვნით: „მოგვეცით სასმელი წყალი!" მოთმინებით მიუგო მოსემ: „რატომ მეჩხუბებით, რატომ სცდით უფალს?" მაშინ რისხვით შეუტიეს ისრაელიანებმა: „რისთვისღა ამოგვიყვანე ეგვიპტიდან, თუ წყურვილით დაგვხოცავდით ჩვენც, ჩვენს ბავშვებსაც და საქონელს?"

ასე იყო ისრაელიანებში: როცა უფალი უხვად აკმაყოფილებდა ყოველ მათ საჭიროებას, მაშინ რცხვენოდათ ებრაელებს თავიანთი ურწმუნოებისა და საყვედურებისა და უმალ დებდნენ აღთქმას, რომ მომავალში ყველაფერში მხოლოდ ღმერთს მიენდობოდნენ; მაგრამ მალე ივიწყებდნენ თავიანთ სიტყვას და პირველივე გაჭირვების ჟამს კვლავ ჩივილს იწყებდნენ. ღრუბლის სვეტი, რომელიც წინ მიუძღოდა, ახლა საშინელ

საიდუმლოს წარმოადგენდა მათთვის; მოსე? ვინ არის მოსე? რა მიზნით გამოგვიყვანა მან ეგვიპტიდან? ეჭვი და უნდობლობა დაეუფლა მათ გულს და სასტიკი ბრალდება წაუყენეს, თითქოს მას ებრაელი ხალხის და მათი შვილების შიმშილით დახოცვა და მთელი მათი ქონებისა და დოვლათის მითვისება სურდა. და რისხვის მომენტში მის ჩაქოლვასაც კი არ მოერიდებოდნენ.

სასოწარკვეთილებით შეღაღადა მოსემ უფალს: "რა ვუყო ამ ხალხს?" უფალმა უბრძანა, წაეყვანა ისრაელის უხუცესნი, წაეღო კვერთხი, რომლითაც სასწაულებს ახდენდა ეგვიპტეში და ხალხს გასძღოლოდა. უთხრა: „მე ვიდგები

[297]

[298]

შენს წინ იქ, ხორების კლდეზე; დაჰკარი კლდეს და გამოვა წყალი, და დალევს ხალხი". დაემორჩილა მოსე და უხვად გადმოსკდა წყალი ცოცხალ ნაკადად. იმის ნაცვლად, რომ ებრძანებინა მოსესთვის, აეღო კვერთხი და ამ ამბოხებული, უმადური, მომჩივანი ხალხისათვის ეგვიპტის მსგავსი საშინელი

წყლულები გადმოეფრქვია, მოწყალე უფალმა იგივე კვერთხი მათ სახსნელად გამოიყენა.

„გააპო კლდენი უდაბნოში და დაარწყულა ვით უფსკრულის წყალსატევიდან. გამოადინა ნაკადები კლდისაგან და წამოვიდნენ წყლები მდინარეებივით" /ფს. 77:15,16/. დაჰკრა მოსემ კლდეს, ამ დროს კი მის გვერდით, ღრუბლის სვეტში, იდგა უფლის ძე, ვინც წყლის მაცოცხლებელი ნაკადი გადმოადინა. არა მხოლოდ მოსემ და უხუცესებმა, არამედ მოშორებით მდგომმა მთელმა ხალხმა იხილა უფლის დიდება. სქელი ღრუბელი ფარავდა ღვთის ძეს, თორემ მის გარეშე უფლის ძისგან გამოსული საშინელი ნათება დახოცავდა ყველა იქ მყოფს.

მწყურვალე ხალხი სცდიდა ღმერთს, როცა ამბობდა: „არის თუ არა ჩვენს შორის უფალი?" „თუკი უფალმა მოგვიყვანა აქ, რატომ არ გვაძლევს წყალს, როგორც პური მოგვცა?" ასეთი უნდობლობა დანაშაული იყო და მოსეს შეეშინდა, რომ სასჯელს მოუვლენდა უფალი. და უწოდა სახელად ამ ადგილს მასა - „გამოცდა" და მერიბა - „საყვედური" იმის გამო, რომ უფალი გამოსცადეს.

სხვა, ახალი საშიშროება დაემუქრა ებრაელებს. მათმა საყვედურებმა და უნდობლობამ მტრის თავდასხმა გამოიწვია. იმ ადგილებში მცხოვრები ყამალეკი, მძვინვარე, მეომარი ტომი, შეებრძოლა ზურგში დარჩენილ დასუსტებულ, ქანცგამოლეულ

ისრაელიანებს და დაამარცხა. მოსემ იცოდა, რომ მისი ხალხი ვერ შეებრძოლებოდა მტერს და უბრძანა იესოს: „გამოარჩიე კაცები და გადი ყამალეკთან საბრძოლველად. ხვალ ბორცვის თავზე ვიდგები და ღვთიური კვერთხი მეჭირება ხელში". და აი, მეორე დღეს, იესო თავისი ხალხით თავს დაესხა ყამალეკს, „ხოლო მოსე, აარონი და ხური ბორცვზე ავიდნენ", საიდანაც კარგად მოჩანდა ბრძოლის ველი. ზეცისკენ აღმართა ხელი მოსემ; მარჯვენა ხელში უფლის კვერთხი ეჭირა. ლოცვით ევედრებოდა უფალს, დახმარებოდა ისრაელიანთ. ბრძოლის დროს შენიშნეს, როცა ხელს აღმართავდა მოსე, იმარჯვებდა ისრაელი, მაგრამ როგორც კი ხელს დაუშვებდა, ყამალეკი ძლევდა. როდესაც ხელები დაუმძიმდა მოსეს, აარონსა და ხურს ეჭირათ მისი ხელები, ერთს ერთი მხრიდან, მეორეს - მეორე მხრიდან. ასე ეკავათ მისი ხელები მზის ჩასვლამდე, სანამ მტერი არ უკუიქცა.

აარონისა და ხურის მოსესთვის ასეთი დახმარების გაწევა მაგალითი იყო ხალხისათვის და ახსენებდა, რომ ისინი მოვალენი არიან, დაეხმარონ თავიანთ წინამძღოლს მისი მძიმე მისიის შესრულებისას, როცა იგი უფალთან საუბრობს, რათა გადასცეს ხალხს უზენაესის სიტყვები. მოსეს ასეთ ქცევას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ეს იმაზე მეტყველებდა, რომ უფლის ხელშია თითოეული მათგანის ბედი; თუკი მიენდობიან, იგი იბრძოლებს მათთვის და გამარჯვებას მოუტანს; მაგრამ საკუთარ ძალაზე დაყრდნობით იმათზე მეტად დასუსტდებიან,

ვინც საერთოდ არ იცნობს ღმერთს და მტერიც ადვილად დაამარცხებს.

როგორც ებრაელებმა გაიმარჯვეს მაშინ, როცა მათ ზეცისკენ აწვდილი ხელებით მოსე შუამდგომლობდა, ასევე გაიმარჯვებს ღვთის ისრაელი, როცა რწმენით მიენდობა მხსნელის ძლიერებას. მაგრამ ღვთიურ ძალასთან ერთად ადამიანის ძალისხმევაა საჭირო. მოსემ კარგად იცოდა, რომ უფალი არ მოუტანდა მათ გამარჯვებას ისრაელიანთა უმოქმედობის შემთხვევაში. იმ დროს, როცა ხალხის ბელადი ლოცულობდა და ღვთისგან დახმარებას ითხოვდა,

[299]

იესო ნავეს ძე თავის მამაც მეომრებთან ერთად ისრაელისა და მათი ღმერთის მტერს მუსრავდა.

ყამალეკზე გამარჯვების შემდეგ უფალმა უბრძანა მოსეს: „სამახსოვროდ ჩაწერე ეს წიგნში და ჩააგონე იესოს, რომ აღვგვი ყამალეკის სახსენებელს ცისქვეშეთიდან". სიკვდილის წინ ამ უდიდესმა წინამძღოლმა საზეიმოდ დაუბარა თავის ხალხს: „გაიხსენე, როგორ მოგექცათ გზაზე ყამალეკი, როცა ეგვიპტიდან გამოდიოდით; გზაზე რომ დაგხვდა და გაგინადგურა

დაფანტული უკანა რი-გები, შენ კი დაღლილ-დაქანცული იყავი, და ღმერთის არ შეშინებია... მოსპე ყამალეკის სახსენებელი ცისქვეშეთიდან, არ დაგავიწყდეს" /რჯლ. 25:17-19/. ამ უწმიდურ ხალხზე უფალმა თქვა: მისი ხელი "უფლის ტახტის წინააღმდეგაა: ომი აქვს უფალს ყამალეკთან თაობიდან თაობამდე" /გამ. 17:16/.

ყამალეკისათვის არ იყო უცნობი უფლის ძლიერება და მისი უზენაესი ხელმწიფება, მაგრამ არ ეშინოდა მისი და წინ აღუდგა მის ძალას. დასცინოდნენ ეგვიპტეში მომხდარ სასწაულებს და ირგვლივ მცხოვრებ ხალხთა შიშს; შეჰფიცეს თავიანთ ღმერთებს, რომ სრულად გაანადგურებდნენ ებრაელებს, არავის დატოვებდნენ მათგან ცოცხალს და კვეხნით აცხადებდნენ, რომ ისრაელის ღმერთი ამაში ხელს ვერ შეუშლის. ისრაელიანთ შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ მათთვის და არც თავდასხმას აპირებდნენ მათზე. მათ არ მიუციათ არავითარი საბაბი ბრძოლისათვის. ღმერთისა და მისი ხალხის დიდი სიძულვილის გამო გადაწყვიტა ყამალეკმა ღვთის ხალხის განადგურება.

დიდხანს თავნებობდა ყამალეკის ხალხი თავის ცოდვებში. მათმა დანაშაულმა ზეცას მიაღწია შურისგებისათვის; უსასრულოდ მოწყალე ღმერთი მონანიებისკენ მოუწოდებდა მათ, მაგრამ, როცა უმწეო, დაუძლურებულ ხალხს დაესხნენ თავს, ყამალეკის ბედი გადაწყვეტილ იქნა. უფალი ზრუნავს

თავის უმწეო შვილებზე. მათ მიმართ სისასტიკისა და ძალადობის არც ერთი გამოვლინება ზეცას შეუმჩნეველი არ რჩება. ღვთის ყველა მოშიშსა და მოყვარულზე გადაფარებულია უფლის ხელი, ვითარცა ფარი. ნუ შეეხებიან ადამიანები ამ ხელს, ვინაიდან სამართლიანობის მახვილი უჭირავს მას.

არც თუ ისე შორ მანძილზე იმ ადგილებიდან, სადაც ისრაელიანნი დაბანაკდნენ, ცხოვრობდა ითრო, მოსეს სიმამრი. მან უკვე იცოდა ებრაელთა გათავისუფლების შესახებ. წავიდა მათ სანახავად და მოსეს ცოლი და ორი ვაჟიც გაიყოლა. მოსემ იცოდა მათი მოახლოების შესახებ, სიხარულით გამოეგებათ, მიესალმათ და კარავში მიიწვია. ისრაელიანთა ეგვიპტიდან გამოსვლასთან დაკავშირებული მრავალი საფრთხის გამო მოსემ თავისი ოჯახი სიმამრთან გაგზავნა, მაგრამ ახლა უკვე შეეძლო, დამტკბარიყო მათთან ყოფნით. მოსემ უამბო ითროს, თუ რა სასწაულებით იხსნა უფალმა ისრაელი, რამაც დიდად გაახარა პატრიარქი. დალოცა მან უფალი და მოსესთან და უხუცესებთან ერთად შესწირა მსხვერპლი და უფლის წყალობის აღსანიშნავად საზეიმო ნადიმი გამართა.

დარჩა ითრო ბანაკში და მალე დაინახა, თუ რა მძიმე ტვირთად აწვა მხრებზე მოსეს უამრავი მოვალეობა. ამ მრავალრიცხოვან, უმეცარ და თავაშვებულ ხალხში წესრიგის დამყარება არ იყო იოლი საქმე. მოსე მათ მიერ აღიარებული წინამძღოლი და მსაჯული იყო და არა მხოლოდ ერის ინტერესებზე და

ამოცანებზე უნდა ეზრუნა, არამედ ადამიანთა შორის მცირე კონფლიქტები და უსიამოვნებებიც უნდა განესაჯა. და მოსეც იღებდა მათ და უცხადებდა „ღვთის წესებსა და რჯულს". არ მოუწონა ითრომ ეს და უთხრა: „არ არის კარგი, რასაც შენ აკეთებ. გაიტანჯებით შენც და ეს ხალხიც, შენთან რომ არის, რადგან მძიმეა შენთვის ეს საქმე. მარტო შენ ვერ აუხვალ მას". ურჩია მოსეს, გამოენახა ერში "მაგარი ხალხი, ღვთისმოშიშნი, ანგარების მოძულენი, წრფელი ხალხი და ათასისთავებად, ასისთავებად, ორმოცდაათის -

[300]

[301]

თავებად და ათისთავებად" დაეყენებინა, რათა განეხილათ წვრილმანი საქმეები, ხოლო უფრო სერიოზული და ძნელი საკითხები თავად მოსეს მოეგვარებინა, რომელიც, ითროს თქმით, უნდა ყოფილიყო "ხალხის შუამავალი ღმერთთან". „ასწავლე მათ წესები და რჯული, - ურჩია სიმამრმა, - უჩვენე გზა, რითაც უნდა იარონ და საქმეები, რაც უნდა აკეთონ". მიიღო მოსემ ეს დარიგება, რამაც ტვირთი შეუმსუბუქა და უფრო სრული წესრიგის დამყარებაშიც დაეხმარა.

გამოარჩია მოსე უფალმა და მრავალი სასწაული მოახდინა მისი ხელით. გამოარჩია, რათა სხვებისთვის ესწავლებინა, მაგრამ თავადაც არ თაკილობდა სწავლას და რჩევა-დარიგების მიღებას. ისრაელის აღიარებულმა წინამძღოლმა სიხარულით მიიღო მიდიანელი მღვდლის რჩევა და აღიარა მისი სიბრძნე.

გამოვიდნენ ისრაელიანნი რეფიდიმიდან და განაგრძეს გზა; გაჰყვნენ ღრუბლის სვეტს. მათი გზა მზით გადამწვარ ველებზე, ციცაბო მთებზე და კლდოვან ხეობებზე გადიოდა. ხშირად უკაცრიელი, ქვიშიანი უდაბნოს გადალახვისას მასიური მთები ეღობებოდათ წინ და იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ წინ სვლა შეუძლებელია. მაგრამ მიახლოებისას მთის კედელში პოულობდნენ ნაპრალებს, რომელთა მიღმაც ახალი სივრცეები იშლებოდა. შემდეგ ისინი მიჰყვებოდნენ პატარა ქვებით მოფენილ ხეობებს. რა დიდებული, შთამბეჭდავი სურათები იშლებოდა მათ თვალწინ! ასობით ფუტის სიმაღლეზე ფრიალო კლდეები აღმართულიყო და ამ თვალმიუწვდენელ კლდოვან ნაპრალებს შორის გაწოლილ ხეობაში ცოცხალ ნაკადად მიემართებოდა ისრაელიანთა მხედრობა და მიერეკებოდა თავის საქონელს. და აი, მათ თვალწინ აღიმართა საზეიმო დიდებით მოსილი სინაის მთა. მის მწვერვალზე შეჩერდა ღრუბლის სვეტი და ხალხმა გაშალა კარვები მის ძირში. დაახლოებით ერთ წელიწადს ცხოვრობდნენ აქ ისრაელიანნი. ღამით ცეცხლის სვეტი აიმედებდა მათ, რომ ღმერთი მათთან იყო და თავის ღვთიურ მფარველობას არ მოაკლებდა, ხოლო როცა იძინებდნენ, მიწას ჩუმად ეფინებოდა ზეციური მანანა.

განთიადი ოქროსფრად ღებავდა მთათა მწვერვალებს და ამ ჩაღრმავებულ, ბნელ ხეობაში შემოჭრილ მზის ბრწყინვალე სხივებს დაქანცული მგზავრები ღვთის ტახტიდან გამოსული წყალობის სხივებად აღიქვამდნენ. ორივე მხარეს ცადაწვდილი, მასიური მწვერვალები, განმარტოებული და გრანდიოზული, უსასრულო დიდებულებაზე და ძლიერებაზე მოწმობდა. და ადამიანებს წმიდა შიში და მოწიწება იპყრობდა. აქ ადამიანი იძულებული იყო ეღიარებინა საკუთარი უმეცრება და უძლურება მის წინაშე, ვისაც „აუწონია მთები სასწორზე და მთაგრეხილები - პინებზე" /ეს. 40:12/. აქ უნდა მიეღო ისრაელს ყველაზე საოცარი გამოცხადება უფლისაგან. აქ შეკრიბა უფალმა თავისი ერი, რათა გამოეცხადებინა თავისი რჯული და ჩაებეჭდა ადამიანთა გონებაში მის მოთხოვნათა სიწმიდე. ახლა ძირფესვიანი გარდაქმნა უნდა მომხდარიყო მათში - ხანგრძლივმა მონობამ და წარმართთა შორის დიდხანს ცხოვრებამ თავისი კვალი დაამჩნია მათ სულებს. უფალი ღმერთი შრომობდა იმისათვის, რომ საკუთარი არსის გაცხადებით უმაღლეს ზნეობრივ სიმაღლეზე აეყვანა თავისი რჩეული ერი.

[302]

თავი 27 - ისრაელისათვის მიცემული რჯული

გამოსვლა 19-24

მას შემდეგ, რაც ისრაელი სინაის მთის გარშემო დაბანაკდა, სულ მალე თავისთან შესახვედრად მოუხმო უფალმა მოსეს. მარტო ავიდა იგი ციცაბო, ქვიან ბილიკზე ღრუბლის სვეტისაკენ, სადაც იეჰოვა იყო დავანებული. ახლა ისრაელს განსაკუთრებული, უფრო ახლო ურთიერთობა უნდა ჰქონოდა უზენაესთან, როგორც ერს და როგორც ეკლესიას, რომელსაც ღმერთი უხელმძღვანელებდა. მოსეს ბაგეებით ბრძანა უფალმა:

"თქვენ ნახეთ, რა დავმართე ეგვიპტეს. როგორ აგიტაცეთ არწივის ფრთებით და ჩემთან მოგიყვანეთ. ამიერიდან თუ შეისმენთ ჩემს სიტყვას და დაიცავთ ჩემს აღთქმას, ჩემს საკუთრებად გამოგარჩევთ ყველა ხალხისგან, რადგან ჩემია მთელი ქვეყანა. მღვდელთა სამეფოდ და წმიდა ერად მეყოლებით".

ბანაკში დაბრუნებისთანავე შეკრიბა ისრაელიანთა უხუცესები მოსემ და გაუმეორა უფლის სიტყვები. მათ უპასუხეს: "ყველაფერს შევასრულებთ, რაც ბრძანა უფალმა". ამგვარად, მათ საზეიმოდ აღუთქვეს უფალს, რომ თავის ხელმძღვანელად ღებულობენ მას და, აქედან გამომდინარე, მის ქვეშევრდომებად აცხადებენ თავს.

კვლავ მოუხმო ისრაელის წინამძღოლს უფალმა მთაზე და ამცნო: "აჰა, გამოგეცხადები სქელ ღრუბელში, რათა მოისმინოს ერმა ჩემი ლაპარაკი შენთან, და სამუდამოდ გერწმუნოს". როცა გზაში გასაჭირი ხვდებოდათ, ისრაელიანნი ჩივილს იწყებდნენ მოსესა და აარონზე და ადანაშაულებდნენ, რომ დასაღუპავად გამოიყვანეს ეგვიპტიდან. უფალს მოსეს ავტორიტეტის ამაღლება სურდა, რათა ადამიანები მინდობოდნენ მას და იმ მცნებებს, მათთვის რომ უნდა გადაეცა.

ღმერთს უჩვეულო ვითარებაში სურდა თავისი რჯულის გამოცხადება, მისი მცნებების არსის შესაბამის საზეიმო ატმოსფეროში, რათა არასოდეს დავიწყებოდათ ისრაელიანებს, რომ ყველაფერს, რაც ღმერთის მსახურებასთანაა დაკავშირებული, მოწიწებით უნდა მოეპყრონ. უფალმა მოსეს უთხრა: "წადი ხალხში და განწმიდე ისინი დღეს და ხვალ, სამოსელი გაირეცხონ. განემზადონ ზეგისათვის, რადგან ზეგ ჩამოვა უფალი ხალხის თვალწინ სინაის მთაზე". ამ დღეებში ყველა უნდა მომზადებულიყო ღვთის წინაშე წარსადგომად. სხეულიც და ტანსაცმელიც უნდა გაესუფთავებინათ. ვინაიდან მოსეს მათ ცოდვებზე უნდა მიეთითებინა, ამიტომ მორჩილებით, მარხვითა და ლოცვით უნდა განწმედილიყვნენ ყოველგვარი უწმიდურებისაგან.

ბრძანების თანახმად, ჩატარდა შესაბამისი სამზადისი. მოსემ მთის შემოსაზღვრა დაავალა ისრაელიანთ, რათა არც ადამიანს

და არც ცხოველს არ გადაელახა იგი. ვინც მთას მიეკარებოდა, მაშინვე დაიღუპებოდა.

მესამე დღეს, დილით, გახედეს ისრაელიანებმა მთას და დაინახეს, რომ მისი მწვერვალი სქელი ღრუბლით იყო დაფარული, რომელიც უფრო მუქდებოდა, სქელდებოდა და მთის ძირისკენ ეშვებოდა, სანამ მთელი მთა რაღაც იდუმალ წყვდიადში არ ჩაიძირა. მაშინ გაისმა საყვირის მსგავსი ხმა, რომელიც ღმერთთან შესახვედრად იწვევდა ხალხს და მოსეც წინ წაუძღვა ერს მთის ძირისაკენ. დროდადრო ელვა კვეთდა სქელ ნისლს და იქ, მაღლა, მთის მწვერვალებში, საშინელი გრგვინვა და ჭექა-ქუხილი ისმოდა. "ბოლავდა მთელი სინაის მთა, რადგან უფალი იყო მასზე ჩამოსული ცეცხლის ალში; როგორც ქურას, ისე ასდიოდა კვამლი და ძლიერად ირყეოდა მთა". უფლის დიდება

[303]

[304]

მოგიზგიზე ცეცხლივით გამოჩნდა ისრაელიანთა თვალწინ. საყვირის ხმაც თანდათან გაძლიერდა. ისეთი საშინელი იყო

უფლის დიდების ხილვა, რომ ისრაელიანები შიშისგან კანკალებდნენ და ყველა პირქვე დაემხო უფლის წინაშე. "იმდენად საშინელი იყო სანახაობა, რომ მოსემაც თქვა: შეძრწუნებული ვარ და ვკანკალებ" /ებრ. 12:21/.

მაგრამ აი, გრგვინვა შეწყდა. აღარც საყვირის ხმა ისმოდა, აღარც მიწა ირყეოდა. საოცარი სიჩუმე ჩამოვარდა და... უფლის ხმა გაისმა. სქელი ნისლით დაფარულ მთაზე, წმიდა ანგელოზთა გარემოცვაში იდგა უფალი და თავის წმიდა რჯულს აცხადებდა. თავად მოსე ასე აღწერს ამ სურათს: "უფალი სინაიდან მოვიდა, სეყირიდან ამოუბრწყინდა მათ, ფარანის მთიდან ამონათდა და გამოჩნდა წმიდათა ბევრეულით. მარჯვენით რჯულის შარავანდი ჰქონდა. უყვარს ხალხები; მათი ყველა წმიდა კაცი შენს ხელშია, ტრიალებენ შენს ფეხებთან, რომ მიიღონ შენი სიტყვები" /რჯლ. 33:2,3/.

დიდი იეჰოვა გამოეცხადა ხალხს, არა როგორც მხოლოდ საშიში, დიადი მსაჯული და კანონმდებელი, არამედ, როგორც თავისი ხალხის მოსიყვარულე მფარველი: "მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი, რომელმაც გამოგიყვანეთ ეგვიპტელთა ქვეყნიდან, მონობის სახლიდან". ის, ვინც ეგვიპტიდან გამოსულთ გზას უჩვენებდა, ხიფათისაგან იფარავდა, გზა გაუხსნა ზღვაში, დაამარცხა ფარაონი და მისი ლაშქარი, ვინც დაამტკიცა, რომ ეგვიპტის ყველა ღმერთზე აღზევებული და ძლიერი ღმერთია, ახლა სინაის მთიდან უცხადებდა ხალხს თავის რჯულს.

მაშინ გამოცხადებული რჯული მხოლოდ ებრაელთათვის არ იყო განკუთვნილი. ღმერთმა გამოარჩია ისინი მისი რჯულის დამცველებად და საპატიო გუშაგებად, რათა წუთისოფლისათვის შეენახათ იგი, როგორც წმიდა მემკვიდრეობა. უფლის ათი მცნება მთელ კაცობრიობაზე ვრცელდება. ყოველ ადამიანს მისცა იგი ღმერთმა სასწავლებლად და სახელმძღვანელოდ. ათი მოკლე, ყოვლისმომცველი და სამართლიანი პრინციპი გამოხატავს ღმერთისა და მოყვასისადმი ადამიანის დამოკიდებულებას და ყოველი მათგანი სიყვარულის უდიდეს პრინციპზეა დაფუძნებული. "შეიყვარე უფალი, ღმერთი შენი, მთელი შენი გულით, მთელი შენი სულით, მთელი შენი ძალითა და მთელი შენი გონებით, და მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი" /ლუკ. 10:27; იხ. აგრეთვე რჯლ. 6:4,5; ლევ. 19:18/. დაწვრილებით ეს პრინციპები წარმოდგენილია ათ მცნებაში, მისაღებია ყველასთვის ერთად და თითოეულისათვის ცალ-ცალკე.

"არ გაიჩინოთ ჩემს გარდა სხვა ღმერთები". იეჰოვა, მარადიული, მარადცოცხა -ლი, დასაბამიდან არსებული, არა შექმნილი, არამედ თავად სიცოცხლის წყარო და მთელი სამყაროს შემოქმედი - მხოლოდ ის არის, ერთადერთი, ღირსი პატივისა და თაყვანისცემისა. მხოლოდ უზენაესი უნდა იყოს ჩვენი სიყვარულისა და მსახურების ცენტრი. ხოლო თუკი სხვა ვიღაცას ან რაღაცას უფლის ავტორიტეტზე მაღლა ვაყენებთ, ამით სიყვარულს ვპარავთ ღმერთს, არ მივაგებთ მას სათანადო მსახურებას და პატივს და ცრუ ღმერთებს ვქმნით.

"არ გაიკეთო კერპები, არც რამე ხატი იმისა, რაც არის მაღლა ცაში, დაბლა მიწაზე და წყალში მიწის ქვეშ. არ სცე თაყვანი მათ, არც ემსახურო".

მეორე მცნება კრძალავს ხატებისა და სხვა გამოსახულებების გამოყენებით ჭეშმარიტი ღმერთის თაყვანისცემას. წარმართები ამტკიცებენ, რომ ხატი მხოლოდ სიმბოლოა, რომლის მეშვეობითაც ღმერთს სცემენ თაყვანს, მაგრამ უფალმა ასეთ მსახურებას ცოდვა უწოდა. მარადცოცხალი ღმერთის მატერიალური საგნით გამოხატვის მცდელობა სწორ წარმოდგენას ვერ შეუქმნის ადამიანს მის შესახებ. იეჰოვას უსასრულო სრულყოფილებას მოწყვეტილი გონება უფრო შემოქმედების ნაყოფისაკენ იქნება მიმართული, ვიდრე შემოქმედისაკენ.

[305]

[306]

და, ვინაიდან ადამიანის შემეცნება ღმერთის შესახებ არასრულფასოვანი იქნება, იგი თავად დაიწყებს გადაგვარებას.

"მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი, შურისმგებელი ღმერთი". ღმერთის ახლო, წმიდა ურთიერთობა თავის ხალხთან სიმბოლურად ქორწინებით არის წარმოდგენილი. ვინაიდან კერპთაყვანისმცემლობა სულიერ მრუშობას წარმოადგენს, უფლის უკმაყოფილებაც ამასთან დაკავშირებით, შესაბამისად, "შურისგებადაა" წოდებული.

"რომელიც მამათა ცოდვას შვილებს მოვკითხავ, ჩემს მოძულეებს, მესამე და მეოთხე თაობაში". ბავშვები ნამდვილად იტანჯებიან მშობლების ცოდვების შედეგებით, მაგრამ ისინი არ ისჯებიან მათი დანაშაულისათვის, თუკი მათი ცოდვების მონაწილენი არ არიან. მაგრამ შვილები, ჩვეულებისამებრ, მშობლების კვალს მიჰყვებიან. მემკვიდრეობისა და პირადი მაგალითის მეშვეობით ისინი მამათა ცოდვებში მონაწილეობენ. მავნე ჩვევები, გაუკუღმართებული სურვილები, უზნეობა, ისევე, როგორც ფიზიკური სნეულება და გადაგვარება, მემკვიდრეობით გადადის მამიდან შვილზე და ასე, მესამე და მეოთხე თაობამდე. ეს საშინელი სიმართლე უნდა დაეხმაროს ადამიანებს ცოდვილი ცხოვრების მიტოვებაში.

"ათასწილ სიკეთის მზღველი ჩემს მოყვარულთათვის და ჩემი მცნებების დამმარხველთათვის". მეორე მცნებით ცრუღმერთების თაყვანისცემის აკრძალვა ჭეშმარიტი ღმერთის

თაყვანისცემას გულისხმობს. მისი მოძულენი, აღთქმისამებრ, მხოლოდ მესამე და მეოთხე თაობამდე ისჯებიან, ხოლო წყალობა მისი მცნებების შემნახველთათვის ათას თაობას მიეცემა.

"არ დაიფიცო ფუჭად უფლის, შენი ღვთის სახელი, რადგან დაუსჯელი არ გადაურჩება უფალს მისი სახელის ფუჭად მოფიცარი". ეს მცნება არათუ მხოლოდ ღმერთის სახელით ცრუ დაფიცებას კრძალავს, არამედ მასთან დაკავშირებით წარმოთქმულ ყოველგვარ არასერიოზულ, დაუფიქრებელ სიტყვას. ჩვენ შეურაცხვყოფთ ღმერთს მაშინაც, როცა საუბარში უბრალოდ წამოგვცდება მისი სახელი, მაშინაც, როცა უმნიშვნელო საქმეებში მოწმედ ვიყენებთ და მაშინაც, როცა უაზროდ, ხშირად ვიმეორებთ მის სახელს. "წმიდა და საშიშია სახელი მისი!" /ფს. 110:9/. მის დიდებაზე, სიწმიდესა და სიდიადეზე უნდა ვიფიქროთ და ვისაუბროთ, რათა შევიცნოთ მისი კეთილშობილება, მისი წმიდა სახელი კი მოწიწებითა და უდიდესი პატივისცემით უნდა წარმოვთქვათ.

"გახსოვდეს შაბათი დღე, რომ წმიდა ჰყო იგი; ექვს დღეს იმუშავე და აკეთე შენი საქმეები; მეშვიდე დღე კი უფლის, შენი ღვთის შაბათია. არა საქმე არ გააკეთოთ არც შენ, არც შენმა ვაჟმა, არც შენმა ასულმა, არც შენმა ყმამ, არც შენმა მხევალმა, არც შენმა პირუტყვმა, არც შენმა მდგმურმა, სახლში რომ გყავს. რადგან ექვს დღეში შექმნა უფალმა ცა და მიწა, ზღვა და ყველაფერი, რაც

მასშია, და მეშვიდე დღეს შეისვენა; ამიტომაც აკურთხა უფალმა შაბათი დღე და წმიდაჰყო იგი".

შაბათი აქ წარმოდგენილია, არა როგორც ახალი დადგენილება, არამედ დღე, რომელიც სამყაროს შექმნისას დაწესდა. მუდამ უნდა გვახსოვდეს ეს დღე და დავიცვათ იგი უფლის შემოქმედების ნიშნად. შაბათის მცნება ცისა და მიწის შემოქმედად გვაცნობს ღმერთს და გვასწავლის, თუ როგორ უნდა განვასხვავოთ ჭეშმარიტი ღმერთი ცრუ ღმერთებისაგან. ის, ვინც მეშვიდე დღეს წმიდად ინახავს, ამტკიცებს, რომ დიდი იეჰოვას ჭეშმარიტი თაყვანისმცემელია. ამგვარად, შაბათი მუდამ იქნება ღვთისადმი ადამიანის ერთგულების მარადიული ნიშანი. მეოთხე მცნება ერთადერთია, რომელშიც სრულადაა წარმოდგენილი კანონმდებლის სახელი და ტიტული. ეს ერთადერთი მცნებაა ათიდან, რომელიც რჯულის ავტორზე მიგვითითებს. ამრიგად, შაბათი არის რჯულზე დასმული ბეჭედი, მისი უტყუარობისა და ხელშეუხებლობის

[307]

საწინდარი.

კვირაში ექვსი დღე მისცა უფალმა ადამიანს თავისი საქმეების გასაკეთებლად. შაბათს კი არ კრძალავს მხოლოდ მოწყალებისა და გადაუდებელი დახმარების საქმეებს. ავადმყოფთ და გაჭირვებულთ ყოველთვის სჭირდებათ მოვლა და ყურადღება, მაგრამ ზედმეტი საქმის კეთებას უნდა ვერიდოთ. "თუ შეაბრუნებ შენს ფეხს შაბათისგან, რომ დათრგუნო სურვილი ჩემს წმიდა დღეს, შერაცხავ შაბათს სანეტაროდ და უფლის წმიდად მის განსადიდებლად, და პატივს მიაგებ მას, არ მოიქცევი შენი ჩვეულებით, სურვილს არ აისრულებ..." /ეს. 58:13/. მაგრამ აკრძალვა ამით როდი მთავრდება: "...და ფუჭსიტყვაობას არ მოჰყვები", - ის, ვინც შაბათ დღეს თავისი სამსახურის საქმეებზე მსჯელობს ან სხვადასხვა გეგმებს სახავს, უფლის წინაშე ისეთივე დამნაშავეა, როგორც ის, ვინც ამ დღეს ჩვეულებრივ შრომობდა. შაბათის სიწმიდის შესანარჩუნებლად ჩვენი ფიქრები რაიმე მიწიერზე არ უნდა შევაჩეროთ. ეს მცნება ეხება ყველას, ვინც ჩვენს ოჯახში იმყოფება. შაბათის გასრულებამდე ყველამ უნდა მიატოვოს ჩვეულებრივი, ამქვეყნიური საქმეები. ყველა უნდა გაერთიანდეს უფლისადმი მსახურების სურვილით და ადიდოს ღმერთი ამ წმიდა დღეს.

"პატივი ეცი მამას და დედას, რათა დღეგრძელი იყო მიწაზე, რომელიც უფალს, შენს ღმერთს მოუცია შენთვის". მშობლები განსაკუთრებულ, ყველასაგან განსხვავებულ სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებენ. უფალმა მათ შვილებზე ზრუნვა და მათი აღზრდისათვის პასუხისმგებლობა დააკისრა. თავად ღმერთის დავალებით, ბავშვს თავისი სიცოცხლის დასაწყისში,

ადრეულ ასაკში, მშობლებმა ღმერთის მაგივრობა უნდა გაუწიონ. და მშობლის კანონიერი ავტორიტეტის უარმყოფელი თვით ღმერთის ავტორიტეტის უარმყოფელია. მეხუთე მცნება მოითხოვს შვილებისგან არა მხოლოდ მშობლების პატივისცემას და მორჩილებას, არამედ სიყვარულსა და თანაგრძნობას, მზრუნველობას და მათი რეპუტაციის გაფრთხილებას; ხანდაზმულ ასაკში კი - დახმარებას და ნუგეშისცემას. ამ მცნების დაცვა გულისხმობს აგრეთვე პატივისცემას მსახურთა, ხელისუფალთა და ყველა იმ პიროვნების მიმართ, ვისაც ღმერთმა უფლებამოსილება მიანიჭა.

მოციქული ამბობს: "ეს არის პირველი მცნება აღთქმით" /ეფეს. 6:2/. აღთქმული მიწის — ქანაანის მიღების მომლოდინე ისრაელიანთათვის ამ მცნების დაცვა აღთქმულ ქვეყანაში ხანგრძლივი ცხოვრების საწინდარი იყო, მაგრამ მას უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს და უფლის მთელს ისრაელზე ვრცელდება. ამ მცნების შემსრულებელი, უფლის აღთქმისამებრ, დაიმკვიდრებს საუკუნო სიცოცხლეს ცოდვისაგან განწმედილ დედამიწაზე.

"არა კლა". ყოველი უსამართლო ქმედება, რომელიც ადამიანის სიცოცხლეს ხელყოფს; შურისძიებისა და სიძულვილის სული, ნებისმიერი ვნებებისაკენ სწრაფვა, რომელსაც სხვებისთვის შეურაცხმყოფელი, ზიანის მომტანი მოქმედება მოსდევს ან ბოროტ სურვილებს აღძრავს /ვინაიდან "ვისაც ძმა სძულს,

მკვლელია"/; ადამიანთა გაჭირვებისა და საჭიროებებისადმი გულგრილი დამოკიდებულება, ყოველგვარი შემწყნარებლობა ან, პირიქით, ზედმეტი აკრძალვები საკუთარი თავის მიმართ; ჯანმრთელობისათვის ზიანის მომტანი ყოველგვარი ზედმეტი დატვირთვა და მძიმე შრომა - ყოველივე ეს, მეტ-ნაკლებად, მეექვსე მცნების დარღვევას წარმოადგენს.

"არ იმრუშო". ეს მცნება კრძალავს არა მხოლოდ უზნეო და ბინძურ საქციელს, არამედ უწმიდურ აზრებსა და სურვილებს ან სხვა მოქმედებას, რომელიც ყოველივე ამას იწვევს. ადამიანისგან ღმერთი ითხოვს არა მხოლოდ წმიდა ცხოვრების გარეგნულ ფორმას, არამედ გულის, გრძნობებისა და დაფარულ ზრახვათა სიწმიდეს. ქრისტე ასწავლიდა ადამიანებს, უფრო ღრმად შეეცნოთ ადამიანის მოვალეობა, უფლის რჯულთან მისი დამოკიდებულება და

[308]

ამბობდა, რომ უწმიდური აზრი და სურვილი ისეთივე დანაშაულია, როგორც დანაშაულებრივი საქციელი.

"არ მოიპარო". ეს აკრძალვა გულისხმობს როგორც ხილულ, ასევე დაფარულ ცოდვებს. მერვე მცნება კიცხავს ადამიანების

მოტაცებას, მონებით ვაჭრობასა და დამპყრობლურ ომებს; კიცხავს ქურდობასა და ყაჩაღობას. იგი ითხოვს უცილობელ პატიოსნებას ყოველგვარ ცხოვრებისეულ წვრილმან საქმეში; კრძალავს თვალთმაქცობას სავაჭრო საქმეებში და ითხოვს სამართლიან ანგარიშსწორებას ვალებთან ან ხელფასის გაცემასთან დაკავშირებით. ეს მცნება გვასწავლის, რომ ყოველგვარი სარგებლის მიღების მცდელობა ვიღაცის გამოუცდელობის, სისუსტის ან უბედურების ხარჯზე, ზეციურ წიგნებში სიცრუედ აღინიშნება.

"არ გამოხვიდე ცრუ მოწმედ შენი თვისტომის წინააღმდეგ".

ნებისმიერ სიცრუეს, მოყვასის მოტყუების მცდელობას ან განზრახვას კრძალავს ეს მცნება. შეიძლება წარმატებით იცრუო არა მხოლოდ სიტყვებით, არამედ წამიერი შემოხედვით, ჟესტით და თვალთა გამომეტყველებითაც. საქმის არსის ყოველი გაზვიადება, ცრუ შთაბეჭდილების მოსახდენად განზრახული ქარაგმა, ცილისწამება ან ფაქტების არასწორად აღწერა - სიცრუეს წარმოადგენს. ეს პრინციპი გვიკრძალავს ჩვენი მოყვასის რეპუტაციის შელახვის ყოველგვარ მცდელობას უსაფუძვლო ეჭვებით, ჭეშმარიტების დამახინჯებით, ბოროტი სიტყვით ან ჭორებით. სიმართლის განზრახ მიჩქმალვაც კი, სხვებისთვის ზიანის მომტანი, მეცხრე მცნების დარღვევად ითვლება.

"არ ინდომო შენი თვისტომის სახლი; არ ინდომო შენი თვისტომის ცოლი, არც მისი ყმა, არც მისი მხევალი, არც მისი ხარი, არც მისი სახედარი, არც არაფერი მისი ქონებიდან".

მეათე მცნება სასიკვდილო დარტყმას აყენებს ყოველგვარ ცოდვას, მიგვითითებს ეგოისტურ სურვილებზე, რაც ცოდვის წყაროს წარმოადგენს. ის, ვინც უფლის მცნებებს ემორჩილება და გულშიც კი არ იტოვებს სხვისი ქონების დასაკუთრების დანაშაულებრივ სურვილს, არ ჩაიდენს მოყვასის მიმართ უწმიდურ საქციელს.

ასეთია ათი წმიდა პრინციპი უფლის რჯულისა, რომელიც უფალმა გრგვინვასა და ცეცხლში წარმოთქვა და რომელმაც ასე საოცრად გამოხატა უდიდესი კანონმდებლის ძალა და სიდიადე. უფლის მცნებების წარმოთქმა იმიტომ მოხდა მისი ასეთი ძალისა და დიდების გამოვლინებით, რომ ხალხს არასოდეს დავიწყებოდა იგი და ღრმა მოწიწება ჰქონოდა სამართლიანი პრინციპების, ცისა და მიწის შემქმნელის მიმართ.

საშინელმა შიშმა შეიპყრო ისრაელიანები. უფლის სიტყვის საოცარ ძალას ვეღარ უძლებდნენ ებრაელთა ცოდვილი სულები. ვინაიდან, როცა თავად, საკუთარი თვალით შეხედეს ჭეშმარიტების უდიდეს საზომს, ისე, როგორც არასოდეს, ჩასწვდნენ ცოდვის საშინელებას და საკუთარ დანაშაულს ღმერთის წინაშე. შიშითა და ღრმა მოწიწებით უკუიქცნენ ისინი

მთიდან. უამრავმა ხალხმა შეღაღადა მოსეს: "შენ გველაპარაკე და მოგისმენთ; ოღონდ ღმერთი ნუ დაგველაპარაკება, თორემ დავიხოცებით". მაგრამ ისრაელის წინამძღოლმა განაცხადა: "ნუ გეშინიათ, თქვენს გამოსაცდელად მოვიდა ღმერთი, რომ მისი შიში გქონდეთ და არ შესცოდოთ". მოშორებით მდგომი ხალხი შიშით შესცქეროდა ყველაფერს, რაც იქ ხდებოდა; "ხოლო მოსე მიადგა ნისლს, სადაც ღმერთი იყო".

ხანგრძლივი მონობითა და წარმართობით დაბრმავებული და დათრგუნვილი ებრაელი ხალხი მზად არ იყო, ბოლომდე შეეცნო უფლის ათი მცნების ღრმა პრინციპები. ამ მცნებათა მოთხოვნების უფრო სრულად შეცნობისათვის და ცხოვრებაში ამ პრინციპებით ხელმძღვანელობისათვის ხალხს მიეცა დამატებითი

[309]

[310]

დადგენილებანი, რომლებიც განმარტავდნენ მათ. ამ კანონებს "სამართალნი" ეწოდა: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მათში უსასრულო სიბრძნე და სამართლიანობა იყო ჩადებული და,

მეორე, იმიტომ, რომ მსაჯულებს სწორედ ამ კანონებით უნდა განესაჯა ხალხი. ათი მცნებისაგან განსხვავებით, ეს დადგენილებები გადაეცა მოსეს, რომელსაც, თავის მხრივ, ხალხისთვის უნდა ეუწყებინა ისინი.

პირველი ამ კანონებიდან ეხებოდა მონებს. ზოგჯერ, ძველ დროში, მსაჯულები დამნაშავეებს მონებად ყიდდნენ; ზოგჯერ მევალეები ყიდდნენ თავიანთ მოვალეებს. სიღარიბე კი აიძულებდა ადამიანებს, გაეყიდათ ბავშვები ან საკუთარი თავი. მაგრამ ებრაელი არ უნდა დარჩენილიყო მონად მთელი სიცოცხლე. მას ექვს წელს უნდა ემუშავა, მეშვიდე წელს კი თავისუფლება ეძლეოდა. ადამიანთა გატაცება, განზრახ მკვლელობა, მშობლის ავტორიტეტის წინააღმდეგ წასვლა სიკვდილით ისჯებოდა. ისრაელიანებს შეეძლოთ, მონად არაებრაელი ჰყოლოდათ, მგრამ მათი სიცოცხლე და უფლებებიც მკაცრად იყო დაცული. მონის მკვლელი სათანადოდ ისჯებოდა: თუკი ბატონი ყმას რაიმე ზიანს მიაყენებდა /ერთი კბილის დაკარგვის შემთხვევაშიც კი/, ყმა თავისუფლებას ღებულობდა.

ებრაელები თავად იყვნენ წარსულში მონები და ახლა, როცა საკუთარი ყმები ჰყავდათ, არ უნდა ყოფილიყვნენ მათ მიმართ სასტიკნი და ზედმეტად მომთხოვნნი, რაც თავად ჰქონდათ განცდილი ეგვიპტელ ზედამხედველთაგან. მძიმე წარსულში განცდილის გახსენებას მათ გულში სხვებისადმი თანაგრძნობა და სიკეთე უნდა გამოეწვია, რათა სხვებისადმი ისეთივე

დამოკიდებულება ჰქონოდათ, როგორსაც საკუთარი თავისადმი ისურვებდნენ.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ქვრივებისა და ობლების უფლებების დაცვას, მათი უმწეო მდგომარეობის შემსუბუქებას. "თუ დაჩაგრავ, მე შემომჩივლებენ და შევისმენ მათ ჩივილს. რისხვით ავინთები და მახვილით მოგსრავთ; ცოლები დაგიქვრივდებათ და შვილები დაგიობლდებათ". ისრაელიანთა შორის მცხოვრები სხვა ერების წარმომადგენლებიც დაცული იყვნენ შევიწროებისა და უსამართლობისაგან: "მდგმურს ნუ შეავიწროებ; თავად იცით მდგმურის ყოფა, რადგან მდგმურები იყავით ეგვიპტელთა ტყვეობაში".

აკრძალული იყო ღარიბ-ღატაკთაგან სესხისათვის სარგებლის აღება. ნათხოვარი ტანსაცმელი ან საბანი ღარიბისათვის მზის ჩასვლამდე უნდა დაებრუნებინათ. ქურდს ორმაგად უნდა დაებრუნებინა მოპარული. რჯული პატივისცემას გამოხატავდა მსაჯულთა და ხელისუფალთა მიმართ, კიცხავდა მსაჯულთ არაკეთილსინდისიერი განსჯისათვის ან ქრთამის აღებისათვის. ცილისწამებასა და ბოროტ ენებს კრძალავდა რჯული და პირად მტერთან ურთიერთობაში წინდახედულების გამოჩენასაც კი ითვალისწინებდა.

კვლავ მიუთითეს ხალხს თავის წმიდა მოვალეობაზე შაბათის წმიდად შენახვასთან დაკავშირებით. დადგენილ იქნა რამდენიმე დღესასწაული წელიწადში, როცა ყველა მამაკაცი უნდა გამოცხადებულიყო უფლის წინაშე, გაეღო სამადლობელი მსხვერპლი და მოეტანა ყოველი პირველი ნაყოფი. ყველა ამ დადგენილების მიზანი ნათელი იყო: არა დესპოტური ხელმწიფების გამოვლინება, არამედ ისრაელის კეთილდღეობისათვის მსახურება. "წმიდა ერი უნდა იყოთ ჩემთვის", - წმიდა ღმერთის აღიარების ღირსნი.

მოსეს დაევალა, ჩაეწერა ეს რჯულდებანი და საგულდაგულოდ შეენახა ათ მცნებასთან ერთად, როგორც მათი ახსნა-განმარტება და ერის კანონმდებლობის საფუძველი. ასე ჩამოყალიბდა ისრაელისადმი მიცემული ღვთიური აღთქმის ასრულების პირობები.

და გაიგონეს მათ იეჰოვას სიტყვები: "აჰა, წაგიმძღვარებ ანგელოზს, რომ გიფარავდეს გზაში და მიგიყვანოს იმ ადგილას, რომელიც შენთვის გავამზადე. უფრთხილდი, ისმინე მისი სიტყვა, ნუ გააჯავრებ. არ გაპატიებთ შეცოდებას,

[311]

რადგან მასშია ჩემი სახელი. თუ დაუჯერებ და ყველაფერს აღასრულებ, რასაც გეუბნები, მტრად მოვეკიდები შენს მტრებს და შევავიწროებ შენს შემავიწროებლებს". უდაბნოში ისრაელის მთელი მოგზაურობისას ქრისტე მიუძღოდა მათ წინ ღრუბლისა და ცეცხლის სვეტში. ის, ვინც სიმბოლოებში წარმოდგენილი იყო როგორც მომავალი მხსნელი, უკვე მათ შორის იმყოფებოდა. სწორედ მან აუწყა მოსეს ეს მცნებები. სწორედ იგი იყო ერთადერთი წყარო მათი კურთხევისა.

ჩამოვიდა მოსე მთიდან და "შეატყობინა ხალხს უფლის ნათქვამი, და ყველა სჯულდება; ერთხმად უპასუხა ხალხმა და უთხრა: ყველაფერს შევასრულებთ, რაც უბძანებია უფალს". მორჩილების ყველა ეს აღთქმა უფლის სიტყვებთან ერთად წიგნში ჩაწერა მოსემ.

ამას აღთქმის განმტკიცება მოჰყვა. სამსხვერპლო აღმართეს მთის ძირას "და თორმეტი სვეტი ისრაელის თორმეტი შტოს მიხედვით" აღთქმის მიღების დასამოწმებლად. შემდეგ კი ღვთისმსახურებისათვის არჩეულმა ყმაწვილმა კაცებმა მსხვერპლი შესწირეს უფალს.

აღსავლენის სისხლი სამსხვერპლოს ასხურა მოსემ, შემდეგ "აიღო აღთქმის წიგნი და წაუკითხა ხალხს". ერთხელ კიდევ საზეიმოდ იქნა წარმოთქმული აღთქმის პირობები და ხალხს კვლავ მიეცა მათი მიღების ან უარყოფის თავისუფლება. ადრეც

აღუთქვეს ისრაელიანებმა ღმერთს მორჩილება, მაგრამ ახლა უფრო დაწვრილებით განემარტათ მთაზე წარმოთქმული რჯული, რათა ღრმად ჩასწვდომოდნენ აღთქმის არსს. და კვლავ ერთხმად განაცხადა ხალხმა: "ყველაფერს აღვასრულებთ და შევისმენთ, რაც უბრძანებია უფალს". "ვინაიდან მოსემ, როდესაც წარმოთქვა მთელი ხალხის წინაშე ყველა მცნება რჯულისამებრ, აიღო ზვარაკთა და ვაცთა სისხლი... და აპკურა როგორც წიგნს, ისე მთელ ხალხს და თქვა: ესაა სისხლი აღთქმისა, რომელიც ღმერთმა აღგითქვათ თქვენ" /ებრ. 9:19,20/.

ახლა კი რჩეულ ხალხზე იეჰოვას, როგორც მათი მეფის, მმართველობის საბოლოოდ დამტკიცება იყო საჭირო. მოსეს ებრძანა: "ადით უფალთან შენ, აარონი, ნადაბი, აბიჰუ და ისრაელის სამოცდაათი უხუცესი, და შორიდან ეცით თაყვანი. მხოლოდ მოსე მიუახლოვდეს უფალს..." იმ დროს, როცა ხალხი მთის ძირას სცემდა თაყვანს ღმერთს, ეს რჩეული კაცები მთაზე ავიდნენ. ეს სამოცდაათი უხუცესი ისრაელის ქვეყნის მმართველობაში უნდა დახმარებოდა მოსეს; ღმერთმა გარდმოავლინა მათზე თავისი სული და საკუთარი ძლიერებისა და დიდების ხილვის ღირსად სცნო ისინი. "იხილეს მათ ისრაელის ღმერთი; მის ფერხთით იყო რაღაც მსგავსი საფირონის ქვაფენილისა, სუფთა, როგორც თავად ზეცა". თავად ღმერთი კი არ უხილავთ მათ, არამედ მისი სუფევის დიდება. აქამდე არ შეეძლოთ, ამ სანახაობისათვის ეცქირათ, მაგრამ ღვთიურმა ძალამ მონანიების სურვილი მისცა მათ; იხილეს

უფლის დიდება, სიწმიდე და წყალობა და ბოლოს, შეძლეს, მიახლოებოდნენ მათი ფიქრისა და განსჯის მუდმივ საგანს.

ახლა მოსესა და მის თანამსახურს, იესოს, უხმო უფალმა მთაზე თავისთან შესახვედრად. და რადგან ისინი განსაზღვრული დროით უნდა მოშორებოდნენ ბანაკს, მოსემ თავის ნაცვლად ისრაელიანთა ხელმძღვანელად აარონი და ხური დატოვა, რომელთაც უხუცესები უნდა დახმარებოდნენ. "ავიდა მოსე მთაზე და დაფარა ღრუბელმა მთა. მოეფინა უფლის დიდება სინაის მთას". ექვსი დღის განმავლობაში ფარავდა ღრუბელი მთას მასზე უფლის ყოფნის განსაკუთრებულ ნიშნად, მაგრამ მთელი ამ დროის მანძილზე არ განუცხადებია მას თავისი ნება. მოსე მოთმინებით ელოდა, თუ როდის მოიხმობდა უფალი ღმერთი. მას ებრძანა: "ამოდი ჩემთან მთაზე და აქ იყავი". ეს მისი

[312]

[313]

მოთმინებისა და მორჩილების გამოცდა იყო. არ დაღლილა მოსე ლოდინით და არც უფლის მონიშნული ადგილი მიუტოვებია.

ლოდინის ეს დღეები მისი მომზადებისა და თვითგამორკვევის დრო იყო. ღმერთის ამ საყვარელ მსახურსაც კი არ შეეძლო, ერთბაშად მიახლოებოდა უზენაესს და გაეძლო მისი დიდებისათვის. შემოქმედის წინაშე უშუალოდ წარდგომამდე ექვსი დღის განმავლობაში უნდა მომზადებულიყო: ეფიქრა, ელოცა და გამოეკვლია საკუთარი გული.

მეშვიდე დღეს, შაბათს, მოუწოდა უფალმა ღრუბლიდან. ძირს დაიწია სქელმა ღრუბელმა მთელი ისრაელის თვალწინ და გამოჩნდა უფლის დიდება მოგიზგიზე ცეცხლივით. "შევიდა მოსე ღრუბელში და ავიდა მთაზე; ორმოცი დღე და ორმოცი ღამე იყო მოსე მთაზე" იმ ექვსი მოსამზადებელი დღის გარდა. ექვსი დღის განმავლობაში იესო მოსეს გვერდით იყო, მასთან ერთად ჭამდა ზეციურ მანანას და სვამდა მთიდან გამოსული წყაროდან. მაგრამ იესო არ შევიდა მოსესთან ერთად ღრუბელში, არამედ დაელოდა მის დაბრუნებას, ჭამდა და სვამდა, მოსე კი მთელი ორმოცი დღის განმავლობაში მარხულობდა.

მთაზე ყოფნისას მიიღო მოსემ უფლისაგან მითითება საწმიდრის აგების შესახებ, რომელშიც განსაკუთრებული ძალით გამოავლენდა უფალი თავის დიდებას. "გამიკეთონ საწმიდარი, რომ დავივანო მათ შორის" /გამ. 25:8/, - ბრძანა უფალმა. მესამედ გაისმა ბრძანება შაბათის წმიდად შენახვის შესახებ. "ეს იყოს სამარადისო ნიშნად ჩემსა და ისრაელიანებს შორის", - თქვა უფალმა. "იმის საცოდნელად, რომ მე ვარ უფალი, თქვენი განმწმედელი". "მისი შემბღალავი უნდა მოკვდეს;

შაბათობით მოსაქმე უნდა მოიკვეთოს თავისი ხალხიდან" /გამ. 31:17,13-14/. ასევე მიეცა მითითება ღვთის მსახურებისათვის საწმიდრის დაუყოვნებლივ აგების შესახებ. ვინაიდან ეს მშენებლობა უფლის სახელის განდიდებისათვის უნდა წარმართულიყო და ხალხსაც დიდად სჭირდებოდა თაყვანისცემის ადგილი, ხალხს შეეძლო, შეცდომით ეფიქრა, რომ მსგავსი სამუშაო შაბათ დღეს უფლის რჯულის დარღვევად არ ჩაითვლებოდა. ღვთისათვის წმიდა, მეტად საჭირო, გადაუდებელი საქმის გაკეთებაც კი ვერ გაამართლებს მისი წმიდა შაბათის სიმშვიდის დარღვევას.

ამიერიდან თავის რჩეულ ხალხთან იქნება მუდამ მათი მეფე. "დავივანებ ისრაელიანთა შორის და ღმერთი ვიქნები მათთვის". "და განიწმიდება ჩემი დიდებით ეს ადგილი" /გამ. 29:46, 44/, - გამოუცხადა უფალმა მოსეს. ღვთიური ძალაუფლებისა და უზენაესის ნების ხორცშესხმის სიმბოლოდ გადაეცა მოსეს ქვის ორ ფიქალზე უფლის ხელით ამოკვეთილი ათი მცნება, რომელნიც საწმიდარში უნდა მოეთავსებინა, საწმიდარი კი მთელი ერის ღვთისმსახურების ხილული ცენტრი უნდა გამხდარიყო.

ტყვეობიდან გათავისუფლებული ისრაელი ახლა ყველა ხალხზე აღზევდა, რათა მეფეთა მეფის განსაკუთრებულ საგანძურად ქცეულიყო. მთელი დედამიწის მკვიდრთაგან გამოარჩია ღმერთმა ისრაელიანნი, რომელთაც თავისი წმიდა

ჭეშმარიტებები ანდო. თავისი რჯულის შემნახველად აქცია ეს ერი, რათა კა-ცობრიობას შეეცნო ღმერთი. წყვდიადში ჩაძირულ წუთისოფელს უნდა ეხილა ზეციური ნათელი და ყველა ერს მთელი დედამიწის ზურგზე უნდა ესმინა მოწოდება, მიეტოვებინა კერპთაყვანისმცემლობა და ცოცხალი ღმერთისაკენ მოქცეულიყო. ისრაელიანნი რომ თავისი მოწოდების ერთგულნი დარჩენილიყვნენ, უძლიერეს ერად იქცეოდნენ ამ წუთისოფელში. უფალი იქნებოდა მათი დამ-ცველი და განდიდდებოდა ისრაელი ყველა ერზედ. მათი მეშვეობით გაუცხადებდა უფალი თავის ნათელ ჭეშმარიტებას ქვეყნიერებას, ხოლო თავად ეს ერი, უზენაესის წმიდა სიბრძნის შესმენის შემთხვევაში, ღვთისმსახურების უმაღლეს მწვერვალებს მიაღწევდა სხვადასხვა ფორმის კერპთაყვანისმცემლობის ფონზე.

[314]

თავი 28 - კერპთაყვანისმცემლობა სინაის მთასთან

გამოსვლა 32-34

მოსეს გარეშე დარჩენილ ისრაელიანებს მოლოდინისა და გაურკვევლობის დღეები დაუდგათ. ხალხმა იცოდა, რომ მათი წინამძღოლი იესო ნავეს ძესთან ერთად მთაზე ავიდა და სქელ ღრუბელში გაუჩინარდა; ახლა ამ ღრუბელს მთის მწვერვალი დაეფარა, რომელსაც, ღმერთის იქ დავანების ნიშნად, დროდადრო ელვა ანათებდა. მოუთმენლად ელოდა ხალხი მოსეს დაბრუნებას. ეგვიპტის მონობაში მყოფი ისრაელიანნი მიჩვეულნი იყვნენ, რომ ღვთაებას რეალური სახე ჰქონდა და ახლა ძლივს სჯეროდათ უხილავი ღმერთის არსებობისა, მაგრამ მოსეს წყალობით ინარჩუნებდნენ ამ რწმენას. ახლა კი მოსე არ იყო მათ გვერდით. გადიოდა დღეები, ის კი არ ჩანდა. და თუმცა ღრუბელი კვლავინდებურად მთაზე იყო დავანებული, ბევრს ეჩვენებოდა, რომ წინამძღოლმა დატოვა თავისი ხალხი ან ღვთიურმა ცეცხლმა შთანთქა იგი.

მოსეს მოლოდინში ისრაელიანთ შეეძლოთ, ეფიქრათ და ემსჯელათ უკვე მოსმენილ რჯულზე და შინაგანად მომზადებულიყვნენ ღვთიური ნების შემდგომი გამოცხადებისათვის, მაგრამ არ მოისურვეს ამ საქმეზე დროის დახარჯვა. მათ რომ გულწრფელად მოესურვებინათ ღვთიურ მოთხოვნებში უფრო ღრმად ჩახედვა და მორჩილება რომ გამოეჩინათ, ცდუნებას თავიდან აიცილებდნენ. მაგრამ ვერ გამოიყენეს ეს შესაძლებლობა და მალე თავი იჩინა უზრუნველობამ, უყურადღებობამ და აღვირახსნილობამ; მით უმეტეს, რომ მათ შორის ბევრი უცხოტომელი იყო. ისინი მოუთმენლად ელოდნენ მომენტს, როცა კვლავ გაუდგებოდნენ გზას აღთქმული მიწისაკენ, სადაც ღვარად მოედინება რძე და

თაფლი. მაგრამ დაავიწყდათ, რომ ამ მდიდარ მიწას იმ პირობით მიიღებდნენ, თუკი ღვთის სიტყვისადმი მორჩილებას გამოიჩენდნენ. ზოგმა ეგვიპტეში დაბრუნების სურვილიც კი გამოთქვა, მაგრამ, როგორიც არ უნდა ყოფილიყო მათი გადაწყვეტილება - წინ, ქანაანისკენ წასვლა თუ უკან, ეგვიპტეში დაბრუნება - ხალხმა გადაწყვეტა, აღარ დალოდებოდა მოსეს.

წინამძღოლის გარეშე დარჩენილნი უმწეობამ მოიცვა და ისინი კვლავ ძველ ცრურწმენას დაუბრუნდნენ. განდგომილების მთავარი დამწყებნი სწორედ ის უცხოტომელნი იყვნენ, რომლებიც მათში ყოველთვის უკმაყოფილებისა და აღშფოთების თესლს თესავდნენ. სხვა ღმერთების გარდა ეგვიპტელთა თაყვანისცემის საგანი იყო ხარი ან ხბო. და აი, ამ წარმართულ მსახურებას მიჩვეულმა ხალხმა დაამზადა ხბო, რათა თაყვანი ეცა. ხალხს სურდა, ეხილა გამოსახულება, რომელიც ღმერთს განასახიერებდა და მოსეს ნაცვლად გაამხნევებ -და. უფალმა არ დაუტოვა ხალხს რაიმე საკუთარი ხატება და აუკრძალა მისი გამოსახულების შექმნა. სასწაულებს, რომელნიც მან ეგვიპტეში და მეწამულ ზღვასთან მოახდინა, უნდა განემტკიცებინა რწმენა მის მიმართ, როგორც ისრაელის ყოვლისშემძლე დამცველის, უხილავი, ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთის მიმართ. ხოლო ხალხის სურვილი, ჰქონოდა მისი მათთან ყოფნის რაიმე ხილული მტკიცება, დაკმაყოფილებულ იქნა ღრუბლისა და ცეცხლის სვეტების გამოჩენით, რომელიც წინ უძღოდა ისრაელიანებს და, აგრეთვე, სინაის მთაზე მისი დიდების ხილვით. და, თუმცა კვლავინდებურად იდგა ღრუბელი მთაზე, ისინი მაინც დაუბრუნდნენ

კერპთაყვანისმცემლობის ეგვიპტურ ფორმას და უხილავი ღმერთის დიდება ხბოს ხატებაში გამოსახეს.

მოსემ თავის ნაცვლად ისრაელიანთა მსაჯულად აარონი დატოვა და აი, უზარმაზარი ბრბო გარს შემოერტყა მის კარავს და მოითხოვა: „ადექ,

[315]

[316]

გაგვიკეთე ჩვენ ღმერთი, რომელიც ჩვენი წინამძღოლი იქნება, რადგან იმ კაცს, მოსეს, რომელმაც ამოგვიყვანა ჩვენ ეგვიპტის ქვეყნიდან, არ ვიცით, რა შეემთხვა" /გამ. 32:1/. როგორც ისინი ამბობდნენ, ღრუბელი, რომელიც აქამდე გზას უჩვენებდათ, ახლა იდგა და ადგილიდან არ იძვროდა. ამიტომ მათ სჭირდებოდათ კერპი, რომელსაც წინ წაიმძღვარებდნენ ეგვიპტეში დაბრუნების შემთხვევაში, რათა ეგვიპტელთა ღმერთის პატივისცემით კვლავ მადლი ეპოვათ მათ თვალში.

ამ მეტად რთულ ვითარებაში საჭირო იყო კაცი - მტკიცე, ურყევი, მამაცი, რომელიც ადამიანთა მისდამი

კეთილგანწყობაზე, საკუთარ უსაფრთხოებასა და თვით სიცოცხლეზე მაღლაც კი ღმერთის ავტორიტეტს დააყენებდა. მაგრამ ისრაელის ამ წინამძღოლს ასეთი თვისებები არ გააჩნდა. მეტად სუსტი აღმოჩნდა აარონის შეგონება; ასეთ გადამწყვეტ ვითარებაში მისმა გაუბედაობამ და ყოყმანმა უფრო გაათავხედა ისრაელიანნი. ყვირილი და ხმაური გაძლიერდა. მხოლოდ მცირე ნაწილმა შეინარჩუნა ღვთისადმი ერთგულება, უმრავლესობა კი განუდგა მას. უმიზეზო, ბრმა მრისხანებამ მოიცვა თითქმის მთელი ბანაკი. რამოდენიმე კაცი, რომელმაც ამ კერპს კერპი უწოდა და არა ღმერთი, აღელვებულმა, უმართავმა ბრბომ სიცოცხლეს გამოასალმა.

შეშინდა აარონიც. და უფლის ავტორიტეტის დაცვის ნაცვლად ხალხის ნებას დაჰყვა. ბრძანება გასცა აარონმა, შეეკრიბათ და მასთან მოეტანათ ოქროს სამკაულები. სადღაც, გულის სიღრმეში კი იმედი ჰქონდა, რომ ხალხი თავისი სიამაყის გამო არ გაიღებდა ასეთ მსხვერპლს. მაგრამ სწრაფად შეკრიბეს ისრაელიანებმა ოქროს სამკაულები, რომლისგანაც აარონმა ოქროს ხბოს კერპი ჩამოასხა, ეგვიპტელთა ღმერთების მსგავსი. და ხალხმაც ხმამაღლა გამოაცხადა: „ესაა ღმერთი შენი, ისრაელო, რომელმაც ამოგიყვანა შენ ეგვიპტის ქვეყნიდან!" და აარონმაც სულმდაბლობა გამოიჩინა, როდესაც უფლის ასეთი შეურაცხყოფის უფლება მისცა ხალხს. უფრო მეტიც: დაინახა რა, თუ როგორ სიხარულით მიიღეს ეს ოქროს კერპი, „სამსხვერპლო ააგო მის წინ" და გამოაცხადა: „საუფლო დღესასწაულია ხვალ!" მალე მთელ ბანაკს ეუწყა მისი ეს სიტყვები. „მეორე დღეს,

დილაადრიან ადგნენ და შესწირეს აღსავლენი და მიიტანეს სამადლობელი მსხვერპლი. დასხდა ხალხი საჭმელად და სასმელად. მერე ადგნენ და ცეკვა-თამაში გამართეს". საუფლო დღესასწაულის საბაბით ღორმუცელობასა და თავაშვებულ ღრეობას მიეცნენ.

რა ხშირად გვხვდება დღესაც ღვთისმოსაობის სამოსელში გახვეული აღვირახსნილობა! ძველი ისრაელის მსგავსად, დღესაც დიდად აკმაყოფილებთ ადამიანებს რელიგია, რომელიც ღვთისმსახურების წესების აღსრულებისას მათ თავისი ეგოისტური სურვილებისა და გრძნობების დაკმაყოფილების ნებას რთავს. ახლაც ბლომად არიან სუსტი ნებისყოფის მქონე აარონები, რომელთაც ეკლესიის ხელმძღვანელობა აბარიათ, მაგრამ მხარს უბამენ ადამიანთა უღირს სურვილებს, რითაც ცოდვისკენ უბიძგებენ მათ.

მხოლოდ რამოდენიმე დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ებრაელებმა საზეიმო აღთქმა დაუდეს უფალს, რომ მუდამ მისი მორჩილნი იქნებოდნენ. შიშით ძრწოდნენ ისინი მაშინ, როცა იქ, სინაის მთის ძირას მდგარნი, უფლის ხმას უსმენდნენ: „არ გაიჩინოთ ჩემს გარდა სხვა ღმერთები"; მთელი ბანაკი ჯერ კიდევ ხედავდა უფლის დიდებას, სინაის მთაზე დავანებულს, მაგრამ ზურგი აქციეს მას და სხვა ღმერთები მოითხოვეს. „გააკეთეს ხბო ხორებთან და თაყვანი სცეს კერპებს. და გაცვალეს თავიანთი დიდება ბალახის მძოველ ხარის გამოსახულებაში" /ფს.

105:19,20/. განა არსებობს ამაზე მეტი უმადურება და შეურაცხყოფა იმის მიმართ, ვინც ამდენჯერ დაუმტკიცა მათ თავისი უსაზღვრო სიყვარული და ძლევამოსილება, როგორც ყოვლისშემძლე მეფემ.

[317]

გააფრთხილა უფალმა მოსე მთაზე ყოფნისას ამ განდგომის შესახებ და უბრძანა, დაუყოვნებლივ ჩასულიყო ძირს: „ძირს ჩადი, რადგან გაირყვნა შენი ხალხი, რომელიც ეგვიპტიდან გამოიყვანე. მალე გადაუხვიეს გზიდან, რომელიც დავუდგინე. ჩამოასხეს ხბო, თაყვანს სცემენ მას". უფალს თავიდანვე შეეძლო, აღეკვეთა ეს უმსგავსოება, მაგრამ დაუშვა მრისხანების ფიალის ავსება, რათა მოღალატეთა და განდგომილთა დასჯა სამაგალითო გამხდარიყო დანარჩენთათვის.

ამგვარად, გაუქმდა უფლის მიერ თავის ხალხთან დადებული აღთქმა და უფალმა მოსეს გამოუცხადა: „ახლა მიმიშვი, რათა აინთოს ჩემი რისხვა მათზე და გადავბუგო, შენ კი დიდ ხალხად გაგხადო". უფალი ხედავდა, რომ ისრაელიანნი, განსაკუთრებით კი უცხოტომელნი, ხშირად უჯანყდებოდნენ ღმერთს; რომ არ მოუსმენდნენ თავიანთ წინამძღოლს, გაანაწყენებდნენ თავიანთი უნდობლობითა და სიჯიუტით, ამიტომ აღთქმულ

მიწაზე მათი მიყვანა მეტად მძიმე გამოცდა იქნებოდა მათთვის. მათმა დანაშაულმა უკვე დააკარგვინა ისრაელიანებს უფლება ღვთის წყალობაზე. სამართალი მათ სიკვდილს ითხოვდა. ამიტომ გადაწყვიტა უფალმა მათი განადგურება და მოსეს შთამომავლობიდან უძლიერესი ერის ჩამოყალიბება.

„მიმიშვი, რათა... გადავბუგო", - თქვა ღმერთმა. ვინ დაიცავდა ისრაელს, თუკი ღმერთმა მისი განადგურება გადაწყვიტა? ვინ ააცილებდა ცოდვილთ ამ საშინელ ხვედრს, რაც სამართლიანად დაიმსახურეს? ვინ არ გაცვლიდა სიხარულით თავის მძიმე, ზრუნვითა და თავგანწირვით აღსავსე ყოფას, რომელსაც მხოლოდ უმადურებითა და საყვედურებით პასუხობდნენ, მშვიდ, საპატიო ცხოვრებაზე. თანაც მაშინ, როცა ამას თავად უფალი გთავაზობს.

მაგრამ უფლის ამ რისხვისა და იმედგაცრუების სიტყვაში იმედის ნაპერწკალი გაკრთა. უფლის სიტყვაში: „მიმიშვი" მან არა მხოლოდ გულისწყრომა ამოიკითხა, არამედ მოსეს მხრიდან შუამდგომლობის შესაძლებლობა, რაც იმაში მდგომა-რეობდა, რომ მხოლოდ მის ლოცვას შეეძლო ისრაელის გადარჩენა და მხოლოდ მისი თხოვნით დაინდობდა ღმერთი თავის ხალხს. "და ევედრა მოსე უფალს, თავის ღმერთს, და უთხრა: რად უნდა აღეგზნოს შენი რისხვა შენს ხალხზე, რომელიც გამოიყვანე ეგვიპტის ქვეყნიდან დიდი ძალითა და ძლიერი ხელით?".

უფალმა უარყო თავისი ხალხი, როცა მოსეს უთხრა: „გაირყვნა შენი ხალხი, რომელიც ეგვიპტიდან გამოიყვანე". მაგრამ მოსემ მორჩილებით თქვა უარი ისრაელის ხელმძღვანელობაზე. ის მისი კი არა, უფლის ხალხი იყო - "შენს ხალხზე, რომელიც გამოიყვანე ეგვიპტის ქვეყნიდან დიდი ძალითა და ძლიერი ხელით". „რისთვის უნდა ათქმევინო ეგვიპტეს, დასაღუპავად გაიყვანაო ისინი, რომ მთებში ამოეხოცა და მიწის პირისგან აღეგავაო!"

ისრაელის გათავისუფლების დღიდან რამდენიმე თვის მანძილზე მისი საოცარი ხსნის ამბავი სწრაფად მოედო მეზობელ ქვეყნებსა და ხალხებს. მოსალოდნელი საფრთხის საშინელმა შიშმა მოიცვა წარმართთა ტომები. ყველა ელოდა, თუ კიდევ რას მოიმოქმედებდა ღმერთი თავისი ხალხისათვის. თუ ახლა ისრაელი დაიღუპება, მისი მტრები გაიხარებენ, ღმერთს კი სახელი გაუტყდება. მაშინ ეგვიპტელთა ბრალდებაც გამართლდება: უდაბნოში მსხვერპლშეწირვისათვის გაყვანის ნაცვლად ისრაელი თავად იქცევაო მსხვერპლად. ეს ხალხი ვერ მიხვდება, თუ რა ცოდვა ჩაიდინა ისრაელმა და უფლის მიერ სხვა ერებისგან გამორჩეული და განდიდებული ხალხის დაღუპვა ჩრდილს მიაყენებს მისსავე წმიდა სახელს. რა დიდი პასუხისმგებლობა დააკისრა უფალმა მათ, ვინც ასე გამოარჩია და აამაღლა და ვისაც თავისი უზენაესი სახელის ტარების უფლება მისცა დედამიწაზე! როგორ უნდა გაფრთხილებოდნენ ისინი მის წმიდა სახელს, რომ თავს არ დასტეხოდათ მისი სასჯელი და უწმიდურთათვის არ მიეცათ

[318]

[319]

მისი სახელის შეურაცხყოფის უფლება.

სად გაქრა მოსეს გაუბედაობა, როცა ისრაელს შუამდგომლობას უწევდა! უდიდესმა გაბედულებამ შეცვალა იგი მათ მიმართ იმ დიდი სიყვარულისა და ერთგულების გამო, ვისაც უფლის იარაღად მყოფმა, ასეთი დიდი ამაგი დასდო. უფალმა უსმინა მის ვედრებას და უპასუხა მის თავგანწირულ ლოცვას. ღმერთმა გამოცადა თავისი მსახური; გამოცადა მისი სიყვარული ამ გზააბნეული და უმადური ხალხის მიმართ და მოსემაც შესანიშნავად გაუძლო ამ გამოცდას. ისრაელისადმი მისი ასეთი ერთგულება არ იყო ეგოისტური გრძნობებიდან გამომდინარე. ღვთის რჩეული ერის კეთილდღეობა მისთვის უფრო ძვირფასი იყო, ვიდრე მისი პირადი ავტორიტეტი და უპირატესობა - გამხდარიყო მრავალრიცხოვანი ერის მამა. უზენაესს ესიამოვნა მოსეს ასეთი ერთგულება, სისადავე, პატიოსნება და მას, როგორც უკვე გამოცდილ, ერთგულ მწყემსს, უდიდესი საპასუხისმგებლო საქმე დააკისრა - წასძღოლოდა თავის ხალხს აღთქმული მიწისაკენ.

ჩამოვიდნენ მთიდან მოსე და იესო ნავეს ძე. აღთქმის ორი ფიქალი ეჭირა ხელში მოსეს. აღგზნებული ბრბოს მღელვარე ხმები მისწვდა მათ ყურს. თავდაპირველად იესო ნავეს ძეს, როგორც მხედარს, ეგონა, რომ მტერი დაეცა ისრაელიანთა ბანაკს. „საომარი ყიჟინაა ბანაკში", - უთხრა მან მოსეს. მაგრამ მოსე უფრო ზუსტად მიხვდა ყოველივეს. ომის ყიჟინა კი არა, ღრეობის ხმა იყო. „თქვა მოსემ: ეს არც გამარჯვების ყიჟინაა და არც დამარცხების ზარი, არამედ სიმღერის ხმები მესმის".

მიუახლოვდნენ ბანაკს თუ არა, დაინახეს, თუ როგორ ცეკვავდა ხალხი ხელთქმნილი კერპის გარშემო. ეს იყო ჩვეულებრივი წარმართული რიტუალი, ეგვიპტის წარმართულ დღესასწაულთა მსგავსი - მაგრამ როგორ განსხვავდებოდა ყოველივე ეს ამაღლებული და მოკრძალებული ღვთისმსახურებისაგან! გაოცდა მოსე. სულ ახლახანს დატოვა მან ღვთიური დიდების სავანე და, მიუხედავად გაფრთხილებისა, მაინც არ იყო მზად ისრაელიანთა დაცემის ასეთი საშინელი სურათის ხილვისათვის. დიდად განრისხდა მოსე. ამ საშინელებისადმი უდიდესი აღშფოთებისა და ზიზღის ნიშნად „ხელიდან გააგდო ფიქალები და მიამსხვრია მთის ძირას" მთელი ბანაკის თვალწინ, რაც იმას ნიშნავდა, რომ ადამიანებმა დაარღვიეს უფლის წინაშე დადებული პირობა და ღმერთმაც გააუქმა თავისი აღთქმა.

გაარღვია მოსემ მოზეიმეთა ბრბო, სწვდა კერპს, აიღო მათი გაკეთებული ხბო და ცეცხლში დაწვა, შემდეგ ის, რაც მისგან დარჩა, მტვრად აქცია, მთიდან ჩამომავალი წყლის ნაკადს მოაფრქვია და ისრაელიანებს შეასვა, რითაც იმ კერპის არარაობა დაუმტკიცა, რომელსაც ისინი თაყვანს სცემდნენ.

მოსემ მაშინვე იხმო თავისი ძმა, რომელმაც ეს ცოდვა ჩაიდინა და მკაცრად ჰკითხა: „რა დაგიშავა ამ ხალხმა, ასეთ დიდ ცოდვაში რომ ჩააგდე?" აარონი თავის მართლებას შეეცადა - ხალხის დაჟინებული მოთხოვნა რომ არ აესრულებინა, მას მოკლავდნენ. „ნუ აღეგზნება ჩემი ბატონის რისხვა, - უთხრა აარონმა, - შენ იცნობ ამ ხალხს, რომ ბოროტია იგი. მითხრეს: გააკეთე ჩვენთვის ღმერთი, რომელიც წაგვიძღვება წინ, რადგან იმ კაცს, მოსეს, რომელმაც გამოგვიყვანა ეგვიპტის ქვეყნიდან, არ ვიცით რა შეემთხვა. და მე ვუთხარი მათ, ვისაც აქვს ოქრო, ჩამოიხსნას, და მე მომცეს-მეთქი. და ჩავაგდე იგი ცეცხლში და გამოვიდა ეს ხბო". აარონს სურდა, დაერწმუნებინა მოსე, რომ მოხდა სასწაული - ცეცხლში ჩაგდებული ოქრო, ზებუნებრივი ძალების ზეგავლენით, ხბოდ იქცა. მაგრამ არ უშველა აარონს თავის მართლებამ და ტყუილის თქმამ. დამსახურებისამებრ მიიღო მან, როგორც მომხდარში მთავარმა დამნაშავემ.

[320]

იმ ფაქტმა, რომ აარონი სხვებზე მეტად იყო აღზევებული და კურთხეული თავის ხალხს შორის, უფრო საშინელი გახადა მისი დანაშაული. აარონმა, „უფლის წმიდანმა" /ფს. 105:16/, კერპი გააკეთა და ზეიმი მოაწყო. სწორედ აარონი დანიშნა უფალმა მოსეს მოლაპარაკე ბაგედ და თავად თქვა მასზე: „ვიცი, რომ ლაპარაკით ის ილაპარაკებს" /გამ. 4:14/. და მან ხელი არ შეუშალა კერპთაყვანისმცემელთა ამ თავხედურ ჩანაფიქრს. აარონი, რომლის მეშვეობითაც ღმერთს მსჯავრი გამოჰქონდა ეგვიპტელებზე და მათ ღმერთებზე, ახლა გულგრილად ისმენდა ჩამოსხმული კერპის თაყვანისმცემელი ხალხის შეძახილებს: „ესენი არიან, ისრაელო, შენი ღმერთები, რომლებმაც ეგვიპტიდან გამოგიყვანეს". მან, რომელიც მოსესთან ერთად ავიდა სინაის მთაზე, საკუთარი თვალით იხილა უფლის დიდება და დარწმუნდა, რომ უზენაესის ყოვლადძლიერებას რაიმე კონკრეტული გამოსახულებისათვის არავითარი საფუძველი არ მოუცია, ნანახი დიდება ჩამოსხმულ კერპში მოაქცია. მან, ვისაც ღმერთმა მოსეს ბანაკში არყოფნის დროს თავისი ხალხის წინამძღოლობა დაავალა, მოიწონა მათი ამბოხება. უფალი „ძლიერ გაუწყრა აარონს, დაღუპვა უნდოდა მისი" /რჯლ. 9:20/, მაგრამ მოსეს გულწრფელი თხოვნისა და შუამდგომლობის შემდგომ შეუნდო მას; და აარონმაც, თავისი გულწრფელი მონანიებით კვლავ მადლი ჰპოვა უფლის თვალში.

აარონს რომ არ შეშინებოდა და გაბედულად ემოქმედა, თავიდან ააცილებდა ხალხს ამ განდგომილებას. მას რომ ღვთის მიმართ მტკიცე ერთგულება გამოეჩინა, მიეთითებინა სინაის მთიდან

წამოსულ საშიშროებაზე და შეეხსენებინა ხალხისათვის მათ მიერ უფლის წინაშე დადებული ფიცი - რომ მისი მცნებების მორჩილნი იქნებოდნენ მუდამ, შეძლებდა ბოროტების შეჩერებას. მაგრამ ხალხის სურვილისადმი მისმა ასეთმა შემწყნარებლობამ და მათი მოთხოვნის გულგრილად ასრულებამ იმაზე უფრო დიდი ცოდვისაკენ უბიძგა მათ, ვიდრე ის, რომელიც პირველად მოუვიდათ აზრად.

როცა ბანაკში დაბრუნებულმა მოსემ ეს უმსგავსოება იხილა, საშინლად განრისხდა, მკაცრად გაკიცხა ისინი და წმიდა ფიქალები დაამსხვრია. მისი ასეთი საქციელი აარონის მშვიდ და ტკბილ საუბარს შეადარეს ისრაელიანებმა და თავიანთი სიმპათიები აარონისადმი გამოამჟღავნეს. საკუთარი თავის გასამართლებლად აარონი ცდილობდა, მთელი თავისი დანაშაული ხალხისთვის გადაებრალებინა; მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველა აღტაცებული იყო ამ კაცის მოთმინებითა და დამყოლი ხასიათით. აარონმა დაუთმო ხალხს, სურვილი შეუსრულა და ვერ დაინახა თავისი დანაშაულის საშინელება. მისმა საქციელმა, რომელმაც ისრაელი ცოდვაში ჩააგდო, ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. რა დიდად განსხვავდებოდა მისგან მოსე, რომელმაც, თუმცა მთელი სისრულით განახორციელა უფლის ბრძანება ისრაელიანთა დასჯის შესახებ, მაგრამ მაინც აჩვენა, რომ საკუთარ კეთილდღეობაზე, დიდებაზე და თვით სიცოცხლეზეც კი ძვირფასია მისთვის ღმერთის რჩეული ერი.

იმ ცოდვათა შორის, რომლისთვისაც გვსჯის უფალი, ყველაზე მძიმედ ითვლება ის, რომელიც ხელს უწყობს სხვებს ბოროტი საქმეების კეთებაში. უფალს სურს, რომ მისმა ერთგულმა შვილებმა გაკიცხონ ცოდვა, რა მტკივნეულიც არ უნდა იყოს ეს და ამით დაამტკიცონ უფლისადმი ერთგულება. ღმერთის მსახურნი არ უნდა იყვნენ სუსტი ნებისყოფის მქონე, დამთმობი მოჯამაგირეები. ისინი არ უნდა ისწრაფოდნენ თვითგანდიდებისაკენ და თავი არ უნდა აარიდონ არასასურველ დავალებებს, არამედ მტკიცე რწმენით აღასრულონ უფლის ნება.

უფალმა შეისმინა მოსეს ლოცვები და დაინდო ისრაელი, თუმცა სათანადო სასჯელს იმსახურებდა. ის უზნეობა და დაუმორჩილებლობა, რომლისკენაც

[323]

[324]

აარონმა უბიძგა ადამიანებს, მაშინვე რომ არ აღმოფხვრილიყო, უწმიდურ ამბოხებაში გადაიზრდებოდა, რაც მთელ ხალხს დაცემას უქადდა. ბოროტების აღმოფხვრისათვის ყველაზე

სასტიკი ზომების მიღება იყო საჭირო. ჩადგა მოსე ბანაკის ჭიშკარში და მიმართა ხალხს: "ვინც უფლისაა, ჩემთან!" ისინი, რომლებიც ამ ამბოხებაში არ მონაწილეობდნენ, მოსეს ხელმარჯვნივ უნდა შეგროვილიყვნენ, ხოლო დამნაშავენი, რომელთაც არ მოინანიეს - ხელმარცხნივ. დაემორჩილა ხალხი ბრძანებას. აღმოჩნდა, რომ ლევიანები არ მონაწილეობდნენ ამ წარმართულ ზეიმში. ისრაელიანთა სხვა შტოებმა, თუმცა შესცოდეს, მაგრამ მათ შორის ბევრმა მოინანია. მაგრამ ხალხის უმრავლესობა ჯიუტად განაგრძობდა წინააღმდეგობას, უპირატესად კი უცხოტომელები, რომელნიც სხვებსაც აქეზებდნენ ოქროს კერპის დამზადებაში. მაშინ „უფლის, ისრაელის ღმერთის" სახელით უბრძანა მოსემ მის მარჯვნივ მდგომთ, რომელნიც არ მონაწილეობდნენ ამ ამბოხებაში, შეებათ მახვილი და გაენადგურებინათ ამბოხებულნი. „სამი ათასამდე კაცი გაწყდა იმ დღეს". არ უშველა მათ არც ნათესაურმა და არც მეგობრულმა კავშირებმა, არც საზოგადოებრივმა მდგომარეობამ; გაწყვიტეს ყველა ურჯულოების მოქმედი. ხოლო ვინც მოინანია, მიეტევა.

ამ შურისგების საშინელი საქმის მოქმედნი უფლის ნებით აკეთებდნენ ყოველივეს. ისინი ზეციური მეფის მიერ გამოტანილ განაჩენს ასრულებდნენ. ადამიანებმა თავი უნდა შეიკავონ მოყვასის გაკიცხვისა და განკითხვისაგან საკუთარი ადამიანური სიბრმავის გამო. მაგრამ, ვისაც უფალი უწმიდურზე თავისი განაჩენის აღსრულებას უბრძანებს, იგი უნდა დაემორჩილოს. ამ მეტად ძნელი საქმის შემსრულებლებმა უფრო სრულად მიუძღვნეს თავი ჭეშმარიტი ღმერთის

სამსახურს. უფალმაც შეაფასა მათი ერთგულება და განსაკუთრებით გამოარჩია ლევის ტომი.

ისრაელიანებმა დააშავეს, როცა აუმბოხდნენ მათ კეთილისმყოფელ მეფეთ-მეფეს, რომელსაც მორჩილება აღუთქვეს. სამართლიანად უნდა დასჯილიყვნენ მოღალატენი იმისათვის, რომ შესაძლებელი გამხდარიყო ღვთიური მმართველობის განხორციელება. თუმცა აქაც გამოჩნდა ღვთიური თანაგრძნობა. მართალია, უფალი მტკიცედ იცავდა თავისი რჯულის სამართლიანობას, მაგრამ არჩევანისა და მონანიების საშუალება ყველას ეძლეოდა. მხოლოდ ისინი განადგურდნენ, ვინც ჯიუტად განაგრძობდა ღმერთის უარყოფას.

დამნაშავეთა სამართლიან დასჯას უნდა დაერწმუნებინა ხალხები და ერები, რომ ღმერთი კერპთაყვანისმცემლობას არასოდეს შეურიგდება. მოსეს, ვითარცა იარაღს უფლის ხელში, წმიდა წერილის ფურცლებზე გახსნილად, მთელი სიმართლით უნდა აღებეჭდა ამ საშინელი დანაშაულის მრისხანე ისტორია. ვინაიდან შემდგომში ისრაელიანთ თავად მოუხდებოდათ გარეშე ტომებისა და ერების წარმართული წესებისა და ზეიმების გაკიცხვა, მტრები აუცილებლად გაახსენებდნენ მათ, რომ ერთ დროს იმ ხალხმა, რომლის ღმერთიც იეჰოვა იყო, ჩამოასხა ხბოს კერპი და თაყვანი სცა მას ხორებში. მაშინ ისრაელი იძულებული გახდებოდა, ეღიარებინა ეს სამარცხვინო

ფაქტი, მაგრამ ეთქვა, რომ ეს დანაშაული გამართლებული და მოწონებული კი არ იქნა, არამედ საშინელი ბედი ეწიათ ურჯულოთ.

სწორედ სიყვარული ითხოვდა ამ ცოდვის სამართლიან დასჯას. ღმერთი თავისი ხალხის დამცველი და მეუფეა. მაგრამ იძულებულია, გაანადგუროს მისი ჯიუტი მოწინააღმდეგენი, რათა სხვებიც არ ჩაითრიონ ცოდვის მორევში. სიცოცხლე შეუნარჩუნა უფალმა კაენს, რათა მთელი სამყაროსათვის ეჩვენებინა, თუ საით მივყავართ დაუსჯელობას. კაენის დამღუპველი ზეგავლენა იმდენად დიდი იყო, იმდენად გარყვნა კაცობრიობა, რომ წარღვნით მისი განადგურება

[325]

გამოიწვია. წარღვნამდელი ისტორია გვიჩვენებს, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობა არ წარმოადგენს კურთხევას ცოდვილისათვის. უფლის უდიდესი მოთმინება არ აკავებს მათ უწმიდურებას. რაც უფრო დიდხანს ცოცხლობენ ადამიანები, მით უფრო იხრწნებიან.

ასე იყო სინაის მთასთან განდგომილებისას. ადგილზევე ცოდვის დაუსჯელობას იგივე შედეგი მოჰყვებოდა,

გაიხრწნებოდა დედამიწა, როგორც ნოეს დღეებში. განდგომილთა მიტევება უფრო მეტ უბედურებას მოიტანდა, ვიდრე კაენის სიცოცხლის შენარჩუნება. მოწყალე უფალმა ათასობით ადამიანის დაღუპვა დაუშვა, რათა გადაერჩინა მილიონობით ადამიანი. უმრავლესობის გადასარჩენად უმცირესობა უნდა დასჯილიყო. ამას გარდა, ხალხმა, რომელიც უფალს განუდგა, დაკარგა ღვთიური მფარველობა და, მისი დაცვის გარეშე დარჩენილს, მრავალი საფრთხე ელოდა გარეშე მტრისაგან. ბოროტება რომ მაშინვე არ აღმოფხვრილიყო, ისრაელი მალე თავისი უძლიერესი და მრავალრიცხოვანი მტრების ლუკმა გახდებოდა. ისრაელის საკეთილდღეოდ და მომავალ თაობათა სასწავლებლად იყო საჭირო განდგომილთა დასჯა. ხოლო მათი დანდობის შემთხვევაში, ამბოხების სული სიძულვილსა და განხეთქილებას დათესდა ხალხში, სანამ, ბოლოს და ბოლოს, ერთმანეთს არ დახოცავდნენ. წუთისოფლის, ისრაელისა და თვით ამბოხებულთა მიმართ სიყვარულის გამოც კი დაისაჯა დანაშაული დაუყოვნებლივ და ასე მკაცრად.

როცა ხალხი გონს მოეგო და თავისი დანაშაულის საშინელება გააცნობიერა, დიდად შეშფოთდა. შიშმა მოიცვა მთელი ბანაკი, რადგან ფიქრობდნენ, რომ ყოველ განდგომილს მოსპობდა უფალი. შეეცოდა მოსეს ეს სასოწარკვეთილი ხალხი და აღუთქვა, რომ უფალს შეევედრებოდა მათ სიცოცხლეს.

„დიდი ცოდვა გაქვთ ჩადენილი, - თქვა მან, - ახლა ავალ უფალთან, ვინძლო ვაპატიებინო თქვენთვის ეს ცოდვა". იშუამდგომლა ხალხისთვის ღმერთის წინაშე და თქვა: "დიდი ცოდვა ჩაიდინა ამ ხალხმა: ოქროს ღმერთები გაიკეთა. ახლა მიუტევე მათ ეს ცოდვა, თუ არა და, ამომშალე შენი დაწერილი წიგნიდან". ასე უპასუხა უფალმა: „ვინც მე შემცოდა, იმას ამოვშლი ჩემი წიგნიდან. ახლა წადი და წაიყვანე ხალხი, სადაც გითხარი. აჰა, ჩემი ანგელოზი წაგიძღვება წინ. განკითხვის დღეს მოვკითხავ მათ ცოდვებს".

საყურადღებოა, რომ მოსეს ლოცვებში ფიგურირებს ზეციური წიგნები, სადაც ყოველი ადამიანის სახელი და საქმეები - კეთილი თუ ბოროტი - ზუსტადაა აღნიშნული. სიცოცხლის წიგნში ჩაწერილია ყველა იმ ადამიანის სახელი, ვინც ოდესმე ღმერთს ემსახურებოდა. თუკი რომელიმე მათგანი ღმერთს განუდგება, ჯიუტად დაადგება ცოდვის გზას, სულიწმიდის წინააღმდეგ გაისასტიკებს გულს, ასეთ ადამიანთა სახელები სიცოცხლის წიგნიდან ამოიშლება და ისინი დაიღუპებიან. მოსე კარგად ხედავდა ცოდვილის ხვედრის საშინელებას, თუმცა, უფლის მიერ მთელი ისრაელის უარყოფის შემთხვევაში, იგი თავადაც ისურვებდა მათ სახელებთან ერთად თავისი სახელის სიცოცხლის წიგნიდან ამოშლას. შეუძლებლად მიაჩნდა მას ხალხის სრული განადგურება, ვინც ასე სასწაულად იხსნა უფალმა ეგვიპტის მონობიდან. მოსეს შუამდგომლობა ისრაელისათვის ძლიერ წააგავს ქრისტეს შუამდგომლობას ცოდვილთათვის. მაგრამ უფალმა არ დაუშვა ცოდვილთა

ნაცვლად მოსეს დასჯა. „ვინც მე შემცოდა, იმას ამოვშლი ჩემი წიგნიდან", - ბრძანა მან.

ღრმა მწუხარებით მიაბარეს მიწას დაღუპულნი. მახვილისაგან სამი ათასი კაცი დაეცა; სულ მალე დამღუპველი სენი გაჩნდა ისრაელიანთა ბანაკში; ამასთანავე, ებრაელთათვის ცნობილი გახდა, რომ დიდი იეჰოვა აღარ გაჰყვებოდა მათ მოგზაურობაში. „მე აღარ ვივლი შენს შორის, რადგან თვითრჯული ხალხი ხართ და ვაითუ მოგსპოთ გზაში", - განაცხადა მან. შემდეგ გაისმა

[326]

[327]

ბრძანება: „მოიხსენით სამკაულები, მე ვიცი, როგორც უნდა მოგექცეთ". გლოვა იწყო ისრაელიანთა ბანაკმა. მაშინვე მორჩილებით „მოიხსნეს ისრაელიანებმა სამკაულები ხორების მთასთან".

უფლის ბრძანებით, კარავი, რომელიც თაყვანისცემის დროებით ადგილად ითვლებოდა, ბანაკს გარეთ გაიტანეს, რაც კიდევ ერთი მოწმობა იყო იმისა, რომ უფალმა დატოვა ისინი. და

შემდგომშიც იგი მხოლოდ მოსეს გამოეცხადება და არა ამ ხალხს. სინდისი ქენჯნიდა ისრაელიანთ, დიდად ჯავრობდნენ ყოველივეს გამო და უფრო დიდი უბედურების მოლოდინში იყვნენ. იქნებ იმიტომ გაიყვანა მოსე, რომ საბოლოოდ გაანადგუროს დანარჩენნი? მაგრამ არ დარჩენილან ისინი იმედის გარეშე. ბანაკს გარეთ გაშალეს კარავი, რომელსაც მოსემ „სადღესასწაულო კარავი" უწოდა. ყველას, ვინც გულწრფელად ინანიებდა და უფალთან დაბრუნება სურდა, შეეძლო იქ მისვლა და ცოდვების აღიარება, რათა კვლავ ეპოვა ღვთიური წყალობა. როცა ისინი თავიანთ კარვებში ბრუნდებოდნენ, მოსე „სადღესასწაულო კარავში" შედიოდა. დაძაბული აკვირდებოდა ხალხი - იქნებ გამოჩნდეს რაიმე ნიშანი იმისა, რომ მათთვის შუამდგომლობა მიღებულია! რომ სრულად არ განადგურდებიან. ტიროდნენ ისრაელიანნი სიხარულისაგან, როცა ხედავდნენ, როგორ ჩამოეშვებოდა ღრუბლის სვეტი და კარვის შესასვლელთან გაჩერდებოდა. მაშინ „ადგებოდა მთელი ხალხი და თავ-თავის კარვის შესასვლელთან სცემდა თაყვანს".

კარგად იყო ცნობილი მოსესთვის მისთვის მიბარებული ხალხის სიჯიუტე და სიბრმავე; ისიც კარგად იცოდა, თუ რა სიძნელეები ელოდა მომავალში. მიხვდა, რომ ხალხის წინამძღოლობისათვის უფლისაგან დახმარების მიღებაა საჭირო. პირისპირ ხილვა სურდა უფლისა მოსეს, რათა მის იქ ყოფნაში დარწმუნებულიყო. „აჰა, შენ მეუბნები, დასძარიო ეს ხალხი, მაგრამ არ გაგიმხელია, ვის აგზავნი ჩემთან ერთად. ეს კი მითხარი: სახელით გიცნობ და მადლიც გაქვსო ნაპოვნი ჩემს თვალში. და თუ მართლაც მადლი

მიპოვნია შენს თვალში, მასწავლე შენი გზა და მეც შეგიცნობ, რომ მადლი ვპოვო შენს თვალში; იცოდე, რომ შენი ერია ეს ხალხი".

მიუგო უფალმა: „მე თავად წაგიძღვები და დაგავანებ". მაგრამ ვერ დაამშვიდა მოსე ამ სიტყვებმა. სტანჯავდა ისრაელის საშინელ მომავალზე ფიქრი: რა იქნება, თუკი ხალხის სისასტიკისა და მოუნანიებლობის გამო უფალი დატოვებს მათ? ვერ შეეგუებოდა მოსე იმ აზრს, რომ ვეღარ ნახავდა თავის ძმებს და ევედრებოდა უფალს, მოწყალება გამოეჩინა მათ მიმართ და კვლავაც გასძღოლოდა მისი დიდება მოგზაურობისას. „თავად შენ თუ არ წაგვიძეხი, მაშინ ნუ გაგვიყვან აქედან. როგორ მივხვდე, რომ მადლი ვპოვეთ შენს თვალში მე და შენმა ერმა? ხომ იმით, რომ ჩვენთან ერთად ივლი და გამორჩეული ვიქნებით მე და შენი ერი ყველა ხალხიდან, რაც კი დედამიწის ზურგზეა?"

უპასუხა უფალმა მოსეს: "მაგ შენ ნათქვამსაც ავასრულებ, რადგან მადლი გაქვს ნაპოვნი ჩემს თვალში და სახელით გიცნობ". წინასწარმეტყველი კვლავაც განაგრძობდა ვედრებას. და თუმცა თავის ყველა ლოცვაზე პასუხი მიიღო, მის სულს ღვთიური წყალობის უფრო დიდი ნიშნის ხილვა სწყუროდა. და მოსე სთხოვდა უფალს იმას, რაც არც ერთ ადამიანს არასოდეს უთხოვია: „მახილვინე შენი დიდება".

არ გაკიცხა უფალმა მოსე ასეთი თავდაჯერებული მოთხოვნის გამო, არამედ მოწყალედ უპასუხა: „ჩამოვატარებ მთელს ჩემს სიდიადეს შენს წინ". შეუძლებელი იყო, რომელიმე მოკვდავს სრულად ეხილა უფლის მთელი სიდიადე და არ მომკვდარიყო. მოსეს კი აღუთქვა უფალმა, რომ იხილავს იგი მის დიდებას იმდენად, რამდენადაც ამის ატანას შეძლებს. კვლავ მთის

[328]

მწვერვალისკენ მოუხმეს მოსეს, შემდეგ კი ხელმა, რომელმაც შექმნა მთელი სამყარო, რომელმაც „შეძრა მთები ისე, რომ არავინ უწყის" /იობ. 9:5/, აიყვანა ეს ძლიერი რწმენის კაცი და კლდის ნაპრალში მოათავსა იმ დროს, როცა გამოჩნდა ღვთიური დიდება და მთელი მისი სიკეთე.

ეს განცდა და, უფრო მეტად კი აღთქმა, რომ უფალი კვლავ მათთან იქნება გზაში, მოსეს მისიის წარმატების საწინდარი იყო. მთელი ეგვიპტის სიბრძნეზე და ისრაელიანთა მმართველობაში და ბრძოლის ველზე მოპოვებულ მიღწევებზე უფრო ძვირფასი იყო მისთვის იგი. ვერავითარი მიწიერი ძლიერება, ხელოვნება ან ცოდნა ვერ შეცვლის უფალთან მუდმივი ყოფნის ბედნიერებას.

ცოდვილ ადამიანს ეშინია ცოცხალი ღმერთის ხილვა, მაგრამ მოსე უშიშრად იდგა მარადცოცხალის წინაშე, რადგან შემოქმედის სურვილისამებრ იქცეოდა იგი. „სიმრუდე რომ შეემჩნია ჩემს გულში, არ მოისმენდა უფალი" /ფს. 65:18/; მაგრამ „საიდუმლო უფლისა - მოშიშთა მისთა, და თავის აღთქმას აუწყებს მათ" /ფს. 24:14/.

თქვა უფალმა თავის თავზე: „უფალი, უფალი, ღმერთი შემბრალე და მოწყალე, სულგრძელი და დიდად მოწყალე, და ჭეშმარიტი. ინახავს წყალობას ათასეულებისათვის, შეუნდობს ბრალს და დანაშაულს, და ცოდვას. დამნაშავეს არ გაუშვებს დაუსჯელად. მოჰკითხავს მამათა ცოდვას შვილებს და შვილთაშვილებს, მესამე და მეოთხე თაობამდე".

„იმწამსვე მიწად დაიხარა მოსე და თაყვანი სცა". კვლავ სთხოვა ღმერთს, მიეტევებინა თავისი ურჯულო ერისათვის: „შეგვინდე დანაშაული და შეცოდება და შენს სამკვიდროდ გაგვხადე". და შეისმინა უფალმა ეს თხოვნა; ისრაელთან აღთქმის განახლებას და ისეთი სასწაულების მოხდენას დაჰპირდა, „როგორიც არც ერთ ქვეყანაში და არც ერთ ხალხში არ მომხდარა".

ორმოცი დღე და ღამე დარჩა მოსე მთაზე და მთელი ამ ხნის განმავლობაში უფალი ისევე, როგორც პირველად, სასწაულებრივად ინახავდა მას. სხვას არავის ჰქონდა მთაზე ასვლის ან მასთან მიახლოების უფლება. დაამზადა მოსემ

უფლის ბრძანებით ქვის ორი ფიქალი და აიტანა მწვერვალზე და კვლავ დაწერა მასზე უფალმა აღთქმის სიტყვები - ათი მცნება.

ღვთიური დიდების ნათელი ეფინა მოსეს უფალთან ხანგრძლივი ურთიერთობის გამო. დამაბრმავებელი შუქით უბრწყინავდა სახე მთიდან ჩამოსვლისას, მაგრამ თავად არაფერი იცოდა ამის შესახებ. ასეთივე ნათელი ეფინა სტეფანეს, როცა თავის მსაჯულთა წინაშე იდგა. „ყველა, ვინც სინედრიონში იჯდა, უყურებდა მას და ხედავდა მის სახეს, როგორც ანგელოზის სახეს" /საქმე. 6:15/. უკუიქცა აარონი და მთელი ხალხი მოსეს დანახვაზე; „ვერ გაბედეს მიახლოება". არ იცოდა მოსემ მათი შიშისა და დაბნეულობის მიზეზი და თავისთან უხმობდა მათ. საუბრობდა უფლის შერიგების შესახებ და არწმუნებდა მათ, რომ კვლავ კეთილად განეწყო მათ მიმართ უფალი. მხოლოდ სიყვარული და თანაგრძნობა ისმოდა მის ხმაში და ბოლოს, ვიღაცამ გაბედა და მიუახლოვდა მას. ხმა ვერ ამოიღო მოწიწებითა და შიშით მოცულმა; მხოლოდ უსიტყვოდ გაიშვირა ხელი ჯერ მოსეს სახისკენ, შემდეგ კი ზეცისკენ. მიხვდა წინამძღოლი ამ ჟესტის მნიშვნელობას. საკუთარი სინდისის მხილებით გატანჯულებმა ვერ გაუძლეს ზეციურ ნათელს, რომელიც, მათი ღვთისადმი მორჩილების შემთხვევაში, მუდმივი სიხარულის წყაროდ იქცეოდა. დანაშაული ბადებს შიშს. ცოდვისაგან განწმედილი სული არ დაემალება ზეციურ ნათელს.

ბევრი რამ უნდა ეთქვა მათთვის მოსეს. შეეცოდა ისინი და „რიდე ჩამოიფარა სახეზე" და შემდგომშიც ყოველთვის ასე იქცეოდა, როცა უფალთან საუბრის შემდეგ ბანაკში ბრუნდებოდა.

ამ შუქით უფალს თავისი წმიდა რჯულის ამაღლებული არსისა და ქრისტეს

[329]

[330]

მიერ გამოცხადებული სახარების დიდების ისრაელიანთა გონებაში შთაბეჭდვა სურდა. მთაზე ყოფნისას ღმერთმა არა მხოლოდ აღთქმის ფიქალები მისცა მოსეს, არამედ ხსნის გეგმაც გაუზიარა. ხედავდა მოსე, რომ ებრაელთა ეპოქის ყველა სიმბოლო და პირველსახე ქრისტეს მსხვერპლზე მიუთითებდა და გოლგოთიდან გამოსული ზეციური ნათელი უფლის რჯულის ნათელზე არანაკლები დიდებით ეფინა მოსეს სახეს. ეს ღვთიური ნათელი სიმბოლო იყო აღთქმის დიდებისა. აღთქმისა, რომლის ხილული შუამდგომელი იყო მოსე - ერთადერთი ჭეშმარიტი ქომაგის, ქრისტეს, წარმომადგენელი.

მოსეს სახეზე არეკლილი დიდება იმ კურთხევებზეც მიგვითითებს, რომლებიც ქრისტეს შუამდგომლობის მეშვეობით უფლის მცნებების დამცველ ხალხს გარდმოეფინება. ეს მოწმობაა იმისა, რომ რაც უფრო ახლოს ვიქნებით ღმერთთან და რაც უფრო ღრმად შევიცნობთ მის რჯულს, მით უფრო მალე დავემსგავსებით მას და მით უფრო მეტად გაგვიჩნდება სურვილი მისი არსის მოზიარეობისა.

მოსე ქრისტეს პირველსახე იყო. როგორც ისრაელიანთა შუამდგომელმა ჩამოიფარა რიდე სახეზე, რათა მისი ხალხი ამ დიდების ნათელს არ დაებრმავებინა, ასევე იესომ, ღვთიურმა ქომაგმა, ადამიანის სხეულქვეშ დამალა თავისი ღვთიური სახე, როდესაც დედამიწაზე მოვიდა. ქრისტე რომ ზეციური დიდებით გაბრწყინებული მოსულიყო, ვერ იპოვიდა ადამიანებთან მისადგომს მათი ცოდვილი მდგომარეობის გამო. ისინი ვერ გაუძლებდნენ მის სიდიადეს. ამიტომ დაიმდაბლა თავი და მოვიდა „ცოდვილი ხორცის მსგავსებაში" /რომ. 8:3/, რათა თავისთან დაეახლოებინა და აღემაღლებინა დაცემული კაცობრიობა.

თავი 29 - სატანა ღვთის რჯულის წინააღმდეგ

სატანის პირველი მცდელობა, დაემხო ღვთის რჯული ზეციურ მკვიდრთა შორის, თავიდან, თითქოსდა, წარმატებით მიმდინარეობდა. მრავალი ანგელოზი ცდუნდა, მაგრამ მალე სატანის ზეიმი დამარცხებით დამთავრდა: იგი განიდევნა ზეციდან.

კონფლიქტი დედამიწაზე გაგრძელდა და კვლავ იზეიმა სატანამ გამარჯვება. შესცოდა ადამიანმა და მის ტყვედ იქცა, ადამიანის სამფლობელო - დედამიწა კი მის მმართველობაში გადავიდა. მაშინ ეგონა მაცდურს, რომ დამოუკიდებელი სამეფოს შექმნის შესაძლებლობა მიეცემოდა და ღმერთსა და მის ძეს ომს გამოუცხადებდა. მაგრამ გადარჩენის გეგმამ შესაძლებლობა მისცა ადამიანს, აღედგინა ღმერთთან კავშირი, დაეცვა მისი მცნებები და მაცდურის ბრჭყალებიდან გათავისუფლებულიყო.

კვლავ დამარცხდა სატანა და კვლავ მიმართა სიცრუეს, რათა მარცხი გამარჯვებით შეეცვალა. დაცემულ ადამიანებში აღშფოთებისა და წინააღმდეგობის სულის დასათესად მზაკვარმა ღმერთს უსამართლობა დასწამა იმის გამო, რომ ადამიანის მიერ მისი რჯულის დარღვევა დაუშვა. "ხომ კარგად იცოდა ღმერთმა ცოდვის შედეგები, - არწმუნებდა მაცდური, - მაშ, რატომ დაუშვა ადამიანის გამოცდა, დაცემა, ტანჯვა და სიკვდილი?" და დაივიწყეს ადამის შვილებმა მოთმინება და გულმოწყლება ზეციური მეფისა, რომელმაც საოცარი და თანაც საშინელი მსხვერპლის გაღებით /სატანის ამბოხების გამო/ ხსნის სხვა გზა გამოუნახა მათ. უსმენდნენ მაცდურის ბოროტ

ჩურჩულს და საყვედურობდნენ ღმერთს - სატანის დამღუპველი ხელმწიფებისაგან მათ ერთადერთ მხსნელს.

დღესაც ბევრი იმეორებს ისრაელიანთა ამგვარ ქცევას. არ ესმით, რომ, წაართვა ადამიანს არჩევანის უფლება, ნიშნავს: წაართვა დამოუკიდებლად აზროვნების უნარი და რობოტად აქციო იგი. უფალმა ზნეობრივად თავისუფალ არსებად შექმნა ადამიანი და არ სურს მისი დამონება. სხვა სამყაროების მკვიდრთა მსგავსად, მისი მორჩილებაც უნდა გამოეცადა ღმერთს, მაგრამ უფალი არასოდეს უქმნის ადამიანს ისეთ ვითარებას, რომელიც აიძულებს მას, დაემორჩილოს ცოდვას. არ დაუშვებს უფალი მის ცხოვრებაში ისეთ განსაცდელს ან გამოცდას, რომლის გადალახვასაც იგი ვერ შეძლებს. ყოველივე უბოძა ღმერთმა ადამიანს, რაც საჭიროა სატანასთან ბრძოლაში გამარჯვებისათვის.

გაიფანტნენ ადამიანები დედამიწაზე და მოიცვა მთელი ქვეყნიერება ამბოხების სულმა. და, თითქოსდა, ამჯერადაც გაიმარჯვა სატანამ. მაგრამ ყოვლისშემძლე ძალამ კვლავაც აღკვეთა ურჯულოება წარღვნის წყლებით და განიწმიდა დედამიწა უწმიდურებისაგან.

ასე ამბობს წინასწარმეტყველი: "როდესაც მსჯავრს სდებდი ქვეყანას, სამყაროს მკვიდრთა სიმართლე ისწავლეს. შეწყალებულ იქნება ბოროტეული, მაგრამ სიმართლეს ვერ

ისწავლის... და უფლის დიდებას არად ჩააგდებს!" /ეს. 26:9, 10/. ასე იყო წარღვნის შემდგომ. ღვთის სასჯელს გადარჩენილნი კვლავ აუჯანყდნენ ღმერთს. ორჯერ უარყო წუთისოფელმა უფლის აღთქმა და მისი დადგენილებანი. წარღვნამდელმა წუთისოფელმაც და ნოეს შთამომავლობამაც უარყო ღმერთის ხელმწიფება. მაშინ აბრაამს დაუდო უფალმა თავისი აღთქმა და აირჩია ხალხი, რომელიც მისი რჯულის შემსრულებელი იქნებოდა. მაგრამ სატანამ უმალ დაიწყო ღვთის შვილთა ცდუნებისა და დაღუპვის გზების ძებნა. ცდუნდებოდნენ იაკობის შვილები, როცა წარმართებზე ქორწინდებოდნენ

[331]

[332]

და მათ ღმერთებს სცემდნენ თაყვანს. მაგრამ იოსებმა ბოლომდე შეინარჩუნა უფლისადმი ერთგულება, რაც ჭეშმარიტი რწმენის მუდმივი მოწმობა იყო. სწორედ ამ ჭეშმარიტების შუქის ჩასაქრობად გამოიყენა სატანამ თავის იარაღად იოსების ძმები, როცა შთააგონა მათ, ძმა მონად გაეყიდათ წარმართთა ქვეყანაში. მაგრამ უფალმა ისე წარმართა მოვლენები, რომ ეგვიპტელ ხალხს ცოცხალ ღმერთზე ცოდნა შეეძინა. ფოტიფარის

სასახლეში და საპყრობილეში მიღებულმა გამოცდილებამ, ღვთისადმი მოწიწებამ და შიშმა იოსები ეგვიპტის ქვეყნის განმგებლის თანამდებობისთვის მოამზადა. ფარაონის სასახლიდან მისი გავლენა და, შესაბამისად, ღმერთის შესახებ შემეცნებაც, მთელ ქვეყანაში გავრცელდა. დიდად აღზევდა და გამდიდრდა ებრაელი ერი ეგვიპტეში. უფლის ერთგულნი კეთილ გავლენას ახდენდნენ ირგვლივ მყოფ ადამიანებზე. წარმართი ქურუმები შიშით ადევნებდნენ თვალს მათ ქვეყანაში ახალი რელიგიის განვითარებას, რომლისკენაც ასე ძლიერ ილტვოდა მოსახლეობა. სატანის წაქეზებით, რომელმაც ცოცხალი ღმერთისადმი თავისი სიძულვილი შთაუნერგა მათ, ქურუმებმა ამ ნათელის მოსპობა გადაწყვიტეს. მათ დავალებული ჰქონდათ ტახტის მემკვიდრის აღზრდა და ღმერთის მიმართ შეურიგებელმა მტრობამ და წარმართულ მსახურებაში გულმოდგინებამ ისე ჩამოაყალიბა მომავალი მონარქის ხასიათი, რომ მან შემდგომში ებრაელთა სასტიკ დევნას და შევიწროებას მიჰყო ხელი.

ეგვიპტიდან მოსეს გაქცევის დღიდან ორმოცი წლის მანძილზე გამარჯვება, თითქოსდა, კერპთაყვანისმცემლობის მხარეზე იყო. დღითიდღე იმედს კარგავდა ისრაელი. მეფეც და ხალხიც ქედმაღლურად იკვეხნიდნენ თავიანთი ძლიერებით და ლანძღავდნენ ისრაელის ღმერთს. ყოველივე ეს აშკარად გამოვლინდა ფარაონში, რომელსაც წინ მოსე აღუდგა, როცა ებრაელი ხალხის წინამძღოლი ისრაელის ღმერთის, დიდი იეჰოვას დავალებით წარდგა ფარაონის წინაშე. სიტყვები: "ვინ არის უფალი, რომ დავუჯერო... არც უფალი ვიცი და არც

ისრაელს გავუშვებ" /გამ. 5:1,2/, - მეტყველებდა არა იმაზე, რომ იგი მართლაც არ იცნობდა ცოცხალ ღმერთს, არამედ ეს იყო უტიფარი გამოწვევა უზენაესისა. ფარაონის ჯიუტი წინააღმდეგობა თავიდან ბოლომდე გამოწვეული იყო არა მისი უმეცრებით, არამედ სიძულვილითა და ამპარტავნობით.

თუმცა ეგვიპტელები დიდხანს უარყოფდნენ ცოცხალ ღმერთს და არც სურდათ, რაიმე სცოდნოდათ მის შესახებ, უფალი კვლავ აძლევდა მათ მონანიების შესაძლებლობას. იოსების დღეებში ეგვიპტე ისრაელიანთა თავშესაფრად იქცა. განდიდდა უფალი მაშინ თავისი ხალხისადმი გამოვლენილი სიკეთით და ახლა სულგრძელი და თანამგრძნობი ღმერთი თითოეულ სასჯელს დროის გარკვეულ მონაკვეთს უთმობდა, რათა ამ სასჯელს თავისი საქმე გაეკეთებინა; ეგვიპტელებმა, რომლებიც სწორედ იმისგან იტანჯებოდნენ, ვისაც თაყვანს სცემდნენ, საკუთარი თვალით იხილეს იეჰოვას ძლიერება და ყოველ მსურველს შეეძლო, დამორჩილებოდა უფალს და თავიდან აეცილებინა მისი სასჯელი. ფარაონის ფანატიზმმა და სიჯიუტემ ხელი შეუწყო ღმერთის სახელის გავრცელებას და მრავალ ეგვიპტელს უბიძგა ცოცხალი ღმერთის მსახურებისაკენ.

რადგანაც ისრაელიანნი ასე დაახლოებულნი იყვნენ წარმართებთან და კერპთაყვანისმცემლობასთან, უფალმა დაუშვა მათი ეგვიპტეში წასვლა, სადაც იოსები უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა და სადაც მათ კარგი პირობები

ჰქონდათ რჩეულ ერად დარჩენისათვის. ეგვიპტის რელიგიის უხეშ, წარმართულ რიტუალებს, ებრაელების მიმართ ეგვიპტელთა სისასტიკეს და ძალადობას, განსაკუთრებით მათი იქ ცხოვრების ბოლო პერიოდში, კერპთაყვანისმცემლობისად - მი სიძულვილი და თავისი მამების ღმერთთან თავშესაფრის ძებნის სურვილი

[333]

უნდა გამოეწვია. უფლის ეს ჩანაფიქრი სატანამ თავის სასარგებლოდ გამოიყენა: გონება აურია ებრაელებს და აიძულა, თავიანთ წარმართ ბატონთა წესებისათვის მიებაძათ. ცხოველებისადმი ეგვიპტელთა ცრურწმენის გამო ხანგრძლივი ტყვეობის მანძილზე ებრაელთ მსხვერპლშეწირვის შესაძლებლობა არ ჰქონდათ. მათი ფიქრები აღარ იყო მიმართული იმ უდიდესი მსხვერპლისაკენ, რომელიც მათ გადასარჩენად უნდა გაღებულიყო და რწმენაც შესუსტდა. სატანა მთელი ძალებით წინ აღუდგა უფლის განზრახვას ისრაელიანთა ხსნის დადგომისას, რათა ისინი ეგვიპტიდან არ გამოსულიყვნენ, რადგან მტკიცედ სურდა, ცრურწმენისა და უმეცრების ატმოსფეროში ჰყოლოდა ეს მრავალრიცხოვანი ერი /ორ მილიონზე მეტი/. სატანა ყველა ღონეს ხმარობდა იმისათვის, რომ სულიერ წყვდიადში და მონობაში ჰყოლოდა ეს

ხალხი, რათა სრულად აღმოეფხვრა მათი გონებიდან უფლის სახელი: არადა ეს იყო ერი, რომელსაც უფალმა კურთხევა, გამრავლება და გაძლიერება აღუთქვა; ხალხი, რომელიც თავისი რჯულის დამცველად ამოარჩია, ის, ვისაც უფლის არსი და ნება კაცობრიობისათვის უნდა ემცნო.

როდესაც მოსე ფარაონის წინაშე ღვთის სასწაულებს ახდენდა, ბრძოლის ველზე სატანა გამოჩნდა, რათა ფარაონზე მათი დიდი ზეგავლენა შეემცირებინა, რომ არ შეეცნო მას ყოვლისშემძლე ღმერთის ძალა და მის ბრძანებას არ დამორჩილებოდა. სატანამ დიდი ოსტატობით გაიმეორა უფლის სასწაულები, რითაც წინააღმდეგობა გაუწია მის ნებას. მაგრამ ყველა მისმა მცდელობამ უფრო შეუწყო ხელი ღვთიური ძალისა და დიდების გამოვლინებას და მაშინ ებრაელებმა და მთელმა ეგვიპტის ქვეყანამ უფრო კარგად შეიცნო ჭეშმარიტი, ცოცხალი ღმერთის არსებობა და მისი უზენაესი ძალაუფლება.

გაათავისუფლა უფალმა ისრაელი თავისი უდიდესი ძალის გამოვლინებით და ეგვიპტის ყველა ღმერთის დამარცხებით. "გამოიყვანა თავისი ხალხი სიხარულით, რჩეულნი თვისნი ზარ-ზეიმით... რათა დაიცვან წესები მისი და მის კანონებს გაუფრთხილდნენ" /ფს. 104:43-45/. გაათავისუფლა ისინი იმ მიწაზე დასასახლებლად, რომელიც მტრებისგან თვშესაფრად გაუმზადა და სადაც უზენაესის მფარველობა ექნებოდათ მუდამ. მარად თავის გვერდით სურდა ჰყოლოდა უფალს თავისი ერი და სიყვარულით ეზრუნა მასზე, მისი მოწყალებისა

და სიკეთის პასუხად არ უნდა ჰყოლოდათ სხვა ღმერთი, გარდა მარადცოცხალისა და უნდა განედიდებინათ მისი სახელი მთელ დედამიწაზე.

მონობის წლებში მრავალმა ისრაელიანმა, არსებითად, დაკარგა ცოდნა ღმერთის რჯულის შესახებ; წარმართულ წესებსა და ტრადიციებში აურია მისი პრინციპები. ამიტომ მიიყვანა უფალმა ისინი მთასთან და თავად გამოუცხადა თავისი რჯული.

სატანა და მისი ბოროტი ანგელოზები ყურადღებით ადევნებდნენ თვალს ყოველივეს, რაც იქ ხდებოდა. იმ მომენტშიც კი, როცა უფალი თავის ხალხს რჯულს უცხადებდა, სატანა მათი ცდუნების ქსელს ხლართავდა. მთელი ზეცის წინაშე ლამობდა იგი, ხელიდან გამოეტაცა უფლისათვის მისი რჩეული ხალხი. ისრაელიანებში კერპთაყვანისმცემლური მსახურების განმტკიცებით მთელი ღვთისმსახურების სისტემის დანგრევას ცდილობდა მაცდური: აბა, როგორ შეუძლია ადამიანს, ამაღლდეს, თუკი მას ემსახურება, ვინც მასზე დიდი არაა და ვისი სიმბოლოც მისი საკუთარი ხელითაა შექმნილი? თუკი ადამიანს იმდენად დაუბნელებ გონებას, რომ უსასრულო ღმერთის ძალას, ძლიერებასა და სიდიადეს რაიმე კონკრეტულ გამოსახულებაში, ცხოველისა იქნება ის თუ ქვეწარმავლისა, გამოსახავს; თუკი დაივიწყებს, რომ შემოქმედის ხატად და მსგავსად არის შექმნილი და ამ უსულო, საზიზღარ ქმნილებათა

თაყვანისცემას დაიწყებს, გზა გაეხსნება აღვირახსნილობას, სიმდაბლეს, ბოროტ სურვილთა

[334]

[335]

უსასრულობას და სატანაც სრულ ძალაუფლებას მოიპოვებს მასზე.

იქვე, სინაის მთის ძირას დაიწყო სატანამ თავისი გეგმის განხორციელება უფლის რჯულის დამხობის მიზნით, რაც ზეციური ამბოხის გაგრძელებას წარმოადგენდა. ორმოცი დღის განმავლობაში, სანამ მოსე სინაის მთაზე, უფალთან იმყოფებოდა, სატანა მხოლოდ ერთი საქმით იყო დაკავებული: ეჭვს თესდა ადამიანთა გულებში და ამბოხებისა და განდგომილებისაკენ უბიძგებდა მათ. იმ დროს, როცა უფალი თავისი მარჯვენით წერდა წმიდა რჯულს, რათა გადაეცა ხალხისათვის, რომელმაც აღთქმა დაუდო უფალს, ისრაელიანებმა უღალატეს და ოქროს ღმერთები მოითხოვეს. როცა მოსემ ღვთიური დიდების მრისხანე ადგილი დატოვა და ღვთიური რჯულით ხელში, რომლის შესრულებაც ისრაელიანებმა უფალს აღუთქვეს, თავის ხალხთან დაბრუნდა,

აღმოჩნდა, რომ ხალხმა სრულიად უარყო იგი და ოქროს კერპი აირჩია თაყვანისცემისათვის.

სატანა ისრაელს ღვთისმგმობელი საქციელისა და იეჰოვას თავხედური შეურაცხყოფისაკენ უბიძგებდა და ამით ადამიანების დაღუპვა სურდა. ვინაიდან ასეთი მანკიერება გამოიჩინეს და უფლის მიერ შემოთავაზებული უპირატესობები -სა და კურთხევების ღირსი არ აღმოჩნდნენ და, თანაც, საზეიმოდ დადებული ერთგულების ფიცი გატეხეს, სატანას იმედი ჰქონდა, რომ უფალი უარყოფს და გაანადგურებს მათ. ამ გზით შეეცადა მზაკვარი აბრაამის თესლის დაღუპვას; იმ აღთქმული თესლისა, რომელსაც მარად უნდა შეენახა ცოდნა ცოცხალ ღმერთზე და რომლისგანაც უნდა გამოსულიყო ჭეშმარიტი თესლი - სატანის დამმარცხებელი. უდიდესი მზაკვარი მთელი ისრაელის დაღუპვას და ამით უფლის გეგმების ჩაშლას იმედოვნებდა. მაგრამ კვლავ დამარცხდა. არ დაღუპა ღმერთმა თავისი ცოდვილი ხალხი. სატანის ჯიუტი მიმდევარნი კი განადგურებულ იქნენ. ხალხმა მოინანია დანაშაული და მოწყალე უფალმაც მიუტევა. ამ დანაშაულის ისტორია მარადიული მოწმობაა იმისა, რომ კერპთაყვანისმცემლობა ყოველთვის დაისჯება, უფლის გულმოწყალება და სამართლიანობა კი გაიმარჯვებს.

მთელი სამყარო ადევნებდა თვალყურს მოვლენებს, რომელიც სინაის მთასთან ხდებოდა. ორი მოწინააღმდეგე ძალის

შეჭიდებამ გამოავლინა სხვაობა ღმერთისა და სატანის მმართველობას შორის. კვლავ იხილა ზეციურმა, უცოდველმა სამყარომ სატანის განდგომილების შედეგი და მიხვდა, თუ რა საშინელი იქნებოდა სატანის მმართველობა, რომლის დაფუძნებაც მას ზეცაში სურდა.

მეორე მცნების უარყოფის შთაგონებით სატანა ამცირებდა შემეცნებას უფლის ღვთიურ არსზე. მეოთხე მცნების უარყოფით კი ცდილობდა, საერთოდ დაევიწყებინა მათთვის უზენაესი. უფალს სურდა, ადამიანებს წარმართთა ყველა ღმერთზე მაღლა აეწიათ მისი ავტორიტეტი, მისთვის მიეგოთ პატივი და ემსახურათ, რადგან ისაა შემოქმედი და ყველა დანარჩენი არსება კი - მისი შექმნილი. ამას მოწმობს ბიბლია; იერემია წინასწარმეტყველი ამბობს: "უფალი კი ჭეშმარიტი ღმერთია; ის არის ცოცხალი ღმერთი და მარადიული მეფე. ...ღმერთი, რომელსაც არ შეუქმნია ცა და ქვეყანა, აღიგვება ქვეყნიდან და ამ ცისქვეშეთიდან. ვინც თავისი ძალით შექმნა ქვეყანა, თავისი სიბრძნით დაამყარა სამყარო, განართხა ცანი თავისი გონებით". "ცოდნისგან გაბრიყვდა ადამიანი, თავს ირცხვენს მდნობელი თავისი კერპით, რადგან სიცრუეა მისი ქანდაკი, სული არ უდგას. არარაობაა ისინი, დაცინვის საგანი, აღიგვებიან მათი განკითხვის დღეს. ასე არ არის იაკობის წილხვედრი, რადგან მისი ნასახია ყველაფერი და ისრაელი მისი სამკვიდროს შტოა. ცაბაოთ უფალია მისი სახელი" /იერ. 10:10-12; 14-16/.

შაბათი ნიშანია ღვთიური შემოქმედების ძალისა და მიგვანიშნებს მასზე,

[336]

როგორც ცისა და მიწის შემქმნელზე. მაშასადამე, შაბათი მისი არსებობის, დიდების, სიბრძნისა და სიყვარულის მარადიული ნიშანია. ადამიანები რომ სათანადოდ აფასებდნენ და იცავდნენ ამ წმიდა დღეს, მსოფლიოში არც ერთი ათეისტი ან კერპთაყვანისმცემელი არ იარსებებდა.

შაბათის მცნება უძველესი დროიდან, ედემიდან მოდის. ყველა პატრიარქი იცავდა მას. ეგვიპტის ტყვეობაში ყოფნისას ზედამხედველნი აიძულებდნენ ებრაელთ, დაერღვიათ შაბათი, რის გამოც თანდათანობით დაკარგეს მათ შემეცნება მისი სიწმიდის შესახებ. სინაის მთაზე გამოცხადებული რჯულის მეოთხე მცნების პირველივე სიტყვები: "გახსოვდეს შაბათი დღე, რომ წმიდა ჰყო იგი...", იმაზე მიუთითებდა, რომ ეს დღე დიდი ხნით ადრე, თავისი შემოქმედების დღეებში დაადგინა უფალმა. ამ დღის გაუქმებით ცდილობდა სატანა, დაევიწყებინა ღმერთი ადამიანებისათვის. მაშინ მტრის ძალას წინ ვეღარ აღუდგებოდნენ და სატანის ნადავლად იქცეოდნენ.

თითოეულ პრინციპს უფლის ათი მცნებიდან სასტიკად ებრძვის სატანა. ღვთისადმი, კაცობრიობის მამისადმი, სიყვარულისა და ერთგულების პრინციპებთან მჭიდროდაა დაკავშირებული მშობლებისადმი შვილების სიყვარულისა და მორჩილების მცნება. მშობლის ავტორიტეტისადმი უპატივცემულობას აუცილებლად ღვთის ავტორიტეტის უარყოფამდე მივყავართ. ამიტომ სატანა მთელი ძალისხმევით ახშობს მეხუთე მცნების მიმართ მოვალეობის გრძნობას. წარმართნი ნაკლებად აქცევდნენ ყურადღებას ამ საკითხს. მრავალი წარმართი ტომის წეს-ჩვეულების თანახმად, ხანდაზმულ მშობლებს, რომელთაც თავის რჩენა უკვე აღარ შეეძლოთ, კლავდნენ ან უპატრონოდ ტოვებდნენ. დედას ოჯახში უპატივცემულოდ ეპყრობოდნენ და ქმრის სიკვდილის შემთხვევაში იგი თავისი უფროსი ვაჟის ხელქვეითი ხდებოდა. მშობლებისადმი შვილების მორჩილება მოსეს მიერ იქნა დაკანონებული, მაგრამ, როცა ისრაელიანებმა ღმერთი დაივიწყეს, ეს მცნებაც უარყვეს.

სატანა "კაცის მკვლელი იყო თავიდან" /იოან. 8:44/ და როგორც კი კაცობრიობაზე ხელმწიფება მოიპოვა, არა მხოლოდ სიძულვილისა და ერთმანეთის მკვლელობისაკენ აქეზებდა მათ, რათა უფრო მეტი სისასტიკით გაეთელა ღმერთის ავტორიტეტი, არამედ მეექვსე მცნების დარღვევა მათი საკუთარი რელიგიის ნაწილად აქცია.

ღმერთის არსზე დამახინჯებულმა წარმოდგენამ დაარწმუნა წარმართნი, რომ ღვთაების წყალობის მოსაპოვებლად საჭიროა ადამიანის მსხვერპლად შეწირვა და ამის შედეგად, მრავალი საშინელი დანაშაული ხდებოდა კერპთაყვანისმცემლობის საფარველქვეშ. განსაკუთრებით მტკიცედ იყო დაკანონებული კერპთა წინაშე ბავშვების ცეცხლში გატარების ტრადიცია. როცა ამ საშინელი რიტუალის აღსრულებისას ბავშვი ცეცხლიდან უვნებლად გამოჰყავდათ, ხალხს სჯეროდა, რომ კერპმა მიიღო მათი მსხვერპლშეწირვა, ხოლო ასეთ ბავშვს ღმერთების განსაკუთრებული წყალობის საგნად თვლიდნენ, უხვად ასაჩუქრებდნენ და განსაკუთრებული პატივით ეპყრობოდნენ; შემდგომში კი მის ყოველნაირ დანაშაულს დაუსჯელად ტოვებდნენ. მაგრამ, თუკი რომელიმე ბავშვი ცეცხლში გატარებისას მცირე დამწვრობას მაინც მიიღებდა, მისი ბედი გადაწყვეტილი იყო. ხალხს სჯეროდა, რომ ასეთ შემთხვევაში ამ უბედურის მსხვერპლად შეწირვა ღმერთების რისხვას ააცილებდა მათ თავიდან და, რა თქმა უნდა, ასეც იქცეოდნენ. უდიდესი განდგომილების პერიოდში მსგავსი სისაძაგლეები, ამა თუ იმ ფორმით, ისრაელიანთა შორისაც ხდებოდა.

მეშვიდე მცნებაც რელიგიის სახელით ირღვეოდა. წარმართთა რელიგია ძირითადად საზიზღარ, უზნეო წეს-ჩვეულებებზე იყო დაფუძნებული. ღმერთები, რომლებსაც ისინი ემსახურებოდნენ, მანკიერ არსებებად ჰყავდათ გამოსახული

[337]

[338]

და მათი თაყვანისმცემლებიც მდაბალ, უწმიდურ ვნებებს ეძლეოდნენ. ინერგებოდა საშინელი მანკიერებანი და რელიგიური დღესასწაულები დაუფარავი, საყოველთაო აღვირახსნილობით გამოირჩეოდა.

მრავალცოლიანობა კაცობრიობის ისტორიის ადრეულ ეტაპზე იქნა შემოღებული, რაც წარღვნამდელ წუთისოფელზე ღვთის რისხვის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო. მაგრამ წარღვნის შემდეგაც ფართოდ გავრცელდა ეს ურჯულოება. სატანამ განსაკუთრებული ძალისხმევა გამოავლინა ქორწინების გაუფასურებისათვის, მისი დანიშნულების შესუსტებისა და გაუწმიდურებისათვის; რადგან არ არსებობს სხვა, უკეთესი ხერხი ადამიანში ღვთიური ხატების დამახინჯებისათვის, ტანჯვისა და მანკიერებისათვის გზის გასახსნელად.

დიადი ბრძოლის დასაწყისიდანვე სატანა მუდამ ცდილობდა, ცრუდ წარმოესახა უფლის ხასიათი, აეჯანყებინა ხალხი მისი რჯულის წინააღმდეგ და ყოველი მისი მცდელობა, თითქოსდა, წარმატებით მთავრდებოდა. დღესაც ბევრი უსმენს მას და

ღვთის წინააღმდეგ ილაშქრებს. მაგრამ ამ ბოროტების ატმოსფეროში უფლის ჩანაფიქრი მტკიცედ უახლოვდება თავის დასასრულს. მის მიერ შექმნილი ყოველი გონიერი არსების მიმართ უფალი სამართლიანი და კეთილია. სატანის ცდუნების წყალობით მთელმა კაცობრიობამ დაარღვია უფლის მცნებები, მაგრამ მისი ძის მსხვერპლის მეშვეობით გაიხსნა უფალთან დაბრუნების გზა. ქრისტეს მადლის წყალობით ადამიანს კვლავაც შეუძლია, დაემორჩილოს ზეციერი მამის რჯულს. ამგვარად, სულიერი წყვდიადით მოცულ ყოველ საუკუნეში უფალი კრებს თავის ერთგულ შვილებს - ხალხს, რომელსაც მისი რჯული გულში აქვს ამოკვეთილი /ეს. 51:7/.

ზეციური ანგელოზებიც თავისი სიცრუით აცდუნა სატანამ. ასე მოქმედებდა იგი ყოველთვის და ასე იმოქმედებს მომავალშიც. მას რომ გახსნილად ეომა ღმერთისა და მისი რჯულის წინააღმდეგ, ადამიანები არ წამოეგებოდნენ მის ანკესზე, მაგრამ სიცრუისა და სიმართლის აღრევით ინიღბება იგი. ყველაზე საშიში სიცრუე სიმართლეში შერეული ტყუილია. და ადამიანებიც ღებულობენ მას, რაც ასე ამონებს და ანადგურებს ადამიანის სულს. ასე ღუპავს სატანა მთელ წუთისოფელს. მაგრამ დადგება მომენტი, როცა მის ზეიმს სამუდამოდ მოეღება ბოლო.

მაშინ უფალი სრულად ამხილებს სატანის ხრიკებს, რომელთაც ამდენი ხნის განმავლობაში ასე ოსტატურად ნიღბავდა

მაცდური. სატანის მმართველობის შედეგები - ღვთიურ დადგენილებათა გაუქმების ნაყოფი - გაცხადებულ იქნება მთელი სამყაროს წინაშე. უფლის რჯულის მიმართ სამართლიანობა აღდგება. ყველა დარწმუნდება, რომ ღმერთის ყველა ქმედება მხოლოდ მისი ხალხისა და მთელი სამყაროს კეთილდღეობისაკენ იყო გამიზნული. თავად სატანა აღიარებს უფლის რჯულის სიმართლეს და მისი მმართველობის სამართლიანობას.

ახლოვდება დრო, როცა აღდგება უფალი თავისი გათელილი რჯულის ავტორიტეტის აღსადგენად. "რადგან, აჰა, უფალი გამოდის თავისი ადგილიდან ქვეყნის მკვიდრთა დასასჯელად მათი ცოდვისთვის" /ეს. 26:21/. "ვინ აიტანს მისი მოსვლის დღეს და ვინ გაუძლებს მის გამოცხადებას?" /მალ. 3:2/. ისრაელიანთ თავიანთი ცოდვების გამო არ მიეცათ მთასთან მიახლოების ნება, როცა ღმერთი თავისი წმიდა რჯულის გამოსაცხადებლად უნდა ჩამოსულიყო იქ, რადგან მისი დიდების წმიდა ბრწყინვალებას ვერ გაუძლებდა ხალხი. და, თუკი რჯულის გამოცხადების ადგილას ასეთი ძლიერებით გამოვლინდა მისი დიდება, რა საშინელი იქნება მისი სამსჯავრო, როცა თავისი წმიდა აღთქმის აღსასრულებლად მოვა იგი! როგორ გაუძლებენ შურისგების ამ უკანასკნელ დიდებულ დღეს მისი ხელმწიფების აბუჩად ამგდებნი? სინაის მთასთან განცდილი

[339]

შიშით საბოლოო სამსჯავროს სცენები უნდა წარმოედგინა ხალხს. საყვირის ხმა ისრაელიანებს უფალთან შესახვედრად იხმობდა. მთავარანგელოზისა და ღვთის საყვირის ხმა შეკრებს ცოცხლებსა და მიცვალებულთ მთელი დედამიწის ზურგზე მსაჯულის წინაშე წარსადგომად. ურიცხვ ანგელოზთა თანხლებით ჩამოვლენ მთაზე მამა და ძე. უკანასკნელი სამსჯავროს დღეს "მოვა კაცის ძე თავისი მამის დიდებით, თავის ანგელოზებთან ერთად" /მათ. 16:27/. მაშინ დაჯდება ქრისტე თავისი დიდების ტახტზე და შეიკრიბება მის წინაშე ყველა ხალხი.

შემჭმელ ცეცხლად მოევლინა ისრაელიანებს ღვთიური დიდება სინაის მთაზე. ხოლო როცა ქრისტე გამოჩნდება დიდებითა და უთვალავი ზეციური მხედრობის თანხლებით, საოცარი, გაუსაძლისი შუქით გაბრწყინდება მთელი დედამიწა. "მოვა ჩვენი ღმერთი და ნუმც დადუმდება; მის წინაშე მწველი ცეცხლია და მის ირგვლივ - ძლიერი ქარიშხალი. გამოიძახებს ცას ზევიდან და დედამიწას თავისი ხალხის სამსჯავროზე" /ფს. 49:3, 4/. ცეცხლოვანი მდინა-რე იდინებს მის წინ და გაანადგურებს ყველაფერს ცოცხალს; მთელი დედამიწა და საქმეები, რაც მასზეა, გადაიბუგება. "უფალი იესო გამოცხადდება ციდან, თავისი ძალის ანგელოზებითურთ, რომელიც ცეცხლის ალით იძიებს შურს მათზე, ვინც არ შეიცნო

ღმერთი და არ ემორჩილება უფალ იესოს სახარებას" /2 თეს. 1:7,8/.

თავისი შექმნის დღეებიდან დღემდე ადამიანს არასოდეს უხილავს ღვთიური ძლიერების ასეთი საოცარი გამოვლენა, როგორც იქ, სინაის მთასთან, უფლის რჯულის გამოცხადებისას. "დედამიწა შეირყა, ცანიც კი წვეთავდნენ ღმერთის პირისაგან; ეს სინაიც - ღმერთის პირისაგან, ისრაელის ღმერთისა" /ფს. 67:9/. ბუნების ძალთა საშინელ რყევაში, ღრუბლებიდან, საყვირის მსგავსად ისმოდა ღმერთის ხმა. მთელი მთა, ძირიდან მწვერვალამდე, საშინლად ირყეოდა და გაფითრებული, შიშისაგან თავზარდაცემული ისრაელიანნი მიწას განერთხნენ მის წინაშე. "კიდევ ერთხელ შევძრავ არა მარტო დედამიწას, არამედ ცასაც" /ებრ. 12:26/, გამოაცხადა მან, ვინც ასე შეარყია მთელი დედამიწა. წმიდა წერილი გვამცნობს: "ზეგარდმო იგრგვინვებს უფალი და თავისი წმიდა სადგომიდან მოიღებს ხმას"; "შეირყევა ცა და მიწა" /იერ. 25:30; იოვ. 3:16/. იმ დიდებულ დღეს ზეცა გაუჩინარდება "დაგრაგნილი წიგნივით" /გამოცხ. 6:14/. ყოველი მთა და კუნძული დაიძვრის თავისი ადგილიდან. "მთვრალივით ბარბაცებს დედამიწა და ხუხულასავით ირყევა; ცოდვამ დაამძიმა, დაეცა და ვეღარ დგება" /ეს. 24:20/.

"ამიტომაც დაუძლურდა ყოველი მკლავი და ყოველი კაცის გული შემდრკალია. შიშის ზარი აქვთ, კრუნჩხვებმა და

ტკივილებმა შეიპყრეს". "მოვკითხავ ქვეყნიერებას მის სიავეს და ბოროტეულთ - მათ დანაშაულს, - ამბობს უფალი, - ბოლოს მოვუღებ ამპარტავანთა ქედმაღლობას და მტარვალთა სიამაყეს დავამდაბლებ" /ეს. 13:7, 8, 11; იერ. 30:6/.

მთიდან ჩამოსულ მოსეს, რომელსაც ხელთ აღთქმის ფიქალები ეპყრა, თვალი ვერ გაუსწორეს ისრაელიანებმა. ცოდვილმა ხალხმა ვერ გაუძლო მის სახეზე დავანებულ ღვთიურ ნათელს. მით უმეტეს ვერ შეხედავენ უწმიდურნი უფლის ძეს, როცა მოვა მამის დიდებით და მთელი ზეციური მხედრობის თანხლებით, რათა განსაჯოს მისი მცნებების დამრღვევნი და მისი შემორიგების უარმყოფელნი. "დედამიწის მეფეები და მთავრები, ათასისთავები, მდიდრები და ძლიერები, ყოველი მონა და თავისუფალი მიიმალნენ მღვიმეებსა და მთის გამოქვაბულებში. უთხრეს მთებსა და კლდეებს: ზედ დაგვეცით და დაგვმალეთ ტახტზე მჯდომარის პირისაგან და კრავის რისხვისაგან. ვინაიდან მოვიდა მათი დიდი რისხვის დღე და ვინ გაუძლებს?" /გამოცხ. 6:15-17/. "იმ დღეს კაცი

[340]

[341]

თხუნელებსა და ღამურებს გადაუყრის თავის ვერცხლის კერპებს და თავის ოქროს კერპებს... რათა კლდეთა მღვიმეებში და პიტალოთა ბზარებში დაემალოს უფლის ზარტეხილს და მისი სიდიდის ელვარებას, როცა ქვეყნის შესაზარად შეიმართება" /ეს. 2:20,21/.

მაშინ იხილავს ყოველი თვალი, რომ სატანის ამბოხება ღმერთის წინააღმდეგ მისი და იმ ადამიანთა დაღუპვით დამთავრდა, რომელნიც ნებაყოფლობით დაემორჩილნენ მას. მუდამ არწმუნებდა მაცდური ხალხს, რომ არაფერი დააკლდებათ მათ ღმერთის რჯულის დარღვევით, მაგრამ მაშინ მიხვდებიან, რომ "ცოდვის საზღაური სიკვდილია" /რომ. 6:23/. "რადგან, აჰა, მოდის დღე, თონესავით ავარვარებული და ყველა ავისმოქმედი და ამპარტავანი ჩალა იქნება და გადაბუგავს მათ მომავალი დღე, ამბობს ცაბაოთ უფალი; ისე, რომ არ შეარჩენს არც ძირს და არც რტოს" /მალ. 4:1/. ცოდვის ფესვი - სატანა და რტოები - ყველა უწმიდური, სრულად განადგურდება. ბოლო მოეღება ცოდვას და მის ნაყოფს: ყოველგვარ უბედურებას და მწუხარებას. მეფსალმუნე ამბობს: "შენ... მოსპე ბოროტი, მათი სახელი ამოშალე უკუნითი უკუნისამდე. ...მათთან ერთად მოისპო მათი ხსენება" /ფს. 9:6,7/.

მაგრამ ღვთიური სამსჯავროს ქარიშხალს არ შეუშინდებიან ღვთის შვილნი. "უფალი დაიცავს თავის ერს და დაიფარავს ისრაელიანებს" /იოვ. 3:16/. დღე, რომელიც ღვთის მცნებათა

დამრღვევთ დაღუპვას და განადგურებას მოუტანს, ღვთის მორჩილთათვის უსასრულო სიხარულისა და დიდების დღე იქნება. "შემოიკრიბეთ ჩემი წმიდანები, - ბრძანებს უფალი, - რომელთაც აღთქმა დადეს ჩემთან შესაწირავზე. და წარმოთქვამენ ცანი მის სიმართლეს, რადგან ღმერთია მსაჯული იგი" /ფს. 49:5,6/.

"კვლავ განარჩევთ მართალსა და ბოროტეულს, ღვთის მორჩილსა და მის ურჩს" /მალ. 3:18/. "მისმინეთ, სიმართლის მცოდნენო, ხალხო, ვისაც გულში გაქვთ ჩემი რჯული!" "აჰა, გართმევ შენი ხელიდან სიბრუვის თასს, ფიალას, თასს ჩემი რისხვისა, რომ მეტჯერ აღარ შესვა იგი". "მე ვარ, მე, თქვენი ნუგეშისმცემელი" /ეს. 51:7,12,22/. "მთები შეიძვრებიან და ბორცვები შეირყევიან, ჩემი შენდამი წყალობა კი არ შეიძვრის და ჩემი სამშვიდობო აღთქმა არ შეირყევა, ამბობს შენი მწყალობელი უფალი" /ეს. 54:10/.

გადარჩენის დიადი გეგმა დედამიწისადმი უფლის კეთილგანწყობის სრულად დაბრუნებით მთავრდება. აღდგება ყველაფერი, რაც ცოდვის გამო დაკარგა კაცობრიობამ. არა მხოლოდ ადამიანს, არამედ დედამიწასაც გამოისყიდის უფალი, რათა სამარადისო მემკვიდრეობად გადასცეს თავის მორჩილთ. ექვსი ათასი წლის განმავლობაში იბრძოდა სატანა ამ მიწის მფლობელობისათვის. ახლა აღსრულდება უზენაესის თავდაპირველი ჩანაფიქრი: "შემდეგ უზენაესის წმიდანები

მიიღებენ სამეფოს და უკუნითი უკუნისამდე იმეფებენ ამ სამეფოზე" /დან. 7:18/.

"მზის აღსავლიდან დასავალამდე განდიდებულია სახელი უფლისა" /ფს. 112:3/. "იქნება უფალი მეფედ მთელს ქვეყანაზე; იმ დღეს ერთი იქნება უფალი და მისი სახელიც ერთი იქნება" /ზაქ. 14:9/. წმიდა წერილი ამბობს: "უკუნისამდეა, უფალო, შენი სიტყვა დაფუძნებული ზეცაში". "სარწმუნოა ყველა მცნება მისი. იმედნეულნი არიან უკუნითი უკუნისამდე, დაფუძნებულნი ჭეშმარიტებასა და სისწორეზე" /ფს. 118:89; 110:7,8/. წმიდა მცნებები, რომლებიც ასე შეიძულა სატანამ და რომელთა განადგურებაც გადაწყვიტა, კვლავ განდიდდება უცოდველ სამყაროში. "რადგან როგორც მიწა აღმოაცენებს თავის ამონაზარდს და ბაღი ამოზრდის თავის დანათესს, ასევე უფალი ღმერთი ამოზრდის სიმართლეს და სადიდებელს ყოველი ხალხის წინაშე! /ეს. 61:11/.

[342]

თავი 30 - კარავი და მასში მსახურება

გამოსვლა 25-40; ლევიანნი 4; 16

როცა მოსე მთაზე ავიდა, ბრძანება მიიღო უფლისაგან: "გამიკეთონ საწმიდარი, რომ დავივანო მათ შორის"; ამასთან ერთად უფალმა დაწვრილებით აღუწერა მას, თუ როგორი საწმიდარი უნდა აეგოთ მისთვის. განდგომის გამო ისრაელმა დაკარგა მათთან უფლის ყოფნის კურთხევა და საწმიდრის აგებაც ერთხანს თითქმის შეუძლებელი აღმოჩნდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ისრაელიანებმა კვლავ პოვეს ზეცის კეთილგანწყობა, მათი უდიდესი წინამძღოლი ღვთიური ბრძანების აღსრულებას შეუდგა.

ამ წმიდა ნაგებობის მშენებლობისათვის უფალმა უჩვეულო ოსტატობითა და სიბრძნით დააჯილდოვა ამ საქმისათვის რჩეულნი. თავად უფალმა მისცა მოსეს კარვის აგების გეგმა ზუსტი ზომებითა და ფორმით, საჭირო მასალითა და ნივთებით მის მოსაწყობად. ხელთქმნილი საწმიდარი - "ზეციურის", "ჭეშმარიტის წინასახე" /ებრ. 9:23,24/ - მცირე ასლია ზეციური ტაძრისა, სადაც ჩვენს უდიდეს მღვდელმთავარს, ქრისტეს, საკუთარი თავის მსხვერპლად გაღების შემდგომ, უნდა ემსახურა ცოდვილთათვის. უფალმა უჩვენა მოსეს ზეციური საწმიდარი და უბრძანა, აეგო მისი მსგავსი დედამიწაზე. გულმოდგინედ ჩაიწერა მოსემ ყველა ეს მითითება და ხალხის წინამძღვრებს გადასცა.

საწმიდრის აგება დიდ მოსამზადებელ სამუშაოებს საჭიროებდა. ურიცხვი ძვირფასი მასალისა და ქვების შეგროვება იყო საჭირო, მაგრამ უფალს მხოლოდ წრფელი გულით გაღებული

შესაწირავი სურდა. "ყველასგან, ვისაც გული უთქვამს, ამიკრიფეთ შესაწირავი", - ბრძანა უფალმა. მოსემაც მთელ საკრებულოს გაუმეორა იგი. ღვთისადმი ერთგულება და გულწრფელი შესაწირავი - აი, უპირველესი მოთხოვნა უზენაესის სავანის აგებისათვის მომზადებაში.

მთელმა ხალხმა მზადყოფნით უპასუხა უფლის მოთხოვნას. "მივიდნენ სათითაოდ, ვისაც კი გულმა გაუწია და ვინც კი სულით აღიძრა და მიიტანეს საუფლო ძღვენი სადღესასწაულო კარვის მოსაწყობად, მისი ყოველი საჭიროებისათვის და წმიდა შესამოსელისთვის. მიდიოდნენ მამაკაცები და დედაკაცები, გულუხვობით მიჰქონდათ დასამშვენებელი რგოლები, საყურეები, ბეჭდები, ყელსაბამები, ყოველგვარი ოქროს ნივთი; თითოეულს თავისი წილი შესაწირავი ოქრო მიჰქონდა უფლისათვის".

"ყველას მოჰქონდა, ვისაც კი მოეპოვებოდა ლურჯი, ძოწეული, ჭიაფერის ნართი და ბისონი, თხისური, წითლად შეღებილი თხის ტყავები და თახაშის ტყავები; ყველას, ვისაც კი სურდა ვერცხლისა და სპილენძის ძღვნად მიტანა, მოჰქონდა ძღვნად უფლისათვის; ყველას, ვისაც კი მოეპოვებოდა ურთხელის ძელები რაიმე საქმისათვის გამოსაყენებლად, მოჰქონდა.

ყველა მარჯვე დედაკაცს, ვისაც კი ნართის რთვა შეეძლო თავისი ხელით, მოჰქონდა ლურჯი, მეწამული და ჭიაფერის ნართი და

ბისონი. ყველა დედაკაცი, ვისაც კი გული უწევდა და გაწაფული იყო ართავდა თხისურს.

თავკაცებს მოჰქონდათ ონიქსის თვლები და ეფოდისა და სამკერდულის მოსაოჭავი თვლები, ნელსურნელება, ზეთი გასანათებლად, მირონისთვის და სურნელოვანი საკმევლისათვის" /გამ. 35:23-28/.

მშენებლობის პროცესში მთელ ხალხს, მოხუცსა თუ ახალგაზრდას, კაცსა თუ ქალს, ბავშვებს და, საერთოდ, ყველას, განუწყვეტლივ მოჰქონდა ძღვენი, სანამ ამ საქმის ხელმძღვანელებმა არ განაცხადეს, რომ შემონაწირი საკმარისია და საჭიროზე უფრო მეტიც. მაშინ მოსემ მთელ ბანაკს გამოუცხადა: "ნურც

[343]

[344]

მამაკაცი, ნურც დედაკაცი ნუღარაფერს გაამზადებს საწმიდარისთვის შესაწირავად. შეწყვიტა ხალხმაც მოტანა".

ისრაელიანთა ჩივილი და ცოდვების გამო მათ თავზე დატეხილი ღვთის რისხვა აღნუსხულია და ჩაწერილი, როგორც გაფრთხილე -ბა მთელი მომავალი თაობებისათვის. მათი ერთგულება, გულმოდგინება, უხვი შესაწირავი კი მისაბაძი მაგალითია. უფლის ყოველი ერთგული თაყვანისმცემელი, ვისთვისაც ძვირფასია მისი ყოველი კურთხევა, ასეთივე უხვ შესაწირავს გაიღებს იმ სახლის აღმშენებლობისათვის, სადაც უზენაესი ხვდება თავის ხალხს. ყველაზე ძვირფას ძღვენს მიუტანენ ისინი უფალს. უფლისთვის აგებული სახლი ვალად აღებული სახსრებით არ უნდა აიგოს, რადგან ეს შეურაცხყოფს მის წმიდა სახელს. ყველაფერი, რაც ღვთის სახლის აღმშენებლობისთვისაა სა-ჭირო, გულწრფელად უნდა გაიღოს ხალხმა, რათა ტაძრის მშენებელთა მსგავსად ითქვას: "ნურავინ ნუღარაფერს გაამზადებს საწმიდარისთვის შესაწირავად".

საწმიდარი იმგვარად იყო აგებული, რომ შესაძლებელი იყო მისი დაშლა და მოგზაურობისას მისი ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა. ამიტომ მისი სიმაღლე 18 და სიგრძე - 55 ფუტზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. მიუხედავად ამისა, მშვენიერი ნაგებობა იყო. მისი მშენებლობისა და მისთვის საჭირო საგნების დასამზადებლად ურთხელის /აკაციის/ ხის მასალას იყენებდნენ, რომელიც სინაის ხე-მცენარეთა შორის ყველაზე გამძლე იყო. კარვის კედლები შვეული ფიცრებით იყო ნაგები, ვერცხლის ბუდეებში ჩასმული და ვერცხლისავე რგოლებით ძელებს მიმაგრებული. ყოველივე ეს ოქროთი იყო დაფერილი და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მთელი ნაგებობა ოქროს ზოდებისგან იყო აგებული. საწმიდრის

სახურავი ოთხმაგი სხვადასხვა ფერის ქსოვილისაგან იყო დამზადებული, რომლის ქვედა ნაწილი "გრეხილი სელის, ლურჯი, ძოწეული და ჭიაფერი ქსოვილისაგან", ოსტატურად ამოქარგული ქერუბიმებით იყო დამშვენებული, დანარჩენი სამი ფენა კი თხისურით, დათრიმლული ტყავებით და თახაშის ტყავებით ისე იყო გაწყობილი, რომ წყალი არ გაეტარებინა.

საწმიდრის ორ განყოფილებას ერთურთისაგან მოოქროვილ სვეტებზე ჩამოკიდებული დიდებული კრეტსაბმელი ჰყოფდა. ასეთივე ფარდა ფარავდა პირველი განყოფილების შესასვლელს. ეს ფარდები, კარვის ჭერის შიგნითა ფენის მსგავსად, სხვადასხვა დიდებული ფერის ქსოვილისგან იყო დამზადებული, რომლებზედაც ოქროსა და ვერცხლის ძაფებით ამოქარგული იყო ზეციურ საწმიდარში მომსახურე ანგელოზთა მხედრობის წარმომადგენელი ქერუბიმები, რომლებიც ღვთის ხალხის "მომსახურე სულები" არიან დედამიწაზე.

ღია სივრცეს წმიდა კარვის ირგვლივ ეზო ეწოდებოდა, იგი გარშემორტყმული იყო სპილენძის სვეტებზე მიმაგრებული გრეხილი სელის ფარდებით. შესასვლელი აღმოსავლეთიდან ჰქონდა, რომელსაც ძვირფასი ქსოვილის ჩინებული ფარდა ფარავდა, თუმცა დიდებულებით საწმიდრის ფარდებს ვერ შეედრებოდა. ეზოს ფარდები საწმიდრის კედლების მხოლოდ ნახევარს ფარავდა, ამიტომ კარგად მოჩანდა იგი გარედან. ეზოს შესასვლელთან სპილენძის სამსხვერპლო იდგა

სრულადდასაწველი მსხვერპლისათვის. უფლის ყველა შესაწირავს მასზე წვავდნენ, მის რქებს კი გამომსყიდველ სისხლს ასხურებდნენ. საწმიდრის შესასვლელსა და სამსხვერპლოს შორის იდგა ებრაელ ქალთა მიერ გაღებული სარკეებისაგან დამზადებული სპილენძის საბანელი. მასში ხელებს და ფეხებს იბანდნენ მღვდელ-მსახურნი საწმიდარში შესვლამდე ან ვიდრე სამსხვერპლოს მიუახლოვდებოდნენ მასზე სრულადდასაწველის აღსავლენად.

საწმიდრის პირველ განყოფილებაში იდგა ტაბლა საწინაშეო პურისათვის, სასანთლე და საკმევლის სამსხვერპლო. ტაბლა კარვის ჩრდილოეთ მხარეს იდგა. ტაბლაც და მისი ჩუქურთმიანი გვირგვინიც ხალასი ოქროთი იყო დაფერილი. ყოველ შაბათს ამ ტაბლაზე მღვდლები ორ წყებად აწყობდნენ

[345]

[348]

გუნდრუკთან ერთად ნაპკურებ თორმეტ პურს. ტაბლიდან აღებული პური წმიდად ითვლებოდა და მისი შეჭმა მხოლოდ მღვდლებს შეეძლოთ. სამხრეთით შვიდკანდელიანი სასანთლე

იდგა, რომელსაც შროშანის მსგავსი, ოსტატურად ამოკვეთილი ყვავილები ამშვენებდა. სასანთლე მთლიანი ოქროს ზოდისგან იყო დამზადებული. ვინაიდან კარავს სარკმელი არ ჰქონდა, სასანთლე მუდამ ანთებული უნდა ყოფილიყო, დღითაც და ღამითაც. წმიდას და წმიდათა წმიდას - სადაც უშუალოდ ივანებდა უფალი - გამყოფი ფარდა მიჯნავდა. ფარდის წინ იდგა ოქროს სამსხვერპლო საკმევლისათვის. იქ მღვდელს დილას და საღამოს საკმეველი უნდა ეკმია; სამსხვერპლოს რქებს ცოდვისათვის შეწირული მსხვერპლის სისხლს სცხებდნენ, ხოლო მიტევების დიად დღეს სამსხვერპლოს სისხლით აპკურებდნენ. სამსხვერპლოზე თავად უფლის ხელით დანთებული ცეცხლი ენთო და მას დიდად უფრთხილდებოდნენ. მთელი დღე-ღამის განმავლობაში მთელ საწმიდარში და მის გარშემოც საკმევლის წმიდა სურნელება იდგა.

შიგა ფარდის მიღმა იყო მეორე განყოფილება - წმიდათა წმიდა, შემორიგებისა და შუამდგომლობის სიმბოლური მსახურების ადგილი - ზეცისა და დედამიწის დამაკავშირებელი რგოლი. აქ იდგა ურთხელისგან დამზადებული აღთქმის კიდობანი, რომელიც შიგნიდან და გარედან ოქროთი იყო დაფარული, ზემოდან კი ოქროს გვირგვინი ჰქონდა შემოვლებული. აქ ინახებოდა ქვის ფიქალები, რომლებზედაც უფალმა თავისი მარჯვენით ამოკვეთა ათი მცნება. ამიტომ ეწოდა მას უფლის გამოცხადების, ანუ უფლის აღთქმის კიდობანი, ვინაიდან ღმერთსა და ისრაელს შორის დადებული აღთქმის საფუძველი ათი მცნება იყო.

მადლის ტახტს ზემოთ, ორ ქერუბიმს შორის აცხადებდა უფალი თავის ნებას. ზოგჯერ უფალი მღვდელმთავარს ღრუბლიდან ელაპარაკებოდა. ზოგჯერ ზეციური შუქი მარჯვნივ მდგომ ქერუბიმს ეცემოდა, ეს მოწონებას ანუ მიღებას ნიშნავდა. ხოლო, როცა მარცხნივ მდგომ ქერუბიმს ჩრდილი ან ღრუბელი დაფარავდა, ეს უარყოფას ან დაგმობას მოასწავებდა.

კიდობანში ჩადებული უფლის რჯული სიმართლისა და სამართლიანობის უდიდეს საზომს წარმოადგენდა. რჯული სიკვდილს უცხადებდა ცოდვილს, მაგრამ იქ, კიდობნის მაღლა, მადლის ტახტთან, უფლის დიდების სავანიდან, მიტევება ეძლეოდა მომნანიებელ ცოდვილს. ამგვარად, ჩვენი გამოსყიდვისათვის ქრისტეს მსახურებაში, რაც სიმბოლურად საწმიდარში მსახურებითაა წარმოდგენილი, წყალობა და ჭეშმარიტება შეხვდნენ ერთმანეთს; სიმართლემ და მშვიდობამ გადაჰკოცნეს ერთიმეორე /იხ. ფს. 84:11/.

სიტყვას არ ძალუძს საწმიდრის შიგა მორთულობის სიდიადის აღწერა: ოქროთი მოპირკეთებული კედლები ოქროს სასანთლის შუქს ირეკლავდა; ბრწყინვალე ქერუბიმებით ამოქარგული დიდებული ფარდები, ტაბლა და ოქროსფრად მოელვარე საკმევლის სამსხვერპლო; ფარდის მიღმა - წმიდა კიდობანი იდუმალი ქერუბიმებით, მის მაღლა კი - იეჰოვას ხილული დიდება, - ყოველივე ეს იყო მხოლოდ სუსტი ანარეკლი უფლის

ზეციური ტაძრისა, რომელიც ადამიანის გადარჩენისათვის მიმდინარე მსახურების ცენტრის წარმოადგენს.

თითქმის ნახევარი წელიწადი დასჭირდა საწმიდრის მშენებლობას. როცა დაამთავრეს, მოსემ მშენებელთა შესრულებული მთელი სამუშაო შეამოწმა, მთაზე ნაჩვენებ ორიგინალს და უფლის მიერ მითითებულ გეგმას შეადარა. "როგორც ნაბრძანები ჰქონდა უფალს, ისე გაუკეთებიათ. და დალოცა ისინი მოსემ" /გამ. 39:43/. შეიკრიბნენ ისრაელიანნი მის გარშემო, რადგან დიდად აინტერესებდათ ამ წმიდა ნაგებობის ხილვა. და იმ დროს, როცა მოწიწებით

[349]

უცქერდნენ ამ დიდებულ სურათს, ღრუბლის სვეტი დაეშვა მასზე და სრულად დაფარა იგი. "და უფლის დიდებამ აავსო სავანე". მოსემაც კი ვერ შეძლო მასში შესვლა ერთხანს, რადგან თავად უფალი იმყოფებოდა იქ. უდიდესი მღელვარებით შესცქეროდა ხალხი ნიშანს, რომელიც მოასწავებდა, რომ უფალმა მოიწონა მათ მიერ შესრულებული საქმე. ერთი ხმამაღალი სიტყვითაც კი არ გამოუთქვამთ ისრაელიანებს თავისი სიხარული; საოცარმა, საზეიმო მოწიწებამ მოიცვა ისინი

მხოლოდ. მარტოოდენ ცრემლებით და მადლიერების გულწრფელი სიტყვებით გამოხატეს გულში ჩაგუბებული სიხარული იმის გამო, რომ ღირსჰყო უფალმა თავისი ერი წმიდა ტაძარში დავანებით.

უფლის ბრძანებით იქნა არჩეული ლევის შტო საწმიდარში მსახურებისათვის. უფრო ძველ ხანაში ყოველი მამაკაცი თავის ოჯახში მღვდელი იყო. აბრაამის დღეებში მღვდლის მოვალეობას ოჯახის უფროსი ვაჟი ასრულებდა, როგორც პირმშო. ახლა პირმშოთა ნაცვლად უფალმა ლევიანთა შტო განაწესა საწმიდარში მსახურებისათვის. დიდი პატივი მიაგო მათ უფალმა ერთგული სამსახურისათვის და კიდევ იმისათვის, რომ ერთგულად აღასრულეს უფლის მიერ გამოტანილი განაჩენი ისრაელიანთა მიმართ მათი განდგომილებისათვის, როცა ოქროს ხბო ჩამოასხეს. და მაინც, მღვდლობის უფლება აარონის ოჯახს დაუტოვეს; მხოლოდ აარონს და მის ვაჟებს ეძლეოდათ უფლება უფლის წინაშე მსახურებისა; ხოლო დანარჩენებს მისი მოდგმიდან საწმიდარში მყოფი საგნების მოვლა-პატრონობა დაევალა. ამავე დროს, ისინი მღვდლებს უნდა დახმარებოდნენ მსახურებისას, მაგრამ არ ჰქონდათ მსხვერპლის შეწირვის, საკმევლის კმევის და გადასაფარებლის გარეშე მყოფი წმიდა საგნების ცქერის უფლება.

მღვდლებს მსახურებისას სპეციალური ტანსაცმელი უნდა სცმოდათ. "გაუწყვე წმიდა შესამოსელი აარონს, შენს ძმას, დიდებისთვის და დასამშვენებლად", - ბრძანა უფალმა. უბრალო

მღვდლის სამოსელი ერთიანი უნდა ყოფილიყო, თეთრი ტილოს მთლიანი ქსოვილისგან, გრძელი კოჭებამდე, სელის სარტყლით, რომელიც ლურჯი, ძოწეული და ჭიაფერი ძაფებით უნდა ყოფილიყო ამოქარგული. ცეცხლმოკიდებულ მაყვლის ბუჩქთან ფეხსამოსის გახდა უბრძანა უფალმა მოსეს, რადგან მიწა, რომელზედაც ის იდგა, წმიდა იყო. ამიტომ მღვდლებს აკრძალული ჰქონდათ საწმიდარში ფეხმოსილი შესვლა, ვინაიდან ფეხსაცმელს მიკრული მტვერი აუწმიდურებდა მას. საწმიდრის ეზოში უნდა დაეტოვებინათ გახდილი ფეხსაცმელი და ხელ-ფეხიც უნდა დაებანათ კარავში მსახურების ან სრულადდასაწველის სამსხვერპლოსთან მისვლის წინ. ეს იყო მუდმივი შეხსენება იმისა, რომ უფლის წინაშე წარდგომის მსურველი ყოველგვარი უწმიდურებისაგან უნდა განიწმიდოს.

მღვდელმთავარს ძვირფასი ქსოვილისგან ოსტატურად შეკერილი სამოსი უნდა სცმოდა თავისი მაღალი თანამდებობის შესაბამისად. უბრალო მღვდლისთვის განკუთვნილი სელის სამოსლის გარდა, იგი ლურჯი, ერთიანი ქსოვილისგან შეკერილ ეფოდის მოსასხამს ატარებდა, რომლის კალთებს ამშვენებდა ლურჯი, ძოწეული და ჭიაფერი ძაფებით ამოქარგული ბროწეულები და ოქროს ეჟვნები. ზემოდან ეცვა ოქროს, ლურჯი, ძოწეული, ჭიაფერი და თეთრი ძაფებისგან ნაქსოვი ეფოდი - მოკლე რიზა, იმავე ფერებით გაწყობილი დიდებული სარტყლით. უსახელო იყო ეფოდი. მის ოქროთი გაწყობილ სამხრეებს ონიქსის ორი თვალი ამშვენებდა, რომლებზედაც ისრაელიანთა თორმეტი ტომის სახელები იყო ამოკვეთილი.

მღვდელმთავრის სამოსლის ყველაზე წმიდა ნაწილი იყო სამკერდული, იმავე ქსოვილისაგან გაწყობილი, რისგანაც - ეფოდი, ოთხკუთხედი, ორკეცი, სიგრძით ერთი მტკაველი, სიგანითაც ერთი მტკაველი, ოქროს რგოლებში გაყრილი ლურჯი ძაფით სამხრეებს მიმაგრებული, სხვადასხვა ძვირფასი ქვებით

[350]

[351]

მოოჭვილი; სწორედ იმ ქვებით, ღვთის ქალაქის თორმეტ საძირკველს რომ შეადგენს. სამკერდულში ჩასმული იყო თორმეტი ძვირფასი ქვა თავისი ოქროს ბუდეებით, რომლებზედაც ისრაელიანთა თორმეტი შტოს სახელი იყო ამოტვიფრული. ბრძანა უფალმა: "თან ატაროს აარონმა ისრაელიანთა სახელები განკითხვის სამკერდულზე, გულთან ახლოს, უფლის წინაშე მუდმივ სამახსოვროდ, როცა საწმიდარში შევა ხოლმე" /გამ. 28:29/. ასევე ქრისტეც, ჩვენი დიდებული მღვდელმთავარი, რომელიც მამის წინაშე საკუთარ სისხლს წარადგენს და ცოდვილთ შუამდგომლობს, გულით ატარებს

თითოეული მომნანიებელი მორწმუნის სახელს. მეფსალმუნე ამბობს: "მე ღარიბ-ღატაკი ვარ; უფალი იზრუნებს ჩემზე" /ფს. 39:18/.

ორი დიდი, ელვარე ქვა იყო ჩადგმული სამკერდულის მარჯვენა და მარცხენა მხარეს - ურიმი და თუმიმი, რომელთა მეშვეობით მღვდელმთავარს უფლის ნების შეცნობა შეეძლო. სხვადასხვა საქმეების ღვთის სამსჯავროზე გამოტანისას მარჯვენა ქვის გარშემო დაცემული სინათლის შარავანდედი უფლის თანხმობას ან მოწონებას ნიშნავდა, ხოლო მარცხენა ქვის ღრუბლით დაფარვა კი - უარყოფას ან გაკიცხვას.

მღვდელმთავრის თეთრი ტილოს თავსაბურველზე ლურჯი ძაფით მიმაგრებულ ოქროს ჯიღაზე ამოტვიფრული იყო წარწერა: "უფლის სიწმიდე". მთელი თავისი გარეგნობითა და საქციელით მღვდლებს ხალხისთვის უნდა დაენახვებინათ უფლისა და მისი მსახურების სიწმიდე, რაც უფლის წინაშე წარმდგარ ყოველ ადამიანს მოეთხოვებოდა.

არა მხოლოდ საწმიდარი, არამედ მღვდელთა მსახურებაც უნდა ყოფილიყო ზეციურის სახე და ჩრდილი /იხ. ებრ. 8:5/. ეს მეტად მნიშვნელოვანი იყო და უფალმა სიმბოლური მსახურების ყოველ პუნქტთან დაკავშირებით ზუსტი და ამომწურავი მითითებები მისცა მოსეს. საწმიდარში ორი სახის - ყოველდღიური და ყოველწლიური მსახურება ტარდებოდა. ყოველდღიური მსახურება სრულდებოდა სრულადდასაწველის

სამსხვერპლოზე, რომელიც კარვის ეზოში იყო განლაგებული და წმიდაში; წლიური კი - წმიდათა წმიდაში.

არც ერთ მოკვდავს, მღვდელმთავრის გარდა, არ შეეძლო წმიდათა წმიდაში შესვლა. მხოლოდ მღვდელმთავარს შეეძლო ეს წელიწადში ერთხელ, ისიც მეტად გულმოდგინე და საზეიმო მომზადების შემდგომ. ძრწოლვით შედიოდა იგი იქ უფლის წინაშე წარსადგომად, საწმიდრის გარშემო შეკრებილი ხალხი კი მოწიწებით, მდუმარედ აღავლენდა გულწრფელ ლოცვებს უფლის კურთხევის შესახებ მღვდელმთავრის დაბრუნების მოლოდინში. ისრაელისათვის მიტევებას ითხოვდა მღვდელმთავარი მადლის ტახტის წინაშე. დიდების ღრუბელში ხვდებოდა მას უფალი. თუკი ჩვეულებრივზე მეტ ხანს დარჩებოდა იგი საწმიდარში, ხალხს ეშინოდა, რომ არ მომკვდარიყო მათი მღვდელმთავარი თავისი ან თავისი ხალხის ცოდვების გამო.

ყოველდღიური მსახურება დილისა და საღამოს მსხვერპლშეწირვისაგან, ოქროს სამსხვერპლოზე საკმევლის კმევისა და პირადი ცოდვებისათვის სპეციალური აღსავლენის შეწირვისაგან შედგებოდა. აღსავლენი მოჰქონდათ აგრეთვე შაბათების, ახალმთვარობისა და მთელი რიგ სხვა დღესასწაულებზე.

ყოველ დილას და საღამოს სამსხვერპლოზე წვავდნენ ერთწლიან კრავს შესაბამის პურეულ ძღვენთან ერთად, რაც ღვთის ხალხის ყოველდღიური განწმედისა და ქრისტეს გამომსყიდველ სისხლზე მათი მუდმივი დამოკიდებულების სიმბოლო იყო. უფალმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საწმიდარში შეწირული ყოველი აღსავლენი უნაკლო უნდა ყოფილიყო /გამ. 12:5/. ყოველი სამსხვერპლო პირუტყვი მღვდლებს უნდა შეემოწმებინათ. რაიმე ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში უკან აბრუნებდნენ. მხოლოდ უნაკლო მსხვერპლი შეიძლებოდა ყოფილიყო

[352]

სიმბოლო მაცხოვრის სრულყოფილი სიწმიდისა, როგორც მომავალში მსხვერპლად შეწირული "უბიწო და უმანკო კრავისა" /1 პეტრ. 1:19/. პავლე მოციქული განმარტავს, რომ ეს შესაწირავები სიმბოლოა ქრისტეს ჭეშმარიტი მიმდევრებისა. იგი ამბობს: "ამრიგად, შეგაგონებთ, ძმებო, ღვთის წყალობებით, რომ შესწიროთ თქვენი სხეული ცოცხალ, წმიდა, ღვთის სასურველ მსხვერპლად, რაც თქვენი სულიერი მსახურება იქნება" /რომ. 12:1/.

ღმერთს უნდა მივუძღვნათ ჩვენი ცხოვრება და ვეცადოთ, რომ ჩვენს მიერ გაღებული მსხვერპლი, შეძლებისდაგვარად, უნაკლო იყოს, უფალი მხოლოდ საუკეთესო შესაწირავს ღებულობს. მისი გულწრფელად მოყვარული ღმერთის მსახურებას შესწირავს ყოველივე საუკეთესოს, რაც ცხოვრებაში გააჩნია; ყველაფერს გააკეთებს, რათა მის კანონებთან სრულ ჰარმონიას მიაღწიოს, რაც უზენაესის ნების აღსრულებაში დაეხმარება.

კეთილსურნელების კმევისას მღვდელი უფრო მეტად უახლოვდებოდა ღმერთს, ვიდრე ყოველდღიური მსახურების ნებისმიერი სხვა აქტის შესრულებისას. ვინაიდან საწმიდრის შიგა ფარდა ჭერამდე არ აღწევდა, პირველი განყოფილებიდან ნაწილობრივ შესაძლებელი იყო უფლის დიდების ხილვა. საკმევლის კმევისას მღვდლის მზერა კიდობანზე იყო მიჯაჭვული და, როცა საკმევლის ღრუბელი მაღლა ადიოდა, ღვთიური დიდება მადლის ტახტზე ეშვებოდა და მთელს წმიდათა წმიდას ავსებდა. და, ხშირად საწმიდრის ორივე განყოფილებას ისე აავსებდა უფალი თავისი დიდებით, რომ მღვდელი იძულებული იყო, გასცლოდა მას და კარვის კარებისკენ გადაენაცვლა. როგორც სიმბოლური მსახურებისას მღვდელი რწმენით შესცქეროდა მადლის ტახტს, ასევე ღვთის ხალხმაც რწმენითა და ლოცვით უნდა მიმართოს ქრისტეს, თავის დიდებულ მღვდელმთავარს, ადამიანის თვალისათვის უხილავს, ზეციურ საწმიდარში რომ შუამდგომლობს მათთვის.

ისრაელის ლოცვებთან ერთად უფლისადმი აღვლენილი საკმეველი სიმბოლო იყო ქრისტეს შუამდგომლური მსახურებისა და მისი სრულყოფილი სიმართლისა, რომელიც მის ხალხს ეძლევა და რომლითაც ღმერთი ღებულობს ადამიანთა მსახურებას. წმიდათა წმიდის ფარდის წინ იდგა მუდმივი შუამდგომლობის სამსხვერპლო, საწმიდრის წინ კი - მუდმივი გამოსყიდვის სამსხვერპლო. სისხლი და საკმეველი ღმერთს ხალხთან აახლოებდა. ეს სიმბოლოები მიუთითებდა დიდებულ შუამდგომელზე, რომლის წყალობით ცოდვილთ შეუძლიათ, მიუახლოვდნენ დიდ იეჰოვას და რომლის მეშვეობითაც მისი მორწმუნე, მონანიების შედეგად, ღებულობს მის წყალობასა და ხსნას.

როდესაც მღვდლები დილას და საღამოს წმიდაში საკმევლის საკმევად შედიოდნენ, ეზოში, სამსხვერპლოზე, ყოველდღიური მსხვერპლი აღსავლენად იყო გამზადებული. ეს განსაკუთრებული დრო იყო კარვის გარშემო შეკრებილ მლოცველთათვის. სანამ მღვდლის მსახურების მეშვეობით ისინი ღმერთის წინაშე წარდგებოდნენ, ყურადღებით უნდა გამოეკვლიათ თავიანთი გული და ეღიარებინათ ცოდვები. შეკრებილნი პირისახით წმიდა ადგილისაკენ დგებოდნენ და ჩუმ ლოცვებში ერთიანდებოდნენ. მათი ლოცვა საკმეველთან ერთად ადიოდა უფალთან, მათი რწმენა კი დაფუძნებული იყო აღთქმულ მესიაზე, რომელიც სიმბოლურად გამომსყიდველი მსხვერპლით იყო წარმოდგენილი. დილისა და საღამოს ღვთისმსახურების პერიოდი წმიდად ითვლებოდა. მთელი

იუდეველი ერისათვის ეს ლოცვის დრო იყო. შემდგომ წლებშიც კი, როცა იუდეველები ტყვეობაში მოხვდნენ და დედამიწის სხვადასხვა მხარეებში გაიფანტნენ, განსაზღვრულ დროს პირს იბრუნებდნენ იერუსალიმისკენ და ლოცულობდნენ ისრაელის ღმერთის წინაშე. ამ წესში ქრისტიანები დილისა და საღამოს ლოცვების მაგალითს ხედავენ. უფალი კიცხავს ყოველგვარ

[353]

[354]

ზედაპირულ, თაყვანისცემის სულს მოკლებულ ცერემონიებს, მაგრამ უდიდესი სიხარულით ღებულობს მათ ლოცვებს, ვინც, დილასა და საღამოს, სიყვარულით იყრის მუხლს მის წინაშე, ჩადენილი ცოდვებისათვის მიტევებასა და მეტად საჭირო კურთხევებს ითხოვს.

საწმიდარში, უფლის წინაშე, ტაბლაზე ყოველთვის ელაგა საწინაშეო პური, როგორც მუდმივი შესაწირავი, რაც ყოველდღიური მსახურების ნაწილს შეადგენდა. "საწინაშეო პური" ანუ "დასადებელი პური" მას იმიტომ ეწოდებოდა, რომ ყოველთვის იდო იგი უფლის წინაშე იმის ნიშნად, რომ ადამიანი თავის ყოველდღიურ საკვებს, როგორც ფიზიკურს, ასევე

სულიერს, მხოლოდ ღმერთისგან ღებულობს ქრისტეს შუამდგომლობის წყალობით. ღმერთი ზეციური მანანით კვებავდა ისრაელს უდაბნოში და ხალხს კარგად ესმოდა, რომ მათი სიცოცხლე მხოლოდ ღმერთზე იყო დამოკიდებული. ზეციური მანანაც და საწინაშეო პურიც ქრისტეზე, ცოცხალ პურზე, მიუთითებდა, რომელიც ჩვენთვის შუამდგომლობს ზეცაში მამის წინაშე. მან თავად თქვა: "მე ცოცხალი პური ვარ, ზეციდან ჩამოსული" /იოან. 6:51/. ამ პურებზე გუნდრუკს დებდნენ. როცა შაბათ დღეს გამხმარ პურს ახლით ცვლიდნენ, უფლის წინაშე მოსახსენებლად გუნდრუკს აკმევდნენ.

ყოველდღიური მსახურების ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს ცალკეული ადამიანებისათვის აღსრულებული მსახურება წარმოადგენდა. მომნანიებელ ცოდვილს შესაწირი პირუტყვი კარვის შესასვლელთან მოჰყავდა, თავზე ხელს ადებდა და თავის ცოდვებს აღიარებდა, რითაც თავისი დანაშაული სიმბოლურად ამ უცოდველ მსხვერპლზე გადაჰქონდა. შემდეგ მისივე ხელით დაკლული პირუტყვის სისხლი მღვდელს საწმიდარში შეჰქონდა და ასხურებდა ფარდის წინ, რომლის მიღმაც კიდობანი იდგა; კიდობანში კი ცოდვილის მიერ დარღვეული რჯულის ფიქალები ეწყო. ეს ცერემონია სისხლის მეშვეობით ცოდვის საწმიდარში შეტანას ნიშნავდა. ზოგ შემთხვევაში სისხლი საწმიდარში არ შეჰქონდათ, ხოლო ხორცი მღვდლებს უნდა ეჭამათ, როგორც მოსემ აარონის შვილებს უბრძანა: "იმისთვის მოგეცათ, რომ გეტვირთათ საზოგადოების შეცოდება და მისთვის შენდობა გამოგეთხოვათ უფლის წინაშე"

/ლევ. 10:17/. ეს ორივე ცერემონია მომნანიებელი ცოდვილის დანაშაულის საწმიდარში გადატანის სიმბოლო იყო.

აი, ასეთი მსახურება ტარდებოდა საწმიდარში ყოველდღე მთელი წლის განმავლობაში. ამგვარად, საწმიდარში შეტანილი ისრაელიანთა ცოდვები აუწმიდურებდა მას, ამიტომ მისი ცოდვებისგან განწმედა განსაკუთრებულ მსახურებას საჭიროებდა. უფალმა ბრძანა, რომ ყოველი განყოფილება და სამსხვერპლო უნდა განწმედილიყო: "გაასუფთავებს და გააწმიდავებს მას ისრაელიანთა უწმიდურობისაგან" /ლევ. 16:19/.

წელიწადში ერთხელ, შენდობის დღეს საწმიდრის განსაწმედად მის მეორე განყოფილებაში - წმიდათა წმიდაში შედიოდა მღვდელმთავარი. ამ რიტუალის დასრულებით მთავრდებოდა წლიური მსახურება.

შენდობის დღეს სადღესასწაულო კარვის შესასვლელთან მოჰყავდათ ორი ვაცი და წილს ყრიდნენ მათზე. "ერთი წილი უფლისათვის, მეორე წილი - განტევებისათვის" /ლევ. 16:8/. უფლის წილხვდომილ ვაცს კლავდნენ, როგორც შესაწირავს ხალხის ცოდვებისათვის. და მღვდელმთავარს მისი სისხლი წმიდათა წმიდაში უნდა შეეტანა და მადლის ტახტისათვის მოეფრქვია. "განწმედს საწმიდარს ისრაელიანთა უწმიდურობისგან და შეცოდებისგან და ყოველი ცოდვისგან. ასე

უნდა მოიქცეს სადღესასწაულო კარვის მიმართ, რომელიც მათთან არის, მათ უწმიდურობათა შორის" /ლევ. 16:16/.

"თავზე დაასხამს ორთავე ხელს აარონი ცოცხალ ვაცს და აღიარებს მასზე

[355]

ისრაელიანთა ყველა უკეთურებას, ყველა შეცოდებას და ყველა ცოდვას, ატვირთებინებს ვაცს და გაუშვებს უდაბნოში საგანგებო კაცის ხელით. წაიღებს ვაცი ყველა მათ უკეთურებას დასაკარგავისკენ" /ლევ. 16:21,22/. მხოლოდ ვაცის გაშვების შემდეგ შეეძლო ხალხს, ცოდვის სიმძიმისაგან გათავისუფლე - ბულიყო. ყოველ ადამიანს მორჩილებით უნდა ელოცა, სანამ მიტევების ეს მსახურება მიმდინარეობდა. ყოველგვარი საქმიანობა წყდებოდა და ისრაელიანთა მთელი ერი უფლის წინაშე მოკრძალებულ ლოცვებში ატარებდა მთელ დღეს, მარხულობით იკვლევდა თავის გულს.

ამ ყოველწლიური მსახურებით ადამიანებს მიტევებისა და განწმედის უდიდეს ჭეშმარიტებებს ასწავლიდნენ. მთელი წლის განმავლობაში ცოდვისათვის გაღებული შესაწირავი ცოდვილის ნაცვლად იყო მიღებული, მაგრამ პირუტყვის სისხლს არ

შეეძლო ცოდვებისაგან მათი სრულყოფილად განწმედა. ეს იყო მხოლოდ საშუალება საწმიდარში ცოდვის გადატანისა. ამ სისხლის მეშვეობით ცოდვილი აღიარებდა რჯულის ავტორიტეტს, თავის ცოდვებს და გამოხატავდა რწმენას მის მიმართ, ვისაც მთელი წუთისოფლის ცოდვები უნდა ეტვირთა. მაგრამ ეს სრულად არ ათავისუფლებდა მას კანონიერი სასჯელისაგან. შენდობის ამ უდიდეს დღეს მღვდელმთავარი მსხვერპლს სწირავდა მთელი ერისათვის, შეჰქონდა სისხლი წმიდათა წმიდაში და აპკურებდა მას მადლის ტახტს, რჯულის ფიქალებს ზემოთ. ასე სიმბოლურად აკმაყოფილებდა იგი რჯულის მოთხოვნას, რომელიც ცოდვილის სიცოცხლეს ითხოვდა. შემდეგ მღვდელმთავარი, როგორც შუამდგომელი, საკუთარ თავზე იღებდა ცოდვის ტვირთს, ტოვებდა საწმიდარს და გარეთ გამოჰქონდა მთელი ისრაელის ცოდვები. კარვის შესასვლელთან განტევების ვაცზე ხელდასხმით გადაიტანდა მასზე "ისრაელიანთა ყველა უკეთურებას, ყველა შეცოდებას და ყველა ცოდვას". და რადგან ვაცს თან მიჰქონდა ეს ცოდვები, ხალხი მათგან განწმენდილად ითვლებოდა. ასეთი იყო მსახურება, რომელიც ზეციურის "სახესა და ჩრდილს" წარმოადგენდა /ებრ. 8:5/.

როგორც უკვე ითქვა, მოსემ მიწიური საწმიდარი მთაზე ნაჩვენები ნიმუშის მიხედვით ააგო. საწმიდარი იყო "აწმყო დროის მაგალითი, როდესაც სწირავენ ძღვენთა და მსხვერპლთ". საწმიდრის ეს ორი განყოფილება არის "იმათი სახეები, რომლებიც ზეცაში არიან". ქრისტე, ჩვენი უდიდესი

მღვდელმთავარი, "არის მსახური წმიდა და ჭეშმარიტი კარვისა, რომელიც უფალმა ააშენა და არა ადამიანმა" /ებრ. 9:9,23; 8:2/. როცა იოანე მოციქულმა ხილვაში ღვთის ზეციური ტაძარი იხილა, "ტახტის წინ შვიდი ცეცხლოვანი ჩირაღდანი" დაინახა. იხილა ანგელოზი, რომელსაც "ოქროს საცეცხლური ეპყრა, და მიცემული ჰქონდა ბევრი საკმეველი, რათა ყველა წმიდას ლოცვებთან ერთად მიეტანა ოქროს სამსხვერპლოზე, ტახტის წინ" /გამოცხ. 4:5; 8:3/. წინასწარმეტყველს ზეციური საწმიდრის პირველი განყოფილების დანახვის ნება მიეცა და მანაც იხილა "შვიდი ცეცხლოვანი ჩირაღდანი" და "ოქროს სამსხვერპლო", რომლებიც მიწიურ საწმიდარში ოქროს სასანთლით და საკმევლის სამსხვერპლოთი იყო წარმოდგენილი. კვლავ "გაიღო ღვთის ტაძარი ცაში" /გამოცხ. 11:19/ და იოანეს თვალი მისწვდა ფარდას, რომელიც წმიდათა წმიდას ფარავდა და "გამოჩნდა მისი აღთქმის კიდობანი" /გამოცხ. 11:19/, რომელიც მოსეს მიერ აგებულ მიწიურ საწმიდარში წარმოდგენილი იყო წმიდა კიდობნით, რომელშიც უფლის რჯული ინახებოდა.

მოსემ მიწიური საწმიდარი ააგო "იმ სახის მიხედვით, რომელიც იხილა". პავლე მოციქული ამბობს, რომ კარავიც და "ღვთის სასამსახურო ჭურჭელიც" არის "იმათი სახეები, რომლებიც ზეცაში არიან" /საქმე. 7:44; ებრ. 9:21,23/. იოანე გვაუწყებს, რომ იხილა საწმიდარი ზეცაში. კარავი, რომელშიც იესო

[356]

[357]

თავის ხალხს შუამდგომლობს, ის მშვენიერი ორიგინალია, რომლის მიხედვითაც მოსემ მიწიური ტაძარი ააგო.

ზეციური ტაძარი - მეფეთა მეფის ადგილსამყოფელი - სადაც "ათასის ათასნი ემსახურებოდნენ მას და ბევრის ბევრნი იდგნენ მის წინაშე" /დან. 7:10/, მარადიული ტახტის დიდებით არის აღვსილი, სადაც სერაფიმები - მისი შუქმოსილი გუშაგნი - მოწიწებით იფარავენ სახეებს. თავისი გრანდიოზულობითა და დიდებულებით ვერ შეედრება მას ვერავითარი მიწიური ნაგებობა. მაგრამ ჭეშმარიტება ზეციური საწმიდრისა და მასში ადამიანის გამოსყიდვის საქმეების შესახებ მიწიური ტაძრითა და მისი მსახურებით უნდა იქნეს წარმოდგენილი.

ზეცად ამაღლების შემდგომ ჩვენს მაცხოვარს ჩვენთვის შუამდგომლური მსახურება უნდა დაეწყო. პავლე მოციქული ამბობს: "ვინაიდან ქრისტე შევიდა არა ხელთქმნილ წმიდაში, ჭეშმარიტის ანარეკლში, არამედ თვით ცაში, რათა წარდგეს ახლა ჩვენთვის ღვთის წინაშე" /ებრ. 9:24/. როგორც ქრისტეს მსახურება იყო გაყოფილი ორ უდიდეს ნაწილად, რომელთაგანაც ყოველი მათგანი დროის გარკვეულ პერიოდს

მოიცავდა და განსაზღვრული ადგილი ეთმობოდა ზეციურ ტაძარში, ასევე სიმბოლური მიწიური მსახურებაც ორი ნაწილისგან - ყოველდღიურისა და ყოველწლიურისაგან შედგებოდა და თითოეული მათგანისათვის სხვადასხვა განყოფილება იყო განკუთვნილი.

როგორც ქრისტე თავისი ამაღლების შემდგომ წარდგა ღვთის წინაშე ცოდ-ვილთათვის დაღვრილი სისხლით, ასევე აპკურებდა მღვდელი წმიდაში ყოველ-დღიური მსახურებისას შეწირული პირუტყვის სისხლს ცოდვილთა გამოსასყიდად.

თუმცა ქრისტეს სისხლი მომნანიებელ ცოდვილს რჯულის სასჯელისაგან ათავისუფლებს, მაგრამ ცოდვას არ სპობს; იგი ზეციურ წიგნებში რჩება მის საბოლოო განწმედამდე. ასევე იყო სიმბოლურ მსახურებაშიც: ცოდვისათვის მსხვერპლად შეწირული პირუტყვის სისხლი დანაშაულისაგან ათავისუფლებდა მომნანიებელ ცოდვილს, მაგრამ ცოდვა შენდობის დღემდე საწმიდარში რჩებოდა.

უკანასკნელი სამსჯავროს დიად დღეს განიკითხებიან "მკვდრები წიგნებში ნაწერიდან, მათი საქმეებისამებრ" /გამოცხ. 20:12/. შემდეგ კი ქრისტეს გამომსყიდველი სისხლის მეშვეობით ცოდვა ყველა ადამიანისა, რომელიც გულწრფელად მოინანიებს, ზეციური წიგნებიდან ამოიშლება. ასე განიწმიდება და გათავისუფლდება საწმიდარი ცოდვის ჩანაწერებისაგან. მთელი

ეს მსახურება მიწიერ საწმიდარში შენდობის დღეს, ცოდვისათვის გაღებული მსხვერპლის სისხლის მეშვეობით ხდებოდა.

როგორც საბოლოო განწმედისას გულწრფელად მომნანიებელ ცოდვილთა ცოდვები წარიხოცება ზეციური წიგნებიდან ისე, რომ სამუდამო დავიწყებას მიეცემა ისინი, ასევე სიმბოლურ მსახურებაში უდაბნოში აძევებდნენ ცოდვებს და ხალხიც თავისუფლდებოდა მათგან.

ვინაიდან ყოველგვარი ცოდვისა და ურჯულოების ავტორი და უფლის ძის სიკვდილის მიზეზი სატანაა, სამართლიანობა მოითხოვს, რომ იგი საბოლოოდ დაისაჯოს. ქრისტეს მიერ ადამიანთა გამოსყიდვისა და ცოდვებისაგან სამყაროს გათავისუფლებისათვის გაწეული მსახურება დასრულდება ზეციური საწმიდრიდან ცოდვის წარხოცვით და მისი სატანისთვის დაკისრებით, რომელიც საბოლოოდ დაისჯება კიდეც. მიწიურ მსახურებაშიც ყოველწლიური მსახურება საწმიდრის განწმედით და განტევების ვაცისთვის ცოდვის დაკისრებით მთავრდებოდა.

ამგვარად, მსახურება სადღესასწაულო კარავში და ტაძარში ყოველდღიურად ასწავლიდა ხალხს ქრისტეს სიკვდილთან და მსახურებასთან დაკავშირებულ ჭეშმარიტებებს. და წელიწადში ერთხელ ყოველივე ეს მათ ახსენებდა ქრისტესა და სატანას

შორის დიადი ბრძოლის საბოლოო შედეგებს, როცა სამყარო სრულად განიწმიდება ცოდვისა და ცოდვილთაგან.

[358]

თავი 31 - ნადაბისა და აბიჰუს ცოდვა

ლევიანნი 10:1-11

სადღესასწაულო კარვის კურთხევის შემდეგ მღვდელმსახურნიც აკურთხეს წმიდა მსახურებისათვის. შვიდ დღეს გრძელდებოდა ეს ცერემონიები. ყოველი დღე განსაკუთრებული მსახურებით გამოირჩეოდა. მერვე დღეს კი მსახურებას შეუდგნენ. თავისი შვილების დახმარებით, უფლის მოთხოვნის თანახმად, აარონმა მოიტანა ყველა საჭირო მსხვერპლი, შემდეგ კი ხელები ცისკენ აღაპყრო და ხალხი აკურთხა. ყველაფერი უფლის ნებისამებრ გაკეთდა. უფალმაც მიიღო ეს მსხვერპლი და განსაკუთრებული სახით გამოავლინა თავისი დიდება - მისგან გამოსულმა ცეცხლმა შთანთქა სამსხვერპლოზე დადებული აღსავლენი. მოწიწებით, შიშითა და ღრმა ინტერესით უცქერდა ხალხი ღვთიური ძლიერების ამ საოცარ გამოვლინებას. უფლის დიდების ნიშანს და

კეთილგანწყობას ხედავდნენ მასში. საყოველთაო ქება-დიდება და ხოტბა აღმოხდათ, პირქვე დაემხენ და თაყვანი სცეს დიდ იეჰოვას.

მაგრამ სულ მალე მღვდელმთავრის ოჯახს საშინელი უბედურება დაატყდა თავს. მსახურების დროს, როცა ხალხის ლოცვები და მადლობის სიტყვები ზეცაში, უფლის ტახტამდე აღწევდა, აარონის ორმა ვაჟმა აიღო თითოეულმა თავისი საცეცხლური, ჩადეს მათში ცეცხლი, დადეს მასზე საკმეველი და მიიტანეს უფლის წინაშე "უცხო ცეცხლი", რითაც უფლის ბრძანება დაარღვიეს. კმევისათვის მათ გამოიყენეს ჩვეულებრივი და არა წმიდა ცეცხლი, თავად უფლის მიერ დანთებული და მისი ბრძანებით მსგავსი მიზნებისათვის მიცემული. სწორედ ამ ცოდვის გამო გამოვიდა ცეცხლი უფლისგან და მთელი ხალხის წინაშე შთანთქა ისინი.

ნადაბსა და აბიჰუს ყველაზე მაღალი ადგილი ეკავათ ისრაელში მოსესა და აარონის შემდეგ. უფალმა განსაკუთრებულად გამოარჩია ისინი, როდესაც ნება დართო, ისრაელის სამოცდაათ უხუცესთან ერთად ასულიყვნენ უფლის მთაზე და მისი დიდება ეხილათ. მაგრამ ამის გამო დანაშაულზე თვალის დახუჭვა ან გამართლება შეუძლებელი იყო. პირიქით, ამ გარემოებამ უფრო დაამძიმა მათი დანაშაული. ის, რომ უდიდესი ნათელი მიიღეს და, როგორც ისრაელიანთა მთავრებს, მთაზე ასვლისა და უფალთან უშუალო ურთიერთობის უპირატესობა ხვდათ წილად, სულაც არ აძლევდა მათ ჩადენილი ცოდვის დაუსჯელობის იმედს; რომ, ვინაიდან უფალმა ასეთი დიდი პატივი მიაგო, მკაცრად არ დაისჯებიან. ეს უდიდესი შეცდომა

იყო. ჩვენთვის მოცემული უდიდესი ნათელი და უპირატესობანი ჩვენგანაც შესაბამის სიწმიდეს და კეთილგონიერებას ითხოვს. უფრო მცირეზე არ თანხმდება უფალი. უდიდესმა კურთხევამ და უპირატესობამ ჩვენში უზრუნველობა და უპასუხისმგებლობა არ უნდა გამოიწვიოს. ეს უფლებას არ გვაძლევს, შევცოდოთ ან ვიფიქროთ, რომ ღმერთი არ იქნება მკაცრი და მომთხოვნი ჩვენს მიმართ. უფლის მიერ ბოძებულმა ყველა უპირატესობამ უნდა გააძლიეროს მისდამი ჩვენი მსახურების გულმოდგინება და მოგვცეს ძალა მისი წმიდა ნების შესასრულებლად.

ნადაბსა და აბიჰუს სიყმაწვილიდანვე არ გააჩნდათ თავშეკავების უნარი. თავისი დამთმობი ხასიათისა და სამართლიანობის საკითხებში უუნარობისა და სისუსტის გამო მამამ ვერ შეძლო შვილების სათანადოდ აღზრდა. თავის ნებაზე მიუშვა აარონმა შვილები. ეგოისტურმა გრძნობებმა ისე იმძლავრა მათში, რომ თავისი წმიდა მოვალეობაც კი დაავიწყდათ. მათთვის არ უსწავლებიათ მამის ავტორიტეტისადმი პატივისცემის გამოვლენის საჭიროება

[359]

[360]

და არც უფლის მოთხოვნათა შესრულების აუცილებლობა ესმოდათ. თავისი შვილებისადმი აარონის გულგრილმა დამოკიდებულებამ ღვთიური სასჯელის მსხვერპლნი გახადა ისინი.

უფალს სურდა, ესწავლებინა ხალხისათვის, მოწიწებითა და თრთოლვით მიახლოებოდნენ მას და მისი დადგენილებისამებრ ემსახურათ. იგი არ იღებს ნაწილობრივ მსახურებას და ნაწილობრივ მორჩილებას. სულაც არაა საკმარისი, მხოლოდ ღვთისმსახურების დროს აღასრულო ზუსტად მისი დადგენილებები. უფალმა დასწყევლა ისინი, ვინც მის მცნებებს არ შეასრულებს და წმიდას ჩვეულებრივისაგან არ განასხვავებს. წინასწარმეტყველის მეშვეობით ამბობს უფალი: "ვაი მათ, ვინც ბოროტებას სიკეთეს არქმევს და სიკეთეს - ბოროტებას!.. ვაი ბრძენებს თავიანთ თვალში და გონიერთ თავიანთი ჭკუით!.. ვაი დამნაშავის გამამართლებელს ქრთამის გულისათვის და ალალ-მართლის გამამტყუნებელს!.. რადგან შეიძულეს ცაბაოთ უფლის რჯული და ისრაელის წმიდის შეგონება არად ჩააგდეს" /ეს. 5:20-24/. ნურვინ მოიტყუებს თავს, თითქოს უფლის ზოგიერთი მცნების შესრულება სავალდებულო არაა და თითქოს ღმერთი მიიღებს სხვა რაიმეს ნაცვლად იმისა, რასაც თავად ითხოვს. იერემია წინასწარმეტყველი ამბობს: "ვის თქმაზე აღსრულდება რამე, თუ უფალმა არ ბრძანა?" /გოდ. 3:37/. უფალს არ მოუცია წმიდა წერილებში რაიმე მითითება იმის შესახებ, რომ ადამიანები თავიანთი თავისუფალი საქციელის გამო

დაუსჯელნი დარჩებიან. ვინც მორჩილების მკაცრ გზას გადაუდგება და სხვა გზით ივლის, აღმოჩნდება, რომ "მისი ბოლო სიკვდილის გზაა" /იგავ. 14:12/.

"უთხრა მოსემ აარონს, და მის შვილებს - ელიაზარს და ითამარს: თავს ნუ გაიშიშვლებთ და ტანისამოსს ნუ შემოიგლეჯთ, რომ არ დაიხოცოთ... რადგან საუფლო მირონია თქვენზე". დიდმა წინამძღოლმა უფლის სიტყვები გაახსენა ძმას: "ჩემს ახლობლებში განვიწმიდები და მთელი ერის წინაშე განვდიდდები". დუმდა აარონი. შვილების ასეთი მოულოდნელი სიკვდილი, თანაც ასეთი საშინელი ცოდვის გამო, ცოდვისა, რომელიც, ამას ახლა უკვე მიხვდა, საკუთარი გულგრილობის შედეგი იყო, საშინლად სტანჯავდა მამის გულს, მაგრამ თოკავდა თავის გრძნობებს. სულ მცირე მწუხარებითაც კი არ უნდა გამოეხატა მას თავისი ნაღველი, რათა ცოდვის თანაგრძნობად არ მიეღოთ და ღვთის წინააღმდეგ საყვედურების საბაბად არ გამოეყენებინათ.

უფალს სურდა, ესწავლებინა თავისი ხალხისათვის მისი ქმედებების სამართლიანობის აღიარება, რათა სხვებს ღვთის შიში ჰქონოდათ. ბევრ ისრაელიანს ეს საშინელი სასჯელი, შესაძლოა, გაფრთხილებად მიეღო და უფლის დიდი მოთმინება ბოროტად აღარ გამოეყენებინა, სანამ თავის ბედს თავად არ გადაწყვეტდა. უფალი კიცხავს იმ ცოდვილისადმი ცრუ თანაგრძნობას, რომელიც თავის დანაშაულს ამართლებს. ცოდვა

იმდენად ასუსტებს ადამიანის ზნეობას, რომ იგი ვეღარ გრძნობს დანაშაულის საშინელებას და სულიწმიდის ძალის გარეშე დარჩენილი, თავის ცოდვას ვეღარც ამჩნევს. ქრისტეს მსახურთა უპირველესი მოვალეობაა, მიუთითონ გზააბნეულთ, აუხსნან, თუ რა საშიშროება ელით. ის, ვინც ცოდვილს არ აფრთხილებს, სიმართლეს არ უცხადებს და ცოდვის შედეგებზე არ მიუთითებს, ხშირად თავს იმით იმშვიდებს, რომ, თითქოსდა, გონივრულად იქცევა, მაგრამ ასეთი საქციელით სულიწმიდას მსახურებაში უშლის ხელს. ასეთი ადამიანები უფსკრულის პირას მდგარ ცოდვილთ ამშვიდებენ, რითაც მათი დანაშაულის მოზიარენი ხდებიან და საშინელ პასუხისმგებლობას იღებენ საკუთარ თავზე მათი დაღუპვისათვის. ბევრი, ძალზე ბევრი ადამიანი გახდა მსხვერპლი ასეთი ცრუ, მოჩვენებითი თანაგრძნობისა.

[361]

ნადაბი და აბიჰუ არასოდეს ჩაიდენდნენ ასეთ საბედისწერო შეცდომას, ფხიზლად რომ ყოფილიყვნენ. მათ კარგად იცოდნენ, რომ საწმიდარში, უფლის წინაშე წარდგომისათვის განსაკუთრებული, საზეიმო მომზადება იყო საჭირო. მაგრამ თავშეუკავებლობამ მათ უღირსი საქციელისკენ უბიძგა: გონება დაუბნელდათ დ ზნეობრივად ისე დაეცნენ, რომ წმიდა

ჩვეულებრივისაგან ვეღარ განასხვავეს. აარონსა და მის ცოცხლად დარჩენილ შვილებს ებრძანათ: "როცა სადღესასწაულო კარავში ხართ შესასვლელი, ნუ დალევთ - ნურც შენ და ნურც შენი შვილები ღვინოს და მათრობელ სასმელს, რომ არ დაიხოცოთ. ეს არის სამარადისო წესი თქვენს თაობებში. რომ გაირჩეს საღვთო და საერო, უწმიდური და განწმედილი; რომ ასწავლოთ ისრაელიანებს ყოველი წესი, რომელიც მოსეს პირით გამოაცხადა უფალმა". ალკოჰოლური სასმელები ასუსტებს სხეულს, აბნელებს გონებას და ამდაბლებს ზნეობას, რის გამოც ადამიანებს ვერ გაუცნობიერებიათ, თუ რაოდენ წმიდა და უცილობელია ის, რასაც უფალი მოითხოვს. ყოველი ღვთისმსახური ძალზე თავშეკავებული უნდა იყოს, რომ შეეძლოს სიკეთესა და ბოროტებას შორის ზღვრის დადება; პრინციპული სიმტკიცე და სიბრძნე გააჩნდეს, სამართლიანად უხელმძღვანელოს და გამოიჩინოს მოწყალება.

მსგავსი მოვალეობა ეკისრება ქრისტეს ყოველ მიმდევარს. პეტრე მოციქული ამბობს: "თქვენ კი რჩეული მოდგმა ხართ, სამეფო სამღვდელოება, წმიდა ერი, წილხვედრილი ხალხი" /1 პეტრ. 2:9/. უფალი მოითხოვს, წმიდად შევინახოთ ჩვენი სხეული და სული, რათა ღირსეულად ვემსახუროთ ჩვენს შემოქმედს. ალკოჰოლური სასმელების მიღება ისეთივე შედეგს მოგვიტანს, რაც - ისრაელის მღვდლებს. ამ შემთხვევაში ადამიანის სინდისი უგრძნობია ცოდვის მიმართ და ეს იმდენად ასასტიკებს გრძნობებს, რომ ყოველი განსხვავება ჩვეულებრივსა და წმიდას შორის კარგავს თავის მნიშვნელობას. როგორღა უნდა აღვასრულოთ ღვთიური მოთხოვნები? "ნუთუ არ იცით, რომ

თქვენი სხეულები ტაძარია თქვენში სულიწმიდისა, რომელიც ღვთისაგან გაქვთ, და რომ თქვენს თავს არ ეკუთვნით. ვინაიდან ფასით ხართ ნაყიდნი. ამიტომ ადიდეთ ღმერთი თქვენი სხეულით და თქვენი სულებით, რომლებიც ღვთისანი არიან" /1 კორ. 6:19,20/. "ამიტომ ჭამთ, სვამთ თუ სხვა რამეს აკეთებთ, ყველაფერი აკეთეთ ღვთის სადიდებლად" /1 კორ. 10:31/. ეს საზეიმო და სასტიკი გაფრთხილება ყველა საუკუნის ეკლესიისადმია მიმართული: "თუ ვინმე აზიანებს ღვთის ტაძარს, ღმერთი დააზიანებს მას, რადგან წმიდაა ღვთის ტაძარი, და ეს თქვენ ხართ" /1 კორ. 3:17/.

[362]

თავი 32 - რჯულდებები და აღთქმები

შექმნის დღიდანვე იცოდნენ ადამმა და ევამ უფლის რჯული; მათთვის ცნობილი იყო მისი მოთხოვნები; გულზე ჰქონდათ დაწერილი უფლის მცნებები. ადამიანში ცოდვის ჩასახვისას არ შეცვლილა ღმერთის რჯული, არამედ დადგინდა მსახურების განსაკუთრებული სისტემა, რათა ადამიანს ღმერთისადმი მორჩილების გზაზე დაბრუნება შეძლებოდა. მხსნელის შესახებ აღთქმა მიეცათ მათ და მსხვერპლშეწირვაც მიუთითებდა

ქრისტეს სიკვდილზე, როგორც ცოდვისათვის გაღებულ უდიდეს მსხვერპლზე. მაგრამ არ იქნებოდა ქვეყანაზე სიკვდილი, უფლის რჯული რომ არ დარღვეულიყო; საჭირო არ იქნებოდა მხსნელი და, აქედან გამომდინარე, საჭირო არ იქნებოდა მსხვერპლი.

ადამი თავის თანამედროვეთ ასწავლიდა ღვთის რჯულს; ეს ცოდნა მამიდან შვილებს გადაეცემოდა თაობიდან თაობაში. მაგრამ, მიუხედავად ადამიანის გადარჩენის მრავალმხრივი მცდელობისა, მხოლოდ უმცირესობა დაემორჩილა უზენაესის მცნებებს. და მალე ისე ღრმად დაეცა განდგომილი წუთისოფელი, რომ მისი ცოდვისგან განწმედა მხოლოდ საყოველთაო წარღვნით გახდა შესაძლებელი. ნოე და მისი ოჯახიც იცავდა უფლის მცნებებს. ოჯახის მამა მათ მნიშვნელობას აცნობდა შვილებს. ხოლო, როცა ადამიანები კვლავ განუდგნენ ღმერთს, უფალმა ამოირჩია აბრაამი, რომელზედაც თქვა: "დამიჯერა აბრაამმა და ასრულებდა ჩემს ნაანდერძევს, ჩემს ბრძანებებს, ჩემს მცნებებს, ჩემს სჯულდებებს" /დაბ. 26:5/. წინადაცვეთის წესი დაუდგინა უფალმა მას, რაც უფლის მსახურებისათვის მთელი ცხოვრების მიძღვნას გულისხმობდა და რაც საწინდარი იყო იმისა, რომ მისი რჯულის აღმსრულებელნი არ ცდუნდებიან კერპებით და მხოლოდ უზენაესის მცნებებს დაემორჩილებიან. ეგვიპტეში ისრაელიანთა ტყვეობის მიზეზი სწორედ ის გახდა, რომ აბრაამის შთამომავლობამ არ დაიცვა ეს წესი და მას წარმართებთან კავშირი და მათი ტრადიციები ამჯობინა. წარმართებთან სიახლოვემ და მონურმა მდგომარეობამ კი ის

შედეგი გამოიღო, რომ ღვთიური დადგენილებანი უფრო მეტად დამდაბლდა, დამახინჯდა სასტიკი წარმართული მოძღვრებების ზეგავლენით. ამიტომ, ეგვიპტიდან მათი გამოყვანის შემდეგ, თავად ჩამოვიდა უფალი თავის ზეციურ ანგელოზთა თანხლებით და მრისხანე დიდებულებით სინაის მთაზე, სადაც მთელ ერს გამოუცხადა თავისი წმიდა რჯული.

არ ენდო უფალი იმ ხალხის მეხსიერებას, რომელსაც ასე ადვილად შეეძლო მისი დადგენილებების დავიწყება; ამიტომ დაწერა თავისი ათი მცნება ქვის ფიქალებზე. ძალიან უნდოდა უფალს, დაეცვა ისრაელი თავისი წმიდა მცნებების წარმართთა ტრადიციებთან ან ადამიანის დადგენილ წეს-ჩვეულებებთან აღრევის საშიშროებისაგან. მაგრამ უფლის ათი მცნება საკმარისი არ აღმოჩნდა ხალხისათვის. შეამჩნია უფლმა მათი ამ საკითხისადმი ზერელე მიდგომა და ყველა გზა ჩაუკეტა ცდუნებას. ამიტომ უბრძანა მოსეს, ჩაეწერა ყველა წესი და კანონი დაწვრილებითი განმარტებებით. ეს წესები, რომლებიც ადამიანს ღმერთის, მოყვასისა და უცხოთა მიმართ თავის მოვალეობას განუმარტავდა, უფლის ათი მცნების პრინციპების განვრცობა იყო მხოლოდ, რათა ვინმეს რაიმე ეჭვი არ აღძვროდა მათ თაობაზე. ეს განმარტებები მოწოდება იყო უფლისა, დაეცვათ ქვის ფიქალებზე ამოკვეთილი ათი მცნების სიწმიდე.

ადამიანებს ჩვენი წინაპრებისთვის მიცემული რჯული რომ დაეცვათ, რომელსაც ასე მკაცრად იცავდნენ ნოე და აბრაამი, არ

იქნებოდა საჭირო წინადაცვეთის წესის დადგენა. ხოლო აბრაამის შთამომავლობას რომ დაეცვა აღთქმა, რომლის

[363]

[364]

სიმბოლოც წინადაცვეთა იყო, არასოდეს გაიკეთებდნენ კერპებს და არც ეგვიპტის მონობის სიმძიმეს გაიზიარებდნენ; ისინი გულზე დაიწერდნენ უფლის მცნებებს და სინაიზე მათი გამოცხადება ან ქვის ფიქალებზე დაწერა არ იქნებოდა საჭირო. და ხალხს რომ ათი მცნების მიხედვით ეცხოვრა, მოსეს მათი დამატებითი ახსნაც არ დასჭირდებოდა.

ადამისადმი მიცემული მსხვერპლშეწირვის სისტემაც დამახინჯდა მისი შთამომავლობის მიერ. ცრურწმენამ, კერპთაყვანისმცემლობამ, სისასტიკემ და უზნეობამ გაართულა უფლის მიერ დადგენილი ეს უბრალო, მაგრამ მნიშვნელოვანი მსახურება. წარმართებთან ხანგრძლივი ურთიერთობის ზეგავლენით ისრაელიანებმა მრავალი წარმართული წესი თავის მსახურებასთან აღრიეს და დაიკანონეს. ამიტომ უფალმა სინაიზე ისრაელს განუსაზღვრა მსხვერპლშეწირვის მსახურება. საწმიდრის მშენებლობის დამთავრების შემდეგ, მადლის

ტახტის ზემოდან, დიდების ღრუბლიდან ელაპარაკა უფალი მოსეს და კვლავ ზუსტი მითითებები მისცა მსხვერპლშეწირვის სისტემასა და საწმიდარში მსახურებასთან დაკავშირებით. და ეს ცერემონიალური კანონი წიგნში ჩაწერა მოსემ. მაგრამ სინაიზე გამოცხადებული ათი მცნება, რომელიც თავად დაწერა უფალმა ქვის ფიქალებზე, წმიდა კიდობანში ინახებოდა.

დღესაც ბევრი ცდილობს, გააერთიანოს ეს ორი სისტემა ცერემონიალურ კანონთან დაკავშირებული მუხლების მეშვეობით და დაამტკიცოს, რომ ზნეობრივი კანონი გაუქმებულია. მაგრამ ეს წმიდა წერილის დამახინჯებაა მხოლოდ. ამ ორ სისტემას შორის უდიდესი განსხვავებაა. ცერემონიალური კანონები შედგებოდა სიმბოლოებისაგან, რომელიც ქრისტეზე, მის მსხვერპლზე და მღვდლობაზე მიუთითებდა. მსხვერპლშეწირვისა და სხვა დადგენილებათა ამ რიტუალური კანონის შესრულება ებრაელებს იმ დრომდე ევალებოდათ, სანამ ქრისტეს - ღვთის კრავის სიკვდილში, რომელმაც წუთისოფლის ცოდვები იტვირთა, პირველსახე და რეალობა ერთურთს არ შეხვდებოდა. მაშინ მსხვერპლშეწირვის ყველა ეს რიტუალი თავის მნიშვნელობას კარგავდა. ეს ის კანონია, რომელიც ქრისტემ "აიღო... შუაგულიდან და ჯვარს მიამსჭვალა" /კოლ. 2:14/. მაგრამ ათი მცნების შესახებ მეფსალმუნე ამბობს: "უკუნისამდე, უფალო, შენი სიტყვა დაფუძნებულია ზეცაში" /ფს. 118:89/. მაცხოვარი თავად აცხადებს: "არ იფიქროთ, თითქოს რჯულის... გასაუქმებლად მოვედი. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ /ხაზს უსვამს ამ

სიტყვებს/: ვიდრე ცა და დედამიწა არ გადაივლის, არც ერთი იოტა ანდა არც ერთი წერტილი არ გადაივლის რჯულისა, ვიდრე ყოველივე არ აღსრულდება" /მათ. 5:17,18/. აქ მაცხოვარი არა მხოლოდ განმარტავს რჯულის მოთხოვნებს, არამედ გვარწმუნებს, რომ უცვლელია იგი, სანამ ცა და დედამიწა არსებობს. უფლის რჯული ისეთივე მყარი და უცვლელია, როგორც უზენაესის ტახტი. და კაცობრიობის მიმართ უფლის მოთხოვნებიც მარად იარსებებს.

სინაის მთაზე მოცემული რჯულის შესახებ ნეემია წინასწარმეტყველი ამბობს: "სინაის მთაზე ჩამოხველ, ზეციდან ელაპარაკე მათ და სწორი სამართალი, ჭეშმარიტი რჯულნი, კეთილი წესები და მცნებები მიეცი" /ნეემ. 9:13 - ხაზგასმა ავტორისა/. "წარმართთა მოციქული" - პავლე აცხადებს: "ამრიგად, რჯული წმიდაა, მცნებაც წმიდაა, მართალი და კეთილი" /რომ. 7:12/. ეს განმარტება მხოლოდ ათ მცნებას შეიძლება ეხებოდეს, რადგან ეს რჯული ამბობს: "არ ისურვო" /რომ. 7:7/.

თუმცა მხსნელის სიკვდილმა გააუქმა სიმბოლოებისა და პირველსახეების კანონი, მაგრამ არ გაუუქმებია ადამიანის მოვალეობანი, რომლებიც ზნეობრივი კანონითაა განპირობებული. პირიქით, ქრისტეს სიკვდილი, რომელიც რჯულის დარღვევათა გამოსასყიდად იყო აუცილებელი, მის უცვლელობაზე მეტყველებს.

[365]

ის, ვინც ამტკიცებს, რომ ქრისტე ძველი აღთქმისა და უფლის რჯულის გასაუქმებლად მოვიდა, იუდეველთა ეპოქას ბნელ საუკუნედ, ებრაელთა რელიგიას კი უბრალო რიტუალებისა და ცერემონიების შერწყმად მიიჩნევს. ეს დიდი შეცდომაა. წმიდა წერილის ყოველ გვერდზე, სადაც თავის ხალხთან ღმერთის დამოკიდებულებაზეა საუბარი, მოჩანს ცეცხლოვანი კვალი იმისა, ვინც წარმოთქვა: "მე ვარ". თავისი ძალისა და დიდების ნიშნების უმრავლესობა მხოლოდ მაშინ მოუვლინა მან ადამიანებს, როცა იგი ერთადერთ მბრძანებლად და რჯულის დამდგენლად მიაჩნდათ. მათი მმართველი მოკვდავი ადამიანი კი არ იყო კვერთხით ხელში, არამედ ისრაელის უძლიერესი, უხილავი მეფე.

ყოველ ამ გამოცხადებაში ღვთიური სიდიადე ქრისტეს მეშვეობით ვლინდებოდა. არა მხოლოდ მაცხოვრის დედამიწაზე მოსვლისას, არამედ წუთისოფელში ცოდვის გაჩენის და გამოსყიდვის აღთქმის შემდეგ საუკუნეების მანძილზე "ღმერთმა ქრისტეში შეირიგა წუთისოფელი" /2 კორ. 5:19/. ქრისტე იყო საფუძველი და ცენტრი მსხვერპლშეწირვის სისტემისა როგორც უძველეს, პატრიარქალურ, ასევე იუდეველთა ხანაშიც. ჩვენი წინაპრების დაცემის დღიდან

გაწყდა უშუალო კავშირი ღმერთსა და ადამიანს შორის. მამამ წუთისოფლის მმართველობა ქრისტეს გადასცა, რათა თავისი შუამდგომლობით გამოესყიდა ადამიანი და განემტკიცებინა უფლის რჯულის სიწმიდე და ხელმწიფება. ყოველგვარი ურთიერთობა ზეცასა და დაცემულ კაცობრიობას შორის ქრისტეს მეშვეობით ხორციელდებოდა. სწორედ უფლის ძემ აღუთქვა ჩვენს წინაპრებს გამოსყიდვა. სწორედ იგი ეჩვენებოდა პატრიარქებს. ადამი, ნოე, აბრაამი, ისააკი, იაკობი და მოსე ჩასწვდნენ სახარების არსს. მათ იცოდნენ, რომ ადამიანის ხსნა მხოლოდ მას შეუძლია, ვინც მას შეცვლის ჯვარზე და მის ცოდვებს გამოისყიდის. ამ ღვთისმოსავ ადამიანებს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ მაცხოვართან, რომელიც შემდგომში ადამიანის სხეულით უნდა მოსულიყო დედამიწაზე, ზოგი მათგანი კი პირისპირ ესაუბრებოდა მას და ზეციურ ანგელოზებს.

ქრისტე მხოლოდ ის ანგელოზი როდი იყო, რომელიც ებრაელებს უდაბნოში წინ მიუძღოდა, რომელშიც სახელი "იეჰოვა" იყო ჩაქსოვილი და ღრუბლის სვეტში გზას უჩვენებდა თავის ხალხს; ის იყო ისიც, ვინც ისრაელს რჯული მისცა. მრისხანე დიდების ღრუბლით მოცულმა ქრისტემ მთელი ხალხის წინაშე გამოაცხადა ათი მცნება - თავისი მამის რჯული და ქვის ფიქალებზე ამოკვეთილი, მოსეს გადასცა.

ეს ქრისტე მიმართავდა თავის ხალხს წინასწარმეტყველთა ბაგეებით. პეტრე მოციქული ქრისტიანული ეკლესიისადმი გაგზავნილ წერილში წერს, რომ "წინასწარმეტყველნი... თქვენთვის განკუთვნილ მადლზე წინასწარმეტყველებდნენ. იკვლევდნენ, რომელ და რა დროზე მიუთითებდა მათში მყოფი ქრისტეს სული, როცა წინასწარ უმოწმებდა ქრისტეს ტანჯვას და ტანჯვის შემდგომ დიდებას" /1 პეტრ. 1:10,11 - ხაზგასმა ავტორისა/. ეს ქრისტეს ხმა მოგვმართავს ძველი აღთქმის ფურცლებიდან. "ვინაიდან იესოს მოწმობა წინასწარმეტყველობის სულია" /გამოცხ. 19:10/.

ძველი აღთქმისაკენ მიმართავდა ქრისტე იმ ადამიანთა ყურადღებას, რომელთაც ასწავლიდა. "იკვლევთ წერილებს, რადგან გგონიათ, რომ მათში გაქვთ საუკუნო სიცოცხლე. ისინი კი ჩემს შესახებ მოწმობენ" /იოან. 5:39/. ამ დროისათვის ბიბლიური წიგნებიდან მხოლოდ ძველი აღთქმის წერილები არსებობდა. ძე ღვთისა ამბობს: "მათ ჰყავთ მოსე და წინასწარმეტყველნი; მათ უსმინონ". შემდეგ კი განაგრძობს: "თუ მოსესა და წინასწარმეტყველთ არ მოუსმენენ, მკვდრეთითაც რომ აღდგეს ვინმე, არ ირწმუნებენ" /ლუკ. 16:29, 31/.

[366]

[367]

ცერემონიალური კანონიც ქრისტეს დაწესებულია. მოგვიანებით, როცა ეს კანონი უკვე გაუქმდა, პავლე მოციქულმა დაანახა ებრაელებს მისი ჭეშმარიტი მნიშვნელობა, მისი ადგილი გამოსყიდვის გეგმაში და ქრისტეს მსახურებაში; ეს უდიდესი მოციქული ღირსეულს და დიდებულს უწოდებს ამ კანონს. საწმიდარში საზეიმო მსახურება ანარეკლი იყო იმ უდიდესი ჭეშმარიტებებისა, რომლებიც გასაგები გახდებოდა მომავალი თაობებისათვის. ისრაელიანთა ლოცვებთან ერთად ზეცას ასული საკმევლის ღრუბელი სიმბოლო იყო ქრისტეს სიმართლისა, რომლის მეშვეობითაც ღებულობს ზეცა ცოდვილის ლოცვებს; სრულადდასაწველის სამსხვერპლოზე მოთავსებული დაკლული მსხვერპლი მომავალ გამომსყიდველზე მოწმობდა; წმიდათა წმიდაში უფლის ხილული დიდება ბრწყინავდა. ასე რომ, განდგომილებისა და უმეცრების ბნელ საუკუნეებშიც გააჩნდათ ადამიანებს გულწრფელი, ცოცხალი რწმენა, ვიდრე აღთქმული მესიის მოსვლის ჟამი დადგებოდა.

სანამ დედამიწას ადამიანის სახით მოევლინებოდა, ქრისტე უკვე იყო თავისი ხალხისა და წუთისოფლის ნათელი. სწორედ ქრისტესგან გამოვიდა პირველი სხივი, რომელმაც გაარღვია ცოდვის წყვდიადი. ყოველი ზეციური სხივი დედამიწის

მკვიდრთათვის მისგან მოდის. გადარჩენის გეგმაში ქრისტე არის ანი და ჰოე - პირველი და უკანასკნელი.

მას შემდეგ, რაც მაცხოვარმა ადამიანთა ცოდვების მიტევებისათვის თავისი სისხლი დაღვარა და ზეცად ამაღლდა, რათა უფლის წინაშე წარმდგარიყო, გოლგოთის ჯვრიდან და ზეციური საწმიდრიდან სინათლის უხვი ნაკადი იღვრება. მაგრამ ეს უხვი ნათელი უფლებას არ გვაძლევს, დავამცეროთ იმ სიმბოლოების მნიშვნელობა, რომელიც ძველ დროში მომავალ მაცხოვარზე მიუთითებდა. ქრისტეს სახარება ნათელს ხდის ებრაელთა ცხოვრების წესს და აღნიშნავს ცერემონიალური კანონის მნიშვნელობას. როცა ახალი ჭეშმარიტება გვეცხადება, ძველიც უფრო გასაგები ხდება, უფლის ჩანაფიქრი და ხასიათი უფრო სრულად ვლინდება თავის რჩეულ ხალხთან მის დამოკიდებულებაში. სინათლის ყოველი სხივი სულ უფრო ნათლად და გასაგებად წარმოგვიდგენს გამოსყიდვის გეგმას, რაც უფლის ნების გამოხატულებაა ადამიანთა გადარჩენისათვის. სულ უფრო ახალ სილამაზეს და ძალას ვხედავთ წმიდა წერილში და მისი შესწავლის უფრო ღრმა ინტერესი გვიჩნდება.

ბევრი ეთანხმება იმ აზრს, რომ ღმერთმა გამყოფი კედელი აღმართა ებრაელებსა და სხვა ხალხებს შორის; რომ მის სიყვარულსა და ზრუნვას მოკლებული იყო ყველა ერი, ისრაელიანთა გარდა. მაგრამ უფალს არ სურდა, მის ხალხს

გაუცხოების კედელი აეგო თავისსა და თავის მოყვასს შორის. უფლის უსასრულო სიყვარული დედამიწის ყოველი მკვიდრისთვისაა ხელმისაწვდომი. თუმცა ადამიანებმა უარყვეს უფალი, მაგრამ ის მაინც მუდამ ცდილობს, გაუხსნას მათ თავისი ჭეშმარიტება და თავისი სიყვარულისა და მადლის თანაზიარი გახადოს ისინი. მან თავისი კურთხევა უბოძა რჩეულ ხალხს, რათა მას, თავის მხრივ, სხვებისთვის მიეცა იგი.

ღმერთმა მოუწოდა აბრაამს, აკურთხა და განადიდა იგი და ღვთისადმი პატრიარქის ერთგულება ანთებულ სანთელს ჰგავდა ყველგან, სადაც კი უცხოვრია. აბრაამი არ გაურბოდა ადამიანებს; მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა სხვადასხვა ერების მმართველებთან; ზოგიერთი მათგანი უდიდესი პატივით ეპყრობოდა აბრაამს. უფლის ხასიათი ჩანდა მის პატიოსნებაში, უანგარობაში, სიმამაცესა და გულუხვობაში. სწორედ თავისი წარმომადგენლის, აბრაამის მეშვეობით გამოუცხადა თავისი ჭეშმარიტი არსი ზეციურმა მეფემ მესოპოტამიის, ქანაანის, ეგვიპტისა და სოდომის მკვიდრთაც კი.

იოსებმა გამოუცხადა უფლის ხასიათი ეგვიპტის და ამ უძლიერეს ქვეყანასთან

[368]

კავშირში მყოფ სხვა ხალხებს. რატომ აირჩია უფალმა იოსები და განადიდა ეგვიპტელთა შორის? განა სხვა გზით არ შეეძლო მას იაკობის შვილების მიმართ თავისი ჩანაფიქრის განხორციელება? მაგრამ იოსები სურდა ღმერთს თავისი შუქის მატარებლად და გაგზავნა იგი მეფის სასახლეში, რათა მისი მეშვეობით მთელ ქვეყანაში გაფანტულიყო ზეციური ნათელი. ბრძენი, სამართლიანი, კეთილგონიერი და კეთილშობილი, ადამიანთა ინტერესების ერთგული, ეს ადამიანები კი წარმართ ხალხს ეკუთვნოდნენ, იოსები ქრისტეს წარმომადგენელი იყო. თავის კეთილისმყოფელში, ეგვიპტეში ყველას რომ ასე უყვარდა და პატივს სცემდა, ამ წარმართ ხალხს შემოქმედისა და მხსნელის სიყვარული უნდა დაენახა. ასე აანთო ჭეშმარიტების ლამპარი უფალმა წუთისოფლის უძლიერეს სამეფოში, რათა მსურველთ შეეცნოთ ჭეშმარიტი, ცოცხალი ღმერთი. მთელი ეს მადლი ეგვიპტელებს მანამ გაეგზავნათ, სანამ მათზე უზენაესის დამსჯელი ხელი აღიმართებოდა.

როცა ღმერთმა ისრაელი ეგვიპტიდან გამოიყვანა, მისი ძლიერების ამბავი ყველგან გავრცელდა. კარგად გამაგრებულ ქალაქ იერიხონის მამაცი მცხოვრებნი შიშით ძრწოდნენ. "შევიტყვეთ და შეგვიდრკა გული, მხნეობა აღარავის შერჩა თქვენს გამო, რადგან უფალი, თქვენი ღმერთი ღმერთია მაღლა ცაში და დაბლა დედამიწაზე" /იესო. 2:11/. ეგვიპტიდან გამოსვლის მრავალი წლის შემდეგ ფილისტიმელთა ქურუმები

თავის ხალხს ეგვიპტის წყლულებს ახსენებდნენ და ურჩევდნენ, დამორჩილებოდნენ ისრაელის ღმერთს.

ღმერთმა იმისთვის კი არ აირჩია, აკურთხა და აამაღლა ისრაელი, რომ როგორც უფლის მცნებების შემსრულებელს, მხოლოდ მას ესარგებლა უზენაესის კეთილგანწყობით და კურთხევით, არამედ იმისათვის, რომ მისი მეშვეობით მთელი დედამიწისათვის მიეცა თავისი მადლი და ჭეშმარიტება. სწორედ ამ მიზნით უბრძანა ისრაელიანთ, რომ გარიდებოდნენ მათ გარშემო მცხოვრებ წარმართთა ტომებს.

კერპთაყვანისმცემლობა და მასთან დაკავშირებული სხვა ცოდვები სისაძაგლე იყო უფლისათვის და ამიტომ უბრძანა თავის ხალხს, არ შერეოდნენ სხვა ტომებს, არ მიებაძათ მათი საქმეებისათვის და ღმერთი არ დაევიწყებინათ. წარმართებთან ქორწინება აუკრძალა ებრაელებს, რათა მუდამ თავისთან ჰყოლოდა ისინი. მაშინაც ისევე, როგორც დღეს, საჭირო იყო წუთისოფლის ჭუჭყში არ გასვრილიყო ღვთის ხალხი და სიწმიდე შეენარჩუნებინა. ისრაელიანები თავისუფალნი უნდა ყოფილიყვნენ ამ წუთისოფლის საქმეებისა და საზრუნავისაგან, რადგან სიმართლის ჭეშმარიტებას ეწინააღმდეგება იგი. მაგრამ უფალს არ სურდა, რომ მისი ხალხი, თავისი განსაკუთრებულობისა და გამორჩეულობის გამო, განცალკევებული ყოფილიყო წუთისოფლისაგან და ზეგავლენა არ მოეხდინა მასზე.

თავისი მეუფის მსგავსად, ქრისტეს მიმდევრები ყოველთვის ანთებული ლამპრები უნდა ყოფილიყვნენ წუთისოფლისათვის. მაცხოვარმა ბრძანა: "მთის წვერზე მდებარე ქალაქი ვერ დაიმალება. სანთელს რომ აანთებენ, ჭურჭელქვეშ კი არ დგამენ, არამედ სასანთლეზე და ყველას უნათებს სახლში", - მაშასადამე, მთელ წუთისოფელში. და განაგრძობს: "ასევე ანათებდეს თქვენი ნათელი ადამიანთა წინაშე, რათა ხედავდნენ ისინი თქვენს კეთილ საქმეებს და ადიდებდნენ თქვენს მამას, რომელიც ზეცაშია" /მათ. 5:14-16/. სწორედ ამას აკეთებდნენ ენოქი, ნოე, აბრაამი, იოსები და მოსე. ესაა სწორედ ის, რაც, უფლის ჩანაფიქრით, უნდა გააკეთოს მისმა ხალხმა, ისრაელმა.

თავიანთი ბოროტი ურწმუნოებით და სატანის გავლენით ირგვლივ მყოფ ხალხებში გავრცელების ნაცვლად, ისრაელიანებმა დამალეს ეს ჭეშმარიტი ნათელი. ფანატიზმი შთააგონებდა მათ ან წარმართ ურჯულოთა ტრადიციებს

[369]

[370]

გაჰყოლოდნენ, ან წუთისოფელს გაქცეოდნენ და თავიანთი რჩეულობის სიამაყით დამტკბარიყვნენ, თითქოს უფლის სიყვარული და მზრუნველობა მხოლოდ მათი საკუთრება ყოფილიყოს.

როგორც ბიბლია წარმოგვიდგენს ორ რჯულს: პირველს - უცვლელს და მარადიულს; და მეორეს - დროებითსა და პირობითს, ასევე არსებობს ორი აღთქმა: მადლისა, რომელიც პირველად ედემში მიეცა ადამიანს, როცა მისი დაცემის შემდეგ გაისმა ღვთიური აღთქმა იმის შესახებ, რომ დედაკაცის თესლი თავს გაუჭეჭყავს გველს. ეს აღთქმა ადამიანს სთავაზობდა მიტევებას და ღვთიური ხსნის მადლს მომავალში ქრისტეს რწმენით. ასევე - საუკუნო სიცოცხლეს უფლის რჯულის ერთგულად დაცვის შემთხვევაში.

სწორედ ეს აღთქმა განაახლა ღმერთმა აბრაამთან: "იკურთხებიან შენი შთამომავლობის წყალობით ქვეყნიერნი, რადგან შეისმინე ჩემი სიტყვა" /დაბ. 22:18/. აღთქმა ქრისტეზე მიუთითებდა. აბრაამმა შეიცნო ეს /იხ. გალ. 3:8,16/ და ირწმუნა, რომ ცოდვათა მიტევება მხოლოდ ქრისტეს მსხვერპლის მეშვეობითაა შესაძლებელი. აი, როგორი რწმენა ჩაეთვალა მას სიმართლეში. აბრაამთან დადებული აღთქმა ღმერთის რჯულსაც განამტკიცებდა; გამოეცხადა უფალი აბრაამს და უთხრა: "მე ვარ ღმერთი ძლიერი. იარე ჩემს წინაშე და სრული იყავი" /დაბ. 17:1/. შემდეგ უფალი მოწმობს თავის ერთგულ მსახურზე: "დამიჯერა აბრაამმა და ასრულებდა ჩემს

ნაანდერძევს, ჩემს ბრძანებებს, ჩემს მცნებებს, ჩემს სჯულდებებს" /დაბ. 26:5/ და ეუბნება მას: "დავდებ აღთქმას ჩემსა და შენს შორის და შენს შთამომავალთა შორის თაობიდან თაობამდე, სამარადისო აღთქმას, რომ შენი და შენი შთამომავლობის ღმერთი ვიქნები" /დაბ. 17:7 - ხაზგასმა ავტორისა/.

თუმცა ეს აღთქმა ადამს დაუდო უფალმა, შემდეგ კი აბრაამთან განაახლა, მაგრამ არ იყო განმტკიცებული ქრისტეს სიკვდილამდე. ეს იყო პირველი მითითება გამოსყიდვის შესახებ, რომელსაც რწმენით ღებულობდნენ, მაგრამ შემდგომ, ქრისტეს მიერ განმტკიცებულს, ახალი აღთქმა ეწოდა, რომელსაც საფუძვლად უფლის რჯული დაედო, როგორც აუცილებელი საშუალება ადამიანთა ღმერთთან დაბრუნებისა და მისი ღვთიური ნებისადმი მორჩილებისა.

სხვა აღთქმა, რომელიც ბიბლიაში "ძველი აღთქმით" არის ცნობილი, დაიდო ღმერთსა და ისრაელს შორის სინაიზე და განმტკიცდა მსხვერპლის სისხლით. აბრაამის აღთქმა კი ქრისტეს სისხლით განმტკიცდა და ეწოდა "მეორე" ანუ "ახალი აღთქმა", ვინაიდან სისხლი, რომლითაც ის განმტკიცდა, პირველი აღთქმის შემდეგ დაიღვარა. ის, რომ ახალი აღთქმა ძალაში იყო აბრაამის დღეებში, იქიდან ჩანს, რომ მაშინ ის განმტკიცებული იყო როგორც აღთქმით, ასევე უფლის ფიცით

"ორ უცვალებელ საქმეში, რაშიც შეუძლებელია ღმერთმა იცრუოს" /ებრ. 6:18/.

მაგრამ, თუკი აბრაამისეული აღთქმა გამოსყიდვის იმედს მოიცავდა, რაღა საჭირო იყო მეორის დადება სინაის მთაზე? ტყვეობის წლებში ებრაელმა ხალხმა დაკარგა ცოდნა ღმერთისა და აბრაამის აღთქმის შესახებ. ეგვიპტიდან გათავისუფლების შემდგომ უფალს სურდა, გაეცხადებინა თავისი ძალა და წყალობა თავისი ხალხის სიყვარულისა და ნდობის მოსაპოვებლად. მეწამულ ზღვასთან მოიყვანა ისინი, სადაც, ეგვიპტელთაგან დევნილებმა და დასაღუპავად განწირულებმა, შეიგნეს საკუთარი უძლურება და საშველად უფალს მოუხმეს. და მაშინ იხსნა კიდეც. ღვთისადმი სიყვარულმა და მადლიერების გრძნობამ მოიცვა მათი გული და მიენდნენ კიდეც მის ყოვლადძლიერებას. მაშინ მიწიური მონობისაგან იხსნა უფალმა ისრაელიანნი.

მაგრამ არსებობდა სხვა, უფრო დიდი ჭეშმარიტება, რომელიც მათ გონებაში უნდა ჩაბეჭდილიყო. იქ, წარმართთა შორის, გახრწნილების ატმოსფეროში

[371]

ცხოვრებისას, მათ არ ჰქონდათ სწორი წარმოდგენა ღვთიურ სიწმიდეზე, საკუთარ ცოდვილ ცხოვრებაზე, საკუთარი უძლურების გამო უფლის რჯულის აღსრულების შეუძლებლობაზე და მხსნელის საჭიროებაზე. ყოველივე ეს უნდა შეესწავლათ და შეეგნოთ.

ღმერთმა სინაის მთასთან მიიყვანა ისინი. გამოუცხადა თავისი დიდება, მისცა რჯული და მორჩილების შემთხვევაში კურთხევა აღუთქვა. "თუ შეისმენთ ჩემს სიტყვას და დაიცავთ ჩემს აღთქმას... მღვდელთა სამეფოდ და წმიდა ერად მეყოლებით" /გამ. 19:5,6/. ადამიანებს ვერ შეეცნოთ თავიანთი ცოდვილი მდგომარეობა; ვერ ხვდებოდნენ, რომ ქრისტეს გარეშე შეუძლებელია უფლის რჯულის აღსრულება და... სასწრაფოდ დაუდეს ღმერთს აღთქმა. ეყრდნობოდნენ რა საკუთარ სიმართლეს, განაცხადეს: "ყველაფერს აღვასრულებთ და შევისმენთ, რაც უბრძანებია უფალს" /გამ. 24:7/. იხილეს საკუთარი თვალით, თუ როგორი მრისხანე დიდებულებით წარმოთქვა ღმერთმა თავისი რჯული, შიშისაგან ძრწოდნენ მთის შემოგარენთან, მაგრამ რამდენიმე კვირის შემდეგ სულ დაივიწყეს დადებული ფიცი და თაყვანსაცემად კერპი ჩამოასხეს. ფიცის გატეხვის შემდეგ მათ აღარ ჰქონდათ უფლის კეთილგანწყობის მოპოვების იმედი; ახლა უკვე შეიგრძნეს თავისი ცოდვილი მდგომარეობა და მიტევების აუცილებლობა, მხსნელის საჭიროება, რომელიც აბრაამის აღთქმაში და მსხვერპლშეწირვის სიმბოლურ მსახურებაში აისახა. ახლა მათი სიყვარული და რწმენა უფლისაკენ წარიმართა, რომელიც

ცოდვის მონობიდან გაათავისუფლებდა მათ. ახლა მათ უკვე შეეძლოთ ახალი აღთქმის კურთხევათა შეფასება.

პირობა ძველი აღთქმისა: "რომელიც უნდა შეასრულოს ადამიანმა, რომ ცოცხალი დარჩეს", ასეთია: დაემორჩილე და იცოცხლებ /ეზეკ. 20:11; იხ. ლევ. 18:5/. და, "წყეულიმც იყოს, ვინც გატეხს ამ რჯულის სიტყვებს და არ შეასრულებს მათ!" /რჯლ. 27:26/. ახალი აღთქმა "უკეთეს დაპირებებზე" - ცოდვათა მიტევებაზე და უფლის მადლზეა დაფუძნებული, რათა განახლებულმა გულმა უფლის რჯულის პრინციპების მიხედვით ცხოვრება შეძლოს. "ეს არის ის აღთქმა, რომელიც უნდა დავუდო ისრაელის სახლს იმ დროის შემდეგ, ამბობს უფალი. წიაღში ჩავუდებ მათ ჩემს რჯულს და გულზე დავაწერ ... ყველას ვაპატიებ დანაშაულს და აღარ გავუხსენებ ცოდვებს" /იერ. 31:33,34 - ხაზგასმა ავტორისა/.

ქვის ფიქალებზე ამოკვეთილი რჯული ახლა სულიწმიდის მადლით გულის ფიქალებზეა ამოკვეთილი. საკუთარი სიმართლის ნაცვლად ქრისტეს სიმართლის მიღებას ვლამობთ. მხოლოდ მისი სისხლი გვწმედს ცოდვებისაგან. სულიწმიდით განახლებული მორჩილი გული გამოიღებს "სულის ნაყოფს". ქრისტეს მადლის მეშვეობით შევძლებთ ღმერთის ნების აღსრულებას, რომელიც ჩვენს გულებზეა დაწერილი. ქრისტეს სულის მქონენი, ქრისტეს საქმეებს მივბაძავთ. წინასწარმეტყველის მეშვეობით იგი თავის თავზე ამბობს: "შენი

სურვილის შესრულება მინდოდა, ღმერთო, და რჯული შენი ჩემს გულშია" /ფს. 39:9/. ხოლო დედამიწაზე ყოფნისას თქვა: "ვინც მე მომავლინა, ჩემთანაა, მარტო არ დამტოვა, რადგან მუდამ იმას ვაკეთებ, რაც მისთვის არის სათნო" /იოან. 8:29/.

პავლე მოციქული გასაგებად გვესაუბრება რწმენისა და რჯულის ურთიერთკავშირზე ახალ აღთქმაში. იგი ამბობს: "მაშასადამე, რაკი რწმენით გავმართლდით, მშვიდობა გვაქვს ღმერთთან ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ". "მაშ, ჩვენ რწმენით ვაბათილებთ რჯულს? არამც და არამც; არამედ განვამტკიცებთ რჯულს". "ვერ შეძლო ხორცის მიერ დაუძლურებულმა რჯულმა" ადამიანის გამართლება, რადგან ცოდვილ სხეულში ვერ ასრულებდა მას, ამიტომ "ღმერთმა მოავლინა თავისი ძე ცოდვილი ხორცის მსგავსებაში და

[372]

[373]

ცოდვის გამო მსჯავრი დასდო ცოდვას ხორცში, რათა აღსრულდეს რჯულის სიმართლე ჩვენში, რომლებიც

ვცხოვრობთ არა ხორციელად, არამედ სულიერად" /რომ. 5:1; 3:31; 8:3, 4 - ხაზგასმა ავტორისა/.

უფალი ყოველთვის ერთნაირად მოქმედებს, თუმცა კი მისი ძალა სხვადასხვა ვითარებაში სხვადასხვანაირად ვლინდება, ადამიანის საჭიროებისამებრ, ამა თუ იმ დროს. პირველი აღთქმის დღეებიდან დაწყებული, პატრიარქალური და იუდეველთა ეპოქებით გაგრძელებული და ჩვენს დღეებამდე მოყოლებული, ხორციელდება უფლის გეგმა ადამიანის გამოსყიდვისათვის. იუდეველთა რიტუალებში და სიმბოლურ მსახურებაში წარმოდგენილი მაცხოვარი იგივეა, ვინც სახარებაში გვევლინება. მისი ღვთიური ხატების დამფარველი ღრუბელი გაიფანტა, ჩრდილები და წყვდიადი გაქრა და წუთისოფლის მხსნელი მთელი თავისი დიდებულებით გამოგვეცხადა. ის, ვინც სინაის მთაზე რჯული გამოუცხადა და მოსეს მეშვეობით რიტუალური კანონი გადასცა ისრაელიანებს, იგივეა, ვინც ახალ აღთქმაში მთაზე ქადაგებდა. ღვთისადმი სიყვარულის უდიდესი პრინციპები, რომელზედაც დაფუძნებულია რჯული და წინასწარმეტყველნი, მხოლოდ გამეორებაა ებრაელი ხალხისადმი მოსეს მეშვეობით მიმართვისა: "ისმინე, ისრაელო! ერთია უფალი, უფალი, ჩვენი ღმერთი. გიყვარდეს უფალი, შენი ღმერთი მთელი შენი გულითა და სულით, მთელი შენი შეძლებით" /რჯლ. 6:4,5/. "გიყვარდეს მოყვასი შენი, როგორც თავი შენი" /ლევ. 19:18/, ორივე რჯული ერთმა და იმავე მოძღვარმა გვიქადაგა, უფლის მოთხოვნები ყოველთვის ერთნაირია; მმართველობის პრინციპებიც, რადგან ყოველივე მისგან მოდის, "რომელთანაც

არ არის ცვლილება და არც ჩრდილი ცვალებადობისა" /იაკ. 1:17/.

თავი 33 - სინაიდან კადეშისაკენ

რიცხვნი 11; 12

სინაის მთასთან მოსულმა ისრაელიანებმა მოგვიანებით დაიწყეს საწმიდრის მშენებლობა: ეს წმიდა ნაგებობა ეგვიპტიდან გამოსვლის მეორე წლის დასაწყისში იქნა აგებული. მღვდელმსახურთა მომზადება, პასექის დღესასწაულის აღნიშვნა, მოსახლეობის აღრიცხვა, სხვადასხვა საერო თუ რელიგიურ ღონისძიებათა ჩატარება - ყოველივე დიდ დროს საჭიროებდა. ასე რომ, თითქმის ერთ წელიწადს ცხოვრობდნენ ისრაელიანები სინაიზე. აქ მათმა მსახურებამ უფრო განსაზღვრული ფორმა მიიღო. გამოიცა მმართველობის სხვადასხვა კანონები, რამაც ხელი შეუწყო მათი ცხოვრების მოწესრიგებას ქანაანის ქვეყანაში შესასვლელად.

ისრაელის მმართველობის სისტემა უმაღლესი ორგანიზებულობითა და უბრალოებით გამოირჩეოდა. უფლის სრულყოფილ შემოქმედებაში არსებული მკაცრი წესრიგი ებრაელთა მმართველობის სისტემაშიც დაინერგა.

ხელმწიფებისა და მმართველობის ცენტრი თავად ღმერთი იყო. მის მიერ ხალხის მმართველად და მისი კანონების აღმსრულებლად დანიშნული მოსე რეალურად ახორციელებდა ღვთიურ ხელმწიფებას. სხვადასხვა შტოს უხუცესებიდან სამოცდაათი კაცი შედიოდა საბჭოში, რომელიც მოსეს უნდა დახმარებოდა სახალხო საქმეების გადაწყვეტაში. შემდეგ მოდიოდნენ მღვდლები, რომლებიც საწმიდარში უფლისაგან რჩევა-დარიგებას ღებულობდნენ. ისრაელიანთა შტოების ხელმძღვანელები იყვნენ მთავრები, რომელთაც ემორჩილებოდნენ ათასისთავები, ასისთავები, ორმოცდაათისთავები და ათისთავები და სხვა მოვალეობის შემსრულებელნი /იხ. რჯლ. 1:15/.

მკაცრი წესის მიხედვით იყვნენ განლაგებულნი ისრაელიანნი ბანაკში. ადამიანები სამ დიდ ჯგუფად იყვნენ დაყოფილნი. თითოეულ მათგანს განსაზღვრული ადგილი ეთმობოდა ბანაკში. მის შუაგულში იდგა კარავი - უხილავი მეფის სავანე. მის გარშემო - მღვდელმსახურნი და ლევიანნი. შემდეგ კი სხვა დანარჩენი ტომები.

ლევიანთ ევალებოდათ საწმიდარზე და მასში მყოფ ყველა საგანზე ზრუნვა როგორც დაბანაკებისას, ასევე გზაზე. როცა ბანაკი აიშლებოდა, მათ უნდა დაეშალათ წმიდა კარავი, ხოლო დანიშნულ ადგილზე მისვლისას კვლავ უნდა გაეშალათ იგი. სხვა ყველას სასტიკად ეკრძალებოდა კარავთან მიახლოებაც კი. ლევიანნიც სამ ჯგუფად იყოფოდნენ - ლევის სამი მემკვიდრის

შთამომავლობათა მიხედვით; ყოველ ჯგუფს განსაზღვრული მსახურება და ადგილი ჰქონდა მიჩენილი. საწმიდართან ყველაზე ახლოს მოსესა და აარონის კარვები იდგა. სამხრეთით განლაგებული იყვნენ კეჰათიანები, რომელთაც კიდობანზე და საწმიდრის სხვა საგნებზე ზრუნვა ევალებოდათ. ჩრდილოეთით განლაგებულ კარვებში მერარიანები ცხოვრობდნენ, რომელთაც საწმიდრის ძელებზე, სვეტებზე და ფიცრებზე უნდა ეზრუნათ. საწმიდრის უკან კი გერშონიანები ცხოვრობდნენ, რომელთაც სადღესასწაულო კარვის ფარდები და საფარველები ებარათ.

დადგენილ იქნა თითოეული შტოს ადგილმდებარეობაც. უფლის ბრძანებით, ყოველ მათგანს უნდა ემოგზაურა და დაბანაკებულიყო საკუთარი დროშის ქვეშ. "თითოეულმა ისრაელიანმა თავის დროშასთან, თავისი მამის სახლის სანიშნოებთან დაიბანაკოს; სადღესასწაულო კარვის ირგვლივ დაიბანაკოს. როგორც არიან დაბანაკებულნი, ისევე უნდა იყვნენ გზაშიც, თითოეული თავის დროშასთან"

[374]

[375]

/რიცხ. 2:2,17/.

ისრაელიანებთან ერთად ეგვიპტიდან გამოსულ სხვა მგზავრებს აკრძალული ჰქონდათ ებრაელებთან ერთად დაბანაკება; მათ კარვისაგან მოშორებით უნდა ეცხოვრათ; მათი შთამომავლობა ვერ შეერეოდა უფლის ხალხს მესამე თაობამდე /იხ. რჯლ. 23:7,8/.

სისუფთავე და მკაცრი წესრიგი სუფევდა როგორც შიგნით, ბანაკში, ასევე მის გარეთაც. არსებობდა ჰიგიენის მკაცრი წესები. არც ერთ გაუწმიდურებულ ადამიანს, მიზეზისდა მიუხედავად, არ ჰქონდა ბანაკში შემოსვლის უფლება. მკაცრი ზომების გატარება აუცილებელი იყო ასეთ მრავალრიცხოვან ბანაკში ჯანმრთელობის, სისუფთავისა და წესრიგის შესანარჩუნებლად, რათა ისრაელს წმიდა ღმერთის წინაშე ყოფნის უფლება ჰქონოდა. ამიტომ ბრძანა უფალმა: "რადგან უფალი, შენი ღმერთი, დადის შუაგულ ბანაკში, რომ გიხსნას და ხელში ჩაგიგდოს შენი მტრები. წმიდა უნდა იყოს შენი ბანაკი" /რჯლ. 23:14/.

ისრაელის მთელი ხანგრძლივი მოგზაურობის მანძილზე "უფლის აღთქმის კიდობანი მათ წინ მიდიოდა... რათა ეჩვენებინა მათთვის დასავანებელი ადგილი" /რიცხ. 10:33/. ბანაკს წინ კეჰათის ძენი უნდა გასძღოლოდნენ წმიდა კიდობნით ხელში, რომელშიც ღვთის წმიდა რჯული იყო მოთავსებული. კიდობნის წინ კი მოსე და აარონი მიდიოდნენ

ვერცხლის საყვირიან მღვდელთა თანხლებით, რომლებიც მოსესგან მიღებულ მითითებებს საყვირით ამცნობდნენ ხალხს. ყოველი ჯგუფის ხელმძღვანელს საყვირით გადმოცემულ მითითებათა ზუსტად გადაცემა ევალებოდა. ამ მითითებათა ყოველი უარმყოფელი სიკვდილით ისჯებოდა.

უფალი ღმერთი წესრიგის ღმერთია. ზეცაში სრული წესრიგი სუფევს. ზეციურ ანგელოზთა ყოველი მოქმედება მკაცრი წესრიგითა და მორჩილებითაა განპირობებული. წარმატების მოპოვება ყოველგვარ საქმეში სრული წესრიგითა და შეთანხმებული მოქმედებითაა შესაძლებელი. დღეს უფალი ღმერთი თავისი მსახურებისაგან არანაკლებ წესრიგსა და მორჩილებას ითხოვს, ვიდრე ისრაელის დღეებში. უფლის სამსახურში მყოფმა ყოველმა მორწმუნემ გონივრულად უნდა იმოქმედოს; განდევნოს გულგრილობა და დაუდევრობა. უფალს სურს, რომ მისი სახელით მშრომელნი ერთგულად ასრულებდნენ მის საქმეს, თუ სურთ, რომ უფლის მოწონება დაიმსახურონ.

უფალი თავად ხელმძღვანელობდა ებრაელ ერს ამ მოგზაურობისას. ღრუბლის სვეტი საუკეთესო ადგილს ურჩევდა ბანაკს დასასვენებლად და თავად განაგრძობდა კარვის თავზე სუფევას მანამ, სანამ ბანაკი ისვენებდა. ხოლო ბანაკის აშლის ჟამს სვეტი მაღლა, წმიდა კარვის თავზე აღიმართებოდა. და ყოველთვის, შესვენებისას თუ ადგილიდან დაძვრისას,

ისმოდა საზეიმო შეძახილები. "როცა დაიძრებოდა კიდობანი, იტყოდა მოსე: აღიმართე, უფალო, და გაიფანტებიან შენი მტრები, გაიქცევიან შენი პირისაგან შენი მოძულენი! დავანებისას იტყოდა: დაბრუნდი, უფალო, ისრაელის ბევრ ათასეულთან" /რიცხ. 10:35,36/.

სინაიდან კადეშამდე, რომელიც ქანაანის საზღვართან მდებარეობდა, მხოლოდ თერთმეტი დღის სავალი მანძილი იყო. და აი, აღთქმულ მიწასთან სწრაფად მისვლის მოშურნე ისრაელიანნი ღრუბლის ნიშანზე ადგილიდან დაიძრნენ და გზას გაუდგნენ. ეგვიპტიდან მათი გამოყვანისას დიდმა იეჰოვამ უდიდესი სასწაულები მოახდინა და ახლა, როცა ხალხმა თავის წინამძღოლად და მმართველად გამოაცხადა იგი და როცა ისრაელიანთ უზენაესი ღმერთის რჩეული ერი ეწოდათ, უფრო მეტი კურთხევა ელოდათ.

მაგრამ ზოგს მაინც არ ეთმობოდა შეჩვეული ადგილი. ისინი თითქმის თავის სამშობლოდ თვლიდნენ მას. უფალმა გამოყო თავისი ერი სხვა ხალხებისაგან,

[376]

[377]

გრანიტის მიუვალ კლდეთა შორის მოათავსა, რათა მათთვის თავისი რჯული გამოეცხადებინა. მათ უყვარდათ ეს წმიდა მთა, რომლის ჭაღარა მწვერვალზე და კლდოვან ხეობებში ასე ხშირად ეცხადებოდათ ღვთიური დიდება. მათ შეგნებაში ეს ადგილი ისე მჭიდროდ იყო დაკავშირებული უფლისა და წმიდა ანგელოზთა გამოცხადებასთან და იმდენად წმიდა იყო მათთვის, რომ შეუძლებლად მიაჩნდათ ასე სწრაფად, დაუფიქრებლად და სიხარულით მისი დატოვება.

მაგრამ საყვირის ხმაზე მთელი ბანაკი დაიძრა; შუაში მოწიწებით მიჰქონდათ კიდობანი. ებრაელთა ყოველი შტო დადგენილი წესით მიემართებოდა თავისი დროშის ქვეშ. ყველა მოუთმენლად ელოდა, თუ საით წაიყვანდა ღრუბელი და, როცა მან აღმოსავლეთისაკენ მიუთითა, სადაც პირქუში, შიშველი, კლდოვანი ლოდები აღმართულიყვნენ, ბევრი ეჭვმა და მწუხარებამ შეიპყრო.

სულ უფრო ძნელდებოდა გადაადგილება. მათი გზა გადიოდა კლდოვან ხეობებზე, უნაყოფო ადგილებზე და თვალუწვდენელ უდაბნოზე - "შიშველ და დახრამულ მიწაზე... სადაც კაციშვილი არ გაჭაჭანებულა, სადაც ადამიანს არ უცხოვრია" /იერ. 2:6/. კლდოვანი ხეობები კაცებით, ქალებითა და ბავშვებით, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლით იყო მოფენილი. ისინი ძალიან ნელა მიიწევდნენ წინ. ხანგრძლივი შესვენების შემდეგ

ადამიანები არ იყვნენ მზად ასეთი მოუხერხებელი, სახიფათო მოგზაურობისათვის.

მესამე დღეს უკვე გაისმა ხმამაღალი საყვედურები. ჩიოდნენ ისრაელიანთა "თანმხლებნი", რომელნიც სრულად არ იზიარებდნენ ებრაელთა ინტერესებს და მუდამ ეძებდნენ მიზეზს თავიანთი უკმაყოფილების გამოსახატავად. ამ მეამბოხეებს არ მოსწონდათ გზა, რომლითაც მოსეს მიჰყავდა ისინი, თუმცა კარგად ხედავდნენ, რომ იგი უფლის ღრუბელს მიჰყვებოდა. უკმაყოფილება გადამდები სენია; და მალე მთელ ბანაკში გავრცელდა იგი.

ხალხმა კვლავ ხორცი მოითხოვა. და, თუმცა მანანა უხვად ჰქონდათ, უკმაყოფილება კვლავ მძაფრდებოდა. ეგვიპტეში მძიმე შრომის პირობებში ისრაელიანნი განებივრებულნი როდი იყვნენ - იკვებებოდნენ სრულიად უბრალო, ჩვეულებრივი საკვებით, რაც იმ დიდი გაჭირვების ჟამს მეტად სასურველი იყო მათთვის. ხოლო მათთან ერთად გამოსული ზოგიერთი ეგვიპტელი ნოყიერ საჭმელს იყო ჩვეული და თავიდან სწორედ მათ გამოთქვეს საყვედურები. სინაის მთასთან მისვლამდე იწყეს უკმაყოფილების გამომჟღავნება და უფალმაც, მათი მოთხოვნისამებრ, მისცა მათ ხორცი, მაგრამ მხოლოდ ერთხელ.

რასაკვირველია, ღმერთს ისევე შეეძლო მათი ხორცით მომარაგება, როგორც მანანით, მაგრამ მათივე

კეთილდღეობისათვის არ გააკეთა ეს. უფალს მოგზაურობისათვის შესაფერისად სურდა, გამოეკვება თავისი ხალხი და არა იმ აღმგზნები საკვებით, რასაც ეგვიპტეში იყვნენ მიჩვეულნი. მათი დამახინჯებული გემოვნება უნდა გაჯანსაღებულიყო, რათა ხალხს ჭეშმარიტი სიამოვნება მიეღო ადამიანისათვის თავიდანვე დადგენილი საკვების - მიწის ნაყოფისაგან, რომელიც ადამსა და ევას მისცა უფალმა. ძირითადად ამ მიზეზის გამო არ ეძლეოდათ ისრაელიანთ ხორცი საკვებად.

სატანა შთააგონებდა მათ, რომ ეს აკრძალვა ღმერთის უსამართლობისა და სისასტიკის ნიშანია. მას სურდა, ადამიანებში აკრძალულის ნდომა გაეღვიძებინა, რამეთუ კარგად უწყოდა, რომ ასეთი აულაგმავი სურვილი ადამიანში მგრძნობელობას ავითარებს და მაშინ მისთვის ადამიანთა გულის დაპყრობა უფრო ადვილია. ყოველგვარი სნეულებისა და ტანჯვის ავტორი თავისი იერიშისათვის ადამიანებში ყველაზე სუსტ ადგილებს ეძებს. ყველაზე ხშირად ადამიანებს სწორედ სურვილი აცდუნებს - ასე იყო ძველთაგანვე, როცა სატანამ ევა აცდუნა დ აკრძალული ხილი მოაწყვეტინა. სწორედ ამ მიზეზით ცდუნდა ისრაელი, როცა ღმერთის წინააღმდეგ ამბოხდა. ჭამა-სმაში

[378]

თავშეუკავებლობა, ჩვეულებისამებრ, მდაბალ ვნებებს იწვევს, რაც ადამიანებს თავის ზნეობრივ მოვალეობას ავიწყებს. ცდუნება მეტად ძლიერია და მათ წინააღმდეგობის გაწევის ძალა აღარ შესწევთ.

ღმერთმა გამოიყვანა ისრაელი ეგვიპტის ქვეყნიდან, რათა ქანაანის მიწაზე დაესახლებინა, განეწმიდა და ბედნიერება მიენიჭებინა, რათა მისთვის წმიდა ერი ყოფილიყო იგი. ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო იყო განსაზღვრული წესების დაცვა, რაც ებრაელ ერს და მთელ მის შთამომავლობას კეთილდღეობას უქადდა. მათ რომ თვისი ნებით დაეთრგუნათ ეს მდაბალი ვნებები და უფლის ბრძნულ აკრძალვებს დამორჩილებოდნენ, სნეულებისა და ტანჯვის არავითარი საფრთხე არ დაემუქრებოდათ. მათი შთამომავლობა გამორჩეული იქნებოდა ფიზიკური და გონებრივი სიჯანსაღით; შეინარჩუნებდნენ ჭეშმარიტებისა და საკუთარი მოვალეობის ნათელ შემეცნებას, შორსმჭვრეტელობასა და ჯანსაღი მსჯელობის უნარს. მაგრამ ღვთიური აკრძალვებისა და მოთხოვნებისადმი დაუმორჩილებლობის სურვილმა დიდად შეუშალა ხელი იმ ამაღლებული იდეალის ხორცშესხმას, რომლისკენაც თავისი ერი მიჰყავდა უფალს. იმავე მიზეზით დაკარგა ებრაელმა ერმა კურთხევა, რომლის ასე უხვად მიცემა სურდა მისთვის უფალს.

მეფსალმუნე ამბობს: "ცდიდნენ ღმერთს თავიანთ გულში, როს ხორაგეულს მოითხოვდნენ თავის სულისთვის. და ლაპარაკობდნენ ღმერთზე, ამბობდნენ: შეძლებს ღმერთი უდაბნოში ტაბლის გამართვას? აჰა, კლდეს დაჰკრა და გადმოსკდა წყალი და გადმოინთხა ნაკადები. პურის მოცემაც თუ ძალუძს? ხორცს თუ მოუმზადებს თავის ხალხს? ამიტომაც, მოისმინა უფალმა და განრისხდა!" /ფს. 77:18-21/.

ძალზე ხშირი იყო საყვედურები და შფოთვა მთელ გზაზე წითელი ზღვიდან სინაის მთამდე, მაგრამ გულმოწყალე ღმერთი არ სჯიდა მათ თავიანთი უვიცობისა და სიბრმავის გამო. მაგრამ, აი, გამოეცხადა იგი მათ ხორებში. იხილეს მათ უზენაესის დიდების, ძლიერებისა და მოწყალების უდიდესი ნათელი და აღარ ეპატიებოდათ კვლავ უნდობლობა და საყვედურები. უფრო მეტიც, აღთქმა დაუდეს უფალს, თავიანთ მეფედ მიიღეს და მორჩილება გამოუცხადეს მის ხელმწიფებას. ახლა მათი საყვედურები ამბოხებას ნიშნავდა, რისთვისაც დაუყოვნებლივ უნდა დასჯილიყვნენ, რათა შემდგომი ამბოხისა და დაღუპვისაგან გადარჩენილიყო ებრაელი ერი. "აღიგზნო მათში უფლის ცეცხლი და შთანთქა ბანაკის განაპირი". ღრუბლიდან გამოსულმა ელვამ მოსრა ამბოხებაში მთავარი დამნაშავენი.

შეშინებული ხალხი შეევედრა მოსეს, ეშუამდგომლა უფლის წინაშე. შეუსრულა მოსემ თხოვნა და ცეცხლიც დაცხრა. ამ

საშინელი სამსჯავროს ნიშნად უწოდეს ამ ადგილს სახელად თაბყერა - "წვა".

მაგრამ არ შეწყდა ბოროტება ამით. ცოცხლად დარჩენილთ, თითქოსდა, უნდა მოენანიებინათ და მორჩილება გამოეჩინათ ამ სასტიკი სასჯელის შემდეგ, მაგრამ მოხდა პირიქით: უფრო გაძლიერდა ჩივილი და საყვედურები. ყველგან ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდნენ ისრაელიანები თავიანთ კარვებთან და ტიროდნენ. "ჭრელი ბრბო, მათ შორის რომ იყო, აჰყვა გულისთქმას. ატირდნენ ისრაელიანებიც და ამბობდნენ: ვინ გვაჭმევს ხორცს? გვაგონდება თევზი, მუქთად რომ ვჭამდით ეგვიპტეში, კიტრები, ნესვები, პრასა, ხახვი და ნიორი. ახლა კი სული გვძვრება, არაფერია მანანის გარდა ჩვენს თვალწინ". ასე გამოხტეს მათ თავიანთი უკმაყოფილება შემოქმედის მიერ მიცემული საკვების მიმართ. აქამდე მათ მუდამ ჰქონდათ ნათელი მტკიცება იმისა, რომ ეს საკვები სრულად აკმაყოფილებდა მათ მოთხოვნილებებს, ვინაიდან, მიუხედავად დიდი გაჭირვებისა, ბანაკში არ იყო არც ერთი სნეული.

[379]

სული გაუმწარდა მოსეს. ევედრებოდა უფალს, არ გაეწყვიტა ისინი იმ შემთხვევაშიც კი, თუ მისგან, მოსესგან, წარმოშობდა ურიცხვ ხალხს. ისრაელიანთა მიმართ თავისი უდიდესი სიყვარულის გამო მოსემ სიცოცხლის წიგნიდან თავისი სახელის ამოშლა ამჯობინა მათ დაღუპვას. იგი მზად იყო, სიცოცხლე გაეწირა მათთვის და აი, რა საზღაური მიიღო მათგან! ყველა უბედურებაში, ყველა ვითომდა ტანჯვაშიც კი მოსე დაადანაშაულეს და მათმა უსამართლო საყვედურებმა უფრო დაამძიმა მისი ზრუნვისა და პასუხისმგებლობის ისედაც უმძიმესი ტვირთი. უფლისადმი უნდობლობის ნაპერწკალიც კი გაუღვივდა გულში. და მის ლოცვაშიც საყვედური გამოიხატა: "რისთვის უბოროტე შენს მორჩილს? რით ვერ ვპოვე მადლი შენს თვალში, ამ ხალხის ტვირთი რომ ამკიდე?.. სადა მაქვს ხორცი მთელი ამ ხალხისთვის მისაცემად? რადგან შემომტირიან და ამბობენ: მოგვეცი ხორცი, რომ ვჭამოთო. მე ერთი ვერ წავიყვან მთელ ამ ხალხს, რადგან მემძიმება".

უფალმა უსმინა მოსეს ლოცვას და უბრძანა, შემოეკრიბა "სამოცდაათი კაცი ისრაელის უხუცესთაგან", ღირსეულნი, ბრძენნი და გამოცდილნი. "მოიყვანე ისინი სადღესასწაულო კარავთან, რომ შენთან ერთად იდგნენ იქ. ჩამოვალ და იქ დაგელაპარაკები; ავიღებ ნაწილს სულისაგან, შენზე რომ არის, და მათაც მოვაფენ, რომ შენთან ერთად ზიდონ ამ ხალხის ტვირთი და მარტო შენ არ ატარო".

ნება დართო უფალმა მოსეს, ამოერჩია ყველაზე ერთგული და ნიჭიერი ადამიანები, რომლებიც გაინაწილებდნენ მოსესთვის დაკისრებულ პასუხისმგებ -ლობას. მათ ავტორიტეტს შეეძლო, შეეჩერებინა ამბოხებული ხალხი და უთანხმოებაც გაეფანტა. მაგრამ ამ არჩევამ მეტად სერიოზული უარყოფითი შედეგი გამოიღო. მათი არჩევა სულაც არ იქნებოდა საჭირო, მოსეს რომ მტკიცე რწმენა გამოევლინა საკუთარი თვალით ნანახი მტკიცებების - უფლის უდიდესი ძალისა და მოწყალების შესაბამისად. მან გააზვიადა თავისი მოვალეობის სიმძიმე და თითქმის დაავიწყდა, რომ თავად მხოლოდ და მხოლოდ იარაღი იყო უფლის ხელში, რომლის მეშვეობითაც ღმერთი თავის საქმეებს აკეთებდა. გამართლება არ ჰქონდა მის რბილ დამოკიდებულებას მომჩივან ადამიანებთან, რომლებმაც ასეთი უბედურება და წყევლა დაატეხეს თავს ისრაელს. ის რომ სრულად მინდობოდა ღმერთს, უფალი მუდამ მის გვერდით იქნებოდა, უხელმძღვანელებდა და ყოველგვარი გაჭირვების ჟამს დაეხმარებოდა.

ებრძანა მოსეს, მოემზადებინა ხალხი, რათა ეხილა უზენაესის საქმეები. "განიწმიდეთ ხვალისათვის და შეჭამთ ხორცს; რადგან უფლის გასაგონად ტიროდით, ვინ გვაჭმევს ხორცს, რა კარგად ვიყავითო ეგვიპტეში. მოგცემთ უფალი ხორცს და შეჭამთ. არა ერთ დღეს იქნებით მისი მჭამელი, არა ორ დღეს, არა ხუთ დღეს, არა ათ დღეს და არა ოც დღეს, არამედ მთელს ერთ თვეს, ვიდრე ცხვირიდან არ გადმოანთხევთ და არ შეგზიზღდებათ, რადგან

შეიძულეთ უფალი, თქვენს შორის მყოფი, და მოთქვამდით მის წინაშე, რისთვის გამოვდიოდით ეგვიპტიდანო?"

"ექვსასი ათასია ეს ხალხი, რომელთა შორისაც მე ვიმყოფები, - შეღაღადა მოსემ, - შენ კი ამბობ, ხორცს მივცემ და ერთ თვეს ეყოფათო საჭმელად. იქნებ მთელი ცხვარ-ძროხა დავუკლათ, რომ ეყოთ? ან იქნებ ზღვის მთელი თევზი შევუგროვოთ, რომ ეყოთ?"

უსაყვედურა უფალმა მოსეს ასეთი ურწმუნოებისათვის: "იქნებ მოკლეა უფლის ხელი? ახლა დაინახავ, აგიხდება თუ არა ჩემი ნათქვამი".

სრულად გადასცა მოსემ თავის ხალხს ნათქვამი და "შეჰყარა სამოცდაათი კაცი ერის უხუცესთაგან". ისრაელიანთა უდიდესი წინამძღოლის დასახული

[380]

[381]

მიზანი ამ რჩეულ ხალხთან დაკავშირებით მეტად საყურადღებო მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს თანამედროვე მსაჯულთა და კანონმდებელთათვის. "მოუსმინეთ თქვენს მოძმეებს და საჯეთ სამართალი ერთმანეთს შორის მათსა და მათ მდგმურს შორის. მიკერძოებული ნუ იქნები სასამართლოზე, ერთნაირად მოუსმინეთ მცირეს და დიდს, ნუ შეგეშინდებათ კაცისა, რადგან საღვთო საქმეა სამართალი" /რჯლ. 1:16,17/.

შეკრიბა მოსემ სამოცდაათი უხუცესი კარავთან. "ჩამოვიდა უფალი ღრუბელში და ელაპარაკა მას. აიღო ნაწილი სულისაგან, მოსეზე რომ იყო, და გაუნაწილა სამოცდაათ უხუცესს. როცა დაადგა მათ სული, ქადაგად დაეცნენ ყველანი, ოღონდ მცირე ხნით". სულიწმიდის გარდმოვლენის დღეს ქრისტეს მოწაფეთა მსგავსად, მათაც მიეცათ ძალა ზეციდან. უფალს სურდა, მსახურებისათვის მოემზადებინა ისინი და განედიდებინა მთელი საკრებულოს წინაშე, რათა მინდობოდნენ მათ, როგორც ღვთის რჩეულთ, რომელნიც მოსესთან ერთად უხელმძღვანელებდნენ ისრაელს.

კვლავ გამოავლინა თავისი უდიდესი სიყვარული და კეთილშობილება თავის მოძმეთა მიმართ ისრაელიანთა უდიდესმა წინამძღოლმა. სამოცდაათიდან ორმა უღირსად ჩათვალა თავი ასეთი საპასუხისმგებლო საქმისათვის და არ შეუერთდა ძმებს კარავთან; მაგრამ ღვთის სული მიეცათ მათ იქ, სადაც იყვნენ და წინასწარმეტყველების ნიჭით შეიმოსნენ.

გაიგო რა ამის შესახებ იესო ნავეს ძემ, უწესრიგობად მიიღო იგი, შეშინდა, განხეთქილება არ მომხდარიყო და თავისი ბატონის ავტორიტეტის დაცვის უდიდესი სურვილით განმსჭვალულმა, მოსეს მიმართა: "მოსე, ჩემო ბატონო! შეაწყვეტინე!" უპასუხა მოსემ: "ხომ არ გშურს ჩემს მაგიერ? ნეტავ მთელი უფლის ერი დაეცემოდეს ქადაგად! ნეტავ მათაც მოჰფენდეს უფალი თავის სულს!"

"ატყდა ქარი უფლისაგან და მორეკა ზღვიდან მწყრები და ერთი დღის სავალზე დაჰყარა ბანაკის ირგვლივ. თითქმის ორ წყრთაზე დაფარეს მიწა" /რიცხ. 11:31/. მთელი დღე-ღამის განმავლობაში და მეორე დღესაც აგროვებდა ხალხი საკვებს, რომელიც ასე საოცარი სასწაულით მიეცათ. ბევრი იყო ხორცი. "ყველაზე მცირეს შემგროვებელმა ათი ხომერი წაიღო". შეაგროვეს მწყრები, დაამზადეს და შეინახეს ერთი თვის მარაგი.

და, თუმცა ეს საკვები არ იყო საუკეთესო საშუალება ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად, მაგრამ უფალმა მაინც მისცა ის, რადგან ჯიუტად თხოულობდნენ. ისინი ვერ დაკმაყოფილდნენ მათთვის განკუთვნილი ჯანსაღი საკვებით. ამბოხებულთა სურვილი შესრულდა, მაგრამ რა საშინელი შედეგი მოჰყვა ყოველივე ამას! თავიანთი სიხარბის გამო დამსახურებულად დაისაჯნენ. "აღინთო უფლის რისხვა ხალხზე და მუსრი გაავლო უფალმა ხალხს". საშინელი ციებ-ცხელება შეეყარა დახარბებულ ხალხს, ყველაზე დიდი

დამნაშავენი კი მაშინვე დაავადდნენ, როგორც კი საკვებს გემო გაუსინჯეს.

ხაცეროთში დაბანაკებისას უფრო მწარე განსაცდელი ელოდა მოსეს. აარონსა და მირიამს მეტად დიდი ავტორიტეტი და გავლენა ჰქონდათ საზოგადოებაზე. ორივეს მიეცა წინასწარმეტყველების ნიჭი და მოსესთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ ებრაელთა გათავისუფლებაში. "წინ წაგიძღოლე მოსე, აარონი და მირიამი" /მიქ. 6:4/, - თქვა უფალმა მიქა წინასწარმეტყველის ბაგეებით. მირიამის ძლიერი ხასიათი ძალიან ადრე გამოვლინდა; ჯერ კიდევ მაშინ, როცა პატარა გოგონა ნილოსის ნაპირას იდგა და ფხიზლად დარაჯობდა კალათას, რომელშიც ჩვილი მოსე იწვა. მისი თავშეკავება და გონიერება უფალმა თავისი ხალხის განმათავისუფლებლის სიცოცხლის შესანარჩუნებლად გამოიყენა. პოეტური და მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მირიამი პირველი იყო ისრაელის ქალთა შორის, რომელმაც ზეიმი მოაწყო მეწამული ზღვის

[382]

სანაპიროზე. მოსესა და აარონის შემდგომ იგი ხალხის უდიდესი სიყვარულითა და ღვთის კურთხევით სარგებლობდა. მაგრამ იგივე ბოროტებამ, რომელმაც ზეცაში განხეთქილება მოახდინა, ამ ებრაელი ქალის გულშიც ჩაიბუდა და მანაც იპოვა თანამზრახველნი.

სამოცდაათი უხუცესის ამორჩევისას მოსეს არ უთათბირია აარონთან და მირიამთან, რამაც შური გამოიწვია მათში. სინაისკენ მიმავალ გზაზე მოსესთან სტუმრად მისი სიმამრი ითრო იმყოფებოდა, რომელმაც ურჩია მოსეს, ამოერჩია ერიდან ღირსეული ადამიანები, რათა დახმარებოდნენ ერის მართვაში. მაშინ მოსემ მზადყოფნით მიიღო სიმამრის რჩევა, აარონი და მირიამი კი შეშინდნენ, რომ ითროს უფრო მეტი გავლენა არ მოეხდინა მოსეზე, ვიდრე მათ. როცა უხუცესთა საბჭო იქმნებოდა, მოეჩვენათ, რომ მათი ავტორიტეტი და დამსახურება უგულებელყვეს. აარონსა და მირიამს არასოდეს გამოუცდიათ მთელი სიმძიმე და პასუხისმგებლობა, მოსეს რომ აწვა მხრებზე, მაგრამ, ვინაიდან ისინი მოსეს დამხმარეებად იყვნენ არჩეულნი, თავს მოსეს თანასწორად თვლიდნენ და ამიტომ სამოცდაათი უხუცესის დანიშვნა ზედმეტად მიაჩნდათ.

მოსემ კი კარგად იცოდა მასზე დაკისრებული საქმის უდიდესი მნიშვნელობა; კარგად გრძნობდა თავის არარაობას და ყველა საქმეში უფალს სთხოვდა რჩევას. აარონს უფრო დიდი წარმოდგენა ჰქონდა საკუთარ თავზე და ნაკლებად ენდობოდა ღმერთს. როგორ დამარცხდა იგი იქ, სინაის მთასთან, როცა

დროებით ერის წინამძღოლობა მიანდეს! ხასიათის როგორი სისუსტე და სულმდაბლობა გამოიჩინა კერპის ჩამოსხმასთან დაკავშირებით! მაგრამ შურით და პატივმოყვარეობით დაბრმავებულ აარონსა და მირიამს დაავიწყდათ ყოველივე. თავად აარონი დიდად აღამაღლა უფალმა. მთელ მის ოჯახს წმიდა მსახურე-ბისათვის პასუხისმგებლობა ჰქონდა დავალებული, მაგრამ ამან უფრო გაუმწვავა თვითგანდიდებისაკენ სწრაფვის სურვილი. "ნუთუ მხოლოდ მოსეს ელაპარაკებოდა უფალი? განა ჩვენც არ გველაპარაკებოდა?" უტოლებდნენ რა თავს მოსეს თავიანთი რჩეულობით, იგივე ავტორიტეტს და მდგომარეობას იჩემებდნენ.

უკმაყოფილების გრძნობით შეპყრობილმა მირიამმა მონახა საყვედურის მიზეზი იმ მოვლენებში, რომელსაც უშუალოდ ღმერთი ხელმძღვანელობდა. მას მოსეს ქორწინება არ მოსწონდა. მისი გვარი და ეროვნული სიამაყე შეილახა იმით, რომ მოსემ ცოლად სხვა ტომის ქალი აირჩია და არა ებრაელი. ციფორას ცუდად დაფარული სიძულვილით ექცეოდნენ.

თუმცა ნათქვამია, რომ მოსემ "ქუშელი ქალი ითხოვა ცოლად" /რიცხ. 12:1/, ციფორა მიდიანელი იყო და აბრაამის შთამომავლობას მიეკუთვნებოდა. გარეგნობით იგი განსხვავდებოდა ებრაელ ქალთაგან თავისი მუქი ფერის კანით და თუმცა ის ებრაელი არ იყო, მაგრამ ჭეშმარიტ ღმერთს სცემდა

თაყვანს. მასში უხვად იყო თავმოყრილი სინაზე და კდემამოსილება, ადამიანისადმი სიყვარული და თანაგრძნობა. სწორედ ამიტომ დააბრუნა მოსემ იგი ეგვიპტის გზიდან მიდიანის ქვეყანაში, რათა განერიდებინა იმ ტკივილისაგან, რომელსაც უფლის წყლულების ხილვა მიაყენებდა, ეგვიპტელთ რომ ემუქრებოდა.

როდესაც ციფორა კვლავ დაბრუნდა ქმართან უდაბნოში, დაინახა, თუ პასუხისმგებლობის რა მძიმე ტვირთი აწვა მის ქმარს და მისი ჯანმრთელობის გამო შიში ითროს გაუზიარა, რომელმაც, შემდგომ, მოსეს უკარნახა, როგორ შეემსუბუქებინა იგი. სწორედ ეს იყო მთავარი მიზეზი მირიამის ციფორასთან დაძაბული ურთიერთობისა. აარონისა და მისდამი მოჩვენებითი უპატივცემულობით შეურაცხყოფილი მირიამი ყველაფერში მთავარ დამნაშავედ ციფორას თვლიდა, რადგან ფიქრობდა, რომ მისი ზეგავლენით მოსე რჩევისათვის მას უკვე აღარ მიმართავდა. აარონს რომ მტკიცე სამართლიანობა გამოეჩინა, შეძლებდა ბოროტების ჩახშობას, მაგრამ დანაშაულზე მითითების ნაცვლად, მან

[383]

[384]

თანაგრძნობით მოუსმინა დის ჩივილს და, ამგვარად, გაიზიარა მისი ბოროტება.

მოთმინებით, უსიტყვოდ უსმინა მოსემ თავის ბრალმდებელთ. ასეთი დიდი მოთმინების უნარი მან მიდიანის ქვეყანაში, ხანგრძლივი, მძიმე შრომისა და მტანჯველი მოლოდინის დროს შეიძინა, რამაც მორჩილებისა და სულგრძელობის სული გაუღვივა; ეს თვისება ეხმარებოდა, მოთმინება გამოეჩინა თავისი ხალხის ურწმუნოებისა და საყვედურების და, აგრეთვე, იმ ადამიანთა პატივმოყვარეობისა და შურის მიმართ, ვინც მისი მარჯვენა ხელი უნდა ყოფილიყო. მოსე უთვინიერესი კაცი იყო დედამიწის ზურგზე, ამიტომ მიეცა მას, და არა სხვას, ღვთიური სიბრძნე და ხელმძღვანელობა. წმიდა წერილი ამბობს: "წარუძღვება თავმდაბალთ სამართალში და თავიანთ გზას ასწავლის მორჩილთ" /ფს. 24:9/.

უფალი ხელმძღვანელობს თავმდაბალთ, რადგან ისინი მონდომებით და სიხარულით ღებულობენ მის სწავლებას. მათ გულწრფელად სურთ, იცოდნენ და შეასრულონ უფლის ნება. აღთქმას გვაძლევს მაცხოვარი: "ვისაც სურს აღასრულოს უფლის ნება, იგი შეიტყობს ამ მოძღვრებას" /იოან. 7:17/; იაკობის მეშვეობით კი გვიცხადებს: "თუ რომელიმე თქვენგანს აკლია სიბრძნე, სთხოვოს ღმერთს, - ყველასათვის უხვად და დაუყვედრებლად გამცემს, და მიეცემა" /იაკ. 1:5/. მაგრამ ეს

აღთქმა მხოლოდ მათ ეხება, ვინც ხალისით და გულწრფელად მიჰყვება უფალს. ღმერთი არავის ახვევს თავს თავის ნებას. მას არ ძალუძს, უხელმძღვანელოს პატივმოყვარე, ამაყ ადამიანებს, რომელნიც ჯიუტად მიდიან თავისი გზით. ორგულ ადამიანზე, რომელიც თავისი გზით დადის, თუმცაღა გვარწმუნებს, რომ უფლის ნებას ასრულებს, დაწერილია: "ნურც ჰგონია ასეთ კაცს, რომ ღვთისაგან მიიღებს რამეს" /იაკ. 1:7/.

უფალმა ამოირჩია მოსე და მისცა თავისი წმიდა სული. მირიამი და აარონი კი, თავიანთი საყვედურებითა და ჩივილით დამნაშავენი არიან არა მხოლოდ რჩეული წინამძღოლის, არამედ თავად უზენაესის წინაშე. უფალმა კარვის შესასვლელთან მიიყვანა ისინი, მოსეს გვერდით დააყენა და "ჩამოვიდა უფალი ღრუბლის სვეტში და გაჩერდა კარვის შესასვლელთან. უხმო აარონს და მირიამს". მათ ჭეშმარიტად გააჩნდათ წინასწარმეტყველების ნიჭი და უფალი ეცხადებოდათ სიზმრებში და ხილვებში, მაგრამ მოსე, რომელზედაც თავად თქვა უფალმა: "მთელი ჩემი ერის ერთგულია იგი", უფრო ახლოს იყო ღმერთთან. პირისპირ ელაპარაკებოდა უფალი მას. "რატომ არ გეშინიათ, ჩემს მორჩილს მოსეს რომ ჰკიცხავთ? აღინთო უფლის რისხვა მათ მიმართ. და წავიდა". და უფლის უკმაყოფილების ნიშნად დატოვა ღრუბელმა კარავი, ხოლო "მირიამი თოვლივით დაფარა კეთრმა". აარონს შეუნდო უფალმა, მაგრამ მირიამის დასჯა მკაცრი გაფრთხილება იყო. სადღა იყო მათი სიამაყე! აარონმა აღიარა მათი ცოდვა და დისთვის დახმარებას

ითხოვდა, რათა ამ საშინელი სენისაგან არ დაღუპულიყო. უპასუხა უფალმა მოსეს ლოცვას და განკურნა მირიამი კეთრისაგან, მაგრამ შვიდი დღის განმავლობაში იგი მაინც ბანაკს გარეთ უნდა დარჩენილიყო. ბანაკიდან მირიამის გასვლამდე ღვთიური წყალობის სიმბოლო არ გამოჩენილა კარვის თავზე. მისი ავტორიტეტის მიმართ უზომო პატივისცემის ნიშნად და მისი მწუხარებისადმი თანაგრძნობის გამო მთელი ხალხი ელოდა ბანაკში მის დაბრუნებას.

უფლის უკმაყოფილების ამგვარი გამოვლენა გაფრთხილება უნდა ყოფილიყო მთელი ისრაელისათვის, რათა საბოლოოდ აღმოფხვრილიყო ამბოხების მზარდი სული მთელ ბანაკში. მირიამი დაუყოვნებლივ რომ არ დასჯილიყო, მასში აღმოცენებული შური და პატივმოყვარეობა უდიდესი ბოროტების წყაროდ გადაიქცეოდა. შური სატანური გრძნობაა, რომელიც ადამიანის გულში იბუდებს და რომელსაც ყველაზე დამღუპველი შედეგი აქვს. სოლომონ ბრძენი ამბობს:

[385]

"მრისხანება სისასტიკეა და სიცოფე წამლეკავია. შურს ვინ აღუდგება წინ?" /იგავ. 27:4/. შურმა დაარღვია ზეციური

ჰარმონია და მის მიმართ შემწყნარებლობა უდიდეს ადამიანურ უბედურებას იწვევს. "რადგან, სადაც შური და შუღლია, იქ შფოთი და ყოველგვარი ბოროტმოქმედებაა" /იაკ. 3:16/.

სხვების საქციელის გაკიცხვა და განსჯა - არც თუ ისეთი უცოდველი საქმეა, როგორც ეს ზოგჯერ ჰგონიათ. "ძმის მძრახავი და თავისი ძმის განმკითხველი ძრახავს რჯულს და განიკითხავს რჯულს. თუ რჯულს განიკითხავ, აღმსრულებელი კი აღარ ხარ, არამედ განმკითხველი" /იაკ. 4:11/. არსებობს მხოლოდ ერთადერთი მსაჯული, "რომელიც გაანათებს ბნელში დამალულს და გამოაჩენს გულის ზრახვებს" /1 კორ. 4:5/. ვინც საკუთარ თავს მოყვასის განკითხვისა და გაკიცხვის უფლებას ანიჭებს, ის უსამართლოდ ართმევს ამ უფლებას შემოქმედს.

ბიბლია განსაკუთრებით გვაფრთხილებს, ყურადღებით ვიყოთ და ადვილად ნუ დავადანაშაულებთ იმ ადამიანებს, რომლებსაც უფალმა მოუწოდა, ისე იმოქმედონ, როგორც მისმა წარგზავნილებმა. პეტრე მოციქული უარყოფილ ცოდვილთა აღწერისას ამბობს, რომ ისინი არიან "ბილწ ხორციელ გულისთქმებს აყოლილნი, უფლებათა მოძულენი, თავხედნი, ჯიუტნი და დიდებათა ლანძღვის ურიდნი; მაშინ, როცა ანგელოზებიც კი, რომელნიც მათზე მაგარნი და ძლიერნი არიან, არ დაუშვებენ უფლის წინაშე, რომ მათ შეურაცხმყოფელი ბრალი დასდონ" /2 პეტრ. 2:10,11/. პავლე მოციქულიც გვასწავლის, რომ სამართლიანად მოვექცეთ მათ, ვინც ეკლესიის

ხელმძღვანელად დააყენა უფალმა: "ხუცესებზე ბრალდებას ნუ მიიღებ, თუ არ გეყოლება ორი ან სამი მოწმე" /1 ტიმ. 5:19/.

ის, რომელმაც ადამიანებს დაავალა მეტად ძნელი და საპასუხისმგებლო საქმე - ღვთის ხალხის წინამძღოლობა და მასწავლებლობა, თავად მოჰკითხავს მათ, თუ როგორ ექცეოდნენ ისინი უზენაესის მსახურთ. ჩვენ პატივი უნდა მივაგოთ მათ, ვინც ასე განადიდა უფალმა. მირიამის მიმართ გამოტანილი სასჯელი მაგალითია ყველასათვის, ვინც შურის გრძნობას ემორჩილება და საყვედურობს მათ, ვისაც უფალმა თავისი საქმის მძიმე ტვირთის ზიდვა მიანდო.

[386]

თავი 34 - თორმეტი მსტოვარი

რიცხვნი 13; 14

ხორების მთის დატოვებიდან მეთერთმეტე დღეს ისრაელიანნი კადეშში, ფარანის უდაბნოში, აღთქმული ქვეყნის საზღვრებთან ახლოს დაბანაკდნენ და აღთქმული მიწის დასაზვერად ხალხის

წარგზავნა გადაწყვიტეს. მოსემ რჩევა ჰკითხა უფალს და მიიღო კიდეც მისაგან მითითება, რომ ყოველი შტოს თავკაცი გაეგზავნათ. აირჩიეს მსტოვრები, რომელთაც დაევალათ, ქვეყანა ყოველმხრივ გამოეკვლიათ: მისი მდებარეობა, ბუნებრივი რესურსები, როგორი ხალხი ცხოვრობს იქ - სუსტი თუ ძლიერი, ნაყოფიერი და მოსავლიანია თუ მწირი და უვარგისი იქაური მიწა.

მსტოვრებმა დაათვალიერეს მთელი მიწა სამხრეთიდან მის ჩრდილოეთ საზღვრამდე და ორმოცი დღის შემდეგ უკან დაბრუნდნენ. მოუთმენლად, დიდი იმედით ელოდა ებრაელი ხალხი მათ მოსვლას. მათი დაბრუნების ამბავი ტომიდან ტომს გადაეცემოდა და ყველგან სიხარულს იწვევდა. ხალხი გამოეფინა თავის წარგზავნილთა შესახვედრად, ხარობდა, რომ მშვიდობიანად დაბრუნდნენ ამ სახიფათო მოგზაურობიდან და თან მოიტანეს ნაყოფი, რომელიც იმ ქვეყნის მიწის უხვმოსავლიანობაზე მეტყველებდა. სწორედ რთვლის პერიოდი იყო და მზვერავებმა ისეთი ყურძნის მტევანი მოიტანეს, რომ მის აწევას ორი კაცი სჭირდებოდა. მას მოაყოლეს ლეღვი და ბროწეული, იქ ასე უხვად რომ იზრდებოდა.

ხალხი ზეიმობდა და ხარობდა იმ იმედით, რომ სულ მალე ამ მშვენიერი ქვეყნის მფლობელი გახდებოდა. დიდი ყურადღებით უსმენდნენ ისრაელიანნი წარგზავნილთა მოსესთან საუბრის თითოეულ სიტყვას. "მივედით იმ ქვეყანაში, სადაც გაგვაგზავნე, - თქვეს მათ, - მართლაც რძე და თაფლი დის იქ; აჰა, მისი ნაყოფებიც". ენით აუწერელმა აღტაცებამ შეიპყრო ხალხი ამის გაგონებაზე. ისინი უკვე მზად იყვნენ, დამორჩილებოდნენ

უფლის ხმას და დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყვნენ ამ დიდებული მიწისაკენ. მაგრამ მას შემდეგ, რაც ასე ხატოვნად აღწერეს ამ ქვეყნის სილამაზე და ნაყოფიერება, ყველამ, ორის გარდა, დაიწყო ლაპარაკი იმ საშიშროებაზე და სიძნელეებზე, რომლის გადალახვაც მოუწევს ისრაელს ქანაანის ქვეყნის დაპყრობისას. ჩამოთვალეს ყველა ძლიერი ტომი ამ ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებისა და თქვეს, რომ ძლიერი ხალხი ცხოვრობს იმ ქვეყანაში და მათი დამარცხება შეუძლებელია, ქალაქებიც გამაგრებულია და ძალზე დიდი. განაცხადეს, რომ იქ ნახეს დევკაცები, ყანაკის ძენი, დევკაცთა შთამომავალნი და ფიქრიც კი შეუძლებელია ამ მიწის დაპყრობაზე.

ამის შემდეგ ხალხს ხასიათი შეეცვალა. როცა წარგზავნილებმა გულში შეპარული შიში და ურწმუნოება გააცხადეს, რითაც თავის საწადელს მიაღწია სატანამ, ხალხის იმედი და სიმამაცე სიმხდალემ და სასოწარკვეთილებამ შეცვალა. უნდობლობის ბნელი ჩრდილი მოეფინა მთელ საკრებულოს, ხოლო მათთვის ძალზე ხშირად გამოვლენილი ღვთის უსასრულო ძალა უკვე დავიწყებოდათ. ადამიანები არ შეყოვნდნენ და ღრმად არ დაფიქრდნენ ყოველივეზე, რაც ნახეს და განიცადეს; არ გაიხსენეს, რომ ის, ვინც აქამდე მოიყვანა ებრაელი ერი, უეჭველად შეიყვანს ამ სასიკეთო მიწაზე. არც ის გაიხსენეს, თუ როგორი სასწაულებით იხსნა უფალმა თავისი ერი მდევნელთაგან, გზა გაუხსნა ზღვის ფსკერზე და გაანადგურა ფარაონის ლაშქარი. ახლა ისინი სრულად დაშორდნენ ღმერთს და ისე მოქმედებდნენ, თითქოს ყველაფერი

[387]

[388]

მათ ძალისხმევაზე იყო დამოკიდებული.

თავიანთი ურწმუნოებით დაამცირეს მათ ღვთის ძალა და დაეჭვდნენ იმის მტკიცე წინამძღოლობაში, ვინც აქამდე უხიფათოდ ატარა ისინი. კვლავინ-დებურად აღდგნენ მოსესა და აარონის წინააღმდეგ. ბოლო მოეღო ჩვენს სიხარულსა და იმედებს, - ამბობდნენ ისინი, - განა ამ უდაბნოსათვის გამოვიარეთ ასეთი მძიმე გზა ეგვიპტიდან? და ცილი დასწამეს თავიანთ წინამძღოლებს იმაში, რომ მოატყუეს მათ თავისი ხალხი და ამდენი უბედურება დაატეხეს თავს ისრაელს.

სასოწარკვეთილებაში ჩავარდა იმედგაცრუებული ხალხი. მათი ხმამაღალი მოთქმა-გოდება დაბნეულ, უმწეო ხმებს უერთდებოდა. ქალებმა კარგად შეაფასა სიტუაცია, გაბედულად დადგა ღმერთის მხარეზე და შეეცადა, ყველა ღონე ეხმარა თავის სულმოკლე მეგობართა დამღუპველი ზეგავლენის შესაჩერებლად. ხალხი წამით გაყუჩდა აღთქმული მიწის შესახებ მხნე და იმედიანი სიტყვების მოსმენაზე. არ უარყოფდა

იესო ნავეს ძე, რომ ეს ქალაქები მაღალი გალავნებითაა გამაგრებული, მათში კი ძლიერი და მეომარი ხალხი ცხოვრობს, მაგრამ უფალმა ღმერთმა ხომ ისრაელს აღუთქვა ეს მიწა? "გავილაშქრებთ და დავისაკუთრებთ იმ ქვეყანას, რადგან შეგვიძლია მათი ძლევა", - დაჟინებით განაგრძობდა ქალები.

მაგრამ დანარჩენმა ათმა წარგზავნილმა, იესოსთან ერთად რომ იყვნენ, სიტყვა შეაწყვეტინეს მას და ადრინდელზე უფრო მუქ ფერებში დაუხატეს ხალხს მომავალი სიძნელეები. "ვერ შევძლებთ იმ ხალხის წინააღმდეგ გალაშქრებას, - განაცხადეს მათ, - რადგან ჩვენზე ძლიერია იგი... მთელი ხალხი, რომელიც იქ ვნახეთ, ბუმბერაზია. იქ ვნახეთ დევკაცები, ყანაკის ძენი, დევკაცთა შთამომავალნი. კალია გვეგონა ჩვენი თავი და ასეც ვჩანდითო მათ თვალში".

მცდარ გზაზე მდგომი ეს ადამიანები ჯიუტად ეწინააღმდეგებოდნენ ქალებ იეფუნეს ძეს, იესო ნავეს ძეს, მოსესა და ღმერთს. მათ მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი, ჩაეშალათ ქანაანის ქვეყნის დასაკუთრების მცდელობა. სულ უფრო ურცხვი ხდებოდა მათი გადაწყვეტილება. თვისტომთა შესაშინებლად მწარედ იცრუეს, "ერთმანეთს ჭამენო იმ ქვეყანაში", - ამბობდნენ ისინი. შეუშვეს რა გულში ურწმუნოება, სატანის ხელმწიფების ქვეშ მოექცნენ და არავის შეეძლო ეთქვა, რას მოიტანდა ყოველივე ეს.

"ატეხა მოთქმა მთელმა საზოგადოებამ და ტიროდა ხალხი იმ ღამეს". აჯანყდა ხალხი, ვინაიდან სატანამ სრულად დაიმორჩილა ადამიანები, რომელთაც, თითქოსდა, გონება დაკარგეს. ისინი წყევლიდნენ მოსესა და აარონს. ყველას დაავიწყდა, რომ ღმერთს ესმის მათი უწმიდური სიტყვები და ღრუბლის სვეტით მოსილი მისი წმიდა დიდება მოწმეა მათი საშინელი საქციელისა. მწარედ მოთქვამდნენ ისრაელიანნი: "ნეტავ ეგვიპტის ქვეყანაში დავხოცილიყავით ან ამ უდაბნოში გავმწყდარიყავით!" შემდეგ კი თავიანთი უწმიდური გრძნობებით უფალს დაუპირისპირდნენ: "რისთვის მოგვიყვანა უფალმა ამ ქვეყანაში, სადაც მახვილი მოგვიღებს ბოლოს? და ჩვენი დედა-წული ტყვედ ჩავარდება? განა უმჯობესი არ იქნება, თუ ეგვიპტეში დავბრუნდებით? უთხრეს ერთმანეთს: დავიყენოთ მეთაურები და გავბრუნდეთ ეგვიპტეში". ამგვარად, მათ ბრალი დასდეს არა მხოლოდ მოსეს, არამედ თავად ღმერთს იმაში, რომ აღთქმული ჰქონდათ მიწა, რომელზედაც ფეხის დადგმას ვერ შეძლებდნენ. მათ გაბედეს და მეთაურების არჩევაც კი გადაწყვიტეს, რომლებიც მონობისა და ტანჯვის ქვეყანაში დააბრუნებდნენ, საიდანაც უზენაესის უძლიერესმა ხელმა გამოიყვანა.

მორჩილებით "დაემხნენ მოსე და აარონი ისრაელიანთა მთელი საზოგადოების წინაშე", არ იცოდნენ, როგორ შეეჩერებინათ თანამოძმენი ასეთი დაუფიქრებელი, უაზრო ნაბიჯის გადადგმისაგან. ქალები და იესო ნავეს ძეც, თავის მხრივ,

[389]

[390]

ცდილობდნენ, დაემშვიდებინათ ამბოხებული ხალხი. მწუხარებისა და აღშფოთების ნიშნად სამოსელი შემოიხიეს, ბრბოში შეცვივდნენ და ამ ხმამაღალ მოთქმასა და წყევლა-კრულვაში ზარივით გაისმა მათი ხმა: "ქვეყანა, რომელიც ჩვენ მოვიარეთ დასაზვერად, ძალზე კარგი ქვეყანაა. თუ ვუნდივართ უფალს, შეგვიყვანს მაგ ქვეყანაში და მოგვცემს მაგ ქვეყანას, სადაც რძე და თაფლი დის. ოღონდ ნუ აუჯანყდებით უფალს და მაგ ქვეყნის ხალხის ნუ შეგეშინდებათ, რადგან ჩვენი კერძია იგი, უმწეოდ არიან დარჩენილი, უფალი კი ჩვენთან არის. ნუ გეშინიათ!"

იმდენად დიდი იყო ქანაანელთა ურჯულოება, რომ უფალს აღარ სურდა ამის ატანა. თავისი მფარველობა წაართვა მათ, ამიტომ ადვილი შესაძლებელი იყო მათი დამარცხება. უფლის აღთქმით, ეს ქვეყანა ისრაელის საკუთრებად უნდა ქცეულიყო. მაგრამ ორგულ მსტოვართა მონათხრობმა შეაცდინა მთელი საზოგადოება. მოღალატეებმა გააკეთეს თავიანთი ბოროტი საქმე. თუმცა, ორს რომ სიცრუე ეთქვა და ათს უფლის სახელით გაემხნევებინა ისრაელიანნი და ქანაანის აღებისაკენ მოეწოდებინა, ურწმუნოების ჭაობში ჩაფლული ხალხი იმ ორს

დაუჯერებდა და არა ათს. ამ შემთხვევაში კი მხოლოდ ორი იცავდა სიმართლეს, ათი კი ამბოხებისაკენ უბიძგებდა.

ქალები და იესო ნავეს ძე ხმამაღლა ამხილებდნენ ცრუ მზვერავთ, მაგრამ ხალხმა თავად მათი ჩაქოლვა მოინდომა. გაგიჟებული ხალხი ქვებს დასწვდა, რათა ჩაექოლათ ეს ერთგული ადამიანები. გულისგამგმირავი შეძახილებით წაიწია წინ გონდაკარგულმა ბრბომ, მაგრამ, მოულოდნელად, ქვები ხელიდან გაუვარდათ. შიშმა შეიპყრო ისრაელიანნი და დადუმდნენ. უფალი ჩაერია, რათა თავიდან აეცილებინა სისხლისღვრა. მისმა დიდებამ ელვასავით გაანათა კარავი. მთელი ხალხი უფლის ნიშანს შესცქეროდა. მათზე ბევრად ძლიერი გამოეცხადა საზოგადოებას და ახლა ვეღარავინ ბედავდა ხმის ამოღებას. ცრუ მსტოვრები, საშინლად შეშინებულნი, თავიანთ კარვებში შეცვივდნენ.

ადგა მოსე და კარავში შევიდა. უთხრა უფალმა: "გავუჩენ ჭირს და გადავაშენებ, შენგან კი დიდ ხალხს შევქმნი, მასზე ძლიერს". მაგრამ კვლავ შეევედრა მოსე, დაენდო მისი ხალხი. არ დაეთანხმა იგი უფალს, რომ მთელი ხალხი დაღუპულიყო, მისგან კი მრავალრიცხოვანი ხალხი შეექმნა. შეწყალება სთხოვა უფალს მოსემ: "აწ, იდიდოს უფლის ძალმა, როგორც ნათქვამი გაქვს. სულგრძელია უფალი და დიდმადლიანი, დანაშაულისა და ცოდვის მიმტევებელი... შეუნდე დანაშაული ამ ხალხს შენი

დიდი მადლისამებრ, როგორც პატიობდი ცოდვას ამ ხალხს ეგვიპტიდან მოყოლებული აქამდე".

აღუთქვა მოსეს უფალმა, რომ მიუტევებდა ისრაელს და უშუალოდ არ გაანადგურებდა, მაგრამ მათი ურწმუნოებისა და სულმოკლეობის გამო ვეღარ გამოავლენდა თავის ძლიერებას მათი მტრების დასამხობად. ამიტომ, თავისი დიდმოწყალების გამო, უბრძანა, აერჩიათ ერთადერთი უხიფათო გზა და მეწამული ზღვისაკენ აეღოთ გეზი.

ამბოხებულნი ნატრობდნენ: "ნეტავი... ამ უდაბნოში გავმწყდარიყავით!" ახლა შესაძლებელი იყო მათი ნატვრის დაკმაყოფილება. თქვა უფალმა: "როგორც ამბობდით ჩემს გასაგონად, ისე მოგექცევით. ამ უდაბნოში ეყრება თქვენი გვამები, ყველასი, ვინც აღრიცხული ხართ, ოცი წლიდან მოყოლებული, ვინც მებუზღუნებოდით... თქვენს ბავშვებს, რომლებზედაც ამბობდით, ტყვედ ჩავარდებიანო, შევიყვან იქ, რათა გაიცნონ თქვენგან შეძულებული ქვეყანა..." ქალების შესახებ კი თქვა: "მხოლოდ ქალებს, ჩემს მორჩილს, იმის გამო, რომ სხვა სულით აღვსილმა ბოლომდე მიერთგულა მე, შევიყვან იმ ქვეყანაში, სადაც წასული იყო დასაზვერად და მისი შთამომავლობა დაიმკვიდრებს მას". და როგორც მზვერავებმა იმოგზაურეს ქანაანის ქვეყანაში ორმოც დღეს,

[391]

ასევე ისრაელიანთა მხედრობას უნდა ეხეტიალა უდაბნოში ორმოცი წლის განმავლობაში.

როდესაც მოსემ ისრაელიანებს ღვთიური გადაწყვეტილება აუწყა, მათი შფოთი და ღელვა მწუხარებამ შეცვალა. მათ კარგად იცოდნენ, რომ განაჩენი სამართლიანი იყო. მძიმე სენით შეპყრობილი ათი მოღალატე მზვერავი მთელი ისრაელის წინაშე დაიხოცა და მათ ხვედრში ხალხი საკუთარ ბედსაც ხედავდა.

თითქოსდა გულწრფელად ინანიებდნენ თავის ცოდვას ისრაელიანნი, მაგრამ სინამდვილეში თავისი დანაშაულის შედეგზე უფრო წუხდნენ, ვიდრე საკუთარ უმადურობასა და დაუმორჩილებლობაზე. როცა დაინახეს, რომ უფალი თავის განაჩენს არ შეცვლის, კვლავ ჯიუტად განაცხადეს, რომ უდაბნოში არ დაბრუნდებიან. უფალმა გამოსცადა მათი მოჩვენებითი მორჩილება იმით, რომ მტრის მიწიდან შორს წასვლა უბრძანა და დაუმტკიცა, რომ მათი მორჩილება წრფელი არ იყო. ისრაელიანებმა იცოდნენ, რომ ძალიან ცუდად მოიქცნენ და მძიმე დანაშაული ჩაიდინეს, როცა ქვებით ჩაქოლვა დაუპირეს მზვერავებს, რომლებიც დაჟინებით სთხოვდნენ, დამორჩილებოდნენ უფალს, მაგრამ სინამდვილეში მათ ძლიერ ეშინოდათ შედეგისა, რომელიც მათთვის საბედისწერო

აღმოჩნდა. მათ გულში ცვლილება არ მომხდარა. და ეს დადასტურდა კიდეც, როცა მოსემ უფლის სახელით უდაბნოში დაბრუნება უბრძანა მათ.

ღმერთის გადაწყვეტილებამ იმის შესახებ, რომ ისრაელი ორმოცი წლის განმავლობაში ვერ შევა ქანაანის ქვეყანაში, მწარედ გაუცრუა იმედი მოსეს, აარონს, ქალებსა და იესო ნავეს ძეს. მაგრამ უსიტყვოდ დაემორჩილნენ ღვთის ნებას. ისინი კი, ვინც უკმაყოფილო იყო უფლის მოქმედებით და ეგვიპტეში დაბრუნება გადაწყვიტა, მწარედ ტიროდნენ და წუხდნენ კურთხევის დაკარგვას, რომელიც თავადვე უარყვეს. ადრე სულ არაფრისთვის ბუზღუნებდნენ, ახლა კი, უფლის ნებით, მოთქმისათვის ნამდვილი მიზეზი მიეცათ. მათ რომ გულწრფელად მოენანიებინათ თავისი ცოდვა, როცა ღრმად ჩასწვდნენ მას, უფალი არ გამოუტანდა ასეთ განაჩენს. მაგრამ ისინი წუხდნენ მათ მიმართ გამოტანილ განაჩენზე, ხოლო მათი მწუხარება არ ნიშნავდა მონანიებას და ვერც იხსნიდა განკითხვისაგან.

მთელი ღამე მოთქვამდნენ ისრაელიანნი. მაგრამ გათენებისას გულში კვლავ ჩაუდგათ იმედის სხივი და გადაწყვიტეს, გამოესყიდათ თავისი დანაშაული. ადრე, როცა უფალმა უბრძანა, წასულიყვნენ და დაესაკუთრებინათ აღთქმული მიწა, მათ უარი განაცხადეს, ახლა კი, როცა მისგან უკან დაბრუნების ბრძანება მიიღეს, კვლავ ამბოხდა მათი სული. და გადაწყვიტეს,

თავად წასულიყვნენ და დაეპყროთ ეს მიწა. შესაძლოა, უფალი მოიწონებს ჩვენს სიმამაცეს და შეგვიცვლის განაჩენს, - ფიქრობდნენ ისინი.

თავის დროზე დიდი უპირატესობა მიანიჭა უფალმა მათ, როცა ამ ქვეყანაში შესვლა დაავალა. მაგრამ თავნება ისრაელიანებმა უარყვეს ეს უპირატესობა და ისიც ჩამოერთვათ. სატანამ თავის მიზანს მიაღწია, როცა ამ საქმეში ხელი შეუშალა მათ, ახლა კი შთააგონებდა, გაეკეთებინათ ის, რაზეც ადრე უარს ამბობდნენ, როცა ამას უფალი მოითხოვდა. ასე უბიძგა მათ უდიდესმა მზაკვარმა, კვლავ ამბოხებულიყვნენ და საწადელსაც ადვილად მიაღწია. ადრე ისინი ეჭვობდნენ, რომ ღმერთის ძალას შეეძლო მათი ამ მიწაზე შეყვანა, ახლა კი ამის მიღწევას პირადი ძალისხმევით, უფლის დახმარების გარეშე იმედოვნებდნენ. "შევცოდეთ უფალს, - აცხადებდნენ ისინი, - წავალთ და შევებრძოლებით, როგორც ნაბრძანები აქვს ჩვენთვის უფალს" /რჯლ. 1:41/. რა სასტიკად დააბრმავა ისინი ცოდვამ! ღმერთს არასოდეს დაუვალებია მათთვის "წასვლა და შებრძოლება". მას სულაც არ ჰქონდა

[392]

განზრახული, რომ ებრაელებს დაეპყროთ ეს მიწა; მათ უნდა დაესაკუთრებინათ იგი უფლის ბრძანების ზუსტი შესრულებით.

ისრაელიანნი, თუმც გული არ შეუცვლიათ, მაინც იძულებული გახდნენ, ეღიარებინათ თავისი დანაშაული და ამბოხების უაზრობა მას შემდეგ, რაც მაცნეებმა უფლის ნება აუწყეს. ახლა კი, შეაფასეს რა ის მადლი და კურთხევა, რომელსაც ასე სასტიკად უარყოფდნენ, აღიარეს, რომ მხოლოდ მათი ურწმუნოება იყო ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ვერ შევიდნენ აღთქმულ ქვეყანაში. "შევცოდეთ ჩვენ", - ამბობდნენ ისინი, რითაც აღიარებდნენ, რომ შეცდნენ თავად და არა ღმერთი, რომელსაც ბოროტად ადანაშაულებდნენ, თითქოს არ შესწევდეს ძალა თავისი აღთქმის შესასრულებლად. და თუმცა მათი აღიარება ჭეშმარიტი მონანიების შედეგი არ იყო, მაგრამ თავისი ხალხის მიმართ უფლის სამართლიანობის მოწმობა ნამდვილად იყო.

ასევე მოქმედებს უფალი დღესაც, როცა განადიდებს თავის სახელს იმით, რომ ადამიანები ღვთის სამართლიანობის აღიარებამდე მიჰყავს. როცა ის ადამიანები, რომლებიც ყოველთვის ხმამაღლა აღიარებდნენ უფლისადმი სიყვარულს, უკმაყოფილებას გამოთქვამენ უზენაესის საქმეების გამო და მის აღთქმას უარყოფენ, მაშინ ისინი ცდუნებას მიჰყვებიან და ამით უერთდებიან ბოროტ ანგელოზებს, რათა ჩაშალონ უფლის გეგმები. მაშინ უფალი ისე წარმართავს ვითარებას, რომ ეს

ადამიანები, გულწრფელად რომც არ ინანიებდნენ, ბოლოს მაინც იძულებული ხდებიან, აღიარონ თავისი ცოდვა, უღირსი საქციელი, უფლის სამართლიანობა და წყალობა მათ მიმართ. აი, ამგვარად ამხილებს უფალი ბოროტ ძალთა ქმედებებს. და თუმცა სული, რომელმაც ადამიანს ბოროტება ჩაადენინა, მათში არ იცვლება, მაგრამ დანაშაულის აღიარება მაინც იცავს უფლის ავტორიტეტს და ამართლებს მათ, ვინც კიცხავს ცოდვას და ამის გამო მრავალ წინააღმდეგობას და დევნას აწყდება. ასე მოხდება მაშინაც, როცა ღვთის რისხვა საბოლოოდ გადმოიღვრება დედამიწაზე. როცა მოვა "უფალი თავის ათეულ ათასობით წმიდანთან /ანგელოზებთან/ ერთად, რათა ყველა განიკითხოს", იგი ყველა უღვთოს დაარწმუნებს იმ საქმეებში, "რაც მათ უღვთობით ჩაუდენიათ" /იუდ. 14,15/. ყოველი ცოდვილი იძულებული გახდება, აღიაროს საკუთარი განკითხვის სამართლიანობა.

არ უსმინეს ისრაელიანებმა უფლის გადაწყვეტილებას და ქანაანის დასაპყრობად მოემზადნენ. შეიარაღდნენ და, როგორც თავად ეგონათ, მზად იყვნენ საბრძოლველად, მაგრამ უფლისა და მის დამწუხრებულ მსახურთა თვალში ეს დიდი უაზრობა იყო. დაახლოებით ორმოცი წლის შემდეგ, როცა უფალმა უბრძანა ისრაელს იერიხონის აღება, აღუთქვა, რომ მათთან ერთად იქნებოდა. ლაშქარს წინ უძღოდნენ ადამიანები კიდობნით ხელში, რომელშიც უფლის წმიდა მცნებები ინახებოდა; წინამძღოლებს ზუსტად უნდა შეესრულებინათ უფლის ყოველი მითითება. ასეთ ვითარებაში არავითარი

ხიფათი არ ელოდათ ისრაელიანთ. მაგრამ ახლა ისინი შეებრძოლნენ მტერს უფლის ნებისა და თავიანთ ლიდერთა გაფრთხილების მიუხედავად, კიდობნისა და მოსეს გარეშე.

გაისმა საყვირის ხმა. მოსე სასწრაფოდ გაემართა ხალხისაკენ, რათა გაეფრთხილებინა: "რისთვის გადადიხართ უფლის ბრძანებას? არაფერი გამოვა სასიკეთო. ნუ ახვალთ, რადგან არ არის უფალი თქვენს შორის, და დაგამარცხებთ მტერი. რადგან იქ დაგხვდებიან ყამალეკები და ქანაანელები და მახვილით დაეცემით".

ქანაანელებს მოსმენილი ჰქონდათ იმ იდუმალი ძალის შესახებ, რომელიც ამ ხალხს იცავდა, აგრეთვე სასწაულების შესახებ, რომლებიც უფალმა ამ ერისთვის მოახდინა და მოამზადეს ძლიერი ლაშქარი დამპყრობთა დარტყმის მოსაგერიებლად. დამპყრობთ კი არ ჰყავდათ წინამძღოლი. ერთხელაც კი არ

[393]

[394]

უთხოვიათ უფლისათვის ლოცვებით დახმარება გამარჯვებისათვის. არამედ ბრძოლაში ჩაებნენ იმ სასოწარკვეთილი გადაწყვეტილებით, რომ ან მათთვის მომზადებულ ხვედრს შეცვლიდნენ, ან ბრძოლაში დაიღუპებოდნენ.

თუმცა დიდი საომარი გამოცდილება არ გააჩნდათ, მაგრამ მაინც მრავალრიცხოვანი იყო ისრაელიანთა შეიარაღებულ მამაკაცთა მხედრობა, ამიტომ იმედი ჰქონდათ, რომ მოულოდნელი თავდასხმით გატეხდნენ მტერს და გაიმარჯვებდნენ. თვითდაჯერებულად გამოიწვიეს მტერი, რომელიც, თავის მხრივ, მათზე თავდასხმას ვერ ბედავდა.

ქანაანელები მიუდგომელ, კლდოვან ზეგანზე განლაგდნენ, სადაც მხოლოდ მეტად ვიწრო და ძნელად სავალი ბილიკებით შეიძლებოდა ასვლა. ამიტომ ისრაელიანთა მრავალრიცხოვანი ლაშქრის დამარცხებამ უფრო საზარელი სახე მიიღო. ნელ-ნელა მიემართებოდნენ ისინი მთიან ბილიკებზე და კარგ სამიზნეს წარმოადგენდნენ მწვერვალზე განლაგებული მტრისათვის. გამაყრუებელი ხმაურით ცვიოდა ზემოდან უზარმაზარი ლოდები, რომლებიც ისრაელიანთა სისხლის ღვარს ტოვებდა ვიწრო გზებზე. ხოლო მწვერვალს მიღწეულნი საშინლად დაღლილნი და დაქანცულნი, მტრის სასტიკმა ხელმა განგმირა და ძირს ჩამოყარა. ძლიერ დიდი იყო მსხვერპლი. ბრძოლის ველი გვამებით იყო მოფენილი. ისრაელიანთა ლაშქარი

სრულიად ამოწყდა. განადგურება და სიკვდილი - აი, რა შედეგი მოჰყვა ამბოხებას.

გადარჩენილნი იძულებულნი გახდნენ, უკან დაეხიათ. "დაბრუნდით და მორთეთ ტირილი უფლის წინაშე. უფალმა კი არ ისმინა თქვენი ხმა და ყური არ დაგიგდოთ" /რჯლ. 1:45/. მტრის ამ დიდმა გამარჯვებამ ისრაელზე, რომლისაც ასე ძლიერ ეშინოდათ ქანაანელებს, სიმტკიცე შემატა მათ და გადაწყვიტეს, შემდგომში წინ აღდგომოდნენ მას. ყველა სასწაულს, რომელიც ღმერთმა თავისი ხალხის გათავისუფლებისათვის მოახდინა და რაც ადრე მოსმენილი ჰქონდათ, ქანაანელები ახლა სიცრუედ მიიჩნევდნენ და გრძნობდნენ, რომ ტყუილად ეშინოდათ ებრაელებისა. ისრაელის ამ პირველმა დამარცხებამ, რამაც დიდი გამბედაობა და სიმტკიცე შემატა ქანაანელებს, ძლიერ გაართულა შემდგომში მათი ქვეყნის აღება. სხვა არაფერი დარჩენოდათ ისრაელიანთ, გარდა იმისა, რომ დაეტოვებინათ გამარჯვებული მტერი და გახიზნულიყვნენ უდაბნოში, რომელიც, კარგად იცოდნენ, მთელი მათი თაობის სამარედ უნდა ქცეულიყო.

თავი 35 - კორახის ამბოხება

სასჯელმა, რომელიც ისრაელს დაატყდა თავს, მცირე ხნით შეაკავა ამ ურჩი ხალხის წინააღმდეგობა და საყვედურები, მაგრამ მათ გულში დაბუდებულმა ამბოხების სულმა კვლავ მწარე ნაყოფი გამოიღო მომავალში. ადრინდელი შემთხვევები - ეს უბრალო ამბოხი იყო, აღგზნებული ხალხის უკმაყოფილების გამოვლენა. მაგრამ ის, რაც შემდგომში მოხდა, იყო არა სტიქიური, არამედ გულმოდგინედ დაგეგმილი შეთქმულების შედეგი, რომელიც მიზნად ისახავდა უფლის მიერ დადგენილ წინამძღოლთა ხელმწიფების დამხობას.

კორახი, ამ შეთქმულების თავკაცი, ლევიანი იყო, კეჰათის ოჯახიდან და მოსესაც ნათესავად ეკუთვნოდა. მეტად ნიჭიერი კაცი იყო და დიდი გავლენაც ჰქონდა საზოგადოებაში. თუმცა მას სადღესასწაულო კარავში მსახურებისათვის პასუხისმგებლობა დაევალა, მაგრამ ამით არ დაკმაყოფილდა და მღვდლობა მოინდომა. ადრე მღვდლობის უფლება მხოლოდ ოჯახის პირმშოს ეძლეოდა, ხოლო როცა ეს მოვალეობა აარონსა და მის ოჯახს დაეკისრა, შურმა და აღშფოთებამ დაისადგურა კორახის გულში. გარკვეული დროის განმავლობაში იგი ჩუმად ეწინააღმდეგებოდა მოსესა და აარონის ხელმწიფებას, ვინაიდან აშკარა უკმაყოფილების გამოხატვას ვერ ბედავდა. შემდეგ კი თანდათანობით ჩამოაყალიბა თავხედური გეგმა როგორც სამოქალაქო, ასევე სასულიერო ძალაუფლების დამხობის მიზნით. თანამზრახველნიც ადვილად იპოვა. კორახისა და

კეჰათიანთა კარვებთან ახლოს, სამხრეთით, რეუბენიანთა მთავრების დათანისა და აბირამის ოჯახები სახლობდნენ. მათ სიამოვნებით დაუჭირეს მხარი კორახის მზაკვრულ გეგმას. როგორც იაკობის უფროსი ძის შთამომავლები, ისინი პრეტენზიას აცხადებდნენ სამოქალაქო ხელმწიფებაზე და ამავე დროს, კორახთან ერთად მღვდლობის პატივის გაზიარებაც სურდათ.

ხალხის სულიერი მდგომარეობა დიდად უწყობდა ხელს კორახის ჩანაფიქრის განხორციელებას. მომავლის იმედდაკარგულ ხალხს სულ ცოტა რამ ესაჭიროებოდა გულში შურის, ეჭვისა და უკმაყოფილების კვლავ გაღვივებისათვის. და, კვლავინდებურად, მთელი მათი შფოთი და მღელვარება მათ დიდსულოვან წინამძღოლს დაატყდა თავს. ისრაელიანთ მუდამ ავიწყდებოდათ, რომ მათი უშუალო ხელმძღვანელი თავად უფალი ღმერთი იყო. რომ აღთქმის ანგელოზია მათი უხილავი წინამძღოლი, რომ ღრუბლის სვეტში დავანებული ქრისტე მიუძღოდათ წინ და რომ მოსე სწორედ მისგან ღებულობდა მითითებებს.

ვერ შერიგებოდნენ ისრაელიანნი მათდამი გამოტანილი განაჩენის საშინელებას; ვერ შერიგებოდნენ იმ აზრს, რომ უდაბნოში მოუწევთ სიკვდილი და, რა თქმა უნდა, მუდამ ეძებდნენ ნებისმიერ საბაბს მტკიცებისათვის, რომ სწორედ მათმა წინამძღოლმა, მოსემ, გადაწყვიტა მათი ბედი და არა ღმერთმა. "უთვინიერესი კაცის" ყველა გულწრფელი

მცდელობა, დაემშვიდებინა მშფოთვარე ხალხი, უშედეგოდ დამთავრდა. წარსულში მათი სიჯიუტით გამოწვეული ღვთის რისხვის შედეგი ჯერ კიდევ ცხადად იგრძნობოდა მათ შეთხელებულ რიგებში, მაგრამ ვერაფერი ისწავლეს ამ მწარე გაკვეთილიდან. ცდუნებამ კვლავ სძლია მათ.

წარსულში უბრალო მწყემსის მშვიდი და ბედნიერი ცხოვრება ბევრად სჯობდა მრავალრიცხოვანი ურჩი ხალხის წინამძღოლის, მოსეს, ახლანდელ ცხოვრებას. მაგრამ მოსე ვერ ბედავდა არჩევანის გაკეთებას. მწყემსის უბრალო ჯოხის ნაცვლად მას კვერთხი მისცეს, რომლის ხელიდან გაშვების უფლება არ

[395]

[396]

ჰქონდა მანამ, სანამ უფალი არ უბრძანებდა.

მან, რომელმაც ყოველი გულის საიდუმლო იცის, კარგად უწყოდა კორახისა და მის მეგობართა განზრახვა და თავის ხალხს შესაბამისი გაფრთხილება და მითითება მისცა, რათა ამ

ბოროტ ადამიანთა სიცრუის ქსელში არ გახვეულიყვნენ. მათ საკუთარი თვალით იხილეს, თუ როგორ დაისაჯა მირიამი მოსესადმი შურისა და უკმაყოფილების გამოხატვის გამო. უფალმა განაცხადა, რომ მოსე წინასწარმეტყველზე მეტია. "პირისპირ ველაპარაკები მას... რატომ არ გეშინიათ, ჩემს მორჩილს, მოსეს რომ ჰკიცხავთ?" /რიცხ. 12:8/. ამ სიტყვებით არა მხოლოდ მირიამსა და აარონს მიმართა უფალმა, არამედ მთელს ისრაელს.

კორახი და მისი თანამზრახველნი განსაკუთრებული პატივითა და ღირსებით შეამკო უფალმა. ისინი იყვნენ მათ რიცხვში, ვინც მოსესთან ერთად მთაზე ავიდა და უფლის დიდება იხილა. მაგრამ მას შემდეგ შეიცვალნენ ისინი. თავიდან წინააღმდეგობა არ გაუწიეს მცირე ცდუნებას, რომელიც თანდათან იზრდებოდა და ფესვებს იდგამდა, სანამ სატანამ სრულად არ დაიპყრო მათი გონება, ისინი კი უბრძოლველად დანებდნენ. თითქოსდა ხალხის ინტერესების დაცვისა და მათი კეთილდღეობის მიზნით, თითქოსდა უკმაყოფილება ჯერ ერთმანეთს, შემდეგ კი ისრაელის თავკაცებსაც გაუზიარეს. მოუსმინა მათ ხალხმა და ადვილად დაიჯერა, რომ უფლისადმი კეთილგანწყობა ამოქმედებდათ.

ორას ორმოცდაათი თავკაცის გადაბირება შეძლეს მათ. ეს პიროვნებები კი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ ხალხში. ამ ძლიერი და გავლენიანი ადამიანების მხარდაჭერით

ისინი შეეცადნენ მოსეს და აარონის მმართველობის ძირეულ შეცვლას და გაუმჯობესებას.

ამპარტავნობამ წარმოქმნა შური, შურმა კი ამბოხებამდე მიიყვანა ისინი. მათ გაამახვილეს ყურადღება მოსეს დიდ უფლებამოსილებასა და პატივზე და დაასკვნეს, რომ ასეთი დიდების ღირსნი თავადაც არიან. შეცდნენ და სხვებიც აცდუნეს, რადგან ფიქრობდნენ, რომ მოსემ და აარონმა თვითნებურად მიიტაცეს ხელმწიფება. უკმაყოფილოდ აცხადებდნენ, რომ მათმა წინამძღოლებმა არასწორი გზით მიითვისეს მღვდლობისა და მმართველობის უფლება. რატომ? ისინი ხომ არაფრით გამოირჩევიან ისრაელიანთა სხვა ოჯახებისაგან? არც სხვებზე მეტად წმიდანნი არიან. ამიტომ გაუტოლდნენ დანარჩენ ძმებს, ყველამ ერთნაირად ისარგებლოს უფლის წყალობით და უზენაესის დიდების ხილვის ღირსებით.

ახლა შეთქმულებს ისღა დარჩენოდათ, რაც შეიძლება მეტი მხარდამჭერი გაეჩინათ. ადამიანს, რომელმაც შესცოდა და გაკიცხვის ღირსია, ძალზე სიამოვნებს თანაგრძნობის სიტყვები. სწორედ ამ ხერხს მიმართეს კორახმა და მისმა მეგობრებმა, რითაც ხალხის ნდობა და მხარდაჭერა მოიპოვეს. ისინი არწმუნებდნენ მათ, რომ ბრალდება იმის შესახებ, თითქოს ხალხის საყვედურებმა ღვთის რისხვა გამოიწვია, სიცრუეა; რომ ამ შემთხვევაში მართალი იყო საზოგადოება, რომელიც თავისი უფლებების დაცვას ითხოვდა; მხოლოდ მოსე, მათი მკაცრი

მბრძანებელი, უწოდებდა მათ ცოდვილთ, სინამდვილეში კი ისინი წმიდა ხალხია და უფალიც მათ შორისაა.

გაიხსენა კორახმა მათი უდაბნოში მოგზაურობის ისტორია, ის ძნელი დრო, როცა მრავალ სიძნელეს აწყდებოდნენ და მრავალიც დაიღუპა თავისი სიჯიუტისა და უკმაყოფილების გამო. მსმენელთ ეჩვენებოდათ, რომ განცდილს სხვა, ახალ ნათელში ხედავენ; მოსე რომ სხვაგვარად მოქცეულიყო, ისინი ასე არ დაიტანჯებოდნენ. იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ყველა მათ უბედურებაში მხოლოდ მოსე იყო დამნაშავე; სწორედ მოსესა და აარონის არასწორი მოქმედების შედეგად ვერ დაისაკუთრეს მათ აღთქმული ქვეყანა; აი, კორახი რომ მათი წინამძღოლი ყოფილიყო და გაკიცხვის ნაცვლად კეთილი საქმეებისკენ

[397]

[398]

მოეხმო, მშვიდობიანად და წარმატებით დაასრულებდნენ თავიანთ მოგზაურობას; უდაბნოში წინ და უკან სიარულის ნაცვლად პირდაპირ აღთქმული მიწისაკენ გაემართებოდნენ.

ამ ბოროტულმა განზრახვამ საოცრად გააერთიანა უკმაყოფილონი. ხალხში მოპოვებულმა ამ წარმატებამ უფრო განუმტკიცა კორახს ის აზრი, რომ მოსე უზურპატორია და, თუ ყოველივე ეს დროზე არ აღიკვეთა, საბედისწერო აღმოჩნდება ისრაელისათვის; კორახი არწმუნებდა ხალხს, რომ ეს ყველაფერი ღმერთმა გაუხსნა და ახალი ხელმძღვანელობის არჩევა მიანდო, სანამ ჯერ კიდევ გვიანი არ იყო. მაგრამ ბევრმა არ დაუჭირა მხარი კორახს მოსეს საწინააღმდეგო ბრალდებაში. იხსენებდნენ მოსეს მოთმინებით აღსავსე, თავდადებულ შრომას და სინდისის ქენჯნას განიცდიდნენ. ამიტომ ისრაელისათვის მოსეს თავდადებული შრომა ხალხისათვის აუცილებლად ისე უნდა წარმოედგინათ, თითქოს იგი ანგარების მიზნით სრულდებოდა და კვლავ ძველი ბრალდება წაუყენეს: ხალხი იმიტომ გამოიყვანა ეგვიპტიდან, რომ უდაბნოში დაეღუპა, მისი ქონება კი თავად მას დარჩენოდა.

ერთხანს ყოველივე ეს ფარულად მიმდინარეობდა. მაგრამ სულ მალე, როცა მოძრაობა იმდენად გაძლიერდა, რომ აშკარა ამბოხებაში გადაიზარდა, კორახი სათავეში ჩაუდგა და საჯაროდ დაადანაშაულა მოსე და აარონი ხელმწიფების უკანონოდ მიტაცებაში, რომელზედაც მას, კორახს, და მის მეგობრებს, კანონიერი უფლება ჰქონდათ. იგი მათ იმაშიც ადანაშაულებდა, რომ ხალხს წაართვეს დამოუკიდებლობისა და არჩევანის უფლება. „გეყოფათ! წმიდაა ერთიანად მთელი საზოგადოება და უფალი არის მათ შორის. რატომ აღზევდით უფლის კრებულზე?"

მოსემ სრულებით არაფერი იცოდა ამ კარგად მომზადებული შეთქმულების შესახებ და როდესაც ეს საშინელი სინამდვილე სრულად გაცხადდა მის წინაშე, მოსე პირქვე დაემხო და ჩუმად მოუხმო უფალს. ღრმად დამწუხრებული წამოდგა, მაგრამ მშვიდი და ძლიერი იყო. უფალმა მფარველობა აღუთქვა მას: "ხვალ, - გამოუცხადა მან კორახს, - გამოაცხადებს უფალი, ვინ არის მისი და ვინ არის წმიდა, რათა დაიახლოვოს იგი; ვისაც აირჩევს, იმას დაიახლოვებს". განზრახ მიეცათ გამოსაცდელი ვადა დილამდე, რათა მოფიქრებისათვის საკმაო დრო ჰქონოდათ. შემდეგ კი მათ, ვისაც მღვდლობის პრეტენზია გააჩნდათ, უნდა აეღოთ საცეცხლურები და ეკმიათ საკმეველი მთელი საკრებულოს წინაშე. კანონის თანახმად, მხოლოდ ამ წმიდა მსახურებისათვის ხელდასხმულთ ჰქონდათ საწმიდარში მსახურების უფლება. თვით მღვდლები - ნადაბი და აბიჰუ - დაიხოცნენ იმის გამო, რომ "უცხო ცეცხლის" დანთება გაბედეს, რითაც უფლის ბრძანება დაარღვიეს. მაგრამ მოსემ ბრალმდებელთ განუცხადა, რომ, თუკი ისინი მსგავსი რამის გაკეთებას აპირებენ, უფალს უნდა მიმართონ.

შეკრიბა მოსემ კორახი და მისი თანამზრახველი ლევიანები და უთხრა: "ნუთუ გეცოტავებათ, ისრაელის ღმერთმა რომ გამოგყოთ ისრაელის საზოგადოებიდან და დაგიახლოვათ, რათა შეგესრულებინათ საუფლო კარვის სამსახური და მდგარიყავით საზოგადოების წინაშე მისდა სამსახურად? დაგიახლოვათ შენ და მთელი შენი საძმო, ლევიანები, შენთან ერთად. ახლა

მღვდლობასაც ესწრაფით? ამისათვის შეითქვით შენ და მთელი შენი დასი უფლის წინააღმდეგ? აარონმა რაღა დაგიშავა, რომ უჩივით?"

დათანი და აბირამი არ ლაპარაკობდნენ ისე თავხედურად, როგორც კორახი. და იფიქრა მოსემ, რომ ისინი შეცდომით არიან ჩათრეულნი შეთქმულებაში; შეეცადა, გონზე მოეყვანა ისინი და ცალკე მოიხმო იმ მიზნით, რომ პირადად მათგან მოესმინა ბრალდება. მაგრამ მათ უარი თქვეს მოსესთან საუბარზე,

[399]

რაც იმას ნიშნავდა, რომ არ სცნობდნენ მის ავტორიტეტს. მთელი საკრებულოს წინაშე უპასუხეს მოსეს: "ნუთუ არ კმარა, რძითა და თაფლით მდინარი ქვეყნიდან რომ ამოგვიყვანე უდაბნოში მოსაკლავად? ახლა გინდა გაგვიბატონდე? ჰო, გაგვიბატონდე კიდეც? არც რძითა და თაფლით მდინარ ქვეყანაში მიგიყვანივართ, არც ყანები და ვენახები მოგიცია ჩვენთვის. თვალები გინდა დაუბრმავო ამ ხალხს? არ წამოვალთ".

ამგვარად, იგივე სიტყვებით გაიხსენეს მათ თავიანთი მონობის ქვეყანა, რომლითაც უფალი აღწერდა აღთქმულ სამკვიდროს.

დანაშაული წაუყენეს მოსეს, თითქოსდა ღვთიური ხელმძღვანელობით მოქმედებდა, სინამდვილეში კი თავისი ხელმწიფების განმტკიცებას ცდილობდა და განუცხადეს, რომ ასე ბრმად აღარ დაემორჩილებიან მის ბრძანებებს, ხან ქანაანისკენ რომ მიჰყავს, ხან კი უკან აბრუნებს უდაბნოში. და ყოველივე ამას იგი თავისი ეგოისტური მიზნების ხორცშესხმისათვის აკეთებს. ამგვარად ის, ვინც მათთვის მოსიყვარულე მამა, სულგრძელი მწყემსი იყო, წარმოადგინეს როგორც ტირანი და უზურპატორი. იმაშიც, რომ საკუთარი ცოდვებისათვის დაისაჯნენ და ქანაანში შესვლის უფლება ჩამოერთვათ, მოსე დაადანაშაულეს.

აშკარა იყო, რომ ხალხიც თანაუგრძნობდა ამბოხებულთ, მაგრამ მოსეს სულაც არ უცდია თავის დაცვა. მთელი საკრებულოს წინაშე თავისი სიწმიდისა და პატიოსნების დასამოწმებლად ღმერთს უხმობდა მოსე და გულწრფელად სთხოვდა, მათი მსაჯული ყოფილიყო.

მეორე დღეს ორას ორმოცდაათი ებრაელი მთავარი კორახის ხელმძღვანელობით, საცეცხლურებით ხელში, წარდგა მთელი საზოგადოების წინაშე. შევიდნენ საწმიდრის ეზოში, ხალხი კი გარეთ იდგა და ელოდა, რა მოხდებოდა. მოსეს არ შემოუკრებია ეს ხალხი კორახისა და მის თანამზრახველთა მარცხის საცქერლად; ამბოხებულებმა თავიანთი სიბრმავით თავად უხმეს მათ, რათა მათი გამარჯვების მოწმენი გამხდარიყვნენ.

შეკრებილთა უმრავლესობა კორახის მხარეზე იყო, რომელსაც აარონზე გამარჯვების დიდი იმედი ჰქონდა.

ამგვარად, როცა ყველა შეიკრიბა უფლის წინაშე, "გამოეცხადა უფლის დიდება მთელს საზოგადოებას." მოსე და აარონი გააფრთხილა უფალმა: "გამოეყავით ამ საზოგადოებას და ერთ წამში მოვსპობ მათ". ისინი კი ლოცვით დაემხნენ მის წინაშე: "ღმერთო! ყოველი ხორციელის სულთა უფალო! ერთმა კაცმა სცოდა და მთელს საზოგადოებაზე მრისხანებ?".

კორახმა დატოვა საკრებულო და დათანს და აბირამს შეუერთდა. ამ დროს კი მოსე, სამოცდაათ უხუცესთან ერთად, გაემართა მათ გასაფრთხილებლად, ვინც მასთან მისვლაზე უარი განაცხადა. ხალხი უკან გაჰყვა და, სანამ მოსალოდნელ სასჯელს გამოუცხადებდა, მოსემ უფლის ბრძანებით საზოგადოებას მიმართა: "განერიდეთ ამ ბოროტი ხალხის კარვებს, მათსას ნურაფერს მიეკარებით, მათი ცოდვების თანაზიარი რომ არ გახდეთ". უსმინა ხალხმა მოსეს, ვინაიდან მოსალოდნელი ხიფათის საშინელმა წინათგრძნობამ მოიცვა ისინი. ამბოხების თავკაცნი ხედავდნენ, რომ თანამზრახველთა უმრავლესობამ დატოვა ისინი, მაგრამ მაინც არ შედრკნენ. გამომწვევად იდგნენ თავიანთი ოჯახებით თავისი კარვების წინ, თითქოს არაფრად მიაჩნდათ უფლის გაფრთხილება.

უფლის სახელით მიმართა მოსემ მთელ საკრებულოს: "ამით გაიგებთ, რომ უფალმა გამომგზავნა ამ საქმის აღსასრულებლად, რომ ჩემი ნება არ ყოფილა. თუ ჩვეულებრივი სიკვდილით დაიხოცებიან ესენი და ჩვეულებრივი ბედი ეწევათ მათ, არ ვყოფილვარ უფლის გამოგზავნილი. თუ არნახულ რასმეს ჩაიდენს უფალი, მიწა დააღებს პირს და შთანთქავს მათ და მთელს მათ საბადებელს, და ცოცხლივ ჩავლენ ქვესკნელში, იცოდეთ, უფალი დაუგმია ამ ხალხს".

[400]

მოსესკენ იყო მიპყრობილი მთელი ისრაელის ყურადღება. შეშფოთებული ხალხი შიშით ელოდა, რა მოხდებოდა. როგორც კი ლაპარაკი დაამთავრა მოსემ, გაიპო მიწა, ცოცხლივ შთანთქა ქვესკნელმა ამბოხებულნი და მთელი მათი ქონება. "ასე გადაშენდნენ კრებულიდან". მიხვდა ხალხი, რომ დიდი ცოდვა ჩაიდინა და სასწრაფოდ გაეცალა იმ ადგილს.

მაგრამ სამსჯავრო ამით არ დამთავრებულა. ღრუბლიდან გამოსულმა ცეცხლმა შთანთქა ის ორას ორმოცდაათი თავკაცი, რომელმაც საკმეველი აკმია. ეს ადამიანები არ იყვნენ ამბოხების თავკაცნი, ამიტომ არ განადგურდნენ მათთან ერთად. მათ შესაძლებლობა მიეცათ, საკუთარი თვალით ეხილათ მათ

შემცდენელთა აღსასრული და მოენანიებინათ, მაგრამ ისინი კვლავინდებურად თანაუგრძნობდნენ მათ და მათი ბედი გაიზიარეს.

არ დაატყდებოდა თავს ღვთიური სასჯელი კორახსა და მის თანამზრახველთ, რომ მოენანიებინათ და მიტევება ეთხოვათ, როცა მოსემ მთელი ისრაელი გააფრთხილა მოსალოდნელი საშიშროების შესახებ. მაგრამ ჯიუტმა წინააღმდეგობამ გადაწყვიტა მათი ბედი. მთელ საკრებულოს მიუძღოდა წილი მათ დანაშაულში, რადგან მეტ-ნაკლებად თანაგრძნობას უცხადებდა მათ. მაგრამ მოწყალე უფალმა გამოყო ამბოხების თავკაცნი მათგან, ვინც აცდუნეს. მოტყუებულთ მიეცათ მონანიების შესაძლებლობა. უკვე აშკარად დამტკიცდა მოსეს სიმართლე და ამბოხებულთა სიცრუე. უფლის ძლიერების აგრერიგად გამოვლენამ ყოველგვარი ეჭვი გააქარწყლა. ისრაელის წინამძღოლი იესო, აღთქმის ანგელოზი, ცდილობდა, გადაერჩინა თავისი ხალხი. ისრაელიანთ ჰქონდათ მიტევების მიღების შესაძლებლობა. ხშირად ემუქრებოდათ მათ ღვთის სასჯელი მოუნანიებლობის შემთხვევაში. ზეცის გადამწყვეტმა ჩარევამ ბოლო მოუღო შფოთს. განწირულთ უკანასკნელ წუთებშიც რომ ესმინათ ღვთიური ხმისა, გადარჩებოდნენ. მაშინაც კი, როცა სიკვდილის შიშით უფლის სამსჯავროს გაურბოდნენ, ამბოხების სული კვლავ ცოცხლობდა მათში. იმ ღამეს დაბრუნდნენ თავიანთ კარვებში შეშინებულნი, მაგრამ მოუნანიებელნი.

კორახისა და მის თანამზრახველთა მიერ ცდუნებულმა ხალხმა მართლაც იწამა საკუთარი პატიოსნება და მართლა დაიჯერა, რომ მოსე სულაც არ ზრუნავს მათზე, არამედ, ამცირებს კიდეც მათ. თუკი ისინი კორახსა და მის მეგობრებს გაამტყუნებენ, მოსეს კი გაამართლებენ, მაშინ უნდა აღიარონ, რომ მათთვის გამოტანილი განაჩენი - უდაბნოში სიკვდილი - მართლაც ღმერთს ეკუთვნის. ძალიან არ სურდათ ამის მიღება, ამიტომ თავს ირწმუნებდნენ, რომ მოსემ მოატყუა ისინი. გულის სიღრმეში იმედოვნებდნენ, რომ დაუდგებათ ნათელი დღეები, დადგინდება ახალი მმართველობა, ახლანდელი საყვედურები მათი ქება-დიდებით შეიცვლება და მღელვარებისა და უთანხმოების ნაცვლად მშვიდობა დაისადგურებს. დაღუპულნი მათთვის საქებარ სიტყვებს არ იშურებდნენ და ისრაელიანთ სჯეროდათ, რომ კორახი და მისი მეგობრები კეთილი ადამიანები არიან, მათი დაღუპვის მიზეზი კი მოსეა.

როცა ადამიანები უარს ამბობენ უფლის მიერ შემოთავაზებულ ხსნაზე ან დახმარებაზე, ამით დიდად შეურაცხყოფენ უზენაესს. ისრაელიანნიც ასე მოიქცნენ, უფრო მეტიც - მოსეს და აარონის მოკვლა განიზრახეს. მათ არც უფიქრიათ, მიტევება ეთხოვათ უფლისათვის ჩადენილი მძიმე ცოდვის გამო. გამოცდის ის ღამე მონანიებაში და ცოდვის აღიარებაში კი არ გაატარეს, არამედ თავის გამართლების სხვადასხვა მეთოდის ძებნაში. მათში ჯერ კიდევ არ გამქრალიყო უფლის რჩეულ წინამძღოლთა მიმართ სიძულვილის გრძნობა და კვლავ უარყოფდნენ მათ

ხელმწიფებას. სატანა კი იქვე იყო, რათა სიმართლე სიცრუით შეეცვალა და დაბრმავებულნი საბოლოოდ დაეღუპა.

განწირულ, ქვესკნელში ჩავარდნილ ადამიანთა სასოწარკვეთილ ყვირილზე,

[401]

[402]

შეძრწუნებული ისრაელი გაიქცა იმ საშინელი ადგილიდან, "იფიქრეს, ჩვენც არ ჩაგვყლაპოსო მიწამ". "აუჯანყდა მეორე დღეს ისრაელიანთა მთელი საზოგადოება მოსეს და აარონს, და თქვეს: თქვენ გაწყვიტეთ უფლის ერი". და უკვე მზად იყვნენ მოეკლათ მათი ერთგული, თავდადებული ეს ადამიანები.

უცბად საწმიდრის თავზე გამოჩნდა უფლის დიდება და მოისმა ღრუბლიდან ხმა, რომელიც მოსესა და აარონს მიმართავდა: "გაერიდეთ ამ საზოგადოებას და მე ერთ წამში გადავბუგავ მათ".

არ ჰქონდა ცოდვა მოსეს, ამიტომ უშიშრად იდგა ადგილზე. არ დატოვა საკრებულო დასაღუპავად. ყოვნდებოდა მოსე და ამ

საშინელი კრიზისის მომენტში გამოვლინდა მისი ჭეშმარიტი სიყვარული, როგორც მწყემსისა თავისი სამწყსოს მიმართ. ლოცულობდა მოსე, რომ ღვთის რისხვას სრულად არ გაენადგურებინა უფლის რჩეული ხალხი. თავისი შუამდგომლობით შეაკავა მან შურისგებისთვის აღმართული ხელი და არ დაუშვა ურჩი, ამბოხებული ისრაელის საბოლოო დაღუპვა.

მაგრამ რისხვის ანგელოზი მოვიდა, რათა გაენადგურებინა... და დაიწყო უბედურებამ თავისი დამღუპველი საქმის კეთება. აიღო აარონმა საცეცხლური, როგორც ძმამ უბრძანა და საკრებულოს შუაგულს მიაშურა, რათა "განეწმიდა" ხალხი. "დადგა იგი დახოცილთა და ცოცხალთა შორის". ავიდა ღმერთთან საკმევლის კვამლი, ისმინა უფალმა მოსეს ლოცვა საწმიდარში და "შეწყდა მუსვრა", მაგრამ დაიხოცა თოთხმეტი ათას შვიდასი ისრაელიანი თავისი ამბოხებისა და შფოთის გამო.

შემდეგ კიდევ ერთი მტკიცება მიეცათ იმისა, რომ მღვდლობის უფლება უფალმა მხოლოდ აარონის ოჯახს მიანიჭა. უფლის ბრძანებით ისრაელიანთა ყოველმა შტომ დაამზადა კვერთხი და ზედ თავისი სახელი დააწერა. აარონის სახელი ლევიანთა კვერთხზე იყო ამოტვიფრული. დააწყვეს კვერთხები "სადღესასწაულო კარავში, აღთქმის კიდობნის წინ". აყვავებული კვერთხი ნიშანი უნდა ყოფილიყო იმისა, თუ რომელი შტო აირჩია უფალმა წმიდა მსახურებისათვის. "მეორე

დღეს... აყვავდა აარონის კვერთხი, ლევის სახლიდან, აყვავდა, გაიფურჩქნა ყვავილი და დამწიფდა ნუში". აჩვენეს იგი ისრაელიანთა მთელ საზოგადოებას, შემდეგ კი დადეს საწმიდარში, როგორც მოწმობა მომავალი თაობებისათვის. ამ სასწაულმა მღვდლობის საკითხი გადაწყვიტა დავის გარეშე.

ახლა ყველასთვის აშკარა გახდა, რომ მოსე და აარონი უფლის სახელით ლაპარაკობდნენ და ხალხიც იძულებული გახდა, ეღიარებინა მათთვის მეტად არასასიამოვნო ჭეშმარიტება: უნდა დაიხოცონ ისინი უდაბნოში. "აჰა, ვიხოცებით, ვიღუპებით, ყველანი ვიღუპებით!" - ამბობდნენ ისინი. ახლა კი ნამდვილად აღიარეს, რომ სწორედ დანაშაული იყო საკუთარ წინამძღოლთა წინააღმდეგ ამბოხება და რომ კორახიცა და მისი თანამზრახველნიც სამართლიანად დასაჯა უფალმა.

კორახის მოქმედებაში, თუმცა მცირე მასშტაბით, მაგრამ მაინც სრულად გამოვლინდა სული, რომელმაც ზეცაში ამბოხებისაკენ უბიძგა სატანას. პატივმოყვარეობამ და ამპარტავნობამ ღვთის მმართველობისადმი უკმაყოფილება გაუღვიძა ლუციფერს და ზეცაში დადგენილი რჯულის დამხობა გადაწყვიტა. თავისი დაცემის შემდეგ მან მიზნად დაისახა, ადამიანებშიც შთაენერგა შურისა და უკმაყოფილების იგივე სული და სწრაფვა კარიერისა და დიდებისაკენ. ასევე იმოქმედა მან კორახზე, დათანსა და აბირამზე: გაუღვიძა ამპარტავნობა, შური, უნდობლობა და დაუმორჩილებლობის სული. სატანამ აიძულა, ღმერთის მიერ

დადგენილ წინამძღოლთა უარყოფით მათ უარეყოთ თვით ღმერთი, როგორც მათი წინამძღოლი. როცა მოსესა და აარონის მიმართ უნდობლობასა

[403]

და საყვედურებს გამოხატავდნენ, ისინი ღმერთს ლანძღავდნენ და, ამასთანავე, იმდენად დარწმუნებული იყვნენ საკუთარ სიმართლეში, რომ მათი ცოდვების მხილებას სატანის საქმედ თვლიდნენ.

განა დღესაც არ არსებობს იგივე ბოროტება, რომელმაც კორახი დაღუპა? ამპარტავნობა და პატივმოყვარეობა დღესაც მძლავრობს ადამიანებში და შურს იწვევს მათში; შემდეგ იწყება ბრძოლა პირველობისათვის, სული შორდება ღმერთს და შეუცნობლად უერთდება სატანის მსახურთა რიგებს. კორახისა და მის თანამზრახველთა მსგავსად, მრავალი ე.წ. "ქრისტეს მიმდევარი" გეგმავს მომავლის საქმეებს და ისე გულმოდგინედ იღვწის საკუთარი განდიდებისათვის, რომ თანაგრძნობისა და მხარდაჭერის მოსაპოვებლად მზადაა, დაამახინჯოს ჭეშმარიტება, სიცრუე დასწამოს ღვთის მსახურთ და ბრალი დასდოს მათ ისეთ მდაბალ და ეგოისტურ მოქმედებებში, რომლებითაც თავად ხელმძღვანელობს. ყველა მტკიცების

მიუხედავად, ისინი ჯიუტად უარყოფენ სიმართლეს და, საბოლოოდ, საკუთარ თავსაც არწმუნებენ, რომ ყველაფერში მართლები არიან. ცდილობენ რა, უფლის რჩეულ მსახურთა მიმართ ხალხს ნდობა შეურყიონ, გულწრფელად სჯერათ, რომ სწორად იქცევიან და ღვთის საქმეს აკეთებენ.

ებრაელებმა არ ისურვეს, დამორჩილებოდნენ ღმერთის ბრძანებებს და შეზღუდვებს, აკრძალვებსა და მხილებებს. სწორედ ეს იყო მოსეს წინააღმდეგ გამოსვლის მიზეზი. მათთვის რომ ნება მიეცათ, საკუთარი სურვილისამებრ ემოქმედათ, ნაკლებად უსაყვედურებდნენ მოსეს. ეკლესიის არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე ღვთის მსახურნი ხშირად აწყდებიან მსგავსი სულისკვეთების გამოვლინებას თავის გარშემო.

დანაშაულის მიმართ შემწყნარებლობით ადამიანები საკუთარი გონებისაკენ უხსნიან გზას სატანას და თანდათან ეცემიან თავიანთი ურჯულოების გზაზე. ღვთიური ნათელის უარყოფა მათ გონებას და გულს უსასტიკებს, უბნელებს, ამიტომ თანდათან უადვილდებათ დანაშაულის ჩადენა, ჭეშმარიტების უარყოფა, სანამ საბოლოოდ არ ჩაიბუდებს მათში ბოროტება და, მაშინ, ცოდვა მათთვის აღარ იქნება ცოდვა. ადამიანებში ხშირად სიძულვილს იწვევს ის, ვინც ღვთის სიტყვას ქადაგებს და მათ ცოდვებს ამხელს. ადამიანებს არ სურთ, საკუთარი დანაშაულის მხილებით გამოწვეული ტკივილის ატანა, რაც აუცილებელია

მათი გარდაქმნისათვის. ამის გამო ბოროტდებიან ღვთის მსახურის მიმართ და აცხადებენ, რომ მისი მხილება უსამართლო და სასტიკია. კორახის მსგავსად აცხადებენ, რომ წმიდაა ხალხი; ყველა უბედურების მიზეზად კი ბრალმდებელს თვლიან. ამით საკუთარ სინდისს იმშვიდებენ ბოროტნი და უკმაყოფილონი, ერთიანდებიან, რათა ეკლესიაში განხეთქილება შეიტანონ და ტკივილი მიაყენონ მათ, ვინც მის აღმშენებლობას ემსახურება.

იმ ადამიანთა ყოველი ნაბიჯი, რომელთაც ღმერთმა თავისი საქმის წინამძღოლობა დაავალა, ეჭვს იწვევს; ყოველ მათ მოქმედებას ცრუდ სახავენ ბოროტი და შურიანი ადამიანები. ასე იყო ლუთერის, უესლისა და სხვა რეფორმატორთა დროს. ასეა დღესაც.

კორახი ასე არ მოიქცეოდა, ერთ რამეში რომ ყოფილიყო დარწმუნებული: ისრაელის მიმართ თქმული ყოველი მითითება და მხილება ღვთისგან მოდის. მაგრამ მას შეეძლო, სცოდნოდა ეს. უტყუარი მტკიცება მისცა მათ უფალმა იმისა, რომ თავად მიუძღვის ისრაელს. მაგრამ კორახი და მისი მეგობრები უარყოფდნენ ამ ჭეშმარიტ ნათელს მანამ, სანამ იმდენად არ დაბრმავდნენ, რომ უფლის ძალის უძლიერეს გამოვლინებასაც კი აღარ შეეძლო მათთვის თვალის ახელა. ყოველივე ამას ადამიანურ ან სატანურ ძალას მიაწერდნენ. ასე

მოიქცა ხალხიც, როცა კორახისა და მისი მეგობრების დაღუპვის მეორე

[404]

[405]

დღეს აარონთან და მოსესთან მივიდა და განუცხადა: "თქვენ გაწყვიტეთ უფლის ერი". ისრაელიანთა ურჯულოებით გამოწვეული ღვთის რისხვის უდავო მტკიცების და მათ მაცდუნებელთა დაღუპვის მიუხედავად, გაბედეს და ღვთის სასჯელი სატანას მიაკუთვნეს, თანაც განაცხადეს, რომ მოსემ და აარონმა ეშმაკის ძალით დაღუპეს ეს წმიდა და კეთილი ადამიანები. ამან განაპირობა მათი საბოლოო ხვედრი. მათ შესცოდეს სულიწმიდის წინაშე. ჩაიდინეს ცოდვა, რომელიც ადამიანის გულს უგრძნობს ხდის ღვთიური მადლის ზეგავლენის მიმართ. "ვინც სიტყვას იტყვის კაცის ძის წინააღმდეგ, მას მიეტევება; მაგრამ თუ ვინმე იტყვის სულიწმიდის წინააღმდეგ, მას არ მიეტევება არც ამ წუთისოფლად, არც მომავალში" /მათ. 12:32/. ეს სიტყვები წარმოთქვა მაცხოვარმა, როცა მის მიერ ღვთის ძალით გაკეთებული კეთილი საქმეები იუდეველებმა ბელზებელს

მიაწერეს. ღმერთი ადამიანს სულიწმიდის მეშვეობით ესაუბრება და, როცა იგი შეგნებულად უარყოფს მას, როგორც სატანისას, თავადვე იჭრის გზას, რომელსაც ზეცისკენ მიჰყავს.

სულიწმიდის მეშვეობით ამხელს და არწმუნებს ღმერთი ცოდვილს. და თუკი სულიწმიდის საქმეები სრულიად უარყოფილია, ღმერთი ვერაფერს გახდება. ღვთიური წყალობის უკანასკნელი საშუალებაა იგი. ცოდვილმა მოკვეთა საკუთარი თავი ღმერთს, ცოდვაში კი თავისთავად არ არსებობს წამალი განსაკურნებლად. არ არსებობს სხვა ძალა, რომლის მეშვეობითაც ღმერთი შეძლებდა ცოდვილის დარწმუნებას და მოქცევას. "დაეხსენი" /ოს. 4:17/, - ბრძანებს უფალი. მაშინ "აღარ რჩება მსხვერპლი ცოდვებისათვის, არამედ სამსჯავროს რაღაც საშინელი მოლოდინი და მოწინააღმდეგეთა შთანთქმისათვის გამზადებული შურის ცეცხლი" /ებრ. 10:26,27/.

თავი 36 - უდაბნოში

თითქმის ორმოცი წლის განმავლობაში მოგზაურობდნენ ისრაელიანები უდაბნოში. "ოცდათვრამეტი წელი მოვუნდით კადეშ-ბარნეადან ზარედის ხევამდე მისვლას და ამასობაში გაწყდა ბანაკში მებრძოლთა მთელი თაობა, როგორც დაფიცებული ჰქონდა მათთვის უფალს. უფლის ხელიც იყო

მათზე, რომ სრულებით გამწყდარიყვნენ ბანაკში, ვიდრე არ გაწყდნენ" /რჯლ. 14,15/.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ისრაელიანებს არ დავიწყებიათ, რომ უფლის სასჯელს იხდიდნენ. კადეშის ამბოხებისას მათ ღმერთი უარყვეს და უფალმაც, თავის მხრივ, უარყო ისინი. ვინაიდან უფალს აღარ უერთგულეს და მისდამი მიცემული აღთქმა დაარღვიეს, ვერ მიიღეს აღთქმის ნიშანი - წინადაცვეთის წესი. მონობის ქვეყანაში დაბრუნების სურვილი იმაზე მეტყველებდა, რომ ღირსნი არ იყვნენ თავისუფლებისა და წმიდა პასექისა, რომელიც ტყვეობიდან გათავისუფლების ნიშნად მისცა უფალმა, ამიტომ, ეს დღესასწაული მათში არც აღინიშნებოდა.

მაგრამ საწმიდარში მუდმივი მსახურება მოწმობდა, რომ ღმერთს სამუდამოდ არ დაუტოვებია თავისი ხალხი. იგი კვლავაც ზრუნავდა მათზე. "რადგან უფალმა, შენმა ღმერთმა, - თქვა მოსემ უდაბნოში მოგზაურობის გახსენებისას, - გაკურთხა ყველა საქმეში, უწყოდა შენი გზა-სავალი ამ დიდ უდაბნოში. ეს ორმოცი წელიწადი შენთან არის უფალი და არაფერი მოგკლებია" /რჯლ. 2:7/. ნეემიას მიერ ჩაწერილი საგალობელი საუცხოოდ გადმოგვცემს ისრაელზე უფლის მზრუნველობას ამ განდგომილებისა და უდაბნოში ხეტიალის წლებშიც კი: "მაგრამ შენ შენი დიდი გულმოწყალებით არ სტოვებდი მათ უდაბნოში. დღისით ღრუბლის სვეტი არ შორდებოდა გზაზე საწინამძღვროდ, და ღამით ცეცხლი სვეტი, ის გზა რომ

გაენათებინა, რომელსაც ადგნენ. შენი კეთილი სული მიანიჭე მათ ჭკუის დასარიგებლად. შენი მანანა მათი პირიდან არ მოგიშორებია. ამავე დროს წყალს აძლევდი მათ წყურვილის მოსაკლავად... სამოსელი არ უცვდებოდათ და ფეხები არ უსივდებოდათ" /ნეემ. 9:19-21/.

უდაბნოში მათი ხეტიალი არა მხოლოდ ამბოხებისა და ურჩობის სასჯელი იყო, არამედ საკმაოდ კარგი სკოლა მომავალი თაობებისათვის და აღთქმულ ქვეყანაში შესასვლელად მომზადებისათვის. მოსემ უთხრა მათ: "როგორც კაცი წვრთნის თავის შვილს, ასევე უფალი, შენი ღმერთია შენი გამწვრთნელი", "რომ მოეთვინიერებინე, გამოეცადე, რომ სცოდნოდა, რა გიდევს გულში, დაიცავდი თუ არა მის მცნებებს... გამშევდა და გაჭმევდა მანანას, რომელიც არ იცოდი არც შენ და არც შენმა მამა-პაპამ, რათა მიმხვდარიყავი, რომ მხოლოდ პურით არ ცოცხლობს კაცი, არამედ უფლის პირიდან გამომავალი ყოველი სიტყვით ცოცხლობს კაცი" /რჯლ. 8:2,3,5/. "იპოვნა იგი უკაცრიელ მხარეში, უდაბნოში, ხრიოკ ტრამალზე; უვლიდა, მოძღვრავდა, იფარავდა თვალისჩინივით". "ყველა მათ გასაჭირში მათთვის უჭირდა და მისი პირის ანგელოზმა იხსნა ისინი. სიყვარულით და სიბრალულით გამოისყიდა, ხელში აიყვანა და დაატარებს უკუნითიდან". /რჯლ. 32:10; ეს. 63:9/.

მიუხედავად ამისა, უდაბნოში მათი მოხეტიალე ცხოვრების მთელი მატიანე ღვთის წინააღმდეგ ამბოხებას მოწმობს. კორახის მიერ მოწყობილი ამბოხი თოთხმეტი ათასზე მეტი ისრაელიანის დაღუპვით დამთავრდა. მრავლად იყო მათ ცხოვრებაში ღვთიური ხელმწიფების უგულებელყოფის მსგავსი შემთხვევები.

ერთხელ ერთმა კაცმა, ისრაელთან ერთად გამოსული ეგვიპტელისა და ებრაელი ქალის შვილმა, დატოვა მისთვის განკუთვნილი ადგილი, მივიდა

[406]

[407]

ბანაკში და განაცხადა, რომ სრული უფლება აქვს, გაშალოს აქ თავისი კარავი. უფლის მიერ დადგენილი წესით, ეგვიპტელთ მესამე თაობამდე ეკრძალებოდათ ისრაელიანთ შორის აღრევა და ამ კაცსაც არ ჰქონდა ამის უფლება. მასა და ერთ ისრაელიანს შორის კამათი გაჩაღდა და საქმე განსახილველად სასამართლოს წარუდგინეს, რომელმაც გაამტყუნა ეგვიპტელი.

სასტიკად განრისხდა ამის გამო იგი, დასწყევლა მსაჯულნი და აღშფოთებული ღმერთის სახელის ლანძღვას მოჰყვა. დაუყოვნებლივ მოსესთან მიიყვანეს იგი. არსებობდა მცნება: "ვინც დასწყევლის თავის მამას და დედას, სიკვდილით უნდა დაისაჯოს" /გამ. 21:17/, მაგრამ მსგავსი შემთხვევა მასში გათვალისწინებული არ იყო. დანაშაული იმდენად მძიმე იყო, რომ საჭირო გახდა უფლის უშუალო მითითების მიღება. დამნაშავე დაატყვევეს და დაელოდნენ, თუ რას იტყოდა უფალი. ღმერთმა თავად გამოაცხადა განაჩენი და მისი ბრძანებით, ღვთისმგმობელი ბანაკს გარეთ გაიყვანეს და ქვებით ჩაქოლეს. ამ დანაშაულის მოწმეებმა მას თავზე ხელი დაადეს, რაც საჯარო მოწმობა იყო იმისა, რომ ბრალდებული სამართლიანად ისჯება. შემდეგ მათ პირველებმა ესროლეს ქვა, მერე კი მოშორებით მდგომი ხალხი შეუერთდა მათ განაჩენის აღსასრულებლად.

ამის შემდეგ გამოცხადდა კანონი მსგავსი შემთხვევების აღსაკვეთად. "ყველა, ვინც თავის ღმერთს ლანძღავს, ცოდვას იდებს. უფლის სახელის მაგინებელი უნდა მოკვდეს, ქვებით უნდა ჩაქოლოს მთელმა საზოგადოებამ, მდგმური იქნება თუ მკვიდრი, უფლის სახელის შეგინებისათვის უნდა მოკვდეს" /ლევ. 24:15,16/.

არიან ადამიანები, რომელთაც ეჭვი ეპარებათ უფლის სიყვარულსა და სამართლიანობაში ასეთი სასტიკი

განაჩენისათვის იმ სიტყვების გამო, ადამიანმა რომ აღშფოთების დროს წარმოთქვა. მაგრამ ღვთიური სიყვარულიცა და სამართლიანობაც მოითხოვს, ვაღიაროთ, რომ ღმერთისადმი ავგულობით გამოწვეული გმობა მეტად მძიმე ცოდვაა. პირველი ღვთისმგმობელის ასეთი დასჯა გაფრთხილება უნდა ყოფილიყო სხვებისათვის, რომ ღვთის სახელი მოწიწებით უნდა წარმოითქვას. ეს შემთხვევა რომ დაუსჯელი დარჩენილიყო, მისი დამღუპველი ზეგავლენა მრავალი ადამიანის სიცოცხლეს შეიწირავდა.

ეგვიპტიდან ისრაელიანებთან ერთად გამოსული უცხოტომელნი ცდუნებისა და მწუხარების მუდმივ წყაროს წარმოადგენდნენ. ისინი აცხადებდნენ, რომ მიატოვეს თავიანთი კერპები და ერთადერთ ცოცხალ ღმერთს ემსახურებიან, მაგრამ ეგვიპტეში მიღებული აღზრდა და განათლება შემდგომშიც დიდ გავლენას ახდენდა მათი ხასიათისა და თვისებების ჩამოყალიბებაზე. წარმართულმა ტრადიციებმა მეტ-ნაკლებად გახრწნა ეს ადამიანები, ამიტომ უფლისადმი მოწიწებას ნაკლებად ავლენდნენ. უმეტეს შემთხვევაში ისინი გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას ღმერთის მიმართ და მთელს ბანაკში შფოთს თესავდნენ.

სულ მალე, უდაბნოში კვლავ დაბრუნების შემდგომ, დარღვეულ იქნა შაბათის სიწმიდე, თანაც ისეთ ვითარებაში, რომელიც კიდევ უფრო ამძიმებდა ამ ცოდვას. ღვთიურმა

გადაწყვეტილებამ ისრაელისათვის მემკვიდრეობის ჩამორთმევის შესახებ უდიდესი მღელვარება გამოიწვია ხალხში. ერთმა კაცმა, გამწყრალმა იმაზე, რომ ქანაანში შესვლა ვერ შეძლეს, აბუჩად აიგდო უფლის რჯული, სახალხოდ დაარღვია მეოთხე მცნება და შაბათ დღეს შეშის შესაგროვებლად გაემართა. უდაბნოში მოგზაურობისას ებრაელებს მკაცრად ეკრძალებოდათ მეშვიდე დღეს ცეცხლის დანთება. ეს აკრძალვა არ ვრცელდებოდა ქანაანის მიწაზე, რომლის მკაცრი ჰავა სრულიად საპირისპიროს მოითხოვდა, მაგრამ უდაბნოში ამის საჭიროება არ არსებობდა. ეს იყო მეოთხე მცნების შეგნებულად, განზრახ დარღვევა ამ ადამიანის მიერ - ცოდვა, რომელიც ჩადენილ იქნა არა უმეცრებით ან შემთხვევით, არამედ თვითდაჯერებულობით.

[408]

[409]

დანაშაულის ადგილზე დააკავეს კაცი და პირდაპირ მოსესთან მიიყვანეს. სულ ცოტა ადრე აცხადებდნენ, რომ მეოთხე მცნების ყოველგვარი დარღვევა სიკვდილით ისჯება. ჰკითხა რჩევა უფალს მოსემ, რომელმაც უპასუხა: "უნდა მოკვდეს ეს კაცი,

უნდა ჩაქოლოს იგი მთელმა საზოგადოებამ ბანაკის გარეთ" /რიცხ. 15:35/. ღვთისგმობამ და შაბათის თვითნებურმა დარღვევამ ერთი და იგივე სასჯელი გამოიწვია, ვინაიდან ღვთის ხელმწიფების ერთნაირი უგულებელყოფა იყო ორივე.

დღესაც ბევრი უარყოფს შაბათს, როგორც იუდეველთა წესს და ამტკიცებს, რომ, ამ დღის დაცვის აუცილებლობის შემთხვევაში, მისი დამრღვევი სიკვდილით უნდა დაისაჯოს. მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ ღვთის მგმობელი ისევე დაისაჯა, როგორც შაბათის დამრღვევი. აქედან გამომდინარე, განა შეგვიძლია ვთქვათ, რომ მესამე მცნებაც გაუქმებულია, რადგან მხოლოდ იუდეველთათვის იყო განკუთვნილი? განა სიკვდილით არ ისჯებოდა მესამე, მეხუთე და თითქმის ყველა მცნების, ისევე, როგორც მეოთხის, დამრღვევი? და თუმცა ღმერთი ამგვარად არ სჯის თავისი რჯულის დარღვევის ყველა შემთხვევას, მაგრამ წმიდა წერილი გასაგებად გვეუბნება, რომ "ცოდვის საზღაური სიკვდილია" და სამსჯავროს ბოლო დღეს ბევრისთვის ცხადი გახდება, რომ ღვთის წმიდა ნების დარღვევისათვის მრავალს წილად ხვდა სიკვდილი.

მთელი ორმოცი წლის განმავლობაში უდაბნოში ხეტიალისას ზეციდან სასწაულად მოსული მანანა ყოველთვის წმიდა შაბათისათვის მზადების აუცილებ -ლობას ახსენებდა იუდეველთ. თუმცა ამანაც ვერ მოარჯულა ისინი. მართალია, საჯაროდ ვერ ბედავდნენ ამ წმიდა დღის დარღვევას უცილობელი შურისგების შიშის გამო, მაგრამ გულგრილნი

იყვნენ ამ დღის მიმართ. ღმერთი ეზეკიელ წინასწარმეტყველის მეშვეობით ამბობს: ისრაელმა "შელახა მეტისმეტად ჩემი შაბათები" /ეზეკ. 20:13,24/. და ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი მრავალთაგან, რისთვისაც პირველი თაობა ვერ შევიდა აღთქმულ ქვეყანაში. მაგრამ მათმა შვილებმა ჭკუა მაინც ვერ ისწავლეს. ასევე უპატივცემულოდ ეპყრობოდნენ ისინი ამ დღეს მთელი ორმოცი წლის განმავლობაში და უფალმა, თუმცა დაუშვა მათი ქანაანში შესვლა, მაგრამ გაფანტა ისინი წარმართთა შორის.

კადეშიდან ისრაელიანნი კვლავ უდაბნოში დაბრუნდნენ, ხოლო როცა მათი მოგზაურობა დასრულდა, "მივიდნენ ისრაელიანები... ცინის უდაბნოში, პირველ თვეს, და დადგა ერი კადეშში" /რიცხ. 20:1/.

აქ მოკვდა მირიამი და აქვე დამარხეს. გზა მეწამული ზღვის ნაპირებიდან, სადაც სიხარულის საგალობლებითა და ცეკვით აღნიშნავდნენ ბედნიერი ისრაელიანები უფლის გამარჯვებას, უდაბნოს სასაფლაომდე, სადაც დასრულდა მათი მოგზაურობა და სიცოცხლე - აი, მილიონობით ადამიანთა ხვედრი, რომლებიც ასეთი ბედნიერი იმედებით გამოვიდნენ ეგვიპტიდან. ცოდვამ წაართვა მათ კურთხევათა თასი. მაგრამ იყო კი ყოველივე ეს სამაგალითო შემდგომი თაობებისათვის?

"მაინც შესცოდეს კიდევ და არ ირწმუნეს მისი სასწაულები... როცა ხოცავდა, მაშინ მოიძიებდნენ მას და ბრუნდებოდნენ და მიმართავდნენ ღმერთს. და იხსენიებდნენ, რომ ღმერთი მათი სიმაგრეა და უზენაესი ღმერთი მათი მხსნელია" /ფს. 77:32-35/. მაგრამ გულწრფელი არ იყო მათი უფალთან ურთიერთობა; თუმცა, მტრის გარემოცვაში მყოფნი, საშიშროების შემთხვევაში მაინც მიმართავდნენ ამ ერთადერთ მშველელს, მაგრამ "არ იყო მათი გული წრფელი მასთან და არც მის აღთქმას ერწმუნებოდნენ... ის, გულმოწყალე, შეუნდობს ცოდვას და არ აღაგზნებს მთელ თავის გულისწყრომას. გაიხსენებს, რომ ხორციელნი არიან ისინი, სული, რომელიც გარდავა და აღარ ბრუნდება" /ფს. 77:37-39/.

[410]

თავი 37 - გაპობილი კლდე

რიცხვნი 20:1-13

ხორების კლდიდან, მოსეს კვერთხით დარტყმის შემდეგ, პირველად წამოვიდა მაცოცხლებელი ნაკადი, რომელმაც წყურვილი მოუკლა ისრაელიანთ. უდაბნოში ხანგრძლივი

ხეტიალისას, როგორც კი მგზავრებს მოსწყურდებოდათ, მოსიყვარულე ღმერთი თავისი სასწაულებით აკმაყოფილებდა მათ სურვილს. ხორების კლდის წყარო მალე დაშრა; მაგრამ, ნებისმიერ ადგილას, კლდის ნაპრალთაგან მუდამ მოედინებოდა კამკამა წყალი და აცოცხლებდა დაუძლურებულ ხალხს.

ეს ქრისტეს სიტყვის ძალით ეძლეოდა ისრაელს მაცოცხლებელი ნაკადი. "და ყველანი სვამდნენ ერთსა და იმავე სულიერ სასმელს, ვინაიდან სვამდნენ სულიერი კლდიდან, რომელიც თან დაჰყვებოდა მათ; ხოლო ის კლდე იყო ქრისტე" /1 კორ. 10:4/. სწორედ ის იყო მატერიალურ თუ სულიერ კურთხევათა წყარო. ქრისტე - ჭეშმარიტი კლდე - მუდამ მათ გვერდით იყო უდაბნოში მოგზაურობისას. "არ მოსწყურებიათ უდაბნოებში, სადაც დაჰყავდა; კლდიდან უდინა მათ წყალი, კლდე გააპო და იჩქეფა წყალმა"; "გაკვეთა კლდე და გადმოდინდა წყალი, წავიდა უდაბნოში მდინარედ" /ეს. 48:21; ფს. 104:41/.

კლდე, საიდანაც წყალმა იჩქეფა, არის სიმბოლო ქრისტესი, რომელიც ყველაზე ღრმა სულიერ ჭეშმარიტებათა წყაროს წარმოადგენს. წყლის მაცოცხლებელი ნაკადის მსგავსად, ქრისტე, "ღვთისაგან... ნაცემ-ნაგვემი", "ჩვენი ცოდვებისათვის იყო დაჭრილი, ჩვენი უკეთურობებისათვის დალეწილი" /ეს. 53:4,5/ და ხსნის წყაროდ მოევლინა დაცემულ კაცობრიობას. კლდეზე მხოლოდ ერთხელ დარტყმასავით, ქრისტემაც "ერთხელ შესწირა თავი, რომ აღეხოცა მრავალთა ცოდვა" /ებრ. 9:28/. მაცხოვრის სიცოცხლის მეორედ შეწირვა არაა საჭირო მისი მადლისა და კურთხევის მძებნელთათვის. საკმარისია

მონანიებითა და მორჩილი სულით ითხოვონ იგი იესოს სახელით. ასეთი ლოცვა ღმერთს წარუდგენს იესოს ჭრილობებს და მაშინ გადმოდინდება მისი მაცოცხლებელი სისხლის ნაკადი, განსახიერებული ისრაელისათვის მიცემული წყლის წყაროში.

დიდი სიხარულით იხსენებდნენ ისრაელიანნი ქანაანში დასახლების შემდგომ ამ მომენტს, როცა უდაბნოში მოგზაურობისას კლდიდან გადმოდენილი წყლით იკლავდნენ წყურვილს. ქრისტეს დღეებში ეს დღესასწაული მეტად შთამბეჭდავ რიტუალად იქცა. მას, ჩვეულებისამებრ, კარვობის დღესასწაულზე აღნიშნავდნენ, როცა ქვეყნის ყოველი მხრიდან უამრავი ხალხი მოდიოდა იერუსალიმში. ზეიმის მეშვიდე დღეს მგალობელ ლევიანთა თანხლებით მღვდელმსახურნი შილოახის აუზისაკენ მიემართებოდნენ და მისი წყლით ოქროს ჭურჭელს ავსებდნენ. უამრავი ხალხი მიჰყვებოდათ უკან და ვინც წყაროს მიაღწევდა, სიხარულით სვამდა, საზეიმო საგალობელი კი აუწყებდა: "სიხარულით ამოხაპავთ წყალს ხსნის წყაროებიდან" /ეს. 12:3/. შემდეგ კი მღვდლები წყლით სავსე ოქროს ჭურჭლით ხელში ტაძრისკენ მიემართებოდნენ, გაისმოდა საყვირის ხმა და საზეიმო ჰიმნის სიტყვები: "იდგნენ ფეხნი ჩვენნი შენს კარიბჭეებში, იერუსალიმო" /ფს. 121:2/. წყალს ყოვლადდასაწველის სამსხვერპლოზე ღვრიდნენ და გაისმოდა ირგვლივ სახოტბო საგალობლები, ადამიანთა ხმებთან, მუსიკალურ ინსტრუმენტებთან და საყვირის დაბალ ხმებთან ჰარმონიულად შერწყმული საზეიმო აკორდები.

მაცხოვარმა ეს სიმბოლური მსახურება გამოიყენა, რათა ხალხის ყურადღება იმ კურთხევისაკენ წარემართა, რომლის გასაცემადაც იგი დედამიწაზე მოვიდა.

[411]

[412]

"დღესასწაულის უკანასკნელ დიდ დღეს ადგა იესო, შესძახა და თქვა: თუ ვინმეს სწყურია, მოვიდეს ჩემთან და შესვას. ვისაც ჩემი სწამს, მოვიდეს ჩემთან და შესვას; ვისაც ჩემი სწამს, როგორც წერილი ამბობს, მისი მუცლიდან იდინებენ ცოცხალი წყლის მდინარეები". "ეს მან იმ სულზე თქვა, - ამბობს იოანე, - მის მორწმუნეებს რომ უნდა მიეღოთ" /იოან. 7:37-39/. წყალი, რომელსაც უდაბური, გამშრალი უდაბნოს ბაღნარად გადაქცევა ძალუძს და დაღუპულთ აცოცხლებს, სიმბოლოა ღვთიური მადლისა, რომლის მოცემაც მხოლოდ ქრისტეს შეუძლია და რომელიც ადამიანის სულის განმწმედი და განმაახლებელი ცოცხალი წყალია. ადამიანში, ვისშიც ქრისტე სუფევს, არის დაუშრობელი წყარო მისი მადლისა და ძალისა. იესო ამხნევებს და ცხოვრების გზას უნათებს ყოველს, ვინც გულწრფელად ეძებს მას. გულში შეღწეული მისი სიყვარული კეთილ საქმეებში

ვლინდება და საუკუნო სიცოცხლის საწინდარია. და კურთხევაა იგი არა მხოლოდ ამ წყაროს მფლობელისათვის, არამედ, მართალ სიტყვებსა და საქმეებში გამოვლენილი ეს ცოცხალი წყალი, ააღორძინებს ყველა მწყურვალს თავის გარშემო.

იგივე სიმბოლო გამოიყენა მაცხოვარმა სამარიელ ქალთან საუბარში იაკობის ჭასთან. "ხოლო ვინც დალევს წყლიდან, რომელსაც მე მივცემ მას, საუკუნოდ არ მოსწყურდება; რადგან წყალი, რომელსაც მე მივცემ, მასში გადაიქცევა წყლის წყაროდ, რომელიც საუკუნო სიცოცხლედ იდინებს" /იოან. 4:14/. ქრისტეში შერწყმულია ორი სიმბოლო: კლდეა იგი და, ამავე დროს, სიცოცხლის წყარო.

ბიბლიაში თითქმის ყველგან ვპოულობთ ამ მშვენიერ, დიდმნიშვნელოვან სიმბოლოებს. დედამიწაზე ქრისტეს მოსვლამდე მრავალი საუკუნით ადრე მოსე მიუთითებდა მასზე, როგორც ისრაელის ხსნის კლდეზე /იხ. რჯლ. 32:15/. თავის სახოტბო ფსალმუნებში ავტორი ასე მიმართავს მას: "კლდევ და სიმაგრევ ჩემო და მხსნელო ჩემო", "ჩემი ბურჯი", "ჩემი მფარველი", "ჩემი სიმაგრე", "ჩემი გულის სიმაგრე", "ჩემი თავშესაფრის კლდე". დავითის ფსალმუნებში უფლის მადლი წარმოსახულია "წყნარ წყლებად" ხასხასა მოლზე, სადაც ზეციური მწყემსი თავის ფარას მიუძღვის. "შენთა სიტკბოთა ხევიდან შეასმევ მათ, რადგან შენთან არის წყარო სიცოცხლისა" /ფს. 17:3; 61:7; 60:4; 70:3; 72:26; 93:22; 22:2; 35:9-10/. სოლომონ ბრძენი ამბობს: "სიბრძნის სათავე - მოჩუხჩუხე ნაკადულია"

/იგავ. 18:4/. იერემიასთვის ქრისტე - "ცოცხალი წყაროსთვალია", ზაქარიასთვის კი - "წყარო... ცოდვისა და უწმიდურების წარსახოცად" /იერ. 2:13; ზაქ. 13:1/.

ესაია წინასწარმეტყველი "საუკუნო კლდეს" და „ურწყულ მიწაზე მაღალი კლდისაგან დაფენილ ჩრდილს" უწოდებს მას /ეს. 26:4; 32:2/. იგი გადმოგვცემს ძვირფას აღთქმას, რომელიც საუცხოოდ წარმოსახავს ისრაელისათვის მომდინარე სიცოცხლის წყლის ნაკადს: "ჩაგრულნი და უპოვარნი წყალს ეძებენ, მაგრამ არ არის; ენა გამშრალი აქვთ წყურვილისაგან. მე, უფალი, შევეხმიანები, ისრაელის ღმერთი მათ არ მივატოვებ". "წყალს მივუღვრი ურწყულს და ნაკადულებს - გამომშრალ მიწას", „რადგან ამოხეთქავს უდაბნოში წყალი და ტრამალზე - ნიაღვრები". ყველასთვის ისმის მოწოდება: "მწყურვალნო! ყველანი წყალთან მიდით" /ეს. 41:17; 44:3; 35:6; 55:1/. წმიდა წერილის ბოლო ფურცლებზეც იგივე მოწოდება ისმის. "სიცოცხლის წყლის მდინარე, ბროლივით კრიალა", "ღვთისა და კრავის ტახტიდან" მოედინება და საუკუნეებს გასდევს მადლის მოწოდება: "მწყურვალი მოვიდეს და მსურველმა უსასყიდლოდ აიღოს სიცოცხლის წყალი" /გამოცხ. 22:1,17/.

სწორედ კადეშის საზღვრებთან დაშრა სიცოცხლის წყარო, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში მათი ბანაკის სიახლოვეს მოჩქეფდა. უფალმა კვლავ

[413]

გადაწყვიტა თავისი ხალხის გამოცდა. მიენდობიან მას თუ, წინაპართა მსგავსად, უნდობლობას გამოუცხადებენ?

შორს, ჰორიზონტზე, უკვე გამოჩნდა ქანაანის მთები. სულ რამოდენიმე დღეც და მიაღწევენ კიდეც აღთქმული მიწის საზღვრებს. გამოჩნდა ედომიც, ესავის შთამომავალთა კუთვნილი მიწა, რომლის გავლითაც ებრაელები ქანაანში უნდა შესულიყვნენ. ებრძანა მოსეს: "ჩრდილოეთისაკენ გაბრუნდით. ასე დაარიგე ხალხი: ახლა თქვენი ნათესავების, ესავიანთა, სეყირის მკვიდრთა საზღვარზე მოგიწევთ გავლა. მათ შეეშინდებათ თქვენი... საჭმელი შეიძინეთ მათგან ვერცხლით და ჭამეთ, წყალიც იყიდეთ მათგან ვერცხლით და სვით" /რჯლ. 2:3-6/. ასე აუწყათ მათ, რომ წყაროს წყალი აღარ ექნებოდათ. ისრაელიანთ უნდა გაევლოთ მდიდარი ქვეყანა, რომელსაც სასმელი წყალიც უხვად ჰქონდა. უფალმა აღუთქვა, რომ დაუბრკოლებლად გაივლიან ედომს, სადაც საკვებისა და წყლის ყიდვას შეძლებენ. დამშრალი წყაროები, აქამდე რომ უფლის სასწაულებით აწვდიდა მათ დასალევ წყალს, იმას ნიშნავდა, რომ წინ უდიდესი სიხარული ელით ისრაელიანთ: მათი უდაბნოში ხეტიალი მალე დასრულდება. ურწმუნოება რომ არა, რომელმაც ასე დააბრმავა ისინი, მიხვდებოდნენ ამას. მაგრამ უფლის აღთქმის ასრულების სწორედ ეს მტკიცება გახდა მათი

საყვედურებისა და უკმაყოფილების საბაბი. ხალხს, ეტყობა, საბოლოოდ გაუცრუვდა იმის იმედი, რომ უფალი მისცემს მათ ქანაანს და ხმამაღლა მოითხოვა კურთხევა, რომელიც უხვად ჰქონდა უდაბნოში.

სანამ უფალი საბოლოოდ დაუმკვიდრებდა აღთქმულ მიწას, ისრაელიანთ მისი აღთქმისადმი მტკიცე რწმენა უნდა გამოევლინათ. წყაროები მანამდე დაშრა, სანამ ისინი ედომის საზღვრებს მიაღწევდნენ. აქ მათ შესაძლებლობა მიეცათ, თუნდაც მცირე ხნით ეცხოვრათ რწმენით ღვთის ხილული დახმარების გარეშე. მაგრამ პირველი გამოცდისთანავე ისეთივე ამბოხებისა და უმადურობის სული გამოავლინეს, როგორიც - მათმა მამებმა. როგორც კი ბანაკში ხმა გავარდა, რომ წყალი არ არის, რჩეულმა ერმა მაშინვე დაივიწყა შემოქმედი, რომელიც ამდენი წლის განმავლობაში მათ ყოველ საჭიროებას აკმაყოფილებდა და იმის ნაცვლად, რომ კვლავ ზეციერი მამისთვის მიემართათ, ჩივილი დაიწყეს და საყვედურები გამოთქვეს: "ნეტავ ჩვენს ძმებთან ერთად დავხოცილიყავით უფლის წინაშე!" /რიცხ. 20:1-3/, რაც იმას ნიშნავდა, რომ კორახის ამბოხების დროს დაღუპულთა ხვედრის გაზიარება სურდათ.

კვლავ აღშფოთდნენ მოსესა და აარონის წინააღმდეგ: "რისთვის მოგვიყვანე უფლის კრებული ამ უდაბნოში, ჩვენი და ჩვენი საქონლის გასაწყვეტად? რისთვის ამოგვიყვანეთ ეგვიპტიდან ამ

უბედურ არემარეში, სადაც არ არის თესლის ადგილი, არც ლეღვი, არც ყურძენი, არც ბროწეული და არც სასმელი წყალია?"

მივიდნენ მოსე და აარონი კარვის შესასვლელთან და პირქვე დაემხნენ. კვლავ გამოჩნდა უფლის დიდება და მოსეს უბრძანა: "აიღე კვერთხი და შეჰყარეთ საზოგადოება შენ და შენმა ძმამ, აარონმა. დაელაპარაკეთ მათ თვალწინ კლდეს და მოგცემთ იგი წყალს. ამოუჩქეფებ მათ წყალს კლდიდან და დაარწყულებ მთელს საზოგადოებას მათი საქონელითურთ".

გამოვიდნენ ძმები ხალხის წინაშე. ღვთის კვერთხი ეჭირა მოსეს ხელში. ხანდაზმულნი იყვნენ უკვე მოსე და აარონი. დიდხანს მოთმინებით იტანდნენ ისინი ისრაელის სიჯიუტესა და ურჩობას, მაგრამ ახლა მოსემაც დაკარგა მოთმინება: "ყური მიგდეთ, ურჩებო, - შესძახა მან, - ამ კლდიდან ხომ არ ამოგიჩქეფოთ წყალი?" და იმის ნაცვლად, რომ უფლის ბრძანებისამებ მხოლოდ დალაპარაკებოდა კლდეს, "ორგზის დაჰკრა კლდეს კვერთხი".

"უხვად იდინა წყალმა" კლდიდან. მაგრამ დაშვებულ იქნა უხეში შეცდომა:

[414]

[417]

გაბრაზებული მოსეს სიტყვებში უფრო ადამიანური აღშფოთება გამოჩნდა, ვიდრე წმიდა წყრომა უფლისადმი მიყენებული შეურაცხყოფის გამო. "ყური მიგდეთ, ურჩებო!" - თქვა მან. ბრალდება სამართლიანი იყო, მაგრამ თვით ჭეშმარიტებაც კი არ უნდა წარმოითქვას რისხვით ან გაბრაზებით. როცა უფალმა მოსეს უბრძანა გამოეცხადებინა ისრაელისათვის, რომ მას სასჯელი ელის ამბოხებისათვის, მოსეს დიდად გაუჭირდა ამ მძიმე განაჩენის ხალხისთვის თქმა, მაგრამ უფალმა მისცა ძალა მისი ნების გამოსაცხადებლად. ახლა კი, როცა მოსემ თავად წაუყენა მათ ბრალდება, წმიდა სული გაანაწყენა და მხოლოდ ვნება მოუტანა ხალხს. ცხადი იყო, რომ თავშეკავება და მოთმინება დაკარგა წინამძღოლმა, რითაც ეჭვის მიზეზი გაუღრმავა ხალხს: ნამდვილად ხელმძღვანელობდა კი მას უფალი? გაჩნდა საკუთარი ცოდვების გამართლების ცდუნება. მოსემ, მათ მსგავსად, შეურაცხყო ღმერთი; მისი საქციელი, ამბობდნენ, თავიდანვე არ იმსახურებდა ნდობას და გაკიცხვის ღირსი იყო. ახლა კი, იპოვეს საბაბი, რომელსაც დიდხანს ეძებდნენ, რათა არ მიეღოთ მხილება უფლისაგან, ღმერთი რომ მოსეს მეშვეობით უცხადებდა მათ.

ურწმუნოება გამოიჩინა მოსემ ღვთის მიმართ. "ამ კლდიდან ხომ არ ამოგიჩქეფოთ წყალი?" - იკითხა მან, თითქოსდა უფალი

თავის ნათქვამს არ შეასრულებდა. თქვენ "არ მერწმუნეთ და წმიდად არ გამომაჩინეთ ისრაელიანთა თვალში", - უთხრა უფალმა ძმებს. უწყლობის გამო ხალხის უკმაყოფილებამ და აღშფოთებამ შეასუსტა მათი რწმენა უფლის აღთქმის აღსრულების მიმართ. ურწმუნოება იყო მათ წინაპართა უდაბნოში დაღუპვის მიზეზი და ახლაც იგივე სული გამოვლინდა მათ შვილებში. ნუთუ ისინიც ვერ მიიღებენ აღთქმულს? მოსე და აარონი, დაღლილნი და დამწუხრებულნი, აღარ ცდილობდნენ ხალხის ვნებათაღელვის შეკავებას. ღვთისადმი ურყევი რწმენის გამოვლენის შემთხვევაში, შეძლებდნენ ადამიანთა შთაგონებას, რათა მოეკრიბათ მთელი თავისი ძალები და ამ გამოცდისთვისაც გაეძლოთ. მიცემული ხელმწიფების მტკიცე და სწრაფი გამოყენება დაამშვიდებდა უკმაყოფილოთ. ეს მათი პირდაპირი მოვალეობა იყო. ყველა ღონე უნდა ეხმარათ ადამიანთა გამხნევებისათვის მანამ, სანამ ღმერთს შესთხოვდნენ ამის გაკეთებას. რაოდენ დიდი უბედურების თავიდან აცილება შეეძლოთ კადეშში, ხალხის უკმაყოფილება დროზე რომ ჩაექროთ!

მოსეს ამ წინდაუხედავმა ნაბიჯმა გააუფასურა უფლის მიერ ისრაელისათვის განკუთვნილი გაკვეთილი. კლდე ქრისტეს სიმბოლო იყო და, როგორც ქრისტე მხოლოდ ერთხელ უნდა შეწირულიყო, ასევე ერთხელ უკვე დაჰკრა მოსემ კლდეს კვერთხი. მეორედ კი საჭირო იყო, მხოლოდ მიემართა კლდისთვის, ისევე, როგორც ჩვენ უნდა ვითხოვოთ კურთხევა

იესოს სახელით. კლდეზე მეორედ დარტყმით კი ამ დიდებული სიმბოლოს მნიშვნელობა გაცამტვერდა.

უფრო მეტიც, მოსემ და აარონმა მიითვისეს ძალა, რომელიც მხოლოდ ღმერთს ეკუთვნოდა. ღვთიური ჩარევის აუცილებლობა განსაკუთრებულ მიმზიდველობას და საზეიმო სახეს ანიჭებდა ამ ვითარებას და ისრაელის წინამძღოლებს უნდა გამოეყენებინათ ეს იმისათვის, რომ ღვთისადმი უფრო მეტი მოწიწება აღეძრათ ხალხის გულში, რაც ხელს შეუწყობდა უფლის ძლიერებისა და მოწყალებისადმი მათი რწმენის განმტკიცებას. რისხვით წარმოთქმული სიტყვებით: "ამ კლდიდან ხომ არ ამოგიჩქეფოთ წყალი?", მათ მიითვისეს ღმერთის ძალა, თითქოსდა მათ სუსტ, ხრწნად სხეულში მართლაც ყოფილიყოს იგი. ხალხის მუდმივი საყვედურებითა და უმადურობით დაღლილმა მოსემ თვალთახედვის არიდან დაკარგა ყოვლისშემძლე ღმერთი და ღვთის ძალისგან მიტოვებულმა, ადამიანური სისუსტის გამოვლენით საკუთარი ღირსება შელახა. ადამიანი, რომელსაც ბოლომდე შეეძლო, შეენარჩუნებინა სიწმიდე,

[418]

სიმტკიცე და გულწრფელობა, თავისი მსახურების დასასრულს დამარცხებული აღმოჩნდა. განდიდებისა და აღზევების ნაცვლად ხალხის თვალში უფალი შეურაცხყოფილი დარჩა.

ამ შემთხვევაში უფალმა არ გაკიცხა ის ხალხი, ვისმა უღირსმა საქციელმაც გადაადგმევინა მოსესა და აარონს ეს არასწორი ნაბიჯი. რისხვა მხოლოდ მათ წინამძღვრებს დაატყდათ თავს. ხალხში მყოფმა ღმერთის წარმომადგენლებმა არ განადიდეს იგი. მოსემ და აარონმა შეურაცხყოფილად იგრძნეს თავი და სრულად გადაავიწყდათ, რომ ხალხი ღმერთს ეწინააღმდეგებოდა და არა მათ. მხოლოდ იმის გამო შესცოდეს მათ უნებლიედ და არ ამხილეს ხალხი ღმერთის წინაშე დანაშაულისათვის, რომ იმ წუთებში მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობდნენ და საკუთარ გრძნობებს ემორჩილებოდნენ.

მეტად მწარე და დამამცირებელი იყო მათ მიმართ უფლის მიერ წარმოთქმული განაჩენი: "უთხრა უფალმა მოსეს და აარონს: იმის გამო, რომ არ მერწმუნეთ და წმიდად არ გამომაჩინეთ ისრაელიანთა თვალში, ვერ შეიყვანთ ამ კრებულს იმ ქვეყნად, რომელიც მათთვის მაქვს მიცემული". ვეღარ გადავიდოდნენ ისინი იორდანეს გაღმა, რადგან ამბოხებულ ისრაელთან ერთად უნდა დახოცილიყვნენ მის საზღვრებთან. მოსეს და აარონს რომ თვითგანდიდებისათვის ეღვაწათ ან გულის სიღრმეში რაიმე ხინჯი ან უკმაყოფილება გასჩენოდათ ღვთიური გაფრთხილებისა და მხილების წინააღმდეგ, მათი დანაშაული უფრო დამძიმდებოდა. მაგრამ მათ ეს შეუგნებლად ჩაიდინეს;

უეცრად ცდუნდნენ და მაშინვე გულწრფელად მოინანიეს. ღმერთმა მიიღო მათი მონანიება, თუმცა, ხალხზე მათი ცოდვის დამღუპველი ზეგავლენის გამო, მაინც დასაჯა.

მოსეს არ დაუმალავს ეს განაჩენი, არამედ ხალხის წინაშე აღიარა, რომ სათანადოდ ვერ განადიდა უფლის სახელი და ვეღარ გაუძღვება ისრაელს აღთქმული ქვეყნისაკენ. სთხოვა ისრაელიანთ, ყურად ეღოთ მისი სასჯელის სიმკაცრე და ეფიქრათ, თუ როგორ უპასუხებდა ღმერთი მათ უმადურობას და იმას, რომ უბრალო ადამიანს გადააბრალეს ის სამსჯავრო, რომელიც საკუთარი ცოდვებით დაიტეხეს თავს. ისიც უთხრა მოსემ ხალხს, თუ როგორ ევედრებოდა ღმერთს, შეეცვალა თავისი გადაწყვეტილება, მაგრამ უარი მიიღო. "განმირისხდა უფალი თქვენს გამო, - თქვა მან, - და არ მისმინა" /რჯლ. 3:26/.

ყოველი განსაცდელისა და სიძნელის ჟამს ისრაელიანნი მუდამ მოსეს ადანაშაულებდნენ იმაში, რომ მან გამოიყვანა ისინი ეგვიპტიდან, თითქოს ღმერთს არაფერი გაეკეთებინოს მათთვის. მთელი მათი ხანგრძლივი მოგზაურობისას, როცა ისინი თავიანთ წინამძღოლთა მისამართით ბუზღუნებდნენ, მოსე უცხადებდა: "თქვენი უმადურობა უფლის წინააღმდეგაა მიმართული. მე კი არა, ღმერთი შრომობს თქვენში". მაგრამ კლდესთან დაუფიქრებლად წარმოთქმული სიტყვები: "ამ კლდიდან ხომ არ ამოგიჩქეფოთ წყალი?" იმაზე მეტყველებდა, რომ ის იზიარებს მათ ბრალდებას და ამართლებს მათ

ურწმუნოებას და უკმაყოფილებას. უფალს სურდა, სამუდამოდ აღმოეფხვრა ეს მცდარი აზრი და არ მისცა მოსეს აღთქმულ ქვეყანაში შესვლის უფლება. ეს კი უდავო მტკიცება იყო იმისა, რომ მათი წინამძღოლი მოსე კი არა, უძლიერესი ანგელოზი იყო, რომელზედაც უფალმა თქვა: "აჰა, წაგიმძღვარებ ანგელოზს, რომ გიფარავდეს გზაში და მიგიყვანოს იმ ადგილას, რომელიც შენთვის გავამზადე. უფრთხილდი, ისმინე მისი სიტყვა... რადგან მასშია ჩემი სახელი" /გამ. 23:20,21/.

"განმირისხდა უფალი თქვენს გამო", - თქვა მოსემ. მთელი ისრაელის ყურადღება მოსესკენ იყო მიპყრობილი და მისი ცოდვა ჩრდილს აყენებდა

[419]

[420]

უზენაესს, რომელმაც ხალხის წინამძღოლად დაადგინა იგი. მთელმა საკრებულომ იცოდა ამ დანაშაულის შესახებ და მისი დაუსჯელობა შექმნიდა შთაბეჭდილებას, თითქოს ურწმუნოება და გულფიცხობა /თუნდაც პროვოცირებული/ ეპატიება მათ, ვისაც პასუხისმგებლობა აკისრია. მაგრამ, როცა ცნობილი გახდა,

რომ ერთი და იგივე ცოდვის გამო აარონი და მოსე აღთქმულ ქვეყანაში ვერ შევიდოდნენ, ხალხი მიხვდა, რომ ღმერთი მიუკერძოებელია და აუცილებლად მიუზღავს დამნაშავეს.

მომავალი თაობებისათვის გაკვეთილად და გაფრთხილებად უნდა ჩაწერილიყო წმიდა წერილში ძველი ისრაელის ისტორია. ყოველი საუკუნის ადამიანებს მომავალში უნდა სცოდნოდათ, რომ მიუკერძოებელი ზეციერი მბრძანებელი არც ერთ შემთხვევაში არ გაამართლებს ცოდვას. მაგრამ ბევრს არ ესმის, თუ რა დამღუპველია ცოდვა. ხშირად თავს იტყუებენ ადამიანები, როცა ფიქრობენ, რომ უფალი არ დასჯის ცოდვილს, რადგან კეთილია იგი. მაგრამ წმიდა წერილის ისტორიების შუქში აშკარად ჩანს, რომ სწორედ მისი დიდმოწყალებისა და სიყვარულის გამო სჯის იგი ცოდვას, როგორც ბოროტებას, რომელიც საბედისწერო გავლენას ახდენს სამყაროს მშვიდობასა და ბედნიერებაზე.

ვერც თავისი პატიოსნებით და ვერც ერთგულებით ვერ აიცილა მოსემ თავიდან დანაშაულისათვის სასჯელი. მრავალჯერ უპატიებია ღმერთს უფრო დიდი ცოდვა თავისი ხალხისათვის, მაგრამ წინამძღოლთა დანაშაულს ვერ გაათანაბრებდა შემოქმედი იმ ხალხის დანაშაულთან, რომელთაც ხელმძღვანელებად დაუდგინა ისინი. ღმერთმა აღამაღლა მოსე ყველა ადამიანზე მეტად დედამიწაზე: გამოუცხადა თავისი დიდება და თავისი რჯული გადასცა ხალხს მისი მეშვეობით. და სწორედ იმ ვითარებამ, რომ ასეთი დიდი, ნათელი შემეცნებით

დააჯილდოვა იგი ღმერთმა, უფრო დაამძიმა მისი დანაშაული. წინანდელმა ერთგულებამ ვერ გააბათილა ერთადერთი შეცდომა. რაც უფრო მეტი ნათელი და უპირატესობა ეძლევა ადამიანს, მით უფრო დიდია მისი პასუხისმგებლობა და უფრო მძიმე - მისი დანაშაული და სასჯელი.

ადამიანური თვალსაზრისით, არცთუ ისე დიდია მოსეს დანაშაული. უბრალო, ჩვეულებრივი იყო მისი ცოდვა. მეფსალმუნე ამბობს: "სული გაუმწარეს და გამოთქვა თავისი ბაგეებით" /ფს. 105:33/. ადამიანის აზრით, ეს არცთუ ისე სერიოზული დანაშაულია, მაგრამ თუკი ასეთი ცოდვის გამო ასე სასტიკად დასაჯა უფალმა თავისი ერთგული და აღზევებული მსახური, სხვასაც არ აპატიებს მსგავს საქციელს. ქედმაღლობის, თვითგანდიდებისა და მოყვასის განკითხვის სულს არ იწონებს ღმერთი ადამიანში. ამ თვისებათა მქონე ადამიანი ეჭვის ქვეშ აყენებს ღმერთის მოქმედებას და თავისი ურწმუნოების გამართლების საშუალებას აძლევს ურწმუნოს. რაც უფრო განდიდებულია ადამიანი ღვთის მიერ, რაც უფრო დიდია მისი ზეგავლენა, მით უფრო სჭირდება მას მოთმინება და მორჩილება.

სატანა ზეიმობს, როცა ხედავს, რომ ღვთის შვილნი, განსაკუთრებით კი ისინი, ვისაც უფრო მეტი პასუხისმგებლობა აკისრიათ, ითვისებენ უფლის კუთვნილ დიდებას. ეს მისი გამარჯვებაა. სწორედ ამან დაღუპა ლუციფერი. და ეს მისი

საუკეთესო მეთოდია სხვების დასაღუპავად. ჩვენც ძალზე ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ არ ვცდუნდეთ, ვინაიდან თავის წერილებში ღმერთი ძალზე ხშირად გვაფრთხილებს თვითგანდიდების საფრთხის შესახებ. ყოველი ჩვენი სურვილი, ნიჭი და გულისთქმა ყოველ წუთს ღვთის სულის ზეგავლენის ქვეშ უნდა იმყოფებოდეს. არ არსებობს არც ერთი კურთხევა, ღვთისგან მიცემული და არც ერთი გამოცდა, მის მიერ დაშვებული, რომელთა გამოყენებასაც სატანა არ ცდილობდეს ადამიანის სულის საცდუნებლად და დასაღუპავად, თუკი ამის რაიმე საბაბს მივცემთ. და რა დიდი კურთხევა,

[421]

ღვთიური წყალობა და ღრმა სულიერი ნათელიც არ უნდა მიეცეს ადამიანს, ყოველთვის თავმდაბლობა უნდა გამოიჩინოს უზენაესის წინაშე და რწმენით უნდა სთხოვოს მას, განწმიდოს ყოველი მისი აზრი და მის ყოველ ნაბიჯს უხელმძღვანელოს.

ის, ვინც თავის თავზე ამბობს, რომ ღვთისმოსავია, ყველაზე წმიდა პასუხისმგებლობას იღებს საკუთარ თავზე: ნებისმიერ ვითარებაში, მაშინაც კი, როდესაც დიდადაა გაღიზიანებული, უნდა შეინარჩუნოს მოთმინება, თავი შეიკავოს და ყოველი ქმედება გააკონტროლოს. მეტად მძიმე იყო ტვირთი, მოსეს რომ

დაეკისრა. არცთუ ისე ბევრი გამოიცადა ასე სასტიკად, მაგრამ ამის გამო მისი ცოდვის გამართლება შეუძლებელი იყო. ღმერთმა ყველაფერი გააკეთა თავისი ხალხისათვის და თუკი იგი მის ძალას დაეყრდნობა, მუდამ სიმტკიცეს შეინარჩუნებს. ყველაზე ძლიერ ცდუნებასაც კი არ ძალუძს ცოდვის გამართლება. როგორი დამძიმებულიც არ უნდა იყოს ჩვენი სული, ცოდვის ჩადენაში პირადად ჩვენ მიგვიძღვის ბრალი. მიწიერი, ბოროტი ძალები ადამიანს ბოროტების ჩადენას ვერ აიძულებს. სატანა ცდილობს, იერიში მიიტანოს ჩვენს სუსტ მხარეებზე, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია, გავიმარჯვოთ. ცდუნება, შესაძლოა, მოულოდნელი და ძლიერი აღმოჩნდეს, მაგრამ უფალს ჩვენს დასახმარებლად ყველა საშუალება გააჩნია და მისი ძლიერებით ჩვენ გავიმარჯვებთ.

თავი 38 - მოგზაურობა ედომის გარშემო

რიცხვნი 20:14-29; 21:1-9

კადეში, სადაც ისრაელიანნი დაბანაკდნენ, ძლიერ ახლოს იყო ედომის საზღვრებთან და მოსეს, ისევე როგორც მთელ ხალხს, გულით სურდა, ამ ქვეყანაზე გავლით სწრაფად შესულიყო

აღთქმულ მიწაზე. და საკითხის მოსაგვარებლად, უფლის ბრძანებით, ებრაელებმა მაცნეები გაუგზავნეს ედომის მეფეს.

„ასე ამბობს შენი ძმა ისრაელი: შენ იცი ყველა უბედურება, რაც შემემთხვა. ჩავიდა ჩვენი მამა-პაპა ეგვიპტეს და ვცხოვრობდით ეგვიპტეში მრავალი ხანი. ცუდად გვექცეოდნენ ეგვიპტელები ჩვენ და ჩვენს მამა-პაპას. შევღაღადეთ უფალს და მან ისმინა ჩვენი ხმა, გამოგვიგზავნა ანგელოზი და გამოგვიყვანა ეგვიპტიდან და, აჰა, კადეშში ვართ, შენს მოსაზღვრე ქალაქში. გაგვატარე შენს ქვეყანაზე: არ გადავუვლით შენს ყანებს და ვენახებს, არ დავლევთ შენი ჭის წყალს; სამეფო გზით ვივლით, არც მარჯვნივ გავუხვევთ, არც მარცხნივ, ვიდრე შენს საზღვარს არ გავსცდებით" /რიცხ. 20:14-17/.

მუქარით სავსე პასუხი მიიღეს ისრაელიანებმა ამ თავაზიან თხოვნაზე: „არ გაიარო ჩემზე, თორემ მახვილით დაგხვდები".

უარის მიღებით განცვიფრებულმა წინამძღოლებმა მეორედ მიმართეს მეფეს და აღუთქვეს: „მთავარი გზით წამოვალთ. თუ შენს წყალს დავლევთ მე და ჩემი საქონელი, საზღაურს გადაგიხდი. ეს იქნება და ეს, ჩემი ფეხით გავივლი".

„ვერ გაივლი", - იყო პასუხი. ყველაზე ძნელ გზებზე შეიარაღებული რაზმები დააყენეს ედომელებმა. ასე რომ, ისრაელიანთა მშვიდობიან გავლაზე ფიქრიც კი შეუძლებელი იყო, ძალის გამოყენება კი აკრძალული ჰქონდა ისრაელს. და

იძულებული გახდნენ ებრაელები, ედომის ქვეყნის გარშემოვლით განეგრძოთ გზა აღთქმული ქვეყნისაკენ.

ებრაელ ხალხს რომ გამოცდის ჟამს ერწმუნა უფლისა, ზეციური მხედრობის თავი გაატარებდა მას ედომის მიწაზე. დიდად შეშინდებოდნენ ამ ქვეყნის მკვიდრნი და მტრულად კი არა, მეგობრულად შეხვდებოდნენ. მაგრამ მაშინვე არ უსმინეს ისრაელიანებმა უფლის ხმას და, სანამ ისინი ბუზღუნებდნენ და უკმაყოფილებას ანთხევდნენ, ხელიდან გაუშვეს ეს ძვირფასი შესაძლებლობა. და ბოლოს, როცა შეიკრიბნენ და მეფეს თხოვნით მიმართეს, სასტიკი უარი მიიღეს. თავიდანვე, ეგვიპტიდან გამოსვლის პირველი დღეებიდანვე, ცდილობდა სატანა სხვადასხვა დაბრკოლებები შეექმნა მათთვის, სხვადასხვა გზით ეცდუნებინა ისინი, რომ აღთქმულ მიწაზე შესვლის უფლება დაეკარგათ. ებრაელები კი საკუთარი უნდობლობით ეწინააღმდეგებოდნენ უფლის ჩანაფიქრის აღსრულებას და თავად უწყობდნენ ხელს თავის წარუმატებლობას.

მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მოქმედების დაწყებას მაშინვე, როცა ღვთის სიტყვას ირწმუნებთ და სანამ უფლის ანგელოზები მზად არიან დასახმარებლად. ბოროტი ანგელოზები მუდამ ცდილობენ, ხელი შეუშალონ წინსვლის ყოველ ნაბიჯს. როცა უზენაესი თავის შვილთ წინსვლისაკენ მოუწოდებს, როცა იგი მზადაა, მათთვის უდიდესი საქმეები მოიმოქმედოს, სატანა

კარნახობს ღვთის შვილთ, არ იჩქარონ, იჭოჭმანონ და ამით ღმერთი გაანაწყენონ; იგი ცდილობს, წარმოშვას კამათი ან ურწმუნოება და წაართვას კურთხევა, რომლის მიცემაც უფალს მათთვის სურს. უფლის მსახურნი მუდამ მზადყოფნაში უნდა იყვნენ, დაიწყონ მოქმედება იმ მომენტში, როცა უზენაესი ამის გზას უჩვენებს. ყოველი დაყოვნება საშუალებას აძლევს სატანას, რათა

[422]

[423]

ღვთის ხალხზე გაიმარჯვოს.

მაშინ, როცა მოსეს ებრძანა, გაევლო ედომზე და შემდეგაც, როცა ღმერთმა გამოუცხადა, რომ ამ ქვეყნის მცხოვრებნი ისრაელს შეუშინდებოდნენ, ღმერთმა აუკრძალა მათ ამ უპირატესობის გამოყენება. ვინაიდან ისრაელს ღვთიური ძალის მიცემა აღუთქვა ღმერთმა, მათ წინაშე შიში კი ადვილად დაამარცხებდა ედომელებს, ამიტომ ებრაელებს მათი გაძარცვა ეკრძალებოდათ. ასეთი იყო ღვთიური ბრძანება: „ნუ წაეკიდებით მათ, რადგან ფეხის ერთ დაბიჯებასაც არ მოგცემთ მათი ქვეყნიდან, რადგან ესავს მივეცი სამკვიდროდ სეყირის მთა" /რჯლ. 2:4,5/. აბრაამისა

და ისააკის შთამომავალნი იყვნენ ედომელები და თავის მსახურთა გულისათვის შეიწყალა უფალმა ესავის შვილები; სამკვიდროდ სეყირის მთა მისცა და ყველას აუკრძალა მათი ხელყოფა, სანამ საკუთარი ცოდვებისათვის არ შეუწყდებოდათ ღვთიური წყალობა. ქანაანის მცხოვრებნი კი, რომელთაც საკუთარი ურჯულოების თასი უკვე აევსოთ, სრულად უნდა გაენადგურებინათ ისრაელიანთ. მაგრამ ედომელებს ჯერ კიდევ დარჩენოდათ მადლის დრო და სასჯელის გადმოღვრის დადგომამდე თანაგრძნობას უწევდა უფალი მათ. ისრაელის მიერ ქანაანის განადგურებამდე უზენაესი ედომის მკვიდრთა დანდობას ითხოვს.

ედომელთა და ისრაელიანთა წინაპრები ძმები იყვნენ და მათ შორის ძმური სიყვარული და პატივისცემა უნდა ყოფილიყო. ისრაელიანთ აეკრძალათ შურისგება ოდესმე იმის გამო, რომ ერთ დროს ედომის მიწაზე არ გაატარეს. ებრაელებს იმაზე ფიქრიც ვერ უნდა გაებედათ, რომ ოდესმე დაისაკუთრებენ ედომის ნაწილსაც კი. და, თუმცა ღვთის რჩეული და პრივილეგირებული ხალხი იყვნენ ისრაელიანნი, მაგრამ უფლისაგან შეზღუდვებს უსიტყვოდ უნდა დამორჩილებოდნენ. მშვენიერი ქვეყანა აღუთქვა მათ უფალმა სამკვიდროდ, მაგრამ ამ მიწის სრულუფლებიან ბატონ-პატრონად არ უნდა ჩაეთვალათ თავი და სხვები არ უნდა შეევიწროებინათ. ებრაელებს ებრძანათ, არ გამოეჩინათ უსამართლობა ედომელთა მიმართ და მათთან სავაჭრო ხელშეკრულებები დაედოთ: ე.ი. ეყიდათ, რაც სჭირდებოდათ და ანგარიში მაშინვე

გაესწორებინათ. მომავალშიც მუდამ უნდა ესმინა ისრაელს ღვთის სიტყვა და მუდამ მისი იმედი ჰქონოდა, ამისათვის გაახსენა უფალმა: „უფალმა, შენმა ღმერთმა, გაკურთხა ყველა საქმეში... არაფერი მოგკლებია" /რჯლ. 2:7/. არ სჭირდებოდათ ებრაელებს ედომელთა მოწყალება, რადგან მათი ღმერთი თავად იყო უხვად გამცემი და მწყალობელი. არც იძულებით და არც მოტყუებით არ შეეძლოთ მათ რაიმეს შეძენა, არამედ მათ ურთიერთობაში ედომელებთან ხორცი უნდა შეესხა ღვთიურ რჯულს: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი".

ისრაელს რომ ედომზე ისე გაევლო, როგორც ეს თავად უფალს ჰქონდა ჩაფიქრებული, ეს იქნებოდა უდიდესი კურთხევა არა მხოლოდ ებრაელთათვის, არამედ ედომის მკვიდრთათვისაც, რადგან ღვთის ხალხის ახლოს გაცნობის შესაძლებლობა მიეცემოდათ. იხილავდნენ ღვთისადმი მათ მსახურებას და იმასაც, თუ როგორ სწყალობს იაკობის ღმერთი მის მოყვარულთ და პატივისმცემელთ. მაგრამ ისრაელის ურწმუნოებამ ხელი შეუშალა ყოველივე ამას. ღმერთმა მისცა ისრაელიანთ წყალი, როცა მათ მოითხოვეს, მაგრამ სასჯელი კი მოუვლინა ურწმუნოებისათვის. კვლავ უნდა ევლოთ მათ უდაბნოში და ესვათ წყალი იმ სასწაულებრივი წყაროდან, რომელიც არ დასჭირდებოდათ, უფალს რომ სრულად მინდობოდნენ.

ასე რომ, კვლავ ჩრდილოეთისკენ გაბრუნდნენ ისრაელიანნი, უკაცრიელი უდაბნოსაკენ, რომელიც უფრო პირქუშად

მოეჩვენათ ედომის მწვანე კორდებისა და ველების დანახვის შემდეგ. მთის შვერილთა შორის, უდაბნოს რომ მაღლიდან დასცქეროდა, ჰორის მთა აღმართულიყო, რომლის მწვერვალიც

[424]

აარონის სიკვდილისა და დამარხვის ადგილი უნდა გამხდარიყო. როცა ისრაელიანნი ამ მთას მიუახლოვდნენ, მოსეს ებრძანა:

„ხელი მოჰკიდე აარონსა და მის ძეს ელეაზარს და ჰორის მთაზე აიყვანე. გახადე სამოსელი აარონს და მით ელეაზარი, მისი ძე შემოსე. შეერთოს აარონი და მოკვდეს იქ".

ორი მხცოვანი უხუცესი ელეაზართან ერთად ჰორის მთის მწვერვალისაკენ გაეშურა. ას ოც ზამთარს დაეთოვა მოსესა და აარონის თმაზე. მრავალი მძიმე განსაცდელი და მრავალი პატივიც ხვდა წილად ღვთის ამ ორ მსახურს თავისი სიცოცხლის გრძელ, მოვლენებით აღსავსე გზაზე. უდიდესი სიბრძნე და გონიერება მიეცათ და ყველა მათ ნიჭსა და უნარს უფალთან ახლო ურთიერთობამ კეთილშობილება და სულიერება შეჰმატა. თავიანთი სიცოცხლე ღვთისა და მოყვასისადმი უანგარო მსახურებაში განვლეს. უდიდესი

ინტელექტუალური ძალის, სიმტკიცის, კეთილშობილური სწრაფვისა და უდიდესი სიყვარულის ბეჭედი ესვა მათ სახეებს.

მრავალი წლის განმავლობაში ერთად შრომობდნენ მოსე და აარონი; ერთად ზრუნავდნენ ხალხზე. ერთად ხვდებოდნენ უამრავ განსაცდელს და ინაწილებდნენ ღვთის კურთხევებს. მაგრამ მოახლოვდა განშორების ჟამი. აუჩქარებლივ, სვენებ-სვენებით მიჰყვებოდნენ ისინი მთის ფერდობს. ერთად ყოფნის ყოველი წუთი ძვირფასი იყო მათთვის. ციცაბო იყო მთის კალთა, მეტად დამღლელი. ხშირად ისვენებდნენ და საუბრობდნენ ძმები წარსულსა თუ მომავალზე. მათ წინაშე, თვალსაწიერამდე, გადაჭიმულიყო ვრცელი უდაბნო - მათი ხანგრძლივი მოგზაურობის ადგილი. ქვემოთ, დაბლობზე, ისრაელიანთა ურიცხვ მხედრობას მოეყარა თავი, რომელსაც მათ ცხოვრების საუკეთესო წლები შესწირეს; რომელთა კეთილდღეობაზეც ასე ზრუნავდნენ და ვისთვისაც ასეთი დიდი მსხვერპლი გაიღეს. იქ, ედომის მთებს იქით, გზა მიდიოდა აღთქმული ქვეყნისაკენ, რომლის ნაყოფს ვერ იგემებენ ვერც მოსე და ვერც აარონი. წყრომის ნასახიც კი არ იყო მათ გულებში, ერთი საყვედურიც კი არ დასცდენია მათ ბაგეებს. მაგრამ მწუხარება და ნაღველი გაჩნდა მათ თვალებში, როცა გაიხსენეს მიზეზი, რის გამოც მამათა სამკვიდრებელში ვერ შევიდოდნენ.

დასრულდა აარონის მისია. ორმოცი წლის წინათ, როცა იგი ოთხმოცდასამი წლის იყო, უფალმა მოუწოდა, მოსესთან ერთად

ეკეთებინა დიდი და მეტად მნიშვნელოვანი საქმე. იგი ეხმარებოდა ძმას ისრაელიანთა ეგვიპტიდან გამოყვანაში; მას ეჭირა დიდი წინამძღოლის მაღლა აწეული ხელები, როცა ებრაელები ყამალეკს ებრძოდნენ. მას მიეცა ნება, ასულიყო სინაის მთაზე უფლის წინაშე და ეხილა უფლის დიდება. უფალმა აარონის ოჯახს დაავალა საწმიდარში მსახურება და მღვდელმთავრობა უბოძა. იგი ეხმარებოდა წმიდა მსახურებაში, როცა კორახსა და მის თანამზრახველთ უფალმა თავისი ღვთიური სასჯელი მოუვლინა. აარონის შუამდგომლობით შეწყდა ეს საშინელება. როდესაც მისი ორი ვაჟი ღვთიური ბრძანების შეუსრულებლობის გამო დაიღუპა, იგი არც ამბოხებულა და არც დაუჩივლია. მაგრამ მისი კეთილშობილური, წმიდა ცხოვრება შეილახა. მძიმე დანაშაული ჩაიდინა აარონმა, როცა ხალხის მოთხოვნით კერპი - ოქროს ხბო ჩამოასხა სინაის მთასთან და მაშინაც, როცა მხარი დაუჭირა მირიამს და მოსეს მიმართ მისი შური და უკმაყოფილება გაიზიარა. მანვე მოსესთან ერთად შეურაცხყო ღმერთი კადეშში. როცა ღვთიურ ბრძანებას ყური არ უგდო და სიტყვით არ მიმართა კლდეს, მოეცა წყალი.

უფალ ღმერთს სურდა, რომ მისი რჩეული ერის ამ ორ წინამძღოლს ქრისტეს ხასიათი გამოევლინა. ისრაელის შტოთა სახელებს ატარებდა მკერდზე აარონი. იგი ატყობინებდა ხალხს უფლის ნებას. იგი შედიოდა წმიდათა

[425]

[426]

წმიდაში მიტევების დღეს „არა სისხლის გარეშე", როგორც შუამდგომელი ისრაელიანთათვის. შემდეგ იქიდან გამოდიოდა და ლოცავდა მთელს საკრებულოს ისევე, როგორც ქრისტე აკურთხებს თავის მომლოდინე ხალხს, როდესაც მათი ხსნისათვის მსახურებას დაასრულებს. იმ წმიდა მსახურების დიდებულებამ, რომელიც ჩვენს უდიდეს მღვდელმსახურს /ქრისტეს/ წარმოგვიჩენდა, უფრო მეტად დაამძიმა აარონის მიერ კადეშში ჩადენილი დანაშაული.

უდიდესი მწუხარებით გახადა მოსემ აარონს მღვდელმთავრის სამოსელი და ჩააცვა ელეაზარს, რომელიც, უფლის ბრძანებით, ამიერიდან მღვდელმთავრად ინიშნებოდა. კადეშში ჩადენილი დანაშაულის გამო წაერთვა აარონს, როგორც ისრაელის მღვდელმთავარს, ქანაანში მსახურების უპირატესობა - შეეწირა პირველი აღსავლენი ამ მშვენიერ მიწაზე და ეკურთხებინა ისრაელის სამკვიდრო. მოსეს კი ჯერ კიდევ უნდა ეტარებინა თავისი მძიმე ტვირთი - ქანაანის საზღვრებამდე მიეცილებინა თავისი ხალხი. მას მხოლოდ შორიდან შეეძლო აღთქმული ქვეყნის დანახვა, მასში შესვლის უფლება კი არ ჰქონდა. უფლის ამ ორ მსახურს კადეშის კლდესთან უსიტყვოდ რომ გაეძლოთ

გამოცდისათვის, სულ სხვაგვარად წარიმართებოდა მათი მომავალი ცხოვრება. ყოველ ბოროტებას თავისი შედეგი აქვს. შესაძლოა, მთელს სიცოცხლეში გაწეულმა შრომამ ვერ შეავსოს ის, რაც ცდუნების ან, უბრალოდ, დაუდევარი საქციელის გამო ერთ წამში შეიძლება დაიკარგოს.

ერის ამ წინამძღოლთა ელეაზართან ერთად წასვლამ, რომელსაც, როგორც ბანაკში იყო ცნობილი, აარონი უნდა შეეცვალა წმიდა მსახურებაში, რაღაც მძიმე წინათგრძნობა აღუძრა ხალხს, რომელიც მოუთმენლად ელოდა მათ დაბრუნებას. გაჰყურებდა ხალხი ამ მრავალრიცხოვან საკრებულოს და ხედავდა, რომ თითქმის ყველა, ვინც ეგვიპტიდან გამოსვლისას სრულწლოვანი იყო, უდაბნოში დაიღუპა. გულს უკლავდა ხალხს აარონისა და მოსეს მიმართ გამოტანილი განაჩენი. ზოგი ხვდებოდა წინამძღოლთა ჰორის მთაზე საიდუმლო ასვლის მიზანს და მათ მწუხარებასა და ტანჯვას მწარე მოგონებები აძლიერებდა.

და ბოლოს, შორიდან მოსესა და ელეაზარის სილუეტები გამოჩნდა. აუჩქარებლად ჩამოდიოდნენ მთიდან. აარონი კი აღარ იყო მათ შორის. ახლა ელეაზარს ეცვა მღვდელმთავრის სამოსელი, რაც იმას ნიშნავდა, რომ მამის წმიდა მსახურება შვილს დაევალა. როცა გულდამძიმებული ხალხი წინამძღოლის გარშემო შეიკრიბა, უამბო მათ მოსემ, თუ როგორ განუტევა სული აარონმა მის ხელში ჰორის მთაზე და რომ იქვე დამარხეს

იგი. მწარედ ატირდა და მწუხარე გოდებას მოჰყვა მთელი საკრებულო, ვინაიდან ძლიერ უყვარდათ აარონი, თუმცა ხშირად დაუმსახურებლად ტკივილს აყენებდნენ. „და დასტიროდა აარონს მთელი ისრაელის სახლი ოცდაათ დღეს".

მეტად ძუნწ ცნობებს იძლევა წმიდა წერილი ისრაელის მღვდელმთავრის დაკრძალვის შესახებ: „იქ მოკვდა აარონი და იქვე დაიმარხა" /რჯლ. 10:6/. რაოდენ დიდი განსხვავებაა დაკრძალვის თანამედროვე ტრადიციებსა და იმდროინდელ უბრალო პროცესს შორის, რომელიც უფლის მითითებით ხდებოდა. ჩვენს დროში მაღალი თანამდებობის პირის დაკრძალვა ხშირად ფუფუნების უაზრო დემონსტრაციად იქცევა ხოლმე. აარონის - დედამიწის მკვიდრთა შორის ამ უაღრესად განდიდებული ადამიანის სიკვდილს მისი მხოლოდ ორი უახლოესი მეგობარი დაესწრო; მხოლოდ მათ მიაცილეს იგი განსასვენებელ ადგილამდე, მისი განმარტოებული საფლავი კი ვეღარასოდეს იხილა ისრაელმა. დაკრძალვის დიდებული ცერემონიები, წუთისოფელში ხშირად რომ აწყობენ, ღვთისადმი პატივისცემის გამოხატულება არ არის; და არც ხრწნადი სხეულისათვის გაწეული უდიდესი ხარჯები განადიდებს უფალს.

მთელი საკრებულო დასტიროდა აარონს, მაგრამ ყველაზე მწვავედ ამ

[427]

დანაკარგზე მოსე წუხდა. აარონის სიკვდილი უნებურად ახსენებდა მას, რომ მისი აღსასრულიც მალე დადგებოდა. და, თუმცა სიცოცხლისათვის მეტად მცირე დრო დარჩენოდა, მაგრამ მაინც დიდად განიცდიდა მუდმივი მეგობრის დაკარგვას, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში მის ჭირ-ვარამს, სიხარულსა და მწუხარებას იზიარებდა. ახლა მოსეს მარტოდ, აარონის გარეშე უნდა განეგრძო შრომა, მაგრამ კარგად იცოდა, რომ ღმერთი იყო მისი მეგობარი და უფრო მეტად მიენდო მას.

მალე მას შემდეგ, რაც ჰორის მთა დატოვეს, დამარცხება იგემეს ისრაელიანებმა ქანაანის ერთ-ერთ მეფესთან, ყარადთან შეტაკებისას. მაგრამ, როდესაც უფალს გულწრფელად სთხოვეს დახმარება, დაიფარა ისინი მან და მტერიც დამარცხდა. მაგრამ იმის ნაცვლად, რომ მადლიერება გამოეხატათ და დარწმუნებულიყვნენ, რომ უფლის დახმარების გარეშე ვერსად ვერაფერს გახდებოდნენ, ამ გამარჯვებამ თავდაჯერებულობა უფრო განუმტკიცა ებრაელებს და იკვეხნიდნენ კიდეც ამით. მალე მათ კვლავ გაიხსენეს ადრინდელი ჩვევა და დრტვინვას მოჰყვნენ. ამჯერად ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ ისრაელს ნება არ მიეცა, ორმოცი წლის წინათ შესულიყო ქანაანში, მაშინვე, ამბოხების შემდეგ, რომელიც

მზვერავთა შეტყობინებას მოჰყვა. ფუჭად მიაჩნდათ მათ უდაბნოში თავიანთი ხანგრძლივი ხეტიალი და ფიქრობდნენ, რომ მაშინაც ასევე ადვილად შეძლებდნენ მტრის დამარცხებას, როგორც ამჯერად შეძლეს.

გზა სამხრეთისაკენ განაგრძეს. მეტად ცხელი იყო ქვიშიანი უდაბნო, ყოველგვარი მცენარეულობის გარეშე. მეტისმეტად გრძელი და ძნელი ეჩვენებოდათ გზა. დაღლილობა და წყურვილი სტანჯავდა ხალხს. კვლავაც ვერ გაუძლეს თავისი რწმენისა და მოთმინების გამოცდას. თავიანთი ცხოვრების ისტორიის მხოლოდ ბნელ ფურცლებს იხსენებდნენ, რითაც უფრო შორდებოდნენ ღმერთს. დაავიწყდათ, რომ ედომის გარშემო მათი ხანგრძლივი მოგზაურობის მიზეზი მათი უკმაყოფილო დრტვინვა იყო იმის გამო, რომ წყალი შემოაკლდათ. ეს რომ არა, ისინი გზას შეიმოკლებდნენ. მადლიერნი უნდა ყოფილიყვნენ ისინი იმისათვის, რომ ასე მსუბუქად სჯიდა ღმერთი მათ ცოდვების გამო. ამის ნაცვლად კი თავს ირწმუნებდნენ, რომ უფლისა და მოსეს მიერ მათ წინაშე დაბრკოლებების აღმართვა რომ არა, უკვე დიდი ხანია დაისაკუთრებდნენ აღთქმულ ქვეყანას. ებრაელებმა თავად დაიტეხეს თავს უბედურება, თავად დაამძიმეს საკუთარი ხვედრი, უფლის სურვილის გარეშე და მაინც ყოველგვარი უბედურების მიზეზად ღმერთს მიიჩნევდნენ. ემდუროდნენ უფალს იმის გამო, რომ ცუდად ექცეოდა მათ და ასე იყო მანამ, სანამ უკმაყოფილებამ მთლად არ დარია ხელი. ახლა ეგვიპტე

უფრო სასურველი და მიმზიდველი იყო მათთვის, ვიდრე თავისუფლება და მიწა, რომელიც ღმერთს მათთვის უნდა მიეცა.

უკმაყოფილების სულს აყოლილი ისრაელიანნი მიღებულ კურთხევასაც კი უკუღმა ხსნიდნენ. „საყვედურით დაუწყო ხალხმა ლაპარაკი უფალს და მოსეს: რისთვის ამოგვიყვანე ეგვიპტიდან მოსაკლავად ამ უდაბნოში. რადგან არ არის პური და არც წყალი, შეგვაღონა უყუათო საჭმელმა".

ნათლად მიუთითა მოსემ ხალხს მის უდიდეს ცოდვაზე. მხოლოდ ღვთიური ძალის წყალობით გამოიარეს ებრაელებმა „დიდი და საშინელი უდაბნო, უნასთა, ჯოჯოთა და მორიელთა ბუდე, ხრიოკები, სადაც წყალი არ არის" /რჯლ. 8:15/. ღვთიური სასწაულებითა და წყალობით იფარავდა უფალი მათ ამ ხანგრძლივი მოგზაურობისას. უფლის ხელმძღვანელობით მავალნი, ისინი ყველგან პოულობდნენ წყალს წყურვილისა და ზეციურ მანანას - შიმშილის მოსაკლავად; მშვიდობასა და უსაფრთხოებას დღისით ღრუბლის და ღამით - ცეცხლის სვეტის ჩრდილქვეშ. ანგელოზები ეხმარებოდნენ მათ მთათა კლდოვანი

[428]

[429]

მწვერვალებისა და უდაბნოს მიუვალი ბილიკების გადალახვისას. მიუხედავად გადატანილი გაჭირვებისა, მათ შორის არავინ გამხდარა ავად. არც ფეხები უსივდებოდათ და არც ტანისამოსი უცვდებოდათ ამ ხანგრძლივი სიარულისას. საშიშ მტაცებელთ აოკებდა უფალი მათ წინაშე და შხამიანი ქვეწარმავლებისაგან იცავდა. და რადგან, მიუხედავად ღვთიური სიყვარულის ამ მრავალრიცხოვანი მტკიცებისა, ხალხი კვლავ განაგრძობდა საყვედურებსა და ჩივილს, უფალმა გადაწყვიტა, ხელი აეღო მათზე მოწყალებით ზრუნვაზე, რათა შემდგომ დაეფასებინათ ყოველივე ეს და მორჩილებით და მონანიებით მისულიყვნენ მასთან.

ღვთიური ძალით დაცულთ არც უფიქრიათ იმ უამრავ საშიშროებაზე, რომელიც მუდამ არსებობდა მათ გარშემო. ეს უმადური, ურწმუნო ხალხი გრძნობდა სიკვდილის მოახლოებას და ახლა უფალმაც დაუშვა მათი განადგურება. შხამიან გველებს, რომლითაც სავსე იყო მთელი უდაბნო, ცეცხლოვანს უწოდებდნენ მათი საშინელი ნაკბენის გამო, რომელიც სასტიკ ანთებას და სწრაფ სიკვდილს იწვევდა. და, როცა უფლის მფარველი ხელი მოსცილდა ისრაელს, ბევრი მათგანი ამ საშინელ ქვეწარმავალთა მსხვერპლი გახდა.

საშინელმა არეულობამ მოიცვა მთელი ბანაკი. თითქმის ყოველ კარავს ჰყავდა მკვდარი ან მომაკვდავი. არავინ გრძნობდა თავს

უსაფრთხოდ. ღამის მდუმარებას ხშირად არღვევდა გულგანმგმირავი ყვირილი - ახალი მსხვერპლის მაუწყებელი. არავის ეცალა. ყველა ცდილობდა განწირულთა შველას ან მათ გადარჩენას, ვისაც ეს უბედურება ჯერ არ სწვეოდა. ერთი საყვედურიც კი არ გამოუთქვამთ ახლა მათ ბაგეებს. ამ ტანჯვასთან შედარებით ძველ, გადატანილ განსაცდელზე და სიძნელეებზე ფიქრიც კი არ ღირდა.

მორჩილებით დახარა თავი ხალხმა ღვთის წინაშე. მოვიდნენ ისრაელიანნი მოსესთან, აღიარეს და მოინანიეს თავიანთი ცოდვები: „ვცოდეთ, რომ გისაყვედურეთ უფალს და შენ". სულ ცოტა ხნის წინათ უბოროტესი მტერი და ყველა მათი უბედურებისა და ტანჯვის მიზეზი უწოდეს მას. ყველაფერში ადანაშაულებდნენ, თუმცა კარგად იცოდნენ, რომ ცილს სწამებდნენ და მართლაც, როცა ნამდვილი უბედურება ეწიათ, მხოლოდ მას მიმართეს, როგორც ერთადერთ მეოხს უფლის წინაშე. „ილოცე უფლისადმი, - ევედრებოდნენ ისინი, - რომ მოგვცილდეს გველი".

უფალმა უბრძანა მოსეს, გაეკეთებინა სპილენძის გველი, ცოცხალი გველის მსგავსი და მაღალ კეტზე დაემაგრებინა იგი, რათა ყოველ დაკბენილს შეეხედა მისთვის და განკურნებულიყო. შეასრულა მოსემ უფლის ეს ბრძანება და მალე მთელ ბანაკში გავარდა ხმა, რომ გადარჩება ყველა დაკბენილი, რომელიც სპილენძის გველს შეხედავს. ბევრი უკვე

დაიხოცა და როცა მოსემ მაღლობზე სპილენძის გველი მიამაგრა, ზოგმა არც დაიჯერა, რომ ლითონისაგან დამზადებული ამ გამოსახულების უბრალო შეხედვით განიკურნებოდა. და ეს ადამიანებიც იღუპებოდნენ თავიანთი ურწმუნოების გამო. მაგრამ მრავალმა ღრმად ირწმუნა, რომ უფალი ღმერთი ამ გზით გადაარჩენდა. მშობლები, ძმები და დები მთელი ძალ-ღონით ცდილობდნენ, დახმარებოდნენ ახლობლებს და მათი უსიცოცხლო მზერა გველისკენ მიეპყროთ. მიუხედავად უღონობისა და მოახლოებული სიკვდილისა, ერთი მზერაც კი საკმარისი იყო, რომ ადამიანი სრულად განკურნებულიყო.

ხალხმა კარგად იცოდა, რომ თავად სპილენძის გველს არავითარი განსაკუთრებული ძალა არ გააჩნდა, რათა განეკურნა ყოველი, ვინც მას შეხედავდა. ეს ძალა მხოლოდ ღვთისაგან გამოდიოდა. უზენაესმა სიბრძნით აირჩია ასეთი მეთოდი თავისი ძალის გამოსაჩენად. ამ უბრალო საშუალების მეშვეობით ხალხს უნდა შეეგნო, რომ მათ თავს დატეხილი უბედურება

[430]

მათივე ცოდვებით იყო გამოწვეული. იგი ასევე საწინდარი იყო იმისა, რომ სანამ ადამიანები ღმერთს ემორჩილებიან, შიშის მიზეზი არ უნდა ჰქონდეთ, ვინაიდან უფალი იცავს მათ.

სპილენძის გველის ამაღლება მეტად მნიშვნელოვანი გაკვეთილი უნდა ყოფილიყო ისრაელისათვის. ისრაელს თავად არ შეეძლო საკუთარი თავის გადარჩენა ამ შხამის საშინელი ზემოქმედებისაგან. მხოლოდ უფალ ღმერთს შეეძლო ადამიანთა განკურნება. მაგრამ მათ უნდა ერწმუნათ და მიეღოთ ღმერთის მიერ შემოთავაზებული საშუალება. გადარჩენისათვის შეხედვა იყო საჭირო. უფალს უნდა ეხილა და მიეღო მათი რწმენა, რაც გველზე თვალის შევლებაში გამოიხატებოდა. ებრაელებმა იცოდნენ, რომ თვით გველს არავითარი ღირსება არ გააჩნდა, მაგრამ იგი იყო ქრისტეს სიმბოლო და ამით მათ შეგნებაში ყალიბდებოდა ქრისტეს დამსახურებებისადმი რწმენის აუცილებლობა. ადრე ბევრს მოჰქონდა მსხვერპლი უფლის წინაშე, რაც საკმარისი ეგონათ ცოდვათა გამოსასყიდად. მათ არ ჰქონდათ რწმენა მომავალი მხსნელისა, რომლის სიმბოლოსაც ყველა ეს მსხვერპლშეწირვა წარმოადგენდა. ახლა კი უფალს სურდა, მათთვის ესწავლებინა, რომ თავისთავად ამ მსხვერპლს არავითარი ღირსება ან ძალა არ გააჩნია, ამ სპილენძის გველის მსგავსად, არამედ საშუალებაა მათი გონების ქრისტესკენ მიმართვისა, რომელიც ცოდვის გამოსასყიდი უდიდესი მსხვერპლია.

„როგორც მოსემ აღამაღლა გველი უდაბნოში, ასევე უნდა ამაღლდეს კაცის ძე. რათა ყოველი მისი მორწმუნე არ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე" /იოან. 3:14,15/. დედამიწის ყველა მკვიდრს, ვისაც კი ოდესმე ამქვეყნად უცხოვრია, გამოუცდია სასიკვდილო კბენა ძველი გველისა, „რომელსაც ეშმაკი და სატანა ჰქვია" /გამოცხ. 12:9/. ცოდვის საბედისწერო შედეგის თავიდან აცილება მხოლოდ უფლის მიერ შემოთავაზებული საშუალებითაა შესაძლებელი. ისრაელიანები მხოლოდ მაშინ იკურნებოდნენ, როცა სპილენძის გველს უცქერდნენ. მათ მზერაში რწმენა იყო ჩაქსოვილი. ისინი არ კვდებოდნენ იმიტომ, რომ სჯეროდათ ღვთის სიტყვისა და მის მიერ მოცემული განკურნების საშუალებისა. ასევე იცოცხლებს ცოდვილი, თუკი მისი მზერა ქრისტესკენ იქნება მიპყრობილი. იგი ღებულობს მიტევებას გამომსყიდველი მსხვერპლისადმი რწმენით. უსიცოცხლო და უძლური სიმბოლოს საპირისპიროდ, ქრისტეს გააჩნია ღირსება და ძალა იმ ცოდვილის განკურნებისათვის, რომელიც თავის დანაშაულს მოინანიებს.

თუმცა ცოდვილს საკუთარი თავის გადარჩენა არ შეუძლია, მაგრამ მანაც რაიმე უნდა გააკეთოს გადარჩენისათვის. „ჩემთან მოსულს გარეთ არ გავაძევებ" /იოან. 6:37/, - ამბობს ქრისტე. და ჩვენც უნდა მივიდეთ მასთან. და როცა დანაშაულს მოვინანიებთ, უნდა გვჯეროდეს, რომ იგი მიგვიღებს და მოგვიტევებს. რწმენა ღვთით ბოძებული ნიჭია, მაგრამ ჩვენც გვჭირდება ძალისხმევა, რომ იგი გამოვიყენოთ. რწმენა - ეს არის

ხელი, რომლითაც ადამიანი იღებს ძღვენს ღვთიური მადლისა და წყალობის სახით.

მხოლოდ ქრისტეს სიმართლეს შეუძლია მოგვცეს აღთქმული მადლისა და კურთხევის მიღების უფლება. ბევრი ძლიერ ესწრაფვის და ცდილობს ამ მადლის მიღებას, მაგრამ ვერ იღებს, რადგან თვლის, რომ საკუთარი საქმეებით დაიმსახურებს მას. ისინი მხოლოდ საკუთარ თავს უმზერენ და ავიწყდებათ, რომ მხოლოდ იესოა ჩვენი მხსნელი, რომელიც მზადაა, ყველა ჩვენი საჭიროება დააკმაყოფილოს. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ პირადი ძალისხმევა და დამსახურება ვერ გადაგვარჩენს. ქრისტეა ჩვენი ხნის ერთადერთი იმედი. „სხვაში არავისში არ არსებობს ხსნა, არც არის ცის ქვეშ ხალხისთვის მიცემული სხვა სახელი, რომლითაც გადავრჩებით" /საქ. 4:12/.

[431]

უფლისადმი სრული ნდობითა და ქრისტეს - ცოდვათა მიმტევებელი მხსნელის დამსახურებებზე დაყრდნობით, ვღებულობთ ყოველგვარ დახმარებას ჩვენი სურვილისამებრ. ნურავინ იფიქრებს, რომ გააჩნია რაიმე ძალა თავის გადასარჩენად. სწორედ იმიტომ მოკვდა ჩვენთვის იესო, რომ

ჩვენ საკუთარი თავის ხსნა არ შეგვეძლო. მასშია ჩვენი იმედი, ჩვენი გამართლება და ჩვენი სიმართლე. მართალია, ცოდვილნი ვართ, მაგრამ სულით არ უნდა დავეცეთ, არ უნდა შეგვეშინდეს და არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს არ გვყავდეს მხსნელი და არვინ გვყავდეს თანამგრძნობი. სწორედ ჩვენი უძლურების მომენტში გვიხმობს იგი, მივიდეთ მასთან და მივიღოთ ხსნა.

არ სჯეროდა ბევრ ისრაელიანს, რომ ზეცის მიერ შემოთავაზებული საშუალება დაეხმარებოდა მათ. ირგვლივ უამრავი გვამი და მომაკვდავი იყო და ისინი გრძნობდნენ, რომ ღვთიური დახმარების გარეშე მათაც იგივე ბედი ეწეოდათ, მაგრამ კვლავ განაგრძნობდნენ ჩივილსა და კვნესას ჭრილობების, ტკივილისა და მოახლოებული სიკვდილის გამო, სანამ ძალა არ გამოეცლებოდათ და სულს არ განუტევებდნენ. ამ დროს კი შესაძლებელი იყო მათი განკურნება. შეიძლება ძლიერ გვიჭირდეს, მაგრამ საყვედურზე და ბუზღუნზე ძალა არ უნდა დავხარჯოთ. ქრისტეს გარეშე მეტად უსუსურნი ვართ, მაგრამ სულმოკლეობა კი არ უნდა გამოვიჩინოთ, არამედ უნდა დავეყრდნოთ ჩვენი ჯვარცმული და მკვდრეთით აღმდგარი მაცხოვრის დამსახურებას. უმზირეთ და იცოცხლეთ! იესომ აღგვითქვა, რომ ყოველ მასთან მისულს გადაარჩენს. და, თუმცა მილიონობით ადამიანი, რომელთაც განკურნება სჭირდება, უარს ამბობს მის წყალობაზე, მაგრამ მასზე მინდობილი არ დაიღუპება.

ბევრს არ სურს ქრისტეს მიღება მანამ, სანამ ხსნის გეგმის საიდუმლო გასაგები არ გახდება მათთვის. არ სურთ, რწმენით შეხედონ, თუმცა მშვენივრად ხედავენ, რომ ქრისტეს ათასობით მიმდევარი ძალას იძენს. ბევრი ფილოსოფიის ლაბირინთებში ეძებს მტკიცებებს, მაგრამ ვერასოდეს იპოვის, ვიდრე უფლის მიერ მოცემულ მტკიცებებს არ მიიღებს. მათ არ სურთ სიმართლის მზის ნათელში სიარული, სანამ მისი ნათების მიზეზს არ აუხსნიან. ვერც ერთი მათგანი ვერ შეიცნობს ჭეშმარიტებას. ღმერთი არასოდეს წაშლის ეჭვის ყოველგვარ საბაბს. მან საკმარისი მტკიცება მოგვცა რწმენის განსამტკიცებლად და თუკი ადამიანი მათ არ ღებულობს, ბნელში დარჩება. გველით დაკბენილნი რომ შეყოვნებულიყვნენ, დაეჭვებულიყვნენ და სპილენძის გველის შეხედვამდე რაიმე კითხვები დაესვათ, დაიღუპებოდნენ. ჩვენ მოვალენი ვართ, უპირველესად, შევხედოთ და რწმენა მოგვცემს სიცოცხლეს.

[432]

თავი 39 - ბაშანის დაპყრობა

მეორე რჯული 2; 3:1-11

გამობრუნდნენ ებრაელები ედომის სამხრეთიდან და კვლავ ჩრდილოეთისაკენ, აღთქმული მიწისაკენ აიღეს გეზი. გასავლელი ჰქონდათ ვრცელი მაღლობები, სადაც მახლობელი გორაკებიდან სასიამოვნო, გრილი ნიავი აღწევდა. დიდად ეამათ ეს ცვლილება ისრაელიანთ, განსაკუთრებით მხურვალე უდაბნოს შემდეგ, რომელიც ტანჯვით გამოიარეს და ახლა, სიცოცხლითა და იმედით სავსენი, მხნედ მიაბიჯებდნენ. ზარედის ხევის გავლის შემდეგ აღმოსავლეთით, მოაბის ქვეყნისკენ გაეშურნენ, რადგან ბრძანა უფალმა: "ნუ გადაემტერები მოაბს და ნუ გამართავ ომს, რადგან არ მომიცია თქვენთვის სამკვიდრო მათი ქვეყნიდან, რადგან ყარი ლოტის შთამომავლებს მივეცი სამკვიდროდ". ასეთივე ბრძანება იქნა გაცემული ყამონელთა მიმართაც, რადგან ლოტის შთამომავლები იყვნენ ისინიც.

ისევ ჩრდილოეთით განაგრძეს გზა ისრაელიანებმა და მალე ამორეველთა ქვეყნის საზღვრებს მიუახლოვდნენ. ამ ძლიერ და მეომარ ხალხს ადრე ქანაანის სამხრეთი ნაწილი ეკავა, მაგრამ, როცა ძლიერ გამრავლდნენ, იორდანეს გაღმა გავიდნენ, მოაბელებს შეებრძოლნენ და მათი ტერიტორიის ნაწილი დაიპყრეს. აქ დაფუძნდნენ ამორეველნი, რომელთაც დიდი ძალაუფლება გააჩნდათ არნონიდან იაბოკამდე. სწორედ მათ ქვეყანაზე გადიოდა გზა იორდანესაკენ, სადაც ისრაელიანნი უნდა მისულიყვნენ. მოციქულები გაუგზავნა მოსემ სიხონს, ამორეველთა მეფეს, მის ქალაქში და მეგობრულად სთხოვა: "გამატარე შენს ქვეყანაზე, მხოლოდ გზებზე ვივლი, არც

მარჯვნივ გადავუხვევ, არც მარცხნივ. საჭმელი მომყიდე ვერცხლზე და შევჭამ, წყალიც ვერცხლზე მომეცი და დავლევ. მხოლოდ ჩემი ფეხით გავივლი". სასტიკი უარი მიიღო მოსემ ამ თხოვნაზე. შეიკრიბა ამორეველთა მთელი მხედრობა, რათა თავის მიწაზე არ შემოეშვათ მოსულნი. შეაშინა ისრაელი ძლიერმა ლაშქარმა, რადგან უსუსურნი იყვნენ კარგად შეიარაღებული და მომზადებული ლაშქრის წინააღმდეგ. ოსტატურად შეეძლოთ ბრძოლა ამორეველთ და დიდი უპირატესობა ჰქონდათ ისრაელიანთა წინაშე. ადამიანური თვალსაზრისით, მალე დაიღუპებოდა ისრაელი.

მაგრამ მოსეს მზერა ღრუბლის სვეტისკენ იყო მიმართული და იმით ამხნევებდა წინამძღოლი ხალხს, რომ ღმერთი კვლავინდებურად მათთან იყო. იმავე დროს, ბრძანება გასცა მან, რომ შეძლებისდაგვარად მომზადებულიყვნენ ბრძოლისათვის. მათი მოწინააღმდეგე მოუთმენლად ელოდა ბრძოლის დაწყებას, რადგან დარწმუნებული იყო, რომ სრულად გაანადგურებდა ომში გამოუცდელ, მოუმზადებელ ისრაელიანთ. მაგრამ მთელი დედამიწის მბრძანებელმა მიმართა ისრაელიანთა წინამძღოლს: "ადექით, გასწიეთ და გადალახეთ არნონის ხევი. იცოდე, შენს ხელთ ჩამიგდია სიხონი, ეშბონის მეფე, ამორეველი და მისი ქვეყანა. დაიწყე დამკვიდრება. ბრძოლა გაუმართე მას. დღეიდან შიშსა და ძრწოლას მოვგვრი თქვენით ხალხებს ცისქვეშეთში. ვინც კი გაიგებს შენს ამბავს, შიშის ზარი დაეცემა ყველას".

არ გაწყდებოდნენ ქანაანის საზღვრებთან მცხოვრებნი, უფლის სიტყვა რომ შეესმინათ და ისრაელისათვის ხელი არ შეეშალათ წინსვლაში. ამ წარმართი ხალხისადმიც კი გამოიჩინა უფალმა სულგრძელობა, მოწყალება და თანაგრძნობა. როცა აბრაამს ხილვაში გამოეცხადა უფალი და უთხრა, რომ მისი თესლი, ისრაელის შვილები ოთხას წელიწადს უცხო მიწაზე მონობაში გაატარებენ,

[433]

[434]

ასეთი აღთქმაც მიეცა მას: "მხოლოდ მეოთხე თაობაში მობრუნდებიან აქეთ, როცა აივსება ამორეველების უკეთურებათა საწყაული" /დაბ. 15:16/. თუმცა კერპთაყვანისმცემლობისა და თავისი უდიდესი ურჯულოების გამო უკვე დაკარგეს ამორეველებმა არსებობის უფლება, მაგრამ დაინდო უფალმა ისინი ოთხასი წლის განმავლობაში და მთელი ამ ხნის მანძილზე მრავალჯერ დაუმტკიცა, რომ იგია ერთადერთი ცოცხალი ღმერთი, ცისა და დედამიწის შემქმნელი. ამ წარმართ ხალხს მრავალჯერ სმენოდა იმ უამრავი სასწაულის შესახებ, რომელნიც ისრაელის ეგვიპტიდან გამოსვლას ახლდა

თან. მტკიცებები საკმარისზე მეტი ჰქონდათ, რათა კერპთაყვანისმცემლობა და ურჯულოება მიეტოვებინათ და ჭეშმარიტება შეეცნოთ. მაგრამ ნათელი უარყვეს და კერპებს ჩაეჭიდნენ.

როცა უფალმა მეორედ მიიყვანა ქანაანის საზღვრებთან თავისი ხალხი, ყველა წარმართს უზენაესის ყოვლადძლიერების მოწმობა კვლავ მიეცა. კარგად ხედავდნენ ისინი, რომ ღმერთი იყო ისრაელთან ყარადსა და ქანაანელებზე გამარჯვებისას და იქ, უდაბნოშიც, როცა შხამიან გველთა სასიკვდილო ნაკბენისაგან იცავდა მას. ისრაელიანთ არ მისცეს ედომის მიწაზე გავლის უფლება, რის გამოც ისინი იძულებულნი გახდნენ, მეტად მძიმე და გრძელი გზით კვლავ მეწამული ზღვისკენ წასულიყვნენ. მაგრამ არსად, ედომელთა, მოაბელთა და ყამონელთა ქვეყნების საზღვრებთან გავლისას, არ გამოუჩენიათ მტრობა და არ დაუზიანებიათ არც ადამიანები და არც მათი ქონება. ამორეველთა საზღვართან მისვლისას ისრაელმა მხოლოდ ითხოვა მათ მიწაზე გავლა და ყველა იმ პირობის შესრულება აღუთქვა, რომელიც მათ სხვა ხალხებთან ურთიერთობაში ჰქონდათ დაწესებული. როცა ისრაელიანთა ამ მორიდებულ თხოვნას ამორეველთა მეფემ სასტიკი უარით უპასუხა და მათთან საბრძოლველად ლაშქარი შეკრიბა, მაშინ აივსო ამორეველთა ურჯულოების თასი და ღვთის ძლიერების გამოვლენისა და ურჯულოთა დაღუპვის ჟამი დადგა.

განვლეს ისრაელიანებმა არნონის ხეობა და მტერთან პირისპირ შესახვედრად მოემზადნენ. გაჩაღდა ბრძოლა, რომელიც ებრაელთა გამარჯვებით დამთავრდა. მათ ამ მიღწევებით ისარგებლეს და სულ მალე ამორეველთა მთელი ქვეყანა დაიპყრეს. ეს უფლის მხედრობის თავმა დამარხა თავისი ხალხის მტერი, რისი გაკეთებაც მას ჯერ კიდევ ოცდათვრამეტი წლის წინათ შეეძლო, ისრაელს რომ ერწმუნა მისი.

იმედიანად, მხნედ და სწრაფად მიიწევდა წინ ისრაელის მხედრობა. კვლავინდებურად ჩრდილოეთით ეჭირათ გეზი და მალე მიადგნენ ქვეყანას, სადაც მათი სიმამაცე და რწმენა კვლავ უნდა გამოცდილიყო. ეს იყო ძლიერი, მჭიდროდ დასახლებული ბაშანის სამეფო ქვის გალავნიანი ქალაქებით, რომლებიც დღესაც მსოფლიოს გაკვირვებას იწვევს. სამოცი ქალაქი, "მაღალი გალავნით მოზღუდული, კარიბჭეებიანი და ურდულებიანი, გარდა უამრავი უგალავნო ქალაქისა" /რჯლ. 3:5/, შავი ქვით აგებული, უჩვეულოდ დიდი სახლებით, სრულიად მიუდგომელს ხდიდა მათ. უძლური იყო მათ წინაშე იმ დროისათვის არსებული კედლის დამანგრეველი ყველანაირი იარაღი; ეს იყო ველურ გამოქვაბულთა, თავბრუდამხვევ, უძირო ხეობათა და მტკიცედ გამაგრებულ ქალაქთა სამეფო. გოლიათთა თაობები ცხოვრობდნენ იქ, უჩვეულოდ მაღალი და ძლიერი, სასტიკი და მძვინვარე ადამიანები, რომლებიც შიშის ზარს სცემდნენ მეზობელ ერებს; ხოლო ამ ქვეყნის მეფე, ყოგი, თავის გოლიათ ხალხზე ბევრად უფრო მეტად მაღალი და უშიშარი იყო.

მაგრამ ღრუბლის სვეტი კვლავ წინ მიიწევდა და ებრაელთა მხედრობაც მიჰყვებოდა მას ქალაქ ედრეიმდე, სადაც გოლიათი მეფე თავის ლაშქრითურთ

[435]

მოუთმენლად ელოდა მათ გამოჩენას. ოსტატურად შეარჩია ყოგმა საბრძოლო ადგილი. ქალაქი ედრეი მდებარეობდა ზეგანზე, რომელსაც ირგვლივ მაღალი მწვერვალები და ვულკანური ფრიალო კლდეები ერტყა. აქ მოხვედრა ვიწრო, ციცაბო ბილიკებით შეიძლებოდა მხოლოდ. დამარცხების შემთხვევაში მთათა უდაბურ გამოქვაბულებში შეეძლო შეეფარებინა თავი მის ლაშქარს, სადაც უცხონი ვერ დაედევნებოდნენ.

ბრძოლის წარმატებით დამთავრებაში სრულიად დარწმუნებული მეფე უამრავი მხედრითურთ ველზე გამოჩნდა; მაღლა, ფრიალო ფერდობებიდან, ბრძოლას მოწყურებულ ათასობით მეომართა მხნე, გამარჯვების შეძახილები ისმოდა. ამ საოცარი გოლიათის დანახვაზე, რომელიც აშკარად განსხვავდებოდა სხვა დანარჩენი გოლიათებისაგან, უამრავ მეომართა და ქალაქის მიუვალ ცხე-სიმაგრეთა დანახვაზე,

რომლის მიღმაც მოწინააღმდეგის ათასობით უხილავი მეომარი იმალებოდა, მრავალი ისრაელიანი შეშინდა. მოსე კი კვლავ ჩვეული სიმშვიდით, მტკიცედ იდგა, ვინაიდან ღმერთმა უთხრა ბაშანის მეფეზე: "ნუ გეშინია მისი, რადგან ხელში ჩაგაგდებინებ მას, მთელს მის ხალხს და მის ქვეყანას. იმგვარადვე მოექცევი მას, როგორც მოექეცი სიხონ ამორეველ მეფეს, რომელიც ხეშბონში იჯდა".

წინამძღოლის მტკიცე რწმენამ უფლისადმი ნდობა განუმტკიცა ხალხს. მიენდნენ ისინი უზენაესის ყოვლადძლიერ ხელს და მანაც არ მიატოვა თავისი ერი. რას გახდებოდნენ გიგანტი გოლიათები, გამაგრებული ქალაქები, შეიარაღებული ლაშქარი ან კლდოვანი ციხე-სიმაგრეები უზენაესის მხედრობის თავის წინაშე! თავად უფალი ხელმძღვანელობდა ისრაელიანთა ლაშქარს - ეს მან შეაშინა და თავგზა აუბნია მტრის ჯარს. თავად უფალი ღმერთი იბრძოდა ისრაელისათვის! გაანადგურა უფალმა გოლიათი მეფე და მისი ჯარი და ისრაელიანთ მისცა მათი ქვეყანა. ასე განადგურდა სამარადისოდ ეს უჩვეულო, უწმიდური და კერპთაყვანისმცემელი ხალხი.

გალაადისა და ბაშანისათვის ბრძოლაში ის ადამიანებიც მონაწილეობდნენ, ორმოცი წლის წინ კადეშში მომხდარი მოვლენების მოწმენი რომ იყვნენ. სწორედ ეს მოვლენები გახდა ისრაელიანთა უდაბნოში ასეთი ხანგრძლივი მოგზაურობის მიზეზი. ახლა დარწმუნდნენ ისინი, რომ აღთქმული მიწის

შესახებ მაშინდელ მსტოვართა მონათხრობი სიმართლეს შეეფერებოდა. ქალაქები, მართლაც, მაღალი გალავნებით იყო გამაგრებული. იქ ნამდვილად ცხოვრობდნენ გოლიათები, რომელთა გვერდით ისრაელიანნი მართლაც ქონდრისკაცებად გამოიყურებოდნენ. ახლა მიხვდნენ ისინი, თუ რა საბედისწერო შეცდომა ჩაიდინეს მათმა მამებმა, ღვთის ძალას რომ არ მიენდვნენ. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მათ ვერ იხილეს ეს მშვენიერი ქვეყანა.

მაშინ უფრო ადვილი იყო ქანაანში შესვლა, ვიდრე ახლა. უფალმა აღუთქვა თავის ერს, რომ თუკი ისინი უფალს მოუსმენენ, იგი თავად გაუძღვება წინ და იბრძოლებს მათთვის; რომ უამრავ კრაზანას მიუსევს ამ ხალხს, რათა განდევნოს ისინი საკუთარი მიწიდან. მაშინ ამ ხალხებს ძლიერ ეშინოდათ ღვთის რჩეული ერისა, ამიტომ სერიოზული დაბრკოლების გარეშე შეეძლოთ შესვლა ისრაელიანთ აღთქმულ ქვეყანაში. მაგრამ ახლა, როცა უფალმა იერიშისაკენ მოუწოდა მათ, ძლიერ და საშიშ, მრავალრიცხოვან და კარგად მომზადებულ მებრძოლ ლაშქარს უნდა შებრძოლებოდნენ.

ბაშანთან და სიხონთან ბრძოლაში ისრაელიანთ იგივე გამოცდა ელოდათ, რომელსაც მათმა მამებმა ვერ გაუძლეს. მაგრამ ეს გამოცდა უფრო მკაცრი იყო, ვიდრე მაშინ, როცა უფალმა ისრაელს წინ წასვლა უბრძანა. ახლა უფრო მეტ სიძნელეებს წააწყდნენ, ვიდრე მაშინ, როცა უფლის ხელმძღვანელობაზე

უარი თქვეს. ასე სცდის უფალი ყოველთვის თავის ხალხს. თუკი მან პირველ

[436]

[437]

გამოცდას ვერ გაუძლო, მეორედ უფრო მკაცრად გამოიცდება. და ასე გრძელდება მანამ, სანამ ადამიანი არ გამოიწრთობა; ხოლო, თუკი იგი კვლავ ურჩობს, ღმერთი წაართმევს თავის ნათელს და სამუდამო წყვდიადში დატოვებს.

ახლა გაახსენდათ ებრაელებს, თუ როგორ დამარცხდნენ ერთხელ ისინი ბრძოლაში, რომელშიც ათასობით ადამიანი დაიღუპა. ისიც გაიხსენეს, რომ მაშინ უფლის ბრძანების საწინააღმდეგოდ მოქმედებდნენ, საომრად ღვთის მიერ მათთვის დანიშნული წინამძღოლის, მოსეს გარეშე გამოვიდნენ; არც ღრუბლის სვეტი - ღვთიური ნიშანი უძღოდათ წინ და არც კიდობანი. ახლა კი მათთან იყო მოსე, იმედის და რწმენის სიტყვებით რომ ამხნევებდა თავის ხალხს. ღრუბელში გახვეული უფლის ძე გზას უჩვენებდა, წმიდა კიდობანი კი წინ მიუძღოდათ. დიდი გაკვეთილია ჩვენთვის ეს მოვლენა. ისრაელის ყოვლადძლიერი ღმერთი ჩვენი ღმერთია.

შეგვიძლია, ვერწმუნოთ მას და, თუკი მის სიტყვას დავემორჩილებით, იგივეს გააკეთებს ჩვენთვის, რაც ერთ დროს ძველი ისრაელისათვის გააკეთა. ყოველი მორწმუნის ცხოვრებაში დადგება ჟამი, როცა გაუჩნდება ეჭვი და უნდობლობა; ცხოვრების გზაზე ზოგჯერ თითქოსდა დაუძლეველი დაბრკოლება შეხვდება, რაც სასოწარკვეთილებას მოჰგვრის ყოველ სულმოკლე ადამიანს, მაგრამ ასეთებს ღმერთი მიმართავს: "არ შეყოვნდეთ! მტკიცედ შეასრულეთ თქვენი მოვალეობა და დაბრკოლებები, რომლისაც ასე გეშინიათ და გადაულახავად გეჩვენებათ, გაქრება, ოღონდ, თუკი მიენდობით უფალს და მორჩილებით აასრულებთ მის ნებას".

თავი 40 - ბალაამი

რიცხვნი 22-24

ბაშანზე გამარჯვებისა და იორდანესთან დაბრუნების შემდეგ ისრაელიანნი ქანაანის მიწაზე დაუყოვნებლივ შესვლისათვის მოემზადნენ. კარვები იერიხონის ველის მოპირდაპირე მხარეს, მდინარის ნაპირზე, სწორედ იმ ადგილას გაშალეს, სადაც იგი მკვდარ ზღვას ერთვის. სულ ახლოს იყო მოაბელთა ქვეყნის

საზღვარი და დამპყრობთა ასეთმა სიახლოვემ თავზარი დასცა ამ ხალხს.

ისრაელიანნი არ აწუხებდნენ მოაბელებს, მაგრამ ისინი მაინც შეშფოთებით ადევნებდნენ თვალს ყოველივეს, რაც მეზობელ ქვეყნებში ხდებოდა. მათზე გამარჯვებული ამორეველნი ებრაელებმა დაამარცხეს და მიწა, რომელიც მათ მოაბელებს წაართვეს, ახლა ისრაელიანთა მფლობელობაში გადავიდა. ბაშანის ლაშქარმაც ვერ გაუძლო ღრუბლის სვეტში გახვეულ იდუმალ ძალას და მათი ძლიერი ციხე-სიმაგრეებიც ებრაელებმა დაიკავეს. მოაბი ვერ ბედავდა ისრაელზე იერიშის მიტანას; უაზრობად თვლიდნენ იმ ზებუნებრივ ძალასთან იარაღით ბრძოლას, რომელიც ისრაელის მხარეზე იბრძოდა. და მათ, ფარაონის მსგავსად, ჯადოსნობას მიმართეს, რათა უფლის საქმეები ჩაეშალათ. ისინი ისრაელის დაწყევლას მოსინჯავენ.

მეტად მჭიდრო იყო მოაბელთა და მიდიანელთა ეროვნული და რელიგიური კავშირები. ბალაკმა, მოაბელთა მეფემ, მიდიანელთა მხარდაჭერის მოპოვების მიზნით, მათი შეშინება გადაწყვიტა და ასეთი სიტყვებით მიმართა: "ახლა გადაჭამს ეს ურდო ყველაფერს ჩვენს გარშემო, როგორც ნახირი გადაჭამს ხოლმე მინდვრის ბალახს". მესოპოტამიის მკვიდრი ბალაამი იმ არემარეში ცნობილი იყო ზებუნებრივი ძალის მქონე პიროვნებად, რომლის სახელის დიდებამ მოაბის ქვეყნამდეც მიაღწია. დასახმარებლად მოუხმეს მას. გაგზავნეს მასთან "მოაბის უხუცესები და მიდიანის უხუცესები", რათა შეეჩვენებინა და დაეწყევლა ისრაელიანნი.

მყისვე დაადგნენ წარგზავნილნი მესოპოტამიისკენ მიმავალ გრძელ გზას, მრავალი მთა და უდაბნო გაიარეს, მივიდნენ ბალაამთან და მეფის სიტყვები გადასცეს: "აჰა, ერთი ხალხი გამოვიდა ეგვიპტიდან. აჰა, დაფარა მან მიწის პირი და ჩემს ახლოს დასახლდა. ახლა, მოდი და დამიწყევლე ეს ხალხი, რადგან ჩემზე ძლიერია იგი. იქნებ მაშინ შევძლო მისი დამარცხება და ქვეყნიდან განდევნა, რადგან ვიცი, ვისაც შენ ლოცავ, დალოცვილია, და ვისაც სწყევლი, დაწყევლილია".

ოდესღაც კარგი ადამიანი და ღვთის წინასწარმეტყველი იყო ბალაამი, მაგრამ განუდგა უფალს და ანგარების ცოდვაში ჩაეფლო. თუმცა, თავს კვლავ ღვთის მსახურად თვლიდა. ყველაფერი იცოდა იმ საქმეების შესახებ, ისრაელისთვის რომ გააკეთა უზენაესმა. ისიც კარგად იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო ამ შემთხვევაში - უარი ეთქვა ბალაკის საჩუქრებზე და მისგან გამოგზავნილი უხუცესნი უკან გაეგზავნა. მაგრამ მაცდურთან თამაში იწყო ბალაამმა და ღამის გასათევად მიიპატიჟა ისინი. თანაც განუცხადა, რომ პასუხის გაცემა არ შეუძლია, სანამ უფალს არ დაელაპარაკება. ბალაამმა კარგად იცოდა, რომ მისი წყევლა ვერაფერს დააკლებდა ისრაელს. თავად უფალი იყო ამ ხალხთან და, სანამ ებრაელი ერი მისი ერთგული იყო, ვერც ჯოჯოხეთისა და ვერც რაიმე სხვა ძალა ვერაფერს გახდებოდა მასთან. მაგრამ მის პატივმოყვარე გულს ესიამოვნა წარგზავნილთა სიტყვები: "ვისაც შენ დალოცავ, დალოცვილია, და ვისაც სწყევლი, დაწყევლილია". დიდებას და

[438]

[439]

ძვირფას ძღვენს დაეხარბა ბალაამი. სიხარულით მიიღო იგი და, თუმცა ღვთის ნების მკაცრ აღმსრულებლად თვლიდა თავს, ბალაკის სურვილის დაკმაყოფილებას შეეცადა.

ღამით უფლის ანგელოზი გამოეცხადა ბალაამს და უთხრა: "ნუ წაჰყვები მათ, ნუ დასწყევლი მაგ ხალხს, რადგან კურთხეულია იგი".

მეტად უხალისოდ გაუშვა ბალაამმა მეფის ელჩები მეორე დილას ისე, რომ უფლის სიტყვები არც გაუმხელია. დიდად გაბრაზდა იმის გამო, რომ ასეთი პატივი და სიმდიდრე ხელიდან ეცლებოდა და უგუნებოდ უთხრა: "წადით თქვენს ქვეყანაში, რადგან არ უნდა უფალს, რომ გამოგყვეთ".

"შეიყვარა უკეთურობის საზღაური" ბალაამმა /2 პეტრ. 2:15/. ანგარების ცოდვამ, რასაც უფალი კერპთაყვანისმცემლობად მიიჩნევს, მლიქვნელად აქცია იგი და აი, ამ ერთადერთი ნაკლის

გამო სატანამ მასზე სრული ხელმწიფება მოიპოვა და დაღუპვის კარამდე მიიყვანა. მაცდური მუდამ ცდილობს, ამქვეყნიური სიმდიდრითა და დიდებით აცდუნოს და უფლის სამსახურს მოსწყვიტოს ადამიანი. შთააგონებს რა, რომ ზედმეტი პატიოსნება და წმიდა სინდისი წინ ეღობება უკეთეს ცხოვრებას, იგი მრავალ ღვთის ერთგულ ადამიანს გზას უმრუდებს. ერთ არასწორ ნაბიჯს მეორე მოჰყვება, რადგან იგი პირველზე იოლია და ადამიანი თანდათანობით სულ უფრო თავდაჯერებული ხდება. და ერთ მშვენიერ დღეს ხელმწიფების წყურვილი და სიხარბე უფრო საშინელ ცოდვას ჩაადენინებს. ადამიანები თავს იტყუებენ, როცა ფიქრობენ, რომ მიწიერი დიდების მოსაპოვებლად შეიძლება პატიოსნებაზე დროებით თვალის დახუჭვა, ხოლო მიზნის მიღწევის შემდეგ, ნებისმიერ დროს, როგორც კი მოისურვებენ, უკან დაბრუნებას შეძლებენ. სინამდვილეში კი სატანის ბადეში იხლართებიან, საიდანაც ძალიან ძნელია თავის დაღწევა.

დაბრუნდნენ ელჩები და ბალაკს მოახსენეს, რომ არ ისურვა წინასწარმეტყველმა მათთან ერთად წამოსვლა. აზრადაც არ მოსვლიათ მათ, რომ ეს უფალმა აუკრძალა. ბალაამის უარი უფრო დიდი ანაზღაურების სურვილად მიიღო მეფემ და ადრინდელზე უფრო მაღალი რანგის დიდებულნი გაუგზავნა მას, რომელთაც უბრძანა, ბალაამის ნებისმიერ პირობაზე დათანხმებულიყვნენ. თანაც შეუთვალა, რომ მათგან უდიდესი პატივი ელის. დაჟინებით სთხოვდა ბალაკი: "უარს ნუ ამბობ

ჩემთან მოსვლაზე, რადგან დიდ პატივს მოგაგებ და რასაც მეტყვი, ყველაფერს გაგიკეთებ. მოდი, შემიჩვენე ეს ხალხი".

კიდევ ერთხელ გამოიცადა ბალაამი. ამჯერად ელჩების თხოვნაზე უდიდესი გონიერება და პატიოსნება გამოავლინა და უპასუხა, რომ ოქრო-ვერცხლის გულისათვის უფლის ნებას ვერ გადავა. მაგრამ მაინც ძალიან სურდა, მეფის თხოვნა აესრულებინა და, თუმცა უფლის ნება ამის შესახებ უკვე კარგად იცოდა, კვლავ ღამის გასათევად მოიწვია ელჩები. კიდევ ერთხელ განიზრახა ბალაამმა უფალთან საუბარი, თითქოს უზენაესი ადამიანი ყოფილიყოს და მასთან მოლაპარაკება შეიძლებოდეს.

ღამით გამოეცხადა უფალი ბალაამს და უთხრა: "თუ შენს დასაძახებლად მოვიდნენ ეს კაცები, ადექი და წაჰყევი მათ. ოღონდ, როგორც გეტყვი, ისე მოიქეცი". ასეთი პირობით დააკმაყოფილა უფალმა ბალაამის დაჟინებული სურვილი. ამ ადამიანმა არ მოისურვა უფლის ნების აღსრულება, საკუთარი გზა აირჩია და, თანაც, უფლის კეთილგანწყობის მოპოვების სურვილსაც ვერ თმობდა.

ასე იქცევა დღესაც ათასობით ადამიანი. არ გაუძნელდებოდათ თავისი მოვალეობის შესრულება, თუკი იგი საკუთარ ინტერესებს დაემთხვეოდა. ბიბლია, ცხოვრებისეული პირობები

და გონებაც ამ მოვალეობისკენ მიუთითებს, მაგრამ მასზე უარს ამბობენ, რადგან მათ სურვილებსა და მისწრაფებებს არ

[440]

[441]

ეთანხმება. თანაც ბედავენ და თავხედურად ეკითხებიან ღმერთს საკუთარი მოვალეობის შესახებ. დიდხანს და მხურვალედ ლოცულობენ ისინი, ჭეშმარიტების ნათელს ითხოვენ, თითქოსდა უდიდესი სიბრძნე გააჩნიათ. მაგრამ ღმერთთან ხუმრობა არ შეიძლება. უფალი ხშირად ნებას რთავს ამ ადამიანებს, დაიკმაყოფილონ საკუთარი სურვილები, რითაც ბოლოს მწარე ნაყოფს იმკიან. "არ ისმინა ჩემმა ხალხმა ხმა ჩემი... და მივუშვი ისინი თავიანთ გულისწადილზე, იარონ თავიანთ ნებაზე" /ფს. 80:12,13/. როდესაც ადამიანი ნათლად შეიცნობს საკუთარ მოვალეობას, არ უნდა სთხოვოს უფალს მისგან გათავისუფლება. არამედ მორჩილად უნდა ითხოვოს ღვთიური სიბრძნე ამ დავალების შესასრულებლად.

დაცემული, კერპთაყვანისმცემელი ხალხი იყო მოაბელები. თუმცა, ნაკლებად ცოდვილნი ზეცის თვალში, ვიდრე ბალაამი, რომელსაც ღვთის წინასწარმეტყველად თვლიდნენ და მის

ნათქვამ ყოველ სიტყვას ღვთის ნებად მიიჩნევდნენ. ამიტომ აკრძალული ჰქონდა იმის თქმა, რისი თქმაც სურდა. უნდა ეთქვა მხოლოდ ის, რასაც უფალი უბრძანებდა. "როგორც გეტყვი, ისე მოიქეცი", - უბრძანა უფალმა.

გაუშვა უფალმა ბალაამი მოაბელ ელჩებთან ერთად, თუკი დილას გამოუვლიდნენ და წაიყვანდნენ. მაგრამ მისი უარით განაწყენებულმა, იმედგაცრუებულმა ელჩებმა აღარ მოინახულეს იგი და უკან გაბრუნდნენ. ამგვარად, ბალაამს აღარ სჭირდებოდა ბალაკის თხოვნის დაკმაყოფილება. მაგრამ მას ისე ძლიერ სურდა მდიდრული ძღვენის მიღება, რომ შეჯდა თავის სახედარზე და გზას გაუდგა. დიდად შიშობდა ბალაამი, რომ ღმერთი ახლაც აუკრძალავდა წასვლას და ძლიერ ჩქარობდა, რათა სასურველი სიმდიდრე ხელიდან არ გამოსცლოდა.

მაგრამ "დადგა უფლის ანგელოზი მის დასაბრკოლებლად". მხოლოდ სახედარმა დაინახა ბალაამის უხილავი ანგელოზი და გზიდან მინდორში გადაუხვია. იმედგაცრუებულმა ბალაამმა სასტიკად სცემა სახედარს, რათა გზაზე დაებრუნებინა, მაგრამ ღობეებს შორის ვიწრო გასასვლელში ანგელოზი გამოჩნდა. მისგან შეშინებული სახედარი "აეკრა კედელს და ბალაამის ფეხიც მიაჭყლიტა ზედ". თავად ბალაამი ვერ ხედავდა ანგელოზს და არ იცოდა, რომ უფალმა გზა გადაუღობა. განრისხებულმა პატრონმა კვლავ სასტიკი ცემა დაუწყო უდანაშაულო ცხოველს, რათა წინ ნაბიჯი გადაედგმევინებინა.

კვლავ გამოჩნდა "უფლის ანგელოზი და ჩადგა ვიწროში, საიდანაც არც მარჯვნივ იყო გასახვევი გზა და არც მარცხნივ". განრისხებული ანგელოზის დანახვით შეშინებული სახედარი შედგა და მიწაზე გაწვა. გაცოფებულმა ბალაამმა უფრო სასტიკად, ჯოხით დაუწყო ცემა პირუტყვს. მაშინ გაუხსნა ბაგე უფალმა სახედარს. "უტყვი ვირი ადამიანის ხმით ალაპარაკდა და ალაგმა წინასწარმეტყველის სიშმაგე" /2 პეტრ. 2:16/. "რა დაგიშავე, რომ უკვე მესამედ მცემ?"

გამძვინვარებულმა, დაბრკოლებებით დიდად განაწყენებულმა ბალაამმა ისე უპასუხა სახედარს, როგორც გონიერ არსებას: "რა და, მასხრად ამიგდე. მახვილი რომ მქონდეს ხელში, ახლავე მოგკლავდი". ცრუ შემლოცველმა, რომელსაც მთელი ერი უნდა შეეჩვენებინა და ამით დაესუსტებინა, იმ პირუტყვის მოკვლაც კი ვერ შეძლო, რომელზედაც იჯდა!

აეხილა თვალი ბალაამს. იხილა უფლის ანგელოზი გაშიშვლებული მახვილით ხელში, მის მოსაკლავად გამზადებული. "თაყვანისცა და პირქვე დაემხო. უთხრა მას უფლის ანგელოზმა: რისთვის სცემ შენს სახედარს უკვე მესამეჯერ? აჰა, შენ დასაბრკოლებლად გამოვედი, რადგან უკუღმართია შენი გზა ჩემს თვალში. დამინახა სახედარმა და უკვე მესამეჯერ გადაუხვია ჩემგან. რომ არ

[442]

გადაეხვია, შენ მოგკლავდი, მას კი ცოცხალს დავტოვებდი".

საწყალმა პირუტყვმა, ასე უმოწყალოდ რომ სცემა პატრონმა, სიკვდილს გადაარჩინა ბალაამი. ადამიანი, რომელიც თავს ღვთის წინასწარმეტყველს უწოდებდა, რომელსაც "თვალები ღია აქვს" და "ხედავს ხილვებს ყოვლადძლიერისგან", იმდენად დააბრმავა ანგარებამ და სიხარბემ, რომ ვერ დაინახა ღვთის ანგელოზი, რომლის ხილვაც სახედარმა შეძლო. "ამ წუთისოფლის ღმერთმა დაუბრმავა გონება ურწმუნოთ" /2 კორ. 4:4/. რამდენი ასეთი ბრმაა დღეს წუთისოფელში! აკრძალულ ტერიტორიაზე გადასვლით უფლის რჯულს რომ არღვევენ და ვერ ხედავენ ვერც უფალს და ვერც მის ანგელოზთ, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ მათ. ბალაამის მსგავსად, ისინიც ურისხდებიან მათ, ვისაც მათი დაღუპვისაგან ხსნა სურთ.

პირუტყვისადმი დამოკიდებულებამ გააშიშვლა ბალაამის სული. "მართალი ზრუნავს თავისი პირუტყვის სიცოცხლეზე, ბოროტეულთა გული კი სასტიკია" /იგავ. 12:10/. ბევრს არ ესმის, რომ პირუტყვისადმი ცუდად მოქცევა ან მისი უპატრონოდ დატოვება - ცოდვაა უფლის თვალში. "კარგია უფალი ყველას მიმართ და მისი წყალობაა ყველა მის ნამოქმედარზე" /ფს.

144:9/. მართალია, პირუტყვი ადამიანის სამსახურისთვისაა გაჩენილი, მაგრამ ეს არ აძლევს უფლებას, აწვალოს ან სასტიკად მოექცეს მას.

ადამიანის დაცემის გამო "მთელი ქმნილება ერთად კვნესის და იტანჯება აქამდე" /რომ. 8:22/. ტანჯვა და სიკვდილი არა მხოლოდ ადამიანის, არამედ ცხოველთა ხვედრიც გახდა. ამიტომ, ადამიანმა უნდა შეუმსუბუქოს და არ გაუღრმავოს ტანჯვის ტვირთი ყველა ქმნილებას, რომელსაც დააწვა იგი მისი დაცემის გამო. ის, ვინც პირუტყვს აწვალებს, რადგან იგი მისი საკუთრებაა, მხდალია და ტირანი. თვისება, ტკივილი მიაყენონ ახლობელს ან პირუტყვს - სატანურია. ბევრს ჰგონია, რომ ცხოველისადმი მათ სასტიკ მოქცევას ვერავინ გაიგებს, რადგან ცხოველი უტყვია, მაგრამ მათ რომ, ბალაამის მსგავსად, თვალი აეხილოთ, იხილავენ ღვთის ანგელოზს, შორიახლო მდგარს, რათა ზეცაში დაამოწმოს მათი უმსგავსო საქციელი. ეს ცოდვა ჩაიწერება და დადგება დღე, როცა ყველას, ვინც ღვთის ქმნილებას ბოროტად ექცეოდა, განაჩენს გამოუტანენ.

როცა ბალაამმა უფლის მაცნე იხილა, თავზარდაცემულმა შესძახა: "შევცოდე, რადგან არ ვიცოდი, რომ შენ იყავი ჩემს გზაზე გადამდგარი. ახლა კი, თუ ეს ბოროტებაა შენს თვალში, უკან გავბრუნდები ჩემთვის". უფალმა ნება დართო, გზა განეგრძო, ოღონდ გააფრთხილა, რომ მხოლოდ იმას ილაპარაკებდა, რასაც უფალი უბრძანებდა. ღმერთს სურდა,

მოაბისთვის ეჩვენებინა, რომ ებრაელებს ზეცა მფარველობს, რაც დიდი წარმატებით განახორციელა კიდეც, როცა დაანახა, თუ რაოდენ უძლურია ბალაამი, როცა უფლის საწინააღმდეგო საქმეს აკეთებს.

და აი, მოაბის მეფეს ბალაამის მოახლოება ამცნეს. თავისი დიდებული ამალით მის შესახვედრად გაემგზავრა იგი. განცვიფრდა მეფე, როცა გაიგო, რომ ასეთი ძვირფასი საჩუქრები უარყო ბალაამმა. ამაზე წინასწარმეტყველმა უპასუხა: "აჰა, მოვედი შენთან. განა შემიძლია ახლა რაიმეს თქმა? რასაც ღმერთი ჩამიდებს ბაგეებში, იმას ვიტყვი". ბალაამი ძალზე ნანობდა ამის გამო. ეშინოდა, რომ ვერ შეასრულებდა თავის განზრახვას, რადგან ღმერთი ყველგან თვალყურს ადევნებდა.

უდიდესი პატივით მიაცილეს მეფემ და მისმა დიდებულმა ვასალებმა ბალაამი "ბაალის გორაკებამდე", საიდანაც კარგად ჩანდა ებრაელთა ბანაკი. იდგა წინასწარმეტყველი გორაკზე და უფლის რჩეული ხალხის კარვებს გაჰყურებდა. რა ცოტა რამ იცოდა ისრაელმა იმის შესახებ, რაც მის ირგვლივ

[443]

[444]

ხდებოდა! რა ცოტა რამ ვიცით იმის შესახებ, თუ როგორ ზრუნავს და გვმფარველობს ღმერთი დღე და ღამ! რა ღარიბია ღვთის ხალხის შემეცნება! რა ძნელად აღიქვამდნენ ყოველთვის მისი შვილები უფლის ესოდენ დიდ სიყვარულსა და მოწყალებას. ო, რა მადლიერნი იქნებოდნენ ღვთის შვილები მისი ასეთი სიყვარულის გამო, რა მოწიწებით სცემდნენ თაყვანს მის დიდებულებას და ძლიერებას, უფლის ამ საოცარი ძალის ხილვა რომ შეეძლოთ!

ბალაამმა ზოგი რამ იცოდა ებრაელთა მსხვერპლშეწირვის წესების შესახებ და წინასწარმეტყველების უპირატესობის გამოყენებით უფლის კურთხევის მიღებას და, იმავდროულად, საკუთარი უწმიდური განზრახვის აღსრულებას შეეცადა. მოაბელთა მიერ შემოთავაზებულმა ძღვენმა თავგზა აუბნია ბალაამს: სიბრძნე უგუნურებად ექცა, შორსმჭვრეტელობის უნარი გაუქრა, სატანის ზეგავლენამ სრულიად დააბრმავა.

შვიდი სამსხვერპლოს აგება ბრძანა ბალაამმა და თითოეულ სამსხვერპლოზე შესაწირავი მიიტანა. შემდეგ მაღლობზე ავიდა უფალთან შესახვედრად და დაპირდა ბალაკს, რომ ყველაფერს ეტყოდა, რასაც ღმერთი გამოუცხადებდა.

მოაბელ მთავართა და წარჩინებულთა შორის სამსხვერპლოს გვერდით იდგა მეფე; გარს ცნობისმოყვარეთა ბრბო ერტყა, რომელიც წინასწარმეტყველის დაბრუნებას მოუთმენლად ელოდა. და აი, ბოლოს, წინასწარმეტყველიც გამოჩნდა. ყველა ელოდა მისგან ისეთი სიტყვების წარმოთქმას, რომელიც საუკუნოდ დაამსხვრევდა იმ უჩვეულო ძალას, რომელიც მათთვის დიდად საძულველ ისრაელს აქამდე ასე ეხმარებოდა. და ბალაამმა წარმოთქვა:

"არამიდან მომიყვანა ბალაკმა, მოაბის მეფემ,

აღმოსავლეთის მთებიდან: მოდი, დამიწყევლე იაკობი,

მოდი, შემიჩვენე ისრაელი.

როგორ დაგიწყევლო? ღმერთს არ დაუწყევლია.

როგორ შევაჩვენო? ღმერთს არ შეუჩვენებია.

რადგან კლდის თავიდან ვხედავ მას და

გორაკებიდან ვუყურებ მას: აჰა, ცხოვრობს ერი

განმარტოებით და ხალხებში არ ირიცხება.

ვინ აღრიცხავს იაკობის ქვიშას და ისრაელის

მეოთხედის სათვალავს?

მოვკვდე მართალთა სიკვდილით

და იყოს ჩემი აღსასრული, როგორც მათი!"

აღიარა ბალაამმა, რომ ნამდვილად ისრაელის დასაწყევლად მოვიდა, მაგრამ მის მიერ წარმოთქმული სიტყვები მისი გრძნობების სრულიად საწინააღმდეგო იყო. ისრაელის დაწყევლა სურდა მის გულს, ბაგემ კი კურთხევა წარმოსთქვა.

მაღლობიდან გაჰყურებდა ისრაელიანთა ბანაკს ისრაელის კეთილდღეობით განცვიფრებული ბალაამი. მეტად ჩამორჩენილ, ყაჩაღთა ბუნაგად თვლიდა ბალაამი ამ ხალხს. ასე აცნობდნენ ამ ხალხს, მეზობელი ტომებისათვის მეტად საშიშს და საზარელს, მაგრამ სრულიად საწინააღმდეგო რამ იხილა წინასწარმეტყველმა! საოცარი წესრიგი და სისუფთავე სუფევდა ისრაელიანთა ბანაკში. ახლა მიხვდა იგი ამ ხალხისადმი უფლის

კეთილგანწყობას და ღვთის რჩეული ხალხის განსაკუთრებულობას. შეუძლებელი იყო მათი სხვა ხალხებთან შედარება, რადგან ყველაზე მაღლა იდგნენ ისინი. "აჰა, ცხოვრობს ერი განმარტოებით და ხალხებში არ ირიცხება!" ეს სიტყვები მაშინ წარმოითქვა, როცა ისრაელი უდაბნოში ერთი ადგილიდან მეორეში გადადიოდა და მის რჩეულობას და წეს-ჩვეულებებს არ იცნობდა ბალაამი. მაგრამ, რა საოცრად

[447]

აღსრულდა ეს წინასწარმეტყველება ამ ხალხის შემდგომ ისტორიაში! ტყვეობის წლებშიც და შემდგომ საუკუნეებშიც, როცა წუთისოფელში გაიფანტნენ, განსაკუთრებულ ხალხად ითვლებოდა ისრაელი. და ასეა დღესაც: ღვთის ხალხი, მსოფლიო ხალხებს შორის გაფანტული ჭეშმარიტი ისრაელი, ხიზანია დედამიწაზე, ვინაიდან ზეცაშია მისი მარადიული საცხოვრისი.

თვალწინ გადაეშალა ბალაამს ებრაელი ხალხის, არა მხოლოდ როგორც ერის, ისტორია, არამედ ღვთის ჭეშმარიტი ისრაელის წინსვლა და აღმავლობა ბოლო ჟამამდე. იხილა უზენაესის განსაკუთრებული წყალობა მის მოყვარულთა და მოშიშთათვის. ისიც იხილა, თუ როგორ ეხმარებოდა იგი თავისი ძლიერი

ხელით მათ, შავეთის ველზე მავალთ. ხედავდა მათ, სამარხებიდან აღმდგართ, მარადიული დიდებითა და უკვდავებით მოსილთ. იხილა გამოსყიდულნი, ახალი მიწის ჩაუმქრალი დიდებით დამტკბარნი. და ამ დიდებულების დანახვით განცვიფრებულმა ბალაამმა წამოიძახა: "ვინ აღრიცხავს იაკობის ქვიშას და ისრაელის მეოთხედის სათვალავს?" და როცა ყოველ მათგანზე დიდების გვირგვინი და ბედნიერებისა და სიხარულის სხივით განათებული სახეები იხილა, როცა მათი მარადიული სიცოცხლის სიღრმეს ჩასწვდა, საზეიმო ლოცვა აღმოხდა: "მოვკვდე მართალთა სიკვდილით და იყოს ჩემი აღსასრული, როგორც მათი!".

ბალაამს რომ უფლის გამოგზავნილი სინათლის სხივის მიღება მოესურვებინა, თავისივე წარმოთქმულ სიტყვას აასრულებდა და მოაბელებთან ყოველგვარ კავშირს გაწყვეტდა; უფლის მადლთან ხუმრობას ვეღარ გაბედავდა და თავის დანაშაულს გულწრფელად მოინანიებდა. მაგრამ მან "უკეთურობის საზღაური" აირჩია და მტკიცედ გადაწყვიტა, მიეღო იგი.

ბალაკს მტკიცედ სჯეროდა, რომ მოისმენდა წყევლას, რომელიც საშინელ დარტყმას მიაყენებდა ისრაელს, მაგრამ წინასწარმეტყველის სიტყვების გაგონებაზე რისხვით წარმოთქვა: "რას მიშვრები? ჩემი მტრების დასაწყევლად წამოგიყვანე, შენ კი აქ ლოცავ მათ!" თავი გაიმართლა ბალაამმა მეფის წინაშე და უთხრა, რომ ღვთიური ძალის უჩვეულო

ზემოქმედებამ აიძულა ღვთის სიტყვების წარმოთქმა. "განა, რაც უფალმა ჩამიდო ბაგეებში, ზუსტად ის არ უნდა ვილაპარაკო?".

კვლავაც არ უარყო თავისი განზრახვა ბალაკმა. იფიქრა, რომ ებრაელთა მრავალრიცხოვანი ბანაკის ხილვამ შეაშინა წინასწარმეტყველი და მათი შეჩვენება ვერ გაბედა. ამიტომ წინასწარმეტყველი ისეთი ადგილისაკენ წაიყვანა, საიდანაც ისრაელიანთა ბანაკის მხოლოდ მცირე ნაწილი მოჩანდა. თუნდაც ისრაელის მცირე ნაწილიც რომ დააწყევლინოს წინასწარმეტყველს, - ფიქრობდა ბალაკი, - მათი მთელი ბანაკი დაიღუპება. და კიდევ ერთხელ სცადეს იმის გამეორება ფისგას მთის წვერზე. კვლავ ააგეს მასზე შვიდი სამსხვერპლო, კვლავ შესწირეს მსხვერპლი. მეფე და დიდებულნი სამსხვერპლოსთან დარჩნენ, ბალაამი კი უფალთან შესახვედრად ავიდა. კვლავაც უნდა მიეღო მას უფლის სიტყვა, რომლის შეცვლა ან დამალვა მას არ შეეძლო.

კვლავაც მოუთმენლად ელოდა ხალხი მის დაბრუნებას. და ჰკითხეს: "რა ილაპარაკა უფალმა?" და მისმა პასუხმა კვლავინდებურად თავზარი დასცა მეფესა და მის მხლებელთ:

"ღმერთი კაცი არ არის, რომ ცრუობდეს

და არც ადამიანია, რომ გადათქვამდეს.

თქვას და არ გააკეთოს?

ილაპარაკოს და არ შეასრულოს?

აჰა, დალოცვა მებრძანა.

[448]

მან დალოცა და მე ვერ გადავთქვამ.
არ არის სიცრუე იაკობში

და არ ჩანს მზაკვრობა ისრაელში;

უფალი, მათი ღმერთია მასთან

და სამეუფეო ბუკის ხმაა მასში".

ასეთი გამოცხადებით შეშინებულმა ბალაამმა წამოიძახა: "არ არის გრძნეულება იაკობში და არ არის ჯადოქრობა ისრაელში". სახელგანთქმულმა შემლოცველმა მთელი თავისი ოსტატობა გამოიყენა მოაბელთა მეფის სურვილის შესასრულებლად, მაგრამ, ამჯერად იძულებული იყო, ისრაელზე ეთქვა: "აი, რა მოიმოქმედა ღმერთმა!" სანამ ებრაელ ერს უფალი ღმერთი იცავდა, ვერც ერთი ხალხი და ვერც ერთი ლაშქარი, თვით სატანის ძალაც კი ვერ გატეხდა მას. მთელი წუთისოფელი უნდა განეცვიფრებინა სასწაულებს, რომელსაც უზენაესი ახდენდა თავისი ხალხისათვის: ღვთიურმა ძალამ ისე დაიმორჩილა ადამიანი, რომელმაც ცოდვის გზით სიარული ამჯობინა, რომ შეჩვენების ნაცვლად ყველაზე მშვენიერი, ამაღლებული პოეტური ენით ღვთის ძვირფასი აღთქმა წარმოთქვა. და მაშინდელი ისრაელისადმი გამოვლენილი ღვთიური წყალობა ღვთიური მფარველობის საწინდარი უნდა ყოფილიყო მომავალში ყველა საუკუნის ღვთის მორჩილთათვის. როცა სატანა და მისი ბოროტი მსახურნი ცილისწამებას, მწუხარებასა და უბედურებას დაატეხენ თავს ღვთის შვილთ, მაშინ გაიხსენებენ ისინი ამ ამბავს და ღვთისადმი რწმენა გაუღრმავდებათ.

იმედგაცრუებულმა და სასოწარკვეთილმა მოაბის მეფემ ბალაამს შესთხოვა: "ნურც შეაჩვენებ მას და ნურც დალოცავ". იმედის მცირე ნაპერწკალი კიდევ დარჩენოდა გულში და გადაწყვიტა, კიდევ ერთხელ ეცადა ბედი. ახლა ფეგორის მთაზე აიყვანა მან ბალაამი, ტაძართან, სადაც თავის უწმიდურ ღმერთს,

ბაყალს, სცემდნენ თაყვანს მოაბელები. აქაც ააგეს შვიდი სამსხვერპლო, შესწირეს მსხვერპლი, მაგრამ ბალაამი აღარ წავიდა მარტო უფალთან შესახვედრად და მისი ნების გასაგებად. აღარ ღელავდა ბალაამი. იქვე, სამსხვერპლოსთან იდგა და ისრაელიანთა კარვებს გაჰყურებდა. კვლავ გადმოვიდა მასზე წმიდა სული და კვლავ წარმოთქვა მისმა ბაგემ ღვთიური სიტყვები:

"რა მშვენიერია შენი კარვები, იაკობ!

შენი სადგომები, ისრაელ!

როგორც გაშლილი ჭალები,

როგორც ბაღები მდინარის პირას,

როგორც უფლის დარგული ალვები,

როგორც წყლისპირა კედრები.

იდინებს წყალი მისი სარწყულებიდან

და მისი თესლი დიდ წყლებში იქნება;

აგაგზე უფრო ამაღლდება მისი მეფე

და აღზევდება მისი სამეფო.

...ჩაიმუხლა, გაწვა ხვადი ლომივით

და ძუ ლომივით, ვინ წამოაგდებს?

დალოცვილია შენი დამლოცველი

და დაწყევლილია შენი მაწყევარი".

აქ, ღვთის ხალხის აღმავლობის აღწერისათვის ბუნების ყველაზე ლამაზი სურათებია მოყვანილი. უხვმოსავლიან, ნაყოფიერ ჭალებს ადარებს წინასწარ -მეტყველი ისრაელს; დაუმშრალი წყაროებით მორწყულ, აყვავებულ ბაღებს,

[449]

[450]

უფლის დარგულ ალვებსა და დიდებულ კედრებს. ეს ბოლო სიმბოლური შედარება ერთ-ერთი ყველაზე მშვენიერი და ზუსტია მთელს წმიდა წერილში. ლიბანის კედარი დიდად ფასობდა აღმოსავლეთის ქვეყნებში. ყველგან შეხვდებით ამ ხეს, მთელი დედამიწის ზურგზე, სადაც კი ადამიანს ფეხი დაუდგამს. არქტიკის ზონიდან ტროპიკებამდე თვალს ახარებს მათი დიდებული, დაფოთლილი ტოტები მდინარის ნაპირებზე და მშრალ, მცხუნვარე უდაბნოშიც. ღრმად იდგამს იგი ფესვებს ქვა-ღორღიან მაღლობებზე, ამაყად და მედგრად უმკლავდება ყოველგვარ ქარიშხალს. ქორფაა მისი მწვანე ფოთლები მაშინაც კი, როცა ზამთრის სუსხის პირველივე დაკვრისას სხვა ხეები მყისვე იღუპებიან. დიდი სიმტკიცითა და გამძლეობით გამოირჩევა სხვა ხეებისაგან მისი მერქანი, რომელსაც იმ ადამიანებს ადარებენ, რომელთა "სიცოცხლე დაფარულია ქრისტესთან ღმერთში" /კოლ. 3:3/. ასე ამბობს წმიდა წერილი: "წმიდანი... ლიბანის კედარივით წამოიმართება" /ფს. 91:13/. ღვთიურმა ხელმა აამაღლა კედარი და ტყის მეფედ აქცია. "ალვისხეები ვერ ედრებოდნენ თავისი რტოებით; ნეკერჩხლები თავისი ტოტებით ვერ უტოლდებოდნენ მას; ღვთის ბაღის ვერცერთი ხე ვერ უსწორდებოდა თავისი სილამაზით" /ეზეკ. 31:8/. წმიდა წერილში კედარი ხშირადაა გამოყენებული მეფის

სიმბოლოდ, აგრეთვე მართალთა სიმბოლოდ, ღვთის მორჩილთა ზეცის ნების მიმართ დამოკიდებულების გამოსახატავად.

ბალაამმა იწინასწარმეტყველა, რომ ისრაელის მეფე აგაგზე უფრო სახელდე -ბული და ამაღლებული იქნება. ეს სახელი იმ დროისათვის ყველაზე ძლიერი ხალხის, ყამალეკის მეფეებს ეძლეოდათ, მაგრამ ყველა მტერს დაამარცხებს ისრაელი, თუკი ღვთის ერთგული დარჩება. ისრაელის მეფე ღვთის ძე იყო. და დადგება დღე, როცა მისი ხელმწიფება დამყარდება დედამიწაზე და ყველა მიწიერ მეფეზე აღზევებული იქნება იგი.

უსმინა წინასწარმეტყველის სიტყვებს ბალაკმა. გაუცრუვდა იმედები. შეშინდა და განრისხდა მეტად. ყველაფერი მის საწინააღმდეგოდ შებრუნდა. ბალაამმაც ვერაფრით გაამხნევა. მისი ნების საწინააღმდეგოდ, შეჩვენების ნაცვლად აკურთხა ისრაელი მან. წინასწარმეტყველის მზაკვრულმა, სულმდაბლურმა საქციელმა სიძულვილით აღავსო ბალაკი და განრისხებულმა შესძახა: "ახლა გაიქეცი შენს ადგილას. ვიფიქრე, პატივს გცემ-მეთქი და, აჰა, დაგიკავა პატივი უფალმა". წინასწარმეტყველმა კი თავისი გაფრთხილება გაახსენა - იგი მხოლოდ იმას ილაპარაკებს, რასაც უფალი უბრძანებს.

სახლში დაბრუნებამდე ბალაამს აღმოხდა ერთ-ერთი ყველაზე დიდებული და ამაღლებული წინასწარმეტყველება

წუთისოფლის მხსნელისა და უფლის მტერთა საბოლოო განადგურების შესახებ:

"ვხედავ მას, მაგრამ არა ახლა;

ვუყურებ მას, მაგრამ არა ახლოდან.

ამოდის ვარსკვლავი იაკობისგან

და იმართება კვერთხი ისრაელისგან,

მოწყლავს მოაბის მთავრებს

და გაანადგურებს შეთის მთელს მოდგმას".

და ბოლოს, მოაბის, ედომის, ყამალეკისა და ქანაანელთა სრული განადგურება იწინასწარმეტყველა ბალაამმა, რითაც საბოლოოდ გაუქარწყლა მოაბის მეფეს გამარჯვების იმედი.

იმედგაცრუებულმა, მდიდრული, მეფური ძღვენისა და პატივის გარეშე დარჩენილმა, მეფისა და ღვთის რისხვით შეშინებულმა ბალაამმა უარი თქვა

[451]

თავისი ნებაყოფლობითი მისიის შესრულებაზე. შინ დაბრუნებისთანავე, როცა სულიწმიდის შემაკავებელმა ძალამ დატოვა, და სიხარბემ, რომელსაც აქამდე ღვთის სული აკონტროლებდა, გაიმარჯვა, იგი შეეცადა, ნებისმიერი გზით ჩაეგდო ხელში ბალაკის დანაპირები ძღვენი. მან კარგად იცოდა, რომ ისრაელის კეთილდღეობა ამ ერის ღვთისადმი მორჩილებაზე იყო დამოკიდებული. ისიც იცოდა, რომ ისრაელის დაცემის ერთადერთი საშუალება იყო ცოდვა, რომლის ჩადენითაც ეს ერი უფლის რისხვას გამოიწვევდა. კვლავ შეეცადა ბალაამი ბალაკის კეთილგანწყობის მოპოვებას და ურჩია, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ მოაბელები, ისრაელის დაცემა რომ გამოეწვიათ.

დაუყოვნებლივ დაბრუნდა იგი მოაბის ქვეყანაში და თავის გეგმა გაანდო მეფეს. მოაბელებმა თავადაც კარგად იცოდნენ, რომ სანამ ისრაელი ღვთის ერთგული იყო, უფალი დაიფარავდა მას. ბალაამის გეგმა ისრაელის კერპებისაკენ მოქცევას და ამით მის ღვთისაგან დაშორებას ითვალისწინებდა. აჰ, რომ შეიძლებოდეს ისრაელის მათი ღმერთების - ბაყალისა და ყაშთორეთისაკენ - გადმობირება, მაშინ მათი ყოვლისშემძლე მფარველი მტრად მოეკიდებოდა ისრაელს და მისი მეზობელი

სასტიკი და მეომარი ხალხები ადვილად დაამარცხებდნენ მას. მეფემ დიდი კმაყოფილებით მიიღო ეს გეგმა და ბალაამიც მათთან დარჩა, რათა მის აღსრულებაში დახმარებოდა.

იხილა ბალაამმა წარმატებით განხორციელებული თავისი სატანური ჩანაფიქრი. თავად იყო მოწმე, თუ როგორ შეაჩვენა ღმერთმა თავისი ხალხი და ათასობით ებრაელი მისმა სამართლიანობამ იმსხვერპლა. მართალია, უფალმა ისრაელი თავისი ცოდვების გამო დასაჯა, მაგრამ ამ ცდუნების მოთავენიც ვერსად გაექცნენ დამსახურებულ შურისგებას. ბალაამი ისრაელსა და მიდიანელთა შორის გამართულ ბრძოლაში დაიღუპა. როდესაც ამბობდა: "მოვკვდე მართალთა სიკვდილით და იყოს ჩემი აღსასრული, როგორც მათი!" - იგი თავისი აღსასრულის მოახლოებას გრძნობდა. მაგრამ არ მოისურვა მართალთა ცხოვრებით ცხოვრება და ამიტომაც, ღვთის მტერთა ბედი გაიზიარა.

ძლიერ ჰგავს ბალაამის ხვედრი იუდას ხვედრს. ხასიათითაც დიდად ჰგვანან ერთმანეთს. ორივე ცდილობდა, ღმერთსაც მომსახურებოდა და მამონასაც და ორივე დამარცხდა. ბალაამი აღიარებდა ჭეშმარიტ ღმერთს და ამბობდა, რომ მას ემსახურება. იუდამაც სცნო ქრისტე მესიად და მის მიმდევართ შეუერთდა. ბალაამი ცდილობდა, ღვთისადმი მსახურება ფუფუნებისა და ამქვეყნიური დიდების ქვაკუთხედად ექცია. მაგრამ დამარცხდა, წაიფორთხილა, დაეცა და ვეღარ ადგა. ქრისტეს სიახლოვის

წყალობით სურდა იუდას იმ სამეფოში სიმდიდრისა და პატივის მოპოვება, რომელიც, მისი აზრით, ქრისტეს დედამიწაზე უნდა შეექმნა. იმედების გაცრუებამ განდგომილებამდე და დაღუპვამდე მიიყვანა. ბალაამსაც და იუდასაც უხვად მიეცა ზეციური ნათელი და განსაკუთრებული უპირატესობითაც სარგებლობდნენ, მაგრამ გულის სიღრმეში დამალულმა ერთადერთმა ცოდვამ მოუწამლა სული და დაღუპა ისინი.

დიდად სახიფათოა რომელიმე არაქრისტიანული თვისების გულში შენახვა. ასეთი დაფარული ერთადერთი ცოდვაც კი ანადგურებს პიროვნებას, რადგან ყველა კეთილშობილურ ნიჭს აიძულებს, ემსახუროს მდაბალ ვნებებს. სიფხიზლის მოდუნება, ხასიათის რომელიმე ცუდი თვისების დამალვა, მოვალეობის მაღალი პრინციპების უგულებელყოფა აშიშვლებს სულს და გზას უხსნის სატანას ჩვენს საცდუნებლად. ჩვენი ხსნის ერთადერთი გზა გულიდან ამოსული ლოცვაა. სწორედ ამას აკეთებდა დავითი: "გაამაგრე ჩემი ნაბიჯები შენს გზაზე, დაე, არ გადაუხვიონ ჩემმა ტერფებმა" /ფს. 16:5/.

[452]

თავი 41 - განდგომილება იორდანესთან

რიცხვნი 25

მხიარული გულითა და ღვთისადმი განახლებული რწმენით ბრუნდებოდა ბაშანიდან გამარჯვებული ისრაელის მხედრობა. ბაშანის მდიდარი ქვეყანა უკვე დაისაკუთრეს და დარწმუნდნენ, რომ მალე დაიპყრობდნენ ქანაანსაც, რომელსაც მათგან მხოლოდ მდინარე იორდანე ჰყოფდა. მდინარის გაღმა, სწორედ მათი ბანაკის პირდაპირ, აყვავებული, მცენარეებით უხვად შემოსილი, დიდებული პალმებით დაჩრდილული მწვანე ველი მდებარეობდა, რომელიც წყაროების წყლებით ირწყვებოდა. მის სამხრეთ საზღვართან იერიქონის სასახლეები და კოშკები აღმართულიყო და ამ პალმების ტყეში ჩაფლულ ქალაქს სამართლიანად უწოდებდნენ „პალმების ქალაქს".

იორდანეს აღმოსავლეთ ნაპირზე, მდინარესა და მაღალ პლატოს შორის, რომელიც მათ უკვე გაიარეს, ასევე რამდენიმე მილის სიგანის მდელო გადაშლილიყო. ამ ველზე ტროპიკული კლიმატი იყო და იმის გამო, რომ აქ უხვად იზრდებოდა აკაციები, ანუ შიტიმის ხეები, მას „შიტიმის ველს" უწოდებდნენ. აქ გაშალეს კარვები ისრაელიანებმა და მდინარის ნაპირას, ლამაზ ხეობებსა და აკაციის ტყეებში მონახეს მყუდრო თავშესაფარი.

მაგრამ ამ მშვენიერი ბუნების წიაღში მათ უფრო მეტი ხიფათი ელოდათ, ვიდრე უძლიერესი მტრისაგან და უდაბნოს

მტაცებელი ნადირისაგან. ეს მშვენიერი ბუნების ქვეყანა გაუწმიდურებული იყო მის მკვიდრთაგან. მათი ძირითადი ღვთაება ბაყალი იყო, რომელსაც სახალხოდ ემსახურებოდნენ და აქ მრავალ უწმიდურ და მდაბალ სცენას ჰქონდა ადგილი. აქ იყო მათი თავშესაყარი ადგილი ღვთაების მსახურებისა და აღვირახსნილი გართობებისათვის, რომელთა სახელწოდებებიც ამ ხალხის გარყვნილებასა და სულმდაბლობაზე მოწმობდა.

დამღუპველი ზეგავლენა მოახდინა ებრაელებზე ამ გარემოებამ. უღირსი ფიქრები მათი ხშირი სტუმარი გახდა, უზრუნველმა, უმოქმედო ცხოვრებამ გარყვნა მათი გული. ნელ-ნელა, შეუგნებლად დაშორდნენ ღმერთს და იმ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ, როდესაც ადამიანთა ცდუნება ძალიან ადვილია.

იორდანეს ნაპირებზე დაბანაკებისას მოსე ქანაანის დასაპყრობად ემზადებოდა. მუდამდღე ამ საქმით იყო დაკავებული, მაგრამ ხალხისთვის გაუგებრობისა და მოლოდინის ეს ჟამი მეტად მტანჯველი აღმოჩნდა; და, რამდენიმე კვირაც არ იყო გასული, რომ მათი ცხოვრების ისტორია საშინელი დანაშაულით შეიბღალა.

თავდაპირველად ისრაელიანთ არ ჰქონდათ რაიმე მნიშვნელოვანი ურთიერთობა თავიანთ წარმართ მეზობლებთან, მაგრამ ცოტა ხანში ბანაკში შეუმჩნევლად იწყეს შემოსვლა მიდიანელმა ქალებმა. მათ გამოჩენას განგაში არ

გამოუწვევია, ვინაიდან მეტად ფრთხილობდნენ ისინი, რომ მოსეს ყურადღება არ მიეპყროთ. ამ ქალების ასეთი მოქმედების მიზანი ებრაელებთან დაახლოება და მათი ცდუნება იყო, რათა მიეტოვებინათ უფლის გზით სიარული, უზენაესის რჯულის აღსრულება და კერპთაყვანისმცემელთა ტრადიციები მიეღოთ. ისე გულმოდგინედ მალავდნენ ისინი ამ განზრახვას მეგობრობის მანტიის ქვეშ, რომ ებრაელთა მთავრებსაც კი არ გასჩენიათ რაიმე ეჭვი.

ბალაამის რჩევით, მოაბის მეფემ უდიდესი ზეიმი მოაწყო თავის ღმერთთა პატივსაცემად. საიდუმლოდ შეთანხმდნენ, რომ ბალაამს უნდა დაერწმუნებინა ისრაელიანნი, აუცილებლად წასულიყვნენ ამ ზეიმზე. და, რადგან ბალაამს ღვთის წინასწარმეტყველად თვლიდნენ, მან ადვილად მიაღწია მიზანს. მრავალი ებრაელი გაჰყვა მას ზეიმზე, აკრძალულ ტერიტორიაზე ფეხის შედგმა გაბედეს

[453]

[454]

და, რა თქმა უნდა, სატანის მახეში გაებნენ. მუსიკამ და ცეკვებმა, წარმართ ქურუმ ქალთა სილამაზემ გაიტაცა ისინი და უღალატეს თავიანთ ღმერთს. ამ საყოველთაო ლხინითა და წარმართთა ღვინით დამთვრალი ისრაელიანები კონტროლს ვეღარ უწევდნენ საკუთარ თავს. ვნებამ შეიპყრო მთელი მათი არსება, საკუთარი სინდისი ვნებათა ღელვის დაკმაყოფილებით შებღალეს, ცდუნებას ვერ გაუძლეს და ცოცხალი ღმერთი კერპებზე გაცვალეს. მსხვერპლს სწირავდნენ წარმართთა სამსხვერპლოებზე და სხვადასხვა უხამს ცერემონიებში მონაწილეობდნენ.

სულ ცოტა ხანი დასჭირდა ამ სასიკვდილო შხამის ისრაელიანთა მთელ ბანაკში გავრცელებას. ხალხი, რომელმაც მრავალი ძლიერი მტერი დაამარცხა, თავად აღმოჩნდა დამარცხებული წარმართ ქალთა ხრიკებით. ადამიანებმა თითქოსდა გონება დაკარგეს. ერის მთავრებმა და თავკაცებმა პირველებმა დაარღვიეს რჯული და სწორედ ისინი აღმოჩნდნენ მთავარი დამნაშავენი ისრაელის საყოველთაო განდგომილებაში. „შეეთვისა ისრაელი ბაალ-ფეღორს". როცა ამ ამბავმა მოსეს ყურამდე მიაღწია, მტრის შეთქმულების ნაყოფი უკვე იმდენად წარმატებული იყო, რომ ებრაელები არათუ მხოლოდ მონაწილეობდნენ ბაალ-ფეღორზე სამარცხვინო კერპმსახურებაში, არამედ თვით ისრაელიანთა ბანაკის შიგნით ასრულებდნენ წარმართულ მსახურებას. დიდად აღშფოთდა ერის წინამძღოლი და ღვთის რისხვაც აენთო მათზე.

წარმართთა წეს-ჩვეულებებმა გაუკეთა ისრაელს ის, რისი გაკეთებაც ბალაამის წყევლამ ვერ შეძლო - ებრაელები ღმერთს დაშორდნენ. უცბად თავს დატეხილმა ღვთის რისხვამ გონს მოიყვანა ერი და მიხვდა ჩადენილი დანაშაულის საშინელებას. საშინელმა ჭირმა იჩინა თავი ბანაკში და ათასობით ადამიანი გაწყდა. ბრძანა უფალმა, რომ სიკვდილის განაჩენი გამოეტანათ ამ თავკაცთათვის ისრაელის მსაჯულთ ჩადენილი უდიდესი ცოდვის გამო. დამნაშავენი მოკლეს, მათი გვამები კი ხალხმრავალ ადგილებში ძელებზე ჩამოკიდეს, რათა ისრაელის თავკაცთათვის ასეთი სასტიკი სასჯელის ხილვით ღრმად შეეცნო მთელ საზოგადოებას, როგორ სძულს ღმერთს ცოდვა და რა საშინელია მისი რისხვა.

ყველამ სამართლიანად ჩათვალა ეს სასჯელი და ხალხმაც სინანულის მწარე ცრემლებით საწმიდრისკენ გასწია თავის ცოდვათა მოსანანიებლად. იმ დროს, როცა საწმიდრის შესასვლელთან ხალხი მწარედ ინანიებდა თავის დანაშაულს, შავი ჭირი დამღუპველი საქმის კეთებას განაგრძობდა ისრაელიანთა ბანაკში, მსაჯულნი კი საშინელ ბრძანებას ასრულებდნენ, ისრაელის ერთ-ერთმა წარჩინებულმა ადამიანმა, ზიმრიმ, მიდიანელი მეძავი ქალი, მიდიანელთა ტომის ბელადის ასული ბანაკში, თავის კარავში შეიყვანა. ღვინით შემთვრალმა ზიმრიმ თავისი დანაშაული „სოდომის" ცოდვად გამოაცხადა და სულაც არ რცხვენოდა ამ უწმიდური საქციელისა. მღვდლები და უხუცესნი მორჩილებით იყვნენ განრთხმულნი „სადღესასწაულო კარავთან და... ტიროდნენ",

თავისი ხალხის შენდობას სთხოვდნენ ღმერთს და ევედრებოდნენ, შერცხვენისაგან ეხსნა უფლის სამკვიდრო. ისრაელიანთა ერთ-ერთმა მთავარმა, ზიმრიმ, გაბედა და ურცხვად გამოამზეურა თავისი ცოდვა, თითქოს ტრაბახობდა კიდეც ამით, არაფრად ჩააგდო ღვთის შურისგება და დასცინა ხალხის მსაჯულთ. მაშინ ფინხასმა, მღვდელმთავრის ძემ, დატოვა საკრებულო, „ხელში შუბი იპყრა, შეჰყვა იმ ისრაელიანს ოთახში და უგმირა შუბი ორთავეს". ასე შეწყდა ისრაელიანთა განადგურება. მღვდელს კი, რომელმაც ეს ღვთიური სასჯელი აღასრულა, განსაკუთრებული პატივი მიაგეს მთელი ისრაელის წინაშე და მიეცა მას და მის შთამომავლობას სამარადისო მღვდლობის აღთქმა.

ფინხასმა „აარიდა ჩემი რისხვა ისრაელიანებს, - თქვა უფალმა, - აჰა, მე ვაძლევ მას ზავის აღთქმას. იყოს მისთვის და მისი შთამომავლობისთვის

[455]

სამარადისო მღვდლობის აღთქმად იმის სანაცვლოდ, რომ შურით აღივსო თავისი ღმერთის გამო და გამოითხოვა ისრაელის პატიება".

შიტიმში ჩადენილი დანაშაულისათვის ისრაელზე დაცემული ღვთის სამსჯავრო თავს დაატყდა მათ, ვინც გადაურჩა დაახლოებით ორმოცი წლის წინათ გამოტანილ განაჩენს: "დაიხოცებიან უდაბნოში". ისრაელიანთა აღრიცხვისას, რაც ღვთიური ბრძანებით მოხდა იორდანეს ველზე ყოფნისას, აღმოჩნდა, რომ „მათში არავინ ყოფილა აღრიცხულთაგან მოსესა და აარონ მღვდლის მიერ, რომელთაც აღრიცხეს ისრაელიანები სინაის უდაბნოში... გარდა ქალებ იეფუნეს ძისა და იესო ნავეს ძისა" /რიცხ. 26:64,65/.

უფალმა ღმერთმა სასჯელი ხალხს იმის გამო მოუვლინა, რომ ისინი დაჰყვნენ მიდიანელთა ცდუნებას, თუმცა მაცდუნებელნიც ვერ გადაურჩნენ ღვთის სამართლიან რისხვას. ყამალეკელები, რომლებიც ისრაელის მხედრობას - ჩამორჩენილ, დასუსტებულ და დაღლილ-დაქანცულ ადამიანებს დაესხნენ თავს რეფიდიმში, უფრო მოგვიანებით იქნენ დასჯილნი, მაგრამ მიდიანელებს, რომელთაც ისრაელი აცდუნეს, სწრაფად მოევლინა ღვთის რისხვა, როგორც უფრო საშიშ მტერს. „იძიე ისრაელიანთა შური მიდიანელებისაგან, - უბრძანა უფალმა მოსეს, - მერე კი შეერთე შენს ხალხს" /რიცხ. 31:2/. დაუყოვნებლივ შეასრულეს უფლის ეს ბრძანება. ყოველი შტოდან ათასი კაცი გამოიყვანეს და ფინხასის მეთაურობით ბრძოლაში ჩაებნენ. „გაილაშქრეს მიდიანზე, როგორც ნაბრძანები ჰქონდა მოსესთვის უფალს... დახოცილებში იყვნენ მიდიანის მეფეები... ხუთი მიდიანელი მეფე. აგრეთვე მოკლეს მახვილით ბალაამი, ბეყორის ძე" /რიცხ. 31:7,8/. ტყვე ქალები კი

მოსეს ბრძანებით დახოცეს, როგორც ყველაზე დიდი დამნაშავენი და საშიში მტრები ისრაელისა.

ასეთი ხვედრი ხვდა წილად უფლის ერის წინააღმდეგ ბოროტის მზრახველთ. მეფსალმუნე ამბობს: „ჩაცვივდნენ ერები თავიანთ ამოთხრილ ორმოში, მათივე გამზადებულ ბადეში გაება მათი ფეხი" /ფს. 9:16/. „რადგან არ მოიშორებს უფალი თავის ხალხს და თავის სამემკვიდრეოს არ მიატოვებს. რადგან სიმართლესთან დაბრუნდება სამართალი". როცა ადამიანები "წმიდანის სულზე" ილაშქრებენ, მიაგებს მათ უფალი "თავიანთ უსამართლობას და თავიანთივე სიავით მოსპობს მათ" /ფს. 93:14,15,21,23/.

ებრაელთა შესაჩვენებლად მოწვეულმა ბალაამმა, მიუხედავად თავისი წყევლისა, ვერაფერი დააკლო ღვთის ხალხს, რადგან უფალმა ვერ ნახა „სიცრუე იაკობში" და „მზაკვრობა ისრაელში" /რიცხ. 23:21/. მაგრამ, როცა ცდუნდნენ და უფლის რჯული დაარღვიეს, ღვთის მფარველობა წაერთვათ. როდესაც ღვთის ხალხი ერთგულია უფლის მცნებებისა, მაშინ ჯადოსნობა ვერაფერს დააკლებს იაკობს და შეჩვენება - ისრაელს. ამიტომ ყველა ღონეს და ყოველგვარ მზაკვრობას იყენებს სატანა ადამიანთა საცდუნებლად. როდესაც ისინი, ვინც თავს უფლის რჯულის დამცველს უწოდებს, მის პრინციპებს არღვევენ, ამით შორდებიან ღმერთს და უძლურნი ხდებიან თავისი მტრების წინაშე.

მტრის ურიცხვმა ლაშქარმა, მიდიანელთა შეჩვენებამ და წყევლა-კრულვამ ვერაფერი დააკლო ისრაელს, მაგრამ როსკიპ ქალთა მსხვერპლი გახდა იგი. ქალს, რომელსაც სატანა თავის იარაღად იყენებს, დიდი ძალა აქვს იმისათვის, რომ მოხიბლოს და დაღუპოს ადამიანი. „რადგან ბევრი დაეცა მისგან სასიკვდილოდ, ბევრი ძლევამოსილია მისგან დახოცილი" /იგავ. 7:26/. ამ მიზეზით დატოვეს შეთის თაობებმა სიწმიდის გზა და წმიდა თესლი გააუწმიდურეს. ამავე გზით გამოიცადა იოსები. ამავე მიზეზით გაუმხილა სამსონმა თავისი ძალის საწყისი - ისრაელის ხსნისათვის განკუთვნილი - ფილისტიმელთ. ამავე მიზეზით ცდუნდნენ დავითი და სოლომონი - ყველაზე ბრძენნი მეფეთა შორის - რომელთაც უფალმა სამჯერ უწოდა თავისი

[456]

[457]

რჩეული და რომელთაც თავისი ვნებათაღელვის გამო მსხვერპლად შესწირეს იმავე ჯადოსნურ ძალას თავისი პატიოსნება და ერთგულება.

„ყოველივე ეს მათ დაემართათ სანიმუშოდ და აღწერილია ჩვენს დასარიგებ -ლად, რომლებმაც მივაღწიეთ წუთისოფლის აღსასრულს. ამიტომ, ვინც ფიქრობს, რომ დგას, იფრთხილოს, რომ არ წაიქცეს" /1 კორ. 10:11,12/. მშვენივრად იცნობს სატანა ადამიანის გულს, ვინაიდან ათასწლეულთა განმავლობაში მოუღლელი ენერგიით სწავლობს ყოველი ადამიანის ყველაზე სუსტ წერტილებს. ყველა თაობებში ცდილობს იგი ისრაელის უძლიერეს თავკაცთა იმავე გზით ცდუნებას, რომელიც ასე წარმატებით გამოიყენა ბაალ-ფეღორზე. და ყველა საუკუნეში გვხვდებიან ადამიანები, საკუთარ სურვილთა დაკმაყოფილების ლოდზე რომ იმსხვრევიან. რაც უფრო მივუახლოვდებით ბოლო ჟამს და ღვთის ხალხი - ზეციურ ქანაანს, სატანა, ისევე როგორც ძველ დროში, გააორმაგებს თავის მცდელობას, რათა ხელი შეგვიშალოს ამ მშვენიერ მიწაზე დამკვიდრებაში. ყოველი ადამიანის გარშემო მზაკვრულ ქსელს ხლართავს იგი. ამიტომ არა მხოლოდ გაუნათლებელი და კულტურის არმქონე ადამიანები უნდა იყვნენ ფხიზლად, არამედ მაღალი თანამდებობისა და წმიდა მსახურებისათვის პასუხისმგებელი პირებიც, ვინაიდან მათი ცდუნებით მრავალ ადამიანთა დაღუპვა შეიძლება. დღესაც იგივე მეთოდს ხმარობს სატანა, რასაც სამი ათასი წლის წინათ. წუთისოფელთან მეგობრობით, ქალთა მომხიბვლელობით, სურვილთა დაკმაყოფილების სურვილით, ნადიმებით, დღესასწაულებით ან ჭიქა ღვინით აცდუნებს იგი ადამიანებს და მეშვიდე მცნების დარღვევისაკენ უბიძგებს.

სანამ კერპთაყვანისმცემლობის მორევში ჩაძირავდა, მანამ გარყვნილების გზა შესთავაზა სატანამ ისრაელს. ღვთის ხატებისა და საკუთარი სხეულის - სულიწმიდის ტაძრის - შემლახველს არ გაუჭირდება, ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე შეურაცხყოს ღმერთი თავისი გახრწნილი გულის ნებისმიერ სურვილთა დაკმაყოფილებით. ხორციელი ვნებები ასუსტებს გონებას და ამდაბლებს სულს. ცხოველურ ვნებათა დაკმაყოფილება აჩლუნგებს ზნეობრივ და გონებრივ ძალებს და ვნებების მონა ვერ ჩასწვდება ღვთიური რჯულის წმიდა პრინციპებს, ჯეროვნად ვერ შეაფასებს გამოსყიდვას და ადამიანის სულს. კეთილშობილება, სიწმიდე, ჭეშმარიტება, ღვთის მიმართ მოწიწება და წმიდა საგნებისადმი სიყვარული, - ერთი სიტყვით, ყველა ის ამაღლებული მისწრაფებანი და კეთილი სურვილები, რომელიც ადამიანს ზეციურ სამყაროსთან აკავშირებს - ვნებათა ცეცხლში ნადგურდება. ადამიანის სული უღიმღამო, შიშველ უდაბნოს ემსგავსება და ბოროტ სულთა საცხოვრისად და „ყოველი არაწმიდა და ბილწი ფრინველის თავშესაფრად" იქცევა. და ამგვარად, ღვთის ხატად შექმნილი არსებები უხეშ ცხოველებს ემსგავსებიან.

კერპთაყვანისმცემლებთან დამეგობრებამ და მათ დღესასწაულებში მონაწილეო -ბამ გამოიწვია ებრაელთა მიერ უფლის რჯულის დარღვევა, რის გამოც მთელ ერს ღვთის სამსჯავრო მოევლინა. ასეა დღესაც: სატანა უდიდეს წარმატებებს აღწევს მაშინ, როცა ქრისტეს მიმდევრებს ურწმუნოებთან მეგობრობისაკენ და მათ გართობებში

მონაწილეობისაკენ უბიძგებს. „ამიტომ გამოდით მათგან და გამოეყავით! ამბობს უფალი. უწმიდურს ნუ მიეკარებით" /2 კორ. 6:17/.

უფალი ღმერთი დღესაც ისევე ითხოვს თავისი ხალხისაგან, გამოეყოს ამქვეყნიურ ტრადიციებს, ცხოვრების წესსა და პრინციპებს, როგორც ძველი ისრაელისაგან. თუკი ღვთის შვილნი ერთგულად დაიცავენ უფლის სიტყვას, ღვთის მოთხოვნა შესრულებულია. სხვაგვარად შეუძლებელია. ებრაელთა მიმართ გაფრთხილება - არ დამსგავსებოდნენ წარმართებს - ისევე გასაგები და ნათელი იყო, როგორც ის, რომელიც დღეს ქრისტიანებს უწმიდურთა ტრადიციებითა და სულით სიარულს უკრძალავს. ქრისტე ამბობს: „ნუ შეიყვარებთ

[458]

წუთისოფელს; ნურც იმას, რაც წუთისოფელშია. ვისაც წუთისოფელი უყვარს, მასში არ არის მამის სიყვარული" /1 იოან. 2:15/. „განა არ იცით, რომ წუთისოფლის მეგობრობა, ღვთის მტრობაა? ასეა, ვისაც წუთისოფლის მეგობრობა უნდა, იგი ღვთის მტერი ხდება" /იაკ. 4:4/. ქრისტეს მიმდევარნი ურჯულოთ უნდა გამოეყონ და ურთიერთობა მათთან მხოლოდ

იმ შემთხვევაში უნდა დაამყარონ, როცა მათთვის სიკეთის გაკეთებაა შესაძლებელი. ვერავინ იმეგობრებს სასჯელის გარეშე მათთან, ვისი ზეგავლენაც უფლისაგან განდგომის საშიშროებას ქმნის. როდესაც ვლოცულობთ: „და ნუ შეგვიყვან ჩვენ განსაცდელში", თავი უნდა ავარიდოთ ცდუნებას, რამდენადაც ეს ჩვენთვის შესაძლებელია.

ებრაელებმა სწორედ მაშინ შესცოდეს, როდესაც მოჩვენებით უსაფრთხო და მშვიდ ვითარებაში იმყოფებოდნენ. დაავიწყდათ ღმერთი, ლოცვა და თვითდაჯერებულობის სულს იღზევებდნენ. უქმად ყოფნამ და საკუთარ სურვილთა დაკმაყოფილებამ სულიერი სიმტკიცე წაართვა მათ და უწმიდურ ფიქრებს გაუხსნა კარი. აღმოჩნდნენ მოღალატენი, რომელთაც უარყვეს ღვთიური პრინციპები და ისრაელი სატანას ჩაუგდეს ხელთ. დღესაც ასევე ცდილობს სატანა სულის დაღუპვას. აშკარა ცოდვის ჩადენამდე ქრისტიანის გულში ხანგრძლივი, ყველასგან დაფარული, მოსამზადებელი პროცესი მიმდინარეობს. ადამიანის შემეცნებაში არასოდეს ხდება წამიერი გადასვლა სიწმიდიდან გახრწნილებისაკენ, უწმიდურებისა და დანაშაულისაკენ. ღვთის ხატად შექმნილი არსების სრულ დეგრადაციამდე გარკვეული დროა საჭირო. თუკი უწმიდურ აზრებს აჰყვება, ადამიანს შეუძლია, ისე განავითაროს თავისი გონება, რომ ცოდვა, რომელიც ერთ დროს სიძულვილს იწვევდა, სასიამოვნო გახდეს.

ყველა საშუალებას იყენებს სატანა დანაშაულისა და მდაბალ ჩვევათა გასავრცელებლად. შეუძლებელია ქალაქის ქუჩებში გავლა ისე, რომ არ შეხვდე დანაშაულს, რომელსაც აღწერენ წიგნებში ან თეატრში აჩვენებენ. ადამიანი სწავლობს ცოდვასთან მეგობრობას. გაზეთები აჭრელებულია ცნობებით ძალადობისა და მანკიერების შესახებ. და ყველაფერი ის, რასაც ადამიანის ვნებების გაღვიძება შეუძლია, მეტად წარმტაცი, მომხიბვლელი ისტორიებით გადმოიცემა. ადამიანებს იმდენი რამ ესმით და იმდენს კითხულობენ მზარდ დანაშაულზე, რომ მგრძნობიარე ადამიანის გულიც კი, ადრე რომ საშინლად შეაძრწუნებდა მსგავსი სცენები, ჩლუნგდება, უხეში ხდება და შედეგად დაუცხრომელი ინტერესით ღებულობს ყოველივე ამას.

მრავალ თანამედროვე პოპულარულ გართობას ეგრეთ წოდებული ქრისტიანებიც კი ისეთივე დასასრულისაკენ მიჰყავს, როგორც წარმართულს. მათ შორის ცოტა იქნება ისეთი, სატანა რომ სულის გასანადგურებლად არ გამოიყენებს. საუკუნეთა მანძილზე სატანა აღაგზნებს ადამიანთა ვნებებს და ხოტბას ასხამს მანკიერებას თეატრალურ წარმოდგენათა მეშვეობით. ამისათვის იყენებს ოპერას თავისი წარმტაცი მუსიკითა და მომაჯადოებელი დეკორაციებით; ბალ-მასკარადებს, ცეკვებს, ბანქოს მაგიდებს, რათა შეასუსტოს ზნეობრივი სიმტკიცე და კარი გრძნობათა ღელვას გაუხსნას. სატანა ცდუნების ქსელში ხლართავს ადამიანებს ყოველ გასართობ ადგილში, სადაც ხელსაყრელი პირობებია შექმნილი

საკუთარი პატივმოყვარეობის გამოვლინებისა და მადის დასაკმაყოფილებლად, სადაც ადამიანი ადვილად ივიწყებს ღმერთს და მარადიულობის ინტერესებს.

„შეინახე გული ყოველ შესანახავზე მეტად, - გვირჩევს სოლომონ ბრძენი, - რადგან მასშია სიცოცხლის წყარო" /იგავ. 4:23/. „რადგან როგორც ის ფიქრობს თავის სულში, ისეთია იგი" /იგავ. 23:7/. გული ღვთიური წყალობით უნდა განახლდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ამაო იქნება ყოველგვარი ძალისხმევა წმიდა ცხოვრების მისაღწევად. ის, ვინც ქრისტეს მადლის გარეშე ცდილობს საკუთარ თავში კეთილშობილური, სათნო ხასიათის ჩამოყალიბებას, სახლს

[459]

[460]

ქვიშაზე აშენებს, რომელიც ცდუნების მრისხანე ქარიშხლის შემოტევისას ადვილად დაინგრევა. დავითის ლოცვა ყოველი ადამიანის ლოცვად უნდა იქცეს: „სუფთა გული შეჰქმენი ჩემში, ღმერთო, და წრფელი სული განაახლე ჩემს სხეულში" /ფს. 50:12/ და ღვთით მომადლებული ნიჭით უნდა ვიაროთ წინ,

სრულყოფილებისაკენ, „ღვთის ძალით, რწმენის მეშვეობით" /1 პეტრ. 1:5/.

მაგრამ ჩვენ თავადაც უნდა შევებრძოლოთ ცდუნებას. ვისაც არ სურს სატანის ცდუნების მსხვერპლი გახდეს, ფხიზლად უნდა დაიცვას საკუთარი სული. უნდა მოვერიდოთ იმის წაკითხვას, ნახვას ან მოსმენას, რაც უწმიდურ აზრებს გაგვიჩენს. არ უნდა მივცეთ ნება საკუთარ ფიქრებს, შეჩერდეს დამღუპველის მიერ შემოთავაზებულ საგნებზე. „შემოისარტყლეთ თქვენი გონების წელნი, - გვირჩევს პეტრე მოციქული, - იფხიზლეთ... ნუ აჰყვებით თქვენი უმეცრების დროინდელ გულისთქმებს. არამედ თვითონაც იყავით წმიდანი ყოველ საქციელში, როგორც წმიდაა იგი, ვინც თქვენ მოგიწოდათ" /1 პეტრ. 1:13-15/. პავლე მოციქულიც ამბობს: „აბა, ასე... ყოველივე, რაც ჭეშმარიტია, რაც პატიოსანია, რაც მართალია, რაც წმიდაა, რაც საყვარელია, რაც საქებარია, ყოველივე, რაც სათნო და ქებულია, იმაზე იფიქრეთ" /ფილიპ. 4:8/. ეს სერიოზულ ლოცვებსა და მუდმივ სიფხიზლეს მოითხოვს. ჩვენ ძლიერ გვჭირდება სულიწმიდის ზეგავლენის მუდმივი დახმარება, რომელიც აამაღლებს ჩვენს გონებას და ასწავლის, მუდამ იფიქროს ამაღლებულზე და წმიდაზე. გულმოდგინედ უნდა გამოვიკვლიოთ წმიდა წერილები. „რით შეინახოს ყმაწვილმა სიწმიდე თვისი გზისა? დაიცვას შენი სიტყვისამებრ". „გულში ჩავიმარხე შენი სიტყვები, რათა არ შევცოდო" /ფს. 118:9,11/.

ისრაელის მიერ ბაალ-ფეღორზე ჩადენილი დანაშაული იყო მიზეზი ღვთის რისხვის მთელ ერზე გადმოღვრისა და, თუმცა მსგავსმა ცოდვებმა დღეს, შესაძლოა, დაუყოვნებლივ არ გამოიწვიოს შურისგება, მაგრამ აუცილებლად დაისჯება. „თუ ვინმე აზიანებს ღვთის ტაძარს, ღმერთი დააზიანებს მას" /1 კორ. 3:17/. ბუნება მკაცრად სჯის ამ დანაშაულთათვის. სასჯელს მიიღებს ადრე თუ გვიან ყველა ბოროტმოქმედი. განსაკუთრებით ისეთი ცოდვებისათვის, რომელმაც კაცობრიობა ასეთ საშინელ გადაგვარებამდე მიიყვანა და წუთისოფელი სნეულებათა, ტანჯვისა და უბედურების უფსკრულში გადაჩეხა, რაც წუთისოფლის წყევლად იქცა. ადამიანებს შეუძლიათ, თავიანთი ცოდვები ახლობლებს დაუმალონ, მაგრამ აუცილებლად მიიღებენ ღირსეულ საზღაურს ტანჯვის, სნეულებების, გონებრივი დარღვევების ან სიკვდილის სახით. ამქვეყნიური სიცოცხლის გარდა კიდევ არსებობს სამსჯავრო და შურისგება მარადიული სასჯელისა. „ამის ჩამდენნი ღვთის სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებენ" /გალ. 5:21/. არამედ სატანასა და ბოროტ ანგელოზებთან ერთად ჩაიყრებიან „ცეცხლის ტბაში; ეს არის მეორე სიკვდილი" /გამოცხ. 20:14/.

„რადგან თაფლი სდის უცხო ქალის ბაგეებს და ზეთივით გასლექილია მისი სასა. ბოლოს კი აბზინდასავით გამწარდება, ორლესული მახვილივით გაფხავდება" /იგავ. 5:3, 4/. „შორს იყოს მისგან შენი გზა და არ გაეკარო მისი სახლის კარს, რომ სხვებს არ მისცე შენი ღირსება და შენი წლები - დაუნდობელს, რომ არ

გაძღნენ უცხონი შენი დოვლათით და შენი ჭირნახულით - მტრის სახლში. ივიშვიშებ ბოლოჟამს, როცა დაგელევა ხორცი და ტანი" /იგავ. 5:8-11/. „მისი სახლის წიაღ სიკვდილია". „იქ შემსვლელთაგან უკან ვერავინ ბრუნდება" /იგავ. 2:18,19/. „მისი წვეულნი შავეთის უფსკრულებში იმყოფებიან" /იგავ. 9:18/.

[461]

თავი 42 - რჯულის განმეორებით გამოცხადება

მეორე რჯული 4-6; 28

უფალმა აუწყა მოსეს, რომ მოახლოვდა ისრაელიანთა ქანაანში შესვლის დრო. მთიდან გაჰყურებდა ხანდაზმული წინასწარმეტყველი იორდანეს და აღთქმულ მიწას; დაუფარავი ინტერესით აკვირდებოდა თავისი ერის სამკვიდროს. იქნებ, კადეშში ჩადენილი დანაშაულისათვის მიღებული სასჯელი გააუქმოს ღმერთმა? - ფიქრობდა იგი. გულწრფელად ევედრებოდა უზენაესს: "უფალო, ჩემო პატრონო! შენ დაუწყე შენს მორჩილს შენი სიდიადისა და მაგარი ხელის ჩვენება; რომელი ღმერთია ცად და მიწად, რომ სჩადიოდეს ისეთ საგმირო საქმეებს, როგორსაც შენ სჩადიხარ? გადავიდოდი და

ვიხილავდი ამ მადლიან ქვეყანას, იორდანეს გაღმა რომ არის, ამ მთას და ლიბანს".

"გეკმაროს, - იყო პასუხი, - მეტს ნუღარ დამელაპარაკები ამ საქმეზე. ადი ფისგას წვერზე, გაიხედე დასავლეთისკენ, ჩრდილოეთისკენ, სამხრეთისკენ და აღმოსავლეთისკენ, შენი თვალით დაინახე, რადგან ვერ გადახვალ ამ იორდანეს გაღმა" /რჯლ. 3:24-27/.

უსიტყვოდ დაემორჩილა მოსე უფლის ამ გადაწყვეტილებას. ახლა მისი მღელვარებისა და მზრუნველობის საგანი მხოლოდ ისრაელი იყო. ვინ იზრუნებს, მის მსგავსად, ისრაელის კეთილდღეობაზე? კვლავ მთელი გულით შესთხოვა წინასწარმეტყველმა ღმერთს: "დაუდგინოს უფალმა, ყოველი ხორციელის სულთა ღმერთმა, კაცი ამ საზოგადოებას, ვინც გამოვა მათ წინაშე და ვინც შევა მათ წინაშე, ვინც გამოიყვანს მათ და ვინც შეიყვანს მათ, რომ არ დაემსგავსოს უფლის საზოგადოება უმწყემსოდ დარჩენილ ფარას" /რიცხ. 27:16,17/.

უსმინა უფალმა თავისი მსახურის ლოცვას და უთხრა: "წაიყვანე იესო ნავეს ძე, რომელშიც არის სული, და დაასხი მას ხელი. დააყენე იგი ელეაზარ მღვდლის წინაშე და მთელი საზოგადოების წინაშე და დამოძღვრე ყველას თვალწინ. უწილადე შენი დიდება, რომ ემორჩილებოდეს მას ისრაელიანთა მთელი საზოგადოება" /რიცხ. 27:18-20/. აქამდე ყველაფერში ეხმარებოდა იესო ნავეს ძე მოსეს, რადგან ბრძენი,

ნიჭიერი და ღვთის ერთგული მსახური იყო ისიც, ამიტომ, სწორედ მას უნდა შეეცვალა მოსე.

ასეც მოიქცა მოსე; თავის ხელდასხმით უდიდესი საქმეებისთვის დამოძღვრა და მთელი ისრაელის წინამძღოლად გამოაცხადა იესო ნავეს ძე და მმართველობის საქმეც დააკისრა. აი, რა გამოუცხადა უფლის დავალებით მოსემ საკრებულოს ახალი წინამძღოლის შესახებ: "ელეაზარ მღვდელს წარუდგება იგი და გამოიკითხავს მისგან ურიმის სამართალს უფლის წინაშე. მისი ბრძანებით გამოვლენ და მისი ბრძანებით შევლენ ის და მთელი ისრაელობა მასთან ერთად და მთელი საზოგადოება" /რიცხ. 27:21/.

თავისი, როგორც ისრაელის წინამძღოლის, უფლებამოსილების გადაცემამდე ებრძანა მოსეს, კვლავ გაემეორებინა მთელი საკრებულოს წინაშე ისრაელის ეგვიპტიდან გამოყვანისა და უდაბნოში მოგზაურობის ისტორია და სინაის მთაზე გამოცხადებული რჯული. ამ რჯულის გამოცხადებისას ისრაელიანთა ახლანდელი საზოგადოების უმრავლესობის ასაკი მეტად მცირე იყო მისი უდიდესი მნიშვნელობის და საზეიმო მომენტის ღრმად შემეცნებისათვის. და რადგან სულ მალე იორდანეს გავლით ისრაელიანნი აღთქმულ ქვეყანაში უნდა შესულიყვნენ, უფალმა მოისურვა, კვლავ შეეხსენებინა მათთვის თავისი რჯულის მოთხოვნები და, განსაკუთრებით ის, რომ მათი კეთილდღეობის

[462]

[463]

მთავარი საწინდარი მორჩილებაა.

და აი, წარდგა მოსე თავისი ხალხის წინაშე, რათა უკანასკნელად გაეფრთხილებინა. სახე ზეციური შუქით უბრწყინავდა. თუმცა თმა თოვლივით გათეთრებოდა, მაგრამ მის სხეულსა და სახეს უჭკნობი სიჯანსაღის ბეჭედი ესვა, თვალებიდან კი სიწმიდეს და გონიერებას ასხივებდა. დადგა გადამწყვეტი მომენტი და გულის სიღრმიდან ამოსული სიტყვებით აღწერა მან მათი ყოვლისშემძლე მფარველის გულმოწყალება და სიყვარული.

"აბა შეეკითხე გარდასულ დღეებს, შენამდე რომ იყო, იმ დღიდან, რაც შექმნა ღმერთმა კაცი ქვეყანაზე, ცის კიდიდან კიდემდე: თუ მომხდარა ასეთი დიდი საქმე ან მსგავსი რამ თუ სმენილა ოდესმე? თუ უსმენია რომელიმე ხალხს ცეცხლის შუაგულიდან მოლაპარაკე ღვთის ხმა, როგორც შენ ისმინე და ცოცხალი დარჩი? ან თუ გაბედავდა რომელიმე ღმერთი, წასულიყო და გამოეყვანა ხალხი სხვა ხალხის წიაღიდან განსაცდელებით, ნიშნებით, სასწაულებით, ბრძოლით, მაგარი

ხელით და გაშლილი მკლავით, დიდი ზარისტეხით, როგორც მოიმოქმედა თქვენთვის უფალმა ეგვიპტეში თქვენს თვალწინ? შენ გახილვინა ეს იმის საცოდნელად, რომ ღმერთია უფალი, რომ სხვა არავინ არის მის გარდა".

"იმის გამო კი არ მოგისურვა და გამოგარჩია უფალმა, რომ სხვა ხალხებზე მრავალრიცხოვანი იყავი, შენ ხომ ყველა ხალხზე მცირერიცხოვანი ხარ, არამედ იმის გამო, რომ უყვარდით უფალს და ინახავდა თქვენს მამა-პაპასთან დადებულ ფიცს. გამოგიყვანათ უფალმა ძლიერი ხელით და გიხსნათ მონობის სახლიდან, ეგვიპტის მეფის, ფარაონის ხელიდან. იცოდე, რომ უფალი, შენი ღმერთი მტკიცე ღმერთია, შემნახველი ათას თაობაში აღთქმისა და წყალობისა მის მოყვარულთათვის და მათთვის, ვინც დაიცავს მის მცნებებს" /რჯლ. 7:7-9/.

ადრე ისრაელიანნი ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი იმაში, რომ მათი ყველა ძნელბედობის მიზეზი მხოლოდ მოსე იყო. მაგრამ ახლა მიხვდნენ, რომ მასში ამპარტავნობისა და ეგოიზმის ნასახიც კი არ იყო და მორჩილად ღებულობდნენ მის თითოეულ სიტყვას. გასაგებად განუმარტა წინამძღოლმა მათი შეცდომები და მამა-პაპათა ურჯულოებანი; რომ თავიანთი მოუთმენლობისა და უკმაყოფილების გამო დატოვა უფალმა ისინი ამდენ ხანს უდაბნოში და ეს უფლის ბრალი არ არის; უფალი მათზე მეტად წუხდა იმის გამო, რომ მაშინვე ვერ შეიყვანა თავისი ერი აღთქმულ მიწაზე და ვერ დაანახა ხალხებს

თავისი ყოვლისშემძლეობა და რჩეული ერის ხსნა. მაშინ ისინი თავიანთი ურწმუნოების, სიამაყისა და ღვთისადმი უნდობლობის გამო არ იყვნენ მზად ქანაანში შესასვლელად. ისეთ ხალხს, როგორიც მაშინ ისრაელი იყო, არ შეეძლო, შეეფერებინა უფლის რჩეული ერის წოდება, რადგან მათგან შორს იყო ღვთიური სიწმიდე, მოწყალება და სიკეთე. მათ მამებს რომ რწმენით ესმინათ და შეესრულებინათ უფლის მითითებები და ბრძანებები, დიდი ხნის წინათ დაისაკუთრებდნენ ქანაანს და იცხოვრებდნენ ისე, როგორც ეს უფლის წმიდა ერს, განვითარებულ და ბედნიერ ხალხს შეეფერება. და იმის გამო, რომ სწრაფად ვერ შევიდნენ აღთქმულ ქვეყანაში, ირგვლივ მყოფ ხალხთა წინაშე შეილახა უფლის სახელი და დიდება.

მოსემ, რომელსაც კარგად ესმოდა ღვთის რჯულის არსი და მნიშვნელობა, დაარწმუნა საზოგადოება, რომ არც ერთ სხვა ხალხს, ებრაელთა გარდა, არა აქვს ასეთი ბრძნული, სამართლიანი და კეთილი მცნებები. "იცოდე, - განაცხადა მან, - მე გასწავლეთ თქვენ წესი და სამართალი, როგორც მიბრძანა უფალმა, ჩემმა ღმერთმა, რომ სწორად მოიქცეთ იმ ქვეყანაში, რომლის დასამკვიდრებლადაც მიდიხართ. დაიცავით და შეასრულეთ, რადგან

[464]

ეს არის თქვენი სიბრძნე და გონიერება იმ ხალხების წინაშე, რომლებიც ყურს მოჰკრავენ ამ წესებს და იტყვიან: აჰა, ბრძენი და გონიერი ხალხია ეს დიდი ერი".

ის დღეც გაახსენა ხალხს მოსემ, როცა იგი თავისი უფლის წინაშე იდგა ხორებთან და ისრაელის მხედრობას მიმართა: "რომელი დიდი ერია, რომელთანაც ასე ახლოს იყვნენ ღმერთები, როგორც უფალი, ჩვენი ღმერთია, როცა კი ვუხმობთ მას? რომელი დიდი ერია, რომელსაც ჰქონდეს ასეთი წესები და სწორი სამართალი, როგორც მთელი ეს რჯულია, დღეს რომ გაძლევთ?". ეს კითხვა დღევანდელ ისრაელსაც ეკუთვნის. კანონები, რომელიც უფალმა ღმერთმა ძველ ისრაელს მისცა, დედამიწის ყველაზე ცივილიზებულ ხალხთა კანონებზე ბევრად უფრო ბრძნული, უკეთესი და ჰუმანურია. ამქვეყნიურ კანონებს ადამიანური არასრულყოფილებისა და მიკერძოების კვალი ამჩნევია, უფლის რჯული კი ღვთიური ბეჭდითაა დამოწმებული.

"აგიყვანათ უფალმა და გამოგარიდათ რკინის ღუმელს - ეგვიპტეს, რომ ყოფილიყავით მისი სამკვიდრო ერი, როგორც დღესა ხართ", - უთხრა მათ მოსემ. რა მშვენიერი სიტყვებით აღწერა მან მიწა, რომელიც უახლოეს მომავალში უნდა დაესაკუთრებინათ და რომელიც, მათი მორჩილების შემთხვევაში, მათ სამკვიდროდ იქცეოდა. და რაოდენ დიდ გულისტკივილს გამოიწვევდა ისრაელიანებში იმის გახსენება,

რომ, მათი ცოდვის გამო, მოსე ამ მემკვიდრეობას ვერ გაინაწილებდა:

"რადგან უფალს, შენს ღმერთს, მიჰყავხარ მადლიან ქვეყანაში", რომელიც "არა ჰგავს ეგვიპტის ქვეყანას, საიდანაც გამოხვედი, სადაც თესავდი თესლს და რწყავდი შენი ფეხით, როგორც ბოსტანს. ის ქვეყანა კი, რომლის დასამკვიდრებლადაც გაღმა გადადიხართ, მთაგორიანი და ველებიანი ქვეყანაა და ციდან ნაწვიმი წყლით ირწყვება"; "ნაკადულთა და წყაროთა ქვეყანაში, სადაც ნიაღვრები მოედინებიან მთად და ბარად. ხორბლისა და ქერის, ყურძნისა და ლეღვის, და ბროწეულის ქვეყანაში, ზეთისხილისა და თაფლის ქვეყანაში, ქვეყანაში, სადაც არ მოგაკლდება საჭმელი პური და არაფერი გაგიჭირდება, ქვეყანაში, რომელსაც რკინა აქვს ქვებად და რომლის მთებიდანაც რვალს გამოკვეთავ". "ქვეყანა, რომელზედაც გამუდმებით ზრუნავს უფალი, შენი ღმერთი. უფლის, შენი ღმერთის თვალი ტრიალებს მასში წლის დასაწყისიდან წლის ბოლომდე" /რჯლ. 8:7-9; 11:10-12/.

"და, როცა შეგიყვანს უფალი, შენი ღმერთი, იმ ქვეყანაში, რომლის გამო ეფიცებოდა აბრაამს, ისააკს და იაკობს, რომ შენ მოგცემდა დიდი და მშვენიერი ქალაქებითურთ, რომლებიც შენ არ აგიშენებია, ყოველნაირი დოვლათით ავსებული სახლებითურთ, რომლებიც შენ არ აგივსია, ამოთხრილი ჭებითურთ, რომლებიც შენ არ ამოგითხრია, ვენახებითა და

ზეთისხილის ბაღებით, რომლებიც შენ არ გაგიშენებია და შენც შეჭამ და გაძღები". "ფრთხილად იყავით, რომ არ დაგავიწყდეთ უფლის, თქვენი ღმერთის აღთქმა... რადგან მშთანთქმელი ცეცხლია უფალი, თქვენი ღმერთი, შურისმგებელი ღმერთია" /რჯლ. 6:10-12; 4:23-24/.

განმეორებით გამოუცხადა მოსემ უფლის რჯული თავის ხალხს, შემდეგ დაასრულა უფლის მიერ მიცემული კანონების, დადგენილებებისა და მცნებების, აგრეთვე, მსხვერპლშეწირვის სისტემის ყველა წესის წიგნებში ჩაწერა. ყველა ამ ჩანაწერის შემცველი წიგნი სათანადო პირებს გადაეცათ, რათა კიდობნის გვერდით შეენახათ.

მაგრამ არ ასვენებდა მოსეს ის აზრი, რომ შესაძლოა, მისი ხალხი კვლავ განდგომოდა ღმერთს. დიდებული, სულში ჩამწვდომი სიტყვებით განუმარტა ხალხს კურთხევისა და შეჩვენების პირობები.

[465]

[466]

"თუ გაიგონებ უფლის, შენი ღმერთის სიტყვას, დაიცავ და შეასრულებ ყველა ანდერძს, რომელსაც დღეს გიცხადებ... კურთხეულიმც ხარ ქალაქად და კურთხეულიმც ხარ ველად! კურთხეულიმც არის შენი მუცლის ნაყოფი, შენი მიწის ნაყოფი და შენი საქონლის ნაყოფი... კურთხეულიმც არის შენი კალათი და შენი ვარცლი. კურთხეულიმც ხარ შესვლისას და კურთხეულიმც ხარ გამოსვლისას! დაამხობს უფალი შენს წინაშე შენს მტრებს, შენს წინააღმდგომთ... მოგაფენს უფალი კურთხევას შენს ბეღლებში და ყველაფერში, რასაც შენი ხელი გააკეთებს" /რჯლ. 28:1-8/.

"თუ არ გაიგონებ უფლის, შენი ღმერთის სიტყვას, არ დაიცავ და არ შეასრულებ ყველა მის მცნებას და წესებს, რომელთაც გიცხადებ დღეს, გადმოვა შენზე ყველა ეს წყევლა და გეწევა". "საფრთხობელად, თითით საჩვენებლად და სამასხროდ შეიქნები ყველა ხალხში, სადაც კი წაგიყვანს უფალი". "გაგფანტავთ უფალი ყველა ხალხში ქვეყნის კიდიდან ქვეყნის კიდემდე, დაუწყებ იქ სამსახურს უცხო ღმერთებს, რომელთაც არ იცნობდით არც შენ და არც შენი მამა-პაპა - ხესა და ქვას. ვერ იგრძნობ შვებას იმ ხალხში და არ ექნება შესვენება შენს ფეხებს. გარგუნებს იქ უფალი მხდალ გულს, დავსებულ თვალებს და მწუხარე სულს. ბეწვზე ეკიდება შენს წინ შენი სიცოცხლე, შიშში იქნება დღისით და ღამით, დაგეკარგება სიცოცხლის სასო. დილით იტყვი: ნეტავ საღამო იყოს! საღამოთი იტყვი: ნეტავ დილა იყოს! იმ შიშის გამო, რითაც სავსე გექნება გული და იმ სანახავის გამო, რასაც დაინახავ".

წინასწარმეტყველური სულით აღვსილმა მოსემ საუკუნეთა სიღრმეებში ჩაიხედა და ისრაელის, როგორც ერის, საბოლოო დაცემისა და რომის მეომართა მიერ იერუსალიმის დანგრევის საშინელი სურათი დახატა: "დაძრავს უფალი ხალხს შენს წინააღმდეგ შორეთიდან, ქვეყნის კიდიდან. არწივივით მოფრინდება ხალხი, რომლის ენას ვერ გაიგებ. მოძალადე ხალხი, რომელიც მოხუცს პატივს არ სცემს და ყმაწვილკაცს არ იბრალებს".

საუკუნეებით ადრე აღწერა მან მთელი სიცხადით ისრაელიანთა ქვეყნის სრული განადგურება და ის საშინელი ტანჯვა, რომელიც ტიტეს მიერ ალყაშემორტყმულ იერუსალიმში უნდა აეტანათ. "დაუწყებს ჭამას შენი საქონლის ნაყოფს და შენი მიწის ნაყოფს და საბოლოოდ გაგაჩანაგებს... ალყაში მოგაქცევს მთელს შენს მიწა-წყალზე, ყველგან, ვიდრე არ დაგექცევა მთელს შენს ქვეყანაში მაღალი და მაგარი კედლები... დაუწყებ ჭამას შენი მუცლის ნაყოფს, შენი ვაჟებისა და ასულების ხორცს, რომლებიც მოგცა უფალმა, შენმა ღმერთმა, ალყაში და იწროებაში, როცა შეგავიწროებს მტერი". "განებივრებული და გაფუფუნებული ქალი, რომელსაც ფუფუნებისა და ნებიერობის გამო ფეხიც არ დაუკარებია მიწაზე, ავი თვალით შეხედავს თავის თანამეცხედრეს, თავის ვაჟსა და ასულს, მომყოლს, რომელიც გამოდის მის ფეხებსშორის, და თავის შვილებს, რომელთაც დაბადებს, რადგან ჩუმად შეჭამს მათ გაჭირვებისას, ალყაში და იწროებაში, როცა შეგავიწროებს მტერი შენს მიწა-წყალზე".

მეტად შთამბეჭდავი სიტყვებით დაასრულა მოსემ თავისი მიმართვა: "ვიმოწმებ დღეს თქვენს წინაშე ცას და მიწას: სიცოცხლე და სიკვდილი დაგიდევი წინ, კურთხევა და წყევლა. აირჩიე სიცოცხლე, რომ იცოცხლოთ შენ და შენმა შთამომავლობამ, გიყვარდეს უფალი, შენი ღმერთი, გესმოდეს მისი სიტყვა და მიეწებო მას, რადგან ის არის შენი სიცოცხლე და დღეგრძელობა, რომ იცხოვრო იმ მიწაზე, რომლის მოცემა ფიცით აღუთქვა უფალმა შენს მამა-პაპას - აბრაამს, ისააკს და იაკობს" /რჯლ. 30:19,20/.

წმიდა საგალობლად აქცია მოსემ ეს სიტყვები, რათა სამუდამოდ ჩაბეჭდილიყო

[467]

მისი ხალხის გონებაში არა მხოლოდ როგორც ისტორიული, არამედ წინასწარმეტყველური ჭეშმარიტება. წარსულში უფლის ხალხისადმი უდიდეს მოწყალებაზე თხრობის გარდა, ამ სიტყვებში მომავლის უდიდესი მოვლენები - ქრისტეს დიდებითა და ძლიერებით მეორედ მოსვლისას მართალთა საბოლოო გამარჯვება იყო ნაწინასწარმეტყველები. ხალხს

ზეპირად უნდა ესწავლა ეს ისტორიული საგალობლები, გადაეცა შვილებისთვის თაობიდან თაობამდე. ყველას ერთად უნდა ემღერა ეს საგალობელი, მსახურებაზე შეკრებისას თუ ყოველდღიური საქმიანობისას. ყოველ მშობელს ევალებოდა, ბავშვთა ადვილად დამყოლ გონებაში ჩაებეჭდა ამ ფსალმუნის სიტყვები.

რადგან ისრაელიანნი უნდა ყოფილიყვნენ უფლის რჯულის შემნახველნი და დამცველნი, ამიტომ ღმერთისადმი მორჩილების უდიდესი მნიშვნელობის შესახებ სიტყვები მთელი შთამომავლობისათვის უნდა გადაეცათ. უფალმა ბრძანა თავისი რჯულის შესახებ: "ჩააგონებდე შენს შვილებს და უთხრობდე სახლში ჯდომისას, გზაზე სიარულისას, დაწოლისას და ადგომისას... წააწერე შენი სახლის წირთხლებს და კარებს".

როცა მომავალში მათი შვილები იკითხავენ: "რა არის ეს მოწმობანი, მცნებები, წესები და სამართალი, რომელიც გამოგიცხადათ თქვენ უფალმა, ჩვენმა ღმერთმაო?" - მშობლებმა უნდა უამბონ მათ, თუ რა დიდი წყალობა გამოიჩინა უფალმა მათ მიმართ ტყვეობიდან გათავისუფლებისას, რათა დაეცვათ მისი მცნებები. ასე უნდა უთხრან შვილებს: "გვიბრძანა უფალმა ყველა ამ წესის შესრულება და უფლის, ჩვენი ღმერთის შიში, რომ კარგად ვიყოთ მთელი სიცოცხლე, რომ ცოცხალნი დავრჩეთ, როგორც ახლა ვართ. ჩვენი იქნება სიმართლე, თუ

შევასრულებთ ყველა იმ მცნებას უფლის, ჩვენი ღმერთის წინაშე, როგორც უბრძანებია ჩვენთვის".

[468]

თავი 43 - მოსეს სიკვდილი

მეორე რჯული 31-34

თავისი ხალხის მიმართ უზენაესის სიყვარული მისი სამართლიანობის მკაცრ და მიუკერძოებელ გამოვლენასთანაა შერწყმული. ებრაელთა ისტორია ამის თვალსაჩინო მაგალითია. უფალმა ღმერთმა უხვად აკურთხა ისრაელი. მისი დიდი, ნაზი სიყვარული გულში ჩამწვდომი ასეთი სიტყვებითაა გამოხატული: "როგორც არწივი ფხიზლობს თავის ბუდეზე, ზედ ეფოფრება თავის მართვეებს, ფრთებს შლის, აიტაცებს და მიჰყავს თავისი მხრებით, ასე მარტო დაატარებდა მას უფალი". მაგრამ, შესცოდეს ებრაელებმა და საშინელმა შურისგებამაც არ დააყოვნა!

თავისი უსასრულო სიყვარული უფალმა იმით გამოხატა, რომ გვიძღვნა თავისი ერთადერთი ძე, რომელმაც დაცემული

კაცობრიობა გამოისყიდა. ქრისტე წუთისოფელში მოვიდა, რათა მამის ჭეშმარიტი არსი გაემჟღავნებინა ხალხის წინაშე და მის ყოველ საქმეში ღვთიური მზრუნველობა და თანაგრძნობა ვლინდებოდა. მაგრამ მაცხოვარმა თავად თქვა: "ვიდრე ცა და დედამიწა არ გადაივლის, არც ერთი იოტა ანდა არც ერთი წერტილი არ გადაივლის რჯულისა" /მათ. 5:18/. იგივე ხმა, რომელიც ასეთი დიდი მოთმინებითა და სიყვარულით იხმობს ყოველ ცოდვილს, რათა მიტევება და მშვიდობა მისცეს, სამსჯავროს დიად დღეს მისი წყალობის უარმყოფელთ ეტყვის: "წადით ჩემგან, წყეულნო" /მათ. 25:41/. წმიდა წერილში უფალი არა მხოლოდ მზრუნველ მამად გვეცხადება, არამედ - სამართლიან მსაჯულადაც. თუმცა მოწყალების გაცემა მისთვის უდიდესი სიამოვნებაა, რადგან "დანაშაულთა, ცოდვათა და ბრალთა მიმტევებელი" ღმერთია, მაგრამ, ამავე დროს, "ცოდვის მომკითხავიც" არის იგი /გამ. 34:7/.

ხალხთა უზენაესმა მბრძანებელმა განაცხადა, რომ ვერ შეიყვანს მოსე ისრაელს აღთქმულ ქვეყანაში. ღვთის ამ ერთგული მსახურის გულწრფელმა ვედრებამაც ვერ შეაცვლევინა უფალს მის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილება. იცოდა მოსემ, რომ მალე უნდა მომკვდარიყო, მაგრამ ერთი წამითაც არ შეუწყვეტია ისრაელზე ზრუნვა. ერთგულად ზრუნავდა იგი, რათა თავისი ხალხი აღთქმული მემკვიდრეობის მისაღებად მოემზადებინა. უფლის ბრძანების თანახმად, მოსე და იესო ნავეს ძე საწმიდრისაკენ გაეშურნენ, ...და დადგა სვეტი ღრუბლისა კარვის შესასვლელთან. აქ, საზეიმო ვითარებაში, გადაეცა იესო ნავეს ძეს ებრაელი ერის ხელმძღვანელობა. მოსეს, როგორც

ხალხის წინამძღოლის, მისია დასრულდა. საერთო საქმით იყო მოსე დაკავებული და საკუთარი თავი დაავიწყდა. ღმერთის სახელით, საჯაროდ, მხნეობისა და იმედის სიტყვებით მიმართა მან თავის შემცვლელს: "გამაგრდი და გამტკიცდი, რადგან შენ უნდა წაჰყვე ამ ერს იმ ქვეყანაში, რომლის მიცემაც ფიცით აღუთქვა უფალმა მის მამა-პაპას". შემდეგ კი საზეიმოდ მიმართა ერის უხუცესთ და თავკაცთ, შეესრულებინათ ყოველივე, რასაც უფალი მისი ბაგეებით ბრძანებდა.

უმზერდნენ ისრაელიანნი ღვთის ერთგულ, ხანდაზმულ მსახურს, რომელიც სულ მალე დატოვებდა მათ და უდიდესი მადლიერების გრძნობით იხსენებდნენ მის მამაშვილურ მზრუნველობას, ბრძნულ რჩევებსა და მოუღალავ შრომას. რა ხშირად, როცა ღვთის სამართლიან სასჯელს იმსახურებდნენ, ღვთისადმი ლოცვა-ვედრებით შველოდა მათ მოსე! რა ხშირად უგზავნიდათ შენდობას ზეცა მოსეს თხოვნით! სინდისის მტანჯველი ქენჯნა უფრო აძლიერებდა მათ

[469]

[470]

მწუხარებას. მწარედ იხსენებდნენ, რომ სწორედ მათმა ურჩობამ მიიყვანა მოსე ცოდვის ჩადენამდე, რისთვისაც უნდა მომკვდარიყო ახლა.

საყვარელი წინამძღოლის ასეთი სიკვდილი უფლის უდიდესი საყვედური იყო ისრაელიანთა ურჩობის საპასუხოდ. მოსეს რომ კვლავ ეცოცხლა და თავისი მსახურება განეგრძო, ისრაელიანნი არასოდეს ჩაუფიქრდებოდნენ ასე ღრმად საკუთარ დანაშაულს. უფალს სურდა, რომ ისევე ძლიერ არ დაეტვირთათ თავიანთი ახალი წინამძღოლი, როგორც მოსე. ღმერთი კურთხევის ენით ესაუბრება თავის ხალხს, მაგრამ, ყოველივე ამის შეუფასებლობის შემთხვევაში, უფალი ართმევს თავის კურთხევას, რათა ადამიანებმა თვალნათლივ დაინახონ საკუთარი ცოდვები და გულწრფელად მოინანიონ მის წინაშე.

იმ დღეს ებრძანა მოსეს: "ადი ამ ყაბარიმის მთაზე, ნებოს მთაზე... გახედე ქანაანის ქვეყანას, რომელსაც საკუთრებად ვაძლევ ისრაელიანებს; მოკვდი მთაზე, რომელზეც ახვალ, და შეერთე შენს ერს". მოსე ხშირად ტოვებდა ხოლმე ბანაკს, როცა უფალთან სასაუბროდ მიდიოდა. მაგრამ ახლა ახალი, იდუმალებით მოცული გზა ჰქონდა გასავლელი. უნდა გაევლო მოსეს ეს გზა, რათა უფლისთვის ჩაებარებინა თავისი სიცოცხლე. იცოდა მოსემ, რომ სიკვდილის წუთებში სულ მარტო იქნებოდა, რადგან მის მიწიერ მეგობართაგან სიცოცხლის ბოლო წუთებში მასთან ყოფნის ნება არავის მიეცა. მომავალი გაურკვეველი და მრისხანე ეჩვენებოდა და საშინლად

ზარავდა ფიქრი იმაზე, რაც უნდა მომხდარიყო. ყველაზე მეტად იმ ხალხთან განშორება ეძნელებოდა, რომელზედაც ასე ზრუნავდა და რომელიც ძლიერ უყვარდა; ხალხთან, რომელთანაც ასე ხანგრძლივად, განუშორებლად ცხოვრობდა და ბევრი ჰქონდა საერთო; რომელთანაც მთელი თავისი სიცოცხლით იყო დაკავშირებული. მაგრამ ისწავლა ღვთისადმი სრული ნდობა და ურყევი რწმენით მიანდო უზენაესის მოსიყვარულე და მოწყალე ხელს საკუთარი თავიც და თავისი ხალხიც.

უკანასკნელად იდგა მოსე თვისტომთა შორის. კვლავ მოეფინა სულიწმიდის ნათელი და, საოცრად ამაღლებული, გულში ჩამწვდომი სიტყვებით აკურთხა წინასწარმეტყველმა ისრაელიანთა ყოველი შტო და ბოლოს, ყველა ერთად:

"არ არის ღმერთი იეშურუნის ღმერთის მსგავსი,

ცაშია ამხედრებული შენს შემწედ

და ღრუბლებში თავისი დიდებით.

თავშესაფარია ძველი ღმერთი

და სიღრმეთაგან მკლავი მარადიული.

მტერი განდევნა შენგან და თქვა: გაავლე მუსრი!

დავანებულია უზრუნველად ისრაელი, მარტო;

იაკობის წყარო რწყავს პურის ყანებს და ვენახებს,

მისი ციდანაც წვეთავს ცვარი.

ნეტარი ხარ, ისრაელო!

ვინ შეგედრება შენ, ხალხო, გადარჩენილო უფლის მიერ,

რომელიც შენი მფარველი ფარია

და შენი დიდების მახვილი!"

/რჯლ. 33:26-29/.

და შემდგომ, აუჩქარებლად დატოვა წინასწარმეტყველმა თავისი ხალხი და მდუმარედ, მარტოდმარტო გაემართა მთის მწვერვალისაკენ. "ავიდა მოსე... ნებოს მთაზე, ფისგას წვერზე". იდგა მთის წვერზე და ნათელი მზერით გასცქეროდა წინ გადაშლილ არემარეს. შორს, დასავლეთით, დიდი ზღვის ლურჯი წყლები გადაწოლილიყო; ჩრდილოეთით ცად აბჯენილი ხერმონის მთა

[471]

გამოკვეთილიყო; აღმოსავლეთით - მოაბის მთაგორიანი ფერდობები, უფრო მაღლა - ბაშანი, სადაც ასეთი დიდი გამარჯვება მოიპოვა ისრაელმა, სამხრეთით კი - უდაბნო, მათი ხანგრძლივი მოგზაურობის ადგილი.

საკუთარ თავთან მარტო დარჩა მოსე... გაახსენდა მთელი თავისი გაჭირვებული ცხოვრება, ბედის უკუღმართობა ფარაონის სასახლის დატოვების შემდგომ, სადაც, ეგვიპტის სამეფო დიდებულ მომავალს უქადდა, მაგრამ ღვთის ხალხთან ყოფნა და მათი ბედის გაზიარება არჩია პატივით ცხოვრებას. გაახსენდა უდაბნოში გატარებული ხანგრძლივი წლები, ითროს ფარას რომ მწყემსავდა; ცეცხლმოდებულ ბუჩქში ანგელოზის გამოცხადება, სწორედ მაშინ, როცა უფალმა ისრაელის

გათავისუფლება დაავალა. და კვლავ, მეხსიერებაში ამოუტივტივდა საოცარი სასწაულები, რომელნიც თავისი რჩეული ხალხისთვის მოახდინა უფალმა; უფლის ხანგრძლივი მოთმინება და გულმოწყალება მთელი მოგზაურობის მანძილზე და ამბოხებების ჟამს. ბევრს სწყალობდა ღმერთი ისრაელს, მაგრამ, როგორ არ ემუდარა მას მოსე, ღვთისადმი ერთგულად მსახურების მიუხედავად, ეგვიპტიდან გამოსვლის დროინდელ სრულწლოვანთა შორის, აღთქმულ ქვეყანაში შესვლის ღირსად მხოლოდ ორი ადამიანი სცნო უფალმა. და ახლა, თავისი შრომის შეჯამებისას, განსაცდელითა და თავდადებით სავსე მთელი თავისი ცხოვრება თითქმის ამაო გარჯად ეჩვენა მოსეს.

მაგრამ არ ნანობდა იგი ამ მძიმე ტვირთის ტარებას, რადგან იცოდა, რომ თავად უფალმა დაავალა ამ საქმეთა კეთება. როდესაც პირველად ისრაელის წინამძღოლობა და თავისი ხალხის ეგვიპტის მონობიდან გათავისუფლება დაავალა უფალმა, შეეშინდა ამ უდიდესი პასუხისმგებლობისა, მაგრამ შემდგომ, როცა საქმეს შეუდგა, არც უცდია ამ ტვირთის გადაგდება. მაშინაც კი, როცა უფალი მას გათავისუფლებას სთავაზობდა და ამბოხებული ისრაელის განადგურება სურდა, ვერ დაეთანხმა წინასწარმეტყველი ამ გადაწყვეტილებას. და, თუმცა განსაცდელი მრავლად ჰქონდა, იგი ბედნიერი იყო მასზე გადმოსული განსაკუთრებული ღვთიური კურთხევით. უდაბნოში ხანგრძლივი ცხოვრებით მდიდარი გამოცდილება შეიძინა ღვთიური ძალისა და დიდების და მისი უსაზღვრო სიყვარულის გამოვლინების ხილვით. გრძნობდა, რომ ბრძნული

არჩევანი გააკეთა, როცა დროებით მანკიერ სიამტკბილობას ღვთის რჩეულ ხალხთან ერთად ტანჯვა ამჯობინა.

და ახლა, როცა თავის, როგორც ხალხის წინამძღოლის, ცხოვრებას გადახედა, დარწმუნდა, რომ მთელ მის ცხოვრებას ამ ერთმა არასწორმა ქცევამ ხაზი გადაუსვა. გრძნობდა, რომ, თუკი ამ დანაშაულის გამოსწორებას შეძლებდა, მერე სიკვდილისაც აღარ შეეშინდებოდა. სწამდა მოსეს, რომ მხოლოდ მონანიებასა და აღთქმული მსხვერპლისადმი რწმენას ითხოვდა უფალი და კვლავ მოინანია თავისი ცოდვა და ქრისტეს სახელით მიტევება შესთხოვა უზენაესს.

ახლა პანორამასავით გადაეშალა თვალწინ აღთქმული მიწა წინასწარმეტყველს. ქვეყნის ყოველი კუთხე იხილა და არა ნისლითა და ბურუსით მოცული კონტურებით, არამედ ცხადად და ნათლად, მთელი თავისი დიდებით. აღთქმული ქვეყანა იმ საოცარი სილამაზით წარმოუდგა თვალწინ, როგორიც მაშინ გახდებოდა, როცა ისრაელის კურთხეულ მემკვიდრეობად იქცეოდა. მეორე სამოთხედ ეჩვენებოდა იგი მოსეს. ლიბანის კედრებით მოფენილი, ცამდე აწვდილი მთებით, ზეთისხილის ხეებითა და სურნელოვანი ვაზით მოფენილი გორაკებით; ყვავილებითა და მსხმოიარე ხეებით მორთული ფართო, მწვანე ველებით, ტროპიკული პალმებით, პურისა და ქერის მოღაღანე ყანებით; მზიან ჭალებში ნაკადულთა საამო ჩუხჩუხი და ფრინველთა ჭიკჭიკი მელოდიურად ერწყმოდა ერთმანეთს; იქ

იყო მშვენიერი ქალაქები და ჩინებული ბაღები, უხვი მდინარეები და ტბები; მთათა ფერდობებზე ნახირი ძოვდა, კლდეებში

[472]

კი, მშვიდი ზუზუნით უხვ სიმდიდრეს აგროვებდა ველური ფუტკარი. ეს იყო მიწა, რომელიც სულიწმიდით შთაგონებულმა მოსემ ისრაელს აუწერა: "უფლის კურთხევით იყოს მისი მიწა, ცის მადლით - ნამით, და უფსკრულებით, ქვე რომ განრთხმულან; მზის მადლიანი ნაყოფებით... ძველი მთების მწვერვალებით... მიწის მადლით და მისი სისავსით" /რჯლ. 33:13-16/.

იხილა მოსემ, თუ როგორ დასახლდება ქანაანის მიწაზე რჩეული ხალხი და რომ ყოველ შტოს თავისი სამფლობელო ექნება. ისიც გაუცხადა უფალმა, თუ რა მოხდებოდა აღთქმულ მიწაზე ისრაელის დასახლების შემდგომ: ებრაელთა ხანგრძლივი განდგომილების ნაღვლიანი ისტორია. ამის გამო მათ თავს დატეხილი რისხვაც არ დაუმალავს მოსესთვის უფალს: თავიანთი ცოდვების გამო იუდეველთა წარმართებს შორის გაფანტვა და ძველი დიდების გარდასვლა; ისრაელის მშვენიერ ქალაქთა ნანგრევები და წარმართთა ტყვეობაში მყოფი ღვთის

ხალხი; ებრაელთა მამა-პაპის მიწაზე კვლავ დაბრუნებაც იხილა მოსემ და მათზე რომის იმპერიის ძალაუფლების ბატონობაც.

საუკუნეთა შემდგომ მაცხოვრის დედამიწაზე პირველი მოსვლაც იხილა მოსემ. იესოს ბეთლემში დაბადება, ამასთან დაკავშირებით ანგელოზთა მხიარული, სახოტბო საგალობლები ღვთისა და დედამიწაზე მშვიდობის სადიდებლად. იხილა ვარსკვლავი, რომელმაც აღმოსავლეთის ბრძენკაცები ყრმა იესოსთან მიიყვანა და, წინასწარმეტყველური სიტყვების: "ამოდის ვარსკვლავი იაკობისგან და იმართება კვერთხი ისრაელისგან" /რიცხ. 24:17/, - გახსენებისას, ზეციურმა ნათელმა გაუნათა სული. თვალწინ დაუდგა იესოს ცხოვრება ნაზარეთში, მისი სიყვარულით აღსავსე მსახურება, თანაგრძნობა და განკურნების სასწაულები; პატივმოყვარე, ურწმუნო ხალხის მიერ მისი უარყოფა. განცვიფრებით უსმენდა იგი თვისტომთა თამამ განცხადებებს იმის შესახებ, რომ ღვთის რჯულს იცავენ და ამავე დროს შეიძულეს და უარყვეს თვით ამ რჯულის ავტორი. იხილა იესო ზეთისხილის მთაზე, საიდანაც ცრემლით ემშვიდობებოდა საყვარელ ქალაქს. და აი, მოსესთვის ცხადი გახდა ღვთისაგან იმ ხალხის უარყოფა, რომელსაც ზეცის განსაკუთრებული კურთხევა ეძლეოდა, რომლისთვისაც მან, მოსემ, ამდენი იშრომა, ილოცა და იტანჯა, ვისთვისაც ზეციური წიგნიდან საკუთარი სახელის ამოშლაც კი ითხოვა. და აი, საშინელი სიტყვები მოესმა: "აჰა, გრჩებათ თქვენი სახლი ოხრად" /მათ. 23:38/. გულში საშინელი, მტანჯველი ტკივილი

იგრძნო და მწარედ ატირდა. ეს იყო ცრემლი ღვთის ძის მიმართ თანაგრძნობისა, რომელიც ასე სასტიკად იტანჯა.

გეთსიმანიის ბაღშიც იხილა მოსემ მაცხოვარი, იქ გატარებული წუთების მთელი სიმძიმე, ღალატი, დაცინვა, გაროზგვა და ჯვარცმა. მისთვის ცხადი გახდა, რომ იმ გველის მსგავსად, რომელიც მან უდაბნოში აღმართა, უნდა ამაღლებულიყო ღვთის ძეც, რათა "ყოველი მისი მორწმუნე არ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე" /იოან. 3:15/. მწუხარებითა და აღშფოთებით უცქერდა მოსე იუდეველთა მლიქვნელობასა და სატანურ სიძულვილს თავისივე გამომსყიდველის, უძლიერესი ანგელოზის მიმართ, რომელიც წინ მიუძღოდა მათ წინაპრებს. იესოს ტანჯვის შემახილიც მოესმა: "ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რად მიმატოვე?" /მარკ. 15:34/. იოსების ახალ სამარხში დასვენებული ქრისტეც იხილა მან, როცა უიმედობის საშინელმა ალმა მოიცვა მთელი სამყარო. მაგრამ აი, დააკვირდა და დაინახა სამარხიდან ამოსული, სიკვდილზე გამარჯვებული, შემდეგ კი, მის თაყვანისმცემელ ანგელოზთა და სამარხებიდან ამოსულ, სიკვიდილის ტყვეობიდან გათავისუფლებულ მრავალ ადამიანთა თანხლებით ცად ამაღლებული იესო. ზეცის ბრწყინვალე კარიბჭე გაიხსნა მის მისაღებად და ზეცის მკვიდრნი გამარჯვების საგალობლებით შეხვდნენ თავის მბრძანებელს. ისიც ეუწყა მოსეს, რომ თავადაც იქნებოდა იესოს გამცილებელთა

[475]

[476]

შორის, რომლებიც მარადიული სასუფევლის კარიბჭეს გაუხსნიან მაცხოვარს. ზეციური ბრწყინვალებით შეიმოსა მოსეს სახე ამ სურათის დანახვისას. რაოდენ მცირე ეჩვენა საკუთარი მსხვერპლი და შრომის ტვირთი იმასთან შედარებით, რაც უფლის ძეს უნდა აეტანა! და რა მცირე იყო ყოველივე ეს მარადიული დიდების სიუხვესთან შედარებით! /იხ. 2 კორ. 4:17/. რა ბედნიერი იყო მოსე, რომ ქრისტეს ტანჯვებში თუნდაც მცირედი მონაწილეობის ღირსი გახადა უფალმა!

წუთისოფლისათვის სახარების მქადაგებელნი - იესოს მოწაფეებიც იხილა მოსემ. მან დაინახა, თუმცა ისრაელმა "ხორცის მიხედვით" ვერ გაამართლა თავისი უმაღლესი დანიშნულება, რისთვისაც უფალმა აირჩია ისინი; თუმცა, თავიანთი ურწმუნოების გამო, ისრაელს, როგორც რჩეულ ერს, წაერთვა კურთხევა, ღვთის მადლი და ვერ გახდა "წუთისოფლის ნათელი", მაგრამ უფალმა ღმერთმა არ უარყო აბრაამის თესლი. წმიდა, ნათელი ჩანაფიქრი, რომლის განხორციელებაც მას ისრაელის მეშვეობით სურდა, მაინც სრულდება. ყოველი ქრისტეს მორწმუნე აბრაამის თესლად ითვლება. აღთქმის მემკვიდრენი არიან ისინი. აბრაამის

მსგავსად, ისინიც დაიცავენ ღვთის მცნებებს და უფლის რჯულისა და მისი ძის სახარების უზენაესობას წუთისოფელს ამცნობენ. ისიც იხილა მოსემ, თუ როგორ ავრცელებდნენ ქრისტეს მიმდევარნი სახარების ნათელს, რითაც "ჩრდილის ქვეყანაში მსხდომთ ნათელი ამოუბრწყინდათ" /მათ. 4:16/. მრავალი ქვეყნის ათასობით წარმართი მიიღებს მას. და დიდად გაიხარა მოსემ ისრაელის ასეთი გამრავლებითა და წარმატებით.

მაგრამ აი, სხვა სურათი გადაეშალა მის თვალს: ყველაფერს იღონებს სატანა, რათა აცდუნოს იუდეველნი - უარყონ ქრისტე, თუმცა მამის მცნებათა შემნახველად აცხადებენ თავს. იხილა მის მიერ ამგვარადვე ცდუნებული ქრისტიანული სამყარო, როცა ადამიანები ჩათვლიან, რომ მიიღეს ქრისტე და, ამავე დროს, რჯულს უარყოფენ. მოესმა გონსგადასულ მღვდელთა და უხუცესთა საშინელი ყვირილი: "ძირს იგი!" - "ჯვარს აცვი! ჯვარს აცვი!" იმავ დროს მოესმა ე.წ. ქრისტიან მქადაგებელთა შეძახილები: "ძირს რჯული!" და იხილა, თუ როგორ შეცვალეს უფლის შაბათი საკუთარი ცრუ დადგენილებით. განცვიფრებამ და საშინელებამ მოიცვა კვლავ მოსეს გული. როგორ შეძლეს ქრისტეს მორწმუნეებმა მის მიერ წმიდა მთაზე გამოცხადებული რჯულის უარყოფა? როგორ გააუქმეს ღვთისმოშიშმა ადამიანებმა რჯული, რომელიც ზეცაში და დედამიწაზე უზენაესის მმართველობის საძირკველია? სიხარულმა მოიცვა მოსეს გული, როცა უფლის მცნებათა დამცველ და მადიდებელ ქრისტიანთა მცირე ჯგუფი აჩვენა უფალმა. იგი მოწმე გახდა უკანასკნელი დიადი ბრძოლისა, როცა წუთისოფელი უფლის

რჯულის დამცველთა განადგურებას შეეცდება. ის დროც აჩვენა უფალმა, როცა ღმერთი დედამიწის უწმიდურ მკვიდრთა საბოლოო დასჯის გადაწყვეტილებას მიიღებს, თავის მოშიშთ კი დაიცავს და დაიფარავს ღვთის რისხვის ამ უდიდეს დღეს. მის თვალწინ დაუდო მშვიდობის აღთქმა უფალმა მისი რჯულის დამცველთ თავისი მგრგვინავი ხმით, რომელმაც მთელი ცა და მიწა შეარყია. იხილა ქრისტეს მეორედ მოსვლა მთელი თავისი დიდებით, მართალთა საუკუნო სიცოცხლისათვის მკვდრეთით აღდგომა და იმ ცოცხალ წმიდანთა ფერისცვალება, რომელნიც არ იხილავენ სიკვდილს და სხვებთან ერთად, სიხარულისა და ქება-დიდების ჰიმნებით ავლენ ზეცად, ღვთიური ქალაქისაკენ.

კიდევ ერთი სურათი აჩვენა უფალმა მოსეს. მის თვალწინ გადაიშალა ცოდვისა და წყევლისგან გათავისუფლებული მიწა, ბევრად უფრო მშვენიერი იმ აღთქმულ მიწაზე, რომელიც სულ ახლახანს იხილა. აღარ იყო მასზე ცოდვა, არც სიკვდილი. გადარჩენილთა მარადიული სავანე იყო იგი. ენით

[477]

გამოუთქმელი სიხარულით უმზერდა მოსე ადამიანთა გამოსყიდვის ამ დიდებულ სურათს, რომელიც ბევრად

აღემატებოდა მის ყველაზე სანუკვარ ოცნებებსა და იმედს. ღვთის ისრაელის მიწიერი მოგზაურობა სამუდამოდ დასრულდა და იგი თავის საუცხოო სამშობლოში დაბრუნდა.

ხილვა დამთავრდა. წინასწარმეტყველის თვალი კვლავ მიწიერ ქანაანს დაუბრუნდა. შემდეგ კი, დაღლილი მგზავრის მსგავსად, დასასვენებლად წამოწვა იგი. "მოკვდა მოსე, უფლის მორჩილი, მოაბის ქვეყანაში, უფლის სიტყვისამებრ. დამარხეს იგი ველზე მოაბის ქვეყანაში ბეთ-ფეღორის წინ და არავინ იცის მისი საფლავი დღევანდლამდე" /რჯლ. 34:5, 6/. მათთვის, ვინც მოსეს სიცოცხლეში ყურად არ იღო მისი რჩევები, წინამძღოლის სიკვდილის შემდეგ არსებობდა საშიშროება, კერპად გაეხადათ მისი მკვდარი სხეული მისი საფლავის ცოდნის შემთხვევაში. ამიტომ არავინ იცოდა მისი დამარხვის ადგილი. ღვთის ანგელოზებმა მიაბარეს მიწას უფლის ამ ერთგული მსახურის სხეული და მუდამ იცავდნენ ამ განმარტოებულ საფლავს.

"აღარ გამოჩენილა ისრაელში, წინასწარმეტყველი, მსგავსი მოსესი, რომელსაც პირისპირ იცნობდა უფალი, ყველა იმ ნიშნით და სასწაულით, რომელთა მოსახდენად მოავლინა უფალმა... იმ მაგარი ხელით და დიადი სასწაულებით, რომელნიც მოიმოქმედა მოსემ მთელი ისრაელის თვალწინ" /რჯლ. 34:10-12/.

კადეშში ჩადენილი იმ ერთადერთი ცოდვით /ხალხს რომ წყალი მისცა და ამისათვის ღვთის კუთვნილი დიდება კი მიითვისა/

რომ არ შეელახა თავისი წმიდა მსახურება, შევიდოდა მოსე აღთქმულ ქვეყანაში და ისე წაიყვანდა უფალი ზეცაში, რომ სიკვდილს არ იხილავდა იგი. მაგრამ დიდხანს არ დაუტოვებია უფალს იგი საფლავში. მოსეს დამმარხველ ანგელოზებთან ერთად თავად ჩამოვიდა ქრისტე თავისი ერთგული მსახურის გასაღვიძებლად. როგორ ზეიმობდა სატანა თავის გამარჯვებას იმის გამო, რომ აცდუნა მოსე და თავისი სიკვდილის სამეფოს მარადიულ ტყვედ აქცია. უდიდესმა მზაკვარმა განაცხადა, რომ ღვთის განაჩენი: "მტვერი ხარ და მტვრადვე მიიქცევი" /დაბ. 3:19/ - მოსეს მკვდარ სხეულზე ბატონობის უფლებას აძლევს მას, რომ სამარხთა კარიბჭე მტკიცეა, მათში მყოფნი სატანის ტყვეები არიან და ვერასოდეს ამოვლენ ამ საუკუნო წყვდიადიდან.

პირველად ჩამოვიდა ქრისტე დედამიწაზე მიცვალებულის გასაღვიძებლად. როცა სიცოცხლის მეფე, თავის ბრწყინვალე ანგელოზთა თანხლებით, მოსეს სამარხს მიუახლოვდა, თავისი სამფლობელოს დაკარგვის შიშმა თავზარი დასცა სატანას და, თავის ბოროტ ანგელოზებთან ერთად, თავისი უფლებების დასაცავად მოემზადა. იგი დიდად ამაყობდა იმით, რომ ღმერთის მსახური ახლა მისი ტყვე იყო და ხმამაღლა აცხადებდა, რომ თვით მოსეც კი უძლური აღმოჩნდა ღვთის რჯულის შესრულების წინაშე, რომ იეჰოვას კუთვნილი დიდების მითვისებით წინამძღოლმა იგივე ცოდვა ჩაიდინა, რაც თავად ლუციფერმა - ზეცაში და, რამაც ზეცა დააკარგვინა მას. ახლა კი მოსე, თავისი ცოდვის გამო, სატანას უნდა დაემორჩილოს. თვალთმაქცმა კვლავ გაიმეორა ბრალდება,

რომელიც, თავდაპირველად, ღვთიურ მმართველობას წაუყენა და თავისთან მიმართებაში ღმერთს კვლავ უსამართლო უწოდა.

ქრისტეს არ გაუმართავს მასთან კამათი. თუმცა კი შეეძლო მისი დადანაშაულება ზეცაში თავისი სიცრუით გამოწვეული სასტიკი შედეგების გამო, რაც ურიცხვ ზეციურ მკვიდრთა დაღუპვის მიზეზი გახდა. შეეძლო, გაეხსენებინა სამოთხეში წარმოთქმული სიცრუე, რამაც აცდუნა ადამი და კაცობრიობას სიკვდილი დაატეხა თავს. შეეძლო, ისიც გაეხსენებინა, რომ სწორედ ლუციფერმა დათესა ისრაელში უკმაყოფილებისა და ამბოხების თესლი,

[478]

[479]

რასაც წინამძღოლის მოთმინებამ ვეღარ გაუძლო და შესცოდა, რის გამოც მოკვდა კიდეც. მაგრამ ქრისტემ ყველაფერი მამას მიანდო და წარმოთქვა: "შეგრისხოს უფალმა!" /იუდ. 9/. პაექრობა არ გაუმართავს მაცხოვარს ამ განდგომილ ანგელოზთან, არამედ მტრის ხელმწიფების დამხობისა და მკვდრეთით აღდგენის საქმეს შეუდგა, რაც მეტყველებს სატანის

უძლურებაზე, წინააღმდეგობა გაუწიოს უფლის ძის უზენაეს ხელმწიფებას. აღდგომის ძალა უკვდავყოფილ იქნა. ნადავლი წაართვეს სატანას; ღვთის გარდაცვლილი მართალი მსახური კვლავ იცოცხლებს.

ცოდვის ჩადენამ სატანის ტყვედ აქცია მოსე. დამსახურებული სასჯელისამებრ, სიკვდილის კანონიერ ტყვედ იქცა იგი, მაგრამ მკვდრეთით აღდგა საუკუნო სიცოცხლისათვის, გამომსყიდველის ნებისამებრ. განდიდებული ამოვიდა მოსე სამარხიდან და თავის მხსნელთან ერთად ზეციურ ქალაქს მიაშურა.

აქამდე არასოდეს გამოვლენილა ასე საოცრად ღვთიური სიყვარული და სამართლიანობა, გაცხადებული ქრისტეს მსხვერპლში, როგორც ღმერთის მოსესთან დამოკიდებულებაში. მან ქანაანში შესვლის უფლება ჩამოართვა მოსეს, რაც თვალსაჩინო, დაუვიწყარ გაკვეთილად იქცა: უფალს უსიტყვოდ უნდა დავემორჩილოთ და შემოქმედის კუთვნილი დიდება არ უნდა მივითვისოთ. ვერ შეუსრულებდა უფალი მოსეს თხოვნას აღთქმულ ქვეყანაში შესვლის შესახებ, მაგრამ არასოდეს დავიწყებია თავისი ერთგული მსახური. ზეციერ მამას კარგად ესმოდა თავისი შვილის ტანჯვა და მწუხარება. მისი ბრძოლისა და განსაცდელით აღსავსე, ხანგრძლივი ცხოვრების გზაზე მოსეს ერთგული მსახურების ყოველი მომენტი აღნიშნა უზენაესმა და ფისგას მწვერვალიდან წაიყვანა იგი მიწიერ ქანაანზე უფრო დიდებულ სამკვიდრებელში.

ფერიცვალების მთაზე მოსე სხვა წინასწარმეტყველთან - ელიასთან ერთად იყო. სინათლისა და ზეციური დიდების მაცნეებად გამოუგზავნა უფალმა ისინი თავის ძეს. მოსეს მიერ მრავალი საუკუნის წინ აღვლენილი ლოცვა ამგვარად განხორციელდა. იდგა იგი თავისი ხალხის სამკვიდრებელში, მშვენიერ მთაზე მასთან ერთად, ვისშიც უნდა აღსრულებულიყო ისრაელისადმი მიცემული ყოველი აღთქმა. ასეთია უკანასკნელი სურათი, რომელიც მოკვდავთა თვალს გადაეშალა იმ ადამიანთან დაკავშირებით, ზეცის მიერ ასე დიდად რომ იქნა აღზევებული.

ქრისტეს პირველსახე იყო მოსე. თავად მაცხოვარმა გამოუცხადა ისრაელს: "წინასწარმეტყველს, როგორც მე ვარ, შენი წიაღიდან, შენი მოძმეებიდან, დაგიდგენს უფალი, შენი ღმერთი. მას უსმინე" /რჯლ. 18:15/. უფალმა ღმერთმა საჭიროდ სცნო, ტანჯვისა და გაჭირვების ქარცეცხლში გამოეცადა მოსე, რათა მას ისრაელის მხედრობა მიწიერ ქანაანში შეეყვანა. ზეციური ქანაანის გზაზე მიმავალ ღვთის ისრაელს კი წინ მიუძღვის წინამძღოლი, რომელსაც თავისი მისიის აღსასრულებლად, ადამიანისაგან განსხვავებით, არ სჭირდება არავითარი მომზადება. მან ხომ სრულყოფილებას საკუთარი ტანჯვით მიაღწია, "ვინაიდან, როგორც თვითონ იტანჯა და გამოიცადა, ისე შეუძლია დაეხმაროს განსაცდელში მყოფთ" /ებრ. 2:18/. და, თუმცა ჩვენს მხსნელს არავითარი ადამიანური სისუსტე და

არასრულყოფილება არ გამოუვლენია, იგი მაინც მოკვდა, რათა ჩვენთვის აღთქმულ ქვეყანაში შესვლის უფლება მოეცა.

"თუ მოსეც ერთგული იყო მთელ მის სახლში, როგორც მსახური, იმის დასამოწმებლად, რაც უნდა თქმულიყო; ხოლო ქრისტე - როგორც ძე მის სახლში; ჩვენ კი მისი სახლი ვართ, თუ ბოლომდე მტკიცედ შევინახავთ გაბედულებას და იმედის სიამაყეს" /ებრ. 3:5,6/.

[480]

თავი 44 - იორდანეზე გადასვლა

იესო ნავეს ძე 1:1-5:12

დიდად იგლოვეს თავიანთი გარდაცვლილი წინამძღოლი ისრაელიანებმა. განსაკუთრებული მსახურება მიუძღვნეს ოცდაათი დღის განმავლობაში. მხოლოდ ახლა, როცა მოსე აღარ იყო მათთან, დააფასეს მისი ბრძნული რჩევები, მამაშვილური სიყვარული და ურყევი რწმენა. ახლებურად, ღრმა გაგებით

ეკიდებოდნენ მის ძვირფას მოძღვრებას, თავის სიცოცხლეში ასე უხვად რომ უძღვნიდა ყველას.

მოკვდა მოსე, მაგრამ კვლავაც თავის ხალხთან იყო. მისი წმიდა, უანგარო ცხოვრება დიდხანს უნდა დარჩენილიყო ადამიანთა მეხსიერებაში და უტყვად, მაგრამ მტკიცედ უნდა შეეღწია მათ გულშიც კი, ვინც წინასწარმეტყველის სიცოცხლეში მის სიტყვებს არაფრად აგდებდა. როგორც ჩამავალი მზის სხივები კვლავ დიდხანს აშუქებს მთის მწვერვალებს, ასევე დიდხანს ანათებს დაცემულ წუთისოფელს წმიდანთა კეთილშობილური საქმეები. თუმცა ისინი დიდი ხანია აღარ არიან, მარადიულია მათი საქმეები, სიტყვები და მაგალითი: "საუკუნოდ გასახსენებლად იქნება მართალი" /ფს. 111:6/.

თუმცა ღრმად წუხდნენ ისრაელიანნი მოსეს დაკარგვას, მაგრამ უფლისგან მიტოვებულად არ გრძნობდნენ თავს. კვლავინდებურად ანათებდა საწმიდარს დღისით ღრუბლის სვეტი, ღამით - ცეცხლისა, იმის ნიშნად, რომ ღმერთი მუდამ დაიცავს და დაიფარავს თავის ხალხს, თუკი მის მცნებებს არ გადაუხვევს.

თავის ახალ წინამძღოლად ისრაელმა იესო ნავეს ძე აღიარა. მას გულად მეომრად სცნობდნენ და მისმა ამ ნიჭმა და ბრძოლისუნარიანობამ დიდი როლი შეასრულა ებრაელთა ისტორიაში. მამაცი, მედგარი, მტკიცე, სწრაფი, პატიოსანი, თავისი ხალხის კეთილდღეობისათვის ერთგული მებრძოლი და, უწინარეს ყოვლისა, უფლისადმი ცოცხალი რწმენის მქონე

ადამიანი - აი, ასეთი იყო ის, ვინც უფალმა თავისი ხალხის წინამძღოლად აირჩია და აღთქმულ ქვეყანაში მისი შეყვანა დაავალა. მოსეს მარჯვენა ხელი იყო იესო ნავეს ძე, თავმდაბალი, ერთგული და ურყევი, რითაც ასე ძლიერ განსხვავდებოდა ირგვლივ მრავლად მყოფ უპრინციპო, მცირედმორწმუნე ადამიანებისაგან. მტკიცე რწმენას ინარჩუნებდა იგი ყოველი საშიშროებისას და, ამ შესაძლებლობათა გამო, იგი მანამ ითვლებოდა მოსეს მემკვიდრედ, სანამ ამაზე უფალი მიუთითებდა.

გაურკვევლობისა და მოუსვენრობის გრძნობა დაეუფლა იესო ნავეს ძეს. არ იყო დარწმუნებული, რომ შეძლებდა ამ საქმის გაძღოლას, მაგრამ გაუქარწყლა უფალმა შიში და გაამხნევა: "როგორც მოსესთნ ვიყავი, ასევე შენთან ვიქნები, არ გამოგეცლები და არ მიგატოვებ... შენ უნდა დაუმკვიდრო ამ ხალხს ის ქვეყანა, რომლის მიცემასაც შევპირდი მათ მამა-პაპას". "ყოველი ადგილი, სადაც კი თქვენი ფეხის ტერფი დაიდგმება, თქვენთვის მომიცია, როგორც ვუთხარი მოსეს". ლიბანის მთებიდან ხმელთაშუა ზღვის ნაპირებამდე და ევფრატის უდიდეს მდინარემდე აღმოსავლეთით - ყველაფერი ისრაელის საკუთრება უნდა გამხდარიყო.

ასეთი სიტყვებით განუმტკიცა ეს აღთქმა უფალმა: "ოღონდ გამაგრდი და მტკიცედ დეგ მთელი რჯულის აღსრულებაში, რაც გიანდერძა მოსემ, ჩემმა მორჩილმა". "ნუ გაქრება რჯულის

ეს წიგნი შენი ბაგეებიდან, დღითა და ღამით ფიქრობდე მასზე". "არ გადაუხვიო მისგან არც მარჯვნივ, არც მარცხნივ", "რადგან მაშინ წარგემართება გზა და მაშინ გექნება წარმატება".

ჯერ კიდევ იორდანეს აღმოსავლეთით იდგნენ ისრაელიანნი. პირველი

[481]

[482]

დაბრკოლება ქანაანისკენ მიმავალ გზაზე სწორედ ეს მდინარე იყო. "ადექი, - ასეთი იყო იესოს მიმართ უფლის პირველი ბრძანება, - და გადალახე ეს იორდანე მთელი ერითურთ და შედი იმ ქვეყანაში, რომელიც მოგეცით თქვენ, ისრაელიანებს". არაფერი თქმულა იმის შესახებ, თუ რომელი გზით უნდა ევლოთ. მაგრამ იესომ იცოდა: რაც არ უნდა ბრძანოს უფალმა, იგი მოუმზადებს თავის ხალხს გზას. ასე სწამდა ამ მამაც მეომარს და შეუდგა კიდეც სამზადისს.

იორდანეს მეორე მხარეს, ნაპირიდან რამდენიმე მილის დაშორებით, ზუსტად იმ ადგილის საპირისპიროდ, სადაც

ისრაელიანთა ბანაკი იყო გაშლილი, ძლიერი და კარგად გამაგრებული ქალაქი იერიხონი მდებარეობდა. ჭეშმარიტად მთელი დედამიწის კარიბჭედ ითვლებოდა ეს ქალაქი - ებრაელთა წინაშე გადაულახავ კედლად აღმართული. ორი ახალგაზრდა კაცი გაგზავნა იესომ ქალაქის დასაზვერად. სურდა გაეგო, როგორ იყო გამაგრებული ქალაქი და ვინ ცხოვრობდა მასში. დიდი სიფრთხილითა და ეჭვით შეხვდა ამ უცხო ადამიანებს ქალაქის მოსახლეობა. ამიტომ, რა თქმა უნდა, მზვერავთ დიდი საფრთხე დაემუქრა. მაგრამ, ადგილობრივმა მკვიდრმა, რახაბმა საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებით იხსნა ისინი. მადლიერების ნიშნად მზვერავებმა აღუთქვეს, რომ ქალაქის აღებისას სიცოცხლეს შეუნარჩუნებდნენ მას.

მშვიდობით დაბრუნდნენ მზვერავები ბანაკში და ასე აუწყეს იესოს: "უფალს ჩაუგდია ჩვენს ხელში მთელი ეს ქვეყანა და ქვეყნის მკვიდრნიც დაშინებული ყოფილან ჩვენგან". ვინაიდან იერიხონში მათ უთხრეს: "რადგან გვსმენია, როგორ ამოაშრო თქვენს წინაშე უფალმა მეწამული ზღვა, როცა ეგვიპტიდან გამოდიოდით, რა უყავით ორ ამორეველ მეფეს, იორდანეს გაღმელთ, სიხონსა და ყოგს, რომელთაც მუსრი გაავლეთ. შევიტყვეთ და შეგვიდრკა გული, მხნეობა აღარავის შერჩა თქვენს გამო, რადგან უფალი, თქვენი ღმერთი ღმერთია მაღლა ცაში და დაბლა დედამიწაზე".

ამის შემდეგ გაიცა ბრძანება, მომზადებულიყვნენ. საჭირო იყო სამი დღის საგზლის მომზადება, მეომრებისათვის კი - ბრძოლისათვის სამზადისი. ყველა სიხარულით ასრულებდა წინამძღოლის ბრძანებას, ერთგულებისა და მხარდაჭერის ნიშნად. "რაც გვიბრძანე, ყველაფერს შევასრულებთ და ყველგან წავალთ, სადაც კი გაგვგზავნი. როგორც მოსეს ვუჯერებდით, ისე შენ დაგიჯერებთ. ოღონდ უფალი, შენი ღმერთი, იყოს შენთან, როგორც მოსესთან იყო".

დატოვა ისრაელმა თავისი ბანაკი შიტიმის აკაციების ხეობებში და იორდანეს საზღვრებისაკენ გაეშურა. მაგრამ ყველამ იცოდა, რომ ღვთიური დახმარების გარეშე მდინარეს ვერ გადალახავდნენ. წელიწადის ამ დროს, გაზაფხულზე, როცა მთებში თოვლი დნობას იწყებდა, მდინარე დიდდებოდა, ნაპირებზე გადმოდიოდა და მისი გადაცურვა შეუძლებელი იყო. ღმერთს სურდა, ისრაელის გადასვლა სასწაულად ქცეულიყო. იესოს მეშვეობით უბრძანა უფალმა ისრაელს, განწმედილიყო: მოენანიებინა ცოდვები და განბანილიყო. "რადგან ხვალ, - უთხრა მათ იესომ, - მოიმოქმედებს უფალი თქვენში სასწაულებს". ერს წინ უნდა გაძღოლოდნენ მღვდლები აღთქმის კიდობნით ხელში. როგორც კი ხალხი დაინახავდა, რომ მღვდლებმა კიდობანი მაღლა ასწიეს და მდინარის მიმართულებით დაიძრნენ, უკან გაჰყვებოდა მათ. დაწვრილებით აუხსნეს ისრაელიანთ მათი მდინარეზე გადასვლის ყოველი დეტალი. ასე გააფრთხილა ერი იესო ნავეს ძემ: "ამით დარწმუნდებით, რომ ცოცხალი ღმერთია თქვენს

შორის და იგი აჰყრის თქვენგან ქანაანელებს... აჰა, მთელი ქვეყნის პატრონის აღთქმის კიდობანი თქვენს თვალწინ გადალახავს იორდანეს".

დათქმულ დროს აღდგა მთელი ხალხი მღვდელთა ხელმძღვანელობით, რომელთაც ხელში აღთქმის კიდობანი ეპყრათ და გზას გაუდგა. ისრაელიანთ

[483]

[484]

ებრძანათ, ნახევარი მილის მოშორებით გაჰყოლოდნენ აღთქმის კიდობანს. მთელი ყურადღების დაძაბვით ადევნებდა თვალს ხალხი, თუ როგორ დაეშვნენ მღვდლები იორდანეს ნაპირისაკენ; საკუთარი თვალით იხილეს, თუ როგორ გაბედულად შევიდნენ მღვდლები, კიდობნით ხელში, აქაფებულ, მღელვარე ტალღებში, როგორ დაუსველა ფეხები ძლიერმა ტალღამ. მაგრამ უცბად წყალი დინების საწინააღმდეგოდ აიწია მაღლა და უკან დაიხია, დაბლა კი კვლავ ჩვეულებრივად განაგრძო დინება. შუაში კი მდინარის ფსკერი გამოჩნდა.

უფლის ბრძანების თანახმად, მდინარის შუაგულში შედგნენ მღვდლები და ადგილიდან არ დაძრულან, სანამ ყველა მეორე მხარეს არ გადავიდა. და კვლავ დარწმუნდა ისრაელი, რომ იგივე ძალამ, რომელმაც იორდანეს წყლები შეაჩერა, გაყო მეწამული ზღვა მათი მამების წინაშე ორმოცი წლის წინათ. გავიდა ხალხი მდინარის დასავლეთ ნაპირზე და გაიტანა კიდობანიც. როგორც კი გადასვლა დამთავრდა და მღვდელმსახურებმა მიწაზე ფეხი დადგეს, ისევ თავის ადგილზე დაბრუნდა იორდანეს წყალი და იწყო დინება თავის კალაპოტში.

ყველა მომავალ თაობას კარგად უნდა დამახსოვრებოდა ეს უდიდესი სასწაული. როდესაც მღვდლები, რომელთაც კიდობანი ეჭირათ, იორდანეს შუაგულში შეჩერდნენ, ადრე არჩეულმა თორმეტმა თავკაცმა, თითომ ისრაელის თორმეტი შტოდან, მდინარის ფსკერიდან, იმ ადგილიდან, სადაც მღვდლები იდგნენ, თითო ქვა აიღო და მის დასავლეთ ნაპირზე გაიტანა. ძეგლად უნდა აეგოთ ეს ქვები იორდანეს დასავლეთ ნაპირზე მათი პირველი დაბანაკების ნიშნად. ხალხს კი ებრძანა, თაობიდან თაობამდე გადაეცა უფლის მიერ წარმოგზავნილი ამ საოცარი გათავისუფლების ისტორია, რათა, იესო ნავეს ძის თქმით: "ყველა ხალხმა გაიგოს ამ ქვეყანაზე უფლის მარჯვენის ამბავი, რომ მაგარია იგი, რათა მუდამ გეშინოდეთ უფლის, თქვენი ღმერთისა".

უდიდესი ზემოქმედება მოახდინა ამ სასწაულმა ებრაელებზეც და მათ მტრებზეც. იმის მტკიცებად მოევლინა იგი ისრაელს, რომ უფალი ღმერთი ყოველთვის მათ შორისაა, მუდამ დაიცავს მათ და ისევე იმოქმედებს იესო ნავეს ძის მეშვეობით, როგორც ამას მოსეს მეოხებით აკეთებდა. ისრაელიანნი დარწმუნებული უნდა ყოფილიყვნენ ამაში, რათა გამხნევებულიყვნენ აღთქმული მიწისათვის ბრძოლის დასაწყისში, იმ უდიდესი მიზნის განსახორციელებლად, რომელმაც ორმოცი წლის წინათ მათი მამების რწმენა შეარყია. ასე უთხრა უფალმა იესო ნავეს ძეს იორდანეზე გადასვლის წინ: „დღეიდან უნდა დავიწყო შენი განდიდება მთელი ისრაელის თვალში, რათა დარწმუნდნენ, რომ როგორც მოსესთან ვიყავი, ასევე ვიქნები შენთან". აასრულა უფალმა ეს დაპირება. „იმ დღეს განადიდა უფალმა იესო მთელი ისრაელის თვალში და სიკვდილამდე ეშინოდათ მისი, როგორც მოსესი ეშინოდათ".

მეზობელ ხალხებსაც უნდა ჰქონოდათ ღვთიური ძლიერების შიში, რათა უფრო ადვილად მოეპოვებინათ ისრაელიანთ მტერზე სრული გამარჯვება. შიშის ზარი დასცა ამორეველთა და ქანაანელთა მეფეებს ცნობამ იმის შესახებ, თუ როგორ შეაჩერა უფალმა იორდანეს წყლები ისრაელიანთა წინაშე. ებრაელებმა უკვე დაამარცხეს მიდიანელი ხუთი მეფე, ამორეველთა უძლიერესი მმართველი სიხონი და ბაშანის მეფე, ყოგი, ახლა კი იორდანეს აქაფებულ, სწრაფ წყლებზე მათმა გადასვლამ დიდად შეაშფოთა ისინი. ქანაანელებმა, მთელმა ისრაელმა და თავად იესომაც კიდევ ერთხელ მიიღეს მტკიცე მოწმობა იმისა, რომ

ცოცხალი ღმერთი, ცისა და დედამიწის ღმერთი კვლავ თავის ხალხთანაა; არასოდეს დატოვებს და დაივიწყებს მათ.

ებრაელთა პირველი დაბანაკება ქანაანელთა მიწაზე იორდანეს მახლობლად, მის ნაპირებთან მოხდა. აქ შეკრიბა იესო ნავეს ძემ და "წინდაცვითა ისრაელიანები"; "იდგნენ ბანაკად ისრაელიანები გილგალს და დაამზადეს პასექი".

[485]

კადეშის ამბოხების შემდეგ წინადაცვეთა არ ჰქონიათ ებრაელებს, რაც იმაზე მოწმობდა, რომ უფალთან დადებული აღთქმა, რომლის სიმბოლოსაც ის წარმოადგენდა, გაუქმდა. პასექის, იმ დღესასწაულის გაუქმება, რომელიც ხალხს მონობიდან გათავისუფლებას ახსენებდა, ნიშანი იყო უფლის უკმაყოფილებისა ისრაელის მიმართ იმის გამო, რომ მათ ტყვეობის ქვეყანაში დაბრუნების სურვილი გამოთქვეს. მაგრამ, ახლა განდგომილების წლები უკან დარჩა. კვლავ აღიარა უფალმა ისრაელი თავის ერად და აღთქმის ნიშანიც განახლდა. წინადაცვეთის წესი შეასრულა ყოველმა უდაბნოში დაბადებულმა ისრაელიანმა. და უფალმაც გამოუცხადა იესოს: "დღეს მოგწმინდეთ ეგვიპტის სირცხვილი"; ამის ნიშნად

უწოდეს მათი დაბანაკების ადგილს "გილგალი", რაც "მოხსნილს" ანუ "გადაგდებულს" ნიშნავს.

წარმართები ამტყუნებდნენ უფალსა და მის ხალხს იმაში, რომ ებრაელებმა, მოლოდინის მიუხედავად, ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ, მაშინვე ვერ შეძლეს ქანაანის დასაკუთრება. ბოროტი მტრები სიხარულით დასცინოდნენ მათ უდაბნოში ისრაელის ხანგრძლივი მოგზაურობის გამო და ხმამაღლა აცხადებდნენ, რომ ებრაელთა ღმერთმა ვერ შეძლო მათი აღთქმულ ქვეყანაში შეყვანა. ახლა კი საოცარი სასწაულებით გამოავლინა უზენაესმა თავისი ძლიერება და წყალობა თავისი ხალხის იორდანეზე გადასვლით და მტრებიც დადუმდნენ.

"თვის მეთოთხმეტე დღეს", საღამოხანს, იერიხონის ველზე იზეიმეს პასექის დღესასწაული ისრაელიანებმა. "ჭამეს იმ ქვეყნის ნაყოფები პასექის მეორე დღეს - ხმიადები და ქუმელი - სწორედ ამ დღეს. შეწყდა მანანა მას შემდეგ, რაც ჭამეს ქვეყნის ნაყოფი. აღარ ჰქონდათ ისრაელიანებს მანანა და ჭამდნენ ქანაანის ქვეყნის მოსავალს იმ წელს". უდაბნოში ხანგრძლივი, მტანჯველი ხეტიალის წლები დამთავრდა. და შევიდა ისრაელი უფლის მიერ აღთქმულ მიწაზე.

[486]

თავი 45 - რიხონის დაცემა

იესო ნავეს ძე 5:13-15; 6; 7

ქანაანში ებრაელთა შესვლა არ ნიშნავდა ამ ქვეყნის დასაკუთრებას. ადამიანური თვალთახედვით, ბრძოლა ამ მიწის დასაპყრობად მეტად მძიმე და ხანგრძლივი იქნებოდა. ამ მიწაზე ძლიერი ტომები სახლობდნენ, რომლებიც ნებისმიერ დროს მზად იყვნენ თავიანთი ტერიტორიის დასაცავად. საერთო მტრის წინაშე შიშმა უფრო მჭიდროდ შეაკავშირა ისინი. ცხენოსანთა ლაშქარი, რკინის საბრძოლო ეტლები, ადგილმდებარეობის ჩინებული ცოდნა და საბრძოლო მომზადება დიდ უპირატესობას აძლევდა მათ დამპყრობთა წინაშე. ამას გარდა, ქვეყანას ციხე-სიმაგრეები იცავდა, "დიდი და ცათამდე გამაგრებული ქალაქები" /რჯლ. 9:1/. ისრაელიანთა საბრძოლო წარმატება მხოლოდ ზეციურ ძალაზე იყო დამოკიდებული.

მათი დაბანაკების ადგილიდან, გილგალიდან სულ ახლოს, იქვე, მათ წინაშე ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი ციხესიმაგრე - დიდი და მდიდარი ქალაქი იერიხონი მდებარეობდა. უხვ, სამხრეთის მრავალფეროვანი მცენარეულობით მდიდარ, ნაყოფიერ ველთა საზღვარზე აღმართული, ფართო, ქონგურებიანი კედლით დაცული, ფუფუნებითა და უწმიდურებით სავსე სასახლეებითა და ტაძრებით მორთული ეს ქალაქი, თითქოსდა, საპაექროდ

იწვევდა ისრაელის ღმერთს. იერიხონი - წარმართული მსახურების მთავარი ცენტრი - მთვარის ქალღმერთის, ყაშთორეთისადმი იყო მიძღვნილი. მასში თავმოყრილიყო ყველაზე მდაბალი და უზნეო გახრწნილება, რაც კი ქანაანელთა რელიგიაში არსებობდა. ისრაელიანნი, რომელთაც ჯერ არ დავიწყებოდათ ბაალ-ფეღორზე ჩადენილი თავიანთი ცოდვის საშინელი შედეგი, ახლა ზიზღით უცქერდნენ წარმართთა ამ უწმიდურ ქალაქს.

კარგად ესმოდა იესო ნავეს ძეს, რომ იერიხონის აღება ქანაანის ხელში ჩასაგდებად ბრძოლის გზაზე პირველი ნაბიჯი იქნებოდა. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ღვთიურ მმართველობაში უნდა დარწმუნებულიყო და მიეცა კიდეც ეს ნიშანი. გაეცალა იესო ბანაკს, რათა განმარტოებულიყო და ლოცვებში ეთხოვა ისრაელის ღმერთისათვის, თავად ეხელმძღვანელა თავისი ხალხისათვის ამ ბრძოლაში. და აი, გაიხედა და იხილა იარაღით აღჭურვილი, დიდებული სახის მეომარი, რომელსაც ხელში გაშიშვლებული მახვილი ეჭირა. იესოს კითხვაზე: "მტერი ხარ თუ მოყვარე?" - მან უპასუხა: "უფლის მხედრობის თავი ვარ. ახლა მოვედი" /იესო. 5:13,14/. იგივე ბრძანებამ, რომელიც ოდესღაც ხორების მთაზე მოსეს მიეცა: "ფეხსამოსი გაიძვრე ფეხზე, რადგან წმიდაა ეს ადგილი, სადაც დგახარ", ამ იდუმალი უცნობის ჭეშმარიტი არსი გააცხადა. თავად ქრისტე, ზეციური მხედრობის მბრძანებელი იდგა ისრაელის წინამძღოლის წინაშე. მოწიწებამ და წმიდა შიშმა შეიპყრო იგი, პირქვე დაემხო და თაყვანი სცა; შეესმა

აღთქმა: "ხელში ჩაგაგდებინებ იერიხონს, მის მეფეს და მებრძოლებს". და მიიღო მითითება ქალაქის აღების შესახებ.

უფლის ბრძანების თანახმად, იესო ნავეს ძე წინ უნდა გასძღოლოდა ისრაელიანთა ლაშქარს. იერიშით არ უნდა აეღოთ ქალაქი, არამედ წრე უნდა დაერტყათ მის ირგვლივ, ღვთის კიდობანს კი მღვდლები უნდა წასძღოლოდნენ წინ ბუკით ხელში. მთელ პროცესიას სათავეში რჩეული, იარაღასხმული მეომრები უნდა ჩასდგომოდნენ. მაგრამ ახლა თავიანთი მამაცობითა და საბრძოლო ხელოვნებით კი არ უნდა გაემარჯვათ, არამედ უფლის მითითების მორჩილად შესრულებით. მათ მიჰყვებოდათ შვიდი მღვდელი შვიდი საყვირით

[487]

[488]

ხელში; შემდეგ კი - თავიანთ სამოსში გახვეული მღვდლები, რომელთაც ღვთიური შუქის დიდებული, ბრწყინვალე შარავანდედით მოსილი უფლის კიდობანი მიჰქონდათ. მათ მიჰყვებოდათ ისრაელიანთა ლაშქარი, - ყოველი შტო საკუთარი

დროშით. ასეთი თანამიმდევრობით უვლიდნენ ისინი გარს დასაღუპავად განწირულ ქალაქს. ირგვლივ გამეფებულ მდუმარებაში ადამიანთა მძიმე ნაბიჯებისა და საყვირთა საზეიმო ხმები ისმოდა, რომელიც მთებში ექოდ მეორდებოდა და კვლავ იერიხონის ქუჩებს უბრუნდებოდა. ქალაქის შემოვლის დამთავრების შემდეგ, ყოველი ისრაელიანი მდუმარედ შედიოდა თავის კარავში, კიდობანს კი თავის ადრინდელ ადგილზე ათავსებდნენ.

განცვიფრებითა და შიშით უთვალთვალებდნენ ქალაქის მცველნი მათ ყოველ მოძრაობას და დანახულს თავიანთ უფროსებს გადასცემდნენ. ისინი ვერ მიმხვდარიყვნენ, რას აკეთებდნენ ისრაელიანნი, მაგრამ როდესაც იხილეს, რომ იარაღასხმული მეომრები მღვდლების თანხლებით, წმიდა კიდობანი რომ ეპყრათ ხელთ, ყოველდღე გარს უვლიან ქალაქს, საშინლად შეშინდნენ ქანაანელი ქურუმები და მოქალაქენი. კვლავ შეამოწმეს მათ ქალაქის გამაგრებული კედლები და კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ, რომ ყველაზე ძლიერ იერიშსაც კი ადვილად მოიგერიებდნენ. ზოგი დამცინავადაც კი ამბობდა, რომ ებრაელთა ასეთი სვლა ვერავითარ ზიანს ვერ მიაყენებდა. სხვები კი შიშით უცქერდნენ მათი ქალაქის გარშემო ასეთ უცნაურ მსვლელობას. და მათ ახსენდებოდათ, რომ ოდესღაც ებრაელთა წინაშე შუაზე გაიპო მეწამული ზღვა და ამგვარადვე გადალახეს მათ იორდანე. და არ იცოდნენ, კიდევ რა სასწაულს მოიმოქმედებდა შემდგომში მათი ღმერთი.

ექვსი დღის განმავლობაში არტყამდნენ წრეს ქალაქს ისრაელიანნი. დადგა მეშვიდე დღე და, ირიჟრაჟა თუ არა, იესო კვლავ წაუძღვა უფლის მხედრობას. ახლა მათ შვიდჯერ უნდა შემოევლოთ ქალაქისათვის, მეშვიდე შემოვლაზე კი, ბუკის მძლავრ ხმასთან ერთად, ძლიერი ყიჟინა უნდა დაეცათ, რადგან ხელში ჩაუგდო უფალმა ქალაქი მათ.

ურიცხვ მეომართა საზეიმო პროცესია კვლავ გაემართა განწირული ქალაქის კედლებისაკენ. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე გამეფებულიყო. მხოლოდ ადამიანთა თანაბარი ნაბიჯები და ბუკის ხმა არღვევდა განთიადის მდუმარებას. შიშით შეძრწუნებულნი უცქერდნენ ქალაქის მცველნი მათ ყოველ მოქმედებას. ქვის ძლიერი კედლები თითქოსდა ირყეოდა ამ ურიცხვ ადამიანთა სუნთქვისაგან. აი, ერთხელ შემოუარეს ქალაქს, შემდეგ მეორედ, მესამედ, მეოთხედ, მეხუთედ და მეექვსედ. რა აქვს ჩაფიქრებული ამ უცნაურ პროცესიას? რა მოჰყვება ყოველივე ამას? მათ კითხვებზე პასუხმაც დიდხანს აღარ დააყოვნა. როგორც კი უკანასკნელი წრე დაარტყა, პროცესია შეჩერდა. მცირე ხნით დადუმებულმა საყვირმა საოცრად ძლიერი ხმა გამოსცა, რისგანაც, თითქოსდა, მიწა შეინძრა. თლილი ქვებისაგან აგებული კედლები, მისი მასიური ციხე-კოშკებით, ძირიანად შეირყა და ხმაურით ჩამოიქცა. შიშმა გააქვავა იერიხონის მცხოვრებნი. ისრაელიანთა მხედრობა კი შევიდა ქალაქში და დაისაკუთრა იგი.

გაიმარჯვეს ისრაელიანებმა, მაგრამ არა საკუთარი ძალისხმევით; ეს გამარჯვება უფალს ეკუთვნოდა. როგორც ყოველი პირველი ნაყოფი მიწისა, ეს ქალაქი და ყოველივე, რაც მასში იყო, უფლის შესაწირავი უნდა ყოფილიყო. ამით ისრაელს უნდა სცოდნოდა, რომ ქანაანის დაპყრობა მოხდა არა მისი საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ ისრაელი მხოლოდ ამ საქმის აღმსრულებელი იარაღი იყო. ამიტომ მათ სიმდიდრე და საკუთარი დიდება კი არ უნდა ეძებნათ, არამედ თავიანთი მეფის, დიდი იეჰოვას დიდება. ქალაქის აღების წინ ებრაელებს ებრძანათ: "ერიდეთ დარისხებულს, რომ თავადაც არ გახდეთ დარისხებული... რომ შეჩვენებას არ მისცეთ

[491]

ისრაელის ბანაკი და უბედურება არ დაატეხოთ თავზე".

"გაანადგურეს ქალაქში ყველაფერი... კაცი თუ ქალი, ყმაწვილი თუ მოხუცებული, ცხვარ-ძროხა თუ სახედარი". მზვერავთა დაპირების თანახმად, გადარჩა მხოლოდ ერთგული რახაბი თავის სახლეულითურთ. ცეცხლს მისცეს ქალაქი და ყველაფერი, რაც შიგ იყო: მისი სასახლეები, ტაძრები, ძვირფასად მორთული დიდებული ნაგებობანი სხვადასხვა ძვირფასი საგნებითა და ფარდაგებით. მხოლოდ ის, რისი

დაწვაც არ შეიძლებოდა, "ოქრო-ვერცხლი და სპილენძისა და რკინის ჭურჭელი, უფლის სახლის საგანძურისათვის გადადეს". თვით ადგილიც კი, სადაც ქალაქი იდგა, დაიწყევლა. იერიხონის ციხესიმაგრეებმა სამარადისოდ შეწყვიტა არსებობა. სასტიკად დაისჯებოდა ყოველი, ვინც უფლის ძალით დანგრეული კედლების აღდგენას შეეცდებოდა. მთელი ისრაელის წინაშე წარმოითქვა მრისხანე სიტყვები: "წყეულიმც იყოს უფლის წინაშე ის კაცი, ვინც აღადგენს და ააშენებს ამ ქალაქს, იერიხონს. თავის პირმშოზე დააფუძნებს მას და თავის უმცროსზე დადგამს მის კარიბჭეს".

იერიხონის მკვიდრთა სრული განადგურება იმ მითითების აღსრულება იყო, რომელიც ოდესღაც ქანაანის მცხოვრებლებთან დაკავშირებით მიეცა მოსეს: "დაამარცხებ მათ... და არც დაინდო". "ამ ხალხთა ქალაქებიდან... ერთი სულიც არ დატოვო ცოცხალი" /რჯლ. 7:2; 20:16/. ბევრს ეს ბრძანება იმ სიყვარულისა და მოწყალების სულის საპირისპიროდ მიაჩნია, რომლითაც ბიბლიის სხვა ადგილებია გამსჭვალული. მაგრამ, ჭეშმარიტად, უფლის უსაზღვრო სიბრძნითა და სიყვარულით იყო ნაკარნახევი იგი. უფალს ისრაელიანთა ქანაანში დასახლება, ისეთ ხალხად ქცევა და მმართველობის ისეთი ფორმის დამყარება სურდა, რომ მისი სამეფოს ნათელი მაგალითი ყოფილიყო დედამიწაზე. ისინი არათუ მხოლოდ ჭეშმარიტი რელიგიის მემკვიდრენი, არამედ მთელს წუთისოფელში მისი პრინციპების გამავრცელებელნი უნდა გამხდარიყვნენ. ქანაანის მოსახლეობა კი წარწყმედილი იყო საშინელი, ბილწი

კერპთაყვანისმცემ -ლობით, ამიტომ საჭირო იყო მისგან დედამიწის განწმენდა, რადგან უფლის კეთილ განზრახვათა ასრულებას ხელს შეუშლიდა იგი.

მონანიების ყოველგვარი შესაძლებლობა მიეცათ ქანაანის მკვიდრთ. ორმოცი წლის წინათ მეწამულ ზღვაზე გაკვალული გზა და ეგვიპტეზე გადმოღვრილი წყლულები ისრაელიანთა ღმერთის ძლიერების უდავო მოწმობა იყო. და ახლაც, მიდიანის მეფეთა დამარცხება, გალაადისა და ბაშანის დაპყრობა იმაზე მეტყველებდა, რომ იეჰოვა ყველა ღმერთზე მაღალი და ძლიერია. უზენაესის სიწმიდე და ცოდვისადმი სიძულვილი გამოვლინდა მის სამსჯავროში, რომელიც თავს დაატყდა ისრაელს ბაალ-ფეღორზე უწმიდურ ცერემონიებში მონაწილეობი -სათვის. ყოველივე ეს კარგად იყო ცნობილი იერიხონის მკვიდრთათვის, რომელთა შორისაც ბევრი რახაბის თვალსაზრისს იზიარებდა, თუმცა ურჩობა გამოიჩინა და არ აღიარა, რომ ისრაელის ღმერთი, იეჰოვა, "ღმერთია მაღლა ცაში და დაბლა დედამიწაზე". წარღვნამდელი წუთისოფლის მცხოვრებთა მსგავსად, ქანაანელები თავიანთ სიცოცხლეში მხოლოდ იმას აკეთებდნენ, რომ გმობდნენ ზეცას და აუწმიდურებდნენ დედამიწას. ღვთიური სიყვარულიც და სამართლიანობაც მოითხოვდა, აღგვილიყო პირისაგან მიწისა ეს ღვთისმგმობელი, უფლის წინააღმდეგ ამბოხებული და კაცობრიობისათვის მეტად საშიში ხალხი.

რა სწრაფად დაანგრია ზეციურმა მხედრობამ ამ ამაყი ქალაქის კედლები, ორმოცი წლის წინათ ასე რომ შეაშინა ურწმუნო მსტოვრები! ისრაელის ძლევამოსილმა წინამძღოლმა ბრძანა: "ხელში ჩაგაგდებინებ იერიხონს" და მისი ნების წინაშე უძლური იყო ყოველი ადამიანი.

"რწმენით იყო, რომ დაეცა იერიხონის გალავნები შვიდი დღის გარშემოვლის შემდეგ" /ებრ. 11:30/. უფლის მხედრობის თავი, მხოლოდ იესო ნავეს ძეს

[492]

[493]

ელაპარაკებოდა. არ გამოცხადებია იგი ისრაელიანთა მთელ საკრებულოს და ხალხს იესოს სიტყვები ან უნდა ერწმუნა, ან დაეჭვებულიყო - ღირდა თუ არა, უფლის სახელით ნათქვამს დამორჩილებოდა. არ უხილავთ მათ ანგელოზთა მხედრობა, ღვთის ძე რომ მიუძღოდა წინ და შეეძლოთ, ეთქვათ: "რა სასაცილო და უაზრო სცენებია ქალაქის გალავნის გარშემო ეს ყოველდღიური მსვლელობა და ვერძის რქის ბუკებში ბერვა. რას დააკლებს ყოველივე ეს ამ უზარმაზარ კედლებს და

გამაგრებულ ციხეებს?". მაგრამ თვით ამ ხანგრძლივ მსვლელობას გალავნის ჩამოქცევის მომენტამდე, რწმენა უნდა განემტკიცებინა ისრაელისათვის და ადამიანთა გონებაში უნდა ჩაებეჭდა, რომ მათი ძლიერება ადამიანის ძალასა და სიბრძნეში კი არ არის, არამედ მათი ხსნა მხოლოდ უფალშია; სწორედ ამიტომ სრულად უნდა მინდობოდნენ თავიანთ ღვთიურ მოძღვარს.

ბევრ რამეს მოიმოქმედებს უფალი მათთვის, ვინც მას მიენდობა. თუ ეს მართლაც ასეა, რატომ არ გამოირჩევა მისი ხალხი ამ განსაკუთრებული ძალით? მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანები მეტისმეტად ეყრდნობიან საკუთარ სიბრძნეს და არ აძლევენ უფალს შესაძლებლობას, გამოავლინოს თავისი ძლიერება მათივე სასარგებლოდ. თავისი შვილების ნებისმიერ საჭიროებას დააკმაყოფილებს უფალი, თუკი სრულად, რწმენითა და მორჩილებით შეისმენენ მის სიტყვას.

სულ მალე, იერიხონის დაცემის შემდგომ, იესო ნავეს ძემ ხეობაში მდებარე პატარა ქალაქის, ჰაღაის ხელში ჩაგდება გადაწყვიტა. ეს ქალაქი იორდანეს ველის დასავლეთით, რამდენიმე მილის მანძილზე მდებარეობდა. იქ გაგზავნილი მზვერავები დაბრუნდნენ და იესოს მოახსენეს: "ცოტანი არიან ისინი" და არ გაგვიძნელდება მათი დაპყრობაო.

ბრწყინვალე წარმატებამ, რომელიც უფალმა მოუტანა მათ, თვითდაჯერებულო -ბა შემატა ისრაელს. რადგან უფალმა მათ

ქანაანის მიწა აღუთქვა, უშიშრად გრძნობდნენ თავს და დაავიწყდათ, რომ მხოლოდ ღმერთის დახმარებით შეძლებდნენ მტრის დამარცხებას. თვით იესო ნავეს ძესაც კი, ჰაღაის აღების გეგმის შემუშავებისას, არ მიუმართავს რჩევის მისაღებად ღმერთისათვის.

ირწმუნეს ისრაელიანებმა საკუთარი უძლეველობა და არაფრად მიიჩნიეს მტრის ძალა. სწრაფი, იოლი გამარჯვების იმედი ჰქონდათ და ფიქრობდნენ, რომ სამი ათასი კაცი საკმარისია მის დასამარცხებლად. ისე მიიტანეს იერიში მტერზე, რომ არ იცოდნენ, იყო თუ არა ღმერთის წყალობა მათზე. ქალაქის კარიბჭესთან მისვლისთანავე მედგარ წინააღმდეგობას წააწყდნენ. მრავალრიცხოვა -ნი მტრის დანახვით დაბნეული ისრაელიანნი შიშით დაეშვნენ მთის ციცაბო ფერდობზე. "დაედევნენ კარიბჭიდან" ჰაღაიელები და "გაწყვიტეს ისინი ფერდობზე". თუმცა მცირე იყო ისრაელიანთა დანაკარგი ამ ბრძოლაში - მათგან მხოლოდ ოცდათექვსმეტი კაცი დაიღუპა, - მაგრამ დამარცხებამ მხნეობა წაართვა ებრაელებს. "შედრკა მათი გული, წყალივით გახდა". ეს იყო ბრძოლის ველზე ქანაანელებთან მათი პირველი შეხვედრა და, თუკი ამ პატარა ქალაქის მცირერიცხოვანმა მოსახლეობამ ასე მწარე დამარცხება აგემა, რა მოუვათ დიდ ბრძოლაში? იესო ნავეს ძემ ეს მარცხი უფლის რისხვად ჩათვალა; სასოწარკვეთილმა, საშინელი წინათგრძნობით შეპყრობილმა წინამძღოლ -მა "შემოიხია... სამოსელი, პირქვე დაემხო მიწაზე უფლის კიდობნის წინ და ასე

იყვნენ საღამომდე ის და ისრაელის უხუცესობა; თავზე მტვერი დაიყარეს".

„ეჰა, უფალო ღმერთო! - მიმართავდა იგი უფალს, - რისთვის გადმოგყავდა ეს ხალხი იორდანეზე, თუ ამორეველთა ხელში ჩააგდებდი და დაღუპავდი?... ოჰ, უფალო! რაღა მეთქმის, როცა ისრაელმა ზურგი შეაქცია მტერს. გაიგებენ ამას ქანაანელები და ამ ქვეყნის ყველა მცხოვრები, გარს მოგვადგებიან და

[494]

გააქრობენ ქვეყანაზე ჩვენს სახსენებელს. რას უზამ მაშინ შენს დიად სახელს?"

ასე უპასუხა უფალმა: "ადექი, რატომ ხარ პირქვე დამხობილი? შესცოდა ისრაელმა და დაარღვია კიდეც ჩემთან დადებული აღთქმა". არ იყო ახლა სასოწარკვეთილებისა და ტირილის დრო, არამედ სწრაფად და მტკიცედ უნდა ემოქმედათ: იდუმალი, გაუმხელელი ცოდვა ჩაიდინეს ისრაელიანებმა ბანაკში, რომელიც უნდა ემხილებინათ და მოესპოთ, რათა კვლავ მათთან ყოფილიყო უფალი და მისი წყალობა ჰქონოდათ. "აღარ ვიქნები თქვენთან, თუ არ მოსპობთ თქვენს შორის დარისხებულს".

უფლის განაჩენის სისრულეში მომყვანთაგან ერთ-ერთმა არ შეასრულა მისი ბრძანება, რამაც მთელ ბანაკს უბედურება დაატეხა თავს: "აიღეს კიდეც დარისხებული, მოიპარეს, გადამალეს". ასწავლა იესოს უფალმა, როგორ მოეძებნა და დაესაჯა დამნაშავე. პირდაპირ არ მიუთითა მასზე უფალმა; დრო მისცა მან ისრაელიანთ, რათა გამოეკვლიათ საკუთარი გული, ეგრძნოთ პასუხისმგებლობა ჩადენილი ცოდვის გამო და მორჩილად მოენანიებინათ ღვთის წინაშე.

"ადგა იესო დილაადრიან და გამოაყვანინა ისრაელიდან თითო-თითო შტო". მეტად შთამბეჭდავი იყო ძიების პროცესი, ნაბიჯ-ნაბიჯ რომ მიიწევდა წინ. თავდაპირველად გამოიყვანეს შტო, შემდეგ - საგვარეულო, ოჯახი და ბოლოს, ამ ოჯახის წევრი ყაქანი, ქარმის ძე, იუდას შტოდან, რომელიც ისრაელის უბედურების მიზეზად დაასახელა უფალმა.

ყაქანის უეჭველი დანაშაულის დასამტკიცებლად და მის განსჯაში უსამართლო ბრალდების თავიდან ასაცილებლად იესომ საჯაროდ მოითხოვა მისგან სიმართლის აღიარება. და იმ უბედურმაც აღიარა თავისი ცოდვა: "ნამდვილად შევცოდე უფალს, ისრაელის ღმერთს... დავინახე ნადავლში ერთი მშვენიერი შინყარული წამოსასხამი, ასი შეკელი ვერცხლი და ორმოცდაათშეკელიანი ოქროს ზოდი, დავხარბდი და ავიღე. აჰა, მიწაში მაქვს დაფლული კარვის შუაგულში, ვერცხლია მის ქვეშ". სასწრაფოდ გაგზავნეს ხალხი აღნიშნული ადგილის

მოსაძებნად, გათხარეს მიწა და "აჰა, ნახეს კარავში დაფლული. მის ქვეშ იყო ვერცხლი. წამოიღეს კარვიდან და მოუტანეს იესოს და დაყარეს უფლის წინ".

დამნაშავის მიმართ გამოტანილი განაჩენი დაუყოვნებლივ აღსრულდა. "რაკი უბედურებას შეგვყარე, დღესვე უბედურება დაგატეხოს უფალმა", - წარმოთქვა იესომ. და, რადგან ხალხი პასუხისმგებელი იყო ყაქანის ცოდვაზე და მისი შედეგიც იგემა, მის დასჯაშიც უნდა მიეღო მონაწილეობა. "და ქვით ჩაქოლა იგი მთელმა ისრაელმა".

შემდეგ "აღმართეს ზედ ქვების დიდი გროვა" ამ დანაშაულისა და სასჯელის ნიშნად. "ამიტომ ეწოდება დღემდე ამ ადგილს ყაქორის ველი", რაც უბედურებას ნიშნავს. პირველ ნეშტთა წიგნში მის შესახებ ჩაწერილია: "ყაქარი, ფიცი რომ გატეხა და ისრაელს უბედურება შეამთხვია" /1 ნეშტ. 2:7/.

არ მოუსმინა ყაქანმა უფლის სერიოზულ, გასაგებად წარმოთქმულ გაფრთხილებას; ჯეროვნად ვერ შეაფასა უზენაესის ყოვლისშემძლე ძალის გამოვლინება. "ერიდეთ დარისხებულს, რომ თავადაც არ გახდეთ დარისხებული", - გამოეცხადა ისრაელიანთა მთელ საკრებულოს იორდანეზე გადასვლისთანავე, უფლის აღთქმის აღიარების ნიშნად ებრაელთა წინადაცვეთის წესის აღსრულების, პასექის დღესასწაულის აღნიშვნისა და აღთქმის ანგელოზის - უფლის

მხედრობის თავის გამოცხადების შემდეგ. ამას მოჰყვა იერიხონის დაპყრობა იმ სასჯელის მოწმობის ნიშნად, რომელიც ღმერთის რჯულის ყოველ დამრღვევს ეწევა. თვით ის ფაქტი, რომ ისრაელიანებმა ღვთის ძალით გაიმარჯვეს და საკუთარი ძალისხმევით ვერასოდეს დაისაკუთრებდნენ იერიხონს, ნადავლის მითვისების აკრძალვის ბრძანებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. თავისი სიტყვის ძლიერებით გაანადგურა უფალმა ეს ციხესიმაგრე, გამარჯვებაც მხოლოდ მას

[495]

[496]

ეკუთვნოდა ისევე, როგორც ქალაქიც და ყოველივე, რაც მასში იყო.

მილიონობით ისრაელიანთაგან მხოლოდ ერთმა კაცმა გაბედა გამარჯვებისა და ღვთიური სამსჯავროს იმ საზეიმო წუთებში უფლის ბრძანების უგულებელყო -ფა. სიხარბემ სძლია ყაქანს მდიდრული შინყარული სამოსელის დანახვაზე და, მაშინაც კი "მშვენიერი შინყარული წამოსასხამი" უწოდა, როცა საკუთარი სიხარბის გამო სიკვდილს პირისპირ შეეჩეხა. ერთ ცოდვას მეორე მოჰყვა და მიითვისა ყაქანმა უფლის საგანძურისათვის

განკუთვნილი ოქროც და ვერცხლიც, რითაც ქანაანის ქვეყნის პირველნაყოფი მოპარა უზენაესს.

მომაკვდინებელი ცოდვა, რომელიც ყაქანის დაღუპვის მიზეზად იქცა, იყო სიხარბე, ყველაზე გავრცელებული ცოდვა სხვა ცოდვათა შორის, რომელსაც საკმაოდ გულგრილად ეკიდებიან ადამიანები. მაშინ, როცა ხშირად ამხილებენ და სჯიან სხვა ცოდვებს, მეათე მცნების დარღვევა იშვიათად იწვევს გაკიცხვას.

სიხარბე არის ცოდვა, რომელიც თანდათანობით ღვივდება. გამდიდრებისაკენ ლტოლვა მუდამ ჰქონდა ყაქანს, სანამ ეს თვისებად არ ექცა და მთელი მისი არსება არ დაიპყრო. არ ფიქრობდა ყაქანი იმაზე, რომ მის გულში ჩაბუდებული ეს ბოროტება მთელს ისრაელს მოუტანდა უბედურებას. ცოდვამ დაუბრმავა თვალი და გული და ადვილად დაჰყვა ცდუნებას.

განა დღესაც არ ჩავდივართ მსგავს დანაშაულს, მიუხედავად სერიოზული და არაორაზროვანი გაფრთხილებებისა? განა ისევე არ გვიკრძალავს უფალი ანგარებისაკენ სწრაფვას, როგორც ყაქანს იერიხონის ნადავლის მითვისებას? ამ ცოდვას ღმერთი კერპთაყვანისმცემლობას უტოლებს. ჩვენ გაგვაფრთხილეს: "ვერ შეძლებთ ღმერთსაც ემსახუროთ და მამონასაც" /მათ. 6:24/. "დაიცავით თავი ყოველი ანგარებისაგან" /ლუკ. 12:15/. "ყოველგვარი უწმიდურება და ანგარება აღარ იხსენებოდეს თქვენს შორის" /ეფეს. 5:3/. საშინელი მაგალითები

წარმოგვიდგება ყაქანის, იუდას, ანანიასა და საფირას ხვედრთან დაკავშირებით. იგივე გააკეთა, ოღონდ უფრო ადრე, ლუციფერმა, "განთიადის ძემ", როცა ღმერთზე მაღლა ყოფნა მოინდომა და სამუდამოდ დაკარგა ზეციური დიდება და ბრწყინვალება. მაგრამ, მიუხედავად ყველა ამ გაფრთხილებისა, ამ ცოდვას ყოველ ნაბიჯზე ვაწყდებით.

ისიც აშკარაა, თუ საით მივყავართ ცოდვის ამ მოლიპულ გზას. ესაა უკმაყოფილებისა და განხეთქილების მიზეზი ოჯახებში. სწორედ ეს ნერგავს შურსა და სიძულვილს ღარიბის გულში მდიდრის მიმართ და, პირიქით, მდიდრისაგან ღარიბის შევიწროებას. ეს ცოდვა არსებობს არა მხოლოდ წუთისოფელში, არამედ ეკლესიაშიც, სადაც დღეს ჩვეულებრივი მოვლენაა ეგოიზმი, სიძუნწე, სიცრუე, საქველმოქმედო საქმეების მიმართ გულგრილი დამოკიდებულება, უფლის მოტყუება "მეათედში და შესაწირავში". რამდენი ყაქანია იმ გარეგნულად ღვთისმოსავ ადამიანებში, რომლებიც რეგულარულად დადიან ეკლესიაში, ყოველ ღვთისმსახურებას ესწრებიან და უფლის სერობაშიც მონაწილეობენ, იმ დროს, როცა მათ სახლებში უფლის მიერ დაწყევლილი, უკანონო გზით შეძენილი ქონება ინახება. "მშვენიერი შინყარული" სამოსისათვის ბევრი ყიდის საკუთარ სინდისს და მარადიული ცხოვრების სანუკვარ იმედს. ბევრი ცვლის ვერცხლის ქისაზე თავის პატიოსნებასა და ნიჭს. საწყალთა გოდება შეუსმენელი რჩება, სახარების ნათელი არ ვრცელდება; ეგრეთ წოდებულ ქრისტიანთა საქმეები ირგვლივ მყოფთა დაცინვას იწვევს და ცრუ წარმოდგენას უქმნის

მორწმუნეებზე. მიუხედავად ამისა, ხარბი "ქრისტიანები" კვლავაც განაგრძობენ თავიანთ საგანძურში მარაგის დაგროვებას. "განა ადამიანი მოატყუებს ღმერთს, რომ მატყუებთ?" - ამბობს უფალი /მალ. 3:8/.

მთელ ერს დაატეხა თავს უბედურება ყაქანის ცოდვამ. ერთი ადამიანის ცოდვის გამო ღვთის რისხვა მთელ ეკლესიაზე ვრცელდება, სანამ ურჯულოებას

[497]

არ ამხილებენ და ამოძირკვავენ. ღვთის ეკლესიას ქრისტეს არაგულწრფელი მიმდევრებისა უფრო მეტად უნდა ეშინოდეს, ვიდრე ჭეშმარიტების აშკარა მტრებისა, ურჯულოებისა და მგმობელებისა. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ვერ ღებულობს ღვთის ისრაელი უფლისაგან კურთხევას; სწორედ მათ მოაქვთ უბედურება ღვთის ხალხისათვის.

როცა ეკლესიას უჭირს, როცა მასში გამეფებული გულგრილობა და სულიერი დაცემა დიდად ახარებს უფლის მტრებს, თავისი საცოდავი მდგომარეობის გამო ტირილისა და გოდების ნაცვლად, უნდა გამოიკვლიონ ეკლესიის წევრებმა, ყაქანი ხომ არ არის მათ შორის? მორჩილებით ჩაიხედონ საკუთარ გულში

და თითოეული მათგანი შეეცადოს, აღმოაჩინოს მასში ღრმად ჩამალული ცოდვები, რომელიც უფლის კურთხევათა მიღებაში უშლის ხელს.

ყაქანმა მაშინ აღიარა თავისი დანაშაული, როცა უკვე გვიან იყო. არ გამოვიდა იგი ისრაელიანთა წინაშე და არ აღიარა თავისი ცოდვა მაშინ, როცა ჰაღაის ბრძოლაში დამარცხებული მისი ხალხი იმედგაცრუებული დაბრუნდა ბანაკში; მას რომ ეს მაშინ მაინც გაეკეთებინა, როცა უზომოდ დამწუხრებული იესო ნავეს ძე და ერის თავკაცნი პირქვე დაემხნენ უფლის წინაშე, მონანიებაში ჩაეთვლებოდა, მაგრამ ყაქანი კვლავ განაგრძობდა დუმილს. მას კარგად ესმოდა, თუ როგორ გამოუცხადეს ხალხს ჩადენილი დანაშაულის შესახებ და ზუსტად დაასახელეს, თუ რა სახის ცოდვა იყო ჩადენილი, მაგრამ მაშინაც საბედისწერო დუმილი არჩია. როგორ შეშინდა, როცა მის შტოზე, საგვარეულოსა და ოჯახზე მიუთითეს! მაგრამ კვლავინდებურად აღსარების სიტყვაც არ წარმოუთქვამს მანამ, სანამ უფალმა პირადად მასზე არ მიუთითა. ახლა, როცა ცოდვის დამალვა უკვე შეუძლებელი გახდა, ყაქანმა ყველაფერი აღიარა. სამწუხაროდ, დანაშაულის აღიარება სწორედ ამგვარად ხდება ხოლმე. ერთი საქმეა უკვე დამტკიცებული ფაქტების აღიარება და სულ სხვაა - აღიარო ის ცოდვები, რომლებიც ღმერთისა და შენს გარდა, არავინ იცის. არც არასოდეს აღიარებდა ყაქანი ამ დანაშაულს, მისი შედეგის თავიდან აცილება რომ შეძლებოდა. მაგრამ მისმა აღიარებამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა დამსახურებული სასჯელის

სამართლიანობა. მართალია, აღიარა ყაქანმა თავისი ცოდვა, მაგრამ ეს არ იყო ჩადენილი დანაშაულის ჭეშმარიტი მონანიება, არც ბოროტებისადმი სიძულვილის გამოხატვა და არც მისი სულის აშკარა გარდაქმნა.

ისინიც ასეთივე აღსარებას წარმოთქვამენ, ვინც უფლის წინაშე წარდგება მას შემდეგ, რაც მათი საქმე უკვე გადაწყდა ან სამკვდროდ, ან სასიცოცხლოდ. ის, რაც თითოეულ ჩვენგანს ელის, აიძულებს ცოდვილთ, აღიარონ თავიანთი ცოდვები. დანაშაულის საშინელი გრძნობა და სამსჯავროს მტანჯველი მოლოდინი უბიძგებს ადამიანებს ამისაკენ, მაგრამ ასეთი აღიარება ცოდვილთ ვერ გადაარჩენს.

ვიდრე ახლობელთაგან საკუთარი ურჯულოების დამალვა შეუძლიათ, ყაქანის მსგავსი ბევრი ადამიანი უშიშრად გრძნობს თავს და იმედოვნებს, რომ ღმერთი არ არის ისეთი სასტიკი, მათი უწმიდურება რომ დაიმახსოვროს. ძლიერ გვიან მიხვდებიან ისინი, რომ ვერავითარი მსხვერპლი და შესაწირავი ცოდვებს ვერ მოსწმენდს. როცა ზეციური წიგნები გადაიშლება, უზენაესი მსაჯული არაფერს ეტყვის ცოდვილს მისი დანაშაულის შესახებ - მხოლოდ მისი მრავალმნიშვნელოვანი, გამსჭვალავი მზერით გაიხსენებს ურჯულო თავის ყოველ არასწორ საქციელს. მაშინ დამნაშავის მოსაძებნად საჭირო არ იქნება მისი შტოსა და საგვარეულოს გამორჩევა: ყოველი ბაგე თავად აღიარებს საკუთარ შერცხვენას და ადამიანთაგან

დაფარული დანაშაული მთელი ქვეყნისათვის გახდება ცნობილი.

[498]

თავი 46 - კურთხევა და წყევლა

იესო ნავეს ძე 8

ყაქანის მიმართ გამოტანილი განაჩენის აღსრულების შემდეგ კვლავ ებრძანა იესოს, შეეკრიბა მეომრები და თავს დასხმოდა ჰაღაის. უფლის ძალა იყო ისრაელიანთა შორის, ამიტომ სულ მალე დაისაკუთრეს ქალაქი.

ამის შემდგომ დროებით შეწყდა საომარი მოქმედებები, რათა მთელ ისრაელს საზეიმო ღვთისმსახურებაში მიეღო მონაწილეობა. ხალხი მოუთმენლად ელოდა ქანაანის მიწაზე დასახლების ჟამს; არც სახლები ჰქონდათ და არც მიწის ნაკვეთები ოჯახებისათვის - ყოველივე ამის შემენისათვის ქანაანელთა განდევნა იყო საჭირო; მაგრამ ამ მეტად მნიშვნელოვანმა საქმემ ადგილი დაუთმო უფრო სერიოზული

მოვალეობის აღსრულებას, რომელიც მათ განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვდა.

მემკვიდრეობის მიღებამდე უფლისადმი ერთგულების აღთქმის განახლება იყო საჭირო. თავის უკანასკნელ დარიგებებში ორჯერ მოითხოვა მოსემ, შეკრებილიყვნენ შექემში, ღებალისა და გარიზიმის მთებზე უფლის რჯულის საზეიმო აღიარებისათვის. მისი სიტყვისამებრ მოიქცნენ ისრაელიანნი და არა მხოლოდ კაცებმა, არამედ ქალებმაც, ბავშვებმაც და მდგმურებმაც, მათ შორის რომ იყვნენ, დატოვეს გილგალი და, მტრის ტერიტორიაზე გავლით, შექემის ველისაკენ გაემართნენ, რომელიც ქვეყნის ცენტრალურ ნაწილთან ახლოს მდებარეობდა. ჯერ კიდევ დაუმორჩილებელი მტრებით იყვნენ გარშემორტყმულნი, მაგრამ, სანამ ღვთის ერთგულნი რჩებოდნენ, უზენაესის ძლიერება ფარავდა მათ. აქ, როგორც იაკობის დღეებში, "ღვთის შიში იყო გარეშემო ქალაქებზე" და ებრაელებმა მშვიდად მიაღწიეს დანიშნულ ადგილს /დაბ. 35:5/.

საზეიმო მსახურებისათვის დანიშნული ეს ადგილი უკვე წმიდა იყო, ვინაიდან მათი მამების ისტორიას უკავშირდებოდა. აქ აუგო აბრაამმა დიდ იეჰოვას თავისი პირველი სამსხვერპლო ქანაანის მიწაზე; აქ გაშალეს კარვები აბრაამმაც და იაკობმაც. მოგვიანებით აქ შეისყიდეს მინდორი, სადაც იოსების ძვლები უნდა დაემარხათ ებრაელებს. აქვე იყო იაკობის მიერ ამოთხრილი ჭა და მუხა, რომლის ძირშიც მან თავისი ოჯახის კერპები ჩამარხა.

შექემი, პალესტინის ერთ-ერთი მშვენიერი კუთხე, სრულიად შესაფერისი ადგილი იყო იმ საზეიმო დიდებული ცერემონიის ჩასატარებლად, აქ რომ უნდა აღსრულებულიყო. გაშიშვლებულ გორაკებს შორის მწვანე, მინდვრის ნაირფერი ყვავილებით მორთული ველი გაწოლილიყო; რომელსაც ზეთისხილის წარაფები ამშვენებდა, წყალუხვი ნაკადულებითა და წყაროებით რომ ირწყვებოდა. ხეობის ორივე მხარეს ერთმანეთზე თითქმის გადაბმული ღებალისა და გარიზიმის მთები აღმართულიყო, რომელთა ფუძის შვერილები ბუნებრივ პლატფორმას ქმნიდა; ერთ მთაზე წარმოთქმული ყოველი სიტყვა მკაფიოდ ისმოდა მეორეზე, ხოლო ორივე მთის ფერდობები მრავალ ადამიანს იტევდა.

მოსეს მითითებისამებრ, ღებალის მთაზე ააგეს "სამსხვერპლო მთლიანი ლოდებისაგან". წინასწარ კირის სქელი ფენით დაფარულ ქვებზე დაწერილ იქნა რჯული: არა მხოლოდ სინაის მთაზე გამოცხადებული და ქვის ფიქალებზე ამოტვიფრული ათი მცნება, არამედ მოსეს მიერ წიგნში ჩაწერილი რჯული, რომელიც მას მიეცა. ამ მონუმენტის მახლობლად, გაუთლელი ქვებისაგან სამსხვერპლოზე აღსავლენი აღუვლინეს უფალს. ის, რომ სამსხვერპლო აგებულ იქნა ღებალის მთაზე, რომელზედაც წყევლა უნდა წარმოთქმულიყო, იმას

[499]

[500]

ნიშნავდა, რომ ისრაელმა დაარღვია უფლის რჯული, რის გამოც ღვთის რისხვა დაიმსახურა და, უწევდა კიდეც ღვთის სასჯელი, ქრისტეს გამომსყიდველი მსხვერპლი რომ არა. სწორედ მის სიმბოლოს წარმოადგენდა ეს სამსხვერპლო.

ისრაელიანთა ექვსი შტო, ლეასა და რახელის შთამომავლობა, გარიზიმის მთაზე იდგა. სხვები კი, მხევალთა შთამომავლობა, რეუბენთან და ზებულონთან ერთად, ღებალის მთაზე ავიდნენ. მღვდელმსახურნი კი, უფლის კიდობანთან ერთად, მათ შორის, ხეობაში დაბანაკდნენ. ბუკის ხმამ დუმილისაკენ მოუწოდა ხალხს, შემდეგ კი, სამარისებურ სიჩუმეში, მთელი საკრებულოს წინაშე, წმიდა კიდობანთან მდგარმა იესო ნავეს ძემ წაიკითხა ის, რაც ქვებზე ეწერა. ჯერ ჩამოთვალა უფლის რჯულის აღმსრულებელთათვის აღთქმული კურთხევა. გარიზიმზე მდგარმა ყველა შტომ ერთხმად უპასუხა "ამინ!" შემდეგ წყევლის სიტყვები გამოაცხადა, რაზედაც ღებალის მთაზე მდგარმა დანარჩენმა ხალხმა თანხმობა განაცხადა. ათასობით ადამიანმა ერთხმად, საზეიმოდ დაადასტურა ნათქვამი. და ბოლოს, წაკითხულ იქნა უფლის რჯული, დადგენილებებთან და მცნებებთან ერთად, რომელიც მოსეს მიეცა.

თავად უფლის ბაგემ წარმოთქვა რჯული ისრაელიანთათვის სინაის მთაზე. მისი ყოვლისშემძლე ხელით დაწერილი მცნებები, კვლავინდებურად, კიდობანში ინახებოდა. ახლა, კიდევ ერთხელ დაიწერა ისინი და მოთავსდა იქ, სადაც ყველას შეეძლო მათი წაკითხვა. ახლა ყველას შეეძლო აღთქმის პირობების დანახვა, რომელთა აღსრულების შემთხვევაში მიიღებდნენ ქანაანის მიწას ებრაელები. ყველას უნდა მიეცა თავისი თანხმობა ამ აღთქმის პირობებზე და აერჩია: კურთხევა - მათი დაცვის შემთხვევაში და წყევლა - მათი დარღვევისათვის. მხოლოდ ქვებზე როდი იქნა დაწერილი რჯული, არამედ იესო ნავეს ძემ თავად წაიკითხა იგი მთელი საკრებულოს გასაგონად. თუმცა არცთუ ისე დიდი დრო იყო გასული მას შემდეგ, რაც მოსემ მეორე რჯულის წიგნი გადასცა ხალხს, მაგრამ იესო ნავეს ძემ კვლავ წაიკითხა იგი.

წაკითხული რჯული ებრაელთაგან მოისმინა ყველამ: კაცებმა, ქალებმა და ბავშვებმა. ყველას უნდა სცოდნოდა და შეესრულებინა იგი. ასე უბრძანა უფალმა მათ: "გულში და სულში ჩაიდევით ეს ჩემი სიტყვები, ხელზე შეიბით ნიშნად და შუბლზე დაიბეჭდეთ სამახსოვროდ. ასწავლეთ თქვენს შვილებს... რათა იმდენ ხანს იცოცხლოთ თქვენ და თქვენმა შვილებმა ამ მიწაზე, რომელიც მისაცემად აღუთქვა უფალმა თქვენს მამა-პაპას, რამდენ ხანსაც ცა იარსებებს მიწის ზემოთ" /რჯლ. 11:18-21/.

ყოველ მეშვიდე წელიწადს უნდა წაეკითხათ მთელი რჯული ისრაელიანთა საკრებულოს წინაშე, როგორც მოსემ ბრძანა: "მეშვიდე წლის ბოლოს, პატიების დანიშნულ წელს, კარვობის დღესასწაულზე, როცა გამოცხადდება მთელი ისრაელი უფლის, შენი ღმერთის, წინაშე იმ ადგილზე, რომელსაც აირჩევს იგი, წაიკითხე ეს რჯული მთელი ისრაელის გასაგონად. შეკრიბე ხალხი, კაცები, ქალები და ბავშვები, მდგმურები, რომლებიც შენს კარზე ცხოვრობენ, რომ გაიგონონ, რომ ისწავლონ და ეშინოდეთ უფლის, შენი ღმერთისა, დაიცვან და შეასრულონ ამ რჯულის ყოველი სიტყვა. მათმა შვილებმაც, რომლებმაც არ იციან, გაიგონ და ისწავლონ, რომ ეშინოდეთ უფლის, თქვენი ღმერთისა, მთელი სიცოცხლე, ვიდრე არსებობთ იმ მიწაზე, რომლის დასამკვიდრებლადაც გადადიხართ იორდანეს" /რჯლ. 31:10-13/.

სატანა განუწყვეტლივ ცდილობს, დაამახინჯოს ღვთის ყოველი სიტყვა, რათა ადამიანებმა მისი ჭეშმარიტების შეცნობის უნარი დაკარგონ და ცოდვა ადვილად ჩაიდინონ. ამიტომ ჩამოაყალიბა ასე ნათლად და გასაგებად ღმერთმა თავისი მოთხოვნები, რომ არავინ შემცდარიყო. უფალი მუდამ ცდილობს, სატანის დამღუპველი, სასტიკი, მზაკვრული ხელმწიფებისაგან დაიცვას ადამიანები.

[503]

ისე დაიმდაბლა თავი უფალმა, რომ თავად დაელაპარაკა მათ და საკუთარი ხელით დაუწერა სიცოცხლის მომცემი ჭეშმარიტებანი. ეს ჭეშმარიტების სხივით შუქმოფენილი, ნათელი, კურთხეული სიტყვები საიმედო მეგზურად მიეცა ადამიანებს. დიდი გულმოდგინებაა საჭირო გონებაში და გულში მათ აღსაბეჭდად, რადგან სატანა მუდამ ცდილობს, მოადუნოს ადამიანის ყურადღება და შეასუსტოს მისი სიყვარული უფლის აღთქმისა და მოთხოვნების მიმართ.

რელიგიის მასწავლებლებმა ისე უნდა განუმარტონ ადამიანებს ბიბლიური ისტორიის გაკვეთილები, რომ მათთვის უფლის რჯული და გაფრთხილება გასაგები იყოს. იგი მარტივი, მისაწვდომი ენით უნდა ისწავლებოდეს, რომ ბავშვმაც კი ადვილად აითვისოს. წმიდა წერილის ჭეშმარიტებებში ყმაწვილთა გასარკვევად ღვთისმსახურებმა და მშობლებმა დაუზარებლად უნდა იშრომონ.

მშობლებმა უნდა დააინტერესონ შვილები წმიდა წერილის ჭეშმარიტების მრავალმხრივი ცოდნით. მაგრამ, უპირველესად, თავად უნდა დაინტერესდნენ ამით. მშობლებმა თავად უნდა შეისწავლონ ბიბლიური მოძღვრებები და, უფლის ბრძანების თანახმად, "სახლში ჯდომისას, გზაზე სიარულისას, დაწოლისას და ადგომისას" /რჯლ. 6:7; 11:19/ უნდა ჩააგონებდნენ შვილებს

მათი შესწავლის აუცილებლობას. მათ, ვისაც სურთ, ღვთისადმი პატივისცემა და მოკრძალება ჩაუნერგონ შვილებს, ისე უნდა ესაუბრონ უფლის სიყვარულსა და ძლიერებაზე, როგორც მისი სიტყვა მოგვითხრობს და მისი შემოქმედების საქმეები მოწმობს.

ბიბლიის ყოველი თავი და მუხლი უფლის მიმართვაა ადამიანებისადმი. მისი მცნებები "ხელზე ნიშნად და თვალებს შორის ბეჭდად" უნდა გვქონდეს, რაც იმის მოწმობა იქნება, რომ ქრისტეს ვეკუთვნით /იხ. გამ. 13:16/. თუკი ღვთის ხალხი შეისწავლის და შეისმენს ღვთის მცნებებს, მაშინ მათი გზის მაჩვენებელი, ისრაელიანთა მსგავსად, დღისით ღრუბლის, ღამით კი ცეცხლის სვეტი იქნება.

[504]

თავი 47 - კავშირი გაბაონელებთან

იესო ნავეს ძე 9; 10

შექემიდან კვლავ თავის ბანაკში, გილგალში დაბრუნდნენ ისრაელიანნი. იქ მათ უცნაური, უცნობი ადამიანები ესტუმრნენ,

რომელნიც მათთან კავშირის შეკვრას ითხოვდნენ. თავი შორი ქვეყნიდან წამოსულებად გააცნეს, რასაც აშკარად მოწმობდა მათი გარეგნობაც: გაცვეთილი ტანსაცმელი და ძველი, დაკერებული ფეხსაცმელი ეცვათ. მათი საგზალი გამხმარი და დაობებული იყო, ღვინის ტიკები - დახეული და აქა-იქ ხელდახელ შეკეთებული, როგორც ეს ხანგრძლივი მოგზაურობისას ხდება ხოლმე.

პალესტინიდან შორს, თავის სამშობლოში გაიგეს მათ იმ სასწაულების შესახებ, რომელიც უფალმა თავისი ხალხისათვის მოახდინა და ისინიც ისრაელთან კავშირის დასადებად გამოეშურნენ. ებრაელები გაფრთხილებულნი იყვნენ, რომ ქანაანელებთან არავითარი კავშირი არ დაედოთ. ერის თავკაცები დაეჭვდნენ მოსულთა სიტყვების ჭეშმარიტებაში და ჰკითხეს: "იქნებ ჩემს ახლოს ცხოვრობ?" რაზედაც ასეთი პასუხი მიიღეს: "შენი მორჩილები ვართ". მაგრამ, როცა იესო ნავეს ძემ უფრო ზუსტი პასუხისათვის კვლავ ჰკითხა: "ვინა ხართ და საიდან მოხვედით?" - მათ იგივე გაიმეორეს და თავისი სიმართლის დასამტკიცებლად დაუმატეს: "ჯერ კიდევ თბილი იყო ეს ჩვენი პური, როცა სახლიდან საგზლად წამოვიღეთ და თქვენსკენ წამოვედით. ახლა, ხომ ხედავთ, გამხმარია და დაობებული. ეს ღვინის ტიკებიც, ახლები რომ ავავსეთ, დახეულია; ეს ტანისამოსიც და ფეხსაცმელიც გაგვეცვითა შორ გზაზე".

ასეთმა მოწმობამ ყოველგვარი ეჭვი გააქარწყლა. ებრაელები "არც დაკითხვიან უფლის ბაგეს. ზავი შეკრა მათთან იესომ და აღთქმა დაუდო, რომ ცოცხლებს დატოვებდა მათ. ფიცით

შეფიცეს საზოგადოების თავკაცებმაც". ასე დაიდო ეს კავშირი. სამი დღის შემდეგ კი სიმართლე გაცხადდა. "შეიტყვეს, რომ მათი მეზობლები ყოფილან და მათ ახლოს სახლებულან". იცოდნენ გაბაონელებმა, რომ უმწეონი იყვნენ ებრაელთა წინაშე და საკუთარი სიცოცხლის გადასრჩენად ასეთ ხრიკს მიმართეს.

ძლიერ აღშფოთდნენ მოტყუებული ისრაელიანნი, როცა ამ სიცრუის შესახებ შეიტყვეს. განსაკუთრებით კი სამი დღის შემდეგ, ქვეყნის ცენტრალურ ნაწილთან ახლოს განლაგებულ გაბაონელთა ქალაქებს როცა მიადგნენ. ისრაელიანთა მთელმა საზოგადოებამ უსაყვედურა ერის თავკაცთ ამის გამო, მაგრამ უარი თქვა მათთან კავშირის გაუქმებაზე, თუმცა უკანონო იყო იგი. "არ გაჟლიტეს ისინი ისრაელიანებმა, რადგან უფალი, ისრაელის ღმერთი ჰყავდათ მათთვის დაფიცებული". გაბაონელებმა კი, თავის მხრივ, დაიფიცეს, რომ დაგმობდნენ თავიანთ კერპებს და ცოცხალი ღვთის მსახურებაში ჩადგებოდნენ. ამიტომ, მათი შეწყალებით არ ირღვეოდა ღვთიური ბრძანება, რომელიც ქანაანელ წარმართთა განადგურებას ითხოვდა. ეს იყო კავშირი, რომელიც ცოდვის ჩადენას არ ავალდებულებდა ებრაელებს. და, თუმცა ფიცი მოტყუებით იქნა დადებული, მისი დარღვევა შეუძლებელი იყო. თუკი დადებული ფიცი დანაშაულის ჩადენას არ ავალებდა, წმიდად ითვლებოდა. არც რაიმე მატერიალურ მოსაზრებებს, არც შურისგებას, არც პირად ინტერესებს არ შეეძლო მისი დარღვევა. ხელშეუხებელი იყო ეს აღთქმა თუ ფიცი. "ცრუ ბაგეები სიბილწეა უფლის წინაშე" /იგავ. 12:22/; "ვინ დადგება

მის წმიდა ადგილზე?" - "ვინც დაიფიცებს თავის საზიანოდ და არ შეცვლის" /ფს. 23:3; 14:4/.

[505]

[506]

სიცოცხლე შეუნარჩუნეს გაბაონელთ. ისრაელიანთა მსახურებად იქცნენ ისინი. ყველაზე შავ სამუშაოს ასრულებდნენ. "დაუყენა ისინი იესომ იმ დღეს შეშის მჭრელებად და წყლის მზიდავებად საზოგადოებას და უფლის სამსხვერპლოს". მადლიერებით მიიღეს გაბაონელებმა ეს პირობა, რადგან აღიარებდნენ დანაშაულს ისრაელიანთა წინაშე და, ასეთი მძიმე პირობების მიუხედავად, კმაყოფილნი იყვნენ ამ შეწყალებით. "აჰა, შენს ხელთა ვართ ახლა. როგორც გიჯობდეს და სამართლიანად მიგაჩნდეს, ისე მოგვექეცი". ამგვარად, საუკუნეთა განმავლობაში მუშაობდნენ სამსხვერპლოსათვის მათი შთამომავალნი.

გაბაონელთა ტერიტორიაზე განლაგებულ ოთხ ქალაქს მეფე არ ჰყავდა. მხოლოდ მთავარნი და თავკაცნი ხელმძღვანელობდნენ მათ. ამათგან ყველაზე "დიდი ქალაქი იყო გაბაონი... და მისი მკვიდრნიც უფრო მამაცები იყვნენ". და, მიუხედავად ამისა,

ყველაზე მძიმე სამუშაოს შესრულებაზე დათანხმდნენ, ოღონდ სიცოცხლე შეენარჩუნებინათ. აი, უტყუარი მტკიცება იმისა, თუ როგორ შიშს უნერგავდნენ ისრაელიანნი ქანაანის მცხოვრებთ.

გაბაონელთა ხვედრი უკეთესი იქნებოდა, ისრაელიანებთან გულწრფელნი რომ ყოფილიყვნენ. თუმცა უფლისადმი მორჩილებამ სიცოცხლე შეუნარჩუნა, მაგრამ სიცრუემ შერცხვენა და მონობა არგუნა მათ. წინასწარ განსაზღვრა უფალმა მათი ხვედრი, ვინც კერპებს თავს დაანებებდა და ისრაელს შეუერთდებოდა. აღთქმის მადლით მათაც უნდა ესარგებლათ. ისინი იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდნენ, რომელთა შესახებაც უფალმა თქვა: "მდგმური, რომელიც შენს კარზე ცხოვრობს" და, მცირე განსხვავების გარდა, ისრაელთან თანაბარი უპირატესობით სარგებლობდნენ. უფალმა ბრძანა: "შენთვის, კრებულო, და მდგმურისთვის, რომელიც შენთან მდგმურობს, ერთი სამარადისო წესი უნდა იყოს თაობიდან თაობაში. თქვენი თანაბარია მდგმური უფლის წინაშე" /რიცხ. 15:15/. "თუ დაგიდგება მდგმურად ვინმე თქვენს ქვეყანაში, ნუ შეავიწროებ მას. როგორც მკვიდრი, ერთი თქვენთაგანი, ისე იყოს თქვენთვის თქვენს შორის მდგმურად დამდგარი კაცი. გიყვარდეთ იგი, როგორც თქვენი თავი" /ლევ. 19:33,34/.

იგივე უფლებებით ისარგებლებდნენ გაბაონელებიც, პატიოსნად რომ მოქცეულიყვნენ. არცთუ ისე ადვილი იყო "სამეფო ქალაქის" მკვიდრთათვის, რომლებიც "მამაცი

ადამიანები იყვნენ", შეშის მჭრელებად და წყლის მზიდავებად ემუშავათ მთელი საუკუნეების მანძილზე. სხვათა საცდუნებლად შეიმოსნენ ისინი გაცვეთილი ტანსაცმლით, რომელიც სამუდამო მონობის სიმბოლოდ შერჩათ კიდეც. სიცრუისადმი უფლის სიძულვილის მოწმობა უნდა ყოფილიყო მათი მონური მდგომარეობა მრავალი თაობისათვის.

გაბაონელთა ასეთმა საქციელმა შიშის ზარი დასცა ქანაანის სხვა ქვეყნების მეფეებს. დაუყოვნებლივ იქნა მიღებული ზომები შურისგებისათვის იმის გამო, რომ გაბაონელები დამპყრობთა მხარეზე გადავიდნენ. იერუსალიმის მეფის, ადონ-ცედეკის ხელმძღვანელობით ქანაანის ხუთმა მეფემ კავშირი შეკრა გაბაონის წინააღმდეგ. ძალიან სწრაფად მოხდა ეს შეთანხმება და თავდაცვისათვის მოუმზადებელმა გაბაონელებმა მაცნეები გაუგზავნეს იესო ნავეს ძეს გილგალში: "ნუ აიღებ ხელს შენს მორჩილებაზე; გამოეშურე ჩვენსკენ, გვიხსენი და მოგვეშველე, რადგან ჩვენს წინააღმდეგ შეიყარნენ ამორეველი მეფეები, მთაში მცხოვრებნი". მოსალოდნელმა საფრთხემ არა მხოლოდ გაბაონის მცხოვრებნი, არამედ ისრაელიც შეაშინა. ამ ქალაქს მეტად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ჰქონდა. მასზე გადიოდა ცენტრალური და სამხრეთი პალესტინისაკენ მიმავალი მთავარი გზები და, თუკი ებრაელებს მთელი ამ ქვეყნის დაპყრობა სურდათ, ეს ქალაქი მტრისათვის არ უნდა დაეთმოთ.

[507]

დაუყოვნებლივ შეუდგა იესო გაბაონელთა დასაცავად მზადებას. ალყაშემორტყმული ქალაქის მცხოვრებთ ძლიერ ეშინოდათ, რომ თავისი სიცრუის გამო დახმარებას ვერ მიიღებდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც ისინი ისრაელიანთ ჩაბარდნენ და ცოცხალი ღმერთის თაყვანისცემა დაიწყეს, იესო ნავეს ძე ვალდებულად თვლიდა თავს, დაეცვა ისინი. ამჯერად, გამგზავრებამდე, უფალს რჩევა ჰკითხა და უფალმაც მოიწონა მისი გადაწყვეტილება. "ნუ შეგეშინდება მათი, რადგან თქვენს ხელში მყავს ისინი ჩაგდებული, - გამოუცხადა მას უფალმა, - ვერცერთი მათგანი ვერ დაგიდგება წინ". "გავიდა იესო გილგალიდან მთელი ლაშქრით და მაგარი ვაჟკაცებითურთ".

მთელი ღამე იარა იესომ თავის ხალხთან ერთად და დილით გაბაონს მიადგა. ძლივს მოასწრეს გაერთიანებულმა მთავრებმა თავისი ხალხის ქალაქის გარშემო განლაგება, რომ იესომაც იერიში მიიტანა მათზე. ეს მოულოდნელი შეტევა მტრის სრული მარცხით დამთავრდა. მათმა ურიცხვმა ლაშქარმა ბეთ-ხორონის ხეობისკენ გაქცევით უშველა თავს; მიაღწიეს რა მთის მწვერვალს, თავქუდმოგლეჯილნი დაეშვნენ დაღმართზე. მაგრამ აქ საშინელი სეტყვა წამოეწიათ, დევნილთ "დიდხანს უშენდა ქვებს ციდან უფალი ბეთ-ხორონის ფერდობზე... ქვების

სეტყვამ უფრო მეტი ხალხი გაწყვიტა, ვიდრე ისრაელიანთა მახვილმა".

სანამ დაბნეული და შეშინებული ამორეველნი, თავშესაფრის ძებნაში, მთებისკენ გარბოდნენ, მთის მწვერვალზე მდგარი იესო, რომელიც თვალს ადევნებდა ყოველივეს, მიხვდა, რომ ბრძოლას დაღამებამდე ვერ დაასრულებდა. მტრის სრული გაუნადგურებლობის შემთხვევაში მას მაშველი მოუვა, ძალას მოიკრებს და შეტევაზე გადმოვა. "მაშინ ელაპარაკა იესო უფალს... და თქვა ისრაელის გასაგონად: მზეო, დადექ გაბაონის თავზე, და, მთვარევ, აიალონის ველზე! დადგა მზე და არ დაძრულა მთვარე, ვიდრე თავის მტრებს არ გაუსწორდა ხალხი /განა ეს ჩაწერილი არ არის იაშარის წიგნში?/. იდგა მზე შუაგულ ცაში და თითქმის მთელი დღე აყოვნებდა ჩასვლას".

დაღამებამდე შეასრულა უფალმა იესოსადმი მიცემული სიტყვა: სრულად დაამარცხებინა მტერი. იმ დღის ამბავი დიდხანს შემორჩა ხალხის მეხსიერებას. "არც მანამდე და არც მერე არ ყოფილა ასეთი დღე, რომ ამნაირად შეესმინოს კაცის ხმა უფალს, რადგან ისრაელისათვის იბრძოდა უფალი". "მზე და მთვარე დაყოვნდნენ თავიანთ სადგომებში; შენი ისრების შუქზე დადიან ისინი, შენი ელვარე შუბის შარავანდზე. რისხვით აბიჯებ დედამიწაზე და გულისწყრომით თელავ ხალხებს. შენი ერის გამოსახსნელად გამოხვედი" /აბაკ. 3:11-13/.

სულიწმიდის შთაგონებით ლოცულობდა იესო და ისრაელის ღმერთის ძლიერების მოწმობას ითხოვდა. ეს თხოვნა სულაც არ ნიშნავდა ისრაელიანთა ამ დიდი წინამძღოლის თავდაჯერებულობას. უფალმა აღუთქვა იესო ნავეს ძეს, რომ თავად ღმერთი დაამარცხებს ისრაელის მტრებს, მაგრამ იესომ ისეთი სერიოზული ძალისხმევა გამოიჩინა, თითქოს ბრძოლის წარმატება მთლიანად ისრაელის ლაშქარზე იყო დამოკიდებული. მან გააკეთა ყველფერი, რაც კი შეეძლო ადამიანს, შემდეგ კი რწმენით მიმართა უფალს დახმარებისათვის. წარმატების საიდუმლო ღვთიური ძალის ადამიანურ ძალისხმევასთან ერთობაში მდგომარეობს. დიდ წარმატებას მხოლოდ ისინი აღწევენ, ვინც ყოვლისშემძლე ღმერთის ხელს ეყრდნობა. ადამიანი, რომელმაც ბრძანება გასცა: "მზეო, დადექ გაბაონის თავზე, და, მთვარევ, აიალონის ველზე!", მიწაზე განრთხმული, საათობით ლოცულობდა გილგალის ბანაკში. რაოდენ ძლიერია მლოცველი ადამიანი!

ეს საოცარი სასწაული იმაზე მეტყველებს, რომ ბუნებას შემოქმედი

[508]

[509]

მართავს. სატანა ცდილობს, დაუმალოს ხალხს, რომ ბუნების, სამყაროს ავტორი ღმერთია; რომ ეს უსასრულო სამყარო უფლის განუწყვეტელი შემოქმედებითი ძალით არსებობს მხოლოდ. ეს სასწაული თვალსაჩინო მტკიცებაა მათთვის, ვინც ბუნებას ღმერთზე მაღლა აყენებს.

თავისი სურვილისამებრ გამოიყენა უფალმა ბუნების ძალები მტრის დასამარცხებლად - "ცეცხლო და სეტყვავ, თოვლო და კვამლო, ქარბუქო, მისი სიტყვის შემსრულებელო" /ფს. 148:8/. როცა ამორეველნი წინ აღუდგნენ უფლის განზრახვის აღსრულებას, თავად ჩაერია უფალი და ზეციდან დიდი ქვები დაუშინა ისრაელის მტრებს. ღვთის სიტყვა აგრეთვე გვამცნობს იმ დიადი ბრძოლის შესახებ, რომელიც დედამიწის ისტორიის ბოლო ეტაპზე უნდა მოხდეს, სახელდობრ: როდესაც "გახსნა უფალმა თავისი საგანძური და გამოიტანა თავისი რისხვის საჭურველი" /იერ. 50:25/. "თუ შეგიღწევია თოვლის საგანძურში და სეტყვის საგანძური თუ გინახავს, რომელსაც ვიმარაგებ ძნელბედობისთვის, ომისა და ბრძოლის დღისათვის?" /იობ. 38:22,23/.

გამოცხადების წიგნში იოანე ღვთისმეტყველი აღწერს უბედურებას, რომელიც მოხდება მას შემდეგ, რაც ტახტიდან გამოვა დიდი ხმა: "აღსრულდა!" იოანე ამბობს: "ტალანტის

სიდიდის სეტყვა წამოვიდა ციდან ადამიანებზე" /გამოცხ. 16:17,21/.

თავი 48 - ქანაანის დანაწილება

იესო ნავეს ძე 10:40-43;

11; 14-22

ბეთ-ხორონის გამარჯვების შემდგომ, სულ მალე, ებრაელებმა მთელი ქანაანი დაისაკუთრეს. "მახვილით მოსრა იესომ მთიანეთი, სამხრეთი მხარე, შეფელა და მთის ძირები, და ყველა მათი მეფე... ყველა ეს მეფე და მათი ქვეყნები ერთ ჯერზე ჩაიგდო ხელში იესომ, რადგან უფალი, ისრაელის ღმერთი იბრძოდა მისთვის. დაბრუნდა იესო მთელს ისრაელთან ერთად ბანაკში, გილგალს" /იესო. 10:40-43/.

ჩრდილოეთ პალესტინაში მცხოვრებმა, ისრაელიანთა გამარჯვებით შეშინებულმა ტომებმა ერთმანეთში კავშირი შეკრეს, რომლის ხელმძღვანელობაც ხაცორის მეფემ, იაბონმა, მერიმის ტბის მიდამოების მფლობელმა ითავა. "გამოვიდნენ მთელი თავიანთი ლაშქრითურთ". ბევრად სჭარბობდა მტრის ძალა იმ მეომართა რიცხვს, რომელთანაც აქამდე უხდებოდათ

ბრძოლა ისრაელიანთ ქანაანში. "ზღვის ქვიშასავით უთვალავი ხალხით, უამრავი ცხენებითა და ეტლებით. შეიყარა ყველა ეს მეფე, წავიდნენ და ერთად დაიბანაკეს მერიმის წყლებთან, რომ ისრაელიანებს შებრძოლებოდნენ". და იესომ კვლავაც გაიგონა უფლის გამამხნევებელი სიტყვები: "ნუ შეგეშინდება მათი, რადგან ხვალ ამ დროისთვის ყველას შევმუსრავ ისრაელის წინაშე".

მერიმის ტბასთან დაესხა თავს მოკავშირეთა ბანაკს იესო ნავეს ძე და სრულიად გაანადგურა იგი. "ხელში ჩაუგდო ისინი უფალმა ისრაელიანებს... მუსრი გაავლეს, ისე რომ ცოცხალი არვინ დაუტოვებიათ". ეტლები და ცხენები - ქანაანელთა სიამაყე და დიდება - არ უნდა მიესაკუთრებინა ისრაელს. უფლის ბრძანებისამებრ, ეტლები დაწვეს, ცხენებს კი ძარღვები გადაუსერეს. ამრიგად, ეს საომარი ძალა სრულიად გამოუსადეგარი გახდა ისრაელისათვის. ეტლებისა და ცხენების იმედი კი არ უნდა ჰქონოდათ იუდეველთ, არამედ უფლის, თავისი ღმერთის ძალისა.

ერთიმეორის მიყოლებით აიღეს ქალაქები ისრაელიანებმა. მოკავშირეთა მთავარ ქალაქს "ხაცორს კი ცეცხლის წაუკიდეს" და მთლიანად დაწვეს. რამდენიმე წელიწადს გრძელდებოდა ეს ომი, სანამ სრულად არ დაიპყრო იესო ნავეს ძემ ქანაანის მიწა. და "დაისვენა ბრძოლისაგან ქვეყანამ".

თუმცა ქანაანელთა წინააღმდეგობის დაძლევა შეძლო, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ დაიმორჩილა ეს ხალხი იესო ნავეს ძემ. დასავლეთით ფილისტიმელებს კვლავ ეკავათ სანაპიროს ნაყოფიერი მიწები. ჩრდილოეთით კი, ლიბანში, კვლავ ციდონელები ცხოვრობდნენ. სამხრეთით, ეგვიპტის საზღვრებიც ისრაელის მტრებით იყო დასახლებული.

მაგრამ იესოს ბრძოლა უნდა შეეწყვიტა. ამ დიდ წინამძღოლს ისრაელზე თავისი მმართველობის დასრულებამდე სხვა მნიშვნელოვანი მისია უნდა შეესრულებინა; მთელი მიწა, დაპყრობილი თუ დასაპყრობი, ისრაელის შტოთა შორის უნდა განაწილებულიყო. ყოველი შტოს შემდგომი მოვალეობა კი მისთვის გამოყოფილი მიწის დაუფლება იყო. ღვთის მიმართ ისრაელიანთა ერთგულების გამოვლენის შემთხვევაში უფალი გარეკავდა მათ მტრებს - მისი აღთქმის ერთგულად შესრულების პასუხად უფალმა ხომ უფრო დიდი სამფლობელოები აღუთქვა მათ!

მიწების დაყოფა იესო ნავეს ძეს, ელეაზარ მღვდელმთავარს და შტოთა თავკაცთ დაევალათ. სამკვიდროს გამოყოფა ყოველი მუხლისათვის წილისყრით

[510]

[511]

ხდებოდა. თავად მოსემ დააწესა საზღვარი მიწებზე, რომელიც, დაპყრობის შემდეგ, ამა თუ იმ საგვარეულოს კუთვნილება გახდებოდა. მანვე დაუდგინა ყოველ შტოს მთავარი, რომელსაც გაყოფაში უნდა მიეღო მონაწილეობა. ლევის შტოს, რომელიც საწმიდარში მსახურებისათვის იყო განწესებული, არ ჰქონდა წილი ამ მემკვიდრეობაში, თუმცა, ქვეყნის სხვადასხვა ადგილებში მათ სამკვიდროდ 48 ქალაქი მიაკუთვნეს.

მიწების დანაწილების დაწყებამდე, ისრაელის შტოთა ხელმძღვანელების თანხლებით, განსაკუთრებული თხოვნით მოვიდა ქალები. იესო ნავეს ძის გარდა, ქალებიც ისრაელის ერთ-ერთი მხცოვანი ადამიანი იყო. მზვერავთაგან მხოლოდ ქალებმა და იესო ნავეს ძემ მოიტანეს კეთილი ცნობა აღთქმული მიწის შესახებ; მხოლოდ ისინი მოუწოდებდნენ ხალხს, წასულიყვნენ და ღმერთის სახელით დაესაკუთრებინათ იგი. ახლა ქალებმა გაახსენა იესოს ერთგულებისათვის დაპირებული ჯილდო. "შენი და შენი შვილების სამკვიდრო იყოს ის მიწა, სადაც შენ ფეხი დაგიდგამს, რადგან ბოლომდე უერთგულე უფალს". აი, ამის საფუძველზე მოითხოვა ქალებმა სამკვიდროდ ხებრონის მთა. იქ მრავალი წლის განმავლობაში ცხოვრობდა აბრაამი, ისააკი და იაკობი; იქვე, მახფელას გამოქვაბულში დამარხეს ისინი. ხებრონი იყო გოლიათი ყანაკის მუდმივი საცხოვრისი,

რომლის გიგანტურმა აღნაგობამაც თავზარი დასცა მზვერავთ და შეაშინა ისრაელი. ქალები უფლის ძალას მიენდო და სწორედ ეს ადგილი ამოირჩია საცხოვრისად.

"აჰა, მაცოცხლა უფალმა, როგორც დაპირებული იყო. ორმოცდახუთი წელი გავიდა უკვე მას მერე, რაც ეს სიტყვები უთხრა უფალმა მოსეს, როცა უდაბნოში დადიოდა ისრაელი. ახლა კი, აჰა, ოთხმოცდახუთი წლის ვარ. ჯერაც ისეთივე მაგარი ვარ, როგორც მაშინ, მოსე რომ მაგზავნიდა. რა ძალაც მაშინ მქონდა, ახლაც ის ძალა მაქვს საბრძოლველად და მისასვლელ - მოსასვლელად. ახლა მომეცი ის მთა, რომელზეც უფალი ლაპარაკობდა იმ დღეს, რადგან შენ გაგებული გქონდა იმ დღეს, რომ ყანაკები იყვნენ იქ და დიდი ციხე-ქალაქები ეჭირათ. იქნებ უფალი შემეწიოს და ავყარო ისინი, როგორც ნათქვამი აქვს უფალს". მის თხოვნას იუდას შტოს თავკაცებმაც დაუჭირეს მხარი. ამ შტოდან იყო დანიშნული ქალები მიწების გაყოფაში მონაწილეობის მისაღებად და სწორედ ისინი წაიყვანა თან თავისი თხოვნის გამოსაცხადებლად, რათა არავის აღძვროდა ეჭვი, თითქოს თავის უფლებამოსილე -ბას საკუთარი მიზნებისათვის იყენებდა.

მყისვე აუსრულეს თხოვნა ქალებს. არც ეგულებოდათ სხვა ვინმე, ვისაც ამ უზარმაზარი ციხესიმაგრეების აღებას მიანდობდნენ. "აკურთხა ქალებ იეფუნეს ძე იესომ და მისცა მას სამკვიდროდ ხებრონი... რადგან ბოლომდე უერთგულა მან

უფალს, ისრაელის ღმერთს". ახლაც ისეთივე მტკიცე რწმენა ჰქონდა ქალებს უფლისადმი, როგორც მრავალი წლის წინათ, როცა მისი მოწმობა ძლიერ ეწინააღმდეგებოდა დანარჩენ მზვერავთა ჩვენებებს. მას მტკიცედ სწამდა, რომ უფალი შეასრულებს თავის აღთქმას და მისცემს თავის ხალხს მემკვიდრეობად ქანაანს. ერთი წამითაც არ შეჰპარვია ეჭვი მასში იესოს. თავის ხალხთან ერთად იყო იგი უდაბნოში; იზიარებდა მის ჭირ-ვარამს, მწუხარებასა და დანაშაულის სიმძიმეს, მაგრამ არასოდეს გამოუთქვამს საყვედური. პირიქით, ადიდებდა ღვთის გულმოწყალებას, სიცოცხლე რომ უბოძა მაშინ, როცა მისი ძმები უდაბნოში დაიხოცნენ. უფალი იცავდა მას გაჭირვების, ხიფათისა და წყლულებისაგან, რომელიც უხვად ჰქონდა მის ხალხს უდაბნოში ხეტიალისას და ქანაანის ომების დროს. ახლაც, ოთხმოცდახუთი წლის ასაკშიც მშვენივრად გრძნობდა თავს. უკვე დაპყრობილი მიწა კი არ უთხოვია ქალებს თავისთვის, არამედ ის ადგილები, რომლის დასაკუთრებაც

[512]

შეუძლებლად მიაჩნდათ სხვა მზვერავთ. ღვთის დახმარებით ფიქრობდა იგი ამ მიწების მფლობელ გოლიათთა დამარცხებას, რომელთა ძალამაც ასე შეურყია რწმენა ისრაელს. ეს სურვილი ქალებს პატივმოყვარეობისა და დიდების მოპოვების მიზნით არ

გასჩენია. მხცოვან, მამაც მეომარს სურდა, მაგალითი ეჩვენებინა მოძმეთათვის, რომელიც ღმერთის სახელს განადიდებდა და ყველა შტოს იმ მიწების დასაკუთრების სურვილს აღუძრავდა, რომელთა დაპყრობაც მათ მამებს შეუძლებლად მიაჩნდათ.

მიიღო ქალებმა მემკვიდრეობა, რომელზედაც ორმოცი წელი ოცნებობდა, უფლის ძალითა და რწმენით "აჰყარა იქიდან ქალებმა ყანაკის სამი ნაშიერი". მისი გულმოდგინება მას შემდეგაც არ შენელებულა, რაც ეს მიწები დაიმკვიდრა მან თავისთვის და თავისი სახლეულობისათვის; ადგილზე არ შეჩერებულა იგი, რათა მიღწეულით დამტკბარიყო, არამედ იბრძოდა და იმარჯვებდა თავისი ხალხისა და ღვთის დიდებისათვის.

მხდალნი და ურჩნი უდაბნოში დაიღუპნენ, ჭეშმარიტი მოწმენი კი ეშქოლის ვაზის ნაყოფს ჭამდნენ. საკუთარი რწმენისამებრ მიიღო ყველამ. მცირედ მორწმუნეებმა დაინახეს, რომ მათი შიში გამართლდა. უფლის აღთქმის მიუხედავად, ქანაანის აღება შეუძლებლად მიიჩნიეს და ვერც დაიმკვიდრეს ის. ისინი კი, რომლებიც სიძნელეებს არ შეუშინდნენ და ყოვლადძლიერის ძალას მიენდვნენ, მშვენიერ ქვეყანაში შევიდნენ. ძველი დროის გმირები "რწმენით ამარცხებდნენ სამეფოებს, იქმოდნენ სიმართლეს, აღწევდნენ აღთქმებს... ირიდებდნენ მახვილის პირს, ძლიერდებოდნენ უძლურებისაგან, მაგრები იყვნენ ომში, დევნიდნენ უცხოთა ჯარებს" /ებრ. 11:33,34/. "ეს არის ძლევა, წუთისოფლის მძლეველი - ჩვენი რწმენა" /1 იოან. 5:4/.

მიწების განაწილებასთან დაკავშირებით კვლავ გაისმა ერთი მოთხოვნა, მაგრამ როგორ განსხვავდებოდა იგი ქალებ იეფუნეს ძის თხოვნისაგან! იოსების შთამომავლებმა, ეფრემისა და მენაშეს ნახევარშტომ წამოაყენეს ეს მოთხოვნა. თავიანთი მრავალრიცხოვნების გამო ორმაგ წილს თხოულობდნენ ეს შტოები. მათ წილად ხვდათ მდიდარი მიწები შარონის ნაყოფიერი ველების ჩათვლით, მაგრამ მისი ბევრი მთავარი ქალაქი ჯერ კიდევ ქანაანელთა საკუთრება იყო. ზედმეტი შრომისა და ბრძოლასთან დაკავშირებული ხიფათის თავიდან აცილების მიზნით მათ დამატებით მოითხოვეს უკვე დასაკუთრებული მიწების ნაწილი. ეფრემის საგვარეულო ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი შტო იყო - მასვე მიეკუთვნებოდა იესო ნავეს ძეც - და ისინი, რა თქმა უნდა, განსაკუთრებულ პრივილეგიას ითხოვდნენ. "რატომ მომეცი ერთი წილი სამკვიდრო და ერთი ნაკვეთი, მე ხომ ბევრი ვარ?" - ამბობდნენ ისინი. მაგრამ ვერავინ შეძლო წინამძღოლის მტკიცე სამართლიანობის შერყევა.

"თუ ბევრი ხარ, ადი ტყეში და გატეხე იქ ახო, ფერიზელთა და რეფაიმელთა მხარეში, თუ ეფრემის მთა გევიწროება," - ასეთი იყო იესოს პასუხი.

მათმა პასუხმა შუქი მოჰფინა მათი საყვედურის ჭეშმარიტ მიზეზს. მათ არ ჰყოფნიდათ რწმენა და გამბედაობა ქანაანელთა

გასადევნად. "არ შეგვრჩება, რადგან რკინის ეტლები აქვთ ბარის ქანაანელებს".

ისრაელის ღმერთის ძლიერება იყო მისი ხალხის უძლეველობის გარანტია. ეფრემიანელთ რომ ქალებ იეფუნეს ძის რწმენა და გამბედაობა ჰქონოდათ, ვერც ერთი მტერი ვერ აღუდგებოდათ წინ. მათ სურვილს, თავიდან აეცილებინათ სიძნელეები და ხიფათი, იესომ მტკიცე გადაწყვეტილებით უპასუხა: "ბევრი ხარ შენ და ძალაც დიდი გაქვს... აჰყრი ქანაანელებს, თუმცა რკინის ეტლები აქვთ და ძლიერნი არიან". ამგვარად, თავადვე დაუპირისპირდნენ საკუთარ ნათქვამს. ასეთ მრავალრიცხოვან ხალხს, როგორც ამას თავადაც აღნიშნავდნენ, თვითონვე შეეძლო გზის გაკვლევა თავისი ძმების მსგავსად. უფლის იმედი

[513]

[514]

უნდა ჰქონოდათ და რკინის ეტლებისა არ უნდა შეშინებოდათ.

აქამდე ხალხისა და საწმიდრის ძირითადი ადგილსამყოფელი გილგალი იყო. მაგრამ ახლა კარვისთვის მუდმივი ადგილი

უნდა მიეჩინათ ეფრემის წილხვედრ მიწაზე, პატარა ქალაქ სილოამში, რომელიც ქვეყნის თითქმის შუაგულში მდებარეობდა, ამიტომ ისრაელის ყველა შტოსათვის მისი მონახულება ფრიად მოსახერხებელი იყო. ქვეყნის ეს ნაწილი ისრაელიანებმა უკვე დაისაკუთრეს, ამიტომ აქ ღვთის თაყვანსაცემად მოსულთ არავინ შეაწუხებდათ. "შეიყარა ისრაელიანთა მთელი საზოგადოება სილოამში და დადგეს იქ სადღესასწაულო კარავი" /იესო. 18:1/. ჯერ კიდევ ბანაკში მყოფი ისრაელიანთა შტოები გილგალიდან კვალდაკვალ მიჰყვნენ კარავს და სილოამის ახლომახლო დასახლდნენ. აქ დარჩნენ ისინი თავიანთი წილის მიღებამდე.

სამასი წლის მანძილზე იმყოფებოდა აღთქმის კიდობანი სილოამში, სანამ ელის სახლის ცოდვების გამო ფილისტიმელთ არ ჩაუვარდა ხელში, ქალაქი კი დაინგრა. ამის შემდეგ კიდობანი აღარასოდეს დაბრუნებია ამ ადგილს. შემდგომში კარვის მსახურება იერუსალიმის ტაძარში გადაიტანეს, სილოამმა კი დაკარგა თავისი ადრინდელი მნიშვნელობა. მხოლოდ ნანგრევებიღა მოწმობდა, რომ აქ ერთ დროს ქალაქი იყო. სილოამის ბედი, მრავალი საუკუნის შემდეგ, გაფრთხილებად იქცა იერუსალიმისათვის. "აბა, წადით ჩემს ადგილზე, სილოამში, - თქვა უფალმა იერემიას მეშვეობით, - სადაც თავდაპირველად დავამკვიდრე ჩემი სახელი, და ნახეთ, რა დავმართე მას ჩემი ერის, ისრაელის, უკეთურების გამო... რაც სილოამს დავმართე, იმასვე დავმართებ ამ სახლს, რომელიც

ჩემი სახელით იწოდება, რომელსაც ესავთ, და ამ ადგილს, რომელიც მოგეცით თქვენ და თქვენს მამა-პაპას" /იერ. 7:12,14/.

როდესაც "დაამთავრეს ქვეყნის დანაწილება სამკვიდროებად საზღვრების მიხედვით" და ყველა შტომ თავისი წილი მიიღო, იესომაც მოითხოვა თავისი კუთვნილი. ქალების მსგავსად, მასაც განსაკუთრებული აღთქმა მიეცა წილთან დაკავშირებით. მაგრამ მას არ უთხოვია ვრცელი მიწები, არამედ მხოლოდ ერთი ქალაქი ითხოვა. "მისცეს მას ქალაქი, რომელსაც მოითხოვდა... ააშენა ქალაქი და დასახლდა იქ". ამ ქალაქის სახელი - თიმნათ-სერახი /დარჩენილი/ მისი მფლობელის უანგარო საქციელსა და კეთილშობილურ ხასიათზე მეტყველებს... იმის ნაცვლად, რომ ნადავლზე პირველს წამოეყენებინა თავისი უფლებამოსილება, გადადო ეს საქმე მანამ, სანამ საზოგადოების ყველა რიგითმა წევრმა არ მიიღო თავისი წილი.

ლევის შთამომავლობისათვის გამოყოფილი ექვსი ქალაქი, იორდანეს ორივე სანაპიროზე რომ მდებარეობდა, თავშესაფარ ქალაქებად იწოდებოდა, სადაც შურისგებისაგან გაქცეულ მკვლელს თავის შეფარება შეეძლო. ამ ქალაქების დანიშნულებაზე მოსემ მიუთითა: "თავშესაფარ ქალაქებად გქონდეთ ისინი, სადაც შეეძლება თავის შეფარება მკვლელს, რომელსაც უნებურად შემოაკვდება კაცი. გქონდეთ ეს ქალაქები თავშესაფრად შურისმაძიებლისაგან, რათა არ მოიკლას მკვლელი, ვიდრე საზოგადოების წინაშე წარდგებოდეს

სამსჯავროდ" /რიცხ. 35:11,12/. სიფრთხილისა და მოწყალების ეს აქტი აუცილებელი იყო, ვინაიდან მესისხლეობის ძველი ტრადიციის თანახმად, მკვლელზე მოკლულის ახლო ნათესავს ან მემკვიდრეს უნდა ეძია შური. აშკარად ჩადენილ დანაშაულს სასამართლო გარჩევა არ სჭირდებოდა. შურისმაძიებელს შეეძლო, დადევნებოდა დამნაშავეს და სადაც დაეწეოდა, იქვე მოეკლა. იმ დროს უფალი არ თვლიდა საჭიროდ ამ წესის გაუქმებას, მაგრამ სიფრთხილის ღონისძიებები გაითვალისწინა მათთვის, ვინც დანაშაულს შემთხვევით ჩაიდენდა.

ეს ქალაქები ისე იყო განლაგებული, რომ ქვეყნის ნებისმიერი კუთხიდან თავშესაფრამდე ნახევარი დღის სავალი ყოფილიყო. ამ ქალაქებისკენ მიმავალი

[515]

გზები ყოველთვის წესრიგში უნდა ყოფილიყო. ყველგან უნდა დაედგათ სანიშნებელი ბოძები უბრალოდ გასაგები წარწერით: "თავშესაფარი", რათა დევნილს გზა არ შეშლოდა და დროც ტყუილად არ დაეკარგა. ამ უფლებით შეეძლო ესარგებლა ყველას: ებრაელს, მოსულსა თუ მდგმურს. სიფრთხილის ამ ზომების დაცვით უდანაშაულო სწრაფ შურისძიებას აცდებოდა,

ნამდვილი დამნაშავე კი დამსახურებულ სასჯელს მაინც მიიღებდა. დევნილის საქმეს მიუკერძოებლად იკვლევდნენ თავკაცნი და, უდანაშაულობისა და შემთხვევით მკვლელობის დამტკიცების შემთხვევაში, მას სწორედ ამ ქალაქებში აძლევდნენ თავშესაფარს. დამნაშავეს კი შურისმაძიებელს გადასცემდნენ. ის, ვისაც ქალაქში დარჩენის უფლება მიეცემოდა, მხოლოდ შიგ ქალაქშივე იქნებოდა დაცული. ხოლო ვინც დადგენილ საზღვრებს გასცდებოდა, სადაც კი შურისმაძიებელი დაესხმებოდა თავს, გამოესალმებოდა სიცოცხლეს, რადგან უგულებელყო უფლის გულმოწყალება. მღვდელმთავრის სიკვდილის შემდეგ ამ ქალაქებში თავშეფარებულთ სახლში დაბრუნება შეეძლოთ.

მკვლელობაში ბრალდებულს ერთი მოწმის ჩვენებით არ ასამართლებდნენ, რაგინდ უტყუარიც არ უნდა ყოფილიყო ეს ჩვენება. უფლის ბრძანება ასეთი იყო: "ყოველი მკვლელი მოწმეთა ჩვენებით უნდა მოიკლას, ერთი მოწმის ჩვენებით კაცს სიკვდილით ვერ დასჯიან" /რიცხ. 35:30/. თავად ქრისტემ მისცა მოსეს ასეთი მითითება ისრაელისათვის და მოგვიანებით, დედამიწაზე თავის მოწაფეებთან ყოფნისას, როცა ასწავლიდა, თუ როგორ უნდა მოქცეოდნენ ცოდვილთ, უდიდესმა მოძღვარმა კვლავ გაიმეორა, რომ ერთი კაცის მოწმობა საკმარისი არაა ადამიანის გამართლებისა ან განსჯისათვის, ერთი ადამიანის აზრმა ან თვალსაზრისმა არ უნდა გადაწყვიტოს საკამათო საკითხები. ყოველგვარ მსგავს საქმეებში აუცილებელია ორი ან მეტი მოწმე, რომელნიც ერთად იქნებიან

ყველაფერზე პასუხისმგებელნი, "რათა ორი ან სამი მოწმის პირით დამტკიცდეს ყოველი სიტყვა" /მათ. 18:16/.

თუკი დამნაშავე სიკვდილს იმსახურებდა, ვერავითარი ანაზღაურება ან გამოსასყიდი ვერ იხსნიდა მას. "ვინც ადამიანის სისხლს დაღვრის, ადამიანის მიერვე დაიღვრება მისი სისხლი" /დაბ. 9:6/. "ნუ აიღებთ გამოსასყიდს მკვლელის გამოსახსნელად, რომელიც სასიკვდილოა, რადგან სიკვდილით უნდა დაისაჯოს" /რიცხ. 35:31/. "ჩემი სამსხვერპლოდან წაიყვანე მოსაკლავად", - ბრძანებდა უფალი, - "ვერ განიწმიდება მიწა მასზე დაღვრილი სისხლისაგან, თუ არა თავად მისი დამღვრელის სისხლით" /გამოს. 21:14; რიცხ. 35:33/. ერის უშიშროება და სიწმინდე მკვლელის მკაცრ დასჯას ითხოვდა. ღმერთმა მისცა სიცოცხლე ადამიანს და ამ სიცოცხლეს წმიდად გაფრთხილება სჭირდება.

ქალაქები, ღმერთმა რომ თავშესაფრად მისცა ძველ ხალხს, ქრისტეს მიერ ჩვენთვის მომზადებული თავშესაფრის სიმბოლოა. იმავე მოწყალე მაცხოვარმა, რომელმაც ადამიანთა დროებით თავშესაფარზე იზრუნა, თავისი დაღვრილი სისხლით მოუმზადა უფლის რჯულის დამრღვევთ საიმედო თავშესაფარი, სადაც ისინი უშიშრად დაიფარავენ თავს მეორე სიკვდილისაგან. ვერვინ გამოსტაცებს უფალს ხელიდან მასთან მიტევების თხოვნით მისულთ: "ამიტომ ახლა არავითარი მსჯავრი არ არის მათზე, რომლებიც ქრისტე იესოში ცხოვრობენ არა ხორციელად, არამედ სულიერად". "და ვინ დასდებს

მსჯავრს? ქრისტე იესო, რომელიც მოკვდა და, მით უმეტეს, რომელიც აღდგა მკვდრეთით, ღვთის მარჯვნივ არის და ის შუამდგომლობს ჩვენთვის". "რათა... დიდი ნუგეშისცემა გვქონდეს ჩვენ, რომელნიც გავეშურეთ, რათა ჩავჭიდებოდით ჩვენს წინ მდებარე იმედს" /რომ. 8:1,34; ებრ. 6:18/.

დაუყოვნებლივ უნდა ეძებნა თავშესაფარი დამნაშავეს. უნდა დაეტოვებინა ოჯახიც და სამუშაოც. საყვარელ ადამიანებთან გამოსამშვიდობებელი დროც

[516]

[517]

აღარ ჰქონდა. მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა, ამიტომ ყველაფერი უნდა მიეტოვებინა, რათა სწრაფად მისულიყო თავშესაფარში. არ უნდა ეფიქრა მას არც დაღლილობაზე და არც სიძნელეებზე. წუთიც არ უნდა დაეკარგა, ისე უნდა ერბინა სასურველ ადგილამდე.

ყოველი ცოდვილი სიკვდილმისჯილად ითვლება, ვიდრე ქრისტეს არ შეაფარებს თავს. და, როგორც დაყოვნება და

უზრუნველობა, შესაძლოა, სიცოცხლის ფასად დაუჯდეს გაქცეულს, ასევე შესაძლებელია, გადარჩენის ერთადერთი საშუალება წაერთვას ადამიანს ამის გამო. უდიდესი მზაკვარი - სატანა, ფხიზლად დგას უფლის რჯულის ყოველი დამრღვევის გზაზე და ის, ვინც მოსალოდნელ საშიშროებას არ აცნობიერებს და მარადიულ თავშესაფარში შესვლისაკენ არ ისწრაფვის, დამღუპველის ნადავლად იქცევა.

ტუსაღი, რომელიც თავშესაფარ ქალაქს დატოვებდა და მის გარეთ გამოვიდოდა, შურისმაძიებლის ხელში ხვდებოდა. ამგვარად, ადამიანებს ასწავლიდნენ, მტკიცედ დადგომოდნენ გზას, რომელიც მათივე უშიშროებისათვის დაუდგინა უზენაესმა სიბრძნემ. საკმარისი არაა ცოდვილისთვის, მხოლოდ სჯეროდეს, რომ ქრისტე მიუტევებს ცოდვებს, არამედ რწმენითა და მორჩილებით უნდა დარჩეს მასში /ქრისტეში/. "ვინაიდან, თუ ჩვენ, მას აქეთ, რაც მივიღეთ ჭეშმარიტების შემეცნება, კვლავ ნებსით ვცოდავთ, აღარა რჩება მსხვერპლი ცოდვებისათვის, არამედ სამსჯავროს რაღაც საშინელი მოლოდინი და მოწინააღმდეგეთა შთანთქმისათვის გამზადებული შურის ცეცხლი" /ებრ. 10:26,27/.

ისრაელის ორმა შტომ - გადელებმა და რეუბენელებმა და მენაშეს შტოს ნახევარმა იორდანეზე გადასვლის წინ მიიღო თავისი წილი. ქანაანის ვერც ერთი კუთხე ვერ შეედრებოდა გალაადისა და ბაშანის მთიან ფერდობებსა და დიდებულ

ტყეებს, სადაც მეტად ძვირფასი საძოვრები იყო მათი საქონლისათვის. ზემოთ აღნიშნულმა ორმა შტომ და მენაშეს ნახევარმა შტომ, რომელთაც ამ ადგილებში ცხოვრება მოისურვეს, ფიცით აღუთქვეს ისრაელიანთ, რომ თავისი ტომიდან გაუგზავნიდნენ შეიარაღებულ მეომრებს, რომლებიც მათთან ერთად გადალახავდნენ იორდანეს, ყველა ბრძოლაში მიიღებდნენ მონაწილეობას, სანამ ძმები თავ-თავიანთ წილს არ დაისაკუთრებდნენ, რაც აასრულეს კიდეც. როცა ისრაელიანთა ათი შტო ქანაანში შევიდა, "გადავიდნენ რეუბენიანები, გადიანები და მენაშეს შტოს ნახევარი ისრაელიანთა თვალწინ საომარი წყობით... ორმოციათასამდე იარაღასხმული კაცი გავიდა გაღმა უფლის წინაშე იერიხონის ველზე საბრძოლველად" /იესო. 4:12,13/. წლების განმავლობაში ერთგულად იბრძოდნენ ისინი თავიანთი ძმების გვერდით. ახლა კი დადგა დრო კუთვნილ მიწაზე მათი დაბრუნებისა. და, რადგან ისინი ძმებთან ერთად თანაბრად მონაწილეობდნენ ყველა ბრძოლაში, ნადავლსაც მათთან ერთად ინაწილებდნენ. ასე რომ, დიდი ქონებით დაბრუნდნენ ისინი თავ-თავიანთ სახლებში: "დიდძალი პირუტყვით, ოქრო-ვერცხლით, სპილენძით, რკინით, დიდძალი სამოსელით". და ყოველივე ეს მათთვის უნდა გაენაწილებინათ, ვინც ოჯახებში და საქონელთან იყო დატოვებული.

მათი კუთვნილი მიწა საწმიდრიდან შორს იყო. ამიტომ დიდად წუხდა იესო ნავეს ძე მათი უკან დაბრუნებისას, რადგან იცოდა, თუ რა დიდი იყო ცდუნება, რომელიც იქ ელოდათ:

განმარტოებულთ, მომთაბარე ცხოვრებისას, ადვილად შეეძლოთ იმ მხარეში დასახლებულ წარმართთა ტომების წეს-ჩვეულებათა გადმოღება.

და, როდესაც იესო ნავეს ძე და სხვა თავკაცნი ამ ნაღვლიან ფიქრებს და მძიმე წინათგრძნობას შეეპყრო, უცნაური ხმები მისწვდა მათ ყურს. იორდანეს ნაპირზე, იმ ადგილის მახლობლად, სადაც უფლის სასწაულებით გადალახეს ეს

[518]

მდინარე, ისრაელიანთა ორნახევარმა შტომ სილოამის სამსხვერპლოს მსგავსი დიდი საკურთხეველი ააგო. უფლის რჯული სიკვდილის მუქარით კრძალავდა საწმიდრის გარდა სხვაგვარი მსახურების დაწესებას. თუკი სამსხვერპლო მსახურებისთვის იქნა აგებული, მისი ხელშეუხებლად მიტოვების შემთხვევაში, იგი ჭეშმარიტ რწმენას დაუკარგავდა ხალხს.

ამის გამო ერის წარმომადგენელნი სილოამში შეიკრიბნენ და მრისხანე აღშფოთებით ითხოვდნენ განდგომილთა წინააღმდეგ ბრძოლით წასვლას. მაგრამ უფრო წინდახედულთა წინადადებით გადაწყდა: ამოერჩიათ ამ განსაკუთრებული

საქმისათვის განწესებული ადამიანები და გაეგზავნათ, რათა ახსნა-განმარტება მიეღოთ ამ ორ-ნახევარი შტოსაგან თავისი საქციელის გამო. ყოველი შტოდან ათი თავკაცი იქნა არჩეული ფინხასის ხელმძღვანელობით, რომელიც ჯერ კიდევ ადრე, ფეღორთან წარმოჩინდა ღვთისადმი თავისი ერთგულებით.

შეცდომა ჩაიდინა ამ ორ-ნახევარმა შტომ, ყოველგვარი წინასწარი განმარტების გარეშე რომ გააკეთა ეს, რითაც ასეთი მძიმე ეჭვები აღუძრა ძმებს. მათ დანაშაულში დარწმუნებულმა ელჩებმა მკაცრად უსაყვედურეს, უფლის წინააღმდეგ ამბოხებაში დაადანაშაულეს და გაახსენეს, თუ რა სასჯელი მოუვლინა ღმერთმა ისრაელს, როცა ბაალ-ფეღორს მიეკედლა იგი. მთელი ისრაელის სახელით გამოუცხადა ფინხასმა გადისა და რეუბენის შთამომავლებს, რომ თუკი ამ მიწაზე სამსხვერპლოს გარეშე ცხოვრება არ სურთ, მაშინ დასახლდნენ იორდანეს მეორე მხარეს თავის სხვა ძმებთან ერთად.

ბრალდებულებმა პასუხად მოახსენეს, რომ ეს სამსხვერპლო მსხვერპლის შესაწირად არ აუგიათ, არამედ - იმის მოწმობად, რომ, თუმცა მათ მდინარე ყოფთ ერთმანეთისაგან, მაგრამ ისინი იმავე რელიგიას აღიარებენ, რომელსაც მათი ძმები იორდანეს გაღმა, რადგან შიშობდნენ, მათი შვილები საწმიდრისაგან არ გარიყულიყვნენ და არ ეფიქრათ, რომ ისრაელში წილი არა აქვთ. ეს სამსხვერპლო, სილოამის საკურთხევლის მსგავსად აგებული,

მუდამ უნდა მოწმობდეს, რომ მისი მშენებლები ცოცხალი ღმერთის თაყვანისმცემელნი არიან.

უდიდესი სიხარულით მოისმინეს წარგზავნილებმა ეს ახსნა-განმარტება, დაუყოვნებლივ დაბრუნდნენ უკან და ეს ამბავი საზოგადოების ხელმძღვანელთ მოახსენეს. მოსალოდნელი ბრძოლისათვის მზადების გეგმა თავისთავად ჩაიშალა. დიდად გაიხარა ხალხმა და მადლობა შესწირა ღმერთს.

გადისა და რეუბენის შვილებმა სამსხვერპლოზე გააკეთეს წარწერა, რომელიც მისი აგების მიზანს განმარტავდა: "მოწმე არის იგი ჩვენს შორის, რომ ღმერთია უფალი", რითაც მომავალში ყოველგვარ გაუგებრობას და ცდუნებას აიცილებდნენ თავიდან.

რა ხშირად ვაწყდებით ხოლმე სერიოზულ სიძნელეებს უბრალო გაუგებრობის გამო მათ შორისაც კი, ვინც კეთილშობილური მიზნებით მოქმედებს; და, თუკი ამ დროს მოთმინებასა და თავაზიანობას არ გამოვავლენთ, შესაძლოა, მეტად სერიოზული და საბედისწერო შედეგიც კი მივიღოთ. ისრაელის ათივე შტოს კარგად ახსოვდა, თუ როგორ დასაჯა ღმერთმა ისინი ყაქანის შემთხვევასთან დაკავშირებით, როცა მათი მოძმის მიერ ჩადენილი ცოდვის მხილებას ასე არასერიოზულად მოეკიდნენ. ახლა მათ მეტად სწრაფი, მეტად სერიოზული ზომების გატარება ჰქონდათ გადაწყვეტილი, მაგრამ, ადრინდელი

შეცდომის განმეორების შიშით, სხვა უკიდურესობაში ჩაცვივდნენ. შემთხვევის მოთმინებითა და მშვიდად გამოკვლევის ნაცვლად საყვედურებისა და ბრალდებების კორიანტელი დაატრიალეს. გადისა და რეუბენის შვილებსაც რომ იგივეთი ეპასუხათ, ომი გაჩაღდებოდა. როდესაც ერთი მხარისაგან ცოდვისადმი მეტად სერიოზული და პატიოსანი მიდგომაა საჭირო, არანაკლებ მნიშვნელოვანია, მეორე მხარემაც

[519]

თავი შეიკავოს სწრაფი დასკვნებისა და უსაფუძვლო ეჭვისაგან.

ბევრი ადამიანი, რომელიც მეტად მგრძნობიარეა თავისი საქციელის სულ მცირე გაკიცხვის დროსაც კი, დიდ სისასტიკეს იჩენს მათ მიმართ, ვის ბოროტებაშიც თავად შეაქვს ეჭვი. გაკიცხვას და საყვედურებს ჯერ არავინ გამოუსწორებია, არამედ ბევრი ამის შემდეგ უფრო შორდება ჭეშმარიტების გზას და გულს ისასტიკებს. სიკეთის, მოთმინებისა და ყურადღების სულს ცოდვილის გადარჩენა და მრავალი მანკიერების აღმოფხვრა შეუძლია.

მიბაძვის ღირსია რეუბენის ძეთა და მისი ძმების საქციელი. ცილი დასწამეს და სასტიკად გაკიცხეს ისინი მაშინ, როცა მათ

ჭეშმარიტი რელიგიის უკვდავყოფა მოისურვეს, მაგრამ არავითარი მრისხანება ამის გამო არ გამოუვლენიათ. სანამ ბრალდებებისაგან თავს დაიცავდნენ, მოთმინებითა და გულისყურით მოუსმინეს ძმებს, შემდეგ ყველაფერი აუხსნეს და თავიანთ უდანაშაულობაში დაარწმუნეს. ამრიგად, გაუგებრობა, რომელიც შესაძლოა, უბედურებით დამთავრებულიყო, მეგობრულ, ძმურ ვითარებაში გაირკვა.

მართალმა კაცმა სიმშვიდე და თავშეკავებულობა უნდა შეინარჩუნოს, თუნდაც ცრუ ბრალდება წაუყენონ. ღმერთმა კარგად იცის ყოველივე ის, რასაც ადამიანები არასწორად აღიქვამენ და განმარტავენ. ამიტომ, მშვიდად უნდა მივანდოთ უფალ ღმერთს ჩვენი საქმე. იგი აუცილებლად გაამართლებს მის მოიმედეს, ისევე, როგორც ყაქანის დანაშაული გამოავლინა. ქრისტეს სულით მოარული ყოველი კეთილი და მომთმენი ადამიანი, მუდამ შეძლებს სიყვარულის გამოვლენას.

უფალს სურს, მისი ხალხი ერთობითა და ძმური სიყვარულით გამოირჩეოდეს. ჯვარცმის წინ ქრისტე ლოცულობდა, მისი მოწაფეები ერთნი ყოფილიყვნენ, ისევე, როგორც ის არის ერთი მამასთან და მაშინ წუთისოფელი ირწმუნებს, რომ იგი ღმერთის მიერ არის წარმოგზავნილი. ამ უმშვენიერესმა და სულისშემძვრელმა ლოცვამ დღემდე მოაღწია, რამეთუ იგი ლოცულობდა: "მე მხოლოდ მათზე არ გევედრები, არამედ იმათზეც, ვინც ჩემი მოწამენი იქნებიან თავიანთი სიტყვით"

(იოან. 17:20). ჩვენ მუდამ ამ ერთობისაკენ უნდა ვისწრაფოდეთ, მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად ჭეშმარიტების არც ერთი პრინციპი არ უნდა დავთმოთ. ეს იმის მტკიცებულებაა, რომ იესოს მოწაფეები ვართ. მან თქვა: "ჩემი მოწაფეები რომ ხართ, იმით გაიგებენ ყველანი, თუ სიყვარული გექნებათ ურთიერთს შორის" (იოან. 13:35). პეტრე მოციქული მოძღვრავს ეკლესიას: "ბოლოს, იყავით ყველა ერთი აზრისანი, გულშემატკივარნი, ძმათა მოყვარენი, შემწყნარებელნი, თავმდაბალნი, ნუ მიაგებთ ბოროტს ბოროტისა წილ და ლანძღვას ლანძღვისა წილ; პირიქით, აკურთხეთ, რადგან ამისათვის ხართ მოწოდებულნი, რათა კურთხევა დაიმკვიდროთ" (1 პეტრ. 3:8, 9).

[520]

თავი 49 - იესო ნავეს ძის უკანასკნელი სიტყვები

იესო ნავეს ძე 23; 24

დასრულდა დაპყრობითი ომები და დაბრუნდა იესო ნავეს ძე თიმნათ-სერახში - თავის წყნარ და მშვიდ კუთხეში. "მრავალი ხანი გამოხდა მას შემდეგ, რაც მოასვენა უფალმა ისრაელი გარეშემო მტრებისაგან... მოუხმო იესომ მთელს ისრაელს, მის

უხუცესებს, მის თავკაცებს, მის მსაჯულებს, მის ზედამხედველებს".

რამდენიმე წელი გავიდა მას შემდეგ, რაც თავიანთ წილხვედრ მიწაზე დასახლდნენ ისრაელიანნი და მალე, თანდათანობით კვლავ იჩინა თავი იმ ცოდვებმა, რომელიც ადრეც ღვთის რისხვას დაატეხდა ხოლმე ისრაელს. იგრძნო იესომ მოახლოებული სიბერე და მისი მოღვაწეობის დასასრულის მოახლოება. იგი დიდად წუხდა და ღელავდა თავისი ხალხის მომავალზე. როდესაც ისრაელიანნი კიდევ ერთხელ შეიკრიბნენ ასაკოვანი წინამძღოლის გარშემო, მამაშვილურ მზრუნველობაზე მეტი რამ იგრძნობოდა თავისი ხალხისადმი მიმართულ მის სიტყვებში. "თქვენი თვალით გაქვთ ნანახი ყველაფერი, რაც უფალმა, თქვენმა ღმერთმა დამართა ყველა ამ ხალხს თქვენს წინაშე, - თქვა მან, - რადგან უფალი, თქვენი ღმერთი იყო, თქვენთვის რომ იბრძოდა". თუმცა ქანაანელნი დამარცხდნენ, მაგრამ მათ ჯერ კიდევ ეკავათ ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ისრაელს აღუთქვა უფალმა. იესომ მოუწოდა ისრაელიანთ, მიღწეულით არ დაკმაყოფილებულიყვნენ, არ შეჩერებულიყვნენ და არ დავიწყებოდათ უფლის ბრძანება წარმართთა ტომების სრული განდევნის შესახებ.

არ ჩქარობდნენ ისრაელიანნი წარმართთა განდევნას. ყოველმა შტომ თავის წილხვედრ მიწას მიაშურა, ლაშქარიც დაიშალა და საბრძოლო მოქმედებების განახლება მეტად რთულ და საეჭვო საქმედ ეჩვენებოდათ. მაგრამ ასე გამოუცხადა იესომ: "თავად უფალი, თქვენი ღმერთი აყრის მათ თქვენგან და განდევნის,

რათა დაიმკვიდროთ მათი ქვეყანა, როგორც ნათქვამი აქვს თქვენთვის უფალს, თქვენს ღმერთს. მტკიცედ დაიცავით და შეასრულეთ ყველაფერი, რაც მოსეს რჯულის წიგნშია ჩაწერილი. არ გადაუხვიოთ მას არც მარჯვნივ, არც მარცხნივ".

უშუალოდ ხალხს მიმართა იესომ, რომელსაც უკვე საკმარისი მტკიცება ჰქონდა იმისა, რომ, თუკი ისინი ერთგულად ასრულებდნენ დადებულ პირობას, უფალი მუდამ ერთგულად ასრულებდა მათთვის მიცემულ აღთქმას. "მთელი თქვენი გულითა და სულით შეიგნეთ, რომ არცერთი სიტყვა არ გაცუდებულა იმ სასიკეთო სიტყვებიდან, რაც თქვენზე უთქვამს უფალს, თქვენს ღმერთს". გაახსენა იესომ თავის ხალხს, რომ უფალი ისევე აასრულებს თავის მუქარას, როგორც თავისი აღთქმა აასრულა. "როგორც აგიხდათ ყველა სასიკეთო სიტყვა, რაც უფალს, თქვენს ღმერთს ჰქონდა ნათქვამი თქვენთვის, ასევე აგიხდენთ უფალი მუქარის სიტყვას, ვიდრე არ აღგვის ყველას ამ მადლიანი მიწიდან... თუ გადახვალთ უფლის, თქვენი ღმერთის აღთქმას, რომელიც დადებული აქვს თქვენთან, წახვალთ და უცხო ღმერთებს დაუწყებთ სამსახურს და თაყვანისცემას, უფლის რისხვა დაგატყდებათ თავს და დაუყოვნებლივ გადაშენდებით ამ მადლიანი ქვეყნიდან, რომელიც მას თქვენთვის მოუცია".

ბევრს ატყუებს სატანა თავისი ე.წ. უტყუარი თეორიებით, თითქოს უფლის თავისი ხალხისადმი სიყვარული იმდენად

დიდია, რომ ყოველგვარ ცოდვას მიუტევებს მას; უმტკიცებს, რომ უფლის მრისხანე სიტყვა არასოდეს ასრულდება

[521]

[522]

ზუსტად, თუმცა გარკვეულ როლს თამაშობს ღმერთის სულიერ ხელმწიფებაში. მაგრამ თავის შექმნილ არსებებთან ურთიერთობაში სიმართლის პრინციპებით ხელმძღვანელობს უფალი, ცოდვის ჭეშმარიტ სახეს გვიჩვენებს და გვიმტკიცებს, რომ დანაშაულს ტანჯვისა და სიკვდილისაკენ მივყავართ. ყოველგვარი პირობის გარეშე ცოდვათა მიტევება არასოდეს არსებულა და არც იარსებებს. ამდაგვარი მიტევება შელახავდა უფლის მცნებების ღირსებას, რომელიც ღვთიური მმართველობის ძირითადი საფუძველია. ეს საშინელება იქნებოდა სხვა, წმიდა სამყაროებისათვის. ღმერთი ყოველთვის ცოდვის შედეგზე მიგვითითებდა და, თუკი ეს გაფრთხილებები სიცრუეა, როგორღა აღსრულდება მისი აღთქმანი? ასეთი "სიკეთე" უბრალო სისუსტეა და არა ჭეშმარიტი სიკეთე და სამართლიანობა.

სიცოცხლეს ღმერთი გვაძლევს. მისი კანონები თავიდანვე მართალი ცხოვრებისაკენ მოგვიწოდებდა. ცოდვამ კი დაარღვია უფლის წესრიგი და წუთისოფელში ქაოსი შემოიტანა. სანამ ცოდვა არსებობს, ტანჯვა და სიკვდილიც იარსებებს. და ერთადერთი იმედი ადამიანისათვის, თავიდან აიცილოს ცოდვის საშინელი შედეგი, არის ის ჭეშმარიტება, რომ მაცხოვარმა თავად იტვირთა ჩვენი ცოდვების საზღაური ჩვენივე გადარჩენისათვის.

იესოს სიკვდილის წინ, მისივე თხოვნისამებრ, კვლავ შეიკრიბნენ შექემში ისრაელიანთა თავკაცნი და საგვარეულოს მთავარნი. დედამიწის არც ერთი სხვა კუთხე არ იწვევდა მათში ამდენ წმიდა მოგონებას. იგი ახსენებდა მათ წარსულს, უფლის მიერ აბრაამთან და იაკობთან დადებულ აღთქმას და ქანაანში შესვლის წინ მათ მიერ წარმოთქმულ საზეიმო დაპირებებს. აქვე აღმართულიყვნენ ღებალისა და გერიზიმის მთები - იმ აღთქმათა უტყვი მოწმენი, რომლის განახლებასაც ახლა, მომაკვდავი წინამძღოლის წინაშე, აპირებდნენ ისინი. ირგვლივ მრავალი მტკიცება არსებობდა იმისა, რაც უფალმა მათთვის მოიმოქმედა: ღმერთმა დაუმკვიდრა მათ მიწა, რისთვისაც არ უშრომიათ, ქალაქები, რომელნიც არ უშენებიათ; ვენახები და ზეთისხილის ბაღები, რომელნიც თავად არ დაურგავთ. კიდევ ერთხელ გაახსენა მათ იესომ ებრაელთა ისტორია, დაწვრილებით უამბო უფლის სასწაულები, რათა ეგრძნოთ ისრაელიანთ ღვთიური სიყვარული და წყალობა და "გულწრფელად და სამართლით" ემსახურათ მის წინაშე.

აღთქმის კიდობანი მოიტანეს სილოამიდან იესოს ბრძანებით. განსაკუთრებით საზეიმო იყო ეს წუთები - უფლის თანდასწრების სიმბოლო დიდად გააღრმავებდა შთაბეჭდილებას, რომლის მოხდენასაც იესო ნავეს ძე აპირებდა. გამოუცხადა უფლის სიკეთე მთელ ხალხს, შემდეგ კი იეჰოვას სახელით მოუწოდა, აერჩიათ, ვისი სამსახური სურდათ. საზოგადოებაში ჯერ კიდევ არსებობდა ფარული კერპთაყვანისმცემლობა და იესოს სურდა, დაერწმუნებინა ისრაელიანნი, რომ ისრაელში იგი ძირფესვიანად უნდა აღმოიფხვრას. "თუ ავად მიგაჩნიათ თქვენს თვალში უფლის სამსახური, ახლავე გადაწყვიტეთ ვის ემსახუროთ", - წარმოთქვა იესომ. რარიგ სურდა წინამძღოლს, რომ ღვთისადმი ისრაელიანთა მსახურება იძულებითი კი არ ყოფილიყო, არამედ - ნებაყოფლობითი! რელიგიის ჭეშმარიტი საფუძველი - ღვთისადმი სიყვარულია. საზღაურის მიღების მიზნით ან სასჯელის შიშით მსახურებას არა აქვს ფასი. აშკარა განდგომილებას და ფორმალურ, მოჩვენებით მსახურებას ერთი და იგივე ფასი აქვს უფლის თვალში.

მოხუცმა წინამძღოლმა თხოვნით მიმართა ხალხს, სერიოზულად დაფიქ-რებულიყო მის სიტყვაზე და გადაეწყვიტა - სურდა თუ არა, ეცხოვრა ისე, როგორც მის ირგვლივ მცხოვრები წარმართი ტომები ცხოვრობდნენ. და თუკი ისრაელიანთ მიაჩნიათ, რომ იეჰოვას, ძალისა და კურთხევის წყაროს,

[523]

სამსახური არაა საჭირო, გადაწყვიტონ, ვის ემსახურონ - "იმ ღმერთებს, ვისაც თქვენი მამა-პაპა ემსახურებოდა იორდანეს გაღმა თუ ამორეველთა ღმერთებს, რომელთა ქვეყანაშიც ცხოვრობთ". იესოს მიერ ისრაელის მიმართ წარმოთქმულმა ამ ბოლო სიტყვებმა მწარე საყვედურად გაიჟღერა. ამორეველთა ღმერთებმა ვერ დაიცვეს თავისი ხალხი. საშინელი, მდაბალი ცოდვების გამო განადგურდა ეს უწმიდური ხალხი და მდიდარი მიწა, მას რომ ეკუთვნოდა, ღვთის ხალხს მიეცა. რა უაზრობა იქნებოდა ისრაელიანთა მხრივ იმ ღმერთების ამორჩევა, რომელთა თაყვანისცემის გამო განადგურდნენ ამორეველნი! "მე და ჩემი სახლი კი უფლის სამსახურში ვიქნებით", - განაცხადა იესომ. ეს წმიდა მოშურნეობა, რომელსაც წინამძღოლის გული მოეცვა, ხალხსაც გადაეცა. და, მის მოწოდებას ხალხმა ერთხმად უპასუხა: "არ იქნება ჩვენგან უფლის დავიწყება, უცხო ღმერთების სამსახური".

"ვერ შეძლებთ უფლის სამსახურს, - განაცხადა იესომ, - რადგან წმიდა ღმერთია იგი... არ გაპატიებთ დანაშაულს და ცოდვებს". მანამ, სანამ ადამიანებში ძირეული გარდაქმნები მოხდება, მათ უნდა გააცნობიერონ, რომ არ ძალუძთ, ღმერთს დაემორჩილონ. მათ დაარღვიეს უფლის რჯული, რომელიც მსჯავრს სდებდა

მათ, როგორც ცოდვილთ და გადარჩენის გზებს არ ითვალისწინებდა. სანამ მათ საკუთარი ძალისა და სიმართლის იმედი ჰქონდათ, ვერ მიიღებდნენ ცოდვათა მიტევებას, ვერ იცხოვრებდნენ ღვთის სრულყოფილი რჯულის პრინციპებით და მათი ფიცი, რომ მუდამ უფლის სამსახურში დარჩებოდნენ - ფუჭი იქნებოდა. მხოლოდ ქრისტეს რწმენით შეძლებდნენ მიტევების მიღებას, რაც ძალას მისცემდა უფლის რჯულის აღსრულებისათვის. თუკი უფალთან სიახლოვე სურდათ, მათ უნდა ჰქონოდათ ხსნის იმედი, მაგრამ არა საკუთარი ძალისხმევით, არამედ მხოლოდ აღთქმული მაცხოვრის დამსახურებით.

იესოს სურდა, რომ მსმენელთ კარგად აეწონ-დაეწონათ თავისი სიტყვები და დაუფიქრებლად არ დაედოთ აღთქმა, რომლის შესრულებისთვისაც მზად არ იყვნენ. მთელი გულწრფელობით ამბობდნენ ისინი: "არა, უფალს გვინდა ვემსახუროთ". საზეიმოდ, თავისსავე საწინააღმდეგოდ დაამოწმეს, რომ უფლისადმი მსახურებას ირჩევენ და კვლავ გაიმეორეს ერთგულების ფიცი: "უფალს, ჩვენს ღმერთს ვემსახურებით და ყურს დავუგდებთ მის ხმას".

"დადო იესომ აღთქმა ერთან იმ დღეს და მისცა მათ წესი და სამართალი შექემში". ჩაწერა ყველა ეს სიტყვა მან და რჯულის წიგნთან ერთად აღთქმის კიდობნის გვერდით შეინახა. აღთქმის მოსაგონებლად დიდი ქვა დადო საწმიდართან ახლოს, მუხის

ქვეშ და თქვა: "აჰა, ეს ქვა იყოს ჩვენს მოწმედ, რადგან მან მოისმინა ყოველი სიტყვა, რაც უფალმა გვითხრა ჩვენ. იყოს თქვენს მოწმედ, რათა არ უარყოთ თქვენი ღმერთი. გაისტუმრა იესომ ერი, თითოეული თავის სამკვიდროში".

დასრულდა იესო ნავეს ძის საქმეები ისრაელისათვის. "მთელი გულით" ემსახურებოდა იგი უფალს და ღვთის წიგნში მასზე წერია: "უფლის მორჩილი". ისტორია შემდგომი თაობებისა, რომელიც მისი საქმეთა ნაყოფით ტკბებოდა, ნათლად მოწმობს იესო ნავეს ძის, როგორც ერის წინამძღოლის, ცხოვრებაზე: "ემსახურებოდა უფალს ისრაელი იესოს დროს და უხუცესთა დროს, რომელნიც ცხოვრობდნენ იესოს მერე".

[524]

თავი 50 - მეათედი და შესაწირავი

ისრაელიანთა შემოსავლის მეათედი ნაწილი სახალხო ღვთისმსახურების ხელშესაწყობად იყო განკუთვნილი. მოსემ გამოუცხადა ისრაელს: "ყოველი მეათედი მიწისა, მიწის ნათესისა, ხის ნაყოფისა უფლისაა, უფლის წმიდაა". "ყოველი

მეათედი ხარ-ძროხისა და ცხვრისა... უფლის წმიდაა" /ლევ. 27:30, 32/.

მაგრამ მეათედის სისტემა ებრაელებიდან არ იღებს სათავეს. უძველესი დროიდანვე ითხოვდა ღმერთი ადამიანებისაგან მეათედ ნაწილს, როგორც თავის კუთვნილს და მისი შვილებიც აღიარებდნენ და პატივს მიაგებდნენ მის მოთხოვნას. აბრაამმა მეათედი მისცა მელქიცედეკს, უზენაესის მღვდელს /იხ. დაბ. 14:20/. სახლიდან გაქცეულმა, დევნილმა იაკობმა უფალს ბეთელში აღუთქვა: "ყველაფრისაგან, რასაც მომცემ, მეათედს შენ მოგიძღვნი" /დაბ. 28:22/. როდესაც ისრაელიანნი ერად უნდა ჩამოყალიბებულიყვნენ, უფალმა კვლავ დაუდგინა მათ მეათედი წესად, რის შესრულებაზეც დამოკიდებული იყო მათი კეთილდღეობა.

მეათედისა და შესაწირავის სისტემის დაწესება ხელს უწყობდა ადამიანებს, შეეცნოთ უდიდესი ჭეშმარიტება იმის შესახებ, რომ ღმერთია კურთხევისა და კეთილდღეობის წყარო ყოველი მის მიერ შექმნილი ცოცხალი არსებისათვის და მხოლოდ მას ეკუთვნის მადლობა ადამიანისაგან ყველა კეთილი საბოძ-ვარისათვის.

უფალი "ანიჭებს ყველას სიცოცხლეს, სუნთქვას და ყოველივეს" /საქმე. 17:25/. უფალი ამბობს: "რადგან ჩემია ტყის ყველა ცხოველი, პირუტყვი ათასობით მთებში" /ფს. 49:10/. "ჩემია ვერცხლი და ჩემია ოქრო" /ანგ. 2:8/. "რადგან ის გაძლევს

სიმდიდრის შეძენის ძალას" /რჯლ. 8:18/. და, იმის აღიარების ნიშნად, რომ ყოველივე უფლისგან მოდის, დააწესა უფალმა, რომ მისი სიუხვის ნაწილი კვლავ მას დაბრუნებოდა ძღვენისა და შესაწირავის სახით ღვთისმსახურებისათვის ხელის შეწყობის მიზნით.

"მეათედი... უფლისაა". აქ გამოყენებულია გამოთქმის ისეთივე ფორმა, როგორიც რჯულში - შაბათთან დაკავშირებით. "მეშვიდე დღე კი უფლის, შენი ღვთის შაბათია" /გამ. 20:10/. თავისთვის დაიტოვა ღმერთმა ადამიანის დროისა და ქონების განსაზღვრული ნაწილი და არავის აქვს ამის საკუთარი ინტერესებისათვის გამოყენების უფლება.

მეათედით სარგებლობა მხოლოდ ლევიანებს შეეძლოთ, შტოს, რომელიც საწმიდარში მსახურებისათვის იყო განწესებული. მაგრამ შესაწირავი რელიგიური საჭიროებისათვის ამით არ შემოიფარგლებოდა. საწმიდარი, მოგვიანებით კი ტაძარი, ნებაყოფლობით შესაწირავებზე შენდებოდა; გარდა ამისა, მოსემ დაადგინა, რომ აუცილებელი სარემონტო სამუშაოების შესასრულებლად და სხვა საჭიროებებისათვის ყოველთვის, ხალხის აღრიცხვის დროს, ყოველ ადამიანს "სადღესასწაულო კარვის სამსახურისათვის" ნახევარი შეკელი უნდა შეეწირა. ნეემიას პერიოდში იმავე საჭიროებისათვის წლიური შესატანი იყო დაწესებული /იხ. გამ. 30:12-16; 4 მეფ. 12:4,5; 2 ნეშტ. 24:4-13; ნეემ. 10:32-33/. დროდადრო მოჰქონდათ შესაწირავი

ცოდვებისათვის და სამადლობელი ძღვენი. განსაკუთრებით უხვად სწირავდნენ ყოველწლიურ დღესასწაულებზე. ყველაზე უხვი შესაწირავი ღარიბთათვის გროვდებოდა.

სანამ ადამიანი მეათედს გადადებდა, უფლის მოთხოვნები უნდა შეეცნო და ეღიარებინა. ყოველი პირველნაყოფი ღმერთისა იყო. ცხვრის პირველი ნაპარსი,

[525]

[526]

პურის პირველი მარცვლები დაფქვისას, პირველი ზეთი და ღვინო უფალს ეკუთვნოდა ისევე, როგორც პირველმოგებული საქონელი; პირველშობილი ძისათვის კი გამოსასყიდი შეჰქონდათ. საწმიდარში მოჰქონდათ პირველი ნაყოფი უფლის წინაშე, რომელიც მღვდელმსახურთა საჭიროებისათვის იყო განკუთვნილი.

ამ დადგენილებათა წყალობით ადამიანებს ყოველთვის ახსოვდათ, რომ მათი ყანების და პირუტყვის ჭეშმარიტი მფლობელი ღმერთი იყო; რომ იგი გზავნის მზესა და წვიმას

თესვისა და მოსავლის აღებისას; რომ ყველაფერი, რაც მათ აქვთ, უფლის შემოქმედების ნაყოფია და რომ ისინი მნეები არიან მხოლოდ.

როცა ისრაელიანნი, ყანების, ბაღებისა და ვენახების პირველნაყოფით დატვირთულნი, საწმიდრის ეზოში იკრიბებოდნენ, ამით სახალხოდ აღიარებდნენ მათ მიმართ უფლის კურთხევასა და მადლს. როცა ამ ძღვენს მღვდელმსახურნი ღებულობდნენ, მომტანი უფლის წინაშე ასეთ სიტყვებს წარმოთქვამდა: "მოხეტიალე არამელი იყო ჩემი მამა" და აღწერდა ეგვიპტეში მის ჩასვლას და იმ გაჭირვებას, რომლიდანაც გამოიყვანა უფალმა "მაგარი ხელით და შემართული მკლავით, დიდი ზარით, სასწაულებითა და ნიშნებით". შემდეგ კვლავ განაგრძობდა: "მოგვიყვანა ამ ადგილას და მოგვცა ეს ქვეყანა, ზეთითა და თაფლით მდიდარი ქვეყანა. ახლა კი, აჰა, მომიტანია პირველმოწეული ნაყოფი ამ მიწისა, რომელიც მომცა უფალმა" /რჯლ. 26:5,8-11/.

ებრაელთა მიერ რელიგიური და საქველმოქმედო საჭიროებებისათვის გაღებული შესაწირავი, საერთო ჯამში, მათი შემოსავლის მეოთხედს შეადგენდა. ასეთი დიდი გადასახადის გამო ხალხისაგან დიდი უკმაყოფილება და საყვედურები იყო მოსალოდნელი. მაგრამ, პირიქით, ამ მოვალეობათა ერთგულად შესრულება მათი კეთილდღეობის ერთ-ერთი პირობა იყო. "შენთვის დავაკავებ მჭამელს, რომ არ

წაგიხდინოთ მიწის ნაყოფი და არ გაგიპარტახდეთ მინდორში ვაზი... ნეტარად ჩაგთვლით ყოველი ხალხი, რადგან სანუკვარ ქვეყანაში იცხოვრებთ, ამბობს ცაბაოთ უფალი" /მალ. 3:11,12/.

ანგია წინასწარმეტყველის წიგნში ნათლადაა ნაჩვენები უფლისათვის შესაწირავის გაღებაზე ადამიანთა უარის თქმის შედეგი. ბაბილონის ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ იუდეველებმა ღვთის ტაძრის აღდგენა დაიწყეს, მაგრამ მტრის მტკიცე წინააღმდეგობის გამო აღდგენითი სამუშაოები შეწყვიტეს, რასაც საშინელი გვალვა მოჰყვა. ამან ისეთ შეჭირვებულ მდგომარეობაში ჩააყენა ისრაელიანნი, რომ უარი თქვეს ტაძრის მშენებლობაზე. "ჯერ არ დამდგარაო ჟამი, უფლის სახლის აშენების ჟამი", - ამბობდნენ ისინი. მაგრამ უფალმა წინასწარმეტყველის პირით ამცნო მათ: "იმის ჟამი კი არის, რომ გადახურულ სახლებში ისხდეთ, ეს სახლი კი მიგდებული იყოს? ახლა ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: დაუკვირდით თქვენს საქციელს. ბევრს თესავთ, მაგრამ ცოტასა მკით; ჭამთ, მაგრამ ვერ ძღებით; სვამთ, მაგრამ ვერ იკლავთ წყურვილს; იცვამთ, მაგრამ ვერ თბებით; გახვრეტილი ქისისთვის იღებს მშრომელი შრომის საზღაურს" /ანგ. 1:2-6/. შემდეგ კი, ქვემოთ, აღნიშნულია ყოველივე ამის მიზეზი: "ბევრის მოლოდინი გაქვთ, მაგრამ მცირედი გისრულდებათ, რაც სახლში მიგაქვთ, იმასაც ვანიავებ, რატომ? ამბობს ცაბაოთ უფალი. იმიტომ, რომ მიგდებულია ჩემი სახლი, თქვენ კი ყველანი თქვენს სახლებზე ზრუნავთ. ამიტომ არის, რომ დაგიკავათ ცამ ცვარი და მიწამ დაგიკავათ მოსავალი. გამოვიხმე გვალვა მიწაზე, მთებზე, პურზე, ღვინოზე,

ზეთისხილზე და ყველაფერზე, რასაც მიწა აღმოაცენებს; ადამიანზე, პირუტყვზე და ყოველივე ნაჭირნახულევზე" /ანგ. 1:9-11/. "მივიდოდნენ ოცძნიან ზვინთან და აღმოჩნდებოდა ათი. მივიდოდნენ საწნახელთან ორმოცდაათი

[527]

[528]

საწყაულის ამოსახაპავად და აღმოჩნდებოდა ოცი. გინადგურებდით მთელს ნამუშაკევს ხორშაკით, სიყვითლით და სეტყვით და მაინც არ მოიქეცით ჩემკენ, ამბობს ცაბაოთ უფალი" /ანგ. 2:16-17/.

ამ გაფრთხილებებით შეშინებული ხალხი უფლის სახლის მშენებლობას შეუდგა. და კვლავ გაუგზავნა უფალმა მათ სიტყვა: "დააკვირდით რა ხდებოდა ძველად მეცხრე თვის ოცდამეოთხე დღიდან, იმ დღიდან, რაც უფლის ტაძარი დაფუძნდა... ამიერიდან კი ვაკურთხებ" /ანგ. 2:18-19/.

ასე ამბობს სოლომონ ბრძენი: "ერთი ხელგაშლილია და უფრო მდიდრდება, მეორე ყაირათიანია, მაგრამ სიღარიბეშია" /იგავ.

11:24/. მსგავსი რჩევა-დარიგებები ეკუთვნის პავლე მოციქულს ახალ აღთქმაში: "ვინც ძუნწად თესავს, ის ძუნწად მოიმკის, ხოლო ვინც კურთხევით თესავს, ის კურთხევით მოიმკის". "ხოლო ღმერთს ძალუძს გაგამდიდროთ ყოველგვარი მადლით, რათა თქვენ, ყველაფერში მუდამ ყოველივეს საკმარისად მქონენი, მდიდარნი იყოთ ყოველ საქმეში" /2 კორ. 9:6,8/.

უფალს განზრახული ჰქონდა, კაცობრიობისათვის ანთებულ სანთლად ექცია ებრაელი ერი. უფლისადმი მსახურებისათვის გაღებული შესაწირავებით მათ ცოცხალი ღმერთის არსებობისა და მისი უზენაესი ხელმწიფების შესახებ უნდა დაემოწმებინათ. ეს მსახურება შესაძლებლობას აძლევდა მათ, უზენაესისადმი სიყვარული და ერთგულება გამოეხატათ. უფალმა ბრძანა, რომ ჭეშმარიტების ნათლის დედამიწაზე გავრცელება მათ ძალისხმევასა და შესაწირავებზე იყო დამოკიდებული, ვინც ზეციურ საბოძვარს ეზიარა. ჭეშმარიტების მაცნეებად უფალს ანგელოზთა გამოგზავნა შეეძლო; მას შეეძლო, ხალხისთვის თავისი ნება ემცნო ისე, როგორც თავისი რჯული გამოაცხადა სინაის მთაზე; მაგრამ თავისი უსაზღვრო სიბრძნისა და სიყვარულის გამო ადამიანები აირჩია ამ საქმიანობისათვის და თანამშრომლებად გაიხადა ისინი.

ისრაელის დღეებში მეათედი და ნებაყოფლობითი შეწირულობანი აუცილებელი იყო უფლისადმი მსახურებისათვის. მაგრამ განა დღეს ნაკლები შეწირულობა

უნდა გაიღოს ღვთის ხალხმა? ქრისტეს დაწესებული პრინციპი აცხადებს: შევწიროთ უფალს ძღვენი მისგან მიღებული მადლისა და უპირატესობის თანახმად: "ყველას, ვისაც მეტი მიეცა, მეტს მოსთხოვენ" /ლუკ. 12:48/. მაცხოვარმა ასე უთხრა თავის მოწაფეთ, როცა წუთისოფელში აგზავნიდა მათ: "უსასყიდლოდ მიგიღიათ და უსასყიდლოდვე გაეცით" /მათ. 10:8/. ვინაიდან ჩვენს მიერ მიღებული კურთხევა და უპირატესობანი მრავლდება, მით უმეტეს, რომ ჩვენ წინაშეა განდიდებული ღვთის ძის უპრეცედენტო მსხვერპლი. განა ჩვენი მადლიერება უფრო უხვ ძღვენში არ უნდა გამოიხატოს, რათა ხსნის სახარება ყველა ადამიანის ყურს მისწვდეს? ახლა, როცა უფრო მეტად ვრცელდება სახარების ზეგავლენა, უფრო მეტი სახსრებია საჭირო, ვიდრე ძველად. ამიტომ ახლა უფრო საჭიროა მეათედებისა და შესაწირავების კანონი, ვიდრე - ძველ ისრაელში. ღვთის ხალხმა, საკუთარი ქონების არაქრისტიანული და არასწორი გზებით გამრავლების ნაცვლად, უფლის საქმისათვის უფრო უხვად რომ გაიღოს ნებაყოფლობითი შეწირულობანი, დიდად განდიდდება ღმერთი და მრავალ სულს შეიძენს ქრისტე.

მოსეს გეგმას საწმიდრის მშენებლობისათვის შესაწირავების აკრების შესახებ უდიდესი წარმატება ჰქონდა. არ დასჭირვებიათ იძულებითი ზომების მიღება. არც რაიმე ხრიკი გამოუყენებია მას, რასაც დღეს ხშირად მიმართავენ დღევანდელი ეკლესიები. არც დიდებულ ნადიმებს აწყობდა და არც საცეკვაო და სხვა გასართობ ადგილებში იწვევდა ადამიანებს; არც ლატარიის

გათამაშება უცდია და არც სხვა, საეჭვო საშუალება გამოუყენებია უფლის საწმიდრის აღდგენისათვის ფულის შესაგროვებლად. უფალმა უბრძანა მოსეს, შესაწირავის

[529]

გაღება ეთხოვა ისრაელისათვის. მხოლოდ მისგან უნდა მიეღო იგი, ვინც მას გულწრფელად, ნებაყოფლობით გაიღებდა; და შესაწირავი იმდენად ბევრი იყო, რომ მოსე იძულებული გახდა, აეკრძალა ხალხისათვის მისი მოტანა, რადგან უფრო მეტი შეგროვდა, ვიდრე საჭირო იყო.

თავის მნეებად დააწესა უფალმა ადამიანები. ქონება, რომელიც მათ ჩააბარა, სახარების გასავრცელებელი საშუალებაა. მას, ვინც თავი ერთგულ მნედ გამოიჩინა, უფრო მეტ უპირატესობას მისცემს უფალი. უზენაესი ამბობს: "ჩემს პატივმგებელს პატივს მივაგებ" /1 მეფ. 2:30/. "სიხარულით გამცემი უყვარს ღმერთს". და, როცა გულწრფელად, მადლიერებით გაიღებს მისი ხალხი ძღვენსა და შესაწირავს ღმერთისთვის, "არც შეწუხებით და არც ძალდატანებით" /2 კორ. 9:7/, დიდი იქნება მაშინ უფლის კურთხევა მათ მიმართ, არასოდეს დატოვებს იგი, როგორც აღუთქვა: "მოიტანეთ მთელი მეათედი საგანძურში და იყოს საზრდო ჩემს სახლში. აბა, გამომცადეთ ამით, ამბობს ცაბაოთ

უფალი, თუ არ გაგიხსნათ ცის საქანელნი და არ გადმოგიცალოთ კურთხევა აუწყველად" /მალ. 3:10/.

თავი 51 - უფლის მზრუნველობა ღარიბთათვის

იმისათვის, რომ უფრო მეტ ხალხს მიეღო მონაწილეობა რელიგიურ მსახურება -ში, ღარიბ ადამიანთა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად მთელი შემოსავლიდან მეორე მეათედი იქნა დაწესებული. პირველ მეათედთან დაკავშირებით უფალმა თქვა: "ლევიანებს კი, აჰა, მივეცი სამკვიდროდ ყველაფრის მეათედი" /რიცხ. 18:21/. მეორე მეათედის შესახებ კი თქვა: "და ჭამე უფლის, შენი ღმერთის წინაშე, იმ ადგილას, რომელიც აირჩია მან თავისი სახელის დასავანებლად, ხორბლის, ღვინის და ზეთის მეათედი, შენი საქონლისა და ცხვრის პირველმოგებუ -ლი, რათა ისწავლო უფლის, შენი ღმერთის, შიში სამუდამოდ" /რჯლ. 14:23; იხ. 14:29; 16:11-14/. ეს მეათედი ან მისი შესაბამისი თანხა ადამიანებს უნდა მოეტანათ საწმიდარში ორი წლის განმავლობაში. ღვთისათვის სამადლობელი ძღვენის შეწირვისა და განსაზღვრული ნაწილის მღვდელმსახურისათვის განაწილების შემდეგ დარჩენილ ხორაგს რელიგიური დღესასწაულისათვის იყენებდნენ, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ ლევიანები, ხიზნები და ქვრივ-ობოლნი. ყოველივე ეს იმისათვის კეთდებოდა, რომ ადამიანებს,

რომელთაც სამადლობელი ძღვენი მოჰქონდათ და ყოველწლიურ ზეიმზე ნადიმს მართავდნენ, მღვდელმსახურთა და ლევიანთა საზოგადოებაში ყოფნის შესაძლებლობა ჰქონოდათ, რათა მსახურებისას მათი რჩევა-დარიგებებით გამხნევებულიყვნენ. ყოველ მესამე წელიწადს მეორე მეათედი განკუთვნილი იყო ლევიანთა და ღარიბთათვის, როგორც მოსემ თქვა: "...რომ ჭამონ შენს კარზე და გაძღნენ" /რჯლ. 26:12/. ეს მეათედი საქველმოქმედო საქმეებისა და სტუმართა გამასპინძლებისათვის იყო განკუთვნილი.

ღარიბთა დასახმარებლად სხვა გზებსაც პოულობდნენ. მოსეს მიერ დადგენილი წესები განსაკუთრებით გამოირჩეოდა თავისუფლების, ღარიბთა მიმართ მზრუნველობისა და სიუხვის სულით. უფალმა უხვი კურთხევა აღუთქვა თავის ხალხს, მაგრამ ეს არ ნიშნავდა, რომ სიღარიბე სრულიად უცხო იქნებოდა მათთვის. უფალმა ბრძანა, რომ ღარიბნი იქნებიან დედამიწაზე და მის ერში ყოველთვის მოიძებნებიან ადამიანები, რომელნიც თანაგრძნობას, სულგრძელობასა და მზრუნველობას გამოიჩენენ მათ მიმართ. მაშინაც, ისევე, როგორც დღეს, ადგილი ჰქონდა უბედურ შემთხვევებს, სნეულებებს, კარგავდნენ ქონებას, მაგრამ ვიდრე უფლის დადგენილ წესებს ასრულებდნენ, მათ შორის არ იყვნენ არც მათხოვარნი და არც მშიერნი.

უფლის რჯულის თანახმად, ღარიბს ჰქონდა უფლება მიწის ნაყოფის გარკვეულ ნაწილზე. მშიერ ადამიანს შეეძლო, წასულიყო მეზობლის ყანაში, ბაღში ან ვენახში და აეღო პურის

მარცვალი ან ხილი. ამიტომ იყო, რომ ქრისტეს მოწაფეებმა შაბათ დღეს, ყანებზე გავლისას, თავთავები მოწყვიტეს და პურის მარცვლები შეჭამეს.

ყოველივე ის, რაც ყანაში, ბაღში ან ვენახში დარჩებოდა, ღარიბთ ეკუთვნოდათ. "თუ მომკი სამკალს და ძნა დაგავიწყდება სამკალში, ნუღა გაბრუნდები მის წამოსაღებად... როცა ზეთისხილს ჩამობერტყავ, რტოებს ნუღა დაუწყებ თვალიერებას... როცა ვენახს დაკრიფავ, მომცვრევას ნუღა დაიწყებ - მდგმურებსა და ქვრივ-ობლებს დარჩეთ. გაიხსენე, რომ ყმა იყავი ეგვიპტის ქვეყანაში" /რჯლ. 24:19-22; იხ. ლევ. 19:9,10/.

ყოველი მეშვიდე წელი განსაკუთრებულ პრივილეგიათა წელი იყო ღარიბთათ -ვის. შაბათის წელიწადი /როგორც მას უწოდებდნენ/ მკის შემდეგ იწყებოდა. სამკლის აღების შემდეგ, თესვის პერიოდის დამდეგს, ადამიანებს არ უნდა დაეთესათ; არც ვენახები და ბაღები უნდა გაეწმინდათ და არც სხვა მოსავალზე უნდა ეფიქრათ. მათ შეეძლოთ, ეჭამათ მიწის ყოველი ახალმოწეული, მაგრამ

[530]

[531]

არაფერი არ უნდა მოეკრიფათ და შეენახათ ბეღლებში. იმ წლის მოსავლის აღების უფლება მხოლოდ მდგმურებს, ქვრივ-ობლებსა და გარეულ პირუტყვს ჰქონდათ /იხ. გამ. 23:10,11; ლევ. 25:5/.

მაგრამ, თუკი მიწა მხოლოდ იმდენს აძლევს ადამიანს, რომ საკუთარი საჭიროების დაკმაყოფილება შეძლოს, როგორღა უნდა გაძლოს მთელი წელიწადი მოსავლის გარეშე? ამასთან დაკავშირებით უფალი ბრძანებდა: "ვბრძანებ ჩემს კურთხევას თქვენზე მეექვსე წელს და მოიყვანს მოსავალს სამი წლისთვის. დათესავთ მერვე წელს, მაგრამ მეცხრე წლამდე ძველ მოსავალს შეჭამთ, ძველი უნდა ჭამოთ, ვიდრე მისი მოსავალი შემოვიდოდეს" /ლევ. 25:21,22/.

შაბათის წელიწადის დაცვა კურთხევად უნდა ქცეულიყო ხალხისთვისაც და მიწისთვისაც. ერთი წლის დასვენებული მიწა შემდგომში უხვ მოსავალს იძლეოდა. ადამიანებიც ისვენებდნენ ამ დროს მინდვრის მძიმე სამუშაოებისაგან და, თუმცა ხალხი სხვა სამუშაოს ასრულებდა, ყველა შეხაროდა ამ თავისუფალ დროს, რომელიც მომავალი სამუშაოებისათვის ძალ-ღონის აღდგენის შესაძლებლო -ბას აძლევდა. უფრო მეტი დრო ჰქონდათ მათ მსჯელობისათვის, ლოცვისათვის და

იმისათვის, რომ უკეთესად გაცნობოდნენ უფლის რჩევებსა და მოთხოვნებს და ოჯახისთვისაც მეტი ყურადღება მიექციათ.

ყოველ შაბათის წელიწადს ყმა-ებრაელთ ათავისუფლებდნენ. არ შეიძლებოდა მათი ხელცარიელი გაშვება. უფალი ბრძანებდა: "როცა გაათავისუფლებ, ხელცარიელი არ გაუშვა. მიეცი საჩუქრად რაიმე შენი ფარიდან, კალოდან ან საწნახელიდან; რითაც უკურთხებიხარ უფალს, შენს ღმერთს, მიეცი" /რჯლ. 15:13,14/.

თავის დროზე უნდა მიეცათ შრომისათვის გასამრჯელო. "ნუ დაჩაგრავ მოჯამაგირეს და ღარიბ-ღატაკს, შენი მოძმე იქნება ის თუ შენს ქვეყანაში... მცხოვრები მდგმური. თავის დროზე გადაუხადე გასამრჯელო და ნუ დაუცდი მზის ჩასვლას, რადგან ღარიბია იგი და შენი იმედი აქვს" /რჯლ. 24:14,15/.

განსაკუთრებული მითითება იყო გაქცეულ ყმებთან დაკავშირებით: "არ გადასცე თავის პატრონს ყმა, რომელიც შენთან გამოექცა პატრონს. იცხოვროს შენთან, შენს წრეში, იმ ადგილას, რომელსაც აირჩევს შენს ერთ-ერთ ქალაქში, სადაც მოეწონება. არ დაჩაგრო იგი" /რჯლ. 23:15,16/.

მეშვიდე წელიწადი ვალებისაგან გათავისუფლების წელი იყო ღარიბთათვის. ნაბრძანები ჰქონდათ ებრაელებს, მუდამ

დახმარებოდნენ გაჭირვებულ ძმებს და სესხი სარგებლის გარეშე მიეცათ. ღარიბისაგან სარგებლის აღება მკაცრად ეკრძალებოდათ: "თუ შენი მოძმე გაღარიბდება და შენს თვალწინ გაჭირვებაში ჩავარდება, შეეშველე მას, მდგმური იქნება თუ ხიზანი, და იცხოვროს შენთან. ნუ აიღებ მისგან სარგებელს და ვახშს - შენი ღვთისა გეშინოდეს! - და იცხოვროს შენმა მოძმემ შენთან. ვერცხლს სავახშოდ ნუ გასცემ და სარგებლისთვის ნუ გასცემ შენს საჭმელს" /ლევ. 25:35-37/. თუკი ადამიანი ვალს გათავისუფლების წლამდე ვერ გადაიხდიდა, ეპატიებოდა, ხალხი კი მკაცრად იყო გაფრთხილებული, რომ ამის გამო მას უარი არ უნდა ეთქვა გაჭირვებული ძმისათვის დახმარებაზე. "თუ იქნა თქვენში ღარიბი, ერთი თქვენი მოძმეთაგანი... გულს ნუ გაიქვავებ და ხელმოჭერილი ნუ იქნები შენი ღარიბი მოძმის მიმართ... ფრთხილად იყავი, გულში არ შეგეპაროს უგვანი ფიქრი, არ თქვა: ახლოვდება მეშვიდე წელი, პატიების წელი. აითვალწუნებ შენს ღარიბ მოძმეს და არაფერს მისცემ. უფალთან გიჩივლებს და ცოდვა დაგედება... რადგან არ დაილევა ღარიბი ამ ქვეყანაზე; ამიტომაც გიბრძანებ, რომ ხელგაშლილი იყო შენი მოძმის მიმართ, შენი ღატაკისა და ღარიბის მიმართ შენს ქვეყანაში". "არამედ ხელგაშლილი იყავი და ასესხე მისი გასაჭირის კვალობაზე, რაც უჭირს" /რჯლ. 15:7-11/.

არავის არ უნდა შინებოდა იმისი, რომ ხელგაშლილობა გააღარიბებდა.

[532]

[533]

უფლის ბრძანებისადმი მორჩილს უხვი კურთხევა ჰქონდა უფლისაგან. "ბევრ ხალხს ექნება შენი ვალი, შენ კი არ ისესხებ", - ბრძანა უფალმა, - ბევრ ხალხზე იბატონებ, შენზე კი არავინ იბატონებს" /რჯლ. 15:6/.

"შვიდი უქმობის წელიწადის" ანუ "შვიდჯერ შვიდი წელიწადის" შემდეგ დგებოდა გათავისუფლების უდიდესი წელიწადი - იუბილე. "დაჰკარი ბუკს მეშვიდე თვეში... მთელს თქვენს ქვეყანაში. წმიდაჰყავით ორმოცდამეათე წელი და გაათავისუფლეთ ქვეყანაში ყველა მისი მცხოვრები. ზეიმი იყოს ეს თქვენთვის. ყველანი თქვენ-თქვენს სამკვიდრებელს დაუბრუნდით, თქვენ-თქვენს სანათესაოს დაუბრუნდით ყველანი" /ლევ. 25:9,10/.

"თვის მეათე დღეს, შენდობის დღეს" საზეიმოდ ისმოდა ბუკის ხმა. მთელს დედამიწაზე, სადაც კი ებრაელი ცხოვრობდა, გაისმოდა ეს ხმა და იაკობის ყველა შვილს ამცნობდა შენდობის დღის შესახებ. ამ დღეს ხდებოდა ისრაელის ცოდვათა მიტევება და ხალხიც სიხარულით ელოდებოდა მას.

ამ წელსაც ისე, როგორც სხვა შაბათის წელიწადს, არ თესავდნენ და არც მოსავალს იღებდნენ და ყოველი მიწის ნაყოფი ღარიბთა კანონიერ საკუთრებად ითვლებოდა. ებრაელთა ყმების გარკვეული ჯგუფი - ის, ვინც შაბათის წელიწადს არ გათავისუფლდა - ახლა თავისუფალი იყო. ეს საიუბილეო წელიწადი განსაკუთრებით იმით გამოირჩეოდა, რომ მიწის ყოველი ნაკვეთი თავის ადრინდელ მესაკუთრეს უბრუნდებოდა. უფლის განსაკუთრებული მითითებით, იუდეველთა მთელი მიწა წილისყრით იყო დაყოფილი. განაწილების შემდგომ არავის ჰქონდა თავისი სამკვიდრებლის გაყიდვის უფლება. მაგრამ თუკი გაჭირვების გამო ხდებოდა კიდეც ეს და შემდგომ, თუკი პატრონი ან მისი რომელიმე ნათესავი მის გამოსყიდვას მოისურვებდა, მყიდველს უარი არ უნდა ეთქვა მის კვლავ გაყიდვაზე. თუ მიწა გამოუსყიდავი რჩებოდა, ამ საიუბილეო წელიწადს მის პირველ პატრონს ან მის მემკვიდრეს უბრუნდებოდა.

უფალმა გამოუცხადა ისრაელს: "მიწა სამუდამოდ არ უნდა გაიყიდოს, რადგან ჩემია მიწა, რადგან თქვენ მდგმურები და ხიზნები ხართ ჩემთან" /ლევ. 25:23/. ადამიანებს უნდა სცოდნოდათ, რომ მიწა, რომლითაც დროებით სარგებლობდნენ ისინი, ღმერთს ეკუთვნოდა; მხოლოდ უფალი იყო მისი ჭეშმარიტი მესაკუთრე და სრულუფლებიანი ბატონი და მანვე იზრუნა ღარიბთათვის და გაჭირვებულთათვის. ყველას უნდა

სცოდნოდა, რომ ღარიბებს ისეთივე უფლება აქვთ უფლის ქვეყანაში, როგორც მდიდრებს.

აი, რა გააკეთა მოწყალე ღმერთმა გაჭირვებულთა დასახმარებლად, რათა იმედის სხივი და ღვთიური ნათლის ნაპერწკალი შეეტანა ღარიბთა და სასოწარკვეთილთა ცხოვრებაში.

უფალს სურდა, შეეზღუდა ადამიანთა სიყვარული საკუთრებისა და ხელმწი-ფებისადმი. საზოგადოების ერთი ფენის მიერ მეორის გაღატაკების ხარჯზე სიმდიდრის დაგროვებას ყოველთვის დიდი უბედურება მოჰქონდა. მდიდართა ხელმწიფება ცოტათი რომ არ შეზღუდულიყო, ღარიბები, თუმცა ძვირფასნი უფლის თვალში, მაინც უარყოფილნი იქნებოდნენ თავიანთი მდიდარი ძმების მიერ. ასეთი უსამართლობა ღარიბი საზოგადოების აღშფოთებას გამოიწვევდა, სასოწარკვეთილება და გამოუვალი მდგომარეობა კი - ზნეობის დაცემას, რაც სხვადასხვაგვარ დანაშაულს გაუხსნიდა კარს. უფლის მიერ დადგენილი წესებით ქონების განაწილება ადამიანთა თანასწორობას უწყობდა ხელს. შაბათის წელიწადის, განსაკუთრებით კი საიუბილეო წლის დადგომა აღკვეთდა გასულ წლებში ერის პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების ხინჯებს.

არანაკლები კურთხევა მოჰქონდა ამ დადგენილებას მდიდრებისათვის. იგი იცავდა მათ სიძუნწისა და საკუთარი თავის განდიდებისაგან, ხელს უწყობდა ქველმოქმედების კეთილშობილური სულის აღზევებას, ადამიანთა შორის სიკეთისა

[534]

და ნდობის დამკვიდრებასა და საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფოებრივი წყობის განმტკიცებას. ჩვენ, ადამიანები, ის ნართი ვართ, რითაც კაცობრიობის დიდი ქსოვილი იქსოვება და ყოველივე, რასაც ერთმანეთის საკეთილდღეოდ ვაკეთებთ, კურთხევით დაგვიბრუნდება. ურთიერთდამოკიდებულების კანონი საზოგადოების ყველა ფენაზე ვრცელდება. მდიდრები არანაკლებ დამოკიდებულნი არიან ღარიბებზე, ვიდრე ეს უკანასკნელნი პირველებზე. ღარიბთ სურთ, იმ კურთხევებში ჰქონდეთ წილი, რომელიც უფალმა მათ მდიდარ მეზობლებს მისცა, მდიდრებს კი ესაჭიროებათ მათი ერთგული სამსახური, მათი გონებრივი და ფიზიკური ძალა - ღარიბთა კაპიტალი.

უხვი კურთხევა აღეთქვა ისრაელს უფლის მითითებათა შესმენის შემთხვევაში: "თავის დროზე მოგცემთ წვიმას და მიწაც მოგცემთ თავის მოსავალს, მინდვრის ხეები მოგცემენ თავიანთ

ნაყოფს. ლეწვა თესვაზე ადრე დაგიდგებათ, რთველი თესვაზე ადრე, ძღომაზე შეჭამთ თქვენს პურს, თქვენს ქვეყანაში მშვიდად იცხოვრებთ. მშვიდობას ჩამოვაგდებ ქვეყანაზე და მოსვენებული იქნებით. აღარ იქნება დამაფრთხობელი, მიწისგან აღვგვი სასტიკ მხეცებს და მახვილი არ გაივლის თქვენს ქვეყანაზე... ვივლი თქვენს შორის და ვიქნები თქვენი ღმერთი, თქვენ კი ჩემი ერი იქნებით... თუ არ დამიჯერებთ და არ შეასრულებთ ჩემს მცნებებს... და დამირღვევთ აღთქმას... ფუჭი იქნება თქვენი დათესილი, რადგან მტრები შეგიჭამენ. პირს ვიზამ თქვენსკენ და დაუმარცხდებით თქვენს მტრებს, გაგიბატონდებიან მოსისხლენი; გაიქცევით, თუმცა მდევარი არ გეყოლებათ" /ლევ. 26:4-6,12,14-17/.

ბევრი დაჟინებით ამტკიცებს, რომ ღვთის კურთხევით ყველამ ერთნაირად უნდა ისარგებლოს. მაგრამ სხვაგვარია უფლის ჩანაფიქრი. განსხვავება ცხოვრების პირობებში - ეს ერთ-ერთია იმ საშუალებათაგან, რითაც უფალი ღმერთი სცდის და წვრთნის ადამიანის ხასიათს. და მაინც, მას სურს, რომ მიწიერი სიმდიდრის პატრონებმა უფლის ქონების მნეებად ჩათვალონ თავი და უქონელთა და გაჭირვებულთა საჭიროებისათვის გამოიყენონ იგი.

მაცხოვარმა თქვა, რომ ჩვენს შორის ღარიბნი ყოველთვის იქნებიან. და საკუთარ ინტერესებს იგი თავის ტანჯულ შვილთა ინტერესებს უკავშირებს. უდიდესი თანაგრძნობითაა

გამსჭვალული მაცხოვრის გული თავისი მიწიერი შვილებიდან ყველაზე საწყალთა და მოკრძალებულთა მიმართ. დაუშვა უფალმა მათი ჩვენს შორის ყოფნა, რათა ჩვენს გულშიც იგივე სიყვარული აანთოს, როგორითაც თავად მას უყვარს დაჩაგრულნი და გაჭირვებულნი. ამ ადამიანთა მიმართ თანაგრძნობისა და მოწყალების გამოხატვას ქრისტე თავად მის მიმართ გაწეულ დახმარებად ღებულობს. ასევე თავისი მისამართით ღებულობს იგი ამ ადამიანთა მიმართ სისასტიკისა და გულგრილობის გამოვლინებას.

ღარიბებთან დაკავშირებით მოცემული კანონი დღესაც რომ მოქმედებდეს, რამდენად მაღალი იქნებოდა წუთისოფლის ზნეობრივი, სულიერი და მატერიალური მდგომარეობა! ასე არ აღზევდებოდა ეგოიზმი და პატივმოყვარეობა, არამედ ყოველი ადამიანი სიხარულით შეხვდებოდა სხვების ბედნიერებასა და კეთილდღეო -ბას. არ იქნებოდა ისეთი გაჭირვება, როგორიცაა დღეს მრავალ ქვეყანაში.

უფლის მიერ დადგენილმა პრინციპებმა უნდა დაგვიცვან იმ საშინელი ბოროტებისაგან, რომელსაც საუკუნეთა მანძილზე ჰქონდა ადგილი მდიდართა მიერ ღარიბთა შევიწროებისა და ამ უკანასკნელთაგან მდიდართა მიმართ უნდობლობისა და სიძულვილის გამოვლენის გამო. დიდძალი ქონების თავმოყრისა და უსასრულო ფუფუნებისაკენ სწრაფვის აკრძალვით აღარ იქნებოდა სიღატაკე და ათასობით

გაჭირვებული და მშიერი ხალხი, რომელთა ხარჯზეც ეს კოლოსალური სიმდიდრე იქმნება. ეს პრინციპები ხელს შეუწყობდა იმ პრობლემათა მშვიდობიან მოწესრიგებას, რომელსაც დღეს ანარქიისა და სისხლისღვრისაკენ მიჰყავს მსოფლიო.

[535]

[536]

თავი 52 - ყოველწლიური დღესასწაულები

ლევიანნი 23

წელიწადში სამჯერ იკრიბებოდა მთელი ისრაელი საწმიდარში უფლის თაყვანსაცემად /იხ. გამ. 23:14-16/. ასეთი შეკრების ადგილად ერთხანს სილოამი ითვლებოდა, შემდგომში კი მთელი ერის მსახურების ცენტრად იერუსალიმი იქცა, სადაც, ზეიმის დღეებში, ისრაელიანთა ყველა შტო იკრიბებოდა.

უფლის რჩეული ერი გარშემორტყმული იყო ველური, მეომარი ტომებით, რომელნიც, თუ შემთხვევა მიეცემოდათ, მუდამ მზად

იყვნენ ისრაელის მიწის დასაპყრობად. მაგრამ, მიუხედავად ამისა, წელიწადში სამჯერ ბრძოლისუნარიანი მამაკაცები და ყველა, ვისაც კი მოგზაურობა შეეძლო, ტოვებდნენ თავიანთ სახლებს და ქვეყნის ცენტრალური ნაწილისაკენ მიეშურებოდნენ ღვთის თაყვანსაცემად. რა შეუშლიდა ხელს მტერს, თავს დასცემოდა მათ დაუცველ სახლებს და მახვილითა და ცეცხლით მოესრა მთელი მათი სამკვიდრო? რა დაიცავდა ისრაელს დამპყრობთაგან? უფალმა აღუთქვა თავის ხალხს მფარველობა. "დაიბანაკებს ანგელოზი უფლისა მის მოშიშთა ირგვლივ და გადაარჩენს მათ" /ფს. 33:8/. როცა ისრაელი ღვთისმსახურებაზე მიემართებოდა, ღვთიური ძალა აკავებდა მის მტრებს. ასეთი იყო ღვთის აღთქმა: "ავყრი ხალხებს შენგან და გაგიფართოებ საზღვრებს; აღარავინ დაეხარბება შენს მიწას, თუ წელიწადში სამგზის ეჩვენები უფალს, შენს ღმერთს" /გამ. 34:24/.

ყველაზე მთავარი ამ დღესასწაულთაგან იყო პასექი - საუფლო ხმიადობის დღესასწაული, იგი იუდეველთა წლის პირველ თვეზე, აბიბზე მოდიოდა, რომელიც მარტის დასასრულსა და აპრილის დასაწყისს შეესაბამება . ამ დროისთვის ზამთარი ილეოდა, გვიანი წვიმებიც მთავრდებოდა, ბუნება იღვიძებდა და მშვენიერი გაზაფხული დგებოდა. ბორცვები და მდელოები მწვანე ბალახით იმოსებოდა და მიწა მინდვრის ნაირფერი ყვავილებით იფარებოდა. სავსე მთვარე განსაკუთრებულ მიმზიდველობას ანიჭებდა გაზაფხულის საღამოებს. ეს იყო წელიწადის წარმტაცი დრო, რომელსაც ასე მშვენივრად აღწერს სოლომონი:

"აჰა, მიიწურა ზამთარი,

ჟამი ნიაღვრისა გარდახდა,

თავისთვის წავიდა.

ყვავილები დაჩნდნენ მიწის პირზე,

ჟამი გალობისა მოიწია

და ხმა გვრიტისა ისმის ჩვენს მხარეში.

ლეღვმა გამოიღო თავისი ყვავილი,

ვაზის ყვავილი სურნელებით ფშვენს"

/ქებ. 2:11-13/.

ყოველი მხრიდან მიედინებოდნენ იერუსალიმისკენ მგზავრები: მწყემსები, რომელთაც მთიან საძოვრებზე მიატოვეს თავიანთი

ფარა; მეთევზენი - გალილეის ზღვის ნაპირებიდან; გლეხები - ყანებიდან; წინასწარმეტყველთა ძენი - რელიგიური სკოლებიდან და ყველა იმ ადგილისაკენ მიემართებოდა, სადაც უფლის დიდება დავანებულიყო. გზადაგზა ისვენებდნენ, რადგან ფეხით მოგზაურობდნენ. გზაზე მათ ახალ-ახალი ჯგუფები უერთდებოდნენ და, რაც უფრო უახლოვდებოდნენ წმიდა ქალაქს, მით უფრო იზრდებოდა მათი რიცხვი.

გარემომცველი ლამაზი ბუნება სიხარულითა და ყველა სიკეთის მომცემისადმი

[537]

[538]

მადლიერებით ავსებდა ისრაელის გულს. მიდიოდნენ და მღეროდნენ ძველ ებრაულ საგალობლებს და ადიდებდნენ იეჰოვას სიძლიერესა და დიდებულებას. ბუკის ნიშანზე, წინწილების თანხლებით ასობით ხმა ადიდებდა ღმერთს:

"გავიხარე, როცა მითხრეს:

უფლის სახლში წავიდეთ.

იდგნენ ფეხნი ჩვენნი შენს კარიბჭეებში,

იერუსალიმო!..

რადგან იქ ავიდნენ ტომნი,

ტომნი უფლისანი სამოწმებლად ისრაელისა,

სადიდებლად უფლის სახელისა...

ითხოვეთ მშვიდობა იერუსალიმისათვის:

დამშვიდდნენ მოყვარულნი შენნი"

/ფს. 121:1-6/.

და, როდესაც იხილავდნენ გორაკებს, სადაც ოდესღაც წარმართნი ანთებდნენ ცეცხლს თავიანთ სამსხვერპლოებზე, მღეროდნენ ისრაელიანნი:

"მივაპყრობ თვალებს მთებს:

საიდან მოვა ჩემი შეწევნა?

ჩემი შეწევნა უფლისგანაა,

რომელმაც შეჰქმნა ცა და ქვეყანა"

/ფს. 120:1,2/.

„უფალზე დანდობილი,

მსგავსად სიონის მთისა -

არ შეირყევა, იდგომება უკუნისამდე.

იერუსალიმს გარეშემო მთები არტყია,

ხოლო უფალი თავისი ერის გარშემოა

ამიერიდან უკუნისამდე"

/ფს. 124:1,2/.

და, როცა გორაკთა სიმაღლეებიდან წმიდა ქალაქის ხედი გამოჩნდებოდა, კრძალვით შეჰყურებდნენ ისრაელიანნი ტაძრისკენ მიმავალ უამრავ თაყვანის -მცემელს; ხედავდნენ ცისკენ აღმართული საკმევლის კვამლს და, ლევიანთა საყვირის ხმაზე, რომელიც წმიდა ღვთისმსახურების დაწყებას იუწყებოდა, შთაგონებით მღეროდნენ:

"დიდია უფალი და ქებულია მეტად

ჩვენი ღმერთის ქალაქში, წმიდა მთაზე.

ლამაზი მაღლობი

სიხარული მთელი ქვეყნიერებისა

მთა სიონი;

ჩრდილოეთ მხარეს ქალაქია დიდი მეფისა"

/ფს. 47:2,3/.

"იყოს მშვიდობა შენს ზღუდეებში,

სიმშვიდე შენს სასახლეებში".

"გამიღეთ ბჭენი სიმართლისა,

შევალ მათ წიაღ, ვადიდებ უფალს".

ჩემს აღთქმებს უფლისადმი შევასრულებ

[539]

მთელი მისი ხალხის წინაშე.

უფლის სახლის ეზოში,

შენს შუაგულში, იერუსალიმო!

ადიდეთ უფალი!"

/ფს. 121:7; 117:19; 115:9,10/.

ყველა სახლის კარი იერუსალიმში ღია იყო მგზავრთათვის. მომზადებული იყო ოთახები ღამის უფასოდ გასათევად, მაგრამ ეს არ კმაროდა ამდენი ხალხისათვის, ამიტომ ქალაქის თავისუფალ ადგილებში და მის ირგვლივ, გორაკთა ფერდობებზე, უამრავი კარავი იშლებოდა.

თვის მეთოთხმეტე დღეს, საღამოს, დღესასწაულობდნენ პასექს, რომლის საზეიმო ცერემონიები ახსენებდა ხალხს ეგვიპტის მონობიდან გათავისუფლების დღეს და იმ მომავალ მსხვერპლზე მიუთითებდა, რომელმაც ცოდვის მონობიდან უნდა იხსნას ადამიანები. როცა მაცხოვარმა გოლგოთაზე საკუთარი სიცოცხლე შესწირა, პასექმა დაკარგა თავისი მნიშვნელობა, მაგრამ იმავე მოვლენის გასახსენებლად დაწესდა უფლის სერობა, რომლის პირველსახეც პასექი იყო.

პასექის შემდგომ საუფლო ხმიადობის დღესასწული დგებოდა, რომელიც შვიდ დღეს გრძელდებოდა. პირველი და მეშვიდე დღეები "უფლის წმიდა შეკრებულობის" დღეები იყო, როცა ყოველგვარი შრომა იკრძალებოდა. ზეიმის მეორე დღეს უფლის

წინაშე უნდა მოეტანათ ყოველგვარი ჭირნახულის პირველი ნაყოფი. პალესტინაში, მარცვლეულთაგან ყველაზე ადრე ქერი მწიფდებოდა. ღვთის სამსხვერპლოს წინ, უფლის წინაშე, შეარხევდა მღვდელმსახური ძნას იმის ნიშნად, რომ ყოველივე ღმერთს ეკუთვნის. მხოლოდ ამ მსახურების შემდეგ შეიძლებოდა, დაწყებულიყო მოსავლის აღება.

პირველმოწეული ნაყოფის შეწირვიდან ორმოცდაათი დღის შემდეგ დგებოდა ორმოცდაათობის დღე, რომელსაც აგრეთვე მკის დღესასწაული და კვირათა დღესასწაული ეწოდებოდა. საზრდოსათვის მადლიერების ნიშნად უფლის წინაშე ორი საფუარიანი პური უნდა მოეტანათ. ორმოცდაათობის დღესასწაული მხოლოდ ერთ დღეს გრძელდებოდა და რელიგიური მსახურებისადმი იყო მიძღვნილი.

მეშვიდე თვეში კარვობის დღესასწაული იყო გამოცხადებული უფლის სიუხვის აღიარების ნიშნად, ვისი წყალობითაც ყვაოდა და ნაყოფს იძლეოდა ზეთისხილის ბაღები და ვენახები. ეს ბოლო დღესასწაული მოსავლის შეგროვების აღსანიშნავად იმართებოდა. მიწამ უხვად გასცა ნაყოფი, მოსავალი ბეღლებში მოგროვდა, ხილს, ზეთს და ღვინოს სათანადო ადგილი მიუჩინეს, პირველმოწეული ნაყოფი უფლის წინაშე წარადგინეს, ახლა კი ხალხი სამადლობელი ძღვენით მიდიოდა, რათა თაყვანი ეცა უზენაესისათვის, რომელმაც ასე უხვად აკურთხა ისინი.

ეს დღესასწაული მეტად სასიხარულო უნდა ყოფილიყო. იგი შენდობის დღის შემდეგ დგებოდა, როცა ხალხმა უკვე იცოდა, რომ მათი ცოდვები მიტევებულია და სამუდამოდ წაშლილი. უფალთან შერიგებული ადამიანები ახლა უნდა წარმდგარიყვნენ უფლის წინაშე, რათა ეღიარებინათ მისი დიდი სიკეთე და განედიდებინათ მისი უსაზღვრო წყალობა. მინდვრის სამუშაოები დამთავრდა, ახალი კი ჯერ არ დაწყებულა. და შრომისაგან თავისუფალ ადამიანებს უფრო მშვიდად შეეძლოთ, დრო წმიდა სიხარულში გაეტარებინათ. და, თუმცა ამ დღესასწაულზე მისვლა მხოლოდ კაცებს ებრძანა, მაგრამ ვისაც შესაძლებლობა ჰქონდა, მთელი ოჯახებით მიდიოდა და თავის სტუმართმოყვარე კარვებში იწვევდა ლევიანთ, ხიზნებს, მდგმურებსა და ღარიბებს.

პასექის მსგავსად, კარვობის დღესასწაულიც მნიშვნელოვან მოვლენას უკავშირდებოდა. უდაბნოში თავისი მოხეტიალე ცხოვრების გასახსენებლად ადამიანებს ამ დღეებში თავიანთი სახლები უნდა დაეტოვებინათ და მშვენიერი

[540]

ხისა და პალმის რტოების, ბრტყელფოთოლა ხისა და ძეწნის რტოებით აგებულ მწვანე კარვებში უნდა ეცხოვრათ /იხ. ლევ. 23:40-43/.

პირველი დღე - წმიდა შეკრებილობის დღე იყო. ზეიმის ამ შვიდ დღეს მერვე დღე ემატებოდა, რომელსაც იმავე წესით ზეიმობდნენ.

ეს ყოველწლიური შეკრებები ღვთისმსახურების სურვილს უძლიერებდა ახალგაზრდას თუ მოხუცს, ხოლო სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ ადამიანებს ღვთისა და მოყვასის მიმართ სიყვარულს უმტკიცებდა. რა კარგი იქნებოდა, ღვთის ხალხს ახლაც რომ აღენიშნა ეს დღესასწაულები - უფლის მიერ ბოძებულ კურთხევათა ბედნიერი გახსენება. როგორც ისრაელიანნი ზეიმობდნენ თავისუფლებას, რომელიც უფალმა მათ მამებს მისცა და მის დიდებულ მფარველობას ეგვიპტიდან გამოსვლის შემდგომ, ასევე მადლიერებით უნდა გავიხსენოთ ჩვენც სხვადასხვა გზები, რომლითაც წუთისოფლიდან, ცოდვის წყვდიადიდან თავისი ჭეშმარიტებისა და გულმოწყალების ნათელში გამოვყავდით უფალს.

მას, ვინც საწმიდრიდან შორს ცხოვრობდა, თვეზე მეტი დრო ეხარჯებოდა ყოველწლიურ დღესასწაულებში მონაწილეობაზე. მიძღვნის ასეთი მაგალითი ხაზგასმით აღნიშნავს რელიგიური თაყვანისცემის დიდ მნიშვნელობას და ჩვენი ეგოისტური, მიწიერი ინტერესების ყოველივე მარადიულისა და

სულიერისადმი დაქვემდებარების აუცილებლობას. ძალზე ბევრს ვკარგავთ, როცა არ ვიყენებთ ერთად შეკრების შესაძლებლობას, რათა განვამტკიცოთ და გავამხნევოთ ერთმანეთი ღმერთისადმი მსახურებაში. ამის გამო მისი ჭეშმარიტი სიტყვა ჩვენთვის გაუგებარი და უმნიშვნელო ხდება. სულიწმიდის ნათელი ზეგავლენა არ ეხება ჩვენს გულს, ვსუსტდებით და სულით ვეცემით. ვინც საკუთარ თავში იკეტება, ვერ შეასრულებს იმას, რისი გაკეთებაც მისი მეშვეობით სურს უფალს. ჩვენს ქრისტიანულ ურთიერთობებში ბევრს ვკარგავთ ერთურთისადმი თანაგრძნობის უქონლობის გამო. ერთი მამის შვილები ვართ და ჩვენი ბედნიერება ბევრადაა დამოკიდებული ერთმანეთის ძალისხმევაზე. ჩვენ გვევალება, სწორი ურთიერთობა ვიქონიოთ ღმერთთან და ადამიანებთან. იცხოვროს საზოგადოებაში - ეს ადამიანის ბუნებისათვის დამახასიათებელი მოთხოვნილებაა და მისი სწორი განვითარება ჩვენში მოყვასისადმი თანაგრძნობას ბადებს და ჩვენც, სხვისი გაბედნიერების მცდელობისას, თავად გვენიჭება ბედნიერება.

კარვობის დღესასწაული მხოლოდ მოვლენათა გახსენებისათვის როდი იყო საჭირო. მას სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა. იგი გვახსენებს უდაბნოში მოგზაურობას წარსულში ისევე, როგორც მიწის ყველა ნაყოფის აღებასთან დაკავშირებული მკის დღესასწაული - იმ უკანასკნელი მკის დღეს, როცა სამკლის უფალი თავის მომკელთ გამოგზავნის ღვარძლის ცეცხლისათვის მისაცემად და ხორბლის ბეღელში

შესაგროვებლად. იმ დროს ყოველი უწმიდური განადგურდება, "თითქოს არც არაფერი ყოფილიყოს" /აბდ. 16/. მაშინ მთელი სამყარო გაერთიანდება უფლის სიყვარულით დიდებაში. იოანე ამბობს: "და ყოველი ქმნილება, რომელიც არის ცაში და დედამიწაზე, მიწის ქვეშ და ზღვაში, და ყველაფერი, რაც მასშია, - მესმოდა, რომ ამბობდნენ: ტახტზე მჯდომს და კრავს კურთხევა და პატივი და დიდება და ძლიერება უკუნითი უკუნისამდე" /გამოცხ. 5:13/.

კარვობის დღესასწაულზე ისრაელიანნი ადიდებდნენ ღმერთს, როცა იხსენებდნენ მის წყალობას ეგვიპტის მონობიდან მათი გამოსვლისას, მის მზრუნველობას უდაბნოში ხანგრძლივი მოგზაურობისას. ბედნიერნი იყვნენ ისინი, რადგან იცოდნენ, რომ მიტევებულნი და მიღებულნი არიან ღვთის მიერ შემორიგებისა და განწმედის დღის მსახურების წყალობით, რომელიც ამ ზეიმს წინ უსწრებდა. მაგრამ როცა უფლის მიერ გამოსყიდულნი და სამუდამოდ გათავისუფლებულნი ცოდვის ტყვეობიდან, რომლის გამო "მთელი ქმნილება ერთად კვნესის და იტანჯება აქამდე" /რომ. 8:22/, ზეციურ ქანაანში შეიკრიბებიან, მხოლოდ

[541]

[542]

მაშინ გაიხარებენ ისინი ენით უთქმელი სიხარულითა და მადლიერებით. მაშინ დასრულდება ადამიანთათვის ქრისტეს მსახურება, მისი შემორიგების უდიდესი საქმე და ისინი სამუდამოდ განიწმიდებიან ცოდვებისაგან.

"მოილხენს უდაბნო და ხრიოკი,

გაიხარებს ტრამალი

და შროშანივით აყვავდება.

აყვავდება და გაიხარებს,

იქნება ლხენა და სიხარული;

ლიბანის დიდება მიეცემა მას,

ქარმელის და შარონის სიდიადე;

იხილავენ ისინი უფლის დიდებას

და ჩვენი ღმერთის სიდიადეს".

"მაშინ აეხილებათ თვალები ბრმებს

და ყრუებს სასმენელნი გაეხსნებათ.

მაშინ ირემივით იხტუნებს მკელობელი

და მუნჯის ენა იგალობებს,

რადგან ამოხეთქავს უდაბნოში წყალი

და ტრამალზე - ნიაღვრები.

დასიცხული მიწა ტბორად გადიქცევა

და ხრიოკები წყაროსთვლებად;

ტურების სადგომი, სადაც ბუდობენ,

ლელით და ლერწმით გადამწვანდება.

შარაგზა იქნება იქ

და წმიდა გზა დაერქმევა მას;

უწმიდური იქ ვერ გაივლის;

გზიანად მავალისთვის იქნება იგი

და ბრიყვები არ იყიალებენ.

არ გამოჩნდება იქ ლომი

და სასტიკი მხეცი არ დაადგება მას,

არ გაჭაჭანდება იქ;

მხოლოდ გამოხსნილნი ივლიან.

უფლის გამოსყიდულნი დაბრუნდებიან

და მხიარული ყიჟინით მივლენ სიონზე,

საუკუნო სიხარული იქნება მათ თავზე,

შვება და სიხარული ეწევა მათ

და ტანჯვა-წუხილი განშორდებათ"

/ეს. 35:1,2,5-10/.

თავი 53 - პირველი მსაჯულნი

მსაჯულნი 6-8; 10

ქანაანში დასახლების შემდგომ ებრაელმა ხალხმა არაფერი იღონა ამ მიწის სრული დასაკუთრებისათვის; უკვე მიღებული ტერიტორიით დაკმაყოფილდა, ამ საქმისადმი ძველებური

გულმოდგინება დაკარგა და დაპყრობის პროცესიც შეწყდა. "როცა მომძლავრდა ისრაელი, დახარკა ქანაანელები, აყრით კი ვერ აჰყარა" /მსაჯ. 1:28/.

უფალმა, თავის მხრივ, ერთგულად შეუსრულა ისრაელს ყველა დანაპირები. იესო ნავეს ძემ დაამარცხა ქანაანნი და მიწა ებრაელთ შტოების მიხედვით გაუნაწილა. მათ მხოლოდ ის უნდა გაეკეთებინათ, რომ ღვთიური ძალის დახმარებით საბოლოოდ აეყარათ ამ მიწიდან მისი მკვიდრნი. მაგრამ ეს არ გააკეთეს. ქანაანელებთან კავშირის დადებით მათ უხეშად დაარღვიეს ღვთის ბრძანება და არ შეასრულეს პირობა, რომლის თანახმადაც ქანაანის მიწა სამკვიდროდ მიეცა მათ.

თავიდანვე, ჯერ კიდევ მაშინ, როცა მოსეს მეშვეობით მათ სინაის მთიდან უზენაესი რჯული გამოუცხადა, უფალმა ისრაელიანნი ქანაანელთა ტომების შესახებ გააფრთხილა: "თაყვანი არა სცე მათ ღმერთებს და არ ემსახურო, არ აკეთო მათებური საქმეები, არამედ ჩაშალე ისინი და დალეწე მათი სვეტები. ემსახურეთ უფალს, თქვენს ღმერთს და გიკურთხებთ იგი პურსა და წყალს. არ გავაჭაჭანებ სნეულებას თქვენს შორის" /გამ. 23:24,25/. მაგრამ უფალი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაამარცხებდა მათ მტრებს, თუკი ისინი მისი მორჩილნი იქნებოდნენ. "წინ წაგიმძღვარებ ჩემს შიშსა და ზარს, შევაძრწუნებ ყოველ ხალხს, ვისთანაც კი მიხვალ. ზურგს შევაქცევინებ შენთვის შენს მტრებს. კრაზანებს გავგზავნი თქვენს წინ და მოგაშორებენ ისინი ხივიელებს, ქანაანელებს და ხეთელებს. არ მოგაშორებ მათ ერთ წელიწადს, რომ არ გაუკაცრიელდეს ქვეყანა და არ მოგეძალონ გარეული მხეცები.

თანდათანობით მოგაშორებ მათ, რომ მოასწრო გამრავლება და დაიმკვიდრო ქვეყანა... ხელში ჩაგაგდებინებ ქვეყნის მკვიდრთ და მოიშორებ მათ. ნუ შეეკვრები ნურც მათ და ნურც მათ ღმერთებს. არ უნდა იმკვიდრონ მათ შენს ქვეყანაში, რომ ცოდვა არ ჩაგადენინონ ჩემს მიმართ, რადგან თუ ემსახურე მათ ღმერთებს, მახეში გაებმები" /გამ. 23:27-33/. საზეიმოდ გაიმეორა მოსემ სიკვდილის წინ ეს დადგენილებანი. იგივე გააკეთა იესო ნავეს ძემ.

ღმერთმა ქანაანში დაასახლა თავისი ხალხი, რათა მას, ძლიერი ფარის მსგავსად, წუთისოფლის წამლეკავი უზნეობის ნაკადი შეეკავებინა. ერთგულების შემთხვევაში ისრაელი გამარჯვებას გამარჯვებაზე მოიპოვებდა, რადგან ქანაანელებზე უფრო ძლიერ ტომებს დაუმორჩილებდა მას უფალი. "თუ მტკიცედ დაიცავთ ყველა ამ მცნებას, რომლებსაც გიცხადებთ, რათა ასრულებდეთ მათ... მოგაშორებს უფალი ყველა ამ ხალხს და თქვენც დაეპატრონებით თქვენზე დიდსა და ძლიერ ხალხებს. ყოველი ადგილი, სადაც კი დაიდგმება თქვენი ტერფი, თქვენი იქნება - უდაბნოდან და ლიბანიდან, მდინარიდან, ევფრატის მდინარიდან უკანა ზღვამდე იქნება თქვენი საზღვარი. ვერავინ დაგიდგებათ წინ, შიშსა და ზარს დასცემს თქვენგნით უფალი ყველა ქვეყანას, სადაც კი შეაბიჯებთ, როგორც მას უთქვამს თქვენთვის" /რჯლ. 11:22-25/.

მაგრამ, მათი დიადი მოწოდების მიუხედავად, ისრაელიანებმა უფრო ადვილი გზა და საკუთარი სურვილებით მოქმედება ირჩიეს. ხელიდან გაუშვეს ქვეყნის მთლიანად დასაკუთრების შესაძლებლობა, რის გამოც მთელი თაობები მრავალი

[543]

[544]

საუკუნის მანძილზე იტანჯებოდნენ წარმართთა გამო. წინასწარმეტყველის სიტყვისამებრ, ისინი "ეკლად ექცევიან თქვენს თვალებს და ნემსებად - თქვენს ფერდებს" /რიცხ. 33:55/.

ისრაელიანნი "აირივნენ ხალხებში და შეისწავლეს მათი საქმეები" /ფს. 105:35/; ქანაანელებზე ქორწინდებოდნენ და კერპთაყვანისმცემლობა შავი ჭირივით სწრაფად ვრცელდებოდა მთელს დედამიწაზე. "ემსახურებოდნენ მათ კერპებს, რომლებიც მახედ გადაიქცნენ მათთვის. შესწირეს თავიანთი ძენი და ასულნი ეშმაკებს... და შეირყვნა ქვეყანა სისხლით... მაშინ აღეგზნო რისხვა უფლისა თავის ხალხზე და შესძაგდა მას სამკვიდრო თვისი" /ფს. 105:36-40/.

სანამ ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ ისინი, ვინც შეგონება იესო ნავეს ძისგან მიიღო, კერპთაყვანისმცემლობას დიდი წარმატება არ ჰქონია. მაგრამ მშობლებმა მოუმზადეს შვილებს გზა განდგომილებისაკენ. უფლის შეზღუდვების უგულებელყოფამ მათი მხრიდან, ვინც ქანაანის მიწა დაიმკვიდრა, დათესა ბოროტების თესლი, რომელსაც საუკუნეების მანძილზე მწარე ნაყოფი გამოჰქონდა. უბრალო ცხოვრების ნირი ფიზიკური ჯანმრთელობის წყარო იყო ებრაელთათვის, მაგრამ, დროთა განმავლობაში, მიეჩვივნენ საკუთარ სურვილთა და ვნებათა დაკმაყოფილებას, რაც, თანდათანობით, უარყოფით ზეგავლენას ახდენდა მათ ჯანმრთელობაზე და ზნეობრივ და გონებრივ ძალებსაც ასუსტებდა. ცოდვებმა ღმერთს დააშორა ისრაელიანნი. აღარ იყო მათთან ღვთიური ძალა და მტერსაც ვეღარ ამარცხებდნენ. ამის შედეგად, ისრაელიანნი იმ ხალხებმა დაიმორჩილეს, რომელნიც, ღვთის ძალით, თავად უნდა დაემარცხებინათ.

"დაივიწყეს უფალი, თავიანთი მამა-პაპის ღმერთი, რომელმაც ეგვიპტის ქვეყნიდან გამოიყვანა ისინი". "წაიყვანა ცხვარივით ხალხი თავისი და უდაბნოში, როგორც ფარას, ისე წარუძღვა... განარისხეს იგი თავიანთი სამსხვერპლოებით და თავიანთი კერპებით გამოაღვიძეს მისი შური". ამიტომ უფალმა "მიატოვა შილოს სავანე, სადაც ადამიანებთან ერთად იყო დამკვიდრებული და მისცა ტყვედ სიმაგრე თვისი და დიდება თვისი - მტრის ხელთ" /მსაჯ. 2:12; ფს. 77:52-58,60,61/. თუმცა მთლად არ უარყო უფალმა თავისი ხალხი. ისრაელიანთა შორის

ყოველთვის იყო ნარჩომი, რომელსაც არასოდეს დაუკარგავს იეჰოვას მიმართ ერთგულება და დროდადრო უფალი აგზავნიდა ამ მამაც და ერთგულ ადამიანებს კერპთაყვანისმცემლობის დასამხობად და ისრაელიანთა მტრისაგან სახსნელად. მაგრამ, როგორც კი განმათავისუფლებელი მოკვდებოდა, მისი ზეგავლენისაგან დახსნილი ხალხი უმალვე თავის კერპებს უბრუნდებოდა. ამრიგად, განდგომილებისა და დასჯის, მონანიებისა და ხსნის ისტორია ისევ და ისევ მეორდებოდა.

რიგრიგობით იპყრობდნენ ისრაელს მესოპოტამიისა და მოაბის, შემდეგ კი ფილისტიმელთა და ქანაანელთა მეფეები ხაცორიდან, სისარას ხელმძღვანელობით. ხალხმა ამოირჩია თავის განმათავისუფლებლებად ღოთენიელი, აჰუდი, შამგარი, დებორა და ბარაკი, მაგრამ "უკუღმართად იქცეოდნენ ისრაელიანები უფლის თვალში და უფალმა მიდიანის ხელში ამყოფა ისინი შვიდ წელიწადს". თუკი აქამდე იორდანეს აღმოსავლეთით მცხოვრებ შტოთა შევიწროება თითქმის უმნიშვნელო და არცთუ ისე მძიმე იყო, ახლა უკვე დიდად იტანჯებოდნენ ისინი.

ქანაანის სამხრეთით მცხოვრები ყამალეკნი და მის აღმოსავლეთით, უდაბნოს მხრიდან - მიდიანელნი, კვლავინდებურად ისრაელის შეურიგებელი მტრები იყვნენ. მოსეს დროს ისრაელმა თითქმის სრულად გაანადგურა

მიდიანელნი, მაგრამ სწრაფად გამრავლდნენ და მრავალრიცხოვან, ძლიერ ტომად იქცნენ. შურისძიება სწყუროდათ და, როცა უფლის მფარველმა ხელმა ისრაელი დატოვა, ხელსაყრელი მომენტი დაუდგათ. არა მხოლოდ იორდანეს აღმოსავლეთით

[545]

[546]

მცხოვრები ისრაელიანთა შტოები, არამედ მთელი ქვეყანა იტანჯებოდა მათი შემოსევებისაგან. უდაბნოს ეს ველური, სასტიკი ტომები, "კალიასავით ურიცხვნი" /მსაჯ. 6:5/, თავიანთი ჯოგებითა და საქონლით შემოდიოდნენ ქვეყანაში. გამანადგურებელი წყლულივით ედებოდნენ ისინი მთელ მიწას იორდანედან ფილისტიმელთა დაბლობებამდე. მოდიოდნენ მაშინ, როცა მოსავალი მწიფდა და უკანასკნელი ნაყოფის აღებამდე რჩებოდნენ. აცამტვერებდნენ ყანებს, ძარცვავდნენ ხალხს, შემდეგ კი, კვლავ უდაბნოში ბრუნდებოდნენ. გაშლილ ველებზე მცხოვრები ისრაელიანნი კი იძულებულნი იყვნენ, დაეტოვებინათ თავიანთი სახლები და ციხე-სიმაგრეებში, მთის გამოქვაბულებში ან ხეობებში შეეფარებინათ თავი. შვიდ

წელიწადს გრძელდებოდა ეს ტანჯვა; და როცა სასოწარკვეთილმა ხალხმა უფლის გაფრთხილებები გაიხსენა და თავისი ცოდვები მოინანია, უფალმა კვლავ გაუგზავნა მათ მხსნელი.

იოაშის ძე, გედეონი მენაშეს შტოს შთამომავალი იყო. მის საგვარეულოს არ ეჭირა თვალსაჩინო საზოგადოებრივი მდგომარეობა, მაგრამ სიმამაცითა და პატიოსნებით გამოირჩეოდა. იოაშის მამაც შვილებზე ნათქვამია: "ყველანი მეფისწულებს ჰგავდნენ თვალტანადობით". ერთის გარდა, ყველა დაიღუპა მიდიანელებთან ბრძოლაში და მისი სახელი შიშის ზარს სცემდა მტერს. გედეონი ხორბალს ცეხვავდა საწნახელში, როცა უფლის ხმა მოესმა, თავისი ხალხის გამოხსნას რომ ავალებდა. ცოტაოდენი ხორბალი ჰქონდა გადამალული გედეონს, მისი კალოზე ლეწვა ვერ გაებედა და საწნახელში აკეთებდა ამას, ვინაიდან რთველი ჯერ კიდევ შორს იყო და მტრები ვენახებში არ შედიოდნენ. ადამიანთა თვალს მოფარებული, მდუმარედ მუშაობდა, წუხდა ისრაელის ასეთი გაჭირვების გამო და დღედაღამ ფიქრობდა, თავისი ერი დამპყრობთა უღლისაგან როგორ გაეთავისუფლებინა.

მოულოდნელად უფლის ანგელოზი გამოეცხადა და შემდეგი სიტყვებით მიმართა: "უფალი შენთანაა, მაგარო ვაჟკაცო!".

"ვაგლახ, ჩემო ბატონო, - უპასუხა მან, - უფალი რომ ჩვენთან იყოს, ეს უბედურება რატომ დაგვემართებოდა? სადღაა მთელი

მისი სასწაულები, ჩვენი მამები რომ გვიყვებოდნენ და გვეუბნებოდნენ: უფალი იყო, ეგვიპტიდან რომ გამოგვიყვანაო? ახლა მიგვატოვა უფალმა და მიდიანის ხელში ჩაგვაგდო".

ამაზე ზეციურმა მაცნემ უპასუხა: "წადი მაგ შენი ძალით და იხსენი ისრაელი მიდიანის ხელთაგან. ხომ მე გაგზავნი".

ძლიერ უნდოდა გედეონს, დარწმუნებულიყო, რომ მისი მოსაუბრე ნამდვილად აღთქმის ანგელოზი იყო, რომელიც ძველთაგანვე ისრაელთან იყო. გაახსენდა, რომ ღვთის ანგელოზმა, აბრაამს რომ ესაუბრებოდა, მიიღო მასპინძლის გულითადი მიწვევა და გედეონმაც შეიპატიჟა იგი. სასწრაფოდ შევიდა კარავში, თავისი ღარიბული მარაგიდან მოამზადა თიკანი, ხმიადები, გამოიტანა და ანგელოზს მიართვა. ანგელოზმა უბრძანა: "აიღე ხორცი და ხმიადები, მანდ, ქვაზე დააწყვე და ზედ წვენი გადაასხი". ასეც მოიქცა გედეონი, რის შემდგომაც მიეცა ნიშანი, ასე ძლიერ რომ სურდა მის გულს. "გაიშვირა უფლის ანგელოზმა კვერთხი, რომელიც ხელთ ეპყრა, და მისი წვერი ხორცსა და ხმიადებს შეახო, ავარდა ქვიდან ცეცხლი და შთანთქა ხორცი და ხმიადები. მერე თვალს მიეფარა უფლის ანგელოზი".

გედეონის მამამ, იოაშმა, ღვთისაგან განდგომილ სხვა თანამოძმეებთან ერთად, ყოფრაში, თავის საცხოვრისში, უზარმაზარი სამსხვერპლო აუგო ბაალს, რომელსაც თაყვანს

სცემდნენ ქალაქის მკვიდრნი. გედეონს ამ სამსხვერპლოს დანგრევა ებრძანა, ხოლო იმ ქვაზე, სადაც მისი შესაწირავი ცეცხლმა შთანთქა - უფლისათვის სამსხვერპლოს აგება და მსხვერპლის შეწირვა. მსხვერპლის შეწირვის უფლება მხოლოდ მღვდელმსახურთ ჰქონდათ

[547]

და იგი სილოამის სამსხვერპლოთი შემოიფარგლებოდა, მაგრამ ის, ვინც მსახურების ეს წესი დაადგინა და ვისზედაც თავად ეს მსხვერპლი მიუთითებდა, უფლებამოსილი იყო, მოეხსნა ეს შეზღუდვები. ისრაელის გათავისუფლებამდე ბაალის გადაგდება იყო საჭირო. თავისი ხალხის მტრის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყებამდე გედეონს ბრძოლა ჯერ კერპებისათვის უნდა გამოეცხადებინა.

ზუსტად შესრულდა უფლის ბრძანება. იცოდა რა, რომ ეს მოქმედება დიდ წინააღმდეგობას გამოიწვევდა, გედეონმა ეს საქმე ღამით, მსახურთა დახმარებით გააკეთა. ძლიერ განრისხდა ქალაქის მოსახლეობა, როცა მეორე დილას თაყვანსაცემად მისულ ხალხს სამსხვერპლო დანგრეული დახვდა. სიცოცხლეს გამოასალმებდნენ გედეონს იოაში რომ არა, რომელსაც ღამით ანგელოზი გამოეცხადა და შვილის დაცვა

უბრძანა. "რა თქვენი დასაცავია ბაალი, - უთხრა მათ, - რა თქვენი საპატრონოა? მისი დამცველი ამ დილითვე სიკვდილით დაისჯება. თუ ღმერთია, თავად დაიცვას თავი, რადგან გედეონის დანგრეულია მისი სამსხვერპლო". თუკი ბაალმა თავისი სამსხვერპლო ვერ დაიცვა, როგორღა უნდა ენდონ მისი თაყვანისმცემლები მას?

ხელი აიღეს გედეონის მკვლელობაზე. და, როცა მან ხალხს საყვირის ხმით საბრძოლველად მოუხმო, ყოფრას კაცები პირველ რიგში მოვიდნენ და მისი დროშის ქვეშ დადგნენ. მაცნეები გაგზავნა გედეონმა მენაშეს შტოსთან, რომელსაც თავად ეკუთვნოდა იგი; აშერის, ზებულონისა და ნაფთალის შტოებსაც უხმო. ყველა გამოეხმაურა მის მოწოდებას.

ვერ გაბედა გედეონმა, სათავეში ჩასდგომოდა ლაშქარს. არ იყო სრულად დარწმუნებული, რომ ნამდვილად ღმერთმა დაავალა ამის შესრულება და რომ თავადაც მასთან იქნებოდა. შეევედრა უფალს: "თუ ჩემი ხელით იხსნი ისრაელს, როგორც მეუბნებოდი, მაშინ საწმისს გავშლი კალოზე: თუ ცვარი მხოლოდ საწმისზე იდება, მთელი მიწა კი მშრალი იქნება, ვირწმუნებ, რომ ჩემი ხელით იხსნი ისრაელს, როგორც მეუბნებოდი". დილას, მართლაც, მატყლი სველი იყო, მიწა კი - მშრალი. კვლავ ეჭვი შეეპარა გედეონს: მატყლი ხომ ადვილად ღებულობს სინოტივეს ნესტიანი ჰაერისგან. ამიტომ ვერ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება და კვლავ სთხოვა ღმერთს,

საპირისპირო ქმედება ჩაედინა და არ განრისხებულიყო მასზე. აასრულა უფალმა გედეონის თხოვნა.

ამგვარად გამხნევებულმა გედეონმა დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად წაიყვანა თავისი ხალხი. "შეიყარა იმჟამად მთელი მიდიანი, ყამალეკი და კედემიანები, გადმოლახეს მდინარე და იზრეყელის ველზე დაბანაკდნენ". ოცდათორმეტი ათასი კაცი ჰყავდა გედეონს, მაგრამ მრავალრიცხოვანი მტრის დანახვისას უფლის ხმა მოესმა: "ძალზე ბევრი ხალხი გყავს. არ ჩავაგდებ ამათ ხელში მიდიანს, რომ არ გამიდიდგულდეს ისრაელი, არ თქვას, ჩემმა ხელმა მიხსნაო. ამიტომ გამოუცხადე ხალხს და უთხარი: ვინც შეშინებულია და კანკალებს, უკან გაბრუნდეს, წავიდეს გალაადის მთიდან". ის, ვინც ხიფათს და გაჭირვებას გაურბოდა, ვისაც მიწიერზე ზრუნვა ერჩივნა ღვთის სამსახურს, ვერ შემატებდა ძალას ისრაელის ლაშქარს. პირიქით, მათი იქ ყოფნა მებრძოლთ უფრო შეასუსტებდა.

ისრაელში არსებობდა კანონი, რომლის თანახმადაც ომში წამსვლელთ უცხადებდნენ: "ვინც ახალი სახლი ააშენა და არ გაუნათლავს, წავიდეს და შინ დაბრუნდეს, რომ ბრძოლაში არ მოკვდეს და სხვამ არ განათლოს იგი. ვინც ვაზი დარგო და ვერ მოიწია, წავიდეს და შინ დაბრუნდეს, რომ ბრძოლაში არ მოკვდეს და სხვამ არ მოიწიოს იგი. ვინც ქალი დანიშნა და არ მოუყვანია, წავიდეს და შინ დაბრუნდეს, რომ ბრძოლაში არ

მოკვდეს და ქალი სხვამ არ წაიყვანოს". და კიდევ, ზედამხედველთ ხალხისათვის უნდა გამოეცხადებინათ:

[548]

[549]

"ვინც მშიშარაა და გულით ძაბუნი, წავიდეს და შინ დაბრუნდეს, რომ მოძმეებსაც არ დაუძაბუნოს გული თავისავით" /რჯლ. 20:5-8/.

ვინაიდან გედეონს, მოწინააღმდეგესთან შედარებით, მცირერიცხოვანი ჯარი ჰყავდა, თავი შეიკავა ამ ტრადიციული მიმართვისაგან და დიდად განცვიფრდა, როდესაც უფალმა უთხრა, რომ ბევრი ხალხი ჰყავს. მაგრამ ურწმუნოებასა და ამპარტავნობას ხედავდა უფალი თავისი ხალხის გულში. ისინი მზადყოფნით გამოეხმაურნენ გედეონის მგზნებარე მოწოდებას, მაგრამ ბევრი შეშინდა მიდიანელთა მრავალრიცხოვანი ჯარის დანახვაზე. ისრაელს რომ გაემარჯვა კიდეც, ეს ადამიანები გამარჯვებას ღმერთს კი არ მიაკუთვნებდნენ, არამედ თავად მიითვისებდნენ.

დაემორჩილა გედეონი უფლის ბრძანებას - გულისტკივილით ადევნებდა თვალყურს, თუ როგორ დატოვა ლაშქარი ოცდაორი ათასმა ისრაელიანმა - ეს კი მეომართა ორ მესამედზე მეტი იყო - და სახლში დაბრუნდა. კვლავ მოესმა გედეონს უფლის ხმა: "მაინც ბევრია ხალხი. წყალზე ჩაიყვანე და იქ გამოგირჩევ მათ. ვისზეც გეტყვი, გამოგყვეს-მეთქი, ის გამოგყვეს, ვისზეც გეტყვი, ნუ გამოგყვება-მეთქი, ნუ გამოგყვება".

მტერზე იერიშის მიტანის მოლოდინში ხალხი წყალს მიეტანა. ზოგმა პეშვით სწრაფად ამოიღო წყალი, დალია და გზა განაგრძო. სხვებმა კი ჩაიმუხლეს და აუჩქარებლად დალიეს. ათი ათასიდან სამასმა კაცმა დალია წყალი პეშვით და სწორედ ისინი აირჩია უფალმა, დანარჩენნი კი სახლში დააბრუნა.

ხშირად ადამიანის ხასიათი ძალიან უბრალოდ შეიცნობა. ის, ვინც ხიფათის დროს პირად საჭიროებათა დაკმაყოფილებაზე ფიქრობს, არ არის სანდო კრიტიკულ მომენტში. ღვთისადმი მსახურებაში არა აქვთ ადგილი ზარმაცთ და მხოლოდ საკუთარ საზრუნავზე მოფიქრალთ. ადამიანები, რომლებიც უფალმა ამოირჩია, სწორედ ის უმცირესობა იყო, ვინც მოვალეობის აღსრულება საკუთარ ინტერესებზე მაღლა დააყენა. ეს სამასი რჩეული ებრაელი არა მხოლო სიმამაცითა და თავშეკავებით გამოირჩეოდა, არამედ ისინი რწმენის გმირებიც იყვნენ: არ შებილწულან უწმიდური კერპების თაყვანისცემით. სწორედ მათ შეეძლოთ, უფლის ხელმძღვანელობით ეხსნათ ისრაელი.

წარმატება არ არის დამოკიდებული რაოდენობაზე. ღმერთს შეუძლია, მიაღწიოს მიზანს მცირედითაც და ბევრითაც. უფლის განდიდება ხდება არა მრავალრიცხოვნობით, არამედ მის მსახურთა ხასიათით.

გორაკის სიმაღლეებიდან გასცქეროდნენ ისრაელიანნი დაბლობს, სადაც მოწინააღმდეგის ბანაკი იყო გაშლილი. "მიდიანი, ყამალეკი და კედემიანები ვაკეზე იყვნენ დაბანაკებულნი, კალიასავით ურიცხვნი. თვლა არ ჰქონდათ მათ აქლემებს. იმდენი იყვნენ, როგორც ზღვაში ქვიშა" /მსაჯ. 7:12/. ხვალინდელ ბრძოლაზე ფიქრი ზარავდა გედეონს. მაგრამ უფალმა მოუხმო მას ღამით და უბრძანა, თავის მსახურ ფურასთან ერთად მიდიანელთა ბანაკში ჩასულიყო, სადაც გამამხნევებელ სიტყვებს მოისმენდა. წავიდა გედეონი მტრის ბანაკში და მდუმარედ დადგა ბნელ ადგილას. მალე გაიგონა, რომ ერთი მეომარი მეორეს თავის სიზმარს უყვებოდა: "მესიზმრა, ვითომ ქერის პურის კოკორი დაგორავდა მიდიანის ბანაკში. კარავთან მიგორდა, დაეჯახა და დასცა. და დაემხო კარავი". მეორის პასუხმა გულის სიღრმემდე შეძრა სიბნელეში მდგომი გედეონი: "ეს სხვა რა უნდა იყოს, თუ არა გედეონის მახვილი, იოაშის ძისა, ისრაელიანისა. მის ხელში ჩაუგდია ღმერთს მიდიანი და მთელი ბანაკი". უფლის ხმა შეიცნო გედეონმა, მიდიანელი მეომრის ბაგეებით მას რომ მიმართავდა. დაბრუნდა იგი თავის მცირერიცხოვან რაზმში და უთხრა მათ: "ადექით, ხელში ჩაგიგდოთ უფალმა მიდიანის ბანაკი".

[550]

უფალმა შესთავაზა თავდასხმის გეგმა გედეონს და ისიც უმალ მის განხორციელებას შეუდგა. სამ რაზმად დაჰყო სამასი კაცი. "ხელთ ყველას ბუკები და ცარიელი დოქები მისცა, დოქებში ანთებული კვარები ჩააწყობინა". ხალხი ისე გაანაწილეს, რომ სამივე მხრიდან მისდგომოდნენ მიდიანელთა ბანაკს. შუაღამისას, გედეონის საბრძოლო საყვირის ხმაზე სამივე რაზმმა დაჰკრა ბუკი, შემდეგ ქოთნები დაამტვრიეს და, ანთებული კვარებით ხელში, მტრის ბანაკზე მიიტანეს იერიში შეძახილებით: "მახვილები უფლისათვის და გედეონისათვის!"

უცბად აიშალა მტრის მძინარე ბანაკი. ანთებულ ჩირაღდნებს ელვარება გაჰქონდა ირგვლივ. საყვირის ხმა და თავდამსხმელთა ყვირილი ისმოდა ყოველი მხრიდან. ძლიერ დაიბნენ და შეშინდნენ მიდიანელნი, ეგონათ რა, რომ მათზე მრავალრიცხოვანი მტრის ალყაში მოექცნენ. სასოწარკვეთილი შეძახილებით აქეთ-იქით აწყდებოდნენ თავგზააბნეული მიდიანელები, მოყვარეს მტრისგან ვერ არჩევდნენ და ერთმანეთს ხოცავდნენ. როცა ხმა გავარდა ისრაელიანთა გამარჯვების შესახებ, სახლში დაბრუნებული მეომრებიც შეუერთდნენ დანარჩენთ და ბოლომდე მისდიეს გაქცეულ მტერს. იორდანეს მიაშურეს მიდიანელებმა იმ იმედით, რომ მეორე ნაპირზე გადავიდოდნენ და თავიანთ მიწაზე

დაბრუნდებოდნენ. ეფრემის შტოსთან აფრინა ხალხი გედეონმა დავალებით, გზა გადაეჭრათ მტრისთვის სამხრეთით, ფონებთან, თავად კი სამასი დაღლილი, მაგრამ მტრის განადგურების სურვილით ანთებული კაცით იორდანეში შევიდა და მის მეორე ნაპირთან დაეწია მტერს. შეიპყრეს მიდიანის ორი მთავარი, ყორები და ზეები, მტრის ლაშქრის ხელმძღვანელები, რომელთაც სხვა, თხუთმეტი ათასთან ერთად, გაქცევა მოახერხეს; მათი არმია გაანადგურეს, ისინი კი შეიპყრეს და მოკლეს.

ამ ბრწყინვალე გამარჯვებამ მტრის ას ოცი ათასი მეომარი შეიწირა. ისე გაავლეს მიდიანელთ მუსრი, რომ იგი ვეღარასოდეს შეებრძოლებოდა ისრაელს. ირგვლივ სწრაფად გავრცელდა ხმა, რომ ისრაელის ღმერთი კვლავ იბრძოდა თავისი ხალხისათვის. ენით აუწერელმა შიშმა შეიპყრო ირგვლივ მცხოვრები ხალხები, როცა გაიგეს, თუ რა უბრალო მეთოდით დაამარცხეს ეს ძლიერი და მამაცი მეომრები ებრაელებმა.

წინამძღოლი, რომელიც უფალმა მიდიანელთა დასამარცხებლად აირჩია, არ იყო დიდი თანამდებობის პირი ისრაელში. არც მთავარი იყო იგი, არც მღვდელმსახური და არც ლევიანი. ყველაზე უბრალო ადამიანად თვლიდა იგი საკუთარ თავს მამის სახლში. მაგრამ უფალი ღმერთი ხედავდა მასში სიმამაცეს და პატიოსნებას. საკუთარი ძალის იმედი არ ჰქონდა

გედეონს, არამედ ყველაფერში უფლის ბრძანებას ემორჩილებოდა.

ღმერთი თავისი მსახურებისათვის ხშირად ირჩევს არა გამოჩენილ ადამიანებს, არამედ მათ, ვისი გამოყენებაც უკეთესად შეუძლია: "მორჩილება წინ უძღვის დიდებას" /იგავ. 15:33/. ყველაზე ერთგულად ღმერთს ისინი ემსახურებიან, ვინც თავის უძლურებას უკეთ შეიცნობს და მთლიანად მიენდობა ღმერთს, როგორც წინამძღოლს და ძალის წყაროს. სწორედ მათ აძლევს ღმერთი სიბრძნესა და ძალას; მისი მსახურის უძლურებას უზენაესის ძლიერება ერწყმის, მის უმეცრებას კი - სიბრძნე უფლისა.

ბევრად უფრო მეტს გააკეთებდა უფალი თავისი ხალხისთვის, თითოეულს რომ ჭეშმარიტი მორჩილება ესწავლა. მაგრამ რა ცოტანი არიან ისინი, ვინც თვითდაჯერებულობას გაურბის და არ ავიწყდება, რომ ყველაფერში ღმერთზეა დამოკიდებული, როცა იგი პასუხისმგებლობის ან წარმატების ტვირთს ჰკიდებს მას. ამიტომაა, რომ ღმერთის საქმეთა შესასრულებლად ადამიანთა არჩევისას უფალი უყურადღებოდ ტოვებს წუთისოფლისათვის ცნობილ და ნიჭიერ

[553]

[554]

პიროვნებებს. ვინაიდან ისინი ამაყნი და თვითდაჯერებულნი არიან და თვლიან, რომ თავად საკმარისი ძალა გააჩნიათ და უფლის რჩევა არ ესაჭიროებათ.

იესო ნავეს ძის მხედრობის საყვირთა უბრალო ხმამ, იერიხონის კედლების ირგვლივ შემოვლისას რომ გაისმა და გედეონის მცირერიცხოვანმა რაზმმა, მიდიანელთა ლაშქარი ალყაში რომ მოაქცია, უფლის ძალის დახმარებით შეძლო უძლიერესი მტრის დამარცხება. ადამიანთა მიერ გამოგონებული, უფლის ძალასა და სიბრძნეს მოკლებული ურთულესი სისტემები უძლური იქნება იქ, სადაც მუშაობის უბრალო, უმნიშვნელო მეთოდებს წარმატება ელის, თუკი ის უფლის დადგენილია და მორჩილებითა და რწმენით სრულდება. ქრისტიანებიც, თავიანთ სულიერ ბრძოლებში, უნდა მიენდონ ღმერთს და მის ნებას დაემორჩილონ, როგორც ეს აუცილებელი იყო გედეონისა და იესო ნავეს ძისათვის ქანაანელებთან ბრძოლის დროს. ხშირად ავლენდა თავის ძლიერებას უფალი ისრაელის დაცვისას, რადგან სურდა, თავის მიმართ რწმენა განემტკიცებინა მათთვის, რათა სხვა, ნებისმიერ ვითარებაში ეჭვის გარეშე მიემართათ დახმარებისათვის. დღესაც ასეთი თანამშრომლობა სურს ღმერთს თავის ხალხთან უბრალო საშუალებებით უდიდესი საქმის შესასრულებლად. ზეცა

იმედოვნებს, რომ ჩვენ ვიგრძნობთ მისი სიბრძნისა და ძალის საჭიროებას. ღმერთს "შეუძლია განუზომლად მეტის კეთება, ვიდრე ჩვენ ვთხოვთ ან ვფიქრობთ" /ეფეს. 3:20/.

მტრის განდევნისა და სრული განადგურების შემდგომ შინ დაბრუნებულ გედეონს მოძმეთა უამრავი საყვედური და ბრალდება ელოდა. როცა მისი მოწოდებით ისრაელიანნი მიდიანელთა წინააღმდეგ საბრძოლველად შეიკრიბნენ, ეფრემის შტოს მასში მონაწილეობა არ მიუღია. ისინი ამას სარისკო საქმედ თვლიდნენ და, რადგან გედეონმა მათ განსაკუთრებული მოწვევა არ გაუგზავნა, ამით ისარგებლეს და თავი გაიმართლეს იმის გამო, რომ ძმებს არ მიეხმარნენ. მაგრამ, როცა ისრაელის გამარჯვების ამბავი გაიგეს, ძლიერ შეშურდათ. გედეონის ბრძანებით დაედევნენ და იორდანეს ფონებთან გზა გადაუკეტეს, მტერს გაქცევის საშუალება წაართვეს და ბევრიც დახოცეს. მათ შორის აღმოჩნდა მტრის ორი მთავარი - ყორები და ზეები. ასე შეუწყვეს ხელი ეფრემელებმა ისრაელის საბოლოო გამარჯვებას. მიუხედავად ამისა, ისინი კვლავ თვლიდნენ, რომ გედეონი საკუთარი სურვილითა და განზრახვით მოქმედებდა. ვერ დაინახეს, რომ უფლის ხელმა უზრუნველყო ისრაელის გამარჯვება; ვერ შეაფასეს უზენაესის ძალა და წყალობა მათი ხსნისათვის და სწორედ ამ ვითარებამ ნათლად აჩვენა, რომ უფლის ხელში რჩეულ იარაღად ყოფნის ღირსნი არ იყვნენ.

ლაშქრობიდან ნადავლით დაბრუნებულნი, ცხარედ საყვედურობდნენ გედეონს: "რას გვერჩოდი, რატომ ჩვენც არ გვიხმე, როცა მიდიანთან საომრად მიდიოდი?"

"მე რა გამიკეთებია თქვენი ფასი? - უპასუხა გედეონმა, - ეფრემის ნამცვრევი არ სჯობია აბიყეზერის რთველს? ღმერთმა ხელში ჩაგიგდოთ მიდიანის მთავრები ყორები და ზეები. მე სად შემეძლო, გამეკეთებინა თქვენდენი?"

შურსა და ბოროტებას ადვილად შეეძლო კამათის გამოწვევა, რაც, შესაძლოა, ბრძოლითა და სისხლისღვრით დამთავრებულიყო, მაგრამ გედეონის უბრალო, თავმდაბლურმა პასუხმა დააცხრო ეფრემელთა რისხვა და ისინი მშვიდობიანად დაიშალნენ. პრინციპულ საქმეთა მიმართ უკომპრომისო და მტკიცე, ძლიერ მეომარს დიდი თავშეკავებულობა და მოთმინება აღმოაჩნდა, რაც ასე იშვიათია ადამიანებში.

მიდიანელთა ტომებისაგან ისრაელის გათავისუფლებისათვის მადლიერების ნიშნად ებრაელებმა ისრაელის სამეფო ტახტი და მისი მის შთამომავალთათვის

[555]

დაკანონება შესთავაზეს გედეონს. ეს წინადადება თეოკრატიის პრინციპების სრული დარღვევა იყო. ისრაელის მეფე თავად ღმერთი იყო, ადამიანის გამეფება კი ღვთიური მონარქის უარყოფას ნიშნავდა. კარგად ესმოდა ყოველივე ეს გედეონს. ამაზე მსაჯულის პასუხი მისი წმიდა და კეთილშობილი ზრახვების დამადასტურებელია: "მე ვერ ვიბატონებ თქვენზე და ვერც ჩემი შვილი იბატონებს თქვენზე, უფალმა იბატონოს თქვენზე!"

მაგრამ გედეონმა სხვა შეცდომა დაუშვა, რამაც უბედურება მოუტანა მის ოჯახსაც და მთელ ისრაელსაც. დიდი ბრძოლის შემდეგ ჩამოვარდნილი მშვიდობა ხშირად გადატანილ სიძნელეებზე უფრო საშიშია. სწორედ აქ ელოდა საფრთხე გედეონს. მოუსვენრობამ შეიპყრო იგი. აქამდე თუ ყველაფერში ღვთის ნებას ემორჩილებოდა, ახლა, იმის ნაცვლად, რომ უფლის შემდგომ მითითებებს დალოდებოდა, საკუთარი გეგმების შედგენას შეუდგა. როცა უფლის მხედრობამ ასეთი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა, სატანამ გააორმაგა თავისი ძალები, რათა უფლის საქმეებისათვის ხელი შეეშალა; ისეთი აზრი ჩაუნერგა გედეონს, რომელიც ებრაელ ერს ჭეშმარიტების გზიდან გადაიყვანდა.

რადგან გედეონს ებრძანა, აღსავლენი შეეწირა ლოდზე, სადაც ღვთის ანგელოზი ეჩვენა, მან გადაწყვიტა, მღვდელმსახური გამხდარიყო. არ დალოდებია ამის თაობაზე ღვთის მითითებას,

ისე დაიწყო მსახურებისათვის შესაფერისი ადგილის ძებნა, რათა აქ ისეთივე მსახურება დაედგინა, როგორიც სადღესასწაულო კარავში ტარდებოდა. ხალხის უდიდესი კეთილგანწყობით სარგებლობდა გედეონი, ამიტომ არ გაძნელებია თავისი განზრახვის ასრულება. მისი თხოვნისამებრ, შეუგროვეს და გადასცეს ოქროს საყურეები, მიდიანელთ რომ წაართვეს. სხვა მრავალი განძიც შეაგროვა ხალხმა, მათ შორის მიდიანელ მთავართა მდიდრული ტანსაცმელიც. ამათგან ეფოდი გააკეთა გედეონმა და სამკერდულიც დაამზადა, მღვდელმთავრის სამოსლის მსგავსად. "მახედ ექცა იგი გედეონს და მის სახლს" და მთელ ისრაელს. ამ უკანონო მსახურებამ ბევრს დაავიწყა ღმერთი და კერპებისკენ უბიძგა. გედეონის სიკვდილის შემდეგ მრავალი ადამიანი, მათ შორის მისი ოჯახიც, კერპთაყვანისმცემლები გახდნენ. მრავალნი დაშორდნენ ღმერთს იმ ადამიანის წყალობით, რომელმაც ერთ დროს თავად დაამსხვრია წარმართთა კერპები.

ბევრს არ ესმის, თუ რა ძალა აქვს სიტყვასა და საქმეს. ძალიან დიდია ის დამღუპველი ზეგავლენა, რომელსაც ხშირად ახდენს მშობელთა შეცდომები მათ შვილებსა და შვილიშვილებზე მათი სიკვდილიდან მრავალი წლის შემდეგაც კი. ყოველ ადამიანს აქვს ზეგავლენა მეორეზე, ამიტომ პასუხს აგებს იგი მისი შედეგების გამო. ჩვენს სიტყვასა და საქმეებს მეტად დიდი ძალა აქვს და მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ შეგვიძლია, ვიხილოთ ჩვენი მიწიერი ცხოვრების ზეგავლენის ნაყოფი. ჩვენი სიტყვებითა და საქმეებით გამოწვეული შთაბეჭდილება

ჩვენთვის ან კურთხევა იქნება, ან - წყევლა. ეს უდიდეს პასუხისმგებლობას გვაკისრებს ხალხისა და ღმერთის წინაშე, ამიტომ მორჩილად უნდა ვთხოვოთ უფალს, რომ თავისი სიბრძნით გვიხელმძღვანელოს.

მაღალი საზოგადოების წარმომადგენელთ ადვილად შეუძლიათ, აცდუნონ ხალხი. ყველაზე ბრძენნი ცდებიან, ყველაზე ძლიერნი ეცემიან. ძლიერ გვჭირდება ზეციური ნათელი, რომელიც მუდამ გაგვინათებს ცხოვრების ბილიკებს. ჩვენი ერთადერთი იმედი ისაა, რომ სრულად მივენდოთ მას, ერთადერთს, რომელმაც თქვა: "გამომყევი!"

გედეონის სიკვდილის შემდეგ "უზნეობდნენ ისრაელიანები ბაალის კვალზე... აღარ გაიხსენეს ისრაელიანებმა უფალი, თავიანთი ღმერთი, რომელმაც იხსნა ისინი ყველა გარეშემო მტრის ხელიდან. არც იერუბაალ-გედეონის სახლს მიაგეს მადლი ყველა იმ სიკეთისათვის, რაც მან გაუკეთა ისრაელს". დაავიწყდათ

[556]

გედეონის, მათი მხსნელისა და მსაჯულის, ყოველი დამსახურება. ებრაელებმა მისი უკანონო ვაჟი, აბიმელექი, აირჩიეს მეფედ, რომელმაც, თავისი ხელმწიფების განსამტკიცებლად, გედეონის ყველა კანონიერი შვილი დახოცა, ერთის გარდა. როდესაც ადამიანები ღვთის შიშს ივიწყებენ, პატიოსნებასა და ერთგულებასაც ადვილად კარგავენ. ვისაც უფლის წყალობის დანახვა შეუძლია, ის იმ ადამიანებსაც დააფასებს, ვინც, გედეონის მსგავსად, უფლის ხელში მისი ხალხის კურთხევის იარაღად იქცა. მაგრამ იმ ხალხისაგან, ვინც უფლის მიმართ ასეთი უმადურობა გამოიჩინა, გედეონის სახლისადმი სისასტიკის გამოვლენაც იყო მოსალოდნელი.

აბიმელექის სიკვდილის შემდგომ ღვთისმოშიშ მსაჯულთა ხელმწიფება ერთხანს უწევდა წინააღმდეგობას კერპთაყვანისმცემლობის ზეგავლენას, მაგრამ შემდგომ ხალხი კვლავ მიუბრუნდა ირგვლივ მცხოვრებ წარმართთა ტომების ზნე-ჩვეულებებს. ქვეყნის ჩრდილოეთის მკვიდრთა შორის მრავალი თაყვანს სცემდა არამისა და სიდონის ღმერთებს. სამხრეთ-დასავლეთით - ფილისტიმელთა კერპებმა, აღმოსავლეთით კი - მოაბისა და ყამონის ღმერთებმა აცდუნეს ისრაელი და თავისი მამების ღმერთს დააშორეს. მაგრამ განდგომილებას მალე საკადრისი პასუხი გაეცა. აღმოსავლეთის მკვიდრთა დაპყრობის შემდეგ იორდანე გადალახეს ყამონელებმა და იუდასა და ეფრემის სამფლობელოებში შეიჭრნენ. დასავლეთით, ზღვისპირა ველებიდან, ფილისტიმელები უტევდნენ, ძარცვავდნენ და წვავდნენ

ყველაფერს. და კვლავ უმოწყალო მტრების გარემოცვაში დარჩა ისრაელი.

ისევ მოუბრუნდა განდგომილი ერი მას, ვინც ასე შეიძულეს და შეურაცხყვეს. "შეჰღაღადეს ისრაელიანებმა უფალს და უთხრეს: შეგცოდეთ, რადგან დავივიწყეთ ჩვენი ღმერთი და ვემსახურებოდით ბაალებს". მაგრამ ეს არ იყო გულწრფელი მონანიება; ხალხი იმის გამო წუხდა, რომ თავისი ცოდვილი ცხოვრებით ტანჯვა დაიტეხა თავს და არა იმიტომ, რომ ღვთის რჯულის დარღვევით შეურაცხყვეს უფალი. ჭეშმარიტი მონანიება არ არის მხოლოდ და მხოლოდ ცოდვაზე ურვა, არამედ ეს მტკიცე გადაწყვეტილებაა ბოროტების გზის მიტოვებისა.

ასე უპასუხა უფალმა მათ თავისი ერთ-ერთი წინასწარმეტყველის პირით: "ხომ მიხსნიხართ ეგვიპტისაგან, ამორეველთაგან, ყამონიანთაგან და ფილისტიმელთაგან? ციდონელები, ყამალეკი და მაყონი გავიწროებდნენ და, როცა კი შემოგიღაღადებიათ ჩემთვის, ხომ მიხსნიხართ მათი ხელიდან? თქვენ კი დამივიწყეთ და ემსახურებოდით უცხო ღმერთებს, ამიტომაც აღარ გიხსნით. წადით და შეჰღაღადეთ თქვენს მიერ არჩეულ ღმერთებს. მათ გიხსნან თქვენს გასაჭირში".

უფლის ეს მრისხანე, საჯაროდ თქმული სიტყვები სხვა სურათს გვახსენებს - უკანასკნელი სამსჯავროს დიად დღეს, როდესაც

უფლის მადლისა და წყალობის უარმყოფელნი და მოძულენი პირისპირ შეხვდებიან უზენაესის სამართლიანობას. პასუხი უნდა აგონ ამ სამსჯავროზე იმის გამო, რომ ღვთით ბოძებული დრო, შესაძლებლობა, ნიჭი და უნარი ამ წუთისოფლის ღმერთების მსახურებას შესწირეს; ანაცვალეს თავიანთი მართალი და მოსიყვარულე მეგობარი ამქვეყნიურ სიამტკბილობებს. თუმცა ზოგჯერ აპირებდნენ კიდეც უფალთან დაბრუნებას, მაგრამ წუთისოფელმა, თავისი უაზრო ცდუნებებით, სრულად დაიპყრო მათი გრძნობები. უაზრო გართობებმა და ცხოვრებისეულმა მოთხოვნილებებმა გული გაუსასტიკა, სინდისის ხმა ისე ჩაუხშო მათ, რომ მათი სულები დაიხურა ჭეშმარიტების ხმისათვის. თავიანთი მოვალეობა დაივიწყეს. ვერ შეაფასეს მარადიული ფასეულობანი და სრულად დაკარგეს იმისადმი მსახურების ყოველგვარი სურვილი, ვინც ამდენი რამ გააკეთა ადამიანისათვის. მაგრამ უკანასკნელი მკის დროს ისინი იმას მოიმკიან, რაც დათესეს.

ასე ამბობს ზეციური სიბრძნე: "მე გეძახდით, თქვენ კი უარმყოფდით;

[557]

[558]

ხელს აღვმართავდი, გამგონე კი არავინ იყო. უკუაგდებდით ჩემს რჩევებს და ჩემს დარიგებებს ყურს არ ათხოვებდით... დაგეცემათ შიში ქარტეხილივით და გრიგალივით დაგატყდებათ უბედურება, როცა მოვა თქვენზე ჭირი და ვაება. მაშინ მომიხმობენ მე და მე ხმას არ გავცემ მათ, ძებნას დამიწყებენ და ვერ მიპოვნიან. რაკი შეიძულეს ცოდნა და უფლის შიში არ ირჩიეს, არ ისურვეს ჩემი რჩევები და შეიძულეს ყველა ჩემი დარიგება, იგემებენ ნაყოფებს მათი საქციელისამებრ და თავიანთი ავი ზრახვებით გაძღებიან". "ჩემი გამგონე უდარდელად იცხოვრებს და მშვიდად, ბოროტის შიში არ ექნება" /იგავ. 1:24-31,33/.

ახლა ისრაელიანნი დამორჩილდნენ ღმერთს, "უარყვეს უცხო ღმერთები და უფლის მსახურებას შეუდგნენ". და კვლავ შეწუხდა მოსიყვარულე მამა, "ვეღარ აიტანა... ისრაელის ტანჯვა". ო, რა დიდია ადამიანის მიმართ ჩვენი ღმერთის მოთმინება და თანაგრძნობა! როცა მისი ხალხი ცოდვილ ცხოვრებას, რაც მას უფალთან აშორებდა, გამოერიდა, ისმინა უზენაესმა მისი ვედრება და მაშინვე დაეხმარა.

იფთახ გალაადელი მოუვლინა ზეციერმა მამამ მხსნელად ისრაელს, რომელიც ყამონელებს შეებრძოლა და დაამარცხა კიდეც. ამ დღემდე თვრამეტ წელიწადს გმინავდა ისრაელი

თავისი მტრების უღელქვეშ, თუმცა ეს მწარე გაკვეთილებიც მალე დაივიწყა.

როცა ისრაელი კვლავ განუდგა ჭეშმარიტების გზას, უფალმა ძლიერი მტრის, ფილისტიმელების ხელში ჩააგდო იგი. მრავალი წლის განმავლობაში ავიწროებდა ისრაელს ეს ვერაგი, სასტიკი, მეომარი მტერი, დროდადრო კი სრულიად იპყრობდა მას. შეერივნენ ამ წარმართებს ისრაელიანნი, მონაწილეობდნენ მათ გართობებსა და კერპთმსახურებაში; უკვე ერთი სული და ერთი ინტერესი ჰქონდათ. შემდგომში კი ეს მოჩვენებითი მეგობრები ისრაელის უბოროტეს მტრებად იქცნენ და ყველა ღონეს ხმარობდნენ მის გასანადგურებლად.

ძველი ისრაელის მსგავსად, ქრისტიანებიც ხშირად ექცევიან წუთისოფლის ზეგავლენის ქვეშ, ღებულობენ მის პრინციპებსა და ტრადიციებს, რათა ურჯულოებთან მეგობრული დამოკიდებულება შეინარჩუნონ, მაგრამ შემდგომში მიხვდებიან, რომ ეს ცრუმეგობრები მათი ყველაზე საშიში მტრები არიან. გასაგებად გვასწავლის ბიბლია, რომ ღვთის ხალხსა და წუთისოფელს შორის არავითარი კავშირი არ უნდა არსებობდეს. "ნუ გაგიკვირდებათ, ძმანო, თუ სძულხართ წუთისოფელს" /1 იოან. 3:13/. ჩვენი მაცხოვარი ამბობს: "თუ თქვენ წუთისოფელს სძულხართ, იცოდეთ, რომ თქვენზე უწინ მე შემიძულა" /იოან. 15:18/. მოჩვენებითი მეგობრობის ნიღაბს ამოფარებული სატანა ურჯულოთა მეშვეობით მოქმედებს,

ღვთის ხალხს ცოდვის ქსელში ახვევს და ღმერთს აშორებს, ხოლო, როცა იგი უფლის მფარველობას კარგავს, ბოროტ ანგელოზთ ამხედრებს მის წინააღმდეგ და მის დაღუპვას ცდილობს.

[559]

თავი 54 - სამსონი

მსაჯულნი 13-16

ფართოდ გავრცელდა განდგომილება და, თუმცა იეჰოვას ერთგულნი კვლავ ევედრებოდნენ უფალს ისრაელის გათავისუფლებას, მათი ლოცვები, თითქოსდა, შეუსმენელი რჩებოდა. და როს წლიდან წლამდე სულ უფრო მძიმდებოდა მტრის უღელი, უფლის განგება დახმარებას გეგმავდა მათთვის. ფილისტიმელთა შემოსევის პირველივე წლებში დაიბადა ყრმა, რომლის მეშვეობითაც განიზრახა უფალმა ამ უძლიერესი მტრის ძალთა გაცამტვერება.

ქვეყნის საზღვრებთან, რომლის გორაკებიდან კარგად მოჩანდა ფილისტიმელთა დაბლობები, პატარა სოფელი, ცორა,

მდებარეობდა, სადაც თავის ოჯახთან ერთად ცხოვრობდა მანოახი, დანის ტომიდან, ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვან ოჯახთაგან, რომელნიც, ამ საერთო განდგომისას, ღვთის ერთგულებას ინარჩუნებდნენ. უშვილო იყო მანოახის ცოლი და აი, ერთხელ, "გამოეცხადა ქალს უფლის ანგელოზი", რომელმაც აუწყა, რომ მას შეეძინება ვაჟი, ღვთისაგან მოწოდებული ისრაელის გასათავისუფლებლად. თან აუხსნა ანგელოზმა, თუ როგორ უნდა ეცხოვრა და როგორ აღეზარდა შვილი. "ოღონდ ფრთხილად იყავი, არ დალიო ღვინო და თაფლუჭი, უწმიდურიც არაფერი ჭამო". იგივე შეზღუდვები ეხებოდა ყრმასაც. ამას გარდა, სამართებელი არ უნდა მიჰკარებოდა მის თავს, რადგან სიყრმიდანვე ღვთის მოწმიდარი უნდა ყოფილიყო.

ყოველივე უამბო მანოახს ცოლმა, თუ როგორ გამოეცხადა ანგელოზი და რა უთხრა მას. შეშინდა მანოახი, რომ რაიმე შეცდომა არ დაეშვა ღვთის დავალების აღსრულებაში და შეევედრა: "უფალო! ერთხელ კიდევ გვეწვიოს შენგან მოვლენილი ღვთისკაცი და გვითხრას, რა ვუყოთ ყმაწვილს, რომელიც გაჩნდება".

როცა ანგელოზი კვლავ მოვიდა, მღელვარებით ჰკითხა მანოახმა: "რა უნდა ვუყოთ ამ ყმაწვილს, როგორ უნდა მოვექცეთ?" კვლავ გაუმეორა ანგელოზმა ადრინდელი დარიგებანი: "ერიდოს ყველაფერს, რაც ქალს ვუთხარი. არაფერს

გაეკაროს, ვაზისაგან მოწეულს, არც რამე უწმიდური ჭამოს. შეასრულოს ყველაფერი, რაც ვუბრძანე".

უდიდესი საქმის შესრულება უნდა დაევალებინა უფალს მანოახის აღთქმული ძისათვის. და იმისათვის, რომ ყრმას მომავალში ეს დავალება შეესრულებინა, დედასაც და შვილსაც ცხოვრების განსაკუთრებული წესი დაუდგინა უფალმა: "ღვინო და თაფლუჭი არ დალიოს, - ანგელოზის მეშვეობით უბრძანა უფალმა მანოახის ცოლს, - უწმიდური არაფერი ჭამოს. ყველაფერი, რაც მას ვამცნე, შეასრულოს". დედის თვისებები, კარგი თუ ცუდი, დიდ გავლენას ახდენს ბავშვზე. თუკი დედას თავისი შვილისათვის სიკეთე სურს, მან განსაკუთრებული პრინციპებით უნდა იცხოვროს, ზომიერება და თავდადება გამოიჩინოს. უგუნური მრჩეველნი ირწმუნებიან, რომ ორსულობის ჟამს დედამ თავისი ყოველგვარი სურვილი უნდა დაიკმაყოფილოს; მაგრამ ასეთი თვალსაზრისი არასწორია და მავნეც. თავად უზენაესის ბრძანებით, დედას ყველაფერში თავშეკავებულობის გამოვლენა ევალება.

პასუხისმგებლობა ეკისრება როგორც დედას, ასევე მამას. შვილებს მემკვიდრეობით გადაეცემათ მშობლების ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობანი, მათი ხასიათის თვისებები და სურვილები. ხშირად, თავშეუკავებლობის გამო, მშობლები ფიზიკურად, გონებრივად და ზნეობრივადაც უძლურდებიან.

ლოთნი და თამბაქოს მწეველნი ხშირად ასაჩუქრებენ თავიანთ შვილებს გაუმაძღრობით, სიფიცხით და ნევროზით.

[560]

[561]

უზნეო მშობელთაგან შთამომავლობას გადაეცემა მდაბალი მანკიერებანი და საზარელი სენიც კი. და, რადგან შვილები უფრო ნაკლებად ეწინააღმდეგებიან ცდუნებებს, ვიდრე მათი მშობლები, ყოველი ახალი თაობა სულ უფრო და უფრო დაბლა ეცემა. მშობლები აგებენ პასუხს როგორც შვილებისათვის მანკიერებისა და გახრწნილ ვნებათა გადაცემის გამო, ასევე, უფრო მეტად, ათასობით ფიზიკურად მახინჯი ბავშვის - დაბადებიდან ბრმათა, ყრუ-მუნჯთა და გონებასუსტთა გამო.

ყოველმა დედამ და მამამ უნდა იკითხოს: "რა უნდა ვუყოთ ამ ყმაწვილს, როგორ უნდა მოვექცეთ?" ბევრი არც აქცევს ყურადღებას ორსულობის წინა პერიოდს, მაგრამ მითითება, რომელიც ზეცამ ებრაელ მშობლებს მისცა, შემდეგ კი ორჯერ მეტად სერიოზულად და დაწვრილებით გაუმეორა, ამ საკითხისადმი ჩვენი უფლის დამოკიდებულებაზე მეტყველებს.

აღთქმული ყრმისათვის საკმარისი არ იყო მშობლებისაგან ჯანსაღი მემკვიდრეობის მიღება. საჭირო იყო გულმოდგინე აღზრდა და მასში კარგი ჩვევების ჩამოყალიბება. უფალმა ბრძანა, რომ ისრაელის მომავალი მსაჯული და განმათავისუფლებელი სიყრმიდანვე მკაცრ პირობებში უნდა აღზრდილიყო. დედის მუცლიდანვე მოწმიდარი უნდა ყოფილიყო იგი, ე.ი. არ უნდა დაელია ღვინო და რაიმე სხვა მაგარი სასმელი. დაბადებიდანვე უნდა ვასწავლოთ ბავშვებს თავშეკავება, ზომიერება და თავგანწირვა.

ანგელოზის გაფრთხილება "უწმიდურსაც" ეხებოდა. უწმიდურ და წმიდა საკვებს შორის განსხვავება არ იყო უბრალო ფორმალობა, არამედ იგი სანიტარულ პრინციპებზე იყო დაფუძნებული, რომელთა დაცვაც მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს სიცოცხლის საოცარ ხანგრძლივობას, რომლითაც ათასწლეულთა მანძილზე გამოირჩეოდა ებრაელი ხალხი. ზომიერება - უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ სპირტიანი სასმელების აკრძალვა. ამგზნები და ძნელად მოსანელებელი საკვების მიღება არანაკლებ ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას და, ხშირ შემთხვევაში, ლოთობის თავდაპირველი მიზეზიცაა. ჭეშმარიტი თავშეკავებულობა გვასწავლის, სრულიად უარვყოთ ყოველივე ზიანის მომტანი და სასარგებლოც გონივრულად გამოვიყენოთ. ძალიან ბევრს არ ესმის, თუ რა დიდ ზეგავლენას ახდენს ჯანმრთელობაზე, ხასიათზე, ამ წუთისოფელში სარგებლობის მოტანის შესაძლებლობებზე და მარადისობაში მათ ხვედრზე კვებაში

ზომიერების დაცვა. მადა ყოველთვის გონებას უნდა ექვემდებარებოდეს. სხეული გონების მსახური უნდა იყოს და არა - პირიქით.

მანოახისადმი მიცემული აღთქმა ჭეშმარიტად თავის დროზე ასრულდა - შეეძინა ვაჟი, რომელსაც სამსონი დაარქვეს. ყრმა იზრდებოდა და ცხადი ხდებოდა, რომ იგი უჩვეულო ფიზიკური ძალის პატრონი უნდა ყოფილიყო. თუმცა თავად სამსონს და მის მშობლებსაც კარგად ესმოდათ, რომ ეს მისი კუნთების განსაკუთრებული აგებულებით კი არ იყო გამოწვეული, არამედ მისი მოწმიდრობით, რომლის სიმბოლოსაც მისი გრძელი თმა წარმოადგენდა. სამსონსაც რომ ისევე ერთგულად შეესრულებინა ღვთიური ბრძანება, როგორც ამას მისი მშობლები აკეთებდნენ, უფრო ღირსეული და ბედნიერი ცხოვრება ექნებოდა. მაგრამ წარმართებთან ურთიერთობამ გააფუჭა იგი. ცორა ფილისტიმელთა ქვეყანას ესაზღვრებოდა და სამსონმა იქაურებთან მეგობრული ურთიერთობა დაამყარა. ამგვარად, სიყრმეში ფესვგადგმულმა მეგობრობამ შემდგომში მთელი ცხოვრება გაუმწარა მას. ახალგაზრდა ფილისტიმელი ქალი შეუყვარდა სამსონს, თიმნათის მცხოვრები და მასზე დაქორწინება გადაწყვიტა. მისი ღვთისმოსავი მშობლების მრავალი თხოვნის მიუხედავად, რომლებიც ცდილობდნენ, დაერწმუნებინათ სამსონი, ხელი აეღო ამ განზრახვაზე, იგი აცხადებდა: "ის მომეწონა". ბოლოს, მშობლებიც დათანხმდნენ და სამსონიც დაქორწინდა.

[562]

სამსონმა სიჭაბუკიდან სრულწლოვანებაში შედგა ფეხი და ყველაზე მეტად ახლა უნდა გამოევლინა უფლისადმი ერთგულება, რათა ღვთიური დავალება შეესრულებინა, მაგრამ სწორედ ამ დროს დაუკავშირდა იგი ისრაელის მტრებს. სულ არ დაფიქრებულა, თავის გულის სწორთან შეკავშირებით უკეთ განადიდებდა უფლის სახელს თუ, პირიქით, ვერ აღასრულებდა მასზე დაკისრებულ დავალებას. ყველას, ვინც, უპირველეს ყოვლისა, უფლის განდიდებისათვის იღწვის, უფალი აღუთქვამს, რომ მისცემს სიბრძნეს. მაგრამ არ არსებობს არავითარი მსგავსი აღთქმა მათ მიმართ, ვინც უფლისაგან არ ითხოვს სიბრძნეს.

სამსონის მსგავსი რამდენი ადამიანია ამქვეყნად! რა ხშირად ქორწინდება მორწმუნე ურჯულოზე მარტო იმიტომ, რომ ცოლის ან ქმრის არჩევაში მხოლოდ ვნებებით ხელმძღვანელობს! ასეთ შემთხვევაში არც საცოლე და არც საქმრო არ ეკითხება რჩევას უფალს და არც მის დიდებაზე ფიქრობს. ქრისტიანულმა რელიგიამ გავლენა უნდა იქონიოს ოჯახის შექმნაზე, მაგრამ ძალიან ხშირად ქორწინების მოტივები სრულ უთანხმოებაშია ქრისტიანულ პრინციპებთან. სატანა მუდამ ცდილობს, ცდუნების გზით თავისი ზეგავლენის ქვეშ მოაქციოს ღვთის ხალხი და თავისას დაუკავშიროს, ხოლო

საკუთარი მიზნების მისაღწევად, ცოდვილ ვნებებს აღძრავს ადამიანთა გულებში. მაგრამ უფალი ასწავლის და აფრთხილებს თავის ხალხს, არ დაუკავშირდნენ იმ ადამიანებს, რომელთაც ღვთის სიყვარული არა აქვთ. "რა შეთანხმება აქვს ქრისტეს ბელიართან? ან რა წილი აქვს მორწმუნეს ურწმუნოსთან? რა კავშირი აქვს ღვთის ტაძარს კერპებთან?" /2 კორ. 6:15,16/.

საქორწინო ნადიმზე სამსონი მათ დაუახლოვდა, ვისაც ასე ძლიერ სძულდა ისრაელის ღმერთი. ვინც ასეთ ადამიანებთან თავისი ნებით გააბამს კავშირს, იძულებული ხდება, რამდენადმე შეითვისოს მათი ზნე-ჩვეულებები და გემოვნება. ამგვარად გატარებული დრო დაკარგულზე უარესია. ამ დროს ისეთი აზრები იპყრობს ადამიანს, ისეთ სიტყვებს წარმოთქვამს იგი, რომელთაც შეუძლია, შეასუსტოს რწმენა და სულის სიძლიერე.

ქალმა, რომლისთვისაც სამსონმა უფლის ბრძანება დაარღვია, საქორწინო ნადიმზევე უღალატა ქმარს. მისი ღალატით განრისხებულმა სამსონმა ერთხანს მიატოვა იგი და მარტო დაბრუნდა სახლში, ცორაში. შემდეგ გული მოულბა და მასთან დაბრუნდა, მაგრამ სხვაზე გათხოვილი დახვდა იგი. შურისძიებას, რომელიც სამსონმა იმაში გამოხატა, რომ ფილისტიმელთ "გადაუწვა ძნებიცა და სამკალიც, ვენახებიცა და ზეთისხილის ბაღებიც", ფილისტიმელებმა ქალის მკვლელობით უპასუხეს, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ მათმა მუქარამ

აიძულა ქალი, ასეთი საქციელი ჩაედინა. ცოტა ხნით ადრე, თავისი საოცარი ძალა სამსონმა მაშინ გამოავლინა, როცა შიშველი ხელით მოკლა ლომის ბოკვერი და ოცდაათი ასკალონელი კაცი სიცოცხლეს გამოასალმა. ახლა კი, ცოლის მხეცური მკვლელობით გამძვინვარებულმა, ფილისტიმელები ააწიოკა და დაამარცხა. შემდეგ გაეცალა მტერს, "წავიდა და ყეტამის კლდეში ეხს შეაფარა თავი", რომელიც იუდას შტოს ეკუთვნოდა.

მრავალრიცხოვანი მტერი უკან დაედევნა სამსონს, როცა ყეტამის ხეობისკენ გარბოდა. და შეშინებული იუდეველები სამარცხვინოდ დათანხმდნენ, შეეპყროთ და მტრისათვის გადაეცათ იგი. ამგვარად, სამი ათასი კაცი იუდას შტოდან მივიდა მასთან. მაგრამ, ძალთა ასეთი უთანასწორობით გამხნევებულნი, მაინც ვერ გაბედავდნენ მასთან მიახლოებას, დარწმუნებულნი რომ არ ყოფილიყვნენ, რომ სამსონი ზიანს არ მიაყენებს თანამემამულეთ. ნება დართო სამსონმა თანამოძმეთ, თოკით გაეკოჭათ და ფილისტიმელთათვის გადაეცათ, მაგრამ მანამდე დაპირება ითხოვა იუდეველთაგან, რომ მოსაკლავად არ დაესხმიან თავს და არ აიძულებენ მათ სისხლში ხელის გასვრას. ორი ახალი თოკით

[563]

[564]

შეკრეს იგი და მხიარული შეძახილებით მიიყვანეს მტრის ბანაკში. მაგრამ იმ დროს, როცა ყიჟინით შემოეხვივნენ ფილისტიმელნი, "უფლის სული გადმოვიდა მასზე". ნაკუწ-ნაკუწ აქცია სამსონმა ახალი, მაგარი თოკები, სწვდა პირველივე იარაღს, რაც ხელში მოხვდა და, თუმცა ის "ვირის ახალი თავყბა" აღმოჩნდა, მახვილზე უკეთესად იქნევდა და იქამდე ებრძოდა ფილისტიმელთ, ვიდრე გაქცევით არ უშველეს თავს, დატოვეს რა ათასობით მოკლული ბრძოლის ველზე.

ისრაელიანთ რომ ამ გამარჯვებით ესარგებლათ და სამსონს შეერთებოდნენ, ჯერ კიდევ მაშინ შეძლებდნენ მტრისაგან გათავისუფლებას, მაგრამ შედრკნენ და შეშინდნენ, არ შეასრულეს უფლის დავალება, განედევნათ წარმართნი. პირიქით, მიიღეს მათი მდაბალი კერპები, ითმენდნენ მათ სისასტიკეს და მათ უსამართლობასაც კი უჭერდნენ მხარს, როცა ის პირადად არ ეხებოდათ. უბრძოლველად დანებდნენ, სულმდაბლურად დაეცნენ, რასაც, ღვთისადმი მორჩილების შემთხვევაში, თავიდან აიცილებდნენ. მაშინაც კი, როცა უფალი ისრაელიანთ მხსნელს უგზავნიდა, ხშირად ტოვებდნენ მას და მტრის მხარეზე გადადიოდნენ.

ამ გამარჯვების შემდგომ თავის მსაჯულად აირჩია სამსონი ისრაელმა. ოცი წლის განმავლობაში ებრაელთა მმართველი იყო

იგი. მაგრამ ერთ მცდარ ნაბიჯს მეორე მოსდევს. სამსონმა უფლის ნების საწინააღმდეგოდ იქორწინა ფილისტიმელ ქალზე, ახლა კი ახალი, აკრძალული ვნების დასაკმაყოფილებლად, კვლავ მოსისხლე მტრის ბანაკში გაბედა გამოჩენა. თავისი საოცარი ძალის იმედით, ფილისტიმელთ შიშის ზარს რომ სცემდა, თამამად გაემართა იგი ღაზაში მცხოვრებ ერთ მეძავთან. შეიტყო ქალაქის მოსახლეობამ მისი იქ ყოფნის ამბავი და შურისძიების გრძნობით აენთო. მათი უძლიერესი მტერი ახლა მათ უძლიერეს ციხესიმაგრეში იმყოფებოდა და, წარმატებაში დარწმუნებულნი, ისინი მხოლოდ გათენებას ელოდნენ, რათა გამარჯვებით დამტკბარიყვნენ. გაეღვიძა შუაღამისას სამსონს; გაახსენდა ღვთის წინაშე დადებული აღთქმა უფლისადმი მარადიული მსახურების შესახებ და სინდისის მტანჯველმა ქენჯნამ შეიპყრო. მაგრამ, მიუხედავად ამ დანაშაულისა, უფალმა თავისი წყალობა არ წაართვა მას. მისმა საოცარმა ძალამ კვლავ იხსნა იგი. მივიდა ქალაქის კარიბჭესთან, სვეტებიანად და ურდულებიანად მოგლიჯა იგი, მხრებზე გაიდო და მთის წვერზე აიტანა, ხებრონს გადაღმა.

ძლივს დააღწია სამსონმა ხიფათს თავი, მაგრამ ამ შემთხვევამაც ვერ ასწავლა ჭკუა. მართალია, ფილისტიმელებთან წასვლას ვეღარ ბედავდა, მაგრამ გრძნობათა დაკმაყოფილების წყაროს კვლავაც ეძებდა, რასაც დაღუპვისაკენ მიჰყავდა იგი. ამის შემდეგ ერთი ქალი შეუყვარდა სორეკის ხეობაში, თავისი დაბადების ადგილის მახლობლად. დალილა ერქვა იმ ქალს, რაც "გამანადგურებელს" ნიშნავს. თავისი ვენახებით განთქმულმა

სორეკის ხეობამაც აცდუნა არამტკიცე მოწმიდარი, რომელმაც ერთხელ უკვე იგემა ღვინო, რითაც სიწმიდესთან და უფალთან დამაკავშირებელი კიდევ ერთი ძაფი გაწყვიტა. ყურადღებით უთვალთვალებდნენ ფილისტიმელნი თავიანთი მტრის ყოველ ნაბიჯს და, გაიგეს რა გოლიათის ახალი გატაცების შესახებ, დალილას ხელით მისი დაღუპვა გადაწყვიტეს.

ფილისტიმელთა ყოველი პროვინციის წარმომადგენელთა დიდი ჯგუფი გააგზავნეს სორეკის ხეობაში სამსონის ხელში ჩასაგდებად. ვერ გაბედეს მისი შეპყრობა, რადგან კარგად უწყოდნენ, რა უჩვეულო ძალის პატრონიც იყო. მისი ძლიერების საიდუმლოს გაგება მოისურვეს. მოისყიდეს დალილა და ამ საიდუმლოს გაგება დაავალეს.

მაცდური ქალის შეკითხვებზე პასუხის გაცემისას იცრუა სამსონმა, რომ

[565]

მისი განსაკუთრებული ხერხით შეკვრის შემთხვევაში იგი ჩვეულებრივ ადამიანად იქცეოდა. როცა ქალი ნათქვამის მიხედვით მოიქცა, სიცრუე გამომჟღავნდა. მაშინ დალილამ

სიცრუეში ამხილა სამსონი და უსაყვედურა: "როგორღა მეუბნები, მიყვარხარო, თუ გულით არა ხარ ჩემთან? აჰა, სამჯერ მომატყუე და არ გამიმხილე, საიდან გაქვს ეგ დიდი ძალა". სამჯერ შეეძლო სამსონს, დარწმუნებულიყო იმაში, რომ მისი სატრფო ფილისტიმელებთან იყო შეთქმული და მისი დაღუპვა სურდა, მაგრამ, თავისი გეგმების ჩაშლისას, ქალი ყველაფერს ხუმრობად აქცევდა. სამსონიც ბრმად იცილებდა თავიდან ყოველგვარ შიშს.

ასე ტანჯავდა დალილა სამსონს ყოველდღიურად თავისი შეკითხვებით და "სიცოცხლე მოსძულდა სამსონს". მაგრამ რაღაც ამოუცნობი ძალა უფრო ძლიერად იზიდავდა მისკენ. და ბოლოს, დამარცხებულმა სამსონმა თავისი ძალის საიდუმლო გაანდო დალილას: "სამართებელი არ გაჰკარებია ჩემს თავს, რადგან დედის მუცლიდან ღვთის მოწმიდარი ვარ. თავი რომ გადამპარსონ, ძალა გამომეცლება, დავძაბუნდები და სხვათა მსგავსი შევიქნები".

დაუყოვნებლივ გაგზავნა დალილამ მაცნე ფილისტიმელთა მთავრებთან და სასწრაფოდ თავისთან უხმო მათ. და, როცა მამაც მეომარს ჩაეძინა, მისი თმის მძიმე კულულები შეაჭრევინა. შემდეგ კი, როგორც ადრე სამჯერ გააკეთა, შესძახა: "ფილისტიმელები მოდიან შენზე, სამსონ!" ზე-წამოიჭრა უცბად გაღვიძებული და, როგორც ადრე, ძალის მოკრება და მტრის განადგურება მოინდომა, მაგრამ აღარ დაემორჩილა დასუსტებული ხელები. და მიხვდა სამსონი, რომ "ღმერთმა

პირი იბრუნა მისგან". როცა იგი გაპარსეს, დალილა აწვალებდა, ფიზიკურ ტკივილს აყენებდა, რათა დარწმუნებულიყო, ნამდვილად გამოეცალა თუ არა ძალა; ფილისტიმელნი ვერ ბედავდნენ მასთან მიახლოებას, ვინაიდან არ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ იგი ნამდვილად დასუსტდა. შემდეგ შეიპყრეს, თვალები დასთხარეს და ღაზაში წაიყვანეს. საპყრობილეში ჯაჭვებით შეკრეს და მძიმე სამუშაოზე გაამწესეს.

როგორ შეიცვალა ცხოვრება კაცისა, რომელიც ერთ დროს ისრაელის მსაჯული და დამცველი იყო, ახლა კი უძლურ, ბრმა ტუსაღად ქცეულიყო და მონის შავ სამუშაოს ასრულებდა! ყოველ ნაბიჯზე არღვევდა იგი თავისი წმიდა მოწოდების პირობებს. დიდხანს ითმენდა უფალი ყოველივე ამას, მაგრამ, როცა იგი იმდენად დაემონა ცოდვას, რომ საკუთარი საიდუმლო გასცა, უფალმა პირი იბრუნა მისგან. არავითარი ძალა არ ჰქონდა მის გრძელ თმას - იგი ღვთისადმი ერთგულების სიმბოლო იყო მხოლოდ. და როდესაც ეს სიმბოლო მის ვნებათა ღელვას შეეწირა, სამსონმა დაკარგა კურთხევა, რომლის სიმბოლოსაც მისი თმა წარმოადგენდა.

ფილისტიმელთათვის გასართობ საგნად ქცეული სამსონი, გატანჯული და დამცირებული, ახლა, პირველად თავის სიცოცხლეში, ჩასწვდა საკუთარი უძლურების მთელ სიღრმეს და უდიდესმა მწუხარებამ ღრმა მონანიების გრძნობა აღუძრა. როგორც კი მისმა თმამ ზრდა იწყო, ნელ-ნელა დაუბრუნდა

ძალა, მაგრამ მტრები კვლავინდებურად უძლურ, ბორკილდადებულ ტყვედ თვლიდნენ მას და ამაზე არც უფიქრიათ.

ეს გამარჯვება ფილისტიმელებმა თავის ღმერთს მიაწერეს და ამით გახარებულნი, ისრაელის ღმერთს ლანძღავდნენ. დიდი ზეიმი გამართეს თავისი ღმერთის, დაგონის, ანუ "ზღვის მფარველის" პატივსაცემად. ფილისტიმელთა ქვეყნის ყველა კუთხიდან, ქალაქიდან თუ სოფლიდან შეიკრიბა აქ ხალხი თავიანთ მთავრებთან ერთად. მლოცველთა ჯგუფებით აივსო მთელი ტაძარი, მისი აივნები და სახურავიც კი. ყველგან სიხარულისა და აღტყინების შეძახილები გაისმოდა. მსხვერპლშეწირვის საზეიმო ცერემონიალის დამთავრების შემდეგ გაისმა მუსიკის ჰანგები და ნადიმიც დაიწყო. და აი, მოიყვანეს და მონადიმეთ

[566]

[567]

წარუდგინეს სამსონი, როგორც უძლიერესი დაგონის ყველაზე დიდი ნადავლი. აღტაცების შეძახილებით შეხვდნენ სამსონის

გამოჩენას. დასცინოდნენ მის საცოდავ ყოფას ფილისტიმელნი და მათი მთავრები და ადიდებდნენ ღმერთს, რომელმაც ასე გაანადგურა მათი ქვეყნის დამღუპველი. ცოტა ხნის შემდეგ ითხოვა სამსონმა, ნება დაერთოთ, დაღლილობის გამო დაყრდნობოდა ცენტრალურ სვეტებს, რომლებზედაც სახლი იდგა. შემდეგ ჩუმად ილოცა: "უფალო ღმერთო, გამიხსენე! ამ ერთხელაც გამაძლიერე, ღმერთო, ერთბაშად რომ მივუზღო ფილისტიმელებს..." ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე სვეტებს მოხვია თავისი ძლიერი ხელები და შესძახა: "მოკვდი, სულო ჩემო, ფილისტიმელებთან ერთად!" - და დაიხარა. ჩამოინგრა ტაძრის სახურავი და გაანადგურა შიგნით მყოფი ურიცხვი ფილისტიმელი. "დახოცილები, სამსონმა სიკვდილისას რომ დახოცა, იმათზე მეტნი იყვნენ, სიცოცხლეში რომ ჰყავდა დანახოცი".

კერპიც და მისი თაყვანისმცემელნიც, ქურუმიც და გლეხიც, მეომარიც და დიდებულიც - ყველა დაგონის ტაძრის ნანგრევებში დაიმარხა. მათ შორის იყო სხეული გოლიათისა, რომელიც უფალმა ღმერთმა ისრაელს მხსნელად გამოუგზავნა. ამ საშინელმა ამბავმა ისრაელის ყურამდეც მიაღწია. მაშინ სამსონის ნათესავებმა დაუბრკოლებლივ "აიღეს იგი და წაასვენეს და მამამისის, მანოახის სამარხში დამარხეს ცორასა და ეშთაოლს შორის".

უფლის აღთქმა იმის შესახებ, რომ სამსონი "შეუდგება ისრაელის დახსნას ფილისტიმელთა ხელიდან", აღსრულდა. მაგრამ რა

საშინელია და ბნელი ცხოვრების ისტორია კაცისა, რომელიც ერის სიამაყე და უფლის სახელის განმადიდებელი უნდა ყოფილიყო! ღვთიური მოწოდებისადმი ერთგულების შემთხვევაში, უფლის განზრახვის ასრულება პატივსა და დიდებას მოუტანდა მას. მაგრამ ცდუნდა იგი და არ აღმოჩნდა უფლის ნდობის ღირსი, თუმცა მისი მისია მაინც აღსრულდა, მხოლოდ მისი დამარცხების, მონობისა და სიკვდილის ფასად.

ფიზიკურად სამსონი ერთ-ერთი უძლიერესი კაცი იყო დედამიწაზე, მაგრამ სუსტი აღმოჩნდა იგი თავშეკავების, პატიოსნებისა და სიმტკიცის მხრივ. ბევრი ძლიერ ვნებებს ადამიანის ძლიერ ხასიათად მიიჩნევს, სინამდვილეში კი, ის, ვინც თავის სურვილებს ემორჩილება, სუსტი ადამიანია. ადამიანის ჭეშმარიტი ღირსება იზომება იმ გრძნობათა ძალით, რომლის მართვაც მას შეუძლია და არა პირიქით.

ზეციერი მამა ზრუნავდა სამსონზე, როცა განსაკუთრებული მისიისათვის ამზადებდა მას. დაბადებიდანვე ჩინებული პირობები შეუქმნა მას ფიზიკური და გონებრივი ძალებისა და ზნეობრივი სიწმიდის გასავითარებლად, მაგრამ უწმიდურ კავშირთა გამო აღარ დაენდო იგი უფალს, ადამიანის მეოხს და გაიტაცა ბოროტებამ. ის, ვისაც თავისი მოვალეობის შესრულებისას განსაცდელი ელის, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ დაიცავს უფალი; მაგრამ თუკი ადამიანები საკუთარი

ნებით დაემორჩილებიან მაცდურ ძალას, ადრე თუ გვიან, დაეცემიან.

სწორედ მათ ცდუნებას ცდილობს სატანა, ვინც უფალმა თავისი ნების აღმსრულებელ იარაღად აირჩია. სწორედ ჩვენს სუსტ ადგილებს და ნაკლს ირჩევს საიერიშოდ, რათა სრულად გაბატონდეს ადამიანზე. რადგან კარგად უწყის, რომ თუკი ამ სისუსტეებს ვერ დავძლევთ, იგი გაიმარჯვებს. მაგრამ ყველას შეუძლია ამ ბრძოლაში გამარჯვება. ადამიანი მარტოდ არ არის მიტოვებული, რათა საკუთარი, სუსტი ძალისხმევით გაიმარჯვოს ბოროტებაზე. დახმარება გვერდითაა და იგი ყველა ჭეშმარიტ მსურველს მიეცემა. იაკობის სიზმარში ნანახ კიბეზე ჩამომავალი და ამავალი ანგელოზები დახმარებას გაუწევენ ყოველ ადამიანს, ვისაც ზეციური სამყაროს ყველაზე მაღალ სფეროებში ასვლა სურს.

[568]

თავი 55 - ყრმა სამუელი

პირველი მეფეთა 1; 2:1-11

ელკანა, ლევიანი ეფრემის მთიდან, მდიდარი და მეტად პატივდებული ადამიანი იყო, ღვთისმოყვარული და მოშიში. მისი ცოლიც, ღვთისმოსავი ქალი ხანა, რბილი და კეთილი ხასიათით, გულწრფელობით, ამაღლებული და მტკიცე რწმენით გამოირჩეოდა.

ეს ღმერთის მორწმუნე წყვილი მოკლებული იყო კურთხევას, ასე ძლიერ რომ სწყუროდა ყოველ ებრაულ ოჯახს: არ ისმოდა მათ სახლში ბავშვის მხიარული ტიტინი. და, თავისი გვარის გაგრძელების მიზნით, ელკანამ, სხვა მრავალთა მსგავსად, მეორედ ქორწინება გადაწყვიტა. მაგრამ ღვთისადმი რწმენის სიმცირით ნაკარნახევმა ნაბიჯმა ვერ გააბედნიერა იგი. მართალია, ეყოლა შვილები: ასულები დ ვაჟები, მაგრამ დაიკარგა უფლის მიერ დადგენილი კავშირის სიხარული და სილამაზე. მშვიდობა აღარ იყო ოჯახში. ფენინა, ელკანას მეორე ცოლი, ეჭვიანი და გონებაშეზღუდული ქალი აღმოჩნდა. ქედმაღლურად და თავხედურად იქცეოდა. საშინელ ტანჯვა-წამებად ექცა სიცოცხლე ხანას; იმედი სრულიად გადაეწურა, მაგრამ მაინც მორჩილებითა და უსაყვედუროდ იტანდა ყოველივეს.

ერთგულად ასრულებდა ელკანა უფლის ყოველ დადგენილებას. მსახურება კვლავინდებურად სილოამში ტარდებოდა, მაგრამ, ღვთისმსახურების იშვიათად ჩატარების გამო, საწმიდარში მისი, როგორც ლევიანის, მოღვაწეობა არ იყო საჭირო. მიუხედავად ამისა, მთელი ოჯახით დადიოდა იგი დანიშნულ კრებებზე, მიჰქონდა აღსავლენი და თაყვანს სცემდა ღმერთს.

უფლის მსახურებასთან დაკავშირებულ წმიდა დღესასწაულებზეც არ ასვენებდა მათ ამ ოჯახის მტანჯველი ბოროტი სული. სამადლობელი მსხვერპლის შეწირვის შემდგომ ისინი საყოველთაო ზეიმს აწყობდნენ, რათა ემხიარულათ. ასეთი შემთხვევისათვის ელკანა განსაკუთრებულ წილს აძლევდა შვილების დედას და ყოველ ასულსა და ძეს, ხანას კი - ორმაგს, მისდამი განსაკუთრებული პატივისცემისა და სიყვარულის ნიშნად, რაც იმაზე მეტყველებდა, რომ მისი ცოლისადმი გრძნობა უცვლელია, უშვილობისდა მიუხედავად. მაშინ ეჭვებით შეპყრობილი მეორე ცოლი პირველობას ითხოვდა იმის გამო, რომ უფლის განსაკუთრებული მადლით სარგებლობდა, დასცინოდა ხანას მისი უშვილობის გამო და აცხადებდა, რომ უფალი არ სწყალობს მას. ასე გრძელდებოდა წლიდან წლამდე, ვიდრე ხანას მოთმინების ფიალა არ აევსო. ვეღარ გაუძლო მან ამდენ უბედურებას, მწარედ ატირდა, წამოდგა და მოზეიმეთ გაეცალა. ამაოდ ამშვიდებდა ქმარი: "ხანა, რატომ ტირი? რატომ არაფერს ჭამ? გული რატომ გაქვს დამწუხრებული? განა ათ შვილს არ გირჩევნივარ?" /1 მეფ. 1:8/.

საყვედურის ერთი სიტყვაც არ დასცდენია ხანას. და თავისი ტვირთი, რომელსაც ვერავის უზიარებდა მთელი დედამიწის ზურგზე, მხოლოდ ღმერთს გაანდო. გულწრფელად შესთხოვა უფალს, რომ მოეწმინდა მისთვის ეს სირცხვილი, გაეღო წყალობა და მიეცა უძვირფასესი ძღვენი - ვაჟი, რომელსაც უფალს მიუძღვნიდა. საზეიმო ფიცი დადო ხანამ, რომ, თუკი

უფალი შეისმენს მის ლოცვას, დაბადებიდანვე მიუძღვნის მას ყრმას. მიუახლოვდა საწმიდარს და "სულგამწარებულმა ქალმა დაუწყო ვედრება უფალს და ცხარედ ტიროდა". უსიტყვოდ, ჩუმად ლოცულობდა ხანა. იმ განდგომილების პერიოდში იშვიათი მოსასმენი იყო ასეთი გულწრფელი ლოცვა. უზნეო წვეულებები და ლოთობაც კი ჩვეულებრივი მოვლენა იყო რელიგიური დღესასწაულებისას. და ელიმაც, მღვდელმთავარმა, შეამჩნია რა ხანა, იფიქრა, რომ მთვრალი იყო და მკაცრად უთხრა: "რამდენ ხანს უნდა იყო მთვრალი? გამოიფხიზლე ღვინისაგან".

[569]

[570]

მორჩილებით გასცა პასუხი გულნატკენმა, შეშინებულმა ქალმა: "არა, ჩემო ბატონო. ერთი დაჩაგრული ქალი ვარ. ღვინო და მაგარი სასმელი არ დამილევია. უფლის წინაშე ვღვრი ჩემს სულს. უგვანი დედაკაცი ნუ გეგონება შენი მორჩილი. მხოლოდ დიდი მწუხარებისა და სიმწრის გამო ვლაპარაკობდი ამდენ ხანს".

გულის სიღრმემდე შეძრა ქალის სიტყვებმა მღვდელმთავარი, რადგან ღმერთის მსახური იყო იგი და, საყვედურების ნაცვლად, აკურთხა ქალი: "წადი მშვიდობით და ისრაელის ღმერთი აგისრულებს სათხოვარს, რასაც მოითხოვ მისგან".

ისმინა ღმერთმა ხანას ლოცვა; მიიღო უფლისაგან უდიდესი ძღვენი, რასაც ითხოვდა. "სამუელი" დაარქვა ახალშობილს, რაც "უფლისაგან გამოთხოვილს" ნიშნავდა. როგორც კი ყრმა იმდენად წამოიზარდა, რომ დედის რძე აღარ სჭირდებოდა, ხანამ თავისი ფიცი შეასრულა. ძლიერი, ნამდვილი დედური სიყვარულით უყვარდა ხანას თავისი შვილი. ხედავდა, როგორ იზრდებოდა და ივსებოდა ყრმა, ბავშვური ტიტინით უდიდეს სიხარულს გვრიდა ოჯახს და სულ უფრო და უფრო ძვირფასი ხდებოდა მისთვის. ის იყო მისი ერთადერთი ძე, ზეცის ძღვენი, მაგრამ ღვთისათვის მიძღვნილი საგანძური იყო იგი, ამიტომ უფლება არ ჰქონდა, მჩუქნელისათვის არ მიეცა ის, რაც ეკუთვნოდა.

კვლავ ეწვია ხანა თავის ქმართან ერთად სილოამს და ღმერთის სახელით მღვდელმთავარს ჩააბარა ძვირფასი ძღვენი. "ამ ყმაწვილის გამო ვევედრებოდი და, აჰა, ამისრულა უფალმა სათხოვარი, რასაც ვთხოვდი. ამიტომაც უფლისათვის მიმიბარებია იგი. ვიდრე ცოცხალია, უფლისთვის იქნება მიბარებული". გააოცა მღვდელმთავარი ამ ებრაელი ქალის ასეთმა რწმენამ და ერთგულებამ. თავად მეტად დამთმობი მამა,

აღტაცებული იყო დედის ასეთი დიდი მსხვერპლშეწირვით, რომელმაც თავისი ერთადერთი შვილი ღმერთის მსახურებას მიუძღვნა. შვილებისადმი მისი ეგოისტური სიყვარულის სამხილი იყო ყოველივე ეს; მოკრძალებით, მორჩილად დაეცა ელი უფლის წინაშე და თაყვანი სცა მას.

სიხარულითა და ღვთისადმი ქება-დიდების შესხმის სურვილით აინთო დედის გული. უღრმესი მადლობის გამოხატვა მოუნდა მას. წინასწარმეტყველების სულით აღივსო და წარმოთქვა:

"გამიხალისდა გული უფლის წყალობით

და ღვთის წყალობით რქა ამიმაღლდა;

გამეხსნა ბაგე მტრების წინააღმდეგ,

რადგან გავიხარე შენი შეწევნით.

არავინ არის უფალივით წმიდა,

რადგან არავინ არის შენს გარდა,

არავინ არის ღმერთივით მფარველი.

აღარ ილაპარაკებთ მედიდურად,

აღარ გამოვა თავხედური სიტყვები თქვენი ბაგიდან,

რადგან ყოვლისმცოდნე ღმერთია უფალი,

ყოველი საქმე მას აბარია...

უფალი აკვდინებს და აცოცხლებს;

შავეთში ჩაჰყავს და ამოჰყავს.

უფალი აღატაკებს და ამდიდრებს,

დაამდაბლებს და აღამაღლებს.

საპყარს მტვერიდან წამოაყენებს,

სანეხვედან აღამაღლებს უპოვარს,

რათა დიდებულთა გვერდით დასვას;

ტახტს დიდებისას დაუმკვიდრებს,

რადგან უფლისაა დედამიწის საფუძველნი

და სამყარო მათზე დაამყარა.

[571]

თავის წმიდათა ნაბიჯებს იცავს,
უკეთურები ბნელში ინთქმებიან,

რადგან საკუთარი ძალით ვერ მაგრობს კაცი.

უფალი შემუსრავს თავის წინააღმდგომთ

და ციდან დამეხავს მათ უფალი,

განსჯის ქვეყნის კიდეებს

და მისცემს ძალას თავის მეფეს

და თავის ცხებულს რქას აუმაღლებს".

ხანას წინასწარმეტყველური სიტყვები მიეკუთვნებოდა დავითსაც - ისრაელის მეფეს და მაცხოვარსაც - უფლის ცხებულს. მისი საგალობლის სიტყვები, უპირველესად, ბოროტი და თავხედი, შურიანი ქალისადმი იყო მიმართული, მაგრამ უფლის მტრების დაღუპვასა და მის მიერ გამოსყიდულ ხალხთა საბოლოო ზეიმზე მიუთითებდა.

დატოვა ხანამ ყრმა სამუელი საწმიდარში. მღვდელმთავარს ჩააბარა იგი ღვთის ტაძარში ღვთისმსახურების სასწავლებლად და დამშვიდებული დაბრუნდა სილოამიდან შინ, რამათში. თავისი შეგნებული ცხოვრების პირველივე დღიდან ასწავლიდა იგი შვილს ღვთის პატივისცემას და იმას, რომ იგი ღმერთს ეკუთვნის. მთელი ირგვლივ მყოფი სამყაროს მოწმობით ცდილობდა ყმაწვილის ფიქრების ღვთისაკენ წარმართვას... და, თუმცა შვილი მასთან აღარ იზრდებოდა, ერთგული დედა

მუდამ ზრუნავდა მასზე. მისი ყოველდღიური ლოცვების საგანი იყო იგი. ყოველწლიურად, საკუთარი ხელით უქსოვდა შვილს სამოსელს მსახურებისათვის და თავისი სიყვარულის ნიშნად მიჰქონდა შვილთან, როცა ქმართან ერთად სილოამში ღვთის თაყვანსაცემად მიდიოდა. ქსოვდა იგი ამ პატარა სამოსელს და შვილის სიწმიდეს, ერთგულებასა და კეთილშობილებას ევედრებოდა ღმერთს. შვილისათვის ამქვეყნიურ ქონებას და დიდებას არ სთხოვდა იგი, არამედ იმ დიდებას, ასე ძვირფასი რომაა უფლის თვალში: უფლისადმი პატივისცემა, რათა კურთხეული ყოფილიყო მოყვასისათვის.

რა საოცარი საზღაური მიეცა ხანას! ერთგულების რა მისაბაძი მაგალითი იმალება მის საქციელში! ყოველ დედას შეუდარებლად დიდი შესაძლებლობა და უპირატესობა ეძლევა. ის მოკრძალებული შრომა მოვალეობის აღსასრულებლად, ქალი რომ მეტად მძიმე, მომქანცველ ტვირთად თვლის, მეტად კეთილშობილური და დიდია. თავისი ზეგავლენით დედა, შესაძლოა, კურთხევად იქცეს წუთისოფლისათვის. ასეთი დედა საკუთარ სულსაც ახარებს. ასეთ დედას ძალუძს, წყვდიადში გზა გაუკვალოს შვილებს დიდების მწვერვალებისაკენ. მაგრამ ჯერ თავად უნდა მისდიოს მან ქრისტეს მოძღვრებას, რათა შემდგომში ღვთის ხატებისამებრ აღზარდოს თავისი შვილები. წუთისოფელი იწამლება სხვადასხვა გამხრწნელი ზემოქმედებით. მოდამ და სხვა ყოველდღიურმა ტრადიციებმა უდიდესი ხელმწიფება მოიპოვა ახალგაზრდობაზე. და, თუკი დედა საკუთარ მოვალეობას ვერ შეასრულებს, არ ასწავლის

ჭეშმარიტებისა და თავშეკავების გზას, მაშინ შვილები, რა თქმა უნდა, სიმართლის გზიდან გადაუხვევენ და მხოლოდ ცუდს ისწავლიან. ხშირად უნდა მივიდეს ყოველი დედა მაცხოვართან ლოცვის სიტყვებით: "გვასწავლე, რა უნდა ვუყოთ ამ ყმაწვილს, როგორ უნდა მოვექცეთ?" ყოველმა დედამ ყურადღებით უნდა შეისწავლოს უფლის მითითებები მის სიტყვაში, საჭიროების შემთხვევაში კი ზეციდან მიეცემა სიბრძნე.

"ყრმა სამუელი კი იზრდებოდა და მშვენდებოდა უფლისა და ხალხის თვალში" /1 მეფ. 2:26/. თუმცა ღმერთის მსახურებისადმი მიძღვნილი თავისი სიყმაწვილე საწმიდარში გაატარა, იქაც ვერ გათავისუფლდა ცუდი ზეგავლენისა და მაგალითისაგან. ელის ვაჟებს არ ეშინოდათ ღვთისა და არც საკუთარ მამას სცემდნენ პატივს, მაგრამ სამუელს არ იზიდავდა მათ საზოგადოებაში ყოფნა და არც მათ მსგავსად იქცეოდა. მას მხოლოდ ერთი სურვილი ჰქონდა: უფლის სასურველი მსახური გამხდარიყო. ყოველ ყმაწვილს აქვს მიცემული ასეთი უპირატესობა. დიდად

[572]

[573]

სიამოვნებს უფალს, როცა პატარა ბავშვებიც კი პატივს მიაგებენ მას თავისი მსახურებით.

ელის მზრუნველობას მიანდეს სამუელი. ძლიერ შეუყვარდა ბიჭი მოხუც მღვდელმთავარს მისი ჩინებული ხასიათის გამო, რადგან მეტად კეთილი, სულგრძელი, მორჩილი და მოკრძალებული იყო ყრმა. საკუთარი შვილების უწესო ქცევით დამწუხრებული ელი მხოლოდ თავისი აღზრდილის გვერდით პოვებდა სიმშვიდეს, ნუგეშსა და მშვიდობას. გამგონე და მოსიყვარულე ყრმა იყო სამუელი და არც ერთ მამას არასოდეს ჰყვარებია საკუთარი შვილი ისე ძლიერად, როგორც სამუელი უყვარდა ელის. უჩვეულო რამ იყო ის დიდი სიყვარული, რომელიც ერის დიდებულ მსაჯულსა და ამ პატარა ბიჭს შორის არსებობდა. მხოლოდ მასში პოულობდა შვებას თავისი სიბერისა და უძლურების წლებში ელი, როცა საშინელ სევდასა და სინდისის ქენჯნას გრძნობდა თავისი ვაჟების უზნეობის გამო.

ოცდახუთ წლამდე ეკრძალებოდათ ლევიანთ უფლის სამსახურის დაწყება, მაგრამ სამუელი გამონაკლისი იყო. თანდათანობით უფრო მეტ საპასუხისმგებლო საქმეს ანდობდნენ მას და ჯერ კიდევ ყმაწვილი, საწმიდარში მსახურებისადმი განწესების ნიშნად, სელის ეფოდს ატარებდა. საწმიდარში მისი მოყვანის დღიდანვე სამუელს ღვთისმსახურებისას სხვადასხვა დავალებებს აძლევდნენ. ეს

დავალებები თავიდან მეტად უმნიშვნელო და ზოგჯერ მეტად არასასიამოვნოც კი იყო. მაგრამ ყრმა, როგორც შეეძლო, გულმოდგინედ და ერთგულად ასრულებდა ყოველდღიურ წვრილმან დავალებებს. თავს ღვთის მსახურად თვლიდა და ყოველ დავალებას - უფლის საქმედ. მოსაწონი იყო მისი მცდელობა, რადგან უფლისადმი სიყვარულით აკეთებდა ყველაფერს და მისი ნების აღსრულებაც გულწრფელად სურდა. სწორედ ამიტომ აირჩია იგი ცისა და მიწის შემოქმედმა თანამშრომლად. ღირსად სცნო იგი უფალმა და ისრაელისათვის უდიდესი საქმის აღსრულება დაავალა.

რამდენად საპატიო და სასიამოვნო იქნებოდა ბავშვებისათვის შრომა, თუკი ასწავლიდნენ, რომ მათი ყოველდღიური მოვალეობა - ეს არის უფლის მიერ დადგენილი საშუალება და სკოლა, სადაც მათ უფლისადმი ერთგულება და მისთვის სამსახური უნდა ისწავლონ. თუკი ყოველ საქმეს უფლის დავალებად ჩათვლიან, სასიამოვნო იქნება მათი შესრულება, რადგან ეს შრომა მიწიერ მშრომელთ იმ წმიდა არსებებთან აერთიანებს, რომელნიც ზეცაში უფლის ნებას ასრულებენ.

წარმატება ამქვეყნიურ ცხოვრებაში და შესვლა საუკუნო სიცოცხლეში მცირე, უმნიშვნელო საქმეების კეთილსინდისიერად, გულმოდგინედ შესრულებაზეა დამოკიდებული. უფლის ყველაზე მცირე საქმეებში არანაკლები სრულყოფილებაა, ვიდრე ძალიან დიდში. ხელმა, რომელმაც ეს

უსასრულო სამყარო გამოსახა, დახვეწილი ოსტატობით შექმნა მინდვრის შროშანებიც. როგორც უფალია სრულყოფილი თავის შემოქმედებაში, ასევე სრულყოფილად უნდა ვაკეთოთ ჩვენი საქმეები. ჰარმონიული, ძლიერი, კეთილშობილური ხასიათი პირად, წვრილმან მოვალეობათა შესრულებით ყალიბდება. ცხოვრებაში მუდამ ერთგული უნდა ვიყოთ როგორც მცირე, ასევე დიდ საქმეშიც. წვრილმანი საქმეებისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, მცირედში ერთგულება და სიზუსტე სიხარულით გაანათებს ცხოვრების ბილიკებს და, როცა დედამიწაზე ჩვენი მოღვაწეობა დასრულდება, დავინახავთ, ჩვენი ყოველი ერთგულად შესრულებული მცირე მოვალეობა ხელს უწყობდა კეთილი ზეგავლენის გავრცელებას, რომელიც არასოდეს გაქრება.

დღევანდელ ყმაწვილთ შეუძლიათ, სამუელის მსგავსად, მადლი ჰპოვონ უფლის თვალში. ქრისტიანული მოვალეობისადმი ერთგულებით ისინი დიდად დაეხმარებიან გარდაქმნის საქმეს. დღეს ძლიერ გვჭირდება ასეთი ადამიანები. უფალს ყოველი ჩვენგანისთვის აქვს საქმე. ჩვენს დღეებში შესაძლებელია არნახულ მიღწევათა მოპოვება უფლისათვის და კაცობრიობისათვის მათი მეშვეობით, ვინც უფლის დავალებების ერთგული იქნება.

[574]

თავი 56 - ელი და მისი ვაჟები

პირველი მეფეთა 2:12-36

ელი ისრაელის მღვდელმთავარი და მსაჯული იყო. ყველაზე საპასუხისმგებლო და მაღალი ადგილი ეკავა მას ღვთის ხალხს შორის. წმიდა მოვალეობათა აღმსრულებლად და ერის უმაღლეს მსაჯულად არჩეული, იგი მაგალითი იყო ყველასათვის და უდიდესი ზეგავლენა ჰქონდა ისრაელიანთა შტოებზე. და, თუმცა ის ისრაელის მმართველი იყო, საკუთარ ოჯახს ცუდად ხელმძღვანელობდა. მეტად შემწყნარებელი მამა აღმოჩნდა. სიმშვიდისა და მშვიდობის მოყვარული ელი საკუთარი შვილებისათვის ავტორიტეტს არ წარმოადგენდა და სათანადოდ ვერ ზრუნავდა მათი ნაკლისა და მანკიერების გამოსწორებისათვის. უზნეობასთან ბრძოლისა და შვილების დასჯის ნაცვლად მათ ნებას დამორჩილდა და მოქმედების სრული თავისუფლება მისცა. არ თვლიდა ელი შვილების აღზრდას თავის ერთ-ერთ მთავარ მოვალეობად. მას, მღვდელმთავარსა და მთელი ისრაელის მსაჯულს, შეუძლებელი იყო, არ სცოდნოდა შვილების აღზრდის პრინციპები, რომელთა მეურვეობაც მას ღმერთმა მიანდო. მაგრამ ელი თავს არიდებდა ამ მოვალეობას, რადგან ეს მისი შვილების ნებას ეწინააღმდეგებოდა და მათ შეზღუდვას და

დასჯას გამოიწვევდა. არ უფიქრდებოდა იგი თავისი საქციელის საშინელ შედეგს, ყველა სურვილს უსრულებდა მათ, არ ზრდიდა ღმერთის მსახურებისა და სასიცოცხლო მნიშვნელობის მოვალეობათა აღსრულებისათვის.

უფალმა აბრაამის შესახებ თქვა: "რადგან ვიცი, რომ უანდერძებს იგი თავის შვილებსა და თავის სახლს თავის შემდეგ - იარონ უფლის გზაზე, მოიქცნენ სიმართლით და სამართალი საჯონ" /დაბ. 18:19/. მაგრამ ელი, პირიქით, თავის შვილებს ემორჩილებოდა. მათ მსახურად იქცა იგი. ძლიერ ცუდად, უზნეოდ იქცეოდნენ ელის შვილები. ვერ შეიცნეს მათ ღმერთი და მისი წმიდა რჯულის არსი. ჩვეულებრივი საქმე იყო მათთვის ღვთისმსახურება. სიყრმიდანვე მიეჩვივნენ ისინი საწმიდარში მსახურებას, მაგრამ, ასაკის მატებასთან ერთად, ამ მსახურებისადმი უფრო მეტი მოწიწების ნაცვლად, ამ მსახურების სიწმიდეზე და მნიშვნელობაზე წარმოდგენა სრულიად დაკარგეს. მამა მათგან პატივისცემას არ თხოულობდა და არც საწმიდარში საზეიმო ღვთისმსახურების მიმართ გულგრილი დამოკიდებულება აღუკვეთია. და როცა ისინი სიჭაბუკეში შევიდნენ, მათი გული სკეპტიციზმისა და ამბოხების დამღუპველი, სასიკვდილო ნაყოფით იყო მოწამლული.

თუმცა ელის შვილები სრულებით უვარგისნი იყვნენ საწმიდარში მსახურებისათვის, ისინი მაინც მღვდლებად გაამწესეს. ღმერთმა მსხვერპლშეწირვის განსაკუთრებული წესი დაადგინა, მაგრამ ამ უწმიდურმა ადამიანებმა სრულიად უგულებელყვეს უფლის მსახურება და ხელმწიფება და

მსხვერპლშეწირვის კანონიც კი, რომელიც ყველაზე საზეიმო ვითარებაში უნდა აღსრულებულიყო. მსხვერპლს, რომელიც ქრისტეს სიკვდილზე მიუთითებდა, მომავალი მხსნელის მიმართ რწმენა უნდა განემტკიცებინა ადამიანთა გონებაში. აქედან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამის შესახებ უფლის მითითებების მკაცრ დაცვას. სამშვიდობო მსხვერპლები ღვთისადმი განსაკუთრებული მადლიერების გამოხატულება იყო. ამ ცერემონიალის დროს სამსხვერპლოზე მხოლოდ ქონი იწვებოდა, შემდეგ განსაზღვრული ნაწილი მღვდელს ეძლეოდა, უფრო დიდი ნაწილი კი მომტანს უბრუნდებოდა, რათა სამსხვერპლო ნადიმზე თავის მეგობრებთან და ახლობლებთან ერთად ეჭამა. ამგვარად, ყოველი ადამიანი მადლიერებითა და რწმენით აღიარებდა იმ უდიდეს მსხვერპლს, რომელსაც მთელი წუთისოფლის ცოდვები უნდა ეტვირთა.

ელის ვაჟები კი, ამ სიმბოლური მსახურების მთელი სერიოზულობით აღქმის ნაცვლად, მხოლოდ იმაზე ფიქრობდნენ, თუ როგორ დაეკმაყოფილებინათ მისი

[575]

[576]

მეშვეობით საკუთარი სურვილები. არ ჰყოფნიდათ მათ სამშვიდობო მსხვერპლთაგან მიღებული წილი და უფრო მეტს ითხოვდნენ. და ამ მსხვერპლთა უმეტესი ნაწილი, რომელიც ყოველწლიურ დღესასწაულებზე მოჰქონდათ, ხალხის ხარჯზე მათი გამდიდრების წყაროდ გადაიქცა. ისინი არა მხოლოდ იმაზე მეტს ითხოვდნენ, რაც ეკუთვნოდათ, არამედ უფლისათვის შეწირული ქონის დაწვასაც არ ელოდებოდნენ. დაჟინებით ითხოვდნენ იმ ნაწილს, რომელიც მოეწონებოდათ და, უარის შემთხვევაში, ძალით წართმევით ემუქრებოდნენ.

მღვდელმსახურთა ასეთი უღირსი საქციელი აუფერულებდა ამ მსახურების წმიდა და საზეიმო მნიშვნელობას, "რადგან ბილწავდა ეს ხალხი საუფლო ძღვენს". თვალთახედვის არიდან იკარგებოდა ამ სიმბოლურზე უფრო დიდი მსხვერპლი. "ძალზე დიდი იყო ახალგაზრდა მღვდლების ცოდვა უფლის წინაშე".

იმის გარდა, რომ ეს უწმიდური მღვდლები უფლის რჯულს არღვევდნენ და წმიდა მსახურებას ამაზრზენი საქმეებით ბილწავდნენ, თვით საწმიდარსაც აუწმიდურებდნენ მასში მსახურებით. ხოფნისა და ფინხასის ასეთი გახრწნილებით აღშფოთებულმა მრავალმა ადამიანმა აღარ მოისურვა მსახურებისათვის დანიშნულ ადგილზე მოსვლა. ამგვარად, ხალხი ტოვებდა უფლის მიერ დადგენილ მსახურებას ამ უწმიდურ ადამიანთა ცოდვების გამო, ბოროტების ადვილად მიმღები გული კი ცოდვისკენ იხრებოდა და ურჯულოებამ,

გარყვნილებამ და კერპთაყვანისმცემლობამაც ფართოდ გაშალა ფრთები.

უდიდესი შეცდომა დაუშვა ელიმ, როცა თავის ვაჟებს საწმიდარში მსახურების უფლება მისცა. ამართლებდა რა მათ საქციელს ამა თუ იმ მიზეზის გამო, იგი უკვე ვეღარც ამჩნევდა მათ ცოდვებს. მაგრამ მათმა დანაშაულმა მალე ისეთ ზღვარს მიაღწია, რომ ამაზე თვალის დახუჭვა მამას უკვე აღარ შეეძლო. ვერ ფარავდა ხალხი უკმაყოფილებას მათი საქმეების გამო და მწუხარებამ და ნაღველმა მოიცვა მღვდელმთავრის გული. დუმილი შეუძლებელი იყო. მანაც გადაწყვიტა, ხმა ამოეღო, მაგრამ მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნვას მიჩვეული მისი ვაჟები ახლაც არაფრად აგდებდნენ სხვის ინტერესებს. ისინი კარგად ხედავდნენ მამის მწუხარებას, მაგრამ სულაც არ ადარდებდათ ეს. მართალია, მოისმინეს მამის მეტად მოკრძალებული გაფრთხილება, მაგრამ ყურად არ იღეს. არ სურდათ ამ დანაშაულებრივი გზის დატოვება, თუმცა კარგად იცოდნენ თავიანთ ცოდვათა შესაძლო შედეგი. ელის რომ სამართლიანობა გამოეჩინა, მის უწმიდურ ვაჟებს არ მიეცემოდათ წმიდა მსახურებაში მონაწილეობის უფლება და სიკვდილით არ დაისჯებოდნენ. მაგრამ, სახალხო შერცხვენისა და გაკიცხვის შიშით, იგი კვლავ ანდობდა მათ წმიდა მსახურებას; კვლავინდებურად ღვთის წმიდა მსახურებაში ცოდვის შერევის ნებას რთავდა, რითაც უდიდეს ზიანს აყენებდა ჭეშმარიტებას. და რადგანაც ისრაელის მსაჯულმა ვერ

შეასრულა თავისი მოვალეობა, უფალმა თავად მოჰკიდა ხელი ამ საქმეს.

"მივიდა ერთი ღვთისკაცი ელისთან და უთხრა: ასე თქვა უფალმა: ხომ გამოვეცხადე მამაშენის სახლს ეგვიპტეში, ფარაონის სახლში ყოფნისას? ჩემთვის გამოვარჩიე იგი ისრაელის ყველა შტოდან ჩემს მღვდლად, რომ ასულიყო ჩემს სამსხვერპლოზე საკმევლის საკმევად, რომ ეფოდი ეტარებინა ჩემს წინაშე. მე განვუკუთვნე მამაშენის სახლს ისრაელიანთა მთელი საცეცხლო მსხვერპლი. რატომ წიხლავთ ჩემს მსხვერპლს და შესაწირავს, ტაძრისთვის რომ დავაწესე? რატომ ამჯობინე ჩემს თავს შენი შვილები, რომ სუქდებით ისრაელის, ჩემი ერის შესაწირავის ნათავარით? ამიტომ ამბობს უფალი, ისრაელის ღმერთი: ნათქვამი მქონდა: მარადიულად ივლიან ჩემს წინაშე შენი სახლი და მამაშენის სახლი. ამიერიდან, ამბობს უფალი, არამც და არამც! რადგან ჩემს პატივმგებელს პატივს მივაგებ, ხოლო ჩემი მოძულენი დამცირდებიან... დავიყენებ ურყევ მღვდელს, რომელიც ჩემს ნებაზე მოიქცევა, ავუშენებ ურყევ სახლს, რათა სულ მუდამ ჩემი ცხებულის წინაშე დადიოდეს".

ღმერთმა ელი იმაში დაადანაშაულა, რომ თავისი ვაჟები უფალზე მაღლა

[577]

[578]

დააყენა. უწმიდური, საზიზღარი საქმეების გამო გაკიცხვის ნაცვლად მღვდელმთავარმა ხელი შეუწყო იმას, რომ ღმერთის მიერ ისრაელის კურთხევისათვის განსაზღვრული მსხვერპლშეწირვის მსახურება საძულველი შეიქნა მათთვის. ის, ვისაც ბრმად უყვარს თავისი შვილები, ხელს უწყობს მათი ეგოისტური სურვილების დაკმაყოფილებას და უფლის ავტორიტეტზე დაყრდნობით არ კიცხავს მათ ცოდვებს, არ ცდილობს არსებული ბოროტების აღმოფხვრას და თავის შვილებს ღმერთზე მაღლა აყენებს. ასეთებს უფრო თავისი შვილების რეპუტაციის შენარჩუნება აინტერესებთ, ვიდრე უფლის სახელის განდიდება; შვილებისათვის სიამოვნების მინიჭება, ვიდრე უფლის ნების აღსრულება ან უფლის მსახურების წმიდად შენახვა.

ელი დაადგინა უფალმა ისრაელის მსაჯულად და მღვდელმთავრად და მასვე მოეთხოვებოდა პასუხი მისი ერის რელიგიური და ზნეობრივი სიმტკიცისათვის და, განსაკუთრებით, საკუთარი შვილების საქციელისათვის. თავიდან მშვიდად, რბილად უნდა ებრძოლა ბოროტების წინააღმდეგ და თუკი ეს საქმეს ვერ უშველიდა, საკმაოდ მკაცრი ზომები უნდა გაეტარებინა. უფლის რისხვა მან იმით გამოიწვია,

რომ არ დაგმო ცოდვა და ცოდვილის მიმართ სამართლიანობა არ გამოიჩინა. ვერც ის შეძლო, ისრაელისათვის სიწმიდე შეენარჩუნებინა. ის, ვინც გაბედულად არ ამხელს სხვის ცოდვებს, სერიოზულ ძალისხმევას არ იჩენს ან ზარმაცობს საკუთარი ოჯახის ან ღვთის ეკლესიის განწმედის საქმეში, პასუხს აგებს იმ სამწუხარო შედეგის გამო, რომელსაც საკუთარი მოვალეობისადმი გულგრილ დამოკიდებულებას მოაქვს. ჩვენ ვაგებთ პასუხს ბოროტებისათვისაც, რომლის თავიდან აცილება მშობლის ან ეკლესიის ხელმძღვანელის უფლებამოსილების გამოყენებით შეგვეძლო.

ღვთიური პრინციპებით არ ხელმძღვანელობდა ელი თავის ოჯახს. საკუთარი მეთოდებით მოქმედებდა იგი. მოსიყვარულე მამა არასერიოზულად მიუდგა თავისი მცირეწლოვანი შვილების შეცდომებსა და ცოდვებს. იმედოვნებდა, რომ გაიზრდებოდნენ და თავადვე გათავისუფლდებოდნენ მავნე ჩვევებისაგან. დღესაც ბევრი უშვებს მსგავს შეცდომებს. ხშირად მშობლები თვლიან, რომ უკეთესად ერკვევიან შვილების აღზრდის საკითხებში, ვიდრე ამას ღვთის სიტყვა ასწავლით. ამართლებენ ბავშვების ცუდ ქცევებს და ამბობენ: "ჯერ პატარები არიან, მათი დასჯა არ შეიძლება. გაიზრდებიან და უფრო მეტი შეგნება ექნებათ". ამრიგად, ბავშვებში ფესვს იდგამს მავნე ჩვევები და მათ უზნეო ხასიათს აყალიბებს. მშობლების ასეთი თვალსაზრისის გამო მოზარდთ უვითარდებათ ნაკლოვანებები, რომლებიც, შეიძლება, წყევლად გაჰყვეთ

მთელი ცხოვრების განმავლობაში და სხვებსაც ადვილად გადაეცეთ.

არ არსებობს ოჯახისათვის იმაზე მეტი სასჯელი, ვიდრე ბავშვების თავის ნებაზე მიშვება. თუკი მშობლები ყველა სურვილს უსრულებენ შვილებს და იმის ნებას აძლევენ, რაც კურთხევას არ მოუტანს მათ, ასეთი ბავშვები მალე კარგავენ მშობლებისადმი, უფლისადმი და ადამიანებისადმი ყოველგვარ პატივისცემას და სატანის ქვეშევრდომნი ხდებიან. ოჯახში ძლიერი ხელის არარსებობა - რაც ასე ხშირია - დამღუპველია მთელი საზოგადოებისათვის. იბადება ბოროტება, რომელიც ანადგურებს ოჯახებს, ეკლესიებსა და მთავრობებს.

ელის, ამ უმაღლესი ავტორიტეტისა და მდგომარეობის მქონე პიროვნებას, უფრო დიდი უფლებამოსილება და გავლენა გააჩნდა, ვიდრე ჩვეულებრივ ადამიანს. მის ოჯახურ ცხოვრებას მთელი ისრაელი ბაძავდა. მისი დაუდევარი, უპასუხისმგებლო საქციელის დამღუპველ შედეგს თვალს ადევნებდა ათასობით ოჯახი, რომელიც მისი მაგალითით ცხოვრობდა. როდესაც მორწმუნეთა შვილები ცუდად იქცევიან, უფლის ჭეშმარიტება ირყვნება. ქრისტიანული ოჯახის საუკეთესო მოწმობა მისი ზეგავლენით ჩამოყალიბებული ხასიათია. ღვთისმოსაობის შესახებ საქმეები უფრო ხმამაღლა ღაღადებენ, ვიდრე მჭევრმეტყველური მოწმობანი. თუკი ჭეშმარიტების აღმსარებელნი

[579]

დიდი ძალისხმევით არ შრომობენ საკუთარი ოჯახის ზნეობრივ სიმაღლეზე აყვანისათვის, რაც ღვთისადმი რწმენის ყოვლისშემძლეობაზე მეტყველებს; თუკი გულგრილად ეკიდებიან თავის მოვალეობას და შვილების ყოველგვარ სურვილებს აკმაყოფილებენ, ისინი თავიანთი მოქმედებით ელის ემსგავსებიან, ღვთის საქმეს აუწმიდურებენ, თავსაც იღუპავენ და საკუთარ შვილებსაც. მაგრამ, რაგინდ დიდიც არ უნდა იყოს მშობლების არასწორი მოქმედებით გამოწვეული ბოროტება, იგი ათმაგდება, როცა ასეთ ოჯახებში ერის მასწავლებლები არიან. როცა ისინი ღირსეულად ვერ უძღვებიან საკუთარ ოჯახებს, ასეთი მაგალითით ბევრს ღუპავენ. რაც უფრო საპასუხისმგებლოა მათი მდგომარეობა, მით უფრო მძიმეა მათი დანაშაული სხვებთან შედარებით.

უფალმა აარონის ოჯახს აღუთქვა, რომ ისინი მუდამ უფლის წინაშე ივლიან, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ სრულად მიუძღვნიან საკუთარ თავს უფლისადმი მსახურებას, მუდამ განადიდებენ ღმერთს თავიანთ გზებზე, საკუთარი თავისთვის არ გამოიყენებენ მსახურებას და ცუდად არ მოიქცევიან. გამოსცადა უფალმა ელი და მისი ვაჟები, უღირსად სცნო ისინი ისეთი მაღალი მოწოდებისა, როგორიცაა მღვდლობა უფლის

სამსახურში. და თქვა უფალმა: "ამიერიდან... არამც და არამც!" ღმერთს არ შეეძლო მათთვის განზრახულ კეთილ საქმეთა განხორციელება, რადგან მათი მხრიდან არ გაკეთდა ის, რაც უნდა გაკეთებულიყო.

ყველა, ვინც უფლის წმიდა სამსახურში დგას, ვალდებულია, საკუთარი ცხოვრებით უჩვენოს ისეთი მაგალითი, რომ ხალხმაც მოკრძალებით სცეს პატივი უზენაესს და არ შეურაცხყოს იგი. როცა "ქრისტეს სახელით მოვლენილნი" /2 კორ. 5:20/ მოწოდებულნი არიან, ამცნონ ხალხს ღვთის სახარება მისი წყალობისა და შემორიგების შესახებ, ისინი კი ამ წმიდა დავალებას საკუთარ ეგოისტურ მოთხოვნილებათა ან სურვილთა დაკმაყოფილების საფარველად იყენებენ, მაშინ სატანის ყველაზე აქტიურ თანამშრომლებად იქცევიან. ხოფნისა და ფინხასის მსგავსად, ისინიც ბილწავენ "საუფლო ძღვენს". ერთხანს, შესაძლოა, ფარულად იმოქმედონ, მაგრამ, როცა მათ ჭეშმარიტ სახეს ფარდა ეხდება, ირყევა ხალხის რწმენა: ადამიანები ხშირად ყოველგვარ ინტერესს და ნდობას კარგავენ რელიგიისადმი. ეს აიძულებს მათ, ეჭვი შეიტანონ ღვთის სიტყვის ყველა მქადაგებელში, ქრისტეს ერთგულ მსახურთა სიტყვებში. ერთი და იგივე კითხვა აწვალებთ მათ: "ხომ არ გაცხადდება ერთ მშვენიერ დღეს, რომ ესეც ისეთია, როგორც ის, რომელიც წმიდად მიგვაჩნდა, მაგრამ ასეთი უწმიდური აღმოჩნდა?" და ღვთის სიტყვა კარგავს ადამიანის სულზე ზემოქმედების უნარს.

ელის მიერ საკუთარი შვილების მიმართ წარმოთქმული მამხილებელი სიტყვები, მეტად მრისხანე და ამაღლებული, დიდად დამაფიქრებელია ღვთის მსახურთათვის. "თუ კაცმა კაცს შესცოდა, ღვთის სამართალია ქომაგი; თუ უფალს შესცოდა კაცმა, ვინ გამოექომაგება?" მათი დანაშაული მხოლოდ ადამიანთა შეურაცხმყოფელი რომ ყოფილიყო, დამსახურებულ სასჯელს და დანაკარგის ანაზღაურებას დააკისრებდა მსაჯული და ამგვარად, დამნაშავეთ მიეტევებოდათ. ან მათი ცოდვა რომ მათივე თავდაჯერებულობაში არ ყოფილიყო, აღსავლენს შესწირავდნენ მათთვის. მაგრამ უფლის სახელით მსახურება უზენაესის მღვდლებმა იმდენად შებილწეს, რომ მათ ცოდვას ვერავითარი აღსავლენი ვერ გამოისყიდდა. საკუთარი მამა, თუმცა მღვდელმთავარი იყო, ვერ ბედავდა მათთვის შუამდგომლობას. ვერ შეძლო უფლის წმიდა რისხვისაგან მათი დაცვა. ცოდვილთა შორის ყველაზე დიდი დანაშაული მათ მიუძღვის, ვისაც ადამიანის გამოსყიდვისათვის ზეცით დადგენილი საშუალება სძულს, რადგან "ისინი კვლავ ჯვარს აცვამენ ძე ღვთისას და აგინებენ" /ებრ. 6:6/.

[580]

თავი 57 - უფლის კიდობანი ფილისტიმელთა ხელში

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გაფრთხილება უნდა მოესმინა ელის სახლეულს. აღარ შეეძლო უფალს მღვდელმთავართან და მის შვილებთან ურთიერთობა - მათმა ცოდვებმა, სქელი ღრუბლის მსგავსად, მათკენ მომავალი გზა გადაუკეტა სულიწმიდას . მხოლოდ ყრმა სამუელი იყო ღვთის ერთგული იქ გამეფებულ უწმიდურებათა შორის და სწორედ მას, როგორც უზენაესის წინასწარმეტყველს, დაევალა ელის სახლისათვის განაჩენის გამოცხადება.

"უფლის სიტყვა იშვიათი იყო იმ ხანებში; ხილვები არ იყო ხშირი. ერთხელ ელი თავის ადგილზე იწვა /თვალები დასნეულებული ჰქონდა და ვეღარ ხედავდა/, ღვთის სანთელი ჯერ კიდევ არ იყო ჩამქრალი და სამუელს უფლის ტაძარში ეძინა, სადაც ღვთის კიდობანი იდგა. დაუძახა უფალმა სამუელს". ყრმას ეგონა, რომ მღვდელმთავარი ეძახდა, წამოხტა, მის საწოლთან მიირბინა და უთხრა: "აჰა, მოვედი, რომ დამიძახე". მან კი უპასუხა: "არ დამიძახნიხარ, წადი, დაწექი". სამჯერ მოესმა სამუელს იგივე ხმა და სამჯერვე ასეთი პასუხი გასცა. მაშინ მიხვდა ელი, რომ ეს იდუმალი ხმა უფალს ეკუთვნოდა. უფალმა გვერდით ჩაუარა თავის არჩეულ მსახურს, ჭაღარა მღვდელმთავარს და ყრმას მიმართა. რა თქმა უნდა, ეს ელისა და მისი სახლის დამსახურებული მხილება იყო.

მაგრამ ელის გულში არც შური და არც ეჭვი არ გაუვლია. ურჩია სამუელს, იმავე ხმის კვლავ გაგონების შემთხვევაში ასე ეპასუხა:

"ბრძანე, უფალო, გისმენს შენი მორჩილი". წმიდა შიშმა შეიპყრო ყრმა იმის გაფიქრებაზე, რომ თვით უზენაესი ღმერთი დაელაპარაკებოდა და იმდენად დიდი იყო ეს შიში, რომ დაავიწყდა, ზუსტად გაემეორებინა ელისგან ნასწავლი სიტყვები.

"უთხრა უფალმა სამუელს: ისეთ რასმე მოვახდენ ისრაელში, რომ ყოველ მის მსმენელს ორთავე ყური გაუყრუვდება. იმ დღეს თავიდან ბოლომდე აღვასრულებ ელიზე ყველაფერს, რაც მის სახლზე წარმოვთქვი. ხომ გამოვუცხადე, რომ უკუნისამდე განვსჯიდი მის სახლს უკეთურების გამო, რადგან იცოდა, რომ თავს ირცხვენდნენ მისი შვილები და არ ამხილებდა მათ. ამიტომაც დავემუქრე ელის სახლს, არც მსხვერპლით და არც ძღვენით არ გამოისყიდება-მეთქი უკუნისამდე ელის სახლის უკეთურება".

"ჯერ კიდევ ვერ სცნობდა სამუელი უფალს, ჯერ არ გამოსცხადებოდა მას უფლის სიტყვა". ე.ი. წინასწარმეტყველთაგან განსხვავებით, მან არ იცოდა რომ ტაძარში უფალი სუფევდა. უფლის განზრახვაც სწორედ ეს იყო, რომ მოულოდნელად გამოცხადებოდა ყრმას და რომ ამ გაოცებული ყრმისაგან გაეგო ელის თავისი განაჩენი.

ძლიერ შეშინდა და განცვიფრდა სამუელი, როცა მიხვდა, თუ რა საშინელი ამბავი ეუწყა. დილით კვლავ შეუდგა იგი ჩვეული

საქმის კეთებას, მაგრამ დიდად დაუმძიმდა სული ყრმას. უფალს არ უბრძანებია მისთვის ამ საშინელი სიტყვების ელისათვის გადაცემა, ამიტომ დუმდა იგი, თუმცა ელის გვერდით ყოფნას გაურბოდა. აშინებდა ფიქრი იმაზე, რომ ელის შეკითხვები აიძულებს, უამბოს ღვთიური სასჯელის შესახებ ადამიანს, რომელიც ასე უყვარდა და ასეთ დიდ პატივს სცემდა. მაგრამ ელი დარწმუნებული იყო, რომ ამ გამოცხადებაში მისი სახლის დიდ უბედურებაზე იქნებოდა ნათქვამი. უხმო სამუელს და სთხოვა, ყველაფერი გულახდილად ეამბნა, რაც ღმერთმა გაუხსნა. დაემორჩილა ყრმა და მოხუცმა მღვდელმთავარმა მორჩილებით მოისმინა საშინელი განაჩენი. შემდეგ კი წარმოთქვა: "უფალი ყოფილა. ქმნას, რაც ენებოს".

[581]

[582]

არ იყო გულწრფელი ელის მონანიება. დანაშაული კი აღიარა, მაგრამ ცოდვის აღმოფხვრა არ უცდია. რამდენჯერ გადადო უფალმა თვისი საშინელი სამსჯავრო და წარსულის შეცდომების გამოსწორების შესაძლებლობა მისცა მას, მაგრამ არაფერი იღონა მოხუცმა მღვდელმა ბოროტების აღსაკვეთად,

უფლის საწმიდარს რომ ბილწავდა და ათასობით ისრაელიანთა სულს ღუპავდა. უფლის დიდმა მოთმინებამ კიდევ უფრო გაუსასტიკა გული ხოფნისა და ფინხასს და უფრო მეტად გათავხედდნენ თავის ურჯულოებაში. მთელს ერს აუწყა ელიმ თავისი ოჯახის მიმართ უფლის გაფრთხილებისა და მხილების სიტყვები. როგორღაც შეეცადა, აღეკვეთა წარსულში თავისი არასწორი საქციელის დამღუპველი ზეგავლენა. მაგრამ, რადგან თავად მღვდელმსახურნი გულგრილად შეხვდნენ ამ გაფრთხილებებს, ხალხიც ასევე მოიქცა, ირგვლივ მყოფი ტომები კი, რომლებმაც იცოდნენ ისრაელის ხილული ურჯულოების შესახებ, უფრო ჩაიძირნენ კერპთაყვანისმცემლობისა და ცოდვის მორევში. არ გრძნობდნენ დანაშაულს ჩადენილი ცოდვების გამო: ასე მაშინ მოხდებოდა, ისრაელს რომ სიწმიდე შეენარჩუნებინა. მაგრამ შურისძიების დღე ახლოვდებოდა. უფლის ავტორიტეტი შეილახა, ღვთისმსახურება წაიბილწა, ამიტომ დადგა უფლის ჩარევის დრო, რათა თავისი სახელის სიწმიდე დაეცვა.

"გავიდა ისრაელი ფილისტიმელებთან საბრძოლველად და დაიბანაკა ებენ-ყეზერთან; ფილისტიმელები კი აფეკში დაბანაკდნენ". ეს ბრძოლა ისრაელმა უფლის რჩევის, მღვდელმთავრის ან წინასწარმეტყველის თანხმობის გარეშე დაიწყო. "დაეწყვნენ ფილისტიმელები ისრაელის პირისპირ; შენივთდა ბრძოლა და დამარცხდა ისრაელი ფილისტიმელებთან; ოთხიათასამდე კაცი დააწვინეს ბრძოლის ველზე". როცა განადგურებული, სულიერად დაცემული ადამიანები ბანაკში დაბრუნდნენ, "ისრაელის უხუცესებმა

თქვეს: რისთვის დაგვამარცხა უფალმა დღეს ფილისტიმელებთან?" აივსო ხალხის ურჯულოების თასი, თუმცა ადამიანები ვერ გრძნობდნენ, რომ საკუთარი ცოდვების გამო დაატყდათ თავს ეს საშინელი უბედურება. და თქვეს: "წამოვიღოთ სილოამიდან უფლის აღთქმის კიდობანი, იაროს ჩვენს შორის, და გვიხსნას მტრების ხელიდან". არც კიდობნის ბრძოლის ველზე წაღების მითითება და ნება მიუცია მათთვის უფალს. მაგრამ ისრაელიანნი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ეს ბრძოლაში მათ გამარჯვებას უზრუნველყოფდა. და როცა ელის ვაჟებმა კიდობანი ბანაკში მოიტანეს, სიხარულისა და აღტაცების შემახილები გაისმა ირგვლივ.

კიდობანს ისრაელის ღმერთად თვლიდნენ ფილისტიმელნი. თავისი ხალხისათვის უფლის გაკეთებულ ყველა საქმეს კიდობანს მიაწერდნენ წარმართნი. "ეს რა გრიალი დგას ებრაელთა ბანაკში? შეიტყვეს, რომ უფლის კიდობანი მოსულიყო ბანაკში. შეეშინდათ ფილისტიმელებს, როცა ითქვა: ღმერთი მოვიდაო ბანაკში. თქვეს: ვაი ჩვენ, რადგან ასეთი რამე არც გუშინ, არც გუშინწინ არ მომხდარა. ვაი ჩვენ, ვინ გვიხსნის ამ ძლიერი ღმერთებისგან! ეს ისინი არიან, ის ღმერთებია, ეგვიპტელები რომ გვემეს უდაბნოში ყოველგვარი საგვემელით. გამაგრდით და ვაჟკაცურად იყავით, ფილისტიმელებო, რომ არ დავემონოთ ებრაელებს, როგორც თქვენ გემონებიან. ვაჟკაცურად დადექით და შეებრძოლეთ".

ძლიერი შეტევით დაამარცხეს ფილისტიმელებმა ებრაელები. დიდი დანაკარგი ჰქონდათ ისრაელიანთ. ოცდაათი ათასი მეომარი დაეცა ბრძოლის ველზე, აღთქმის კიდობანი ხელთ იგდეს, მისი დამცველნი - ელის ორი ვაჟი - კი მოკლეს. ასეთია კიდევ ერთი ისტორიული მოწმობა მომავალი თაობებისათვის იმის შესახებ, რომ ღვთის ხალხის განდგომილება დაუსჯელი არ დარჩება. რაც უფრო მეტად შეიცნობენ ადამიანები უფლის ნებას, მით უფრო მძიმეა მის უარმყოფელთა ცოდვა.

უდიდესი უბედურება დაატყდა თავს ისრაელს - უფლის კიდობანი მტერმა იგდო ხელთ. ჭეშმარიტად დატოვა ისრაელი უფლის დიდებამ, როცა უზენაესის ძალისა და კარავში ყოფნის სიმბოლო დაიკარგა. ღვთიური ჭეშმარიტებისა და

[583]

[584]

ძლიერების რამდენი სასწაულებრივი გამოცხადება იყო დაკავშირებული წმიდა კიდობანთან! უდიდეს გამარჯვებებს აღწევდნენ ისრაელიანნი ყველგან, სადაც კი კიდობანი გამოჩნდებოდა. ოქროს ქერუბიმთა ფრთები ჩრდილავდა მას და

უზენაესი ღმერთის ხილული დიდება სუფევდა მასზე წმიდათა წმიდაში. მაგრამ ახლა გამარჯვება არ მოუტანია. დამარცხდნენ ისრაელიანნი, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ აღარ იყო იგი ისრაელის დამცველი და მწუხარებამ მოიცვა მთელი ბანაკი.

ვერ გრძნობდნენ ადამიანები, რომ მათი რწმენა არ იყო ჭეშმარიტი, რომ ასეთ სულიერ მდგომარეობაში ვერ გაამარჯვებინებდა ღმერთი. უფლის რჯული, კიდობანში რომ იდო, თავის ერში უფლის ყოფნის სიმბოლო იყო, მაგრამ ამ რჯულის პრინციპებისადმი არასერიოზულმა დამოკიდებულებამ და მისი მოთხოვნების უარყოფამ გაანაწყენა უფლის სული და ღმერთმაც დატოვა ისინი. სანამ ისრაელიანნი უფლის დადგენილებათა მორჩილნი იყვნენ, მათთან იყო უფალი თავისი უსასრულო ძალითა და ძლიერებით. მაგრამ, როცა კიდობანს უფალს აღარ უკავშირებდნენ, როცა უზენაესის ნების გამოცხადებას პატივს აღარ სცემდნენ და მის რჯულს აღარ ემორჩილებოდნენ, მაშინ მათთვის უსარგებლო, ჩვეულებრივ ყუთს დაემსგავსა იგი. ახლა კიდობანი მათთვის იგივე იყო, რაც წარმართთათვის - მათი ღმერთები, თითქოს მათში იყო ხსნა და ძალა დაფარული. მათ დაარღვიეს მასში შენახული რჯული, რადგან თვით კიდობნის წინაშე თაყვანისცემამ ფორმალიზმამდე, განდგომილებამდე და კერპთაყვანისმცემლობამდე მიიყვანა ისინი. ცოდვებმა დააშორა ისინი ღმერთს და უფალიც ვერ მისცემდა მათ გამარჯვებას მანამ, სანამ ცოდვებს არ მოინანიებდნენ და ურჯულოების გზას არ მიატოვებდნენ.

კიდობნისა და საწმიდრის ისრაელიანთა შორის ყოფნა არ იყო საკმარისი. არც მღვდელთა მიერ აღსავლენის შეწირვა კმაროდა და არც ის, რომ ისრაელიანნი თავს ღვთის შვილებს უწოდებდნენ. უფალი ვერ შეასრულებდა იმ ადამიანთა თხოვნას, ვინც გულით უწმიდურებას ატარებდა. დაწერილია, რომ "ვინც რჯულის მოსმენას ყურს არიდებს, მისი ლოცვაც კი სიბილწეა" /იგავ. 28:9/.

როცა ისრაელიანნი საბრძოლველად გავიდნენ, მოხუცი, უსინათლო ელი სილოამში დარჩა. საშინელ წინათგრძნობას შეეპყრო მისი გული. ამბავს ელოდა ბრძოლის ველიდან, "რადგან გული უკრთოდა ღვთის კიდობნის გამო". დილიდან საღამომდე კარვის შესასვლელთან იჯდა იგი, გზის პირას და მაცნეს ელოდა.

და ბოლოს, ქალაქში შემოსასვლელ ბილიკზე ბენიამინელი კაცი გამოჩნდა, "სამოსელი შემოჰგლეჯოდა და მიწის მტვერი ეყარა თავზე". ყურადღება არ მიაქცია გზის პირას მჯდომ მოხუცს, ისე შემოვარდა ქალაქში და მოუთმენელ ბრბოს ისრაელიანთა დამარცხება და დანაკარგი აუწყა.

მოთქმა და გოდება მოესმა კარვის შესასვლელში მჯდომ მოხუცს. მასთან მიიყვანეს მოსული მაცნე, რომელმაც უთხრა: "უკუექცა ისრაელი ფილისტიმელებს. სასტიკად დამარცხდა ხალხი, შენი ორი ვაჟიც - ხოფნი და ფინხასი დაიხოცნენ".

რაოდენ საშინელი იყო ეს ცნობა, მაგრამ ეყო ძალა მოხუცს მის მოსასმენად, რადგან ელოდა კიდეც ამას. ხოლო, როცა მაცნემ დაუმატა: "...და ღვთის კიდობანიც წაღებულია", გამოუთქმელი მწუხარება აღებეჭდა სახეზე მოხუცს. იმის გაფიქრება, რომ სწორედ მისი ცოდვის გამო დატოვა უფალმა ისრაელი, ისეთი შემზარავი იყო, რომ ვერ აიტანა იგი. ძალ-ღონე გამოეცალა, წაიქცა, "ხერხემალი გადაუტყდა და მოკვდა".

ფინხასის ცოლი, მიუხედავად ქმრის უზნეობისა, ღვთისმოსავი ქალი იყო. მამამთილისა და ქმრის სიკვდილი, ღვთის კიდობნის დაკარგვის შესახებ კიდევ უფრო საშინელი ამბავი, მისი სიკვდილის მიზეზიც გახდა. გრძნობდა იგი, რომ ჩაქრა ისრაელის უკანასკნელი იმედის სხივი. ამ უბედურების ჟამს დაბადებულ თავის ვაჟს იქაბოდი - "უპატიობა" დაარქვა, თანდათან სუსტდებოდა და მწარედ იმეორებდა: "განეშორა დიდება ისრაელს, რადგან წაღებულია ღვთის კიდობანი".

[585]

მაგრამ სამუდამოდ არ მიუტოვებია უფალს თავისი ხალხი. ვეღარ აიტანა მან წარმართთა ზეიმი. ისრაელის დასასჯელ იარაღად გამოიყენა უფალმა ფილისტიმელნი, კიდობნის

მეშვეობით კი ისრაელის მტერი დასაჯა. ადრე ყოველთვის თან ახლდა უფალი კიდობანს ღვთის მორჩილი ერის გასამხნევებლად და გასაძლიერებლად. ახლაც მასთან იყო ეს უხილავი თანხლება, რათა შიში და განადგურება მოეტანა მისი წმიდა რჯულის დამრღვევთათვის. უფალი ხშირად იყენებს თავის უბოროტეს მტრებს თავისი განდგომილი ხალხის დასასჯელად. შეიძლება, დროებით გაიხაროს მტერმა ისრაელის სასჯელით, მაგრამ დადგება დრო, როცა მათაც გამოუტანს განაჩენს მართალი, ცოდვის მოძულე ღმერთი. სადაც ურჯულოება ფესვს იდგამს, იქ მალე დაატყდებათ თავს უფლის რისხვა.

ზარ-ზეიმით მიიტანეს ფილისტიმელებმა კიდობანი აშდოდში, ხუთი მთავარი ქალაქიდან ერთ-ერთში და თავიანთი ღმერთის, დაგონის სახლში მოათავსეს; იფიქრეს, რომ ძალა, კიდობანს რომ თან ახლდა, მათ საკუთრებად იქცეოდა და დაგონისა და მისი ერთობლივი ძლიერებით დაუმარცხებელნი გახდებოდნენ. მაგრამ მეორე დღეს, ტაძარში შესვლისას, მათ იხილეს სურათი, რომელმაც თავზარი დასცათ: იეჰოვას კიდობნის წინ, ძირს მათი ღმერთი დაგონი ეგდო. მოკრძალებით ასწიეს ქურუმებმა კერპი და თავის ადგილზე მოათავსეს. მაგრამ მეორე დილას იგივე სურათი იხილეს: დამახინჯებული კერპი კვლავ კიდობნის წინ, მიწაზე ეგდო. ამ კერპის ზედა ნაწილი ადამიანის გამოსახულებას წარმოადგენდა, ქვედა ნაწილი კი - თევზს. ახლა მას ზედა ნაწილი აღარ ჰქონდა, მხოლოდ ქვედა ნაწილი - თევზი შერჩენოდა. თავზარი დაეცათ ქურუმთ და ხალხს. ავის მომასწავებელ ნიშნად მიიჩნიეს ეს იდუმალი მოვლენა: თავისი

ხალხისა და ღმერთების დაღუპვად ისრაელის ღმერთის წინაშე, ამიტომ კიდობანი ტაძრიდან გამოიტანეს და ცალკე შენობაში მოათავსეს.

მეტად მტანჯველი, სასიკვდილო სენი შეეყარა აშდოდის მცხოვრებთ. გაიხსენეს ფილისტიმელებმა ისრაელის ღმერთის მიერ ეგვიპტე ზე მოვლენილი წყლულები და კიდობანი მიიჩნიეს ამ უბედურებათა მიზეზად. ამიტომ მისი გათში წაღება გადაწყვიტეს. მაგრამ წყლულები იქაც გაჰყვათ. ახლა ასკალონს გადააგზავნა კიდობანი ამ ქალაქში მცხოვრებმა ხალხმა. ასკალონის მკვიდრნიც დიდად შეშფოთდნენ ამის გამო, ძლიერ აღელდნენ და თქვეს: "მოგვიტანეს ისრაელის ღვთის კიდობანი, რომ ამოგვხოცონ ჩვენცა და ჩვენი ხალხიც". გათისა და აშდოდის მოსახლეობის მსგავსად, ისინიც მფარველობას სთხოვდნენ თავიანთ ღმერთებს, მაგრამ დამღუპველი კვლავ განაგრძობდა თავის საქმეს. "ცას მისწვდა ქალაქის ღაღადი." შეშინდნენ, აღარ გააჩერეს კიდობანი დასახლებულ ადგილებში და გაშლილ მინდორში გაიტანეს. მაგრამ იქაც თაგვებმა დაფარეს მთელი მიწა და ყველაფერი გაანადგურეს ბეღლებშიც და მინდვრებშიც. სენითა და შიმშილით სრული განადგურება დაემუქრა ახლა ამ ხალხს.

"შვიდ წელიწადს იყო უფლის კიდობანი ფილისტიმელთა ქვეყანაში". და მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ უცდიათ ისრაელიანთ მისი დაბრუნება. მაგრამ ახლა

ფილისტიმელთ ისევე ძლიერ სურდათ კიდობნისგან გათავისუფლება, როგორც ადრე - მისი ხელში ჩაგდება. მათი ძლიერების წყაროდ გახდომის ნაცვლად, იგი მძიმე ტვირთად და საშინელ წყევლად ექცათ. აღარ იცოდნენ, რა ექნათ, რადგან, სადაც არ უნდა წაეღოთ, უფლის სასჯელი ყველგან თან სდევდათ. შიშით ეკითხებოდა ხალხი თავის თავკაცთ, ქურუმთ და მკითხავთ: "რა ვუყოთ უფლის კიდობანს? გვასწავლეთ, როგორ გავგზავნოთ თავის ადგილზე". ურჩიეს, მდიდარ ძღვენთან ერთად დაებრუნებინათ იგი ისრაელიანთათვის. "მაშინ განიკურნებით, - თქვეს ქურუმებმა, - და გაიგებთ, რატომ არ გცილდებათ მისი ხელი".

წარმართთა შორის ასეთი ძველი წესი არსებობდა: უბედურების თავიდან აცილების მიზნით ან რაიმე სენის განკურნებისათვის ისინი ოქროს, ვერცხლის ან სხვა ძვირფასი ლითონისაგან აკეთებდნენ იმის გამოსახულებას, რასაც მათთვის

[586]

[587]

უბედურება და სიკვდილი მოჰქონდა ან სხეულის იმ ნაწილს, რომელიც განსაკუთრებით მძიმედ იყო დასნეულებული. შემდეგ ამ გამოსახულებას ბოძზე ან სხვა თვალსაჩინო ადგილას ჰკიდებდნენ. და ხალხსაც სჯეროდა, რომ ამგვარად საიმედოდ იქნებოდნენ უბედურებისაგან დაცულნი. მსგავსი ტრადიცია დღესაც არსებობს წარმართებში. როცა ვინმეს რაიმე გასაჭირი აქვს, განკურნებისათვის თავისი კერპის ტაძარში მიდის და თან სხეულის იმ ნაწილის გამოსახულება ან ქანდაკი მიაქვს, რომელიც ყველაზე მეტადაა დაზიანებული და უტოვებს თავის ღმერთს, როგორც შესაწირავს.

გაბატონებული ცრურწმენის თანახმად, ფილისტიმელმა მთავრებმა ხალხს იმ წყლულების გამოსახულებათა გაკეთება ურჩიეს, რომლებმაც ასეთი უბედურება მოუტანა. "ხუთ-ხუთი ოქროს ბუგრი და ხუთ-ხუთი ოქროს თაგვი ფილისტიმელთა მთავრების რიცხვისამებრ, რადგან ერთია სასჯელი თქვენთვის და ფილისტიმელთა მთავრებისთვის", - ამბობდნენ ისინი.

ფილისტიმელი ბრძენნი აღიარებდნენ იმ იდუმალ ძალას, რომელიც თან ახლდა კიდობანს; ძალას, რომელიც მათ ვერაფრით ვერ დაამარცხეს. მაგრამ ის კი არ ურჩიეს ხალხს, რომ გადაეგდოთ თავიანთი კერპები და თაყვანი ცოცხალი ღმერთისათვის ეცათ, არამედ კვლავ სძულდათ ისრაელის ღმერთი, თუმცა იძულებულნი იყვნენ, გადაულახავი სასჯელის გამო დამორჩილებოდნენ მის ხელმწიფებას. ამგვარად ძალუძს უფლის სასჯელს, დაარწმუნოს ცოდვილნი, რომ ამაოა მასთან

ბრძოლა. და თუკი ისინი მის ძლიერებას გარეგნულად დაემორჩილებიან, გულში კი მის წინააღმდეგ წავლენ, ეს ვერ იხსნის მათ. ვიდრე უფალი ადამიანის მონანიებას მიიღებდეს, გულმა ღმერთი უნდა ირწმუნოს და ღვთიურ მადლს დაემორჩილოს.

რა დიდია უფლის მოთმინება უწმიდურთა მიმართ! ფილისტიმელი კერპთაყვანის -მცემელნი და განდგომილი ისრაელიანნი ერთნაირად სარგებლობდნენ ღვთის მადლით. აურაცხელი უხილავი წყალობა ეძლეოდა ცხოვრების გზაზე ამ უმადურ, ამბოხებულ ხალხს. ყოველი წყალობა მის მომცემზე ღაღადებდა, მაგრამ არაფრად აგდებდნენ უფლის სიყვარულს. დიდი იყო მოთმინება უფლისა კაცთა მიმართ, მაგრამ, როცა ისინი გაჯიუტდნენ თავიანთ ურჯულოებაში, თავისი მფარველობა წაართვა. არ ინდომეს მათ უფლის ხმის მოსმენა მის შემოქმედებაში, გაფრთხილებებში, რჩევებში და მამხილებელ სიტყვაში, ამიტომ იძულებული შეიქნა ღმერთი, მსაჯულის ენით ელაპარაკა მათთან.

ფილისტიმელთა შორის ისეთებიც აღმოჩნდნენ, ვინც მზად იყო, ხელი შეეშალა კიდობნის უკან დაბრუნებისათვის, ვინაიდან ისრაელის ღმერთის ძლიერების აღიარება მათ ეროვნულ სიამაყეს დაამცირებდა. მაგრამ "ქურუმები და მისნები" აფრთხილებდნენ ხალხს, არ მიებაძათ ფარაონისა და ეგვიპტელთათვის და სიჯიუტე არ გამოეჩინათ, რადგან უფრო

დიდ უბედურებას დაიტეხდნენ თავს. განიხილეს შემდგომი სამოქმედო გეგმა, რომელიც ყველამ მოიწონა და დაუყოვნებლივ შეუდგნენ მის აღსრულებას. კიდობანი დანაშაულის გამოსასყიდ, მსხვერპლად შეწირულ ოქროს ნივთებთან ერთად ახალ ურემზე მოათავსეს, რათა რაიმე ჭუჭყი არ მიჰკარებოდა, შეაბეს ორი უღელდაუდგმელი ფური. მათი ხბოები სადგომში დააბეს, ფურები კი თავისუფლად გაუშვეს. ასე მსჯელობდნენ ფილისტიმელები: თუ კიდობანი ბეთ-შემეშის, ლევიანთა უახლოესი ქალაქის გავლით ისრაელს დაუბრუნდება, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ისრაელის ღმერთს "დაუწევია ჩვენს თავზე ეს დიდი უბედურება". "თუ არადა, - ამბობდნენ ისინი, - გვეცოდინება, რომ მის ხელს არ ვუგვემივართ, შემთხვევით გვეწვია ეს ამბავი".

პირდაპირ ბეთ-შემეშის გზას დაადგნენ ფურები. არ გაუხვიეს სადგომისაკენ, სადაც მათი ხბოები იმყოფებოდნენ. თავისუფლად მიდიოდნენ ისინი, კაცის ხელი არ მართავდა მათ. უფალი თან ახლდა კიდობანს და მშვიდობიანად დაბრუნდა

[588]

იგი დანიშნულ ადგილზე.

პურის აღების დრო იყო და ბეთ-შემეშის მცხოვრებთ მკა ჰქონდათ გაჩაღებული ყანებში. "გაიხედეს და დაინახეს კიდობანი, და გაუხარდათ დანახვა. ბეთ-შემეშელ იესოს ყანაში შევიდა ურემი და იქ გაჩერდა. დიდი ქვა იდო იქ. ურმის ხეები დაჩეხეს, ფურები კი აღსავლენ მსხვერპლად აღუვლინეს უფალს". დაინახეს ფილისტიმელმა მთავრებმა, რომლებმაც ბეთ-შემეშის საზღვრებამდე მიაცილეს ურემი, თუ როგორ მიიღეს ებრაელებმა კიდობანი და ყეკრონს გაბრუნდნენ. წყლულები შეწყდა და ისინი დარწმუნდნენ, რომ ეს უბედურება ნამდვილად ისრაელის ღმერთის სასჯელი იყო.

მაშინვე გაავრცელა ხმა ბეთ-შემეშის მოსახლეობამ, რომ კიდობანი მათთან ინახება. უამრავი ხალხი მოდიოდა აქ ახლო-მახლო მხარეებიდან, რათა კიდობნის დაბრუნებას მისალმებოდა. კიდობანი იმ ქვაზე დადეს, ადრე სამსხვერპლოდ რომ იყენებდნენ და მის წინ დამატებით შესწირეს მსხვერპლი ღმერთს. მსხვერპლშემწირავ ამ ადამიანებს რომ საკუთარი ცოდვები მოენანიებინათ, უფალი შეეწეოდა მათ თავისი კურთხევით. არ იყვნენ ისინი უფლის წმიდა რჯულის ერთგულად დამცველნი და, მართალია, გაეხარდათ კიდობნის დაბრუნება, როგორც კეთილი მაცნისა, მაგრამ მის სიწმიდეზე სწორი წარმოდგენა არ ჰქონდათ. მისთვის განსაკუთრებული ადგილის მომზადების ნაცვლად მინდორში დატოვეს კიდობანი. ათვალიერებდნენ ისინი ამ წმიდა ყუთს, საუბრობდნენ მისი დაბრუნების საოცრებაზე და ცდილობდნენ, მიმხვდარიყვნენ, თუ სად უნდა ყოფილიყო ეს

განსაკუთრებული ძალა დამალული. და ბოლოს, სძლია რა ცნობისმოყვარეობამ, სახურავი ახადეს და მასში ჩახედვა გაბედეს.

კარგად იცოდა მთელმა ისრაელმა, თუ როგორი მოკრძალებით და პატივისცემით უნდა მოპყრობოდნენ კიდობანს. მისი ადგილიდან ადგილზე გადატანისას ლევიანებს მხოლოდ მისთვის თვალის შევლების ნება ეძლეოდათ. მხოლოდ წელიწადში ერთხელ შეეძლო მღვდელმთავარს ღვთის კიდობნის ხილვა. წარმართმა ფილისტიმელებმაც კი ვერ გაბედეს მისი სახურავის ახდა. უფლის უხილავი ანგელოზები მიაცილებდნენ მას ყოველი მოგზაურობისას. წამსვე მოევლინათ სასჯელი ბეთ-შემეშის მცხოვრებთ ასეთი კადნიერებისათვის: უეცარი სიკვდილი ეწია მრავალ მათგანს.

ასეთი სასჯელის მიუხედავად, ცოცხლად დარჩენილებმა არ მოინანიეს ცოდვები, თუმცა ცრურწმენის შიშით განეწყვნენ კიდობნის მიმართ. დიდად სურდათ მისი თავიდან მოცილება, მაგრამ ვერ ბედავდნენ და "გაუგზავნეს მოციქულები კირიათ-იეყარიმის მოსახლეობას: დააბრუნეს ფილისტიმელებმა უფლის კიდობანი, ჩამოდით და წაიღეთო". დიდი სიხარულით შეეგებნენ ამ ქალაქის მკვიდრნი წმიდა კიდობანს. იცოდნენ მათ, რომ იგი ღვთიური წყალობის საწინდარი იყო ყველა ერთგული და მორჩილი მორწმუნისათვის. აღფრთოვანებულმა ხალხმა დიდი პატივით მიიტანა იგი თავის ქალაქში, აბინადაბის,

ლევიანის სახლში, რომელმაც მასზე მზრუნველობა თავის ვაჟს, ელეაზარს, დაავალა. დიდხანს იყო კიდობანი ამ ქალაქში.

იმ დღიდან, როცა უფალი პირველად გამოეცხადა ხანას ვაჟს, მთელმა ერმა აღიარა სამუელი უფლისგან მოწოდებულ წინასწარმეტყველად. ზუსტად გადასცა მან ღვთიური გაფრთხილება ელის სახლს, თუმცა ძალიან ძნელი იყო მისთვის ამის გაკეთება, მაგრამ ამით უფლისადმი ერთგულება დაამტკიცა, როგორც ღვთიურმა მაცნემ. "უფალი იყო მასთან. ფუჭად არ ჩაუვლია არც ერთ მის სიტყვას. შეიტყო მთელმა ისრაელმა, დანიდან ბერშებამდე, რომ სამუელი უფლის წინასწარმეტყველად იქნა დამტკიცებული".

ისრაელი, როგორც ერი, კვლავ ურწმუნოებასა და კერპთაყვანისმცემლობაში იყო ჩაძირული, რის გამოც ფილისტიმელთა ქვეშევრდომობა მოუვლინა უფალმა სასჯელად. მთელი ამ ხნის განმავლობაში დადიოდა სამუელი ისრაელის ქალაქებსა და სოფლებში და ცდილობდა, მათი მამების ღმერთისკენ შემოებრუნებინა ისინი.

[589]

[590]

ფუჭად არ ჩაუვლია მის მცდელობას. მონობაში ოცი წლის მძიმე ტანჯვის შემდეგ "მოენატრა უფალი მთელს ისრაელს". ურჩია მათ სამუელმა: "თუ მთელი გულით მიისწრაფით უფლისკენ, მოიშორეთ უცხო ღმერთები და აშთორეთები; მიმართეთ გულები უფლისაკენ და მხოლოდ მას ემსახურეთ". ჩვენ ვხედავთ, რომ სამუელის დღეებში პრაქტიკული ღვთისმოსაობა, გულწრფელი რელიგია ისევე ექადაგებოდა ხალხს, როგორც ეს დედამიწაზე ქრისტეს ყოფნის დროს იყო. ძველი ისრაელისათვის რელიგიის გარეგნულ ფორმას, ქრისტეს მადლის გარეშე, არავითარი ფასი არ ჰქონდა. ასევეა ეს დღესაც, დღევანდელი ისრაელისათვის.

დღესაც ისევე, როგორც ძველი ისრაელის დღეებში, გულის რელიგიის აღორძინებაა საჭირო. მონანიებაა ის პირველი ნაბიჯი, რომელიც უფალთან დაბრუნების მოსურნემ უნდა გააკეთოს. ვერავინ გააკეთებს ამას სხვის ნაცვლად. თითოეული ჩვენგანი გულწრფელად უნდა დაემორჩილოს ღმერთს და დატოვოს თავისი კერპები. როცა გავაკეთებთ ყველაფერს, რისი გაკეთებაც შეგვიძლია, მაშინ გვიხსნის უფალი.

უამრავი ისრაელიანი შეიკრიბა მიცფაში ებრაელ მთავართა დახმარებით. ყველამ ერთად იმარხულა აქ. ღრმა სინანულით აღიარებდნენ ადამიანები საკუთარ ცოდვებს და შესმენილ

მითითებათა მიმართ მორჩილების ნიშნად მთელი ერის მსაჯულად აირჩიეს სამუელი.

ფილისტიმელთ ეგონათ, რომ საბრძოლო თათბირზე მოვიდნენ ებრაელები და დიდი ჯარი შეკრიბეს ამ ადგილის სიახლოვეს, რათა რაიმე გეგმის მიღებამდე დაეშალათ ისინი. ამ ამბავმა შიშის ზარი დასცა ისრაელს. სამუელს ევედრებოდნენ ებრაელები: "ნუ შეგვიწყვეტ უფლის, ჩვენი ღვთისადმი ღაღადს, იქნებ გვიხსნას ფილისტიმელთაგან".

როდესაც სამუელი უფალს კრავს სწირავდა, ახლოს მოვიდნენ ფილისტიმელნი და მათთან საბრძოლველად განეწყვნენ. მაშინ ყოვლადძლიერმა, რომელიც ცეცხლით, კვამლითა და გრგვინვით ჩამოვიდა სინაიზე, წითელი ზღვა ორად გააპო და იორდანეზე გზა გაუკვალა ებრაელ ხალხს, კვლავ გამოაჩინა თავისი უზენაესი ძალა. საშინელი ქარტეხილი დაატყდათ თავს შეტევაზე გადმოსულ მეომრებს და მთელი მიწა მათმა გვამებმა დაფარა.

წმიდა მდუმარებას შეეპყრო ისრაელიანნი, შიშის ძრწოლვითა და იმედით აღვსილნი. და როცა მტრის მარცხი იხილეს, მიხვდნენ, რომ უფალმა მიიღო მათი მონანიება და მიუტევა. და თუმცა საბრძოლველად სულაც არ იყვნენ მომზადებულნი, ხელი დაავლეს დაღუპულ ფილისტიმელთა იარაღს და მტერს ბეთქორამდე სდიეს. და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს

სწორედ იმ ადგილას, სადაც ოცი წლის წინათ ფილისტიმელებმა სასტიკად დაამარცხეს ისრაელიანნი, სადაც დაიხოცნენ მღვდელმსახურნი და დაკარგეს ღვთის კიდობანი. როგორც სახელმწიფოებისათვის, ასევე თითოეული ადამიანისათვის უსაფრთხოებისა და ბედნიერების მოპოვების ერთადერთი გზა ღვთისადმი მორჩილების გზაა, რადგან ურწმუნოებას მხოლოდ დამარცხება და უბედურება მოაქვს. ახლა ფილისტიმელნი იმდენად დაცხრნენ, რომ დაუბრუნეს ებრაელებს მიტაცებული ქალაქები და მრავალი წლის განმავლობაში აღარ შემოდიოდნენ ისრაელის საზღვრებში. სხვა ტომებმაც მათ მაგალითს მიბაძეს და ისრაელიანნი, სანამ მათი ერთადერთი მმართველი სამუელი იყო, მშვიდობიანი ცხოვრებით ტკბებოდნენ.

იმისათვის, რომ ეს მოვლენა არასოდეს დავიწყებოდა ხალხს, სამუელმა ლოდი დადო მიცფასა და კლდის შვერილს შორის. უწოდა იმ ადგილს სახელად "ებენ-ყეზერი" - "ქვა შეწევნისა" და უთხრა ხალხს: "აქამდე შეგვეწია უფალი".

[591]

თავი 58 - წინასწარმეტყველთა სკოლები

მუდამ ზრუნავდა უფალი ისრაელზე. მისი ზრუნვა მარტო სულიერი სფეროთი არ შემოიფარგლებოდა. მისი ზრუნვის საგანი იყო ყველაფერი, რაც ადამიანის გონებრივ თუ ფიზიკურ განვითარებას უწყობდა ხელს და რაც ღვთიურ რჯულს ემორჩილებოდა.

უფლის ბრძანებით, ებრაელებს შვილებისათვის უნდა ესწავლებინათ მისი რჯული და ის, თუ როგორი ურთიერთობა ჰქონდა უფალს მათ მამებთან. ეს იყო ყოველი მშობლის ერთ-ერთი მთავარი მოვალეობა, რომლის სხვისთვის გადაბარებაც შეუძლებელი იყო. არა სხვების, არამედ მოსიყვარულე მშობლების ბაგეთაგან უნდა მოესმინათ შვილებს ძვირფასი ჭეშმარიტებანი. უფალზე ფიქრი და მსჯელობა ყოველდღიური ცხოვრების საქმედ უნდა იქცეს. უფლის ძლიერება და ძალა, რომლითაც მან თავისი ხალხი იხსნა, აღთქმა მომავალი მხსნელის შესახებ ოჯახური საუბრების აუცილებელ თემად უნდა ქცეულიყო. ყოველივე ეს სიმბოლოებითა და მაგალითებით უნდა განმტკიცებულიყო მათ მეხსიერებაში. ყრმათა გონებაში ნათლად უნდა აღბეჭდილიყო უდიდესი ჭეშმარიტებანი უფლის სიბრძნისა და მომავალი ცხოვრების შესახებ. ბავშვებს ასწავლიდნენ, დაენახათ ღმერთი ბუნების წიაღშიც და გამოცხადების სიტყვებშიც. ცაში მოციმციმე ვარსკვლავები, დიდებული ხეები და მინდვრის ყვავილები, ცამდე აღმართული მთები, მოჩუხჩუხე ნაკადულები - ყოველივე შემოქმედზე ღაღადებდა. საზეიმო მსხვერპლშეწირვანი, საწმიდარში მსახურება და წინასწარმეტყველთა სიტყვები - უფლის გამოცხადება იყო.

ასეთი განათლება მიიღო მოსემ გოშენში, თავის მშობლიურ ქოხში; სამუელმა - თავისი ღვთისმოსავი, ერთგული დედისაგან; დავითმა - ბეთლემის გორაკებზე; დანიელმა - უცხო ქვეყანაში ტყვეობამდე; მსგავს ვითარებაში გაატარა თავისი ბავშვობა ქრისტემ ნაზარეთში. ასეთივე განათლება მიიღო ყრმა ტიმოთემ, როდესაც ბებია ლოისი და დედა ევნიკე წმიდა წერილის ჭეშმარიტებებს ასწავლიდნენ /იხ. 2 ტიმ. 1:5; 3:15/.

ყმაწვილთა აღსაზრდელად წინასწარმეტყველთა სკოლებიც არსებობდა. სკოლის კარი ღია იყო ყველა მოზარდისათვის, ვისაც ღვთის სიტყვის ჭეშმარიტებათა უფრო ღრმად შეცნობა სურდა და ზეციურ სიბრძნეს ეძებდა, რათა ისრაელის მოძღვარი გამხდარიყო. სამუელმა დააარსა წინასწარმეტყველთა სკოლები საყოველთაო განდგომილების თავიდან ასაცილებლად და ყმაწვილებში ზნეობისა და სულიერი სიმაღლეების შესანარჩუნებლად, რაც ერის შემდგომ განვითარებას და აყვავებას შეუწყობდა ხელს ხალხის მმართველებად და მრჩევლებად ღვთისმოშიში ადამიანების მომზადებით. ამ მიზნის განსახორციელებლად კრებდა სამუელი ღვთისმოსავ, გონიერ და დაუზარელ ახალგაზრდებს. წინასწარმეტყველთა შვილებს უწოდებდნენ მათ. ღვთის სიტყვისა და საქმეების შესწავლით ღმერთთან ურთიერთობისას მათ ბუნებრივ ნიჭს ზემოდან სიბრძნე ემატებოდა. მათ არა მხოლოდ ღვთიურ ჭეშმარიტებათა მცოდნენი ასწავლიდნენ, არამედ ისინიც, ვინც ძალიან ახლოს იყო უფალთან და მისი სულიწმიდის

განსაკუთრებული ნიჭი ჰქონდა მიცემული. ეს ადამიანები თავიანთი განსწავლულობის და ღვთისმოსაობის წყალობით ხალხის დიდი პატივისცემითა და ნდობით სარგებლობდნენ.

ორი ასეთი სკოლა არსებობდა სამუელის დღეებში. ერთი - რამათში, სადაც თავად წინასწარმეტყველი ცხოვრობდა, მეორე კი - კირიათ-იეყარიმში, სადაც იმ დროს კიდობანი ინახებოდა. სხვა სკოლები უფრო მოგვიანებით ჩამოყალიბდა.

ამ სკოლის მოსწავლეები მიწის დამუშავებით ან სხვადასხვა ხელობით

[592]

[593]

თავადვე ირჩენდნენ თავს. ისრაელში ყველანაირ შრომას პატივს სცემდნენ და ის, ვინც ბავშვების აღზრდისას რაიმე სასარგებლო ხელობას არ ასწავლიდა მათ, დიდ დამნაშავედ ითვლებოდა. უფლის ნების თანახმად, ყოველ ბავშვს რაღაც ხელობა უნდა სცოდნოდა, თუნდაც იგი მომავალი ღვთისმსახური ყოფილიყო.

ბევრი სულიერი მოძღვარი საკუთარი შრომით ირჩენდა თავს. მოგვიანებით, მოციქულთა დღეებში, პავლე და აკვილა არანაკლები პატივისცემით სარგებლობდნენ, როცა მეკარვეობით ირჩენდნენ თავს.

ამ სკოლებში ძირითადად ისწავლებოდა ღვთის რჯული და მოსეს კანონები; წმიდა ისტორია, სასულიერო მუსიკა და პოეზია. სწავლების მეთოდი ამ სკოლებში დიდად განსხვავდებოდა ღვთისმეტყველების თანამედროვე სკოლებში დამკვიდრებულისაგან, რომელთა კურსდამთავრებულთ უფრო ნაკლები რეალური ცოდნა აქვთ ღმერთისა და სულიერ ჭეშმარიტებათა შესახებ, ვიდრე იქ შესვლისას ჰქონდათ. ძველი დროის წინასწარმეტყველთა სკოლებში მოსწავლეთა უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო ღვთის ნებისა და მის წინაშე ადამიანის მოვალეობის შეცნობა. სწავლობდნენ წმიდა ისტორიის მატიანეს იეჰოვას საქმეების შესახებ. სიმბოლოებში გაცოცხლებულ უდიდეს ჭეშმარიტებათა კვლევით შეიცნობდნენ ისინი რწმენის მთავარ საგანს - ღვთის კრავს, რომელსაც მთელი წუთისოფლის ცოდვები უნდა ეტვირთა.

დიდ ძალისხმევასა და მზრუნველობას იჩენდნენ იმისათვის, რომ ღვთისმოსაობის სული გაეღვიძებინათ მოწაფეებში. არა მხოლოდ იმაში არწმუნებდნენ, რომ ლოცვა აუცილებელია, არამედ ასწავლიდნენ, როგორ ელოცათ და დაახლოებოდნენ ლოცვებში თავიანთ შემოქმედს, როგორ გაეღრმავებინათ რწმენა უფლისადმი, როგორ გაეგოთ მისი მოძღვრება და

დამორჩილებოდნენ მას. ღრმად შეიცნობდა ყმაწვილთა ნათელი გონება ახალ თუ ძველ ჭეშმარიტებებს ღვთის საგანძურიდან და ღვთის სულიწმიდა სუფევდა წინასწარმეტყველებებში და წმიდა საგალობლებში.

მუსიკის სწავლება წმიდა იდეალისადმი მსახურებას და ადამიანთა აზრების სიწმიდისაკენ სწრაფვას, მათ გულში მადლიერებისა და კეთილშობილური გრძნობების აღზევებას ისახავდა მიზნად. რა საოცრად დიდი სხვაობაა მუსიკისადმი ძველ და დღევანდელ დამოკიდებულებას შორის! რამდენი ადამიანი იყენებს ამ ნიჭს საკუთარი სახელის განდიდებისათვის და არა უფლის დიდებისათვის! მუსიკისადმი სიყვარულს მისი წინდაუხედავი დამფასებელი ამ წუთისოფლის მოყვარულთა გასართობი შეკრებებისაკენ მიჰყავს, სადაც უფალი თავის შვილთ წასვლას უკრძალავს. ამრიგად, ის, რაც სწორი გამოყენებისას უდიდეს კურთხევას წარმოადგენს, შეიძლება იქცეს ერთ-ერთ საშუალებად, რითაც სატანა ჩვენს მოვალეობას და მარადიულ ჭეშმარიტებათა შემეცნებას გვაშორებს.

ზეციურ სავანეებში მუსიკა ღვთისმსახურების ნაწილს წარმოადგენს, ამიტომ ჩვენც უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენი სახოტბო საგალობლები, შეძლებისდაგვარად, ზეციურ გუნდთა ხმებს ვამსგავსოთ. ხმების სწორი განვითარება აღზრდის ერთ-ერთი მთავარი საკითხია და ამას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. გალობა რელიგიური მსახურების ნაწილია და ისეთივე

მნიშვნელობა აქვს, როგორც ლოცვას. გულით უნდა იგრძნოს მგალობელმა საგალობლის სულიერი სიღრმე, რათა სათანადოდ გამოხატოს იგი.

რა დიდი განსხვავებაა ღვთის წინასწარმეტყველთა სკოლებსა და დღევანდელ სასწავლებლებს შორის! თანამედროვე სკოლების უმრავლესობა ამქვეყნიური პრინციპებითა და ტრადიციებით ხელმძღვანელობს. რა სამწუხაროა, როცა ვხედავთ, რომ მათში არ არის სათანადო სიმკაცრე და გონივრული დისციპლინა. ზედაპირული საუბრები, იაფფასიანი სენტიმენტალიზმი სულიერი და ზნეობრივი აღზრდის საფუძველი ხდება. ღვთიური სამართლიანობა და გულმოწყალება, სიწმიდის სილამაზე და ღვთისმოსაური ცხოვრების ჭეშმარიტი საზღაური,

[594]

ცოდვის საშინელება და მისი სასტიკი შედეგის გარდაუვალობა - ყოველივე ეს ღრმად იბეჭდება ყმაწვილთა გონებაში. უღვთო საზოგადოებასთან სიახლოვე დანაშაულის, აღვირახსნილობისა და უზნეობისკენ უბიძგებს ახალგაზრდობას.

განა დღევანდელ მასწავლებლებს არ ძალუძთ სწავლების მეთოდების ძველი ებრაული სკოლებიდან გადმოღება? მან, ვინც ადამიანი შექმნა, ყველაფერი იღონა მისი ყოველმხრივი განვითარებისათვის. აქედან გამომდინარე, აღზრდის ნამდვილი წარმატება დამოკიდებულია ერთგულებაზე, რომლითაც ადამიანი უფლის ჩანაფიქრს ახორციელებს.

აღზრდა-განათლების ჭეშმარიტი მიზანი ადამიანის სულში ღვთიური ხატების აღდგენაა. თავდაპირველად ღმერთმა ადამიანი თავის ხატად შექმნა და კეთილშობილური თვისებებით შემოსა. მისი გონება გაწონასწორებული, ნიჭები კი ჰარმონიულად შერწყმული იყო. მაგრამ ცოდვამ და მისმა შედეგმა დაამახინჯა ეს თვისებები. მის კვლავ აღსადგენად იქნა ჩაფიქრებული გადარჩენის გეგმა და განსაცდელით აღსავსე ცხოვრება მიეცა ადამიანს. ამიტომ ადამიანის ცხოვრების უმთავრესი მიზანი, რომელიც საფუძვლად უდევს ყოველივე დანარჩენს, ადამიანისათვის პირვანდელი სრულყოფილების დაბრუნებაა. მშობელთა და მასწავლებელთა მისია კი ახალგაზრდა თაობის აღზრდის ღვთიური განზრახვის გაზიარებაა, რის შედეგადაც ისინი "ღვთის თანამშრომელნი" ხდებიან /1 კორ. 3:9/.

მრავალფეროვანი ნიჭი ღმერთმა ადამიანს იმისთვის უბოძა, რომ ყოველგვარი შესაძლებლობებით უმაღლესი სრულყოფილებისათვის მიეღწია. მაგრამ აქ ადგილი არ უნდა

ჰქონოდა ეგოიზმს ან განსაკუთრებულობის გრძნობას, რადგან ღვთიური არსი, რომელიც ჩვენში უნდა აღდგეს, სიყვარული და კეთილშობილებაა. ღვთის ბოძებული ყოველი ნიჭი, ხასიათის თვისება, უზენაესის სახელის განდიდებას და მოყვასის სულიერ ზრდას უნდა ემსახურებოდეს - ნიჭის მხოლოდ ასეთი გამოყენება ჩაითვლება ყველაზე წმიდა, კეთილშობილურ, ბედნიერების მომტან საქმედ.

ამ პრინციპებს რომ სათანადო ყურადღება ექცეოდეს, აღზრდა-განათლების ჩვეულებრივ სისტემაში ძირეული ძვრები მოხდებოდა. სიამაყესა და პატივმოყვა -რეობაზე დაყრდნობით მეტოქეობის სულის გაღვივების ნაცვლად, მასწავლებლებმა ადამიანის სულში სიკეთისადმი, სიწმიდისა და სილამაზისადმი სიყვარული და სრულყოფილებისადმი სწრაფვის სული უნდა შთანერგონ. ყოველი მოსწავლე ღვთიური ნიჭის საკუთარ თავში განვითარებას უნდა ცდილობდეს და არა სხვებთან მეტოქეობას და სხვებზე აღზევებას; უფლის ჩანაფიქრის ხორცშესხმას და მასთან მსგავსებას უნდა ესწრაფოდეს. მხოლოდ მიწიერ იდეალებზე ფიქრისა და თვითგანდიდებაზე ზრუნვის ნაცვლად, რაც თავისთავად, სიმდაბლეს წარმოადგენს, ჩვენი ძალები შემოქმედისაკენ უნდა მივმართოთ, რათა შევიცნოთ და ვემსგავსოთ მას.

"უფლის შიში სიბრძნის სათავეა, სიწმინდეთა ცოდნა კი გონიერება" /იგავ. 9:10/. ხასიათის ჩამოყალიბება მთელი

სიცოცხლის უდიდესი საქმეა, უფლის შეცნობა კი - ჭეშმარიტი აღზრდის საფუძველი. ამ ცოდნის გადაცემა და ხასიათის მის თანახმად ჩამოყალიბება ყოველი მასწავლებლის დანიშნულებაა. ამიტომ ამბობს მეფსალმუნე: "...ყველა შენი მცნება სიმართლეა" და "შენი ბრძანებებით საზრიანი გავხდი" /ფს. 118:172,104/. თავის სიტყვაში და თავის შემოქმედების საქმეებში გამოგვეცხადა ღმერთი. სულიწმიდის შთაგონებით დაწერილი წიგნისა და ბუნების დახმარებით შეგვიძლია შევიძინოთ ცოდნა უფლის შესახებ.

ინტელექტუალური მოღვაწეობა იმით ხასიათდება, რომ ადამიანის განვითარების დონე თანდათანობით იმ საგნების დონეს აღწევს, რომლებზედაც იგი გამუდმებით მსჯელობს. თუკი ჩვენი გონება უბრალო, ყოველდღიური

[595]

[596]

საქმეებითაა დატვირთული, იგი თანდათანობით წვრილმანდება და სუსტდება. თუკი ადამიანი არასოდეს შრომობს ძნელი ამოცანების გადასაჭრელად, რამდენიმე ხანში

მისი განვითარება წყდება. ამასთან დაკავშირებით, ბიბლიას, როგორც აღმზრდელ ძალას, სწორი არა ჰყავს. უფლის სიტყვაში გონება პოულობს საკვებს ღრმა მსჯელობებისათვის და საყრდენს სულის უმაღლესი აღმაფრენისათვის. ბიბლიაში მოცემულია ყველაზე დიდი აღმზრდელობითი ისტორიები ადამიანისათვის ოდესმე ცნობილთა შორის. მარადიული ჭეშმარიტების წყაროებიდან იღებს იგი სათავეს და ღვთიური ხელი იცავს მის სიწმიდეს საუკუნეთა მანძილზე. იგი ნათელს ჰფენს შორეულ წარსულს, სადაც ამაოდ ცდილობს შეღწევას ადამიანის გონება. ღვთის სიტყვაში ჩანს ძალა, რომელმაც დააფუძნა დედამიწა და გადაჭიმა ცა. მხოლოდ მასში შეიძლება ვიპოვოთ კაცობრიობის ისტორია - ადამიანის ცრურწმენითა და პატივმოყვარეობით შეუბღალავი. იგი გვიამბობს მთელი დედამიწის ზურგზე ყველა ცნობილ ადამიანთა ბრძოლებზე, დამარცხებებსა და წარმატებებზე. მასში ყველაფერია ნათქვამი ადამიანის დანიშნულებაზე და მის საუკუნო ხვედრზე. ხილული სამყაროს უხილავისაგან გამყოფი ფარდა ახდილია და ვხედავთ ბოროტებისა და სიკეთის ურთიერთდაპირისპირებულ ძალთა ბრძოლას წუთისოფელში ცოდვის გაჩენის მომენტიდან ჭეშმარიტებისა და სიმართლის უკანასკნელ გამარჯვებამდე. და ყოველივე ეს უფლის არსის გამოხატულებაა. მის სიტყვაში გადმოცემულ წმიდა ჭეშმარიტებებზე ფიქრისას, ბიბლიის შეცნობის მოსურნის გონებას უზენაესის გონებასთან შეხების წერტილი უჩნდება. სწავლის ასეთი პროცესი არა მხოლოდ ხასიათის გაკეთილშობილებას ემსახურება, არამედ - გონებრივ ძალთა უეჭველ განახლებასა და გამრავლებას.

ბიბლიის შესწავლა არსებით ზეგავლენას ახდენს ადამიანის კეთილდღეობაზე ცხოვრების ყველა სფეროში, რადგან მასში ცხადდება პრინციპები, რომლებიც ერების აყვავებისა და განვითარების ქვაკუთხედია; პრინციპები, რომლებზედაც საზოგადოების კეთილდღეობაა დაფუძნებული, რომლებიც ოჯახის საძირკველია. ე.ი. პრინციპები, რომელთა გარეშეც ვერც ერთი ადამიანი ვერ მიაღწევს წარმატებას, ბედნიერებასა და პატივს ამქვეყნიურ ცხოვრებაში და უკვდავებას - მომავალში. არ არსებობს ცხოვრებაში რაიმე საკითხი, რომ ბიბლიაში არ მოიძებნოს მასზე პასუხი. ღვთის სიტყვის შესწავლა და მისდამი მორჩილება უფრო ძლიერი და მოქმედი ინტელექტის განვითარებას უწყობს ხელს, ვიდრე ყველა ადამიანური ფილოსოფიის გულმოდგინე შესწავლა. ეს კი მსოფლიოს ძლიერ, მტკიცე ხასიათის, გონებამახვილ და ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანებს შესძენს, რომლებიც წუთისოფელს უფლის დიდებად და კურთხევად მოევლინებოდნენ.

სხვა საგნების შესწავლამაც უფლის შესახებ ცოდნა უნდა შეგვძინოს. ყოველი ჭეშმარიტი მეცნიერება სხვა არაფერია, თუ არა უფლის წერილთა მატერიალურ სამყაროში კვლევა და განმარტება. მეცნიერული გამოკვლევები ღვთის სიბრძნისა და ძლიერების მტკიცებაა მხოლოდ. ბუნების წიგნის თუ დაწერილი სიტყვის სწორი გაგება გვაცნობს უფალს და მის ბრძნულ, ამაღლებულ კანონებს, რომლებშიც უზენაესის ნება ცხადდება.

მოწაფეს უნდა დავეხმაროთ იმაში, რომ შემოქმედების ყველა საქმეში უფლის ხელი დაინახოს. მასწავლებელმა თავად უნდა მიბაძოს უდიდეს მოძღვარს - ქრისტეს, რომელიც ხშირად იყენებდა საილუსტრაციოდ ბუნების ცნობილ მოვლენებს, რაც ხელს უწყობდა მისი ჭეშმარიტების ადვილად აღქმას. ასეთი მეთოდის წყალობით მსმენელთა გონებაში ჭეშმარიტება უფრო ღრმად იბეჭდებოდა. ამწვანებულ ტყეებში ფრინველთა გალობა, მინდვრის ყვავილებით დაფარული მიწა, ჩამავალი მზის სხივებით ოქროსფრად მორთული ზეცა - ყოველივე სწავლების საშუალებაა. შემოქმედის ხილული საქმეები ქრისტემ

[599]

სიცოცხლის სიტყვასთან შეადუღაბა, რომელიც მის ბაგეებში ისე ჟღერდა, რომ მუდამჟამს, ყოველივე ამის დანახვაზე, მისი მსმენელნი ამ საგნებთან დაკავშირებული ჭეშმარიტების გაკვეთილებს იხსენებდნენ.

გამოცხადების ფურცლებზე გამოსახული ღვთიური ბეჭედია ამოტვიფრული ყველგან: დიდებულ მთებზე, ნაყოფიერ ველებზე და უკიდეგანო, ღრმა ოკეანეებში. ბუნება ადამიანს ღვთის სიყვარულზე ესაუბრება. ურიცხვი ნიშნით ცაზე და დედამიწაზე შეგვაკავშირა თავისთან უზენაესმა. წუთისოფელი

არ არის მხოლოდ ტანჯვა და მწუხარება. ყოველ ახლადგაღვიძებულ კვირტზე, ყვავილის ყოველ ფურცელზე, ყოველი ბალახის ღეროზე დაწერილია: "ღმერთი სიყვარულია". თუმცა ცოდვისაგან დაწყევლილ დედამიწაზე ბევრი ეკალბარდია, მაგრამ ეკლიან ღეროზეც ხომ ყვავის ვარდები? მთელი ბუნება მოწმობს ჩვენი ღმერთის ნაზ, მამაშვილურ მზრუნველობასა და სურვილზე, გააბედნიეროს თავისი შვილები. მისი აკრძალვები და დადგენილებანი არა მხოლოდ მისი ხელმწიფების გამოხატულებაა, არამედ ყოველ მის მოქმედებაში შვილების კეთილდღეობაზე ზრუნვაა ჩაბეჭდილი. არ სურს უფალს, რომ მათ უარი თქვან შემოთავაზებულ სიკეთეზე.

საზოგადოების ზოგიერთ ფენაში გაბატონებული აზრი იმის შესახებ, რომ რელიგია ამქვეყნიურ ცხოვრებაში ადამიანის ჯანმრთელობისა და ბედნიერების წინააღმდეგია, ყველაზე დიდი და საზიანო შეცდომაა. წმიდა წერილი ამბობს: "უფლის შიში მაცოცხლებელია, კმაყოფილებას ასადგურებს და აფრთხობს ბოროტებას" /იგავ. 19:23/. "ვინ არის კაცი, რომელსაც სურს სიცოცხლე, უყვარს დღეგრძელობა სიკეთის სანახავად? შეიკავე შენი ენა სიბოროტისაგან და ბაგენი შენნი - ცბიერი სიტყვებისაგან. ერიდე ბოროტებას და ჰქმენ კეთილი; ეძიე მშვიდობა და მიჰყევი მას" /ფს. 33:13-15/. სიბრძნის სიტყვები "სიცოცხლეა მათი მპოვნელისათვის და ჯანმრთელობა" /იგავ. 4:22/.

ჭეშმარიტი რელიგია ეხმარება ადამიანს, ჰარმონიულად მისდიოს ღვთიურ კანონებს ფიზიკურ, გონებრივ და ზნეობრივ ასპექტში. იგი გვასწავლის თავშეკავებას, მოთმინებას და სიმშვიდეს. რელიგია აკეთილშობილებს გონებას, აყალიბებს გემოვნებას და აჯანსაღებს აზროვნებას. იგი ზეციური სიწმიდის თანაზიარს ხდის ადამიანის სულს. რწმენა უფლის სიყვარულისა და ყოვლადძლიერი განგებისადმი ზრუნვისა და ტანჯვის ტვირთს გვიმსუბუქებს; სიხარულითა და კმაყოფილებით გვივსებს გულს ბედნიერების დღეებშიც და უბედურების ჟამსაც. რელიგია უშუალოდ უწყობს ხელს ჯანმრთელობის გაუმჯობესებასა და სიცოცხლის გახანგრძლივებას და ყველა მისი კურთხევით გვატკბობს; უსასრულო ბედნიერების წყაროს უხსნის სულს. დაე მათ, ვინც ჯერ ქრისტეს მხარეზე არ გადასულა, შეიგნონ, რომ მაცხოვარი უფრო მეტს გვთავაზობს, ვიდრე თავად ისურვებენ. ადამიანი უდიდეს ზიანს აყენებს საკუთარ თავს, ამავე დროს, დიდ უსამართლობას იჩენს საკუთარი თავის მიმართ, როცა უფლის საწინააღმდეგოდ ფიქრობს და მოქმედებს. ვერვინ ჰპოვებს ჭეშმარიტ სიხარულს მის მიერ აკრძალულ გზაზე, ვინც ძალიან კარგად იცის, რაა ჩვენთვის უკეთესი და ვინც თავის შექმნილთა კეთილდღეობაზე ზრუნავს. ურჯულოების გზა უბედურებასა და დაღუპვას გვიქადის, სიბრძნის გზები კი "ნეტარების გზებია და ყოველი მისი ბილიკი სიმრთელეა" /იგავ. 3:17/.

თუკი ყურადღებით დავაკვირდებით, ცხადი გახდება, რომ ებრაელთა სკოლების ფიზიკური და რელიგიური აღზრდის

მეთოდების გამოყენებას უდიდესი სარგებლობის მოტანა შეუძლია. მაგრამ არ ხდება მათი სათანადოდ შეფასება. გონებასა და სხეულს შორის მჭიდრო კავშირია, ამიტომ ზნეობრივი და გონებრივი განვითარების მაღალი დონის მისაღწევად საჭიროა დავიცვათ კანონები, რომელიც ჩვენს ფიზიკურ სხეულს მართავს. ძლიერი, ზომიერი

[600]

[601]

ხასიათის ჩამოსაყალიბებლად საჭიროა გონებრივი და ფიზიკური ძალების ვარჯიში და განვითარება. რა უნდა იყოს ყმაწვილთათვის იმაზე მნიშვნელოვანი საქმე, ვიდრე ღმერთის მიერ ბოძებული დიდებული სხეულის გამოკვლევა და იმ კანონთა შესწავლა, რომელიც მისი სიჯანსაღის შენარჩუნებაში გვეხმარება.

დღესაც, ისევე როგორც ძველ ისრაელში, ყოველმა მოზარდმა თავისი ყოველდღიური მოვალეობის შესრულება უნდა ისწავლოს. ყოველმა მათგანმა რაიმე ხელობა უნდა იცოდეს, რათა აუცილებლობის შემთხვევაში ლუკმაპურის შოვნა შეძლოს. ეს არის არა მხოლოდ გამოსავალი გაჭირვების ჟამს,

არამედ ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივი განვითარების საშუალებაცაა. იმანაც კი, ვინც დარწმუნებულია, რომ ლუკმაპურის საშოვნელად არასოდეს დასჭირდება ფიზიკური შრომა, მაინც უნდა ისწავლოს მუშაობა. ფიზიკური ვარჯიშის გარეშე ვერავინ გაიკაჟებს სხეულს და ვერ შეინარჩუნებს ჯანმრთელობას, შრომის სწორი ორგანიზების უნარი კი აუცილებელია ძლიერი, მოქმედი გონებისა და კეთილშობილური ხასიათის ჩამოსაყალიბებლად.

ყოველმა მოწაფემ დღის ნაწილი ფიზიკურ შრომას უნდა მიუძღვნას. ამგვარად იგი შეეჩვევა შრომას, გაუჩნდება რწმენა საკუთარი თავისადმი. ამასთან ერთად, ახალგაზრდობა დაცული იქნება სხვადასხვა მანკიერი ჩვევების საფრთხისაგან, რაც ხშირად უსაქმურობის შედეგია. ყოველივე ეს ძალზე მჭიდრო კავშირშია აღზრდის თავდაპირველ მიზანთან, ვინაიდან შრომისმოყვარეობის, გულმოდგინებისა და პატიოსნების გზით სიარული უფალთან გვაახლოებს.

დაეხმარეთ ახალგაზრდებს სიცოცხლის მიზნის გაგებაში, დაარწმუნეთ ისინი, რომ აუცილებელია ღვთის პატივისცემა, რათა კურთხევად იქცნენ მოყვასისათვის. დაანახეთ ყმაწვილებს მათ მიმართ ზეციერი მამის სიყვარული და საკუთარი დანიშნულება, რისთვისაც ცხოვრებისეულმა სკოლამ უნდა მოამზადოს ისინი. ღვთის შვილებად აღიარება - აი, მათი ფრიად საპატიო დანიშნულება. მაშინ ათასობით მოზარდი

სიძულვილითა და ზიზღით შეაქცევს ზურგს მდაბალ, ეგოისტურ ზრახვებს, მისწრაფებებს და უაზრო გართობებს, აქამდე რომ უხვად ჰქონდა. ისინი შეიძულებენ ცოდვას, მოერიდებიან მას არა რაიმე საზღაურის ან სასჯელის შიშის, არამედ საკუთარი მანკიერების შეცნობის გამო, რადგან მიხვდებიან, რომ ყოველივე ეს დამღუპველ ზეგავლენას მოახდენს ღვთით ბოძებულ ნიჭზე და ღვთის ხატებას დაამახინჯებს.

უფალი მოუწოდებს ყმაწვილთ, არ დაკმაყოფილდნენ მცირედი მიღწევებით; არ ჩაახშონ საკუთარ თავში ხასიათის ის თვისებები, წარმატებას და საზოგადოების პატივისცემას რომ მოუტანს მათ - სრულყოფილებისაკენ მუდმივი ლტოლვა, მტკიცე ნებისყოფა, ენერგიული შრომა და მიზანდასახულობა. პირიქით, უფლის მადლის დახმარებით ახალგაზრდობა იმ მიზნებისაკენ უნდა წარვმართოთ, რომელიც იმდენად ამაღლებულია ეგოისტურ, დროებით ინტერესებზე, რამდენადაც ზეცა - დედამიწაზე. დედამიწაზე დაწყებული აღმზრდელობითი პროცესი მარადიულობაშიც გაგრძელდება. დღითი დღე ახალი, სხვა სილამაზით გამოეცხადებათ უფლის საოცარი საქმეები, მისი სიბრძნისა და ძალის დადასტურება სამყაროს შექმნასა და მართვაში; გამოსყიდვის გეგმასთან დაკავშირებული სიყვარულისა და სიბრძნის დაუსრულებელი საიდუმლო ახალ ფერებში წარმოუდგება ადამიანის გონებას. "რაც თვალს არ უნახავს, ყურს არ სმენია, კაცს გულში არ

გაუვლია, ღმერთმა ის მოუმზადა თავის მოყვარულებს" /1 კორ. 2:9/.

ჯერ კიდევ აქ, დედამიწაზე ცხოვრებისას შეგვიძლია ვიგრძნოთ მისი სიახლოვე და დავტკბეთ ზეცასთან ურთიერთობის სიხარულით, მაგრამ სრულ ნეტარებას და სიხარულს მხოლოდ მარადიულობაში შევიგრძნობთ. მხოლოდ მარადიულობა გაგვიცხადებს იმ უმაღლეს იდეალს, რომელსაც მიაღწევს ის ადამიანი, ვინც უფლის მსგავსებას დაიბრუნებს.

[602]

თავი 59 - ისრაელის პირველი მეფე

პირველი მეფეთა 8-12

ისრაელის მმართველობა ღმერთის სახელითა და ხელმწიფებით ხორციელდებოდა. მართალია , მოსეს, ისრაელის სამოცდაათ თავკაცს, ებრაელ მთავრებსა და მსაჯულებს ღვთიური კანონების ცხოვრებაში გატარება ევალებოდათ , მაგრამ ერისათვის კანონების გამოცემის უფლება მათ არ ჰქონდათ. ეს

იყო ერის არსებობის პირობა. საუკუნეთა მანძილზე უგზავნიდა უფალი რჩეულ ხალხს სულიწმიდით შთაგონებულ ადამიანებს, რათა უფლის მცნებების თანახმად ცხოვრება ესწავლებინა.

უფალმა წინასწარ იცოდა, რომ ისრაელი მეფეს მოითხოვდა, მაგრამ უზენაესმა არ მოისურვა იმ პრინციპების შეცვლა, რომელზედაც სახელმწიფო იყო დაფუძნებული. უზენაესის თანაშემწე უნდა ყოფილიყო მეფე, ერის მბრძანებლად კვლავ ღმერთი უნდა ეღიარებინათ, მისი რჯული კი - სახელმწიფოს უზენაეს კანონად.

თავდაპირველად, ქანაანში დასახლებისას, ებრაელებმა აღიარეს თეოკრატული მმართველობა და აყვავდა ერი იესო ნავეს ძის წინამძღოლობით. მაგრამ მოსახლეობის ზრდამ და სხვა ქვეყნებთან ურთიერთობამ უდიდესი ცვლილებები შეიტანა ქვეყანაში. მრავალი უზნეო წეს-ჩვეულება გადაიღო ისრაელმა თავის წარმართ მეზობელთაგან, რის შედეგადაც ბევრ საკითხში დაკარგა თავისი განსაკუთრებული სიწმიდე. ებრაელებმა თანდათანობით დაკარგეს შიში და მოკრძალება უზენაესის მიმართ და უკვე აღარაფრად მიაჩნდათ თავისი უდიდესი უპირატესობა რჩეულობისა. წარმართ მეფეთა დიდებულებითა და ბრწყინვალებით დაბრმავებულთ მობეზრდათ თავიანთი უბრალოება. შტოებს შორის გაჩნდა შური და ეჭვი. შინაგანმა უთანხმოებამ დიდად დაასუსტა ისინი; მათ მიმართ მტრულად განწყობილ წარმართთა ტომები ხშირად თავს ესხმოდნენ და აჩანაგებდნენ მათ მიწებს, ამიტომ ისრაელიანნი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ხალხთა შორის თავისი მდგომარეობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ყველა შტო ერთიანი,

მტკიცე ხელმწიფების ქვეშ უნდა გაერთიანებულიყო. უფლის რჯულისადმი მორჩილების უარყოფით მათ ღვთიური მმართველობისაგან გათავისუფლება მოისურვეს და ამრიგად, მთელმა ისრაელმა მეფის ხელმწიფების დამკვიდრება მოითხოვა.

იესო ნავეს ძის დღეებიდან არ ჰყოლია ისრაელს სამუელის მსგავსი ბრძენი და წარმატებული მმართველი. სამგვარ მსახურებაზე განაწესა იგი ღმერთმა - როგორც მსაჯული, წინასწარმეტყველი და მღვდელმსახური. მოუღლელად, უანგარო გულმოდგინებით შრომობდა იგი თავისი ხალხის კეთილდღეობისათვის და აყვავდა ერი მისი ბრძნული ხელმძღვანელობით. ყველგან აღდგა წესრიგი, ღვთის შიში და რიდი ჰქონდა ხალხს და უკმაყოფილების სულიც რამდენიმე ხანს ჩაქრა. მაგრამ დაბერდა წინასწარმეტყველი და იძულებული გახდა, მსახურების მძიმე ტვირთი თავისი ორი შვილისათვის გაეზიარებინა, ამიტომ თავის დამხმარეებად დანიშნა ისინი. იმ დროს, როცა სამუელი რამათში თავის მოვალეობას ასრულებდა, მისი ვაჟები ბეერ-შებ აში დარჩნენ მსაჯულებლად ქვეყნის სამხრეთით მცხოვრებ ხალხში.

ერის თანხმობით დაავალა სამუელმა ეს მსახურება თავის ვაჟებს, მაგრამ ვერ გაამართლეს მათ მამის ასეთი ნდობა. მოსეს მეშვეობით უფალმა განსაკუთრებული მითითება მისცა თავის ხალხს იმის შესახებ, რომ ისრაელის თავკაცნი სამართლიანი

მსაჯულნი ყოფილიყვნენ, სიმართლითა და პატივისცემით მოპყრობოდნენ ქვრივ-ობოლთ და ქრთამი არ აეღოთ. მაგრამ სამუელის ვაჟები "ანგარებას მისდევდნენ, ქრთამს იღებდნენ და სამართალს ამრუდებდნენ". ძლიერ ცდილობდა წინასწარმეტყველი, ჩაებეჭდა მათ გონებაში ღვთიური პრინციპები, მაგრამ ამაოდ. "არ გაჰყვნენ შვილები მამის გზას", მის წმიდა, უანგარო მსახურებას. ელის მიმართ წარმოთქმულმა

[603]

[604]

გაფრთხილებამ ვერც სამუელზე იქონია სათანადო ზეგავლენა. მისმა ზედმეტმა შემწყნარებლობამ უარყოფითად იმოქმედა მათ ხასიათსა და ცხოვრებაზე.

ამ მსაჯულთა უსამართლობით გამოწვეული უდიდესი უკმაყოფილება გახდა მმართველობაში ცვლილების შეტანის საბაბი, ცვლილებისა, რომელიც დაფარულად , დიდი ხანია ასე ძლიერ სურდა მთელ ხალხს. "შეიკრიბა ისრაელის უხუცესობა და მივიდა სამუელთან რამათს. უთხრეს: შენ მოხუცდი, შენი შვილები კი არ მიჰყვებიან შენს გზას. დაგვიდგინე ახლა მეფე, რომ სხვა ხალხების წესისამებრ განგვსჯიდეს" /1 მეფ. 8:4,5/.

არაფერი იცოდა სამუელმა თავისი ვაჟების უსამართლო მოქმედებების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დაუყოვნებლივ გაათავისუფლებდა მათ ამ მსახურებისაგან, მაგრამ ამას არ ითხოვდნენ მომსვლელნი. ხედავდა სამუელი, რომ დიდად გაღიზიანებულნი იყვნენ მისი თანამემამულენი და მიხვდა, რომ მათი მოთხოვნა უკვე კარგად მოფიქრებული და მტკიცე გადაწყვეტილება იყო. ერთი საჩივარიც კი არ წაუყენეს სამუელს. ყველა აღიარებდა მის, როგორც ხელმძღვანელის, სიბრძნესა და პატიოსნებას, მაგრამ ხანდაზმული წინასწარმეტყველი ამ მოთხოვნას პირადად მის მიმართ უკმაყოფილების გამოხატვად და მისი მმართველობის გადაგდების პირდაპირ მცდელობად მიიჩნევდა. მაგრამ არაფრით არ გამოამჟღავნა თავისი გრძნობები, არც საყვედური გამოუთქვამს, არამედ ლოცვით მიმართა ღმერთს და მას, ერთადერთს, სთხოვა რჩევა.

"უთხრა უფალმა სამუელს: შეისმინე ხალხის ყოველი სიტყვა, რასაც გეტყვის, რადგან შენ კი არ უარგყვეს, არამედ მე უარმყვეს თავიანთ მეფედ. როგორც იქცეოდნენ იმ დღიდან, როცა ეგვიპტიდან გამოვიყვანე, დღემდე, როცა დამივიწყეს და უცხო ღმერთებს დაემონნენ, ასევე გექცევიან შენც". ხალხის საქციელის გამო გამოთქმული ეს საყვედური წინასწარმეტყველმა თავის თავზე მიიღო. ისრაელიანებმა უპატივცემულობა გამოავლინეს არა მის, არამედ უზენაესის ხელმწიფების მიმართ, რადგან თავად ღმერთი ადგენდა მათთვის თავკაცთ. ღვთის მსახურის მოძულე და უარმყოფელი თავის სიძულვილს არა ადამიანის,

არამედ მბრძანებლის მიმართ ამჟღავნებს, რომელმაც იგი გამოაგზავნა. ამით ის უარყოფს უფლის სიტყვებს, მხილებებსა და რჩევებს; ამით ის უარყოფს უზენაესის ხელმწიფებას.

განვითარების უდიდეს მწვერვალს ისრაელმა იმ დროს მიაღწია, როცა დიდ იეჰოვას თავის მეფედ აღიარებდა და მის კანონებსა და მმართველობას სხვა ხალხთა კანონებზე აღამაღლებდა. მოსემ უფლის დადგენილებებთან დაკავშირებით გამოუცხადა თავის ერს: "დაიცავით და შეასრულეთ, რადგან ეს არის თქვენი სიბრძნე და გონიერება იმ ხალხების წინაშე, რომლებიც ყურს მოჰკრავენ ამ წესებს და იტყვიან: აჰა, ბრძენი და გონიერი ხალხია ეს დიდი ერი" /რჯლ. 4:6/. მაგრამ, განუდგა რა უფლის დადგენილებებს, ებრაელი ხალხი ვერ იქცა ისეთ ერად, როგორიც უფალს სურდა. შედეგად - ბოროტება, საკუთარი განდგომილებისა და უაზრო ქმედებების ნაყოფი - უფლის მმართველობას დააბრალეს. აი, როგორ დააბრმავა ისინი ცოდვამ!

ნათქვამი ჰქონდა უფალს წინასწარმეტყველთა პირით, რომ ეყოლებოდა ისრაელს მეფე, მაგრამ არასოდეს უთქვამს, რომ ეს მმართველობის საუკეთესო ფორმა იქნებოდა ებრაელთათვის ან ის, რომ ეს უფლის ნება-სურვილი იყო. საკუთარი სურვილისამებრ მოქმედების უფლება მისცა უფალმა ხალხს, რადგან მათ ღვთიური რჩევები უარყვეს. ოსია წინასწარმეტყველი ამბობს, რომ უფალმა "მეფე განრისხებისას"

მისცა ისრაელიანთ /იხ. ოს. 13:11/. როცა ადამიანები ჯიუტად, უფლის რჩევის გარეშე ირჩევენ თავიანთ გზას, ან როცა უფლის აშკარა ნებას ეწინააღმდეგებიან, ღმერთი ხშირად აკმაყოფილებს მათ სურვილებს, რათა მწარე გამოცდილებამ, რასაც ისინი ამის გამო მოიმკიან, საკუთარ საქმეთა უაზრობის შეცნობისა და მონანიების საშუალება მისცეს.

[605]

[606]

ადამიანური სიამაყითა და სიბრძნით ხელმძღვანელობა მეტად საშიშია. ღვთის ნების საწინააღმდეგო მათი გულისწადილი შემდგომში უბედურებას უფრო მოიტანს, ვიდრე კურთხევას.

უფლის სურვილი იყო, მის ერს მხოლოდ მასში დაენახა ერთადერთი კანონმდებელი და ძლიერების წყარო. უფალზე დამოკიდებულების საჭიროების შეცნობის შემთხვევაში, ებრაელები არასოდეს მოშორდებოდნენ მას. ღვთის რჩეული ერი იყო ისრაელი, ამიტომ თავისი კეთილშობილებითა და ამაღლებული ზნეობით უნდა გამხდარიყო იმ მაღალი დანიშნულების ღირსი, რისკენაც უფალმა მოუწოდა. მეფის არჩევით კი თავის ყურადღებას იგი უფლისაგან ადამიანისკენ

მიაპყრობდა და ადამიანის ძალას უფრო დაეყრდნობოდა, ვიდრე ღმერთისას, მეფის ურჯულოება კი ერს ცოდვაში შეიყვანდა და უფალს დააშორებდა.

ხალხის სურვილის დაკმაყოფილება უბრძანა უფალმა სამუელს, ოღონდ უნდა გაეფრთხილებინა ისრაელიანნი, რომ უფალი ამას არ იწონებდა და ამგვარ ქმედებებს თავისი შედეგიც ექნებოდა. "უთხრა სამუელმა უფლის სიტყვები ხალხს, მეფეს რომ მოითხოვდნენ მისგან". დაწვრილებით გააცნო ვალდებულებები, ამ შემთხვევაში მძიმე ტვირთად რომ დააწვებოდა ებრაელ ერს და ნათლად დაანახა განსხვავება ახლანდელ, შედარებით თავისუფალ ცხოვრებასა და მომავალში ახალ, მრავალი ვალდებულებით დამძიმებულ, დამოკიდებულ მდგომარეობას შორის. გააფრთხილა, რომ მათი მეფე, მოინდომებს რა სხვა მონარქთა მსგავს ბრწყინვალებასა და ფუფუნებას, დიდძალ ქონებას და მსახურებას მოსთხოვს მათ; რომ ამოარჩევს მეფე მათ შორის ყველაზე ლამაზ ყმაწვილთ თავის სასახლეში "და თავის ეტლებთან და ცხენებთან დაიყენებს და ირბენენ მისი ეტლის წინ", "დანიშნავს მათ ათასისთავებად" თავის ლაშქარში, "თავის ყანის მხვნელებად და თავისი სამკალის მოსამკელად, თავისი საბრძოლო საჭურველისა და ეტლების მკეთებლებად", მათ ასულებს კი - მზარეულებად და სხვადასხვა მოვალეობათა შემსრულებლებად. თავისი კარის შესანახად წაართმევს მათ საუკეთესო მიწებს, თავად დიდმა იეჰოვამ რომ უბოძა მათ; წაართმევს "საუკეთესო ყმებს, მხევლებს, მსახურ ბიჭებს,

სახედრებს და თავის საქმეზე ამსახურებს". ამას გარდა, "წაიღებს მეათედს თქვენი ფარიდან" და სხვა შემოსავლებიდან ან მიწის ნაყოფიდან. "და თქვენც მისი ყმები გახდებით, - დაასრულა გაფრთხილება წინასწარმეტყველმა, - მაშინ მოჰყვებით წუწუნს თქვენს არჩეულ მეფეზე, მაგრამ არ მოგისმენთ უფალი". და, რაც არ უნდა მძიმე იყოს ეს უღელი, ერთხელ დამკვიდრებული სამეფო წყობილების ჩამოგდებას ვერასოდეს შეძლებენ, რომ მოინდომონ კიდეც.

ასე უპასუხა ხალხმა ამ გაფრთხილებებს: "არა და არა, მეფე უნდა გვესვას; ჩვენც ისეთები უნდა ვიყოთ, როგორც სხვა ხალხები არიან. ჩვენი მეფე განგვსჯის ჩვენ, წინ წაგვიძღვება და ჩვენი გულისთვის იბრძოლებს".

"როგორც სხვა ხალხები". არ ესმოდათ ისრაელიანთ, რომ მათი განსაკუთრებული უპირატესობა და კურთხევა სწორედ სხვა ერებისაგან მათ განსხვავებაში მდგომარეობდა. სხვა ერებისგან გამოარჩია ისრაელი ღმერთმა და თავის რჩეულ საგანძურად დაადგინა. მან კი ეს უდიდესი პატივი უარყო და წარმართებთან გათანაბრება მოინდომა! დღესაც არსებობს ე.წ. ღვთის ხალხში წარმართულ წეს-ჩვეულებებთან და თვისებებთან გათანაბრებისუდიდესი სურვილი. როცა ადამიანები ღმერთს შორდებიან, ამქვეყნიური პატივისა და დიდებისაკენ სწრაფვის ძლიერი სურვილი უჩნდებათ. მუდამ ცდილობენ ქრისტიანები, გადაიღონ მათი თვისებები, ვინც ამ წუთისოფლის მბრძანებელს

ემსახურება. ბევრს ჰგონია, რომ ურწმუნო საზოგადოებასთან კავშირით და მათი წესების გადაღებით უფრო დიდი გავლენა ექნება ურწმუნოებზე. მაგრამ ყოველი ამის მოქმედი შორდება თავისი ძალის წყაროს და წუთისოფელთან მეგობრობით უფლის მტერი ხდება. ასეთი ადამიანები ამქვეყნიური დიდების გამო უარყოფენ უდიდეს პატივს, რომელიც მათ უფალმა

[607]

უბოძა - ადიდონ ის, "ვინც სიბნელიდან, თავისი საკვირველი ნათლისკენ" მოგვიხმო /1 პეტრ. 2:9/.

დიდად შეაწუხა და დაანაღვლიანა სამუელი ხალხის პასუხმა, მაგრამ უფალმა უთხრა: "შეიწყნარე მათი სიტყვა და დაუდგინე მეფე". შეასრულა წინასწარმეტყველმა თავისი მოვალეობა; გულმოდგინედ განუმარტა თავისი გაფრთხილება, მაგრამ უარით უპასუხეს. სული დაუმძიმდა სამუელს, შინ გაუშვა ხალხი, თავად კი განმარტოვდა, რათა მმართველობაში ამ დიდი ცვლილებებისათვის მომზადებულიყო.

სამუელის უმწიკვლო, უანგარო ცხოვრება მუდმივი საყვედური იყო ანგარებიან მღვდელთა და უხუცესთათვის და ამაყი, ურწმუნო ისრაელისათვის. თუმცა განცხრომაში და

ფუფუნებაში არ უცხოვრია; არც იმისათვის უშრომია, რომ ხალხის ქება დაემსახურებინა. ზეცა იწონებდა მის მსახურებას. ქვეყნიერების მხსნელმა, რომლის უშუალო ხელმძღვანელობითაც მწყემსავდა იგი ისრაელის სახლს, თავად აამაღლა თავისი მსახური. მაგრამ მობეზრდა ხალხს მისი ღვთისმოსაობა და ერთგულება, უარყო მისი მოკრძალებული მმართველობა და გაცვალა კაცზე, რომელიც მათი მეფე უნდა გამხდარიყო.

ადვილად შეგვიძლია, სამუელის ხასიათში ქრისტეს მსგავსება შევამჩნიოთ. მაცხოვრის უმწიკვლო ცხოვრება სატანის რისხვას იწვევდა. მისი ცხოვრება წუთისოფლის ნათელი იყო, რომელიც ადამიანის გულის სიღრმეში დამალულ მანკიერებას ამხილებდა. ქრისტეს ცხოვრების სიწმიდემ ღვთისმოსავ თვალთმაქცთა საშინელი გულისწყრომა გამოიწვია. ბრწყინვალებით მოსილი, მიწიერი დიდებით გასხივოსნებული როდი მოვიდა ქრისტე დედამიწაზე! მხოლოდ მისი საქმენი მოწმობდა მის აღმატებულ ძლიერებას ყველა მიწიერ მეფეზე. იუდეველნი მოუთმენლად ელოდნენ, რომ მესია დამპყრობთა უღლისაგან გაათავისუფლებდა მათ და, ამავე დროს, თავად იმავე ბოროტ საქმეთა კეთებას განაგრძობდნენ, რომელთა გამოც ეს უღელი დაიდგეს. ქრისტეს რომ მათი ცოდვები დაეფარა და მათი გარეგნული, ზედაპირული სიწმიდე მოეწონებინა, ებრაელები მიიღებდნენ მას, როგორც მეფეს, მაგრამ მაცხოვარმა უშიშრად ამხილა მათი მანკიერებანი, რაც აუტანელი იყო ისრაელიანთათვის. შეიძულეს მათ მისი ხასიათის სილამაზე,

რომელშიც ასე აირეკლებოდა მისი კეთილი სურვილები, უმანკოება, სიწმიდე და არაფრისა და არავის მიმართ არ ყოფილა სიძულვილი, გარდა ცოდვისა. ასე იყო ყოველთვის, ასეა დღესაც. ზეციური ნათელი ამხილებს ყველას, ვისაც მისი მიღება არ სურს. როცა ცოდვის მოძულეთა ცხოვრება საყვედურია ორგულთათვის, მაშინ ისინი სატანის მსახურნი ხდებიან, რათა აწამონ და დევნონ ერთგულნი. "და ყველა, ვისაც სურს ქრისტე იესოში იცხოვროს ღვთისმოსაობით, დევნილი იქნება" /2 ტიმ. 3:12/.

თუმცა ისრაელში მონარქიული მმართველობის ფორმა ნაწინასწარმეტყველები იყო, მაგრამ უფალმა თავად გადაწყვიტა ხალხისათვის მეფის არჩევა. ებრაელები იმდენად სცემდნენ პატივს ღვთის ხელმწიფებას, რომ მეფის არჩევა სრულად მიანდეს მას. არჩევანი ხვდა საულს, კიშის ძეს, ბენიამინის შტოდან.

მომავალი მეფის პირადი ღირსებები სრულად პასუხობდა ისრაელიანთა პატივმოყვარე სურვილებს. "ისრაელიანთა შორის მასზე უკეთესი არავინ იყო" /1 მეფ. 9:2/. კეთილშობილი, უამრავი ღირსების მქონე, გაფურჩქვნის ხანაში მყოფი, მაღალი, მოხდენილი საული, თითქოს, სამეფო ტახტისთვის იყო დაბადებული. მაგრამ, მიუხედავად გარეგნული მომხიბვლელობისა, საულს არ გააჩნდა ჭეშმარიტი სიბრძნის მომასწავებელი ამაღლებული ზნეობრივი თვისებები.

სიყმაწვილეში თავისი ფიცხი და მგზნებარე ვნებების დაოკება არ ასწავლეს და არასოდეს განუცდია ღვთიური მადლის განმაახლებელი ძალა.

მეტად გავლენიანი და მდიდარი მთავრის შვილი იყო საული, თუმცა, იმ დროის წეს-ჩვეულებათა თანახმად, მამასთან ერთად მიწას ხნავდა და ამუშავებდა.

[608]

ერთხელ, რამდენიმე სახედარი დაეკარგათ და საული, თავის მსახურთან ერთად, მათ მოსაძებნად გაემართა. სამი დღე ამაოდ ეძებეს სახედრები და, აღმოჩნდნენ რა რამათის სიახლოვეს, სადაც სამუელი ცხოვრობდა, მსახურმა შესთავაზა საულს, ამ წინასწარმეტყველისათვის ეთხოვათ დახმარება დაკარგულის მოძებნასთან დაკავშირებით. "აჰა, მეოთხედი შეკელი ვერცხლი მაქვს ხელში. მივცეთ ღვთისკაცს და გვასწავლის გზას", - უთხრა მან საულს. ასეთი წესი არსებობდა იმ დროს: ადამიანს, რომელიც მათზე მაღლა იდგა, მონახულებისას, პატივისცემის ნიშნად, მცირე საჩუქარს უძღვნიდნენ.

ქალაქს მიუახლოვ დნენ და გზად წყალზე მიმავალი ახალგაზრდა ქალწულნი შემოხვდნენ, რომელთაც გამოჰკითხეს,

თუ სად იმყოფებოდა მისანი. მათ უპასუხეს, რომ ქალაქში მალე ღვთისმსახურება უნდა დაწყებულიყო და წინასწარმეტყველიც, რა თქმა უნდა, იქ იქნებოდა, ვინაიდან ხალხს "ბორცვზე" მსხვერპლი უნდა შეეწირა, შემდეგ კი - სამსხვერპლო ნადიმი გაემართა. უდიდეს გარდაქმნებს ჰქონდა ადგილი სამუელის მმართველობის დროს. იმ დროს, როცა უფალმა პირველად მოუწოდა მას მსახურებისათვის, მსახურება საწმიდარში არ ტარდებოდა. ადამიანები აღარ სწირავდნენ უფალს მსხვერპლს /იხ. 1 მეფ. 2:17/. ახლა კი ღვთისმსახურება მთელს ქვეყანაში ტარდებოდა და ხალხსაც ინტერესი გაუღვივდა რელიგიური მსახურებისადმი. ვინაიდან მსხვერპლშეწირვა კარავში არ ხდებოდა, ხალხი მღვდელმსახურთა და ლევიანთა ქალაქებში მიდიოდა რჩევა-დარიგებათა მისაღებად და მსხვერპლსაც იქ სწირავდა. ამ ქალაქების ყველაზე მაღალი ადგილები მსხვერპლშეწირვისათვის იყო განკუთვნილი, ამიტომ ეწოდებოდათ "ბორცვები".

თვით წინასწარმეტყველი დახვდა საულს ქალაქის შესასვლელთან. უფალმა ამცნო სამუელს ისრაელის მომავალი რჩეული მეფის მოსვლის დრო. და როცა ისინი ერთმანეთს შეხვდნენ, ღმერთმა უთხრა სამუელს: "აჰა, ის კაცი, რომელზეც გელაპარაკე. იგი იმეფებს ჩემს ერზე".

საულის თხოვნაზე: "მასწავლე, სად არის აქ მისანის სახლი", - სამუელმა უპასუხა: - "მე ვარ მისანი". შემდეგ, დაარწმუნა რა,

რომ სახედრები უკვე ნაპოვნია, წინასწარმეტყველმა საული ნადიმზე მიიწვია, სადაც სიტყვა გადაუკრა მის დიდ მომავალზე: "ვის ეკუთვნის ისრაელის მთელი საუნჯე, თუ არა შენ და მამაშენის მთელს სახლს?".

გული აუძგერდა საულს წინასწარმეტყველის სიტყვების მოსმენაზე. შეუძლებელი იყო, არ ეგრძნო მას ამ სიტყვებში დაფარული მეტად მნიშვნელოვანი აზრი, რადგან ადამიანებისგან ხშირად ესმოდა ხალხის მოთხოვნები ისრაელის მმართველად მეფის დასმის შესახებ. მაგრამ მაინც, ღვთისმოსაური მოკრძალებით უპასუხა მან: "მე ხომ ბენიამინელი ვარ, ისრაელის უმცირესი ტომის კაცი; ჩემი საგვარეულოც ხომ მცირეა ბენიამინის ტომის საგვარეულოთა შორის? რისთვის მეუბნები ამას?".

შეიყვანა სამუელმა საული ნადიმზე, სადაც ქალაქის საპატიო თავკაცნი ისხდნენ, დასვა მათ შორის საპატიო ადგილზე და საუკეთესო კერძები მოატანინა მისთვის. მსახურების დამთავრების შემდეგ თავის სახლში მიიპატიჟა იგი სამუელმა და სახლის ბანზე ბაასი გაუმართა იმ დიდებულ პრინციპებზე, რომელზედაც ისრაელის მმართველობა იყო დაფუძნებული. ასე შეეცადა სამუელი, შეემზადებინა საული მისი უზენაესი დანიშნულებისათვის.

მეორე დილას, როცა საული გასამგზავრებლად მოემზადა, სამუელიც თან გაჰყვა. ქალაქიდან გასვლისას მან მსახური წინ გაუშვა, საული კი მცირე ხანს შეაყოვნა, რათა მისთვის ღვთის სიტყვა გამოეცხადებინა. "აიღო სამუელმა ზეთით სავსე ქილა, თავზე დაასხა, აკოცა და უთხრა: აჰა, გცხო უფალმა თავისი სამკვიდროს მთავრად". და იმის დასამტკიცებლად, რომ ყოველივე ეს

[609]

[610]

უფლის ნებით ხდებოდა, სამუელმა უწინასწარმეტყველა ყველაფერი, რაც საულს სახლისკენ მიმავალ გზაზე შეემთხვეოდა. თანაც დაარწმუნა, რომ ღვთის სულით ცხებული ავიდოდა ისრაელის სამეფო ტახტზე. "ღვთის სული გადმოვა შენზე... - უთხრა მან, - სხვა კაცად გარდაიქმნები. როცა ყოველივე ეს აგიცხადდება, როგორც მოგინდეს, ისე მოიქეცი, რადგან ღმერთი იქნება შენთან".

წავიდა საული თავის გზაზე და ყოველივე ისე მოუხდა, როგორც ნაწინასწარმეტყველები იყო. ბენიამინის ტომის საზღვარზე მას ამცნეს, რომ სახედრები ნაპოვნია. თაბორის

ველზე ბეთელისკენ სალოცავად მიმავალ სამ კაცს შეხვდა. ერთ მათგანს სამი თიკანი მიჰყავდა აღსავლენად, მეორეს სამი პური მიჰქონდა, მესამეს კი - ტიკით ღვინო სადღესასწაულო ნადიმისათვის. ჩვეულებისამებრ მიესალმნენ ისინი საულს და ორი პური მისცეს. თავის ქალაქში, გიბყაში, შესვლისას "გორაკიდან ჩამომავალ ქადაგთა გუნდს" შეხვდა, რომელიც "ქნარით, დაფდაფით, სტვირითა და ებნით" ღმერთს ადიდებდა. როცა საული მათ მიუახლოვდა, ღვთის სული გადმოვიდა მასზე და "ისიც მათთან ერთად აქადაგდა". ისე შეუფერხებლად და ბრძნულად მეტყველებდა საული, ისე აქტიურად მონაწილეობდა ღვთისმსახურებაში, რომ მისი ნაცნობები განცვიფრებით კითხულობდნენ: "რა დაემართა კიშის ძეს? ნუთუ საულიც გაქადაგდა?".

წინასწარმეტყველებთან ერთად ღვთისმსახურებაში საულის მონაწილეობისას, სულიწმიდის ზემოქმედებით, დიდი ცვლილება მოხდა მასში. ღვთიური სიწმიდის ნათელი აკიაფდა მისი ხორციელი გულის წყვდიადში. ისეთად იხილა საკუთარი თავი, როგორიც უფლის წინაშე უნდა ყოფილიყო. სიწმიდის სილამაზე იხილა საულმა. მიხვდა იგი, რომ ამიერიდან უნდა ებრძოლოს ცოდვას და სატანას. მიხვდა იმასაც, რომ ამ ბრძოლაში წარმატების მოსაპოვებლად მხოლოდ ღვთის ძალის იმედი უნდა ჰქონდეს. ხსნის გეგმა, რომელიც აქამდე ასე ბუნდოვანი და გაუგებარი იყო მისთვის, ახლა მთელი სიცხადით გადაეშალა. დიდი სიბრძნე და გამბედაობა უბოძა ღმერთმა საულს მისი უდიდესი დანიშნულების

გასამართლებლად. გაუხსნა მადლისა და ძალის წყარო, განუმარტა უფლის მოთხოვნებისა და საკუთარი მოვალეობის არსი.

არაფერი იცოდა ხალხმა საულის მეფედ ცხების შესახებ. უფლის არჩევანი მას წილისყრით უნდა გამოცხადებოდა. ამ მიზნით შეკრიბა სამუელმა ხალხი მიცფაში. ღვთიური მმართველობა ითხოვა ხალხმა ლოცვაში, შემდეგ კი წილისყრის საზეიმო ცერემონიალი გაიმართა. მდუმარედ ელოდნენ აქ შეკრებილნი შედეგს. ისრაელის ყველა ტომიდან ბენიამინის ტომს ხვდა წილი. შემდეგ უფალმა მიუთითა საგვარეულოზე, ოჯახის წევრებზე და საბოლოოდ წილი ხვდა საულს, კიშის ძეს. მაგრამ იგი შეკრებილთა შორის არ აღმოჩნდა: მეტად დაუმძიმა გული იმ უდიდესმა პასუხისმგებლობამ, სულ მალე მისთვის რომ უნდა დაეკისრებინათ და შეკრებილთ შეუმჩნევლად გამოერიდა. მაგრამ ის მალე მოიყვანეს და წარადგინეს მთელი საკრებულოს წინაშე. უდიდესი სიამაყითა და კმაყოფილებით უმზერდნენ ისრაელიანნი მის მეფურ, კეთილშობილურ გარეგნობას, რადგან "ერთი თავით ყველაზე მაღალი გამოჩნდა" მათ შორის. თვით სამუელმაც კი საულის წარდგენის დროს სიხარულით შესძახა: "ხომ ხედავთ, ვინ აირჩია უფალმა? რადგან მთელს ხალხში არავინაა მისი მსგავსი. იხუვლა ხალხმა და თქვა: დღეგრძელი იყოს მეფე!".

"გამოუცხადა სამუელმა ერს მეფობის უფლებანი", განუმარტა ხალხს სამეფო მმართველობის პრინციპები და მათი უფლებები. არ იყო მეფე მათი უზენაესი მბრძანებელი - მისი ხელმწიფება უზენაესი ღმერთის ნებით უნდა შეზღუდულიყო: ეს მოწოდება წიგნში ჩაიწერა, სადაც ჩამოთვლილი იყო მეფის უფლება-

[611]

მოსილებანი, ხალხის უფლებები და პრივილეგიები. და, თუმცა ხალხმა უარყო სამუელის გაფრთხილება და ისიც იძულებული გახდა, დაეთმო მათთვის, მაინც ცდილობდა, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, მათი თავისუფლების დაცვას.

იმ დროს, როცა თითქმის ყველა მზად იყო ისრაელის მეფედ საულის აღიარებისათვის, გამოჩნდნენ ისეთებიც, რომელთაც სრულებით არ მოსწონდათ, რომ მეფეს ისრაელის ამ უმცირესი ტომიდან ირჩევდნენ და არა იუდას ან ეფრემის მრავალრიცხოვანი და ძლიერი შტოდან. ბევრმა შეურაცხყოფად მიიჩნია და ვერ შეურიგდა ამ ფაქტს. არ შეჰფიცეს ერთგულება საულს ამ ადამიანებმა და არც საჩუქრები მიურთმევიათ წესის მიხედვით. სწორედ მათ, ვინც ადრე ყველაზე მეტს ყვიროდა, რომ სურს მეფის მმართველობა, ახლა უარი თქვეს მადლიერებით მიეღოთ ღვთით დადგენილი მეფე. ყოველ

ჯგუფს თავისი რჩეული ჰყავდა ისრაელის ტახტზე ასასვლელად, ზოგიერთ მთავარს კი თავისთვის სურდა იგი. შურმა და ბოროტებამ იფეთქა მრავალთა გულში. სიამაყითა და პატივმოყვარეობით ნაკარნახევმა ნაბიჯებმა ააღელვა და იმედები გაუცრუა მათ.

ასეთი ვითარების გამო ვერ გადაეწყვიტა საულს სამეფო მმართველობის საკუთარ თავზე აღება. ხელმძღვანელობა კვლავ სამუელს მიანდო, თავად კი თავის სახლში, გიბყაში დაბრუნდა. დიდი პატივით მიაცილებდნენ მას ის ერთგული ადამიანები, ვინც მასში ღვთის რჩეულს ხედავდა. და მოისურვეს, დახმარებოდნენ, მაგრამ საულს არც უცდია, ძალის გამოყენებით ასულიყო ტახტზე. იქ, თავის სახლში, ბენიამინის კუთვნილ მიწაზე, მშვიდად ხნავდა და თესავდა, თავისი გამეფების საკითხი კი მთლიანად ღმერთს მიანდო.

საულის გამეფების შემდეგ, სულ მალე ნახაშ ყამონელი თავს დაესხა იორდანეს აღმოსავლეთით მცხოვრებ ისრაელიანთა ტომებს და გალაადის იაბეშს მოადგა, რომლის მოსახლეობამაც სამშვიდობო ზავი შესთავაზა და ხარკის გადახდასაც დაპირდა. მაგრამ სასტიკმა მეფემ არ მიიღო მათი წინადადება, არამედ თავისი პირობა წამოაყენა: ყოველი ადამიანისთვის დაეთხარა მარჯვენა თვალი, რაც მისი ძლიერების მოწმობა იქნებოდა მუდამ.

შვიდი დღე მოითხოვეს დაფიქრებისათვის ქალაქის მცხოვრებლებმა. დათანხმდნენ ყამონელები, რადგან ამით მომავალი გამარჯვების სიხარულის გაძლიერება სურდათ. ამ დროს იაბეშიდან დახმარების თხოვნით დაუყოვნებლივ გაგზავნეს კაცები იორდანეს დასავლეთით მცხოვრებ ტომებთან. ეს ცნობა გიბყაშიც მოვიდა, რომელმაც მთელი ქალაქი ააღელვა. საღამოთი ყანიდან დაბრუნებულ საულს, მთელი დღის განმავლობაში რომ შრომობდა თავის ხარებთან ერთად, დიდი უბედურების მაუწყებელი ხმამაღალი მოთქმა შემოესმა. მაშინვე იკითხა მან: "რა ატირებს ხალხს?" და, როცა სამშვიდობო ზავის ასეთი სამარცხვინო პირობის შესახებ შეიტყო, აქამდე მასში მთვლემარე ძალამ გაიღვიძა, "ღვთის სული გადმოვიდა საულზე... ადგა და აკუწა ორივე ხარი და მოციქულების ხელით დაგზავნა მთელს ისრაელში, შეუთვალა: ვინც საულსა და სამუელს არ გაჰყვება, ასე მოუვა მის ხარებს".

სამას ოცდაათი ათასი კაცი შეიკრიბა ბეზეკში საულის ბრძანებით. ალყაშემორტყმულ ქალაქში დაუყოვნებლივ გაგზავნილმა მაცნეებმა აუწყეს, რომ მაშველი მოვიდოდა დილას, სწორედ იმ დღეს, როცა ქალაქის მცხოვრებნი ყამონელთა ტყვეებად უნდა ქცეულიყვნენ. სწრაფად გადაცურა საულმა თავისი ლაშქრითურთ იორდანე და "დილის სახმილავზე" მიადგნენ იაბეშს. გედეონის მსგავსად, სამ ჯგუფად გაჰყო საულმა ხალხი და განთიადზე, როცა მტრის ბანაკში არავითარ საფრთხეს არ ელოდნენ, თავს დაესხა

ყამონელთ. თითქმის სრულად გაანადგურეს პანიკაში ჩავარდნილი მტერი. "გადარჩენილნი კი ისე

[612]

[613]

დაიფანტნენ, რომ ორს ერთად ვერ ნახავდა კაცი".

სიმარჯვე და სიმამაცე, მრავალრიცხოვან მტერთან ბრძოლაში გამოვლენილი საომარი ოსტატობა - ეს სწორედ ის ღირსებები იყო, ისრაელიანთ რომ თავიანთ მეფეში სურდათ ეხილათ, რათა წარმატებითი ომები ეწარმოებინა სხვა ტომთა წინააღმდეგ. ახლა ისინი ესალმებოდნენ მას, როგორც ისრაელის მეფეს, მის ადამიანურ ოსტატობას მიაწერეს ეს დიადი გამარჯვება და სრულიად გადაავიწყდათ, რომ უფლის განსაკუთრებული კურთხევის გარეშე ყოველი მათი მცდელობა ფუჭი იქნებოდა. ზოგმა ენთუზიასტმა შესთავაზა ხალხს, დაეხოცათ ყველა ის ადამიანი, რომელმაც თავიდანვე არ აღიარა საულის ხელმწიფება. მაგრამ მეფე ჩაერია და ბრძანა: "ერთი კაციც არ მოკვდება დღეს, რადგან ხსნა მოავლინა უფალმა დღეს ისრაელში". ეს სიტყვები მის სულში მომხდარი ცვლილებების დასტური იყო. არ მიითვისა საულმა ამ ბრძოლაში გამარჯვების

დიდება, არამედ ამისათვის მადლობა შესწირა და პატივი მიაგო უფალს. შურისძიების ნაცვლად გულმოწყალება და მიმტევებლობა გამოიჩინა. ეს კი ადამიანის გულში ღვთის მადლის არსებობის უეჭველი მტკიცებაა.

შემდეგ კი გილგალში საყოველთაო კრების მოწვევა შესთავაზა სამუელმა ხალხს, რათა სახალხოდ დაემტკიცებინათ საული მეფედ. ასეც მოიქცნენ. "შესწირეს იქ სამადლობელი მსხვერპლი უფლის წინაშე და ძლიერ გაიხარეს იქ საულმა და ყველა ისრაელიანმა".

გილგალი იყო სწორედ ის ადგილი აღთქმულ მიწაზე, სადაც პირველად დაბანაკდა ისრაელი. იორდანეს სასწაულებრივი გადალახვის აღსანიშნავად სწორედ აქ ააგო იესო ნავეს ძემ უფლის მითითებით სვეტი თორმეტი ლოდისაგან. აქვე იქნა განახლებული წინადაცვეთის წესი. აქ იზეიმა პირველად ხალხმა პასექი კადეშის განდგომილებისა და უდაბნოში ხანგრძლივი ხეტიალის შემდგომ. აქ შეწყდა ცვენა ზეციური მანანისა. სწორედ აქ გამოეცხადა იესო ნავეს ძეს უფლის მხედრობის თავი, როგორც ისრაელიანთა ლაშქრის წინამძღოლი. აქედან გაემართნენ იერიხონისა და ჰაღაის ასაღებად. აქ მიიღო ყაქანმა დამსახურებული სასჯელი და აქვე დაუდეს შეთანხმება გაბაონელებს უფლის დაუკითხავად, რისთვისაც ასე დაისაჯა ისრაელი. და ახლა, სწორედ ამ ველზე, რომელთანაც ხალხს ამდენი ამაღელვებელი მოგონება

აკავშირებდა, იდგნენ სამუელი და საული და, როცა მეფისადმი მისასალმებელი შეძახილები შეწყდა, მოხუცმა წინასწარმეტყველმა, ისრაელის ყოფილმა მმართველმა, გამოსათხოვარი სიტყვებით მიმართა ხალხს:

"აჰა, ყველაფერი მოგისმინეთ, რასაც მოითხოვდით ჩემგან და დაგისვით მეფე. ამიერიდან მეფე წაგიძღვებათ წინ; მე მოვხუცდი და გავთეთრდი. აქ არიან ჩემი შვილებიც თქვენთან ერთად. სიყმაწვილიდან დღემდე წინ მიგიძღოდით. აჰა, აქა ვარ, მამხილეთ უფლისა და მისი ცხებულის წინაშე, თუ ოდესმე ვინმესთვის ხარი ან სახედარი წამერთმიოს, თუ ვინმე შემევიწროებინოს, თუ ვინმე დამეჩაგროს, თუ ვინმესგან ქრთამი ამეღოს მის საქმეზე თვალის დასახუჭად, პასუხს ვაგებ".

"უთხრეს: არც შეგივიწროებივართ და არც დაგიჩაგრივართ, არც ვინმესგან რამე აგიღია".

ამ სიტყვებით მხოლოდ თავისი საქციელის გამართლება არ სურდა სამუელს. ახლახანს მან უკვე აუხსნა ხალხს ის პრინციპები, რომლითაც მეფე და ადამიანები უნდა ხელმძღვანელობდნენ. მაგრამ ახლა მას სურდა, ხალხის წინაშე საკუთარი მსახურების მაგალითით უფრო მეტი წონა მიეცა თავისი სიტყვებისათვის. ბავშვობიდანვე იღწვოდა იგი ღვთის მსახურებისათვის და მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე ემსახურებოდა მხოლოდ

[614]

ერთ მიზანს - უფლის განდიდებას და ისრაელის კეთილდღეობას.

არავითარი კეთილდღეობის იმედი არ უნდა ჰქონოდა ისრაელს დანაშაულის მონანიებამდე. რჯულის დარღვევის შედეგად ღვთისადმი რწმენა დაკარგეს ებრაელებმა და ვერ შეაფასეს უზენაესის სიბრძნე და მისი ხელმძღვანელობის ძალა. ჭეშმარიტი მშვიდობის მოპოვებამდე მათ ჩადენილი დანაშაული უნდა ეღიარებინათ და მოენანიებინათ. ასე ხსნიდნენ ისინი მეფის მმართველობის მოთხოვნის მიზეზს: "ჩვენი მეფე განგვსჯის ჩვენ, წინ წაგვიძღვება და ჩვენი გულისთვის იბრძოლებს".

გაიხსენა სამუელმა ისრაელის მთელი ისტორია მისი ეგვიპტიდან გამოყვანის დღიდან. მაშინ იეჰოვა, მეფეთ მეფე, მიუძღოდა წინ და მათ ბრძოლებს ხელმძღვანელობდა. მათი ურჯულოების გამო, ხშირად იმარჯვებდა მათზე მტერი, მაგრამ როგორც კი ბოროტების გზას ტოვებდნენ, ღვთიური მოწყალება ხიფათისაგან იცავდა მათ. გედეონი, ბარაკი, იფთახი და სამუელი გამოგზავნა უფალმა, "ისინი გიფარავდნენ გარეშემო

მტრებისაგან და თქვენც ცხოვრობდით მშვიდად", - მიმართა სამუელმა. მაგრამ ახლაც კი, როცა ასეთი საშიშროება ელოდათ, წინასწარმეტყველის სიტყვებზე: "თქვენი მეფე კი უფალია, ღმერთი თქვენი", - განაცხადეს: "არა, მეფემ იმეფოს ჩვენზე!".

"ახლაც დადექით და შეხედეთ ამ დიდ საქმეს, - განაგრძო სამუელმა, - რასაც უფალი აღასრულებს თქვენს თვალწინ. ხომ პურის მკის დრო არის ახლა? შევსთხოვ უფალს და მოავლენს იგი ჭექა-ქუხილსა და წვიმას, რომ იცოდეთ და ნახოთ, რა დიდია თქვენი ბოროტება, უფლის წინაშე რომ ჩაიდინეთ, როცა მეფე მოითხოვეთ. შესთხოვა სამუელმა უფალს და მოავლინა უფალმა ჭექა-ქუხილი და წვიმა იმ დღეს". პურის მკის დროს, მაისში და ივნისში, აღმოსავლეთში არასოდეს წვიმს. ცა უღრუბლოა, ჰაერი სუფთა და რბილი. ამ დროს ამოვარდნილმა ძლიერმა ქარიშხალმა თავზარი დასცა ხალხს. და ახლა მორჩილებით აღიარეს ისრაელიანებმა თავისი დანაშაული: "შეევედრე უფალს, შენს ღმერთს, შენს მორჩილთა გულისათვის, რომ არ დავიხოცოთ, რადგან მთელს ჩვენს ცოდვებს ის ბოროტებაც დავუმატეთ, რომ მეფე მოვითხოვეთ".

მაგრამ სამუელმა არ დატოვა ხალხი სასოწარკვეთილებაში, რადგან ეს ხელს შეუშლიდა ებრაელებს სიმართლის გზაზე კვლავ დაბრუნებაში. მაშინვე დაიწყებდა სატანა მათ დარწმუნებას იმაში, რომ სასტიკია ღმერთი და არ უყვარს მიტევება, რითაც დიდად აცდუნებდა მათ. მოწყალეა უფალი და

მუდამ მზად არის, მოგვიტევოს და მოგვცეს უხვი წყალობა მისი ნების აღმსრულებელთ. "ნუ გეშინიათ, - ბრძანა უფალმა წინასწარმეტყველის ბაგეებით, - უკვე ჩადენილი გაქვთ მთელი ეს ბოროტება. ოღონდ ნუღარ განუდგებით უფალს და მთელი გულით ემსახურეთ. ნუ გაიწევთ ფუჭი ღმერთებისაკენ, არ დაგიფარავენ და არ გიხსნიან, რადგან ფუჭნი არიან. უფალი კი არ დააგდებს თავის ერს".

არ გამოუთქვამს სამუელს რაიმე წყენა ებრაელთა საქციელის გამო. ერთი საყვედურიც კი არ წამოსცდენია ისრაელის უმადურობის გამოვლენის გამო, თუმცა მთელი სიცოცხლე მათთვის მსახურებას შეალია. პირიქით, თავის ერთგულებაში არწმუნებდა ყველას: "მე კი, ნუმც შევცოდო უფალს, ნუმც შევწყვიტო თქვენს გამო ვედრება. დაგაყენებთ სასიკეთო და ჭეშმარიტ გზაზე. ოღონდ უფლის გეშინოდეთ და ემსახურეთ წრფელად და მთელი გულით, რადგან ხედავთ, რა დიდი საქმე აქვს აღსრულებული თქვენთვის. თუ ბოროტად მოიქცევით, თქვენც დაიღუპებით და თქვენი მეფეც".

[615]

თავი 60 - საულის თვითდაჯერებულობა

პირველი მეფეთა 13; 14

გილგალში გამართული თავყრილობის შემდეგ საულმა დაშალა ყამონელებთან საომრად შეკრებილი ლაშქარი. მხოლოდ მიქმაშში დაიტოვა ორი ათასი კაცი, ათასი კი თავის ძეს, იონათანს ჩააბარა გიბყაში. მეტად სერიოზული შეცდომა დაუშვა აქ საულმა. დიდად გახალისებული იყო მისი მხედრობა მოპოვებული გამარჯვებით და, საულს რომ ეს მომენტი გამოეყენებინა და მაშინვე შებმოდა ისრაელის სხვა მტრებს, სრულად გაანადგურებდა მათ და თავის ერს გაათავისუფლებდა.

ამასობაში ძალას იკრებდნენ მათ მეზობლად მცხოვრები ფილისტიმელნი. ებენ-ყეზერში ბრძოლის წაგების შემდეგ ჯერ კიდევ ფლობდნენ რამდენიმე ციხესიმაგრეს ისრაელის მიწაზე, ახლა კი ქვეყნის შუაგულში გამაგრებულიყვნენ. რაც შეეხება საომარ აღჭურვილობას და სხვა მოწყობილობას, ფილისტიმელთ ისრაელთან შედარებით დიდი უპირატესობა ჰქონდათ. მათთან ხანგრძლივ ტყვეობაში მყოფ ისრაელიანთ ეკრძალებოდათ რკინის დამუშავება, რათა არ ჰქონოდათ იარაღის დამზადების შესაძლებლობა. ზავის დადების შემდეგ, იარაღის საჭიროების შემთხვევაში, ებრაელები მათ მიმართავდნენ დახმარებისათვის. საკუთარ თავზე ზრუნვას მიუჩვეველი, თავისი მონური ცხოვრებით დაბეჩავებული

ებრაელები არ ზრუნავდნენ საკუთარი იარაღის შექმნისათვის. საომარი მოქმედებებისას ისინი ხშირად მშვილდსა და შურდულს იყენებდნენ, რასაც ისრაელიანნი თავად ამზადებდნენ. მხოლოდ საულსა და მის ვაჟს, იონათანს , ჰქონდათ შუბი და მახვილი.

მხოლოდ საულის მეფობის მეორე წელს შეეცადნენ ისრაელიანნი ფილისტიმელთა დამორჩილებას. პირველი დარტყმა იონათანმა მიაყენა მათ. მეფის ძე გიბყაში დაესხა თავს მათ რაზმს და გაანადგურა. ამ დამარცხებით გამძვინვარებული ფილისტიმელები აქტიურად ემზადებოდნენ ისრაელიანთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ახლა იძულებული გახდა საული, გამოეცხადებინა მთელს ქვეყანაში, რომ ყველა ბრძოლისუნარიანი მამაკაცი, იორდანეს გაღმა მცხოვრებ ტომთა ჩათვლით, გილგალში შეკრებილიყო. ბრძანება უმალ შესრულდა.

ფილისტიმელთა უზარმაზარი არმია მიქმაშში დაბანაკდა - „ოცდაათი ათასი საომარი ეტლი, ექვსი ათასი ცხენოსანი, ზღვის ქვიშასავით ურიცხვი ხალხი". როცა ამ ცნობებმა საულისა და მისი ხალხის ყურამდე მიაღწია გილგალში, ისინი ძლიერ შეაშინა ასეთ ძლიერ მტერთან მოსალოდნელმა შებრძოლებამ, რადგან არ იყვნენ მზად მტერთან საომრად. მრავალი მათგანი იმდენად შეშინდა, რომ ბრძოლაშიც არ ჩაბმულა. ზოგმა იორდანე გადალახა, ზოგი კი გამოქვაბულებში, კლდის ნაპრალებსა თუ ორმოებში დაიმალა, რითაც ასე მდიდარი იყო

ეს მხარე. საომარ მოქმედებათა დაწყების მოახლოებასთან ერთად, იმატა დეზერტირთა რიცხვმა, საულთან დარჩენილნი კი საშინელმა, ბნელმა წინათგრძნობამ შეიპყრო.

ადრე, როცა საული ისრაელის მეფედ აკურთხეს, მსგავს ვითარებაში მოქმედების განსაზღვრული მითითება მიეცა მას: „ჩემზე წინ ჩახვალ გილგალში და მეც მალე მოვალ შენთან, რათა შევწირო აღსავლენი და სამადლობელი მსხვერპლი. შვიდ დღეს მელოდე, ვიდრე არ მოვალ შენთან და არ გასწავლი, რა უნდა გააკეთო" /1 მეფ. 10:8/.

და ამ მოლოდინის დღეებში არაფერს აკეთებდა საული ადამიანთა გასამხნევებლად; არც იმისკენ მოუწოდებდა, რომ ყველაფერში ღმერთს

[616]

[617]

დაყრდნობოდნენ. როცა წინასწარმეტყველის მიერ დანიშნული დრო ამოიწურა, ლოდინი ვეღარ შეძლო და მწარე უიმედობა

დაეუფლა ასეთი მძიმე ვითარებით დათრგუნვილს. იმის ნაცვლად, რომ ხალხი ღვთისმსახურებისათვის მოემზადებინა, რომელიც სამუელს უნდა ჩაეტარებინა, ურწმუნოება და ეჭვი დაეუფლა. უფალთან მსხვერპლშეწირვით ურთიერთობის ძებნა მეტად მნიშვნელოვანი და საზეიმო მსახურებაა და უფალი ითხოვდა, გამოეკვლია მის ხალხს საკუთარი გული, ცოდვები მოენანიებინა, რათა მიეღო უფალს აღსავლენი და ეკურთხებინა თავისი ერი მტერზე გამარჯვებისათვის. მაგრამ თანდათან, სულ უფრო და უფრო ეუფლებოდა საულს მოუსვენრობა, მისი შემყურე ხალხი კი ღმერთს როდი სთხოვდა შველას, არამედ მეფეს, რომელმაც უნდა მართოს და უხელმძღვანელოს.

მაგრამ კვლავინდებურად ზრუნავდა უფალი თავის ერზე. სწორედ ამიტომ აარიდა მას უბედურება, რაც აუცილებლად დაატყდებოდა თავს, თუკი მისი ერთადერთი საყრდენი მხოლოდ მოკვდავი ადამიანი იქნებოდა. ასეთი ვითარება შეუქმნა მათ უფალმა, რათა ჩასწვდომოდნენ ადამიანის ძალაზე დაყრდნობის უაზრობას და მხოლოდ ღმერთის დახმარების იმედი ჰქონოდათ. დადგა საულის გამოცდის დრო. ახლა მას უნდა ეჩვენებინა, ჰქონდა თუ არა ღმერთის იმედი და შეეძლო თუ არა მოთმინებით ლოდინი, როგორც უფალმა უბრძანა. ახლა უნდა გამოევლინა მას თავი უფლისათვის სანდო ადამიანად, რომელიც მძიმე წუთებში წაუძღვებოდა თავის ხალხს, როგორც ერის წინამძღოლი ან, პირიქით, შეყოყმანდებოდა და თავისი წმიდა მოწოდების უღირსობას გამოავლენდა. მოუსმენს თუ არა ისრაელის რჩეული მეფე მეფეთ მეფეს? მიუთითებს თუ არა

თავის სულით დაცემულ ქვეშევრდომთ უზენაესზე - ძალისა და ხსნის მარადიულ წყაროზე?

სულ უფრო მოუთმენლად ელოდა საული სამუელის გამოჩენას, რადგან მეომართა დაბნეულობას, სასოწარკვეთილებას და დეზერტირობას წინასწარმეტყველის დაგვიანებას აბრალებდა. არ გამოჩნდა დანიშნულ დროზე ღვთის კაცი - უფალი აკავებდა თავის მსახურს. მაგრამ მოსვენებადაკარგულ საულს მოთმინება აღარ ეყო ლოდინისათვის. გრძნობდა, რომ რაღაც უნდა ეღონა ხალხის დასამშვიდებლად, შეეკრიბა ისრაელიანნი ღვთისმსახურებისათვის და მსხვერპლის შეწირვით ეთხოვა უფლისათვის დახმარება. უფლის ბრძანებით, აღსავლენი ს შეწირვის უფლება მხოლოდ ამ განსაკუთრებული მსახურებისათვის არჩეულ ადამიანებს ჰქონდათ. მაგრამ „თქვა საულმა: მომიყვანეთო აღსავლენი და სამადლობელი მსხვერპლი". და საომარ ტანსაცმელში გამოწყობილი და იარაღასხმული საული სამსხვერპლოს მიუახლოვდა და აღსავლენი აღავლინა.

„როცა გაასრულა აღსავლენის აღვლენა, სამუელიც მოვიდა. გამოვიდა საული მის შესახვედრად და მისასალმებლად". უმალვე შეამჩნია სამუელმა, რომ უფლის საწინააღმდეგოდ მოიქცა საული. ნაბრძანები ასე ჰქონდა უფალს, რომ ამ დროს წინასწარმეტყველის მეშვეობით გამოუცხადებს ისრაელს, თუ როგორ უნდა მოიქცეს მძიმე ჟამს. საულს რომ შეესრულებინა

ყველა პირობა, რომლითაც ღვთიური დახმარება აღეთქვა, მაშინ უფალი იმ მცირერიცხოვანი რაზმით, მეფის ერთგული რომ დარჩა, მოახდენდა სასწაულს და ისრაელს გაათავისუფლებდა. მაგრამ საული იმდენად კმაყოფილი იყო თავისი საქციელით და წინასწარმეტყველთან შესახვედრად ისე გამოვიდა, თითქოს ქებას იმსახურებდა და არა გაკიცხვას.

დიდად წუხდა და ღელავდა სამუელი. მის შეკითხვაზე: „რა გააკეთე?" - საულმა თავისი წინდაუხედავი ნაბიჯის გამართლება სცადა: „დავინახე, რომ მეფანტებოდა ხალხი და შენც არ მოხვედი დათქმულ დროს. ფილისტიმელები კი მიქმაშში არიან შეკრებილნი. ვიფიქრე, ახლა დამესხმებიან ფილისტიმელები

[618]

[621]

გილგალში, მე კი არ შევვედრებივარ-მეთქი უფალს, თავს ვიკავებდი, მაგრამ მაინც აღვავლინე აღსავლენი მსხვერპლი".

„უთხრა სამუელმა საულს: უგუნურად მოიქეცი, რომ არ დაიცავი უფლის, შენი ღმერთის ნაბრძანები. ეს რომ არ გექნა, სამარადისოდ განამტკიცებდა უფალი შენს მეფობას ისრაელზე. ამიერიდან ვეღარ იმყარებს შენი მეფობა. გამოძებნის უფალი თავის სასურველ კაცს და თავისი ერის წინამძღოლობას უბრძანებს... ადგა სამუელი და წავიდა გილგალიდან ბენიამინის გიბყაში".

ან აღარ უნდა დარჩენილიყო ისრაელი ღვთის რჩეულ ერად, ან უნდა ეხელმძღვანელა იმ ღვთიური ძალითა და პრინციპებით, რომელზედაც სამეფო მმართველობა დამყარდებოდა. ისრაელს რომ უფლისადმი სრული ერთგულება და მორჩილება გამოევლინა, კვლავ დარჩებოდა ღმერთი მის მფარველად. სანამ მეფე და ხალხი მისი მორჩილნი იყვნენ, უფალს შეეძლო მათი დაცვა. შეუძლებელი იყო ისრაელში წარმატება ჰქონოდა რომელიმე მმართველობას უფლის უზენაესი ხელმწიფების აღიარების გარეშე.

საულს რომ იმ გამოცდის დღეებში უფლის ბრძანებებისადმი პატივისცემა გამოეჩინა, ღმერთი აასრულებდა მისი მეშვეობით თავის ჩანაფიქრს. მეფის უღირსმა საქციელმა აჩვენა, რომ ვერ გახდებოდა იგი უფლის თანაშემწე და ვერც მის ხალხს გაუძღვებოდა, რადგან არასწორი გზით წაიყვანდა ისრაელს. იგი იმოქმედებდა არა უფლის, არამედ თავისი ნებით. საულის ბოლომდე ერთგულად დარჩენის შემთხვევაში, სამარადისოდ

განმტკიცდებოდა მისი სამეფო, მაგრამ უღირსი აღმოჩნდა იგი, ამიტომ საკუთარი ჩანაფიქრის ხორცშესხმისათვის სხვა ადამიანი უნდა აერჩია უფალს. ისრაელის ხელმძღვანელად უნდა დადგენილიყო ის, ვინც ხალხს ზეციურ ნებას დაუმორჩილებდა.

ხშირად ჩვენთვის გაუგებარია ჩვენი გამოცდის მიზანი. კაცთათვის ერთადერთი გამოსავალი ღვთის სიტყვისადმი სრული მორჩილებით ცხოვრებაა. ყოველი მისი აღთქმა მოცემულია რწმენისა და მორჩილების პირობით, მისი სიტყვის შეუსმენლობის შემთხვევაში კი ვკარგავთ წმიდა წერილით მოცემულ უხვ კურთხევასა და მადლს. არ შეიძლება, ვიმოქმედოთ გულის წუთიერი სურვილებით და დავეყრდნოთ ადამიანთა მსჯელობებს. უფლის მიერ ჩვენთვის გაცხადებული ნებით უნდა ვიმოქმედოთ და ყველა ვითარებაში მისი ნათელი ბრძანებებით უნდა ვიხელმძღვანელოთ. შედეგზე თავად იზრუნებს უფალი. გამოცდისა და გასაჭირის დღეებში მისი სიტყვისადმი ერთგულების შენარჩუნებით დავუმტკიცებთ ადამიანებსაც და ანგელოზებსაც, რომ უფალს შეუძლია, მოგვანდოს თავისი ნების შესრულება სიძნელის ჟამს, რითაც განვადიდებთ მის სახელს და კურთხევად ვიქცევით მისი ხალხისათვის.

აღარ მოხედა უფალმა საულს, რადგან არ დამორჩილდა და არც მოინანია. იგი შეეცადა, რელიგიური წესების გულმოდგინე

შესრულებით შეეცვალა ჭეშმარიტი ღვთისმოსაობა, რაც ასე დიდად აკლდა მას. მან კარგად იცოდა, თუ რა დაემართა ისრაელს, როცა ხოფნიმ და ფინხასმა უფლის კიდობანი ბანაკში მოიტანეს, და მაინც გაბედა და ხალხი გაგზავნა კიდობნის მოსატანად და იმ მღვდლის მოსაყვანადაც, რომელსაც ჩაბარებული ჰქონდა იგი. ხალხის გამხნევებას ფიქრობდა იგი ამით, რათა დაშლილი, გაფანტული მხედრობა შეეკრიბა და ფილისტიმელთ შებრძოლებოდა. აღარ სურდა მას სამუელის მოსვლა და მისი დახმარება და არც მისი საყვედურების მოსმენა.

ღვთის სული მიეცა საულს, რათა გონიერება, სიბრძნე და გულის მორჩილება მიეძღვნა უფლისთვის. ზუსტი მითითება და გაფრთხილება მიიღო მან ღვთის წინასწარმეტყველისაგან. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც თავისი სურვილისამებრ მოიქცა - იმდენად ჯიუტი იყო! ისრაელის პირველი მეფის ცხოვრების ისტორია სამწუხარო მაგალითია იმ მანკიერი თვისებებისა, ადრეულ სიყმაწვილეში

[622]

რომ იძენს ადამიანი. არ უყვარდა საულს ბავშვობაში ღმერთი და არც ეშინოდა. თავიდანვე ვერ დათრგუნა საკუთარ თავში ამაყი

სული და ყოველთვის მზად იყო, ღვთიურ ხელმწიფებას წინ აღდგომოდა. ის, ვინც სიყმაწვილიდანვე პატივს სცემს ღვთის ნებას და თავის მოვალეობებს პირნათლად ასრულებს, შემდგომში უფრო დიდი მსახურებისათვის ამზადებს საკუთარ თავს. შეუძლებელია, წლების განმავლობაში დაიმახინჯო ღვთით ბოძებული ნიჭები და იფიქრო, რომ შემდგომში, როცა საკუთარი სულის გარდაქმნას მოისურვებ, ეს ნიჭები უვნებელი შემოგრჩება და მათ სწორად გამოიყენებ.

უშედეგო გამოდგა საულის მცდელობა, გაემხნევებინა ხალხი. მხოლოდ ექვსასი მხედრის თანხლებით დატოვა მან გილგალი და დაბრუნდა გიბყაში, ციხესიმაგრეში, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ ფილისტიმელთ წაართვა. ეს ქალაქი ღრმა, კლდოვანი ხეობის სამხრეთით, იერუსალიმისაგან ჩრდილოეთით, რამდენიმე მილის მანძილზე მდებარეობდა. ამ ხეობის ჩრდილოეთით, მიქმაშში, ფილისტიმელები დაბანაკდნენ, საიდანაც მცირე თავდასხმებს აწყობდნენ და ქვეყანას აოხრებდნენ.

მეტად მძიმე განსაცდელის მტანჯველი დღეები მოუვლინა უფალმა ისრაელს, რათა ემხილებინა საულის თავნებობა და მორჩილებისა და მონანიების გაკვეთილი მიეცა მისთვის. საულის ცოდვის გამო გააკეთა ეს, როცა მან თვითდაჯერებულობა გამოიჩინა და აღსავლენი აღუვლინა ღმერთს - ვერ დაუშვებდა უფალი, რომ ფილისტიმელებზე გამარჯვების დიდება საულს მიეთვისებინა. მეფის ღვთისმოშიშ

ძეს, იონათანს, უნდა გაეთავისუფლებინა ისრაელი. ღვთიური ძალის იმედით შესთავაზა მან თავის საჭურველთმტვირთველს, ჩუმად დასხმოდნენ თავს მტრის ბანაკს. „ეგების გაგვამარჯვებინოს უფალმა, - დაჟინებით მოითხოვდა იგი, - რადგან უფლისთვის არ არის დაბრკოლება, ბევრი ხალხით იხსნის თუ მცირეთი".

ღვთის ღრმად მორწმუნე საჭურველთმტვირთველმა მოიწონა ეს გეგმა და ორივემ ჩუმად, ხელი რომ არავის შეეშალა მათთვის, ბანაკი დატოვა. გულწრფელი ლოცვა აღუვლინეს მას, უზენაესს, მათი მამების ღმერთს და მოილაპარაკეს, რომ ერთმანეთისათვის ნიშნის მიცემისთანავე დაიწყებდნენ მოქმედებას. შემდეგ ჩავიდნენ ხეობაში, რომელიც ორ არმიას ერთურთისაგან ყოფდა და კლდეთა ჩრდილებში უსიტყვოდ განაგრძეს გზა. ზოგჯერ კი გორაკებსა და კლდოვან შვერილებს ეფარებოდნენ. მალე ფილისტიმელთა ბანაკს მიუახლოვდნენ და მტრის წინაშე აღმოჩნდნენ. დაცინვით შეჰყვირეს ფილისტიმელებმა: „აჰა, ებრაელები გამოდიან ხეობიდან, სადაც იმალებოდნენ" და თავისთან მიიპატიჟეს: „მოდით ჩვენთან და გაგაგებინებთ ამბავს". მტერმა იფიქრა, ჭკუას ვასწავლით ებრაელებს ამ თავხედობისთვის ო. სწორედ ეს სიტყვები იყო ნიშანი, იონათანმა და მისმა მეგობარმა რომ დათქვეს, როგორც მტკიცება იმისა, რომ უფალი იწონებს მათ მოქმედებას და აკურთხებს მათ. თვალს მიეფარნენ მეომრები, მიუვალი ბილიკებით მთის მწვერვალისაკენ გაემართნენ. ის იმდენად ძნელმისადგომი იყო, რომ, მტრის აზრით, დაცვაც არ

ესაჭიროებოდა. შეიპარნენ მტრის ბანაკში, დახოცეს გუშაგები, რომელთაც მოულოდნელობისაგან ხმის ამოღებაც კი ვერ მოასწრეს და წინააღმდეგობაც არ გაუწევიათ.

ზეციური ანგელოზები იცავდნენ იონათანსა და მის მეგობარს; მათთან ერთად იბრძოდნენ. ზედიზედ იცელებოდნენ ფილისტიმელნი. მიწა ისე ირყეოდა, თითქოს მხედრებითა და ეტლებით იყო სავსე არემარე. ღვთიური დახმარების ნიშნად მიიღო ყოველივე ეს იონათანმა და თვით ფილისტიმელებიც მიხვდნენ, რომ უფალი იბრძოდა ებრაელთათვის. საშინელმა შიშმა მოიცვა მტრის ლაშქარი - ბრძოლის ველზედაც და ბანაკის შიგნითაც. ვეღარ არჩევდნენ ფილისტიმელნი მტერსა და მოყვარეს და თავისიანების ხოცვას მიჰყვეს ხელი.

მალე ისრაელიანთა ბანაკსაც მისწვდა ბრძოლის ხმა. ამბავი მოიტანეს

[623]

[624]

მეფის გუშაგებმა ფილისტიმელთა მხედრობაში საშინელი აურზაურისა და მათი რიგების ჯეროვნად შეთხელების თაობაზე. ბანაკიდან ორი ადამიანის გასვლის შესახებ ჯერ კიდევ არაფერი იცოდნენ. შემოწმების შემდეგ იონათანისა და მისი საჭურველთმტვირთველის გარდა ყველა ადგილზე აღმოჩნდა. დაინახეს ისრაელიანებმა, რომ ფილისტიმელნი უკან იხევდნენ და საულის მთელი მხედრობა იერიშზე გადავიდა. ებრაელები, ადრე მტერს რომ გაექცნენ, ახლა საბრძოლველად მიიწევდნენ მათზე. მრავალი სამალავიდან გამოსულიც შეუერთდა მათ და, ამრიგად, საულის მეომრები გაქცეულ, დაბნეულ მტერს დაედევნენ და გაიცამტვერეს.

შექმნილი ვითარებიდან უფრო მეტი სარგებლობის მიღების მიზნით, მეფემ მეტად წინდაუხედავი ნაბიჯი გადადგა, როცა თავის მეომრებს უბრძანა, არაფერი ეჭამათ მთელი დღის განმავლობაში და ეს ბრძანება საზეიმო ფიცით დაამტკიცა: „წყეულიმც იყოს, ვინც პური შეჭამოს საღამომდე, როცა შურს ვიძიებ მტრებზე". გამარჯვება საულის გარეშე იქნა მოპოვებული, მაგრამ უკვე დამარცხებული მტრის სრული განადგურებით საკუთარი სახელის განდიდება მოისურვა მეფემ. პურის ჭამისაგან თავის შეკავების ბრძანების გაცემისას ამპარტავნობით ხელმძღვანელობდა თავისი ხალხის გაჭირვებისადმი გულგრილი მეფე, რომელიც მხოლოდ თვითგანდიდებაზე ფიქრობდა. ფიცით განამტკიცა ბრძანება საულმა, რითაც თავისი დაუდევრობა და უვიცობა გამოამჟღავნა. თვით ფიცის სიტყვები მოწმობდა, რომ საკუთარი თავის განდიდება სურდა და არა ღმერთისა. მას არ უთქვამს:

„სანამ უფალი შურს არ იძიებს მტრებზე", არამედ - „როცა შურს ვიძიებ მტრებზე".

ამ აკრძალვამ ხალხს უფლის მცნება დაარღვევინა. მთელი დღის ნაომარი, შიმშილისაგან ღონემიხდილი ხალხი, აკრძალვის დროის გასვლისთანავე ეცა ნადავლს და ხორცი სისხლთან ერთად შეჭამა, რითაც დაარღვია კანონი, რომელიც სისხლის ჭამას კრძალავდა.

დღისით, ბრძოლის დროს, იონათანი, რომელსაც მეფის ბრძანება არ გაუგია, ტყეში თაფლს წააწყდა და ცოტაოდენი შეჭამა. საღამოს გაიგო საულმა ამის შესახებ და, თუმცა იონათანს განზრახ არ დაურღვევია მეფის ბრძანება, თუმცა ღმერთმა სასწაულებრივად შეუნარჩუნა მას სიცოცხლე და მისი მეშვეობით ხსნა მოუვლინა ისრაელიანთ, მეფემ ბრძანა, რომ მისი ბრძანების დამრღვევი სიკვდილით დაისჯება და განაჩენიც აღსრულდება. შვილის დანდობა საულისათვის საკუთარი ცოდვის აღიარებას ნიშნავდა, რაც ასეთი მოუფიქრებელი ბრძანების გაცემაში გამოიხატებოდა, ეს კი მისი სიამაყისა და თავმოყვარეობის შელახვა იქნებოდა. „ასე და ასე მიყოს ღმერთმა, დღესვე თუ არ მოკვდე, იონათან!" - ასეთი იყო მეფის მიერ წარმოთქმული ეს საშინელი განაჩენი.

ვერ მიითვისა საულმა ამ გამარჯვების დიდება და სახელის მოხვეჭა თავისი ფიცის აღსრულებით მოინდომა. შვილიც კი

გაწირა, რათა ქვეშევრდომთათვის ეჩვენებინა, თუ როგორ უნდა შესრულდეს მეფის ბრძანება. სულ ცოტა ხნის წინათ მღვდელმსახურის მოვალეობა შეასრულა საულმა უფლის ნების გარეშე. სამუელის მიერ მისი მხილებისას იგი ჯიუტად განაგრძობდა თავის მართლებას. ახლა კი, როცა მისი საკუთარი ბრძანება, ასეთი უაზრო, და თან არა განზრახ, არამედ არცოდნის გამო დაარღვიეს, მეფემ და მამამ შვილს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა.

არ მიემხრო ხალხი ამ განაჩენს. მტკიცედ დაუხვდნენ ისრაელიანნი მეფის რისხვას და განაცხადეს: „ნუთუ უნდ მოკვდეს იონათანი, რომელმაც ასეთი დიდი გმირობა ჩაიდინა ისრაელში? ეს არ მოხდება! უფალს ვფიცავთ, რომ ერთი ღერი თმაც არ დავარდება მისი თავიდან მიწაზე, რადგან ღვთით მოქმედებდა დღეს იგი". ამაყმა მონარქმა ვერ გაბედა ხალხის ერთხმად

[625]

მოთხოვნის წინააღმდეგ წასვლა და იონათანიც სიკვდილს გადაურჩა.

იგრძნო საულმა, რომ მისი ვაჟი ღმერთისა და ხალხის უფრო მეტი კეთილგანწყობით სარგებლობდა, ვიდრე თავად. იონათანის დანდობა მეფის წინდაუხედაობის სასტიკი მხილება იყო. იმასაც გრძნობდა იგი, რომ თავისივე წყევლა თავად უწევდა სულ მალე. შეწყდა ბრძოლა ფილისტიმელებთან და დაღვრემილი და უკმაყოფილო საული შინ დაბრუნდა.

ის, ვინც საკუთარ დანაშაულს ამართლებს, ხშირად ზედმეტი სიმკაცრით კიცხავს სხვების ცოდვებს. საულის მსგავსად, ბევრი იწვევს უფლის უკმაყოფილებას, მაგრამ არ სურს რჩევის მიღება და სძულს, როცა ამხილებენ. მაშინაც კი, როცა გრძნობენ, რომ უფალმა დატოვა, არ სურთ საკუთარი უბედურების მიზეზის საკუთარ თავში მოძებნა. თვითონ ამაყნი და თვითკმაყოფილნი, სასტიკად კიცხავენ სხვებს, რომლებიც მათზე უკეთესნი არიან. კარგი იქნებოდა, რომ ასე თვითდაჯერებულ მსაჯულთ ეფიქრათ ქრისტეს სიტყვებზე: „ვინაიდან რომელი განკითხვითაც განიკითხავთ და რომელი საწყაოთიც მიუწყავთ, იმავეთი მოგეწყვებათ თქვენ" /მათ. 7:2/.

ხშირად ადამიანები, რომელნიც თვითგანდიდებისაკენ ისწრაფვიან, ისეთ ვითარებაში ხვდებიან, როცა ნათელი ეფინება მათ ჭეშმარიტ ხასიათს, როგორც ეს საულს მოუხდა. მისმა საქციელმა ხალხი დაარწმუნა, რომ მისთვის სამეფო პატივი და ხელმწიფება უფრო ძვირფასია, ვიდრე სამართლიანობა, გულმოწყალება და დიდსულოვნება. ახლა კი ნათლად დაინახა

ღვთის მმართველობის უარმყოფელმა ხალხმა თავისი შეცდომა. ღვთისმოსავი წინასწარმეტყველი, რომლის ლოცვებსაც მათთვის კურთხევა მოჰქონდა მხოლოდ, გაცვალეს მეფეზე, რომელიც ბრმა გულმოდგინებით უბედურებასა და შეჩვენებას ითხოვდა ხალხისათვის თავის ლოცვებში.

ისრაელიანთა მხარდაჭერა რომ არა, მათი მხსნელი, იონათანი, მეფის ბრძანების მსხვერპლი გახდებოდა. ადვილი წარმოსადგენია საულის ქვეშევრდომთა მღელვარება და შიში ყოველივე ამის შემდგომ! რა მწარე იქნებოდა იმის აღიარება, რომ სწორედ მათი მცდელობით დაისვეს საული მეფედ. დიდხანს ითმენს უფალი ადამიანთა თვითნებობას, ყველას აძლევს შესაძლებლობას, დაინახოს თავისი დანაშაული და მოინანიოს, და შესაძლოა, გვეგონოს, რომ იგი ხელს უწყობს მისი ნების და გაფრთხილების უარმყოფელთა კეთილდღეობას, მაგრამ თავის დროზე უზენაესი აუცილებლად ამხილებს მათ უგუნურებას.

[626]

თავი 61 - საულის უარყოფა

ვერ გაუძლო რწმენის გამოცდას საულმა გილგალში მძიმე ვითარების ჟამს და გააუწმიდურა ღვთის მსახურება, მაგრამ ჯერ კიდევ შეეძლო თავისი დანაშაულის გამოსწორება. კვლავ მისცა ღმერთმა ღვთის სიტყვისადმი მტკიცე რწმენისა და მისი ბრძანებებისადმი მორჩილების შესაძლებლობა მეფეს.

როდესაც წინასწარმეტყველმა იგი გილგალში ამხილა, საულმა დიდი მნიშვნელობა არ მისცა თავის შეცდომას. პირიქით, უსამართლობადაც კი მიიჩნია იგი და თავისი დანაშაულის გამართლებას შეეცადა. მას შემდეგ იშვიათად ხვდებოდა იგი წინასწარმეტყველს. საკუთარი შვილივით უყვარდა სამუელს საული, მამაცი და ფიცხი მეფე კი, თავის მხრივ, დიდ პატივს სცემდა წინასწარმეტყველს; მაგრამ მისგან მხილებას დაუმსახურებლად თვლიდა და მასთან შეხვედრას გაურბოდა.

უფალმა კვლავ გაგზავნა თავისი მსახური საულთან, მაგრამ სხვა დავალებით. თავისი მორჩილებით ჯერ კიდევ შეეძლო საულს, დაემტკიცებინა უფლისათვის ერთგულება და ისრაელის ნდობაც გაემართლებინა. მოვიდა მასთან სამუელი და უფლის დანაბარები აუწყა. იმისათვის, რომ მეფეს შეეგნო, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ამ სიტყვების შესმენა, სამუელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოვიდა უფლის დავალებით იმისგან, ვინც საული სამეფო ტახტზე დასვა. „ასე ამბობს ცაბაოთ უფალი, - თქვა მან, - მე მახსოვს, როგორ ექცეოდა ისრაელს ყამალეკი, როგორ აბრკოლებდა გზაზე ეგვიპტიდან გამომავალს. ახლა წადი და

სძლიე ყამალეკს და გაუნადგურე მთელი საბადებელი. ნუ დაინდობ, გაწყვიტე კაცი და ქალი, ყრმა და ძუძუთა ბავშვი, ხარი და ცხვარი, აქლემი და სახედარი". ყამალეკმა პირველმა გამოუცხადა ომი ისრაელს უდაბნოში და ამ ცოდვის და, აგრეთვე, იმის გამო, რომ უარყო უფალი და კერპთაყვანისმცემლობის მორევში ჩაიძირა, უფალმა მოსეს მეშვეობით ასეთი განაჩენი გამოუტანა მას: „მოსპე ყამალეკის სახსენებელი ცისქვეშეთიდან, არ დაგავიწყდეს" /რჯლ. 25:19/. ოთხასი წლით გადაიდო ამ განაჩენის აღსრულება, მაგრამ არ მიატოვა ყამალეკმა ცოდვის გზა. კარგად იცოდა უფალმა, რომ ეს უწმიდური ხალხი, რომ შეძლებოდა, არ დაინდობდა და პირისაგან მიწისა აღგვიდა ისრაელიანთ და მათ რელიგიას. ახლა კი დადგა დრო ამდენი ხნის გადადებული განაჩენის აღსრულებისა.

უფლის დიდსულოვნებამ უფრო გაათავხედა ეს ხალხი ურჯულოებაში და დრომაც ვერ შეარბილა მის მიმართ გამოტანილი განაჩენი. „რადგან აღიმართება უფალი როგორც ფერაციმის მთაზე, შეიძვრის როგორც გიბყონის ველზე თავისი საქმის, უცხო საქმის აღსასრულებლად და თავისი ქმედების, საოცარი ქმედების ჩასადენად" /ეს. 28:21/. ჩვენი მოსიყვარულე ღმერთისათვის დასჯა უჩვეულო, უცხო საქმეა. „უთხარი მათ: ცოცხალიმც ვარ, ამბობს უფალი ღმერთი! თუ მინდოდეს ბოროტეულის სიკვდილი, თუ ბოროტეულის მოქცევა თავისი გზიდან და მისი გადარჩენა არ მინდოდეს" /ეზეკ. 33:11/. „ღმერთი შემბრალე და მოწყალე, სულგრძელი და დიდად

მოწყალე, და ჭეშმარიტი... შეუნდობს ბრალს და დანაშაულს, და ცოდვას". თუმცა - „არ გაუშვებს დაუსჯელად" /გამ. 34:6,7/. და, თუმცა მას არ სიამოვნებს შურისძიება, მაგრამ მაინც სჯის მისი რჯულის დამრღვევთ. იძულებულია უფალი, ასე მოიქცეს, რათა სრული გახრწნისა და დაღუპვისაგან იხსნას წუთისოფელი. ადამიანთა ერთი ნაწილის გადასარჩენად იგი იძულებულია, გაანადგუროს ისინი, ვინც

[627]

[628]

გული ცოდვაში გაისასტიკა. „სულგრძელია უფალი და დიდძალოვანი, დაუსჯელს არავის გაუშვებს" /ნაუმ. 1:3/. საშინელი მართლმსაჯულებით აღადგენს უფალი ფეხქვეშ გათელილ თავის რჯულს. თვით ის ფაქტი, რომ მას არ სურს ამ მართლმსაჯულების აღსრულება, მეტყველებს იმ ცოდვის სიღრმეზე, რომელმაც ეს სასჯელი გამოიწვია და შურისძიების სისასტიკეზე, ცოდვილს რომ ელის.

მაგრამ სამართლიან მსაჯულს არც გულმოწყალება დავიწყებია. ყამალეკელები უნდა დასჯილიყვნენ, მაგრამ მათ შორის მცხოვრები კენიელები კი დაინდო უფალმა. ეს ხალხი,

მართალია, კერპთაყვანისმცემლობისაგან სრულად ვერ გათავისუფლდა, მაგრამ ღმერთს ემსახურებოდა და ისრაელის მიმართაც კეთილად იყო განწყობილი. ამ ტომს მიეკუთვნებოდა მოსეს ცოლისძმა ხობაბი, რომელიც ისრაელიანთ ახლდა თან უდაბნოში მოგზაურობისას, კარგად იცნობდა იმ ადგილებს, რითაც დიდად დაეხმარა ებრაელებს.

მიქმაშში ფილისტიმელთა დამარცხების შემდგომ საული შეებრძოლა მოაბს, ყამონს, ედომს, ყამალეკს და ფილისტიმელთ და ბრწყინვალედ იმარჯვებდა მათზე. ყამალეკელთა წინააღმდეგ საბრძოლო ბრძანების მიღებისთანავე გამოუცხადა ომი მათ საულმა. წინასწარმეტყველის სიტყვებით დამოწმებული მისი ბრძანება მთელ ქვეყანაში გამოცხადდა. ყოველი ბრძოლისუნარიანი ებრაელი საბრძოლო მოქმედებებისათვის მოემზადა. ამ ბრძოლის მიზანი არ იყო ნადავლის მოპოვება და გამდიდრება. ამ ომში ისრაელიანთ არ უნდა მიეთვისებინათ არც გამარჯვება და არც ნადავლი. მათ მხოლოდ იმიტომ უნდა ებრძოლათ, რომ აღესრულებინათ უფლის ნება და მართლმსაჯულება ყამალეკზე. უფალს სურდა, ყველას ეხილა, თუ რა დაემართებოდა ტომს, რომელიც მის ხელმწიფებას აღუდგებოდა წინ და რომ მათ სწორედ ის ხალხი გაანადგურებდა, რომელიც ასე ძლიერ სძულდათ.

„შემუსრა საულმა ყამალეკი ხავილადან შურამდე, ეგვიპტის გასწვრივ რომ არის. ცოცხლად შეიპყრო აგაგი, ყამალეკის მეფე,

მთელი ხალხი კი მახვილით გაანადგურა. დაინდეს საულმა და ლაშქარმა აგაგი და საუკეთესო ცხვარ-ძროხა, საკვები, ბაღ-ვენახები და ყველაფერი, რაც საუკეთესო იყო და რისი განადგურებაც არ მოინდომეს. ყველაფერი უვარგისი და ცუდი კი გაანადგურეს".

ეს გამარჯვება უბრწყინვალესი იყო საულის სხვა გამარჯვებათა შორის. და კვლავ სიამაყით აენთო გული, რაც ყველაზე მეტ საშიშროებას წარმოადგენდა. ღვთიური ბრძანება მისი მტრების სრული განადგურების შესახებ მხოლოდ ნაწილობრივ შესრულდა. ბრძოლის ველიდან გამარჯვებით დაბრუნება რომ უფრო მეტი დიდებით შეემკო, საულმა, ირგვლივ მყოფ წარმართ ტომთა ჩვეულებისამებრ, სიცოცხლე აჩუქა ყამალეკელთა სასტიკ და ბოროტ მეფეს, აგაგს. ხალხმა კი საუკეთესო ხარები, ცხვარ-ძროხა და სხვა პირუტყვი მიითვისა. ეს ცოდვა კი იმით გაამართლეს, თითქოსდა მათი უფლისათვის შეწირვა სურდათ. მათ თავისი პირუტყვის სანაცვლოდ გამოიყენებდნენ, საკუთარს კი შეინარჩუნებდნენ.

უკანასკნელი გამოცდა იყო ეს საულისათვის. უფლის ნების წინააღმდეგ მისი თვითდაჯერებული მოქმედება იმაზე მეტყველებდა, რომ მას, როგორც მონარქს, დამოუკიდებელი მოქმედება ჰქონდა განზრახული. ამით კი იმას ამტკიცებდა, რომ ღირსი არ იყო, ღმერთის წარმომადგენელი ყოფილიყო.

იმ დროს, როცა საული და ბრძოლაში გამარჯვებით თავბრუდახვეული მისი ხალხი სახლში ბრუნდებოდა, უდიდესი მწუხარება სუფევდა სამუელ წინასწარმეტყველის ოჯახში: მეფის მოქმედების გამკიცხავი სიტყვა მიიღო უფლისაგან: „ვნანობ, რომ გავამეფე საული, რადგან განმიდგა მე და აღარ ასრულებს ჩემს სიტყვებს". ძლიერ შეწუხდა წინასწარმეტყველი ჯიუტი მეფის მოქმედებით. მთელი ღამე ტიროდა და ლოცულობდა იგი, საშინელი განაჩენის

[629]

[630]

შეცვლას სთხოვდა უფალს.

არ ჰგავს უფლის სინანული ადამიანის სინანულს. „არ იცრუებს ისრაელის დიდება და არ გადაიფიქრებს, რადგან ადამიანი ხომ არ არის, რომ გადაიფიქროს". ადამიანის სინანული და მონანიება მისივე გონების გარდაქმნას ნიშნავს. უფლის სინანული კი - ვითარებისა და დამოკიდებულების შეცვლას. ადამიანს ძალუძს, შეცვალოს ღვთისადმი თავისი დამოკიდებულება, დაეთანხმოს პირობებს და უფლის კეთილგანწყობა მოიპოვოს; ან, თავისი საქმეებისა და საქციელის

შედეგად, დარჩეს უფლის კურთხევის გარეშე; მაგრამ უფალი ღმერთი "იგივეა გუშინ და დღეს და უკუნისამდეც" /ებრ. 13:8/. დაუმორჩილებლობამ შეცვალა ღვთისადმი საულის დამოკიდებულება, მაგრამ უფლის მოთხოვნები მის მიმართ ისევე უცვლელი დარჩა, როგორც ადრე, ვინაიდან მასში "არ არის ცვლილება და არც ჩრდილი ცვალებადობისა" /იაკ. 1:17/.

გულისტკივილით გამოვიდა წინასწარმეტყველი დილით მეფესთან შესახვედრად. კვლავ დარჩენოდა მცირე იმედი, რომ გონს მოვიდოდა საული, თავის ცოდვას აღიარებდა, მოინანიებდა, თავის სიამაყეს დათმობდა და კვლავ უფლის კეთილგანწყობას მოიპოვებდა. მაგრამ ურჯულოების გზაზე პირველი ნაბიჯის გადადგმის შემდეგ სხვა ბოროტ ქმედებათა ჩადენა უკვე ძნელი აღარაა. თავისი დაუმორჩილებლობის გამო უკვე გაუწმიდურებული საული სამუელს ცრუ სიტყვებით შეხვდა: „კურთხეული ხარ უფლისაგან! აღვასრულე უფლის სიტყვა".

წამსვე წინასწარმეტყველის ყურს მისწვდა ხმები, რომელმაც ამხილა ჯიუტი მეფე. შეკითხვაზე: „რა არის, ცხვრისა და ძროხის ბღავილი რომ მესმის?" - საულმა მიუგო: "ყამალეკისგან წამოასხეს, რადგან დაინდო ლაშქარმა საუკეთესო ცხვარ-ძროხა, რომ უფლის, შენი ღმერთისთვის, შეეწირა. დანარჩენი გავანადგურეთ". ხალხმა მხოლოდ და მხოლოდ საულის

ბრძანება შეასრულა, მაგრამ თავის გასამართლებლად იგი მზად იყო, ყველაფერი მისთვის დაებრალებინა.

ენით გამოუთქმელი ტკივილი მიაყენა სამუელს საულის განდგომამ. ყოველივე ეს უნდა გაეგო ისრაელიანთა ლაშქარს, რომელსაც მედიდურობა დ სიამაყე შეჰმატა ამ ბრწყინვალე გამარჯვებამ და რომელიც ამ წარმატებას მხოლოდ მეფის გამჭრიახობასა და სიბრძნეს მიაწერდა. არც საული აკუთვნებდა ისრაელის ამ გამარჯვებას უფლის ხელს. დარწმუნდა სამუელი საულის განდგომილებაში და რისხვამ შეიპყრო - უფლის რჩეულმა კაცმა უარყო ზეცის ნება და აცდუნა ისრაელი. ვერ მოატყუა სამუელი მეფის ცრუ სიტყვებმა. გულისტკივილით უთხრა მას აღშფოთებულმა წინასწარმეტყველმა: „მათქმევინე, რა გამომიცხადა უფალმა წუხელ... ხომ არ გეღირსებოდა თავი, როცა ისრაელის ტომთა მეთაური გახდი და ისრაელის მეფედ გცხო უფალმა?" კვლავ გაიმეორა მან უფლის ბრძანება ყამალეკთან დაკავშირებით და პასუხი მოსთხოვა საულს.

თავის გამართლებას შეეცადა საული: „მე გავიგონე უფლის სიტყვა და წავედი იმ გზით, რაზედაც დამაყენა უფალმა; მოვიყვანე აგაგი, ყამალეკის მეფე, ხოლო ყამალეკი გავანადგურე. ლაშქარმა აიღო ნადავლიდან ცხვარი და ძროხა - დარისხებულის საუკეთესო ნაწილი, რომ უფლის, შენი ღმერთისათვის შეეწირა მსხვერპლად გილგალში".

დაუყოვნებლივ, მკაცრად უარყო საკუთარი თავის გადასარჩენად საულის მიერ ნათქვამი ტყუილი და უკვე გამოტანილი, შეუცვლელი განაჩენი აუწყა: „განა ისევე ეამება უფალს აღსავლენი მსხვერპლი და საკლავები, როგორც შესმენა უფლის სიტყვისა? მოსმენა უკეთესია საკლავზე, მორჩილება - ცხვრების ლურთებზე. რადგან ერთი ცოდვაა ჯადოქრობა და ურჩობა, ერთი ცოდვაა კერპთაყვანისმცემლობა და სიჯიუტე. რაკიღა მოიძულე უფლის

[631]

სიტყვა, ისიც მოიძულებს შენს მეფობას".

მოისმინა მეფემ ეს საშინელი განაჩენი და შესძახა: „შევცოდე, რომ გადავედი უფლის ბრძანებას და შენს სიტყვას, რადგან ხალხის შემეშინდა და გავუგონე მის ხმას". წინასწარმეტყველის მიერ წარმოთქმულმა უფლის განაჩენმა შეაშინა საული და აღიარა მან დანაშაული, აქამდე რომ ასე ჯიუტად უარყოფდა, მაგრამ, კვლავინდებურად, ყველაფერი ხალხს გადააბრალა და განაცხადა, რომ ხალხისა ეშინოდა და ამიტომ შესცოდა.

სასჯელის შიში აწუხებდა საულს და არა ჩადენილ ცოდვაზე ურვა, როცა სამუელს ევედრებოდა: „შემინდე ცოდვა და

დაბრუნდი ჩემთან ერთად, რომ თაყვანი ვცე უფალს". გულწრფელი სინანულის შემთხვევაში, საული საქვეყნოდ აღიარებდა თავის ცოდვას, მაგრამ მას მხოლოდ საკუთარი ავტორიტეტისა და ხალხის ერთგულების შენარჩუნება აინტერესებდა. ეშინოდა საულს, ხალხზე გავლენა არ დაეკარგა და ამიტომ არ სურდა სამუელის გაშვება.

„არ დავბრუნდები შენთან ერთად, - მიუგო სამუელმა, - რადგან შეიძულე უფლის სიტყვა და უფალმაც მოგიძულა ისრაელის მეფედ". წასასვლელად მიბრუნებულ წინასწარმეტყველს ტანსაცმელში სწვდა შეშინებული მეფე. გაიხა სამოსელი, რაზედაც ასე თქვა სამუელმა: „გამოგგლიჯა დღეს უფალმა ისრაელის მეფობა და მისცა იგი შენს თვისტომს, შენზე უკეთესს".

სამუელის გაუცხოებაზე უფრო წუხდა საული, ვიდრე ღვთის უკმაყოფილებაზე. კარგად იცოდა საულმა, რომ ხალხი სამუელს უფრო დიდ პატივს სცემდა, ვიდრე მას. იმასაც გრძნობდა, ვერ მოთოკავდა ხალხს, თუკი შეატყობინებდნენ, რომ სხვა ვინმე იყო ცხებული ისრაელის მეფედ. ეშინოდა, თუკი ახლა სამუელი მას მიატოვებდა, ხალხი ამბოხდებოდა, ამიტომ ევედრებოდა წინასწარმეტყველს, პატივი ეცა მისთვის ხალხისა და უხუცესთა წინაშე და რელიგიურ მსახურებაში მასთან ერთად მიეღო მონაწილეობა. უფლის თანხმობით უსმინა წინასწარმეტყველმა მეფის თხოვნას, რათა აჯანყების საბაბი არ მიეცა ხალხისათვის.

მაგრამ ამ ღვთისმსახურებას იგი მხოლოდ მდუმარედ, უსიტყვო მოწმედ ესწრებოდა.

მაგრამ კიდევ ერთი საქმე იყო გასაკეთებელი მთელი საზოგადოების წინაშე, სასტიკი და სამართლიანი. სახალხოდ უნდა ემხილებინა სამუელს საული და პატივი უნდა მიეძღვნა უფლის წმიდა და სამართლიანი სახელისათვის. ყამალეკის მეფის მოყვანა ბრძანა მან. ისრაელიანთა მახვილით დაცემულთა შორის, ყველაზე დიდი დამნაშავე სასტიკი და სისხლისმოყვარული აგაგი იყო, რომელსაც ძლიერ სძულდა ღვთის რჩეული ხალხი, მისი განადგურება სურდა და კერპთაყვანისმცემლობის გავრცელებასაც დიდად უწყობდა ხელს. მოიყვანეს აგაგი წინასწარმეტყველის ბრძანებით. ასე ეგონა ყამალეკის მეფეს, რომ თავი დააღწია სიკვდილს. თქვა სამუელმა: "როგორც უშვილო ქმნა შენმა მახვილმა დედაკაცები, ასევე უშვილო იქნება დედაშენი ქალთა შორის და აჩეხა სამუელმა აგაგი გილგალში უფლის წინაშე". ამის შემდეგ „გაბრუნდა სამუელი რამათს, საული კი თავის სახლში, საულის გიბყაში წავიდა". მხოლოდ ერთხელ შეხვდნენ ამის შემდგომ მეფე და წინასწარმეტყველი ერთმანეთს.

თავისი მეფობის დასაწყისში მეტად მოკრძალებული იყო საული; არ იყო დარწმუნებული თავის შესაძლებლობებში და სიამოვნებით ისმენდა რჩევებს: არც გამოცდილება ჰქონდა მაშინ და არც ცოდნა და მრავალი სერიოზული ნაკლიც გააჩნდა.

მაგრამ სულიწმიდა დაუყენა მას მასწავლებლად და დამხმარედ უფალმა და ისეთი პირობები შეუქმნა, რომ თავისუფლად შეძლებოდა ისრაელის მეფისათვის აუცილებელი თვისებების შეძენა. თავმდაბლობა და უბრალოება რომ შეენარჩუნებინა და ღვთიური სიბრძნით ხელმძღვანელობა ესურვა, თავის

[632]

[633]

მაღალ მოწოდებას წარმატებითა და პატივით აღასრულებდა. ღვთიური მადლის ზეგავლენით ადამიანში ყოველი კეთილი თვისება ძლიერდება, მანკიერება კი სუსტდება. ასე შრომობს უფალი ყოველ პიროვნებაში, ვინც თავს მას მიუძღვნის. მრავალი მოუხმია უფალს თავისი საქმის აღსასრულებლად მხოლოდ იმიტომ, რომ თავმდაბალნი და თვინიერნი არიან და ამ თვისებათა გამო ღვთიურ მოძღვრებებს ადვილად ითვისებენ. თავისი უდიდესი სიბრძნით და შორსმჭვრეტელობით იგი ადამიანებს უქმნის პირობებს, რათა შეძლონ მისგან სწავლა. უფალი მათ მანკიერებებზე მიუთითებს და მისი დახმარების ყველა მსურველს საკუთარი შეცდომის გამოსასწორებლად ძალას აძლევს.

მაგრამ საული იმდენად თავდაჯერებული იყო, რომ თავისი ურწმუნოებითა და დაუმორჩილებლობით შელახა უფლის სიწმიდე. თუმცა თავისი მეფობის დასაწყისში იგი მეტად თავმდაბალი და საკუთარ ძალებში დაეჭვებული კაცი იყო, წარმატებებმა თავდაჯერებულობა შეჰმატა. პირველივე წარმატებამ პატივმოყვარეობა და სიამაყე აღუძრა სულში, რაც მისთვის ყველაზე დიდ საშიშროებად იქცა. საულის საბრძოლო ოსტატობამ, საზრიანობამ და მოხერხებულობამ, რაც გალაადის იაბეშის ბრძოლისას აშკარად გამოვლინდა, ხალხის აღტაცება გამოიწვია. პატივი მიაგეს მეფეს და ის კი სულ გადაავიწყდათ, რომ იგი მხოლოდ იარაღი იყო უფალი ღმერთის. და, თუმცა თავდაპირველად საულმა ღმერთს შესწირა მადლი და დიდება ამისათვის, მოგვიანებით თავად მიითვისა წარმატება. დაივიწყა საულმა, რომ ღმერთზე იყო ყველაფრით დამოკიდებული და მისი გულიც დაშორდა უზენაესს. ასე მომზადდა ნიადაგი მკრეხელური საქმეებისათვის გილგალში. თვითდაჯერებულობამ აიძულა საული, არ მიეღო სამუელის მხილებანი. მან აღიარა სამუელი ღვთის წინასწარმეტყველად, ამიტომ უნდა შეესმინა მისი მხილებანი, თუმცა თავს უდანაშაულოდ თვლიდა. მას რომ შეესმინა და ეღიარებინა თავისი შეცდომა, ეს მწარე გაკვეთილი მომავალში შეცდომებისაგან დაიცავდა.

უფალს რომ საერთოდ მიეტოვებინა საული, წინასწარმეტყველს აღარ გაუგზავნიდა და არც დავალებას მისცემდა წარსულის შეცდომების გამოსასწორებლად. როცა ვინმე, ვისაც საკუთარი

თავი ღვთის შვილად მიაჩნია, გულგრილად ეკიდება უფლის ნების შესრულებას, ამით სხვებსაც ცუდ მაგალითს უჩვენებს და მათაც ხელს უწყობს, არასერიოზულად და უპატივცემულოდ მოეკიდონ უფლის მითითებებს. მას ჯერ კიდევ შეუძლია ცოდვაზე გამარჯვება, თუკი გულწრფელად მიიღებს მხილებას და მორჩილებითა და რწმენით დაუბრუნდება ღმერთს. დამარცხებით გამოწვეული დამცირება ხშირად კურთხევად იქცევა, რადგან ერთობ უძლურნი ვართ აღვასრულოთ უფლის ნება მისივე დახმარების გარეშე.

როცა საულმა არ მიიღო ღვთის სულიწმიდისგან მხილება და ჯიუტად განაგრძობდა თავის მართლებას, ამით ის ერთადერთი საშუალება უარყო, რომლითაც უფალი იხსნიდა მას ამპარტავნობისაგან. იგი თავისი ნებით დაშორდა ღმერთს, ამიტომ ვეღარ ისარგებლებდა ღვთიური ხელმძღვანელობით ან დახმარებით მანამ, სანამ ცოდვას არ მოინანიებდა და უფალს არ დაუბრუნდებოდა.

გილგალში საულმა ვითომდა დიდი კეთილსინდისიერებით აღუვლინა აღსავლენი ღმერთს მთელი ისრაელის ლაშქრის წინაშე. მაგრამ მისი ეს ღვთისმოსაობა გარეგნული იყო. უფლის ბრძანებათა სრულიად საწინააღმდეგო რელიგიურმა მსახურებამ მხოლოდ დაასუსტა საული და ის დახმარებაც დააკარგვინა, რომლის გაწევაც მისთვის უფალს სურდა.

ასე ეგონა საულს, რომ ყამალეკთან ბრძოლით მან ყველაფერი გააკეთა უფლის ბრძანების აღსასრულებლად, მაგრამ უფალს არ აკმაყოფილებს მხოლოდ

[634]

ნაწილობრივი მორჩილება. შეუძლებელი იყო, უფალს არ შეემჩნია ის, რაც ღვთისმოსაობის ნიღაბქვეშ იმალებოდა. არ გაუთავისუფლებია უფალს ადამიანები მისი მოთხოვნების შესრულებისაგან. ღმერთმა გააფრთხილა ისრაელი: „ნუ მოიქცევით ისე... ვისაც როგორ მოსწონს", არამედ „დაიმარხე და შეიგონე ყველა ეს სიტყვა, რასაც გიცხადებ, რომ კარგად იყოთ შენ და შენი შვილები შენს შემდეგ, უკუნისამდე, თუ კარგად და სწორად მოიქცევი, უფლის, შენი ღმერთის თვალში" /რჯლ. 12:8,28/. რაიმე გადაწყვეტილების მიღებისას ჩვენ უნდა გვაინტერესებდეს არა ის, წავაგებთ თუ არა, არამედ ის, არის თუ არა ეს უფლის ნება. „ზოგი გზა კაცის წინაშე სწორი ჩანს, მაგრამ მისი ბოლო სიკვდილის გზაა" /იგავ. 14:12/.

„მოსმენა უკეთესია საკლავზე". სამსხვერპლო ძღვენი, თავისთავად, არავითარ ფასეულობას არ წარმოადგენდა უფლის თვალში. მსხვერპლის შეწირვით ადამიანი გამოხატავდა თავისი ცოდვის მონანიებას, რწმენას ქრისტეს მიმართ და უფლის

რჯულისადმი შემდგომ მორჩილებას. მონანიების, რწმენისა და გულწრფელი მორჩილების გარეშე ამ მსხვერპლს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. როცა საულმა უხეშად დაარღვია უფლის ბრძანება, როცა მოინდომა, მსხვერპლად შეეწირა ის, რისი სრული განადგურებაც ბრძანა უფალმა, მან საჯაროდ გამოავლინა ღვთის ხელმწიფებისადმი დაუმორჩილებლობა. ასეთი მსახურება ზეცის შეურაცხყოფა იქნებოდა. ბევრისთვის ცნობილია საულის ცოდვები და მისი შედეგებიც, მაგრამ მაინც მის მსგავსად იქცევიან! უარს ამბობენ უფლის ზოგიერთი მოთხოვნის შესრულებაზე და მის წინაშე ფორმალური რელიგიური მსახურებით კმაყოფილდებიან. არ ღებულობს სულიწმიდა ასეთ მსახურებას. რაც არ უნდა გულმოდგინედ ცდილობდნენ ადამიანები რელიგიური ცერემონიების ჩატარებას, უფალს არ შეუძლია მათი მიღება, თუკი ირღვევა მისი მცნებებიდან ერთ-ერთიც კი.

„რადგან ერთი ცოდვაა ჯადოქრობა და ურჩობა, ერთი ცოდვაა კერპთაყვა -ნისმცემლობა და სიჯიუტე". სიჯიუტის საწყისი სატანაშია და ღვთის წინააღმდეგ ყოველგვარი ამბოხება მისგან იწყება. ადამიანი, რომელიც ღვთიურ მმართველობას ეწინააღმდეგება, უდიდეს მაცდურთან შედის კავშირში, ის კი ძალ-ღონესა და ეშმაკობას არ დაიშურებს მათი გრძნობებისა და გონების დამონებისათვის. იგი ყველაფერს მცდარად წარმოგვიდგენს, ისევე, როგორც ჩვენს წინაპრებს ეგონათ, რომ უდიდეს სარგებელს ნახავდნენ უფლის რჯულის დარღვევის შედეგად.

სატანის მომაჯადოებელი ძალის ყველაზე დიდი დასტურია ის, როცა მისგან ცდუნებული მრავალი ადამიანი ფიქრობს, რომ ღმერთს ემსახურება. როდესაც კორახი, დათანი და აბირამი მოსეს აუმხედრდნენ, ფიქრობდნენ, რომ ისინი მხოლოდ წინამძღოლის, თავისი მსგავსი ადამიანის წინააღმდეგ იბრძოდნენ და სწამდათ, რომ ამით უფალს ემსახურებოდნენ. მაგრამ უფლის იარაღის უარყოფით თვით ქრისტე უარყვეს და ღვთის სული შეურაცხყვეს. ასევე იყო ქრისტეს დღეებშიც: იუდეველმა მწიგნობრებმა და ფარისევლებმა, ღვთისადმი უდიდესი ერთგულებისა და გულმოდგინების გამო, ჯვარს აცვეს უფლის ძე. ასეთივე სული მეფობს დღეს მათშიც, ვინც უფლის ნებას ეწინააღმდეგება და საკუთარი სურვილებით ცხოვრობს.

საულმა იმის ნათელი მტკიცება მიიღო, რომ სამუელი ნამდვილად ღვთის სულით ხელმძღვანელობდა. ის გამბედაობა, რომლითაც მან წინასწარმეტყველის მიერ გადმოცემული უფლის ბრძანება დაარღვია, მისი მხრიდან დიდი უგუნურება იყო. მხოლოდ სატანის ჯადოსნობას შეიძლება მიეწეროს მისი საბედისწერო თვითდაჯერებულობა და სიჯიუტე. საული მკაცრად კრძალავდა კერპთაყვანისმცემ -ლობასა და ჯადოსნობას, მაგრამ, უარყო რა ღვთიური ბრძანება, იგი იმავე

[635]

სულით შეეწინააღმდეგა ღმერთს და ისევე ცდუნდა სატანისაგან, როგორც ის ჯადოსნები; ხოლო, როცა იგი ამხილეს, მის დაუმორჩილებლობას სიჯიუტე დაერთო. ამრიგად, აშკარად შეუერთდა კერპთაყვანისმცემელთ, რითაც დიდად შეურაცხყო ღვთის წმიდა სული.

მეტად სახიფათოა უფლის სიტყვისაგან მხილებისა და სულიწმიდისაგან გაფრთხილების თავიდან აცილების მცდელობა. ბევრი ცდუნდება საულის მსგავსად, სანამ, ბოლოს და ბოლოს, ცოდვით დაბრმავებულნი, ცოდვის არსს შეამჩნევენ. ისინი თავს იმით იმშვიდებენ, რომ არაფერი ჩაუდენიათ უფლის საწინააღმდეგოდ და არც უფლის მოთხოვნა დაურღვევიათ. ამგვარად, ღვთის მადლის უგულებელყოფით კარგავენ უფლის ხმის შესმენის უნარს და იმ ცდუნების ბადეში ებმებიან, რომელიც თვითონვე აირჩიეს.

აუსრულა სურვილი ისრაელს უფალმა და მისცა მეფე მათი ნებისამებრ, როგორც სამუელმა თქვა ეს გილგალში: „ამიერიდან, აჰა, მეფე, რომელიც აირჩიეთ, რომელსაც მოითხოვდით" /1 მეფ. 12:13 - ხაზგასმა ავტორისა/. კეთილშობილური და მიმზიდველი, მეფური გარეგნობის მქონე საული ზუსტად პასუხობდა ისრაელიანთა წარმოდგენას მეფური ღირსებების შესახებ, მისი სიმამაცისა და მეომართა ხელმძღვანელობის

უნარით კი მეზობელ ხალხთა თვალში პატივისა და დიდების მოხვეჭაზე ოცნებობდნენ. მათ ნაკლებად აწუხებდათ ის საკითხი, ჰქონდა თუ არა მათ მეფეს ის კეთილშობილური თვისებები, რომელთა მეშვეობითაც მიუკერძოებლად და სამართლიანად უხელმძღვანელებდა ერს. მათ არ უთხოვიათ მეფე, რომელსაც ჭეშმარიტად კეთილშობილური ხასიათი, ღვთის შიში და სიყვარული ექნებოდა. არც უფლისთვის უკითხიათ რჩევა, თუ როგორი თვისებებით უნდა ყოფილიყო დაჯილდოებული მათი მეფე, რათა ისრაელს თავისი განსაკუთრებული, რჩეული ხალხისათვის დამახასიათებელი წმიდა თვისებები შეენარჩუნებინა. ისინი ეძებდნენ არა უფლის გზას, არამედ - თავისას. ამიტომ მისცა მათ უფალმა მეფე მათი სურვილისამებრ, ხასიათით მათივე მსგავსი. არც მათ გულში იყო უფალი და არც მათი მეფე იყო ღვთიური მადლის მორჩილი. ასეთი მეფის მმართველობის შედეგად მათ უნდა შეეცნოთ ის, რაც თვალს აუხელდა და ღმერთთან დააბრუნებდა მათ.

მაგრამ უფალმა ღმერთმა, დააკისრა რა საულს ასეთი საპასუხისმგებლო საქმე - ერის მმართველობა, არ მიატოვა იგი ბედის ანაბარა. არამედ მისცა სულიწმიდა, რათა მუდამ მასში ყოფილიყო და თვალი აეხილა ღვთიური მადლის საჭიროებაზე. საულს რომ ღმერთის იმედი ჰქონოდა, უფალიც მუდამ მასთან იქნებოდა. სანამ იგი ღვთის მორჩილი იყო და მის წმიდა სულს უსმენდა, ყველაფერში წარმატებას აღწევდა უფლის წყალობით. მაგრამ, როცა საულმა დამოუკიდებლად, უფლის

ხელმძღვანელობის გარეშე გადაწყვიტა მოქმედება, უფალს მისი წინამძღვრობა აღარ შეეძლო და იძულებული გახდა, გადაეყენებინა ურჩი მეფე და სამეფო ტახტისათვის თავისი სასურველი კაცი გამოეძებნა /იხ. 1 მეფ. 13:14/; არც ის იყო სრულყოფილი და უნაკლო, მაგრამ ჰქონდა იმედი არა საკუთარი ძალისხმევისა, არამედ ღმერთისა და სულიწმიდის მორჩილი იყო; კაცი, რომელმაც შეიძლება შესცოდოს, მაგრამ მორჩილად მიიღებს მხილებას და გამოსწორდება.

[636]

თავი 62 - დავითის არჩევა მეფედ

პირველი მეფეთა 16:1-13

"დიდი მეფის ქალაქიდან" - იერუსალიმიდან რამდენიმე მილის დაშორებით, სამხრეთით მდებარე ბეთლემში ათას წელიწადზე მეტი ხნით ადრე, ვიდრე ბაგაში დაბადებულ იესოს აღმოსავლეთიდან დაძრული ბრძენი მოგვნი სცემდნენ თაყვანს, დაიბადა დავითი, იესეს ძე. დედამიწაზე მაცხოვრის მოსვლამდე მრავალი საუკუნით ადრე, ჯერ კიდევ ყრმა დავითი ბეთლემის ირგვლივ მდებარე ბორცვებზე ცხვრებს აძოვებდა. თავის ჩვეულ

საქმეს აკეთებდა ეს უბრალო ბიჭუნა, მწყემსი, თან თავის შეთხზულ სიმღერებს მღეროდა, ქნარი კი შესანიშნავ აკომპონიმენტს უწევდა მის მელოდიურ, სუფთა და ლამაზ ხმას. უფალმა აირჩია დავითი და სწორედ ამ განმარტოებული, მწყემსური ცხოვრებით ამზადებდა საქმისათვის, რომელსაც მომავალში მიანდობდა.

იმ დროს, როცა დავითი მწყემსის ჩვეული საქმიანობით იყო დაკავებული, უფალმა უთხრა სამუელს: „როდემდის უნდა სწუხდე საულის გამო? ხომ განვაყენე იგი ისრაელზე მეფობისაგან? აავსე შენი რქა ზეთით და წადი. ბეთლემელ იესესთან გგზავნი, რადგან მის შვილთა შორის დავიგულე ჩემთვის მეფე... წაიყვანე ხბო შენი ხელით და თქვი: უფლისთვის მსხვერპლის შესაწირავად მოვედი-თქო. მსხვერპლთან დაუძახე იესეს და მე გასწავლი, რაც უნდა გააკეთო; ზეთს სცხებ მას, ვისზედაც გეტყვი. ყველაფერი გააკეთა სამუელმა, რაც ბრძანა უფალმა და წავიდა ბეთლემს. პატივით გამოეგებნენ ქალაქის უხუცესები და უთხრეს: მშვიდობით მოგვიხვედი. მიუგო სამუელმა: მშვიდობა!" უხუცესებთან ერთად იესე და მისი ვაჟებიც მოიწვია სამუელმა. ააგეს სამსხვერპლო და ყველაფერი მოამზადეს მსხვერპლშეწირვისათვის. იესეს მთელი ოჯახი აქ იყო, ყველაზე უმცროსი ვაჟის, დავითის გარდა, რომელიც ცხვრების ყარაულად დატოვეს, რადგან პირუტყვის უმეთვალყურედ მიტოვება მეტად საშიში იყო.

მსხვერპლშეწირვის ცერემონიალი დამთავრდა და სამსხვერპლო ნადიმის გამართვამდე სამუელმა თავისი წინასწარმეტყველური თვალით დიდი ყურადღებით დაათვალიერა იესეს მშვენიერი

ვაჟები. უფროსი ვაჟი, ელიაბი, გარეგნულად, ტანითა და სილამაზით საულს წააგავდა. მისმა ლამაზმა სახემ და უზადო ტანადობამ წინასწარმეტყველის ყურადღება მიიპყრო. ამ მეფური აღნაგობის, მიმზიდველი ჭაბუკის დანახვაზე სამუელმა იფიქრა: „აჰა, უფლის წინაშეა მისი ცხებული", - და დაელოდა უფლის ბრძანებას, რათა მისთვის ზეთი ეცხო. მაგრამ იეჰოვასთვის არაფერს ნიშნავს ადამიანის გარეგნობა. ღვთის შიში არ ჰქონდა ელიაბს. მეტად ამაყი, სასტიკი მმართველი იქნებოდა, თუ სამეფო ტახტზე ავიდოდა. უფალმა სამუელს უთხრა: „ნუ უყურებ მის გარეგნობას და ტანის სიმაღლეს, რადგან მე დავიწუნე იგი, რადგან ისე არ არის, როგორც კაცი ხედავს. რადგან კაცი მხოლოდ იმას ხედავს, რაც თვალში ხვდება, ხოლო უფალი გულს ხედავს". გარეგნული სილამაზე არაფერს ეუბნება ღმერთს ადამიანის სულზე. ადამიანის ჭეშმარიტი სილამაზე მისი სიბრძნე და ხასიათისა და საქციელის სრულყოფილებაა. და ეს ის შინაგანი ფასეულობა, გულის ის სრულყოფილებაა, რომელიც განსაზღვრავს, გვღებულობს თუ არა ღმერთი. კარგად უნდა შევიმეცნოთ ეს ჭეშმარიტება საკუთარი თავისა და სხვების შესახებ. სამუელის შეცდომა გვიჩვენებს, თუ რა ფუჭია ადამიანის სახის სილამაზესა და მშვენიერ ტანადობაზე აგებული შეხედულება. რაოდენ უძლურია ადამიანური სიბრძნე, შეიცნოს გულის საიდუმლო ან

[637]

[638]

ჩასწვდეს უფლის რჩევებს განსაკუთრებული, ზეციური ნათლის მიღების გარეშე. უფლის გზებისა და ზრახვების შეცნობის უნარი ჩვენს შეზღუდულ გონებას აღემატება, მაგრამ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ უფალი ღმერთი თავის შვილებს სწორედ იქით გაგზავნის, სადაც ისინი მისი დავალების შესრულებას შეძლებენ; სადაც უფლის ნებას დამორჩილდებიან, რათა მისი კეთილშობილური გეგმები ადამიანის თვითნებობამ არ ჩაშალოს.

ამგვარად, ელიაბზე აღარ შეაჩერა ყურადღება წინასწარმეტყველმა, არამედ ღვთისმსახურებაზე მოსულ მის ძმებზე გადაიტანა. მაგრამ არც ერთ მათგანზე არ შეაჩერა თავისი არჩევანი უფალმა. დიდად ღელავდა სამუელი, როცა ჯერი ამ ყმაწვილთაგან უკანასკნელზე მიდგა. დაიბნა და შეშფოთდა წინასწარმეტყველი. შემდეგ კი იესეს ჰკითხა: „სულ ეს არიან შენი ყმაწვილები? მიუგო: კიდევ დარჩა უმცროსი, მაგრამ ცხვარშია ახლა. უთხრა სამუელმა იესეს: გაგზავნე კაცი და მოაყვანინე, რადგან არ დავსხდებით, ვიდრე აქ არ მოვა იგი".

დიდად გააკვირვა მარტოხელა მწყემსი ამ მოულოდნელმა მიპატიჟებამ. მასთან მოსულმა მაცნემ აუწყა, რომ ბეთლემში

მოვიდა წინასწარმეტყველი, რომელმაც დავითის წასაყვანად გამოგზავნა იგი. გაკვირვებით იკითხა დავითმა, თუ რისთვის დასჭირდა წინასწარმეტყველსა და ისრაელის მსაჯულს მისი ნახვა, მაგრამ დაუყოვნებლივ გაეშურა. „წითური იყო, თვალადი და ლამაზი შესახედავი". და როცა სამუელი ყურადღებით აკვირდებოდა ამ ლამაზ, მამაც და მოკრძალებულ ყმაწვილ მწყემსს, უფალმა უთხრა: „ადექი, სცხე მას, რადგან სწორედ ეს არის ის". მწყემსის მოკრძალებული საქმიანობით დაკავებული დავითი გამბედავი და ერთგული ყმაწვილი აღმოჩნდა და უფალმაც ისრაელის მმართველად აირჩია იგი. „აიღო სამუელმა ზეთიანი რქა და სცხო მას მისი ძმების თანდასწრებით. ამ დღიდან და მერეც უფლის სული წარუმართავდა დავითს". შეასრულა დავალება წინასწარმეტყველმა და გულდამშვიდებული დაბრუნდა რამათში.

თვით იესეს ოჯახსაც კი არ გაანდო სამუელმა თავისი მოქმედების მიზანი, ამიტომ დავითის ცხება საიდუმლოდ მოხდა, რითაც წინასწარმეტყველმა მიახვედრა ყმაწვილს, თუ რა დიდი და მნიშვნელოვანი საქმეები ელოდა მას, რათა მომავალ ჟამთა გაჭირვებებში და ხიფათში ყოფნისას ყოველივე ამის გახსენება დახმარებოდა უფლის იმ მოწოდებისადმი ერთგულების შენარჩუნებაში, რომელიც მის ცხოვრებაში უნდა აღსრულებულიყო.

არ გაამაყებულა დავითი ამ უდიდესი პატივის გამო. მიუხედავად იმ მაღალი მდგომარეობისა, რომელიც მას უნდა დაეკავებინა, იგი მშვიდად განაგრძობდა თავის ჩვეულ საქმიანობას და მორჩილებით ელოდა უფლის გეგმების განხორციელებას მის მიერვე განსაზღვრულ დროში და მისივე დადგენილი გზით. მოკრძალებული და მორჩილი, როგორიც ადრე იყო, მწყემსი ბიჭუნა კვლავ თავის ფარას დაუბრუნდა და კვლავინდებურად სიყვარულით მწყემსავდა მათ. მაგრამ კიდევ უფრო მეტი შთაგონებით განაგრძობდა მელოდიების შექმნას და ქნარზე დაკვრას. თვალებით ეტრფოდა მის წინ გადაშლილ დიდებულ პეიზაჟებს. მრავალფრად აელვარებდა მზის სხივები ყურძნის მძიმე მტევნებს. წყნარად არხევდა ქარი ტყეში მწვანით მოსილ ხეებს. მზერით ეალერსებოდა დავითი მზეს, თავის სასახლიდან გამოსულ ნეფეს რომ ჰგავდა და მთელ ზეცას ნათელს ჰფენდა, დოღში მონაწილე მორბენალივით რომ ჩქარობდა და ზეიმობდა. ზეცამდე აწვდილიყო მთათა ციცაბო მწვერვალები, გაღმა, შორს, მოაბის მთაგრეხილის ფრიალო, შიშველი ფერდობები მოჩანდა. ყოველივე ამას კი ზემოდან უძირო, მოალერსე ცა დაჰყურებდა. მასზე მაღლა კი იყო ღმერთი. არ შეეძლო ყმაწვილს უზენაესის თვალით ხილვა, მაგრამ მის დიდებულ საქმეთა შეცნობა ხომ შესაძლებელი

[641]

იყო! ნათელი დღე, ოქროსფერი სხივებით მოფენილი ტყეები და მთები, ველ-მინდვრები და ნაკადულები - ყოველივე ამას სინათლის წყაროსთან, სიკეთისა და სრულყოფილების ავტორთან მიჰყავდა ფიქრებით დავითი. შემოქმედის არსისა და დიდებულების ყოველდღიური გამოცხადება უფლისადმი უდიდეს სიყვარულსა და აღტაცებას იწვევდა ახალგაზრდა პოეტში. უფალზე ფიქრში და მისი საქმეების კვლევაში თანდათან უვითარდებოდა და უმტკიცდებოდა დავითს სხვადასხვა გონებრივი და სულიერი ნიჭი, რაც მომავალი მსახურებისათვის ამზადებდა. უფლის უფრო ღრმა შემეცნების წყალობით სულ ახალ-ახალ თემებს პოულობდა იგი თავისი სიმღერებისა და მელოდიებისათვის. სულ უფრო ხშირად იღვრებოდა ჰაერში მისი ლამაზი, ძლიერი ხმა; ექოდ მეორდებოდა მთებში, თითქოსდა, ზეციურ ანგელოზთა საზეიმო საგალობელთა პასუხად.

ვის ძალუძს, გაზომოს იმ წლების შრომის სიმძიმე და უკაცრიელ მთებში ხეტიალის შედეგები? უფალთან და ბუნებასთან ურთიერთობა, ცხვარზე ზრუნვა, ხიფათი და მისგან თავის დახსნა, მისი უბრალო ყოფის ჭირ-ვარამი და სიხარული არა მხოლოდ ხასიათის ჩამოყალიბებაში უნდა დახმარებოდა დავითს და მის მომავალ ცხოვრებაზე მოეხდინა ზეგავლენა, არამედ ამ ებრაელი პოეტისა და მგოსნის საგალობლებს მომავალ საუკუნეებში სიყვარულისა და რწმენის ცეცხლი უნდა დაენთო ღვთის ხალხის გულებში და უფლის უსაზღვროდ

მოყვარულ გულთან უნდა დაეახლოებინა, უფლისა, რომელიც სიცოცხლის წყაროა მის მიერ შექმნილი ყოველი არსებისათვის.

სიმამაცისა და სილამაზის აყვავების ხანაში მყოფ დავითს საპატიო ადგილი უნდა დაეკავებინა დედამიწის უკეთილშობილეს ადამიანთა შორის. მისი მრავალმხრივი ნიჭი, როგორც უფლის უძვირფასესი ძღვენი, უზენაესის ძალისა და ძლიერების განდიდებას ემსახურებოდა. უფლის დიდებულ საქმეთა ხილვამ და მასზე ფიქრმა სიბრძნე და ღვთისმოსაობა შესძინა მას, რამაც ღვთისა და ანგელოზთათვის მოსაწონი გახადა. შემოქმედის სრულქმნილებაზე ფიქრისას უფრო ნათლად ეცხადებოდა მისი სიდიადე. შეუცნობ საგნებს ნათელი ეფინებოდა, სიძნელეები უმსუბუქდებოდა, დაბნეულობა ჰარმონიით იცვლებოდა და სინათლის ყოველი ახალი სხივი ახალ-ახალ აღტაცებას და მოშურნეობას იწვევდა მასში და სულ უფრო ლამაზ მელოდიებს ქმნიდა იგი უფლისა და მაცხოვრის სადიდებლად. სიყვარული, რომელმაც მთელი მისი არსება მოიცვა, მწუხარება, რომელიც ხშირად იპყრობდა, გამარჯვებები - ყოველივე ეს საზრდო იყო მისი ცოცხალი გონებისათვის. და, როცა ცხოვრებაში მისდამი ღმერთის სიყვარულზე ფიქრობდა, გული უფრო დიდი სიყვარულითა და მადლიერებით ევსებოდა. მთელი გულით მღეროდა დავითი, ახალ-ახალ, ლამაზ მელოდიებს ქმნიდა, უფრო საზეიმოდ და სიყვარულით ჟღერდა მისი ქნარი... და მიაბიჯებდა მწყემსი ბიჭუნა ნათელიდან ნათელში, მტკიცდებოდა მისი ცოდნა, რამეთუ უფლის სული დავანებულიყო მასზე.

[642]

თავი 63 - დავითი და გოლიათი

პირველი მეფეთა 16:14-23; 17

მწარე სასოწარკვეთილებამ და აღშფოთებამ მოიცვა საული, როცა ჯერ წინასწარმეტყველის სიტყვებმა მიახვედრა, ხოლო შემდეგ თავადაც იგრძნო, რომ უარყოფილია ღმერთისგან. მაგრამ ჭეშმარიტმა სინანულმა როდი დაახრევინა მეფეს ამაყი თავი. არ ესმოდა მას თავისი საზიზღარი დანაშაულის სიღრმე და არც საკუთარი ცხოვრების შეცვლა უცდია, არამედ, პირიქით, უსამართლოდ მიაჩნდა უფლის მოქმედება, რაც სამეფო ტახტს აკარგვინებდა, მის შთამომავლობას კი - ტახტის მემკვიდრეობას. არ ასვენებდა საულს იმაზე ფიქრი, რომ მალე მის სახლს უბედურება დაატყდებოდა. ასე ეგონა მეფეს, რომ ბრძოლაში გამოჩენილი სიმამაცით დანაშაულის გამოსყიდვას შეძლებდა. მორჩილებით კი არ მიიღო უფლის განაჩენი, არამედ ისეთმა სასოწარკვეთილებამ მოიცვა მისი ამაყი სული, რომ ლამის ჭკუაზე შეიშალა. მრჩევლებმა მეფეს შესთავაზეს, მოეძებნა კარგი მუსიკოსი, რათა ინსტრუმენტის ტკბილ ჰანგებს მისი

მჭმუნვარე ფიქრები გაეფანტა. უფლის განგებით მეფის კარზე მიწვეულ იქნა დავითი, რომელიც ოსტატურად უკრავდა ქნარზე. ზეციური მუსიკის დიდებულმა ხმებმა სასურველი შედეგი გამოიღო. ღვთიურმა მელოდიამ გაუქარვა მეფეს მძიმე ნაღველი, შავი, ხშირი ნისლივით რომ შემოხვეოდა საულის სულსა და გონებას.

როდესაც დავითის დახმარება მეფეს აღარ დასჭირდა, გორაკებს შეფენილ თავის ფარას დაუბრუნდა ეს კვლავინდებურად მოკრძალებული და სათნო ყმაწვილი. მაგრამ, როგორც კი მეფეს მისი მუსიკის მოსმენა დასჭირდებოდა, დავითი კვლავ მოდიოდა მეფესთან და ამშვიდებდა მის მღელვარე წარმოსახვებს, სანამ ბოროტი სული არ გაეცლებოდა. თუმცა მეფე აღტაცებული იყო დავითის მუსიკით, ახალგაზრდა მწყემსი სიხარულით ტოვებდა მეფის სახლს და მიდიოდა მთებში, სადაც თავისი სამწყსო ეგულებოდა და სადაც უდიდეს შვებას გრძნობდა.

იზრდებოდა დავითი და იზრდებოდა მის მიმართ ღვთისა და ადამიანთა კეთილგანწყობაც. მან უკვე ისწავლა უფლის გზით სიარული და ახლა უფრო მეტად ცდილობდა ღვთის ნების შესრულებას. ახალი საგანი და თემა მიეცა მას ფიქრისა და მსჯელობისათვის. ხშირად მიდიოდა მეფის კარზე და ხედავდა, თუ რა დიდი იყო მეფის პასუხისმგებლობა და მოვალეობა. გასაგები გახდა მისთვის ზოგიერთი ცდუნება, საულის სულს რომ ასე აფორიაქებდა და ისრაელის პირველი მეფის ხასიათში და მოქმედებებში რაღაც საიდუმლოს მიაგნო. აკვირდებოდა, როგორ დანისლა მეფის დიდება დიდმა ნაღველმა და მიხვდა,

რომ საულის ოჯახის წევრები სულაც არ იყვნენ ბედნიერნი პირად ცხოვრებაში. ყოველივე ეს ძლიერ აღელვებდა ისრაელის მეფედ ცხებულ დავითს. მაგრამ, როცა მწუხარე და ნაღვლიანი ფიქრები მოეძალებოდა და ღრმა მდუმარება ეუფლებოდა, ხელში ქნარს იღებდა და ახმიანებდა, ფიქრებით კი ყოველი სიკეთის წყაროსკენ მიჰქროდა და იფანტებოდა შავი ღრუბელი, მომავლის ჰორიზონტს რომ გაურკვევლობით ფარავდა.

ნდობის გაკვეთილები ასწავლა უფალმა. როგორც მოსეს ზრდიდა ღმერთი განსაკუთრებული მსახურებისათვის, ასევე მოამზადა მან იესეს ძე თავისი რჩეული ხალხის მეფობისათვის. ფარაზე მზრუნველობით დავითმა შეიცნო, თუ როგორ მზრუნველობას იჩენდა ქრისტე - უდიდესი მწყემსი - თავისი სამწყსოს მიმართ.

[643]

[644]

იმ უკაცრიელ მთებსა და ხეობებში, სადაც დავითი თავის ცხვარს აძოვებდა, მრავლად იყო მტაცებელი ნადირი. ხშირად გამოდიოდა იორდანეს ნაპირების შამბნარიდან ლომი ან

გორაკებში განლაგებული ბუნაგიდან - დათვი; შიმშილისაგან გაშმაგებულნი, თავს ესხმოდნენ ფარას. იმდროინდელი წესის მიხედვით, დავითი მხოლოდ შურდულითა და მწყემსის კომბლით იყო შეიარაღებული. მაგრამ სიყმაწვილიდანვე იჩენდა სიმამაცესა და ძალას დავითი, როცა ცხვრის დაცვა უხდებოდა. შემდგომში, ამ შეტაკებების აღწერისას, იგი ამბობდა: „მწყემსავდა შენი მორჩილი თავისი მამის ფარას და, როცა დაეცემოდა ლომი ან დათვი და გაიტაცებდა ფარიდან ცხვარს, გავეკიდებოდი, ვკლავდი და პირიდან გამოვგლეჯდი ხოლმე" /1 მეფ. 17:34,35/. ასეთი შემთხვევები მხნეობას, სიმტკიცესა და რწმენას უღრმავებდა დავითს.

თავისი სიმამაცით დავითი საულის სამეფო კარზე მოწვევამდეც იყო განთქმული. მსახურმა, რომელმაც იგი მეფეს წარუდგინა, თქვა მასზე: „ქველი და მამაცი კაცია, სიტყვაგონიერი და ლამაზი" და დაუმატა: "უფალია მასთან" /1 მეფ. 16:18/.

როცა ფილისტიმელებთან ომი გამოცხადდა, იესეს სამი ვაჟი საულის ლაშქარს შეუერთდა, დავითი კი სახლში დარჩა. თუმცა, ცოტა ხნის შემდეგ, მანაც მოინახულა საულის ბანაკი. მამამ უბრძანა დავითს, საგზალი წაეღო თავისი უფროსი ძმებისათვის და გაეგო, იყვნენ თუ არა ცოცხალნი და ჯანმრთელნი. არაფერი იცოდა იესემ იმ უდიდესი მისიის შესახებ, მის უმცროს ვაჟს რომ ჰქონდა დავალებული. განსაცდელი ადგა ისრაელიანთა მხედრობას და ანგელოზმა თავისი ხალხის ხსნა დავითს დაავალა.

როდესაც იმ ადგილს მიუახლოვდა, სადაც მხედრობა იყო განლაგებული, საბრძოლო მზადების ხმა შემოესმა დავითს. „ჯარი ირაზმებოდა და საბრძოლო ყიჟინას სცემდა". დაეწყვნენ ერთმანეთის პირისპირ ისრაელი და ფილისტიმელები. დავითმა თავისიანებთან მიირბინა და ძმებს მიესალმა. სანამ იგი ძმებს ესაუბრებოდა, წინ გამოვიდა ფილისტიმელი მებრძოლი, გოლიათი, რომელიც შეურაცხმყოფელი სიტყვებით ლანძღავდა ისრაელიანთ და ყვირილით მოითხოვდა, რომ ვინმე გამოსულიყო მასთან პირისპირ საბრძოლველად ისრაელიანთა ბანაკიდან. კვლავ გაიმეორა გოლიათმა თავისი მოთხოვნა. დიდად განრისხდა დავითი, როცა დაინახა, თუ როგორ შეშინდა მთელი ისრაელი ამ გოლიათის დანახვაზე. და ესმოდა რა, რომ ასე ლანძღავდა ეს უწმიდური ყოველდღე მათ და არავინ აღმოჩნდა ისრაელიანთა ბანაკში, ის რომ დაედუმებინა, უფლის წმიდა სახელისა და მისი რჩეული ხალხის ღირსების დაცვის სურვილმა აუნთო გული ყმაწვილს.

სულით დაეცა ისრაელიანთა რაზმი. ერთმანეთს ეუბნებოდნენ შეშინებული მეომრები: „ხედავთ ამ კაცს, რომ აღზევებულა? ისრაელის შესარცხვენად აღზევდა იგი". აღშფოთებით წამოიძახა განრისხებულმა დავითმა: „ვინ არის ეგ წინდაუცვეთელი ფილისტიმელი, ასეთ სირცხვილში რომ აგდებს დღეს ღვთის რაზმებს?"

მაშინვე მიხვდა დავითის უფროსი ძმა, ელიაბი, თუ რა ცეცხლი ენთო უმცროსი ძმის გულში, როცა მისი სიტყვები გაიგონა. კარგად იცოდა ძმამ, თუ როგორი გამბედავი და მამაცი მწყემსი იყო დავითი; მამის სახლში სამუელის საიდუმლო მოსვლა და მისი ასევე ჩუმად წასვლაც გაახსენდა მას. და მისი მოსვლის ნამდვილმა მიზანმა დააეჭვა ძმები. ცოტა ხნით ადრე, როცა დავითის აღზევება იხილეს, შურმა გაიღვიძა მათში და მას შემდეგ იმავე გრძნობით არ პასუხობდნენ ძმის ერთგულებასა და ძმურ სიყვარულს. ისინი ერთ უბრალო, პატარა მწყემსად თვლიდნენ დავითს და ახლა ელიაბმა მისი აღშფოთება მათი სიმხდალის გამო გაკიცხვად მიიღო, რადგან თავად

[645]

არაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ფილისტიმელი გიგანტი დაედუმებინა. რისხვით ჰკითხა უფროსმა ძმამ: „რისთვის ჩამოხვედი აქ? ვის დაუტოვე ის მცირე ფარა უდაბნოში? ვიცი შენი ამპარტავნებისა და შენი ავგულობის ამბავი; მხოლოდ ბრძოლის საყურებლად ხარ ჩამოსული". პასუხად დავითმა მოკრძალებით, მაგრამ მტკიცედ მიუგო: „რა გავაკეთე ისეთი? ცუდი ხომ არაფერი მითქვამს?"

მეფეს აუწყეს დავითის სიტყვები და თავისთან იხმო იგი საულმა. დიდად განაცვიფრა მეფე უბრალო მწყემსის სიტყვებმა: „ნურვის გული ნუ შედრკება მის წინაშე. წავა შენი მორჩილი და შეებრძოლება ამ ფილისტიმელს". დიდად ეცადა საული, გადაეთქმევინებინა ქადილი დავითისათვის, მაგრამ შეუპოვარი აღმოჩნდა ჭაბუკი. უბრალო სიტყვებით, მოკრძალებით აუწერა მან მეფეს თავისი მწყემსური ცხოვრება, როცა მამის ცხვრებს უვლიდა. ასე დასძინა დავითმა: „უფალი, რომელიც დამიხსნიდა ხოლმე ლომისაგან და დათვისაგან, ახლაც დამიხსნის ამ ფილისტიმელისგან". და უთხრა საულმა დავითს: „წადი, უფალი იყოს შენთან!"

ორმოცი დღის განმავლობაში შიშით ძრწოდნენ ისრაელიანნი ფილისტიმელი გოლიათის ამპარტავნული სიტყვების გამო. მისი გოლიათური აღნაგობა შიშის ზარს სცემდა მათ, ვინაიდან ექვსი წყრთა და ერთი მტკაველი იყო მისი სიმაღლე. თავზე სპილენძის მუზარადი ეხურა, ჯაჭვის ჯავშანი ემოსა, რომლის წონა ხუთი ათასი შეკელი იყო. ფეხებზე სპილენძის საბარკულები ეკეთა. სპილენძის ფირფიტები, თევზის ქერცლოვანი გარსის მსგავსად, ჯავშანში ერთმანეთთან ისე მჭიდროდ იყო ჩაწყობილი, რომ ვერც მჭრელი შუბი და ვერც ისარი ვერაფერს დააკლებდა მას. „მხარზე სპილენძის ჰოროლი ჰქონდა გადებული. მისი შუბის ტარი საქსოვი ლილვის ოდენა იყო; შუბის რკინის წვერი ექვსას შეკელს იწონიდა; წინ ფარის მტვირთველი მიუძღოდა".

ყოველ დილა-საღამოს გამოდიოდა გოლიათი ისრაელიანთა ბანაკთან და ხმამაღლა ყვიროდა: „რატომ გამოხვედით საბრძოლველად? განა მე ფილისტიმელი არა ვარ ან თქვენ საულის მორჩილნი არა ხართ? გამოარჩიეთ თქვენში კაცი და ჩამოვიდეს ჩემთან. თუ გამიმკლავდება და დამამარცხებს, თქვენი მორჩილი გავხდებით, თუ მე გავუმკლავდი და დავამარცხე, თქვენ გაგვიხდებით მორჩილებად და გვემსახურებით. თქვა ფილისტიმელმა: სირცხვილს ვაჭმევ დღეს ისრაელის რაზმებს. გამომიყვანეთ კაცი ვინმე, რომ პირისპირ შევებათ ერთმანეთს".

თუმცა საულმა ნება დართო დავითს, გოლიათის გამოწვევა მიეღო, მაგრამ სულაც არ ჰქონდა მისი გამარჯვების იმედი. ბრძანება გასცა მეფემ, მისი სამეფო აღჭურვილობა გადაეცათ ყმაწვილისათვის. თავს სპილენძის მძიმე მუზარადი დაადგეს, ტანთ ჯავშნით შემოსეს, წელზე კი მეფის მახვილი შემოარტყეს. იარაღასხმულმა დავითმა ის იყო, წასვლა დააპირა, მაგრამ უკანვე მობრუნდა. თავიდან იქ მყოფთ ეგონათ, რომ დავითმა გადაიფიქრა მასზე უფრო ძლიერ მორკინალთან შებმა და საკუთარი სიცოცხლის გაწირვა, მაგრამ გამბედავ ყმაწვილს ეს არც უფიქრია. საულს მიუახლოვდა და ნებართვა სთხოვა, მოეხსნა ეს მძიმე საჭურველი. „არ შემიძლია ამაში სიარული, რადგან არა ვარ ნაჩვევი". მოიშორა მეფის ჩაჩქან-აბჯარი, მის ნაცვლად კი აიღო მწყემსის კომბალი, ჩანთა და უბრალო შურდული. ამოარჩია მდინარეში ხუთი გლუვი ქვა, შურდულთან ერთად ჩანთაში ჩაიდო და ფილისტიმელისაკენ

გაემართა. თამამად გამოვიდა წინ გოლიათი; ეგონა, ისრაელის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ მეომარს იხილავდა. ახლოს მივიდა და ვერავინ დაინახა, ყმაწვილის გარდა, რომელსაც ბიჭუნას თუ უწოდებდით, რადგან ძლიერ ახალგაზრდა იყო. ჯანსაღი ფერი ედო სახეზე დავითს, მეტად მომხიბვლელი იყო მისი დიდებული აღნაგობა, ჯავშანი რომ არ ფარავდა.

[646]

[647]

მაგრამ ამ ყმაწვილსა და ბუმბერაზ გოლიათს შორის მაინც ძალზე დიდი კონტრასტი იყო.

ძლიერ განრისხდა გოლიათი: „ძაღლი ხომ არა ვარ, ჯოხით რომ გამოდიხარ ჩემთან?" - წამოიძახა მან. და ამ სიტყვებს საშინელი წყევლა-კრულვა მოაყოლა მისთვის ყველა ცნობილი ღმერთის სახელით. დაცინვით უყვიროდა დავითს: „ახლოს მოდექი, რომ ცის ფრინველებს და ველის მხეცებს გადავუგდო შენი გვამი".

არ შეუშინდა ფილისტიმელ გოლიათს დავითი. წინ გადაუდგა მოწინააღმდეგეს და უთხრა: „შენ ხმლით, შუბით და ფარით

გამოდიხარ ჩემთან, მე კი ცაბაოთ უფლის, ისრაელის მხედრობის ღმერთის სახელით გამოვდივარ, რომელიც შენ შეურაცხყავი. დღეს ჩამაგდებინებს ხელში შენს თავს უფალი და დაგამარცხებ, თავს მოგაცლი და ფილისტიმელთა გვამებს ცის ფრინველთ და მიწის ცხოველებს გადავუყრი დღეს, რათა გაიგოს მთელმა ქვეყანამ, რომ ჰყავს ისრაელს ღმერთი. გაიგოს მთელმა კრებულმა, რომ არა მახვილითა და შუბით იხსნის უფალი, რომ უფლის ნებაზეა ომი და ხელში ჩაგვაგდებინებს თქვენს თავს".

შიშის ნასახიც არ ჩანდა მის ხმაში, ლამაზ სახეზე კი გამარჯვების სიხარულის სხივი დაჰნათოდა. საბრძოლო მწყობრში მყოფმა ათასობით მეომარმა მოისმინა ყმაწვილის წკრიალა, მელოდიური ხმა, რომელმაც ჰაერი გაკვეთა. საზღვარი არ ჰქონდა გოლიათის რისხვას. გაბრაზებით მოიძრო მუზარადი, რომელიც შუბლს უფარავდა და განრისხებული, მოწინააღმდეგისაკენ გაემართა. იესეს ძეც მოემზადა მტერთან შესახვედრად. „როცა აღიმართა ფილისტიმელი და მიუახლოვდა დავითს, მკვირცხლად გაიქცა დავითი რაზმისკენ ფილისტიმელთან შესახვედრად. ჩაჰყო ხელი დავითმა გუდაში და ამოიღო იქიდან ქვა, სტყორცნა შურდული და შიგ შუბლში მოარტყა ფილისტიმელს; შუბლში ჩაეჭედა ქვა და პირქვე დაემხო ფილისტიმელი".

განცვიფრებისაგან გაშეშდნენ მეომართა რიგები ორივე მხარეს. ყველა დარწმუნებული იყო, რომ გოლიათი დავითს მოკლავდა, მაგრამ, როცა მისმა ნასროლმა ქვამ ჰაერი ზუზუნით გააპო და მიზანს მოხვდა, ეს ბუმბერაზი მთელი ტანით აკანკალდა; თითქოს უცბად დაბრმავდაო, ხელები წინ გაიშვირა, შებარბაცდა და მოჭრილ მუხასავით პირქვე დაემხო. წამიც არ დაუკარგავს დავითს. მიწაზე განრთხმული გოლიათის სხეულს თავზე დაადგა და ორივე ხელით მის მძიმე ხმალს სწვდა. ერთი წუთის წინ გოლიათი ტრაბახით ამბობდა, რომ ამ ხმლით ყმაწვილს თავს წააცლიდა და მის გვამს ცის ფრინველთ გადაუგდებდა. ახლა კი იმავე ხმლით მოიკვეთა მისი თავი და ისრაელიანთა ბანაკში აღტაცების შეძახილები გაისმა.

უკუიქცნენ თავზარდაცემული ფილისტიმელნი. მთებში ექოდ მეორდებოდა ებრაელთა აღტაცებული ყიჟინა, როცა გაქცეულ მტერს უკან მიჰყვნენ. „ყიჟინით დაედევნენ ფილისტიმელებს ხეობამდე და ყეკრონის კარიბჭეებამდე... მობრუნდნენ უკან ისრაელიანები ფილისტიმელთა მდევარიდან და გაძარცვეს მათი ბანაკი. აიღო დავითმა ფილისტიმელის თავი და მიიტანა იგი იერუსალემს, ხოლო მისი საჭურველი თავის კარავში დააწყო".

[648]

თავი 64 - განდევნილი დავითი

პირველი მეფეთა 18-22

გოლიათის დამარცხების შემდეგ საულმა დავითს მამის სახლში დაბრუნების ნება არ დართო და სამეფო კარზე მიიყვანა. მოხდა ისე, რომ „შეეკრა იონათანის სული დავითის სულს; და შეიყვარა იგი იონათანმა როგორც საკუთარი თავი". ძმობა და მუდამ ერთად ყოფნა შეჰფიცეს ერთურთს დავითმა და იონათანმა, შემდეგ კი მეფის ძემ გაიძრო "მოსასხამი, თან რომ ჰქონდა, და მისცა დავითს; აგრეთვე შესამოსელი, მახვილი, მშვილდი და სარტყელი". დიდი პასუხისმგებლობა დაეკისრა დავითს, თუმცა თავმდაბლობა შეინარჩუნა და ხალხისა და მეფის ოჯახის სიყვარული დაიმსახურა.

„ყველგან დადიოდა დავითი, სადაც კი გააგზავნიდა მას საული, და ჭკვიანურად იქცეოდა. დაადგინა იგი საულმა ლაშქრის მეთაურად". წინდახედულებითა და ერთგულებით გამოირჩეოდა დავითი და ცხადი იყო, რომ უფლის უხვი კურთხევა ჰქონდა მუდამ. დროდადრო საული გრძნობდა საკუთარ უძლურებას ისრაელის მართვის საქმეში. იმასაც გრძნობდა, რომ სამეფოს უსაფრთხოების განმტკიცებისათვის იმ ადამიანთა მხარდაჭერას საჭიროებდა, ვინც ღვთის ნებით ხელმძღვანელობდა. იმედი ჰქონდა საულს, რომ დავითთან ურთიერთობა იხსნიდა. ვინაიდან დავითს უფლის წყალობა და

მფარველობა ჰქონდა, მტერთან ბრძოლაში მის გვერდით ყოფნა დაიცავდა მეფეს.

უფლის სურვილი იყო საულისა და დავითის დაახლოება. მეფის კარზე ყოფნა შესაძლებლობას აძლევდა დავითს, გაეცნო კარის საქმეები, მომავალში მნიშვნელოვანი მსახურებისათვის მომზადებულიყო და ხალხის ნდობა დაემსახურებინა. საულის მტრობით გამოწვეული გაჭირვება და საზრუნავი სულ უფრო აახლოებდა უფალთან დავითს. სრულად უნდა მინდობოდა დავითი უფალს და უნდა შეეცნო, რომ ყველაფრით მასზეა დამოკიდებული. დავითთან იონათანის მეგობრულ ურთიერთობას, რაც უფლის განგებით მოხდა, სიცოცხლე უნდა შეენარჩუნებინა ისრაელის მომავალი მეფისათვის. ამგვარად ასრულებდა უფალი თავის კეთილ ჩანაფიქრს დავითისა და მთელი ისრაელის მიმართ.

მაგრამ დიდხანს არ გასტანა დავითის მიმართ საულის კეთილგანწყობამ. როცა ფილისტიმელებზე გამარჯვებული საული და დავითი ბრძოლის ველიდან ბრუნდებოდნენ, „გამოდიოდნენ ქალები ისრაელის ყველა ქალაქიდან საულ მეფის მისაგებებლად სიმღერით და ცეკვით, დაფდაფებით, მხიარული შეძახილებით. გაჰყვიროდნენ მხიარული ქალები, ამბობდნენ: შემუსრა საულმა თავისი ათასი, ხოლო დავითმა თავისი ათი ათასი!" შურის ბოროტი თესლი ჩაუგდო გულში საულს ეშმაკმა. დიდად განრისხდა მეფე იმის გამო, რომ ებრაელი ქალები თავიანთ სიმღერებში მასზე მეტად დავითს

ადიდებდნენ. კვლავ სისუსტე გამოავლინა საულმა და, ამ მდაბალი გრძნობის გულიდან განდევნის ნაცვლად, წამოიძახა: „დავითს ათი ათასს აძლევენ, მე კი ათასს. მეფობაღა აკლია".

ერთი დიდი ნაკლი ჰქონდა საულს: ძალიან უყვარდა, როცა აქებდნენ. მეტად მოჭარბებულად ჰქონდა ეს სურვილი. მის ყველა საქმეში თვითგანდიდებისა და თავის გამოჩენისაკენ სწრაფვა გამოსჭვიოდა. სამართლიანობისა თუ უსამართლობის განსჯისას იგი მეტად საეჭვო ნიშნით - ხალხის მოწონებით ხელმძღვანელობდა. ვერ იცხოვრებს ადამიანი მშვიდად, როცა რაიმეს ადამიანთა გულის მოსაგებად აკეთებს და არა იმისათვის, რომ, უპირველეს ყოვლისა, ღმერთის მოწონება დაიმსახუროს. საული მუდამ ხალხის წინაშე თავის გამოსაჩენად მოქმედებდა. და, როცა ებრაელი ქალების სახოტბო სიმღერები მოისმინა, დარწმუნდა, რომ

[649]

[650]

დავითი მართლაც მოიგებდა ხალხის გულს და მის ნაცვლად გამეფდებოდა.

საულის გული ეჭვმა მოიცვა და სული მოუწამლა ამ საშინელმა სენმა. თუმცა მოსმენილი ჰქონდა სამუელ წინასწარმეტყველისგან, რომ ღმერთის ჩანაფიქრის შესრულებას წინ ვერავინ აღუდგება, მეფემ დაამტკიცა, რომ შეცნობილი არ ჰქონდა ღვთის გეგმებისა და ძალის ჭეშმარიტება. ისრაელის მეფის სურვილები ეწინააღმდეგებოდა უზენაესის სურვილებს. ისრაელის სამეფოს მმართველმა საკუთარი თავის მართვა ვერ შეძლო. თავად დაუქვემდებარა გონება გრძნობას, სანამ ველურმა მძვინვარებამ არ მოიცვა მთელი მისი სული. თუკი ვინმე მის წინააღმდეგ რაიმეს თქმას გაბედავდა, ისე გაცოფდებოდა საული, რომ მზად იყო, მოწინააღმდეგე გაენადგურებინა. ასეთი გაშმაგების შემდეგ სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა მეფე, საკუთარი თავი სძულდა და სინდისი ქენჯნიდა.

სიამოვნებით უსმენდა საული დავითს, როცა იგი ქნარზე უკრავდა. ამ წუთებში, თითქოსდა, ბოროტი სული ტოვებდა მას. მაგრამ ერთხელ, როცა ყმაწვილი ღვთის სახოტბო საგალობლებს მღეროდა და ქნარს ტკბილად აჟღერებდა, საულმა მოულოდნელად შუბი ესროლა, რათა მოეკლა. უფალმა იხსნა დავითი და უვნებლად დაუსხლტა იგი ხელიდან გამძვინვარებულ მეფეს.

რაც უფრო იზრდებოდა სიძულვილი დავითის მიმართ, მით უფრო მეტი მონდომებით ეძებდა საული შესაფერის დროს მის

მოსაკლავად, მაგრამ არც ერთ ბოროტ განზრახვას უფლის ცხებულის წინააღმდეგ წარმატება არ ეწერა. სრულად დაემორჩილა საული ბოროტი სულის ბატონობას, დავითი კი ამ დროს სრულად მიენდო უდიდეს მრჩეველს და უძლიერეს მხსნელს - ღმერთს. „უფლის შიში სიბრძნის სათავეა" /იგავ. 9:10/. და დავითიც მუდამ ევედრებოდა უფალს, განეწმიდა იგი, რათა უმწიკვლოდ ევლო ღვთის წინაშე.

მოისურვა მეტოქის თავიდან მოცილება და საულმა "დაადგინა იგი ათასისთავად... მთელს ისრაელსა და იუდას უყვარდა დავითი". მალე დარწმუნდა ხალხი, რომ გონიერი იყო დავითი და მუდამ ბრძნულად და ოსტატურად აგვარებდა ყველა საქმეს, რომელსაც ანდობდნენ. ყმაწვილის რჩევები მოწმობდა, თუ რამდენად ბრძენი, წინდახედული და სანდო იყო. და ადარებდნენ მას საულს, რომლის სიტყვა და გადაწყვეტილება ხშირად არ იყო გონივრული.

თუმცა საული მუდამ ეძებდა ხელსაყრელ მომენტს დავითის მოსაკლავად, მაგრამ მას შემდეგ, რაც დარწმუნდა, რომ ღმერთი იყო დავითთან, ეშინოდა მისი. ყმაწვილის პატიოსნება მეფის მძვინვარებას იწვევდა. დავითის წმიდა ცხოვრება, თვით მისი არსებობა სინდისის მუდმივ ქენჯნას იწვევდა მასში, რადგან მათ შორის არსებული განსხვავება უპირატესობას დავითს ანიჭებდა. შურმა უბედური გახადა საული, მის მორჩილ მსახურს კი საფრთხე შეუქმნა. რა დიდი უბედურება მოაქვს წუთისოფელში

ადამიანის ამ მანკიერ თვისებას! იგივე მტრობა, კაენს რომ საკუთარი ძმა - აბელი მოაკვლევინა, ბუდობდა საულის გულში, ვინაიდან მართალი იყო აბელი თავის საქმეებში და უფალმაც აკურთხა იგი, მისი ძმის საქმეები კი ბოროტი იყო და უფალს არ შეეძლო მისი კურთხევა. ეგოიზმის ნაყოფია შური, რომელიც თანდათან ფეხს იკიდებს ადამიანის გულში და სიძულვილში გადაიზრდება, შემდგომში კი - შურისძიებასა და მკვლელობაში. თავისი ბოროტი არსი გაამჟღავნა სატანამ საულში, რათა მეფე მტრად გახდომოდა მას, ვისაც არავითარი ბოროტება მისთვის არ გაუკეთებია.

მუდამ ყურადღებით უთვალთვალებდა მეფე დავითს, რათა რაიმე წინდაუხედავ საქციელში ემხილა იგი და მისი ათვალწუნების საბაბი ჰქონოდა. გრძნობდა საული, რომ ვერ დამშვიდდებოდა, სანამ ყმაწვილს სიცოცხლეს არ გამოასალმებდა. თანაც ეძებდა ხალხის წინაშე თავისი ბოროტმოქმედების გამართლების შესაძლებლობას. ცდუნების ქსელში სურდა დავითის გახვევა, როცა ფილისტიმელებთან ომების წარმოება დაავალა და მამაცობისათვის ჯილდოდ თავისი უფროსი ასულის მითხოვებას

[651]

[652]

დაპირდა. ამ წინადადებაზე დავითმა მორჩილად უპასუხა: „ვინ ვარ მე, რა არის ჩემი ცხოვრება ან მამაჩემის გვარი ისრაელში, რომ მეფის სიძე გავხდე?" თავისი პირმოთნეობა საულმა მაშინ გამოავლინა, როცა თავისი ასული სხვას მიათხოვა.

საულის უმცროსი ქალიშვილით, მიქალით, დავითის გატაცება მეტოქის წინააღმდეგ ახალი შეთქმულების საბაბი გახდა მეფისათვის. შეჰპირდნენ მიქალის ხელს ჭაბუკს, მხოლოდ იმ პირობით, თუ მტრის განსაზღვრულ რაოდენობას მოკლავდა. „ფიქრობდა საული, ფილისტიმელთა ხელში ჩააგდებდა დავითს". მაგრამ უფალმა დაიფარა ყმაწვილი, გამარჯვებით დააბრუნა ბრძოლის ველიდან და ამგვარად, იგი მეფის სიძე გახდა. „შეუყვარდა მიქალს, საულის ასულს, დავითი" და გაშმაგებულმა მონარქმა დაინახა, როგორ განადიდა მისმა ბოროტმა განზრახვამ ის, ვისი მოკვლაც ასე სურდა. დღითიდღე სულ უფრო რწმუნდებოდა იგი, სწორედ დავითია ის კაცი, რომელზედაც უფალმა თქვა, რომ მასზე უკეთესია და რომელიც ისრაელზედ იმეფებს საულის ნაცვლად. და ბოლოს, მოიხსნა რა ნიღაბი, თავის მსახურთ და იონათანს უბრძანა, მოეკლათ ის, ვინც ასე ძლიერ სძულდა.

შეატყობინა იონათანმა დავითს მეფის განზრახვა და სადმე გადამალვა ურჩია, სანამ იგი ისრაელის მხსნელის დანდობას არ

შეავედრებს მამას. გაახსენა იონათანმა მამას დავითის ყველა ნამოქმედარი, თუ როგორ შეუნარჩუნა სახელი და სიცოცხლე მან მთელს ერს და უმტკიცებდა, რომ იმ კაცის მკვლელობა, რომელიც უფალმა მტრის შესამუსრად დაუყენა ისრაელს, უდიდეს ცოდვად დაედებოდა. სინდისმა შეაწუხა საული, გული მოურბილდა. „დაიფიცა საულმა: უფალს ვფიცავ, არ მოკვდება". კვლავ მოუყვანეს დავითი მეფეს და კვლავინდებურად ემსახურებოდა მას.

კვლავ გაჩაღდა ბრძოლა ისრაელიანებსა და ფილისტიმელებს შორის. კვლავ გაიყვანა დავითმა თავისი მეომრები მტრის წინააღმდეგ. ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს ებრაელებმა და ქება-დიდება და ხოტბა შეასხა ხალხმა დავითის გმირობას და ისევ სიძულვილმა იფეთქა საულის გულში. ერთხელ, როცა ჭაბუკი მეფის წინაშე ქნარზე უკრავდა და ტკბილი, მელოდიური ჰანგებით ავსებდა მეფის სახლს, კვლავინდებურად ძლიერ გაშმაგდა საული, შუბს სწვდა და დავითს ესროლა, „უნდოდა... კედელზე მიეგმირა შუბით", მაგრამ უფლის ანგელოზმა ააცილა მას ეს სასიკვდილო იარაღი. ხელიდან დაუსხლტა დავითი მეფეს და გაქცევით უშველა თავს. „მიუჩინა საულმა დავითის სახლს გზირები, რათა დადარაჯებოდნენ მას და მოეკლათ დილით".

მიქალმა მამის განზრახვა დავითს შეატყობინა. შეევედრა ცოლი, სადმე დამალულიყო და ფანჯრიდან გაქცევაში დაეხმარა.

სამუელის სახლში მივიდა იგი, რამათში. არ შეუშინდა წინასწარმეტყველი მეფის რისხვას და თავის სახლში შეიფარა გამოქცეული დავითი. რა მშვიდ სავანედ ეჩვენა სამუელის სახლი მეფის სასახლესთან შედარებით! აქ, გორაკებს შორის, განაგრძობდა თავის მსახურებას უფლის მოკრძალებული და თავმდაბალი მსახური. მასთან ერთად ცხოვრობდნენ წინასწარმეტყველნი, რომელთაც უფლის ნების შეცნობა სურდათ და მოწიწებით უსმენდნენ სამუელის ბაგეთაგან წარმოთქმულ შეგონებებს. რა ძვირფასი გაკვეთილები აითვისა დავითმა ისრაელის ამ დიდებული მოძღვრისაგან!

დავითს ეგონა, რომ ამ წმიდა ადგილებში არ შეიჭრებოდნენ საულის რაზმები, მაგრამ ცხადი გახდა, რომ გონებადაბნელებული, განრისხებული და სასოწარკვეთილი მეფისათვის უკვე აღარაფერი იყო წმიდა. დავითისა და სამუელის ურთიერთობამ კიდევ უფრო გაუღვივა შური და ეჭვი მეფეს, რადგან ის, ვისაც მთელი ისრაელი დიდ პატივს მიაგებდა და ღვთის წინასწარმეტყველად აღიარებდა, თავისი გავლენის წყალობით ხელს უწყობდა მეფის მეტოქის აღზევებას. როცა მეფისთვის ცნობილი გახდა დავითის ადგილსამყოფელი, მსახურები გაგზავნა იქ და დაავალა, შეეპყროთ ყმაწვილი და გიბყაში მოეყვანათ, სადაც თავისი

[653]

ბოროტი ჩანაფიქრის განხორციელებას შეძლებდა.

დავითის მოსაკლავად გაეშურნენ გზირები, მაგრამ საულზე უფრო დიდი ძალა ხელმძღვანელობდა მათ გზაში. უფლის უხილავი ანგელოზები დაუხვდნენ, როგორც ბალაამს, ისრაელის დასაწყევლად რომ მიდიოდა. გაქადაგდნენ საულის გზირები და ადიდებდნენ უზენაეს ღმერთს. ამგვარად გაუნელა რისხვა ადამიანს ღმერთმა, გამოაჩინა თავისი ძალა, არ დაუშვა ბოროტი საქციელი და, ამავე დროს, მფარველად ანგელოზები მიუჩინა თავის ერთგულ მსახურს.

ამ ამბავმა მალე მიაღწია საულის ყურამდე, რომელიც მოუთმენლად ელოდა დავითის გამოჩენას, რათა თავისი ბოროტი განზრახვა აესრულებინა. მაგრამ, იმის ნაცვლად, რომ უფლის საყვედური ეგრძნო, უფრო გაშმაგდა და ახლა სხვა გზირები გააგზავნა. მაგრამ ისინიც ღვთის სულით აივსნენ, გაქადაგდნენ და პირველთ შეუერთდნენ. მესამედ გაგზავნა საულმა თავისი ხალხი, მაგრამ წინასწარმეტყველთან მისვლისას ღვთიურმა ძალამ გაუნათა მათ გონება და ისინიც გაქადაგდნენ. ძალზე დიდი იყო დავითისადმი სიძულვილი და საულმა გადაწყვიტა, თავად წასულიყო, სხვა მომენტს არ დალოდებოდა, არც შედეგზე ეფიქრა და თავად გასწორებოდა დავითს.

მაგრამ გზაზე უფლის ანგელოზი შემოხვდა და თავისი ზეგავლენის ქვეშ მოაქცია. ღვთის სულით აივსო საულიც, მიდიოდა და ლოცულობდა, თავადაც გაქადაგდა და წმიდა საგალობლებს მღეროდა. მომავალი მესიის - წუთისოფლის მხსნელის შესახებ ქადაგებდა იგი. მივიდა თუ არა რამათში წინასწარმეტყველთან, გაიძრო მოსასხამი - მეფური დიდებულების ნიშანი და ღვთიური ძალით მოსილი, განერთხო მიწაზე და მთელი დღის განმავლობაში იწვა სამუელისა და მისი მოწაფეების წინაშე. მოგროვდა ხალხი, რათა საკუთარი თვალით ენახა მეფეში მომხდარი ეს უჩვეულო ცვლილება. ყველგან გავრცელდა ეს ამბავი. ამიტომ იყო, რომ საულის მეფობის დასასრულს ამბობდნენ: „საულიც კი გაქადაგდაო".

კვლავ დამარცხდა მდევნელი. დიდად ცდილობდა საული, თავის კეთილგანწყობაში დაერწმუნებინა დავითი, მაგრამ აღარ სჯეროდა მას მეფის სინანულისა, ისარგებლა ამ შემთხვევით და მიიმალა, სანამ მბრძანებელი ისევ მტრად გაუხდებოდა. გული ეწურებოდა დავითს, იონათანის კიდევ ერთხელ ნახვის სურვილი ჰკლავდა. იცოდა მან, რომ უდანაშაულო იყო, მონახა მეფის ძე და ვედრებით მიმართა: „რა გავაკეთე, რა დავაშავე, რა შევცოდე მამაშენს, მოსაკლავად რომ დამდევს?" სჯეროდა იონათანს, რომ მამა შეიცვალა დავითის მიმართ და აღარ დასდევს მოსაკლავად და უპასუხა: „ღმერთმა დაგიფაროს, არ მოკვდები! ახლა ყური მიგდე: არაფერ საქმეს, დიდი იქნება თუ მცირე, არ აკეთებს მამაჩემი, მე თუ არ გამიმხილა. რატომ დამიმალავდა მამაჩემი ამ საქმეს? ეს არ მოხდება!" ღვთიური

სულის ასეთი ძლიერი გამოვლინების შემდეგ დაუჯერებლად მიაჩნდა იონათანს, რომ მამამისი კვლავ ბოროტად განეწყობოდა დავითის მიმართ, ვინაიდან ეს ღმერთის წინააღმდეგ წასვლა იქნებოდა. მაგრამ თავად დავითი არ იყო დარწმუნებული თავის უსაფრთხოებაში. უჩვეულო სერიოზულობით უთხრა მან იონათანს: „უფალს და შენს თავს გეფიცები, თუ ერთი ნაბიჯი არ იყოს ჩემსა და სიკვდილს შორის".

ყოველ ახალმთვარობისას წმიდა დღესასწაული დგებოდა ისრაელში. სწორედ იონათანისა და დავითის საუბრის მეორე დღეს დგებოდა ეს დღესასწაული. ორივე ჭაბუკი მეფის სუფრას უნდა შემოსხდომოდა. მაგრამ ეშინოდა დავითს იქ მისვლა და მეგობრები შეთანხმდნენ, რომ იგი ძმების მოსანახულებლად ბეთლემს წავა. უკან დაბრუნებისას კი მონადიმეებთან ახლოს, მინდორში დაიმალება და სამი დღის განმავლობაში არ დაენახვება მეფეს, იონათანი კი უნდა დააკვირდეს, თუ რა შთაბეჭდილებას მოახდენს ყოველივე ეს მეფეზე. სხვათა შორის, თუ მოიკითხავს საული იესეს ძეს, იონათანმა უნდა უთხრას, რომ იგი წავიდა თავის სახლში, რადგან

[654]

[655]

„ყოველწლიური მსხვერპლშეწირვა აქვსო მთელს საგვარეულოს". თუკი არ განრისხდება მეფე და „თუ თქვა: კეთილი", დავითი უშიშრად დაბრუნდება სასახლეში. მაგრამ თუ საული მისი წასვლის გამო განრისხდება, დავითს გაქცევა მოუწევს.

ნადიმის პირველ დღეს არ მოუკითხავს მეფეს დავითი. მაგრამ, როცა მისი ადგილი მეორე დღესაც ცარიელი აღმოჩნდა, დაინტერესდა მეფე: „რატომ არ მოვიდა პურობად იესეს ძე, არც გუშინ და არც დღეს? მიუგო იონათანმა საულს: ბეთლემში წასასვლელად დამეთხოვა დავითი. მითხრა: გამიშვი, რადგან საგვარეულო მსხვერპლშეწირვა გვაქვს ქალაქში. ძმამ შემომითვალაო. ახლა, თუ მადლი მიპოვნია შენს თვალში, დამანებე წასვლა, რომ მოვინახულო ჩემი ძმებიო. ამიტომ არ მოსულა სამეფო სუფრაზე". დიდად განრისხდა საული ამ სიტყვების მოსმენაზე და განაცხადა, რომ სანამ დავითი ცოცხალია, იონათანი ვერ გახდება ისრაელის მეფე, ამიტომ ახლავე უნდა გაგზავნონ ხალხი დავითის მოსაკლავად. კვლავ შეევედრა იონათანი მეფეს მეგობრის გამო: „რისთვის უნდა მოკვდეს, რა გააკეთა?" ამ სიტყვებმა უფრო გააღვივა საულში სატანური მძვინვარების ცეცხლი და შუბი, რომლითაც დავითის მოკვლა სურდა, მის ნაცვლად ახლა იონათანს სტყორცნა.

გამოეცალა სუფრას ღრმად დამწუხრებული და რისხვამორეული იონათანი და აღარც მისულა ნადიმზე. გულისტკივილით გაეშურა დანიშნულ ადგილას, სადაც დავითი ელოდებოდა. ერთმანეთს ჩაეხვივნენ ყმაწვილები და მწარედ ატირდნენ. მეფის საშინელმა რისხვამ სიცოცხლე გაუმწარა ამ ახალგაზრდებს, ენა ვერ აღწერდა მათ მწუხარებას. განშორებისას, როცა მათი გზები უნდა გაყრილიყო, იონათანმა დავითს უთხრა: „მშვიდობით იარე! როგორც ჩვენ ორთავემ დავიფიცეთ უფლის სახელით: უფალი იყოს ჩვენს შორის, ჩემსა და შენს შთამომავლობას შორის უკუნისამდე!"

გიბყაში დაბრუნდა მეფის ძე, დავითმა კი ნომბას მიაშურა, ქალაქს, რომელიც იმ ადგილიდან რამდენიმე მილით იყო დაშორებული და ბენიამინის გვარს ეკუთვნოდა. სწორედ აქ გადმოიტანეს კარავი სილოამიდან და მღვდელმთავარი ახიმელექიც იქ ემსახურებოდა ღმერთს. სწორედ ამ ღვთისმსახურთან მონახა თავშესაფარი დავითმა. დიდად განცვიფრდა მღვდელმთავარი, როცა დამწუხრებული, რაღაცით აღელვებული და აჩქარებული დავითი მარტოდმარტო მივიდა მასთან. ახიმელექმა იქ მისვლის მიზეზი გამოჰკითხა. მუდამ იმის შიშში იყო ყმაწვილი, რომ შეიპყრობდნენ, ამიტომაც იცრუა, რომ საიდუმლო დავალებით არის მეფისგან გამოგზავნილი და სასწრაფოდ უნდა შეასრულოს იგი. ამით ღვთის მიმართ უნდობლობა გამოავლინა დავითმა, რაც მღვდელმთავრის სიკვდილის მიზეზი გახდა. სიმართლე რომ ეთქვა, ახიმელექი მოიფიქრებდა, თუ როგორ გადაერჩინა იგი.

ღმერთი ითხოვს, რომ მისი ხალხის განმასხვავებელი ნიშანი სიმართლე იყოს მაშინაც კი, როცა მათ დიდი საფრთხე ელით. ხუთი ხმიადი მოსთხოვა დავითმა მღვდელს. ღვთის კაცს სხვა არაფერი გააჩნდა, ამ წმიდა პურების გარდა, მაგრამ დავითმა შეძლო მისთვის ყოველგვარი ეჭვის გაქარწყლება, გამოართვა პური, შიმშილი რომ მოეკლა.

ახლა ახალმა საფრთხემ იჩინა თავი. იმ დღეს მოიტანა აღსავლენი იმ წმიდა ადგილას საულის მწყემსების უფროსმა დოეგმა, რომელსაც ისრაელიანთა რწმენა მიეღო. სხვაგან გაქცევა და დამალვა გადაწყვიტა დავითმა ამ კაცის დანახვაზე, მაგრამ გაქცევამდე ყოველი შემთხვევისათვის რაიმე იარაღი უნდა მოეპოვებინა. ახიმელექს სთხოვა მახვილი, მაგრამ მღვდელმა უთხრა, რომ მას მხოლოდ გოლიათის ხმალი აქვს, რომელიც რელიქვიად ინახება საწმიდარში. „თქვა დავითმა: არაფერია ამის მსგავსი. მომეცი". გამბედაობა დაუბრუნდა დავითს, როგორც კი ხელთ იგდო მახვილი, რომლითაც ერთ დროს ფილისტიმელი გიგანტი დაამარცხა.

გაიქცა დავითი და „მივიდა აქიშთან, გათის მეფესთან". მიხვდა იგი, რომ

[656]

თავისი ხალხის მტრებთან ნაკლები ხიფათი ელოდა, ვიდრე საულის სამფლობელოში დარჩენის შემთხვევაში. მაგრამ აქიშს შეატყობინეს, რომ დავითია სწორედ ის კაცი, რომელმაც რამდენიმე წლის წინათ ფილისტიმელი გოლიათი მოკლა. უდიდესი საფრთხის წინაშე დადგა ისრაელიანთა მტრის ბანაკში თავშესაფრის მძებნელი დავითი. მაგრამ თავი მოიგიჟიანა, მტერი მოატყუა და გადარჩა.

დავითის პირველი შეცდომა ნომბაში უფლის მიმართ უნდობლობის გამოჩენა იყო. მეორე შეცდომა კი იმაში მდგომარეობდა, რომ აქიში მოატყუა. კეთილშობილური თვისებებით იყო დაჯილდოებული დავითი და მისი ზნეობრივი ღირსებებით თავისი ერის სიყვარული დაიმსახურა, მაგრამ, როგორც კი განსაცდელს პირისპირ შეეჩეხა, რწმენა შეერყა და ადამიანური სისუსტე გამოავლინა. ყოველ ადამიანში მოღალატესა და მდევნელს ხედავდა. კრიტიკულ მომენტში ღვთისადმი მტკიცე რწმენა გამოავლინა, ფილისტიმელი გოლიათი დაამარცხა. ღმერთს მიენდო მაშინ და პირისპირ შეებრძოლა გიგანტს მისი სახელით. მაგრამ, როცა მოსაკლავად დასდევდნენ, სასოწარკვეთილმა ზეციერი მამა ვეღარ დაინახა.

მაგრამ ამ გამოცდამ სიბრძნე შესძინა დავითს. შეიცნო თავისი უძლურება და მუდამ ღმერთის გვერდით ყოფნის საჭიროება. ო, რა დიდებულია და ტკბილი გატანჯულ, სასოწარკვეთილ

სულზე სულიწმიდის ზეგავლენა! როგორ ამხნევებს გულით უძლურთ, გამბედაობას მატებს დასუსტებულთ და ეხმარება განსაცდელში მყოფ ღვთის მორჩილთ. რა საოცარი ღმერთი გვყავს, - გზააბნეულთ რომ თანაუგრძნობს და მოთმინებით ეხმარება მათ უბედურებისა და დიდი მწუხრის ჟამს!

ღვთის შვილთა მიერ განცდილი ყოველი მარცხი მათი რწმენის სიმწირითაა გამოწვეული. როცა სული შფოთავს, როცა სინათლე და დაცვა გვწადია, მაღლა უნდა ავიხედოთ, რადგან იქ ზეციური ნათელი მეფობს წყვდიადზე. ერთი წამითაც კი არ უნდა დაეჭვებულიყო დავითი ღმერთში. რამდენი სარწმუნო მტკიცება ჰქონდა, რათა ღმერთს მინდობოდა. უფლის ცხებული იყო დავითი. საკმაო გამბედაობა ჰქონდა მას იმისათვის, რომ დიდი საქმეები ეკეთებინა. თავისი მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლა უზენაესის ძალისათვის რომ მიენდო, შავეთის ველზეც კი სიმშვიდეს ჰპოვებდა. მაშინ შეძლებდა უფლის აღთქმის რწმენით გამეორებას: „მთები შეიძვრებიან და ბორცვები შეირყევიან, ჩემი შენდამი წყალობა კი არ შეიძვრის და ჩემი სამშვიდობო აღთქმა არ შეირყევა, ამბობს შენი მწყალობელი უფალი" /ეს. 54:10/.

იუდას მთებში ჰპოვა საულის დევნისაგან შეწუხებულმა დავითმა თავშესაფარი. ყადულამის გამოქვაბულს შეაფარა თავი, სადაც მცირე რაზმს შეეძლო შეკრება და იმდენად მიუდგომელი იყო, რომ მრავალრიცხოვან ჯარს გაუჭირდებოდა

იქ შეღწევა. „გაიგეს ეს ამბავი მისმა ძმებმა და მამამისის მთელმა სახლმა და ჩავიდნენ იქ". უშიშრად ვერ გრძნობდნენ თავს თავიანთ საცხოვრებლებში დავითის ნათესავები. მუდამ ახსოვდათ, რომ საულის უსაფუძვლო ეჭვს შეეძლო, დაეღუპა ისინი, ვინაიდან დავითის ნათესავები იყვნენ. ახლა მიხვდნენ იმას, რაც მთელს ისრაელს უნდა გაეგო, სახელდობრ: ღმერთმა დავითი აირჩია მეფედ თავისი ერისათვის და დარწმუნდნენ, რომ იქ, გამოქვაბულში, დევნილ დავითთან ერთად ცხოვრება უფრო უსაფრთხო იყო, ვიდრე გაშმაგებული, შურისმაძიებელი მეფის სამფლობელოში დარჩენა.

სიყვარული და თანაგრძნობა იყო გამეფებული ოჯახის წევრთა შორის ყადულამის გამოქვაბულში. თავისუფლად შეეძლო იესეს ძეს ქნარის ტკბილად ახმიანება და მღერა: „აჰა, რა კარგია და რა საამურია, ერთად რომ ცხოვრობენ ძმები!" /ფს. 132:1/. დიდ უნდობლობას წინათ გრძნობდა დავითი საკუთარი ძმებისაგან, ახლა კი უნდობლობის ნაცვლად სრული თანხმობა სუფევდა ძმათა შორის, რაც ასე ახარებდა დევნილის სულს. იქ დაწერა დავითმა თავისი 56-ე ფსალმუნი.

ცოტა ხნის შემდეგ დავითს შემოუერთდნენ ადამიანები, რომლებიც დესპოტ

[657]

[658]

მეფეს გამოექცნენ. ბევრმა დაკარგა რწმენა ისრაელის მეფის მიმართ, რადგან ხედავდნენ, რომ აღარ იყო მასთან სულიწმიდის ხელმძღვანელობა. „იკრიბებოდა მასთან ყველა შეჭირვებული, ყველა დავალიანებული, ყველა სულგამწარებული, და უფროსად გაუხდა იგი მათ. ასე შეიკრიბა მასთან ოთხასი კაცი". ამგვარად, მცირე სამეფო შეიქმნა დავითის გარშემო, სადაც სიმშვიდე და წესრიგი სუფევდა. მაგრამ ვერც იქ, მთებში იგრძნო მან თავი უშიშრად, რადგან მუდამ მოდიოდა ცნობები იმის შესახებ, რომ მეფეს არ უარუყვია თავისი სისხლიანი განზრახვა.

დატოვა დავითმა თავისი მშობლები მოაბის მეფესთან და, ღვთის წინასწარმეტყველის გაფრთხილების თანახმად, ხერეთის ტყეში დაიმალა. უნაყოფო არ ყოფილა დავითის გაჭირვება. ცხოვრების მკაცრი სკოლა და წესრიგი განუწესა უფალმა, რათა შემდგომში ბრძენი მხედართმთავარი და თანამგრძნობი მეფე ყოფილიყო. დანარჩენ დევნილებთან ერთად ემზადებოდა დავითი უდიდესი საპასუხისმგებლო საქმისათვის, რომლისთვისაც სრულიად უძლური გამოდგა თავისი დანაშაულებრივი ვნებების, წინდაუხედაობისა და უგუნურების გამო საული. არ არსებობს სიმშვიდე და გონიერება უფლისადმი

მორჩილებისა და მისი რჩევების გარეშე, რადგან მხოლოდ ამით ძალუძთ ადამიანებს სამართლიანად და გონივრულად მოქმედება. არ არსებობს უფრო საშინელი და უიმედო უგუნურება, ვიდრე ადამიანური სიბრძნით ხელმძღვანელობა ღვთიური სიბრძნით ხელმძღვანელობის ნაცვლად.

საულმა გადაწყვიტა, ყადულამის გამოქვაბულში შეეპყრო დავითი, მაგრამ დიდად განრისხდა, როცა იგი იქ ვერ აღმოაჩინა. იდუმალებით იყო მოცული საულისათვის დავითის გაქცევა და ამას მხოლოდ თავისი ხალხის ორგულობითა და ღალატით ხსნიდა, რადგან თვლიდა, რომ სწორედ მათ შეატყობინეს იესეს ძეს მეფის მოახლოება.

ხალხს არწმუნებდა საული, რომ შეთქმულებას უწყობენ და ძვირფას საჩუქრებსა და საპატიო ადგილს დაჰპირდა მას, ვინც მის კარზე დავითის გულშემატკივრებს აღმოაჩენდა. ედომელი დოეგი იქცა ასეთ მოღალატედ. პატივმოყვარე, ანგარებიან ედომელს სძულდა მღვდელმთავარი, რომელიც ხშირად ამხილებდა მის ცოდვებს, ამიტომ შეატყობინა საულს დავითის ახიმელექთან მოსვლის ამბავი და საქმე ისე წარმოადგინა, რომ განრისხდა მეფე ღვთის კაცის მიმართ. ცეცხლზე ნავთი დაასხა ამ უწმიდურის სიტყვებმა და ყველაზე მდაბალი ვნებები გაუღვიძა მეფეს. გაშმაგებულმა და გონებაარეულმა მეფემ მღვდელმთავრის მთელი ოჯახის განადგურება ბრძანა. დაუყოვნებლივ სისრულეში მოიყვანეს ეს საშინელი განაჩენი.

არა მხოლოდ ახიმელექი, არამედ მამამისის მთელი ოჯახი, „ოთხმოცდახუთი კაცი, სელის ეფოდით შემოსილი", ამოწყვიტა მეფის ბრძანებით დოეგის ცოდვილმა ხელმა.

„და მახვილით მოსრა ნობი, მღვდელთა ქალაქი, კაცი და ქალი, ჭაბუკი და ძუძუთა ბავშვი, ხარები, სახედრები, ცხვრები და თხები. მახვილით მოსრა". აი, რა გააკეთა სატანის მორჩილების ქვეშ მყოფმა მეფემ. როცა უფალმა ბრძანა, რომ ყამალეკელების ურჯულოების თასი უკვე აივსო და საულს მათი სრულად ამოწყვეტა დაავალა, მაშინ განაჩენის აღსრულებისას თითქოსდა დიდი თანაგრძნობა გამოიჩინა და დაინდო ის, რაც უნდა განადგურებულიყო. მაგრამ ახლა არა ღვთის ბრძანებით, არამედ სატანის ხელმძღვანელობით მან შეძლო ღვთის წინასწარმეტყველთა და ნობის ყველა მკვიდრის განადგურება. აი, ესაა გახრწნილება ადამიანის გულისა, რომელმაც ღვთიურ ხელმძღვანელობაზე თქვა უარი.

მთელი ისრაელი აღაშფოთა ამ საშინელებამ. მათმა რჩეულმა მეფემ სხვა, ურჯულო ხალხების მეფეთა მსგავსად, რომელთაც ღვთის შიში არ გააჩნდათ, ჩაიდინა საშინელი დანაშაული. კიდობანი მათთან იყო, მაგრამ საწმიდარში მომსახურე მღვდლები, რომლებთანაც სხვადასხვა საკითხებზე რჩევების საკითხავად მიდიოდნენ, დახოცეს. რაღას ელოდონ მომავალში?

[659]

თავი 65 - დავითის დიდსულოვნება

პირველი მეფეთა 22:20-23; 23-27

უფლის მღვდელმსახურთა ამ საშინელ ხოცვა-ჟლეტას გადაურჩა „მხოლოდ ახიმელექ ახიტუბის ძის ერთი ვაჟიშვილი, სახელად აბიათარი, და გაიქცა დავითთან იგი. უამბო აბიათარმა დავითს, როგორ დახოცა საულმა უფლის მღვდლები. უთხრა დავითმა აბიათარს: მივხვდი იმ დღეს, დოეგ ედომელის დანახვისას, რომ უეჭველად ამბავს მიუტანდა საულს. ჩემზეა მამაშენის სახლის სისხლი. ჩემთან დარჩი, ნუ გეშინია; ვისაც ჩემი მოკვლა უნდა, იმას შენი მოკვლაც უნდა. ჩემთან არაფერი გაგიჭირდება".

არ შეუწყვეტია მეფეს დავითის დევნა. ვერ მოისვენა ყმაწვილმა, ვერსად ნახა თავშესაფარი. ფილისტიმელთა ტყვეობისაგან გაათავისუფლეს მისმა მამაცმა მეომრებმა კეყილის მცხოვრებნი, მაგრამ გათავისუფლებულთა შორისაც ვერ გრძნობდნენ თავს უშიშრად. და კეყილიდან ზიფის უდაბნოში გაემართა იგი.

იმ დროს, როცა დავითის ცხოვრებაში ცოტა რამ იყო სასიხარულო, იონათანის მოულოდნელმა გამოჩენამ დიდად გაახრა. გაიგო იონათანმა დავითის ადგილსამყოფელი და მის სანახავად მოვიდა. რა ძვირფასი იყო შეხვედრის ეს წუთები

მეგობრებისათვის! დიდხანს უყვებოდნენ ერთმანეთს ნანახსა და განცდილს. შემდეგ კი ასეთი სიტყვებით გაამხნევა მეგობარმა დავითი: „ნუ გეშინია, ვერ მოგწვდება მამაჩემის, საულის ხელი. შენ იმეფებ ისრაელზე, ხოლო მე შენს შემდეგ მეორე კაცი ვიქნები. მამაჩემმა საულმაც კი იცის ეს". როცა გაიხსენეს, თუ როგორ ზრუნავდა უფალი დავითზე, დიდად გამხნევდა სულით გატანჯული ლტოლვილი და „შეკრეს კავშირი ორმა უფლის წინაშე. დარჩა დავითი ხორშაში, ხოლო იონათანი შინ დაბრუნდა".

კვლავ თავისი ქნარი აახმიანა დავითმა იონათანის წასვლის შემდეგ, გამხნევდა სულით და ქება-დიდების ჰიმნები აღუვლინა ღმერთს.

„უფალზე ვარ მინდობილი;

როგორ ეტყვით ჩემს სულს:

„გადაიხვეწე ჩიტივით თქვენს მთებში.

რადგან აგერ ბოროტნი მოზიდავენ მშვილდს,

ლარზე მიამაგრებენ ისარს,

რომ სიბნელიდან ესროლონ გულმართლებს.

თუ საძირკვლები დანგრეულია,

მართალმა რა ჰქნას?"

უფალი თავის წმიდა ტაძარშია,

ცაშია უფლის ტახტი;

მისი თვალები იმზირებიან,

ქუთუთოები ამოწმებენ ადამის შვილებს.

უფალი მართალს გადაარჩენს, ხოლო ბოროტი

და ძალადობის მოყვარული სძულს მის სულს"

/ფს. 10:1-5/.

იმ მიუვალი ადგილების მკვიდრმა ზიფელებმა, სადაც დავითი კეყილიდან მოვიდა, ხალხი გაგზავნეს საულთან გიბყაში და ამცნეს, რომ იციან დავითის სამალავი და შეუძლიათ, აჩვენონ მეფეს ის ადგილი. მაგრამ გაფრთხილებული იყო დავითი მათი ჩანაფიქრის შესახებ, დატოვა ის ადგილები და მაყონსა და

[660]

[661]

მკვდარ ზღვას შორის მდებარე მთებისკენ გაეშურა.

კვლავ ამცნეს საულს: „ენგადის უდაბნოშიაო დავითი. აიყვანა საულმა მთელი ისრაელისგან გამორჩეული სამი ათასი კაცი და წავიდა დავითისა და მისი ხალხის საძებრად სანიამორე კლდეებში". სულ ექვსასი კაცი ჰყავდა ამ დროს დავითს, მის მდევნელ საულს კი - სამი ათასი. ერთ-ერთ გამოქვაბულში თავშეფარებული იესეს ძე თავის ხალხთან ერთად უფლისაგან მითითებას ელოდა, თუ როგორ მოქცეულიყო. მთებისკენ მიმავალმა საულმა გზიდან გადაუხვია და სწორედ იმ გამოქვაბულში შევიდა, დავითი რომ იმალებოდა თავის რაზმთან ერთად. დაინახეს თუ არა იგი დავითის კაცებმა, თავის მეთაურს საულის მოკვლა ურჩიეს. მათ ხელში იყო ახლა მეფე,

რაც დავითის ხალხმა იმით ახსნა, რომ თავად ღმერთმა ჩაუგდო მოსაკლავად მტერი. თავიდან დავითმაც მიიღო მათი რჩევა, მაგრამ სინდისის ხმამ შეაჩერა: „არ აღმართო ხელი უფლის ცხებულზე!"

არ სურდა დავითის ხალხს საულის გაშვება. ღვთის სიტყვები გაახსენეს თავის მეთაურს: „აჰა, ხელში ჩაგიგდებო შენს მტრებს და უყავი მათ, რაც გენებოსო. წამოდგა დავითი და ჩუმად მოაჭრა კიდე საულის მოსასხამს". მაგრამ „ამის შემდეგ სტკიოდა გული დავითს, რომ მოაჭრა კიდე საულის მოსასხამს".

ის იყო წამოდგა საული და გამოვიდა გამოქვაბულიდან, რათა კვლავ განეგრძო დავითის ძებნა, რომ მოულოდნელად მოესმა სიტყვები, რამაც ადგილზე გააშეშა: „მეფევ ბატონო!" მობრუნდა მეფე, რათა ამ სიტყვების მთქმელი დაენახა და, - რას ხედავს? მის წინაშე იდგა იესეს ძე, კაცი, რომელსაც ამდენ ხანს დასდევდა მოსაკლავად. თაყვანი სცა დავითმა მეფეს, როგორც თავის ბატონს, შემდეგ კი უთხრა: „რატომ უგდებ ყურს კაცის სიტყვებს? აჰა, ბოროტს გიმზადებსო დავითი? ახლა ხომ შენი თვალით დაინახე, რომ ჩამიგდო დღეს ხელში შენი თავი უფალმა გამოქვაბულში და მეუბნებოდნენ, მოჰკალიო. მაგრამ შეგიბრალე და ვთქვი, ხელს არ აღვმართავ ჩემს ბატონზე, რადგან უფლის ცხებულია-მეთქი. შეხედე, მამაჩემო, და დააკვირდი შენი მოსასხამის კიდეს, ხელში რომ მიჭირავს. შენი მოსასხამის კიდის მოჭრისას რომ არ მოგკალი, ამაზე მიხვდი, არ

არის ჩემში ბოროტება და სივერაგე, არ შემიცოდავს შენს წინაშე; შენ კი მოსაკლავად მდევნი".

მახვილივით მოხვდა გულში ეს სიტყვები საულს. დიდად გაოცდა იგი. სულის სიღრმემდე შეძრა დავითის გულწრფელმა სიტყვებმა იმის შესახებ, რომ სულ ახლახან იმ ადამიანის ხელში იყო, ვისი მოკვლაც თავად სურდა. დარწმუნდა, რომ გულახდილი იყო მის წინ მდგომი დავითი. გული მოულბა საულს და წამოიძახა: „ეს შენი ხმაა, დავით, ჩემო შვილო? და ატირდა საული. უთხრა დავითს: მართალი ხარ ჩემთან, რადგან შენ სიკეთით მიხდიდი, მე კი ბოროტებით გიხდიდი... ვინ არის ისეთი, რომ დაჭერილი მტერი გაუშვას გზაზე? უფალმა გადაგიხადოს სიკეთით იმის საზღაურად, რაც მიყავი. ახლა კი მჯერა, რომ ნამდვილად იმეფებ და განმტკიცდება შენს ხელში ისრაელის სამეფო". დაჰპირდა დავითი საულს, რომ შეუსრულებდა თხოვნას, შეიწყალებდა საულის ოჯახს და არ გაწყვეტდა მის შთამომავლობას, როცა ისრაელზე გამეფდებოდა.

კარგად ახსოვდა წარსული დავითს, ამიტომ სრულად ვერ ენდო მეფის დაპირებას და არ დაიჯერა, რომ ეს მშვიდობა დიდხანს გაგრძელდებოდა. საული რომ სასახლეში დაბრუნდა, დავითი მთებში დარჩა.

ზოგჯერ სატანის მხარეზე გადასულთა მტრული განწყობა ღვთის შვილთა მიმართ სინანულისა და მონანიების გრძნობით

იცვლება, მაგრამ არ არის ეს ცვლილება ხანგრძლივი და მტკიცე. ბოროტების მზრახველნი, რომლებიც

[662]

[663]

ღვთის მორჩილთა წინააღმდეგ გამოდიან, მხილების შემდეგ რწმუნდებიან თავის უსამართლობაში. ღვთის სული ებრძვის მათ და ისინიც ღვთისა და იმ ადამიანთა მორჩილნი ხდებიან, ვისი გავლენის განადგურებასაც ლამობდნენ და შეუძლიათ მათ მიმართ თავისი დამოკიდებულების შეცვლა. მაგრამ, როცა მაცდურის ჩურჩულს უსმენენ, ძველი ეჭვები კვლავ უცოცხლდებათ, მიძინებული მტრობა კვლავ იღვიძებს და ანახლებენ იმ მოქმედებებს, რომელსაც უსამართლოდ თვლიდნენ და რომელიც დროებით აღკვეთეს. და კვლავ ბილწი სიტყვებით კიცხავენ და ბრალს სდებენ მათ, ვისაც ოდესღაც ასე გულწრფელად სთხოვდნენ პატიებას. მსგავს ვითარებაში სატანა უფრო მეტი წარმატებით იყენებს ამ ადამიანებს, ვიდრე ადრე, რადგან უფრო დიდი ნათელი უარყვეს მათ.

„მოკვდა სამუელი. შეიკრიბა მთელი ისრაელი, დაიტირეს და დამარხეს იგი თავის სახლში, რამათში". უდიდესი დანაკარგი

იყო ისრაელისათვის სამუელის სიკვდილი. მოკვდა უდიდესი ღვთისმოსავი წინასწარმეტყველი, თავისი სამართლიანობით სახელგანთქმული მსაჯული. მძიმე იყო და დიდი ერის მწუხარება. სიყრმიდანვე სამართლიანად და პატიოსნად ემსახურებოდა იგი ისრაელს. თუმცა საული იყო აღიარებული ისრაელის მეფედ, მაგრამ სამუელის გავლენა უფრო დიდი იყო, რადგან მისი სიცოცხლე ერთგულების, მორჩილებისა და პატიოსნების თვალსაჩინო მაგალითი იყო. წმიდა წერილში ვკითხულობთ, რომ თავისი სიცოცხლის ბოლომდე იგი ისრაელის მსაჯულად დარჩა.

როცა საულის ცხოვრებას სამუელისას ადარებდნენ, ხვდებოდნენ, რა დიდი დანაშაული ჩაიდინეს, როცა მეფე მოითხოვეს, რათა მეზობელი ტომებიდან არაფრით ყოფილიყვნენ განსხვავებულნი. ბევრი შიშითა და მწუხარებით შესცქეროდა საზოგადოებაში გამეფებულ ურწმუნოებასა და ურჯულოებას. მეფის პირად ცხოვრებასაც უდიდესი ზეგავლენა ჰქონდა. და ჭეშმარიტად იგლოვა ისრაელმა ღვთის წინასწარმეტყველი, სამუელი.

სამუელის სახით ერმა მარტო წინასწარმეტყველთა წმიდა სასწავლებლების დამაარსებელი და ხელმძღვანელი როდი დაკარგა, არამედ კაცი, რომელსაც სხვადასხვა კითხვებითა და პრობლემებით მიმართავდნენ; დაკარგეს შუამდგომელი, რომელიც მუდამ უზენაესს ავედრებდა მათ. სამუელის

შუამდგომლობა ყველას სიმშვიდესა და სიმამაცეს ჰგვრიდა, ვინაიდან „ბევრი რამ შეუძლია მართლის ძლიერ ლოცვას" /იაკ. 5:16/. ახლა კი გრძნობდნენ ისრაელიანნი, რომ ტოვებს უფალი მათ. მთლად შეშლილს დაემსგავსა მათი მეფე. აღარ არსებობდა სამართლიანობა, წესრიგი კი ქაოსმა შეცვალა.

სწორედ მაშინ, როცა ქვეყანაში შინაგანი ბრძოლები მიმდინარეობდა, როცა ასე ძლიერ სჭირდებოდა ერს სამუელის მშვიდი, ღვთივმიმადლებული რჩევები, მოასვენა უფალმა თავისი ერთგული, მოხუცი მსახური. მწარე ფიქრები იპყრობდა ხალხს წინასწარმეტყველის სამარხის დანახვაზე. და ახსენდებოდათ, თუ რა უგუნურად მოიქცნენ, როცა უარყვეს მისი მმართველობა, თუმც ახლოს იყო იგი ზეცასთან და თითქოს მთელ ისრაელს იეჰოვას ტახტთან აკავშირებდა. სწორედ სამუელმა ასწავლა მათ ღვთისადმი სიყვარული და მორჩილება, ახლა კი, მისი სიკვდილის შემდეგ, გრძნობდნენ, რომ დარჩნენ იმ მეფის იმედად, რომელსაც ხელმძღვანელობდა სატანა და რომელმაც ხალხი ღმერთს და ზეცას დააშორა.

თუმცა დავითი ვერ დაესწრო სამუელის დაკრძალვას, მაგრამ ისე ტიროდა და გლოვობდა მას, როგორც ერთგული შვილი - საყვარელ მამას. კარგად იცოდა დავითმა, რომ სამუელის სიკვდილით საულის დაცემული ზნეობის შემკავებელი უკანასკნელი ძაფი წყდებოდა. უფრო უშიშრად გრძნობდა თავს ყმაწვილი, როცა სამუელი ცოცხალი იყო. სანამ საული

სამუელზე გლოვით იყო დაკავებული, დავითმა უფრო მოხერხებული, უსაფრთხო ადგილი გამონახა

[664]

თავისთვის და მხოლოდ ამის შემდეგ წავიდა ფარანის უდაბნოში. სწორედ იქ დაწერა მან 120-ე და 121-ე ფსალმუნები. იმ უკაცრიელ ადგილებში დასტიროდა იგი მწარედ წინასწარმეტყველს და, იცოდა რა, რომ მეფე კვლავ მისი მტერი იყო, მღეროდა:

„ჩემი შეწევნა უფლისგანაა,

რომელმაც შექმნა ცა და ქვეყანა.

არ წააბორძიკებს შენს ფეხს;

არ წათვლემს დამცველი შენი.

აჰა, არ წათვლემს და არ დაიძინებს

მცველი ისრაელისა.

უფალია შენი მცველი;

უფალი, შენი მფარველი -

შენი მარჯვენის გვერდით.

დღისით მზე არ გავნებს და ღამით მთვარე.

უფალი დაგიცავს ყოველი ბოროტისაგან,

დაიცავს შენს სულს;

უფალი დაიცავს შენს წასვლას და მოსვლას

ამიერიდან და უკუნისამდე"

/ფს. 120:2-8/.

იქ, ფარანის უდაბნოში, დავითი და მისი ხალხი ყაჩაღების თავდასხმებისაგან იცავდა ერთი მდიდარი კაცის, ნაბალის, ფარას, რომელსაც მიწები ჰქონდა იმ მიდამოებში. ქალებ იეფუნეს ძის შთამომავალი იყო ნაბალი, მაგრამ მეტად ძუნწი და უხეში.

დადგა ცხვრის პარსვის დრო, როდესაც იმ დროს არსებული ტრადიციისამებრ, იმართებოდა ნადიმები და იწვევდნენ სტუმრებს. დავითის ხალხი საკვების ძლიერ ნაკლებობას განიცდიდა და, იმდროინდელი წეს-ჩვეულების თანახმად, ათი ჭაბუკი გაუგზავნა ნაბალს დავითმა, უბრძანა, თავიანთი ბატონის სახელით მისალმებოდნენ და ეთქვათ მისთვის: „იცოცხლე! მშვიდობა შენდა, მშვიდობა შენს სახლს, მშვიდობა მთელს შენს საბადებელს! ახლახან გავიგე, რომ ცხვარს პარსავ. შენი მწყემსები იყვნენ ახლახან ჩვენთან. არ დაგვიჩაგრავს ისინი, არაფერი დაჰკარგვიათ ქარმელში ყოფნისას. ჰკითხე შენს მსახურებს და მოგახსენებენ. იქნება მადლი ჰპოვონ ჩემმა მსახურებმა შენს თვალში, რაკი სასიხარულო დღეს მოვედით. მიეცი, რაც შეგიძლია შენს მორჩილთ და შენს შვილს, დავითს".

საიმედოდ იცავდნენ დავითი და მისი ხალხი ნაბალის მწყემსებსა და მრავალრიცხოვან ფარას და ახლა თხოვნით მიმართეს ამ მდიდარ კაცს, მიეცა რაიმე საჭმელი მათთვის, ვინც ასე დაეხმარა. დაუკითხავად შეეძლოთ, ესარგებლათ დავითსა და მის ხალხს ნაბალის პირუტყვით, მაგრამ არ იკადრეს.

პატიოსნად მოიქცნენ ისინი, მაგრამ არ დააფასეს მათი სიკეთე. დავითისათვის გაგზავნილი პასუხი ამ კაცის უზნეობაზე მეტყველებდა: „ვინ არის დავითი, ვინ არის იესეს ძე? გამრავლდნენ დღეს მორჩილნი, თავიანთ ბატონებს რომ გაურბიან. ავიღო ჩემი პური, წყალი და ღვინო, და მპარსველებისთვის გამზადებული საკლავი და მივცე კაცებს, რომლის ასავალ-დასავალი არ ვიცი?"

როცა ხელცარიელი ჭაბუკები უკან დაბრუნდნენ და დავითს ეს სიტყვები მიუტანეს, დიდად განრისხდა დავითი და თავის ხალხს უბრძანა, საბრძოლველად მომზადებულიყვნენ, რადგან გადაწყვიტა, დაესაჯა კაცი, რომელიც გაჭირვების

[665]

ჟამს არ დაეხმარა და არ მისცა ის, რისი აღების უფლება ისედაც ჰქონდა და თავის უსამართლო საქციელს ასეთი შეურაცხმყოფელი სიტყვებიც მოაყოლა. ასეთი ნაჩქარევი გადაწყვეტილების გამოტანა უფრო საულის თვისება იყო, ვიდრე დავითისა, მაგრამ დიდი ტანჯვის სკოლა უნდა გაევლო იესეს ძეს, მოთმინება რომ ესწავლა.

როცა დავითის ხალხი უკან გაბრუნდა, ერთ-ერთი მსახური ნაბალის ცოლთან, აბიგაილთან მივიდა და ყველაფერი უამბო. „მოციქულები გაუგზავნა დავითმა უდაბნოდან ჩვენს ბატონს და მოიკითხა, - უთხრა მან, - მაგრამ აბუჩად აიგდო ისინი. ძალიან კარგად გვეპყრობოდა ეს ხალხი. არ დავუჩაგრივართ, არაფერი დაგვკარგვია ველზე ყოფნისას, როცა მათთან ერთად დავდიოდით. კედლად გვედგნენ დღითა და ღამით სამწყესურში, როცა მათთან ვიყავით. ახლა ასწონ-დასწონე, როგორ უნდა მოიქცე, რადგან სასჯელი ელის შენს ქმარსა და მთელს მის სახლს".

არაფერი უთქვამს თავის ქმრისთვის თავისი ჩანაფიქრის შესახებ აბიგაილს; აიღო საკმარისი საგზალი, აჰკიდა სახედრებს და დავითს გაუგზავნა, შემდეგ კი თავადაც უკან გაჰყვა. ხეობაში შემოხვდა აბიგაილი დავითსა და მის ხალხს; „როგორც კი დაინახა აბიგაილმა დავითი, სასწრაფოდ ჩამოხტა ვირიდან და პირქვე დაემხო დავითის წინაშე და მდაბლად თაყვანი სცა. ფეხებში ჩაუვარდა და უთხრა: ჩემზეა, ჩემო ბატონო, დანაშაული; ლაპარაკის ნება მიეცი შენს მორჩილს და ყური უგდე შენი მორჩილის სიტყვებს". გვირგვინოსანი მეფის საკადრისი პატივისცემით მიეახლა აბიგაილი დავითს. ნაბალმა დამცინავად წამოიძახა: „ვინ არის დავითი?" აბიგაილმა კი მიმართა სიტყვებით: „ჩემო ბატონო!" თავაზიანი, თბილი სიტყვებით შეეცადა აბიგაილი, დავითის მრისხანება დაეცხრო და ქმარიც შეავედრა. ყოველგვარი სიამაყისა და სიცრუის გარეშე, ღვთიური სიყვარულითა და სიბრძნით აღსავსე

აბიგაილმა თავისი ოჯახისადმი დიდი ერთგულება გამოავლინა და დავითს განუცხადა, რომ მისი ქმრის უმართებულო საქციელი იყო არა მის მიმართ წინასწარგანზრახული პირადი შეურაცხყოფა, არამედ საცოდავი, ეგოისტი კაცის მოუფიქრებელი საქციელი.

„ახლა, უფალსა და შენს თავს გაფიცებ, ჩემო ბატონო! უფალმა დაგაკავოს სისხლის ღვრისა და შურისგებისაგან; ნაბალივით იქნენ ამიერიდან შენი მტრები, ავი რომ განუზრახავთ ჩემი ბატონისათვის". საკუთარ დამსახურებად არ ჩათვალა აბიგაილმა ის, რომ დავითს თავის განზრახვაზე ხელი ააღებინა, არამედ დიდება და პატივი ღმერთს მიაგო. შემდეგ მოსაკითხი მიართვა სამშვიდობო მსხვერპლად დავითის მხლებელთ, თითქოს თავად იყო მათი მეთაურის განრისხებაში დამნაშავე.

„აპატიე დანაშაული შენს მორჩილს, - ევედრებოდა იგი, - ნამდვილად მტკიცე სახლს დაუმყარებს უფალი ჩემს ბატონს, რადგან საღმრთო ომს ეწევა ჩემი ბატონი, და ბოროტება არ მოგეკარება არასოდეს". მის მოვალეობაზე მიუთითა აბიგაილმა დავითს: უფლის სახელით უნდა ებრძოლა მას. პირადი შეურაცხყოფის გამო არ უნდა ეძია შური მაშინაც კი, როცა ღალატისათვის იდევნებოდა. და კვლავ განაგრძო აბიგაილმა: „თუმცა აღდგა კაცი და მოსაკლავად დაგდევს, მაგრამ სიცოცხლის საკვრელით არის შეკრული უფალ ღმერთთან ჩემი ბატონის სული, ხოლო შენი მტრების სულს შურდულივით

მოისვრის. როცა აღუსრულებს უფალი ჩემს ბატონს ყველაფერ სიკეთეს, რასაც დაჰპირდა, და ისრაელის მეფედ დაგადგენს, ნუ შეაწუხებს გულის ქენჯნა ჩემს ბატონს, რომ არ დაღვარა უბრალო სისხლი და შური არ იძია. როცა გააბედნიერებს უფალი ჩემს ბატონს, მაშინ გამიხსენე შენი მორჩილი" /1 მეფ. 25:29-31/.

ამ სიტყვების თქმა მხოლოდ ზეციური სიბრძნით დაჯილდოებულ ადამიანს

[666]

[667]

თუ შეეძლო. ყვავილის სურნელებას ჰგავდა აბიგაილის ღვთისმოსაობა, ქვეშეუცნობლად რომ ეხატებოდა სახეზე, სიტყვასა თუ მოქმედებაში. უფლის ძის სული მოეფინა მის სულს; თანაგრძნობა, სიკეთე, მშვიდობისმოყვარეობა და სათნოება გამოსჭვიოდა მის ყოველ სიტყვაში, ზეციურ სიყვარულს რომ ავრცელებდა ირგვლივ. შეცვალა დავითმა თავისი განზრახვა, შეაძრწუნა იმაზე ფიქრმაც კი, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა მის წინდაუხედავ საქციელს. „ნეტარ

არიან მშვიდობის მოქმედნი, ვინაიდან ღვთის ძეებად იწოდებიან" /მათ. 5:9/. ნეტავ, მრავლად იყვნენ ამ ებრაელი ქალის მსგავსი ქალები, რომლებიც დააცხრობენ მრისხანებას, შეეცდებიან სხვათა არასწორ გადაწყვეტილებათა თავიდან აცილებას და მშვიდი, კეთილშობილური სიტყვებით წინ აღუდგებიან ბოროტებას.

ქრისტესთვის მიძღვნილი ცხოვრება ირგვლივ მუდამ სინათლეს, იმედსა და მშვიდობას ავრცელებს. ასეთი ცხოვრება სიწმიდით, ტაქტით, უბრალოებითა და სრულყოფილებით გამოირჩევა. იგი ისეთი უანგარო სიყვარულით ხელმძღვანელობს, რომელიც ირგვლივ ყველაფერს ანათებს. ასეთ ცხოვრებაში ყველგან ქრისტე მოჩანს. ასეთი ადამიანი ყველგან, სადაც არ უნდა წავიდეს, ნათელ კვალს ტოვებს. აბიგაილის მხილებაში და რჩევაში დიდი სიბრძნე იყო ჩაქსოვილი. მისმა ბრძნულმა სიტყვებმა იმოქმედა დავითის გრძნობებზე და დაარწმუნა იგი, რომ უგუნურად მოიქცა და თავშეკავების უნარი დაკარგა.

მორჩილებით მიიღო დავითმა ეს მხილება და მის სულში მომხდარი ცვლილება ფსალმუნის შემდეგ სიტყვებში გამოხატა: „დაე, დამსაჯოს მართალმა: ეს წყალობაა; დაე, მამხილოს: ეს ზეთია რჩეული ჩემი თავისთვის" /ფს. 140:5/. მადლობა გადაუხადა დავითმა აბიგაილს, აკურთხა იგი, რადგან სიმართლე თქვა. ბევრია ისეთი, ვინც ცდილობს, მხილება ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე მიიღოს /რისთვისაც ქებას

იმსახურებს/, მაგრამ რაოდენ ცოტანი არიან ისეთები, ვინც გულწრფელი მადლიერებით ღებულობს ამ მხილებას და ლოცავს მათ, ვინც ბოროტი საქციელისაგან დაიცვა.

სახლში დაბრუნებულმა აბიგაილმა გაშლილ სუფრასთან იხილა ნაბალი და მისი სტუმრები. ნადიმი ღრეობად ექციათ. მხოლოდ მეორე დილით შეძლო, ეამბნა ქმრისთვის დავითთან შეხვედრის ამბავი. ბუნებით მხდალი კაცი იყო ნაბალი. როცა მიხვდა, რომ თავისმა უგუნურებამ კინაღამ სიცოცხლეს გამოასალმა, „გული ჩაუკვდა მკერდში ნაბალს", თითქოს დამბლა დაეცაო. ძლიერ შეეშინდა ნაბალს, რომ დავითი მაინც იძიებდა შურს მასზე, გონი დაკარგა და ათიოდე დღის შემდეგ მოკვდა. სიცოცხლე, რომელიც ღმერთმა უბოძა, წყევლად იქცა წუთისოფლისათვის. ლხინსა და დროსტარებაში მყოფს ისევე მიმართა ღმერთმა, როგორც მდიდარ კაცს იგავში: „უგუნურო, ამაღამ სულს მოგთხოვენ" /ლუკ. 12:20/.

შემდგომში დავითი დაქორწინდა აბიგაილზე. უკვე ცოლიანი იყო დავითი, მაგრამ იმ დროს გაბატონებულმა ტრადიციამ მასზეც იქონია ზეგავლენა. დიდი და კეთილშობილი ადამიანებიც კი ხშირად ცდებოდნენ, როდესაც წუთისოფლის წეს-ჩვეულებებს ბაძავდნენ. მრავალცოლიანობის მწარე ნაყოფის გემოს მთელი სიცოცხლის განმავლობაში გრძნობდა დავითი.

მხოლოდ რამდენიმე თვეს ცხოვრობდა მშვიდად დავითი სამუელის სიკვდილის შემდეგ. კვლავ ზიფების უდაბნოს დაუბრუნდა იგი, მაგრამ მტრულად განეწყო ეს ხალხი დავითის მიმართ და მეფის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად მისი ადგილსამყოფელი შეატყობინეს საულს, რამაც კვლავ მძვინვარე გრძნობები გაუღვიძა გულში. კვლავ შეკრიბა თავისი ხალხი და დავითის შესაპყრობად გაემართა. მაგრამ მეგობრებმა ამცნეს დავითს, რომ საული ისევ იწყებს მის დევნას. რამდენიმე კაცის თანხლებით გაემართა დავითი მტრის ადგილსამყოფელის

[668]

აღმოსაჩენად. გვიან ღამით, როცა გზას ფრთხილად მიიკვლევდნენ, მოულოდნელად საულის ბანაკს გადაეყარნენ, სადაც მეფისა და მის თანმხლებთა კარვები იყო გაშლილი. ვერავინ შეამჩნია ისინი; მთელი ბანაკი ღრმა ძილში გახვეულიყო. დავითმა თავის ხალხს შესთავაზა, მტრის ბანაკის შუაგულში შესულიყვნენ. კითხვაზე: „ვინ წამომყვება საულთან მის ბანაკში?" აბიშაიმ უთხრა: „მე გამოგყვები".

ჩუმად, მთათა ჩრდილებში მალვით შეიპარნენ დავითი და მისი თანმხლები მტრის ბანაკში. მტრის რაოდენობის ზუსტი დადგენა სურდათ და უცბად, მძინარე საულს წააწყდნენ. მისი

შუბი მის სასთუმალთან იყო მიწაში ჩარჭობილი. იქვე დოქით წყალი ედგა. მის გვერდით მხედართმთავარი აბნერი იწვა. მეომრებსაც ღრმად ეძინათ ირგვლივ. ასწია შუბი აბიშაიმ და დავითს უთხრა: „ღმერთმა ჩაგაგდებინა დღეს ხელში შენი მტერი. ახლა ერთი დაკვრით დავაკლავ მიწას, მეორე აღარ დამჭირდება". ეგონა, დათანხმდებოდა დავითი, მაგრამ პასუხად მოესმა: „ნუ დაღუპავ მას, რადგან უფლის ცხებულზე ხელის აღმმართველი დაუსჯელად არ გადარჩება... უფალს ვფიცავ, თავად უფალი გაანადგურებს მას ან მისი დღე მოაწევს და მოკვდება, ან საბრძოლველად წავა და დაიღუპება. უფალმა დამიფაროს, რომ უფლის ცხებულზე ხელი აღვმართო. ახლა აიღე მისი სასთუმლიდან ეგ შუბი და მათარა და წავიდეთ ჩვენთვის. აიღო დავითმა შუბი და მათარა საულის სასთუმლიდან და წავიდნენ თავისთვის. არვის დაუნახავს, არვის გაუგია, არც არვის გაუღვიძნია, ყველას ეძინა, რადგან უფლისმიერ ძილს მოეცვა ისინი". რა ადვილად შეუძლია უფალს, დაასუსტოს ძლიერი, გონიერება წაართვას ბრძენს და ყველაზე ფხიზელი ადამიანის ყურადღება მოადუნოს!

როცა ბანაკს კარგა მანძილით დაცილდნენ, მთის წვერზე დადგა დავითი და ხმამაღლა იყვირა აბნერისა და ხალხის გასაგონად: „ხომ კაცი ხარ შენ? ვინ არის ისრაელში შენი ტოლი. მაშ, რატომ არ დაიფარავ შენს ბატონს, მეფეს? ვიღაც მოსულა მეფის, შენი ბატონის მოსაკლავად. ვერ არის კარგი საქმე, რასაც შენ აკეთებ. უფალს ვფიცავ, სიკვდილის ღირსნი ხართ, რომ არ იფარავთ თქვენს ბატონს, უფლის ცხებულს. ახლა მიიხედ-მოიხედე, სად

არის მეფის შუბი და მათარა, მის სასთუმალთან რომ იყო? იცნო საულმა დავითის ხმა და სთქვა: ეს შენი ხმა არის, დავით, შვილო? მიუგო დავითმა: ჩემი ხმაა, მეფევ ბატონო! კვლავ თქვა: რისთვის მდევნის ჩემი ბატონი თავის მორჩილს? რა გავაკეთე ისეთი, რა ცოდვა მაწევს. ახლა, ისმინოს მეფე ბატონმა თავისი მორჩილის სიტყვები". კვლავ დასცდა მეფის ბაგეს სინანულის სიტყვები: „შევცოდე. დაბრუნდი, შვილო დავით, მეტს აღარ გიბოროტებ, რადგან არ გაიმეტე დღეს ჩემი სიცოცხლე. მე კი უგუნურად ვიქცეოდი და დიდად ვცდებოდი. მიუგო დავითმა და უთხრა: აჰა, მეფის შუბი. გადმოვიდეს ვინმე მსახურთაგანი და წაიღოს". თუმცა დაპირდა საული: „მეტს აღარ გიბოროტებ", მაინც არ დაუჯერა დავითმა.

ეს მეორედ დაინდო დავითმა საული და დიდი პატივისცემა გამოიჩინა მეფის მიმართ. გულის სიღრმემდე შეძრა მეფე დავითის ამ საქციელმა და მორჩილად აღიარა საკუთარი დანაშაული. ასეთმა კეთილშობილებამ დაატყვევა და განაცვიფრა საული. განშორებისას ასე მიმართა დავითს: „კურთხეული იყავი, შვილო დავით! კიდევაც აღასრულებ აღსასრულებელს, კიდევაც შესძლებ შესაძლებელს". მაგრამ არ სჯეროდა იესეს ძეს, რომ დიდხანს გასტანდა მეფის ასეთი სულიერი მდგომარეობა.

საულთან შერიგების ყოველგვარი იმედი დაკარგა დავითმა. დარწმუნებული იყო, რომ საბოლოოდ მეფის სიბოროტის

მსხვერპლი გახდებოდა და კვლავ თავშესაფარს დაუწყო ძებნა ფილისტიმელთა ქვეყანაში. ადგა დავითი და

[671]

[672]

ექვსასი კაცითურთ აქიშთან, გეთის მეფესთან გადავიდა.

გადაწყვითა დავითმა, რომ საული აუცილებლად განახორციელებდა თავის მზაკვრულ ჩანაფიქრს, თუმცა უფალს არაფერი უთქვამს ამის შესახებ. მაშინაც კი, როცა საული დავითის მოკვლას ცდილობდა, უფალი შრომობდა იმისათვის, რომ სამეფო დავითს დარჩენოდა. უფალი ყოველთვის ასრულებს თავის ჩანაფიქრს, თუმცა ადამიანისაგან დაფარული და საიდუმლოა იგი. არ ძალუძთ ადამიანებს, ჩასწვდნენ უფლის გზებს; ზედაპირულად მსჯელობენ ისინი და მათ ცხოვრებაში უფლისაგან დაშვებულ ყველა გამოცდას, ცდუნებას და სიძნელეებს დამღუპველ, მტრულ საქმედ მიიჩნევენ. ასე ფიქრობდა დავითიც, რადგან ღრმად არ ჩაუფიქრდა უფლის აღთქმას. აღარ სჯეროდა მას, რომ გამეფდებოდა. ხანგრძლივმა განსაცდელმა შეუსუსტა რწმენა და გამოულია მოთმინება.

უფალს არ გაუგზავნია დავითი ისრაელის მოსისხლე მტრებთან, ფილისტიმელებთან თავშესაფრის საძებნელად. ყველაზე დიდი მტერი სწორედ ეს ხალხი იყო და მაინც იქ ითხოვა დახმარება ძნელბედობის ჟამს. დაკარგა რა ნდობა საულისა და მისი კარის მიმართ, თავისი ხალხის მტრის გულმოწყალებას მიენდო. დიდებული მხედართმთავარი იყო დავითი, ბრძენი და მამაცი მეომარი, მაგრამ საკუთარი ინტერესების წინააღმდეგ წავიდა იგი ფილისტიმელებთან მისვლით. უფალმა აირჩია დავითი, რათა თავისი ბაირაღი იუდეაში აეფრიალებინა, მაგრამ რწმენის სიმცირის გამო ვერ აღასრულა მან უფლის ნება.

დავითის უნდობლობამ შეურაცხყო ღმერთი. ფილისტიმელთ დავითის უფრო ეშინოდათ, ვიდრე საულისა და მისი მეომრებისა, მათთან მფარველობისათვის მისვლით კი დავითმა თავისი ხალხის სისუსტე გამოამჟღავნა, რამაც მხნეობა შემატა უმოწყალო მტერს ისრაელიანთა წინააღმდეგ საბრძოლველად. თავისი ხალხის დასაცავად იყო ცხებული დავითი და უფალს არ სურდა, რომ მის მსახურთ მისი ხალხის სუსტი მხარეები გაემხილა ან ერის კეთილდღეობისადმი გულგრილობა გამოემჟღავნებინა და ამით ურჯულოთათვის მათზე გამარჯვების იმედი მიეცა. თანაც, დავითის ძმებს ეგონათ, რომ იგი წარმართებს მიემხრო და მათ ღმერთებს ემსახურებოდა. მისი საქციელი არასწორად გაიგო ხალხმა და ბევრმა შეცვალა მის მიმართ თავისი დამოკიდებულება. სწორედ სატანის სურვილისამებრ მოიქცა დავითი, როცა ფილისტიმელთ სთხოვა თავშესაფარი. დიდად გაახარა მან ღვთისა და მისი ხალხის

მტრები. დავითი კვლავინდებურად უფალს ემსახურებოდა და მისი ერთგული იყო, მაგრამ თავშესაფრის ძებნაში უნდობლობა გამოიჩინა მის მიმართ, რითაც შელახა უფლის მსახურის ერთგულება და პატიოსნება, - ღმერთს ხომ სწორედ ამ თვისებების დანახვა სურს თავის მსახურთა გულში.

დიდი სიხარულით მიიღო ფილისტიმელთა მეფემ დავითი: ჯერ ერთი, მეფე დიდ პატივს სცემდა მას, როგორც ნიჭიერ მხედართმთავარს და, ამავე დროს, ებრაელისათვის გაწეული მფარველობა მის პატივმოყვარეობას აკმაყოფილებდა. უსაფრთხოდ გრძნობდა თავს დავითი აქიშთან. მთელ თავის ქონებასთან ერთად ოჯახის წევრებიც გადმოიყვანა აქ. მისმა მხლებლებმაც მას მიბაძეს. ყოველივე ეს იმაზე მეტყველებდა, რომ დიდი ხნით დაფუძნდნენ ისინი ამ მიწაზე. აქიშმა დიდად თანაუგრძნო დევნილთ და დახმარებას დაჰპირდა.

ციკლაგი დაუთმო დავითს ფილისტიმელთა მეფემ მისი თხოვნისამებრ. კარგად იცოდა დავითმა, რომ მას და მის ხალხსაც კერპთაყვანისმცემლობის საფრთხე დაემუქრა. ცალკე ქალაქში კი, რომლის ბატონ-პატრონნი თავად იქნებოდნენ, უფრო თავისუფლად სცემდნენ თაყვანს უფალს, ვიდრე გეთში ცხოვრებისას, სადაც წარმართული ტრადიციები მხოლოდ უსიამოვნებასა და

[673]

ბოროტებას მოუტანდა მათ.

ციკლაგში ცხოვრების დროს ამხედრდებოდნენ დავითი და მისი მეომრები და არბევდნენ გეშურელებს, გერიზელებს და ყამალეკელებს; არავის ტოვებდნენ ცოცხალს, რათა მათი ამბავი გეთში არ ჩაეტანათ. ბრძოლიდან დაბრუნებულნი კი ამცნობდნენ აქიშს, თითქოს თავის ხალხს, იუდეველთ ეომებოდნენ. მოტყუებული აქიში კი დავითის მეშვეობით თავისი სამეფოს განმტკიცებაზე ოცნებობდა და ფიქრობდა: „თავი შეაძულა თავის ერს, ისრაელს, და ჩემი გახდებაო სამუდამოდ". იცოდა დავითმა, რომ უფლის ნება იყო წარმართთა ტომების განადგურება, მაგრამ მოტყუება და სიცრუე კი არ იყო უზენაესის ნება.

„იმ ხანებში იყო, რომ შეჰყარეს ფილისტიმელებმა მხედრობა ისრაელთან საომრად და უთხრა აქიშმა დავითს: იცოდე, ჩემთან ერთად გამოხვალთ ბანაკად შენ და შენი ხალხი". არც უფიქრია დავითს თავისი ხალხის წინააღმდეგ წასვლა, მაგრამ დაიბნა და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო; მაინც სწამდა, რომ ვითარება თავად უჩვენებდა გამოსავალს. თავი აარიდა პირდაპირ პასუხს დავითმა, მხოლოდ ეს თქვა: „ახლა გაიგებ, რას მოიმოქმედებს შენი მორჩილი". აქიშმა ეს სიტყვები ბრძოლაში დახმარების

დაპირებად მიიღო და დაიფიცა, რომ უდიდეს პატივს მიაგებდა დავითს და მის პირად მცველად დანიშნავდა.

თუმცა უფლის აღთქმისადმი დავითის რწმენა ზოგჯერ მერყეობდა, მაგრამ არასოდეს დავიწყებია, რომ სამუელმა ისრაელის მეფედ სცხო იგი. გაახსენდა, თუ როგორ ეხმარებოდა უფალი ღმერთი წარსულში მტრებზე გამარჯვებაში. მიხვდა, თუ რა დიდი იყო მის მიმართ უფლის წყალობა, როცა საულისგან იცავდა და მტკიცედ გადაწყვიტა, არ ეღალატა თავისი რწმენის და წმიდა იმედისათვის. და, მიუხედავად იმისა, რომ ისრაელის მეფეს მისი მოკვლა სურდა, არ მიემხრო თავისი ერის მტრებს.

[674]

თავი 66 - საულის სიკვდილი

პირველი მეფეთა 28-31

კვლავ გაჩაღდა ომი ისრაელსა და ფილისტიმელთ შორის. „შეიყარნენ ფილისტიმელები, მივიდნენ და შუნებში დაიბანაკეს", იზრეყელის ველის აღმოსავლეთით. საულმა კი

რამოდენიმე მილის მანძილზე, ველის სამხრეთით, გილბოაყის მთის ძირში გაშალა კარვები. ამ ადგილებში ოდესღაც გედეონი ებრძოდა მიდიანელებს თავისი სამასი კაცით. მაგრამ, ო, რა დიდი განსხვავება იყო ისრაელის განმათავისუფლებლის სულისკვეთებასა და იმ ალს შორის, რომლითაც მეფეს გული ანთებოდა. ისრაელის უძლიერესი ღმერთის მტკიცე რწმენით იბრძოდა გედეონი, საული კი უმწეოდ, მიტოვებულად გრძნობდა თავს. „როცა დაინახა საულმა ფილისტიმელთა ბანაკი, შეეშინდა და ძლიერ შეუკრთა გული".

საულმა იცოდა, რომ დავითი და მისი ხალხი ფილისტიმელებთან იმყოფებოდნენ და ფიქრობდა, რომ იესეს ძე ამ შესაძლებლობას გამოიყენებდა და საულის მიერ მიყენებული ყველა ბოროტებისათვის შურს იძიებდა. ღრმა სასოწარკვეთილებაში იყო ჩავარდნილი მეფე. მოუთოკავი სიძულვილით დევნიდა იგი ღვთის რჩეულს და ამის გამო მთელ ერს დაემუქრა საფრთხე. საკუთარი სამეფოს განმტკიცებისათვის ზრუნვის ნაცვლად მან დავითს დაუწყო დევნა, ფილისტიმელებმა კი ისარგებლეს ამით და ისრაელის ტერიტორიის სიღრმეში შემოიჭრნენ. ასე მოქმედებდა სატანა: საულს შთააგონებდა, ყველა ღონე ეხმარა დავითის შესაპყრობად და მოსაკლავად, ფილისტიმელთ კი აქეზებდა, გამოეყენებინათ ეს მომენტი საულის დასაღუპავად და ღვთის ხალხის გასანადგურებლად. დღესაც რა ხშირად იყენებს უდიდესი მზაკვარი ამ მეთოდს! რელიგიურად არასრულყოფილი ადამიანების მეშვეობით შურსა და განხეთქილებას თესავს იგი ეკლესიაში, შემდეგ კი, სარგებლობს

რა ღვთის ხალხში უკვე მომხდარი განხეთქილებით, მათ დაღუპვას ცდილობს.

მეორე დღეს ფილისტიმელთ უნდა შებრძოლებოდა საული. საშინელი წინათგრძნობა სტანჯავდა მის სულს. დახმარება და თანაგრძნობა ესაჭიროებოდა. ამაოდ ელოდა პასუხს უფლისაგან; „პასუხი არ გაუცია მისთვის უფალს, არც სიზმრად, არც ურიმისა და არც წინასწარმეტყველთა პირით". უფალი არასოდეს შეაქცევს ზურგს გულწრფელ და მორჩილ ადამიანს, რომელიც მისგან დახმარებას ითხოვს. რატომ არ უპასუხა საულს? თავად უარყო ღვთის წინასწარმეტყველის, სამუელის რჩევა; თავად გაამევა უფლის რჩეული დავითი; მანვე დაახოცვინა უფლის მღვდლები. როგორ შეეძლო ეპასუხა ღმერთს, როცა თავადვე გადაჭრა ზეცასთან ურთიერთობის ყველა გზა? შესცოდა საულმა, უარყო ღვთიური მადლი და განა შეეძლო უფალს, ეპასუხა სიზმრად ან გამოცხადებით? არ დაუბრუნდა საული ღმერთს მონანიებითა და მორჩილებით. არც მიტევება უთხოვია მორჩილი გულით. იგი დანაშაულის მიტევებას და შემორიგებას კი არ სთხოვდა უფალს, არამედ - მტრისაგან ხსნას. მხოლოდ გულწრფელი მონანიებით შეეძლო მას ღმერთთან დაბრუნება, მაგრამ შიშისაგან გატანჯულმა ამაყმა მეფემ დახმარებისათვის სხვა წყაროს მიმართა.

ასე უბრძანა საულმა თავის მსახურთ: „მომიძებნეთ ქალი, მესულთანე, მივალ მასთან და ვამკითხვინებ". მშვენივრად იცოდა საულმა, თუ რა არის ჯადოსნობა. მკაცრად იყო იგი

ღვთისაგან აკრძალული და ყოველი ასეთი ცოდვილი სასტიკად ისჯებოდა. ჯერ კიდევ სამუელის სიცოცხლეში გამოსცა საულმა ბრძანება, რომლის თანახმადაც, ყველა ჯადოსანსა და მესულთანეს

[675]

[676]

სიკვდილით დასჯა ემუქრებოდა. მაგრამ ახლა სასოწარკვეთილმა, თავად მიმართა დახმარებისათვის მკითხავს, რომელსაც ადრე თავადვე სდევნიდა და სჯიდა, როგორც უდიდეს ცოდვილს.

მოახსენეს საულს ყენდორში მცხოვრები ერთი ჯადოქარი ქალის შესახებ, რომელიც სატანასთან იყო კავშირში და მის ხელმწიფებას სრულად დამორჩილებოდა. მის ყოველ განზრახვას ასრულებდა. მისი მეშვეობით ბოროტების მეფე ხსნიდა საიდუმლოებებს და ახდენდა სასწაულებს.

სხვა სამოსელი გადაიცვა საულმა, „თან გაიყოლა ორი კაცი და მივიდა იმ ქალთან ღამით". ო, რა საცოდავი სურათია! სატანის

მიერ დაბრმავებული ისრაელის მეფე მიდის იქ, სადაც ეშმაკს მიჰყავს! რა ბნელია იმ ადამიანის გზა, რომელიც ღვთის სულის წმიდა ზეგავლენას გაურბის! რა შეიძლება იყოს იმ მონობაზე საშინელი, როდესაც ადამიანი ყველაზე საშინელ ტირანს - საკუთარ თავს ემონება. ღვთისადმი რწმენა და მისი ნებისადმი მორჩილება - ამ ერთადერთი პირობის შესრულებით შეეძლო ისრაელის მეფეს თავისი ტახტის შენარჩუნება. ამ პირობების შესრულების შემთხვევაში მის სამეფოს არავითარი საფრთხე არ დაემუქრებოდა; მაშინ თავად ღმერთი უხელმძღვანელებდა, თავისი ყოვლისშემძლე ფარით დაიცავდა. დიდხანს უთმენდა ღმერთი საულს და, თუმცა სიჯიუტემ და ურჩობამ მის სულში ღვთიური ხმა თითქმის ჩაახშო, მას ჯერ კიდევ შეეძლო, მოენანიებინა. მაგრამ, როცა საფრთხეში მყოფმა ღმერთი დატოვა და რჩევისათვის სატანის მეკავშირეს მიმართა, ამით შემოქმედთან დამაკავშირებელი ერთადერთი, უკანასკნელი ძაფიც გაწყვიტა. ახლა სრულად დაემორჩილა საული მრავალი წლის განმავლობაში მასში მყოფ დემონურ სულს და დამღუპველ გზაზე შედგა ფეხი.

ღამის წყვდიადში გადაჭრეს საულმა და მისმა თანამგზავრებმა ველი, მდუმარედ ჩაუარეს ფილისტიმელთა ბანაკს, გადაიარეს ქედი და ყენდორის მესულთანე ქალის განმარტოებულ სადგომს მიადგნენ. იქ იმალებოდა ქალი, რომელიც ამ საზიზღარ საქმიანობას ეწეოდა. საულის დიდებული გარეგნობა და მეფური ქცევები იმაზე მეტყველებდა, რომ ეს არ იყო უბრალო მეომარი, თუმცა სხვა ტანსაცმელი ეცვა. ქალმა მაშინვე ამოიცნო

ამ ადამიანში საული, მისმა მდიდრულმა საჩუქრებმა კი მთლად გაუქარწყლა ეჭვი. მის თხოვნაზე: „მიმკითხავე მისნობით და ამომიხმე, ვისზეც გეტყვი", - ქალმა უპასუხა: „კარგად უწყი, რა გააკეთა საულმა, რომ მოესპო ამ ქვეყანაში მესულთანენი და მჩხიბავნი. მახეს რატომ მიგებ დასაღუპავად?" და მაშინ „უფალი დაიფიცა საულმა: ცხოველ არს უფალი! ავი არაფერი შეგემთხვევა ამ საქმისათვის". და, როცა ქალმა ჰკითხა: „ვინ ამოგიხმო?" პასუხად მიუგო: „სამუელი ამომიხმე".

უმკითხავა ქალმა: „სულს ვხედავ, მიწიდან ამომავალს... მოხუცებული კაცია, ვინც ამოდის, მოსასხამი ბურავს". მაშინ მიხვდა საული, რომ სამუელი იყო იგი, "მიწად დაიხარა და თაყვანისცა".

მაგრამ ღვთის წმიდა წინასწარმეტყველი კი არ ამოიხმო მჩხიბავმა. აბა, რა უნდოდა სამუელს იმ ბოროტ სულთა ბუნაგში! სატანის ძალამ წარმოსახა მისი სახე. ისევე ადვილად შეეძლო სატანას სამუელის გარეგნობის მიღება, როგორც ნათელი ანგელოზის სახე მიიღო, როცა უდაბნოში ქრისტეს ცდუნება მოინდომა.

პირველი სიტყვები, რომელიც ქალმა მკითხაობისას წარმოთქვა, მეფისადმი იყო მიმართული: „რისთვის მომატყუე? საული ხარ შენ!" ამგვარად, პირველი, რაც ბოროტმა სულმა მოიმოქმედა, როცა სამუელის სახე მიიღო, იყო ის, რომ საულის საიდუმლო

გაუმხილა ჩუმად ამ უწმიდურ ქალს. შემდეგ კი ამ ცრუ წინასწარმეტყველმა საულს ჰკითხა: „რისთვის შემაწუხე, რომ ამომიყვანე?" უთხრა საულმა: „ძალიან მიჭირს. ფილისტიმელები მებრძვიან, ღმერთი კი

[679]

[680]

განმიდგა და პასუხს აღარ მცემს, არც წინასწარმეტყველთა პირით და არც სიზმრებში. შენ ამოგიხმე, რომ მასწავლო, როგორ მოვიქცე".

სანამ სამუელი ცოცხალი იყო, საული არ ღებულობდა მის რჩევებს და სწყინდა, როცა ამხელდა მას წინასწარმეტყველი. მაგრამ ახლა, სასოწარკვეთილებისა და უბედურების ჟამს იგი გრძნობდა, რომ ძლიერ სჭირდებოდა წინასწარმეტყველის რჩევები - მისი ერთადერთი იმედი. და ზეციური მაცნისაგან რჩევის მისაღებად ჯოჯოხეთის მაცნეს მიმართა! სატანის ძალის სრული გავლენის ქვეშ მოექცა საული და მანაც, ვისაც ადამიანის ტანჯვა და სიკვდილი ასე ძლიერ უხარია და უყვარს, ყველა ღონე იხმარა საცოდავი მეფის დასაღუპავად. სასოწარკვეთილი საულის თხოვნას ცრუ სამუელმა ასე უპასუხა: „მე რისთვის

მეკითხები, როცა უფალი განგიდგა და მტრად გექცა? ყველაფერს აგისრულებს უფალი, რაც ბრძანა ჩემი პირით; გამოგგლეჯს ხელიდან სამეფოს და მისცემს შენს თვისტომს დავითს. რადგან არ ისმინე უფლის ხმა და არ აღასრულე უფლის რისხვა ყამალეკზე. ამიტომაც აღასრულებს დღეს უფალი შენზე თავის სიტყვას. ისრაელსაც შენთან ერთად ჩაუგდებს უფალი ხელში ფილისტიმელებს".

სასტიკად მოატყუა და აცდუნა სატანამ ურჩი მეფე. სწორედ ესაა მაცდურის მთავარი საქმიანობა - უმნიშვნელოდ წარმოადგინოს ცოდვა, ურჯულოების გზა კი - მეტად მიმზიდველად და სასურველად, დაუბნელოს ადამიანს გონება, უფლის რისხვისა და გაფრთხილების ხმა რომ არ ისმინოს. სატანა თავისი ძალით მუდამ შთააგონებდა საულს, რომ თავი გაემართლებინა სამეელის გაფრთხილებებისა და მხილებების დროს. მაგრამ ახლა საყვედურების ქარიშხალი დაატეხა თავს სავალალო მდგომარეობაში მყოფ უბედურ მეფეს, დაანახა რა მისი ცოდვის სიღრმე და აგრძნობინა, რომ მონანიება უკვე შეუძლებელია და, ამგვარად, კიდევ უფრო დაამძიმა მისი ტანჯვა. შეუძლებელი იყო, სხვა, უკეთესი რამ მოეგონებინა მასში გამბედაობის ჩასაკლავად, გონების დასაბნელებლად ან მის სასოწარკვეთილებაში ჩასაგდებად და თვითმკვლელობამდე მისაყვანად.

მარხვისაგან დასუსტებული, დაღლილ-დაქანცული, სინდისის ქენჯნით გატანჯული საული ამ საშინელი წინასწარმეტყველების გაგონებაზე მთელი ტანით შედრკა, ვითარცა მუხა ქარიშხლის მოახლოებისას, და მიწაზე დაეცა.

ძლიერ შეშინდა მესულთანე ქალი. მკვდარს ჰგავდა მის წინ ძირს განრთხმული მეფე. რა მოუვა მას, საული რომ მის სახლში მოკვდეს? შეევედრა საულს, ამდგარიყო და რაიმე ეჭამა - მან ხომ საკუთარი სიცოცხლის ფასად შეუსრულა სურვილი მეფეს, ახლა კი მეფემ მოუსმინოს და თავი გადაირჩინოს. მეფის მსახურნიც შეუერთდნენ ქალის თხოვნას და დათმო საულმა. მიართვა დედაკაცმა ნასუქალი ხბოს ხორცი და საჩქაროდ გამომცხვარი ხმიადები. როგორ შეიცვალა სურათი! მკითხავის უდაბურ გამოქვაბულში, სადაც სულ ცოტა ხნის წინათ სატანის მსახურმა მეფეს საშინელი ხვედრი უწინასწარმეტყველა, უფლისაგან ისრაელის მეფედ ცხებული სუფრას მიუჯდა, რათა მეორე დღის სასიკვდილო ბრძოლისათვის მოღონიერებულიყო.

გარიჟრაჟზე დაბრუნდა საული მსახურებთან ერთად ისრაელიანთა ბანაკში, რათა ბოლომდე მომზადებულიყო მომავალი ბრძოლისათვის. წყვდიადის ბოროტ სულთან ურთიერთობამ მთლად დააბნია საული. უკიდურესად სასოწარკვეთილს აღარ შეეძლო, გამარჯვების რწმენა ჩაენერგა თავისი ხალხისათვის; უფლისაგან განდეგილს ისრაელის

იმედიანი მზერა ღმერთისაკენ მიემართა დახმარებისათვის. ასე აღსრულდა ეს საშინელი წინასწარმეტყველება.

შუნემის დაბლობზე, გილბოაყის მთის ძირში, სასიკვდილოდ შეებნენ ერთურთს ფილისტიმელნი და ისრაელიანნი. თუმცა ყენდორის გამოქვაბულში იმ საშინელმა სცენამ სიცოცხლის ყოველგვარი იმედი გადაუწურა საულს, მაგრამ მტკიცედ

[681]

და თავდადებით იბრძოდა იგი თავისი სამეფოსა და ტახტისათვის. მაგრამ ყოველივე ამაო იყო. „...და გაექცნენ ისრაელიანები ფილისტიმელებს, გილბოაყის მთაზე ეცემოდნენ დახოცილნი". სამი მამაცი ვაჟი მოუკლეს გვერდით საულს. „ნიშანში ამოიღეს იგი მშვილდოსნებმა". ხედავდა, როგორ ეცემოდნენ ერთიმეორის მიყოლებით მისი მეომრები, როგორ განგმირეს მახვილით მისი შვილები. არც გაქცევა შეეძლო და არც ბრძოლა დაჭრილ მეფეს. და როცა მიხვდა, რომ ვერ გადარჩებოდა, გადაწყვიტა, ცოცხლად არ დანებებოდა ფილისტიმელთ და თავის საჭურველთმტვირთველს უბრძანა: „იშიშვლე მახვილი და გამიყარე". მაგრამ, როცა მისმა მსახურმა

ვერ გაბედა უფლის ცხებულზე ხელის აწევა, თავი მოიკლა საულმა, „აიღო... მახვილი და ზედ დაეგო".

ასე დაიღუპა ისრაელის პირველი მეფე. კიდევ ერთი ცოდვა დააწვა მის სულს - თვითმკვლელობა. თავად დაიღუპა საკუთარი თავი და სასოწარკვეთილი, უსახელოდ ჩავიდა საფლავში, ვინაიდან თავისი უწმიდური სურვილები უფლის ნებას არ დაუმორჩილა.

მთელს ისრაელში უმალ გავრცელდა ებრაელთა დამარცხების ამბავი; თავზარი დაეცათ ისრაელიანთ. სასწრაფოდ ტოვებდნენ ქალაქებს და გარბოდნენ, ისე რომ, ფილისტიმელნი უბრძოლველად იკავებდნენ მათ. უფლისაგან დამოუკიდებლად ცხოვრება მოისურვა საულმა, რომლის მეფობა მისი ხალხის თითქმის სრული აოხრებით დამთავრდა.

მეორე დღეს მოვიდნენ ფილისტიმელები დახოცილთა გასაძარცვავად და ნახეს გილბოაყის მთაზე დაცემული საული და მისი სამი ვაჟიშვილი. სრული გამარჯვების აღსანიშნავად თავი მოაჭრეს საულს, მახვილზე ჩამოაცვეს და მის საჭურველთან ერთად თავიანთ ქვეყანაში წაიღეს, „რათა ეხარებინათ ეს ამბავი საკერპოებისა და ხალხისათვის". შემდეგ კი დადეს მისი საჭურველი ყაშთაროთების ტაძარში, მისი მოკვეთილი თავი კი დაგონის საკერპოში წაიღეს. ამგვარად, გამარჯვება მათ თავიანთ ცრუღმერთებს მიაწერეს, დიდ იეჰოვას სახელს კი პატივი აჰყარეს.

საულისა და მისი ვაჟიშვილების გვამები მდინარე იორდანესა და გილბოაყის მახლობლად მდებარე ქალაქ ბეთ-შანში გადაიტანეს, იქ კედელზე მიაჭედეს ყვავ-ყორნების საჯიჯგნად. მაგრამ გალაადის იაბეშის მამაცმა ვაჟკაცებმა მადლიერების ნიშნად იმისათვის, რომ თავისი მეფობის ადრეულ და უფრო ბედნიერ წლებში საულმა ისინი იხსნა, ჩამოხსნეს მეფისა და მისი ვაჟების გვამები და პატივით დაკრძალეს. იორდანე გადალახეს, „მთელი ღამე იარეს, წამოიღეს საულისა და მისი ვაჟიშვილების გვამები, მოიტანეს იაბეშში და დაწვეს. აკრიფეს ძვლები და დამარხეს იაბეშში იალღუნის ქვეშ, მერე შვიდ დღეს მარხულობდნენ". ორმოცი წლის წინათ გაწეული სიკეთისათვის ამ მზრუნველი და თანამგრძნობი ადამიანების ხელებმა ძნელბედობის ჟამს სამარე გაუთხარეს მეფეს, რომელმაც ასე სამარცხვინოდ და უსახელოდ დაასრულა სიცოცხლე.

[682]

თავი 67 - ძველი და ახალი სპირიტიზმი

საულის მიერ ყენდორელი მესულთანე ქალის მონახულების ბიბლიური აღწერა გაუგებრობასა და დაბნეულობას იწვევს

წმიდა წერილის მრავალ მკვლევარს შორის. ზოგი ამტკიცებს, რომ საულს ნამდვილად სამუელი დაელაპარაკა. მაგრამ ბიბლია ამ თვალსაზრისის საწინააღმდეგო მრავალ მტკიცებას შეიცავს. თუკი სამუელი, როგორც ბევრი გვარწმუნებს, ზეცაში იმყოფებოდა, იქიდან ღმერთის ან სატანის ძალით უნდა ჩამოსულიყო. ერთი წამითაც დაუშვებელია ის აზრი, თითქოს სატანამ თავისი ძალით ღვთის წმიდა წინასწარმეტყველის ზეციდან ჩამოყვანა შეძლო, რათა უწმიდური ქალის სიტყვებისათვის სიმართლის ელფერი მიეცა. ასევე შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ ღმერთმა გამოიძახა იგი მესულთანე ქალის გამოქვაბულში, ვინაიდან უფალმა იმაზე ადრე თქვა უარი საულთან ურთიერთობაზე, სიზმარში იქნებოდა ეს თუ ურიმის ან წინასწარმეტყველთა მეშვეობით /იხ. 1 მეფ. 28:6/. თავად უფალმა ღმერთმა დაადგინა ურთიერთობის ეს საშუალებანი და, განა შეეძლო მას თავისივე დადგენილი წესის უარყოფა და სატანის იარაღის საშუალებით თავისი ნების გამოცხადება?

თვით ამ სიტყვების შინაარსი მოწმობდა მათ წარმოშობაზე. ნათქვამი მეფეს მოუწოდებდა არა მონანიებისაკენ, არამედ - დაღუპვისაკენ, ეს კი სატანის ხელწერაა და არა ღმერთისა. უფრო მეტიც: ნათქვამია, რომ მესულთანე ქალთან დახმარებისათვის მისული საულის ეს საქციელი გახდა მიზეზი ღვთისაგან მისი უარყოფისა და დაღუპვისა. „მოკვდა საული თავისი ორგულობის გამო, რადგან ღალატობდა იგი უფალს, უფლის სიტყვას არ იცავდა და გამოსაკითხად მესულთანეს მიმართავდა. უფალს არ ეკითხებოდა. ამიტომ მოკლა იგი

უფალმა და მისი სამეფო დავითს, იესეს ძეს მისცა" /1 ნეშტ. 10:13,14/. აქ გასაგებადაა ნათქვამი, რომ საული ესაუბრებოდა არა ღვთის წინასწარმეტყველ სამუელს, არამედ მკითხავის მეშვეობით - თვით სატანას. სატანას არ შეეძლო ნამდვილი სამუელის წარმოდგენა: მან მხოლოდ მისი სახე მიიღო თავისი მზაკვრული ჩანაფიქრის განსახორციელებლად.

ყველა სახის გრძნეულება და სპირიტიზმი ოდითგანვე დაფუძნებული იყო რწმენაზე, თითქოს შესაძლებელი იყო მიცვალებულებთან ურთიერთობა. შავი მაგიის მიმდევარნი ამტკიცებდნენ, რომ ელაპარაკებოდნენ მიცვალებულთა სულებს, რათა მათგან თავიანთი მომავალი გაეგოთ. სწორედ მიცვალებულებთან ამ ურთიერთობაზე გვესაუბრება ესაია წინასწარმეტყველი: „თუ გითხრეს: დაეკითხეთო მესულთანეებს და ჯადოქრებს, რომ ჩურჩულებენ და სტვენენო, განა თავის ღმერთს არ ეკითხება ხალხი, განა მკვდრებს ეკითხება ცოცხალთა გამო?" /ეს. 8:19/.

წარმართული კერპთაყვანისმცემლობის ქვაკუთხედსაც ხომ მიცვალებულებთან ურთიერთობის შესაძლებლობა წარმოადგენს. წარმართებს სჯეროდათ, რომ მათი ღმერთები - ეს გარდაცვლილ გმირთა წმიდა სულებია. ამრიგად, წარმართთა რელიგია გარდაცვლილთა მიმართ მსახურებაა. ამასვე გვიცხადებს წმიდა წერილი. ბაალ-ფეღორთან ისრაელის მიერ ჩადენილ ცოდვაზე ნათქვამია: „როდესაც შიტიმში ცხოვრობდა

ისრაელი, გარყვნილებას ეწეოდა ერი მოაბელ ქალებთან. იწვევდნენ ის ქალები ხალხს თავიანთ ღმერთების დღეობებზე და ჭამდა ხალხი მათ საკლავს და თაყვანს სცემდა მათ ღმერთებს. შეეთვისა ისრაელი ბაალ-ფეღორს" /რიცხ. 25:1-3/. მეფსალმუნეც გვამცნობს, თუ რომელ ღმერთებს სწირავდნენ მსხვერპლს. ისრაელის განდგომილების იგივე მომენტის

[683]

[684]

აღწერისას იგი ამბობს: „დაუკავშირდნენ ბაყალ-ფეღორს და ჭამეს მკვდართა შესაწირავი" /ფს. 105:28/; ეს კი იმას ნიშნავს, რომ მკვდრებს მსხვერპლს სწირავდნენ.

მიცვალებულთა გაღმერთებას თითქმის ყველა წარმართულ რელიგიაში არსებითი ადგილი უჭირავს. სწორედ მათ რელიგიაში ხდება გარდაცვლილებთან ურთიერთობა. ადამიანებს სჯეროდათ, რომ ღმერთები თავის ნებას ამცნობდნენ მათ და თხოვნისამებრ, რჩევებსაც აძლევდნენ. იგივე შეიძლება ითქვას საბერძნეთისა და რომის ორაკულებზე.

მიცვალებულებთან ურთიერთობის რწმენა ე.წ. ქრისტიანულ ქვეყნებშიც კი არსებობს. ფართოდაა გავრცელებული სპირიტიზმი, რაც ვითომდა გარდაცვლილთა სულებთან ურთიერთობას გულისხმობს. სპირიტიზმი განსაკუთრებით მიმზიდველი რამ არის მათთვის, ვინც ახლობლები დაკარგა. ზოგჯერ ეს არსებები გარდაცვლილ მეგობართა სახით ევლინებიან ადამიანებს და უამბობენ რაიმე შემთხვევას მათი ცხოვრებიდან ან ისევე იქცევიან, როგორც სიცოცხლეში იქცეოდნენ, რითაც მათ არწმუნებენ, რომ გარდაცვლილი ახლობლები ანგელოზებად იქცნენ, მათ სიახლოვეს დაფრინავენ და ელაპარაკებიან. ადამიანები იწყებენ ამ არსებების გაღმერთებას და ზოგიერთისთვის მათ სიტყვას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე უფლისას.

სამწუხაროდ, ბევრი სპირიტიზმს უბრალო ყალთაბანდობად მიიჩნევს. მოვლენებს, რომელთაც მისი მიმდევარნი ზებუნებრივს უწოდებენ, ხშირად მედიუმის თაღლითობად თვლიან. მაგრამ, რა ბუნებრივი სახეც არ უნდა ჰქონდეს ამ სიცრუეს, ზებუნებრივი ძალის კვალი მაინც ამჩნევია. და ისინი, ვინც სპირიტიზმს ადამიანის ოსტატობისა და თაღლითობის დემონსტრირებად თვლიან, ხშირად ისეთი მოვლენების მოწმენი ხდებიან, რომლის ახსნა არაფრით არ შეუძლიათ და ამიტომაც იძულებულნი არიან, დაეთანხმონ მას.

თანამედროვე სპირიტიზმი, ძველი ჯადოსნობა, წარმართული თაყვანისცემა - ყოველივე, რასაც საფუძვლად მკვდრებთან ურთიერთობა უდევს, დამყარებულია იმ პირველ ტყუილზე, რომლითაც სატანამ ევა აცდუნა ედემში: „არ მოკვდებით. მაგრამ იცის ღმერთმა, რომ როგორც კი შეჭამთ... შეიქნებით ღმერთივით" /დაბ. 3:4,5/. სიცრუეზეა დაფუძნებული ყოველივე ეს და სიცრუის მამისაგან მოდის.

სასტიკად ეკრძალებოდათ ებრაელებს მკვდრებთან ურთიერთობა, რა სახითაც არ უნდა ყოფილიყო ეს. მტკიცედ ჩარაზა ეს კარი ღმერთმა, როცა თქვა: „მკვდრებმა კი არაფერი იციან და აღარც საზღაური მიეზღვებათ... აღარ ექნებათ აწ და მარადის წილი იმაში, რაც მზის ქვეშ ხდება" /ეკლ. 9:5,6/. „ამოუვა სული, დაუბრუნდება თავის მიწას; იმ დღეს გაქრება მისი ფიქრები" /ფს. 145:4/. უფალმა გააფრთხილა ისრაელი: „თუ ვინმე ჯადოქრებს და მკითხავებს მიმართავს, რომ მათ კვალზე იუკუღმართოს, მე პირს მივაპყრობ მას და მოვკვეთ თავისი ხალხის წიაღიდან" /ლევ. 20:6/.

მესულთანეთა მიერ ამოხმობილი სულები გარდაცვლილთა სულები როდი იყვნენ, არამედ ბოროტი ანგელოზები - სატანის მაცნენი. ბიბლია გვასწავლის, რომ ძველი კერპთაყვანისმცემლობა, რომელიც, როგორც უკვე ვიხილეთ, მიცვალებულთა თაყვანისცემას და მათთან ურთიერთობასაც მოიცავს, დემონებისადმი მსახურებაა. პავლე მოციქული

აფრთხილებდა თავის ძმებს, თავი დაეცვათ კერპთაყვანისმცემლობის ნებისმიერი ფორმით ზეგავლენისაგან: „რასაც ისინი სწირავენ, ეშმაკს სწირავენ და არა ღმერთს. მე კი არ მინდა, რომ ეშმაკთა ზიარნი იყოთ" /1 კორ. 10:20/. მეფსალმუნე გვამცნობს, რომ ისრაელიანებმა „შესწირეს თავიანთი ძენი და ასულნი ეშმაკებს" /ფს. 105:37/, მომდევნო მუხლში კი გვეუბნება, რომ მათ „ქანაანის კერპებს " სწირავდნენ

[685]

[686]

/ფს. 105:38/. ფიქრობდნენ რა, რომ თაყვანს სცემენ გარდაცვლილთ, სინამდვილეში ეშმაკებს ემსახურებოდნენ.

იმავე პრინციპებზე დაფუძნებული თანამედროვე სპირიტიზმი უფლის მიერ აკრძალული და დაგმობილი ძველი ჯადოქრობისა და დემონთა მსახურების განახლებული ფორმაა მხოლოდ. წმიდა წერილის წინასწარმეტყველება გვამცნობს, რომ „უკანასკნელ დღეებში ზოგიერთები განდგებიან რწმენისაგან, დაუჯერებენ მაცდურ სულებს და ეშმაკთა მოძღვრებებს" /1 ტიმ. 4:1/. თესალონიკელთა მიმართ გაგზავნილ მეორე წერილში პავლე მოციქული გვამცნობს, რომ სატანის მიერ სპირიტიზმის

გამოყენებით ადგილი ექნება მოვლენას, რომელიც მოხდება ქრისტეს უშუალოდ მეორედ მოსვლის წინ. ამასთან დაკავშირებით იგი აცხადებს, რომ სატანა იმოქმედებს „ყოველგვარი ყალბი ძალით, ნიშნებითა და სასწაულებით" /2 თეს. 2:9/. იმ საფრთხის აღწერისას, რომელიც ღვთის ეკლესიას უკანასკნელ დღეებში მოელის, პეტრე მოციქული ამბობს, რომ, როგორც ძველად იყვნენ ცრუწინასწარმეტყველნი, ისრაელი რომ აცდუნეს, ასევე „იქნებიან ცრუმოძღვარნი, რომელნიც შემოიღებენ დამღუპველ მწვალებლობას, თავიანთ გამომსყიდველ ხელმწიფეს უარყოფენ და სწრაფად დაიღუპავენ თავს. მრავალნი მიჰყვებიან მათ თავაშვებულებას და მათ გამო დაიგმობა გზა ჭეშმარიტებისა" /2 პეტრ. 2:1,2/. აქ მოციქული მიგვითითებს სპირიტიზმის მოძღვართა ერთ-ერთ განმასხვავებელ ნიშანზე - ისინი უარყოფენ ქრისტეს, როგორც ღვთის ძეს. ასეთ მოძღვრებებზე იესოს საყვარელი მოწაფე იოანე ამბობს: „ვინ არის ცრუ, თუ არა იგი, ვინც უარყოფს, რომ იესო არის ქრისტე? ანტიქრისტეა, უარმყოფელი მამისა და ძისა. ყოველი, ვინც ძეს უარყოფს, არც მამა ჰყავს" /1 იოან. 2:22,23/. ქრისტეს უარყოფით სპირიტიზმი უარყოფს მამასაც და ძესაც, ბიბლია კი ამას ანტიქრისტეს მოქმედებას უწოდებს.

როდესაც ყენდორელი მესულთანე ქალის მეშვეობით საულის ბედი იწინასწარმეტყველა, სატანას მთელი ისრაელის ცდუნება სურდა. მისი ჩანაფიქრით, ამის შემდეგ ებრაელები უფრო მეტ ნდობას გამოიჩენდნენ ყენდორელი ჯადოქრის მიმართ, მასთან ივლიდნენ რჩევისათვის, ამით კი ზურგს აქცევდნენ ღმერთს,

როგორც თავიანთ მოძღვარს და სატანის ხელმწიფებას დაექვემდებარებოდნენ. მრავალი მიმდევარი ჰყავს სპირიტიზმს, რომელიც აცხადებს, რომ შეუძლია, იწინასწარმეტყველოს მომავალი და გააცხადოს ის, რაც უფალმა ადამიანებს დაუმალა. თავის სიტყვაში უფალმა ღმერთმა აგვიწერა ის უდიდესი მოვლენები, რომელთაც ადგილი ექნება მომავალში - ყველაფერი ის, რაც აუცილებელია ვიცოდეთ; მოგვცა ერთგული მეგზური, საშიშროების დროს წინ რომ წაგვიძღვება, მაგრამ სატანა მთელი ძალით ცდილობს, უფლის მიმართ ნდობა შეურყიოს ადამიანებს, რათა უკმაყოფილონი იყვნენ თავიანთი ცხოვრებით, ეძებონ ის, რაც უფალმა თავისი სიბრძნით დაფარა მათგან და შეიძულონ ის, რაც მან თავის წმიდა სიტყვაში გააცხადა.

არიან ისეთები, რომლებიც ძალიან წუხან, როდესაც არ იციან, თუ როგორ დამთავრდება მათი საქმეები. ისინი ვერ იტანენ გაურკვევლობას და არ ჰყოფნით მოთმინება, რათა დაელოდონ და ღვთისაგან მიიღონ ხსნა. მოსალოდნელ უბედურებაზე ფიქრით სრულიად კარგავენ მოსვენებას. გრძნობების ამბოხებას უხსნიან გზას და მოუსვენრად შფოთავენ თავიანთ მწუხარებაში, ოღონდ გაიგონ ღვთისაგან დაფარული. ისინი რომ უფალს მინდობოდნენ, ეფხიზლათ და ელოცათ, აუცილებლად ნუგეშცემულნი იქნებოდნენ ღვთისგან. უფალთან ურთიერთობით სიმშვიდე დაისადგურებდა მათ სულში; მაშვრალი, დამძიმებული სული დაუმშვიდდებოდათ, ქრისტეს

რომ მინდობოდნენ, მაგრამ, როცა უარყოფენ საშუალებებს, რომელნიც უფალმა სანუგეშოდ დაუწესა და უფლისაგან

[687]

დაფარულის ამოსაცნობად სხვა წყაროებს მიმართავენ, საულის შეცდომას იმეორებენ და კარგს ვერაფერს მოიმკიან.

არ მოსწონს ეს უფალს და თქვა კიდეც ეს საკმაოდ გარკვევით. მომავლის ფარდის ახდის სურვილით გამოწვეული მოუთმენლობა ადამიანის ურწმუნოებაზე მეტყველებს და ვერ იცავს სულს სატანის ზემოქმედებისაგან. უდიდესი თვალთმაქცი შთააგონებს ადამიანებს, მიმართონ მკითხავებს და, აუწყებს რა წარსულში მომხდარ მოვლენებს, არწმუნებს, რომ მომავლის ამოცნობაც შეუძლია. თავისი მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებიდან გამომდინარე, იცის მან ყოველგვარ მოქმედებათა შედეგი და ხშირად წინასწარმეტყველებს კიდეც ადამიანის მომავალზე. ასე ატყუებს საცოდავ, დაუცველ ადამიანებს, იმორჩილებს და თავისი ხელმწიფების ტყვეებად აქცევს მათ.

ასე გვაფრთხილებს უფალი წინასწარმეტყველის პირით: „თუ გითხრეს: დაეკითხეთო მესულთანეებს და ჯადოქრებს, რომ

ჩურჩულებენ და სტვენენო, განა თავის ღმერთს არ ეკითხება ხალხი, განა მკვდრებს ეკითხება ცოცხალთა გამო? მიმართეთ რჯულსა და ანდერძს! თუ არ ამბობენ ამ სიტყვის მიხედვით, ნათქვამს არა აქვს აზრი" /ეს. 8:19,20/.

როგორ შეუძლიათ წმიდა, უსასრულო სიბრძნისა და ძალისაკენ მსწრაფველთ, მიმართონ უფლის მტრის ნების აღმსრულებელ და ქვეშევრდომ მჩხიბავთ? თავად უფალია ნათელი თავისი ხალხისათვის. იგი სთავაზობს თავის რჩეულთ, რწმენით მიაპყრონ მზერა ადამიანის თვალთაგან დაფარულ მის დიდებას. სიმართლის მზეა იგი და თავის ნათელ სხივებს უგზავნის თავის ერთგულთ. ზეციური ტახტიდან იღებს მისი ხალხი ჭეშმარიტ ნათელს, არც არასოდეს უჩნდებათ ამ სინათლის წყაროს მიტოვების სურვილი და არასოდეს მიმართავენ დახმარებისათვის სატანის მაცნეთ.

საულთან მოსაუბრე ბოროტ სულს, თუმცა მან გაკიცხა ცოდვა და მისთვის სასჯელიც უწინასწარმეტყველა, საულის გამოსწორება კი არა, მისი სასოწარკვეთა და დაღუპვა სურდა. მაგრამ სატანა ხშირად საპირისპიროს მიმართავს, რათა ადამიანები ცდუნდნენ და დაიღუპონ. ეშმაკისეულ კერპთა მოძღვრება დიდად უწყობდა ხელს ძველად ადამიანის დაკნინებასა და დაცემას. ცოდვის გამკიცხავი და ჭეშმარიტების განმამტკიცებელი დადგენილებანი უარყოფილი იქნა: უარყოფდნენ სიმართლეს, უზნეობას კი, არა თუ კიცხავდნენ,

არამედ სიამოვნებით ღებულობდნენ კიდეც. სპირიტიზმი გვიმტკიცებს, რომ არ არსებობს სიკვდილი, ცოდვა, სამსჯავრო, შურისგება; რომ ადამიანები „უცოდველი ღმერთკაცები" არიან, რომ სურვილი - ეს არის უზენაესი კანონი და ადამიანი მხოლოდ საკუთარი თავის წინაშეა პასუხისმგებელი. ჭეშმარიტების დაცვისათვის უფლის მიერ აგებული წინააღმდეგობანი - სათნოება და ღვთისმოსაობა - განადგურებულია, რაც ცოდვისაკენ უბიძგებს მრავალთ. განა ასეთი მოძღვრება დემონთა მსახურების ტოლფასი არ არის?

ქანაანელთა უმსგავსო საქმეებში უჩვენა ღმერთმა ისრაელიანთ უწმიდურ სულებთან კავშირის შედეგები. კერპთაყვანისმცემლებად, გარყვნილ ადამიანებად, მკვლელებად იქცნენ ისინი; გაუქრათ ყოველგვარი კეთილი, ბუნებრივი გრძნობა. საძაგელი იყო მათი ფიქრები და საქმეები. სამწუხაროდ, ადამიანები ხშირად არ იცნობენ საკუთარ თავს. „უნდოა ყველას გული და უკურნებელი" /იერ. 17:9/. მაგრამ კარგად ესმის უფალს ადამიანური ბუნების სისუსტე და სიმდაბლე. მაშინ, ისევე, როგორც დღეს, სატანა უფლის წინააღმდეგ ამბოხებისათვის შესაფერისი გარემოსა და ვითარების შექმნას ცდილობდა, რათა ებრაელი ერიც, ქანაანელთა მსგავსად, საძულველი ყოფილიყო უფლის თვალში. ადამიანთა დამღუპველი მუდამ მზადაა, ბოროტების შეუკავებელი ნაკადით აავსოს ჩვენი გულები, რათა დაგვღუპოს და ღმერთის წინაშე დაგვადანაშაულოს.

[688]

სატანას სურდა, ქანაანის მუდმივი მფლობელი ყოფილიყო, მაგრამ, როცა ეს მიწა ისრაელიანთა სამკვიდროდ იქცა და უფლის რჯული - მის ერთადერთ კანონად, სასტიკად შეიძულა მან ისრაელი და მისი დაღუპვა განიზრახა. უწმიდურ სულთა ზემოქმედების შედეგად დაუწყეს თაყვანისცემა ებრაელებმა უცხო ღმერთებს და თავისი ურჯულოებისათვის გაიფანტა ეს ერი, ბოლოს და ბოლოს, მთელ დედამიწაზე. იგივე ისტორიის გამეორებას ცდილობს სატანა დღესაც. უფალი ცდილობს, განარიდოს თავისი ხალხი ცოდვილ წუთისოფელს, რათა მისთვის შესაძლებელი იყოს უფლის წმიდა რჯულით ხელმძღვანელობა. ამიტომაა „ჩვენი ძმების ცილისმწამებლის" სიძულვილი უსაზღვრო. „თქვენთან ჩამოვიდა ეშმაკი დიდი მძვინვარებით, რადგან იცის, რომ დრო მცირეღა დარჩა" /გამოცხ. 12:10-12/. აღარ არის უკვე შორს ჩვენგან ზეციური ქანაანი და სატანაც ყველა ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ დაღუპოს და მემკვიდრეობის გარეშე დატოვოს ღვთის ხალხი. არასდროს ასე დროულად არ წარმოთქმულა ეს გაფრთხილება, როგორც დღეს: „იფხიზლეთ და ილოცეთ, რომ არ ჩავარდეთ განსაცდელში" /მარკ. 14:38/.

ძველი ისრაელის მიმართ უფლის მიერ ოდესღაც ნათქვამ სიტყვებს დღესაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს უფლის

ხალხისათვის. „ნუ მიმართავთ მესულთანეებს და მჩხიბავებს, ნუ გაიუწმიდურებთ თავს". „რადგან საძაგელია უფლისათვის ყოველივე ამის გამკეთებელი" /ლევ. 19:31; რჯლ. 18:12/.

[689]

თავი 68 - დავითი ციკლაგში

პირველი მეფეთა 29; 30

მეორე მეფეთა 1

დავითსა და მის ხალხს არ მიუღია მონაწილეობა საულსა და ფილისტიმელთა შორის გამართულ ბრძოლაში, თუმცა ბრძოლის ველზე კი გავიდნენ. მეტად რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა იესეს ძე ამ ორი ძალის შეჯახებისას. ფიქრობდნენ, რომ იგი ფილისტიმელთა მხარეზე იბრძოლებდა. ბრძოლის ველზე თავისი ადგილის მიტოვება და წასვლა არა მხოლოდ სიმხდალეს, არამედ აქიშის მიმართ ღალატისა და უმადურობის გამოვლენას ნიშნავდა, რომელიც მფარველობდა და ენდობოდა დავითს. ასეთი საქციელით მხოლოდ სახელს როდი

შეირცხვენდა, არამედ საულზე უფრო მძვინვარე მტრის რისხვას გამოიწვევდა. მაგრამ, ამასთანავე, ერთი წუთითაც არ გაუვლია აზრად ისრაელის წინააღმდეგ ბრძოლა. ამ შემთხვევაში იგი სამშობლოს მოღალატედ, ღმერთისა და ხალხის მტრად იქცეოდა, რაც სამუდამოდ მოუჭრიდა გზას ისრაელის სამეფო ტახტისაკენ. თანაც საული რომ ამ ბრძოლაში მომკვდარიყო, მის სიკვდილში დავითს დაადანაშაულებდნენ.

ახლა ნათლად შეიცნო დავითმა, რომ არასწორად მოიქცა. რამდენად უკეთესი იქნებოდა მისთვის, ეძებნა თავშესაფარი მთებში და არა იეჰოვასა და მისი ხალხის მტრებთან. მაგრამ დიდად მოწყალე ღმერთმა არ მიატოვა თავისი სასოწარკვეთილი და მძიმე ვითარებაში ჩავარდნილი მსახური, რადგან: თუმცა შესცოდა დავითმა, როცა ღვთიური დახმარება უარყო და სიწმიდისა და პატიოსნების გზიდან გადაუხვია, მაგრამ მისი გული ყოველთვის ისწრაფოდა ღვთისადმი ერთგულებისაკენ. სანამ სატანა და მისი მესვეურნი უფლისა და ისრაელის მტრებს ღვთისაგან განდგომილი მეფის წინააღმდეგ ბოროტი ხრიკების დაგეგმვაში ეხმარებოდნენ, უფლის ანგელოზნი შექმნილი საფრთხიდან დავითის გამოსახსნელად იღწვოდნენ. ზეციურ მაცნეთა შთაგონებით თავად ფილისტიმელმა მთავრებმა არ ისურვეს, რომ დავითს ამ ბრძოლაში მიეღო მონაწილეობა.

„რა უნდათ ამ ებრაელებს?" - აღშფოთებით მიმართავდნენ ფილისტიმელი სარდლები აქიშს. არ სურდა მეფეს ასე დიდებულ მოკავშირესთან განშორება, ამიტომ მიუგო მათ: „ეს ხომ დავითია, საულ ისრაელის მეფის მორჩილი. რამდენიმე

წელია ჩემთან არის და ცუდი არაფერი შემინიშნავს მისთვის დღიდან მისი გამოქცევისა დღემდე".

მაგრამ ჯიუტად ითხოვდნენ ფილისტიმელი მთავრები: „უკანვე გაისტუმრე ეგ კაცი, დაბრუნდეს თავის ადგილას, სადაც გაგიწესებია; ნუ წამოვა ჩვენთან ერთად საბრძოლველად, რათა ომის დროს მტრად არ გვექცეს. რითი მოიგებს თავის ბატონის გულს, თუ არა ჩვენი კაცების თავებით? ეს ხომ ის დავითია, რომელზეც მღეროდნენ მროკველები: მოსრა საულმა თავის ათასი, ხოლო დავითმა ათიათასიო?" ჯერაც კარგად ახსოვდათ ფილისტიმელ მთავრებს მთელი ისრაელის ზეიმი, როცა დავითმა მათი სახელგანთქმული გოლიათი მოკლა. არც ის სჯეროდათ, რომ დავითი თავისი ხალხის წინააღმდეგ წავიდოდა საბრძოლველად და ფიქრობდნენ, რომ შუა ბრძოლაში იგი ებრაელთა მხარეზე გადავიდოდა და ფილისტიმელთ უფრო მეტ ზიანს მიაყენებდა, ვიდრე საულის მრავალრიცხოვანი ჯარი.

იძულებული გახდა აქიში, დაეთმო. მოიხმო დავითი და უთხრა: „ცხოველ არს უფალი! რიგიანი კაცი ხარ და მახარებს შენი მისვლა-მოსვლა, ჩემს ბანაკში. რადგან ცუდი არაფერი შემინიშნავს შენთვის დღიდან შენი მოსვლისა

[690]

[691]

ჩემთან. მაგრამ წინამძღოლებს არ მოუდიხარ თვალში. ახლა მშვიდობით გაბრუნდი უკან და ისეთი არაფერი გააკეთო, რაც თვალში არ მოსდით ფილისტიმელ წინამძღოლებს".

თავისი ჭეშმარიტი გრძნობების გამომჟღავნებისა შეეშინდა დავითს და მიუგო: „რა გავაკეთე ან რა შენიშნე ისეთი შენს მორჩილს დღიდან შენთან მოსვლისა, რომ ამეკრძალოს ჩემი ბატონი მეფის მტრების წინააღმდეგ ბრძოლა?"

სირცხვილისა და სინდისის ქენჯნის გრძნობა უნდა აღეძრა დავითის გულში აქიშის პასუხს, ვინაიდან კარგად იცოდა მან, რომ ღვთის მსახურს არ შეშვენის ასეთი ტყუილის თქმა. „ვიცი, რომ ანგელოზივით ხარ ჩემს თვალში, - უთხრა მეფემ, - მაგრამ ფილისტიმელი მთავრები ამბობენ, არ წამოგვყვესო საბრძოლველად. ადექით დილაადრიანად შენ და შენი ბატონის მორჩილნი, შენ რომ მოგყვნენ, ადექი დილაადრიან და როცა ინათებს, გაბრუნდით უკან". ასე გაირღვა ბადე, რომელშიც გაება დავითი და კვლავ გათავისუფლდა იგი.

სამი დღე მოანდომეს დავითმა და მისმა ექვსასკაციანმა ჯგუფმა ფილისტიმელთა მიწაზე მათ საცხოვრებელ ადგილას მისვლას. მაგრამ რა საშინელი სურათი იხილეს დაბრუნებისას! ისარგებლეს დავითისა და მისი ამალის არყოფნით ყამალეკელებმა და შური იძიეს მათ ტერიტორიაზე შეჭრისათვის. ალყა შემოარტყეს დაუცველ ქალაქს, გაძარცვეს, გადაწვეს და მდიდარი ნადავლით უკან გაბრუნდნენ, თან ტყვედ ბავშვები და ქალები წაიყვანეს.

გაშრა დავითი ამ საშინელების დანახვაზე. განცვიფრებულნი და დამწუხრებულნი, უსიტყვოდ მისჩერებოდნენ გაშავებულ, ნაცრად ქცეულ ქალაქს. ბოლოს კი, როცა გამოერკვნენ და მიხვდნენ, რაც მოხდა, ბრძოლებში გამობრძმედილმა ვაჟკაცებმა „გამართეს მოთქმა და... ტიროდნენ, ვიდრე ძალა შესწევდათ".

კვლავ დაისაჯა დავითი საკუთარი ურწმუნოების გამო, რამაც ფილისტიმელთა ქვეყანაში მიიყვანა. ახლა საბოლოოდ დარწმუნდა, თუ რამდენად საშიშია ღმერთისა და მისი ხალხის მტრებს შორის ყოფნა. ამის გამო საყვედურებით აიკლეს თავისმა კაცებმა დავითი და ამ უბედურებაში დამნაშავედ ცნეს: სწორედ ყამალეკზე მისმა თავდასხმამ გამოიწვია მტრის საპასუხო აქტი შურისძიებისა, მაგრამ მაინც, მტკიცედ დარწმუნებულმა იმაში, რომ მტრის გარემოცვაში არავითარი საფრთხე არ მოელის, ქალაქი დაუცველი დატოვა. დავითის მეომრები, რისხვისა და მწუხარებისაგან გონდაკარგულნი, მზად იყვნენ ყოველგვარი

უგუნური საქციელის ჩასადენად; ჩაქოლვითაც კი ემუქრებოდნენ თავიანთ წინამძღოლს.

როგორც ჩანდა, ყოველგვარი მხარდაჭერა დაკარგა დავითმა ადამიანთა მხრიდან. ყველაფერი, რაც მისთვის მეტად ძვირფასი იყო, წაერთვა. საულმა მშობლიური მიწიდან გააძევა, ფილისტიმელებმა - ბრძოლის ველიდან; ყამალეკელებმა ქალაქი გაუძარცვეს, მისი ცოლ-შვილი ტყვეებად წაასხეს, უახლოესი მეგობრები აუმხედრდნენ და სიკვდილითაც დაემუქრნენ. და ამ უკიდურესი ძნელბედობის ჟამს, უიმედობისა და სასოწარკვეთილების ნაცვლად, დავითმა გულწრფელად სთხოვა დახმარება ღმერთს. „უფლის, თავისი ღვთის იმედით გაიმხნევა დავითმა თავი". ყველაფერი გაიხსენა, რაც წარსულში მოუხდა. განა უფალს მიუტოვებია იგი ოდესმე? გამხნევდა მისი სული უფლის უამრავი უხვი წყალობის გახსენებისას. ირგვლივ მყოფთ საკუთარი რისხვა და მოუთმენლობა ტანჯვას უორკეცებდა, ღვთის კაცი კი, რომელსაც ყველაზე მეტი სატანჯველი ჰქონდა, წონასწორობას ინარჩუნებდა. „საშიშროების დღეს შენ მოგენდობი", - მრავალჯერ იმეორებდა იგი /ფს. 55:4/. თუმცა მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალს თავად ვერ პოულობს, მაგრამ უფალი

[692]

[693]

ასწავლის, როგორ მოიქცეს!

მოიხმო დავითმა აბიათარ მღვდელი, ახიმელექის ძე და „დაეკითხა დავითი უფალს: დავედევნო იმ ურდოს? მივეწევი? მიუგო: დაედევნე, რადგან უსათუოდ დაეწევი და წაართმევ ნადავლს" /1 მეფ. 30:8/.

ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე გაუქარწყლდა დავითს სულიერი მღელვარება და მწუხარება. მყისვე დაედევნენ დავითი და მისი მეომრები გაქცეულ მტერს. ისე სწრაფად მიდიოდნენ, რომ მდინარე ბესორთან, რომელიც ღაზას მიდამოებში ხმელთაშუა ზღვაში ჩაედინება, დავითის ჯგუფიდან ორასი დაღლილ-დაქანცული კაცი იძულებული გახდა, შეესვენა. მაგრამ დავითი და დარჩენილი ოთხასი კაცი მთელი შემართებით, გაბედულად დაედევნა მტერს.

გზად ეგვიპტელ მონას წააწყდნენ. შიმშილისგან დაუძლურებული იყო იგი. საჭმელ-სასმელი მიუტანეს, დააპურეს და, როცა სული მოითქვა, თავისი ამბავი უამბო დავითის ხალხს, თუ როგორ გაიმეტა სასიკვდილოდ მისმა სასტიკმა, ყამალეკელმა ბატონმა, ისრაელიანთა ბოროტმა მტერმა. ისიც უამბო, თუ როგორ დაესხნენ თავს დავითისა და

მის ახლობელთა საცხოვრისს და გაძარცვეს. შემდეგ კი იმ პირობით, რომ არ მოკლავდნენ და თავის ბატონთანაც არ დააბრუნებდნენ, დათანხმდა, დავითისთვის მოწინააღმდეგის ბანაკი ეჩვენებინა.

რა ზარ-ზეიმი იხილეს მათ მტრის ბანაკში! ზეიმობდნენ გამარჯვებულნი. „აჰა, გაფანტულან მთელს არემარეზე, ჭამენ, სვამენ და ზეიმობენ ფილისტიმელთა ქვეყნიდან და იუდადან წამოღებული დიდი ნადავლის გამო". სწრაფად და მოულოდნელად დაესხნენ თავს მტერს დავითი და მისი მეომრები. არეულობა და დაბნეულობა შეიტანეს მტრის ბანაკში ამ უეცარი თავდასხმით. მთელ ღამეს და მეორე დღესაც გრძელდებოდა ბრძოლა, სანამ თითქმის მთლად არ შემუსრეს მტერი იმ ოთხასი კაცის გარდა, „რომელნიც მოახტნენ აქლემებს და გაიქცნენ". ასე აღსრულდა უფლის ნათქვამი. „უკან დაიბრუნა დავითმა ყველაფერი, რაც წაღებული ჰქონდა ყამალეკს; თავისი ორი ცოლიც დაიბრუნა დავითმა. არაფერი დაჰკარგვიათ, არც მცირე, არც დიდი, არც ვაჟებიდან და არც ასულებიდან. მთელი ნადავლიდან, რაც გატაცებული ჰქონდათ, ყველაფერი დაიბრუნა დავითმა".

ყამალეკის ტერიტორიაზე შეჭრისას მახვილით განგმირეს დავითმა და მისმა მეომრებმა ყველა, ვინც ხელთ იგდეს. მხოლოდ ღვთის შემკავებელი ძალის ზეგავლენით არ მოექცნენ ამგვარადვე ყამალეკელნი ციკლაგის მცხოვრებთ. დაინდეს მათ

ტყვეები, რომელთაც, შემდგომ, მონებად გაყიდვას უპირებდნენ, რათა ტრიუმფალური ყოფილიყო მათი გამარჯვებით დაბრუნება. ასე თავისდაუნებურად აღასრულეს მათ უფლის ჩანაფიქრი და სიცოცხლე შეუნარჩუნეს ტყვეებს, რომელნიც, შემდგომ, უვნებელნი დაუბრუნდნენ თავიანთ მამებს და ქმრებს.

ყველა მიწიერ ხელმწიფებას უზენაესი აკონტროლებს. ასე მიმართავს იგი ყველაზე ძლიერ ხელმწიფეს და ყველაზე სასტიკ მჩაგვრელს: „და ვთქვი, აქამდე მოდი, იქით აღარ" /იობ. 38:11/. ღვთიური ძალა მუდამ ებრძვის ბოროტ ძალებს. ღმერთი მუდამ ცდილობს, კი არ გაანადგურος, არამედ გამოასწოროს და გადაარჩინოს ადამიანები.

უდიდესი სიხარულით დაბრუნდნენ უკან გამარჯვებულნი. როდესაც ზურგში დარჩენილ მეომრებს შეუერთდნენ, ზოგიერთმა ურჩმა და ეგოისტმა მეომარმა ამ ოთხასიდან არ მოინდომა ნადავლის განაწილება. მათ ისიც ეყოფათ, რომ ოჯახის წევრები და ახლობლები დავუბრუნეთ, - ამბობდნენ ისინი. „თქვა დავითმა: ნუ იზამთ ამას, ძმებო, რადგან უფლის მოცემულია ეს ყველაფერი, მან დაგვიფარა, მან ჩაგვიგდო ხელში ეს ურდო... რა წილიც ნაბრძოლებ კაცს

[694]

უდევს, იგივე წილი უნდა ხვდეს ბანაკში დარჩენილს, ყველას უნდა ხვდეს წილი". ასეც მოიქცნენ. და მას შემდეგ დაკანონდა ისრაელში ის, რომ ერთნაირად ღებულობდნენ წილს ბრძოლაში უშუალოდ მონაწილენი თუ მოლაშქრენი.

გარდა ყამალეკელთა მიერ ციკლაგიდან გატაცებულის დაბრუნებისა, მტრის ურიცხვი ხარ-ძროხა წამოასხეს დავითმა და მისმა ხალხმა. „დავითის ნადავლად" იწოდებოდა იგი და ციკლაგში დაბრუნებისას, იუდას გვარის უხუცესთ გაუგზავნა მისი ნაწილი საჩუქრად დავითმა. ისინიც არ დავიწყნია მას, ვინც მთებში მის რაზმს ეხმარებოდა, როცა იძულებულნი იყვნენ, ერთი ადგილიდან მეორეზე გადასულიყვნენ. სიკეთე და თანაგრძნობა, რაც ასე ძვირფასია დევნილისათვის, სიკეთითა და მადლიერებით აუნაზღაურდათ.

დავითისა და მისი მეომრების ციკლაგში დაბრუნებიდან სამი დღე გავიდა. დანგრეული სახლების აღდგენა დაიწყეს ებრაელებმა და თან მოუთმენლად ელოდნენ ამბავს ბრძოლის ველიდან, სადაც, როგორც მათ იცოდნენ, ფილისტიმელნი ისრაელიანთ უნდა შებმოდნენ. მოულოდნელად ქალაქში მოვიდა მაცნე, „სამოსელი შემოგლეჯოდა და თავზე ნაცარი ეყარა". დაუყოვნებლივ მიიყვანეს დავითთან, რომელსაც მოწიწებით სცა თაყვანი უძლიერესი მთავრის პატივისცემის ნიშნად, რომლის კეთილგანწყობის დამსახურებაც სურდა.

მოუთმენლად იკითხა დავითმა, თუ რით დასრულდა ბრძოლა. საულის დამარცხების, მისი და იონათანის სიკვდილის შესახებ ამბავი დამახინჯებულად მოუთხრო დავითს მაცნემ. ალბათ, ეგონა, რომ დავითს ძლიერ სძულდა თავისი სასტიკი მდევნელი და მეფის სიკვდილის ცნობისათვის რაიმე ჯილდოს მიიღებდა. კვეხნით მოუყვა დავითს, თუ როგორ იპოვა ბრძოლის ველზე დაჭრილი და მტრისაგან ალყაშემორტყმული ისრაელის მეფე და როგორ მოკლა იგი მისივე თხოვნით. საულის გვირგვინი და სამაჯურები კი დავითს მოუტანა. მაცნე დარწმუნებული იყო, რომ გაუხარდებოდა დავითს ეს ამბავი და უხვადაც დააჯილდოებდა მას.

მაგრამ „ჩაბღუჯა თავისი სამოსელი დავითმა და შემოიგლიჯა; ასე ქნა ყველამ, ვინც კი მასთან იყო. მოთქვამდნენ და ტიროდნენ, საღამომდე მარხულობდნენ, როგორც საულისა და მისი ვაჟის, იონათანის გამო, ასევე უფლის ერისა და ისრაელის სახლის გამო, მახვილისგან რომ დაეცნენ".

როცა ამ საშინელი ცნობისაგან გამოწვეული მწუხარება და ელდა ცოტათი დაცხრა, დავითს გაახსენდა ამ თავზარდამცემი ამბის მომტანი და დანაშაული, რომელიც, თავისივე სიტყვით, მან ჩაიდინა. და ჰკითხა ყმაწვილ კაცს: „სადაური ხარ? მიუგო: ხიზანის შვილი ვარ, ყამალეკელი. უთხრა მას დავითმა: როგორ გაბედე და აღმართე ხელი უფლის ცხებულის დასაღუპად?" ორჯერ ჩაუვარდა საული ხელთ დავითს, მაგრამ ვერც ერთხელ

ვერ აღმართა ხელი მასზე, ვინც უფალმა ისრაელის მმართველად სცხო, თუმცა ხალხი მოითხოვდა, მოეკლა მეფე. ეს ყამალეკელი კი ბედავდა და ტრაბახით ამბობდა, რომ მოკლა ისრაელის მეფე. თავად გაამჟღავნა საკუთარი დანაშაული, რომელიც სიკვდილს იმსახურებდა და სასჯელმაც არ დააყოვნა. „უთხრა მას დავითმა: შენს თავზეა შენი სისხლი, რადგან შენმავე ბაგემ გამხილა, როცა თქვი, მე მოვკალიო უფლის ცხებული".

ღრმა მწუხარებით, გულწრფელად იგლოვა დავითმა საული, რაც მის დიდსულოვნებასა და კეთილშობილებაზე მეტყველებდა. არ გახარებია მას თავისი მტრის სიკვდილი. გზა სამეფო ტახტისაკენ გათავისუფლდა, მაგრამ ბედნიერება ვერ მოჰგვარა ამან დავითს. საულის სიკვდილმა დაავიწყა მისი სისასტიკე და შური. ახლა მხოლოდ კეთილსა და კარგს იხსენებდა მისი მეფობის დღეებიდან. საულის სახელი იონათანთან იყო დაკავშირებული,

[695]

[696]

რომელიც გულწრფელად, უანგაროდ უყვარდა დავითს.

თავისი ღრმა მწუხარება მეფის სიკვდილის გამო დავითმა გამოხატა საგალობელში, რომელიც ებრაელი ერისა და ხალხის საგანძურად იქცა ყველა საუკუნეში:

„შეიბღალა შენი მშვენება,

ისრაელო, შენს მაღლობებზე!

როგორ დაეცნენ ვაჟკაცები!

ნუ გაამხელთ გათში,

ნუ გამოაცხადებთ ასკალონის ქუჩებში,

რომ არ გაიხარონ ფილისტიმელთა ასულებმა,

არ იზეიმონ წინდაუცვეთელთა ასულებმა.

გილბოაყის მთებო!

არ გეღირსოს ცვარი და წვიმა,

ნაყოფიერი მინდვრები,

რადგან მანდ გაცუდდა ვაჟკაცის ფარი,

საულის ფარი,

თითქოს არ ყოფილიყო ზეთით ცხებული!

განგმირულთა სისხლისგან,

ვაჟკაცთა გულ-ღვიძლისგან

არ ბრუნდებოდა უკან იონათანის მშვილდი;

საულის ხმალი ფუჭად არ ბრუნდებოდა!

საულ და იონათან!

საყვარელნი და სანატრელნი სიცოცხლეში,

სიკვდილშიაც განუყრელნი არიან!

არწივზე უსწრაფესნი,

ლომზე ძლიერნი იყვნენ.

ისრაელის ასულნო! იტირეთ საული,

თქვენი შემმოსველი ძოწეულით და ძვირფასეულით,

ოქროს სამკაულებით რომ გიმშვენებდათ შესამოსელს.

როგორ დაეცნენ ვაჟკაცები ბრძოლაში!

განგმირულია იონათანი შენს მაღლობებზე.

ვწუხვარ შენზე, ძმაო იონათან!

დიდად ძვირფასი იყავ ჩემთვის,

საკვირველი იყო შენი სიყვარული ჩემდამი,

ქალის სიყვარულზე ძლიერი.

როგორ დაეცნენ ვაჟკაცები,

როგორ განადგურდა საომარი საჭურველი!"

/2 მეფ. 1:19-27/.

თავი 69 - დავითის ასვლა სამეფო ტახტზე

მეორე მეფეთა 2:1-5:5

საულის სიკვდილმა დავითს თავიდან ააცილა ის საშიშროება, რომელმაც დევნილად აქცია. თავის მიწაზე დასაბრუნებელი გზა ხსნილი იყო დავითისათვის. როცა საულზე და იონათანზე გლოვის დღეები გასრულდა, „დაეკითხა უფალს დავითი: შევიდე თუ არა იუდას რომელიმე ქალაქში? მიუგო უფალმა: შედი. თქვა დავითმა: სად შევიდე? მიუგო: ხებრონში".

ხებრონი ბერშებადან ოცი მილის მანძილზე, მის ჩრდილოეთით მდებარეობდა, დაახლოებით შუა გზაზე ამ ქალაქსა და მომავალ იერუსალიმის შორის. თავდაპირველად კირიათ-არბაყი ერქვა მას - ყანაკის მამის, არბაყის ქალაქი. მოგვიანებით კი მამრე უწოდეს. იქ, მახფელას გამოქვაბულში, პატრიარქთა სამარხი იყო. ხებრონი, ქალებ იეფუნეს ძის ყოფილი ქალაქი, იუდეველთა მთავარ ქალაქად იქცა. ნაყოფიერი მიწები და მდელოები ერტყა გარს ხეობას, სადაც იგი იყო გაშენებული. პალესტინის უმშვენიერესი ვენახები, ზეთისხილის ბაღები და სხვა მსხმოიარე ხეები ამშვენებდა.

დაუყოვნებლივ შეუდგნენ უფლის ბრძანების შესრულებას დავითი და მისი ხალხი. ექვსასი შეიარაღებული მეომარი, თავისი ცოლ-შვილითა და ხარ-ძროხით მყისვე ხებრონს გაემართა. შევიდნენ ქალაქში, სადაც უკვე ელოდნენ იუდეველნი, რათა მისალმებოდნენ დავითს, როგორც თავის მეფეს. ყოველივე, აუცილებელი და საჭირო, მომზადდა დავითის გამეფებისათვის. „და სცხეს დავითი მეფედ იუდას სახლზე". არავის უცდია, დავითის ხელმწიფება ისრაელიანთა სხვა შტოებზე ძალის გამოყენებით დაემყარებინა.

უპირველეს ყოვლისა, საულისა და იონათანის ხსოვნისადმი პატივისცემა ისურვა ახალმა მეფემ. გაიგო რა გალაადის იაბეშელთა კეთილშობილური საქციელის შესახებ, რომლებმაც დაღუპულ მთავართა გვამები იხსნეს და სათანადო ღირსებით მიწას მიაბარეს, კაცი გაგზავნა იაბეშში დავითმა დანაბარებით:

„კურთხეულნი ხართ უფლისგან, ეს წყალობა რომ უყავით თქვენს პატრონს, საულს, და დამარხეთ იგი. უფალმა მოგაგოთ წყალობა და მადლი, და მეც გადაგიხდით ამ კეთილი საქმისათვის, თქვენ რომ აღასრულეთ". და, შეატყობინა რა იუდას ტახტზე ასვლის ამბავი, ხაზგასმით აღნიშნა მათი ერთგულება და გულწრფელობა.

ფილისტიმელთ რაიმე წინააღმდეგობა არ გაუწევიათ იუდას მცხოვრებთათვის დავითის მეფედ ცხებასთან დაკავშირებით. როცა დავითი იდევნებოდა, ისინი დაუმეგობრდნენ მას, რათა საულის სამეფო დაესუსტებინათ და ახლაც შეეცადნენ, რაიმე სარგებელი ენახათ ამ საქმიდან. მაგრამ არ ყოფილა ხიფათს მოკლებული დავითის მეფობა. მისი გამეფების დღიდან იწყება შეთქმულებათა და ამბოხებათა შავბნელი მატიანე. ვერაგობით არ ასულა დავითი სამეფო ტახტზე. ღმერთმა აირჩია იგი ისრაელის მეფედ და აქ ადგილი არ უნდა ჰქონოდა რაიმე ეჭვს ან წინააღმდეგობას. მაგრამ, როცა აბნერის წყალობით ისრაელზე საულის ვაჟი, იშბოშეთი გამეფდა, იუდეველთა მთავრებმა თითქმის შეწყვიტეს დავითის ხელმწიფების აღიარება.

მეტად სუსტი ნებისყოფისა და სახელმწიფო საქმეებში გაუთვითცნობიერებელი იყო საულის სახლის ეს წარმომადგენელი. დავითს კი ამ საპასუხისმგებლო საქმის გაძღოლის უდიდესი ნიჭი მიეცა. აბნერი, რომელმაც იშბოშეთი სამეფო ტახტზე დასვა, საულის ლაშქრის მხედართმთავარი -

ისრაელის ერთ-ერთი ყველაზე დიდებული სარდალი იყო. მან კარგად იცოდა, რომ უფალმა

[697]

[698]

სცხო დავითი ისრაელის მეფედ, მაგრამ ხანგრძლივი მტრობის გამო არ მოიდრიკა თავი და ვერ შეურიგდა იმ აზრს, რომ იესეს ძე საულის ტახტის მემკვიდრე უნდა გამხდარიყო.

ყველაფერი ისე წარიმართა, რომ გაცხადდა აბნერის ჭეშმარიტი ხასიათი, მისი პატივმოყვარეობა და უპრინციპობა. მეტად ახლო ურთიერთობა ჰქონდა საულთან მას და მეფის ზეგავლენით შესძულდა კაცი, რომელიც ღმერთმა ისრაელის მეფედ სცხო. სიძულვილი მას შემდეგ უფრო გაუმწვავდა, რაც დავითმა მწარედ უსაყვედურა იმის გამო, რომ ღრმად ეძინა ბანაკში, როცა საულს წყლის ჭურჭელი და მახვილი მოსტაცეს. კარგად ახსოვდა აბნერს, როგორ ყვიროდა დავითი ხმამაღლა, მეფისა და მთელი ხალხის გასაგონად: „ხომ კაცი ხარ შენ? ვინ არის ისრაელში შენი ტოლი. მაშ, რატომ არ დაიფარავ შენს ბატონს, მეფეს?.. ვერ არის კარგი საქმე, რასაც შენ აკეთებ. უფალს ვფიცავ,

სიკვდილის ღირსნი ხართ, რომ არ იფარავთ თქვენს ბატონს, უფლის ცხებულს" /1 მეფ. 26:15-16/.

სულს უმწარებდა ეს საყვედური აბნერს და გადაწყვიტა, შური იმით ეძია, რომ ისრაელი გაეხლიჩა და თავად აღზევებულიყო. და თავისი მდაბალი, ეგოისტური ზრახვების განსახორციელებლად საულის სახლის წარმომადგენელი გამოიყენა. კარგად იცოდა მან, რომ ხალხს ძლიერ უყვარდა იონათანი, წმიდად ინახავდა მის ხსოვნას; არც მეომრებს დავიწყებოდათ საულის პირველი ბრწყინვალე ლაშქრობები. და ამბოხებული მხედართმთავარი მტკიცედ შეუდგა თავისი გეგმის განხორციელებას.

იორდანეს მეორე ნაპირზე, მახანაიმში მდებარეობდა სამეფო სახლი, რადგან უფრო უსაფრთხო იყო ეს ადგილი და ნაკლებ საშიში დავითისა და ფილისტიმელთა თავდასხმისაგან. სწორედ იქ მოხდა მეფედ ცხება. ახალი მონარქის უფლებამოსილება თავდაპირველად იორდანეს აღმოსავლეთით მცხოვრებმა ყველა შტომ აღიარა, მოგვიანებით კი - მთელმა ისრაელმა, იუდას გარდა. ორ წელიწადს ტკბებოდა საულის ვაჟი მეფური პატივით თავის განმარტოებულ დედაქალაქში. მაგრამ აბნერმა, მისი ხელმწიფების მთელ ისრაელზე გავრცელების მიზნით, დამპყრობლური ომისათვის იწყო მზადება. „გაიმართა ხანგრძლივი ბრძოლა საულის სახლსა და დავითის სახლს

შორის. დავითი უფროდაუფრო ძლიერდებოდა, ხოლო საულის სახლი უფროდაუფრო სუსტდებოდა".

და ბოლოს, ბოროტებითა და ეგოიზმით აგებული ტახტი დაეცა. იშბოშეთის უუნარობითა და სისუსტით განაწყენებულმა აბნერმა დავითს მიმართა წინადადებით, მთელს ისრაელზე გაევრცელებინა თავისი ხელმწიფება. მიღებულ იქნა მისი წინადადება და დიდი პატივით გამოუშვეს აბნერი, რათა თავისი გეგმა განეხორციელებინა. მაგრამ ამ დიდებული მხედართმთავრის წინადადების კეთილგანწყობით მიღებამ შური აღუძრა დავითის მხედართმთავარს, იოაბს. მოსისხლე მტრები იყვნენ ერთურთის აბნერი და იოაბი, ვინაიდან იოაბის ძმა, ყასაელი, მოკლა აბნერმა ისრაელ-იუდეველთა ომის დროს. ახლა ხელსაყრელი მომენტი ნახა იოაბმა, რათა ძმისათვის შური ეძია და თან გზიდან ჩამოეცილებინა ისეთი ბრწყინვალე მეტოქე, როგორიც აბნერი იყო. ისარგებლა მან ამ შემთხვევით, ჩაუსაფრდა აბნერს და მოკლა.

შეაძრწუნა დავითი ამ მუხანათურმა საქციელმა და შეჰღაღადა: „ბრალი არ გვადევს მე და ჩემს სამეფოს უფლის წინაშე სამარადისოდ აბნერ ნერის ძის სისხლში. დაატყდეს იოაბის თავს და მამამისის სახლს!" ვერ შეძლო დავითმა დამნაშავეთა სათანადოდ დასჯა თავისი სამეფოს არამყარი მდგომარეობისა და მკვლელთა ძლიერების გამო, ვინაიდან იოაბის ძმამ, აბიშაიმმაც მიიღო მასში მონაწილეობა, მაგრამ სახალხოდ

გამოთქვა თავისი გულისწყრომა ამ სულმდაბლური საქციელის გამო. შესაფერისი პატივით დაკრძალეს აბნერი.

[699]

ტანსაცმელი უნდა შემოეგლიჯათ და ჯვალო უნდა შემოერტყათ იოაბსა და მის მხედრობას და ისე უნდა მიეღოთ აბნერის დაკრძალვის ცერემონიაში მონაწილეობა. დამწუხრებულ, მგლოვიარე მეფეს მთელ დღეს არაფერი უჭამია. მკვლელების მისამართით მწარე საყვედური გამოთქვა საფლავზე გამოსათხოვარ სიტყვაში: „იგლოვა მეფემ აბნერი და თქვა:

განა სამარცხვინო სიკვდილით

უნდა მომკვდარიყო აბნერი?

ხელი შეკრული არა გქონია,

ფეხებზე ბორკილები არა გდებია.

დაეცი, როგორც ბოროტმოქმედთა ხელით ეცემიან".

დიდსულოვნება გამოიჩინა დავითმა თავისი მოსისხლე მტრის მიმართ, რითაც მთელი ისრაელის ნდობა და აღტაცება დაიმსახურა. „გაიგო მთელმა ხალხმა და მთელმა ისრაელმა ამ დღეს, რომ უბრალო იყო მეფე აბნერ ნერის ძის მკვლელობაში". ახლობელთა ვიწრო წრეში მეფემ განაცხადა ამ დანაშაულისა და დამნაშავეთა დასჯაში საკუთარი უძლურების შესახებ, უფალ ღმერთს მიანდო განაჩენის გამოტანა: „იცით თუ არა, როგორი სარდალი და დიდებული დაეცა დღეს ისრაელში? მე დღეს სუსტი ვარ, თუმცა ცხებული მეფე ვარ. ეს ხალხი კი, ცერუიას შვილები, ჩემზე ძლიერნი არიან. მიუზღოს უფალმა ბოროტმოქმედს მისი ბოროტების წილ".

მართალია, აბნერმა გულწრფელად შესთავაზა დავითს სამსახური, მაგრამ დაბალი და ეგოისტური მიზნები ამოძრავებდა. ადრე ჯიუტად ეწინააღმდეგებოდა დავითის გამეფებას, რადგან თავად იმედოვნებდა დიდების მწვერვალზე ასვლას. მხოლოდ შელახულმა თავმოყვარეობამ, აღშფოთებამ და ფიცხმა ხასიათმა დაავიწყა დავითისადმი ძველი დამოკიდებულება და მასთან მისვლა გადააწყვეტინა: ყველაზე დიდებული და საპატიო ადგილის დაკავება სურდა მის კარზე. თავისი მიზნების განხორციელების შემთხვევაში, მისი ნიჭი და პატივმოყვარეობა, მისი უდიდესი გავლენა და განდიდების წყურვილი დიდ საფრთხეს შეუქმნიდა დავითის ტახტს, მთელი ერის მშვიდობას და კეთილდღეობას.

„როცა შეიტყო საულის ძემ, რომ მოკვდა აბნერი ხებრონში, წარეკვეთა იმედი და შეშფოთდა მთელი ისრაელიც". ცხადი იყო, რომ მისი სამეფო ვეღარ იარსებებდა. მალე სულ სხვა მუხანათურმა ღალატმა დაასრულა ეს ისედაც შერყეული ხელმწიფება: ბოროტულად მოკლეს იშბოშეთი სამეფო კარის მხლებლებმა, თავი მოაჭრეს და მიუტანეს იუდეველთა მეფეს მისი კეთილგანწყობის მოპოვების მიზნით.

მივიდნენ მეფესთან გასისხლიანებული თავით - თავიანთი ბოროტი დანაშაულის საბუთით - ხელში და უთხრეს: „აჰა, იშბოშეთის თავი, საულის, შენი მტრის ძისა, რომელსაც შენი სიკვდილი უნდოდა. შური უძია უფალმა ჩემს მეფე-ბატონს საულისგან და მისი ნაშიერისგან". მაგრამ დავითს, რომელსაც თავად უფალმა უბოძა ტახტი და იხსნა მდევნელთაგან, არ სურდა თავისი ხელმწიფების ბოროტი საქმეებით განმტკიცება. გაახსენა მკვლელებს, თუ რა ბედი ეწია მათ, ვინც საულის მკვლელობით ტრაბახობდა. „რას იმსახურებენ ის ბოროტეული კაცები, რომელთაც უდანაშაულო კაცი თავისსავე სახლში, თავის საწოლში მოკლეს? ახლა განა თქვენ ხელს არ უნდა მოვკითხოთ მისი სისხლი და აღმოგფხვრათ ამ ქვეყნიდან? უბრძანა დავითმა მსახურებს და დახოცეს ისინი... ხოლო იშბოშეთის თავი აიღეს და აბნერის საფლავში დამარხეს, ხებრონში".

იშბოშეთის სიკვდილის შემდეგ ისრაელის ყველა მთავარს სურდა, რომ

[700]

[701]

დავითი ისრაელის ყველა შტოზე გამეფებულიყო. „მოვიდა ისრაელის ყველა შტო დავითთან ხებრონს და ასე უთხრეს: აჰა, შენი ძვალი და ხორცი ვართ ყველანი. წინათ, როცა საული მეფობდა ჩვენზე, შენ მიგყავდა და მოგყავდა ისრაელი, შენ გითხრა უფალმა: შენ უნდა მწყემსო ჩემი ერი ისრაელი, შენ უნდა იყო ისრაელის წინამძღოლი. მოვიდა ისრაელის მთელი უხუცესობა მეფესთან ხებრონს და შეჰკრა დავითმა მათთან კავშირი ხებრონში უფლის წინაშე". ასე გაუხსნა უზენაესის სიბრძნემ დავითს გზა ტახტისაკენ. პატივმოყვარეობის გამო არ ასულა დავითი ისრაელის სამეფო ტახტზე, ვინაიდან არ კლავდა მას დიდების მოპოვების სურვილი.

აარონისა და ლევიანთა რვა ათასზე მეტი შთამომავალი ახლდა თან დავითს. შესამჩნევად შეეცვალა ხალხს გუნება-განწყობა; უდიდესი გარდაქმნა მოხდა ხალხში. მხოლოდ სასიკეთო იყო ეს გარდაქმნა; ყველა მზად იყო იმ დიდი საქმეებისათვის,

მომავალში რომ იყო გასაკეთებელი. საულის თითქმის ნახევარ მილიონამდე ყოფილი ქვეშევრდომი შეიკრიბა ხებრონსა და მის შემოგარენში. მთელი ფერდობები და გორაკები ხალხით იყო მოფენილი. დაინიშნა დრო მეფედ ცხებისათვის; კაცი, რომელიც საულის სახლიდან განდევნეს და საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად მთა-ხეობებსა და გამოქვაბულებში იმალებოდა, ახლა უდიდესი პატივით და ღირსებით უნდა აღზევებულიყო თავისი ხალხის წინაშე. მღვდელმსახურნი და უხუცესნი, სამღვდელო შესამოსელში გამოწყობილნი, მთავრები და მეომრები ელვარე ხმლებითა და მუზარადებით, შორეული კუთხეებიდან მოსული უამრავი ადამიანი - ყველა აქ შეიკრიბა, რათა მეფედ ცხების ცერემონიას დასწრებოდა. მეფური სამოსელი ემოსა დავითს. წმიდა ზეთი სცხო მღვდელმთავარმა მის შუბლს, ვინაიდან სამუელის მიერ დავითის ცხება წინასწარმეტყველება იყო იმისა, რასაც დავითის მეფედ ცხების დროს ექნებოდა ადგილი. დადგა დრო და საზეიმოდ აკურთხეს დავითი ღმერთის რჩეულ მსახურად. სამეფო კვერთხი მისცეს ხელთ. განსაკუთრებულმა დოკუმენტმა დაადასტურა მისი უზენაესი ხელმწიფება და ხალხმაც ერთგულება შეჰფიცა მას. თავზე მონარქის გვირგვინი დაადგეს და ცხების ცერემონიაც დასრულდა. ამიერიდან ისრაელს უფლის მიერ განწესებული მეფე ჰყავდა. მოთმინებით ელოდა დავითი მის მიმართ უფლის სიტყვით აღთქმულის აღსრულებას. „სულ მაღლა და მაღლა მიდიოდა დავითი და უფალი, ცაბაოთ ღმერთი მასთან იყო" /2 მეფ. 5:10/.

[702]

თავი 70 - დავითის მეფობა

მეორე მეფეთა 5:6-25; 6; 7; 9; 10

ისრაელის სამეფო ტახტზე ასვლისთანავე ქვეყნის დედაქალაქისათვის უფრო შესაფერისი ადგილის ძებნა დაიწყო დავითმა. ამისთვის ყველაზე მოხერხებულ ადგილად ხებრონიდან ოცი მილით დაშორებული სოფელი მიიჩნია. იორდანეზე იესო ნავეს ძის გადასვლამდე შალემი ერქვა ამ ადგილს. სწორედ იმ ადგილებში დაუმტკიცა აბრაამმა ერთგულება უფალს. დავითის მეფედ ცხებამდე რვაასი წლით ადრე უზენაესის მღვდელმთავარი, მელქიცედეკი ცხოვრობდა აქ. ქვეყნის შუაგულში, მაღლობზე მდებარე შალემი გორაკებით იყო ყოველი მხრიდან გარშემორტყმული. ბენიამინისა და იუდას წილხვდომილი მიწების საზღვარზე მყოფი ეს ადგილი ეფრემის მიწასთანაც ახლოს იყო. და აქედან ისრაელის დანარჩენი ტომებისაკენ ყველაზე მოსახერხებელი გზა მიდიოდა.

შალემის დასაკუთრებისათვის ებრაელებს უნდა აეყარათ აქ დარჩენილი ქანაანელნი, რომლებიც სიონისა და მორიას

მთებზე, ციხე-სიმაგრეებში ცხოვრობდნენ. იებუსის სახელით იყო ცნობილი ეს ადგილები, მის მკვიდრთ კი იებუსეველნი ეწოდებოდათ. იებუსი მიუვალ ადგილად ითვლებოდა საუკუნეთა განმავლობაში. მაგრამ ებრაელებმა ალყა შემოარტყეს და შეძლეს მისი აღება. სწორედ აქ გამოვლენილი მამაცობისა და გამჭრიახობისათვის დაინიშნა იოაბი ისრაელიანთა ლაშქრის მხედართმთავრად. იებუსი ისრაელის დედაქალაქად აქციეს, მისი წარმართული სახელის ნაცვლად კი იერუსალიმი უწოდეს.

ხმელთაშუა ზღვის ნაპირზე მდებარე მდიდარი ქალაქის, ციდონის, მეფემ, ხირამმა, ისრაელის მეფესთან მტკიცე კავშირის შეკვრის მიზნით, სამშენებლო მასალები გაუგზავნა დავითს იერუსალიმში სასახლის ასაგებად. „გამოუგზავნა ხირამმა, ციდონის მეფემ, დავითს მოციქულები, ფიჭვის ძელები, ხუროები, ქვისმთლელები" და გაიჭიმა გზაზე კედარის ხითა და სხვა ძვირფასი მასალით დატვირთული ურმები.

დავითის სამეფოს განმტკიცება მისივე მმართველობით, იებუსის დაპყრობა, ხირამთან, ციდონის მეფესთან, ურთიერთობის დამყარება - ყოველივე ეს გახდა მიზეზი ისრაელის მიმართ ფილისტიმელთა მტრული განწყობისა; და შეიჭრნენ ფილისტიმელნი ისრაელის მიწაზე ურიცხვი მხედრობით და რეფაიმის ველზე, იერუსალიმის მახლობლად, განლაგდნენ. დავითი და მისი ხალხი კი სიონში, ციხე-სიმაგრეში გამაგრდნენ და იქ დაელოდნენ უფლისაგან

მითითებებს. „დაეკითხა დავითი უფალს: გავილაშქრო ფილისტიმელებზე? ჩამიგდებ ხელში მათ? მიუგო უფალმა დავითს: გაილაშქრე, რადგან ხელში ჩაგიგდებ ფილისტიმელებს".

მყისვე ჩაება ბრძოლაში დავითი, დაამარცხა და გაწყვიტა მტერი, წამოიღო მისი კერპები, რომელთა დახმარებითაც გამარჯვების იმედი ჰქონდათ ფილისტიმელებს. ამ დამარცხებით დამცირებულმა ფილისტიმელებმა უფრო დიდი ლაშქარი შეკრიბეს, ბრძოლის ველზე დაბრუნდნენ და კვლავ რეფაიმის ველზე დაბანაკდნენ. კვლავ მიმართა დავითმა უფალს და უზენაესი, რომელმაც წარმოთქვა: „მე ვარ", თავად გაუძღვა ისრაელიანთა ლაშქარს.

ასე ურჩია უფალმა დავითს: „პირისპირ ნუ მიეჭრები. უკან მოუარე და ფიჭვნარის მხრიდან მიადექი. როგორც კი ფიჭვების კენწეროებიდან შრიალის ხმა შემოგესმება, იმწამსვე შეიმართე, რადგან სწორედ მაშინ წაგიძღვება უფალი ფილისტიმელთა ბანაკის შესამუსრავად". მას რომ, საულის მსგავსად, უფლისათვის ყური არ ეგდო და თავისი გზით ევლო, წარმატებას ვერ

[703]

[704]

მიაღწევდა, მაგრამ უსმინა უფალს და „ისე მოიქცა დავითი, როგორც ღმერთმა დაარიგა და გაბაონიდან გაზრამდე მუსრი გაავლო ფილისტიმელთა ურდოს. დავითმა მთელ ქვეყანაზე გაითქვა სახელი და უფალმა მისი შიში მისცა ყველა ხალხს" /1 ნეშტ. 14:16,17/.

განმტკიცდა ისრაელზე დავითის ხელმწიფება და მტერიც ვეღარ ბედავდა მის მიწაზე თავდასხმას. და მაშინ გადაწყვიტა დავითმა, ხორცი შეესხა თავისი დიდი ხნის ოცნებისათვის - უფლის კიდობანი იერუსალიმში გადმოეტანა, რომელიც მრავალი წელი კირიათ-იეყარიმში იმყოფებოდა, იერუსალიმიდან ცხრა მილის დაშორებით. კიდობნის დაბრუნება მათ შორის უფლის ყოფნის დასტური იქნებოდა და ამ ნიშნით დედაქალაქი უნდა განდიდებულიყო.

ოცდაათი ათასი რჩეული კაცი შეკრიბა დავითმა დიდებულ და საზეიმო ცერემონიაში მონაწილეობის მისაღებად. სიხარულით მიიღო ხალხმა ეს მოწვევა. მღვდელმსახურნი, მთავრები და გვარის უხუცესნი - ყველანი კირიათ-იეყარიმში შეგროვდნენ. წმიდა გულმოდგინებას შეეპყრო დავითი. გამოიტანეს

კიდობანი ამინადაბის სახლიდან, შედგეს ახალ, ხარებშებმულ ურემზე, რომელსაც თან გაჰყვა ამინადაბის ორი ვაჟი.

მხიარული შეძახილებითა და საგალობლების მღერით მიჰყვებოდნენ უკან კიდობანს ისრაელიანთა თავკაცნი, ურიცხვი ხმა მუსიკას ერწყმოდა; „დავითი და მთელი ისრაელის სახლი უკრავდნენ უფლის წინაშე... ქნარებს, ბობღნებს, დაფდაფებს, ჩანგებსა და წინწილებს". რამდენი ხანია, არ უნახავს ისრაელს ასეთი ზეიმი! უზარმაზარი პროცესია ყიჟინით შეეფინა მდელოებსა და გორაკებს და იერუსალიმისაკენ გაემართა.

მაგრამ, „როცა ნაქონის კალოსთან მივიდნენ, ხელი შეაშველა ყუზამ ღვთის კიდობანს, რადგან კინაღამ გადმოაგდეს იგი ხარებმა. აღიგზნო უფლის რისხვა ყუზას მიმართ და იქვე დასცა იგი ღმერთმა ამ ხელყოფისთვის, და იქვე მოკვდა იგი ღვთის კიდობანთან". უეცარმა შიშმა მოიცვა ყველა. განცვიფრდა დავითიც; შეშფოთდა ფრიად და გულის სიღრმეში დაეჭვდა კიდეც უფლის სამართლიანობაში. სურდა, ღირსეული პატივი მიეგო მათ შორის უფლის ყოფნის სიმბოლოსათვის. რატომ დაუშვა უფალმა ასეთი საშინელი სამსჯავრო, რომელმაც საყოველთაო მხიარულება და ზეიმი მწუხარებითა და გლოვით შეცვალა? - ფიქრობდა იგი. იგრძნო რა, რომ საშიშია კიდობნის თავისთან დატოვება, მისი ძველ ადგილზე დაბრუნება

მოისურვა დავითმა. ამ მიზნით იქვე, ახლოს გეთელი ყობედ-ედომის სახლი მოძებნა.

ყუზა უფლის უმკაცრესი ბრძანების დარღვევისათვის დაისაჯა. მოსეს მეშვეობით განსაკუთრებული მითითება მისცა უფალმა ისრაელიანებს კიდობნის ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანის შესახებ. მღვდლების, აარონის შთამომავლების გარდა, არავის ჰქონდა უფლება, მიჰკარებოდა კიდობანს ან შეეხედა მისთვის, თუკი მას ზემოდან რაიმე არ ჰქონდა გადაფარებული. ასეთი იყო უფლის ბრძანება: „მოვლენ კეჰათიანები მის წასაღებად. ოღონდ არ უნდა მიეკარონ საწმიდარს, რომ არ დაიხოცონ" /რიცხ. 4:15/. მღვდლებს უნდა დაეფარათ მოწმობის კიდობანი, კეჰათიანებს კი უნდა აეწიათ და ეტარებინათ იგი რგოლებში გაყრილი კეტებით, რომელთა გამოძრობაც არ შეიძლებოდა. გერშონიანთა და მერარიანთა საგვარეულოებს, რომელნიც მოვალენი იყვნენ, ეზრუნათ სავანის გადასაფარებლებზე, ფარდებზე, ბოძებზე და საწმიდრის სხვა ნივთებზე, ურემი და ხარები მისცა მოსემ ამ ნივთების სატარებლად; „კეჰათიანებს არ მისცა, რადგან საწმიდარის სამუშაო ჰქონდათ დაკისრებული, მხრებით უნდა ეტარებინათ " /რიცხ. 7:9 - ხაზგასმულია ავტორის მიერ/. ამრიგად, კირიათ-იეყარიმიდან უფლის საწმიდრის წამოღებისას დაირღვა უფლის ბრძანება, რაც მიუტევებელ ცოდვად ითვლებოდა.

[705]

წმიდა მსახურებისათვის შეიკრიბნენ დავითი და მისი ხალხი, გულწრფელი სიხარულით აკეთებდნენ ყველაფერს, მაგრამ არ შეეძლო უფალს ამ მსახურების მიღება, რადგან მის მითითებებს არ მისდიეს ისრაელიანებმა. როდესაც ფილისტიმელებმა, რომლებმაც უფლის რჯული არ იცოდნენ, ებრაელებს კიდობანი ურმით დაუბრუნეს, უფალი არ წასულა ამის წინააღმდეგ. მაგრამ ებრაელებმა ხომ კარგად იცოდნენ უფლის ნება ამ საკითხთან დაკავშირებით. ამიტომ შეურაცხყვეს მათ უფალი თავისი ასეთი ქცევით. მეტად თვითდაჯერებული აღმოჩნდა ყუზა. უფლის რჯულის დარღვევამ მთლად დაავიწყა მისი სიწმიდე, არ მოინანია და, მიუხედავად ღვთიური აკრძალვისა, გაბედა და მათ შორის უფლის ყოფნის სიმბოლოს ხელით შეეხო. არ ღებულობს უფალი არც ნაწილობრივ მორჩილებას და არც მისი მცნებებისადმი დაუდევარ დამოკიდებულებას. ყუზას დასჯით მას სურდა, მთელი ისრაელისათვის ეჩვენებინა მის მოთხოვნათა მკაცრად დაცვის აუცილებლობა. ამგვარად, ერთი კაცის სიკვდილს შეეძლო, მონანიებამდე მიეყვანა მთელი ერი და დაღუპვისაგან გადაერჩინა მრავალი ათასი ადამიანი.

დავითიც გრძნობდა, რომ მთლად მართალი არ იყო ღვთის წინაშე, ამიტომ ყუზას ამგვარად დასჯამ დიდად შეაშინა იგი, - რომელიმე ცოდვისათვის მასაც იგივე ბედი არ სწეოდა. თუმც შიშითა და თრთოლვით, მაგრამ ყველა მორჩილისადმი

ღვთიური წყალობის საწინდრად მიიღო გეთელმა ყობედ-ედომმა ეს წმიდა სიმბოლო. მთელი ისრაელის ყურადღება მისი სახლისკენ იყო მიპყრობილი. ყველას აინტერესებდა, რა მოუვიდოდა მას. „და აკურთხა უფალმა ყობედ-ედომი და მთელი მისი კარ-მიდამო".

ღრმად შეიგრძნო დავითმა უფლის მხილება. ახლა ისე, როგორც არასდროს, მიხვდა იგი უფლის რჯულის სიწმიდეს და მისდამი მკაცრი მორჩილების აუცილებლობას. ყობედ-ედომის სახლზე გაწეულმა წყალობამ იმედი გაუღვიძა დავითს, რომ კიდობანი კურთხევას მოუტანს მასაც და მის ხალხსაც.

მხოლოდ სამი თვის შემდეგ გადაწყვიტა დავითმა კიდობნის გადატანა, მაგრამ ახლა შეეცადა, ღვთიური მითითებების ყოველი წვრილმანი გაეთვალისწინებინა. კვლავ უხმეს ერის უხუცესთ; გეთელის სახლის მახლობლად უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. მოწიწებით დაუდგეს კიდობანი მხრებზე ამ საქმისათვის ღვთისაგან არჩეულ კაცებს და მღელვარე ადამიანთა გრძელი პროცესია დაიძრა. ექვსი ნაბიჯი გადადგეს და საყვირის ხმამ ყველა ადგილზე შეაყოვნა. ბრძანება გასცა დავითმა, ყოველ ექვს ნაბიჯზე თითო ხარი და ნაპატივები ვერძი შეეწირათ უფლისთვის მსხვერპლად. სიხარულმა და მხიარულებამ შეცვალა დარდი და შიში. სამეფო ტანსაცმელი გაიხადა მეფემ, უბრალო სელის ეფოდი გადაიცვა, ისეთი, მღვდლები რომ ატარებდნენ. ამით მღვდლების

უფლებამოსილების მისაკუთრება როდი სურდა, ვინაიდან ეფოდს ზოგჯერ სხვებიც იცვამდნენ. მეფეს ღვთის წინაშე თავის ქვეშევრდომებთან თანასწორად სურდა ამ წმიდა მსახურებაში მონაწილეობის მიღება. ამ უდიდესი დღესასწაულის დღეს მხოლოდ იეჰოვა უნდა განდიდებულიყო.

პროცესია ნელ-ნელა წინ მიიწევდა. უამრავი ადამიანის ხმა ერწყმოდა ქნარების, ბობღნების, დაფდაფების, ჩანგებისა და წინწილების ხმას. „რაც ძალი და ღონე ჰქონდა როკავდა დავითი უფლის წინაშე", სიმღერების ტაქტს აყოლებდა ცეკვას.

ამქვეყნიურ სიამტკბილობათა მოტრფიალეთ თანამედროვე ხალხმრავალი საცეკვაო შეკრებების გამართლების არგუმენტად ხშირად მოჰყავთ უფლის წინაშე მოწიწებული სიხარულით აღვსილი დავითის ცეკვა, თუმცა ამისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობს. ჩვენს დღეებში ცეკვა უაზრობასთან და ღამის გართობებთანაა დაკავშირებული. დღეს გართობებს ეწირება ჯანმრთელობა და ზნეობა. საცეკვაო დარბაზში შეკრებილი მოცეკვავენი სულაც არ ფიქრობენ

[706]

[707]

ღმერთზე და არც მოწიწებით ეპყრობიან მას. ასეთი შეკრებებისათვის უჩვეულოა ფსალმუნთა გალობა და ლოცვა. სიმტკიცის გამოჩენაა საჭირო ამ ცდუნებისას. ქრისტიანებს არ შეჰფერით და არც უნდა მიიღონ იმ გართობებში მონაწილეობა, რომელიც ასუსტებს ყოველგვარი სიწმიდისა და უფლის მსახურებისადმი ჩვენს სიყვარულს. უფლის საწმიდრის გადაადგილებისას უფლის სადიდებელ როკვასა და მუსიკას არაფერი ჰქონდა საერთო თანამედროვე არასერიოზულ გართობებთან და დღევანდელ ცეკვებთან. პირველი უზენაესის გახსენებას და მისი სახელის განდიდებას ემსახურებოდა, მეორე კი სატანის ხრიკებია, ადამიანს ღმერთს რომ ავიწყებს და შეურაცხყოფს მის წმიდა სახელს.

დედაქალაქს მიუახლოვდა პროცესია, რომელსაც თავისი უხილავი მეუფის წმიდა სიმბოლო მიუძღოდა წინ. შემდეგ კი აზვირთდა სიმღერა - ბრძანება კედლებზე მდგომი გუშაგებისადმი, გაეღოთ წმიდა ქალაქის კარიბჭე:

„მაღლა ასწიეთ კარიბჭეებო თქვენი თავები,

და აიწიეთ, კარნო მარადნო,

რომ შემოვიდეს მეფე დიდებისა!"

მგალობელთა და მუსიკოსთა ერთი ნაწილი ეკითხებოდა:

„ვინ არის ეს მეფე დიდებისა?"

სხვები პასუხობდნენ:

„უფალი მტკიცე და ძლიერი,

უფალი - ომში ძლევამოსილი".

და ათასობით ხმა ერწყმოდა ერთმანეთს საზეიმო გალობაში:

„მაღლა ასწიეთ კარიბჭეებო თქვენი თავები

და აიწიეთ, კარნო მარადნო,

რომ შემოვიდეს მეფე დიდებისა!"

და კვლავ ისმოდა საზეიმო შეძახილები:

„ვინ არის მეფე დიდებისა?"

და უამრავ ადამიანთა ხმები, „წყალთა მრავალთა" ხმაურის მსგავსად, საზეიმოდ იმეორებდნენ:

„უფალი ძალთა. ის არის მეფე დიდებისა!"

/ფს. 23:7-10/.

მაშინ გაიხსნა კარიბჭე, პროცესია ქალაქში შევიდა და მოწიწებითა და შიშით მოათავსეს კიდობანი სპეციალურად მომზადებულ კარავში. ხელშეუხებელი ფარდის წინ სამსხვერპლო აღმართეს; აღსავლენის, სამადლობელი მსხვერპლისა და საკმევლის სურნელება, მთელი ისრაელის სახოტბო საგალობლებსა და ლოცვებთან ერთად, ცას სწვდებოდა. მსახურება დამთავრდა და მეფემ თავად აკურთხა ხალხი; შემდეგ კი მეფური სიუხვით გასცა საკვები და ღვინო თითოეულის დასანაყრებლად.

[708]

ისრაელიანთა ყველა შტო ესწრებოდა ამ ცერემონიას, ყველაზე წმიდა ზეიმს დავითის მეფობის აღსანიშნავად. ღვთის სული გარდმოსულიყო დავითზე. ჩამავალი მზის უკანასკნელმა სხივებმა გააბრწყინა კარავი და ღმერთისადმი საოცარი მადლიერების გრძნობით აევსო მეფეს გული იმის გამო, რომ მისი დიდების კურთხეული სიმბოლო ახლა უკვე ასე ახლოს იყო ისრაელის ტახტთან.

„თავისი სახლის დასალოცად" ბრუნდებოდა სასახლეში ღრმად ჩაფიქრებული დავითი. მაგრამ იქ იყო ვიღაც, ვინც სულ სხვა გრძნობებით, ვიდრე ეს დავითის გულს ამოძრავებდა, უთვალთვალებდა ამ სიხარულის ზეიმს. „როცა უფლის კიდობანი შევიდა დავითის ქალაქში, სარკმლიდან გადმოხედა საულის ასულმა მელქოლამ, დაინახა უფლის წინაშე მოხტუნავე და მროკველი დავითი და დასცინა მას თავის გულში". არც დაელოდა მეფის სასახლეში შესვლას, განრისხებული გამოვიდა მასთან შესახვედრად და თავაზიან მისალმებაზე პასუხად მწარე სიტყვები შეაგება; რა მწარე ირონია და დაცინვა იგრძნობოდა მათში:

„როგორ განდიდდა დღეს ისრაელის მეფე, რომ გაშიშვლდა დღეს თავის მორჩილთა და მხევალთა თვალწინ, როგორც შიშვლდება ხოლმე ქარაფშუტა ვინმე!"

მიხვდა დავითი, რომ უფლის მსახურებისადმი სიძულვილი ალაპარაკებდა მელქოლას, ამიტომ მკაცრად უპასუხა: „უფლის

წინაშე, რომელმაც მამჯობინა მამაშენს და მთელს მის სახლს, როცა დამადგინა უფლის ერის, ისრაელის წინამძღოლად, უფლის წინაშე სიხარულით ვიროკებ. რაც უფრო დავმცირდები და დავმდაბლდები ჩემს თვალში, მით უფრო დიდებული გამოვჩნდები მხევალთა წინაშე, მათ წინაშეც კი, შენ რომ ახსენე". დავითის მხილებასთან ერთად უფალმაც დასაჯა ეს ქალი სიამაყისა და ამპარტავნობისათვის. „მელქოლას... არ ჰყოლია შვილი სიკვდილის დღემდე".

საწმიდრის გადატანის საზეიმო ცერემონიამ უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ისრაელიანებზე, გულწრფელი ინტერესი გაუღვიძა მათ წმიდა მსახურების მიმართ და ახალი ძალით აგრძნობინა იეჰოვასადმი სიყვარული. მის ხელთ არსებული ყველა საშუალების გამოყენებას ცდილობდა დავითი ამ გრძნობის გასაღრმავებლად. ფსალმუნების გალობა რელიგიური ღვთისმსახურების ნაწილი იყო და დავითიც თხზავდა ფსალმუნებს არა მხოლოდ მღვდელმსახურთათვის, რომლებიც საწმიდარში მსახურებისას გალობდნენ მათ, არამედ უბრალო ადამიანთათვის, რათა სიმღერითა და ზარ-ზეიმით მიახლებოდნენ ისრაელის საწმიდარს ყოველწლიურ დღესასწაულებზე. ყოველივე ამან ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე და კერპთაყვანისმცემლობის დატოვებაში შეუწყო ხელი. ირგვლივ მცხოვრებმა ტომებმაც უფრო ხშირად იწყეს ფიქრი ებრაელთა ღმერთზე, რომელმაც თავისი ერისათვის ასეთი დიდი საქმეები გააკეთა.

მოსეს მიერ აგებული საწმიდარი მთელი თავისი მოწყობილობით, წმიდა კიდობნის გარდა, ჯერ კიდევ გიბყაში იმყოფებოდა. იერუსალიმის სახალხო რელიგიურ ცენტრად გადაქცევა მოისურვა დავითმა. თავისთვის დიდი სასახლე ააგო მეფემ და იგრძნო, რომ ღვთის კიდობანს კარავში ყოფნა არ შეეფერებოდა. ისრაელის უზენაესი მეფისა და მბრძანებლის, უფლის დიდების პატივსაყოფად დიდებული ტაძრის აგება გადაწყვიტა დავითმა. თავისი ჩანაფიქრი ღვთის წინასწარმეტყველს, ნათანს, გაუზიარა და გამამხნევებელი პასუხიც მიიღო: „გააკეთე ყველაფერი, რაც გულში გაქვს, რადგან შენთანაა უფალი" /2 მეფ. 7:3/.

მაგრამ იმავე ღამით უფალმა ნათანს თავისი ნება ამცნო: არ ეძლეოდა დავითს ტაძრის აშენების უპირატესობა, ღვთიური წყალობა კი აღუთქვა უფალმა მას, მის შთამომავლობას და მთელს ისრაელის სამეფოს: „ასე

[711]

[712]

ამბობს-თქო ცაბაოთ უფალი: ფარეხიდან, ცხვრის ფარიდან წამოგიყვანე, რომ ჩემი ერის, ისრაელის, წინამძღოლი ყოფილიყავი. ყველგან შენთან ვიყავი, სადაც კი გივლია; მინადგურებია შენი მტრები შენს წინაშე; განმიდიდებია შენი სახელი, მსგავსად დიდებულთა სახელისა ამ ქვეყანაზე. ადგილი დავუდგინე ჩემს ერს, ისრაელს, და დავაფუძნე იგი. ახლა თავისთვის იცხოვრებს უშიშრად და ბოროტმოქმედნი აღარ შეიჭირვებენ ძველებურად".

და, რადგან ძლიერ სურდა დავითს უფლისათვის სახლის აგება, უფალმა აღუთქვა: „უფალი გამცნობს შენ, რომ სახლს აგიშენებს უფალი... მე აღვადგენ შენს შემდგომად ნაშიერს, შენი საზარდულიდან გამომავალს, და მეფობას განვუმტკიცებ. ის ააშენებს სახლს ჩემი სახელისათვის და მე გავამტკიცებ მისი მეფობის ტახტს სამარადისოდ".

ისიც განუმარტა უფალმა დავითს, თუ რატომ არ მისცა ტაძრის აშენების ნება: „ბევრი სისხლი გაქვს დაღვრილი და დიდი ომები გაქვს გადახდილი, ამიტომ შენ არ ააშენებ ჩემს სახელზე სახლს... აჰა, ძე შეგეძინება და მშვიდი კაცი იქნება. ყველა მტრისაგან მოვასვენებ, ვინაიდან სოლომონი /მშვიდობიანი/ იქნება მისი სახელი და მის დღეებში მშვიდობას მივცემ ისრაელს. ის ააშენებს სახლს ჩემს სახელზე" /1 ნეშტ. 22:8-10/.

და, თუმცა არ ეწერა დავითს თავისი ყველაზე დიდი ნატვრის განხორციელება, მაინც მზადყოფნით დაემორჩილა ღვთის

ნებას. „ვინა ვარ მე, უფალო ღმერთო ჩემო, - შეღაღადა მან, - ვინ არის ჩემი სახლი, რომ აქამდე აღმაზევე! ესეც მცირე ყოფილა შენს თვალში, უფალო ღმერთო ჩემო, რომ სამომავლოდაც აღუთქვი დაპირება შენი მორჩილის სახლს!" და განაახლა დავითმა თავისი აღთქმა უფალთან.

იცოდა დავითმა, რომ ტაძრის აგება სახელს გაუთქვამდა მას და მის სამეფოსაც, მაგრამ უსიტყვოდ დაემორჩილა უფლის სიტყვას. იშვიათად შეხვდებით ქრისტიანთა შორის ასეთ მადლიერებას და მორჩილებას. რა ხშირად ვხვდებით ხოლმე უკვე ხანდაზმულ ადამიანებს, რომლებიც დიდ საქმეებზე ოცნებობენ, მათი განხორციელება კი არ ძალუძთ! შორსმჭვრეტელი უფალი კარნახობს ასეთ ადამიანებს, როგორც დავითს უკარნახა, რომ სხვას ავალებს ამ საქმის გაკეთებას და არა მათ. შესაძლოა, ამ ადამიანებმა მხოლოდ მოამზადონ გზა, რომელსაც სხვა გაივლის. მაგრამ ხშირად, იმის ნაცვლად, რომ მადლიერებით დაემორჩილონ ღვთიურ ბრძანებას, ბევრი ფარ-ხმალს ყრის, რადგან უსარგებლოდ და უარყოფილად თვლის თავს და ასე მსჯელობს: თუკი სასურველი საქმის გაკეთების ნებას არ გვაძლევენ, აღარაფერს აღარ გავაკეთებთ. სხვები კი უდიდესი მონდომებითა და გულმოდგინებით იწყებენ იმის კეთებას, რაც არ შეუძლიათ და ამაოდ ცდილობენ იმის შესრულებას, რისთვისაც ძალა არ შესწევთ. ასეთი ურჩობა დაბრკოლებებს და დიდ სიძნელეებს უქმნის უფრო მნიშვნელოვან საქმეებს.

შეთანხმებისას დავითმა შეჰფიცა იონათანს, რომ შეიწყალებს საულის სახლს, როგორც კი მტრებისგან გათავისუფლდება. მუდამ ახსოვდა თავისი ფიცი განდიდებულ და აღზევებულ მეფეს. და ერთხელაც იკითხა: „ხომ არ დარჩენილა ვინმე საულის სახლიდან, რომ წყალობა ვუყო იონათანის გულისთვის?" მოახსენეს იონათანის ძის, მეფიბოშეთის, შესახებ, ფეხმტკივანი რომ იყო ბავშვობიდან. იზრეყელის ველზე ფილისტიმელებთან ბრძოლაში საულის დამარცხების შემდეგ, ძიძას, რომელიც ბავშვის გადამალვას ცდილობდა, იგი შემთხვევით ხელიდან გაუვარდა და ბავშვი დაკოჭლდა. სასახლეში იხმო დავითმა ყმაწვილი და დიდებული შეხვედრა მოუწყო. საულის სამფლობელო დაუბრუნა იონათანის ძეს და მის სახლს საცხოვრებლად და უფლება მისცა, მეფის მუდმივი სტუმარი ყოფილიყო და ყოველდღე მეფესთან ესადილა მის

[713]

სუფრაზე. არ მოსწონდა მეფიბოშეთს დავითი: მეფის მტრებისაგან უზურპატორად და დესპოტად ჰყავდა იგი წარმოდგენილი, მაგრამ მეფის ასეთმა კეთილგანწყობამ და მის მიმართ დიდმა ყურადღებამ მოიგო ყმაწვილის გული; ძლიერ შეუყვარდა დავითი და, მამამისის მსგავსად, მთელი თავისი ცხოვრება უფლის რჩეულ მეფეს დაუკავშირა.

დიდხანს ტკბებოდა ნანატრი მშვიდობით ებრაელი ხალხი დავითის გამეფების შემდგომ. ხედავდნენ რა ისრაელის სამეფოს ძლიერებასა და ერთიანობას, ისრაელის მიმართ აშკარა მტრობისაგან თავშეკავება ამჯობინეს ირგვლივ მყოფმა ტომებმა. დავითმაც დაისვენა ომებისაგან და თავისი სამეფოს მოწესრიგებასა და კეთილმოწყობას მიჰყო ხელი. მიუხედავად ამისა, ბოლოს მაინც შეებრძოლა იგი ისრაელის ძველ მტრებს - ფილისტიმელებსა და მოაბელებს, დაამარცხა და დაიმორჩილა ისინი.

შემდგომ, დიდი კავშირი შეკრეს უცხო ტომებმა ისრაელის სამეფოს წინააღმდეგ, რაც დიდი ომებისა და დავითის უამრავი გამარჯვების საწინდარი გახდა, რამაც უფრო განამტკიცა მისი ძლიერება. არ მიუცია დავითს ამ კავშირის შეკვრის რაიმე საბაბი მოწინააღმდეგისათვის. მისი მზარდი ძლიერებისადმი შურით იყო გამოწვეული ყოველივე ეს. ამას ხელი შემდეგმა ვითარებებმა შეუწყო.

იერუსალიმს მოვიდა ამბავი ყამონიანთა მეფის, ნახაშის, სიკვდილის შესახებ, რომელმაც თავის დროზე შეიფარა მრისხანე საულისაგან დევნილი დავითი. მისთვის მძიმე ჟამს გაწეული სიკეთისა და თანადგომისათვის მადლიერების ნიშნად და ამ მწუხარებაში თანაგრძნობის გამოსახატავად ელჩები გაუგზავნა დავითმა ხანუნს, ყამონიანთა მეფის ძესა და

მემკვიდრეს: „თქვა დავითმა: წყალობას ვუყოფ ხანუნ ნახაშის ძეს, როგორც მამამისი მწყალობდა მე".

მაგრამ არასწორად გაიგეს ყამონელებმა მისი კეთილი განზრახვა. სძულდა ყამონელთ ჭეშმარიტი ღმერთი. მოსისხლე მტერი იყო იგი ისრაელისა. ნახაშის დავითისადმი მოჩვენებითი კეთილგანწყობა ისრაელის მეფის, საულისადმი სიძულვილით იყო გამოწვეული მხოლოდ. ყამონიანთა მეფის კარის მოხელეებმა არასწორად ახსნეს დავითის თანაგრძნობა. „უთხრეს ყამონიანთა მთავრებმა ხანუნს, თავიანთ ბატონს: ნუთუ მამაშენის პატივისცემის გამო გიგზავნის დავითი ნუგეშისმცემლებს? იქნებ იმისთვის გამოგიგზავნა დავითმა თავისი ხალხი, რომ დაზვეროს ქალაქი, მიათვალ-მოათვალიეროს და მერე დააქციოს". ნახევარი საუკუნის წინ თავისი სასახლის კარის მოხელეთა რჩევით საშინელი, უმოწყალო პირობა დაუდო ნახაშმა გალაადის იაბეშის მცხოვრებთ მაშინ, როცა ისინი, ყამონელთა ალყაში მოქცეულნი, მშვიდობას ითხოვდნენ. მაშინ ბრძანა ნახაშმა, რომ ყოველი მათგანისათვის მარჯვენა თვალი ამოეთხარათ. ისიც კარგად ახსოვდათ ყამონელებს, თუ როგორ შეუშალა ხელი ისრაელის მეფემ მათ სასტიკ განზრახვას და იხსნა ხალხი, რომლის დამონება და განადგურებაც სურდათ. არ განელებიათ გულში სიძულვილი ისრაელის მიმართ. ვერ ჩასწვდნენ ისინი დავითის გულის კეთილშობილებას, რამაც აიძულა მეფე, თანაგრძნობა გამოეხატა. როდესაც სატანა ადამიანთა გონებას იპყრობს, იგი შურსა და ეჭვს იწვევს მათში, რათა არასწორად ახსნან ყველაზე

კეთილი ზრახვანი. დაუჯერა მრჩევლებს ხანუნმა, მსტოვრებად მიიღო დავითის ხალხი, დასცინა და შეურაცხყო ისინი.

უფლის ნება იყო იმაში, რომ ყამონელებმა სრულად გამოამზეურეს თავისი ბოროტი ზრახვანი, რათა მათი ჭეშმარიტი არსი დაენახა დავითს. უფლის ნება იყო ისიც, რომ ისრაელს არ ჰქონოდა რაიმე კავშირი ამ სასტიკ, კერპთაყვანისმცემელ ხალხთან.

ძველ დროში, ისევე, როგორც დღეს, ელჩების მისია წმიდად ითვლებოდა.

[714]

ხალხთა მიერ საზოგადოდ იყო დადგენილი ელჩების ძალადობისა და ყოველგვარი შეურაცხყოფისაგან დაცვა. ელჩი თავისი სახელმწიფოს წარმომადგენელი იყო და მისი ყოველი შეურაცხყოფა სათანადო შურისგებას მოითხოვდა. კარგად იცოდნენ ყამონელებმა, რომ მათ მიერ მიყენებული ეს შეურაცხყოფა უცილობელ შურისძიებას გამოიწვევდა და ომისათვის მოემზადნენ. „დაინახეს ყამონიანებმა, რომ თავი შეაძულეს დავითს. გაგზავნეს ხანუნმა და ყამონიანებმა ათასი

ქანქარი ვერცხლი ეტლებისა და მხედრების დასაქირავებლად შუამდინარელი არამელებისგან და მაყაქასა და ცობას არამელებისგან. იქირავეს ოცდათორმეტი ათასი ეტლი... ყამონიანები კი ერთად შეიყარნენ და საომრად გამოემართნენ" /1 ნეშტ. 19:6,7/.

ჭეშმარიტად ძლიერი იყო ამ ხალხთა კავშირი. ყამონელებს შეუერთდნენ მდინარე ევფრატსა და ხმელთაშუა ზღვას შორის მცხოვრები ტომები. ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან მტრის გაერთიანებულმა ტომებმა შემოარტყეს ალყა ქანაანს, რათა მიწასთან გაესწორებინათ ისრაელიანთა სამეფო.

არ აცალეს ებრაელებმა მტერს მათ მიწაზე შემოჭრა. ისრაელიანთა მხედრობამ იოაბის ხელმძღვანელობით იორდანე გადალახა და ყამონიანთა დედაქალაქისაკენ დაიძრა. მხედართმთავარი ბრძოლისათვის გამზადებული მეომრების გამხნევებას ცდილობდა: „გამაგრდი და მტკიცედ იდექი ჩვენი ხალხისათვის და ჩვენი უფლის, ჩვენი ღმერთის ქალაქებისათვის, უფალმა ქმნას, რაც ენებოს" /1 ნეშტ. 19:13/. პირველივე შეტაკებისას დაამარცხეს მოწინააღმდეგის გაერთიანებული ძალები, მაგრამ შემდეგ წელს, გამარჯვების იმედით, მტერმა კვლავ განაახლა საბრძოლო მოქმედებანი. არამის მეფემ მთელი თავისი ლაშქრობა შეკრიბა და უზარმაზარი არმიით დაემუქრა ისრაელს. იცოდა რა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ბრძოლის შედეგს, დავითი თავად ხელმძღვანელობდა მას და, უფლის

დახმარებით, სრულად გაანადგურა მტრის ჯარი, ასე რომ, არამელებმა - ლიბანიდან ევფრატამდე - არა თუ ომი წააგეს, არამედ ისრაელიანთა მოხარკენიც კი გახდნენ. წარმატებით გაიმარჯვა დავითმა ყამონელებზეც და მთელი მიწა ისრაელის მფლობელობაში გადავიდა.

საშიშროება, რომელიც მთელ ერს დაღუპვას უქადდა, უფლის განგებით ისრაელის სამეფოსათვის არნახული ძლიერების მიღწევის საშუალებად იქცა. ამ დიდებული ხსნის აღსანიშნავად მღეროდა დავითი:

„უკვდავია უფალი და დიდებულია სიმაგრე ჩემი!

და ამაღლდება ღმერთი - ჩემი მშველელი.

ღმერთი, რომელიც შურს იძიებს ჩემთვის

და მიმორჩილებს ერებს.

ჩემო მხსნელო მტრებისაგან!

შენ ამამაღლე მათზე,

ვინც აღმდგარია ჩემს წინააღმდეგ!

და უკეთური კაცისაგან მიხსენი.

ამისათვის გადიდებ ერებში, უფალო,

და შენს სახელს ვუგალობებ.

ამრავლებს შველას მეფისათვის

და წყალობას თავისი ცხებულისათვის

- დავითისა და მისი მოდგმისათვის

- უკუნითი უკუნისამდე"

/ფს. 17:47-51/.

[715]

[716]

დავითის ყოველი ფსალმუნი გამსჭვალულია რწმენით, რომ იეჰოვა - ხალხის მხსნელი და საყრდენია. იგივე აზრი შთაიბეჭდა ისრაელიანთა ერმა გონებაში:

„მეფეს ვერ უშველის ჯარის სიმრავლე,

გმირს ვერ იხსნის დიდი ძალა.

უიმედოა ცხენი შველისათვის

და თავისი ჯარების სიმრავლე ვერ იხსნის"

/ფს. 32:16,17/.

„შენ ხარ ის, ხელმწიფეო ჩემო, ღმერთო;

უბოძე შველა იაკობს.

შენით დავამარცხებთ ჩვენს მტრებს;

შენი სახელით გავთელავთ,

ვინც აღდგება ჩვენს წინააღმდეგ.

რადგან ჩემს მშვილდზე არა ვარ დანდობილი

და ჩემი მახვილი არ დამიხსნის.

არამედ შენ გვიხსნი ჩვენი მტრებისაგან

და ჩვენს მოძულეებს შეარცხვენ"

/ფს. 43:5-8/.

„ზოგნი ეტლებით და ზოგნი ცხენებით,

ჩვენ კი ჩვენი ღმერთის სახელს ვიხსენებთ"

/ფს. 19:8/.

ახლა აუსრულდა ისრაელის სამეფოს ღვთიური აღთქმა, რომელიც ერთ დროს მიეცა აბრაამს, შემდგომ კი მოსემ გაიმეორა: „შენი შთამომავლობისთვის მიმიცია ეს ქვეყანა ეგვიპტის მდინარიდან დიდ მდინარემდე - ევფრატის მდინარემდე" /დაბ. 15:18/. ძლიერ ერად იქცა ისრაელი. ეშინოდათ მისი და აფასებდნენ ირგვლივ მყოფი ტომები. დიდი იყო დავითის ზეგავლენა თავის ქვეშევრდომებზე. სამეფოს კარგი მმართველი იყო დავითი, მისი ერთგული იყო მთელი ერი, ძლიერ უყვარდათ იგი. იშვიათად თუ მოსწრებია რომელიმე მეფე ამგვარ პატივს. განადიდა დავითმა უფლის სახელი და ღმერთმაც ააღზევა იგი.

მაგრამ კეთილდღეობას ყოველთვის ემუქრება რაიმე საფრთხე. სწორედ ყველაზე დიდი ტრიუმფის დროს აღმოჩნდა მეფე უდიდესი საშიშროების წინაშე და იგემა სამარცხვინო მარცხი.

თავი 71 - დავითის ცოდვა და მისი მონანიება

მეორე მეფეთა 11; 12

მეტად თავშეკავებულია ბიბლია ადამიანის ქებისას. ნაკლებად მოიხსენიებს იგი საუკეთესო ადამიანთა დამსახურებებსაც კი. ეს დუმილი შემთხვევითი არაა, ეს მაგალითი და გაკვეთილია ჩვენთვის. ადამიანების ყველა ღირსეული თვისება უფლის მიერ ბოძებული ნიჭია. მათი კეთილი საქმეები სრულქმნილი ხდება ღვთის მადლით იესო ქრისტეს მეშვეობით. ისინი მხოლოდ უფალზე არიან დამოკიდებულნი, ყველა კარგ საქმეს უფალს უნდა უმადლოდნენ, ამიტომ მათი საქმეების შეფასებით ჩვენ, ფაქტობრივად, ვადიდებთ ღმერთს, რადგან ადამიანები მხოლოდ იარაღს წარმოადგენენ უფლის ხელში. გარდა ამისა, მთელი ბიბლიური ისტორია გვასწავლის, რომ ძლიერ საშიშია ადამიანის შექება და განდიდება, ვინაიდან, თუკი იგი დაივიწყებს, რომ ღმერთზეა დამოკიდებული და საკუთარ ძალისხმევას დაეყრდნობა, დაცემა გარდაუვალია. ადამიანი ებრძვის მტერს, რომელიც მასზე გაცილებით ძლიერია. „რადგან ჩვენი ბრძოლა არ არის სისხლის და ხორცის წინააღმდეგ, არამედ მთავრობათა წინააღმდეგ, ხელმწიფებათა წინააღმდეგ, ამ წუთისოფლის სიბნელის მპყრობელთა წინააღმდეგ, ცისქვეშეთის ბოროტების სულთა წინააღმდეგ" /ეფეს. 6:12/. ჩვენ საკუთარი ძალებით ბრძოლა არ შეგვიძლია, ამიტომ ყველაფერი, რაც ღმერთს გვაშორებს, რასაც თვითგანდიდებისა და დამოუკიდებლობისაკენ მივყავართ, ეჭვგარეშეა, არის გზა დამარცხებისაკენ. ბიბლია ცდილობს, შთააგონოს ადამიანებს, არ ერწმუნონ ადამიანის ძალას, არამედ სრულად მიენდონ ღმერთს.

თვითდაჯერებულობამ და თვითგანდიდებამ უბიძგა დავითს დაცემის გზისკენ. დიდად აცდუნა იგი პირფერობამ, ხოტბამ და ფუფუნებამ. სხვა ტომებთან ურთიერთობამაც იქონია მასზე უარყოფითი ზეგავლენა. აღმოსავლეთის მეფეთა შორის გავრცელებული წესის თანახმად, მეფე არავითარ შემთხვევაში არ განიკითხებოდა იმ დანაშაულთა გამო, რომლებიც დაუშვებლად ითვლებოდა მისი ქვეშევრდომებისათვის. მონარქზე არ ვრცელდებოდა თავშეკავების კანონი, რომელსაც მისი ქვეშევრდომნი უნდა დამორჩილებოდნენ. ყოველივე ამან დავითს ცოდვაზე წარმოდგენა შეუსუსტა და იმის ნაცვლად, რომ იეჰოვას მინდობოდა, საკუთარ სიბრძნესა და ძალას დაეყრდნო. სატანას როგორც კი მიეცემა შესაძლებლობა, მოაშოროს ადამიანი ღმერთს - ძალისა და ძლიერების ერთადერთ წყაროს, მაშინვე ცდილობს, უწმიდური სურვილები გაუღვიძოს ადამიანის ხორციელ გულს. გულგრილად და აუჩქარებლად მოქმედებს მტერი, თავიდან - თითქმის შეუმჩნევლად, თანდათანობით. ესაა მისი საიდუმლო ქმედება, პრინციპთა სიმტკიცეს რომ უთხრის ძირს. იგი თითქმის უმნიშვნელოდ იწყება: ღვთისადმი ადამიანის ერთგულება სუსტდება, იგი თვლის, რომ სულაც არაა აუცილებელი, სრულად მიენდოს უზენაესს და წუთისოფლის ადათ-წესებისაკენ იხრება.

ყამონელებთან ბრძოლის დამთავრების წინ დავითმა ლაშქარი იოაბს ჩააბარა, თავად კი იერუსალიმში დაბრუნდა. არამელები უკვე დაიმორჩილა ისრაელმა და არც ყამონელებზე გამარჯვებაში ეპარებოდა ეჭვი. თავისი ბრძნული

მმართველობის წარმატებებისა და პატივის ნაყოფით ტკბებოდა დავითი. ხოლო იმ მომენტში, როცა მან სიფხიზლე დაკარგა და ყურადღება მოადუნა, ისარგებლა მაცდურმა და მისი გონების დაპყრობა სცადა. სწორედ ის ვითარება, რომ ასე ახლოს იყო მასთან უფალი და ასეთი უხვი წყალობა უბოძა, უნდა ყოფილიყო დავითისათვის უძლიერესი ფარი დაცემისაგან. მაგრამ განცხრომაში

[717]

[718]

მყოფი დავითი აღარ მიენდო ღმერთს, უსმინა სატანის ცდუნებას და სული ცოდვით გაიუწმიდურა. ზეცის მიერ ერის წინამძღოლად განწესებულმა, ღვთისაგან მისივე რჯულის აღსრულებისათვის არჩეულმა, თავადვე დაარღვია ამ რჯულის მოთხოვნები. მან, ვისაც ბოროტ საქმეთა ჩამდენთათვის შიში უნდა შთაენერგა, თავისი პირადი მაგალითით მათ წისქვილზე დაასხა წყალი.

მრავალი საფრთხე ელოდა დავითს თავისი სიცოცხლის ადრეულ წლებში, მაგრამ მაშინ წმიდა სინდისით შეეძლო მას ღმერთზე დაყრდნობა. უფლის ხელი ეხმარებოდა ყმაწვილს მის

წინ გახლართულ უამრავ საშიშროებათა ქსელში გზის გასაკვალად. მაგრამ ახლა, როცა შესცოდა და არ მოინანია, არც დახმარება, არც ღვთის ხელმძღვანელობა უთხოვია ზეცისათვის, პირიქით, თავად შეეცადა იმ ხიფათისაგან თავის გამოხსნას, რომელიც საკუთარი დანაშაულის გამო დაემუქრა. ბარშებაყი, რომლის სილამაზეც საბედისწერო გახდა დავითისათვის და სატანის მიერ დაგებულ მახედ იქცა, ცოლი იყო ურია ხეთელისა, მეფის ერთ-ერთი ყველაზე მამაცი და ერთგული მეომრისა. არავის შეეძლო იმის თქმა, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა ამ დანაშაულს, როცა იგი ცნობილი გახდებოდა. უფლის რჯული მრუშობაში დამნაშავის სიკვდილს ითხოვდა და ამაყ, შერცხვენილ მეომარს შეეძლო, შური ეძია, მეფე მოეკლა ან ხალხი აეჯანყებინა მის წინააღმდეგ.

მრავალჯერ სცადა დავითმა თავისი დანაშაულის კვალის დაფარვა, მაგრამ ამაოდ. სატანის ნებას დაემორჩილა იგი. ხიფათი ელოდა მეფეს, სირცხვილი და თავლაფის დასხმა, რაც სიკვდილზე უარესი იყო. სხვა ვერაფერი გამოსავალი ნახა, გარდა ერთისა... და, სასოწარკვეთილმა, მრუშობის დანაშაულს უმალ მკვლელობის ცოდვაც დაუმატა. საულის დამღუპველმა სატანამ დავითის დასაღუპავადაც არ დაიშურა ძალ-ღონე. თუმცა მათი ცდუნება სხვადასხვა იყო, მაგრამ შედეგი - ერთი, - უფლის რჯულის დარღვევა. ასე ფიქრობდა დავითი: თუ ურია ბრძოლაში მტრის ხელით მოკვდება, მეფის სახლი არაფერში იქნება დამნაშავე; ბარშებაყი გათავისუფლდება, დავითი მას

ცოლად შეირთავს, ეჭვი გაქარწყლდება და მეფის სახელიც არ შეიბღალება.

ურია თავად გახდა საკუთარი სიკვდილის მაცნე. მეფის წერილში, მას რომ იოაბთან გაატანა, ეწერა: „დააყენეთ ურია იქ, სადაც სასტიკი ბრძოლა მოგელით, და მერე მიატოვეთ, რომ გაიგმიროს და მოკვდეს". იოაბი, რომელსაც უკვე გასვრილი ჰქონდა ხელი უდანაშაულო სისხლში, უყოყმანოდ დაემორჩილა მეფის ბრძანებას და მალე ყამონელთა ხელით განიგმირა ურია.

ამ დღემდე მეფე დავითის ცხოვრების ისტორია ისეთი უმწიკვლო იყო, რომ თითქმის სწორი არ ჰყავდა. ასეა ნათქვამი მასზე: „მეფობდა დავითი მთელს ისრაელზე და წესსა და სამართალს აძლევდა მთელს თავის ხალხს" /2 მეფ. 8:15/. თავისი პატიოსნებით ხალხის ერთგულება და ნდობა მოიპოვა, მაგრამ, როცა ღმერთს განუდგა და სატანის ხელმწიფებას დაემორჩილა, ერთხანს სატანის თანაშემწე გახდა, თუმცა ჯერ კიდევ უფლის მიერ ბოძებულ ტახტზე იჯდა, ამიტომ უსიტყვო მორჩილება მოითხოვა ადამიანისაგან, რომელსაც მისი ბრძანება უნდა შეესრულებინა და რომლის სულსაც საფრთხე დაემუქრა. იოაბმა, რომელიც უფრო მეფის ერთგული იყო, ვიდრე ღვთისა, დაარღვია უფლის რჯული, ვინაიდან ასე ბრძანა მეფემ.

ღმერთმა დავითს მისცა ხელმწიფება, რათა უფლის რჯულთან თანხმობაში გამოეყენებინა იგი. როცა მან ისეთი საქმის

გაკეთება ბრძანა, რაც ღვთის რჯულს ეწინააღმდეგებოდა, მისი ბრძანების აღსრულება ცოდვის ჩადენის ტოლფასი იყო.

„არ არსებობს ხელმწიფება, თუ არა ღვთისაგან" /რომ. 13:1/, მაგრამ თუკი იგი ღვთის საწინააღმდეგოდ მოქმედებს, არ უნდა დავემორჩილოთ. პავლე

[719]

მოციქული კორინთელთა მიმართ თავის პირველ წერილში ხაზგასმით აღნიშნავს იმ პრინციპებს, რომლებითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ. იგი ამბობს: „მომბაძეთ მე, როგორც მე - ქრისტეს" /1 კორ. 11:1/.

მალე დავითს შეატყობინეს, რომ მისი ბრძანება აღსრულებულია. ამბავი ისე ოსტატურად იყო შეთხზული, რომ ეჭვი არავის გასჩენოდა ურიას მკვლელობასთან დავითისა და იოაბის კავშირზე. იოაბმა ასე უბრძანა მაცნეს: „ბოლომდე უამბე მეფეს ბრძოლის ამბავი და, თუ ბრაზი მოერია მეფეს... უთხარი: ხეთელი ურიაც მოკვდა-თქო, შენი მორჩილი".

„უთხრა დავითმა მაცნეს: ასე უთხარი იოაბს, ნუ გაწუხებს-თქო ეს ამბავი, რადგან ხან ერთს ჭამს მახვილი, ხან მეორეს. მაგრად შეუტიე ქალაქს და დაამხე-თქო. ასე გაამხნევე იოაბი".

დაიტირა ქმარი ბარშებაყმა და, „როცა გავიდა გლოვის დღეები, მოაყვანინა დავითმა ქალი თავის სახლში და შეირთო ცოლად". ის, ვისაც შეუბღალავმა სინდისმა და პატიოსნებამ უფლის ცხებულზე ხელის აწევის უფლება მაშინაც კი არ მისცა, როცა მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა, იმდენად დაეცა, რომ თავისი ყველაზე ერთგული და მამაცი მეომარი მოაკვლევინა. თანაც ამ საშინელი დანაშაულის ჩადენის შემდგომ ბედნიერებითა და სიმშვიდით დატკბობის იმედი ჰქონდა. რა სამწუხაროა! როგორ გაფერმკრთალდა ელვარე ოქრო! რა ფერიცვალება განიცადა!

თავიდან სატანა ლამაზად ხატავს მიზნებს, რომელთაც რჯულის დარღვევის შედეგად მიაღწევს ადამიანი. ასე აცდუნა მან ანგელოზები. ამ გზით აცდუნა ადამი და ევა და იმავე ხერხით უბიძგებს დღეს მრავალთ ღვთისადმი დაუმორჩილებლობისაკენ. მიმზიდველად ხატავს იგი ურჯულოების გზებს, „მაგრამ მისი ბოლო სიკვდილის გზაა" /იგავ. 14:12/. ნეტარ არს იგი, ვინც დროზე მიატოვა ეს გზა, რადგან მიხვდა, თუ რა მწარეა ცოდვის ნაყოფი. არ დაუშვა დიდად მოწყალე უფალმა დავითის საბოლოო დაღუპვა მაცდურის მახეში.

ისრაელის გულისთვისაც ჩაერია უფალი ამ საქმეში. გავიდა დრო და ხალხმა შეიტყო დავითისა და ბარშებაყის დანაშაულის შესახებ. გავრცელდა ეჭვი, რომ ურიას სიკვდილში მეფის ხელი ურევია. ყოველივე ამან შეურაცხყო ღმერთი. უხვი წყალობა მისცა მეფეს უფალმა, დიდი პატივი მიაგო, დავითის დანაშაულმა კი დაამახინჯა უფლის არსი და შეიბღალა უზენაესის სახელი. ამ ურჯულოებამ ხელი შეუწყო ისრაელის ზნეობის დაცემას. ბევრს უკვე აღარ შეეძლო ცოდვის სათანადოდ შეფასება, ისინი კი, ვისაც არ უყვარდა და არც ეშინოდა ღვთისა, უფრო გათავხედდნენ თავიანთ ცოდვებში.

ნათან წინასწარმეტყველს დაევალა დავითთან წასვლა და მისი მხილება. მეტად სასტიკი იყო ეს მხილება. მხოლოდ გამონაკლისს მბრძანებელთა შორის შეუძლია, მოისმინოს ასეთი მკაცრი მხილება და მიუტევოს მამხილებელს. მტკიცე ხმით აუწყა ნათანმა მეფეს უფლის გადაწყვეტილება. ზეციდან მოცემულმა სიბრძნემ ათქმევინა სიტყვები, რომელნიც მეფეს სინდისის ქენჯნას მოჰგვრიდა და აიძულებდა, თავად გამოეტანა საკუთარი თავისთვის სასიკვდილო განაჩენი. ნათანმა მიმართა დავითს, როგორც ზეცის რჩეულს და ადამიანის უფლებათა დამცველს და მოუთხრო ამბავი ერთი დიდი უსამართლობისა და ძალადობისა, შურისგებას რომ ითხოვდა.

„ორი კაცი ცხოვრობდა ერთ ქალაქში, - დაიწყო მან, - მდიდარი და ღარიბი. მდიდარს უამრავი ცხვარი და ძროხა ჰყავდა, ღარიბს არაფერი გააჩნდა პატარა ბატკნის გარდა, რომელიც ნაყიდი ჰყავდა, და კვებავდა და ზრდიდა თავისთან, თავის ბავშვებთან ერთად. მის ლუკმას ჭამდა, მისი თასიდან სვამდა, მის უბეში ეძინა, როგორც ქალიშვილი, ისე ჰყავდა. ეწვია

[720]

[721]

ერთხელ ვინმე მგზავრი მდიდარ კაცს. ვერაფერი გაიმეტა თავისი ცხვარ-ძროხიდან დასაკლავად, რომ გამასპინძლებოდა თავის სტუმარს, წამოიყვანა ღარიბი კაცის ბატკანი და გაუმზადა სტუმრებულ კაცს".

დიდად განრისხდა მეფე ამის გაგონებაზე და წამოიძახა: "უფალს ვფიცავ, სიკვდილის ღირსია ამის გამკეთებელი! ბატკანი ოთხმაგად უნდა ზღოს, ასეთი საქმე რომ გააკეთა და შეუბრალებლად მოიქცა" /2 მეფ. 12:5-6/.

გამჭოლი მზერა ესროლა ნათანმა მეფეს, შემდეგ ხელი ცისკენ აღმართა და ხმამაღლა წარმოთქვა: „შენა ხარ ის კაცი". „რატომ დაივიწყე უფლის სიტყვა და ბოროტება ჩაიდინე მის თვალში?". დამნაშავენი, დავითის მსგავსად, შეეცდებიან თავიანთი ცოდვების დამალვას; ყველაფერს იღონებენ იმისათვის, რომ სამუდამოდ დაფარონ ადამიანის თვალთაგან ჩადენილი ბოროტება, მაგრამ „ყოველივე გაშიშვლებული და ღიაა მის თვალთა წინაშე, ვისაც ვაბარებთ ანგარიშს" /ებრ. 4:13/. „არაფერია დაფარული, რომელიც არ გაცხადდება და საიდუმლო, რომელიც არ შეიტყობა" /მათ. 10:26/.

უთხრა ნათანმა დავითს: "ასე თქვა უფალმა, ისრაელის ღმერთმა: მე გცხე მეფედ ისრაელზე. მე დაგიხსენი საულის ხელიდან... რატომ დაივიწყე უფლის სიტყვა და ბოროტება ჩაიდინე მის თვალში? მახვილით მოჰკალი ურია ხეთელი და ცოლად მოიყვანე მისი ცოლი? ყამონიანთა მახვილით მოჰკალი იგი. ამიერიდან მახვილი არ მოსცილდება შენს სახლს სამარადისოდ... აჰა, უბედურებას დაგათევ შენივე სახლიდან, ავიყვან შენს თვალწინ შენს ცოლებს და შენს მოყვასებს მივცემ... თუმც შენ ჩუმად გააკეთე, მე მთელი ისრაელის წინაშე და მზის წინაშე გავაკეთებ ამ საქმეს".

სულის სიღრმემდე შეძრა დავითი წინასწარმეტყველის სიტყვებმა. სინდისმა დაუწყო ქენჯნა; თვალწინ დაუდგა ჩადენილი დანაშაულის საშინელება. მოიდრიკა მისი სული

უზენაესის წინაშე და მთრთოლვარე ბაგეებით წარმოთქვა: „შევცოდე უფალს!" სხვებისადმი მიყენებული ყოველი ბოროტება - ბოროტებაა ღვთის წინაშე. უმძიმესი ცოდვა ჩაიდინა დავითმა ურიასა და ბარშებაყის წინაშე და გრძნობდა ამას. მაგრამ რა უსასრულოდ დიდი იყო მისი დანაშაული ღმერთის წინაშე!

თუმცა არ მოიძებნებოდა კაცი მთელს ისრაელში, ვინც ღვთის ცხებულის მიმართ სასიკვდილო განაჩენს აღასრულებდა, მაგრამ ძლიერ შიშობდა დავითი, რომ ცოდვილს და მოუნანიებელს, ღვთის რისხვა არ დასტეხოდა თავს. მაგრამ ღმერთმა წინასწარმეტყველის პირით უთხრა: „უფალმაც მოგიტევა ცოდვა, არ მოკვდები". მაგრამ სამართლიანობა უნდა აღმდგარიყო. დავითის მიმართ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი მის შვილს ეწია. ამგვარად მიეცა მეფეს მონანიების შესაძლებლობა, თუმცა ბავშვის ტანჯვა და სიკვდილი, როგორც დავითის სასჯელის ნაწილი, საკუთარ სიკვდილზე მძიმე იყო მისთვის. გააფრთხილა წინასწარმეტყველმა: „რაკი ამ საქციელით ალანძღვინე უფალი მის მტრებს, შვილი მოგიკვდება, რომელიც შეგეძინა".

როცა ბავშვი მძიმედ დასნეულდა, ღრმა მწუხარებამ და სინანულის გრძნობამ შეიპყრო დავითი; მარხვითა და ლოცვით ევედრებოდა უფალს, სიცოცხლე მიეცა მისი ვაჟისათვის. გაიხადა სამეფო სამოსელი, მოიხსნა გვირგვინი, დღედაღამ

მიწაზე იწვა და ღმერთს ევედრებოდა, დაენდო უდანაშაულო ყრმა, რომელიც მისი ცოდვის გამო უნდა მომკვდარიყო. „თავზე დაადგნენ მისი სახლის უხუცესები, რომ მიწიდან აეყენებინათ იგი, მაგრამ არ ქნა". ხშირად, როცა ცალკეულ პიროვნებებს და მთელ ქალაქებს ღვთის სამართლიანი რისხვა ელოდა, ყოვლადმოწყალე და მიმტევებელი ღმერთის წინაშე მორჩილება და მონანიება თავიდან აცილებდა მათ სასჯელს და უფალიც მშვიდობის მაცნეთ უგზავნიდა. ამით გამხნევებული დავითიც ევედრებოდა ღმერთს ბავშვის

[722]

გადარჩენას, სანამ იგი ცოცხალი იყო. ხოლო, როცა ყრმის სიკვდილი აუწყეს, მეფე მშვიდად დაემორჩილა უფლის გადაწყვეტილებას. შურისგების პირველი დარტყმა, რომელსაც თავად მან სამართლიანი უწოდა, უკვე მოხდა, მაგრამ ღვთის გულმოწყალებაზე მინდობილი დავითი უნუგეშოდ არ დარჩენილა.

დავითის დაცემის ამ ისტორიის მრავალ მკითხველს ებადება კითხვა: „რატომ ცნო ღმერთმა საჭიროდ ზეცის მიერ ასე განდიდებული ადამიანის ცხოვრების ბნელი მონაკვეთის წუთისოფლისათვის გამხელა?" დავითის მხილებისას

წინასწარმეტყველმა თქვა მის ცოდვაზე: „ამ საქციელით ალანძღვინე უფალი მის მტრებს". ყოველ მომდევნო თაობაში ურჯულონი დავითის ამ ცოდვაზე მიუთითებდნენ და ნიშნისმოგებითა და დაცინვით წარმოთქვამდნენ: „ესაა უფლის რჩეული და მოწონებული კაცი?!" ამრიგად, გაილანძღა რელიგია, ღმერთი და მისი სიტყვა, ადამიანთა გულში ურწმუნოება ფესვს იდგამდა და ბევრი, ღვთისმოსაობის ნიღაბქვეშ, უსირცხვილოდ სცოდავდა.

მაგრამ დავითის ისტორიაში ცოდვის გამართლების მცირედი მცდელობაც კი არ შეინიშნება. ღვთისათვის მოსაწონი კაცი მაშინ ეწოდა დავითს, როცა იგი ღვთის ნებას დაემორჩილა. როცა შესცოდა, ეს სიტყვები მას აღარ ეხებოდა, სანამ ღრმა მონანიებით ღმერთს არ დაუბრუნდა. ღვთის სიტყვა დაუფარავად ამბობს: „არ მოეწონა უფალს ეს საქმე, რაც დავითმა ჩაიდინა" /2 მეფ. 11:27/. განა არ უთხრა უფალმა დავითს წინასწარმეტყველის პირით: „რატომ დაივიწყე უფლის სიტყვა და ბოროტება ჩაიდინე მის თვალში?... ამიერიდან მახვილი არ მოსცილდება შენს სახლს სამარადისოდ, რადგან უგულვებელმყავი". თუმცა მოინანია დავითმა თავისი დანაშაული და მიუტევა და მიიღო უფალმა, მაინც მოიმკო ის სასიკვდილო ნაყოფი, რაც თავად დათესა. ღვთიური სასჯელი, რომელიც მას და მის სახლს მოევლინა, ცოდვისადმი უფლის სიძულვილზე მეტყველებს.

აქამდე უფალი მუდამ იცავდა დავითს მისი მტრების ბოროტი ხრიკებისაგან; ეს განსაკუთრებით ნათლად ვლინდება იმაში, თუ როგორ აკავებდა ღმერთი საულს. მაგრამ დავითის მიერ ჩადენილმა ცოდვამ შეცვალა ღმერთისადმი მისი დამოკიდებულება. უფალს არ შეეძლო, სასჯელის გარეშე დაეტოვებინა ეს ურჯულოება; არ შეეძლო მისი დანაშაულის შედეგისაგან დავითის დაცვა, როგორც ამას აკეთებდა, როცა საულისაგან იცავდა.

უდიდესი გარდატეხა მოხდა დავითში. მოდრიკა მისი სული საკუთარი დანაშაულის შეცნობამ და მისი შედეგის საშინელებამ. დამცირებულად გრძნობდა თავს თავის მორჩილთა წინაშე. მისი ზეგავლენაც შესუსტდა. აქამდე დავითის ყოველ წარმატებას ღვთის მცნებებისადმი მისი უსიტყვო, კეთილსინდისიერი მორჩილებით ხსნიდნენ; მაგრამ ახლა ყველამ იცოდა მისი დანაშაულის შესახებ და ქვეშევრდომთაც თავისუფლად შეეძლოთ დანაშაულის ჩადენა. დაეცა მისი ავტორიტეტი საკუთარ ოჯახში, დაიკარგა პატივისცემა და მორჩილება შვილების მხრიდან. დანაშაულის გრძნობა ბაგეს უკრავდა და სხვისი ცოდვის მხილების უფლებას არ აძლევდა. ეს კი საკუთარ სახლში სამართლიანობის დამყარებაში დიდად უშლიდა ხელს. მისმა ცუდმა საქციელმა დიდი გავლენა იქონია მის ვაჟებზე და უფალს არ შეეძლო ამ შედეგების თავიდან აცილება. არ ერევა უფალი მოვლენათა კანონზომიერ განვითარებაში, ამიტომ მიიღო დავითმა ასეთი მკაცრი სასჯელი.

თავისი დაცემის დღიდან თითქმის მთელი წლის განმავლობაში მშვიდად ცხოვრობდა დავითი. ღვთის რისხვის ნიშანწყალიც კი არსად შეიმჩნეოდა. მაგრამ ღვთიური განაჩენი უკვე გამოტანილი იყო. სწრაფად ახლოვდებოდა გარდაუვალი სამსჯავროსა და შურისგების დღე, რომელიც ვერც მონანიებამ, ვერც სულიერმა ტანჯვამ და სირცხვილმა, მთელი მიწიერი ცხოვრების

[723]

[724]

მანძილზე თან რომ სდევდა, ვერ ააცდინა დავითს. მათ, რომლებიც დავითის მაგალითზე მიუთითებენ და ცდილობენ, ამით საკუთარი დანაშაული შეამსუბუქონ, უნდა იცოდნენ, რომ უწმიდურება წმიდა წერილში შავი ფერებითაა დახატული. თუმცა, დავითის მსგავსად, ისინიც მოინანიებენ, მაგრამ აუცილებლად იწვნევენ ცოდვის შედეგს და დაინახავენ, თუ რა მძიმე და მწარეა იგი აქაურ ცხოვრებაშიც კი.

უფალს სურდა, რომ დავითის დაცემის ისტორია ყოფილიყო გაფრთხილება იმათთვისაც კი, ვისაც უფლის კურთხევა და

წყალობა უხვად მიეცა, რათა უშიშრად არ იგრძნონ თავი, არ გამოიჩინონ უზრუნველობა, არ დაივიწყონ ლოცვა და სიფრთხილე. უფლის ამ მაგალითის შემსწავლელთათვის ყოველთვის გაფრთხილება იყო ეს ისტორია. მისი წყალობით ათასობით თაობამ შეძლო, შეეცნო საფრთხე, რომელიც მაცდურისაგან მოდის. უფლისაგან ამგვარად აღზევებული დავითის დაცემა საკუთარი თავისადმი უნდობლობის გრძნობას აღვიძებს ადამიანებში და ისინი ხვდებიან, რომ მხოლოდ უფალ ღმერთს შეუძლია, დაიცვას თავისი მორწმუნენი ღვთიური ძალით; რადგან უწყიან, რომ მასშია მათი ძალა და უსაფრთხოება, არ შეადგამენ ფეხს სატანის ტერიტორიაზე.

ჯერ კიდევ ღვთიური განაჩენის გამოცხადებამდე იგემა დავითმა თავისი ცოდვის ნაყოფი. სინდისი ძლიერ ქენჯნიდა მას. 31-ე ფსალმუნში საოცრადაა გამოხატული დავითის მაშინდელი სულიერი განცდები:

„ნეტარია, ვისაც ეპატია დანაშაული,

ვისი ცოდვებიც დაიფარა.

ნეტარია კაცი, ვისაც უფალი ცოდვას არ ჩაუთვლის

და ვის სულშიც არ არის სიყალბე.

როდესაც ვდუმდი - გაცვითა ჩემი ძვლები

ყოველდღიურმა გოდებამ ჩემმა.

რადგან დღისით და ღამით მძიმდებოდა

შენი ხელი ჩემზე,

სინედლე ჩემი შეიცვალა

ზაფხულის გვალვით"

/ფს. 3:1-4/.

50-ე ფსალმუნში კი გადმოცემულია დავითის მონანიება მას შემდეგ, რაც უფალმა ამხილა:

„შემიწყალე, ღმერთო,

შენი წყალობისამებრ წაშალე ჩემი დანაშაული.

მრავლად განმბანე ჩემი ბრალისაგან

და ჩემი ცოდვისაგან განმწმიდე.

რადგან ვიცი ჩემი დანაშაული

და ჩემი ცოდვა მუდამ თვალწინ მიდგას.

შენ, მხოლოდ შენ შეგცოდე

და ბოროტება ჩავიდინე შენს თვალში,

ამიტომ მართალი ხარ შენს სიტყვებში

და სწორი - შენს სამართალში...

მასხურე უსუპი და განვიწმიდები;

განმბანე და თოვლზე მეტად გავსპეტაკდები.

მომასმენინე ლხინი და მხიარულება,

[725]

გაახარე ჩემი ძვლები,
შენ რომ დათრგუნე.

სახე აარიდე ჩემს შეცდომებს

და ყველა ჩემი ბრალი წაშალე.

სუფთა გული შეჰქმენი ჩემში, ღმერთო,

და წრფელი სული განაახლე ჩემს სხეულში.

ნუ უკუმაგდებ შენგან

და ნუ წამართმევ შენი სიწმიდის სულს.

დამიბრუნე სიხარული შენი ხსნით

და დიდებული სულით გამამაგრე.

ვასწავლი დამნაშავეებს შენს გზებს

და ცოდვილნი დაბრუნდებიან შენთან.

მიხსენ სისხლთაგან, ღმერთო,

ღმერთო ჩემი ხსნისა,

და ჩემი ენა ხოტბას შეასხამს

შენს სიმართლეს"

/ფს. 50:3-16/.

ამგვარად, ამ წმიდა საგალობელში, რომელიც მთელი ერის საკრებულოში, სამეფო კარის, მღვდელთა და მსაჯულთა,

მთავართა და მეომართა წინაშე უნდა ეგალობათ და რომელსაც მთელი მომავალი თაობებისათვის უნდა ემცნო მისი დაცემის შესახებ, ისრაელის მეფემ დაწვრილებით აღწერა თავისი დანაშაული, სინანული და მოწყალე უფლისაგან მიტევების იმედი. არ უცდია მას თავისი დანაშაულის დამალვა - პირიქით, სურდა, რომ მისი დაცემის ნაღვლიანი ისტორია გაკვეთილი ყოფილიყო მრავალთათვის.

მეტად გულწრფელი და ღრმა იყო დავითის სინანული. ერთხელაც არ უცდია თავისი დანაშაულის გამართლება. ლოცულობდა არა იმიტომ, რომ სასჯელის თავიდან აცილება სურდა, არამედ, ღვთის წინაშე თავისი ცოდვის საშინელებას გრძნობდა, თავისი სულის სიმდაბლეს ხედავდა და სძულდა თავისი დანაშაული. არა მხოლოდ მიტევებას ითხოვდა დავითი, არამედ - გულის სიწრფელეს. არ დანებდა იგი სასოწარკვეთილებას. უფლის აღთქმებში მომნანიებელი ცოდვილის მიმართ ხედავდა იმედს, რომ უფალი მიუტევებს და მიიღებს.

„რადგან მსხვერპლი არა გსურს,

რომ შემოგწირო,

და ყოვლადდასაწველს არ ინებებ.

შესაწირავი ღმერთისა - სული მოდრეკილი;

მოდრეკილისა და მორჩილის გული

არ დაამცირო, ღმერთო"

/ფს. 50:18,19/.

თუმცა დაეცა დავითი, მაგრამ ხელი შეაშველა და ფეხზე დააყენა უფალმა. ახლა უფრო ახლოს იყო იგი ღმერთთან და მოყვასთან, ვიდრე დაცემამდე. გადარჩენის სიხარულმა აამღერა იგი:

„ცოდვა ჩემი გაუწყე

და ბრალი ჩემი არ დამიმალავს.

ვთქვი: „ვაღიარებ ჩემს ცოდვებს უფლის წინაშე".

[726]

და შენ მომიტევე დანაშაული ჩემი ცოდვისა...

შენ ხარ მფარველი, გაჭირვებისაგან მიცავ,

ხსნის სიხარული შემომარტყი გარს"

/ფს. 31:5-7/.

ბევრი უსამართლოდ მიიჩნევს იმას, რომ ღმერთმა ასეთი დიდი დანაშაული მიუტევა დავითს, საული კი, რომელიც, მათი აზრით, ნაკლებ დამნაშავეა, უარყო. მაგრამ ავიწყდებათ, რომ დავითმა თავი დაიმდაბლა და დანაშაული მოინანია, საულმა კი არ მიიღო მხილება, გული გაისასტიკა და არ მოინანია.

დავითის ცხოვრების ამ ისტორიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მომნანიებელი ცოდვილისათვის. ერთ-ერთი ნათელი ილუსტრაციაა იგი ბრძოლისა და ცდუნებისა, ადამიანს რომ ხვდება თავისი ცხოვრების გზაზე; ღვთის წინაშე ჭეშმარიტი მონანიებისა და ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს რწმენისა. ყოველ საუკუნეში ეს მაგალითი იმედისა და მხნეობის წყარო იყო მათთვის, ვინც შესცოდა და ვისაც დანაშაულის სიმძიმე სტანჯავს. ათასობით მორწმუნისათვის, რომლებმაც შესცოდეს

და სასოწარკვეთას მიეცნენ, ის ფაქტი, რომ ღმერთმა მიიღო დავითის გულწრფელი მონანიება და აღსარება, თუმცა დანაშაულისათვის დაისაჯა კიდეც, ეს დიდი იმედი იყო: ინანიებდნენ, ღმერთთან ბრუნდებოდნენ და ღვთის მცნებათა გზით სიარულს ესწრაფოდნენ.

ყველას, ვინც, დავითის მაგალითისამებრ, უფლისაგან მხილებას მიიღებს, დანაშაულს აღიარებს და მოინანიებს, შეუძლია, დარწმუნებული იყოს, რომ არსებობს იმედი. არასოდეს მიატოვებს უფალი მას, ვინც გულწრფელად მოინანიებს. გვპირდება უფალი: „მოეჭიდოს ჩემს სიმტკიცეს, ზავი დამიდოს, დამიდოს ზავი!" /ეს. 27:5/. „მიატოვოს ბოროტეულმა თავისი გზა და ცოდვილმა კაცმა - თავისი ზრახვები; მიაქციოს უფლისკენ და ის შეიწყალებს მას, და ჩვენი ღმერთისკენ, რადგან მრავალგზის მიმტევებელია" /ეს. 55:7 - ავტორის ხაზგასმა/.

თავი 72 - აბესალომის აჯანყება

მეორე მეფეთა 13-19

"ოთხმაგად უნდა ზღოს" - ასეთი იყო განაჩენი, რომელიც თავისდაუნებურად გამოუტანა დავითმა საკუთარ თავს, როცა

ნათან წინასწარმეტყველს მოუსმინა. და ეს განაჩენი უნდა აღსრულებულიყო. მისი ოთხი ვაჟი უნდა დაღუპულიყო და, მართლაც, ყოველი მათგანი მამის დანაშაულის გამო მოკვდა.

სასჯელისა და მხილების გარეშე დატოვა დავითმა თავისი პირმშოს, ამნონის სამარცხვინო საქციელი. მრუშობის საზღაური სიკვდილი იყო, ამნონის უჩვეულო ცოდვა კი მის დანაშაულს აორმაგებდა. მაგრამ დავითმა, თავად ცოდვილმა, სამართლიანად ვერ დასაჯა დამნაშავე. ორი წლის განმავლობაში ფიქრობდა თავისი ღვიძლი დის კანონიერი მეურვე აბესალომი, თუ როგორ ეძია შური დის ასეთი საშინელი, სასტიკი შეურაცხყოფისათვის. ხელსაყრელ მომენტს ეძებდა იგი ამნონის მოსაკლავად. და, მართლაც, დღესასწაულზე, რომელსაც მეფის ვაჟები ესწრებოდნენ, აბესალომის ბრძანებით მოკლულ იქნა სისხლის აღრევაში დამნაშავე, მთვრალი ამნონი.

ორმაგი სასჯელი ეწია დავითს. საშინელი ამბავი შეატყობინეს: „დახოცა აბესალომმა უფლისწულები, ერთიც არ გადარჩენილა". „ადგა მეფე, ტანზე შემოიხია სამოსელი და ჩაჯდა მტვერში. იქვე დადგნენ სამოსელშემოხეული მისი მორჩილები". მეფის ძეებმა, რომლებიც დამწუხრებულნი დაბრუნდნენ იერუსალიმში, სიმართლე უამბეს მამას; მოკლული მხოლოდ ამნონი იყო. „დიდი ტირილით ტიროდნენ მეფეც და მისი მორჩილებიც". აბესალომი კი "გაიქცა... თალმაი ყამიხურის ძესთან, გეშურის მეფესთან", თავისი დედის მამასთან.

დავითის სხვა ვაჟების მსგავსად, ამნონიც ეგოიზმის ატმოსფეროში იზრდებოდა. ცხოვრების ნებიერი ყველა სურვილის ასრულებას ლამობდა და ღვთის მოთხოვნებს არად აგდებდა. დიდხანს უთმენდა უფალი ამ უდიდეს ცოდვილს. მთელი ორი წელიწადი მიეცა მას მოსანანიებლად, მაგრამ კვლავ განაგრძობდა უწმიდურ საქმეთა კეთებას და ასე დაიღუპა ამნონი, მოუნანიებელი და ღვთის საშინელი სამსჯავროს წინაშე წარსადგომად განწირული.

არ შეასრულა დავითმა თავისი მოვალეობა და არ დასაჯა ამნონი. მამისა და მეფის არასწორი ქმედება, ამნონის მიერ მონანიების უგულვებელყოფა, გახდა მიზეზი იმისა, რომ ღმერთმა დაუშვა მოვლენათა ბუნებრივი გზით განვითარება და აბესალომი არ შეაკავა. როდესაც მშობლები ან მმართველნი თავს არიდებენ საკუთარი მოვალეობის შესრულებას - არ სჯიან დამნაშავეს, ღმერთი თავად აკეთებს ამას. იგი აღარ აკავებს სატანის მსახურთ და იქმნება ვითარებათა ისეთი ჯაჭვი, როდესაც ცოდვა ცოდვით ისჯება.

ამნონის მიმართ დავითის უსამართლო შემწყნარებლობის დამღუპველი შედეგი ამით არ დასრულებულა, ვინაიდან იმ დღიდან გაუცხოება დაიწყო აბესალომსა და მამას შორის. მას შემდეგ, რაც აბესალომი გეშურის მეფესთან გაიქცა, დავითი გრძნობდა, რომ მისი შვილის დანაშაული როგორღაც უნდა დასჯილიყო, ამიტომ იერუსალიმში დაბრუნების უფლება არ

მისცა. თუმცა მეფის წინაშე ყრუ კედლად აღმართული რთული პრობლემები ამით არ შემცირებულა. პირიქით, სულ მალე ვითარება მოულოდნელად უფრო გამწვავდა. ენერგიულმა, პატივმოყვარე და პრინციპების უარმყოფელმა აბესალომმა, ჩამოაშორეს რა სახელმწიფოს მმართველობის საქმეებს, მალე მეტად სახიფათო ინტრიგებს მიმართა.

მეორე წლის დასასრულს იოაბმა მამ-შვილის შერიგება გადაწყვიტა. ამ მიზნის განხორციელებისათვის მან თავისი სიბრძნით განთქმული ერთი თეკოაყელი ქალი

[727]

[728]

გამოიყენა. ასწავლა ყველაფერი, როგორც უნდა მოქცეულიყო და ქალიც წარდგა მეფის წინაშე, როგორც ქვრივი, რომლის სიცოცხლის ერთადერთი ნუგეში და იმედი მისი ორი ვაჟი იყო. ჩხუბში ერთმა ძმამ მეორე მოკლა და ახლა მთელი ნათესავები ითხოვდნენ, რომ ცოცხლად დარჩენილ ძმას საკუთარი სისხლით ეზღო თავისი დანაშაული. „ამ ნაპერწკალსაც ჩამიქრობენ, - თქვა ვაჟების დედამ, - რომელიც დამრჩა; სახელს

და შთამომავლობას არ დაუტოვებენ ჩემს ქმარს ამ ქვეყანაზე ". შეძრა მეფის გული ქალის ვედრებამ; მეფური დახმარება აღუთქვა.

როცა მეფეს ათქმევინა, რომ ყმაწვილს სიცოცხლეს შეუნარჩუნებს, შეევედრა მას ქალი, თავისი გულმოწყალებით კიდევ მოესმინა მისთვის და უთხრა, რომ „სცოდავს ამის მთქმელი მეფე", ვინაიდან მისი ბრალია, რომ შინ არ ბრუნდება გაძევებული. და დაუმატა: „ყველანი დავიხოცებით და მიწაზე დაღვრილი წყალივით აღარ შევგროვდებით. მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცის სიცოცხლეს; იმას ფიქრობს, რომ განდევნილიც კი არ მოიკვეთოს თავისგან საბოლოოდ" /ავტორის ხაზგასმა/. ცოდვილისადმი ღვთიური სიყვარულისა და თანაგრძნობის ეს საოცარი გამოვლინება, რომელიც ისეთი მოუხეშავი და გულქვა მეომრისაგან მომდინარეობდა, როგორიც იოაბი იყო, ნათლად მეტყველებს ისრაელიანთა ღრმა ცოდნის შესახებ გადარჩენის გეგმის ჭეშმარიტებათა საკითხებში. თავად სჭირდებოდა მეფეს ღვთიური წყალობა, ამიტომ უარი ვერ უთხრა ქალს თხოვნაზე და იოაბს უბრძანა: „წადი და დააბრუნე ის ყმაწვილი, აბესალომი".

დააბრუნეს აბესალომი იერუსალიმში, მხოლოდ იმ პირობით, რომ არ გამოჩენილიყო მეფის კარზე და მამასთან შეხვედრას მორიდებოდა. თანდათან ხვდებოდა დავითი შვილებისადმი თავისი შემწყნარებლური დამოკიდებულების დამღუპველ შედეგს და, მიუხედავად იმისა, რომ ძლიერ უყვარდა თავისი

ლამაზი და ნიჭიერი ვაჟი, საჭიროდ ჩათვალა, ჩადენილი დანაშაულისადმი მისი სიძულვილი ენახა არა მარტო აბესალომს, არამედ მთელ ერს. ორი წელიწადი იცხოვრა აბესალომმა თავის სახლში, მაგრამ მოშორებული იყო სამეფო კარს. დაც, რომელიც მის სახლში ცხოვრობდა, მუდამ ახსენებდა იმ გამოუსწორებელ უბედურებას. ხალხი კი აბესალომში დამნაშავეს კი არ ხედავდა, არამედ - გმირს. და, ისარგებლა რა ამით, ხალხის კეთილგანწყობის მოპოვებას ეცადა აბესალომი. აღტაცებას იწვევდა მისი გარეგნობაც „არავინ იყო მთელს ისრაელში ისეთი ნაქები კაცი სილამაზით, როგორც აბესალომი. თხემით ტერფამდე უნაკლო იყო". არ მოიქცა მეფე ბრძნულად, როცა ორი წლის განმავლობაში თავისგან გარიყა პატივმოყვარე და ფიცხი აბესალომი. აბესალომის სამეფო კარიდან გაძევებამ მის მიმართ ხალხის თანაგრძნობა გამოიწვია.

შებოჭილი იყო დავითი, ვინაიდან მუდამ ახსოვდა თავისი დანაშაული - უფლის რჯულის დარღვევა. ადრე მამაცი და მტკიცე, ახლა ეჭვიან, გულჩათხრობილ ადამიანად იქცა. ხალხში მისი გავლენა საგრძნობლად შესუსტდა. ყოველივე ეს, ერთად აღებული, მისი უგულო ვაჟის გეგმების ხორცშესხმას უწყობდა ხელს.

თუმცა იოაბის წყალობით აბესალომი დაშვებულ იქნა სამეფო კარზე, მაგრამ, ამ მოჩვენებითი შერიგების მიუხედავად, გულით კვლავ პატივმოყვარულ, ავ ზრახვებს ატარებდა. „გაიჩინა

აბესალომმა ეტლი და ცხენები და ორმოცდაათი მალემსრბოლი" და თითქმის მეფედ წარმოიდგინა თავი. იმ დროს, დავით მეფე განმარტოებული ცხოვრებისაკენ ისწრაფოდა, აბესალომი კი ყოველმხრივ ცდილობდა, თავისკენ მოეზიდა ადამიანები.

დავითის გაუბედაობა და გულგრილობა მის ქვეშევრდომებსაც გადაედო. დაუდევრობა ემჩნეოდა მართლმსაჯულების საქმეებს. ოსტატურად იყენებდა აბესალომი თავის სასარგებლოდ უკმაყოფილების ყოველ მომენტს. ახალგაზრდა, კეთილშობილური გარეგნობის, სანდომიანი კაცი ყოველდღე ქალაქის კარიბჭესთან ჯდებოდა, იქ, სადაც ხალხი გროვდებოდა თავისი მოთხოვნებითა და საჩივრებით.

[729]

[730]

მიდიოდა ხალხთან, უსმენდა განაწყენებულთ და მომჩივანთ, იზიარებდა მათ გასაჭირს და სინანულს გამოთქვამდა მეფის დიდებულთა უმოქმედობის გამო. განიხილავდა აბესალომი რომელიმე ადამიანის საქმეს და ამბობდა: „კარგია და სამართლიანია შენი სიტყვები, მაგრამ ვინ მოგისმენს მეფის

კარზე?" და დაუმატებდა: „ნეტავ მსაჯულად დამადგინონ ამ ქვეყანაში! ყველა მე მომაკითხავდა, ვისაც კი სადაო საქმე და საჩივარი ექნებოდა, და მეც სამართალს გავუჩენდი". „თაყვანის საცემად მისულ კაცს ხელს გაუწვდიდა ხოლმე, ისიც მოეჭიდებოდა და აკოცებდა".

მეფის ძის ამგვარმა ოსტატურმა ქმედებებმა ქვეყნის კანონიერი მმართველის მიმართ უკმაყოფილება გამოიწვია. ყველას აბესალომის სახელი ეკერა პირზე. ტახტის საყოველთაოდ აღიარებული მემკვიდრე იყო იგი და ხალხიც ამაყობდა ადამიანით, რომელიც სამეფო ტახტზე ასვლის ღირსი იყო. ხალხს თანდათან უმტკიცდებოდა სურვილი მისი გამეფებისა. „ასე მოიგო აბესალომმა ისრაელიანთა გული". შვილის სიყვარულით დაბრმავებული მამა კი არაფერს ეჭვობდა და ვერაფერს ამჩნევდა. აბესალომის მიერ სამეფო საქმეების კეთებას კი მეფე თავისი კარის ავტორიტეტის ამაღლების სურვილად და შერიგების სიხარულის გამოხატვად თვლიდა.

როცა ხალხი უკვე მომზადებული იყო გადატრიალების მოსახდენად, აბესალომმა მალულად დაგზავნა გზირები ისრაელის ყველა შტოში და აჯანყებისათვის მზადებისკენ მოუწოდა მათ. თავისი ვერაგული ჩანაფიქრის აღსრულებისათვის ახლა იგი რელიგიისადმი ერთგულების მანტიას ამოეფარა. დიდი ხნით ადრე, მაშინ, როცა იგი იერუსალიმიდან გააძევეს, უფალს შესაწირავი აღუთქვა, რაც ახლა ხებრონში უნდა შეესრულებინა. აბესალომმა უთხრა

მეფეს: „წავალ ხებრონში და შევუსრულებ უფალს აღთქმას, რომელიც აღთქმული მაქვს. რადგან ასეთი აღთქმა დადო შენმა მორჩილმა გეშურში, არამში ყოფნისას: თუ დამაბრუნებს უფალი იერუსალიმში, მსხვერპლს შევწირავ-მეთქი უფალს". შვილის ღვთისმოსაობით გახარებულმა მამამ სიყვარულით აკურთხა და გზა დაულოცა თავის ვაჟს. შეთქმულება უკვე მომზადდა. აბესალომის ოსტატური პირფერობა მიზნად არა მხოლოდ მეფის თვალის ახვევას ისახავდა, არამედ ხალხის ნდობის მოპოვებას და ღვთის რჩეული მეფის წინააღმდეგ მომზადებული შეთქმულების ხელმძღვანელობას.

წავიდა აბესალომი ხებრონს. „ორას კაცს დაუძახა... და გაიყოლა იერუსალიმიდან. ისინიც ალალად გაჰყვნენ, არ იცოდნენ საქმის ვითარება". ის ხალხი, აბესალომს რომ გაჰყვა, არც კი დაფიქრებულა იმაზე, რომ მეფის ძის ბრმა სიყვარულმა მისი მამის წინააღმდეგ ამბოხებამდე მიიყვანა ისინი. ხებრონში მისვლისთანავე უხმო აბესალომმა ახითოფელს, დავითის ერთ-ერთ მთავარ მრჩეველს, საყოველთაოდ აღიარებულ ბრძენკაცს, რომლის აზრსაც ანგარიშს უწევდნენ, როგორც წინასწარმეტყველისას. ახითოფელიც შეუერთდა შეთქმულთ და მისი მხარდაჭერა მათ ამ საქმის წარმატებით დამთავრებას უქადდა. ამ შეთქმულებაში მისმა მონაწილეობამ ქვეყნის მრავალი გავლენიანი პირი მიიზიდა. ბუკის ხმა - ამბოხების დაწყების ნიშანი - რომ გაისმა, შეთქმულების მონაწილენი - მეფის ძის მომხრენი - ყველას არწმუნებდნენ, რომ გამეფდა აბესალომი და მრავალნი შეუერთდნენ მათ.

ამასობაში ამ ამბავმა იერუსალიმსაც მიაღწია. უცბად გამოფხიზლდა მეფე დავითი და მიხვდა, რომ მთელი ეს ამბოხება ყველაზე ახლობელმა ადამიანმა მოუწყო. საკუთარმა შვილმა, რომელიც ასე ძლიერ უყვარდა დავითს და რომელსაც ასე ენდობოდა, შეთქმულება მოუწყო, ხელმწიფების ხელში ჩაგდება და, ეჭვგარეშეა, მამის მოკვლაც განიზრახა. ამ უდიდესი საშიშროების ჟამს დაძლია დავითმა საკუთარი გულგრილობა, რომელიც ასე ხანგრძლივად აწვალებდა

[731]

მის სულს და ადრინდელი ენერგიით მოემზადა ასე უეცრად თავს დამტყდარ უბედურებასთან შესახვედრად. თავისი ლაშქარი ხებრონში შეკრიბა აბესალომმა, დედაქალაქიდან სულ რაღაც ოცი მილის მანძილზე. ამბოხებულნი მალე იერუსალიმის კარიბჭესთან უნდა გამოჩენილიყვნენ.

თავისი სასახლიდან გასცქეროდა დავითი დედაქალაქს, რომელიც იყო „ლამაზი მაღლობი, სიხარული მთელი ქვეყნიერებისა... ქალაქი დიდი მეფისა" /ფს. 47:3/. იმის წარმოდგენაც კი ზარავდა მეფეს, რომ ეს ქალაქი განადგურდებოდა და სასაკლაოდ იქცეოდა. მიმართოს

დახმარებისათვის თავის ერთგულ ქვეშევრდომთ და დაიცვას ქალაქი? მაშინ ხომ მთელი იერუსალიმი სისხლით შეიღებება! და გადაწყვიტა, არ მიეცა ამ ქალაქის განადგურების საშუალება. იგი დატოვებს იერუსალიმს და, ამავე დროს, საკუთარი ხალხის ერთგულებას გამოცდის, როცა მეფის დასახმარებლად გაერთიანების საშუალებას მისცემს. ამ მძიმე განსაცდელის ჟამს მისი მოვალეობა ხალხისა და ღმერთის წინაშე მისთვის ღვთით ბოძებული ხელმწიფების შენარჩუნება იყო. და ღმერთს მიანდო სრულად ამ ბრძოლის შედეგი.

დატოვა სამეფო ტახტი, სასახლე, უფლის კიდობანი საკუთარი ვაჟის მიერ დევნილმა, ღვთის ნებას მინდობილმა, დამწუხრებულმა მეფემ; გამოერიდა იერუსალიმის კარიბჭეს. სამგლოვიარო პროცესიას ჰგავდა ეს გამოსვლა, გრძელსა და მწუხარეს. ხალხი გაჰყვა უკან. დავითის დაცვა, რომელიც ქერეთელების, ფელეთელებისა და გეთელებისაგან - სულ ექვსასი კაცისაგან შედგებოდა, ითაის ხელმძღვანელობით წინ მიუძღოდა მეფეს. მაგრამ უანგარო, გულწრფელ დავითს არ სურდა, რომ მასთან თავშეფარებული ეს უცხოტომელნი მეფესთან ერთად უბედურებაში გახვეულიყვნენ. გაკვირვება ვერ დაფარა დავითმა, როცა ნახა, რომ მზად იყვნენ ისინი, მისთვის სიცოცხლე გაეწირათ. უთხრა მეფემ ითაი გეთელს: "შენ რაღას მოგვყვები? გაბრუნდი და დარჩი იმ მეფესთან, რადგან უცხოელი ხარ და შენი ადგილიდან გადმოხვეწილი. გუშინ მოხვედი და დღეს როგორ გაიძულო ჩვენთან ერთად წამოსვლა?

მე წავალ, სადაც იქნება, შენ კი გაბრუნდი და უკან გააბრუნე შენიანები. მადლი და ერთგულება იყოს შენთან!"

მიუგო ითაიმ მეფეს: "უფალს და ჩემს მეფე-ბატონს ვფიცავ, სადაც არ უნდა წავიდეს ჩემი მეფე-ბატონი, სასიკვდილოდ თუ სასიცოცხლოდ, შენი მორჩილიც იქ იქნება". ამ ადამიანებმა, ერთ დროს წარმართებმა, იუდეველთა რელიგია მიიღეს და ახლა იეჰოვას ემსახურებოდნენ, ასეთი ღვთისმოსაობით უფლისა და მეფისადმი ერთგულება დაამტკიცეს. უღრმესი მადლიერებით მიიღო დავითმა მისთვის მეტად მნიშვნელოვან დროს ამ ხალხის ერთგულება და ყველამ ერთად გადალახა კედრონის ხევი და მთელი ხალხი დაადგა უდაბნოს გზას.

პროცესია კვლავ შეჩერდა. მღვდელმსახურთა ჯგუფი მიუახლოვდა მათ. „იქ იყო ცადოკიც და მასთან ერთად ყველა ლევიანი, ღვთის აღთქმის კიდობნის მტვირთველნი". კეთილ ნიშნად მიიჩნიეს ეს დავითის მხლებლებმა. ამ წმიდა სიმბოლოს გამოჩენა ხსნისა და საბოლოო გამარჯვების საწინდარი იყო მათთვის. ამან უფრო განუმტკიცა ხალხს მეფის დახმარების სურვილი. იერუსალიმიდან კიდობნის გაუჩინარებას შიშის ზარი უნდა დაეცა აბესალომის მომხრეთათვის.

დიდად გაიხარა დავითმა კიდობნის დანახვაზე. დიდი იმედი მიეცა. მაგრამ მალე სხვა აზრი შემოეძალა. მეტად დიდი, წმიდა უპირატესობა დაეკისრა მას, როგორც ღვთიური მემკვიდრეობის

კანონიერ მმართველს. მისი უპირველესი საზრუნავი - პირადი ინტერესები კი არა, არამედ ღვთის დიდება და თავისი ერის კეთილდღეობა უნდა ყოფილიყო. უზენაესმა, ქერუბიმთა შორის რომ მეფობდა, ბრძანა იერუსალიმის შესახებ: „ეს არის ჩემი განსასვენებელი უკუნისამდე" /ფს. 131:14/. და ღვთიური მითითების გარეშე არც მღვდელმთავარს და არც მეფეს არ ჰქონდა ამ წმიდა სიმბოლოს ადგილიდან დაძვრის უფლება.

[732]

კარგად იცოდა დავითმა, რომ სრული თანხმობა უნდა ჰქონოდა უფლის დადგენილებებთან, წინააღმდეგ შემთხვევაში, კიდობანი უბედურებას უფრო მოუტანდა, ვიდრე წარმატებას. მუდამ თვალწინ ედგა თავისი უმძიმესი ცოდვა. მის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებას მის მიმართ უფლის სამართლიან სასჯელად თვლიდა. მახვილი, რომელზედაც ითქვა, რომ „არ მოსცილდება შენს სახლს", - გაშიშვლდა. რით დასრულდებოდა ბრძოლა, არ იცოდა. არც იმის უფლება ჰქონდა, რომ დედაქალაქიდან ის წმიდა საგნები გამოეტანა, რომლებითაც სამყაროს ღვთიური მბრძანებლის ნება-სურვილი ხორციელდებოდა და რომელზედაც ერის კეთილდღეობა და წესრიგი იყო დაფუძნებული.

უთხრა მეფემ ცადოკს: "დააბრუნე ქალაქში ღვთის კიდობანი. თუ მადლი მიპოვნია უფლის თვალში, მეც დამაბრუნებს და მახილვინებს მას და მის სამყოფელს. თუ ბრძანებს, აღარ მინდიხარო, სადღა წავალ, მიყოს რაც ენებოს".

შემდეგ კი დაუმატა: „გამჭრიახი კაცი ხარ, დაბრუნდი მშვიდობით ქალაქში, შენი შვილი ახიმაყაცი და იონათანი, აბიათარის ძე - თქვენი ორივე შვილი თქვენთან იქნებიან. იცოდეთ, უდაბნოს ვაკეზე დაველოდები, ვიდრე ახალი ამბავი არ მომივა თქვენგან". იცოდა მეფემ, რომ მეტად მნიშვნელოვან სამსახურს გაუწევდნენ მღვდლები ქალაქში; უფრო მეტს გაიგებდნენ ამბოხებულთა გეგმებისა და მოქმედებების შესახებ და შვილების - იონათანისა და ახიმაყაცის მეშვეობით მალულად შეატყობინებდნენ მეფეს.

გაბრუნდნენ მღვდლები იერუსალიმისაკენ და უფრო მძიმედ დარია სევდამ ხელი გამოქცეულთ: მათი მეფე დევნილია, თავადაც დევნილები არიან; ღვთის კიდობანიც წაიღეს მათგან. მომავალი ბნელით იყო მოცული, მძიმე წინათგრძნობას შეეპყრო მათი გული. „ხოლო დავითი შეუდგა ზეთისხილის მთას, ადიოდა, და ტიროდა, თავდაფარული და ფეხშიშველი. ყველას, ვინც მასთან იყო, თავი ჰქონდა დაფარული, და ტირილ-ტირილით ადიოდნენ. შეატყობინეს დავითს: ახითოფელიც შეთქმულია აბესალომთანო". კვლავ აღიარა დავითმა, რომ მთელი ეს უბედურება მისი ცოდვის შედეგი იყო. ყველაზე

გამჭრიახი, ნიჭიერი, მაგრამ მზაკვარი კაცის, ახითოფელის განდგომაც იმ სირცხვილისათვის შურისგებით იყო გამოწვეული, რომელიც დავითმა მის ოჯახს დაატეხა თავს, ვინაიდან ბარშებაყი შვილიშვილი იყო ახითოფელისა.

„და თქვა დავითმა: ჩაშალე, უფალო, ახითოფელის თათბირი". ავიდა მეფე ზეთისხილის მთის წვერზე, მუხლებზე დაეცა, უფალს შეავედრა თავისი დამძიმებული სული და მორჩილებით შესთხოვა ღვთიური მოწყალება. თითქოსდა მყისვე შეისმინა უფალმა მისი თხოვნა: მასთან მივიდა ხუშაი არქიელი, სამოსელშემოხეული და თავზე მტვერდაყრილი, რათა გვირგვინაყრილი, დევნილი მეფის ხვედრი გაეზიარებინა. გონება გაუნათა დავითს სიბრძნემ და მაშინვე მიხვდა, რომ ეს გულწრფელი და ერთგული კაცი სწორედ ის იყო, ვინც დიდ სამსახურს გაუწევს მეფეს დედაქალაქში თათბირის დროს. დავითის თხოვნით, იერუსალიმში დაბრუნდა ხუშაი, რათა თავისი სამსახური აბესალომისთვის შეეთავაზებინა და ახითოფელის მზაკვრული გეგმები ჩაეშალა.

ირგვლივ გამეფებულ წყვდიადში იმედის ამ მცირე ნაპერწკლით გამხნევებულმა მეფემ თავის ხალხთან ერთად განაგრძო გზა, ზეთისხილის მთის აღმოსავლეთ ფერდობს მიაშურა და კლდოვანი, უსახური უდაბნოსა და უღრანი ხეობების გავლით, ვიწრო, გაუვალი ბილიკებით იორდანესკენ აიღო გეზი. „ბახურიმს რომ მიუახლოვდა მეფე დავითი, ხედავს, გამოდის

იქიდან საულის სახლის მონათესავე კაცი, სახელად შიმყი გერას ძე, მოდის და მოიწყევლება. ქვებს ესროდა დავითს და დავით მეფის მორჩილთ, თუმცა ხალხი და მეომრები მარჯვნივ და მარცხნივ მოჰყვებოდნენ. ასე წყევლიდა მას შიმყი: განვედ, განვედ, სისხლისმსმელო, უგვანო კაცო! შენზევე მოაქცია

[735]

[736]

უფალმა სისხლი საულის სახლისა, რომლის ნაცვლად გამეფდი, და შენს ძეს აბესალომს ჩაუგდო მეფობა ხელში. აჰა, მოგეზღო ბოროტების წილ, რადგან სისხლისმსმელი კაცი ხარ!"

დავითის მეფობის დროს ერთი სიტყვითაც კი არ გამოუმჟღავნებია თავისი ჭეშმარიტი დამოკიდებულება მის მიმართ. მაგრამ მეფისათვის ძნელბედობის ჟამს ამ ბენიამინელმა კაცმა თავისი ნამდვილი ხასიათი გამოაჩინა. იგი პატივს სცემდა დავითს, როცა იგი სამეფო ტახტზე იჯდა, დამცირების ჟამს კი წყევლიდა მას. ეს ორგული და ეგოისტი კაცი ყველას თავისი არშინით ზომავდა, რადგან თავად სატანის ნებას ემორჩილებოდა და თავის სიძულვილს იმაზე აფრქვევდა, ვინც ახლა უფლის სასჯელს იმსახურებდა. სული, რომელიც

ადამიანში სიხარულს აღძრავს სხვისი უბედურების დანახვაზე, შეურაცხყოფს და ტანჯვას აყენებს გასაჭირში მყოფს - ეს სატანის სულია.

დავითის წინააღმდეგ შიმყის ბრალდებას არავითარი საფუძველი არ ჰქონდა. ბოროტი ცილისწამება იყო ეს მხოლოდ. არაფერი დაუშავებია დავითს საულისა და მისი სახლისათვის. როცა დავითს საული ხელში ჩაუვარდა და მისი მოკვლა თავისუფლად შეეძლო, მხოლოდ კიდე მოაჭრა მის მოსასხამს და ამასაც ძლიერ ნანობდა შემდგომ და საყვედურობდა საკუთარ თავს, რომ ასე შეურაცხყო უფლის ცხებული.

დიდად უფრთხილდებოდა დავითი ადამიანის სიცოცხლეს. და ამას ნათლად მოწმობს შემთხვევა, რომელსაც მასზე ნადირობისა და მისი დევნის დროს ჰქონდა ადგილი. ერთხელ, როცა იგი ყადულამის გამოქვაბულში იმალებოდა და ფიქრებში თავისი ბავშვობის უღრუბლო წლებს იხსენებდა, უნებლიედ აღმოხდა: „ვინ დამალევინებს ბეთლემის ჭის წყალს, კარიბჭესთან რომ არის?" /2 მეფ. 23:15/. იმ დროს ფილისტიმელთა ხელში იყო ბეთლემი, მაგრამ სამმა მამაცმა მეომარმა დავითის რაზმიდან შეძლო ფილისტიმელთა ბანაკის გარღვევა, „ამოიღეს წყალი ბეთლემის ჭიდან, კარიბჭესთან რომ არის, წამოიღეს და მოუტანეს" თავიანთ ბატონს. ვერ შესვა წყალი დავითმა. „შორს იყოს ჩემგან, უფალო, ასეთი საქმე! ნუმც დამელიოს ამ ვაჟკაცთა სისხლი, თავის გასაწირავად რომ წავიდნენ!" /მუხ. 17/ - და

მოწიწებით დაღვარა იგი მიწაზე, როგორც შესაწირავი უფლისათვის. მეომარი კაცი იყო დავითი. მრავალჯერ გამხდარა ძალადობის მოწმე, მაგრამ ბევრმა როდი შეძლო ასეთ გარემოებებში, დავითის მსგავსად, ძალადობის სასტიკი და გამხრწნელი ზეგავლენის ქვეშ არ მოქცეულიყო.

ვერ შეძლო შიმყის შეურაცხმყოფელი სიტყვების მშვიდად მოსმენა დავითის ნათესავმა, აბიშაიმ, მამაცთა შორის უმამაცესმა მხედართმთავარმა და წამოიძახა: „რისთვის აგინებს ეს მკვდარი ძაღლი ჩემს მეფე-ბატონს? წავალ და თავს წავაცლი!" მაგრამ არ დართო ამის ნება დავითმა და უთხრა: „ხომ ხედავთ, ჩემი ღვიძლი შვილი მოსაკლავად მომდევს და ამ ბენიამინელს რაღა მოვკითხო? თავი დაანებეთ, იწყევლებოდეს, უფალს ასე უბრძანებია. ვინძლო მოხედოს უფალმა ჩემს გასაჭირს და დღევანდელი მისი წყევლის სანაცვლოდ სიკეთე მომაგოს უფალმა".

სინდისი კარნახობდა დავითს მწარე, მაგრამ სამართლიან ჭეშმარიტებას. დიდად უკვირდათ მის მორჩილთ, თუ რა უცბად გამოეცალა კეთილდღეობა ხელიდან მეფეს. თავად დავითი თვლიდა, რომ დაიმსახურა ეს სასჯელი. ხშირად უგრძვნია, რომ ეს ჟამი აუცილებლად დაუდგებოდა. უკვირდა მეფეს, ასეთ დიდსულოვნებას რომ იჩენდა უფალი მის მიმართ, ითმენდა მის ცოდვებს და დამსახურებულ სასჯელს აყოვნებდა. და ახლა, სასახლიდან გამოქცეული, ფეხშიშველი, სამეფო ტანსაცმლის

ნაცვლად ჯვალოთი შემოსილი მეფე, რომელსაც გულს უკლავდა მხლებელთა გოდება, შორეულ მთებში ექოდ რომ გაისმოდა, ფიქრობდა თავის საყვარელ ქალაქზე, ადგილზე, სადაც შესცოდა. გაახსენდა

[737]

უფლის დიდსულოვნება და სიკეთე მის მიმართ და იმედი მიეცა, რადგან გრძნობდა, რომ თავისი სულგრძელობის გამო კვლავაც შეიწყალებდა უფალი.

ადამიანები, როცა თავიანთი უწმიდური საქციელის გამართლება სურთ, ხშირად დავითის ცოდვით დაცემაზე მიუთითებენ, მაგრამ რა მცირეა მათ შორის ისეთი, ვინც, დავითის მსგავსად, ასე ღრმად, გულწრფელად მოინანია და ასეთი დიდი მორჩილება გამოიჩინა. დიახ, ძლიერ ცოტანი არიან, ასეთი მორჩილებით რომ ღებულობენ მხილებას და დიდი მოთმინებითა და თავშეკავებით - დამსახურებულ სასჯელს, როგორც დავითი! აღიარა და მოინანია თავისი ცოდვა დავითმა და მრავალი წლის განმავლობაში ცდილობდა, შეესრულებინა თავისი მოვალეობა, როგორც ღვთის მსახურს; შრომობდა თავისი ქვეყნის აყვავებისათვის და, მართლაც, მისი მეფობის წლებში უდიდეს აღმავლობასა და ძლიერებას მიაღწია

ისრაელმა. უხვად მოიმარაგა მან სამშენებლო მასალა ღვთის სახლის ასაგებად და, ნუთუ ღვთის საქმისადმი მიძღვნილი მთელი მისი ცხოვრება და შრომა ფუჭად ჩაივლის? ნუთუ მისი თავდადებული შრომის, გენიალური ხელმძღვანელობისა და დიპლომატიის ნაყოფი ხელთ უნდა იგდოს მისმა მოღალატე, ურჯულო ვაჟმა, რომელიც არად აგდებს ღმერთის ღირსებას და ისრაელის კეთილდღეობას? რა ბუნებრივი იქნებოდა უფლისადმი დავითის უკმაყოფილების გამოხატვა ასეთი უბედურების ჟამს!

მაგრამ ხედავდა დავითი, რომ უბედურების მიზეზი საკუთარი ცოდვა იყო. მიქა წინასწარმეტყველის სიტყვები იმედის ნაპერწკალს უღვივებდა გულში: „თუმც ბნელში ვზივარ, უფალია ჩემი ნათელი! დავითმენ უფლის რისხვას /რადგან ცოდვილი ვარ მის წინაშე/, ვიდრე ჩემს საქმეს არ გაიკითხავს და არ გადამიწყვეტს თავის სამართალს" /მიქ. 7:8, 9/. და მართლაც, არ მიატოვა ღმერთმა დავითი. ეს მისი ცხოვრებისეული გამოცდილება, როცა ასე უსამართლოდ შეურაცხყვეს და ცილი დასწამეს, მან კი ასეთი დიდი მორჩილება, სულგრძელობა და დიდსულოვნება გამოიჩინა, მთელი მისი სიცოცხლის წიგნის ყველაზე კეთილშობილური ფურცელია. არასოდეს ამ დღემდე ასე ჭეშმარიტად დიდი არ ყოფილა ისრაელის მეფე ზეცის თვალში, როგორც მისი უდიდესი დამცირების წუთებში.

უფალს რომ დავითი თავისი დანაშაულისათვის დაუსჯელი დაეტოვებინა და მას, უფლის დადგენილებათა დარღვევის მიუხედავად, კვლავინდებურად წარმატებით ემართა სახელმწიფო, მაშინ სკეპტიკოსთ და ურწმუნოთ ნამდვილად შეეძლოთ, დავითის ისტორია ბიბლიური რელიგიის საყვედურად გამოეყენებინათ. მაგრამ ასეთ მძიმე განსაცდელში ჩააგდო უფალმა დავითი, რითაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა ცოდვისა და დანაშაულის მიმართ თავისი შეუწყნარებლობა და შეურიგებლობა. დავითის ისტორია აგრეთვე იმ დიდი მიზნების დანახვის შესაძლებლობას გვაძლევს, რასაც უფალი ცოდვის მიმართ თავისი დამოკიდებულებით ისახავს. უზენაესის ყველაზე სასტიკ სასჯელშიც კი სიკეთისა და გულმოწყალების გეგმათა აღსრულების დანახვა შეგვიძლია. ტანჯვის ქარცეცხლში გაატარა უფალმა დავითი, მაგრამ არ დაღუპა. ამ ღუმელს კი არ უნდა დაეწვა იგი, არამედ - გამოეწრთო. უფალი ამბობს: „თუ ჩემს წესდებებს დაარღვევენ და ჩემს მცნებებს არ დაიცავენ, კვერთხით მოვკითხავ მათ დანაშაულს და გვემით - შეცოდებას. მაგრამ ჩემს წყალობას არ მოვუშლი მას და არ გავაცრუებ ჩემს ჭეშმარიტებას" /ფს. 88:32-34/.

მას შემდეგ, რაც დავითმა იერუსალიმი დატოვა, სულ მალე ქალაქში შევიდა აბესალომი თავისი ლაშქრით და ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე იგდო ხელთ ისრაელის ციხე-სიმაგრე. ხუშაი ერთ-ერთი პირველი მიეგება ახალ მონარქს. დიდად გაუკვირდა და ესიამოვნა მეფის ძეს ის ამბავი, რომ მამამისის

ძველი მეგობარი და სახელმწიფო მრჩეველი მის მხარეზე გადმოვიდა.

[738]

დარწმუნდა აბესალომი წარმატებაში. მის ყველა ჩანაფიქრს ხორცი შეესხა. ძლიერ მოუნდა აბესალომს თავისი ხელმწიფების განმტკიცება და ხალხის ნდობის მოპოვება და ამ მიზნით ხუშაიც მიიწვია სასახლეში.

ახლა აბესალომს მრავალრიცხოვანი ჯარი ჰყავდა, მაგრამ მის მეომრებს საბრძოლო გამოცდილება არ ჰქონდათ. არც ერთი მათგანი არ ყოფილა რომელიმე ბრძოლის მონაწილე. კარგად იცოდა ახითოფელმა, რომ დავითი ჯერ დამარცხებული არ იყო. ხალხის უმრავლესობა კვლავინდებურად მისი ერთგული რჩებოდა. მას გამოცდილი, ერთგული მეომრები ჰყავდა გვერდით. ნიჭიერი და გამოცდილი მხედართმთავრები ხელმძღვანელობდნენ მის ლაშქარს. ისიც კარგად იცოდა ახითოფელმა, რომ ახალი მეფით აღტაცებას საპირისპირო რეაქცია მოჰყვებოდა. ამბოხებულ აბესალომს დამარცხების შემთხვევაშიც კი რჩებოდა მამასთან შერიგების შესაძლებლობა და მაშინ მასზე, როგორც მთავარ მრჩეველზე, იქნებოდა აჯანყების დანაშაულის მეტი წილი და ყველაზე მძიმე

სასჯელიც. იმისათვის, რომ აბესალომს უკან დასახევი გზა აღარ ჰქონოდა, ახითოფელმა მას ისეთი საქციელისაკენ უბიძგა, რომლის შემდეგაც მამა-შვილის შერიგება შეუძლებელი იქნებოდა. სატანური ოსტატობით არწმუნებდა აბესალომს ეს მზაკვარი და უზნეო მრჩეველი, რომ აჯანყების დანაშაულისათვის სისხლის აღრევის ცოდვაც დაემატებინა. მთელი ისრაელის დასანახავად იგი მამის მხევალთან უნდა შესულიყო. აღმოსავლეთის წეს-ჩვეულებათა მიხედვით, ეს აქტი მამის ტახტის მემკვიდრეობით მიღებას ნიშნავდა. დაჰყვა აბესალომი ამ ამაზრზენ რჩევას: ასე აღსრულდა ღვთის სიტყვა, დავითის მიმართ უფლის წინასწარმეტყველის მიერ თქმული: „აჰა, უბედურებას დაგათევ შენივე სახლიდან, ავიყვან შენს თვალწინ შენს ცოლებს და შენს მოყვასებს მივცემ... თუმც შენ ჩუმად გააკეთე, მე მთელი ისრაელის წინაშე და მზის წინაშე გავაკეთებ ამ საქმეს" /2 მეფ. 12:11,12/. არ დაუშვებდა უფალი ამ უწმიდურ საქციელს, მაგრამ დავითის ცოდვის გამო არ ჩაერია და ხელი არ შეუშალა მის აღსრულებას.

დიდ პატივს სცემდნენ ახითოფელს მისი სიბრძნის გამო, მაგრამ უფლის ნათელს იყო მოკლებული იგი. „უფლის შიში სიბრძნის სათავეა" /იგავ. 9:10/. სწორედ ეს აკლდა მას; წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფო ღალატის წარმატების იმედს სისხლის აღრევის დანაშაულზე არ დაამყარებდა. ხშირად აწყობენ გახრწნილი გულის ადამიანები სხვადასხვა ბოროტ შეთქმულებებს, მაგრამ ავიწყდებათ, რომ არსებობს უზენაესის განგება, რომელსაც მათი გეგმების ჩაშლა შეუძლია. „მკვიდრი

ზეცისა გაიცინებს, უფალი აბუჩად აიგდებს მათ" /ფს. 2:4/. უფალი ამბობს: „არ ისურვეს ჩემი რჩევები და შეიძულეს ყველა ჩემი დარიგება, იგემებენ ნაყოფებს მათი საქციელისამებრ და თავიანთი ავი ზრახვებით გაძღებიან... დაღუპავს ბრიყვებს მათი განდგომილება" /იგავ. 1:30-32/.

პირადი უსაფრთხოებისათვის შემუშავებული გეგმის განხორციელების შემდეგ დაჟინებით მოითხოვდა ახითოფელი, რომ აბესალომს დაუყოვნებლივ დაეწყო საომარი მოქმედებები. „შემარჩევინე თორმეტი ათასი კაცი, - თქვა მან, - ავდგები და დავედევნები ამაღამვე დავითს და თავს დავესხმები, ვიდრე დაღლილი და მკლავმოდუნებულია. შიშის ზარს დავცემ და გაეფანტება მთელი ხალხი, და მოვკლავ მარტო დარჩენილ მეფეს". მოიწონეს მეფის მრჩევლებმა ახითოფელის გეგმა. და, ეს მართლაც ასე რომ მომხდარიყო, ეჭვგარეშეა, მოკლავდნენ დავითს, მაგრამ ჩაერია უფალი ღმერთი და გადაარჩინა იგი; სიბრძნე უზენაესისა და არა ახითოფელისა, მართავდა მოვლენებს. „უფალმა გადაწყვიტა ჩაეშალა ახითოფელის უკეთესი თათბირი, რათა უბედურება დაეთია აბესალომისთვის უფალს".

არ მოიწვიეს ამ თათბირზე ხუშაი და არც თავად მოისურვა დაუპატიჟებლად

[739]

[740]

მისვლა, რათა არ დაეჭვებულიყვნენ და დავითის მსტოვარი არ ამოეცნოთ მასში. მაგრამ თათბირის დამთავრების შემდგომ აბესალომმა, რომელიც დიდ პატივს სცემდა მამის მრჩევლის ყველა თვალსაზრისს, გაანდო მას ახითოფელის გეგმა. მაშინვე მიხვდა ხუშაი, რომ თუ მოვლენები ამ გეგმის მიხედვით წარიმართებოდა, დაიღუპებოდა დავითი. და თქვა: „არ ვარგა ამჯერად ახითოფელის თათბირი... ხომ იცნობ მამაშენს და მის კაცებს: მამაცები არიან გამწარებულნი, როგორც ბელებწაგვრილი ძუ დათვი მინდვრად. მამაშენი მებრძოლი კაცია და ხალხთან ერთად იფხიზლებს ღამით. ახლა ალბათ რომელიმე ხევში ან სხვა ადგილას იმალება იგი". დაარწმუნა აბესალომი ხუშაიმ, რომ დადევნებით დავითს ვერ შეიპყრობენ, დამარცხება კი იმედებს გაუცრუებს ხალხს, რაც მეტად სახიფათოა. „რადგან, - დაუმატა მან, - მთელმა ისრაელმა იცის, რა მაგარი კაციც არის მამაშენი და რა მამაცი ხალხია მისი მომხრეები". და ოსტატურად შესთავაზა თავისი გეგმა, რომლითაც დიდად აამა პატივმოყვარე და საკუთარი სახელის განდიდების მძებნელ აბესალომს - ასე რომ სწყუროდა საკუთარი ხელმწიფების წარმოჩენა. „გირჩევ შემოიკრიბო მთელი ისრაელი დანიდან ბერშებამდე, ზღვის ქვიშასავით

უთვალავი, და შენ თავად გახვიდე საბრძოლველად. მივადგებით მას, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს, თავს დავეცემით, როგორც ცვარი ეცემა მიწას, და ერთ კაცსაც არ დავტოვებთ ცოცხალს მისი სახლიდან. თუ ქალაქში ჩაიკეტა, მთელი ისრაელი თოკებს შემოახვევს ქალაქს და ხევში ჩავათრევთ ისე, რომ კენჭიც არ დარჩება იმ ადგილას".

„თქვა აბესალომმა და ყველა ისრაელიანმა: ხუშაი არქიელის თათბირი სჯობია ახითოფელის თათბირს". მაგრამ მათ შორის იყო ის, ვისი მოტყუებაც შეუძლებელი იყო, ვინც ნათლად განჭვრიტა აბესალომის საბედისწერო შეცდომის შედეგი. მიხვდა ახითოფელი, რომ აჯანყებას წარმატება არ უწერია. ისიც კარგად იცოდა, რომ რაც არ უნდა მოსვლოდა მეფის ძეს, მას, მის მრჩეველს, ამ უმძიმესი დანაშაულისაკენ წამქეზებელს, არ დაინდობდნენ. ახითოფელი დაეხმარა აბესალომს ამბოხების მომზადებაში, სწორედ მან უბიძგა ამ სამარცხვინო საქმისაკენ და ძემაც შეურაცხყო თავისი მამა. მან ურჩია აბესალომს დავითის მოკვლა და ასწავლა, როგორ გაეკეთებინა ეს; მეფესთან შერიგების უკანასკნელი შესაძლებლობა წაართვა და ახლა აბესალომმა მას სხვა ამჯობინა. შურით აღვსილმა ახითოფელმა, განრისხებულმა და სასოწარკვეთილმა, „შეკაზმა სახედარი და წავიდა სახლში, თავის ქალაქში. ანდერძი დაუტოვა თავის სახლეულს და თავი ჩამოიღრჩო". ასე დაიღუპა ეს ბრწყინვალე ნიჭისა და შესაძლებლობების მქონე ადამიანი, რადგან უფალი არ დაიყენა თავის მრჩევლად. სატანა ხშირად აცდუნებს ხალხს მსგავსი მომხიბვლელი დაპირებებით, მაგრამ ამგვარ ანკესზე

წამოგებული ყოველი სული შემდგომში რწმუნდება, რომ „ცოდვის საზღაური სიკვდილია" /რომ. 6:23/.

კარგად იცნობდა ხუშაი აბესალომს, როგორი ცვალებადი იყო იგი. არ იყო დარწმუნებული, რომ მეფის ძე მის რჩევებს ბოლომდე გაითვალისწინებდა, ამიტომ სასწრაფოდ გააფრთხილა დავითი, რომ დაუყოვნებლივ გადასულიყო იორდანეს გაღმა. მღვდლებს, რომელთაც თავისი ვაჟებისათვის უნდა შეეტყობინებინათ ყოველივე ეს, ხუშაიმ უთხრა: „ასე და ასე ურჩია ახითოფელმა აბესალომს და ისრაელის უხუცესობას, ხოლო მე ასე და ასე ვურჩიეო... შეუთვალე დავითს: უდაბნოს ვაკეზე ნუ გაათევ-თქო ამ ღამეს, არამედ გაეცალე მანდაურობას, თორემ დაიღუპება მეფეც და მთელი მისი ხალხი".

მიუხედავად იმისა, რომ ეჭვის თვალით უცქეროდნენ და დევნიდნენ, ყმაწვილკაცებმა ამ საქმეს მშვენივრად გაართვეს თავი და დავალებაც შეასრულეს. ღრმა სულიერი ტანჯვით დამწუხრებულ და დაღლილ-დაქანცულ დავითს შეატყობინეს, იმავე ღამეს გადაელახა იორდანე, რადგან აბესალომს მისი მოკვლა ჰქონდა გადაწყვეტილი.

[741]

რა განცდები უნდა დაუფლებოდა მამას და მეფეს, რომელსაც ასე სასტიკად მოექცნენ ამ მძიმე განსაცდელის ჟამს? "მაგარი კაცი", ჩინებული მეომარი, მეფე და მბრძანებელი, რომლის სიტყვაც ყველასათვის კანონი იყო, გასწირა საკუთარმა შვილმა, რომელიც მას ძლიერ უყვარდა, ანებივრებდა და ბრმად ენდობოდა; მიატოვა თავისმა ხალხმა, რომელსაც ასეთი დიდი პატივითა და ერთგულებით ეპყრობოდა. რა სიტყვებით გამოხატა თავისი განცდები ასეთ მძიმე ვითარებაში მყოფმა მეფემ? მთელი გულით მიენდო ღმერთს ამ ძნელბედობისა და განსაცდელის ჟამს:

„უფალო! როგორ მომრავლდნენ ჩემი მტრები.

ჩემს წინააღმდეგ აღდგა მრავალი.

ბევრი ეუბნება ჩემს სულს:

არ არის მისთვის შემწეობა ღმერთისმიერი.

და შენ უფალო, ჩემი ფარი ხარ,

ჩემი დიდება და ამმაღლებელი ჩემი თავის.

ჩემი ხმით მოვუხმობ უფალს

და ის მიპასუხებს თავისი წმიდა მთიდან.

ვწვები, ვიძინებ და ვიღვიძებ,

რადგან უფალი შემწეა ჩემი.

ვერ შემაშინებს სიმრავლე ხალხის

გარს რომ მერტყმიან ყოველი მხრიდან...

უფლისაგან არის ხსნა

და შენი კურთხევა შენს ერზე"

/ფს. 3:2-9/.

ღამით გადალახეს ღრმა და სწრაფი მდინარე დავითმა და მისმა მხლებლებმა: მეომრებმა, მრჩევლებმა, მოხუცებმა და ახალგაზრდებმა, ქალებმა და ბავშვებმა. „განთიადამდე

სათითაოდ გადავიდნენ იორდანეზე; არავინ დარჩენილა იორდანეს გაღმა გაუსვლელი".

მახანაიმში დაბანაკდნენ დავითი და მისი ხალხი. კარგად გამაგრებული ქალაქი იყო იგი, მთებით გარშემორტყმული, ომის შემთხვევაში მშვენიერი თავშესაფარი. მშვიდი ცხოვრება ჰქონდათ ამ მხარის მკვიდრთ. მეგობრულად შეხვდნენ დავითს იქ და ბევრი შეუერთდა კიდეც. აქ მცხოვრები შეძლებული ხალხი კი უხვად ამარაგებდა დავითს და მის ერთგულთ საკვებითა და ყოველგვარი სხვა საჭირო საგნებით.

მიზანს მიაღწია ხუშაის რჩევამ და დავითიც მშვიდობიანად გადაურჩა ხიფათს; მოუთმენელმა, ფიცხმა აბესალომმა ლოდინი ვერ შეძლო და მამას დაედევნა. „აბესალომმა გადალახა იორდანე და უკან მიჰყვა მთელი ისრაელის ხალხი". ყამასა დაადგინა აბესალომმა მხედართმთავრად, დავითის დის, აბიგაილის ვაჟი. მართალია, დიდი იყო ლაშქარი, მაგრამ უწესრიგო, თანაც მამამისის გამოცდილ მეომრებთან ბრძოლისათვის მოუმზადებელი.

დავითმა კი სამ ჯგუფად დაჰყო თავისი ხალხი და მათი ხელმძღვანელობა იოაბს, აბიშაის და ითაი გეთელს დაავალა. თავად მოინდომა დავითმა თავისი ლაშქრის ხელმძღვანელობა, მაგრამ მის სურვილს წინ აღუდგნენ ათასისთავები, მრჩევლები და მთელი ხალხი. „არ გამოხვიდე, - ურჩიეს მას, - რადგან ჩვენ

თუ უკუვიქეცით, ყურადღებას არ მოგვაქცევენ, ნახევარიც რომ გავწყდეთ, არც მაშინ მოგვაქცევენ ყურადღებას; ჩვენისთანას ათი ათასს იწონი შენ; ამიტომ ჩვენთვის უმჯობესი იქნება, თუ ქალაქიდან შემოგვეშველები. უთხრა მათ მეფემ: როგორც გიჯობთ, ისე მოვიქცევი" /2 მეფ. 18:3, 4/.

[742]

[743]

კარგად მოჩანდა ქალაქის კედლებიდან ამბოხებულთა მხედრობის გრძელი რიგები. მრავალრიცხოვანი იყო თვითმარქვია უზურპატორის არმია. ერთ მცირე მუჭად მოჩანდა დავითის ხალხი მასთან შედარებით. გასცქეროდა მეფე მოწინააღმდეგის ლაშქარს და არ აღელვებდა მას არც სამეფო გვირგვინი, არც თავისი სამფლობელო, არც საკუთარი სიცოცხლე - ყოველივე ბრძოლის შედეგზე იყო დამოკიდებული. მხოლოდ ამბოხებული შვილის სიყვარულითა და სიბრალულით იყო მისი გული სავსე. როცა მეომრები ქალაქის კარიბჭეს გამოსცდნენ და მეფის წინ ჩაიარეს, გაამხნევა ისინი დავითმა, უბრძანა, მედგრად წასულიყვნენ წინ ისრაელის ღმერთის იმედით. მაგრამ აქაც ვერ დაიოკა მამობრივი

გრძნობები და აბესალომისადმი თავისი სიყვარული. როცა ბრძოლაში მრავალჯერ გამარჯვებულმა იოაბმა, პირველ კოლონას რომ მიუძღოდა, მეფესთან მიახლოებისას ამაყი თავი დავითის წინაშე მორჩილებით დახარა, მეფემ აკანკალებული ხმით წარმოთქვა: „დამიზოგეთ ყმაწვილი, აბესალომი". აბიშაიმ და ითაიმაც იგივე ბრძანება მიიღეს: „დამიზოგეთ ყმაწვილი, აბესალომი". მაგრამ მეფის ასეთმა წუხილმა, რომელიც, თითქოსდა, იმაზე მეტყველებდა, რომ აბესალომი გაცილებით უფრო ძვირფასი იყო მისთვის, ვიდრე მთელი სამეფო და მეფის ერთგული ქვეშევრდომნი, უფრო აღაშფოთა და მეფის უზნეო ძის წინააღმდეგ განაწყო მეომრები.

ბრძოლა იორდანეს შორიახლოს, ტყეში მიმდინარეობდა. აბესალომის ლაშქარი ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი იყო. ეს დიდი უპირატესობა თვით აბესალომის საწინააღმდეგოდ შეტრიალდა. უღრან, ჭანჭრობიან ტყეებში გაიფანტნენ აბესალომის მოუწესრიგებელი რაზმები და უმართავნი გახდნენ. „იძლია ისრაელის ხალხი დავითის მორჩილთაგან. დიდი ხოცვა-ჟლეტა მოხდა იქ იმ დღეს: გაწყდა ოცი ათასი კაცი". მიხვდა აბესალომი, რომ ბრძოლა წააგო და მიმალვა სცადა, მაგრამ თმებით გამოედო იგი „ტოტებგაბარჯღული დიდი მუხის" ტოტს; ჯორი, რომელზედაც ის იჯდა, გაიქცა, მხედარი კი უმწეოდ „გამოეკიდა ცასა და მიწას შორის" და მოწინააღმდეგისათვის ადვილად ხელმისაწვდომ ნადავლად იქცა. ამგვარ მდგომარეობაში იხილა იგი მეფის ერთ-ერთმა მეომარმა, რომელმაც მეფის რისხვის შიშით არ მოკლა აბესალომი, არამედ იოაბს შეატყობინა. იოაბს კი ბევრი არ

უფიქრია. უყვარდა იოაბს აბესალომი, ორჯერ შეარიგა მამასთან, მან კი ასე ბოროტად გამოიყენა მისი ნდობა. იოაბის შუამდგომლობა რომ არა, აბესალომს არ მიეცემოდა შესაძლებლობა, ეს ამბოხება მოეწყო და არც ეს საშინელი სისხლისღვრა მოხდებოდა თავისი საზარელი შედეგებით. ახლა იოაბს შეეძლო ამ ამაზრზენი ბოროტმოქმედების დამწყების ერთი დარტყმით განადგურება. და მან „ხელთ იპყრა სამი ჰოროლი და შიგ გულში ჩასცა აბესალომს, რომელიც ჯერ კიდევ ცოცხალი ეკიდა მუხაზე... აიღეს აბესალომი და ჩააგდეს ტყეში ერთ დიდ ორმოში და ზედ დიდძალი ქვები დაახვავეს".

ასე დაიღუპნენ ამბოხების მოთავენი ისრაელში. ახითოფელმა თავი მოიკლა. პირმშვენიერი აბესალომი, რომლის შესანიშნავი გარეგნული სილამაზით მთელი ისრაელი ამაყობდა, სრულიად ახალგაზრდა დაიღუპა, მისი გვამი ორმოში ჩააგდეს და, მარადიული მსჯავრის ნიშნად, ორმოს ქვების გროვა დააყარეს. ჯერ კიდევ თავის სიცოცხლეში, დიდებული მონუმენტი აიგო აბესალომმა სამეფო ველზე, მაგრამ ბოლოს მის საფლავს ერთადერთი ნიშანიღა შერჩა - ქვების გროვა უდაბნოში.

მოკლეს აჯანყების ხელმძღვანელი. იოაბმა საყვირის ხმით გასცა ბრძანება გაქცეული მტრის დევნის შეწყვეტის შესახებ, მეფეს კი მაცნეები გაუგზავნა.

გუშაგმა, კარიბჭის თავზე, კედელთან რომ იდგა და ბრძოლის მსვლელობას თვალს ადევნებდა, დაინახა, კაცი მორბოდა მათკენ. მალე მეორეც გამოჩნდა.

[744]

როცა პირველი მოახლოვდა, გუშაგმა უთხრა მეფეს, რომელიც კარიბჭესთან ელოდა:

„სირბილზე ვატყობ, რომ პირველი კაცი ახიმაყაც ცადოკის ძე უნდა იყოს. თქვა მეფემ: კარგი კაცია და კარგი ამბავიც უნდა მოჰქონდეს. დაიყვირა ახიმაყაცმა და უთხრა მეფეს: მშვიდობა! მდაბლად თაყვანისცა მეფეს და უთხრა: კურთხეულ იყოს უფალი, ღმერთი შენი, ხელში რომ ჩაგიგდო ხალხი, რომელთაც ხელი აღმართეს ჩემს მეფე-ბატონზე!" და როცა მეფემ მოუთმენლად იკითხა: „ხომ მშვიდობით არის ყმაწვილი აბესალომი?" - ახიმაყაცმა ორჭოფული პასუხი გასცა.

მეორე მაცნემ ასეთი სიტყვებით მიმართა მეფეს: „სასიხარულო ამბავი მომაქვს მეფე-ბატონისთვის! უფალმა დაგისაჯა დღეს შენი წინააღმდგომნი". იგივე კითხვა მოსწყდა მეფის ბაგეებს, ერთადერთი, რაც აღელვებდა: „ხომ მშვიდობით არის ყმაწვილი, აბესალომი?" ვერ დაუმალა მაცნემ ეს მძიმე ამბავი მეფეს და

უთხრა: „ისე მეფე-ბატონის მტრები და შენს საბოროტოდ აღმდგარნი იყვნენ, როგორც ის ყმაწვილია!" მეტი არაფრის გაგონება ისურვა მეფემ. საკმარისი იყო ეს. „შეიძრა მეფე, ავიდა კარიბჭის ზემოთვალში და ატირდა. ასე ამბობდა: შვილო აბესალომ! შვილო, შვილო აბესალომ! ნეტავ შენს მაგივრად მე მოვმკვდარიყავი, აბესალომ, შვილო, შვილო!"

გახარებულნი ბრუნდებოდნენ ბრძოლის ველიდან გამარჯვებული მეომრები. ექოდ გაისმოდა მთებში მათი შეძახილები, მაგრამ ქალაქში შესვლისთანავე შეწყდა მხიარული ყიჟინა. დროშები ძირს დახარეს. თვალებში სიხარულის სხივი ჩაუქრათ და გზა განაგრძეს, მაგრამ ახლა გამარჯვებულს კი არა, უფრო დამარცხებულს ჰგავდნენ, ვინაიდან მისასალმებელი სიტყვების ნაცვლად კარიბჭის ზემოთვალიდან მეფის მწუხარე გოდება შემოესმათ: „შვილო აბესალომ! აბესალომ, შვილო, შვილო!"

„გლოვად გადაექცა იმდღევანდელი გამარჯვების სიხარული მთელ ხალხს, რადგან გაიგო იმ დღეს ხალხმა, რომ წუხდა მეფე თავის შვილზე. ჩუმად მოიპარებოდა ქალაქში ხალხი იმ დღეს, როგორც მოიპარება ხოლმე ბრძოლის ველიდან უკუქცეული, შერცხვენილი ხალხი".

დიდად აღშფოთდა იოაბი. თავად ღმერთმა მისცა მათ სიხარულისა და ზეიმის მიზეზი: სულ ახლახან ჩაახშეს ერთ-

ერთი უდიდესი აჯანყება ისრაელიანთა ისტორიაში ცნობილ აჯანყებათა შორის და ეს ბრწყინვალე გამარჯვება გოდებად აქციეს იმ ადამიანის გამო, რომლის მუხანათობამ და ღალატმა ათასობით მეომრის სიცოცხლე იმსხვერპლა. მკაცრი, გამბედავი მხედართმთავარი მივიდა მეფესთან და თამამად მიმართა: „სირცხვილში ჩააგდე დღეს შენი მორჩილნი, რომელთაც გადაგირჩინეს დღეს შენი ვაჟები, შენი ასულები, შენი ცოლები და ხარჭები. შენი მოძულენი შეგყვარებია და შენი მოყვარულნი შეგძულებია; ისე იქცევი, თითქოს არ გყავდეს სარდალნი და მორჩილნი. ახლა მივხვდი, თურმე გერჩია აბესალომი ცოცხალი გყოლოდა, ჩვენ კი ყველანი დავხოცილიყავით. ახლავე ადექი და გადი, გაამხნევე შენი მორჩილნი, რადგან თუ არ გახვედი, უფალს გეფიცები, ერთი კაციც არ შეგრჩება ამ ღამეს. და ეს უარესი იქნება იმ უბედურებათაგან, რაც სიყმაწვილიდან დღემდე შეგმთხვევია".

მოისმინა დამწუხრებულმა მეფემ ეს უხეში და თითქმის სასტიკი საყვედური, მაგრამ მიხვდა, რომ მართალს ამბობდა მხედართმთავარი, გამოვიდა კარიბჭესთან და მიესალმა თავის მამაც მეომრებს და გამამხნევებელი სიტყვებით მიმართა გამარჯვებულთ.

[745]

თავი 73 - დავითის სიცოცხლის უკანასკნელი წლები

მეორე მეფეთა 24; მესამე მეფეთა 1;

პირველი ნეშტთა 21; 28 და 29

აბესალომის დამარცხებას მაშინვე არ მოუტანია სიმშვიდე ქვეყნისათვის. იმდენად დიდი იყო ამბოხებულთა რიცხვი, რომ დავითმა ვერ გაბედა დედაქალაქში დაბრუნება და ისრაელიანთა ყველა შტოს თანხმობის გარეშე სამეფო უფლებამოსილებათა მიღება. აბესალომის დამარცხებამ საყოველთაო მღელვარება გამოიწვია. არც ერთ შტოს არ გამოუვლენია სურვილი, დაუყოვნებლივ აღედგინა სამეფო ტახტზე დავითის მტკიცე უფლებები. და ბოლოს, როცა იუდას შტომ გადაწყვიტა მეფის დაბრუნება, ამან სხვა შტოთა შური გამოიწვია და ქვეყანა კვლავ არეულობამ მოიცვა, თუმცა სულ მალე შეძლეს ამის მოგვარება და ისრაელში კვლავ მშვიდობა დამყარდა.

დავითის ცხოვრების ისტორია ერთ-ერთი შთამბეჭდავი მაგალითია იმისა, თუ სიმდიდრეში, ხელმწიფებასა და ამქვეყნიურ დიდებაში, ე.ი. სწორედ იმაში, რისკენაც ასე ისწრაფვიან ადამიანები, რაოდენ დიდი საფრთხე იმალება. მხოლოდ მათ მცირე ნაწილს ჰყოფნის ნებისყოფა, რათა მსგავს

გამოცდას გაუძლოს. დავითის ბავშვობა, ცხვრის მწყემსვაში რომ გაატარა და მორჩილება, მოთმინებით შრომა და ცხოველებზე ზრუნვა ასწავლა; მთებში განმარტოება და იქ ბუნების წიაღთან შერწყმა; მუსიკალური და პოეტური ნიჭის განვითარება, ფიქრებით რომ შემოქმედთან მიჰყავდა; მკაცრი ცხოვრება უდაბნოში, გამბედაობას, თავშეკავებას, მოთმინებასა და ღვთის რწმენას რომ ითხოვდა - ყოველივე წინასწარ განუსაზღვრა და დაუდგინა უფალმა, რათა დავითი ისრაელის ტახტისათვის მოემზადებინა. სიხარულით ხვდებოდა იგი ყოველ გამოცდას, მისთვის უძვირფასესს, ვინაიდან ღვთის სიყვარული შეაცნობინა ამან და სულიწმიდაც მთელი სისრულით სუფევდა მასში. საულის ისტორიაში მან ნათლად დაინახა ადამიანური სიბრძნის ამაოება. და მაინც, ამქვეყნიურმა დიდებამ და წარმატებამ შეასუსტა დავითის ხასიათი, რის გამოც არაერთხელ გამხდარა მაცდურის მსხვერპლი.

წარმართთა ტომებთან სიახლოვემ სურვილი გაუღვიძა დავითს, გადაეღო მათი ზნე-ჩვეულებანი; ამქვეყნიური დიდებისაკენ სწრაფვის სურვილით აენთო მისი გული. ისრაელი მართლაც უნდა განდიდებულიყო სხვა ერებს შორის, როგორც ღვთის რჩეული ერი, მაგრამ თანდათან ებრაელებში პატივმოყვარეობამ და თვითდაჯერებულობამ იჩინა თავი და ამ უპირატესობამ ისინი აღარ დააკმაყოფილა. ახლა სხვა ერებზე განდიდების ძლიერმა სურვილმა შეიპყრო ებრაელები. ამას კი, შეუძლებელი იყო, ცდუნება არ გამოეწვია. სხვათა მიწების დაპყრობის მიზნით, დავითმა თავისი არმიის გაზრდა გადაწყვიტა და მასში მსახურებისათვის ყველა სრულწლოვანი გაიწვია. საჭირო გახდა

მოსახლეობის აღწერა. სიამაყემ და პატივმოყვარეობამ გადაადგმევინა მეფეს ეს ნაბიჯი. ამ აღწერას უნდა ეჩვენებინა, თუ რა სუსტი იყო სახელმწიფო დავითის გამეფებამდე და როგორ გაძლიერდა და აყვავდა მისი ხელმწიფების დამყარების შემდგომ, ეს კი თავდაჯერებას შემატებდა მეფესაც და ხალხსაც. წმიდა წერილი გვამცნობს: „სატანა აღდგა ისრაელზე და ისრაელის აღრიცხვის სურვილი აღუძრა დავითს" /1 ნეშტ. 21:1/. დავითის მეფობისას ისრაელი უფრო ღვთის კურთხევის წყალობით გაძლიერდა, ვიდრე მეფის ნიჭიერებისა და მისი არმიის ძლიერების მეშვეობით. სამეფოს არმიის გაზრდა კი მეზობელ ტომებს იმის წარმოდგენას შეუქმნიდა, რომ ისრაელი ლაშქარს უფრო ეყრდნობა,

[746]

[747]

ვიდრე იეჰოვას ძალას.

თუმცა ისრაელიანნი ამაყობდნენ თავისი ეროვნული სიძლიერით, მაგრამ დავითის სურვილმა არმიის გაზრდის შესახებ სათანადო მხარდაჭერა ვერ ჰპოვა. ამიტომ მოსახლეობის მოსალოდნელმა მობილიზაციამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, საჭიროდ მიიჩნიეს ამ საქმეში მხედართმთავართა

გამოყენება მღვდელთა და სხვა პირთა ნაცვლად, რომლებიც ადრე მსგავს საქმიანობას ეწეოდნენ. ამ ღონისძიების მიზანი სრულიად ეწინააღმდეგებოდა თეოკრატიულ წესწყობილებას. პროტესტი განაცხადა ისეთმა ადამიანმაც კი, როგორიც უპრინციპო იოაბი იყო. „უფალმა, შენმა ღმერთმა შეჰმატოს ერს ერთი ამდენი და კიდევ ასჯერ მეტი, - თქვა მან, - და ამის მომსწრე გახადოს მეფე-ბატონი. მაგრამ რად ინება მეფე-ბატონმა ეს საქმე? იძალა მეფის სიტყვამ იოაბზე და ჯარის სარდლებზე და გავიდნენ მეფისგან იოაბი და ჯარის სარდლები ხალხის, ისრაელის, აღსარიცხად... მოიარეს მთელი ქვეყანა და... იერუსალიმში დაბრუნდნენ". აღრიცხვა ჯერაც არ დაემთავრებინათ, რომ დავითი უკვე მიხვდა თავის დანაშაულს. გაკიცხა საკუთარი თავი ამისათვის მეფემ: „დიდად შევცოდე, ეს რომ გავაკეთე. ახლა მიუტევე, უფალო, შეცოდება შენს მორჩილს, რადგან უგუნურად მოვიქეცი". მეორე დილით უფლის სიტყვა გამოეცხადა დავითს წინასწარმეტყველ გადის მეშვეობით: „რა გიჯობს, შვიდწლიანი შიმშილი შენს ქვეყანაში, სამი თვის ლტოლვილება შენი მტრებისგან და მათგან შენი დევნა, თუ შავი ჭირი სამ დღეს შენს ქვეყანაში? ახლა იფიქრე და ასწონ-დასწონე, რა პასუხი მივუტანო ჩემს გამომგზავნელს".

უპასუხა დავითმა გადს: "მეტისმეტად დამწუხრებული ვარ, მაგრამ მიჯობს უფლის ხელში ჩავვარდე, რადგან დიდია მისი მოწყალება. ოღონდ კაცის ხელში ნუ ჩავვარდები".

მოავლინა უფალმა შავი ჭირი ისრაელში და გაწყდა სამოცდაათი ათასი კაცი. ეს უბედურება დედაქალაქამდე არ იყო მიღწეული, რომ „გაიხედა და დაინახა დავითმა ცასა და დედამიწას შუა მდგარი უფლის ანგელოზი, ხელში თავისი გაშიშვლებული მახვილი ეჭირა, იერუსალიმზე დაღირებული. დავითი და უხუცესნი, სახეშებურვილნი, პირქვე დაემხნენ". შეევედრა მეფე უფალს, დაენდო ხალხი. „ხალხის აღრიცხვა ხომ მე ვბრძანე? მე შევცოდე, მე ჩავიდინე ბოროტება, ამ ცხვრებმა რაღა დააშავეს? უფალო, ღმერთო ჩემო, ჩემზე და მამაჩემის სახლზე იყოს შენი ხელი, ოღონდაც შენს ერზე ნუ იქნება მისდა დასაღუპად".

მართალია, აღრიცხვის ჩატარებამ ხალხის უკმაყოფილება გამოიწვია, მაგრამ ისრაელიანთ იგივე გრძნობები ამოძრავებდათ, რითაც დავითი ხელმძღვანელობდა. დავითის დასასჯელად უფალმა აბესალომის ცოდვა გამოიყენა, ახლა კი დავითის შეცდომის მეშვეობით ისრაელის ცოდვა დასაჯა.

იერუსალიმის კარიბჭესთან შეაჩერა თავისი საშინელი საქმე შემმუსვრელმა ანგელოზმა. მორიას მთამდე მივიდა იგი და ორნან იებუსელის კალოსთან შეჩერდა. ავიდა დავითი მთაზე წინასწარმეტყველის მითითებით, სამსხვერპლო აუგო უფალს, „მიიტანა აღსავლენი და სამადლობელი მსხვერპლი. და მოუხმო უფალს. მან კი აღსავლენის სამსხვერპლოზე ზეციდან ცეცხლის მოცემით უპასუხა". "შეიწყალა უფალმა ქვეყანა და განერიდა ჟამი ისრაელს".

ადგილი, სადაც სამსხვერპლო აიგო, ამიერიდან წმიდა ადგილად ითვლებოდა და ორნანმა იგი ძღვნად შესთავაზა მეფეს, მაგრამ იუარა დავითმა. „არა, სრულ საფასურად უნდა ვიყიდო შენგან, - უთხრა მან, - რადგან უფალს ვერც შენს საკუთრებას შევწირავ და ვერც მუქთა აღსავლენს. ამ ადგილის საფასურად დავითმა ექვსასი შეკელი ოქრო მისცა ორნანს". ეს იყო ადგილი,

[748]

[749]

სადაც აბრაამმა ააგო სამსხვერპლო საკუთარი შვილის უფლისათვის შესაწირად, რომელიც შემდგომ ამ უდიდესი ხსნის აღსანიშნავად წმიდად გამოაცხადეს. სწორედ ეს ადგილი აირჩია შემდგომში ტაძრის ასაგებად სოლომონ მეფემ.

კიდევ ერთმა შავმა ღრუბელმა დაამძიმა დავითის ცხოვრება სიცოცხლის უკანასკნელ წლებში. სამოცდაათი წლისა იყო მეფე. სიყმაწვილის წლების გაჭირვებამ და მწუხარებამ, მრავალრიცხოვანმა ბრძოლებმა, ბევრმა საზრუნავმა და უბედურებამ, სიცოცხლის ბოლო წლებში რომ უხვად ჰქონდა,

საგრძნობლად შეურყია ჯანმრთელობა. თუმცა საღი გონება და გამჭრიახობა არ დაჰკარგვია, მაგრამ დრომ თავისი გაიტანა. განმარტოებას ეძებდა მეფე. მისი სამეფოს მშფოთვარე წარსული თითქოს დავიწყებას ეძლეოდა. მაგრამ აი, კვლავ გაჩაღდა ბრძოლა სამეფო გვირგვინისათვის; კვლავ იჩინა თავი დავითის მამობრივი შემწყალებლობის ნაყოფმა.

ახლა ადონიამ მოინდომა ისრაელის სამეფო ტახტზე ასვლა. „თვალტანადი ყმაწვილი იყო" იგი, მამისაგან განებივრებული და გათამამებული. „არასოდეს უსაყვედურნია მამამისს: ასე რატომ იქცევიო" /3 მეფ. 1:6/. ახლა იგი აუმხედრდა უფალს, რომელმაც მეფედ სოლომონი გაამწესა. ბუნებრივი ნიჭითა და რწმენის სიმტკიცით დიდად სჯობდა სოლომონი თავის უფროს ძმას და სამეფო ტახტსაც ის უფრო შეეფერებოდა, ვიდრე ადონია. მაგრამ, უფლის პირდაპირი მითითების მიუხედავად, ადონიამ მოისურვა ისრაელზე მეფობა და, რა თქმა უნდა, თანამზრახველნიც მრავლად გამოუჩნდნენ. ბევრ დანაშაულში ხელგასვრილი იოაბიც შეუერთდა სოლომონის წინააღმდეგ შეთქმულთ. ასევე მოიქცა აბიათარ მღვდელიც.

როცა აჯანყება საბოლოოდ მომზადდა, შეთქმულნი ქალაქგარეთ, დიდ ზეიმზე შეგროვდნენ, რათა მეფედ ადონია გამოეცხადებინათ, მაგრამ მეფის ერთგულმა ადამიანებმა ჩაშალეს მათი გეგმები. უპირველეს ყოვლისა, ესენი იყვნენ ცადოკ მღვდელი, ნათან წინასწარმეტყველი და სოლომონის

დედა, ბარშებაყი. ყველაფერი შეატყობინეს მათ მეფეს და დავითმაც მაშინვე გადასცა სამეფო ტახტი სოლომონს, რომელიც ცხებულ მეფედ იქნა გამოცხადებული. დამარცხდნენ შეთქმულნი. სათანადო სასჯელი მიეგოთ შეთქმულების თავკაცთ. შეუნდო მეფემ აბიათარს მისი სულიერი წოდებისა და დავითისადმი ძველი ერთგულების გამო, მაგრამ მღვდელმთავრობა ჩამოერთვა და ცადოკს გადაეცა. იოაბი და ადონიაც დაინდეს მაშინ, მაგრამ დავითის სიკვდილის შემდეგ სათანადოდ დაისაჯნენ დანაშაულისათვის. აღსრულდა ადონიას მიმართ გამოტანილი განაჩენი და ამით დასრულდა ოთხმაგი სასჯელი, რომელიც მისი მამის, დავითის მიერ ჩადენილი დანაშაულისადმი უფლის სიძულვილზე მეტყველებს.

მეფობის დასაწყისიდანვე ოცნებობდა დავითი ღვთისათვის ტაძრის აშენებაზე. და თუმცა მის ოცნებას აღსრულება არ ეწერა, დიდი გულმოდგინება და გულწრფელი ძალისხმევა გამოიჩინა მისი განხორციელებისათვის. უხვად მოამზადა ძვირფასი მასალა: ოქრო, ვერცხლი, ონიქსი და სხვა თვლები, მარმარილო და ძვირფასი ხის მასალა. ახლა კი მთელი ეს სიმდიდრე მემკვიდრეთათვის უნდა გადაეცა, რადგან სხვას უნდა აეშენებინა ტაძარი, რომელშიც აღთქმის კიდობანს, ისრაელიანთა შორის უფლის დავანების სიმბოლოს, მოათავსებდნენ.

იგრძნო რა სიკვდილის მოახლოება, ისრაელიანთა მთავრებსა და თავისი სამეფოს ყველა ოლქის წარმომადგენელთ მოუხმო დავითმა, რათა მათთვის გადაეცა ეს მდიდარი მემკვიდრეობა. სიკვდილის წინ განკარგულებების გაცემა სურდა, მათგანაც უნდოდა მოესმინა დაპირება აუცილებელი სამუშაოების შესრულების შესახებ. მძიმედ იყო დასნეულებული მეფე და არ ეგონათ მის ქვეშევრდომთ, რომ თავისი ნების გამოცხადებას თავად შეძლებდა, მაგრამ

[750]

ღვთიურმა ძალამ გაამაგრა იგი და ჩვეული ენერგიით, ხალისიანად მიმართა თავის ხალხს. აუწყა, თუ როგორ სურდა, აეგო უფლისთვის ტაძარი, მაგრამ უფალმა ღმერთმა ეს საქმე მის ვაჟს, სოლომონს დაავალა. ასე ბრძანა უფალმა: „შენი ძე სოლომონი ააშენებს ჩემს სახლსა და ეზოებს, რადგან იგი ძედ ამოვირჩიე და მე ვიქნები მისი მამა. სამარადისოდ გავამყარებ მის სამეფოს, თუ იგი მტკიცედ დაიცავს ჩემს მცნებებს და სჯულდებას, როგორც დღემდის იცავდა". „ახლა კი, - თქვა დავითმა, - მთელი ისრაელის, უფლის კრებულის, თვალწინ, ჩვენი ღმერთის გასაგონად გეუბნებით: დაიცავით და გამოიკითხეთ უფლის, თქვენი ღმერთის, ყველა მცნება, რათა

დოვლათიან ქვეყანას დაეპატრონოთ და თქვენს შემდეგ თქვენს შვილებს დაუმკვიდროთ უკუნისამდე" /1 ნეშტ. 28:6-8/.

საკუთარი გამოცდილებით კარგად იცოდა დავითმა, თუ რა სიძნელეები ხვდება ცხოვრების გზაზე უფალს მოშორებულ ადამიანს. თავად იგემა სასჯელი, რომელიც ღვთის რჯულის ყოველი დამრღვევის ხვედრია. საკუთარი ურჯულოების მწარე ნაყოფი თავად მოიმკა. და ახლა წუხდა მისი სული ებრაელი ერის წინამძღოლთა გამო: შეინარჩუნებენ თუ არა ღვთისადმი ერთგულებას? დაემორჩილება თუ არა სოლომონი უფლის მცნებებს და შეძლებს კი იმ ცოდვებისათვის თავის არიდებას, მისი მამის ავტორიტეტი რომ დასცა, ცხოვრება მოუწამლა და ღმერთი შეურაცხყო? კარგად იცოდა დავითმა: მორჩილი სული, ღვთის მტკიცე, ურყევი რწმენა და საკუთარ მოქმედებებზე მუდმივი კონტროლი დაეხმარება სოლომონს მეფობის ჟამს, წარმატებით გაუძლოს ცდუნებას, ვინაიდან მაღალი მდგომარეობის ადამიანები სატანის მზაკვრული ხრიკებისა და ყურადღების განსაკუთრებულ ობიექტს წარმოადგენენ. და ასე მიმართა მეფემ ტახტის უკვე აღიარებულ მემკვიდრეს: „ხოლო შენ, სოლომონ, ძეო ჩემო, იცოდე მამაშენის ღმერთი წრფელი გულითა და ხალისიანი სულით. ემსახურე, რადგან ყოველთა გულის მხილველია უფალი და ყველა ფიქრისა და ზრახვის მცოდნეა. ძებნას თუ დაუწყებ, იპოვი კიდეც. თუ შენ მიატოვებ, ისიც სამუდამოდ მიგატოვებს. ახლა უყურე, რაკი უფალმა გამოგარჩია უფლის საწმიდრის ამშენებლად, მტკიცედ დექ და გააკეთე".

დაწვრილებით აუხსნა დავითმა სოლომონს ტაძრის აშენების გეგმა, მისი ყოველი ნაწილის და მსახურებისათვის საჭირო ყოველი ნივთის ნიმუში უჩვენა - ყოველივე ეს სულიწმიდამ გამოუცხადა მას. ჯერ სულ ყმაწვილი იყო სოლომონი და შეუშინდა იმ უდიდეს პასუხისმგებლობას, რომელსაც ტაძრის მშენებლობა და ღვთის ერის ხელმძღვანელობა აკისრებდა. მაგრამ გაამხნევა დავითმა თავისი ძე: „მტკიცედ დექ და გამხნევდი, ნუ შიშობ და ნუ ძრწი, რადგან უფალი ღმერთი, ჩემი ღმერთი, შენთან არის, არ განგიდგება იგი და არ მიგატოვებს".

და კვლავ საკრებულოს მიმართა მეფემ: „სოლომონი, ჩემი ძე, რომელიც უფალმა ამოირჩია, ნორჩია და სუსტი, ეს საქმე კი ძალზე დიდია, რადგან ეს შენობა კაცისთვის კი არ არის, არამედ უფლისთვის, ღვთისთვის". „რაც კი შემეძლო ყველაფერი მოვამზადე უფლის სახლისთვის..." - განაგრძო მეფემ და ყველა ძვირფასი მასალა სათითაოდ ჩამოთვალა. "ამასთან ერთად, - თქვა მან, - ჩემი უფლის სახლის სიყვარულის გამო, მაქვს ოქროსა და ვერცხლის საუნჯე, რომელსაც ღვთის სახლს ვწირავ, ყოველივე იმის გარდა, რაც წმიდა სახლისთვის მაქვს მომზადებული. სამიათასი ქანქარი ოქრო, ოფირის ოქრო, შვიდი ათასი ქანქარი გადამდნარი ვერცხლი, სახლის კედლების მოსაპირკეთებლად". „კიდევ ვინ შესწირავს დღეს უფალს სავსე ხელით?" - მიმართა მან მთელ საკრებულოს.

[751]

დაუყოვნებლივ უპასუხეს დავითის მოწოდებას: „გაიღეს შესაწირავი მამისსახლთა მთავრებმა, ისრაელის შტოთა მთავრებმა, ათასისთავებმა, ასისთავებმა და მეფის მოურავებმა. და გამოიღეს უფლის სახლის სამსახურისათვის ხუთი ათასი ქანქარი ოქრო, ათი ათასი დრამა, ათი ათასი ქანქარი ვერცხლი, თვრამეტი ათასი ქანქარი სპილენძი, ასი ათასი ქანქარი რკინა. ვისაც კი ქვები აღმოაჩნდა უფლის სახლის საგანძურისათვის, იეხიელ გერშუნელს ჩააბარეს. ხალხი ხარობდა შესაწირავის გამო, რადგან სრული გულით სწირავდნენ უფალს. ასევე მეფე დავითიც დიდი სიხარულით ხარობდა".

„აკურთხა დავითმა უფალი მთელი კრებულის თვალწინ და თქვა დავითმა: „კურთხეულ ხარ, უფალო, ისრაელისა და ჩვენი მამა-პაპის ღმერთო, უკუნითი უკუნისამდე... შენია უფალო, მეფობა, ყველაზე აღმატებული ხარ მთავრად. სიმდიდრე და დიდება შენგან მოდის, შენ განაგებ ყოველივეს, შენს ხელშია ძალა და ძლიერება, შენს ხელშია ყოველივეს განდიდება და განმტკიცება. აწ გაქებთ შენ, ღმერთო ჩვენო, და ვადიდებთ შენს დიდებულ სახელს. ვინა ვარ მე, ან ვინ არის ჩემი ერი, ამდენის შემოწირვა რომ შევიძელით? რადგან ყოველი ეს შენგან არის, ეს ყოველივე შენი ხელით მოცემული შემოგწირეთ. ვინაიდან მდგმურნი და ხიზანნი ვართ შენს წინაშე, ჩვენი მამა-პაპის მსგავსად. აჩრდილივით არის ჩვენი დღენი ამქვეყნად, არაფერია

საიმედო. უფალო, ღმერთო ჩემო! მთელი სიმდიდრე, რაც ჩვენ მოვამზადეთ შენს წმიდა სახელზე სახლის ასაგებად, შენი ხელით არის მოცემული და შენია ყოველი. ღმერთო ჩემო, ვიცი, რომ გულთამხილველი და სიმართლისმოყვარული ხარ. ეს ყველაფერი ჩემი წრფელი გულით შემოგწირე. ახლა კი გახარებულს ვხედავ აქ მყოფ შენს ერს, რომელიც შესაწირავს გიძღვნის. უფალო, ღმერთო აბრაამისა, ისაკისა, ისრაელისა და ჩვენი მამა-პაპისა! სამარადისოდ დაიცავი ეს, შენი ერის გულის ფიქრები და ზრახვანი და შენსკენ წარმართე მათი გულები. და სოლომონს, ჩემს ძეს, მიეცი სრული გული, რომ დაიცვას შენი მცნებები, შენი წესები და კანონები, რათა ყველაფერი გააკეთოს იმ შენობის ასაგებად, რომლისთვისაც მე მოვამზადე. უთხრა დავითმა მთელ კრებულს: აკურთხეთ უფალი, ღმერთი თქვენი! და აკურთხა მთელმა კრებულმა უფალი, თავისი მამა-პაპის ღმერთი, დაეცნენ და თაყვანი სცეს უფალს და მეფეს".

უდიდესი მზრუნველობითა და სიყვარულით აგროვებდა მეფე ძვირფას მასალას ტაძრის მშენებლობისა და მოპირკეთებისათვის. შექმნა მშვენიერი საგალობლები მის თაღებქვეშ სამღერლად. დიდად გაიხარა მისმა გულმა უფალში, როცა ისრაელის მთავრებმა ასე გულწრფელად და უხვად გაიღეს შესაწირავი, უსმინეს მის ხმას და მეტად მნიშვნელოვანი საქმისათვის მოემზადნენ. ახლა ისინი მზად იყვნენ, უფრო მეტი გაეღოთ. და უფრო უხვი ძღვენი გაგზავნეს უფლის საგანძურში თავიანთი სამფლობელოებიდან. გრძნობდა დავითი, რომ ძალა არ შესწევდა, ყველაფერი მოემარაგებინა, რაც ტაძრის

მშენებლობას დასჭირდებოდა. და ახლა დიდად ახარებდა თავისი სამეფოს კეთილშობილ ადამიანთა გულწრფელი ერთგულება, რომელთაც უხვად გაიღეს შესაწირავი და საკუთარი ძალისხმევაც აქეთკენ მიმართეს. მაგრამ კაცის გულს მხოლოდ ღმერთი ფლობს. ისაა განდიდების ღირსი და არა ადამიანი. მან მისცა ადამიანებს ამქვეყნიური კეთილდღეობა და მისმა სულმა შთააგონა, ძვირფასი ძღვენი გაეღოთ ტაძრისათვის. ყველაფერი, რაც არსებობს, ღმერთის საკუთრებაა. და მისი ყოვლისმომცველი სიყვარული რომ არა, ამაო იქნებოდა მეფის ყოველგვარი მცდელობა და ძალისხმევა და ტაძარიც არასოდეს აშენდებოდა.

[752]

[753]

ყოველივე, რასაც ადამიანი ღვთისაგან უხვად ღებულობს, ღმერთს ეკუთვნის. დედამიწის ყოველი უძვირფასესი და უმშვენიერესი ძღვენი უფალმა ადამიანებს მათდა გამოსაცდელად - ღმერთისადმი მათი სიყვარულისა და უფლის წყალობის შემეცნების სიღრმის შესამოწმებლად მისცა. და ყველა

ეს სიმდიდრე - მატერიალური თუ სულიერი - იესოს ფერხთით უნდა დავდოთ, რათა მომტანმა დავითთან ერთად თქვას: „ყოველივე ეს შენგან არის, ეს ყოველივე შენი ხელით მოცემული შემოგწირეთ".

როცა სიკვდილის მოახლოება იგრძნო, კვლავ დაუმძიმდა მეფეს გული სოლომონზე და ისრაელის სამეფოზე ზრუნვით, რომლის კეთილდღეობაც დიდად იყო დამოკიდებული მეფის ერთგულებაზე. „და ეს უანდერძა მან თავის შვილს, სოლომონს: მივდივარ მთელი ქვეყნის გზით, გამაგრდი და კაცი იყავი. აღუსრულე ვალი უფალს, შენს ღმერთს: იარე მის გზაზე, დაიცავი მისი წესები, მისი მცნებანი, მისი სამართალი... რომ ხელი მოგემართოს ყველაფერში, რასაც გააკეთებ, და ყველგან, საითკენაც პირს მიაბრუნებ. რომ აღასრულოს უფალმა ჩემზე ნათქვამი თავისი სიტყვა: თუ შენი შვილები დაიცავენ ჩემს გზას და ივლიან ჩემს წინაშე ჭეშმარიტებით და მთელი გულითა და სულით, არ დაგელევაო კაცი ისრაელის ტახტზე" /3 მეფ. 2:1-4/.

დავითის უკანასკნელი სიტყვები საგალობელია, საგალობელი იმედისა, უზენაესი პრინციპებისა და უკვდავი რწმენისა:

„ეს არის დავითის უკანასკნელი სიტყვები,

რომელნიც წარმოთქვა დავითმა, იესეს ძემ,

კაცმა, მაღლით დადგინებულმა,

იაკობის ღვთის ცხებულმა

და ისრაელის ტკბილხმიანმა მგალობელმა:

უფლის სული მეტყველებს ჩემით

და ენაზე მაქვს მისი სიტყვა...

მართალი კაცი იხელმწიფებს ხალხზე,

ღვთის შიშით იხელმწიფებს.

იქნება იგი როგორც დილის ნათელი

მზის ამოსვლისას, უღრუბლო დილა,

როგორც წვიმის შემდეგ

მიწიდან ამობრწყინვებული ბალახი.

განა ასეთი არ არის ჩემი სახლი უფლის წინაშე?

რადგან მან დამიდო საუკუნო აღთქმა,

ყოველმხრივ გაწყობილი და დაურღვეველი.

განა მისგან არ აღმოცენდება

ყოველი ჩემი გამარჯვება

და ყოველი ჩემი ნატვრა?"

/2 მეფ. 23:1-5/.

ღრმად დაეცა დავითი, მაგრამ უფრო ღრმა იყო მისი მონანიება, უფრო მგზნებარე - მისი სიყვარული, კიდევ უფრო ძლიერი - მისი რწმენა. „მიეტევა მრავალი თავისი ცოდვა, რადგან ძლიერ შეიყვარა" /ლუკ. 7:47/.

დავითის ფსალმუნები მის განცდათა ფართო სპექტრია - დაწყებული სინდისის ქენჯნიდან და საკუთარი თავის მკაცრი განკითხვიდან, ამაღლებული რწმენითა და უფალთან უდიდესი სიახლოვით დამთავრებული. მისი ცხოვრების ისტორია გვამცნობს, რომ ცოდვის შედეგი შერცხვენა და თავმოჭრაა, უფლის სიყვარული და წყალობა კი უსასრულოა; რომ მხოლოდ რწმენა აძლევს

[754]

ადამიანს უფლებას, ღვთის შვილად იწოდებოდეს. ბიბლიაში მოცემულ ყველა მოწმობათა შორის, დავითის ცხოვრების ისტორია უფლის ერთგულების, სამართლიანობის და მოწყალების აღთქმის ერთ-ერთი უძლიერესი მტკიცებაა.

ადამიანი „ჩრდილივით გარბის და კვალს არ ტოვებს", „ჩვენი ღვთის სიტყვა კი დგას საუკუნოდ". „ხოლო წყალობა უფლისა უკუნისამდეა მის მოშიშთა მიმართ და მისი სიმართლე - შვილთაშვილებზე, ვინც იცავს მის აღთქმას და ვისაც ახსოვს მისი მცნებანი და ასრულებს კიდეც" /იობ. 14:2; ეს. 40:8; ფს. 102:17,18/.

„ყოველივე, ღვთის მიერ ქმნილი, იარსებებს უკუნისამდე" /ეკლ. 3:14/.

დიდებული აღთქმანი მიეცა დავითსა და მის სახლს, აღთქმანი, რომელნიც მარადისობას ერწყმის და თავის სრულ განხორციელებას ქრისტეში პოვებს. თქვა უფალმა:

„შევფიცე დავითს, ჩემს მორჩილს... რომ ჩემმა ხელმა წარმართოს იგი და ჩემმა მკლავმა გაამაგროს... ჭეშმარიტება და წყალობა ჩემი მასთანაა და ჩემი სახელით მომაღლდება ღირსება მისი. ზღვას გადავაწვდენ მის ხელს და მდინარეებს - მის მარჯვენას. ის მომიწოდებს: „მამაჩემი ხარ, ჩემი ღმერთი და ბურჯი ჩემი ხსნისა"; მეც უფროსობას ვუბოძებ მას, ქვეყნიერების მეფეებზე უმაღლესობას; უკუნისამდე შევუნახავ მას ჩემს წყალობას და ჩემი აღთქმა საიმედო იქნება მისთვის" /ფს. 88:4,22,25-29/.

„და დავამკვიდრებ უკუნისამდე ნაშიერს მისას

და მისი ტახტი - ვითარცა დღენი ცისანი"

/ფს. 88:30/.

„გაასამართლოს ერის ღატაკნი,

იხსნას შვილი ღარიბისა და დაჩაგროს მჩაგვრელი.

შენი შიში ექნებათ, ვიდრე მზე და მთვარეა,

თაობიდან თაობამდე...

მის დღეებში გაიფურჩქნება წმიდანი

და გამრავლდება მშვიდობა,

ვიდრე მთვარე არსებობს.

და იბატონებს ზღვიდან ზღვამდე

და მდინარედან დედამიწის კიდემდე...

მისი სახელი იქნება უკუნისამდე,

ვიდრე მზე არსებობს,

იბრწყინებს მისი სახელი,

და იკურთხებიან მის მიერ,

ყოველი ხალხი შენატრებს მას"

/ფს. 71:4-8,17/.

„რადგან შეგვეძინა შვილი, მოგვეცა ძე და უფლობა იყო მის ბეჭებზე, ეწოდა სახელად საკვირველი, მრჩეველი, ღმერთი ძლიერი, მარადისობის მამა, მშვიდობის მთავარი". „დიდი იქნება ის და უზენაესის ძედ იწოდება. მისცემს მას უფალი ღმერთი მისი მამის, დავითის ტახტს. და უკუნისამდე იმეფებს იაკობის სახლზე და მის მეფობას არ ექნება დასასრული" /ეს. 9:5; ლუკ. 1:32, 33/.

[755]